

# პიტა ბუარიძე

კუბლიცისტური  
ნანერების ყრებული

ცნობილი ფაქტია, რომ მწერალი—პუბლიცისტი, კიტა ბუაჩიძე თავისი ბასრი კალმით ყოველთვის იდგა მოვლენების შუაგულში. არ დარჩენილა თითქმის არცერთი საჭირობოროტო საკითხი, რომელიც საქართველოს და ქართველ ხალხს ეხებოდა, გულთან ახლოს არ მიეტანა და არ გამომხაურებოდა. მას ყოველთვის და ყველა საკითხთან დაკავშირებით გააჩნდა საკუთარი გაბედული, მართალი და პრინციპული მოქალაქეობრივი პოზიცია, რომლის დაფიქსირება ხდებოდა დროულად—რეალური მოვლენების კვალდაკვალ.

წინამდებარე „კრებულში“ თავმოყრილია მწერლის სხვადასხვა გამოცემებში და სხვადასხვა წლებში (1933-2009) გამოქვეყნებული თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული და მკითხველისათვის კარგად ნაცნობი პუბლიცისტური წერილები, აგრეთვე დღემდე უცნობი გამოუქვეყნებელი პირადი წერილებიც და ზოგიერთი სხვა სიახლე.

„კრებულში“ თავმოყრილი წერილები გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებით და დღემდე არ კარგავს აქტუალურობას.

კიტა ბუაჩიძის პუბლიცისტური წერილები ასე სრულად, ერთ ნიგნში ჯერ არ გამოქვეყნებულა. ამგვარად, მკითხველს საშუალება ეძლევა უკეთ შეიმეცნოს ამ უნიჭიერესი მწერლის შემოქმედება.

## **შემდგენელი**

თინათინ ბარამიძე

## **რედაქტორი**

ნოდარ ტაბიძე

## **მხატვარი**

გოგი წერეთელი

© თ.ბარამიძე, 2013

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2013

თბილისი, 0179, 0. ჯაჰანგირის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-924-2



ეძღვნება  
ყიფს დეჟიძის  
100 – წლის  
საოცრილო ოსწილს

## შ ე მ დ გ ე ნ ე ლ ი ს ბ ა ნ

ქართველ მკითხველს კარგად ახსოვს მწერალი-პუბლიცისტი კიტა ბუაჩიძე და მისი გახმაურებული პუბლიცისტური წერილები. ქართველ მკითხველს ახსოვს და ჯეროვნად აფასებს მის გაბედულად, პრინციპულად და დროულად ნათქვამ მართალ სიტყვას.

ქართველი მკითხველი დღემდე ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული საკუთარი ხელწერის მქონე მწერალ-პუბლიცისტი კიტა ბუაჩიძისადმი; მის სხარტად ნათქვამ და ლამაზი სტილით დაწერილ ქმნილებებისადმი, რომელიც ყოველთვის იქმნებოდა საკითხის ღრმად შესწავლის საფუძველზე, დიდი სიყვარულითა და სასოებით, ამავე დროს, დიდი გულისტკივილით, რადგან ეს ყოველივე, ეხებოდა მისთვის სათაყვანებელ საქართველოს და ქართველი ხალხის ცხოვრების ნაკლოვან მხარეებს და მოვლენებს.

„ეს არის ღვთისნიერი ერისკაცის მღუღარე ცრემლებიც, გაფრთხილებაც, მოწოდებაც, ნათელი გზის ჩვენებაც, უბვანო შვილთა შეჩვენებაც და სრულიად საქართველოს დედოფარის საბანბაშო აბუშუნება“ — ამგვარად შეაფასა კიტა ბუაჩიძის პუბლიცისტური ქმნილებანი მხცოვანმა მწერალმა ბიორბი ალავერდიაშვილმა.

ბატონი კიტას სიცოცხლის ბოლო წლების სურვილი იყო — მის გამოუქვეყნებელ ქმნილებებს — ეხილა დღის შუეი, რაც, სამწუხაროდ განუხორციელებელი დარჩა.

ჩვენი მცდელობა იყო აღგვესრულებინა მწერლის ბოლო სურვილი, შთაგონების ნყარო, თვით კიტას პიროვნება გახლდათ. წიგნზე მუშაობის პროცესში, არ გვტოვებდა შეგრძნება იმისა, რომ ყოველივე, მისი კარნახით და უშუალო მონაწილეობით კეთდებოდა... საერთო ძალისხმევის შედეგად, დღეისათვის, მწერლის სამმა წიგნმა — „იხილა დღის შუეი“, რომლებიც, შესაბამისად ეძღვნება კიტა ბუაჩიძის 90, 95, და 100 წლის საიუბილეო თარიღებს: ესენია,

1. „ხალხის მტრის ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე (1929-1979 წწ.)“.

„სეზანი“, 2003, რედაქტორი — ბ-ნი თამაზ კვაჭანტირაძე.

სპონსორი — ქალაქის მერი — ბ-ნი ივანე ზოდელავა.

2. „რჩეული თხზულებანი“, „ეროვნული მწერლობა“, 2009, რედაქტორები — ბ-ნები თამაზ კვაჭანტირაძე და ნოდარ ტაბიძე.

დამფინანსებელი — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქართველოს საეპისკოპოსოსი ფონდი.

3. „პუბლიცისტური ნაწარმების კრებული“, „უნივერსალი“, 2013, რედაქტორი — ბ-ნი ნოდარ ტაბიძე.

გამოცემულია სუბსიდირების გარეშე. ამ კეთილშობილური გადანაცვტილებისა და ნდობისათვის — დიდ მადლობას მივაგებთ გამომცემლობა „უნივერსალის“ ხელმძღვანელობას, იმედით, რომ დამფინანსებელი გამორჩდება.

წინამდებარე „კრებული“ თავმოყრილია ბატონი კიტას, სხვადასხვა წლებში და გამოცემებში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები და გამოცემულია „პუბლიცისტური ნაწარმების კრებული“ სახით.

ვფიქრობთ, რომ წიგნი შეასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას, უპირველესად, ახალგაზრდების აღზრდის საქმეში.

ახალმა თაობამ კიტა ბუაჩიძის მაგალითზე შეიძლება ისწავლოს — როგორ უნდა იცხოვრონ, როგორი მრწამსით და იდეებით უნდა იღვანონ, როგორ უნდა შეებრძოლონ ცხოვრებისეულ დარტყმებს და სიძნელებებს და ბოლოს, როგორ უანგაროდ, თავდავიწყებით და პატრიოტული შემართებით უნდა ემსახურონ თავის ქვეყანას, თავის ხალხს...

„პუბლიცისტური წერილები“ შეიძლება თვალსაჩინო მაგალითი გახდეს დამწყები მწერლებისათვის, მათთვის, ვინც აპირებს ლიტერატურული კრიტიკის დარგში მოღვა-

ნეობას ან აქვს სურვილი დაეუფლოს პოლემიკის ოსტატობას. ამ მხრივ, მათ სამსახურს გაუწევს „კრემლში“ წარმოდგენილი პოლემიკური ხასიათის წერილები, რომლებშიც ბატონი კიტა პოლემიკის წარმართვის დიდოსტატად გვევლინება.

„კრემლს“ წინ უძღვის ბატონ ნოდარ ტაბიძის ამომწურავი - „ზღვრულზე სათქმელი“, აგრეთვე შესანიშნავად, რომანტიკულ სტილში დაწერილი „მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები“ (სურათებითურთ).

ვსარგებლობ შემთხვევით და უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ ნოდარს, ნიგნის რედაქტირებისა და იმ დიდსულოვანი თანადგომისათვის, რაც მან გასწია წინამდებარე „კრემლის“ გამოცემის საქმეში.

„კრემლი“ შეიქმნა ორი კარისხან:

პირველი შემოღა – ბამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები (1933-2009 წწ.).

მეორეში წარმოდგენილია – ბამოქვეყნებული პირადი წერილები (1980-1997 წწ.).

ორივე კარი ეთმობა, როგორც ქართულ, ასევე რუსულენოვან წერილებს.

ეროვნულ არქივში მოპოვებული პუბლიცისტური წერილების გარკვეული ნაწილი (25%-მდე) – კრებულში არ შეგვიტანია, ნაწილი – მასალის სიმრავლესთან დაკავშირებით ვერ დაიტია ნიგნის ფორმატმა, ზოგიც, სხვა საპატიო მიზეზების გამო...

აქვე მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო ეროვნული არქივის დირექტორს — ქონ თეონა იაშვილს, აგრეთვე, შესაბამისი განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელს ქონ მარინა სხირტლაძეს და მის გულისყურიან თანამშრომლებს.

ვჩქარობთ, ცნობისმოყვარე მკითხველს ვაუწყოთ, რომ „კრემლში“ შევიდა მწერლის ცნობილი ბესტსელერები (რომლებიც თავის დროზე გამოვიდა 100-120 ათასიანი ტირაჟით და რამდენიმე კვირაში გაქრა ნიგნის თაროებიდან) – „ღია ბარათი“ (იგივე „შავი ნიგნი“) და „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву...“, აგრეთვე ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი პუბლიცისტური წერილების მთელი სერია – „შავზე შავი წიგნიდან“ და სხვა...

აქვე დავსძენ, რომ ბატონ კიტასთვის დამახასიათებელია ვრცელი, ყოველმხრივ დასაბუთებული წერილები, თუმცა შიგადაშიგ ჩვეულებრივი ფორმატის ქმნილებებსაც იხილავთ.

წერილებში ხშირად შეხვდებით ავტორისეულ ე. წ. „მინაწერებს“ (ძველი, ახალი), რომლებიც შეიძლება შეგხვდეთ ტექსტის ნებისმიერ ნაწილში, ასე განსაჯეთ, წერილი ზოგჯერ იწყება „მინაწერით“, რაც მკითხველს არ უნდა ეუცხოვოს, რადგან ეს ბატონ კიტას ხელწერის თავისებურებას წარმოადგენს.

მკითხველს აგრეთვე არ უნდა ეუცხოვოს, რომ გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებს – ორ-ორი თარიღი უზის: ერთი თავში, რომელიც გამოქვეყნების თარიღია, ხოლო ბოლოში – წერილის დაწერის თარიღი.

ზოგ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ამ ორ თარიღს შორის დროის დიდი შუალედი. მაგალითისთვის მოვიყვანოთ „ღია ბარათი“, რომელიც დაიწერა – 1979 წელს, ხოლო გამოიცა – 1990 წელს. იგივე ითქმის „შავზე შავი წიგნი“ თავმოყრილ პუბლიცისტურ წერილებზე. ცოტა ნაკლები დროის შუალედი ამორებს – „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву...“ს – იგი დაიწერა – 1986, ხოლო გამოქვეყნდა – 1989 წელს.

ყოველივე აიხსნება იმით, რომ იმუამინდელი წყობის პირობებში მსგავსი „ანტისახელმწიფოებრივი“ ლიტერატურის გამოცემა აკრძალული იყო, მაგრამ კ. ბუაჩიძის წერილების თავისებურება კიდევ ისაა, რომ ისინი თაროზე მიძინებული არ რჩებოდნენ, არალეგალურად დასტამბული ან ხელნაბეჭდის სახით სწრაფად ვრცელდებოდა და დიდი ინტერესითაც იკითხებოდა.

აღსანიშნავია, რომ „კრემლში“ პირველად ქვეყნდება მწერლის ღმერთი ბამოქვეყნებული პირადი წერილები (კარი მეორე). ყოველი მათგანი განუმეორებელია, როგორც ხელწერით, ისე შინაარსობრივად და, რაც მთავარია, მწერლის ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ აღნიშნულ წერილებში სრულად არ არის წარმოდგენილი ადრესატის გვარი, სახელი, მამის სახელი, ვინაობა (ეხება რუსულ წერილებს). მკითხველმა ეს შეცდომად არ უნდა მიიჩნიოს, რადგან ჩვენ ყოველივე მოგვყავს იმგვარად, როგორც პირველწყაროშია აღნიშნული.

წინამდებარე „კრებულში“ პირველად ქვეყნდება აბრეშვი კ. ბუაჩიძის პირად არქივში დაცული დღემდე ჩვენთვის უცნობი მასალები, რომელთაც მკითხველი, ვფიქრობთ, სასიამოვნო მოულოდნელობად აღიქვამს. ამ მასალიდან ცნობილი ხდება, რომ:

ბატონი კიტა 1956 წლიდან საკავშირო მწერალთა კავშირის წევრი ყოფილა; რომ 1961 წელს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. და ბოლოს, იგი 1960 წელს კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის დაჯილდოებული სიმღერის თანაავტორია. მკითხველს საშუალება ექნება გაეცნოს აღნიშნული სიმღერის ტექსტს და მუსიკის ნოტებს, რომელთაც ეთმობა „კრებულის“ ბოლო გვერდები.

ასეთ ამალღებულ მუსიკალურ ნოტზე მთავრდება წიგნი.

ასე რომ, კვირფასო მკითხველო! თქვენ გელით ბევრი სასიამოვნო წუთები კიტა ბუაჩიძის კუბლიცისტურ მნიშვნელობთან შეხვედრისა...

ვიმედოვნებთ, რომ იგი, კვლავინდებურად, დიდ სიხარულთან და აღმაფრენასთან ერთად, მოგანიჭებთ დიდ სულიერ მხნეობასაც.

ამგვარად, ბატონი კიტას ყველა დაუსტამბავი ქმნილებანი გამოქვეყნებულია.

დიდება უფალს, რომ შეგვაძლევინა ამ საპატიო მოვალეობის შესრულება.

მწერალი რომ მოსწრებოდა დღევანდელ დღეს, იტყოდა, არაერთ უნაპირო, გულწრფელ და სწორუპოვარ მადლობას ყველა, მათ მიმართ, ვინც გულთან ახლოს მიიტანა და ყურადღება არ მოაკლო წიგნის გამოცემის საქმეს: რედაქტორებისადმი, სპონსორებისადმი, გამომცემლებისადმი და სხვ.

სასიამოვნო მოვალეობად მიიჩნევდა მადლობა გადაეხადა უახლოესი მეგობრებისადმი — ბ-ნების ვახტანგ დონაძის, ჯუშუბერ კოპალიანის, რევაზ კვიციანიძისა და ქონ ლუარა ბორღიშვილისადმი — დიდი მოამაგეობისათვის.

ყველა ზემოაღნიშნული პიროვნებებისადმი ღრმა პატივისცემით და გულწრფელი მადლიერების გრძნობით —

თინათინ ბარამიძე

## ზ ლ უ რ ბ ლ ზ ე    ს ა თ ქ მ ე ლ ი

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები (ზოგიც დაუსტამბავი). ასე რომ, მკითხველს საშუალება ეძლევა თვალი გაადევნოს კიტა ბუაჩიძის შემოქმედებით გზას და მთლიანობაში აღიქვას მისი ნაღვანი მთელი სიძლიერითა და ხიბლით.

ჩვენ უკვე თამამად შეგვიძლია ვიმსჯელოთ „შავი წიგნის“ შექმნის წინაპირობებზე, ასტაფიევის წინააღმდეგ მიმართული მამხილებელი წერილის შენაკადთა წყაროებზე და მწერლის პალიტრის ფერადოვნებაზე.

სტატიები თემატურად ნაირგვარია.

კ. ბუაჩიძე ყურადღებას ამახვილებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. მას ძლიერ აღელვებს ეროვნული პრობლემები. კერძოდ ის, რომ ქართველობა სუსტად მრავლდება; ანუხებს ის, რომ მეურნეობის წამყვანი დარგები ჩამკვდარია; აფიქრებს ის, რომ დისციპლინა-წესრიგი მოისუსტებს და ა. შ.

შედარებით მცირე მასშტაბის ყოფით მოვლენებზეც მსჯელობს. მაგალითად, თბილისში, მრგვალ ბაღთან მიწისქვეშა გადასასვლელის პროექტის შედგენაზე და სხვა.

რაც მთავარია, პუბლიცისტი ვითარებისა და ფაქტების კონსტანტაციით არ იფარგლება. მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს ეძებს და ვარიანტებსაც გვთავაზობს.

მწერალი ძალუმად ამჟღავნებს საფუძვლიან განათლებას, თვალსაწიერის სიფართოვეს და პრინციპულობას.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა 1937 წელს „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული რეცენზია „კლასიკოსისა და ისტორიული სინამდვილის გამყალბებელი ფილმი“. მასში მკაცრად არის გაკრიტიკებული რეჟისორ სიკო დოლიძის „დარიკო“.

როგორც კ. ბუაჩიძე წერს, „სცენარისტ-რეჟისორმა ვერ შეძლო მოეცა დარიკოს სახე ღრმად, მუდმივ ვითარებაში, ყოველმხრივ. ამიტომაც ძნელი დასაჯერებელი ხდება, რომ სათუთი განცდების მქონე ქალიშვილი სრულიად მოულოდნელად ტყეში გაიჭრა, თოფ-იარაღი აისხა და წარმოიდგინეთ, რაზმის ხელმძღვანელიც კი გახდა.“

კრიტიკოსის აზრით, ფილმის „ყველა მთავარ ეპიზოდს ხშირად უბრალო გამართლებაც კი აკლია“, „ტრაფარეტული და ნაკლებ მოტივირებული ამბები სურათში მრავლადაა“. ამ აზრს პუბლიცისტი მოტანილი ფაქტებით ამაგრებს და მკითხველი ადვილად გადაყავს საკუთარ პოზიციასზე.

რამდენადაც წიგნში პირადი ბარათები ჭარბობს, ამდენად გარკვეულად ადვილდება მათი მოქცევა ერთ შემფასებლურ რკალში და საერთო ნიშნებზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნების გამოტანა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაში მოკითხვის ბარათებთან როდი გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, ადრესატები ფრიად გამორჩეული პიროვნებები ბრძანდებიან, ჩვენი ყოფისთვის ტონის მომცემნი. მეორეც, ამ ბარათებში წინ არის წამოწეული ისეთი საკითხები, რომელთა მოგვარებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

საანალიზო მასალებში ერთი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი იჩენს თავს. ეს არის შეხშიანების ფორმა, თხოვნა ძალზე შორს დგას მუდარისაგან, ამიტომ იქნებ უპირიანი იყოს, მას პირობითად თხოვნა-რეკომენდაცია ვუწოდოთ.

კ. ბუაჩიძე კი არ ეაჯება მავანსა და მავანს, რომ დადგას მისი პიესა ან დაუბეჭდოს წერილი, არამედ ასაბუთებს, რამდენად სასარგებლო იქნებოდა ეს საზოგადოებისთვის. მსჯელობა ლოგიკურია, მოხმობილი არგუმენტები საფუძვლიანი. მოსალოდნელი შედეგის განჭვრეტა ამ წერილებს დიდ ძალას ანიჭებს.

პირად ბარათებში საკმაოდ არის მითითებები. მაგალითად, ერთი გაზეთის რედაქტორს ურჩევს, მოერიდოს სიტყვა „უდიდესის“ ხშირ და გაუმართლებელ ხმარებას.

„ნაკლებად გეხმაროთ აგრეთვე „საოცარი“, „გასაოცარი“, „შესანიშნავი“, „შეუდარებელი“, „უბადლო“ და, საერთოდ, ამ რანგის ერთ დროს ღირებულ, ახლა კი გაკაპეიკებული ეპითეტები...“ მართლაც, უხერხულია, ითქვას „სპილო გარდაიცვალა“ და ა. შ.

ამ რეკომენდაციებიდან თავიდათავია არა იმდენად ცალკეული გამოთქმების კინისა თუ ვარგისიანობის ჩვენება, არამედ გაბატონებული ტენდენციის წინააღმდეგ საერთო გალაშქრება.

წიგნში, მართალია, კრიტიკა მძლავრობს, მაგრამ ამასთანავე შესამჩნევი ადგილი ეთმობა ადრესატთა მოქალაქეობრივი სიმამაცისა და პროფესიული ოსტატობის ჩვენებას. მიზნის მისაღწევად ყველაზე ეფექტური მაგალითებია მოხმობილი. საილუსტრაციოდ გამოდგება ნერილი გურამ ბათიაშვილს. დავესესხოთ შესავალს. „ვიდრე თქვენ რედაქტორად გიხილავდით, „თეატრალური მოამბე“ უფრო კულტურის სამინისტროს იმ კედლის გაზეთს წააგავდა, ჩვეულებრივ, პირველ მაისს, შვიდ ნოემბერს და ზოგ ბედნიერ წელიწადს, რვა მარტსაც გამოაკრავენ ხოლმე.

ახლა კი „თეატრალური მოამბე“ სრულებითაც აღარ ჰგავს „კედლის ჟურნალს“, მას ცოცხალი ორგანიზმის ნიშანწყალი დაეტყო და მე პირადად მასში მოთავსებულ მასალებს — არა ყველას, ცხადია, — გულისყურით ვკითხულობ ხოლმე.

თქვენ, როგორც რედაქტორი, განსაკუთრებით მას შემდეგ ამაღლდით ჩემს თვალში, როცა ვახტანგ ტაბლიაშვილის მოგონებებში სულის შემხუთველი სტრიქონები ამოვიკითხე იმის ირგვლივ, თუ როგორ ღორულად... ბოდიში, უმადურად მოექცნენ კოტე მარჯანიშვილს მისივე აღზრდილ-დაფრთიანებული, მის მიერვე საქვეყნო ასპარეზზე გამოყვანილი მსახიობები, ფართო საზოგადოებისათვის აქამდე წმინდანების სამოსელში რომ იყვნენ გახვეულნი...“

პუბლიკაციებში კარგად ჩანს კიტა ბუაჩიძის ის თვისება, რომელიც საყოველთაო აღტაცებას იწვევს. მხედველობაში მაქვს გაჭირვებულებისათვის ხელის განწვდენა. ცნობილია, რომ დიდი შრომისა და შინაგანი წვის შედეგად გამოცემული წიგნის ჰონორარს იგი ღარიბებსა და მრავალშვილიან ოჯახებს ურიგებდა. ამის დამამტკიცებელი ერთი ფაქტი წინამდებარე კრებულშიც გვხვდება.

გამომცემლობა „სამშობლოს“ მკინძავს თენგიზ თომაძეს ასე ეხმიანება: „ჩემო თენგიზ! გვიან გავიგე შენს ოჯახზე დამტყდარი უბედურების ამბავი, ამიტომ მოხდა, რომ იმ შავ დღეებში ვერ მოგიხახულე და ვერ მოგისამძიმრე.

ჩემი „შავი წიგნის“ ჰონორარიდან გიგზავნი ათას მანეთს ობლად დარჩენილი ორი ღლაპი შვილიშვილის აღზრდისათვის დასახმარებლად.

მოგილოცავ ახალ, 1990 წელს და გისურვებდი მომავალში მარტო სიხარული ყოფილიყო შენი და შენი მეუღლის, შენი შვილებისა და შვილიშვილების თანამგზავრი!“

საგულისხმოა, რომ კ. ბუაჩიძე სხვებისაგანაც მოითხოვს ამ პრინციპით ცხოვრებას — „ქმნას სიკეთისას“.

1987 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს გ. ციციშვილს თხოვს, კომერციულ ამხანაგობაში შეიყვანოს ინგილო ლუდმილა ტარტარაშვილი, რომელიც ქმარ-შვილით შეხიზნულია ერთ პატარა ნაქირავებ ოთახში.

ძალზე საყურადღებოა ამ წერილის ტონი, კატეგორიულობაზე დაფუძნებული დასაბუთება.

„მე ჩინებულად ვიცი, ჩვენი დროის ამ ცხოვრებაში არაფერს არ წარმოვადგენ და, მაშასადამე, არც ოდესმე რამეში დაგჭირდებით, თქვენ კი მე, ჩვენი ქვეყანა ისეა აწყობილი, როგორც თანამდებობის პირი, ბევრ რამეში დამჭირდებით, და მაინც, თუ თქვენ ამ გადაწყვეტილებას არ შეცვლით იმ ერთი საწყალი ინგილო ქალის სასარგებლოდ, — არასოდეს თავს არ დაგიკრავთ და ხელს არ ჩამოგართმევთ.

მე, რასაკვირველია, ისიც ვიცი, რომ ჩვენი დროისათვის ამ ჩემი სულელური საქციელით არც არაფერი დაგაკლდებათ, მაგრამ ქართველი კაცისა და ქართველი მწერლის რეპუტაციას, თუკი მას საერთოდ უფრთხილდებით, არც არაფერს კარგს შემატებს“.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, მრავლისმთქმელია „დიდად პატივცემულო ბატონო ქურდებო“. კ. ბუაჩიძისათვის დამახასიათებელი სტილი, თხრობის მისეული მანერა ამ შემთხვევაშიც კარგად ვლინდება.

პუბლიცისტი აფრთხილებს ქურდებს, შეცდომაში არ შეიყვანოს იმ ფაქტებმა, რომ სხვებს ვეხმარები: მილიონერი არ ვარ, ამიტომაც ნუ შემოამტვრევთ ჩემი ოროთახიანი ბინის ფანერა-აკრულ კარს, გარდა წიგნებისა და გაზეთებისა, ვერაფერს იპოვით.

საანალიზო მასალებში მძლავრობს სატირულ-იუმორისტული ფერები. ეს ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, თუ გავითვალისწინებთ თემის ხასიათს, პრობლემათა სიმწვავეს და ავტორის მხატვრულ-პუბლიცისტურ ოსტატობას.

დაცინვა ნაირგვარი ფორმით იჩენს თავს. ერთ შემთხვევაში წინ იწევს ფორმა-შინაარსის დაპირისპირება, მეორე შემთხვევაში ეპითეტ-მეტაფორებს ენიჭებათ უმთავრესი ფუნქცია. ცხადია, არ შეიძლება ინდეფერენტული დარჩე იმ პიროვნებისადმი, რომელსაც სატირიკოსი „პარტიულ ვირად“ იხსენიებს.

რადგან პუბლიცისტურ ოსტატობაზე ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც დავსძენ, რომ კ. ბუაჩიძის საყვარელი ხერხია შეპირისპირება, ამ გზით, მართლაც, რელიეფურად მჟღავნდება ობიექტის თვისება.

მწერალი მიუთითებს, რომ საქართველოში სათანადო მომთხროვნელობა-სიმკაცრეს ვერ იჩინენ წესრიგის დამრღვევთა, ვთქვათ, დებოშიორთა, მთვრალ შოფერთა თუ სხვათა მიმართ. „ნორვეგიაში კი ერთხელ მსუბუქად ნალვინევი ტახტის მემკვიდრე არ დაინდეს და როგორც გადაკრულს საპრობილეში უკრეს თავი“.

ფაქტობრივად მთელი წიგნი პოლემიკურია. კამათი კი ბუნებრივად დაბავს ყურადღებას.

ავტორი ხშირად მიმართავს არა მხოლოდ პერსონაჟებს, არამედ მკითხველებსაც, ეს ამდაფრებს სიტუაციას. ამ გზით უკეთ აღიქმება პუბლიცისტის ძირითადი ჩანაფიქრი.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კრებულში შეტანილი მასალების მოპოვება, არქივის მტვრისგან განთავისუფლება და სისტემატიზაცია არცთუ იოლი რამ არის. ამ საქმის მოგვარება იკისრა ქალბატონმა თინათინ ბარამიძე – ბუაჩიძემ და დიდი რუდუნების შემდეგ სასურველ შედეგსაც მიაღწია.

ნოდარ ტაბიძე.

## მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (სურათებითურთ)

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ლ ა მ ა ზ ს ა ც ხ ო ვ რ ი ს ს რ ა გ ა მ ო ლ ე ვ ს : ზოგს ახალდაბა ჰქვია, ზოგს ძველი სენაკი, ზოგს ცხრამუხა და ზოგს ფოლადაური, ზოგს ნატახტარი და ზოგს წინწყარო...

მათ შორის ერთ-ერთი უმშვენიერესია ზემო იმერეთის სოფელი ფარცხნალი, ხარაგოულიდან ორიოდე კილომეტრით დაშორებული.

მთა-გორებს შეფენილი კოპნია ეზოები უზარმაზარი კაკლის ხეებითა და მოზუბუნე ცაცხვებით... აივნები ისე გადმოშვერილა, თითქოს ხელის ჩამორთმევას აპირებენ: – მობრძანდით, ჩემო ბატონო, დამილოცეთ ფუძე და ჭურ-მარანი.

...და ყვივის მამალი, ამოდის კვამლი.

ოცდახუთი წლის წინათ ვენჯიე ფარცხნალს და მოვიხიბლე. მაშინ გალაკტიონზე წიგნს ვწერდი და მგოსნის ნაფეხურებს დავეძებდი. ახალგაზრდა პოეტი ხომ ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა აქ. უყვარდა გლეხებთან ყოფნა, ისმენდა შაირებს და აფიქსირებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. კახორის მთაზეც არაერთხელ ასულა სალოცავად.

...გაგანია ზაფხული იყო მაშინ. ბარში მზე ქვას ადნობდა, ფარცხნალში კი, მუხის ჩეროში, პერანგის ზედა ღილსაც ვიკრავდი.

სალამობით დიდხანს ვიჯექი ჯიხველას ნაპირზე და სმენას ვძაბავდი. განუმეორებელი ხმა აქვს ამ პანია მდინარეს. დაბალი ტემპით მღერის. ხანდახან ჩაიკისკისებს კიდეც, როცა ლოდს შეეთამაშება.

ავიჩქე, მაგნიტოფონზე უნდა ჩავინერო ჯიხველას სიმღერამეთქი და მეგობარი ბერდია ბუაჩიძე ქუთაისს ვაფრინე ზემგრძნობიარე ფირის ჩამოსატანად.

რატომ გავიხსენე ეს ამბავი?

სწორედ აქ დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა კიტაბუაჩიძემ. ამგვარ გარემოში გაზრდილი კაცი არ შეიძლება მოკლებული იყოს პოეტურ გზნებას.

მთა არის და პური არსობისა ფრიადი გარჯით მოიპოვება.

ჰოდა, ყალიბდება მხნე, შეუპოვარი პიროვნება, რომელსაც მხარში ამოდგომა არ ესწავლება და სიცოცხლის ტკობითაც გამორჩეულია.

დაიბადა 1914 წელს, ღვთისმშობლის დაბადების დღეს, მღვდლის ოჯახში.

იყო უზომო სიხარული, მაგრამ არა გრიალი ზარებისა. იყო მილოცვები, მაგრამ არა აფორიაქება სოფლისა... გასაგებიცაა – მეცხრე შვილი გახლდათ.

ოჯახში უფროს - უმცროსობის ტრადიციული წესი ბატონობდა. ყველამ იცოდა თავისი ადგილი... მშობლებისადმი საგანგებო მოკრძალება სუფევდა.

მამა – მიხეილი მომთხოვნი და მკაცრი ცვახლდათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყმანვილს წიგნისადმი უგულისყურობას შენიშნავდა. მჭერმეტყველობითაც გაუთქვამს სახელი. ქორწილებში იმიტომაც პატიჟებდნენ, დაგვამშვენებსო. ამაყობდა ნაგრამით. მისი უკანასკნელი სიტყვები მეუღლისადმი: „ნუ გეშინია, კარგ შვილებს გიტოვებ“.

ოჯახი დედის – ეკატერინე აბაშიძის მხრებზე იდგა. ნაღდა და თოხს ჯერ კიდევ იმ დროს დაუმეგობრდა, როცა ქალის ყანაში მუშაობა სამარცხვინოდ ითვლებოდა, მით უმეტეს, რომ მღვდლის ცოლი იყო; დილით, შუადღისას და საღამოთი მუდამ ცეცხლის პირთან ტრიალებდა – ბუხარში ათი ათასობით მჭადი ექნებოდა გამოცხობილი... ჭურებსაც ის რეცხავდა და ვენახსაც ის სხლავდა... იანვრის გრძელ ღამეს სოფელში, ქონში, მარტომარტო ათენებდა, შეეძლო კუკუნახ ღამით ტყეში წასულიყო – არ შეეშინებოდა.

ფრთიანი ფრაზებით საუბარი უყვარდა; შაირებსაც თხზავდა თურმე. საფიცარი ვაჟის –ბენიტოს დაღუპვა ასე დაუტირებია: სტალინმა ძერასავით წამართვა შვილიო.

კარის მეზობელი ასე დაუხასიათებია: ცხვირი ხუთი დღის მთვარეს მიუგავს – ნამგალივითაა...

ახლა ამ ამონაკვნესს დავუგდოთ ყური: „მუცლის მოშლა ჩემ დროს დიდ ცოდვად ითვლებოდა, ახლა კი თოთოებს ჩხერიმელაში ყრის სოლოს ლენა, ბაბულას გუგულა კი – ფეხისალაგში. ამისთვის ისწავლეს ექიმობა?!“

ამასაც დასძენდა: მშობიარობა ქალის ტანმთელობას უხდებაო.

კიტა ბუაჩიძეს შეეძლო გაემეორებინა პოეტის სიტყვები: „მე მქონდა ძალიან კარგი, უდარ-



დელი ბავშვობა“.

ეს იყო სილალის ხანა, ბუნებასთან შერწყმის დღეები. ეზო-ეზო, შუკა-შუკა დარბოდა და ვერ გრძნობდა დაღლას. უყვარდა ღვრილოდან თევზის გამოყვანა. ჭოლოკსაც მარჯვედ ხმარობდა, ესროდა ვაშლებით დახუნძლულ ტოტებს. ჩაცუცქედებოდა ბრონეულის ბურქთან და თვალს არ ამორებდა ნაყოფს. ცოტა, კიდეც ცოტა და მუშტის ოდენა ბრონეულს კანი უხმაუროდ უსკდებოდა, იხლიჩებოდა ნაყოფი და წითელ კბილებს აელვარებდა. უკვირდა პატარას. ახლო-მახლო არავინაა და ეს როგორ ხდებაო.

ყველაფერს გონებაში იბეჭდა ვედა, სალამოს კი მშობლებს კითხვებით არ ასვენებდა.

დედა არ უჯავრდებოდა ცელქობისათვის – მძინარ-ყვინთია ბავშვი უნიჭო გამოვაო. ძალზე ბედნიერი იყო, როცა ქალაქიდან უფროსი ძმა ბენიტო (მირიანი), ჩამოდიოდა. მოისვამდა გვერდით და მოჩვენებითი სიმკაცრით ჰკითხავდა, – აბა, რა ნაიკითხე? ჰოდა, ინყებოდა მოხერხებული ნაცარქექიისა და დევების ბრძოლის ამბავი.

მერე ბენიტო ოკეანეში ჩაკარგულ კუნძულზე გარიყული რობინზონის თავგადასავალს აცოცხლებდა. მეორე დღეს კიტა ტოლებში ზუსტად იმეორებდა ძმის მონათხრობს და ბიჭებიც პირდაღებულნი უსმენდნენ.

გამორჩევით უყვარდა უფროსი ძმა. მის გზას კი მაინც არ გაჰყვავ, პირიქით, დაუპირისპირდა. ბენიტო პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი თავკაცი იყო საქართველოში. 1931-1932 წლებში მოსკოვში მუშაობდა პროლეტარული მწერლობის ასოციაციის საკავშირო გაერთიანების მდივნად. ერთხანს თბილისის უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანიც გახლდათ. ოცდაჩვიდმეტმა წელმა იმსხვერპლა.

პატარა კიტას ძალზე მოსწონდა სკოლა. გატაცებული იყო ქართულით, ისტორიით, გეოგრაფიით. მათემატიკას კი ვერა და ვერ აულო ალლო. შედეგმაც მოგვიანებით იჩინა თავი.

ბუნებამ, ოჯახმა, ნიგნებმა ძალუმა დიმოქმედეს ნიჭიერ ბიჭზე. ცხრა წლისა ლექსების წერას იწყებს და საგულდაგულოდ მალავს კარადის ქვეშ. მოგვიანებით, როცა ის საერთო რვეული გადაფურცლა, გულს შემოეყარა. „რითმისა და რიტმის მხრივ (აზრი ხომ რაღა სახსენებელია!) ისინი სულ უბრალო, პრიმიტიული ლექსებისაგანაც კი ისე შორს იყვნენ დაცილებული, როგორც იუპიტერი დედამიწისაგან“.

ზედმეტად ხომ არ მკაცრობს ბატონი კიტა?

ჩანს ვარჯიშს ამაოდ არ ჩაუვლია. 1937 წელს გაზეთ „მუშის“ „ლიტერატურულ ფურცელში“ იბეჭდება მისი პირველი ლექსი. მაშინ ცამეტი წლისა იყო.

მონაფეობის დროს სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ტარტაროზში“ გამოქვეყნდა რამდენიმე პროზაული ნაწარმოები. ამას მოჰყვა სკეტჩები და კომედია „აურიე რგოლი“.

1936 წელს სტუდენტი ხდება. მაშინ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები სპეციალობის მიუხედავად, მათემატიკაშიაც ტარდებოდა. ამიტომაც გართულდა საქმე. მეგობრების წყალობით დაბრკოლება გადაილახა და ფიზკულტურის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მერე ევროპის ლიტერატურისა და ენების ფაკულტეტზე გადავიდა (გერმანულის განხრით).

სტუდენტობის წლებში ეწვია დიდი გრძნობა, – რუსული ფაკულტეტის სტუდენტმა გაიტაცა.

„...მთელი ხუთი წლის განმავლობაში საოცრად მიყვარდა, თუმცა მას არათუ ახლოს ვიცნობდი, – როგორი იყო მისი ხმის ტემბრი, ესეც კი არ ვიცოდი: შემეძლო ხოლმე გამეცნო, მაგრამ ამას დამდულრულივით გავურბოდი, ერთი იმიტომ, რომ პიესის დადგმას და „სახელის განთქმას“ ველოდებოდი, რომ მის წინაშე ღირსეულად წარმდგარიყავი. მეორეც იმიტომ, რომ ვშიშობდი, გაცნობის შემდეგ ვაითუ ილუზიები დამემსხვრეს – ისეთი არ აღმოჩნდეს, როგორი წარმოდგენაც შევიქმენი მასზე გაუცნობლად-მეთქი“.

ამ შემთხვევაშიაც ორიგინალურია კიტა ბუაჩიძე.

არსებითი მაინც ის არის, რომ უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო ახალგაზრდა დრამატურგის დაოსტატებას, მისი ნიჭის განფენას.

ისიც უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტში ავინროვებდნენ როგორც ხალხის მტრის ოჯახის წარმომადგენელს. ბენიტო უკვე დახვრეტილია, ხოლო უფროსი და თინა სასჯელს იხდის.

ბატონი კიტა მაინც მხნედაა, შემოქმედებითი წინსვლა აშკარაა, იკვთება საოცნებო პერსპექტივები.

1941 წელს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“. როგორც პიერ კობახიძე ბრძანებს, „ასეთი წარმატებით ჩვენს თეატრში, მარჯანიშვილის სიკვდილის შემდეგ, არცერთი სპექტაკლი არ წასულაო“.

კ. ბუაჩიძეს გადაჭარბებულად მიაჩნია ეს შეფასება, მაგრამ არც იმას უარყოფს, რომ რეჟისორ ბორის გამრეკელის ნამუშევარი მრავალმხრივ საყურადღებოა.

1942 წლის 24 ოქტომბერს კ. ბუაჩიძე დააპატიმრეს, როგორც ხალხის მტერი.

ნუ გაიკვირვებთ. მსგავსი რამ იშვიათი როდი იყო მაშინ. წიგნში „ხალხის მტრის ჩანაწერები“ ნახევარი საუკუნის მანძილზე“ ასეთი ამბავია მოთხრობილი: „მემწვანილე მანველოვმა სიზმარი ნახა, თითქოს ჰიტლერის პირად თვითმფრინავში იჯდა. ეს მან თავის დოსტებს უამბო. ერთ მათგანს მისი ფული ემართა და, რომ მევალე თავიდან მოეცილებინა, „მეგობარი“ დააბეზულა. მანველოვი მსწრაფლ გასკანჩეს... უბრალო და უნიგნური კაცი იყო, ნაყარაჩოლელარი, კამერაში მყოფნი დიდ პოლიტიკოსებად მიიჩნია, და შერცხვა ამ ხნის კაცი რაღაც სიზმრისათვის ზის!.. ადგა და, როცა კამერაში ასე თუ ისე მოშინაურდა, თავისი ისტორია შეაფერადა: ამდენი და ამდენი ყუთი ნაგანი ეზოში მაქვს ჩაფლული, კაკლის ხის ქვეშო. რომელიღაც პატიმარმა, ჩეკისტების თვალში „კაი კაცად“ რომ გამოჩენილიყო, ეს ამბავი ზევით აიტანა. მანველოვი დილის 3 საათზე „ააბრძანეს ზევით“ და დაჰკითხეს. იუარა. მერე დაზილეს, – მაინც იუარა. რამდენიმე დღის შემდეგ, ღამით, ეზო მისი თანდასწრებით გადათხარეს – ვერაფერი იპოვეს; ალბათ სადმე სხვაგან აქვს ჩამარხულიო და ცემეს, სიკვდილის პირას მიიყვანეს... ახლა კი ცოცხალ-მკვდარმა, სულ პირნიმინდად დაფქვა ტყუილები და, მისი ჩვენებით, „თანამზრახველებიც“ დაიჭირეს – ფირუზა, ვანუა და სხვები. „დაუმტკიცეს“ ტერორისტობა და დახვრიტეს“.

ციხეში წარმოუდგენელი სისასტიკე და განუკითხაობა მეფობდა. დაკითხვის დროს ძველებურ გრამაფონზე უკრავდნენ, რათა პატიმრის შემზარავი კვილი ჩაეხმოთ.

კ. ბუაჩიძე ჯერ თბილისის საპყრობილეში იჯდა. მერე ბაქოს მეხუთე კოლონია. კვლავ საქართველო. საკანში დასაწოლი ადგილი არ არის. ქურდების ტერორი. შიმშილისაგან გასავათება. კიდევ უფრო დიდი უბედურებაა ეტაპირება. საბარგო მატარებელში შეყრილთ სუნთქვა უჭირთ. ათასგვარი დამცირება.

1949 წლის 23 ივნისს სასჯელის ვადა ამოიწურა. ბუაჩიძე ტოვებს ავჭალის კოლონიას. მაგრამ სრული თავისუფლება მაინც შორსაა. ყოველდღიურმა თვალთვალმა შეიძლება თვითმკვლელობამდე მიიყვანოს კაცი.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ავჭალის კოლონიაში გაუცვნიან სანდომიანი ინჟინერი ქალი, ჯვარიც დაუწერიან და მალე ქვეყანას მოევლინა ვახტანგ ბუაჩიძე, რომელსაც მამის პრინციპულობა და სიკეთე დაენათლა.

1953 წელს ქალაქიდან გასახლებას უპირებენ. ხან სად იმალება და ხან სად. ამ დროს მისი პიესა „ვარდი ასფურცლოვანი“ დიდი წარმატებით იდგმება მარჯანიშვილის თეატრში. ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი კვანტალიანი და სანდრო ჟორჯოლიანი საგანგებოდ ეწვივნენ შინსახკომის მინისტრს – დაგვიტოვეთ ეს ნიჭიერი დრამატურგი თბილისშიო. ცივად გამოისტუმრეს.

სტალინის სიკვდილმა პირდაპირ სულზე მომისწრო, წერს კ. ბუაჩიძე – ამნისტია გამოცხადდა და შეკრული ლეიბ-საბანი გავხსენიო.

აქედან მოყოლებული ბატონი კიტა მოსკოვის ხშირი სტუმარი გახდა, ხოლო 1960-1985 წწ მოსკოვის ბინადარი ხდება (შიგადაშიგ სტუმრობს საქართველოს) ახლო ურთიერთობა აქვს იქაურ თეატრალბთან, ლებულობს მოხანნილეობას სერიოზულ დისკუსიებში. სხვათა შორის, იგი არა მხოლოდ ბრწყინვალედ უბნობდა, არამედ საუკეთესოდ წერდა რუსულად.

აქვე იდგმებოდა პიესები და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მათ გასცენიურებაში.

აქვე გამოიცა პიესების კრებული – 1957, 1965, 1972, 1980 წლებში.

კ. ბუაჩიძე გულგრილი მოთხოვნილი როდია. იგი კარგად ხედავს კომუნისტური რეჟიმის საცეცებს, ღრმად წვდება მოვლენებს, ძალზე მტკივნეულად განიცდის უსამართლობას და ამიშვლებს ბოროტების იმპერიის არსს, მისი მესაჭეების კაცთმოძულეობას.

ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ფაქტს: სათანადო ორგანოები მის გადაბირებას ცდილობენ, ფარულ აგენტობას სთავაზობენ. უსასტიკესი უარი და საპასუხო დარტყმები. რეპრესიების გაგრძელება. ძნელი არ არის ვიფიქროთ და დავასკვნათ, რომ ანალოგიურ დანოლას სხვებზეც იჩენდნენ. და როგორ ფიქრობთ, ყველა გაუძლებდა უმძიმეს წნეხს?

განაადვილია იცხოვროს პატიოსანმა კაცმა სიცრუეზე აგებულ სახელმწიფოში.

სხვებისა რა მოგახსენო, კ. ბუაჩიძეს აღმოაჩნდა ჯავშანი და ზღაპრული ტევრიც, სადაც აფარებს თავს. ეს შემოქმედებაა, ეს დრამატურგიაა... და ითხზება კარგზე კარგი ნაწარმოებები. მათ ნამდვილად შეიძლება ვუნოდოთ „მართალი წიგნები“.

ვერვიხსენებთუნდაც ერთ კალმოსანს, რომელსაც ასე პერმანენტუ-

ლად და პირდაპირ დაეხასიათებოს აღზევებული მოხელენი. აქა-იქ ნამდვილად იგრძნობა გადაჭარბება. მიჭირს პუბლიცისტის ზოგიერთი დებულების გაზიარება; მაგრამ მთავარი ეს როდია. საერთო პათოსი მხარდაჭერას იმსახურებს. ძირითადი ხაზი მისაღებია, ალტაცების მომგვრელიც კი.

ცხოვრებამ მკაცრი გამოცდა ჩაუტარა. ამიტომაც ყველას როდი უხსნის გულს. საკუთარი თავის ფასიც კარგად იცის.

დიდებულისა ძმოც აკრავს: ალექსანდრე პაპავა, დავით კვიციანიშვილი, აკაკი განერელია, ივანე იმნაძე და სხვ. ხან პეროვსკაიას ქუჩაზე იმართება მეგობრული შეხვედრები, ხან კიდევ ჭავჭავაძის ოცდაოთხში. ალტაცებულა ალექსანდრე პაპავას თამადაობით. მისი სადღეგრძელოები ქართული სულისა და ვაჟკაცობის ამღერებააო. იხილება ვანო იმნაძის დეკლამაციით. ამ ინიჟინერმა შექსპირის თითქმის ყველა სონეტი ზეპირად იცის.

დრო უსწრაფესად გარბის. რაც შეიძლება მეტის შექმნა უნდა, უნდა მოასწროს. მუყაითად შრომობს. მის ბინაში, ირ. აბაშიძის ოთხში, გვიანობამდე არ ქრება შუქი.

თითქოს მარტოა, თუმცა მწერლობა ხომ საყდარია, სადაც განცალკევებული ლოცვით მრავალსაც ესაუბრები.

როგორ მუშაობდა? ვიდრე მაგიდას მიუჯდებოდა, ფრაზებს, სიტუაციებს, მთელ სცენასაც კი ნათლად აყალიბებდა. მარჯვე ფორმას უძებნიდა. მერე უცვლელად გადაჰქონდა ქალაქდზე. თხზვის ეს მანერა ციხეში სრულყო. იქ ფანქრის ნატეხის შეტანაც კი შეუძლებელი იყო. ამიტომაც შეთხზვა-მუშაობის ეს პროცესი ყველაზე მეტად გაითავისა.

გამახვილებული ჰქონდა ხედვის და სმენის უნარი. ცდილობდა ბევრი რამ დაეფიქსირებია. ვინ იცის, სად და როგორ გამოგადგებო. მის უბის წიგნში ხშირია ამგვარი მინიშნებები: „სიუჟეტისათვის“, „კინოსათვის“, „პიესისათვის“.

მოხელის ქუდი არასდროს დაუხურავს. ბიზნესიც ეუცხოვებოდა. სხვადასხვა მაქინაციით თავის გატანაზე კი ფიქრიც ზედმეტი იყო.

მაშ როგორ არსებობდა? განა არსებული პენსიით თავს გაიტანდა კაცი?

მცირედით კმაყოფილდებოდა. ეს მცირედი ჰონორარი იყო.

ცხოვრობდა მოკრძალებულად. არ ეტანებოდა ზიზილ-პიპილოებს. არასდროს უცდია მთელი ღამით რესტორნის „დახურვა“.

უჭირდა წიგნის გამოცემა. დახმარება თხოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს, უშედეგოდ.

იყო ცალკეული გამონათებები. მხედველობაში მაქვს ჰონორარი, ქისის ოდნავ დამძიმება. ამ შემთხვევაშიაც სხვაზე ზრუნვა იწევდა წინ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, სოფელ ხორშაში (სენაკის რაიონი) მცხოვრებ ღვამიჩავეებს თითქმის მთლიანად გადაურიცხა ახალმიღებული ჰონორარი, რათა ამ ათშვილიან ოჯახს ორსართულიანი სახლი აეგო.

ეს სულის ძახილი იყო და არა ყელყელობისათვის გამიზნული შესტი. კიტა ბუაჩიძე თავისი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა. საქართველოს ბზარი უპირველესად მის გულზე გადიოდა.

მიიწეოდნენ დღეები სავსე მზითა და ღრუბლებით.

1994 წელს ბატონი კიტას ორი ქალბატონი ეწვია. ერთ მათგანს – ლუარა გორდიევიჩის – ჟურნალისტსა და თბილისის კოლორიტს – კარგად იცნობს, მეგობრის მეუღლის დისნულია. მეორეს – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თინათინ ბარამიძეს პირველად ხვდება. საუბარი აენყო. თურმე რა კარგად იცნობს ქალბატონი თინა მის შემოქმედებას. მსჯელობს გაბედულად და დამარწმუნებლად. ღიმილიც ხომ ორიგინალური და სათნო აქვს? კიდევ რამდენიმე შეხვედრა და ბატონი კიტა გამიჯნურებულია. ჯვარიც მალე დაინერეს.

ქალი უადვილებს ყოფითი საკითხების მოგვარებას, შემოქმედებით ცეცხლს უღვივებს მწერალს, ყოველმხრივ მზრუნველობს.

ბატონი კიტას გარდაცვალების შემდეგ ქალბატონი თინათინი თითქმის მთლიანად გადაერთო მეუღლის ნაწერების შეკრება-რედაქტირება-გამოცემის საქმეზე. 2003 წელს დაისტამბა „ხალხის მტრის ჩანაწერები...“, 2009-ში — „რჩეული თხზულებანი“ ხოლო მიმდინარე 2013 წელს — წინამდებარე „პუბლიცისტური ნაწერების კრებული“. ამ საქმეში დიდია ქალბატონი თინათინის წვლილი. ახლა მის სამუშაო მაგიდაზე გაშლილია ფურცლები და კ. ბუაჩიძის თხზულებათა შვიდტომეულის გეგმა ზუსტდება.

სიკვდილს კარზე დაკაკუნება არ უყვარს – დაუკითხავად შემოდის. ისიც სიმართლეა, რომ ანდერძს კაცი არ მოუკლავს.

და აი, კიტა ბუაჩიძეც იბარებს: „მოსკოვში სიკვდილის შემთხვევაში, ვითხოვ უეჭველად აქვე დამასაფლავონ, უბრალოდ და შეუმჩნეველად. დაბეჯითებით ვითხოვ, თბილისში წასვენების და იქ გასვენების კომედიას ამაცდინონ; ამაცდინონ აგრეთვე საქართველოს

მწერალთა კავშირის ნეკროლოგისაგან, რომელსაც ისინი სიხარულით დაწერენ სევდიანი სიტყვებით“.

1969 წელს ამ ანდერძს შემდეგ „პუნქტსაც“ უმატებს: „თუკი 40-50 წლის შემდეგ ჩემი კომედიების ხსენება კიდევ იქნება საქართველოში, ჩემს მოსაგონებლად – თბილისში, ლუნაჩარსკისა და ძნელადის ქუჩების კუთხეში (იმ ხანად მისი საცხოვრებელი ადგილი) მდებარე ავტობუსის გაჩერებას დაერქვას „კ. ბუაჩიძის გაჩერება“. მოგვიანებით ანდერძი ორჯერ შეცვალა.

გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა 2 0 0 0 წ ლ ი ს 1 2 ი ა ნ ვ ა რ ს , გამოასვენეს მწერალთა კავშირიდან, დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. იმ დღეს ნამდვილად იყო კაცურ კაცთა უხმაურო გლოვა.

ნოდარ ტაბიძე



ერთი წლის კიტა ბუაჩიძე (მეცხრე შვილი ოჯახში)



კიტას მშობლები: მამა — მიხეილ ბუაჩიძე და დედა — ეკატერინე აბაშიძე. 1895 წ.



კიტა ბუაჩიძე თბილისის მე-14 შრომის  
სკოლის მოსწავლე. 1930 წ.





კიტა ბუაჩიძე ყრმობის მეგობართან  
კოტე ჩხეიძესთან ერთად (შემდგომში  
ცნობილ არქიტექტორთან)



კიტა თსუ-ს დასავლეთ ევრო-  
პის ლიტერატურისა და ენების  
ფაკულტეტის (გერმანული  
განხრით) სტუდენტი. 1936 წ.





მიხეილ ბუაჩიძის ოჯახი: შვილები — გიორგი, ბენიტო, შოთა და თინა  
(არ არიან — დედა ეკატერინე, შვილები — ნუცა, ოლია, ვასო და  
კიტა) თბილისი, 1928 წ.




კიტა ბუაჩიძის ძმა—ბენიტო (მირიანი) ბუაჩიძე, 1925წ.წ



ბენიტოს შვილი ლეო ბუაჩიძე დედასთან ერთად 1962 წ.



ავჭალის კოლონიაში სხედან: არჩილ სარაული და კიტა  
ბუაჩიძე. დგანან: ვლადიმერ მგელაძე და ოთარ გზირიშვილი.  
1948 წ.



კიტა ბუაჩიძე შვიდწლიანი პათიმრობის ბოლო დღეებში  
— 1949 წლის იანვარი.



მამა-შვილი კიტა და ვახტანგ ბუაჩიძეები. 1968 წ.



კიტა ბუაჩიძე დედასთან ერთად. თბილისი, 1970 წ.




ივეტა ბუაჩიძე — კიტას ძმის გიორგის შვილი და კიტას დიდი მოამაგე (მოსკოვის ახალი ამბების და ბეჭდვითი სიტყვის სააგენტოს ჟურნალისტი, 60-იანი წლებიდან საქართველოს მკვიდრი, საქ. მინისტრთა საბჭოს რეფერენტი)



კიტა ბუაჩიძე მოსკოვში მოლ-  
ვანობის პერიოდში. 1976 წ.



კიტა ბუაჩიძე მრავალშვილიან ოჯახთან ერთად



1988 წელი





კიტა ბუაჩიძე მეუღლესთან თინათინ ბარამიძესთან ერთად




თ. ბარამიძის ოჯახში სხედან გიზო ნიშნიანიძე, კიტა ბუაჩიძე, თინათინ ბარამიძე. დგანან: მარინე ჯიქია, ლუარა გორდიევიჩი, ქეთი მითაიშვილი



კიტა ბუაჩიძე რძალთან ლიკასთან ერთად



ვახტანგ ბუაჩიძის ოჯახი: მეუღლე ლიკა და შვილი ნია



კიტა ბუაჩიძე 1999 წ.



# ჰენრი I

გამოქვეყნებული  
პუბლიცისტიური  
წერილები



## კინო ბავშვებს

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 23 ივლისი, 1933 წელი

ცნობილია, რომ ხელოვნების ყველა დარგს შორის კინემატოგრაფია ყველაზე უფრო მასობრივი ხელოვნებაა და მისი ზემოქმედებითი ძალა განუზომელია. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ კინოს დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს საერთოდ და განსაკუთრებით კი ბავშვთა აღზრდის სისტემაში.

კინო მისთვის უაღრესად დამახასიათებელი დინამიკით, მრავალფეროვანი სანახაობებით, უშუალო ცოცხალი სახეებით, ფანტასტიური ტექნიკური შესაძლებლობებით უკიდურესად იზიდავს ბავშვებს და, ახდენს რა მათზე სათანადო შთაბეჭდილებასა და ზეგავლენას, ხდება მათი მოუმნიფებელი გონების და ფსიქიკის ერთი ძლიერი ორგანიზატორი.

ბურჟუაზიამ დროულად და ადრინად შეაფასა კინემატოგრაფია, როგორც საუკეთესო ფაქტორი მილიონიანი მასების და განსაკუთრებით მოზარდი თაობის ფსიქიკაში კაპიტალისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისა. მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებობს სპეციალური საბავშვო კინოორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოს დოტაციით, კათოლიკური და სხვა რელიგიური ეკლესიის „წმინდა მამების“ მზრუნველობის და ზედამხედველობის ქვეშ უშვებენ ფილმებს, რომლებიც პათეტიკური ტონით მოუწოდებენ მოზარდ თაობას „სამშობლოს“ დაცვისაკენ თითქმის მოსალოდნელი „ბარბაროსი“ ბოლშევიკების თავდასხმისაგან, კლასობრივი ჰარმონიისაკენ, ბურჟუაზიული „უწმინდესი“ მორალის შენახვისაკენ და სხვ. ეს ფილმები საერთო ჯამში მხოლოდ ერთ მიზანს ისახავენ: კაპიტალისტური სისტემის გახანგრძლივებას; იმის დამტკიცებას, რომ კაპიტალიზმი „ნებაა უფლის“, რომ ის „ღვთისაგან არის მოვლენილი“. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სურათების უმრავლესობა იმდენად ოსტატურად და შემპარავად არის გაკეთებული, რომ კაპიტალის „სოციალურ დაკვეთას“ საკმაოდ კარგად ასრულებს.

კინო მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის უძლიერესი იარაღია; ეს გარემოება არაერთხელ ყოფილა ხაზგასმით აღნიშნული საბჭოთა საზოგადოებრიობისა და პრესის მიერ, მაგრამ ჩვენში დღესაც საბავშვო კინემატოგრაფიის ფრონტი, სამწუხაროდ, თითქმის მივიწყებულია და მიგდებული უბანია. საბჭოთა ბავშვებს, რომლებსაც აქვთ ძირითადად უთუოდ კარგი და ზოგან კი პირველხარისხოვანი საბავშვო თეატრები, რომლებსაც აქვთ თავისი საბავშვო ლიტერატურა, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მათ თითქმის არ გააჩნიათ თავისი კინემატოგრაფია.

მთელი კავშირის კინომაყურებელთა კულტურული რიცხვის ერთი მესამედი მოზარდ თაობაზე მოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ დროა, საბავშვო ფილმების წარმოება ბოლშევიკური ტემპით გამოვიდეს ქრონიკული გარღვევების ჩიხიდან და მით გავანთავისუფლოთ საბავშვო ეკრანი საზღვარგარეთული ხალტურისგან. ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა, დაგმოიხილი და უკუგდებული იქნეს ის ოპორტუნისტული, ყოვლად დაუშვებელი დამოკიდებულება საბავშვო სურათების წარმოების მიმართ, რომელსაც იჩენენ საბჭოთა კავშირის ზოგიერთი კინოფაბრიკები და კერძოდ კი საქსახკინმრეწვი. შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ სახკინმრეწვს გასულ სანარმო წელში არც ერთი საბავშვო ფილმი არ დაუდგამს და როგორც ჩანს, არც მიმდინარე წელში აპირებს.“ თავის მართლება იმით, რომ თითქოს არ არის სცენარები, ცოტა არ იყოს, სასაცილო ამბავია. მზამზარეულად და მექანიკურად სცენარები არ დალაგდება კინოფაბრიკის პორთფელში, თვითდინებაზე მინდობილი საქმე შორს ვერ წავა. საჭიროა რეალური, კონკრეტული ზომების მიღება, საჭიროა სათანადო ინიციატივა, რომ კინოფაბრიკა საბავშვო სცენარებით უზრუნველყოფილ იქნეს, მაგრამ მართო სცენარი სურათის შექმნის საკითხს კიდევ არ სწყვეტს. საინტერესო ფაქტია: ახლო ხანში სახკინმრეწვში იყო შემთხვევა მეტად აქტუალურ თემაზე საბავშვო სცენარის შექმნის ცდისა, მაგრამ ის მიფუჩეჩებული იქნა იმ მოტივით, რომ არ არის ფირი, დამდგმელი რეჟისორი. გვიკვირს, რატომ მაინცდამაინც საბავშვო სურათისათვის აღარ არის ფირი? ეს შემთხვევით იმით ხომ არ აიხსნება, რომ საბავშვო კინო, ზოგიერთების აზრით, მესამეხარისხოვანი ხელოვნებაა და არ ღირს ფირის დახარჯვა მასზე. რაც შეეხება იმ გარემოებას რომ არ არის საბავშვო ფილმების კვალიფიციური დამდგმელი-რეჟისორი, ეს ერთადავად მართალია, მართალია და ამაში ბრალი თვით კინოორგანიზაციების ხელმძღვანელთ მიუძ-

ღვით. რამდენადაც მათ წესად აქვთ გახდილი, რომ საბავშვო დადგმები მისცენ ან „დიდ ტილოების“ მეტად საეჭვო „ოსტატებს“, ანდა ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალგაზრდა რეჟისორებს. ამიტომ არის, რომ შედეგად ვლელულობთ უმწეო ხალტურის, შინაგან დამაჯერებლობას მოკლებულ პროდუქციას.

დღემდე გამოშვებული საბავშვო ფილმების უმეტესობას აკლია ბავშვური სილაღე, აკლია ახალგაზრდული სიცოცხლე. მშრალი დიდაქტიკა, უშინაარსო სქემატიზმი, პირნავარდნილი ავანგარდიზმი - აი, რით ხასიათდება ზოგი მათგანი. ასეთ სურათებში თითქმის ახლად ფეხამდგარი ბავშვებიც კი ნაჩვენებია, როგორც დამთავრებული, ყველაფრის მცოდნე და ყოველმხრივ შეგნებული ბრძენები; ისინი თავს იტყვენ ხოლმე ესპანეთის რევოლუციის პრობლემებზე, ერთის ხელის დაკვრით და სულის შებერვით გიგანტ ქარხნებში სპობენ გარღვევებს, ბანაკობის დროს სოფლად თვალის დახამხამებაში ამყარებენ სოციალიზმს და სხვ.

ცეკას 23 აპრილის დადგენილებამ შემდგომი განვითარების სწორი გზა მისცა ხელოვნების ყველა დარგს, მათ შორის კინომატოგრაფიასაც. აქედან საბავშვო კინომ სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს. მან გადაჭრით უნდა აიღოს გეზი დიდი საბავშვო კინემატოგრაფიის შექმნისკენ. საბავშვო კინოს თემატიკა უაღრესად უნდა გამრავალფეროვანდეს. ჩვენის აზრით, მთავარი ყურადღება „სათავგადასავლო“ და სასკოლო თემატიკას უნდა მიექცეს. ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორია დაუშრეტელ მასალებს იძლევა წარმტაცი სათავგადასავლო ფილმების შესაქმნელად. ამას, სხვათა შორის, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. დღემდე მივიწყებული სასკოლო თემატიკა თავის უფლებებში უნდა აღდგეს; ბრძოლა პოლიტექნიზაციისათვის, სწავლის ხარისხისათვის, სასკოლო დისციპლინისათვის და სხვა აქტუალური თემები პირველ რიგში უნდა იქნენ გადატანილი ფორზე. ბავშვებს უნდა მიექცეს ძლიერ დაჭიმულ სიუჟეტური სურათები; გართობის და კომიკურობის ელემენტები მათში ჭარბათ უნდა იქნეს შეტანილი.

უდავოა, როგორც ნ. კრუპსკაია ამბობს, მაღალხარისხოვანი, სრულფასიანი მხატვრული ფილმი უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე, ვიდრე პიონერაზმი. ამას უნდა მიექცეს ყურადღება- საბავშვო სურათების წარმოება გაყინული ნერტილიდან უნდა დაიძრას.

სიტყვა სახკინმრენვს ეკუთვნის!



## **შენიშვნები ენის პრობლემის შესახებ ხმოვან კინოში**

**ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, №2, 1935 წელი**

„ყველა ხელოვნებათა შორის ჩვენთვის ყველაზე უმნიშვნელოვანესი კინოა“ - ასეთი შეფასება მისცა ლენინმა კინემატოგრაფიას ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა კინო ჩასახვის პროცესში იმყოფებოდა.

ლენინის გენიამ ადვილად აულო ალლო კინემატოგრაფიის განუსაზღვრელ შესაძლებლობას საერთოდ და, კერძოდ, მის დიდ მნიშვნელობას მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში.

კინო, ეს თამამად შეიძლება ითქვას, ბეჭდვითი სიტყვის შემდეგ ყველაზე უფრო მახვილი, ყველაზე უფრო მოქნილი და საიმედო იარაღია, რომლითაც პარტია და მთავრობა ესაუბრება ათეულ მილიონებს და ახდენს მათზე საჭირო ზეგავლენას („ჩაპაევის“ მაგალითი).

კინო თავისი შინაგანი ბუნებით ყველაზე უფრო მასობრივი ხელოვნებაა. მისი მხატვრული და ტექნიკური შესაძლებლობანი განუსაზღვრელია.

მუნჯი ფილმი ერთნაირად გასაგებია ყველასათვის. ამასვე ვერ ვიტყვით მოლაპარაკე - ხმოვან ფილმზე.

კინო გამდიდრდა რა ხმით, სიტყვით, მუსიკით, ნაწილობრივ დაკარგა შინაგანი რიტმი, მოკვეთილი შესტი, ამ სიტყვების ფართო გაგებით. ხმოვან კინოში საპატიო ადგილი დაიჭირა



სიტყვამ. ამით ხმოვანი კინო დაუახლოვდა და დაუნათესავდა თეატრს; სწორედ აქ უნდა ვეძიოთ თეატრისა და ხმოვანი კინოს მეტოქეობა. უკანასკნელს საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ხელოვნების ყველა სახე თანაბრად ჰყვავის და აღორძინების გზით მიიმართება, ნათლად ვერ ვგრძნობთ, მაგრამ დასავლეთში, სადაც მთელი ხელოვნება გამოუვალ კრიზისშია მოქცეული და კატასტროფიულ დეგრადაციას განიცდის, თეატრისა და ხმოვანი კინოს კონკურენციას მწვავე ხასიათი აქვს მიღებული.

თუ წინათ მუხჯ კინოს მოქმედების მთელი სიმძიმე გადაჰქონდა მოძრაობაზე, შესტზე, მიმიკაზე, ახლა ხმოვანი კინო, სარგებლობს რა თითქმის განუსაზღვრელი შესაძლებლობებით ცოცხალი სიტყვის გამოყენების მხრივ, ნაწილობრივ ლაპარაკში ახურდავენს მოქმედებას.

„აიდგა“ რა ენა მუხჯმა კინომ, მან ამით დაჰკარგა ერთი თავისი სპეციფიური უპირატესობა: მდუმარება. ჩვენი დროის უნიჭიერესი ადამიანი, შესანიშნავი კინემატოგრაფისტი ჩარლი ჩაპლინი სწორედ სიმუხჯეს სთვლის კინოხელოვნების უდიდეს მხარედ.

ჩაპლინი ხმოვანი კინოს პირველ წლებში მუხჯი კინოს ერთგული იყო, მაგრამ შემდეგ კონკურენციამ და მხოლოდ კონკურენციამ აიძულა ის, ქედი მოეხარა დოლარის წინაშე და ნაწილობრივ მაინც გადასულიყო თავისი ფილმების გახმოვანებაზე.

„კინოს თავისებური სილამაზე მის სიტყვებშია“, - ამბობს ჩაპლინი და თავის შედეგებს ისე ახმოვანებს (მუსიკალურად აფორმებს), რომ მასში ერთ სიტყვასაც არ აჭაჭანებს. მართალია, ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით, თუ როგორი მეთოდით მუშაობს ამჟამად ჩაპლინი, მაგრამ ერთი რამ ისედაც ნათელია: თუ მან თავის წინანდელ პრინციპებს უღალატა, ამას ის ჩაიდენდა მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტური ანარქიის ბაზაზე აღმოცენებული მგლური კონკურენციის გამო. ჩაპლინი, ისე, როგორც ბურჟუაზიული კინოს ყველა სხვა „ქურუმი“, უწინარეს ყოვლისა კომერსანტია და მხოლოდ ამის შემდეგ ხელოვანი.

ჩაპლინი, მსგავსად მუხჯი კინოს სხვა პატრიოტებისა, დარდობს, რომ ეკრანმა ამეტყველების შემდეგ მილიონობით დაჰკარგა მაყურებელი. უდავო ფაქტია! იბადება კითხვა: რა არის ამის მიზეზი? რატომ მოხდა ეს?! იმიტომ ხომ არაა, რომ მეტყველი ფილმი მუხჯ ფილმზე დაბალია ღირსებით? ოდნავადაც არა.

ხმოვანი ფილმი სრულიადაც არ არის ახალი მოვლენა ხელოვნებაში, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ. დღევანდელზე – ძლიერ ორთქლმავალზე არ შეიძლება ითქვას, რომ ის სრულიად ახალი მოვლენაა ტექნიკაში. დღევანდელი ორთქლმავალი თანდათანობით გაუმჯობესების ნაყოფია. მისი უახლოესი წინაპარი ჯორჯ სტეფენსონის „სათამაშო“ ლოკომოტივია. ასეთივე პარალელის გატარება შეიძლება მუხჯსა და ხმოვან კინოს შორის. უკანასკნელი პირდაპირ მუხჯი კინოდან წარმოიშვა და ახლაც მის მიერ დროთა განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებით იკვებება. უგამოსახულებოდ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია არც მუხჯი და არც მეტყველი კინო. მოძრავი გამოსახულება ან გამობატულება (изображение) საერთოდ კინემატოგრაფიის ის უძირითადესი საფუძველია, რომლითაც ის ხელოვნების სხვა დარგებისგან ასე მკვეთრად განსხვავდება. ამგვარად მეტყველი კინო არ არის „სრულიად ახალი მოვლენა“ ხელოვნებაში; მეტყველი კინო გაცილებით მაღალ ხარისხში აყვანილი, სრულყოფილი მუხჯი კინოა.

თავის ბუნებით ხმოვანი კინო სინთეტიური ხელოვნებაა, მასში ორგანიულად არის შეკავშირებული დრამატურგია, მუსიკა, მხატვრობა. მეტყველი კინო, უთუოდ, ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე მისი ტყუპი მუხჯი ძმა, მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი უპირატესობისა, მოლაპარაკე ფილმს არ გააჩნია საერთაშორისო ბაზარი; მეტყველი ფილმი მასობრივად ვერ სცილდება იმ ქვეყნის საზღვრებს, სადაც წარმოიშვა, და თუ სცილდება, ნაკლები წარმატებით სარგებლობს. ასე მაგ. „უკრაინფილმის“ ყოველმხრივ შესანიშნავი ფილმი „კოლიივშჩინა“ მოსკოვის ეკრანებს მხოლოდ რამდენიმე დღით შერჩა, მაშინ, როდესაც „კოლიივშჩინა“ უკრაინაში ითვლება ფართო მასების ერთ-ერთ საყვარელ ფილმად. იგივე მდგომარეობაა გახმოვანებული ფილმის, „ნეიტან ბეკერის დაბრუნების“ მიმართ.

რით აიხსნება ასეთი მოვლენები?

ენის არცოდნა სურათს ხდის გაუგებარსა, და რაც გაუგებარია და მიუწვდომელი, ის მაყურებლისათვის აბსოლუტურად მიუღებელია. ხავსმოდებული ქეშმარიტებაა, რომ მაყურებელს არ უყვარს თავის მტვრევა იმის გასაგებად, თუ რა ხდება სცენაზე ან ეკრანზე. მაყურებელი მოითხოვს მზა-მზარეულს. ის შედის „ხელოვნების ტაძარში“ არა იმიტომ, რომ იქ მათემატიკური

ფორმულები გადაჭრას, არამედ — რომ დაისვენოს, გაერთოს. მაყურებელი თანახმაა, შეიჭრას ცხოვრების კუნჭულებში იმ პირობით, თუ გზის განათება თვით მას არ მოუხდება.

იქნებოდა შეცდომა, გვეფიქრა, რომ თითქოს ენის პრობლემა მეტყველ კინოში მხოლოდ პატარა ერებს ანუხებს. ამერიკელები, თუმცა ინგლისური დღესდღეობით ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ენაა მსოფლიოში, დაჟინებით ფიქრობენ იმის შესახებ, თუ რა გზით გადასჭრან ენის საკითხი, რომ ამით ამერიკულ ხმოვან ფილმს კვლავინდებური ბატონობა მოუპოვონ საერთაშორისო კინობაზარზე. ამ მხრივ მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები მაინცა და მაინც დიდი ყურადღების ღირსნი არ არიან; ჰოლივუდი ზოგიერთ განსაკუთრებით საინტერესო ფილმს იღებს რამდენიმე ვარიანტით: გარდა ინგლისურისა, ფრანგულ, გერმანულ და სხვათა ენებზე; ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ქვეყნიდან არის მოსალოდნელი დაკვეთა. საჭიროდ მიგვაჩნია, აღინიშნოს შემდეგი: სხვადასხვა ვარიანტებში თამაშობენ სხვადასხვა ეროვნების აქტიორები: ფრანგულში — ფრანგები, შვედურში — შვედები და ასე შემდეგ. ამით ამერიკელები აღწევენ ენის ერთიანობას, მის კულტურას და სინამდის. მაგრამ ხმოვანი ფილმის „გაინტერნაციონალების“ ასეთი მეთოდი არ შეიძლება ჩაითვალოს უნაკლოდ და სრულყოფილად: ის გარდა იმისა, რომ მოითხოვს აუარებელ თანხებს, საბოლოო ანგარიშში არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელოვან ნაბიჯს წინ; ამით ხმოვანი კინო ვერ გამოდის ინტერნაციონალობის ფართო ასპარეზზე: ამერიკული ფილმის შვედური ვარიანტი გასაგებია მხოლოდ შვედებისათვის (და სკანდინავიის სხვა ეროვნებათა მცირე გამონაკლისისათვის), მაგრამ სიამელებისათვის ის არაფრის მთქმელი არ არის.

ენის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას საბჭოთა კინემატოგრაფიის ნაციონალური ორგანიზაციების წინაშე. ჩვენში კინო უწინარეს ყოვლისა მასების კომუნისტურად აღზრდის ძლიერი იარაღია. ჩვენი საზრუნავი საგანია არა მარტო ის, რომ სურათმა მასზე დახარჯული ხარჯები აანაზღაუროს, არამედ ღრმად რომ შეიჭრას ფართო მასებში და მათ შეგნებაში სათანადო კვალი დასტოვოს. უკანასკნელის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურათი მთლიანად გასაგებია მაყურებლისათვის, სამწუხაროდ, ხმოვანი კინოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქართული მეტყველი ფილმი გასაგები არ არის უკრაინელისათვის და უკრაინული მეტყველი ფილმი — ქართველისათვის.

ენის მიხედვით ხმოვანი სურათის გამოშვება რამდენიმე ვარიანტად ჩვენ მიგვაჩნია არა გამართლებულად, როდესაც ეგ. ნინოშვილის გურული „ყაზახები“ ლაპარაკობენ ეკრანზე წმინდა და ლიტერატურული რუსული ენით, ეს არის უხეში სიყალბე; რაც სიყალბეა, ის არ შეიძლება იყოს ნამდვილი სრულსისხლოვანი ხელოვნება. შეიძლება სთქვან, რომ ეს არის პირობითობა, მაგრამ ასე ურცხვად გაშიშვლებული პირობითობის თუნდაც მცირე ხნით დაჯერება შეუძლებელი ხდება.

საქ. სახკინმრეწვის მიერ გამოშვებული ხმოვანი ფილმები იმის სანიმუშო მაგალითს იძლევიან, თუ როგორ არ უნდა იქნეს გამოყენებული ენა მეტყველ კინოში. ენის აღრევა, რომლითაც ცოტათი თუ ბევრად თანაბრად მოიკოჭლებენ როგორც „მასკარადი“, ისე „არშაულა“ და „ჯვაროსნები“, საჭიროა და აუცილებელი, რომ დროულად იქნეს დაგმობილი. ენის აღრევა - ეს არის ყველაზე უფრო უკულტურო ხერხი, რომლითაც სურათის ავტორები ცდილობენ, გახადონ ესა თუ ის ნაწარმოები გასაგები სხვადასხვა ეროვნების მაყურებლისათვის. რას ვგულისხმობთ ჩვენ ენის აღრევად? ვილაპარაკოთ მაგალითებით. ენის აღრევაა, როცა მაგალითად რეჟისორი დ. რონდელი — „არშაულა“ — ში მოხვევს გლეხს სამ სიტყვას ათქმევინებს ქართულად, დამახასიათებელი მოხვევური დიალექტით და ორს — ისეთი რუსულით, რომლის წყობას, გამოთქმას, აქცენტს, ალბათ რუსული ენისა და ლიტერატურის პროფესორსაც კი შეეხარბება; მაგრამ ენის აღრევა არ არის, როცა მაგალითად რეჟისორი დ. რონდელი „არშაულა“-ში („ადამიანები და საქმენი“) ამერიკელ სპეციალისტს მთელ სურათში ალაპარაკებს ინგლისურად (მის ნალაპარაკებს სთარგმნის სიუჟეტში ოსტატურად შეყვანილი მდივანი ქალი). ენის აღრევაა, როცა მაგალითად რეჟისორი ჭიაურელი - „უკანასკნელ მასკარადში“ დიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმის წარმომადგენელს ალაპარაკებს შესანიშნავი სუფთა რუსულით; მაგრამ ენის აღრევა არ არის, როცა ლენინგრაძელი კინორეჟისორი ბერსენევი „ანენკოვშიჩინაში“ ფრანგ ინტერვენტ გენერალს ალაპარაკებს ფრანგულად, თუმცა ის (გენერალი) დრო გამოშვებით სასაცილოდ ამტვრევს კიდევ რუსულს.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ენის სინმინდის დაცვის მიზნით ფილმში ერთ რომელიმე ენას მიეცეს ბატონობის მონოპოლია. ენის სინმინდის ასეთი დაცვა მისი აღრევისაგან იქნებოდა სინამდვილის განგებ და უხეში დამახინჯება; დამახინჯებული სინამდვილე კი არ ივარგებს სოციალისტური რეალიზმის მეთოდით გაკეთებული კინოფილმის (ისე, როგორც ხელოვნების სხვა დარგის ნაწარმოების) საფუძვლად.

გაექცე მრავალენიანობას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნალენჯიხელი კოლმეურნე რიაზანელი გლეხის ენით და კილოთი ალაპარაკო და პირიქით.

ტყუილუბრალოდ ფიქრობენ ზოგიერთები, თითქოს აბსოლუტურად შეუძლებელი იყოს ნაციონალურ ენაზე ისეთი დიდი გაქანების მქონე ხმოვანი ფილმების შექმნა, რომლებიც მისანვდომი იქნება არამკვიდრი მაყურებლისთვისაც. ვერტოვის „სამი სიმღერა ლენინზე“, როგორც ეს გამოცდილებამ გვიჩვენა, ერთნაირად გასაგებია რუსულის და მით უმეტეს თურქულ-უზბეკური ენების არმცოდნე ინგლისელ მწერალ ჰერბერტ უელსისათვის და მოსკოვის ჩვეულებრივი ინდუსტრიალური საწარმოს რიგითი მუშისათვის. „სამი სიმღერა ლენინზე“, რომელიც ერთსა და იმავე დროს ღრმად არის გამსჭვალული უმძაფრესი დრამატიზმით და ძლიერი ოპტიმიზმით, წარმოადგენს საუცხოო ნიმუშს იმისას, თუ როგორ უნდა დამუშავდეს ნაციონალური მასალის პრიზმაში გადატეხილი ინტერნაციონალური თემატიკა, რომ ის იოლი გასაგები გახდეს სხვადასხვა ეროვნების მაყურებელთათვის.

ცდები, რომ ხმოვან ფილმში გაეუქმებინათ სრულიად წარწერები, შეიძლება ჩაითვალოს ახლა მთლიანად და საბოლოოდ დამარცხებულად.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ხმოვანმა კინომ მთელი სიმძიმე გადაიტანოს ტიტრებზე, რათა ამით ნაწილობრივ მაინც მოიპოვოს მუნჯი კინოს ინტერნაციონალობა. ამგვარი ზომის მიღება იქნებოდა ბრიყული, უხეირო გამოსვლა გაჭირვებული მდგომარეობიდან. ისმება კითხვა: მაშ, რა გზას მიმართოს ნაციონალურმა ხმოვანმა კინომ, რომ გახდეს გასაგები? ჩვენის აზრით, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა: მაღალხარისხოვანი დრამატურგიული მასალა, ლაპარაკის დაყვანა მინიმუმამდე, სიმძიმის ცენტრის გადატანა სიტყვიდან მოქმედებაზე, განმარტებითი ტიტრების ზომიერი გამოყენება.



## კლასიკოსისა და ისტორიული სინამდვილის გამყალბებული ფილმი

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, №2, 1937 წელი

ეგ. ნინოშვილი მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ყველაზე უფრო საინტერესოა კინემატოგრაფიისათვის. კინემატოგრაფიულობა ამ შემთხვევაში ჩვენ ერთობ ვინრო გაგებით გვესმის: ეს არის ამა თუ იმ ნაწარმოების კინოეკრანზე გადატანის შესაძლებლობა. მთავარი ისაა, რომ ნინოშვილი სიუჟეტის საუცხოო ოსტატია. ის ცხოვრებიდან უშუალოდ იღებდა ამბებსა და მოვლენებს და ორგანულად აერთიანებდა მათ ერთ მთლიან სიუჟეტურ რკალში. ნინოშვილის თითქმის ყველა მოთხრობა ჩინებულ მასალას იძლევა კარგი ფილმის შესაქმნელად. რეჟისორს ხელთ აქვს მზა სიუჟეტი, რომელიც არავითარ „იდეოლოგიურ შესწორებას“ არ მოითხოვს მის მხრივ, თუკი ის (სიუჟეტი) გაიშლება, რასაკვირველია, იმ სამოქმედო არეში და იმ დროის მონაკვეთში, რომელშიაც ვითარდება თვით მოთხრობა. ნინოშვილი ფეხდაფეხ მისდევდა ცხოვრებას. ის თავისი დროის ყველაზე უფრო თანადროული მწერალი იყო. ნინოშვილმა საშინელ შემადრწუნებელ ფერებში ასახა 80-იანი წლების გურული გლეხობის ცხოვრების სიდუხჭირე. ამდენად, ეგ. ნინოშვილის, როგორც რევოლუციონერი მწერლის, როლი გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში დაუფასებელია.

ცხადია, ეს აზრი არც ახალია და არც სადავო. და თუ მას ახლა ჩვენ მაინც აღვნიშნავთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ფილმ „დარიკოს“ ავტორ-რეჟისორს ერთ-ერთი რეცენზენტი დამსახურებად უთვლიდა იმას, რომ მან (დოლიძემ) რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ს უ ლ ი შ თ ა ბ ე რ ა ნ ი ნ ო

შ ვ ი ლ ს ო (!) ეს ყოველად უხეში და მავნე აზრია, რა თქმა უნდა, აღმოცენებული ნინოშვილის შემოქმედების და მისი სამოღვაწეო დროის სრულ უცოდინარობაზე. ბრალდება ნინოშვილის მიმართ, რომ ის თითქოს გულმშვიდად აღწერდა გურიის გლეხობის გაძალდებულ ცხოვრებას და თითქოს არ უჩვენებდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზებს, საფუძველს მოკლებულია და მას ისტორიული გამართლება არ გააჩნია. ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების მექანიკური მონყვეტა იმ დროიდან, რომელშიაც მწერლის შემოქმედება ვითარდება, არ არის საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა. ნინოშვილის თითქმის ყველა მოთხრობის ფონად აღებულია 80-იანი წლები. ეს ხანა რუსეთის იმდროინდელი იმპერიისათვის ხასიათდება რეაქციის განსაკუთრებული სუსხით, რაც გამონვეულია იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლით და პროგრესულ ინტელიგენციაში „საშიში“ ნაროდნიკული იდეების ჩასახვით და გავრცელებით. დასავლეთ საქართველოში ამ დროს შავი ზღვის სანაპირო ქალაქიდან (ფოთი, ბათუმი) სამრეწველო კაპიტალის პირველი სიო უბერავს; მუშები, როგორც კლასი, ჯერჯერობით მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან. ეს მუშები თავისი შინაგანი ბუნებით ისევე გლეხებია, აკი ისინი სოფელთან ოდნავადაც არ სწყვეტენ კავშირს და ერთი ხელის გულის ოდენა მინას არჩევენ იმ „ზაოდს“, სადაც დროებით მოსულან გროშების საშოვნელად, რომ შემდეგ ეს გროშები ისევე თავიანთ ღატაკ სოფლის მეურნეობას მოახმარონ. მათ შორის მათ კლასობრივ ორგანიზებულებზე ლაპარაკი ჯერ ზედმეტია, რადგან კიდევ არ გააჩნიათ თავისი ავანგარდი, თავისი პარტია, რომელიც წარმართავდა მშრომელი ხალხის ბრძოლას მყვლეფელების და ცარიზმის წინააღმდეგ. ამგვარად, ნინოშვილის მოთხრობათა გმირების მოქმედების დროს არა თუ სოფელში, არამედ ქალაქშიც არ არსებობდა ის მაორგანიზებელი ძალა, რომელსაც შეეძლო, სათავეში ჩასდგომოდა უმაგალითო გასაჭირის უღლის ქვეშ მგმინავი ხალხის აღშფოთებას, რომელიც მასობრივ აგრესიულ ხასიათს არ ატარებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხს ხელმძღვანელი წინამძღოლი არ ჰყავდა. ნინოშვილი სწორედ ამ პერიოდის ამსახველი მწერალია. მის ნაწარმოებში ჩვენ ვხვდებით მკვეთრად გამოხატულ პროტესტებს, მიმართულს არსებული წყობილების წინააღმდეგ.

როდესაც ვუცქერით და ვისმენთ ფილმ „დარიკოს“ და შემდეგ ვიგონებთ ნინოშვილის იმ მოთხრობებს, რომელთა მიხედვითაც არის გაკეთებული ეს სურათი, ჩვენს წინაშე თავისთავად ისმება ერთი პრინციპული მნიშვნელობის საკითხი: ეს არის ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანზე გადატანა. არაერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ ფილმის სიუჟეტური შენების ბუნება საფუძვლიანად განსხვავდება მოთხრობის ან რომანის სიუჟეტური აღნაგობისაგან. ამიტომაც ლიტერატურული ნაწარმოები ეკრანიზაციის დროს მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, ხშირად ისეთსაც კი, რომ ფილმი მახინჯი აჩრდილია იმ ნაწარმოებისა, რომლის მიხედვითაც არის იგი გაკეთებული. მთავარი საქმე აქ ის კი არ არის, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებს ბრმად კვალზე მისდით და უამრავი მასალა, რომელიც მასშია მოთავსებული, უსისტემოდ ეკრანზე გადაიტანო, არამედ საქმე ისაა, რომ ნაწარმოების დედააზრი მართებულად გაიგო და ის მაღალხარისხოვანი ფილმის მეშვეობით მილიონ მაყურებლამდე დაიყვანო. ლიტერატურულ ნაწარმოებთა ეკრანიზაციის საუცხოო ნიმუშად დღესაც შეიძლება დასახელებულ იქნეს: „დედა“, „ელისო“, რომლებიც 10 წელია უკვე, რაც დაიდგა. რეჟისორმა ვ. პუდოვკინმა და სცენარისტმა ნ. ზარხიმ გორკის მოზრდილი რომანიდან მხოლოდ მთავარი იდეა აიღეს და ეს იდეა ისე გაშალეს, რომ ამით მათ რომანის სულისთვის არ უღალატინათ და შესანიშნავი ფილმი მოგვცეს. იმავე ხანებში რეჟისორმა ნ. შენგელაიამ ყაზბეგის პატარა მოთხრობიდან შეძლო ისეთი სურათის გაკეთება, რომელიც საკმაოდ ამომწურავ წარმოდგენას იძლევა ცარიზმის კოლონიალურ, დაპყრობით პოლიტიკაზე. შენგელაიამ გააფართოვა ყაზბეგის „ელისოს“ სამოქმედო ჩარჩო, მან პიროვნული მელოდრამა პატარა ერის ტრაგედიამდე აიყვანა მეფის თვითმპყრობელობის პირობებში.

ახლა ვიკითხოთ, როგორ მოიქცა რეჟისორი ს. დოლიძე? რამდენად ღრმად და მართებული მისი მიდგომა ნინოშვილის ძვირფასი მემკვიდრეობის მიმართ.

დოლიძემ თავისი ფილმის საფუძველად ნინოშვილის ორი ცნობილი მოთხრობა აიღო: „სიმონა“ და „მოსე მწერალი“. რადგან მოუხერხებელი და ნაკლებ საინტერესო გამოვიდოდა ფილმში სამი დამოუკიდებელი სიუჟეტური ხაზის არსებობა (ერთი მხრივ, ქეთევანა და მისი შვილები, მეორე მხრივ, ბაბალე და მისი შვილები, მესამე მხრივ, დავით დროიძე თავის შვილებით), დოლიძემ ყოველგვარი მძიმე ოპერაციის გარეშე იოლად შესძლო ქეთევანას შვილები ბაბალესათვის მიეკუთვნებინა, ქეთევანას და ბაბალეს ღვიძლი შვილები კი სამოქმედო არიდან სრულებით

გაერიცხა. ამგვარმა „შეჯვარებამ“ შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა, რადგან ის ეგ. ნინოშვილის ზემოაღნიშნული მოთხოვნების არსს არ ცვლიდა, სამაგიეროდ, მათ ერთ მთლიან სიუჟეტში აერთიანებდა. სამწუხაროდ, დოლიძე ნინოშვილის მხოლოდ ამ „ნვრილმანი რემონტით“ არ დაკმაყოფილდა, მან მოინდომა რევოლუციონერი მწერლის შემოქმედების კიდევ უფრო მეტად „გარეოლუციურება“. ამ მიზნით, „სიმონას“ და „მოსე მწერლის“ სამოქმედო ფონი 80-იანი წლებიდან 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში გადმოიტანა. ეს ის დროა, როცა დასავლეთ საქართველოს სამრეწველო ცენტრში მუშათა კლასი უკვე ძლიერ ორგანიზებულ ძალას წარმოადგენს; ეს ის დროა, როცა ამხანაგ სტალინის ხელით დაწერილი მგზნებარე, ბრძოლისაკენ მომზადებული პროკლამაციები ვრცელდება არა მხოლოდ ბათუმის მუშებს შორის, არამედ გურიაშიც და სხვაგანაც. ჩვენ ვიცით, რომ 1902 წ. ბათუმის ამბებმა „უდიდესი გამარეოლუციურებელი გავლენა მოახდინეს საქართველოს სოფელზე (დასავლეთ საქართველო)“. ლ. ბერია: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 40. გურიის გლეხობა იმ ხანებში რევოლუციური იდეებით იყო აღფრთოვანებული და მზად იყო, ამ იდეებისათვის იარაღით ხელში ებრძოლა. 1905 წელმა ეს იმედეები სავსებით გაამართლა; მაშინ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, „მეტადრე გურიაში (ოზურგეთის მაზრა), გლეხთა დიდი შეიარაღებული აჯანყების ორგანოები ახორციელებდნენ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებას, ყოველგვარი გადასახადის გაუქმებას, მემამულეთა, სამღვდელოების და მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტს“ (ლ. ბერია).

რეჟისორი ს. დოლიძე ფილმით „დარიკო“ თუმცა ერთგვარ პრეტენზიებს აცხადებს პირველი რევოლუციის წინააღმდეგ გაურიაში, მაგრამ (ეს ამთავითვე უნდა ითქვას) ის ამ ამოცანას ვერ სძლევს და შედეგად ვლტულობით სურათს, რომელიც არ იძლევა წარმოდგენას იმდროინდელ რევოლუციურ გურიაზე.

„დარიკოს“ ავტორ-რეჟისორმა ეგ. ნინოშვილის ვითომ პრიმიტიული სიუჟეტი გაართულა, დახლართა, მაგრამ ნამდვილად კი თავის მიერ უსისტემოდ დახლართულ სიუჟეტურ ძაფებში ისე უიმედოდ გაება, რომ შემდეგ თავის დასაძვრენად არა ერთსა და ორ გულუბრყვილო ხერხს მიმართა, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ფილმის მთავარ გმირს, დარიკოს აბსოლუტურად არავითარი საერთო არ აქვს ნინოშვილის დარიკოსთან. ამბობენ, ნინოშვილის დარიკო პასიური ქალია, დოლიძის კი აქტიური; ზოგიერთები სწორედ ამაში ხედავენ ნინოშვილის „გარეოლუციურებას“ და დოლიძის ფილმის დიდ ღირსებას, მაგრამ თუ ოდნავ მაინც ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს ღირსება მოსაჩვენარია. დარიკო, ჯერ ერთი, არ არის ტიპური ხასიათი ტიპურ გარემოში; დარიკო არა თუ ტიპურია, არამედ ერთეული მოვლენაც არ არის; ყოველ შემთხვევაში, თვით ფილმი ამას გვიმტკიცებს; ფილმი „დარიკო“ ვერ გვაჯერებს, რომ შეიძლება ყოფილიყვნენ ამგვარი ქალები. ფილმში დარიკო, დღიდან მისი ყაჩაღად გავარდნისა, უჰაერო სივრცეშია გამოკიდული. არ არის მართალი ის, რომ თითქოს დოლიძის დარიკო რევოლუციონერი ქალი იყოს. მისი „რევოლუციონერობა“ შემთხვევითი და საეჭვო ხასიათისაა: ტიტკოს მისი გაუპატიურება რომ არ დაეპირებინა და მას კაცი არ შემოკვდომოდა, ტყეში არ გავარდებოდა, მიუჯდებოდა კერიას და, უკეთეს შემთხვევაში, სიმონას დაუცდიდა, უცუდეს შემთხვევაში ხელმეორედ გათხოვდებოდა და აკვანს დაარწევდა. ამგვარად, დარიკოს გარეოლუციონერებას სოციალური მოტივი როდი უდევს საფუძვლად, არამედ ვიწრო პირადი. თვით ნახტომი რომანტიული ქალიშვილობიდან თავზეხელაღებულ „რევოლუციონერამდე“ არაბუნებრივი და დაუჯერებელია, მაგრამ ერთი ნუთით სიტყვა „რევოლუციონერს“ წინწკლები ჩამოვაცალოთ და ვიკითხოთ, რა რევოლუციურ საქმეებს სჩადის რევოლუციონერი დარიკო? ნამდვილს, წმინდა რევოლუციურს – არავითარს. მას ჰყავს რაზმი, მართალია, მაგრამ რა გარკვეულ მიზნებს ემსახურება ეს რაზმი, კაცმა არ იცის. ხომ ცხადია, რომ მეფის მოხელეებისათვის ტანსაცმლის გახდა დიდი რევოლუციონური საქმე არ არის, ეს ტაკი-მასხარაობაა და როგორც ყოველგვარი ტაკი-მასხარაობა იდეას და გარკვეულ სასარგებლო აზრს მოკლებული. დარიკოს შემდეგი „რევოლუციონური“ ნაბიჯი ტიტკოს მოკვლაა. ეს მეტად საეჭვო ღირსების „რევოლუციონური“ საქციელია: პირადი შურისძიება რევოლუციის ნამდვილ საქმეს, რასაკვირველია, არაფერს მატებს. თვით ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ დარიკო, როგორც რევოლუციონერი, ფილმის მთელ მანძილზე არ იზრდება, არ ყალიბდება, მთელ რიგ მის მოქმედებას არა აქვს ლოგიკური გამართლება: მაგ., ის პირველი შეხვედრისას არ კლავს ტიტკოს იმ მოტივით, რომ ხელისუფლება ამის გამო ჯავრს უდანაშაულო სო-

ფელზე იყრისო, მაგრამ შემდეგში დარიკო ტიტკოს მაინც კლავს, თუმცა ისეთივე შედეგია მოსალოდნელი, როგორც წინათ (ეს გარემოება შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ სცენარისტ-რეჟისორმა დარიკოს მიერ ტიტკოს მოკვლა ფინალისთვის შემოინახა, როგორც მომგებიანი აპოთეოზი).

სცენარისტ-რეჟისორმა ვერ შეძლო, მოეცა დარიკოს სახე ღრმად, მუდმივ ვითარებაში, ყოველმხრივ. ამიტომაც ძნელი დასაჯერებელი ხდება, რომ სათუთი განცდების მქონე ქალიშვილი სრულიად მოულოდნელად ტყეში გაიჭრა, თოფ-იარაღი აისხა და, წარმოიდგინეთ, რაზმის ხელმძღვანელიც კი გახდა. დარიკო, ალბათ, ჰიპნოტიური, ზებუნებრივი ძალის პატრონია, ასე იოლად ვაჟკაცთა რაზმის ნებისყოფას ტიკინასავით რომ იმორჩილებს! განა სჭირდება მტკიცება იმას, რომ ცხოვრებაში ასე უბრალოდ, ასე წყნარად, წინააღმდეგობას მოკლებული ბრძოლების გარეშე არაფერი არ ხდება? ცხოვრების სინამდვილე უფრო მეტი სიძნელეებით და დაბრკოლებებით არის მოცული, ვიდრე ეს ამხ. დოლიძეს ჰგონია. მაგრამ უფრო სამწუხარო ის არის, რომ დოლიძე საერთოდ ცხოვრებას ფერადი სათვალეებით უცქერის: მის წინანდელ ფილმში („უკანასკნელი ჯვაროსნები“) კოლმეურნეობა ხევისურეთში ყალიბდება თითქმის ხელის მოწერით... სეპარატორი საუკუნებრივი ტრადიციებისა და ჩვევების ერთი ხელის დაკვრით უარმყოფელის როლში გამოდის...

„დარიკოს“ ყველა მთავარ ეპიზოდს ხშირად უბრალო გამართლებაც კი აკლია; აი, თუნდაც ავიღოთ დარიკოს პატიმრობიდან გაქცევა. დარიკოს რატომღაც თვით ციხეში არ დაკითხავენ. დავეუშვათ ერთი წუთით, რომ მეფის ჩინოვნიკები ამ შემთხვევაში მეტისმეტად კაცთმოყვარენი აღმოჩნდნენ; შეებრალათ ახალგაზრდა ლამაზი ქალი, ციხის აშშორებული ჰაერით რომ სუნთქავს და, უფრო ხილდებიან რა თვალის ჩინივით მის ჯანმრთელობას, გამოატარეს ის ღია ჰაერზე, მიჰყავთ დასაკითხად დიდი დამნაშავე, კაცის მკვლეელი და მას ერთადერთ მცველად მოჰყვება პირტიტველა ყმანვილი, რომელიც უფრო დაბალი ჩინოსნის კანცელარიის მწერლუკას წააგავს: მას ერთ ხელში... საქმეების „პაპკა“ უჭირავს, მეორე ხელი კი ჩამოშვებული აქვს ხმაღზე.. აი, ისინი მიდიან... მცველი, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა , ნახევრად სულელია. ის, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა , ვერ ხედავს მის ცხვირწინ როგორ იხრება დარიკო და სილას ავლებს ხელს... ორიოდ წამი და დარიკო მცველს სახეში სილას აყრის და გარბის... მცველი მისდევს, მაგრამ მას, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა , ფეხი უცდება, მაგრამ არ ეცემა, მხოლოდ წაბორძიკდება, ყვირის და ახლა დარიკოს საიდანღაც სხვა შეიარაღებული ჯარისკაცებიც დაედევნებიან, მაგრამ „გვიანია“: დარიკო, მართალია, არც ცას ჩაუყლაპავს და არც მიწას შეუჭამია, მან მხოლოდ ბურქს შეაფარა თავი, მაგრამ მისი მონახვა, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა , შეუძლებელი ამბავია... ამის მომდევნო ეპიზოდი, ისე, როგორც წინა ეპიზოდი, „რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა ს“ პრინციპზეა აგებული: თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ ურიადნიკს და ჩაფარს მიჰყავთ ბანრით გაკრული პატიმარი. როცა მდინარეს შუა მიაღწიეს, ურიადნიკს, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა , მაინცდამაინც მაშინ მოუნდა თუთუნის მოწევა (უკეთ, ეს მოუნდა რეჟისორს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი წუთის შემდეგ ურიადნიკი ჩაფრითურთ წყალში ჩაყვინთვით გაეპამპულეზინა). ურიადნიკმა ის-ის იყო, ქისა ამოიღო, რომ ამ დროს საიდანღაც ქალის ხმა გაისმა: „ხელები ასწიეთ“... ჭარმაგი ურიადნიკი და მისი მხლებელი დაფრთხნენ, მათ არც კი მოუხედნიათ ისე ასწიეს ხელები და იარაღზე ხელი მაშინაც არ გაუკრავთ, როცა მახლობლად, ნაპირზე დარიკო დაინახეს... ჯოხით ხელში!.. კინემატოგრაფიის გარიჟრაჟისთვის დამახასიათებელი ამგვარი უდღეური ამერიკანიზმები „დარიკოში“ ობოლი მარგალიტებივით უხვად არის მიმოფენილი. აი, კიდევ ერთი ასეთი „მარგალიტთაგანი“: დიდის ამალით და მცველებით მოდის სოფლის გაშლილ შარა-გზაზე მაზრის უფროსი... ტიტკოც აქ არის, მოსე მწერალიც (ეს უკანასკნელი საპამპულო საგნადაა აქ საჭირო). მოულოდნელად მათ დარიკო თავისი ათიოდე რაზმელით თავს დაესხმის და მისი ორი სტანდარტული სიტყვა საკმარისია იმისათვის, რომ მაზრის ხელისუფალნი შიშით ლამის მიწაში ჩაძვრნენ, ერთიც არ გაისროლონ და ამოდენა შეიარაღებულმა ხალხმა აბსოლუტურად იოტის ოდენა წინააღმდეგობაც არ გასწიონ. ამავე ეპიზოდში სცენარისტ-რეჟისორის მეტად ღარიბი ესთეტიკური ფანტაზია აიძულებს 18 წლის, თოვლის ფიფქივით წმინდა დარიკოს ტანსაცმელი გაახდევინოს მამაკაცებს მტრის ბანაკიდან და მათ დამჭენარ და ბანჯგვლიან სხეულს თვალი შეავლოს. პატიმრების „ბუნტიც“ ერთი სულის შებერვით მოპოვებული გამარჯვების შთაბეჭდილებას ტოვებს; ისე გამოდის, რომ თითქოს საეტაპო მატარებელს ციმბირში მხოლოდ ორიოდ მცველი აცილებს (მათი უფროსი, რა თქმა უნდა, დეგენერატია), ვაგონების კარები რაზითაა გადაკეტილი და საკმა-

რისია, პატიმრებმა უბრალო აურზაური ასტეხონ, რომ კატორღა თავიდან აიცილონ და თავისუფლება დაიბრუნონ.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ავწერეთ, მონმობს არა მხოლოდ „დარიკოს“ სცენარის დიდ სისუსტეს, მთელი რიგი საპასუხისმგებლო, საკვანძო ეპიზოდების მეტად გულუბრყვილო ხერხებით შეკვრას და გახსნას, ის მონმობს უფრო მეტს: რეჟისორი ს. დოლიძე ნებით თუ უნებლიეთ გამოდის ისტორიული სიმართლის გამყალბებლის როლში. თუ „დარიკოს“ მიხედვით ვიმსჯელებთ ჩვენი ისტორიული წარსულის შესახებ, იმთავითვე შემცდარ დებულებას გამოვიტანთ, რომ მეფის თვითმპყრობელობა თითქოს დაფუძნებული იყო უნიათო მოხელეებზე, რომ სისხლიანი ცარიზმის მსახურნი სხვა არა იყვნენ რა, თუ არა ბრიყვნი, უძღურნი, მხდალნი... განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ეს სინამდვილეს არ შეეფერება? ცარიზმი საერთოდ, და კერძოდ მიმდინარე საუკუნის დამდეგს, ასე სუსტი და უთავო რომ ყოფილიყო, მაშინ 1905 წლის რევოლუცია მარცხით არ დამთავრდებოდა. პროლეტარიატმა და რევოლუციურმა გლეხობამ ზღვა სისხლი დააქციეს, მილიონი მსხვერპლი გაიღეს იმისათვის, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა, მემამულეთა და კაპიტალისტების ბატონობა დაემხოთ ჩვენს ქვეყანაში. საუბედუროდ „დარიკოში“ ამის მიკროსკოპული ნიშნებიც არ ჩანს. ამ ფილმის 8 ნაწილის მანძილზე არაერთხელ განისმის თოფების ბათქა-ბუთქი, მეფის ჯარის მთელი ასეული უტევს ოციოდე რაზმელს, მაგრამ ჯარი, თითქოს „პუგაჩებით“ იყოს შეიარაღებული, ერთ რაზმელსაც ვერ ახვედრებს არა თუ სასიკვდილო, არამედ ჭრილობის მომყენებელ ტყვიასაც. მთელ სურათში მებრძოლი ხალხის ბანაკიდან მხოლოდ ერთი ადამიანი (გიგოია) კვდება და ისიც ბუნებრივი სიკვდილით – ჭლეკით. შეხლა-შემოხლა, თავდასხმები, შეტაკება და ბრძოლები „დარიკოში“ ზედმეტად მრავალია, მაგრამ ყველაფერი ეს მოცემულია მსუბუქი ოპერეტკის სტილით. კლასობრივი მტრის ყველა წარმომადგენელს, გარდა დავით დროიძისა, ვოდვეილური იერი გადაკრავს. ისტორიის სანაგვეზე გადადებული მტრის გაბიზრუება, გამასხარავება და „გაბახება“ არცთუ ისე ძნელი საქმეა; ცხადია, პრისტავის და მოსე მწერლის მოთავსება შეიძლებოდა არა თუ საღორეში, უფრო უარეს ადგილასაც, მაგრამ ვიკითხოთ, რა აქვს ამას საერთო ნამდვილ ხელოვნებასთან? მტრის ძლიერების განგებ დაკნინება და დამცირება ობიექტურად ამცირებს აგრეთვე იმ გმირ მებრძოლესაც, რომლებმაც სინამდვილეში სიცოცხლე შესწირეს კაცობრიობისათვის უკეთესი, მზიური მომავლის მოპოვების საქმეს. მეფის დინასტია რომ ისეთ „გმირებზე“ ყოფილიყო დაყრდნობილი, როგორც იხინი „დარიკოშია“ ნაჩვენები (მაზრის უფროსი, ურიადნიკი, პრისტავი, საეტაპო მატარებლის გამყოლი, ტიტკო და სხვ.), მაშინ რომანოვები განა ტახტს სამასი წლის განმავლობაში შეინარჩუნებდნენ?!

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „დარიკო“ ჰაერში გამოკიდებული „რევოლუციონერია“, რომ ის, როგორც მებრძოლი ქალი, ბუტაფორიულ შთაბეჭდილებას ახდენს. დარიკო „გარევოლუციონერების“ შემდეგ ისეა წარმოდგენილი, რომ მას პირადი ცხოვრება არ გააჩნია; ჩაიცვა მან შარვალი და მორჩა, ის უკვე ქალების სიიდან ამოიშალა. ფილმში არის ერთად ერთი კარგი შტრიხი: დარიკო რაზმელის ტანსაცმელს აკერებს. საერთოდ სურათი და, კერძოდ, დარიკოს სახე გაცილებით ბევრს მოიგებდა, რომ დოლიძეს სწორედ ეს ხაზი გაეძლიერებინა და ეჩვენებინა დარიკო არა მხოლოდ ცხენზე მჯდომი და თოფის მსროლელი. მაგრამ, როგორც ჩანს, დოლიძისთვის ძნელი აღმოჩნდა დარიკოს შინაგანი ბუნების მრავალფეროვნების გამომჟღავნება და მთელი სიმძიმე გარეგანი მხარეების ჩვენებაზე გადაიტანა. ცხადია, აჩვენო ქალი, რომელიც ცხენს მიაჭენებს, ეს იოლია, მაგრამ აჩვენო ქალის სულიერი განწყობილება, რომელსაც საქორწინო ლეჩაქი თავს გადაახიეს – ეს არის ხელოვანის ქვეშაირიტი შემოქმედება, რაც აკლია ამ სურათს.

დარიკოს რაზმი ერთფეროვან მასად არის წარმოდგენილი. რაზმელები, სამწუხაროდ, ერთმანეთში ისე არიან გათქვეფილი, რომ არც ერთი მათგანი მაცურებლის მესხიერებაში არ რჩება სულ მცირედი ხნითაც კი. არსად არ არის ახსნილი დრამატურგიულად, თუ როგორ გახდა დარიკო რაზმის მეთაურად. ამიტომ არის, რომ რაზმელების დამოკიდებულება დარიკოსადმი არსად არ ჩანს. შემდეგ უნდა შევნიშნოთ, რომ მოლაღატე, რომელიც ძარცვა-გლეჯასაც ეწევა დარიკოს სახელით, ძალზე გაცვეთილი და შტამპით მოსილია. თანაც ის არავითარ სიუჟეტურ დატვირთვას არ ასრულებს. შეიძლება სურათიდან მთლიანად იქნას ამოღებული ის და მისი ნამოქმედარის შედეგი (ე.ი. დარიკოს მიერ მისი მოკვლა) – ამით ფილმის სიუჟეტური არქიტექტონიკა არ დაირღვევა. დოლიძეს ამ მოლაღატის გამოყვანა, ცხადია, უნდოდა იმიტომ, რათა ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ დარიკო მისი სახელით მოვაჭრე მძარცველებს არ ინდობს. გან-

ზრახვას თავისთავად არა უშავს რა, მაგრამ თვით განზრახვის განაღდება ძველია, ტრაფარეტულია. ამგვარი ხასიათის ეპიზოდი, დაწყებული ბარსკის „არსენადან“ და „ალიმიდან“, ვიდრე „დუბროვსკამდე“, შეიძლება მოინახოს ყოველ ფილმში, რომელიც კი „პატიოსანი ყაჩაღის“ თავგადასავალს ასახავს.

ტრაფარეტული და საერთოდ ნაკლებად მოტივირებული ამბები სურათში მრავლად; თუნდაც მარტო დასაწყისი რად ღირს! მოპირდაპირე მხრიდან მოდიან დარიკო და სიმონა, მათ ერთმანეთი დაინახეს და გაოცებულად შეჰკვივლეს: „დარიკო“... „სიმონა“... ისინი შუა შარაზე ჩაეკონნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს (მოიგონეთ ნინოშვილის დარიკო, რომელიც ნიშნობის შემდეგაც სიმონას მორცხვობით თვალსაც ვერ უსწორებდა). დავითი ღობეს მოადგა და მან მოალერსე ქალ-ვაჟის დანახვაზე, რა თქმა უნდა, დამცინავად ჩაიხიბოდა. სიმონა დავითს ლევანის წერილს გადასცემს. ლევანმა მ ა ი ნ ც დ ა მ ა ი ნ ც სიმონას გამოატანა მამისადმი წერილი, რომელშიაც სწერს, რომ სიმონას მინის ნაჭერი იყიდე ქარხნის ასაშენებლად. როგორც ვხედავთ, სიუჟეტური ექსპოზიცია ვერ არის ხეირიანი; კონფლიქტს თავისთავად უკვე დამპალი საძირკველი უდევს საფუძვლად: რაღაც ქარხნის აშენების არარეალურობას რომ თავი დავანებოთ, დავითმა და მისმა შვილმა რაღაც მ ა ი ნ ც დ ა მ ა ი ნ ც სიმონას მინის ნაჭერი ამოიჩემეს?.. როგორ, თვით დავით დროიძეს ცოტა საამისო მინები ექნებოდა? ნინოშვილის მოთხრობაში სიმონასა და დროიძეს შორის მინის ყიდვა-გაყიდვის ნიადაგზე როდი ისახება მტრობა! ნინოშვილმა ბევრად უფრო მეტად დამაჯერებელი სიტუაციებით ახსნა დროიძის მიერ სიმონას შეძულება, მაგრამ დოლიძემ რატომღაც უკუაგდო მწერლის გზა და თვით შეაკონინა კონფლიქტი. შემდეგ ცუდად მოტივირებულია სიმონას სალდათობის თავიდან აცილების ამბები; ყოვლად დაუჯერებელია, რადგან რეალობას მოკლებულია დავითისა და მოსეს მოქმედება. ისინი თვით აწყობენ სიყალბის გზით სიმონას ჯარიდან გათავისუფლების საქმეს და შემდეგ თვითონვე ასმენენ ძალადის ოჯახს სიყალბის ჩადენაში. ნინოშვილი თავის მოთხრობაში („მოსე მწერალი“) ასე გულუბრყვილოდ როდი აგვიწერს ამ ამბავს: მოსეს შიში შეიპყრობს, როცა გაიგებს, რომ მთავრობა სიყალბის კვალს წაანყდა; იმ მიზნით, რომ თავისი თავი ამ ბინძური საქმიდან როგორმე დაიძვრინოს, მოსე ათასგვარ ხრიკებს მიმართავს; მას დანაშაულის მთელი სიმძიმე, რაც დაკავშირებულია სიყალბის ჩადენის ტექნიკურ მხარესთან, მელაკუდურად სხვებზე, სრულიად უდანაშაულო ხალხზე გადააქვს. დოლიძის „დარიკოში“ კი ეს ეპიზოდი, რომელიც არსებითად სიუჟეტის დედაღერძია, იოლად არის გადაჭრილი: მოსე და დავითი სიყალბეს სჩადიან, ე.ი. წყალში ყელამდე შედიან, მაგრამ ნაპირზე „წყლიდან მშრალი ამოდიან“. კი, მაგრამ... ისმება კითხვა: ყალბი მონშობა ხომ მოსეს უნდა შეედგინა და მასვე უნდა დაერტყა ბეჭედი? და როცა ხელისუფლება საქმის ძიებას დაიწყებდა, განა ამ მხარეს ყურადღებას არ მიაქცევდნენ? სინამდვილეში (და ნინოშვილს სწორედ ასე აქვს) ყურადღებას, რასაკვირველია, მიაქცევდნენ, რაც გაქნილსა და გაიძვერა მოსე მწერალს არ შეიძლება არ სცოდნოდა. მაგრამ კინოსურათის ავტორი ამ „უმნიშვნელო წვრილმანზე“ ფიქრით თავს არ ინუხებს და ამჯობინებს, შავი მატერია თეთრი ძაფით კეროს.

საერთოდ, უკვე ამთავითვე შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ იქ, სადაც დოლიძე ნინოშვილს ღალატობს და თავისებურად „აღწერს“ ოთხმოციანი წლების გურული გლეხის ცხოვრებას – მარცხს განიცდის.

ყოველი დიდი კინოოსტატი უთუოდ კრიტიკულად უნდა მიუდგეს ლიტერატურული ნაწარმოების ღირსებებს, მაგრამ არა ისე, რომ ეს ღირსებები თავისი ინტერპრეტაციით დაამციროს და მწერლის მიერ უკვე გაკვალული მეტი წინააღმდეგობის გზის ნაცვლად აირჩიოს ნაკლები წინააღმდეგობის გზით სვლა. დოლიძემ მთელი თავის შემოქმედებითი ენერგია იაფფასიანი გარეგანი ეფექტების მშრალი დემონსტრაციისაკენ წარმართა და არ სცადა, ღრმად ჩასწვდომოდა, არ სცადა, სწორად მოეცა ნინოშვილის გმირები, რომლებსაც ჩვენი მკითხველი ისე კარგად იცნობს, რომ სიყალბეს მათ შესახებ იოლად გამოიცნობს. ამ მხრივ განვიხილოთ ზერელედ, თუნდაც მოსე მწერალი. ნინოშვილის მოსე და რეჟისორ დოლიძის მოსე - მონწილემდეგე პოლუსებზე მყოფი ტიპებია. ნინოშვილის მოსე – ფლიდი და გაიძვერა, ცხოვრების ზედაპირზე ბნელი გზით ამოტივტივებული ადამიანია. ეს ცხვრის ქურქში გახვეული აფთარი ათასგვარ მამაძაღლობაშია გამოჯაგნილი, შეუძლებლის შემძლეა, მაგრამ თავის დაფასებაც ღირსეულად იცის: ქრთამს მოითხოვს. გლეხები, ერთის შეხედვით, ამ წვრილფეხა ბიუროკრატიში მოსისხლე მტერს ხედავენ და უკვე პირველ გაცნობისთანავე იმდენად იჯავრებენ, რომ მოსე მოსალოდნე-



ლი მოკვლის შიშით ერთ სოფელში დიდხანს არ ჩერდება და სოფლიდან სოფლად „მოგზაურობს“. რეჟისორმა დოლიძემ ნინოშვილის მოსე მწერალი გააშარჟა, გააპამბულა, რითაც შეამცირა მაყურებლის თვალში ის სისაძაგლე, რითაც მწერლის მოსეა დახასიათებული; შარჟს მაყურებელი საერთოდ ყოველთვის ლმობიერად იღებს და ამიტომაც მივიღეთ ის სავალალო შედეგი, რომ კინოსურათის მოსემ საბჭოთა მაყურებელში ერთგვარი „მონონება“ დაიმსახურა. რეჟისორ დოლიძის შეცდომა კიდევ უფრო მეტად გააღრმავა ს. ჟორჟოლიანის თამაშმა;<sup>1</sup> საამისოდ რეჟისორმა წააქეზა. თავისთავად დოლიძე მაშინ შეცდა, როცა მოსე მწერლის სახე გახსნა, როგორც ხასიათის კომედია და მოსეს შინაგანი ბუნება, მისი გაიდვერული „მე“ დაიჩრდილა ჭარბი კომედიური მდგომარეობით, რომელშიაც მოაქცია რეჟისორმა კომიკური მოსე მწერალი. ნინოშვილის მოსე არავითარ შემთხვევაში არ არის კომედიური და, მით უფრო, კომიკური ტიპი, როგორც ეს რეჟისორ დოლიძეს ჰგონია. ეგნატე ნინოშვილის მოსე მწერალი გაქნილი, გაიდვერა, უმძიმეს გასაჭირში მყოფი გლეხების შეგნებული და ჭკვიანი მტერია.

მსახიობს რომ თავისი მხატვრული ტაქტით და მაღალი ოსტატობით შეუძლია ხშირად მარცხისაგან დაიხსნას რეჟისორი, ამის დამადასტურებელია რესპ. დამსახურებული მსახიობის შ. ლამბაშიძის მაგალითი. „დარიკოს“ სცენარის ავტორი შეეცადა, დავით დროიძისათვის მოეხვია ყაჩაღობა, კაცის მკვლელობა (მოსეს და დავით დროიძის შელაპარაკება სურათის დასაწყისში) და ამ ნიადაგზე წარმოშობილად დაესახა მისი სიმდიდრე. დოლიძემ აქაც უღალატა ნინოშვილს და დაამახინჯა სინამდვილე. ნინოშვილი დროიძეს ნაყაჩაღარად და კაცის მკვლელად როდი გვიხატავს? აკი გლეხობის კულაკური ფენისათვის ამ გზით გამდიდრება სრულებითაც არ იყო დამახასიათებელი; ნინოშვილის დავით დროიძე სავაჭრო კაპიტალიზმის ტიპური შვილია, მან თავისი სიმდიდრე შეიძინა თანამესოფლეთა დაუნდობელი ექსპლოატაციით და თაღლითობით, რაც ყოველ ვაჭრობას თან ახლავს. ლამბაშიძე მთელი ფილმის მანძილზე ცდილობს, არ გადაუხვიოს ნინოშვილის ტექსტს და განასახიეროს – კულაკი დროიძე არა ისე, როგორც ეს ყაჩაღობით ფეხზე წამომდგარ ადამიანს შეეფერება. სამწუხაროდ, სცენარის სუსტმა მხარეებმა მსახიობს არ მისცა შესაძლებლობა, მოქმედებაში, კონკრეტული ფაქტებით ეჩვენებინა დროიძის, როგორც სოფლის ნურბელის, ექსპლუატატორის მტაცებლური სახე; დოლიძემ, პირიქით, რასაკვირველია, აქაც წინააღმდეგ ნინოშვილისა, დავითი ზედმეტი, გადაჭარბებული გულკეთილობით, მართალია, ცრუ, მაგრამ მაინც გულკეთილობით, დააჯილდოვა; დროიძე დაუფასებელ სამსახურს, თითქმის მამობას უწევს ძალადის ოჯახს: აქ ხარებს ათხოვებს, იქ სიმონას ქორწილს ღვინით ამარაგებს და სხვ. ამიტომ, მეორე მხრივ, საოცარია, რატომ უნდა ანთხევდეს ბოლმას სიმონა დავითის წინააღმდეგ? სურათიდან არ ჩანს, რომ სიმონამ იცის, „რა შვილიცაა“ დროიძე. და თუ იცის, მით უარესი, მაშინ საკითხავია, რატომ ითხრის საკუთარი ხელით საფლავს, რატომ ღებულობს დავითის უსასყიდლო სამსახურს, რომელიც სინამდვილეში დ ა ნ ა ე ლ თ ა საჩუქრის მსგავსია? საერთოდ, სიმონა, როგორც მთლიანი სახე, ვერ არის რიგიანად გამოძერწილი. ბევრი მისი მოქმედება გაუმართლებელია, უცნაურია, ასე ვთქვათ, არა გონებრივი განსჯის შედეგია, არამედ აფექტის, ზედმეტი და არასაჭირო ტემპერამენტის ნაყოფი. ჩვენი აზრით, ეს უნდა აიხსნას რეჟისორ დოლიძის არსებითად არასწორი შეხედულებით გმირობისა და გმირულობის (ჰეროიკის) სფეროში. „დარიკოს“ მისი ავტორი გმირულ მოთხრობას უწოდებს. ნამდვილად კი „დარიკოს“ გმირულის ბევრი არაფერი სცხია. გმირულობა შეიძლება დაიბადოს იქ, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს ორ მონინააღმდეგე ძლიერ ძალას შორის; გმირების ლაჩრებთან ბრძოლას არ შეუძლია ჰეროიკის მოცემა.

„დარიკოში“ ნამდვილი გმირები არა გვყავს და, მაშასადამე, არც ჰეროიკა შეიძლება რომ გვექონდეს; დარიკო, როგორც ეს ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ოპერეტულ-ვოდევილური ყალიბის გმირია; სიმონას გმირობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია: ჭურჭლის მტვრევა, მაგიდაზე გადახტომა და მუშტით ჩხუბი ძალიან შორსაა რევოლუციური გმირობისაგან. ამგვარი ყაიდის „გმირული საქციელი“, რასაკვირველია, უთუოდ მოხიბლავს არაკვალიფიციურ მაყურებელს, მაგრამ მისი ასეთი აღტყინება კიდევ არ მონიშნავს იმას, რომ სურათმა საჭირო იდეოლოგიური და კულტურულ-აღმზრდელობითი როლი შეასრულა. ნუ დავივინწყებთ, რომ იგივე მაყურებელი ასეთივე ტრიუმფალურ მიღებას მოუწყობს „ნეტარხსენებულ“ ამერიკულ ფილმებს „ტარზანია-

დას“ სერიიდან (თავის დროზე ხომ კიდევ უწყობდა!). ხოლო ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა და კულტურული მაცურებელი ყალბ „გმირულობას“ არ დაიჯერებს.

„დარიკოს“ ბევრი რამ აკლია იმისათვის, რომ იგი ჩაითვალოს ნამდვილი ხელოვნების მაღალხარისხოვან ნაწარმოებად. კინოსტატობის ის დონე, რომლის სიმალღეზედაც ასულია „დარიკო“, საბჭოთა კინემატოგრაფიამ ძირითადად, კარგა ხანია, უკან ჩამოიჭოვა.

„დარიკოს“ წარმატების მიზეზი მასობრივ მაცურებელთა შორის მდგომარეობს, ერთი მხრივ, ყალბ ჰეროიკულ მდგომარეობათა გარეგან ეფექტებში და, მეორე მხრივ, მასში, რომ „დარიკო“ ძალზე გადატვირთულია მუსიკალური მასალით და თითქმის მთელი ფილმის დემონსტრაციის განმავლობაში შეუძლია, დაატკბოს მაცურებლის სმენა. მაცურებელთა ამგვარი ხერხით მონადირებას ჩვეულებრივ მიმართავენ მაშინ, როცა ფილმის შინაარსობრივი მხარე სუსტია და ცდილობენ სურათი მუსიკის ხარჯზე გაიტანონ. „დარიკოში“ ბევრს მღერიან, ხშირად ისეთ ადგილას, სადაც კარგად თქმული სიტყვა უფრო საჭიროა. ვაგონში „ნანა“ ჩვენ უადგილოდ არ მიგვაჩნია, მაგრამ „ნანა“ იმ სახით, როგორც ეს ფილმშია, უეჭველად ყალბია და არაბუნებრივი. რაც მთავარია, „ნანა“ უაღრესად გაჭიანურებულია. თვით სიმღერის შესრულება გვაფიქრებინებს, რომ მას მღერის არა ცხოვრებისაგან გატანჯული მოხუცი დედა, არამედ ოპერის მსახიობი; აქ „ნანა“ უნდა სრულდებოდეს ცრემლებით შეზავებულ მოთქმა-გოდებით და არა საოპერო არიის მსგავსად.

„ნანასთან“ დაკავშირებით ჩვენ გვაგონდება კიდევ ერთი სადავო საკითხი: ვაგონში ბაბაღე და გიგოია ლაპარაკობენ ქართულად. არის აგრეთვე სხვა შემხვევებიც, როცა რატომღაც ათიოდე სიტყვას რომ რუსულად იტყვიან, ერთს ან ორს ქართულად გამოურევენ; მოსე მწერალი ერთ ადგილას მაინცდამაინც ქართულად იგინება („ჟულიკიც ხარ და მამაძაღლიც“). რა მიზნით მიმართავს რეჟისორი დოლიძე ამ ხერხს, გაუგებარია. ყოველ შემთხვევაში ამგვარი „ხერხი“ გაუმართლებელია და ის არავითარ შემთხვევაში არ უწყობს ხელს სურათის მხატვრულ ერთიანობას და მისი ათვისების საქმეს. „დარიკოს“ მოქმედ გმირთა დიდმა უმრავლესობამ არ იცის რუსული; მათი ლაპარაკი წმინდა რუსულ ენაზე, ცხადია, პირობითია და სავსებით დასაშვები, მაგრამ ეს პირობითობა უხეშად ირღვევა, როცა მაგ., ბაბაღე ხან-ქართულად ლაპარაკობს და ხან-რუსულად: ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მან ქართულთან ერთად რუსულიც იცის და თავისი აზრების გამოსახატავად ხან რუსულს მიმართავს და ხან ქართულს. ამგვარი შერეული გახმოვანება სჩვევია სხვა ქართულ ფილმებსაც, რაც, ბოლოს და ბოლოს დროა, დაგმობილ იქნას, რადგან ის არავითარი მხატვრული ღირებულების მქონე არ არის.

თუ რაიმე გამარჯვებაზე ვილაპარაკებთ, „დარიკოს“ მიხედვით, ეს გამარჯვება მსახიობთამარ ციციშვილს და ოპერატორ შ. აფაქიძეს უნდა მივაკუთვნოთ. ციციშვილისთვის დარიკოს როლი დებიუტია არა მხოლოდ კინოში, არამედ საერთოდ ხელოვნების ფრონტზე. ციციშვილმა რამდენიმედ შეძლო, ხორცი შეესხა, სიცოცხლის სული შთაებერა დოლიძის დარიკოსათვის, რომლის სახე მეტწილად ყალბია, რადგან ცხოვრების სინამდვილეს ლალატობს. სამწუხაროდ, ძალზე სუსტმა სცენარმა ციციშვილს არ მისცა საშუალება, სრულად გამოემჟღავნებინა თავისი არტისტული ნიჭის ყველა მხარე: მას თითქმის მუდამ ისეთ სამოქმედო არეში უხდება ყოფნა, რომელიც დაკავშირებულია ან გაქცევა-დადევნებასთან, ან ცხენზე ჯდომასა და თოფის სროლასთან. ამგვარი ხასიათის ამბები დაკავშირებული მოძრაობის გარეგან მხარეებთან, საერთოდ ნაკლებად აძლევს მსახიობს არტისტული ზრდისა და თავის გამოჩენის შესაძლებლობას.

ოპერატორმა აფაქიძემ „დარიკოში“ თავი დააღწია სტილთა აღრევას, ეკლექტიზმს, რაც მის წინანდელ ნამუშევრებს ახასიათებდა (მაგ., „უჟმური“). აფაქიძემ შეძლო დარიკოსთვის მოენახა ერთიანი სტილი: მან ცარიზმის შავბნელი ხანა ასახა მუქ-ბნელი ფერებით, მაგრამ ეს იმგვარად, რომ ეკრანზე კუმტად ჩამონოლილი ფონი არ ჩრდილავს ადამიანს, უკანასკნელი მუდამ წინა პლანზეა წამოწეული. საბჭოთა კინო ადრინდელ წლებში საშინელ ექსპლოატაციას უწევდა ღრუბლებს, თითქმის ყოველი რეჟისორი იყენებდა მათ იმისათვის, რომ გმირების სულიერ განწყობილებას მეტი ემოციური ზეგავლენა მოეხდინა მაცურებელზე. დოლიძემ „დარიკოში“ კვლავ მიმართა ღრუბლებს, მაგრამ ისინი აფაქიძემ ისეთი ახლებური ოსტატობით გადაიღო, რომ შტამში არ მიგვიღია.

და ა ს კ ვ ნ ა: ფილმი „დარიკო“ ამახინჯებს ეგ. ნინოშვილის შემოქმედებას, რეჟისორმა ს. დოლიძემ, ქართული რევოლუციური მწერლობის კლასიკოსთან თანაავტორობით გატაცებულმა, არ სცადა, ღრმად ჩასწვდომოდა ნინოშვილის მოთხრობათა სულს და ამჯობინა, ნინოშვილის

სახეები და გმირები ყირაზე დაეყენებინა. აქედან მივიღეთ ის შედეგი, რომ ფილმი „დარიკო“ აყალბებს ისტორიულ სინამდვილეს და არ იძლევა სწორ წარმოდგენას 1905 წლის რევოლუციის წინა დღეზე გურიაში; ფილმში აბსოლუტურად არ ჩანს თუნდაც შორეული გამოძახილი იმ უდიდესი მუშაობისა, რომელსაც ამხანაგი სტალინი აწარმოებდა იმ ხანებში ბათუმსა და საერთოდ დასავლეთ საქართველოში. 1905 წლის რევოლუციის წინა დღეს დასავლეთ საქართველოს სოფელი და განსაკუთრებით გურია არ იყო მონყვეტილი რევოლუციური მოძრაობის საერთო განვითარებას; ბოლშევიკების აგიტატორები და პროპაგანდისტები თესდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლის თესლს. „დარიკოში“ კი ამის აჩრდილიც არ ჩანს. „დარიკო“ საერთო ჯამში ამცირებს, აკნინებს და აუფერულებს პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის გმირულ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რადგან ეს ფილმი მტრის ბანაკს ყოველგვარ თავის გამოვლინებაში გვიხატავს უძლურად და ტაკიმახსრულად.

საერთოდ, „დარიკო“, როგორც კინო-ხელოვნების ნაწარმოები, დგას დაბალ დონეზე. ს. დოლიძემ ამ ფილმით ცხადყო, რომ მან კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ სავსებით დაეუფლოს ფილმის დრამატურგიულ მხარეს, როგორც სცენარისტი, და ფილმის გამომსახველობით მხარეს, როგორც ნამდვილი ოსტატი, რეჟისორი.



## რუსთაველი

### გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 3 მარტი, 1984 წელი

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში მსოფლიო სახელი მოიხვეჭა ჩინელმა მსახიობმა მეი ლან-თანმა.

ასეთ დიდ პოპულარობას არა მარტო მის უბადლო ნიჭს მიაწერდნენ, ჩინური გვარების პირობაზე, ამბობდნენ მაშინ, მეი ლან-თანს ასე იოლად წარმოსათქმელი და ადვილად დასახსომებელი გვარი რომ აქვს, ამის ერთი მთავარი მიზეზთაგანი ესეც არისო.

ამ ათიოდე წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში საქვეყნოდ ცნობილ ფიროსმანს (ამ სახელწოდებით ჯერ კიდევ 1926 წელს დიდებული კრებული დაისტამბა ქართულ-რუსულ-ფრანგულ ენებზე!) „ისტორიული სიმართლე აღუდგინეს“ და გვარი დაუგრძელეს, აქაოდა, ჩვენი გენიალური მხატვარი სხვა ეროვნებაში არავის აერიოს და, დაე, ყველამ იცოდეს, დიდმაც და პატარამაც, ესპანელმაც და ეგვიპტელმაც, რომ მათთვის აქამდე ფიროსმანად ცნობილი მოგერმანელო ფიროსმან(ი) ამიერიდან მირზაანელი ფიროსმანაშვილია, ქართველიო.

და სწორედ ამ გვართ წარადგინეს იგი პარიზის გამოფენაზე, ლუვრში და... ნუ გვენყინება, თუკი ფრანგებმა მათთვის მიხვეულ-მოხვეული, უსაშველოდ გრძელი, კილომეტრიანი გვარი ისე ვერ ჩაიბეჭდეს მეხსიერებასა და გულში, როგორადაც ეს ფიროსმანის სევდიან ნიჭს შეეფერებოდა.

არათუ უცხო ტომის ხალხს, ზოგჯერ ჩვენც კი, ჩვენივე სამშობლოში ჩვენივე ზოგიერთი მამაპაპური გვარი როგორღაც გვეხამუშება და მათ უფრო სასიამოვნოდ წარმოსათქმელ, კეთილხმოვან და ლაკონიურ ფორმას ვაძლევთ ხოლმე.

დიახ, ყველა ეს ახალკაცები, ლაფაჩები, გავაშელები, ფხოველები, მუჯირები, სხვა არავინ არიან, თუ არა ახალკაციშვილები, ლაფაჩიშვილები, გავაშელაშვილები, ფხოველიშვილები, მუჯირიშვილები...

1930 წლის მოსკოვის თეატრალურ ოლიმპიადაზე რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი, „ისტორიულად“ აღექსანდრე (საშა) ახმეტელაშვილი მსოფლიოს გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეების წინაშე „მოითალიურო“ სანდრო ახმეტელის სახელ-გვართ წარდგა, მაგრამ არც

ერთ იქ დამსწრე უცხოელს (მოსკოველებზე აღარაფერს ვამბობ) ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ იგი ადრეული აღორძინების უცნობილესი იტალიელი მხატვრის სანდრო ბოტიჩელის თანამემამულეა.

ვინ არ იცის, რომ ჩვენ, ქართველებს, ძალზე გვიჭირს, ერთხელ შერქმეულ სახელებს გადავეჩვიოთ და მათი ახალი სახელები, რაგინდ დროული და ლამაზიც არ იყონ ისინი, ვინამოთ და შევისისხლხორცოთ...

აი, ჰკითხეთ რომელსაც გნებავთ გამვლელ-შემხვედრს, თანაც არა „ცხრა მთას“ იქით, ვთქვათ, ორთაჭალაში – სულ ახლოს, „ზემელზე“, სად არის-თქო ელბაქიდის ხიდი, სწორი პასუხი ათასიდან შეიძლება ერთისგან მიიღოთ და ეს მიუხედავად იმისა, რომ ვერის ხიდს ელბაქიდის სახელი ოფიციალურად რამდენიმე ათეული წლის წინათ მიეკუთვნა.

რაკი „ზემელი“ ვახსენე, ბარემ იმასაც დავძენ, რომ ახლა იშვიათად თუ იცის ვინმემ ამ „ზემელის“ ზუსტი ასავალ-დასავალი – კაცი იყო იგი, ქალი იყო, სოვდაგარი, პოლიცმეისტერი, სამიკიტნო თუ აფთიაქი, და მაინც, ეს „ვინმე“ თუ პაემანს დაგინიშნავთ, „შევხვედეთ ზემელზეო“, — გეტყვით და არა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს მოედანზეო (ამას, შეიძლება ისიც უწყობს ხელს, რომ ეს საგზაჯვარედინო მონაკვეთი სრულებითაც არ ჩამოჰგავს მოედანს).

ეს პატარა, მაგრამ, სამწუხაროდ, არცთუ კრიალოსანივით აწყობილი ექსკურსი მხოლოდ იმიტომ გავაკეთე და შორი გზით თვალისმომჭრელ მნათობს – რუსთაველს იმიტომ შემოვუარე, რომ მტკიცედ და გადაჭრით, მთელი ხმით ვთქვა: ნუ ვიმტვრევთ თავს რუსთაველის რუსთველად შესაცვლელად, თუ ჩვენს თავს არა, რუსთაველის თავს მაინც გაუფრთხილდეთ!...

რატომ?

რუსთაველის გასარუსთველებლად, საწერი პასტის გამოგონებამდე, მელანი დეკალიტრობით „გაიხმარეს“, და მერეც, მელნის მოდიდან ამოვარდნიდან, პასტაც ბევრი დაიხარჯა და ახლაც ბევრი იხარჯება, მაგრამ...

საამისოდ თუნდაც რესპუბლიკის საგანგებო დეკრეტ-კანონიც გამოიცეს, რუსთაველი ხალხის ცოცხალ სიტყვაში ფეხს მაინც ვერა და ვერ მოიკიდებს!

და ეს სრულებით ბუნებრივი და კანონზომიერი იქნება!

ბუნებრივი იქნება იმიტომ, რომ უკვე ორასი წელიწადია, ქართველი ხალხის სათაყვანო ხატი რუსთაველი, ქართველი ხალხის ყური ორასი წელიწადია, სარუსთაველოდ არის მომართული, ფიზიკურ საკვებს იგი აქამდე პურს ეძახდა, სულიერისას კი — რუსთაველს და ახლა...

კი, მაგრამ, იცის კი ვინმემ, ორასი წლის წინათ ქართველი ხალხი ზეპირ მეტყველებაში „ვეფხისტყაოსნის“ ღვთაება-შემქმნელს როგორ იხსენიებდა, რუსთველად თუ...

ეგებ, ვინ უწყის, რუსთაველად და... ანტონ კათალიკოსმაც ხალხის ხმას ყური მიუგდო და ამიტომაც პირველმა განამტკიცა კიდეც ეს წერილობით?!

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდია, თანაც ვარაუდია იმ კაცისა, რომელიც რუსთაველოგისა, სამწუხაროდ, ისეა დაშორებული, როგორადაც ფილოლოგია — ბიოლოგია, თუმცა...

ესეც არის, ახლა ამაზე მტკიცე, დასაბუთებულ პასუხს ვერავინ, ვ ე რ ა ვ ი ნ გასცემს, არათუ ჩემნაირი მოხალისე „მკვლევარი“, ვერც... მეპატიოს, თუ ეს წრეგადასულ თავხედობად ჩამეთვლება! ვერც ჩვენი მეცნიერების არქიპატრიარქი, ბატონი აკაკი შანიძე და ვერც ამ მეცნიერების რიგითი მსახური, ამხანაგი ვახტანგ კუპრავა... ამის უტყუარი პასუხის მოცემა ანტონ კათალიკოსს და მის თანამედროვეებს (მათს წინაპრებსაც!) თუ შეუძლიათ და რარიგ დასანანია, რომ ისინი ცოცხლები აღარ არიან და ისიც რა დასანანია, რომ იმ დროს მაგნიტოფონი ჯერ კიდევ არ იყო „გაყიდვაში“, თორემ ხომ ჩაუნერდნენ შთამომავლობას ფირზე თუნდაც მზითვის სიას რომელიმე ასულისას, სადაც ალბათ, თავში მოიხსენიებდნენ, ეძლევაო „მპუხისტჰა(ო)სანო“ შ(ო)თა რუსთა...?

კარგი, ბატონო, და... შეიცვალოს რუსთაველი რუსთველზე, მერედა ამით ქართველი ხალხის თვალში რუსთველს ვითომ რამე შეემატება?

არა მგონია!

არაქართველობაში კი, საერთაშორისო მასშტაბით, შეიძლება დააკლდეს კიდეც, როგორც ეს დააკლდა ფიროსმანს გაფიროსმანაშვილობით.

1966 წელს რუსთაველის იუბილეს დღეებში ერთმა წავკისელმა გლენმა, დიახ, გლენმა (ყვავილების მოყვანა და მათი გაყიდვა ადამიანს არ უნდა ეძრახებოდეს, საძრახისია ვაზის აჭრა და მის ნაცვლად „ხაბურზაკის“ კულტი!), რუსთაველის თეატრთან შეჯგუფულ უცხოელთა და-

ნახვისას თქვა, შოთას იუბილე ვინ მოიგონა, შ(ო)თას ჩვენს გულში ისეც მუდამდღე იუბილე აქ-  
ესო...

არა, იუბილე უნდა არა მარტო ახლა ასე, მანჭკვალა სოკოსავით მომრავლებულ წვრილფე-  
ხა „ღვანლმოსილთ“, არამედ სულმნათ შოთასაც და ეს მართლაც არა იმდენად ქართველი ხალ-  
ხისათვის მის მოსაგონებლად, რაიც მას, სხვათა შორის, სრულებითაც არ სჭირდება, რამდენა-  
დაც უფრო არაქართველთათვის!

ღიას!

ვიდრე ცოცხალი იყო, ერთმა დიდად და სახელოვნად მიჩნეულმა პატარა მწერალმა, რო-  
მელსაც იმდენი განჭვრეტის უნარი კი გააჩნდა, რომ თავისი უკვადავებისა ბევრი არაფერი სჯე-  
როდა (აუხდა კიდევც!), ერთხელ მითხრა, მე სულაც არ მანუხებს, რას იტყვიან ჩემზე სიკვდილის  
შემდეგ, აბა, რა ემატება ახლა რუსთაველს, თუ აქებენო...

იმქვეყნად რუსთაველს ამით, ცხადია, არაფერი არ ემატება, მაგრამ ემატება ამქვეყნად  
ერს, ვინც ის წარმოშვა.

ჰოდა, სწორედ ამიტომაც რუსთაველი ჩვენ „გარეთ გასატანად“ უფრო გვჭირდება, ვიდრე  
„შინ სახმარად“; მის გენიას ბავშვობიდანვე ჩვენ ისე ვეჩვენით, რომ მერე, და მერე, ასე გვგონია,  
რომ იგი ყოველი ჩვენგანის ოჯახის ღვიძლი წევრია.

ჩვენს საუკუნეში რუსთაველის სამსოფლიო გენიოსად აღიარებისათვის მისმა ორგზის იუ-  
ბილემ დიდზე დიდი საქმე გააკეთა: უცხოეთის არა ერთსა და ორ ენაზე, ასე განსაჯეთ, იაპონუ-  
რად და ებრაულადაც კი ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და ამჟამად თურქულად და არაბულადაც  
„ჭაშნიკდება“, საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე კი... ვინ დათვალოს! მოსკოვში, ტაშკენტში,  
ბაქოში, ერევანში, ზაპოროჟიეში და, ალბათ, სხვა ქალაქებშიც შეერქვა ქუჩებს შოთას სახელი;  
საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში აღიმართა მისი ძეგლი, რა პატივიც, სხვათა შორის, არარუს  
ეროვნებათა უგამოჩინებულეს შვილთაგან მხოლოდ რუსთაველსა და შევჩენკოს ერგო... მოსკო-  
ვის ვ.ი. ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შენობის კარნიზზე ჩამწკრივებულ ჩვენი  
პლანეტის უდიდეს ადამიანთა ბიუსტებს შორის ერთ-ერთი პირველთაგანი, მსოფლიო მასშტა-  
ბის კვალობაზე, ერთი მუჭა ხალხის, ქართველი ერის გენიალური შვილის, შოთა რუსთაველის  
ქანდაკია!..

ჰოდა, თუკი ახლა ჩვენ რუსთაველს რუსთველად გადავნათლავთ და დავაკანონებთ, ხომ  
უნდა ვუთხრათ არაქართველთ, ვინც რუსთაველი რუსთაველად შეიცნო, აღამაღლა და შეიყვა-  
რა:

- ჰ ე ი , თ ქ ვ ე ნ , პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ნ ო ! . . . ინგლისელებო, გერმანელებო, ფრანგე-  
ბო, იტალიელებო და კიდევ მრავალზე მრავალნო სხვანო და სხვანო!.. და-ძმებო ჩვენნო, რუსე-  
ბო, უკრაინელებო, ბალყარელებო, სომხებო, ოსნო და აფხაზნო!... თქვენი თარგმანების ხელახ-  
ლა დაბეჭდვისას „რუსთაველი“ უეჭველად გადაასწორეთ „რუსთველად“, მანამდე კი ყველგან,  
თქვენს ქალაქებში გადაღებეთ რუსთაველის ქუჩები რუსთველისაზე, მოსკოვში კი ძეგლზე და  
ბიუსტზე წარწერაში „Руставели“ ამოაგდეთ ასო „А“! აგრეთვე იმ ვებბერთელა გემის ქიშხეც,  
რომელიც უკვე სამი ათეული წელიწადია, ათასობით სტუმრის მასპინძელი, ოკეანის ცხრასარ-  
თულიან ტალღებს რომ მიარღვევს ხოლმე!

ახლა ესეც ვიკითხოთ, არ იტყვიან ჩვენგან ყველა ეს პატივცემულნი, ამ დალოცვილებს  
რვა საუკუნე დასჭირდათ, თავიანთი უპირველესი გენიოსი შვილის გვარის (თუ ფსევდონიმის)  
სწორი ფორმა რომ დაედგინათ?!

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვახტანგ კუპრავას წერილის სათაურ-კითხვაზე  
(იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 9.12.83) „რუსთველი თუ რუსთაველი?“ ჩემთან ერთად –  
ამაში ეჭვი არ მეპარება – ასი ათასობით ქართველი უპასუხებს:

— რუსთაველი!

მინაწერი:

— ამგვარადვე იხსენიებდნენ რუსთაველს ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშავე-  
ლა, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, მიხეილ ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუ-  
ბიძე...

## რამდენს იწონის თქვენი საქმრო ანუ უსამიკიტნო მიკიტნაში

გაზეთი „კომუნისტი“, 13 აგვისტო, 1985 წელი

ამ ნახევარი საუკუნის წინათ, „უკანასკნელი მასკარადის“ გადაღებისას, მისი დამდგმელი, რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი ერთ მოზრდილ სიძნელეს წააწყდა: მენშევიკური საქართველოს ცხოვრების ამსახველი სურათისთვის მას სჭირდებოდა მშრომელი ხალხის შეუბრალებელი მყვლეფავისა და სისხლის მსმელის, არსებითად ძალზე პატარა როლის შემსრულებელი.

სულაც არ იყო აუცილებელი, რომ ის პროფესიონალ მსახიობს ეთამამა, უფრო საჭირო იყო, იგი მიკიტანს მგვანებოდა: ლაბაბიანი და დიდმუცლიანი, ლოყებგამობერილი, მოკლედ, კაცი, თავის მოძალებულ ქონში რომ იხრჩობოდა...

სიუჟეტის მიხედვით, ასეთ მოადამიანო ცხოველს „კოცნის აუქციონზე“ დიდი ფულის ფასად სიმბოლური თამარ მეფისათვის უნდა ეკოცნა; თამარს „ლამაზების ხელმწიფა“, ნატა ვაჩნაძე ასახიერებდა და, რეჟისორის ჩანაფიქრით, „ჯაყოს“ გაქონილი ლოშნა ამაზრზენ შთაბეჭდილებას მოახდენდა...

და აი, დაიწყო საქართველოს დიდსა და პატარა ქალაქებში ამ მურტალი ტიპაჟის ძებნა, სოფლად კი, თავისთავად ცხადია, არც უცდიათ: თოხისა და ბარის, მიწის მოტრფიალეთა შორის მისი მონახვა ფუჭი გარჯა იქნებოდა, მაგრამ არც ქალაქად ძებნამ გამოიღო სასურველი შედეგი; მაშინდელ, უკვე ექვსასათასიან თბილისში მხოლოდ ერთადერთი ფაშვიანი კაცი იყო, გვარად ალშვანგი, თუ არ ვცდები, საკომისიო მაღაზიის გამგე, მაგრამ მისი ამ როლზე აყვანა შეუძლებლად მიიჩნიეს, მას ქართული იერისა არაფერი ეცხო; ყოფილი ქართველი მიკიტნები კი, ახალი ცხოვრების წყალობით, უკვე იმდენად ქონდაყრილები იყვნენ და შამფურივით გამხდრები, რომ მათგან იმ ხანებში ქუთაისში საკმაოდ ცნობილ ცეკვის მასწავლებელ აკირტავას თამამად შეეძლო, „კინტაურის“ მოცეკვავეთა წრე ჩამოეყალიბებინა...

ჰოდა, საბოლოოდ იმედდაკარგულმა ჭიაურელმა ამ თითქმის მუნჯ როლზე შალვა ღამბაშიძე მიიწვია, უკვე სახელოვანი მსახიობი, რომელიც „მიკიტნობით“ თუმცა არ გამოირჩეოდა, მაგრამ რაკი უკეთესი ნატურა ვერ მოინახა და ეს კი ზორბა ტანის მაინც იყო, აღარ დაიწუნებოდა.

...ვთქვათ და ახლა, ხელმეორედ რომ დააპირონ „მასკარადის“ გადაღება, მიკიტნები თუმცა, როგორც ერთ-ერთი ფენა ჩვენი ადრინდელი, უკუღმართი საზოგადოებისა, დიდი ხანია, ამოიძირკვა და გადაშენდა, როგორ ფიქრობთ, დღევანდელ რეჟისორს საქართველოში განა გაუძნელდება არათუ ერთისა და ორის, ათასობით „მიკიტნის“ მონახვა?..

არა მგონია, ვინმესთვის დიდმუცლიან ქართველთა უზარმაზარი არმია ძნელი შესამჩნევი იყოს; ამისათვის მაინცდამაინც არ არის აუცილებელი, ქალაქში ქვეითად იაროთ, განა მათ ცოტას ხვდებით კრებებზე, თათბირებზე, სტადიონებზე, ქელეხებში თუ ქორწილებში?!

ისე კი, ურიგო არ იქნებოდა, ერთხელ მაინც, თუნდაც სასაქონლო-სახალისოდ, ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში საგულდაგულოდ გაივლ-გამოვივლიდეთ „ჩოთქით“ ხელში: რაღაც განსაკუთრებული მახვილი თვალის გამობმა სულაც არ დაგჭირდებათ, რომ შენიშნოთ - ყოველ მეოთხე-მეხუთე მამაკაცს, მათ შორის ბევრზე ბევრ სრულიად ახალგაზრდასაც, უბიუსტჰალტერო ქალის ძუძუებით, როგორ ერხევათ და უტოკავთ ქონში მცურავი მუცლები...

თვალი შეიძლება იმასაც შეასწროთ, „მიკიტან-მძლოლების“ გადმოსვლისას, მარცხნივ გადაყანთრული „სანყალი“ მანქანა წელში როგორ იმართება და რა შვებით ამოისუნთქავს ხოლმე...

ამას წინებზე ერთ-ერთ გაზეთში რეპლიკისებური პატარა წერილი დაიბეჭდა: მკაცრად იკიცხებოდა ის ქართველები, ვინც ჩვენს რესპუბლიკაზე – მის გარეთ! – ცუდს ლაპარაკობს და, ამგვარად, სახელს უტეხს მას!..

კი, მაგრამ ზოგიერთების ჭკუაზე მოყვანის ამ შემგონებლებმა ნუთუ აქამდე არ იციან, რომ ჩვენი, ქართველური ხასიათის ერთ-ერთი დამღუპველი და დასაგმობი თვისება სწორედ

შინ და გარეთ უსაზომო ტრაბახია, ვ.ი. ლენინი განზოგადებულად, „Национальное чванство“-ს რომ ეძახდა.

და ვინც ჩვენთან, საქართველოში ჩამოდის, უთვალონი და ბრმანი არც ისინი არიან და, ასე წარმოიდგინეთ, ბევრი მათგანი, თურმე, არც იუმორის გრძნობასაა მოკლებული...

დიახ, ეს ზუსტად ჩვენი, „ტყუებზე ფეხმძიმე“ მამაკაცების ნახვით გატაცებულმა არაქართველმა სტუმრებმა გამოგვიგონეს:

— „Грузина с машины , мотору легче!  
(მსგავსად - Бабу с воза, кабыле легче!“).

ქართველ ქალიშვილს ეკითხებიანო:

— Сколько весит Ваш жених?

ერთი რუსი, დიდად ცნობილი ესტრადის მომღერალი ქალი, თავისი კონცერტების შუალედში ფილარმონიის დარბაზში რომელიღაც საღამოს დაესწრო და მერე, მოსკოვში ჩასვლისას, არ მოერიდა, ქართველი ნაცნობებისთვისაც კი ეთქვა:

— „Боже мой, всю Канаду и Америку объездила, но там столько откормленных, толстопузых мужчин не видела, сколько видела только на одном концерте в зале Вашей филармонии!..

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში ერთი ჩემი სახლიკაცი მუშაობს, რომლის ომში დაღუპული მამა ჭაბუკობისას ჩემი ტოლ-ამხანაგი გახლდათ... მისი შვილი, ახლა არცთუ ახალგაზრდა და არცთუ ისე ხნიერი, მისი ბავშვობის მერე შარშან პირველად ვნახე და გულს შემომეყარა:

— რა არის ამოდენა მუცელი, მუშაკაცი მაინც არ იყო! მამაშენს საჩოხე ტანი ჰქონდა!..

იცით, თავი რით იმართლა და რა მიპასუხა?

მაშინ, ბატონო, საჭმელი არ იყოო...

ჰო, მაგრამ... როგორ ვიფიქროთ, კანადელები და ამერიკელები იმიტომ ინარჩუნებენ „საჩოხე ტანს“, რომ საჭმელი არ გააჩნიათ?!

ყმანვილობაში თავად ყოველთვის სანახევროდ მშვიერს, საკუთარი თვალთ უნახავ მილიონერებს ვებარებოდით: ასე მეგონა, ისინი., მხარეთქოზე წამოწოლილნი, სულ ჭამით იყვნენ გართულნი... ჩემს ამ ფანტაზიას ხელს ნაწილობრივ ისიც უწყობდა, რომ იმდროინდელ საბჭოთა ფილმებში მდიდარ კაპიტალისტებს ჩასუქებულ-ჩადიდგინებულად წარმოგვისახავდნენ (ოციანი წლების ერთ უკრაინულ ვითომ პამფლეტში ამერიკელი მილიონერი, რომელსაც ტანსქელი ამბროსი ბუჩმა თამაშობდა, ღარიბი ამერიკელისაგან კუჭს ყიდულობს: უნდა, ორკუჭა იყოს!).

აი, ერთიც სულ უახლესი ამბავი: ორიოდე თვის წინათ მოსკოვს ეწვია ჟაკ ივ კუსტო, საფრანგეთის სიამაყე, მსოფლიოში უგამოჩინებულესი ოკეანოლოგი, 75 წლის ასაკშიც კი, ზღვასთან შებმისას ყოველთვის ის რომ გამოდის გამარჯვებული...

ჰოდა, ზღვის ეს რაინდი ტელევიზიის კინომოგზაურთა კლუბის მოამბემ, იური სენკევიჩმა რესტორანში მიიპატიჟა. მერე, ამის თაობაზე თვით კუსტომ განაცხადა:

— სამწუხაროდ, მე ვერ ვისარგებლე ბატონ სენკევიჩის სტუმართმოყვარეობით და რიგინად ვერ გავეცანი დიდებულ რუსულ სამზარეულოს... მე, საერთოდ, ძალზე ძუნწად გეახლებით ხოლმე.

თითქოს უცნაურია! ამ საზეიმო „სადეგუსტაციო“ საღამოსაც კი არ აჰყვა მუცლის დახილს კაცი, რომელმაც საფუძველი დაუდო წყალქვეშა გამოკვლევებს, გამოიგონა აკვალანგი, ააშენა წყალქვეშა სახლები, ზღვის ცხოვრებაზე დანერა წიგნები და გადაიღო ფილმები...

და ყოველივე ეს გააკეთა თითქმის ჩიტის ულუფაზე მყოფმა!

ჩვენ კი...

ო-ო, კუსტო რომ თბილისსაც სწევოდა, ანდა ქუთაისს, რომელ ქუჩაშიც გაივლიდა და რომელ შეკრებილობაშიც მოხვდებოდა, თუნდაც დასავლეთ საქართველოში ერთი ახლად ჩამოყალიბებულ მომღერალთა გუნდის გამოსვლას დასწრებოდა, ყველაზე უფრო თვალში საცემი ჩვენი მუცლების მნახველი, ფარგასავით გამხდარი ეს კაცი პარიზს, აბა, ჩვენზე რა საქებარ ამბავს ჩაიტანდა?!

როგორ, მის წინაშე თავს იმით ვიმართლებდით, რომ ასი ათასობით ქართველს ეს სიმსუქნე-სიმახინჯე რაღაც ნივთიერებათა უკუღმართი ცვლის მოშლის შედეგად აქვს თუ დიაბეტით

არიან ყველანი დაავადებულნი? განა ვერ მიგვიხვდებოდა, რომ ამის მთავარზე მთავარი მიზეზი ღორული ჭამაა, ხარისებური სმა და თანაც კუსებური „სიცქვიტა?!“

(ისე კი, ესეც ვიცოდეთ, თუ მუცელს კვლავინდებურად ალორებ, მაშინ გასახდომად ვე-  
ლარც გულამოვარდნილი ქოშინიანი სირბილი გიშველის და ვერც უარის თქმა ლიფტზე და ვერც  
თუნდაც ორმოცი ცალი სიგარეტის მოწევა დღეში!).

ჩვენი ეს სამარცხვინო სენი კიდევ უფრო იმით მწვავედება, რომ მას მოსარჩენი პირი არ  
უჩანს, რადგან მეცხრე თვეზე მყოფი მოსარჩენი ქალების მსგავს მუცლიან მამაკაცებს სულაც  
არ ერცხვინებათ ზედმეტად ათეული კილოგრამობით დაგროვილი სიგონჯისა...

ამ მხრივ, მათთან შედარებით, ჩვენი ქალების უმრავლესობა უფრო ტანკენარი არიან და...  
ხშირად ვფიქრობ ხოლმე, ჩვენი დროის ამ უსამიკიტნო მიკიტნებს ნუთუ ქალების მაინც არ ერ-  
ცხვინებათ. აი, მაშინ მაინც, როცა მათ გვერდით სელაპივით (Тюлень) ზოზინით წვებიან და ლუ-  
არსაბ თათქარიძის საბერველისებრი მუცლით, ლაბაბამდე რომ სწვდებათ, ოხრავენ და ხვნეში-  
ან...

თითქოს ნამდვილ მამაკაცს სირცხვილი უნდა სწვავედეს, როცა ვეებერთელა ღიპს ქვემოთ  
ველარაფერს ხედავს, რასაც რუსულად, სხვათა შორის, „Зеркальная болезнь“-ს ეძახიან: სარკე  
უნდა მოიმარჯვო, რომ დარწმუნდე, ლეში კი არა, ერთი ნიშნის მიხედვით, თითქოს მაინც მამა-  
კაცი ხარ...

თუნდაც ყოველგვარ ესთეტიკურ კატეგორიებს რომ თავი დავანებოთ, სიმსუქნე, საერ-  
თოდ, სამარის ნაადრევად გამთხრელია, ჩვენი მასობრივად მოდებული ასეთი სიმსუქნე კი,  
რომლითაც თავს თუ არ იწონებს, ყოველ შემთხვევაში, ყოველ მეოთხე-მეხუთე ქართველ მამა-  
კაცს სამარცხვინოდ არც მიაჩნია, ეს არის არა მხოლოდ ზნეობრივი, ფიზიკურად გადაგვარების  
მომასწავებელი!..

მერედა რა ვქნათ, რით ვებრძოლოთ ფაშვიან და „დუმიან“ მამაკაცებს, საქართველოში  
ეროვნული უბედურების მასშტაბს რომ ღებულობს? როგორ ვებრძოლოთ უზომო ჭამა-თქვლე-  
ფას, გასუქებულობის ძირითად და უმთავრეს წყაროს?

დადგენილებით? მოწოდებით?

არც ერთი და არც მეორე მინიმალურ დადებით შედეგსაც არ გამოიღებს. საამისო მაგალი-  
თების დასახელება მრავლად შეიძლება. აი, თუნდაც... — ივარჯიშეთ, დაუმეგობრდით ფიზ-  
კულტურას, „ქართველო, ფეხი ბურთს გაჰკარ“, - პრესის საშუალებით სულ ახლახან მიმართეს  
მოსახლეობას დიდად ცნობილმა, სხვათა შორის, ერთი-ორის გამოკლებით, თითქმის ყველა ოთ-  
ხმოსც მიტანებულებმა, უფრო მეცნიერება-ლიტერატურის, ვიდრე ფიზკულტურა-სპორტის ვე-  
ტერანებმა, მაგრამ მათი ცეცხლოვანი მოწოდება ისე ჩაიფერფლა, „ბურთი“ „ცენტრიდან“ ერთი  
სანტიმეტრითაც არ დაძრულა...

თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, მე პირადად არ მჯერა,  
თითქოს ხელოვნებას და ლიტერატურას შეუძლია, რაიმე შესამჩნევი დადებითი ზემოქმედება  
მოახდინოს ჩვენი დროის ადამიანზე, ანდა, ეგრეთ ნოდებულ იდეურ-აღმზრდელობით  
მუშაობას საზოგადოებისათვის რაიმე რეალური, ხელშესახები სასიკეთო ნაყოფი მოჰქონდეს,  
მაგრამ ცოტათი მაინც... სადღაც... როგორღაც...

და ამ „მაინცს“ და „როგორღაცის“ სარგებლობის მომტან ნაყოფს ისევ სატირისა და კომე-  
დიის სფეროში თუ ნააწყდება მკითხველი, უფრო კი მაყურებელი...

ნურავინ იფიქრებს, ჩემი ასეთი მიკერძოება იმით აიხსნება, რაკი მე, ასე თუ ისე, ცოტა მა-  
ინც რაღაც მაკავშირებს ლიტერატურის ამ „მეორეხარისხოვან“ სფეროებთან და ამიტომაც  
ვცდილობ მათ ამაღლებას მავანის თვალში.

არა!

ვის არ გაუგონია ჯერ კიდევ როდინდელი გამოთქმა, დაცინვის მეფეებსაც კი ეშინიათო.  
შეიძლება ამიტომაც იდევენებოდა „ტარტიუფი“, „ფიგაროს ქორწინება“, „ვაი ჭკუისაგან“, ერ-  
დმანის „მანდატი“...

ტელევიზიას...

ტელევიზია რაკი უკვე, კარგა ხანია, ყველა ოჯახის ისეთ წევრად გადაიქცა, რომლის მო-  
ნოდებულ აზრს, ზოგიერთს მაინც, იძულებული ხარ, ანგარიში გაუწიო, მით უმეტეს მაშინ, რო-  
ცა იგი სამართლიანია, ბასრი და გამჭირდავი თვალთ შემოგვხედავს, შეიძლება ამან ყეყეჩიც კი  
ჩააფიქროს.



დიახ, ჩემი სკეპტიკური რწმენითაც კი, ტელევიზიას უთუოდ შეუძლია, თუ დიდი არა, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი პრაქტიკული სარგებლობის მოტანა ღორმუცელობასთან ბრძოლაში, რომელიც, დასტურ, ლოთობაზე ცოტათი მაღლა იმით დგას, რომ გონწართმეული ლოთი შფოთისთავი და აგრესიულია, ავმუცელა კი, თუ ამავე დროს ბახუსთან არ არის ხელი-ხელგადაჭდობილი, რაც, სხვათა შორის, ძალზე იშვიათია, ბაყაყადაყლაპული გველივით მთვლემარეა და მოშვებული.

ამის გასაკიცხად და დასაგმობად ტელევიზიამ უნდა გაიარ-გამოიაროს ჩვენი ქალაქების ქუჩებში და ფარული კამერის მეშვეობით გამოაფინოს საკუთარივე ჯანმრთელობისა და სილამაზის მტრები – ღიპოსნები, ჩვენი დროის თათქარიძეები, „სარკის ავადმყოფობით“ დაავადებული „დიდი ქართველნი...“

დიახ, უნდა შეიქმნას ნაწილობრივ დოკუმენტური, ნაწილობრივ მხატვრულად შეთხზული მოკლე, ათწუთიანი ტელეფილმები, თავისთავად იგულისხმება, მახვილტექსტიანი...

და, რაც მთავარია, ისინი არ უნდა უჩვენონ მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ – ასეთ შემთხვევაში ჩიტი ბდღვნად არც ეღირება. თუ გვსურს, სასურველი ნაყოფი გამოიღოს, მას უნდა უჩვენებდნენ მრავალჯერ და სისტემატურად, თანაც – ნუ გაიკვირვებთ! – პროგრამაში წინასწარ გამოუცხადებლად, ერთგვარად მოულოდნელად. მაშინ „შეურაცხყოფილი“ კუჭოსან-ღიპოსანი ეკრანს ვერ გაექცევა, ძალაუნებურად სკამს მიეჯაჭვება და მისი მუცლის საზიანოდ თავში ჩაკაკუნებასაც უფრო გარკვევით იგრძნობს.

ეს ოდნავადაც არ იქნება მათი პიროვნების შეურაცხყოფა, ეს იქნება ბრძოლა, მიმართული ისევ და ისევ მათი პიროვნული ღირსებისა და ჯანმრთელობისათვის, ბრძოლა „ანტიმიკიტნობისათვის!“

ცხადია, ასეთი გამკილავი, სარკეში ჩასახედი მინი ფილმები მარტო იმპროვიზაციაზე ვერ აიგება, მას გონივრული სცენარი დასჭირდება, რომელიც სწორედ ზაფხულში უნდა გადაიღონ, როცა „დიდი ქართველების“ მონუმენტური ღიპების „მხატვრული“ კონტურები უფრო რელიეფურად გამოიყურებიან მზეზე და მწვანეზე, ვინროდ შემოსალტული ჯინსებისა და „ადიდასის“ გამჭვირვალე მაისურების ფონზე...

ვშიშობ კი, რაკი მსგავსი რამ ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში არ გაკეთებულა, ვაითუ შეყოყმანდნენ უკვდავი ბელიკოვის დაუვინყარი დევიზის — „Как бы чего не вышло“-ს გამო, მაგრამ მაინც არა მგონია, ამისათვის მისი წამომწყებნი როგორღაც შეაფუცხუნონ...

ეს იყო დიდი ხნის წინათ, როცა „Как бы чего не вышло“-ს ასჯერ უფრო მეტად უფრთხოდნენ, ვიდრე ახლა: იმ ხანებში თეატრების სამმართველოს განაგებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, ერთობ გონიერი და ერთობ ლამაზი... ჩემს ერთ ადრინდელ კომედიაში თავმოტვლეპილობას, ცოტა არ იყოს, არცთუ მონივნებით ვისხენიებდი და... ამ ამხანაგმა სპექტაკლის გასინჯვისას ეს ადგილი ფიცხლავ ამოაგდო და როცა მე გადალიანება დავაპირე, შემომწყრა:

— წარმოდგენაზე ამხანაგი N-ი რომ მოვიდეს და ეს გაიგონოს, რას მეტყვის?!

— რატომღაც მაინც არა მგონია, მელოტ ამხანაგ N-ს, თუკი იგი, რა თქმა უნდა, იუმორის გრძნობით საერთოდ აღჭურვილი იყო, ამისათვის თეატრების უფროსისათვის დიდებული ხუჭუჭი თმა ბლუჯა-ბლუჯა დაეგლიჯა.

— ჩვენს ბედად, ჩვენს ხელმძღვანელებს, ღვთის მადლით, ღიპის ნასახიც არ ემჩნევათ და, ასეც რომ არ იყოს, ისინი, ჩემი ფიქრით, „დიდმუცლიანობასთან“ ბრძოლას უფრო შეუერთდებიან, ვიდრე გაემიჯნებიან.

საერთოდ კი...

სერგო ორჯონიკიძე, მძიმე მრენველობის სახალხო კომისრად ყოფნისას, წვერგაუპარსავს არავის, თუნდაც იგი „ურალმაშიდან“ ყოფილიყო სპეციალურად გამოძახებული და იმავე დღეს, გვიან დილით ჩამოსული, მაინც არ მიიღებდა და შეახურებდა კიდევ...

ჰოდა, ჩვენი ხელმძღვანელებიც მძიმე წონის თანამდებობის პირთ, ვიდრე ისინი საშუალო წონამდე მაინც არ დაიკლებენ, ერთსაც თუ არ მიიღებენ...

ო-ო, მაშინ, ცხადია, რიტმი ჩვენი საქმეებისა წაიფორხილებს და დალაღატდება...

აბა, როგორ?! ცოტანი რომ გვყავდნენ ასეთნი, მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ...

შარშან დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რაიალმასკომის მორიგი სესია გაიმართა; სესიის დამთავრებას, ბუნებრივია, დღის წესრიგის ბოლო, დაუნერული პუნქტი – ღვინუხვი და ხორცუხვი ბანკეტი მოჰყვა, რომლის ყველაზე ძვირფასი სტუმარი საინსპექციოდ თბილისიდან

ჩასული ამხანაგი ქალი გახლდათ. მერე ამ ჩემმა ნაცნობმა ქალმა საუბარში ბანკეტს ასეთი რეზიუმე გაუკეთა:

— ღვინო იღვრებოდა კოკისპირულად, მაგიდები იზნიქებოდნენ ფუთობით პურმარილისგან, სკამები ჭრიჭინებდნენ რაიონის სულ რჩეულ-რჩეული ათფუთიანი გვამებისაგან!..

გვახსოვდეს: ხელისუფლების ფაშვგადმოყრილი წარმომადგენელი – სულ ერთია, იგი კოლმეურნეობის ბრიგადირი იქნება, მილიციის მუშაკი, რევიზორი თუ მინისტრი, რაიმეს თავმჯდომარე თუ რაიმეს მდივანი, სახელს უტეხს ხელისუფლებას პატიოსანი, „გამხდარი“ ხალხის თვალში!

ყველა რანგის „მუცელს“ - დღეს ასე მოძალებულ ჩვენს ეროვნულ სიგლახეს, ერის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით-ყველა „არამუცლიანმა“ უნდა ვებრძოლოთ მოურიდებლად და დაუნდობლად!

ტელევიზია ერთ-ერთი პირველი უნდა დადგეს ამ ბრძოლის ფრონტზე!

10 ივნისი,  
1985 წელი

კ.პ.



## **აჲა თუ იმ ქათამს ფარშავანები რომ შევარქვათ, ის ქათამი ამით ვითომ ივარშავანებუს?!**

**გაზეთი „კომუნისტი“, 24 ოქტომბერი, 1988 წ.**

ბატონმა ირაკლი აბაშიძემ ცხრამეტი ოქტომბრის „თბილისში“ გამოთქვა გულმხურვალე სურვილი და მასთან ერთად პრაქტიკული მოსაზრება-წინადადებაც წამოაყენა იმის თაობაზე, რომ დავით აღმაშენებლის, ამ „ბრძენკაცის, მეფისა და სწორუპოვარი ლაშქართწინამძღოლის“ სახელობის პროსპექტი დაამშვენებსო თბილისს (იგულისხმება, ალბათ, დავით აღმაშენებელსაც!), და რომ ეს უნდა იყოს არა „უბრალოდ რომელიმე ქუჩა“, „არამედ სწორედ ქალაქის ცენტრალური არტერია. ასეთად კი გვეგულება პლენხანოვის პროსპექტი“-ო.

... და იქვე დასძინა, „გვჯერა, ამით ყოველი მამულიშვილის, თითოეული თბილისელის გულისტქმას, მისწრაფებასა და სურვილს გამოვხატავთ“-ო.

ეს ვარაუდი კი, ღმერთო, შენ შეგცოდე და... არ უნდა იყოს მაინცდამაინც სულ მართებული: ვეჭვობ, რომ იგი ყველა მამულიშვილისა და ყველა თბილისელის გულისტქმას გამოხატავდეს.

აი, თუნდაც...

ო-ო, დიდი თავხედობაა, საკუთარ თავს ეს მაღალზე მაღალი და წმინდათანმიდა სიტყვა – მამულიშვილი! – შენვე მიაწებო-მიაკერო, მაგრამ, მაგალითად, მე რომ თბილისელი ვარ, ამას ჯერ „დომკომობის“, მერე „უაკტობის“ და ახლა კი „უეკობის“ ყველა საბუთი დამიდასტურებს და, ალბათ, ამას არც ერთი ძე კაცისა სადავოდ არ გაიხდის.

მაგრამ ჯერ...

ასეთი მაინც რა დაგვიშავა, რით შეგვარცხვინა გიორგი ვალენტინის ძე პლენხანოვმა, რომ მისი სახელობა ჩამოვართვათ პროსპექტს, რომელსაც იგი სამოცდათერთმეტ წელიწადს ატარებდა?

რამდენადაც ვიცი, პლენხანოვის სახელობის არათუ პროსპექტი, ქუჩა-ჩიხიც კი არ არის არც მოსკოვში და არც ლენინგრადში, და თუ ჩვენთან არის, თბილისში, ეს ჩვენთვის თავმოსაწონიც უნდა იყოს.

რა ვუყვით, რომ პლენხანოვი მენშევიკთა ლიდერი იყო და ოქტომბრის რევოლუციას უარყოფითად შეხვდა!

გიორგი პლექანოვი იმდენად ყოველმხრივ მნიშვნელოვანი და პ ა ტ ი ო ს ა ნ ი მოაზროვნე-მარქსისტი გახლდათ, რომ მას ლენინი ერთობ დიდად აფასებდა. სტალინმაც ომის დასაწყისში, როცა საბჭოთა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ბედი ბენჯზე დაეკიდა და ხალხს მოუხმო მის საშველად, პატრიოტიზმის კიდევე უფრო გაღვივების მიზნით, რუსეთის ბუმბერაზ შვილებს შორის პლექანოვი ლენინის გვერდით მოიხსენია.

ახლა კი...

დიახ, და მე, როგორც თბილისელი, თანაც ისეთი ძველისძველი თბილისელი, ვორონცოვის (ახლა კარლ მარქსის!) ხიდთან, მტკვარზე წყლით მბრუნავი ნისქვილები რომ ახსოვს, ბატონ ირაკლის ამ შეიძლება ბრძნულ მოსაზრება-წინადადებას, რა ვქნა, ვერ შევუერთდები...

თუმცა, აბა, ერთი და ორი კაცი, თუნდაც ათეული და ასეული, სათვალავში რა ჩასაგდება, თუკი მის მხარდამჭერ ლაშქარს... ლაშქარს... არც დაეტყობა! აკი მთელი კოლექტივები, დაწესებულებანი, განსაკუთრებით ისეთნი, რომლებიც განლაგებულნი არიან ჯერ კიდევე ამ ბედკრულ პლექანოვის პროსპექტზე, და მათი ცნობილი, დიდად პატივსაცემი ხელმძღვანელებიც ხმალივით კალამამოღებულნი...

აი, მაგალითად, ბატონი ნიკოლოზ ჯაში, პროფესორი და დირექტორი გამომცემლობა „ხელოვნებისა“, გულუხვად გვიზიარებს თავის ზღვა-სიხარულს:

„ჩვენი დაწესებულება პლექანოვის გამზირზე მდებარეობს და რა საამაყო იქნება ჩვენთვის იმ დაწესებულებაში მუშაობა, რომელიც დიდი დავითის სახელობის ქუჩაზე იქნება“-ო.

(„თბილისი“, 22.10.88)

ესე იგი, ეს სავარაუდებელი არც არის, რომ როგორც კი შეიცვლება აბრა „პლექანოვის გამზირისა“ „დიდი დავითის სახელობის ქუჩაზე“ (ქუჩაზე?!), ამ გამომცემლობაში უმაღვე დასადგურდება ისეთი არნახული შრომითი ერთეულისა, რომ სამეურნეო ანგარიში, შეიძლება საჭიროც აღარ გახდეს და, ო, წიგნებსაც შერჩევით გამოსცემენ და აღარც კორექტურული შეცდომები გაეპარებათ და აღარც რედაქტორ-მანდილოსნები ავტორებს სიგარეტს სიგარეტზე აღარ მიაბოლებენ ცხვირში...

... მრავალთაგან ჩვენ ერთი ისეთი... თუ უბედურება არა, სიგლახე მაინც გვჭირს: ყველაფერი ჩვენი პატარა დიდად წარმოვადგინოთ, გავაზვიადოთ, გავწელოთ; უმნიშვნელო-მნიშვნელოვნად, საშუალო- უდიდესად, მოკლე-გრძლად, ოპერეტა-ოპერად, მოთხრობა – რომანად, ხარაბუზა-ხარად და ასე შემდეგ უსასრულოდ...

ეს, სხვათა შორის, ყველა პატარა ერს ახასიათებს, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, მეტადრე...

თავის დროზე მიხეილის ქუჩას პროსპექტი იმიტომ შეერქვა, რომ გრძელი იყო (ახლაც ბევრ მაგისტრალს „ვაპროსპექტებთ“ ხოლმე სიგრძის გამო!)... სხვა მხრივ ეს „პროსპექტი“ არაფრით არ გამოირჩეოდა იმდროინდელი თბილისის ქუჩებისგან და, თუ არ შევირისხები, ვიტყვი, არც ახლა გამოირჩევა, მიუხედავად იმისა, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ იგი საკმაოდ საფუძვლიანად იქნა რეკონსტრუირებული, მაგრამ...

... შესხებეს ხეებიც კი, რამაც, სხვათა შორის, კიდევე უფრო ნათლივ წარმოაჩინა ჩაჩაჩული და უსახური სახლების ფასადები.

მთელ ამ პროსპექტზე, არქიტექტურის თვალსაზრისით, ასე თუ ისე, მხოლოდ ნოე (თუ გვარში არ ვცდები) სიხარულიძის ყოფილი სასტუმრო იქცევს ყურადღებას.

...ამის შემონმება სულ ადვილია და ყოველ ქვეითს შეუძლია: გნებავთ, დღესვე ჩაიარეთ ამ პროსპექტის მონაკვეთზე მარქსის მოედნიდან (?) ფოსტამტამდე მაინც და დარწმუნდებით, სავალი გზა აქ ისე ვიწროა, ორი მანქანაც კი შენელებული სვლით თუ აუვლის ერთმანეთს, ტროტუარებზე კი ორ შემხვედრ, საშუალოდ ჩასუქებულ დედაკაცს, მით უმეტეს, ხელში დაბრიგნილი „ავოსკა“ თუ უჭირავთ, დიდი მოქნილობა დასჭირდებათ, ერთმანეთს გვერდით გვერდზე რომ არ გაეხახუნონ...

ჰოდა, ამ მოასფალტებულ თითქმის შარას უნდა ერქვას პროსპექტი, იგი თუნდაც პლექანოვის სახელს ატარებდეს ანდა, გნებავთ, ნოე ჟორდანისას?!

სახელის გადარქმევა, ის ქუჩა-პროსპექტი იქნება თუ პატარა სარაიონო ქალაქი, შესამჩნევ ხარჯებს მოითხოვს და...

ღირს კი, პლენანოვის პროსპექტს სახელი ახლა დავით აღმაშენებლისაზე შევუცვალთ? და განა ამ შეცვლით იგი უმაღლესი ნების პროსპექტს დაემსგავსება თუ პარიზის ელისეს მინდვრებს?!

დავით აღმაშენებლის ბუმბერაზი სახელისათვის ნუთუ უფრო სახელგამტეხი არ იქნება ასეთი კარიკატურული პროსპექტი?!

სამწუხაროდ, ჩვენ, აქაური მკვიდრნი, ვერ ვგრძნობთ ხოლმე ჩვენივე ასეთ კუდაბზიკურ, პროვინციულ მატრაკვეცობას, სხვები კი, ჩამოსულნი, თუნდაც ჩვენივე სტუმრები, გულში ჩვენზე ხითხითებენ და დასცინიან კიდეც ჩვენს ასეთ ბრიყვულ „მანია გრანდიოზობას...“

ასეც არ იყოს, მოდით და ესეც ვთქვათ: რატომ მაინცდამაინც „ქალაქის ცენტრალურ არტერიას“, სადაც ტრანსპორტის ძალუმი მოძალეობაა, სადაც ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე შიშით ვერ გადასულხარ, ვაითუ რომელიმე ავტოგიჟმა გამიტანოსო, უნდა მიეკუთვნოს „ბრძენკაცი მეფის“ სახელი?!

პრესტიჟს ჩვენს თვალში დავით აღმაშენებელს ვითომ ეს აუწევს? და, საერთოდ, ესაჭიროება კი საქართველოს გამაერთიანებელ-ამაღორძინებელს აღზევება გინდ პროსპექტისთვის, გინდ გემისთვის, თუნდაც რომელიმე ქალაქისთვის მისი სახელის მიკუთვნების გზით? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ მისი სახელი ქართველი ხალხის გულში საუკუნეების რბოლას ვერც გაუძლებდა!

ჩვენგან დავით აღმაშენებლის დაფასება ძნელი წარმოსადგენია ისე ლამაზად და იმაზე მეტად, ვიდრე ის ამბავი, რომ ამჟამად მთელი ქართული საქართველო თბილისის დასავლეთ კარიბჭესთან აშენებს (განაშენიანების გაგებით) დიდებულ ხეივანს, რომელსაც დიდი დავითის სახელი უკვე მიეკუთვნა...

და თუ მაინცდამაინც ასე გულით გვინდა, რომ დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდოს ქალაქის რომელიმე „არტერიას“, დაე, ამ „არტერიას“ ჩავარდნილი პლენანოვის პროსპექტის მიდამოებში ნუკი დავუწყებთ ძებნას, ცოტა მაღლა ავიხედოთ, „დილომის თბილისში“: ა, ბატონო, მშვიდობის პროსპექტი (დიდი რამე შვილი პროსპექტი არც ეს არის, მაგრამ პლენანოვისას სჯობს მაინც)...

და თუ ამ პროსპექტს „მშვიდობის“ სახელი შეეცვლება „სწორუპოვარი ლაშქართინამძღოლის“ სასარგებლოდ, მერწმუნეთ, ამით სამსოფლიო მშვიდობას ძირი არ გამოეთხრება და არც საყოველთაო ომი ატყდება არქტიკიდან ანტარქტიკამდე!

და რაკი დავით აღმაშენებლის ძეგლის დასადგმელი ადგილი, რამდენადაც ვიცი, ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული, მე მგონია, ურიგო არ იქნებოდა, თუკი იგი აიგებოდა ამ პროსპექტის სათავეში, სპორტის სასახლის წინ, ოღონდ... მმ... არამც და არამც დავითის დეკაცური აღნაგობა არ უნდა იყოს ტანნაჭრილი ნიკაპამდე, როგორც ეს ამ ბოლო დროს მოდასავით დაამკვიდრეს ჩვენმა მოქანდაკეებმა...

(რედაქტორს უმორჩილესად ვთხოვ, ამ ბოლო ფრაზას ნუ ამოიღებს: დაე, ხელოვან-სკულპტორთა მთელი რისხვა მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ჩამორჩენილ თავზე გადატყდეს).

23 ოქტომბერი,  
1988 წ.

კიტა ბუაჩიძე

### ...მკითხველნო!

მინდოდა, ეს მომართვა „ძვირფასოთი“ შემემკო, მაგრამ ვერა და ვერ შემოგბედეთ, კალმის ნვერიც ამიკანკალდა, შიშით-შიშით: ვაითუ-მეთქი, რაც ახლა წაიკითხეთ, ისე გაცოფდეთ, ქვა და გუნდა მომაყაროთ, მე კი ამ დროს სასიყვარულო ეპითეტით მოგმართავდეთ, განა ამას მლიქვნელობაში არ ჩამითვლიდით, რომ რისხვა თქვენი რამენაირად ამეცდინა?!

და თუ მართლაც დამიპირებთ ამ ხუთგვერდიანი, თქვენი აზრით, ანტიპატრიოტული მონაჩმანისთვის უზიარებლად წირვა გამომიყვანოთ, გთხოვთ, ჯერ აღსარება ჩემი მოისმინოთ...

მე მბრალდება ჩვენთვის ციურ მანანასავით მოვლენილი საჯაროობის, სიტყვის თავისუფლების შეუფასებლობა, რაც ასე შეუნიღბავად გამოსჭვივის თურმე ჩემთვის საბედისწერო ამ ჩემს პატარა, ხუთგვერდიან, თითქოს პასკვილ-პროკლამაციაში: და ეს იმიტომ, რაკი დაუფიქრებლად და ფიცხლავ არ ჩავდექი ქართული ერისათვის წამებული ირაკლი აბაშიძისა და მისი

ერთგული მოციქულის, ნიკოლოზ (ერობაში – კოლია!) ჯამის ბანაკში პლენარის პროსპექტის დავით აღმაშენებლის პროსპექტად გადაარქმევის საკითხში...

ჩემ მიმართ ცოტაოდენი ლმობიერება მაინც რომ გამოიჩინოთ, ესე იგი, სულ ძალიან დიდი ქვები არ დამიშინოთ, სხარტად გაგაცნობთ ამ ამბის ასავალ-დასავალს: ეს წერილი, ისე, როგორც ყველა სხვა ჩემი უნიათო ნაწერიც, იწერებოდა, ცხადია, დასაბეჭდად და იგი ჩემი არცთუ მსუბუქი ავადმყოფობის გამო (ტვინის სისხლძარღვთა მოშლილობა, რაც გამონვეულია ფხიზელტვინიან, თანამდებობებით აღჭურვილ ძე ხორციელთა ხელშეწყობით) დღეს დილით გაეგზავნა ერთი ახალგაზრდა, - დამლაგებელ-მეგარდერობედ რომაა გაფორმებული სამართლიანობის მქადაგებელ ერთ მარქსისტულ დაწესებულებაში - ქალის ხელით გაზეთ „თბილისის“ ამჟამინდელ დროებით რედაქტორს ქალბატონ ნარგიზა მგელაძეს...

რატომ მაინცდამაინც „თბილისს“, შეიძლება დაეჭვებით ბრძანოთ, რაზეც მე დაუეჭვებლად მოგახსენებთ: მხოლოდ იმიტომ, რომ სამიოდე დღის წინათ ამ გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა სასიხარულო ცნობა იმის თაობაზე, რომ...

„დღეს რედაქციამ წერილი მიიღო სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმისაგან. წერილს ხელს აწერს საზოგადოების თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე და მასში გამოთქმულია მთელი საზოგადოების სურვილი.“

და მე ვიფიქრე, აკი მეც მაქვს პატივი, ამ „მთელი საზოგადოების“ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ერთ-ერთი მისი წევრი ვიყო და, მაშასადამე, უთუოდ ჩემი სახელითაც ლაპარაკობს ს რ უ ლ ი ა დ საქართველოს „ამის და ამის“ თავმჯდომარე, ბ-ნი ირაკლი აბაშიძე, მაგრამ ხომ შეიძლება, ამ საკითხის ირგვლივ მეც მქონდეს ჩემი აზრი, რომლის უშიშრად გამოთქმის უფლება მომცა მიხეილ გორბაჩოვმა და, აბა, ახლა მის წართმევას როგორ დამიპირებს მე, მართალია, თითქოს მწერალს არათითქოს მწერალი ნარგიზა მგელაძე-მეთქი...

მაგრამ... ღმერთი ბჭობდა, კაცი იცინოდაო... თუ... კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო (ოხ, ტვინის ეს დავინროებული სისხლძარღვები!)

... უკვე სათაურსავე ნეგატიურად აუღელვებია ქალბატონი რედაქტორი, ალბათ, ჩემი ჟურნალისტური უტყუარი ყნოსვა არც ახლა, აბა, როგორ მიმტყუნებსო და უმალვე კრუხივით, წინილების წართმევას რომ უპირებენ, აფოფრილა საპროტესტოდ, წერილი წერვიულად და მკვირცხლად გადაუფურცლავს და ცალკეულ სტრიქონებს აქა-იქ ჩაფრენია ძერა-ქორივით... („როგორ, კიტა ბუაჩიძე არ აფასებს საჯაროობის სასიკეთო მადლს, რომლის წყალობითაც მოგვეცა საშუალება, პლენარის გადაერქვას პლენარის სახელი და... იგი ამის წინააღმდეგია? ამას ძლივს მივალნიეთ ქართველი ერის საბედნიეროდ და... დავით აღმაშენებელს პლენარისზე დაბლა აყენებს?! ამის შემდეგ მას პატრიოტი და ქართველი ეთქმის?! მე რომ მას პატივს არ ვცემდე, დავუბეჭდავდი კიდეც ამ... „ქათამია თუ ფარშავანგია“, მაგრამ... მეცოდება და არ მინდა, ჩვენმა მკითხველებმა, ჭეშმარიტმა პატრიოტებმა, ქვები დაუშინონ... დიახ, დაუშენენ, უთუოდ დაუშენენ, ეს იცოდეთ!.. ახლა ავად კი ყოფილა, მაგრამ ნუთუ არავინ მიუტანა ამბავი, რა უყვეს ამ დღეებში ირაკლი აბაშიძეს უნივერსიტეტში? კუდით ქვა ასროლინეს... გამოაგდეს ფაქტიურად...“).

ამაზე ჩემი „ფოსტალიონი“, სამსახურის ანკეტის მიხედვით დამლაგებელი-მეგარდერობე, ორი შვილის დედა და მესამის მონატრული, ისე ანთებულა სიტყვიერ-ლოგიკურად... („კიტა ბუაჩიძე და ირაკლი აბაშიძე მთელი თავისი სიცოცხლე სხვადასხვა ღმერთს ემსახურებოდნენ... და თუ სტუდენტებმა ირაკლი აბაშიძე თავისი კრებიდან გამოაგდეს, დასანანი ისაა, რომ ადრე მოსაგდები გვიან გამოაგდეს... არა მგონია, რომ კიტა ბუაჩიძის „გამომგდები“ სტუდენტები ამ, როგორც თქვენ ბრძანეთ, „ქათამია თუ ფარშავანგია“-ს თქვენი თვალით, შეშინებული რედაქტორის თვალით წაიკითხავენ, თქვენ რომ ალაგ-ალაგ გადახედეთ, უკვე წინასწარ აგრესიულად განწყობილმა იმის გამო, რაკი მისი ავტორი ირაკლი აბაშიძეს, ს რ უ ლ ი ა დ საქართველოს ბევრი რამის თავმჯდომარეს, ბრმად არ ეთანხმება... საჯაროობამ მოგვეცა ამის უფლებათ და ნუთუ ეს კიტა ბუაჩიძეს არ უხარიაო...“ უხარია, უხარია და ათასჯერ მეტადაც, ვიდრე თქვენ და აბაშიძე-ჯამებს გიხარიათ... უჯაროობა იყო და თქვენ მისი ყურმოჭრილი მსახური ბრძანდებოდით, დადგა ბევრისთვის ნანატრი საჯაროობა და თქვენ ახლა ამის ვითომ აღფრთოვანებული მსახური ბრძანდებით... და თუ ეს დასტურ ასეა, რა წერია ამ წერილში ისეთი რამ, რომ იგი დაბეჭდვის სტატუსს ეწინააღმდეგებოდეს? ეგებ იმიტომ, რომ მისი დამწერი თუთიყუშ დონ-კიკოსავით თქვენს თუთი-

ყუშურ აზრებს მარცვალ-მარცვალ არ მარცვლავს? ბოდიში, მაგრამ კიტა ბუაჩიძეს სამშობლო-სადმი და დავით აღმაშენებლისადმი გულწრფელ სიყვარულში ვერც ერთი თქვენგანი ვერ შეეცი-ლება და სწორედ ამ სიყვარულმა დაანერინა მას ეს, როგორც თქვენ წამოისროლეთ, „ქათამია თუ ფარშავანგია“: განა დავით აღმაშენებელი იმის ღირსია, რომ ერთ უხეირო, უგვანო ნაპროსპექ-ტალზე „იპროსპექტოს?“ ამით, თქვენი აზრით, დავით აღმაშენებელს დიდ პატივს მიაგებთ, ჩვენ კი ეს მის უპატივცემლობად მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, უნებლიე, მოუფიქრებელ უპატივცემლო-ბად, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის... ამ წერილის ერთადერთი აზრი და მიზანიც სწორედ ეს არის, დავით აღმაშენებლის პიროვნების ღირსების დაცვა... „მთელი საზოგადოებო...“ პლენანოვის პროსპექტის შემოგარენი უკვე, რა ხანია, ჩამოყალიბდა როგორც უბანიც კი (თითქმის მსგავსად ვაკისა) და, აბა, ერთი დაეკითხეთ რომელიმე „პლენანოველს“, იზიარებენ თუ არა ისინი ჩვენი „მთელი საზოგადოების“ სურვილს – მისი სახელის, საერთოდ, გადარქმევას? ამ „რეფერენდუმს“ ბევრი სახსარი არ დასჭირდება და, თუ ქალი და კაცი ხართ, რაკი მთელი ხალხის სახელით ლაპა-რაკობთ, სცადეთ ერთი, გამოიკითხეთ, ოღონდ გამოიკითხვის შედეგებს, რაკი დამთვლელი მარ-ტო თქვენ იქნებით, ნუ გააყალბებთ, როგორადაც ეს მტკიცე წესად გქონდათ მიღებული საჯა-როობამდე... „ხომ შევეჩვიეთ რუსთაველის პროსპექტს გოლოვინის ნაცვლადო...“ გოლოვინი მე-ფის სატრაპი გახლდათ, პლენანოვი კი... „რა პირით იცავს კიტა ბუაჩიძე პლენანოვსო...“ იმ პირით იცავს, ქალბატონო რედაქტორო, რომ პლენანოვს, ამ დიდ ადამიანს და ბუმბერაზ მოაზროვნეს, არაფერი ცუდი არ დაუშავებია ქართველებისათვის და არც მისი მშობელი რუსი ხალხისათვის... ჰოდა, რალა მაინცდამაინც მას ეციოთ პირველ რიგში? განა უფრო ვაჟკაცობასა, სამართლიანობა-სა და პატრიოტიზმში არ ჩაგეთვლებოდათ, თუკი ჯერ ათარბეგოვის ქუჩას (ყოფილი სასამარ-თლოს...) შეუცვლიდით ათარბეგოვობას? ჩეკისტისას, რომელსაც გასაბჭოების პირველ წლებში არაერთი ქართველისთვის მოუსწრაფავს წამებით სიცოცხლე...“).

ამის ვარაუდი ძნელი არ არის, რომ ქალბატონ რედაქტორს, რასაკვირველია, არ ეგონა, რომ ვილაც შავთვალა ახალგაზრდა დიასახლისი ასე ცხარედ შეეპასუხებოდა; ამის გამო, ცოტა არ იყოს, ნირიც წაუხდა თურმე და თავდასხმიდან ერთგვარ თავდაცვაზე გადავიდა, ნ ა მ ო ს ც დ ა რ ა, რომ... გადარქმევის საკითხი ზევით უკვე გადაწყვეტილიაო... ჰოდა, ამის გამგონე ჩემი „ფოსტალიონი“ კიდევ უფრო ანთებულა და ანთებულა... („აი, თურმე რატომ არ წაიკითხეთ თა-ვიდან ბოლომდე ყურადღებით და დამშვიდებით ბატონ კიტას... „ქათამია თუ ფარშავანგია!“ და მას უფრო იმიტომ დაესხით თავს, რომ „ზევიდან“ მოვლენილ, მისთვის უცნობ აზრს არ იზიარებდა... ეგებ, ეს რომ სცოდნოდა. ...ღმერთო, რამოდენა სისულელე წამოცდა ლამის... თუნდაც ცოდნოდა, განა ამის მერე ეს ამბავი ჭკუაში უფრო დაუფჯდებოდა და აღარც ამ წერილს დაწერ-და?! კიტა ბუაჩიძე სტალინის დროსაც კი „სკამს“ კი არა, თავისი ადამიანური ღირსების დასა-ცავად სიცოცხლესაც არ უფრთხილდებოდა და... ახლა მით უმეტეს! ეს კი, მაგრამ მე როგორ მომივიდა, რომ დროულად ვერ მივხვდი და ასე გულუბრყვილოდ გავეხვიე ობობას ქსელში?! აბა როდის იყო, ირაკლი აბაშიძე, ს რ უ ლ ი ა დ საქართველოს ათასი რამის თავმჯდომარე, საკუთა-რი გულის კარნახით რამეზე ხელს აწერდა და მასზე უფრო დიდ თავმჯდომარეებს ს რ უ ლ ი ა დ საქართველოსას ყველაფერზე და ყოველთვის კვერსა და ტაშს არ უკრავდა?!

თქვენ, ქალბატონო რედაქტორო, ვიცი, ამ საიდუმლოს არ გაამყლავნებთ, მაგრამ მაინც შეგეკითხებით: ეს ამბავი-საკითხი მაინც ვის დონეზე გადაწყდა? თბილისის აღმასკომის კე-თილმონყობის განყოფილების დონეზე თუ თვით აღმასკომის თავმჯდომარისაზე? ეგებ პარტი-ის ცენტრალურ კომიტეტში, ა? თუნდაც ასეც იყოს, მერედა თქვენ, ასეთი დაკვირვებული ყურ-ნალისტი, ნიჭიერად დაწერილი არაერთი წერილის ავტორს, თითქოს ფსიქოლოგიაშიც თვალ და გონგანაფული, როგორ ფიქრობთ, ცენტრალურ კომიტეტში არ შეიძლება შეცდნენ? არა, ამაზე თქვენს პასუხს, რა თქმა უნდა, არ დაველოდები და როგორც ჩვეულებრივ, ათასობით სხვების-გან არაფრით გამორჩეულ „მესკამეს“ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგაყენებთ, მაგრამ ამის პასუხის გაცემისას ხომ არ შეშინდებით? წინათ, ორახელაშვილ-კახიან-მამულაია-ბერია-ჩარკვი-ან-მგელაძე-მირცხულავა-მჭავანაძე-შევარდნაძის ცენტრალურ კომიტეტში ვითომ არ ცდე-ბოდნენ სწორედ ამ გადარქმევა-გადმორქმევის საკითხში?!? ჰოდა, თუ ასე გინდათ, რომ თქვენი წინამორბედების, ამ შემთხვევაში, ამგვარი ხასიათის ბრიყვულ-დანაშაულებრივი შეცდომები გამოასწოროთ, ახლა რალა მაინცდამაინც „მთელი საზოგადოების“ სახელით „პლენანოვს“ მია-დექით, მ ი ს დ გ ო მ ო დ ი თ მ ა რ თ ლ ა ც მთელი საზოგადოების სურვილითა და ნატვრა-ოც-ნებით „ორჯონიკიძე“- ხარაგოულს, „მახარაძე“ - ოზურგეთს, „ცხაკაია“-სენაკს, „გეგეჭკორ“-

მარტვილს!.. იყო კიდევ ერთი ქალაქი, რომელიც დასახლებული აქვს კიტა ბუაჩიძეს „შავი წიგნის“ მეორე ნაწილში... დასტურ, თუ ასე შეგტკივით ამ კაცზე გული და უფრთხილდებით, რომ მას თქვენმა მკითხველებმა „ქათამ-ფარშავანგისთვის“ ქვეები არ დაუშინონ, როგორც ბევრის შემძლე რედაქტორი, დაეხმარეთ მას, რათა „შავი წიგნის“ ორივე ნაწილმა მზის სინათლე იხილოს, რომ თვითამოხოცვის გზაზე შემდგარი ქართველი, ჯერ კიდევ, ერი ცოტათი მაინც გამოაღვიძოს... არა-არა! რჩევა-დარიგებით არა, თავის საქმეში იგი თავისივე თავის ყველაზე უკეთესი მრჩეველია... სტამბითა და ქალაღლით, მხოლოდ სტამბითა და ქალაღლით!.. მაგრამ... ჰმ... თქვენ და სხვაც, ვისაც ეს შეუძლია, ვინ შვილია, დაეხმარება?! დახმარება კი არა... აი, მაგალითად, პირადად თქვენ, ქალბატონო ნარგიზა, ოთხასგვერდიანი „შავი წიგნი“ კი არა, ეს ხუთგვერდიანი დავით აღმაშენებლისადმი სიყვარულით გამსჭვალული წერილიც, მის ავტორს ეს ნუთია ფაქტიურად თავზე გადაახიეთ... და ეს მიგაჩნიათ თქვენ საჯაროობად? ესაა პლურალიზმი?

კარგად ბრძანდებოდეთ! მუდამ დალურსმული მენახეთ მაგ ადგილზე!..“).

**მკითხველნო!** მინდა, მთელი კათხა მადლობა მოვახსენო გაზეთ „თბილისის“ ჯერ, მგონი, დროებით რედაქტორს, ნარგიზა მგელაძეს ჩემი პროფილაქტიკური დაცვისათვის თქვენი ქვებისაგან, მაგრამ, როგორც ხედავთ, მე მაინც ვამჯობინე, თქვენს სამსჯავროზე გამომეტანა ჩემი ნააზრ-ნაცოდვილევი - „ქათამია თუ ფარშავანგია...“ და იგი თუ თქვენც ისე აღვაშფოთებთ, როგორადაც აღაშფოთა თქვენი (და ჩემიც!) საყვარელი გაზეთის რედაქტორის მოადგილე და გადაწყვეტთ ჩემს ჩაქოლვას, როგორც „პლებანოვმოყვარულისას და დავით აღმაშენებელმოდულისას“, გაცნობებთ, რომ მე ... დამალვით, აბა, სადამდე ვიმალო, ან კი თქვენ ვინ დაგემალე-ბათ და ვის ვერ მიაგნებთ?! მე ვცხოვრობ (ვიდრე ჯერ კიდევ მაცხოვრებთ) ბარნოვის ქუჩის 102—ში, მრგვალ ბაღთან...

რაკი ჩემმა მკურნალმა ექიმმა მიჩნია, ყოველდღე, ძილის წინ, ერთ-ორი საათი ვისეირნო სუფთა ჰაერზე და გულმოდგინედ ვყლაპო ტვინის სისხლძარღვებისათვის ასე დიდად საჭირო ჟანგბადი, მეც ამ მრგვალ, ენძელა-ნარგიზ-იებით გადაპენტილ ბაღში ყოველ საღამოს დავსეირნობ, უფრო სწორად, დავბორიალობ ინსულტის მოლოდინში.

რაკი მე არასოდეს გინახივართ არც ტრიბუნაზე, არც გაზეთში, არც სცენაზე, არც ტელეეკრანზე... და მაინც, ჩემი ცნობა თქვენთვის სულ იოლი იქნება: მე ხომ შინიდან ყოველთვის სახეზე აირწინალაფარებული გამოვდივარ (აბა ისე, თბილისის შავი მანონივით შედედებულ ჰაერში ჟანგბადს რა გზებით გამოყოფ!)..

დაბოლოს, გირჩევთ, ჩემს ჩასაქოლად ქვა და ღორღი მდინარე ვერეს ნაპირებიდან ადრევე მოიმარაგოთ და თან წამოიმძღვანიოთ, თორემ აქ, ადგილობრივ, ბალის ტრიალ ასფალტზე, უხარისხო აგურის ნამტვრევების გარდა ვერაფერს მონახავთ.

ოქტომბრის 24,  
1988 წელი.  
ჟამი მწუხრისა..

თქვენი მორჩილი მონა-ყმა  
კიტა ბუაჩიძე



## „ხალხის მტრის“ ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე (1929-1979წ.)

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 13 იანვარი, 1989 წელი

წინასიტყვაობიდან:

... როგორ იქმნებოდა, იწერებოდა „ხალხის მტრის“ ჩანაწერები?

შინსახკომის ციხეში არათუ საწერ ქაღალდს, გაზეთ „პრავდის“ ნაგლეჯსაც არ შეგატანი-  
ნებდნენ, თვეში ერთხელ განცხადების დაწერა შეგეძლო, რისთვისაც ნახევარ ფურცელ ქა-  
ღალდს იძლეოდნენ და მთელ კამერაზე – ერთ საწერ კალამს, წერის დროს კი ჩეკისტი ვახტო-  
რი ცერბერივით გითვალთვალებდა (იქაური ნაფიქრ-ნააზრევი მეხსიერებიდან ჯერ კიდევ  
ცხელ კვალზე, 1943 წლის ზაფხულში, მეორე კოლონიაში აღვადგინე); ბაქოს „ლაგერში“ კი, სა-  
დაც სრული განუკითხაობა სუფევდა, „ნაჩალნიკებს“ მართლაც რომ ფეხებზე ეკიდათ, შენ – პა-  
ტიმარი – ცოცხლობდი თუ კვდებოდი, კლავდი თუ გკლავდნენ... ცხადია, ასეთ გარემოცვაში  
არც წერას გიშლიდნენ, არც კითხვას, მაგრამ მიწურებში შეყრილთ, შიმშილისაგან ქანცგაც-  
ლილთ და ტანის, ენით უთქმელი სიბინძურის გამო, ქავილისაგან შეშლილთ, მუდმივი ქარების  
საბატონოში, სადაც ყოველ წუთს სიკვდილის ხაფანგში შეიძლებოდა გაბმულიყავი, საკითხავად  
ვისლა სცხელოდა, ანდა, რა გქონდა, რომ ნაგეკითხა, წერისათვის კი ისეთი „იდეალური პირობე-  
ბი“ იყო, რომ ბანაკის მთელ გადახრუკულ ტერიტორიაზე ერთი ხელისდადება ფიცრის ნაჭერ-  
საც ვერ მონახავდი, მუხლებზე „მაგიდად“ რომ დაგედო.

ამ მხრივ, მეორე კოლონია ინგლისის პრემიერ-მინისტრის კაბინეტად მოგეჩვენებოდათ,  
ავჭალის კოლონია კი ხომ პირდაპირ „სამოთხე“ იყო... მაგრამ იმ წლებში, რომელ „სამოთხეშიც“  
უნდა მჯდარიყავი, უნდა გეწერა მაინც ქურდულად, ნამალევად, მოფარებულად... ქაღალდის  
უტყვი ნაფლეთი, რომელიც – იყო წუთები! – დიდ მეგობრად რომ მიგაჩნდა, შეიძლებოდა  
მტრად გადაგქცეოდა: „ანტისაბჭოთა“ აზრის არათუ ქაღალდზე გადატანა, გაფიქრებაც კი –  
სტალინის თუნდაც მხოლოდ გულში მოძულე ყოფილიყავ – შიშის ზარს გგვრიდა, ვაითუ მინა-  
ხონ, მიმიხვდნენ, გამიგონო... ამიტომაც მრავალი იმდროინდელი ჩანერილი ფიქრი და აზრი შე-  
ნიღბული, გაქარაგმებული მქონდა და შემდგომ მათ ხელახლა ნაკითხვას, ზოგჯერ გაშიფრა-  
საც კი, და საერთოდ, წინამდებარე ჩანაწერების სისტემაში მოყვანა დალაგებას ცოტა დრო რო-  
დი დასჭირდა. პატიმრობაში ძალზე წვრილი, რამდენადაც შემეძლო, მიკროსკოპული ასოებით  
ვწერდი და ამას ვაკეთებდი არა მხოლოდ იმიტომ, რომ თუ ნაწერი ხელთ ვინმე ანტისტალინურ  
აზრებზე მონადირე აფთარს ჩაუვარდებოდა, იოლად ვერ წაეკითხა, ქაღალდის ერთგვარი ეკო-  
ნომიისთვისაც! დიდი მოცულობის დაწერილის გადაგზავნა უფრო საძნელო და მოუხერხებელი  
იყო. ასე მაგალითად, ბაქოს ციხიდან ეგრეთ წოდებული სტოლიპინის ვაგონით „გამომგზავრე-  
ბის“ დროს, გაჩხრეკისას რომ ვერ მიეგნოთ, პატარა ქაღალდებს მინდობილი ჩემთვის დიდი სა-  
განძური „სელიოდკის“ ლაყურებში ჩავტენე და მართლაც ნახევრად აყროლებულ თევზებზე ეჭ-  
ვი არც მიუტანიათ.

მეორე კოლონიიდან „არალეგალური ლიტერატურის“ შინ გადაგზავნა შედარებით უფრო  
იოლი იყო (ჩავვარდი მხოლოდ ერთხელ, როცა ერთ ჩემს თანაბანაკელს გულუბრყვილოდ გა-  
ვენდე და როცა მას ჩემზე გული მოუვიდა, რაკი ჩემი მცირე „პერედაჩიდან“ იმდენი ვერ მივუ-  
კითხე, რამდენიც მის მუცელს ეკადრებოდა, უმაღლე გამცა – გამყიდა); რაც შეეხება ავჭალის  
კოლონიას, აქ არა მხოლოდ ამ მხრივ, საერთოდაც, თავისუფლება, პატიმრობის პირობაზე, უფ-  
რო იგრძნობოდა, თანაც, რაკი სამუშაოდ მუდამდლე ზონის გარეთ მიგვერეკებოდნენ, შემეძლო  
ტრასაზე, თუკი, რასაკვირველია, მცველს მოისყიდდი, ახლობლებს შეხვედროდი.

პატიმრობის შვიდი წლის მანძილზე უამრავ ადამიანს გადავეყარე... – ათასნაირი სახისას,  
ათასგვარი ზნისას, ხასიათისას, ეროვნებისას... ჩემ თვალწინ გაიარეს კაცურმა კაცებმა და  
არაკაცებმაც, უბრალოდ კაცებმა და კაცმაცუნებმაც...

ციხე ჩემთვის თითქოს ერთი დიდი ბიბლიოთეკა იყო, სადაც თავმოყრილია მრავალნაირი  
წიგნი: გულის ამაღელვებელი და სულის გამამდიდრებელი, გულის ამრევიც და გონების გამომ-  
ლაყებელიც... ყველა ამ დიდ და პატარა ტომებად დაწყობილ ადამიანებ-წიგნებს ზოგს მეტად,  
ზოგს ნაკლებად, მათთვის შეუმჩნევლად თვალს ვადევნებდი, ვაკვირდებოდი, „გკითხულობდი“,  
ვსწავლობდი... ამიტომაც ვერ ვიტყვი, ციხემ, როგორც მწერალს, არაფერი მომცა-მეთქი...  
თუნდაც ამ ჩანაწერებში, ამ ზღვა თუ არა, ტბა მასალაში, როგორი უმნიშვნელო ღირსებისაც  
უნდა იყოს იგი, ზოგი რამ მაინც ამოირჩევა ისეთი, რომელიც სათანადო დამუშავების, დამატე-



ბა-ხორცუმესხმის შემდეგ არა მგონია, მწერალ კაცს არ გამოადგეს. აქედან მე თავად ჯერჯერობით ძალზე ცოტა რამ გამოვიყენე. ჯერჯერობით მეთქი, ამას ისე ვამბობ, თითქოს დანარჩენს – მთლიანად თუ არა, დიდ ნაწილს მაინც! – აწი გამოვიყენებ... რასაკვირველია, ჩემი ეს ფერადოვანი ოპტიმიზმი შავი სისულელეა, სიცოცხლის ფინიშზე შორეულ გეგმებზე ფიქრი თავის მოტყუებაა.

და მიუხედავად ამისა, თავს ახლა, ასე თუ ისე, იმით ვიმშვიდებ, რომ ამ ჩანაწერების ერთ პატარა ნაწილს მაინც შეუძლია, დამოუკიდებლად იარსებოს. ამასაც ვიტყვოდი, შესაძლოა, მომავალში რომელიმე წესიერ მკვლევარს რალაცაში მაინც გამოადგეს იმ ტრაგიკული საუკუნის ასანერ-ასასახავად, რომელშიც საქართველოს და ჩემს თაობას მოუხდათ ცხოვრება კი არა, სუნთქვა, გაჯახირებული სუნთქვა (სტალინმა და მისმა მემკვიდრეებმა ხალხს მხოლოდ ჰაერი.. მხოლოდ ჰაერი ვერ შეუზღუდეს)...

... ვინ არ იცის, რომ მემუარებს ხშირად ალამაზ-აკობტავებენ, აუკეთესებენ სიცრუის საფანელით, საკუთარი თავის გავარდისფერებით და იმ თითქოს კეთილშობილური მოტივითაც, რომელიც ამ ორასი წლის წინათ ერთობ აფორისტულად გამოხატა გავრილა დერუჟინმა:

„Нам нужны великие могилы  
Раз нет величия в живых!..“

მართალია, ჩემი „ჩანაწერები“ მემუარულ ლიტერატურას არ განეკუთვნება, მაგრამ აქა-იქ, ვფიქრობ, მემუარული იერი მათ მაინც დაჰკრავთ. რაკი ასეა, ხატის ძალა რომ ვინმეს სწამდეს, ხატზეც დავიფიცებდი, რომ ცუდს, არამართალს, პირადი ანგარიშის გასწორების მიზნით, ან სხვა მოსაზრებით, არავისზე არაფერს ვწერ.

მხოლოდ სიმართლე!

შეიძლება ეს სიმართლე მარტო ჩემი თვალით დანახული სიმართლე იყოს, თუმცა... ვეჭვობ კი, რომ ის ამავე დროს ობიექტურიც არ იყოს...

1979წ.

\*

სახალხო არტისტობა ლადო მესხიშვილს სიკვდილიდან ათი წლის შემდეგ მიანიჭეს: სიცილით, ალბათ, ლადო კუბოში გადაბრუნდა. ხალხმა იგი თავის დროზე უამტიტულოდაც მიიჩნია თავის საყვარელ მსახიობად. თანაც, მესხიშვილი 1920 წელს გარდაიცვალა.

\*

ქმარს წამდაუნუმ ახველებს. მოსიყვარულე ცოლი თანაგრძნობას უწევს და განგებ ესეც ახველებს. ქმარს სატკივარი უმსუბუქდება, რადგან ფიქრობს, რომ ორივენი ერთ დღეში არიან და ცოლს თავისი ხველებით თავს არ აძულებს.

\*

ბედად, ავად ქვისლის ოჯახში გავხდი. ჩემი ქვისლი დიდი ჩეკისტია. გამოიძახა ექიმი ბარათაშვილი და უთხრა, თუ ეს კაცი ფეხზე არ დამიყენე, შენ დაგაყენებ მუხლებზეო. შეეშინდა სანყალს, მავნებლობაში არ ჩამითვალონო და... სამი თვე დღე და ღამე თავზე მადგა. ის რომ არა, სიკვდილი როგორც წინილას ისე ამაფრენდა ცაში...

\*

სტალინის საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან (1931 წელს).

ლუდვიგი: თქვენ განა არ ცნობთ იეზუიტთა დადებით თვისებებს?

სტალინი: დიახ, მათ ახასიათებთ სისტემატურობა, სიმტკიცე მუშაობაში. მაგრამ მათი მთავარი მეთოდია თვალყურის დევნება, ჯაშუშობა, სულში ჩაძვრომა, აბუჩად აგდება, - რა შეიძლება ყოველივე ამაში დადებითი იყოს? მაგალითად, მეთვალყურეობა პანსიონატში: 9 საათზე ზარი გვამცნობს, რომ ჩაის დალევის დროა, მივდივართ სასადილოში, ხოლო როცა უკან ვბრუნდებით ოთახებში, ირკვევა, რომ ამ ხნის განმავლობაში გაჩხრიკეს და ააფორიაქეს ჩვენი საბარგო ყუთები... რა შეიძლება ამაში დადებითი იყოს?

როგორც ჩანს, სტალინისათვის „პანსიონატში“ ყოფნას ტყუილუბრალოდ, ფუჭად არ ჩაუვლია: ახლა იგი იეზუიტთა „მთავარ მეთოდს“ ისე „ხვენს და ავითარებს“, რომ იგნატი ლიოლასაც კი შეშურდებოდა.

\*

თავი უმაღლესი განათლებით მოაქვს, საშვზე კი წერს: „კომენდატურას. პალტოს გაატანეთ ლადო მეტრეველი“ (ნაცვლად: „ლადო მეტრეველს გაატანეთ პალტო“).

\*

შეიარაღებულ აჯანყებად ითვლება სამი კაცის ერთად დგომა, ორი კაცისა – ეს უკვე კონტრრევოლუციური ორგანიზაციაა, ზოგიერთი ერთი კაცი კი ანტისაბჭოთა აგიტაციაა, მიმართული „ხალხთა დიდი ბელადისა და მათი მამის“, სტალინის წინააღმდეგ!

\*

ხელის... უფლება! ხელის-კი, მაგრამ... სადღაა თავის უფლება? თავის, თავის? საღამოთი რომ დაწვები და არ იცი, დილით შენს ლოგინშივე ადგები თუ არა, ესაა საბჭოთა „მოქალაქის“ სიცოცხლე.

\*

ჩემგან რა პოლიტიკა უნდა გამოვიდეს, ნახევარი კაცი ვარ... ორ ნაბიჯზე კამეჩს ვერ მოვახვედრებ, ტერორს კი მაბრალებენ... აქ ვეძებო სამართალი? ჯოჯოხეთის მისაღებ სახლში? იას უფრო ნახავთ რიყეზე ამოსულს, ვიდრე აქ სამართალს...

\*

ყინვაში თეთრი ჩითის დახეული კაბა აცვია და ჩუსტებში გათოშილი თითები უჩანს, სცენიდან კი თავგამოდებით გაიძახის (თუ აძახებინებენ):

— გაუმარჯოს ჩვენს საამურ ცხოვრებას! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

\*

ჩეკისტი-გამომძიებელი:

— როცა გუდას სტენავდი, კარგი იყო, არა? აბა, ეხლა ამოალაგე! ხორცის ცოცხალ ნაჭერს არ დავტოვებ შენს ბინძურ სხეულზე. შენისთანები კი არა, აქ რკინის მკვნიტელები მოსულან და ბუმბულივით გამხდარან.

\*

საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთ კაცს აქვს აზროვნების უფლება, დანარჩენებს გვაქვს ტაშის დაკვრის უფლება.

\*

ჩეკა–შინსახკომში ენას ამოკლებენ. უფრო ხშირად ძირშივე ჭრიან.

\*

მიუხედავად ჩემი ფანტასტიკური უმეცრებისა არითმეტიკაში, მე მაინც ვცადე, გამომეანგარიშებინა და... თუ საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 60 წელს უდრის, აქედან 9 წელინადი მას კრებებზე ჯდომა უხდება, სამი წელინადი კი – ტაშის დაკვრა.

\*

დაკითხვისას, ცემის დროს, ძველებურ გრამაფონს უკრავენ პატიმრის შემზარავი კივილის ჩასახშობად.

\*

ჩემ გამომძიებელ მარკაროვზე: ეს ის ჩეკისტია, სუფრაზე გინდ ქათმის თავი დაუდე, გინდ კაცის, მით უმეტეს, ქართველის, - შეჭამს!

\*

პატიმარს, რომელიც ცდილობს არაფერი არ გაიგონოს და არც არაფერი თქვას, ყურებიც ახვეული აქვს და პირიც: „ლაცობისათვის“ ხელახალი დაბეზლებისა და ახალი შარის მოდებისა ეშინია.

\*

ჩემი ბავშვობა შევადარე ჩემი ბავშვების ბავშვობას. უნებლიეთ გამომივიდა მეფის რეჟიმის შექება. სულ ესაა ჩემი დანაშაული. ამისათვის დამიჭირეს.

\*

„ხალხის მტერს“ ოსაძეს ბრალად წაუყენეს, რომ იგი 1916 წელს მეფის ჯარის პოლკოვნიკი იყო, ის კი მაშინ 17 წლის ყმანვილი თუ იქნებოდა.

\*

„მქუხარე ტაში“ - სათაური „სტალინური ეპოქის სადიდებელი“ პიესისათვის (საერთოდ, იმდროინდელი საბჭოთა ტაში – არაგულწრფელი, ნაძალადევი, დაჭერისა და დახვრეტის შიშით გამოწვეული).

\*

დოშს მარილი აკლიაო, - ნუ დადგები უარზე, რომ ეს არ გითქვამს... კი, თქვი, მაგრამ ეს არ უნდა ითვლებოდეს პოლიტიკურ დანაშაულად.

\*

... დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს:

— თუ ჩემი სისხლი მოჰბანს თქვენს დანაშაულს ქართველი ხალხის წინაშე, დაე, მაშინ ათასჯერაც ვიყო დახვრეტილი...

შეამჩნია, ქართველ მცველს თვალები ცრემლებით ევსებოდა:

— ახლა თქვენ ამას ჩემს თავს ციხემდე აღარც ანდობთ...

\*

1937 წელს, სტუდენტობისას, მარცხენა ხელი განგებ ბინტით შევიხვიე, როგორც ვითომ მტკივანი, რომ ტაში არ დამეკრა.

1988 წლის დეკემბერი

კ.პ.



# ლია ბარათი\*

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს  
გ რ ი გ ო ლ ა ბ ა შ ი ძ ე ს,

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს  
ნ ო დ ა რ დ უ მ ბ ა ძ ე ს,

საქართველოს კულტურის მინისტრს  
ო თ ა რ თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ს,

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს  
ვ ა ხ ტ ა ნ გ ჭ ე ლ ი ძ ე ს

ჩემი საამბობი გუშინდელი ამბავი არ არის, არც გუშინდელი. ეს სატიკვარი ოციანი წლებიდან იწყება და დღემდე გრძელდება, – წლითწლით უფრო და უფრო ინტენსიურად და ინტენსიურად...

ეს, საერთოდ, ყველასათვის სამკვდრო-სასიცოცხლო, ფიზიკურად ყოფნა-არყოფნის საკითხია და ის, სადაც კი შეინიშნება, შეშფოთებას მრავალმილიონიან ერებშიც კი იწვევს.

ზღვა კოვზით დაილიაო, – ამ სიბრძნის ასმილიონიან ხალხებსაც კი ეშინიათ, ჩვენ კი – ქართველები მათთან შედარებით ერთი კონა ია ვართ, ჩვენი ზღვა ერთ ჯამსაც ძლივს აავსებს, და რა შემზარავია, როცა თვითონვე თვალნათლივ ხედავ, როგორ დღითი დღე იღვევა და იწრება იგი...

თითქოს არც ჩვენ ვუცქერით ამას გულდამშვიდებით, თითქოს გვეშინია კიდეც, ოღონდ...

\* \* \*

აზრის და სიმართლისათვის  
მხოლოდ ვაჟკაცი მოკვდების...

... მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან,  
ტანი გახდეს გასაბერად,  
ვინც არა ჰგავს კახაბერსა,  
მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

დ. გურამიშვილი.

იოსებ ჟორდანიას სულ აგერ ახლა ჩვენ შორის დადიოდა, იოსებ ჟორდანიას – მართლა მამულიშვილი და მართლა ერისკაცი!..

ისეთი ერისკაცი კი არა, ახლა ძალით თუ ხვეწნა-ღრტივით გამოთხოვილ საიუბილეო საღამოებზე ამ მართლა დიდებულ სახელს ბევრ ქონდრისკაცსაც რომ მიატყუებენ ხოლმე (ვიცი, ერთ ფრაზაში ამდენი „მართლა, მართლა“ ცუდ სტილად ჩამეთვლება, მაგრამ რაკი წინათ ათასში ერთხელ სახმარმა სიტყვებმა, როგორიცაა – იშვიათი, მშვენიერი, ჩინებული, საოცარი, საკვირველი, შესანიშნავი, არაჩვეულებრივი, უდიდესი, დიდად ნიჭიერი, მსცოვანი – კარგა ხანია სრული ინფლაცია განიცადეს, მათზე უფრო „მდარე“ სიტყვები კი – დიდი, კარგი, მნიშვნელოვანი, საყურადღებო, ნიჭიერი, – აღარაფერს ვამბობ, ცხადია, „გვარიანზე“, „ზომიერზე“, „არა უშავს რა“ და მისთანებზე,

\* „ლია ბარათი“ დაიწერა 1979 წელს. იმ დროიდან იგი ვრცელდებოდა როგორც ხელნაწერი: მიახლოებით ორიათას ცალამდე ექნებათ ქსეროქსზე გადაღებული „თავზეხელაღებულთ“-აკი იმ წლებში კიდეც თვითმწიფედ პარპაშებდნენ ისეთი „გულდამწვარი“ ქართველი „პატრიოტები“, რომლებიც სდევნიდნენ მას, როგორც ანტისაბჭოთა, დისიდენტურ „სამიზდატს“ (და მაინც, კერძოდ, საქართველოს საპატრიარქომ ოთხასამდე ეგზემპლარი „გააპარა!“) იყვნენ ისეთებიც შუა საუკუნეების ბერებივით ხელით რომ იწერდნენ. მალე დღიდან დაბადებისა „ლია ბარათს“ (იგივე „ლია წიგნს“) შეერქვა „შავი წიგნი“ და ამ ძირითადი სათაურით პირველად გამოიცა 1990 წელს გამომცემლობა „განათლების“ მიერ. (პ.ბ.)

– ესენი ხომ ბევრისათვის პირდაპირ ალერგენია, როგორც თითქმის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი, – ამიტომ ვიშველიებ, აქაც და მერეც, „მართლა“, დევალვირებული სიტყვების სარეაბილიტაციოდ).

იოსებ ჟორდანია არა მარტო ქედუხრელი მამულიშვილი იყო, იოსებ ჟორდანია, ეს სათვალისანი მეცნიერი (მინუს 14!) ვაჟკაციც გახლდათ.

(სათვალე ვაჟკაცობის გამოსაჩენად ვერ იქნება თურმე დამაბრკოლებელი ჰეროიკულ ხანაში, – ასე განსაზღვრა ჩვენი დრო ბატონმა გრიგოლმა ერთ-ერთ ამასწინანდელ გამოსვლაში. „კომუნისტი“, 13.12.78).

მიხეილ თამარაშვილი და იოსებ ჟორდანია...

ორივე საამაყო შვილია საქართველოსი, მაგრამ მაინც რა ცოტა რამ ვიცით მეორეზე, – თუმცა არა, ჩვენ, ვინრო წრემ, ასე თუ ისე, ვიცით, მაგრამ ხალხმა, ხალხმა!..

ამ ათიოდე წლის წინათ, როცა მას დაბადების 75 წელი შეუსრულდა (80 წელი არ აღნიშნულა, – ბევრ სხვა ცოცხალივით „საწყალმა“ ამ საქმისათვის თვითონ ვერ ირბინა. ჭირისუფალ-გამხსენებელი კი არავინ გამოუჩნდა, – თვით მისი სახელობის ინსტიტუტშიც კი!), „ზარია ვოსტოკა“ გამოეხმაურა, საიდანაც მხოლოდ ის გავიგეთ, რომ...

**«С одной из встреч за рубежом, в Рио-де-Жанейро, ученых гинекологов он не вернулся, стал жертвой авиационной катастрофы»\***

რა თქმა უნდა, საავიაციო კატასტროფაში დაღუპვა – ჯერ ეს კიდევ არ ნიშნავს ვაჟკაცობას, თუნდაც სხვებივით ნივილ კივილით არიქა მიშველეთო, – იქაურობა არც აიკლო...

მეც შემეძლო მეამბნა, მაგრამ რაკი «Неделя»-ს მონათხრობს – და ეს ბუნებრივია! – ყველას თვალში მეტი წონა ექნება, ამიტომ...

**«...Может быть, достаточно сказать, как погиб Жордания. Он летел в Америку и попал в катастрофу. Авиационная компания обеспечила всех пассажиров, имеющих билеты, спасательными жилетами и раздала их перед тем, как самолет рухнул в воду. Такой жилет не достался только маленькой безбилетной девочке. Жордания надел на нее свой... так погиб этот замечательный врач»...**

ეს შესანიშნავი ექიმი და მეცნიერი – ომის დროს საბჭოთა არმიის მთავარი გინეკოლოგი (ნუ გაიკვირვებთ, ჯარში ქალებიც მრავლად იყვნენ), შემდეგ კი მთელი ქვეყნის... ჰოდა, ბევრი საბჭოთა ქალისათვის სათაყვანებელი თავისი სიცოცხლე სადღაც, ცხრა მთას იქით, მესამე მატერეიკზე უცნობ ბრაზილიელ გოგონას შესწირა ქართველმა ჟორდანიამ...

და ეს ჟორდანია (არა ნოე, – იოსები!) – ნუ იტყვით! – თურმე ჩუმი ნაციონალისტი ყოფილა!

ასე მონათლა იგი, სიკვდილამდე ცოტა ადრე, იმდროინდელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა, მხოლოდ იმიტომ, რომ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში (4. 12. 61.) – „ოჯახი ერის ბურჯია“ – ჟორდანიამ, თითქოს ქარაგმულად, მაგრამ მაინც გარკვევით მიგვანიშნა ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ უბედურებაზე: საქართველო შობადობის მხრივ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა, და თუ მაინც არის, ასე თუ ისე, ერთგვაროვანი ნამატი, ეს ნამატიც არა-ქართველ მოსახლეობაზე მოდისო...

ჩვენი დაჩიავება-დაბერების დაწყებითი სტადია ჟორდანიაზე ბევრად ადრე მიხეილ ჯავახიშვილის თვალს არ გამოეპარა. ჯერ კიდევ 1934 წელს იგი დიდი გულისწუხილით წერდა:

„...ოჯახიდან ქალის გასვლა ორპირი მახვილია. მე მეორე უკიდურესობა მაშინებს. ზოგმა სამუდამოდ ხელი აიღო ქალობაზე, ჯიშის გამრავლებაზე და თავისი თავი სანიმუშო მოქალაქე ჰგონია. შემცდარია. ზომიერება ბუნების უდიდესი საჩუქარია და ვინც მას უღალატებს, ის აუცილებლად დაისჯება... დღევანდელმა ქალმა შრომა ისწავლა, დიდებულია! მაგრამ მან მუცლის მოშლაც ისწავლა, ეს კი საზარელია. ამის გამო მომავალი თაობანი ავად მოგვისხსენიებენ... ეს ჭირი ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ“.

იმ დროს არავის უცდია ამ ჭირის აღმოფხვრა, – ჭერა-შენებით ვიყავით გატაცებული (სხვებთან ერთად იმ თვალუნვდენელ საჭერ ბადეში – ეს ზოგს უშუალოდ გვახსოვს და ზოგსაც მოვაგონებთ, – ქართული რომანის ტიტანი, მიხეილ ჯავახიშვილიც მოაყოლეს, – ჩვენ კი დაგავალეთ, მაგრამ შენ მაინც რატომ გამოესაუბრე ანდრე ჟიდსო!).

ჭირის აღმოფხვრა არც მერე გვიცდია, თუმცა კანტიკუნტი ლაპარაკი აქა-იქ იყო, არა-სა-

ხელმწიფოებრივ, – რა თქმა უნდა, – სადაბო „ნაციონალიზმის“ დონეზე!

იოსებ ჟორდანიას ზემოთ მოხსენიებული წერილის გამოქვეყნებიდან ცხრა წლის შემდეგ, „ლიტერატურულმა საქართველომ“ დისკუსია წამოიწყო „რამდენი შვილი უნდა გვყავდეს?“ მალე მას მხარი „სოფლის ცხოვრებამაც“ აუბა, – „ნუ ვიქნებით ეგოისტები!“.

არც ერთს და არც მეორეს, უფრო კი პირველს, არავითარი პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა გონივრული, ემოციური, ასე წარმოიდგინეთ, შეუნიღბავად პატრიოტული წერილებიც კი დაიბეჭდა („დონდუკოვ-კორსაკოვი“ საქართველოდან უკვე განვუული იყო)...

ამ სადისკუსიო (?) წერილებს მკითხველი ბევრზე ბევრი ჰყავდა, მაგრამ ბევრ მათგანს საქირქილოდაც არ ჰყოფნიდა, ამის დამწერი მე რომ ჭკუას მასწავლის და მომიწოდებს, ოთხი მაინც იყოლიეო, თვითონ მას რამდენი ჰყავსო, – ამბობდნენ.

მართლაც, არც ერთ „დისპუტანტს“ – გარდა გელა ბანძელაძისა! – ბავშვი თითო-ოროლას მეტი არ გააჩნდა...

ასე და ამგვარად, ყველა ჩვენგანს სამოთხე სულით და გულით გვნადია, ოღონდ იქ შესვლა სხვისი ფეხით გვინდა, ამ „სხვას“ კი შენთვის თავისი ფეხი არ ემეტება, მასაც ჩვენსავით სამოთხეში სხვისი ფეხით უნდა შებრძანება...

ეს ღია, სამწუხაროდ, გრძელზე გრძელი ბარათი პრესაში გამოსაქვეყნებლად არ იწერება და, რაც მთავარია, განკუთვნილია მხოლოდ ქართველებისთვის. ეს, ასე ვთქვათ, შინაურული ბარათია, ასე რომ, ნუ შეგვემინდება იმის, რომ სხვების თვალში თავი მოგვეჭრება, თუკი გულახდილად და მოურიდებლად ვიტყვი: სიგლახეში მაიმუნებიც არ არიან ისეთი წამბაძველები, როგორც ჩვენ, ქართველები...

და აი, ამ მაიმუნურმა წამხედურობამ, როგორც ერი, ლამის მთლიანად გაგვაჩანაგოს, დედაბუდიანად ამოგვიძირკვოს, ამოგვაგდოს...

ჩვენ ახლა სერიოზული კატასტროფის წინაშე ვდგავართ, – ეს ყოველგვარი პანიკური გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, და ჩვენ ახლა დიდი ეროვნული გმირი გვჭირდება – ნუ გაიცინებთ! – ბიბლიურ მოსესავით რომ გვიხსნას განსაცდელისგან.

ამ სფეროში – ა მ ს ფ ე რ ო შ ი ! – წამხედურობას საფუძველი საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებშივე ჩაეყარა, და პირველი მისი მესაძირკველი ერის თითქოს ყველაზე შეგნებული ნაწილი – ინტელიგენცია იყო, კერძოდ – ქართველი მწერლები...

აბა, ვის შეუძლია დაასახელოს იმდროინდელი, თუნდაც ერთი ნ ა მ დ ვ ი ლ ი მწერალი, რომლისაგანაც მაგალითის აღება საამაყოდ მიგვაჩნია, – ორ შვილზე მეტი რომ იყოლია? არათუ ორი, მეტნილად – ერთი, ერთი, ერთი... ამავე დროს ისინი, თუ ყველანი არა, უმრავლესობა მაინც, გულმხურვალე მამულიშვილები იყვნენ.

უცნაური, სევდიანი პარადოქსია!

...ინტელიგენციის „მაღალი“ მაგალითი, მერე, ქალაქის მოსახლეობის სხვა ფენებმა აიტაცეს, და მან მალე სოფლადაც, გლეხობაშიც კი შეაღწია და...

„თუ ამოწყდა გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდაო“, – განუჭვრეტია არჩილს, ჯერ კიდევ როდის, ამ შემთხვევაში უფრო მეფეს, ვიდრე პოეტს.

ოცდაათიან და ორმოციან წლებში, ცოტა მოგვიანებითაც, მცირეშვილიანები თავს ეკონომიკური ხელმოკლეობით იმართლებდნენ, რით გამოვზარდოთ, რა ჩავაცვათ, რა ვაჭამოთო...

...სოფელში ვიყავი. იქ ერთი ტანმოსული გოგიაა, რაიფოსტაში მუშაობს, – მაჯის საათი ხელზე ძილშიც კი უკეთია, ცოლს ძვირად ღირებული ოქროს საათი აქვს, მღვდლადარა საათიც მოეპოვებათ, ორი გოჭებიანი ღორი და 30 ფრინველი ჰყავთ და... ერთი ღინკილა ბავშვი! ვკითხე, შვილი მეტი რატომ არა გყავთ-მეთქი, – „რას ბრძანებთ, ბატონო, ესეც ბევრია, ძნელია შენახვაო“.

ოჯახში (თუკი სამსულიან „საკრებულოს“ ოჯახი ეთქმის!) სამი საათი აქვს გლეხის ბიჭს, რომლის მამას მაისში სიმინდი რომ გამოეღოდა, შვილების საზრდოდ ნაქურჩალსა და ლობიოს ფქვავდა, ივნისში თავი ბალით გაჰქონდათ, ივლისში – შეთვალებული ქლიავით, აგვისტოში უმნიფარ ვაშლსა და მსხალს ხეპავდნენ...

ეს კი ამბობს, ძნელია შენახვაო.

ამას ამბობს ის, ვინც მარტო ყურძენს 15 ათასისას აბარებს და გოჭებსაც ყიდის ას-ას მანეთობით... მე რომ რაიკომის მდივანი ვიყო, დავემუქრებოდი – მოგხსნი სამსახურიდან, თუკი მარტო ღორებს მოაშენებ, ბავშვებს კი არა... მაგრამ რაიკომის მდივანს, სამხარაძეს, რაკი ეს ინსტრუქციით არ ევალება და არც თავი უჭრის საამისოდ, ამისთანა გოგიებს არაფერს ეუბნება, ანდა, უთხრას თუნდაც, – რა ძალა ექნება მის ნათქვამს, როცა თვითონ მას ორად ორი ბავშვი ჰყავს, ვილჰელმ მეორის დროინდელ ბიურგერის „ცვაიქინდერსისტემის“ კვლობაზე... თუმცა მერე, „ფიურერის“ დაძახილზე, ისინი ისე მომრავლდნენ, მთელი ევროპა გადათელეს.

ასევე დე გოლმაც, 1946 წელს შესძახა ათეული წლების მანძილზე ორმოც მილიონზე გაყი-

ნულ ფრანგებს, ათი წლის განმავლობაში 12 მილიონი ჯანმავარი ბიჭუნა და გოგონა უნდა ჩამაბაროთო და... ახლა „ბერნ“ საფრანგეთს უკვე ცოტალა აკლია 50 მილიონამდე!

ო-ო, ესეც არის, არც ჩვენ ვართ ღვთის ანაბარად მიტოვებული, საქართველოსაც ჰყავს თავისი... ვასილ „დე გოლი“ განა ჩვენც არ გვალვძიებს ხოლმე მისი ომახიანი შეძახილი?

— ადამიანებო და ქათმებო, აბა, თქვენ იცით, არ შემარცხვინოთ მოსკოვის წინაშე, ამდენი ჩაი ჩამაბარეთ და ამდენი კვერცხი!.. (50-იანი წლების დროინდელი უბის წიგნაკიდან).

\*\*\*

## **„ერს, რომელსაც დღევრძელობა და მერმისი სურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს“.**

ილია

ახლა დრო დაგვიდგა ისეთი, ხალხის დიდი უმრავლესობა – ქალაქადაც და სოფლადაც – გამდიდრდა და გალალდა. ამჟამად ძნელია შეხვდეთ ისეთს, რომელმაც თავისი მცირეშვილიანობა ეკონომიკური გაჭირვებით აგისსნათ. ამის თქმა, ბევრ მათგანს, საერთოდ სირცხვილ-ნამუსის გრძნობა დაკარგულთაც კი, ერიდებათ, რაკი ასე საქვეყნოდ „ჩამანქან-ჩაბრილიანტე-ბულ-ჩადუბლიონკებულნი“ არიან...

ნეგატივი, ნეგატივიო, თუმცა მათთვის ყოველგვარი ნეგატივი პოზიტივია, მათ მაინც თქვენს, თუნდაც ოდნავ საყვედურით შეფერილ შენიშვნაზე – ბინა დიდი, აგარაკი ორი – ზღვასთან და მთასთან, ქონებსაბადებელი იმდენი, რომ ხშირად უქონელს ეხარბებიან, ნეტავი მას, ბინის გაქურდვის დარდი არა აქვსო, – თავის გასამართლებლად სამი პასუხი-სტერეოტიპი მუდამ მზადა აქვთ: „ბავშვები რომ ვიყოლიოთ, ჩვენ როდისლა ვიცხოვროთ?“ „ერთი (ან ორი) გავზარდო და კარგად გავზარდო“, „ახლა მეორეც (ან, ვთქვათ, არდაბადებული მესამე) რომ მყავდეს მოსაწყობი უმაღლესში, უი, დედა!..“

დიახ, არასოდეს არ ვიყავით ქართველები მატერიალურად ასე აღზევებულნი, და არასოდეს არ ვიყავით ზნეობრივად ასე დაცემულნი...

ხორციელ განდიდებას სულიერი დაკნინება მოსდევსო, – აღარ მახსოვს ეს სად ამოვიკითხე, ანკი... ამოვიკითხე სადმე? თუ ის ბიბლიიდან არ არის და მოარულ ფოლკლორს მიეკუთვნება და ჩემია, მაშინ ჩემს თავს ნებას მივცემ, ამ აზრის სისწორეში, „თვითკრიტიკის წესით“, ეჭვი შევიტანო: რატომ ის მაინცდამაინც ქართველებზე ვრცელდება და არ ვრცელდება, ვთქვათ, სომხებზე?!

ჩვენს მეზობელ სომხეთში... შეიძლება არა ისეთი მასშტაბით, როგორც საქართველოშია, მაგრამ იქაც საკმაოდ ყვავის ქურდობა და ავაზაკობა, მომხვეჭელობა და მექრთამეობა, ლოტობა და ხულიგნობა, ავტოავარიები და ამ ავარიებით გამოწვეული მსხვერპლიანობა, კაცის კვლა (ო-ო, ამ „დარგში“ ისინი ჩვენთან ასე იოლად ახლოსაც ვერ მოვლენ; ჩემი სამწუხარო ვარაუდით, ამ მხრივ ჩვენ ახლა, მგონი, თურქმენეთსაც გავუსწარიო, რომელსაც წინა წლებში საბჭოეთში პირველი ადგილი ეკავა); სომხეთშიც ყვავის ათასგვარი უნამუსობა და მამაძაღლობა, აი, ნეგატიურ გამოვლინებებს რომ ვეძახით... მიუხედავად ყოველივე ამისა, სომხეთი...

არა, აქ ვარაუდობანა არ გამოდგება, მით უმეტეს, რომ, საბედნიეროდ, ხელთა გვაქვს აასის (Агентство Новости) ოფიციალური ცნობა ბოლო აღწერის წინასწარი შედეგებისა, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა ა. ნ. 21 ივნისს. აი, ისიც, დიდის მთქმელი პატარა ციტატა:

„აღწერის მონაცემებმა უჩვენა აგრეთვე, რომ დაბადებათა კოეფიციენტი დამოკიდებულია არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ ეთნიკურ ფაქტორებზეც. მაგალითად, საქართველო და სომხეთი მეზობლები არიან და დაახლოებით თანაბარ ბუნებრივ პირობებში იმყოფებიან, მიუხედავად ამისა, აღწერებს შორის 9 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 7 პროცენტით, სომხეთის კი – 22 პროცენტით“.

მიაქციეთ ყურადღება: 7 და 22! — სამჯერ უფრო მეტით!

...გაითვალისწინეთ ისიც, რომ სომხეთი ერთეოვანი რესპუბლიკაა, ჩვენ კი... აკი თავიც მოგვაქვს ხოლმე, მართალია, ჯერ მხოლოდ ოფიციალურ კრებებ-ფორუმებზე, საქართველოში ასი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობსო...

ჰოდა, ეს 7 პროცენტიც კი მხოლოდ და მხოლოდ ამ ეროვნებათა 99 წარმომადგენელზე მო-

დის, ძირითადად – აზერბაიჯანელებზე, სომხებზე, ოსებზე, აფხაზებზე, ქურთებზე, ჩვენ კი – როგორც ოჟეგოვის 1953 წელს გამოცემული ლექსიკონი გვაუწყებს „Грузины - основное население Грузинской ССР“ – „აუტში“ ვართ!

(ალბათ ასე, უბრალო თავაზიანობის გულისათვის, „ასწავნოედ“ კიდევ ბევრჯერ მოგვიხსენიებენ, აკი იმავე ლექსიკონში აფხაზებიც ზუსტად ასევე არიან განმარტებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, მიტმასნებული „აფხაზების“ ჩათვლით, ავტონომიური რესპუბლიკის მხოლოდ 16 პროცენტს შეადგენენ).

მე უკვე მოგახსენეთ, ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინათ იოსებ ჟორდანიას როგორ შესტკიოდა გული ქართველების შეთხელების გამო თავისივე სამშობლოში. ის რომ ახლა ცოცხალი იყოს, სულაც დაიზაფრებოდა, რადგან ამ ოც წელიწადში კიდევ უფრო გრძელი ნაბიჯი გადავდგით... უფსკრულისაკენ.

ერთი ღირსპატივსაცემი დემოგრაფი წერდა, ჩვენ, დემოგრაფები, მთლად სანდონი არა ვართო. არა ამიტომ, რასაკვირველია, უფრო იმიტომ, რომ რაკი ჩვენი თავი არცთუ სულ მთლიანად ჩვენვე გვეყუდნის, შენსავე ქვეყანაში რამდენი დაიბადა შენი ერის კაცი და რამდენი მიიცვალა, ამას, თუ არ ვცდები, არც აღრიცხავენ („ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ!“)... ამიტომ იძულებული ხარ თვითონვე მიმართო პრიმიტიულ დემოგრაფობას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს პრიმიტიული დემოგრაფობა, ბევრ რამეში, არცთუ ისე ტყუის ხოლმე. ჩემი მრავალი წლის დაკვირვებით კი, ახლა ჩვენ, საქართველოში, იმ საზარელ მიჯნამდე მივედით, როცა – ქართველებში – სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას...

და თუ ეს ჩემი შავი პესიმიზმი მცდარია, ყველაზე ადრე და პირველი მე გავიხარებ და სიხარულით არც მუშტებს დავინანებ საკუთარ თავისათვის, მაგრამ თუ შობადობა სჭარბობს „იმ უხსენებელს“ რალაც ერთი პროცენტით, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, – თუკი სასწრაფოდ, დე გოლისებურ ზომებს არ მივიღებთ, – რომ გამოვძვრებით ამ სახიფათო, ტრაგიკული ზონიდან...

არ იქნება ურიგო, თუმცა ეს არაფრის სიამის მომგვრელია, ხანდახან მაინც გადავხედოთ სამგლოვიარო განცხადებებს, არა მხოლოდ „თბილისში“, – რაიონულ გაზეთებშიც, – ზოგ მიცვალეზულს მხოლოდ ერთი თუ ორი გამსვენებელ-დამტირებელი ჰყავს. პირადად თქვენ რამდენი ახლო ნაცნობი მოგეპოვებათ და რამდენი ნათესავი, – ჰოდა, მოიგონეთ, მათში – წელს, შარშან, შარშანწინ და ადრეც – რამდენი გარდაიცვალა და რამდენს ჩვილი შეეძინა... შეიძლება თქვათ, მარტო ჩემი ნაცნობ-ნათესავებით ხომ არ ამოიწურება საქართველოო, მაგრამ საქართველო იმდენად ერთი ხელისდადება ქვეყანაა, ამგვარი „დემოგრაფიაც“, შემადრწუნებელ სურათის წარმოსადგენად, უტყუარ საბუთად გამოდგება.

ალბათ შეამჩნევდით, აასის ცნობაში თითქოს ბოდიშსაც გვიხდიან, – საქართველო და სომხეთი თუმცა კარის მეზობლები არიან, და თუ მათ შორის ასეთი მკვეთრი განსხვავებაა შობადობაში, ეს სხვადასხვა ეთნიკური ფაქტორით უნდა აიხსნასო...

ეს „ფაქტორი“ კი მაგარი სილაა ჩვენთვის, სილა, რომელიც სხვამ კი არ გაგვანწა, ჩვენივე ხელით გავინანით.

დიახ!..

ხედავთ, სადამდე მივედით?! ბავშვების სიყვარულში, შვილების სიმრავლეში როდის იყო, რომელ ათასწლეულში, რომელ ეპოქაში, რომ ქართველები სომხებს ჩამოვრჩებოდით?! ამ მხრივ ჩვენ, მეზობელი ერები, ყოველთვის ერთ დონეზე ვიდექით, ამ სფეროში ჩვენ შორის რაიმე განსხვავებაზე არც ოდესმე თქმულა რამე და არც არაფერი დაწერილა, – ახლა კი ჩამოვრჩით და, არათუ მხოლოდ ჩამოვრჩით, ჩვენივე მარჯვენათი ვილადრავთ ყელს უკვე ნახევარი საუკუნეა, და მერე რა დროს? – ჰეროიკულ ხანაში, როგორც ამას ბატონი გრიგოლი ბრძანებს!

ღირს კი ამის შემდეგ გაამტყუნოს კაცმა საზღვარგარეთელი სომხები, რომლებმაც, რა თქმა უნდა, აქაური სომხების, უწინარეს ყოვლისა კი მათი კათოლიკოს-პატრიარქის ვაზგენ... თავის ხალხისათვის ვაზგენ-ბრძენის მიწოდებული მასალების საფუძველზე ბრიუსელში, ამ თხუთმეტოდე წლის წინათ, გამოსცეს წიგნი, სადაც აღნიშნავდნენ, ქართველების დეგრადაცია კარგა ხანია დაიწყო და უკვე დროა, საქართველოს მივხედოთო.

სომხებისაგან საქართველოს „მიხედვა და ყურადღება“ არც ადრე აკლდა... ხატისოვის თბილისში ქართველების 17 პროცენტი ცხოვრობდა, ქალაქის საბჭოში კი ორად ორი ხმოსანი იყო ქართველი (დღევანდელი ტერმინით – დეპუტატი); სომხური კაპიტალი, აღმოსავლეთ საქართველოს რომ აღარ დასჯერდა, დასავლეთშიც შეიჭრა და სულ მალე აზგარ ანანოვმა მთელი აჯამეთი ჩაიგდო ხელთ და რუბენა აკოფოვმა ქუთაისშიც, ბალახვანში მოზრდილი ადგილები მოიზომა.

ჩვენი ბედი, რომ ნიკოლოზი ჩამოაგდეს, თორემ ახლა სომხების მარწუხებში სულ ერთიანად ვიქნებოდით გათანგული, მაგრამ, ესეცაა, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს ფიზიკურად ამოწყვეტა-ამოხოცვა მაინც არ გვემუქრებოდა, – ნუ ვიტყვით, თითქოს არ სჯობდეს – სხვისი შემყურე



იყო და, როგორც ერი, ცოცხალი იყო, ვიდრე არც არავის შემყურე იყო და აღარც ცოცხალი...  
დღეს კი...

ვინ არ იცის, მით უფრო სომეხმა როგორ არ იცის, რომ ბუნება ვერ ითმენს სიცარიელეს, რომ ვაკუუმი უნდა ამოივსოს...

ჰოდა, ამაზე უკეთეს ამოსავსებ ადგილს, როგორც საქართველოა, აბა რომელ მხარეში იპოვიან... სომეხი იქნება ის, აზერბაიჯანელი თუ ოსი?!

ჩვენი უბედურება ორმაგდება უფრო კიდევ იმით, რომ საყვირლადაც არ გვიხდინან საქმეს, – მოგვხედეთ, ამ ინტერნაციონალურ, ძმობის ხანაში გვეკლავენ და გვანადგურებენ-თქო, აკი არც ერთი, ჩვენი „ძმა და მეგობარი“, არც თოფს გვიღერებს, არც ბომბს გვიფეთქებს, არც – ჯერჯერობით მაინც, – არც კომბლით გვერეკება...\*

ერთიანი ეროვნული გრძნობა საბჭოთა ხალხებს წინათ – შედარებით! – უფრო ჰქონდათ, ვიდრე ახლა აქეთ სინამდვილეში; რაც უფრო მომრავლდა ინტელიგენცია – ნამდვილი თუ მოსაჩვენარი, – რაც უფრო მეტად შემოიჭრა განათლება და ცრუგანათლება, მით უფრო გაღვივდა ფარული ეროვნული შუღლი და ეროვნული შეზღუდულობა, მით უფრო წამოყო თავი ეროვნულმა ქედმაღლობამ და ეროვნული პრიმატობის – პირველობის პრეტენზიებმა...

პროვინციული ეროვნული მამლაცინობა, სამწუხაროდ, არც ჩვენ გვაკლია, თუმცა... კაცი ამას არ ინუხებდა, რომ ეს სამშობლოს გულწრფელ სიყვარულში, მისადმი უანგარო თავდადებაში, მამულიშვილურ საქმიანობაში მჟღავნდებოდა. მთელი ჩვენი დღევანდელი „ნაციონალიზმი“ და „პატრიოტიზმი“ კი მხოლოდ იმით გამოიხატება, მოუგებს თუ არა ჩიბურდანიძე კუმნირს, ანდა თბილისის „დინამო“ ერევნის „არარატს“... ამასობაში კი „არარატის“ უხილავი ცენტრალური \*თავდამსხმელი ვაზგენი გულში ხითხითებს და თავის უპარტიო და პარტიულ მრევლს ლოცავს და ამშვიდებს: რომ შეიძლებოდა ნახევარი ბავშვის გაკეთება, ქართველები ნახევარ ბავშვს გააკეთებდნენ, ცოტაც მოვითმინოთ და ისინი თავისით ამოწყდებიანო...

„ამოწყდით!“ „შეგახმეთ უკანასკნელი ყლორტი!“ – ეს იყო ყველაზე საზარელი წყევლა ძველად, საქართველოში.

და აი, ვწყდებით, ვწყდებით და ვხმებით პატრიოტული გრძნობის მანქანა – „დუბლიონკებზე“ გადახურდავებით, ჩვენი დოცლაპიობით და სიზარმაცით, სიბარიტული ეგოიზმით, მაიმუნური მიმბაძველობა-წამხედურობით და... აგრეთვე, რასაკვირველია, ქართველ ქალთა დიდი უმრავლესობის სულ უფრო და უფრო გადაგვარების წყალობით.

თურქ-ოსმალებს გადავურჩით, სელჯუკებს, მონღოლებს, არაბებს, სპარსელებს და... ახლა, მეოცე საუკუნეში, ხალხთა აყვავებისა და ხალხთა ძმობის მქადაგებელ ჰეროიკულ დროში, ვიკლავთ თავს...

ოციან წლებში გაზეთებში, „შემთხვევების“ სვეტში, წელიწადში ერთხელ მაინც ამოიკითხავდით: „თვითმკვლელობა რომანიულ ნიადაგზე“, ჩვენი დღევანდელი თვითმკვლელობა კი ეს არის თვითმკვლელობა უჭკუობის ნიადაგზე!

მადლობა სომეხთ გამჭრიახობას, ჯერ კიდევ როდის შეგვარქვეს „გიჟ-ვრაცუა...“

\*\*\*

\* გვიანდელი შენიშვნა (ივლისი, 1989 წელი): ამ ათ წელიწადში ჩვენი საქმე ისე წავიდა „წინ“, რომ ახლა ეს „ჩვენი ძმები და მეგობრები“, ჯერხანად აფხაზები და აზერბაიჯანელები, ფერღანის ამბებით გათამამებულნი, ამ ჩვენს მინაწყალზე უკვე დაღურსმულ კომბალსაც გვიქნევენ, თოფსაც გვესვრიან, ბომბსაც გვიფეთქებენ, მოკლედ – ყოველგვარ „ინტერნაციონალურ ილეთს“ მიმართავენ ჩვენს ამოსაჟღერებელად.

იმას არ ეთქმის ადამიანი,  
ვინც აღიარებს მარტო თავის ერს  
და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს  
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.  
დეე სუყველამ იბედნიეროს  
თვის სამშობლოში, თავის მხარეში,  
რომ მოძმე იყვნენ ერთი მეორის  
და არა მონა, ყმა და ფარეში!

აკაკი.

წინათ რელიგია გვინახავდა, რელიგია იყო ჩვენი მფარველიც და ჩვენი პატრონიც, ქრისტეს მცნებებს ვენირობოდით...

ახლა რელიგია დავივიწყეთ, ქრისტეც დავივიწყეთ, უფრო სწორად – დაგვავიწყებინეს ისე, რომ მაინცდამაინც რაიმე წინააღმდეგობა არც გავგინევიცა... წარმართებად ვიქეციოთ, ოღონდ იმ განსხვავებით, – წარმართები სხვების მიმართ იყვნენ წარმართები, ჩვენ კი ჩვენსავე მიმართ ვართ... მაგრამ წარმართებიც კი უფროთხილდებოდნენ „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“, სამშობლოს ისინიც ეთაყვანებოდნენ, ჩვენ კი...

დიდებული ლექსების დიდებული სტრიქონების მოშველიებას თავს მივანებებ, მივმართავ სტატისტიკის, როგორც იტყვიან, მშრალ ციფრებს...

1970 წლის აღწერით, ქართველი საქართველოს ფარგლებს გარეთ – საბჭოთა კავშირში – სულ მხოლოდ რაღაც 69 ათასი კაცი ცხოვრობდა. მხოლოდ რაღაც-მეთქი, რადგან სომხები მარტო მოსკოვში ორჯერ ამაზე მეტი ცხოვრობდა. სულ პატარა ხალხებს, நாძიოხობას რომ უწოდებენ (მაგალითად, ყუმიკები, ჩუქჩები, ევენკები), მათ რომ თავი დავანებოთ და მათთან შედარებით, ასე თუ ისე მოზრდილ ერებში ჩავინეროთ თავი, ქართველები უკანასკნელ ადგილზე არიან, რომლებიც თავიანთ სამშობლოს გარეთ ბინადრობენ. (ასეთი უკანასკნელი ადგილი, ცხადია, სასიხარულოა).

იმავე აღწერის მიხედვით, ქართველებიდან ქართული თავის დედაენად დაასახელა 98,4 პროცენტმა, თუ ამ გრაფიდან რუსებს თავაზიანად და მორიდებულად ვთხოვთ „ცოტა იქით მიინიონ“, რამეთუ...

(ერთი კარგი მოქართულეს მიერ გაცოცხლებულ ამ სიტყვას – რაც იქნება და იქნება! – ერთხელ მეც ვიხმარ, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს „რამეთუს“ საშინელ, მანთაშოვისებურ ექსპლოატაციას უწევს, – იქაც კი ჩრიან, სადაც საჭიროება არ მოითხოვს).

...რამეთუ რუსების პირველობა, რა დარგშიც უნდა იყოს, არავის გაკვირვებას არ იწვევს, – მაშინ ერთ-ერთი პირველი ადგილი ჩვენ დაგვრჩება (ასეთი პირველი ადგილიც, რაღა თქმა უნდა, დიდად სასიხარულოა!).

ჩვენ ბუნებით, ზოგიერთი ჩვენი მეზობელივით, მოწინააღმდეგე ხალხი არა ვართ, ქართველი ის მერცხალი არ არის, რომელიც სითბო-სიცივის მიხედვით იცვლის ადგილსამყოფელს, ქართველს ერთი სამშობლო აქვს, ურომლისოდაც მას ცხოვრება არ შეუძლია...

და ასეთი ხალხი თავის სამშობლოს არ უფროთხილდებოდეს?! ერთადერთ სამშობლოს?! და როგორ სამშობლოს? „ცა-ფირუზ, ხმელეთ...“

თავის სიყვარულს სათაყვანო სამშობლოსადმი მხოლოდ ღვინით სავსე ყანწით, შეუსვენებელი ღორმუცელობით გამოხატავდეს?!

მარტო „დი-ნა-მოს“ კაჭკაჭისებრი ძახილით კარზე მომდგარ მტრებს მოიგერიებ?

და მერე როგორ მტრებს? თეთრი ბაირაღებივით მეგობრებად მოსულთ, უაბჯროს და უიარაღოს, რომელთა თოფი და თოფისწამალი მიდარაჯებაა, როდის მიიძინებ მარადის, რომ შენს ნასახლარზე დასახლდნენ, შენ მიერვე ჩამქრალი კერა ხელახლა მოანთონ და ცამდე კოცონი გააჩაღონ, რათა მის ირგვლივ იმღერონ და იცეკვონ,

ზოგმა „წინერნაქი“,

ზოგმა „ჯუჯალარი“,

ზოგმაც – „სიმდი...“

\*\*\*

**...სიტყვა სხვა არის, საქმე სულ სხვაა,  
სხვა უდევთ გულში მათ დაფარული,  
ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური —  
ძმობა, ერთობა და სიყვარული.**

აკაკი.

ქართველები ნაციონალისტები არიანო...

ნეტავი ვიყოთ, ნეტავი ვიყოთ!

საუბედუროდ, ბუნებით, ჩვენ – ვიმეორებ! – ბუნებით, თანდაყოლილი სისხლით, ყოველგვარი „ზემოდან“ ჩაგონების, ყოველგვარ „პოლიტიკურ-იდეურ-ალმზრდელით“ აგიტაცია-პროპაგანდის გარეშე ინტერნაციონალისტები ვართ. ასეთნი ვიყავით მანამდეც კი, ვიდრე ეს სიტყვა მსოფლიოს რომელიმე ენაში შემოიჭრებოდა.

ეს ჩვენი დიდი ღირსება ამავე დროს ჩვენი დიდი ეროვნული უბედურებაა, – ამიტომ არის, რომ თბილისი, ჩვენი დედაქალაქი – ჯერ კიდევ როდის თქვა ეს გაბადრული სიხარულით მიქოიანმა ერთ-ერთ ოფიციალურ სხდომაზე! – ინტერნაციონალური ქალაქია, ამიტომ არის, რომ საქართველოში ასამდე სხვადასხვა ეროვნება გულდამშვიდებით ცხოვრობს. ისინი მხოლოდ გუშინ, მხოლოდ ჩვენს „ჰეროიკულ-ინტერნაციონალურ“ ხანაში არ ჩამოსახლებულან აქ, – ათეული და ასეული წლების წინათ, და არასოდეს მათ ქართველი ამოყლევით არ დამუქრებია, არ აუყრია, თითიც არ დაუკარებია... ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენი სამშობლო ასე არც აჭრელდებოდა.

მერედა, რით გვიპასუხეს ჩვენმა ერთხანს სტუმრებმა და მერე და მერე თანამოსახლებებმა? მაღლობით? ვითომ?!

ეს იყო ამ ათიოდე წლის წინათ... ერთი ქართველი ლიტერატორის ოჯახში ერევნიდან ჩამოსული, მაშინაც და ახლაც, ერთ-ერთი იქაური თეატრის დირექტორი, ასლამაზიანი, გავიცანი. მან სუფრაზე – არამთვრალმა და არა სადღეგრძელოს თქმისას, ღიმილით და გულწრფელი ტონით თქვა:

– Хороший, добрый вы народ, грузины. Вот вы терпите у себя полмиллиона армян, а мы... В Ереване, в «Интуристе» работал один Карселадзе... Всего один-единственный грузин во всем городе! Но пока мы его не вытурили, никак не могли успокоиться.

კიდევ კარგი, ამან რაღაც საქებარ-მაღლობისებური ერთხელ მაინც ამოშაქრა, სხვები კი...

...1970 წლის საკავშირო აღწერასთან დაკავშირებით, ახალქალაქში დაბადებულმა და გაზრდილმა, მოსკოვში სომხეთის მწერალთა კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა, გრიგორი მანასიანმა... თანამდებობაც ხომ იმაზე მეტყველებს, რომ ეს უკვე ხანში შესული კაცი ჭკუადამჯდარი, დაკვირვებული, საქმეში ჩახედული ინტელიგენტი იქნება; ის, მართლაც ასეთია და „მართლაც ასეთმა“ საუბარში, უეცრად გაცხარებით მისაყვედურა:

– Вы, грузины, во время переписи в Тбилиси, двести тысяч армян скрыли!..

გითხრათ სიმართლე, მე დიდად მაინცდამაინც არ გავცეცებულვარ, არა იმიტომ, რომ მანასიანი რეგვენია, – არა „სხვა საქმეში“ ჭკვიანი და ბრძენიცაა, ოღონდ „ჩვენს საქმეში“, „ჩვენს საქმეში“, რა ქნას „სანყალმა“, „ამირსპასალარ“ ვერმიშევივით ჭეშმარიტი სომეხია...

ჩვენ, „გიჟ ვრაცუები გონს საერთოდ გვიან მოვდივართ და მეც მხოლოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ შევუბნასუხე:

– Как же это могли мы скрыть двести тысяч армян, когда от советской власти даже того не скроешь, сколько яиц снесла та или иная курица?!

არ ვიცი, „გიჟ-ვრაცუას“ პირობაზე, მოსწრებულად ვუპასუხე თუ არა, ოღონდ ეს კი ახლაც მახსოვს, რამდენიც არ ვეფიცე „ღმერთმანი – ей-ногу-ტერ-ასტვაც“, არ დაგვიმალავს-მეთქი, მაინც ვერ დავარწმუნე, რომ ორასი, ო-რ-ა-ს-ი ათასი სომეხი კი არა, ორიც კი არ მიგვიკუჭავს სადმე მეთქი... ანდა რას დაარწმუნებდი, როცა მათ, მანასიანებს, თბილისისათვის 150 ათასი სომეხი ეცოტავებათ, მიუხედავად იმისა, რომ 150 ათასი სული ეს ხომ მთელი ქალაქია, მთელი ნოვოროსიისკია, მთელი ნიკოპოლია, მთელი ქერჩია, მთელი ლენინაკანია!..

მხოლოდ რაღაც არასრულ ოც წელიწადში (1939-1958 წლებში), მ ა რ ტ ო თ ბ ი ლ ი ს შ ი ჩამოსახლდა 25 ათას რვაასი სომეხი ჩამოსახლდნენ არა მხოლოდ ლორედან და ალავერდიდან,

– ერევნის ახლომახლო სოფლებიდან და დაბებიდან, – მათ 250 კილომეტრით მოშორებული ერევანი, სადაც, როგორც ასლამაზიანი პატიოსნად გამოტყდა, ერთი ქართველიც არ დააყენეს თუნდაც ის კაცი კი არა, მგელკაცა ყოფილიყო!...

ოციან წლებში ახლანდელი სასტუმრო „თბილისი პროფკავშირის ადგილსამყოფელი იყო, მისი დღევანდელი რესტორანი კი ვრცელ სხდომის დარბაზს წარმოადგენდა, სადაც ცეცხლოვანი კრებები, ფიცხელი დისპუტები გიზგიზებდა – იმნაირი კი არა, ახლა სამ წელიწადში ერთხელ სადმე თავს რომ წამოყოფს, და თანაც, ყველა „დისპუტანტს“ ერთი საერთო „გენერალური“ აზრი აქვს!

ერთ-ერთ ასეთ დისპუტზე – არის თუ არა ღმერთი? – მასხოვს (მედიცინიდან მოგეხსენებათ, სკლეროტიკები სიბერეში ბავშვობის დროინდელ ამბებს უფრო ნათლად აღადგენენ, ვიდრე გუშინდელს) ნესტორ ცერცვაძე გამოვიდა.

ის, საერთოდ, თავისი მახვილგონივრული და რიხიანი გამოსვლებით ყოველ კრებას ამშვენებდა, და ეს ტანმორჩილი ორატორი თუმცა ბოლშევიკი კი იყო, მაგრამ ტრიბუნაზე, თავისი თეთრი წვერით, რატომღაც უფრო „მენშევიკ“ კაუცკის ჩამოჰგავდა.

არ ვიცი ამიტომ, არ ვიცი იმიტომ, ეს კია, თავის სიტყვაში პიტოევთან – „უღმერთოთა საზოგადოების“ თავმჯდომარესთან (იყო ასეთი საზოგადოებაც!) – შეკამათებისას მან საქვეყნოდ შესძახა:

— ამხანაგებო! ჩვენმა მასწავლებელმა კარლ მარქსმა მართალია თქვა – პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით, მაგრამ ის კი არ უთქვამს, – სომხებო ყველა ქვეყნისავე, საქართველოში, თბილისში შეერთდით!..

...დიახ, ჩვენს „ძმებს“ – მანასიანებს 150 ათასი ეცოტავებათ, უნდათ, რომ სამჯერ მეტი იყოს, თანაც – არის კიდევო, ოღონდ თქვენ, ვერაგი „გიჟ-ვრაცუები“, მაღავთო. 150 ათასის ლიმიტი, ესეც ბევრია, მაგრამ... აჰა, შეიძლება ჩვენთვის, ქართველებისთვის, ასე თუ ისე, იქნებ გამეტონ. აბა როგორ გინდათ, მათ სატახტო ქალაქში...

საზღვარგარეთ იქაური სომხები რუკას, „ისტორიულ“ რუკას რუკაზე უშვებენ, სადაც „მცირე სომხეთი“, ჩვენდა საბედნიეროდ, „მხოლოდ“ გორამდე აღწევს; ცხადია, ამ საზღვრებშივე მოქცეულია „მათი“ სატახტო ქალაქიც „ტიფლის“...

რაკი ოსმალებთან არაფერი გაუვიდათ, ფართო ლოგინი ჩვენს ხარჯზე უნდათ გაიშალონ.

ეს ამბავი, ასე წარმოიდგინეთ, გუშინ არ დაწყებულა და არც მილიარდერ გიულბეკიანს წამოუწყია. იყვნენ არა მარტო მაუზერიანი დაშნაკები, არიან ნითელ სამოსელში გახვეული დაშნაკებიც.

ოციან წლებში ლენინგრაღში ყოველკვირეული სახელოვნო ჟურნალი «Жизнь искусства» გამოდიოდა. იმ ქარბუქიან დროს, რუსეთში, ხეირიანად თითო-ოროლამ თუ იცოდა სომეხი ვინ იყო და ქართველი ვინ იყო, საქართველო სად იყო და სომხეთი სად იყო... ალბათ, ამ „სიბნელით“ ისარგებლა ამ ჟურნალის რედაქტორმა გაიკ ადონცმა, ერთხელ მაინც მოვიკლავ გულის წადილსო და, ქრონიკის განყოფილებაში მიაბეჭდა:

«...В столице советской Армении, в Тифлисе, состоялся фортепианный концерт Эгона Петри...»

...რუსთავში, რუსულ სკოლაში ერთი ბიჭი სწავლობდა, სახელად აზატა, გვარად ველიანცი; მეშვიდე კლასში იყო, როცა დათუნაშვილმა ერთ მატჩში, „არარატის“ კარში ხუთი გოლი გაიტანა. ამით დამდულრულმა აზატამ დათუნაშვილის ფოტო იშოვა – გაადიდებინა და გაამრავლებინა (რუსთავში თითქმის ყველა ფოტოგრაფი სომეხია, ერთი რეპატრიანტიც კი არის!); ინტერნაციონალურად აღზრდილ-გამობრძმედილმა მშობლებმა კი, რაკი მაუზერი ვერ უშოვეს, შვილს გეკო უყიდეს და ვიდრე სკოლას დაამთავრებდა, ეს „ჩვენი ნაპიონერალ-კომკავშირელი აზატა სამიზნეში ამოღებულ „დათუნაშვილს“ უბათქუნებდა და უბათქუნებდა, თუ თვალეებში, თუ ცხვირში, თუ შუბლში... დროდადრო ახლო ნათესავებთან ერევანშიც დადიოდა და ყოველ დაბრუნებისას ამხანაგებს ერევანს ედემად უსახავდა... ერთხელ ტოლებმა ჰკითხეს, თუ ასე კარგია, რატომ საცხოვრებლად იქ არ გადახვალთ; პოტენციურმა ვაზგენ ხატისოვმა მათ ასეთი პასუხი გასცა:

– Мы, армяне, хитрый народ. Наша цель – рассеяться по всей Грузии и завладеть ею!

შეიძლება ამ ჩანაფიქრის თანახმად მოხდა, რომ ერთმა სომეხმა სვანეთსაც კი შეაღწია, შეიძლება ერთმა კი არა, მეტმაც, – მე მხოლოდ ის ვიცი, რომ შარშან იქ სომხურ გაზეთს იწერდა ერთი ჰაოსელი...

მესტია და სომხური გაზეთი?! შეიძლება ის „ამხანაგი“ ალპინიზმის ოსტატობის დასაუფ-

ლებლად ნავიდა პირქუშ, ყინულოვან მთებში? როგორღაც მეექვება!

სომხები სპორტის ბევრ სახეობაში – კრივი, ჭიდაობა სიმძიმეების აწევა, ტანვარჯიში – ბრწყინავენ კიდევ, ხოლო რაც შეეხება კლდეზე ცოცვასა და ალპინიზმს, ამათ სათოფეზე არ ეკარებიან: აბა, სადა ჰყავთ „შვილი დასაკარგავი?!“

ჩვენ კი რამდენი დავკარგეთ, ერთმა მუჭა ხალხმა რამდენი დავკარგეთ და მაინც არ ვეშვებით!.. ვითომ ჩვენ ამით – ქვეყნის თვალში – უფრო ვაჟკაცები ვჩანვართ?!. თავს ნუ მოვიტყუებთ, თავს ნუ მოვიტყუებთ!..

...ეს იყო დიდი ხნის წინათ, – მოსკოვში თბილისიდან საცხოვრებლად გადასული ნაცნობი თერძი შემხვდა, გვარად მნაცაკანოვი. მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი, სხვათა შორის ახალ ამბად ვამცნე ისიც, თბილისში მეტრო ამუშავდა-მეთქი. ამის გაგონება და, ჩემდა მოულოდნელად და ჩემდა განსაცვიფრებლად, დიდრონი შავი თვალები აუგიზგიზდნენ, მერე ორბიტიდან გადმოუცვივდნენ და სასტუმროს ჰოლის დაბალ მაგიდას ისე მაგრად დაჰკრა მჯილი და ისე ღვარძლმორევით ამოიკივლა, ახლომახლო მყოფმა ხალხმა პირი ჩვენკენ იბრუნა:

— რატომ უნდა იყოს თბილისში მეტრო?!

ორმოცი წელიწადი ეს ჩვენი „მოდმე“ თბილისში, „გიჟვრაცუების“ ტყავის გაძრობით დალხინებული ცხოვრობდა, არაფერს იკლებდა, არც ქართულ თონის პურს და არც ქართულ გუდის ყველს, მერე, ქისადაბრიგნილი, ჩრდილოეთს გადაიხვეწა და ახლა, სამი ათასი კილომეტრით დაშორებულსაც, გულს უპობს ის, რომ თბილისში, სადაც დაიბადა, გაიზარდა და კაცი გახდა, დიდის ვაი-ვაგლახით და ჯახირ-წვალებით, ამკარა კონსერვაციით თუ შენიღბული კონსერვაციით, თითქმის „არალეგალურად“, როგორც იქნა მეტრო გავიყვანეთ, თანაც – ნუ დაგავინყდებათ! – ნახევარი მისი ტრასა ავლაბარზე გადის...

ნამდვილი „ძმობის“ გამომჟღავნება ეს გახლავთ, და არა ის, თუ რას დაწერენ ჩვენზე „სოვეტაკან ვრასტანში“ ანდა ერევნის სომხურ პრესაში...

მადლობა „ტერ-ასტვაცს“, მეტრო მალე ერევანშიც ამუშავდება, მაგრამ არა მგონია, ის ჩემი ნაცნობი მნაცაკანოვი მის სანახავად იქ ჩავიდეს, იმის უნახავადაც მას მოსკოვში ისე, როგორც ადრე თბილისში, ჩინებულად ეცხოვრება...

ჰოდა, გინდა-არ გინდა, იძულებული ხდები საკუთარ თავს შეეკითხო, რა განსხვავებაა ამ ჭრა-კერვის რიგით ხელოსანს, უბრალო „პარტნოი“ მნაცაკანოვსა და მეცნიერული კომუნიზმის პროფესორ მნაცაკანიანს შორის, რომლის სტალინისადმი, როგორც ქართველისადმი, ხრუმროვის დროინდელ ცილისმწამებლურ ნაჯღაბნს თავის დროზე ი. მუჯირმა არა მარტო გონივრულად, ვაჟკაცურადაც ბღღვირი აადინა...

ორივე მნაცაკანიანი, თუ სისხლით არა, ყოველ შემთხვევაში სულით ხორცამდე უახლოესი ნათესავეები, ძმები არიან, განათლებით და გამჭრიახობით – თანაბარნი.

...რევოლუციამდე საქართველოში იშვიათად თუ შეხვდებოდით ისეთ ჩვენებურ ოსს, რომლის გვარსაც ქართული დაბოლოება არ ჰქონოდა; მერე და მერე კი, რაც უფრო ხანი გავიდა და რაც უფრო „დაგვიძმობილდნენ“, ბევრმა თავისი გვარი „გაარუსულა“ და დღეს აქა-იქ თუ შეხვდებით მათ შორის „შვილს“; ოსი „ოვები“ ოს „შვილებს“ სიძულვილით უყურებენ.

ამ სამი წლის წინათ საავადმყოფოში ჩემს პალატაში ზნაურის რაიონის ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტზე მდგომი ამხანაგი ინვა (გვარს არ ვასახელებ, „რამეთუ“ არ მინდა კარიერა გავუფუჭო, თუმცა... ამის გამო გაუფუჭდება კი?!); მას ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა და თვითონაც ისეთი დახვეწილი, დარბაისლური ქართულით ლაპარაკობდა, რომ მოესმინა – ალბათ, იაკობ გოგებაშვილსაც შემურდებოდა.

(სხვათა შორის, ასევე შემშურდა მეც – უფრო სწორად, მემამყებოდა, – გერმანელ ჰაინც ფენრიხის ქართული, რომლითაც ის სადოქტორო დისერტაციას იცავდა უნივერსიტეტში, – მანამდე არ მეგონა, ჩემი მშობლიური ენა ასეთი ლამაზი, ასეთი კეთილხმოვანი, ასეთი ტკბილმოუბარი შეიძლებოდა ყოფილიყო; „მხოლოდ მაშინ“ მივხვდი, თურმე რა საჯაყად ვლაპარაკობ ჩვენც კი – ე.წ. ინტელიგენცია – „თანდაყოლილ“, ყოველდღიურ ქართულს, და რა საამოდ ჟღერს იგი – შესწავლილი ქართული, – უცხოელი ინტელიგენტის ბაგეთაგან წარმოთქმული!).

საავადმყოფოს პალატა, ისე, როგორც მატარებლის კუბე, ჩვეულებრივ, ამეგობრებს ხოლმე ადამიანებს (მეტწილად დროებით – ვიდრე გზაში ხარ, ვიდრე ავად ხარ), და ჩვენც, ოსი და ქართველი, დავმეგობრდით... „ერთობლივი“ სტენოკარდიის ბაზაზე!

ერთხელ ჩემმა თანაპალატელმა მიამბო, – არ ვიცი წამოსცდა და შემდეგ ინანა, არ ვიცი, მე მიმიჩნია იმდენად ბრიყვად, რომ ვერ მივუხვდებოდი: რუსთაველის პროსპექტზე ერთად მიმავალ რამდენიმე ამხანაგს ძველი ნაცნობი თოგოშვილი შემოგვხვდა და თავის დისერტაციის დაცვაზე მიგვიწვია; ჩვენ უარი ვუთხარით, რაკი ისევე ძველებურად ინერება, ქართულად – თოგოშვილიო...

გ. თოგოშვილს, აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ერთ-ერთ განყოფილების გამგეს, მე პი-

რადად არ ვიცნობ, მაგრამ როგორც მითხრეს, ის დაკვირვებული მეცნიერი და, რაც ამაზე ნაკლებ დასაფასებელი არ არის, – პატიოსანი მეცნიერი კაცია, მაგრამ „ამ ოსების“ საუბედუროდ, რაკი ის თოგომვილია და არა თოგოვეი...

ჰმ! საინტერესოა, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ოსს ქედიშვილს რა აკლდება იმით, რომ ის ქედიშვილია? ჩვენს თვალში – არაფერი, პირიქით – პატივისცემა და სიყვარული ემატება. „მათ“ თვალში კი...

მერე და ვინ აღვივებს ჩვენს „ჰეროიკული“ დროისათვის ამ შეუწყნარებელ ზოოლოგიურ ვნებებს? მე ზემოთ გაკვრით მოგახსენეთ ამ სფეროში ინტელიგენციისა და ვითომ ინტელიგენციის, განათლებისა და ვითომ განათლების „პროგრესულ“ როლზე...

«Южная Осетия – мой родной край, моя колыбельная песня. П я т ь т ы с я ч л е т  
мой народ живет на этой прекрасной земле...»

(«ЛГ», №16, 1972г.)

არ მინდა რაიმეში მოვიტყუო: „პიატ ტისიაჩს“ ხაზი მე გავუსვი...

ხედავთ? თურმე ხუთი ათასი წლის წინათ, თუბალებისა და მოსხების დროს, დასახლებულან აქ ოსები, მერე, ე-ე, სულ მე-ე-რე, ქრისტეს დაბადებიდან მრავალი საუკუნის გასვლის შემდეგ, მოვთრეულვართ ჩვენ, „ნაციონალისტი ქართველები“, დაგვირქმევია სამხრეთ ოსეთისათვის შიდაქართლი და შეგვივინროებია „ამ მშვენიერი მიწის“ კანონიერი პატრონნი-ოსნი...

მერედა, ვინ წერს ყოველივე ამას? თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ არიან მწერლები, ნამდვილი მწერლები, მწერალთა კავშირის წევრები (მცირე რაოდენობით) და არიან მომწერლოები, კავშირის ასეთივე სრულუფლებიანი წევრები (დიდი რაოდენობით; 55 მილიონიან იტალიას ოთხასამდე მწერალი ჰყავს, ხუთმილიონიან საქართველოს 480!).

ჰოდა, ამას წერს არა მწერლუკა ზაურბეკ ჯიკაევი ანდა სოსლან ქოქოევი, ამას წერს ნამდვილი მწერალი – რაც ბევრად უარესია! – ფრიად განათლებული, ნიჭიერი, როგორც იტყვიან, ყოველმხრივ ერუდირებული, მგონი პროფესორიც, ნაფი ჯუსოითი!

წერს და უბეჭდავენ პირველ გვერდზე, – მოწინავე სტატიის ადგილას! – ისეთ სოლიდურ ორგანოში, როგორიცაა „ლიტერატურნაია გაზეტა“, რომლის ტირაჟი ორი მილიონია და, მამასადამე, სულ ცოტა ოცი მილიონი მკითხველი ხომ მაინც ეყოლება!

ვინ არ იცის, რომ ამ გაზეტში, რაც კი საქართველოს ეხება, სტრიქონიც კი არ დაიბეჭდება ერთი თქვენი ახლო ნაცნობის კონტროლის გარეშე; თქვენ უკვე მიხვდით, მისი გვარი მამით გულიაა, დედით – ბუალავა (სხვათა შორის ნეკროლოგში ამ მანდილოსნის გვარიც მიჩქმალული იყო და დაბადების ადგილიც, – აბა რა საქვეყნოდ გამოსატანია ისეთი სამარცხვინო ფაქტი, რომ უძველესი აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის გუშინწინ გარდაცვლილი ფუძემდებლის თანამეცხედრე და თანამოღვაწე ქართველი ქალი იყო).

ნაფი ჯუსოითის წელთაღრიცხვით, მე-12 საუკუნის იკორთის უნიკალური ხუროთმოძღვრული ძეგლი – ეს თავისთავად, ავტომატურად იგულისხმება, – ოსურ არქიტექტურას უნდა მიეკუთვნოს (ისე, როგორც ბიჭვინთა და მოქვი უკვე „განიკუთვნეს“ აფხაზებმა: ამათი „ისტორიული“ პრეტენზიები ძალიან წააგავს იმას, რომ ვიღაც გამვლელმა შენს ისტორიულ ძეგლზე ნახშირით თავისი გვარი მიაჯღაბნოს და მერე, მისმა მოგვარეებმა, წართმევის მიზნით, განაცხადონ, ამის ამგები ჩვენი პაპის პაპის პაპა იყოო...), აკი ის იმ „მშვენიერ მიწაზეა“ აგებული, სადაც ოსები ხუთი ათასი წლის წინათ მობრძანებულან თურმე და მანამდე იქ მცხოვრები შუმერები და ეტრუსკები, ბაბილონელები თუ ასურელები შეუცვლიათ, ოღონდ ჯერ კიდევ ზუსტად არა აქვთ დადგენილი (დგინდება, დგინდება!), ისინი „ირონთ“ ბრძოლით ჩაბარდნენ თუ შეშინებულები კისრისტეხით თოხარიკით გაიქცნენ.

...და ეს ნაფი ჯუსოითი, ჩვენი „ერთგული მეგობარი“ და „ობიექტური მკვლევარი,“ ქართული აკადემიის წევრობის კანდიდატადაა წამოყენებული; იმ აკადემიის, რომლის ახლოსაც არ აკარებენ დიდ ქართველსა და დიდ მეცნიერს პავლე ინგოროყვას, რომლის ერთიც, რომელიც გნებავთ, სამეცნიერო ნაშრომი მთელი აკადემიის, სულ ცოტა, ერთ მესამედს მაინც აინონის.

ეს თითქოსდა არც უნდა გვიკვირდეს: აკი სწორედ ამ აკადემიამ გააშავა ისეთი ყოველმხრივ უნიკალური ადამიანი – მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი – როგორიც ირაკლი ანდრონიკაშვილია (დიახ, სულით, გულით ის მუდამ და ყველგან ანდრონიკაშვილია!); მანვე შორს დაიჭირა თავი აკაკი განერელიასაგან, რომლის ტოლი საქართველოში არცთუ ისე ადვილი მისაკვლევიან...

პავლე ინგოროყვას „უაკადემიკოსობა“ კი უფრო ჩვენს აკადემიას ამცირებს, – ინგოროყვას ამით არაფერი, აბსოლუტურად არაფერი აკლდება, რადგან მას შეუძლია, ფულის კულტის ჩვენს ეპოქაშიც კი – გაიმეოროს ერთი ძველი მეცნიერის გაკვირვებული ნათქვამი: „როგორ, მეცნიერმა ის იკითხოს, რამდენს მივიღებ ჯამაგირსო? მაშინ ის რალა მეცნიერია?!“

პავლე ინგოროყვასთვის „უაკადემიკოსობა“ ეს იგივეა, რაც თავის დროზე ლევ ტოლსტოი-

სათვის იყო ნობელის „უპრემიობა“...

ჯუსოითის „ხუთი ათას ნელს“ არც ერთი ჩვენი ისტორიკოსი არ გამოეხმაურა; შეიძლება მათ ეს თავშესაქცევად, სასაცილოდაც არ ეყოს, მაგრამ დამაქრული აბივიტ ასეთი სასაცილო ამბების გადაყლაპვა ჩვენ, მერე და მერე ერთობ ძვირი გვიჯდება.

შესაძლოა, შარშან აფხაზეთი ისე არც ატროკებულიყო, რომ თავის დროზე ივანე ჯავახიშვილს, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილს აფხაზეთის პირველი „მემატიანის“ აშხაცავას დიდსიციხიანი როშვისათვის გამაგრებული საფანელები დაედოთ (რაც ახლა ქართველების ისტორიად საღდება, ფაქტიურად ჩვენი, აფსნების, ისტორიაა; და რაკი ქართველ პატრიოტებსაც ასე გულით სწაღიათ, ჰქონდეთ თავიანთი ისტორია, ნება მიგვიცია, თავისი ისტორია მე-17 საუკუნიდან დაიწყონ...).

არა მგონია, ამ დიდ მამულიშვილთ ნიკო მარის მორიდებოდათ, რომელმაც აშხაცავას ნაბოდვარს დადებითი წინასიტყვაობა წარუძღვარა; თუკი ჩვენც კი ვიცით, არა სპეციალისტებმა, განა მათ არ ეცოდინებოდათ, რომ ნიკო მარი, ეს, საერთოდ, ანგარიშგასანევი მეცნიერი, თავის სამეცნიერო კვლევა-ძიებებში, დროდადრო, დაბლაციხელი გურული გლეხის დონემდე ეშვებოდა, რეოლუციამდელი გლეხის, თორემ ახლანდელი დაბლაციხელი კოლმეურნე კითხვითაც სწრაფად კითხულობს, გაკვრითაც წერს და სალადაც აზროვნებს, – იცის „ყაძახმა“, ჩაის ფოთლით სავსე რომელი გოდორი წამოიკიდოს ზურგზე, რომ უფრო მჩატე იყოს!

...დიახ, ჩვენ, ქართველებს, ჩვენსავე სახლში – სამშობლოში თუ გაგვთელავენ, – ეს ინტერნაციონალიზმია, მაგრამ პროტესტის ნიშნად ხმა თუ ოდნავ მაინც ამოვიღეთ, ეს უკვე ნაციონალიზმია.

ბრალი ჩვენი, რომ ასეთი ბუნჩულა, დამთმობი, შემწყნარებელი, კეთილი ხალხი ვართ. კეთილი ადამიანების კი, საერთოდ, არც ერიდებათ და არც ეშინიათ, – აკი იციან, ცუდს მაინც არაფერს არ გაგვიკეთებს ცხოვრების არც ერთ სფეროშიო...

სიკეთე ჩვენ, ასე განსაჯეთ, ქართველმა ებრაელებმაც კი არ დაგვიფასეს: ბევრმა მათგანმა ზურგი გვაქცია და წავიდა, ზოგიც მიდის... მე პირადად ამას გულისტკივილით განვიცდი; ვინც გვინდა წავიდეს, ის არ მიდის, ვინც გვინდა არ წავიდეს, ის კი მიდის, თუნდაც ალთქმულ ქვეყანაში მიდიოდეს, წინაპრებთან!..

უცნაური კია, გუშინდელ წინაპრებს, რომელთა ძვლები ჯერ არ გაცივებულან, იმათ ჩვენ გვიტოვებენ და თავად გამქრალი, მითიური ძვლებისაკენ მიისწრაფვიან...

ჩვენს ქვეყანაში ზოგი რამ შეიძლება არც ჩვენ მოგვწონდეს – აკი კომუნისტებში ჯერ არ შევსულვართ, – მაგრამ ამიტომ არც რიონის ჭალებს ვტოვებთ და არც ივრის ხეობას.

მე კი მეგონა, რაკი ერთი, საერთო ენა გვაქვს, საქართველო მათთვისაც ისეთივე ღვიძლი სამშობლოა, როგორც ჩვენთვისაც... ორი ათასი წლის მანძილზე მათთვის უბატონოდ ხმაც არ გაგვიცია, ჩვენში ბევრმა სიტყვა „პოგრომის“ მნიშვნელობაც კი არ იცის... შეიძლება ოდესღაც, სადღაც, ათასში ერთხელ, ბალის კიდზე უსაქმურად აყუდებული „კუკურია“ გაეხუმრა „ყაზარია“, მაგრამ ეს არც უნდა გენყინოს იმ ხალხისაგან, რომელიც... გურული „მარგალი კოჩის“ დასცინის, ეს თავის მხრივ – „აბდალაის“, „იმერელი – ქვე, ქვე“ რაჭველს, „გაგრია“ კახელი – „ხოხონიკა“ იმერელს, „ტეგია“ ქართლელი...

ეს მარტო ჩვენი სენი როდია, ეს ახასიათებს ყველა იმ ხალხს, ვისაც იუმორის გრძნობა ზომაზე მეტად გამახვილებული აქვს. ასე, მაგალითად, საფრანგეთში გასკონელი ტარასკონელზე ხითხითებს, პროვანსელი შამპანელს ქირდავს და, პირიქით, იტალიაში ნეაპოლელი – ტურიინელს, სარდინიელი – სიცილიელს... ხალხთა ურთიერთობაში ამას საღალბო ადგილი უნდა ეჭიროს...

როცა 1928 წელს ქუთაისში ებრაელთა უბანი – მწვანეყვავილა – სულ ერთიანად გადაიბუგა, მთელი საქართველო, იმხანად ჯერ კიდევ ღარიბზე ღარიბი საქართველო (მაგრამ ჯერ ისევ სინდისით და პატიოსნებით სავსე!) ფეხზე დადგა, – აბა, ერთად, დავეხმართ ჩვენზე ღარიბ ებრაელებსო...

(„სხვათა შორის“, ახლაც კი, „უპატიოსნო“ ქართველები – გორელები, ქუთაისლები, რუსთაველები მინისძვრისაგან ფუძეყრილ დმანისელ აზერბაიჯანელებს სახლებს უშენებენ, მაშინ, როცა სტიქიისაგან ბევრი „დაზარალებულთაგანი“ ამ დროს, ქართველების სახელით, მსუქან საშოვარზე რუსეთის ბაზრებში დაძრის... თითქოსდა ყველა ჩვენს სოფელში, განსაკუთრებით კი მთიანეთში, ყველა ქართველი ორსართულიანი ქვითკირის სახლებში იყოს გამოჭიმული და მათ აღარ ესაჭიროებოდათ ქუთაისელ, რუსთაველ, გორელ მშენებელთა დახმარება, თუკი მათ, საერთოდ, ამისათვის მოცალეობა აქვთ!)

მახსოვს, მაშინ „კომუნისტში“, – მესამე გვერდის მარჯვენა მხარეს – ყოველდღე, დიდხანს, ორ სვეტად იბეჭდებოდა: შემომაქვს ამდენი და ამდენი და ვინვევ ამას და ამასო...

შეიძლება ისეთი კი არაფერი კაპიტალი შეჰქონდათ თვითონაც გაჭირვებულ ქართველებს,

მაგრამ რაც შეჰქონდათ, შეჰქონდათ წრფელი გულით, ყოველგვარ მერე შემოღებულ, ფარული თუ აშკარა ძალდატანების გარეშე... და ასეთი ხალხი, ასე ვთქვათ, ჩვენი თანამოენე, მიდის დღეს ალექსანდრე ქვეყანაში, საიდანაც – მადლობა მათ! – ხშირად გვითვლიან, თქვენ თავს რა დაგვაგინებდნენ, და ხშირადაც, ზაფხულობით, განსაკუთრებით ქალაქ აშ-დოდინთან, ამხნევებენ ხოლმე ჩვენს ფეხბურთელებს, აბა, ბიჭებო, თქვენ იცით, არ შეგვარცხვინოთო (ალბათ, არაბების წინაშე!).

ჩვენთვის ისინი, ბოლოს და ბოლოს, მაინც დაკარგული არიან, ყოველ შემთხვევაში მომავალ თაობას, მათ შვილებს საქართველოს ხსენება ისე აუჩქროლებთ გულებს, როგორც ახლა ჩვენ – ლაპლანდია ანდა ფიჯის კუნძულები...

თქმა არ უნდა, ყოველივე ეს საწყენია, და მით უფრო საწყენი ის არის, რომ ზოგიერთი მათგანისათვის ეს „ალექსანდრე ქვეყანა“ ვენის გარეუბნებში და ნიუ-იორკის მანჰატენში ამოყვავილებულა.\*

ონში მუდმივად ცხოვრობს ერთი თავმდაბალი პოეტი, ამავე დროს კარგი ქართველი პოეტი დანიელ ხახიაშვილი:

საქართველოს სივრცე არ კმაროდა განა, —  
ნეტავ რას მოგცემდა სხვა მზე, სხვა ქვეყანა?..

...ამას წინათ ჩვენს ტელევიზიაში ოსი მწერლები გამოვიდნენ ნაფი ჯუსოითის მეთაურობით. შიდა ქართლში, რამდენიმე საუკუნის წინათ, ჩვენ მიერ ღია გულით მიღებული და ჩვენ მიერ შევრდომილი ხალხის შვილები მთელი საათის განმავლობაში თითქმის სულ რუსულად გველაპარაკებოდნენ (ზოგი – გამართულით, ზოგიც – კოჭლით, თუმცა ამ შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს).

კი, მაგრამ... როგორ ფიქრობდნენ ჩვენი ძვირფასი სტუმრები, ამით ისინი უფრო ძვირფასნი გახდებოდნენ ქართველი ტელემაყურებლებისთვის?

(ეჭვი ამაში ერთი წამითაც არ შეგეპაროთ – საქართველოს ტელევიზიის გადაცემებს, გარდა ფეხბურთის მატიჩებისა, არასოდეს, არასოდეს არაქართველი მაყურებელი ერთიც არ უყურებს; კონტროლის მიზნით, შეიძლება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გენადი კოლბინი უყურებდეს ხოლმე).

მე ვიცი, რომ რუსული ძმობის ენაა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ საქართველოში ქართული სახელმწიფო ენაა, და თუ ეს მართლაც ასეა და ეს არ არის ფიქცია, მაშინ, მით უმეტეს, რაკი კრასნოდარიდან ასე დაშორებით ცხოვრობ და ცხოვრობ შუა ქართლში, გორთან ახლოს...

სხვათა შორის, ესეცაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ „ჩვენი“ ოსები ასე მყარად ინარჩუნებენ დედაენას, – ჩრდილოეთ ოსეთში კი, როგორც თვითონ იქაურმა ოსებმა გულისტკივილით მიაჩნებეს, სოფლადაც კი უკვე თითქმის სულ რუსულად ლაპარაკობენ, ჩვენს ენას დღითი დღე ვკარგავთო...

ღიახ, ასე გვიმადლიან სულ ახლახან „გამოყოფილი ძმები“ – „ცხოვრებოვები“...

სწორედ ამაზეა ნათქვამი... მაგრამ ის უცნებურო გამოთქმაა და არ ღირს აქ მისი მოყვანა, ისე მას, ამ გამოთქმას, ოსებიც კარგად იცნობენ.

...ვინც საზღვარგარეთ მოგზაურობს და საქართველოში შავი ზღვით ბრუნდება, ალბათ უკვე ბოსფორის სრუტიდან შეამჩნევს, გაგრაში კორტოხზე წამოჭიმულ სანატორიუმის თავზე ცხრამეტრიან წარწერას „Армения“, მასზე ქართულ წარწერას კი, იმავე მთის ძირიდანაც ტელესკოპითაც ვერ წაიკითხავ.

ასევე მიბუყრულია აფხაზურადაც „არმენია“, მაგრამ ეს აფხაზებს არ ანუხებთ, ოღონდ რაიმე ქართული არ ჩანდეს და მთელ „თავიანთ“ სანაპიროზე, თუ გინდა, მთელი 140-ათასიანი კიროვაკანი ჩასახლებულა.

ეს იმ დროს, როცა მათ, აფხაზებმა და „აფხაზებმა“ (ეს ის „აფხაზებია“, რომელთა არცთუ ისე შორეული წინაპრები მეზობლებს იჭერდნენ და მწვერებივით ოსმაღეთის ბაზარზე ყიდდნენ!) მთელი მოსკოვი შეანრიალეს და აამტუტეს, – საფოსტო კონვერტზე „აფხაზეთის ღირსშესანიშნაობათა“ ამსახველ სურათებზე ქართული წარწერები თავიანთ ეროვნულ ღირსებათა დამცირებად მიიჩნიეს და მიაღწიეს იმას, რომ ერთი ხელისგულის ოდენა კონვერტზე წაენერათ აფხაზურად „Грузинская ССР, Абхазская АССР“.

თქმულა კი სადმე ასეთი დანაწევრება?! მთელი კონსტიტუცია ხომ არ მოთავსდება საფოს-

\* გვიანდელი შენიშვნა (მაისი, 1989 წელი): ეს ჩემი სევედიანი მოსაზრება, საბედნიეროდ, ბოლოს და ბოლოს არ გამართლდა: ისრაელში წასულმა ქართველმა ებრაელობამ გაუგონარი მაღლიერება გამოიჩინა და იჩენს მისთვის მართლაც მოძვე ქართველი ერისადმი.



ტო კონვერტზე?!

ბავშვს ჰკითხეს, რატომ ტირიო და... თუმცა ამ ანდაზას თქვენც კარგად იცნობთ.

...სულ ახლახან „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (4.05.77) ეროვნებით სომეხის, ისე კი სულ პატარა, პა-ანანა, მაცვანცვალა რუსი მწერლის ლ. გურუნციის მოთხრობა დაიბეჭდა (რომელი ხალხის მწერალი ხარ, ამას ეროვნება კი არ განსაზღვრავს, განსაზღვრავს ენა, რომელზეც წერ; გოგოლი ეროვნებით უკრაინელია, მაგრამ „მწერლობით“ რუსი მწერალია. ჯობიერ კონრადი (კოჟენიოვსკი) ინგლისელი მწერალია, თუმცა ეროვნებით პოლონელია; გიორგი გულია რუსი მწერალია, თუმცა თავგამოდებით „აფხაზობს“, – ტოლსტოისა და დოსტოევსკის ქვეყანაში, რასაკვირველია, ეს უფრო ხელს აძლევს).

ამ მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟს, სომეხს, საროიანს, ლენინაკანელი „რუსი“ გურუნცი ათქმევინებს: «И наш полководец Багратион сражался с Наполеоном»,

ხედავთ? პეტრე ბაგრატიონი თურმე... პეტროსა ბაგრატიონი ყოფილა! პეტროსა ივანეს ძე! და ძმაც მისი, ცხადია, რევაზ ივანეს ძე!..

და ეს იწერება მას შემდეგ, როცა ასე სამარცხვინოდ გახმაურდა ვერმიშევ-ვერმიშიანის „ამირსპასალარი“, „ისტორიული რომანი“, რომელიც შეუნიღბავად შეურაცხყოფდა ქართველი ხალხის ეროვნულ პროფილს და რომელმაც ასე აღაშფოთა მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

მაგრამ სომეხი აბა რის სომეხია, რომ ქართველების მიმართ მტკიცედ და ბოლომდე უმადური არ იყოს! როგორც დღიდან გაჩენისა, სისხლში გვაქვს ჩვენ გამჯდარი სხვა ერებისადმი პატივისცემის გრძობა, ასევე სისხლში აქვთ მათ გამჯდარი სიძულვილი ქართველებისადმი, ოღონდ ესაა, ზუსტად არც კი ვიცით, – რატომ, რისთვის, რა დანაშაულისთვის?

არ ვიცით ზუსტად, თორემ მიახლოებით, რა დანაშაულიც მიგვიძღვის მათ წინაშე, ეს, მგონი, ვიცით: რატომ გვიდგას აქამდე პირში სული და რატომ ვცხოვრობთ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენსავე სამშობლოში, ჩვენსავე ტერიტორიაზე...

სომეხები, მიუხედავად იმისა, რომ, საერთოდ, ნიჭიერ ხალხებს განეკუთვნებიან, და ამავე დროს არც უჭკუონი არიან, ისინი ჩვენს მიმართ იმდენად მყრალი შოვინიზმით არიან გამსჭვალულნი, ნებისთ თუ უნებლიეთ, ზოგჯერ ანეგდოტურ სირეგვენემდეც კი ეშვებიან, და მას მანც თავგამოდებით ებლაუჭებიან.

– (ჭკუა და ნიჭი, ერთდროულად, საკმაოდ იშვიათად შეერწყმის როგორც ცალკეულ ინდივიდუუმს, ისე მთლიანად აღებულ ხალხსაც; შეიძლება ადამიანი ნიჭიერი იყოს და ჭკუა აკლდეს, შეიძლება ჭკვიანი იყოს და ნიჭი ღალატობდეს).

დავანებოთ თავი როგორც მოძველებულ „დიდწვერებიან“ ანეგდოტებს – მაშტოცის მიერ ჩვენთვის „ნაბოძებ“ ანბანს, „აშოტ რუსთავიანს“, „ზახარ ფალიანს“ (ალბათ გახსოვთ – „არარატის“ მოთამაშე, მერე კი მწვრთნელი, თურმე „ზახარა“ ფალიაშვილი! მისი პაპის ბიძაშვილი ყოფილა! შედარებით ახალსაც – „კოტრიკ მარჯანიანს“...

(„ამის“ სახელობის თეატრის იუბილეზე, ფილარმონიის დარბაზში, ორი ათასადმე „ცოცხალი“ მაყურებელი და, ალბათ, მილიონამდე ქართველი ტელემყურებელი თავიანთ მილოცვა-მიხალმებაში ქარაგმულად კი არა, – ურცხვად „გაგვანათლეს“: «..марджан – по – армянски значит коралл»-ო, თითქოსდა ქართულში მარჯანი... მარგანეცს ნიშნავდეს, ანდა ის, საერთოდ, სომხური სიტყვა იყოს, – თურქულია და ორივე ენაში თურქულიდან შემოვიდა, ისევე, როგორც თურქულფალაური „დროშა, ოჯახი, ჭეშმარიტება“, იოსებ ნონეშვილმა ჰაოსისა და ქართლოსის დასანათესავეებლად რომ „აღმოაჩინა“ და ლადარივით მხურვალე ლექსი უძღვნა)...

მე მინდა სულ ახალთახალი ანეგდოტი გიამბოთ, თუმცა... ეს ჩვენთვისაა ანეგდოტი, მისი ავტორისათვის კი ხალასი, ისტორიული სიმართლეა, საყოველთაო აღიარებას რომ ელოდება...

იყო ასეთი კაცი, არმენაკ მარტიროსის ძე ბაბაიანი... იყო-მეთქი, რადგან ახლა ის შეიძლება უკვე ბაბაიანცია; მან კარგი, კეთილი საქმე გააკეთა: შეკრიბა და ცალკე წიგნად, ბიბლიოგრაფიული ცნობარის სახით გამოსცა ყველაფერი ის, რაც კი საერთოდ რუსთაველზე დასტამბულა 1970 წლამდე.

დამეთანხმეთ, ამას დიდი ქექვა უნდოდა, უშრომლად ეს საქმე არ გაკეთდებოდა, ჩემი არ იყოს, თქვენც, ალბათ, პირადად გამოგიცდიათ, ხელის გაუნძრევლად ნაცარიც არ გაიქექება.

ჰოდა, ამისათვის ჩვენგან ბაბაიანს მადლობის მეტი აბა რა ეთქმოდა! მეც ავდექი და ვუთხარი... ამ საუბრის დროს, მოსკოვში, მანასიანის ოთახ-კაბინეტში, ამხანაგმა არმენაკამ, არცთუ ისე მორიდებით შემომამპარა:

– Сталин был армянин!

თითქოს თავში დამკრესო, ისე შევცბი: ყველაფერი გამეგონა, გამეგონა, რომ ტუპოლვეი სომეხია (ანდრეი ანდრეევიჩ ტუპოლიან!), გამეგონა, რომ ავსტრიელი დირიჟორი ფონ-კარაიანი სომეხია, ფუტბოლისტი, გუცული მუნტიანი სომეხია, კოლუმბიც სომეხია (კოლუმბიანი!), მაგრამ თუ სტალინიც სომეხია...

მართალი გითხრათ, სტალინს ასე იოლად ვერ შეველიე, მაინც ვერ შეველიე იმ სტალინს, რომელიც ადრეული ყმანვილობიდანვე თავში მიტყაპუნებდა, როგორც მღვდლის შვილს, მერე, ჭაბუკობაში, ტყაპუნოდან ჩაჩქუნზე გადავიდა, – ხალხის მტრის ძმა ხარო (დააპატიმრეს ქართული ენისა და, საერთოდ, ქართული ლიტერატურის არმცოდნის არშალუის არშარუნის პირდაპირი მითითებით და უშუალო ხელის დადებით, რათა, მერე, თვითონ მას, არშარუნს, დარჩენოდა მოსკოვში ქართული მწერლობის ერთადერთი მცოდნის მონოპოლია; სხვათა შორის, ახლაც ცოცხალია, – გადაუხადეს იუბილეები დაბადების 60, 70, 75-ისა და 80 წლებთან დაკავშირებით, როგორც „უმნიკვლო კომუნისტ ლიტერატორს“), ძმას მალე „ხალხის მტერზე“ ხუთი დღის გათხოვილი დაც მიაყოლეს და... ცოტა მოგვიანებით, რაკი ამდენი ჩვენი მტრებით ყოფილხარ გარემოცული, არც შენ იქნები ჩვენი მეგობარიო და... მეც მათ გზას გამაყოლეს, ოღონდ ესაა – გრძელი გზით „ნამგზავრი“ მე ცოცხალი მაინც დავბრუნდი, ოღონდ, ვაი ასეთ დაბრუნებას, – მერეც, დიდხანს, როგორც „ნარეპრესირებულს“ ზედ ყურის ძირში შიშის ზარებს მიზაზუნებდნენ და მიზაზუნებდნენ...

და მაინც, ჩემი ცხოვრებისა და ბევრი, ბევრი ჩემი ახლობლის ცხოვრების გამაუკუღმართებელი არ მინდოდა უბრძოლველად ბაბაიანის ხელში ჩამეგდო:

– А какие же у вас основания считать Сталина армянином?

– Как какие! Ведь отец Сталина работал у Адельханова! А кто был Адельханов? Армянин!

А разве принял бы он грузина на работу при тогдашнем избытии рабочих рук?!

ასე და ამგვარად, ფორმალური ლოგიკის მოშველიებით მომერია არმენაკ მარტიროსოვიჩ ბაბაიანი, ოღონდ ესაა, ძალაუნებურად საკუთარი გულის ნადებიც გამოამყლავნა, რომელი სომეხი მიიღებდა თანაც თბილისში! – ქართველს სამუშაოზეო...

რაკი იქვე მდგომ კედლის სარკეში არ ჩამიხედავს, არ ვიცი, ამ უთანასწორო პაექრობის დროს რა ფერი დამედო, – ალბათ ტუფის ფერი, აკი ბაბაიანს, როგორც ჩანს შევეცოდე, როგორც მოაბდლო ხალხის შვილი და ნახევარი ნაბიჯით გალანტურად უკან დაიხია:

– Нет, я не говорю, что у Сталина и мать была армянка... Сталин только наполовину армянин.

ბაბაიანს მე, რაკი „პალავინა“ მაინც დაგვიტომო, დიდი მადლობა გადავუხადე და სიხარულით აყლოჭინებული გავეცალე, – ღმერთო, რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი ვარ, ღმერთო, რომ არაფრით არ გამოვიჩრევი და დიდი კაცი არა ვარ, თორემ სომხები მეც ხომ მიმიტაც-მიმიტვი-სებდნენ-მეთქი...

ისე კი – განა ამას კიდევ მტკიცება უნდა?! – ბაბაიანი შოთა რუსთაველისათვის თავს არც აიტკივებდა, რომ ის მას, გულის სიღრმეში და მის გარეთაც, „აშოტად“ არ მიაჩნდეს...

და ის, ამ „ისტორიული სიმართლის აღდგენისათვის“ ბრძოლის სფეროში – საბჭოთა სინამდვილეში – პირველი მაინც არ არის, აკი ომამდე ეს აზრი საკმაოდ გამჭვირვალედ გამოთქვა ჰაოსის სხვა შთამომავალმა, დანდუროვმა, რომლის დაშნაკური ტვინის ნალიტინევი, სტალინის პირდაპირი განკარგულებით, აიკრძალა კიდევ (სამწუხაროდ, ჩვენს დროში კი ნა ათასიანი ასეთივე დაშნაკურ „ამირსპასალარს“ ცეცხლის მომნთები არავინ გამოუჩნდა!).

ხანდახან ფიქრობ და გიკვირს, რატომ არ უფიქრდებიან თვითონაც, სომეხთა ჭკუის კოლოფები – ამ სიტყვის ირონიულობის გარეშე! – იმ გარემოებას, რომ თუკი „სომეხმა“ რუსთაველმა, მე-12 საუკუნეშიც კი, არჩია თავისი გრანდიოზული პოემა (ხომ ეცოდინებოდა რას ჰკიდებდა ხელს?) ქართულ ენაზე შეექმნა, და არა სომხურზე, ეს ხომ იმის დადასტურებაა, რომ იმ დროს ენა ქართული და, საერთოდ, ქართული კულტურა, მაშასადამე, ბევრად მაღლა მდგარა, ვიდრე სომხური?! რატომ ითხრიან თავისივე ხელებით სამინე ორმოს?!

საინტერესოა და, თანაც, ერთთავად სასაცილოც კია, რომ სომხები, ვისზედაც ასე თუ ისე კიდევ შეუძლიათ რალაც პრეტენზია განაცხადონ, მას ჩვენ „მთლიანად“ გვითმობენ; არცაა გასაკვირი: დიდმა ილიამ მათ „ქვათა ლაღადით“ ისეთი ნივრით და წინაკით შეზავებული მატიტელა მიართვა, რომ ამის მერე მეორე თავი საჭმელი აღარც მოუთხოვიათ...

და თუ ამას წინათ ერევანში, მთელი 60 წლის მანძილზე პირველად, ილიასადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ეს მხოლოდ იძულებითი ღონისძიება იყო, ჩვენი „ძმობის“ თვალისასახვევ ატრიბუტებს რომ განეკუთვნება.

...ბაბაიანი, მე მგონია, მაინც იშვიათი გამონაკლისია, ბევრი მისი თანამემამულე არათუ ითვისებს და ისაკუთრებს სტალინს... ათი წლის წინათ, პერედელკინოში, ერთი უკვე საკმაოდ ხნიერი ქალი ზიზღით სავსე ხმით მიმტკიცებდა:

– Сталин собирался выселить нас!..

ეს კი გამეგონა, ხრუშჩოვს ჩვენი, ქართველების, გასახლება უნდოდაო, მაგრამ სომხების?.. ისიც სტალინს?

– Кого выселить? Вас? Армян?

Да, да, нас, армян!!! – ალბათ უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის დააზუსტა კიდეც: – Выселить в Северный Казахстан!..

ჩემდა სავალალოდ პირველად მხოლოდ მაშინ გავნათლდი და გავთვითცნობიერდი „კლიმატურ-გეოგრაფიულად“: რაკი „სომეხთჭამია“ სტალინს სომხეთის აყრა და გადასახლება (ცხადია, მთლიანად – ძალღებიანად და კათოლიკოსიანად!) „სევერნი“ ყაზახსტანში განუზრახავს, მაშასადამე, ეს „სევერნი“ ყაზახსტანი ყარაყუმსავით უდაბური ადგილი და იაკუტიაზე უფრო ცივი მხარე იქნება-მეთქი.

თქვენ არ გეგონოთ, ან განსვენებულ, როგორც გამიგია, კარგი პოეტის აშოტ გრაშის ქვრივი (მაშინ ცოლი) უბრალო „პარტინია“ სირუმა იყოს ანდა „მანიკურშიცა“ ოფელია, – ერევნის ბრიუსოვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი გახლდათ, ახლა, ალბათ, უკვე პროფესორია...

ჰოდა, აი ასეთ „საუკუნო ხსენებას უთვლის კვირაში ერთხელ მაინც, პროფესორი მარგარიტა ლევონოვნა ათეპაკიანი იოსებ ბესარიონის ძე სტალინს... იმ სტალინს, რომელმაც სომხებს, ქვა ღორღის ნაფუძარზე მძლავრი რესპუბლიკა შეუქმნა, რაღაც სამ ათეულ წელიწადში სატახტო მინური სოფელი – ერევანი ევროპულ ქალაქს დაამსგავსა და – მარტო ეს რად ღირს! – სამასი ათასამდე – გაამახვილეთ ყურადღება! – სამასი ათასამდე სომეხი – რეპატრიანტი ჩამოიყვანა მსოფლიოს შორეული კუთხეებიდან ომის შემდგომ, ისედაც საერთო გაჭირვების წლებშიც კი!..

(კონტრასტისათვის: ჩვენ კი სულ აგერ ახლა ძლივს მოვებით თავი და ირანიდან რაღაც ოცი-ოდე ფერეიდნელი ოჯახი ჩამოვიყვანეთ და, რაკი ეს უკვე სხვა თემია, მხოლოდ გაკვრით შევნიშნავ: რომელიღაც ზემდგომი ბრძენის რჩევა-განკარგულებით დავქსაქსეთ, ზოგი სად დავასახლეთ და ზოგი სად –საგარეჯოში, ჩუმლაცყში, ვაზისუბანში...

ერთმა ჭკვიანმა ფერეიდნელმა გულისნუხილით მითხრა ახლობლები ერთმანეთს დაგვაცილეს, ვერ მივსულვართ, ვერ მოვსულვართ; ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ არ გავთათრდეთო... იპ! იქ, ირანში, არ გავთათრებულვართ და აქ, საქართველოში, გავთათრდებოდით?!”

მართლაც! მაჰ-აბასმაც კი ათასობით წარეკილ ქართველთ საცხოვრებლად ერთი ადგილი მიუჩინა).

იმავე პერედელკინოში – ეს უკვე „გუშინდელი“ ამბავია! – თბილისში მცხოვრები მწერალი ასლანიანი შარშან ერთ ქართველ პოეტს შუბლშეკრული უსაყვედურებდა, რა არის, თბილისში საიათნოვას ქუჩა ასე პატარაა და აკაკი წერეთლისა, კი გრძელია, თანაც პროსპექტით (უფრო რომ მერნმუნოთ, მინდოდა აქ ამ ჩვენი პოეტის გვარიც დამესახელებინა, მაგრამ ის კარგა ხანია აღარ შემხვედრია, არადა, ნებადაურთველად მისი გვარის ხსენება „არმეტაქტება“).\*

ხედავთ? – „ჩვენს ძმასა და მეგობარს“, მკრტიჩ სეროფოვიჩ ასლანიანს, ჩვენსავე დედაქალაქში, ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის სახელობის ქუჩა ძალიან გრძელად ეჩვენება, მოკლე უნდა იყოსო.

მე არ ვიცი, რამოდენა მწერალია თვითონ ასლანიანი, – „დიდოდენა“ მწერალი, ჩემი ფიქრით, თავის სამშობლოში და თავის ერის შუაგულში უნდა ცხოვრობდეს, და არა იქ, სადაც იძულებითი ასორტიმენტის სახით, თუნდაც ტომებს გამოგიცემენ, – და არც ის ვიცი, თვითონ ის „რამსიგრძე“ ქუჩას იმსახურებს. რაც შეეხება საიათნოვას, მას ქართველების სიყვარული და პატივისცემა არც ერეკლეს კარზე აკლდა და არც ჩვენს დროში აკლია.

...თუმცა „სომხური საკითხი“ ჯერ კიდევ არ მომითავებია, მაგრამ რაკი მან „ქუჩებში“ გადამისროლა, ვისარგებლებ შემთხვევით და ამასთან დაკავშირებით ამასაც ვიტყვი, – არა მარტო სომხებია ჩვენ მიმართ უმადურები, თვითონ ჩვენცა ვართ მათზე არანაკლებ უმადურები, ოღონდ... საკუთარი თავის წინაშე!

თუკი ქუჩის გამორჩეულობით ფასდება ამა თუ იმ ადამიანის ღვაწლი და დამსახურება ერისა და სამშობლოს წინაშე; და ეს მართლაც ასეა ყველა კულტურულ ქვეყანაში, მაშინ, ჩვენთვის, განა დიდად სასირცხვილო ამბავი არ უნდა იყოს ის, რომ თბილისში ჩვენი დიდი მწერლის, ჩვენი პირველი დიდი რომანისტის, მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ქუჩა – სულ დიდი 50 მეტრისა იქნება, იქ მდგომი ერთი სახლით?!

\* გვიანდელი შენიშვნა (მაისი, 1989 წელი): ახლახან გარდაცვლილი ალექსანდრე ბეგაშვილი.

თბილისში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ – გნებავთ სანაძლეოს ჩამოვალ ერთით ასზე! – სადაა-თქო მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა, ერთი ცერ მიგითითებთ; არათუ ცენტრში მცხოვრებნი, თვით „ამ ქუჩის“ ბინადარნიც კი შეცბუნდებიან, აკი მათი სახლი სხვა ქუჩას განეკუთვნება.

კი, მაგრამ... ეს მითხარით, თბილისში იყოს პეკინის ქუჩა და არ იყოს მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა?! ქალაქის ცენტრში, რუსთაველის თეატრის მახლობლად, იყოს ათარბეგოვის ქუჩა და სადღაც მიკარგულში იყოს ახმეტელის ქუჩა, ქუჩა იმ კაცისა, რომელმაც ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ქართული თეატრის ელვარებით პირველმა აუბრჭყვიალა თვალეები მსოფლიოს გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეებს და გაახარა სტალინი, რომ ის სრულებითაც არ არის ნახევრად ველური ხალხის შვილი, როგორაც ამაზე მაშინ საზღვარგარეთ სისინებდნენ მისი ავისმსურველები?!

თბილისში იყოს პეროვსკაიას ქუჩა და არ იყოს ივანე გომართელის ქუჩა?! პეროვსკაიას ქუჩა არ არის მოსკოვშიც კი, და ჩვენ ასეთი რა ვალი გვაქვს იმ ქალის, თუნდაც ღირსეული ქალის წინაშე, რომ ქუჩას, სადაც ივანე გომართელი ცხოვრობდა და ათეული წლობით მოღვაწეობდა – ისე კი არა, როგორც ახლანდელი ექიმების აბსოლუტური უმრავლესობა „მოღვაწეობს“! – პეროვსკაიას სახელი ერქვას და არა მისი?! უფრო მეტიც: იმ სახლის გვერდით, სადაც გომართელი ცხოვრობდა (21), არის დიმიტრი გულიას, ორი წლის იქ ცხოვრების აღმნიშვნელი დაფა, მაგრამ არაფერი არ არის აღნიშნული იმ სახლზე, რომე...

არ იფიქროთ, მე გულიას რამეს ვერჩოდე, – იყოს, ბატონო, და არის კიდევ, მაგრამ რატომ არ უნდა გამოჩნდეს ივანე გომართელი იმ სახლის წინ და იმ ქუჩაზე, სადაც, საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩარდახიანი ურმები მოედინებოდნენ ჯადოქარ და ჰონორარის „აქეთ ჩამჯიბავ“ ექიმთან, და არა მარტო ექიმთან, – მწერალთან, კრიტიკოსთან, პუბლიცისტთან, დიდ მამულიშვილთან?!

მერედა ასე უნდა დავაფასოთ – მით უმეტეს ჩვენი ზნეობრივად დაცემისა და დაკნინების ჟამს – სამაგალითო, გუშინდელი წინაპრები?! ეს არის ჩვენი მამულიშვილობა, ჩვენი პატრიოტიზმი?! მარტო „დინამო, დინამო“ ვიძახოთ და ერთმანეთს ცხვირპირი დავამტვრიოთ „დუბლიონკების“ განაწილებისას, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ერთ-ერთ შემოქმედებით ორგანიზაციაში, რომლის მსგავსი ტრაგიკომედია, ალბათ, დასუფთავების ტრესტის მუშაკთა შორისაც არ გათამაშდება ქალაქიდან ყველაზე ბინძური ნაგვის გატანის გამო?!

რიგაში მხოლოდ სამად სამი ქუჩა აღმოვაჩინე არალატვიელის სახელობისა – ლენინის, კიროვის და სუვოროვის...

მე არ ვამბობ, მათ ზუსტად მივბაძოთ-მეთქი, მაგრამ... რასაც ბრძანებით არ გვავალდებენ, იმას ჩვენი რატომ ვივალდებთ?

რუსულის მცოდნე რომელი ქართველი არ მოიყრის მუხლს პუშკინის წინაშე, მაგრამ... პუშკინი და პედაგოგიური ინსტიტუტი? განა თვითონ პუშკინი არ შენუხდებოდა, რომ გაეგო მისი სახელობის გულისთვის იაკობ გოგებაშვილი თელავში გავასახლეთ? ივანე პავლოვი დიდად პატივსაცემი მეცნიერია, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, ივანე ბერიტაშვილი ხომ არანაკლებ პატივსაცემია?!

ჰოდა, ახლა ესეც ვიკითხოთ – სად არის ბერიტაშვილის ქუჩა? თუ საერთოდ არის სადმე, ალბათ, „ჯანდაბაში“... სად არის დიმიტრი უზნაძის ქუჩა? არის კი საერთოდ? ეგებ იქ არის, ავლაბარში – ნახშირის, მემანვნეთა, ტიკის ქუჩების გვერდით!

ახლაც შეგიძლიათ გადახედოთ იმ დროის „კომუნისტს“, – როცა მსოფლიო მნიშვნელობის ეს დიდი მეცნიერი წავიდა ჩვენგან (მის „ნასვლას“ კბენია მედროვეებმაც დიდად შეუწყვეს ხელი!), გაზეთში, მეოთხე გვერდის მიჭუჭყულ კუთხეში, მოათავსეს მასზე ნეკროლოგი, – აი, იმოდენა, რამოდენაც ჩვეულებრივად ნებადართულია ადგილობრივი მნიშვნელობის პენსიონერისათვის...

ნუთუ აღარ დადგა დრო, იმ „გმირული და ნათელი დღეების“ ნამოქმედარი ახლა ქუჩით ოდნავ მაინც გამოვასწოროთ?!

საერთოდ, თბილისში „ქუჩების სფეროში“ რამდენ უთაურობას არ გინდათ წააწყდეთ!

საფრანგეთმა დე გოლი, ნაპოლეონის შემდეგ, ყველაზე დიდ სახელმწიფო მოღვაწედ მიიჩნია, და მაინც, მიუხედავად ამისა, როცა დადგა საკითხი მისი ხსოვნის პატივსაცემად, პარიზის ერთ-ერთ ძველ, შედარებით მომცრო ეტუალის მოედნისათვის სახელი გადაერქვათ, ამის თაობაზე პარლამენტში ცხარე კამათი გაიმართა და კენჭის ყრისას ძლივს, მხოლოდ ორი ხმის უპირატესობით, მიიღეს კომპრომისული გადაწყვეტილება.

აი, როგორ უფრთხილდებიან თავიანთ ისტორიას!

ჩვენში კი, როგორც ჩანს, ვიღაც ერთი ბაკაკური თუ სამჭკუაშვილია უფლებამოსილი ერთი ხელის დაკვრით შავი ხაზი ვარდისუბანსაც გადაუსვას და ხილიანსაც...

სულ აგერ ახლა მღეთის ისტორიულ, დიახ, ისტორიულ ქუჩას სახელი შეუცვალეს, ხორავა-

ზე!

კი, მაგრამ, ჩვენი დროის მსახიობს ის უფრო არ შეჰფერის, რომ მისი სახელი ჩვენს დროში აღმოცენებულ ქუჩას მივაკუთვნოთ?! თუ ჯერ კიდევ ცოტაა ასეთი უსახელო ქუჩები დილომსა და გლდანში?!

მლეთის ქუჩაზე დროდადრო ვაჟა-ფშაველა ცხოვრობდა, მლეთის ქუჩაზე დინჯი ნაბიჯებით ვაჟა ჩაივლიდა ხოლმე გენიალური პოემებით გამოტენილი ხურჯინით და... ახლა ასე ვილაპარაკოთ და ვწეროთ, ვაჟა-ფშაველა აკაკი ხორავას ქუჩაზე ასე და ასე-თქო?!

რაკი სიტყვა ვაჟაზე ჩამოვარდა, ჩვენი თავსავსე მამულიშვილობის დასადასტურებლად ასეთ ფაქტსაც მოვიყვან, თუმცა... მანამდე ამას წინათ ტელევიზორში ერთი ცნობილი აკადემიკოსის (არაზუსტ მეცნიერებათა დარგში!) სიამაყით წარმოთქმულ ფრაზას გაგაცნობთ:

— ჩვენ დიდი კულტურის ხალხი ვართ!

\*\*\*

- დრასტი, ზნაკომ, გაგიმარჯოს, კუდა იდიომ, საითკენა?!
- ჩვენ შენი ჯავრი არა გვაქვს, მივდივართ მარაბდისკენა...

„არსენას ლექსი“

ამ ხუთიოდე წლის წინათ, ჩარგალში ასვლისას, გამაოცა ერთმა ჯღარკმა ჯიხურმა, რომელიც ვაჟას თუმცა თითქმის მიწური, მაგრამ ყოველივე შეგნებული ქართველისათვის – უკვდავების ოქროთი მოვარაყებულ სრა-სასახლისაგან სამოციოდე მეტრის დაშორებით წამოეყუნცათ...

ამ ჯიხურში რალაც საოჯახო ხარახურა – ტაფები, ქვაბები, სამფეხები – იყიდებოდა (თუნდაც ძონეული გაყიდულიყო!)...

კიდევ უფრო გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ მის ჩაჟანგულ (თუნდაც მოოქრული ყოფილიყო!) თუნუქის ფირნიშზე რუსული აჩაბაჩა ასოებით გამოეყვანათ (თუნდაც კალიგრაფიის პირველი ოსტატის ნახელავი ყოფილიყო!):

#### Повседневные товары

ჯერ ერთი, ამ სავაჭრო წერტს, თუნდაც „უნივერმალს“, აქ რა უნდა, რა უნდა მთის არწივის საბრძანებლის გვერდით (ჩვენ, მართალია, „დიდი კულტურის ხალხი ვართ“, მაგრამ... ასე უვლიან ბერნსის კარმიდამოს შოტლანდიელები?!), მეორეც, – რომელი რუსი ამოდის ამ ვეება მთებში, რომ მას რუსული წარწერით (თუნდაც მარტო რუსულით, – ქართულად კი არც ცარციითაა რამე მიწერილი) ვამცნოთ და ვანახოთ, რომ მას შეუძლია შეიძინოს აქ «Повседневные товары»?!

მართალი გითხრათ, ჩვენი დროის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მთელი ჩემი სიცოცხლე, ისე გავურბივარ, როგორც კურდღელი ცალთვალა მონადირეს, მაგრამ ვაჟასადმი დიდმა სიყვარულმა ამ ერთხელ მაიძულა, ჩამოსვლისას, დუშეთის რაიკომში შემევლო და ერთ-ერთ პასუხისმგებელი მუშაკისათვის მომეთხრო, ალბათ, საკმაოდ გაცხარებული ტონით, ამ უმსგავსო-მეუსაბამობაზე...

კითხვაზე, თქვენ ვინ ბრძანდებითო, მე პირდაპირ არ ვუპასუხე, ვინც „ვბრძანდებოდი“, რადგან ვიცი, მე ის ბამბა არა ვარ, რომელიც ჩხრიალებს, ჩემი სახელი კიდევ ჰო (კიტა... აბაშიძე!), მაგრამ გვარი, სულ ერთია, მას არაფერს ეტყოდა, – ვაჟას მკითხველი და მათაყვანებელი ვარ-მეთქი...

ვაჟას თქვენზე უფრო დიდი მათაყვანებელი ჰყავსო, – მიპასუხა ჩემზე უფრო გაგულისებულად, – აქ ყოველ წელიწადს ამოდინან ხელმძღვანელი ამხანაგები მწერალთა კავშირიდან და არც ერთს არაფერი დასცდენია ამ „უმსგავსობაზე“ და, თქვენ შეამჩნიეთ და მათ ვერ შეამჩნიესო?..

არ ვიცი, ის „გუმი“ თუ „ცუმი“ კიდევ დგას იქ თუ არა, ეს კია, ასეთი მარცხით დამთავრდა ჩემი პირველი და უკანასკნელი „საზოგადოებრივი ლაშქრობა“, უკანასკნელი-მეთქი, – აკი ერთხელ კიდევ თვალნათლივ დავრწმუნდი, – ჩვენს დროში უეპოლეტებოდ არაფერი არ გამოგივა, მე კი ეპოლეტები სიბერეში კი არა, ახალგაზრდობაშიც არ მიძებნია...

კიდევ ერთი-ორი სიტყვა თბილისის „პავსედნევიანიან“ წარწერებზე...

სახლების კედლებზე ისე მომრავლდნენ მემორიალური დაფები, როგორადაც „გამოჩენილი მოღვაწეები“.

ამ წარწერების დი-იდი უმრავლესობა ორენოვანია (ბარნოვის, უზნაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ნუცუბიძის და კიდევ ერთი-ორის გამოკლებით).

უყურებ ხოლმე მათ და... თან გეცინება, თან გეტირება: თქვენ, ალბათ, არც შეგიმჩნევიათ, რაკი ქვეითად მიმოსვლა არ გიხდებათ (ეს ჯანმრთელობისათვის, ცოტა არ იყოს, საზიანოა,

ზოგჯერ კი სახიფათოც: ამას წინებზე ერთ-ერთი მინისტრის ერთი ნაცარქექია, უნომრო მოადგილე, ე. ი. არაპირველი, გაათავისუფლეს – ჩვენში ხომ სინდისგარეცხილ და ჯიბეგატენილ გამყიდველებსაც კი იშვიათად თუ ხსნიან, მხოლოდ ათავისუფლებენ! – და მას, ამის საფუძველზე მანქანაც ავტომატურად ჩამოერთვა: განთავისუფლების მეორე დღესვე, რაკი საწყალი სიარულს გადაჩვეული იყო, ფეხი წაიჭება და მთელი თვე ლოგინში იწვა მალლა ფეხაფარჩხული!), მე კი თითქმის მუდამ, როგორც რუსები ამბობენ, „На своих на двоих“ დავდივარ და წლობით ვაკვირდები, აბა ერთი მაინც, აბა ერთი არაქართველი თუ ოდესმე შეჩერდება ამა თუ იმ დაფასთან და თვალს შეავლებს წარწერას, – ამ ხნის მანძილზე ასე რომ თვალყური მედევენებინა, ალბათ, სატურნიდან გამოშვებულ მფრინავ თეფშებს უფრო წავანყებოდი და დავიჭერდი კიდეც ცაზე, ვიდრე ამის წამკითხველს ჩვენს ძმობით ქებულ დედაქალაქში...

და ჩვენ მაინც, აქაც, რა თქმა უნდა, ერთმანეთისადმი რევოლუციამდელი ზესტაფონური წამხედურობით – „პრესტიჟისათვის!“ – ორ ენაზე ვწერთ, და მერე, ზოგჯერ, როგორ ვწერთ! დიდი ხნის განმავლობაში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, N-4 სახლის კედელზე გალაკტიონის მემორიალურ დაფას „ამშვენებდა“:

«...здесь жил выдающийся поэт  
Галактион Табидзе...»

«поEt...» ესე იგი „პაიოტო“, გალაკტიონ ტაბიძეო... გვიჭირს, საერთოდ, რუსული, ძალიან გვიჭირს, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი...

(ალბათ შემრისხავთ, გალაკტიონი კი არა გალაკტიონიო. მერედა ეს, ქართული ენის ფონეტიკის თვალსაზრისით, ოდნავ მაინც მართებულია?! მისი ნორმები, თუნდაც გენიოსის ხუმტურების მიხედვით უნდა დაირღვეს? ესეც არ იყოს, განა ასე აუცილებელია, ხალხი, თავისავე სახალხო პოეტის სახელის წარმოთქმისას, სულ იმის ფიქრში იყოს, ენას კბილები როგორმე დროულად დააჭიროს, რათა ბუნებრივი „ქ“-ას ნაცვლად ხელოვნური „კ“-ა გამოცრას? სხვათა შორის, „არიფონში“, სადაც თავს იყრიდნენ ისეთი დიდებული მოქართულენი, როგორიცაა ჯავახიშვილი, ქიქოძე, პეტრე ქავთარაძე, ქიაჩელი და სხვები, რუსული „გალაკტიონი“ ქართულ „გალაკტიონად“ გვაცნობს თავს).

...კაცი რომ ორმოცდაათს გადააბიჯებს, მერე ის სამგლოვიარო განცხადებებს ადრინდელი გულგრილობით აღარ კითხულობს, მით უმეტეს სასაფლაოს სტუმრობა, თუ ეს დიდი აუცილებლობით არ არის გამოწვეული, ბევრად არაფრად ეხალისება, მაგრამ პანთეონი მაინც სხვა არის, პანთეონს ერთგვარი სანახაობითი მხარეც მოეპოვება და... ნუ დავიზარებთ, შევიხედოთ:

Проф. Акаки Пагава; Polikarpe kakabadze

„დიდი კულტურის“ მქონე ზოგიერთი ჭირისუფალი მართლაც რომ თავს მოჭრის თავისავე „სახელოვან მიცვალებულს...“

(სხვათა შორის, ეს – ჩემი არც თუ სულ გაბედული აზრით – სახამუშო, თითქმის იუმორით შეფერილი „სახელოვანი მიცვალებული“ ერთ-ერთ ჟურნალში, ჩემთვის მხოლოდ გვარით ნაცნობ, უთუოდ ნიჭიერი კრიტიკოსის წერილში ამოვიკითხე ბესო ჟღენტზე).

ჯერ ერთი, კარგი ქართველი მამულიშვილის სამარის ქვაზე, და ისიც ქართულ პანთეონში, რა საჭიროა რუსული წარწერა (რუს პროფესორ ი. მ. შარლემანის ძეგლსაც კი, აქვე, რომელმაც განუზომელი ღვანლი დასდო ჩვენს სამხატვრო აკადემიას, მხოლოდ ქართული წარწერა ამკობს, თანაც „უპროფ“-ოდ), მეორეც, რაკი წერ, სახელი მაინც სწორი რუსულით დანერე: **Акакий**.

როგორც ხედავთ, ზოგიერთი ძველრომაელი დრამატურგის პლავტუსის ენასაც კი იშველებს და თან მეტრზე მეტიც ხელოვნურად ამაღლებს საფლავის მინას, ალბათ იმიტომ, რომ მისი „გამოჩენილი“ სხვა „გამოჩენილებზე“ უფრო გამოჩენილი გამოჩნდეს!..

პანთეონი, თუკი ის მართლაც ერის, რჩეულ შვილთა სავანეა, რაკი ჩვენ ჯერ კიდევ თავი ვერ დავგიღწევია თავისმომჭრელი პროვინციალიზმისათვის, – რაღაც ერთგვარ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. პანთეონი ხომ ვაკის, საბურთალოს, მუხათგვერდის მსგავსი სასაფლაო არ უნდა იყოს, ვისაც რა მოესურვება, ის წამოჭიმოს და ის ამოტვიფროს.

(ვაკეში, მაგალითად, ერთი ქართველი სამხედრო კაცის სამარის ძეგლზე ასეთ წარწერას ამოიკითხავთ:

Спи спокойно – никто тебя будить не будет \_  
мой дорогой, многоуважаемый муж.  
Любимая жена.

ალბათ, ჩეხოვის «Многоуважаемый шкаф»-ი გაგახსენდათ, თანაც «Любящая жена» მაინც იყოს!).

დიდუბის პანთეონში უკვე კარგა ხანია, ძეგლებზე აღარ აღნიშნავენ დაბადება-მიცვალების თარიღს...

კი, მაგრამ მნახველმა, ვთქვათ, ოცი-ორმოცი წლის შემდეგ არ უნდა იცოდეს, ამა თუ იმ მოღვაწემ, თუ ის მართლაც მოღვაწე იყო და მადლიერი შთამომავლობის მენსიერებაში ასეთადაც დარჩა, – როდის, რომელ წლებში, რომელ საუკუნეში იცხოვრა და იღვანა?

სხვათა შორის, ეს ახლა ასე გახშირებული უთარილობა, თუ გნებავთ ამის ზუსტი თარიღი იცოდეთ, 1953 წლიდან მოდის: ჰაერში ფერისასავით დაფერფლილ ნატა ვაჩნაძეს, ლეგენდარული სილამაზის ქალს და მთელი საბჭოთა მუნჯი კინოს პირველ ვარსკვლავს, „დაიბადა-გარდა-იცვალა“ არ გაუკეთეს, და ეს ერთთავად თითქოს გამართლებულიც იყო, მაგრამ ის, რაც მანანა ორბელიანს, ნატა ვაჩნაძეს მოუხდება, არ მოადგება მეცნიერების თუ ლიტერატურის მოღვაწეებს (მე, რა თქმა უნდა, ერთმანეთისაგან ვასხვავებ ქალაქში აღმართულ ძეგლს საფლავზე დადგმული ძეგლისაგან).

...გარდაცვლილებზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო. ეს შეგონება, მგონი, არ დამირღვევია (გარდა იმისა, რომ დაფები საეჭვო გამოჩენილებით ერთობ მომრავლდნენ-მეთქი) და დროა მოვეშვა იმქვეყნიურ ბინადართ და ჩვენს მხიარულ, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე თბილისში თავანულებმა გავიარ-გავისეირნოთ, რომლის ქუჩებშიც ასე დაჟინებით გვეპატიჟებიან... თუ «Купатная» თუ «Хинкальная» თუ «Хашная» თუ «Хачапурная...»

ღმერთს ვფიცავ, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ გვნამს, – ჩვენი ბედი, რომ რუსები ფრანგები არ არიან, თორემ მათი დიდებული ენის ასე საჯაყ, მიკიტან ხეჩოს დონის რუსულისათვის ცხვირს ამოგვინაყავდნენ და როგორც ადრე, რევოლუციამდე, ამბობდნენ შავრაზმელები დამტვრეული რუსულით მოლაპარაკე „ინოროდცებზე“ მოგვაძახებდნენ: «Эфиопы, эфиопы!»

(მინი-ცნობა: მთელი ორასი წლის მანძილზე ქართული ენა რუსეთში, ცნობილებიდან, მხოლოდ ორად ორმა კაცმა შეისწავლა, რუდენკომ და კლიმოვმა, ჩვენგან ასე დაშორებულ სხვა ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ, მარტო პატარა შვეიცარიაში კი სამმა ციურიხელმა ქალმა. სხვათა შორის, სომხურიც ჩვენი ენის ბედს იზიარებს).

კონსტიტუციით ქართული ენა სახელმწიფო ენად კი შევინარჩუნეთ, მაგრამ ამ სახელმწიფო ენას თვითონ ჩვენ, ქართველები, ვითომ პატივისცემით ვეპყრობით, ვითომ ვუფრთხილდებით?

რიგაში, რუსული დრამის თეატრშიც კი – ეს მართლაც გასაკვირია! – პროგრამები რუსულ და ლატვიურ ენებზე იბეჭდება (შემიძლია გაჩვენოთ, ჩამოტანილი მაქვს), ჩვენში კი... არა მგონია, მოსკოვს დაევალებინოს, გმირთა მოედნის ასე საჭირო მინისქვემა გასასვლელზე, მარტო ერთ ენაზე მიგვეწერა:

«Наб. им. Сталина», «Цирк», «Зоопарк».

ვითომ რა სახსრები უნდა დახარჯულიყო იმდენი, რომ თავდაპირველად ასეთივე (სამი!) თითოსიტყვიანი – შენს დედაქალაქში, შენს სახელმწიფო ენაზე! – ქართულადაც გაეკეთებინათ? მხოლოდ მოგვიანებით მიაკრეს, როცა ხმა აღიმალლა ერთმა „ჩხირკედელა“, ქვეითად მოსიარულე მოქალაქემ (აფსუს, რა სიტყვას აღარ ვხმარობთ, – მოქალაქე! – რა სიტყვა ეძლევა დავინყებას!).

არც ის მგონია, მოსკოვი გვავალებდეს, თბილისის ქუჩებში «Переход», «Переход» მარტო რუსულად აღინიშნებოდეს. მართალია, რუსული გვიჭირს, მაგრამ ისე როდი გვიჭირს, რომ, კერძოდ ამ შემთხვევაში „პერეხოდის“ მნიშვნელობა ვერ ამოვხსნათ, თუნდაც ხარაგოულის რაიონის მთის სოფელ საძროხედან ვიყოთ ჩამოსული, მაგრამ თუ ამ იოლ გზას დავადექით, – სულ ერთია, მაინც ყველა მიხვდებაო – მაშინ ჩვენს დედაქალაქს არასოდეს ქართული იერი არ მიეცემა და ბარემ დროულად, ახლავე სახელიც გადავარქვათ და სხვა ხალხებისათვის ინტერნაციონალისტისა და თავის თანამოძმეებისათვის ინტერ-გამოკლებული მიქოიანის საფლავზე გვირგვინი მივიტანოთ წარწერით – სიყვარულით კასაბლანკა – სინგაპურელებისაგან-თქო...

ერთი რამ კარგად უნდა გვახსოვდეს: ასეთი დაუფიქრებელი, ჩვენივე, შეიძლება ითქვას, უნებლიე ანტიქართული „დურაქობით“ ვაღიზიანებთ ახალგაზრდობის ერთ ნაწილს – უჯინსო (!) ნაწილს და ვაძულებთ რუსულ ენას, ეს კი დიდი დანაშაულია. რუსული ენა ჩვენ ისე გვჭირდება, როგორც ჰაერს სჭირდება ყველა თავისი შემადგენელი ნაწილი; რუსები დიდი ერია და, ბუნებრივია, ყველაფერი დიდი აქვთ – არა მხოლოდ ფიზიკური ძალა...

თუნდაც ენის ადგმისთანავე – პარალელურად მშობლიურთან, რა თქმა უნდა, – რუსული

ენის შესწავლით სრულებითაც ვერ დავკარგავთ ჩვენს ეროვნულობას, თუკი, ცხადია, სამშობლოს არა მხოლოდ პასიური სიყვარული (ასეთი სიყვარული ჩვენ ახლაც გვაქვს), – სამშობლოსათვის თავდადების გრძნობა „მე პატარა ქართველი ვარ“-ის ასაკიდანვე ძვალ-რბილში გვექნება გამჭვდარი...

როგორც იცით, სამხედრო სასწავლებელში „გარუსებული“ დავით კლდიაშვილი, მწერლისთვის თითქმის საკმაოდ მოგვიანებითაც კი, ისეთი ქართულით შეიარაღდა, ბევრ ჩვენგანს მწერალს, მწერალს! – რომ შეშურდება.

დიახ, სამწუხაროდ, გვიჭირს რუსული... სომხების აზრით, გვიჭირს ჩვენი უთავობით, ჩემი აზრით კი – უფრო უთაურობით.

სომხებს არ უჭირთ, ჩვენ გვიჭირს! ნუთუ იმიტომ, რომ ისინი, როგორც თვითონვე კვებნით ამბობენ, პოლიგლოტებია და ჩვენ კი... „მონოგლოტები?“ რაღაც მეექვსეა! თუნდაც იმიტომ, რომ... ბიძა მყავდა, მიხა ბუაჩიძე, გლეხი-გლეხი თავიდან ფეხებამდე, მაშინ 85-ის იყო, ე.ი. იმ დროიდან 70 წლის წინათ ბელაგორის (ბელგოროდში არ აგერიოთ! – ახლანდელი ხარაგოულია!) ორკლასიან სასწავლებელში დადიოდა... საერთოდ, კაცი იყო ისეთი, სოფლიდან ბიჯს არ გადადგამდა, არც ჩიტაში დაჰქონდა ვაშლი და ხურმა, და არც კამჩატკის პეტროპავლოვსკში ტყე-მალე და დაფნა... მიუხედავად ამისა, რუსული თავში ისე ჰქონდა ჩაჭედილი (ჩაუჭედეს! კარგი სწავლით კარგმა მასწავლებლებმა ჩაუჭედეს!) სიბერეშიც კი ბევრად უკეთესად „პარუსკობდა“, ვიდრე... ვიდრე...

აი, თუნდაც ერთი საზოგადო მოღვაწე მასზე უფრო თვალსაჩინო მოღვაწის საიუბილეო საღამოზე, მოსკოვში (ჩანერილია ფირზე, ინახება საშვილიშვილო ფონდში!)... თუმცა ის დაწერილს კითხულობდა და, უნდა ვივარაუდოთ, როგორც ჭკვიანი კაცი, საკონტროლოდ მასზე უფრო უკეთ რუსულის მცოდნეს ნააკითხებდა, და „მაინც“, დაწერილიდან ერთხელ თავის ალებისას და მერე დახედვისას... ესა და ეს (ესე იგი იუბილარი)... „...пример тот, как надо жить и работать!“ (აზრში არ ვედავებით, ისე კი... მმ... ყველამ „იმ“ იუბილარივით „жить и работать“ რომ „ვექნათ“, მაშინ საქართველოში – სანაშენოდაც კი! – ერთი პატიოსანი კაცი აღარ დარჩება).

დიახ, გვიჭირს რუსული, ძალიან გვიჭირს, თანაც სავალალო ის არის, რომ ეს ბევრს სასირცხვილოდ არ მიაჩნია, – ოღონდ გამოჩნდეს, ოღონდაც საქვეყნოდ ტრიბუნა მიეცი...

და აჰა, მოგვცეს კიდევ ტრიბუნა და, თუ ზეპირად გამოვდივართ – არადა, დაწერილს, ვინ არ იცის, გახვრეტილი შაურიანის ფასი აქვს, – ძალიანაც რომ ცდილობთ, მაინც „ეფიოპის“ შთაბეჭდილებას ვახდენთ, და ეს არც გაგვემტყუნება: ჩვენი თავი თუნდაც უბრძნესი აზრების სკას წარმოადგენდეს, რაკი კაცი, მახვილს რომ თავი დავანებოთ, უფრო იმაზე ფიქრობ და შიშისაგან თრითინასავით თახთახებ, რომ ბრუნვისა და უღვლილების ელემენტარული წესები არ აგერიოს, – ამ განამანიაში, აბა, აზრებს საიდანღა მოუყრი თავს?

...წელს ქუთაისის თეატრი საგასტროლოდ მოსკოვს უნდა სწვეოდა... მე არაფერი მინდა ვთქვა იმაზე, თუ ვის აღედრა ეს სურვილი პირველად, უფრო კი – დასტური ვინ მისცა, – აბა ერთი გულზე ხელი დავიდოთ და ვიკითხოთ, რით უნდა გააკვირვოს – ჯერჯერობით მაინც! – ქუთაისის თეატრმა ვახტანგოვის, მაიაკოვსკის, „სოვრემენიკის“, სატირისა და მცირე თეატრებს შეჩვეული მოსკოველი მაყურებელი, თანაც ენობრივი ბარიერის წინააღობის პირობებში, – ნახვიდე მარტო იმის იმედით, რომ სულ ერთია მაინც შემაქებენო – რა თქმა უნდა ამის გარანტია შეგიძლია შენი ხელოვნება-ოსტატობის ჩვენებამდეც ერთი წლით ადრეც კი გულჯიბეში ჩაიდო! ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ეროვნული რესპუბლიკებიდან მოსკოვში ჩასულ, რაგინდ უსუსური კოლექტივიც ყოფილიყო, იქიდან ქების სიგელი არ წამოეღოს: ყველანი გადაიან ოფიციალური სტუმარმასპინძლობის ეტიკეტით, თანაც ისეთი პირფერულით, რომ დავით კლდიაშვილის პერსონაჟებსაც კი შეშურდებათ.

ზუსტად ათი წლის წინათ მე ვესწრებოდი მოსკოვში რუსთავის თეატრის – იმ დროისათვის საკმაოდ კარგი თეატრის, მაგრამ „გარეთ“ გასასვლელად ჯერ კიდევ მოუმნიფებელი თეატრის გასტროლებს და...

ღმერთო, როდის დამთავრდებოდა ეს ორკვირიანი გასტროლები, – ამაზე ოცნებობდნენ, ვინც ჭკვიანი და მიხვედრილი იყო ჩამსვლელთაგან, დამხვდურებიდან კი – ხომ თითქმის ყველა (ო-ო, სამაგიეროდ ბანკეტმა სრული ანშლაგით ჩაიარა!). ასეთივე ბედი ეწია რუსთავის თეატრამდე ბათუმის თეატრს და რუსთავის თეატრის შემდეგ აფხაზურ თეატრს და, თქვენ წარმოიდგინეთ, რუსთაველის თეატრსაც კი 1960 წლის გასტროლების დროს...

(სამწუხაროდ, როგორც ატყობთ, ვერც ჩემს სისხლხორცეულ დარგში დავიჭირე სადავეები და შეუტოპავში შევტოპე. არა მგონია, ჩემი ეს ბარათი, თუნდაც დაბეჯითებითაც გთხოვოთ, სულ საიდუმლოდ დარჩეს. ჰოდა, ვიცი, ეს შეტოპვა ძვირი დამიჯდება; ჩემს კომედიებს ისედაც არ დგამენ, აწი, მით უფრო, სულაც აღარ გააჭაჭანებენ, მაგრამ ჩემი პირადი შემოქმედებითი სიხარულიც კი თუ შეეწირება საერთო ეროვნულ საქმეს და თუნდაც ორიოდვე სანტიმეტრით მა-



ინც წასწევს წინ, მე ამითაც გავიხარებ)...

რას მიედ-მოედები, სად ქუთაისის თეატრი, სად რუსული ენაო, – ბრძანებთ ალბათ, მაგრამ ნუ აჩქარდებით, – მათ შორის ერთგვარი ძაფური კავშირი, ზიარი ჭურჭლის წესი თუ კანონი არსებობს, და ეს, როგორც ქართული ენის გერონტი ქიქოძისებური „მცოდნენი“ არა მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში, ნაბეჭდი სიტყვის მაგიური ძალითაც მოსავენ ხოლმე – „სახეზეა!“

„სახეზეა“ გასტროლებთან დაკავშირებული, სამოსკოვოდ გამოშვებული ბუკლეტი, სათანადო ტექსტითა და მრავალი სურათით, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, მსახიობთა სურათებით. არ დავმაღავ, ტექსტს არ გავცნობივარ, სურათებს კი დავხედე, მერე კი დავაკვირდი, სათვალთაც შევიარაღდი: აქამდე ისე, როგორც ბატონ ოთარს, ნათელა სალარაძე მეც ქალი მეგონა, – „რუსულადაც“ კი ქალი მეგონა, ასევე თამარ ღვინიაშვილი და თამარ კიკნაძე, „წარმოიდგინეთ“, ქეთევან კოლხიდელიც, – მათი სურათების ქვეშ კი, როგორც ყველა დანარჩენ მსახიობ ქალთა გამოსახულებათა ქვემოთ, მიბეჭდილია:

«Народный артист ГССР – Тамара Кикнадзе,  
Заслуженный артист ГССР – Натела Сагарадзе...  
Артист... Артист... Артист...»

თუ ასეა, გავიფიქრე, მაშინ შოთა პირველი, თუმცა ცხოვრებაში უულვაშო, მაგრამ პოტენციურად მაინც ულვაშიანი, ანზორ ხერხაძე კი, „ისეც“ და „ასეც“, ულვაშიანი, „არტისტკების“ სქესით ხომ არ გადაიან-მეთქი; დაილოცოს ამ ბუკლეტის რედაქტორ-გამომცემელ-შემდგენელთა სახელი, – არა, არ გადაიან!

მე არ ვიცი, რა მიზეზით აღარ შედგა ქუთაისის თეატრის გასტროლები, – დიდია, ღმერთო, შენი სახელი! – რომ შემდგარიყო, ყოველ შემთხვევაში, ეს მისი „მარეკლამირებელი“ ნაბეჭდი პროდუქცია თეატრში, მეტწილად, ძალით მოყვანილ მოსკოველ მაყურებელთა თვალში გამოგვაჩენდა აფრიკის ასმეორე რესპუბლიკასავით, სულ აგერ ახლა რომ მიიღო დამოუკიდებლობა და ეს-ეს არის შეეჭიდა რუსულს...

თქვენ არ იფიქროთ, რომ ეს „არტისტკები“ სადმე, სადღაც ფშავ-ხევსურეთის რომელიმე ნა-სოფლარშია დაბეჭდილი, – არა, – ჩვენს სატახტო ქალაქში, „დიდი კულტურის მქონე“ თბილისში...

ლინგვისტები თითქმის პარადოქსულ აზრს გამოთქვამენ: ვინც ერთი ენა იცის, მან, არსებითად, არც ის ენა იცის, რადგან სხვა ენებთან შედარების შესაძლებლობას მოკლებული არისო. თითქოს მართლაცადა... ქართულში ქალიც მსახიობია და კაციც მსახიობია, რუსეთში კი...

გვიჭირს რუსული, ძალიან გვიჭირს არა მარტო საშუალო სკოლა დამთავრებულებს, არა მხოლოდ უმაღლეს დიპლომიანთ...

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენს რესპუბლიკაში 25 ათასი მეცნიერი იყო (ახლა, ალბათ, „წანვიმარზე“, უფრო მეტიც იქნება!). ჰოდა, უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ, ერთხელ იმ 25 ათასიანიდან როგორღაც „ერთის“ სადოქტორო ნაშრომი ცოტა რაღაც ღირსების მხრივ საეჭვოდ მიიჩნია და დოქტორანტი, თავი რომ გაემართლებინა, თუნდაც, უბრალო, კერძო საუბარში, – მოსკოვში მიიწვია... ეს ჩვენი მეცნიერი თანამედროვე ტყავის ოთხკუთხა ხურჯინებით დაბრიგნილ-დატვირთული კი გაემართა, მაგრამ, ორდღიან გზაში, ვერც ხურჯინებმა ისწავლეს რუსული და ვერც მათმა პატრონმა, არადა, ნასესხები თუ ორიგინალური აზრების დასაცავად, მწვანელით მოვაჭრე თათრის ქალებთან სამყოფი რუსული სულაც არ ეყო!..

ჰოდა, საერთოდ, ეთქმის კი მეცნიერს მეცნიერი, რომელმაც ერთის მეტი ენა არ იცის? კარგი, ბატონო, რუსული არ იცი, მაგრამ ფრანგული იცი? გერმანული, ინგლისური? თუნდაც სომხური?!

დიახ, გვიჭირს რუსული, „სხვებს“ ისე არ უჭირთ, როგორც ჩვენ. რატომ? არაქართველ დემაგოგს შეუძლია ეს ანტირუსულ განწყობილებაში ჩაგვითვალოს, განგებ არ სწავლობენო.

ო-ო, გარდა პროვოკაციისა, რამოდენა სისულელე იქნება ეს და რამხელა იდიოტიზმი! ყოველ ქართველს, გლეხი იქნება ის თუ მუშა, მწყემსი თუ მთასვლელი, ვითომ პროფესორზე ხომ არაფერს ვამბობ, – მართლა პროფესორებმა კი მართლაც იციან! – რუსული ძალიანაც უნდა ხუთიანზე იცოდეს და თავიც მოჰქონდეს ამით, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ბოლო ათეულ წლებში შემოჩვეული დამლუპველი სენი – არაფერზე არ ვიტყხით თავი – ამ თავის გაუტეხლობაში რუსული ენის შესწავლაც ექცევა... თუ თავისით ჩაგვიდებენ თავში – ხომ კარგი... აი, ძილში სწავლა რომ მოუგონიათო... ყაბულსა ვართ, თუნდაც ერთი წლით დავიძინოთ, უსასრულო ჭამა-სმითაც ფაშვებგადმოყრილებმაც კი, ოღონდ რუსული ჩაგვიდონ თავში!..

რამდენადაც ვიცი, ძილში სწავლა არ გამართლდა, ისე, როგორც არ გამართლდა ძილით მკურნალობაც; მიძინარე კაცი უბრალოდ ცოცხალი მკვდარია, მკვდარი კი, „გინდ ცოცხალი

იყოს, გინდ მკვდარი“, მაინც მკვდარია, აღქმის აქტიურ უნარს მოკლებულია, ასე რომ... „თავის გაუტეხელობით“ არაფერი არ გამოგვივა, დაუოკებელ სურვილს თავგამოდებული შრომაც უნდა მოსდევდეს... ურუსულოდ კი ჩვენ არაფრად არ ვვარგევართ, არა იმიტომ, რომ რუსეთთან და სხვა რესპუბლიკებთან ერთად ერთ უღელში ვართ შებმული, – თუნდაც იაქესავით მარტონიც ვიყოთ, ჩვენი მშვენიერი, მაგრამ ტერიტორიულად შემოფარგლული ენით მსოფლიოს თვალში მუნჯებად გამოვჩნდებით, მსოფლიო კი ჩვენ ყრუდ მოგვეჩვენება.

მინდოდა აქ ედუარდ შევარდნაძის გამონათქვამით გამემაგრებინა ჩემი პოზიცია, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ ეს მლიქვნელობაში ჩამეთვალოს, ამიტომ იაკობ გოგებაშვილს მოვიშველიებ, – თქვენც იცით, ცხონებულ იაკობს არც ბინის მოცემა შეუძლია, არც მანქანის, არც ორდენის, არც გმირობის, ლანჩხუთის თეატრშიც კი, ოქრო პიესაც რომ გქონდეს, იმასაც ვერ დაადგმევენებს:

„რათა ტააგით არ იაროს საქართველოს ეროვნების ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთ ადგილას, საჭიროა, მასში შევავათ ძირში ქართული ენა და ყვერად მიუბათ რუსული ენა... მაშინ და მხოლოდ მაშინ ეტლი ჩვენი ეროვნებისა ჯეროვანი სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზე“.

ზოგიერთი ჩვენი ვითომ მგზნებარე მამულიშვილი, რომლის ყოველდღიური სალაპარაკო ქართული ისეა აჭრელებული რუსიციზმებით, რომ მას ქართულის უცოდინარი რუსიც კი გაუგებს („დაჟე ისიც ვუთხარი, ატვეჩაი მე ვიქნები და კაპუსტა და მარკოვკაც იყიდე სოროკ კაპიკიანი-თქო“), – ვიცი ამას „ნაგლობაში“ ჩამითვლის, და მე მაინც გავბედავ და ვიტყვი: არაფერი დაგვიშავდება, თუკი საქართველოს ზოგიერთ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) თითო-ოროლა სპეციალიზებული სასწავლებელი გაიხსნება, სადაც მხოლოდ ქართველებს მიიღებენ და რუსულს იმ მეთოდით შეასწავლიან, რომლის წყალობითაც ეს ენა ზემოიმერელმა უბრალო გლეხმა მიხა ბუაჩიძემ სიბერეშიც ვერ დაივიწყა. ამით ჩვენში, ამჟამად ასე სავალალოდ მინელებულ პატრიოტიზმს თუ შეემატება რამე, თორემ დაკლებით, მერნმუნეთ, არაფერი დააკლდება. ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, ნიკო ნიკოლაძემ და კიდევ რამდენიმე სხვა დიდმა ქართველმა მე-19 საუკუნეში რუსული, წმინდა რუსული განათლება მიიღეს – დაბალი, საშუალო, უმაღლესიც, – მაგრამ, აბა, ისინი რომელ ახლანდელ „დიდქართველთ“, ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკებს ჩამოუვარდებიან, რომელთაგანაც ბევრს «Обаяние» «Обоняние»-საგან ვერ გაურჩევია და „მელნიცა“ „სტალიცაში“ ერევა?!

\*\*\*

**მაშ რისთვის მინდა სიცოცხლე,  
სული რათა მჩრავ პირშია,  
თუკი არ გამოვადგები  
სამშობლოს გასაჭირშია?!**

**ვაჟა**

მე-19 საუკუნის ცნობილი სომეხი მოღვაწე, პროფესორი პატკანოვი (იმ დროს პროფესორობას ასე პანტაჟუნტად კი არ არიგებდნენ!) ამბობდა სომხებზე, ჩვენი მისამართით: «Сосед не знает соседа!»

მართლაც, ახლაც კი ჩვენ სომხებს ნაკლებად ვიცნობთ, ბევრ ჩვენგანს მათზე ჯერ კიდევ ბაზრული წარმოდგენა აქვს. სომხები არც ადრე და, მით უმეტეს, ახლა ასეთ ობივატელურ შეფასებას არ იმსახურებენ, თუმცა მათდამი ცალმხრივი მიდგომა მარტო ჩვენ როდი გვახასიათებდა...

კერძოდ, მე მახსოვს, ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში, მოსკოვში ბევრი ჩვენებური ახალგაზრდა სომეხი და, ზოგჯერ, არა ჩვენებურიც – თავს ქართველად ასალებდა, ძალიან „შორებელი“ კი, შესაძლებლობის შემთხვევაში, თავის ეროვნებას მალავდა რა, ქალიშვილებს, მაგალითად, „აბსტრაქტულად“ ეცნობოდა: «Я кавказец!»

ამ უკანასკნელ ორმოც წელიწადში საოცარი მეტამორფოზა მოხდა: სომხებმა ისეთ მკვეთრ „რეაბილიტაციას“ მიაღწიეს, რომ ახლა, მსგავსად ძველი რომაელებისა («Я римлянин!»). ამაყად, ყელმოღერებით აცხადებენ: «Я армянин!»

რუსეთში და სხვაგანაც – მასობრივად ეს ჯერ მხოლოდ საქართველოს არ მოსდებია! – თავიანთი გვარების ომამდელი რუსული დაბოლოება თითქმის ყველამ (გარდა რუსული ენის საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტებისა – ბარხუდაროვი, ავანესოვი, ბუდაგოვი) იან-ზე შეიცვალა, და არა თუ იან-ზე, ბევრმა იანც-ზედაც კი, რასაც წინათ მეზოვე და ფეხსაცმლის მწმენდავე-

ბიცი კი გაურბოდნენ...

ამ დროის მონაკვეთში კი ჩვენ, ქართველები, განსაკუთრებით ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, სულ ცოტა ხნის წინათ რაინდულ ხალხად მიჩნეული, „ციგნების“ დონეზე დავეშვიტეთ...

ახლა არც ერთი სომეხი არ იტყვის არც რუსეთში, არც ლიტვაში, არც მოლდავეთში, ქართველი ვარო, – ამას ამბობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თავისი ერისადმი რაიმე შეურაცხყოფელ საქმიანობაში გამოიჭერენ. მე თვითონ მქონდა შემთხვევა მოსკოვში, მაიაკოვსკის მეტროს წინ, მარტში იებით მოვაჭრე, სახით წმინდა სისხლის სომეხი – არა საქართველოდან – თავი როგორ გაისალა ქართველად, როცა ჩემს „მსახიობურ ნიჭიერებას“ მობილიზაცია ვუყავი და მას რუსული აქცენტით გამოველაპარაკე...

რასაკვირველია, სომეხებს მართლაც ბევრი რამე აქვთ ისეთი, რითაც შეუძლიათ იამაყონ, უსაფუძვლოდ კი არა, საფუძვლიანადაც, – არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, მსოფლიოს მასშტაბითაც კი...

ამ სამიოდე წლის წინათ ავსტრალიაში ეთნოგრაფების საერთაშორისო კონგრესი შედგა; კონგრესის ერთმა მონაწილემ – არა სომეხმა – საკითხი დასვა ერთი მსოფლიო ენის შემოღების შესახებ. ასეთი ენა, საყოველთაო გავრცელების მხრივ, თითქოს არსებობს კიდეც – ინგლისური, მაგრამ არა!.. რომელიმე პატარა ერის ენა ავირჩიოთ, ინგლისური კი, მართალია, ყველგან მიღებულია, მაგრამ მას, მის ყოფილ კოლონიებში, ბევრი მოძულე ჰყავსო...

ჰოდა, ასეთ „სამსოფლიო“ ენად სომხური დაასახელა. თუმცა კონგრესს არ დაუდგენია ინგლისურის სომხურით შეცვლა, და რომ დაედგინა კიდეც, აგაევისებურ „ხვავრიელ მოსავალსაც“ მოიმკიდა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ლაპარაკი იყო, რაც იმას მოწმობს, რომ სომეხები – რაც განსწავლული ქართველებისათვის საახალწლო ამბავი არ უნდა იყოს, – ჩვენზე მეტად დიდად არიან გასული საერთაშორისო სარბიელზე...

ეს ლამის „ტრაგედია“ ოციოდე წლის წინათ, 1958 წელს დატრიალდა: რომის პაპი, პიუს მე-12, მიიცივალა და ახალი პაპის ადგილზე – სულ ცოტა დააკლდა – კინალამ კარდინალი, სომეხი აგაჯანიანი აირჩიეს!

წარმოგიდგენიათ? – ახლა რომ ვატიკანის ტახტზე „სეროჟა“ იჯდეს, ჩვენ, „გიჟ-ვრაცუები“, რა დღეში ჩავცვივდებოდით?! მესხეთ-ჯავახეთში თავს სულაც აღარ გამოგვაყოფინებდნენ.

ამ ორიოდე მაგალითის მოყვანით იმის თქმა მინდა, რომ ბევრი ჩვენგანი მართლაც „გიჟ-ვრაცუა“, რომელთაც „სომეხი“ და „სომხური“ რალაც აბუჩად ასაგდებად, სასაცილოდ და დასაცინად მიაჩნიათ. არა მხოლოდ ვითომ ინტელიგენციის, მართლა ინტელიგენციის ზოგიერთ წრეშიც კი; თუკი უნდათ ვისმე სახელი გაუტეხონ, ის უეჭველად ან სომხად უნდა შეასახელონ, ანდა პედერასტად...

ჯერ ერთი, თვითონ ეს გრადაცია რად ღირს და... ამაზე დიდი უჭკუობა შეიძლება რომელიმე ჭკუათმყოფელმა თუნდაც წარმოიდგინოს?! მეორეც, – სომხებმა, – რაკი ჩვენზე ბევრად წინდახედულები, ბევრად ჩვენზე გონიერები არიან, – არა მარტო „საეჭვო“ ქართველები, ლამის ლაბარტყავებიც მიისაკუთრონ, ჩვენ კი...

ორასი წლის წინათ, ზოგჯერ უფრო ადრეც კი – საქართველოში შემოკედლებულს, რომელსაც სომხურის უბრალო „ინჩაც“ არ გაეგება და აღარც სომხურის ნიშანწყალიც ატყვია რა, და, რაც მთავარია, სულით, გულით ქართველობა უნდა და არის კიდეც, უნდა წამოვადახოთ და წამოვაყვადროთ, – არა, შენ სომეხი ხარ?! ანდა, თუნდაც ოსი?!

ვითომ ვინა ვართ ჩვენ ასეთი, ქართველები, მით უმეტეს ახლა – „ჟამსა ჩვენი ციგნებად გადაქცევისას?!“ ერთი მიბრძანეთ, რომელ უ-უმადლეს რასას განვეკუთვნებით, რომ, არიქა, წმინდა ქართული სისხლი არ შეგვიბლალონ-თქო?!

ვთქვათ, წმინდა სისხლისა ვიყავით და ვართ ახლაც, მაგრამ განა ისე უნდა დავბრმავდეთ, რომ ველარ ვხედავდეთ, ველარ ვგრძნობდეთ, ამ „წმინდა სისხლმა“ რა შავ წყალში ჩაგვაგდო?! ღმერთის მიერ არჩეულ ხალხად ებრაელები თავის თავს მიიჩნევენ და ეს მათ ბიბლიაშიც უწერილია; ჰიტლერმა სცადა ებრაელები გამოედევნა და ამ სამღვთო ადგილს გერმანელები დაპატრონებოდნენ, მაგრამ რაკი იელოვას დავთარში არ ეწერენ, კოტრიალ-კოტრიალით ჩამოკოტრილდნენ...

ჩვენი უსაფუძვლო, პროვინციულ-„დურაქული“ ეროვნული კუდაბზიკობით კი რამდენ „უცხო“ ადამიანს ვკარგავთ და რამდენსაც კიდეც სამეგობროდ მოსულს, პირდაპირ მტრად ვიკიდებთ; ისე ვიქცევით, თითქოს ასმილიონიანი ერი ვიყოთ, რომელსაც, ვითარცა მუშლი მუხასა, ვერავინ ვერაფერს დააკლებს.

ორმოცმილიონიანი თურქი ყველას ათურქებს – ფრანგი იქნება ის თუ ლაზი, მათებურ ანკეტაში ეროვნება არც წერია, რაკი თურქეთში ცხოვრობ, მაშასადამე, თურქი ხარ და მორჩა და მოისვენაო!

ჩვენ კი... მხოლოდ ერთი, ერთი მაგალითი: კომპოზიტორი ვანო მურადელი გორიდან გახლდათ, დედამისი კასპელი იყო – ელენე მეზურნიშვილი. მამის წინაპრები, – მურადაშვილები, მე-18 საუკუნეში მესხეთიდან გორს გადმოსახლებულან...

იმდროინდელ ერთს, შორსმჭვრეტელ ტერტერას ერთი მათგანი რაღაც შემთხვევის გამო მოუნათლავს და გრიგორიანელებში ჩაუნერია...

სულ ეს არის ვანოს „დანაშაული“, კაცი, რომელიც ქართულად ლექსებს წერდა (თავისთვის!), სომხურის „ლავეს ბიჭი არის ესა“, – ესეც არ გაეგებოდა, თავი ქართველი ეგონა (თავი ქართველად კი არ მოჰქონდა, ეჭვიც არ ეპარებოდა), გვარიც გააქართულა... მამამისის ბიძაშვილები – მართლმადიდებელი მურადაშვილები – ახლაც ცხოვრობენ გორის რაიონის სოფელ პატარა გარეჯვარში...

ჰოდა, ასეთ ქართველ კაცს მაინც არ მოეშვნენ ქართველი „ძმები-მუსიკოსები“, – სომეხი ხარ, სომეხი ხარო... მოსკოვში გადავიდა, არც იქ მოასვენეს, – სომეხიას; მერე, ომის წლებში, ყნოსვაგამახვილებულმა სომხებმა სომხეთში ჩაიტყუეს, წაიყვანეს ეჩმიაძინში, ერთი მაგრად გამოათვრეს და ვიდრე გამოფხიზლდებოდა, ხელწერილი დაადებინეს – „მე... ესა და ეს ვარ სომეხი...“ რა მექნა, ბევრი ხნის შემდეგ მიაბობდა „ვანო ილიჩი“, – ქართველებმა ქართველად არ დამაყენეს და, რაკი ადამიანი ხარ, რომელიმე ნაციას ხომ უნდა ეკუთვნოდეთ...

აი, ჩვენი ჭკუა, ჩვენი პატარა ჭკუა (ამ სფეროში მაინც!).

კამო, პეტროსიანი კი იყო, მაგრამ თავი ქართველად მოჰქონდა (ნიჟარაძე), ჩვენ კი ის მთლიანად და დაუნანებლად ერეგანს და „არმენფილმს“ გადავულოცეთ. რუსები კი, ასორმოცმილიონიანი რუსებიც კი არ აყვედრიან ვიზეებს, ბერგებს, ოტო შმიდტებს, რომ ისინი რუსეთში გერმანიიდან არიან ჩამოთესლებული, ომის დროსაც კი მათთვის ხელი ავადაც არ უხლიათ, ჩვენ კი...

„საწყალი“ ნონეშვილიც კი, თურმე, „ხანდახან“ ნონეზოვია (თუმცაღა რაღაც „საეჭვო საინსპექციო“ მოგზაურობაში კი დაიარება, სილვა კაპუტიკიანთან ერთად, მესხეთ-ჯავახეთში, მაგრამ ეს მარტო – მერნმუნეთ! – მხოლოდ გამოჩენის მიზნით, რასაც მისი არა მხოლოდ პოეტური, – არტიტული ბუნებაც მოითხოვს: დაიხელთებს დროს თუ არა, ხალხს ეჩვენოს, მისთვის კი სულ ერთია, ეს ხალხი აფრიკაში იქნება, აფხაზეთში თუ ახალქალაქში!).

რუსეთში (და მის გარეთაც) მხოლოდ ერთეულებმა იციან, რომ ჩაპაევი რუსი არ არის, ჩუვაშია, რომ ახლა ლამის ჩეხოვის დონემდე აყვანილი, უდროოდ ტრაგიკულად დაღუპული დრამატურგი ვამპილოვი ბურიატია, რომ გალინა ულანოვას შესაძლო მემკვიდრე, ნადია პავლოვაც პატარა ხალხის შვილია, – ას ორმოცი მილიონიდან, აბა, რომელი რუსი შეეღვევა მათ, ჩვენ კი ვის არ ვიმეტებთ...

ჰოდა, რა ქნას, თუნდაც „ნონეზოვმა“, – დროთა განმავლობაში მასზე, ისე, როგორც „მამულოვზე“, სომხები აქეთ რომ არ შემოგვედავონ, – პრესაში გამოვიდეს გრიშაშვილივით?! – „სხვა რაღა დამრჩენია, ერთხელ და სამუდამოდ გამოვაცხადო „ავ-ენათა“ საყურადღებოდ: მე მართლმადიდებელი ქართველი ვარ და ჩემს ბურთაობას, – ქართული გაზეთებიდან სომხურში და სომხურიდან კიდევ ქართულში, იქნებ ეხლა მაინც დაანებოთ თავი...“

(ამ „ბურთაობაში“, თუ დააკვირდებით, უჭკუო ქართველებსაც გამოუჩენიათ „სპორტული ჟინი“).

დაე ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება, რომ ჩვენი ხელიხელთ საგოგმანებელი იოსებიც სიხარულით და ბეჭდის დასმითაც დაგვიდასტურებდა თავის მართლმადიდებლობას, რომ ახლა 1916 წელი იყოს და მსგავსი რამ, თუნდაც ქარაგმულად მაინც, იბეჭდებოდეს ჩვენს პრესაში.

ახლა კი ზემოთ თქმულის მცირე ნაწილი იუმორის კუთხეში „მივაყუდოთ“ და „გამხიარულებულინი“ ისევ სატკივარ საკითხს დავუბრუნდეთ...

\*\*\*

**წინაპრებით ქართველი ვარ  
მე მცხეთისა კარიდანა,  
მათი ცოცხალი ძეგლი ვარ  
ვახტანგ მეფის გვარიდანა.**

**იეთიმ გურჯი.**

არიან არა მარტო გაქართველებული სომხები, არიან, ასე განსაჯეთ, გასომხებული ქართველებიც: ყველა ეს მებაღოვეები, ღარიბოვეები, მზარეულოვეები, შინგაზდილოვეები, ლუარსაბოვეები, მამულოვეები, მამასახლისოვეები, ბარძიმოვეები, ხუციევეები, ბურთიკოვეები, მერაბოვეები, ვახტანგოვეები, ასლამაზოვეები, მჭედლოვეები, კობტიევეები, ძამოვეები, მამაჯანოვეები და კიდევ მრავალი...

ვალი და მრავალი სხვა. მათ ქართველობაზე თუნდაც მათი გვარების ძირებიც მიგვანიშნებენ, ოღონდ ესაა, – ჩვენ „ჭკვიანი“ ქართველები, მათ ჩვენგან ვერეკებით, „უჭკუო“ სომხები კი...

აბა რომელი „ხატისოვი“ ან „არწრუნი“ წამოაყვედრით მათ, რომ თქვენი წინაპარი „ვრაცი“, მით უმეტეს, „გიჟ-ვრაციუა“ იყო...

ამ სამიოდე წლის წინათ „მნათობში“ უხმაუროდ, უჩუმრად „აივნიანი ქალაქი“ დაიბეჭდა. სხვათა შორის, რაკი სიტყვამ მოიტანა, ამ ჩინებულ რომანს, ცალკე წიგნად გამოსულს, აქამდე მაღაზიებში ვერ წავანყდით, ვერც დახლს ზემოთ, ვერც დახლს ქვემოთ. ზოგი ამბობს, მისი ავტორი ნ. გაბაონი – პროფესორია, ზოგიც – აკადემიკოსიო. რაკი პროზაში ის ნამდვილი ბელეტრისტია, თავის დარგშიც, მე მგონია, „მართლა მართლაც“ იქნება. სამწუხაროდ, ეს მართლაც ჩინებული რომანი ჩვენმა კრიტიკამ რატომღაც ვერ შენიშნა, ვერ შენიშნა, შეიძლება, ან განსვენებულ ერთ საკმაოდ ნიჭიერი და საკმაოდ არაობიექტური კრიტიკოსის პრინციპის გამო, – ერთი რომ შეაქო, ათი გაგინანყენდებო; აბა და ანონეთ, „რავალი“ საქმეა, – შემოდის ლიტერატურაში სრულიად უცნობი, ხნიერი არამწერალი კაცი და დებს ნაწარმოებს, რომელიც უკვე თავისი უბრალო არსებობითაც აქეთ-იქით მისწი-მოსწევს ცნობილებს და გამოჩენილებს, რომლებსაც მთელი შენი კრიტიკული სიცოცხლე ასე თავგამოდებით და თავგანწირვით ემსახურები...

თუმცა არა, გამახსენდა! „აივნიან ქალაქს“ ერთი კრიტიკოსი გამოეხმაურა კიდევ, და მერე როგორი კრიტიკოსი?! არა მარტო მართლა ნიჭიერი, – ნიჭიერები სხვებიც მოგვეპოვებინ! – ნიჭიერი და, რაც მთავარია, მოუსყიდველი.

(ჩვენში ხომ თანამდებობიან ფიგურებს უბატონოდ ვერც ენას გაჰკრავ და ვერც ხელს ახლებ, მათ კრიტიკოსების საკუთარი შტატი ჰყავთ, – მათი ვალია ჩვენ, მიძინებული მკითხველები, დროდადრო, ბუკითა და ნალარით გამოგვალვიძონ და გვამცნონ, „ამან და ამან... ესა და ეს... და მერე რაფერი?!“)

სამწუხაროდ, ამ მოუსყიდველმა კრიტიკოსმა ეს რომანი დიდად მაინცდამაინც არაფრად ჩათვალა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ, რაკი ის ნიჭიერი და მოუსყიდველია, არ შეცდეს. ბესარიონ ბელინსკიმ ერთი დრამატული ნაწარმოები, პირველ ხანებში, ძირიან-ფესვიანად მოთხარა, მაგრამ მიუხედავად მისი თითქოს შეუმცდარი გემოვნებისა და ალლოსი, დროთა განმავლობაში იმ ძირებმა და ფესვებმა მაინც ისევ მიწისკენ იბრუნეს პირი და ახლაც ცოცხლობენ და ხარობენ. მე ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძის «Горе от ума»-ზე მოგახსენებთ. ასეთივე ბედი უწერია, ჩემი ღრმა რწმენით, „აივნიან ქალაქსაც“, მრავალპლანიან რომანს, რომლის ერთ-ერთი შემავალი თემაა გასული საუკუნის დასაწყისში ქართველი კაცის გასომხების ამბავი.

აბა რომელს არ გინახავთ ან არ გაბაასებხართ წყნეთელ, ბაგელ ან დიღმელ „სომეხს“? განა მათ გარეგნობაში, ან ლაპარაკში, ან ზნესა და საქციელში, ვთქვათ, გარეკახელისაგან ანდა შიდაქართლელისაგან გამოარჩევთ? მათი წინაპრები თუ ოდესღაც სომხები იყვნენ, დღეს ესენი სადაურილა სომხები არიან?

ჰოდა, ყველა ეს შახულოვები, ასიტოვები, თოფჩიევეები, აივაზოვები, მანუკოვები წლითინლობით დარბიან და იბრძვიან, იბრძვიან და იხვენებიან, შეგვაცვლევინეთ გვარი და ჩაგვინერეთ ეროვნება – ქართველიო...

წელს ბაგელმა, პატარა ნინო შახულოვმა სკოლის კარი პირველად უნდა შეაღოს და უკვე წინასწარ წუხს, მე იქ სომეხი უნდა დამიძახონ და მე ხომ ქართველი ვარო...

დმანისის რაიონის სოფელ განთიადის ფოლადიანებმა, ბევრი თავისმტვრევისა და ძიბაკვლევის შემდეგ – ლამის ერეკლეს სიგელ-გუჯრებსაც კი მისწვდნენ, – აღმოვაჩინეთ, ჩვენი წინაპრები ფოლადაშვილები ყოფილანო და... გვაკმარეთ ამდენი წვალება, ჩვენც გვინდა ვიყოთ და ვართ კიდევ ქართველებიო და ჩაგვინერეთ პასპორტში...

„მარა“, ნურას უკაცრავად, – არ უწერენ! ამაში ერთეულ „გიჟ-ვრაციებს“ თურმე ნურაფერს დავაბრალებთ, ეს თურმე სახელმწიფოებრივი საქმე ყოფილა და ეს პრობლემაც თურმე მანვე, სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს.

მერედა, რატომ არ წყვეტს? ამბობენ, ვინც სახელმწიფოს სახელით ლაპარაკობს, ის თურმე ამბობს: გვარის გამოცვლა ბევრი ტანჯვა-წამების შემდეგ, როგორც იშვიათი გამოწვევისი, კიდევ ჰო, ეროვნებისა კი – არაო... ამაზე ბევრი „სომეხი“ და, ზოგჯერ, „ოსიც“ უპასუხებს: ეს ოხერი, ებრაელებად ხომ არ ვენერებით, ისრაელში წავიდეთო.

საინტერესოა, ამ „სომეხებმა“ აფხაზობა რომ მოინდომონ, რა პასუხს მისცემენ? მაშინ „გათქვეფა“ ნებადართულია თუ...

აფხაზეთში თუ შეიძლება ერთი ძმა ჩაჩიბაია იყოს და მეორე, მისი შუბლგარეცხილი ძმა – ჩაჩბა, რატომ არ შეიძლება ოდესღაც ნასომხარი წყნეთელი თუ დიღმელი, კახელი თუ ჩხარელი ითვლებოდეს და ინერებოდეს კიდევ ქართველად, როცა, მით უმეტეს, არავინ მათ ამას არ აძალებს და არც აფხაზებივით, თუ მათრახით, თუ ტკბილი კვერით, არ აიძულებენ?!

თექვსმეტი წლისა გახდება თუ არა ესა თუ ის გვარამია, კვარაცხელია, შონია, მელაძე, დო-

ლიძე და წერეთელიც კი – მას შეუძლია (ანდა ახერხებს – ეს სულ ერთია!) აფხაზად ჩაენეროს, რათა ახლო მომავალში, როგორც აფხაზმა, საუფლისწულო თანამდებობა მოითხოვოს (და მაშასადამე, რომელიმე თავისი ხალხის არაგამყიდველი ქართველი გამოდევნოს), – ეს დასაშვებია და...

როგორ ეს, ამ დარგში საერთო, საკავშირო კანონი მოქმედებს თუ... აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკა ბერმუდის კუნძულებზე მდებარეობს?!

...ინდოეთში არის ერთი კასტა, რუსულად «Неприкасаемые»-ს რომ ეძახიან. ჩვენგან ზოგჯერ ჩვენდაუნებურად და ზოგჯერ კი ხელოვნურად და სულელურად გარიყული „სომხები“ და ზოგიერთი სხვაც, რატომ უნდა იყვნენ, – ვიცი, ვაჭარბებ, ცხადია, – ამ კასტის მდგომარეობაში? მტრობას ისინი ჩვენ არასოდეს არ გაგვიწვევენ, მაგრამ მაინც რატომ უნდა დავთესოთ ნაწყენობის, უკმაყოფილების თესლი ჩვენ მიმართ, მაინცდამაინც ვანო მურადელის საქციელამდე უნდა მივიყვანოთ?!

1913 წელს კახეთს ტროას ცხენით და უცხენოდაც ათობით ხატისოვის მიერ დაგზავნილი ემისარი – გავლენიანი პირები და ბობოლა ტერტერები შეესიენ, რათა იქაური „სომხები“ გადმოეპირებინათ და „ხელახლა“ გაეგრიგორიანებინათ, კიდევ კარგი, რომ ომი დაიწყო და ამისათვის აღარავის სცხელოდა, თორემ... არც მესხეთ-ჯავახეთი გამორჩათ მხედველობიდან, ქართველი კათოლიკეების არსებობას ისინი საერთოდ უარყოფენ, – ყველა ეს ფალიაშვილები, მირაქიშვილები, ჩილინგარაშვილები, გოკიელები პირნავარდნილი სომხები არიანო.

სხვათა შორის, ამაზე, მოგეცათ ლხენა, თავის დროზე საკადრისი – ილიასებური! – პასუხი გასცა მათ მიხეილ თამარაშვილმა.

(ამ ყოველმხრივ – გონებით, სულით და მკლავით უბადლო მამულიშვილის საქართველოში გადმოსვენებით დიდი საისტორიო, ეროვნული საქმე გაკეთდა, ოღონდ არა მგონია, ის მარტო რევაზ თაბუკაშვილის კერძო ინიციატივით მომხდარიყო, – ჰოდა, ვინც მას ამისათვის გზა გაუხსნა და ხელი მოუმართა, – ქართული ვაშა და ქართული დიდება!).

ერთი რამ – უკვე დროა, დროა! – ღრმად ჩავიბეჭდოთ თავში და გულშიც, რომ ვისაც ახლა, – ვიმეორებ, ახლა! – თუნდაც საეჭვო ქართველს, ქართველობა უნდა, ის არანაკლებ ქართველია მათზეც კი, ვისაც მამა ბუაჩიძე ჰყავს და დედა აბაშიძე, ან მამა აბაშიძე და დედა ერგემიძე...

თავს ნუ მოვიტყუებთ, ჩვენ თუმცა „დიდი კულტურის ხალხი ვართ“, მაგრამ ამჟამად სხვა, საბჭოთა ხალხებში სახელი იმდენად გვაქვს გატეხილი, მათ „გრუზინის“ ხსენებისას ისეთივე „ციგანი“ წარმოუდგებათ თვალწინ, რა შინაარსსაც ჩვენ თვითონ ვაქსოვდით ამ სიტყვაში ჩვენ „გაციგნებამდე“.

ზემოთაც მოგახსენეთ, ახლა ქართველად, ვიდრე მათს პასპორტში ჩაიხედავენ, თავს ასაღებს ყველა ჯურის, სახით შავგვრემანი – ჟულიკი და აფერისტი, ჩარჩი-სპეკულანტი, შფოთის-თავი, უსაქციელო, მოკლედ – ბინძური ადამიანები...

რუსები სომხებს უკვე აღარ ეძახიან ზედმეტსა და დამამცირებელ „არმიანკას“, ჩვენ კი, ადრე, მათ თვალში დარტანიანებად ვიყავით მიჩნეული და მსგავსი რამ არაფერი შეგვარქვეს, ახლა კი, მათ წარმოდგენაში, ზედმეტი სახელის გარეშეც არ ვბრწყინავთ. სოციოლოგობა როდია საჭირო, რომ ამის მიზეზი მონახო, მიზეზი სულ უბრალოა... სხვათა შორის, სომხებთან თავდაპირველად ჩვენი ანტაგონიზმის ჩასახვის მთავარი მიზეზიც ეს იყო... ესაა ვაჭრობა-ვაჭრუკანობა, გადამყიდველობა, სპეკულანტობით თავმომწონეობა... შეიძლება ბრძანოთ, თავმომწონე სპეკულანტი ჯერ არ გვინახავსო... მე ვნახე – მოსკოვის ცენტრში, ძველი ცირკის გვერდით მდებარე ბაზარში:

– ...*Боже мой, как дорого! Да у вас же совсем нет совести!..*  
– *Зато у меня есть деньги!*

ვლადივოსტოკელი რუსი იქნება ის თუ ლენინგრადელი იმას როდი უწევს ანგარიშს, რომ შენ ამ სიმორეზე ჩამოათრიე სამხრეთული ნაყოფი და ამიტომაც ყიდი ძვირად; ის ბოლმით სკდება გულზე, რომ, ზოგჯერ, მართლაც ავადმყოფისათვის მისატანად ერთ ვაშლში მანეთი უნდა მოგცეს...

შენ მისთვის, ამ ნუთში და მერეც, მისი სისხლის მსმელი ქართველი ხარ და იმედი ნუ გაქვს, რომ მის თვალში არაფერი დაგაკლდება, რაკი შენს წინაპრებს გელათი აუშენებია და „ვეფხისტყაოსანი“ შეუქმნია; არც შენი იყალთოს აკადემია ეფონება მას გულზე და, ნაომარიც რომ იყოს, შენს იქით ვერც სტალინს ხედავს, რომლის წერილობით მადლობას თუნდაც თვალისჩინვით ინახავდეს.

\*\*\*

მაგრამ, ქართველო,  
სად არის გმირი,  
რომელსაც ვეძებ,  
რომლისთვის ვტირი?  
აკაკი.

...დიახ, ამ ორმოც წელიწადში სომხებმა ისეთი დიდი ნახტომი გააკეთეს, და არა მარტო ერის ყველაზე უფრო სასიცოცხლო, გამრავლების სფეროში, – ეს მათთვის არც უცხოა და არც ახალია; მათ სამმაგი ნახტომი გააკეთეს ცხოვრების ყველა სფეროში, და არა მარტო თავიანთ რესპუბლიკაში, – მთელი კავშირის მასშტაბით!

პროცენტულად ჩვენსავით ერთმა მუჭა ხალხმა ბუნებრივი ნიჭიერებით (ეს ნიჭი არც ჩვენ გვაკლია), ჭკუით (წამხედურობის ჭკუით ჩვენ მათ წინ ვუსწრებთ), შრომით (ხალხს, ერთ მთლიანობაში აღებულს, რომელსაც ათიათასობით მუქთახორა ეყოლება და სხვა ეროვნების ოსტატ-ხელოვნების შემყურე იქნება, დღეს, ამ ეტაპზე, შეიძლება ეთქვას შრომისმოყვარე?!), თუ გნებავთ, ვირეშმაკობითაც, ებრაელებიც კი ჩამოიტოვებს (ბევრი დარგიდან განდევნეს კიდევ) და მთელ კავშირში თითქმის მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

სად გინდათ, ცხოვრება-მოღვაწეობის რომელ ასპარეზს აიღებთ, რომ მათი ტალანტები არ ანათებდნენ, არ ბრწყინავდნენ!

ამ მხრივ, ცოტა არ იყოს, საქართველოსა და აზერბაიჯანში ვერ გამონახეს დასაყრდენი, თორემ სხვაგან?! რუსეთს და სხვა რესპუბლიკებსაც ისე მოედნენ – ვიმეორებ, პროცენტული შეფარდებით! – როგორც ამ საუკუნის დასაწყისის საქართველოს ვენახებს ფილოქსერა: თეატრი, მუსიკა, მხატვრობა, კინო, ჟურნალისტიკა, მედიცინა, სპორტი, ჭადრაკი (კაცთა ჭადრაკი, კაცთა!), მეცნიერებას და ტექნიკას ხომ ნულარ იკითხავთ! გადახედეთ ხოლმე ამ დარგში სახელმწიფო პრემიებით დაჯილდოებულთა სიას – თითქმის ყოველი მესამე-მეოთხე გვარი „იანიანი“ შეგხვდებათ...

ცოდვას ნუ დავიდებთ და ნუ ვიტყვით, რომ ჩვენ საკავშირო ასპარეზზე გამოსვლაში ვინმე ხელს გვიშლიდეს, რომ მოსკოვი ამ მხრივ ცუდი თვალთ გვიყურებდეს; ოღონდაც კი ვინმე, თუნდაც პატარა თავიანი გამოჩნდეს და...

არა მგონია, მოსკოვს, მაგალითად, თვით რუს მეცნიერ-იურისტებში ვ. ჩხიკვაძეზე უფრო დიდი ფიგურა ვერ გამოეძებნა. მაგრამ აილო და მაინც ქართველი დანიშნა –

«*Директор Института государства и права Академии наук СССР*», მან კი ეს „პრავა“ ისე ვერ გამოიყენა, როგორც ეს „პრავოვედს“ შეეფერებოდა, თანაც ქართველს, რუსეთში მოღვაწეს...

ვინ არ იცის, ეს საყოველთაო, ასე ვთქვათ, სამსოფლიო წესია, – ამა თუ იმ ერზე, მისი ცუდი წარმომადგენლის მიხედვით უფრო მსჯელობენ, ვიდრე კარგის მიხედვით, ამიტომაც თავისი ხალხის მოყვარული, რა თქმა უნდა, ჭკვიანი და არა ბრიყვი, უცხო ქვეყანაში უფრო ღირსეულად იქცევა, ვიდრე თავის სამშობლოში მოიქცეოდა.

ახლო წარსულში ბევრ რუსულ პიესაში, ბევრ რუსულ კინოსურათში მომხიბვლელ პერსონაჟებად სულ ქართველები გამოჰყავდათ; ეს არა იმიტომ, რომ ცდილობდნენ სტალინისათვის მოსაგები კამათელი გაეგორებინათ, ესეც იყო, ალბათ, მიზეზი, მაგრამ არა მთავარი: ვიყავით ღირსნი და გამოვყავდით. ახლა კი ჩვენი წინანდელი „ქების მონოპოლია“ სომხებზე გადავიდა, და ეს მხოლოდ შეულამაზებელი ცხოვრების კანონზომიერებით აიხსნება.

საკმაოდ დიდი ხნის წინათ ერთი ჩემი ნაცნობი, გონებით ბეცი ნადიდკაცარი, სომხების ასეთ წინსვლას მიქოიანის მზრუნველ-მწყალობლობით ხსნიდა.

სისულელეა!

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოში 18 წევრიდან ოთხი სომეხი შედიოდა: შაუმიანი, კნუნიანი, არზუმანიანი, სისაკიანი... ატომის კომიტეტის თავმჯდომარედ იყო და არის... პეტროსიანი! ეს ხომ ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტი არ არის... ჰოდა, ასეთ უ-უმნიშვნელოვანესი კომიტეტის თავმჯდომარედ, მიქოიანის პროტექციით სომეხს დანიშნავდნენ და ისიც, უთავო სომეხს?! ამ პეტროსიანს ცოტა ხნის წინათ, მეორე პეტროსიან(ც)იც მიემატა ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის თავმჯდომარედ.

მიქოიანი კაი ხანია სიხარულით მიიბარა ნოვოდევიჩის სასაფლაომ, ეს პეტროსიანები კი დღესაც – ერთი ატომს განაგებს, მეორე – ამინდს... მიქოიანს კი უკვდავსაყოფად ესეც ეყოფა: პარტიის მეოცე ყრილობაზე სტალინზე პირველი საგინებელი სიტყვით ის ალაღადა; დავუშვათ, თუნდაც ბრუშჩოვის დავალებით, და მანაც, სომეხმა, პიგმეიმ, უნდა ვივარაუდოთ, სიამოვნებით ჰკრა პანდური დიდ ქართველს, რომელმაც საბჭოთა სახელმწიფო და, მამასადამე, თვითონ მიქოიანიც, ალგვა-მოსპობისაგან იხსნა...

მაგრამ ეს ისეთი ბრიყვული პანდური იყო, ვისაც კი ოდნავ ჭკუა უჭრიდა, მიხვდებოდა, რომ ის, ბუმერანგივით, ისევ მიქოიანსა და მის წამქეზებელ-დამრიგებელს ხრუმჩოვს ზედ კოკორობ შუბლში დაუბრუნდათ... მათს ყველაზე მეტად მომაკვდინებელ ბრალდებას ისტორია უთუოდ შემოინახავს, როგორც დასაყრდენს, როგორც ამოსავალ წერტილს ისტორიული სიმართლის აღსადგენად:

*«...В течение 20 лет у нас фактически не было коллективного руководства, процветал культ личности... И это, конечно, не могло не оказать крайне отрицательного влияния на положение в партии и на ее деятельность».*  
*(«XX съезд Коммунистической партии Советского Союза». Стенографический отчет. Стр. 303).*

ო-ო, დიდებულია, прекрасно, ლავეს-ლავეს, მაგრამ... აქედან, თავისდაუნებურად, რა დასკვნა გამოდის? გამოდის, რომ მთელი ოცი უფრო ზუსტად კი – 30 წლის მანძილზე. – ცუდიც და კარგიც სტალინს გაუკეთებია და არა კოლექტიურ „რუკავოდსტვოს!“

ჰოდა, თუ კოლექტივიზაცია, ვთქვათ, გაუმართლებელ ცოდვად მიეთვლება, უმოკლეს დროში უზარმაზარი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ჯოჯოხეთური სამკვდრო-სასიცოცხლო ომის მოგება – გინდა-არ გინდა! – სტალინს უნდა მიენეროს!

და თუ ეს ასეა, სხვა რაღა დარჩა დიდი და მნიშვნელოვანი? ის ხომ არა, მიქოიანის სურათი რომ აღარ გამოაფენინა 1952 წლის საშვიდნოემბრო დღეებში?..

როგორღაც კაცი დაეჭვდები, სომხების „სევერნი“ ყაზახეთში გადასახლების ათაბეკიანისეული იდიოტური ვერსია მიქოიანის „არმიანსკი რადიოს“ წყაროდან ხომ არ მოწაწკარებს?! ქართველებზე უფრო სტალინი გულში სომხებს იკრავდა, ალბათ, აქაოდა, მიკერძობა არ დამწამონო. მიქოიანი, ტევოსიანი, ბაგრამიანი, აკოპოვი მუდამ გვერდით ჰყავდა.

საერთოდ, სტალინი ომამდე არც ერთ ეროვნებას, ცალკე აღებულს, არ ავინროვებდა, მერე კი... აი, თუნდაც ებრაელობა ანტისემიტიზმს აბრალებს.

დიდ აარს, ღმერთო, შენი სახელი! ქართველი კაცი და ანტისემიტი?! თუმცა... დიდი პოლიტიკა რას არ გაქნევინებს?!

გოლდა მეირის გამოსვლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად, საბჭოთა კავშირს მართლაც დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ ეს იმის წყალობაა, რომ სახელმწიფოში, საკომანდო პოსტებზე, სულ ებრაელები სხედანო, – სტალინმა თავისი და რუსი ხალხის შეურაცხყოფად მიიჩნია; რაკი ასეაო, გაიფიქრა ალბათ, ჩვენს მიღწევებს უთქვენოდაც ბევრი არაფერი დააკლდებო და, მიიღო ფიცხლავ, როგორც ეს მას სჩვეოდა, ორგანიზაციული ზომები, თანაც მის მიერ მონთებულ პატარა ცეცხლზე რიუმინებმა მთელი ცისტერნა ბენზინი დაუსხეს...

ამ ცეცხლთან, სხვა თანამებრძოლებთან ერთად, მიქოიანიც ითბობდა ხელს, მერე კი, როცა ეს ცეცხლი ჩაქრა და სტალინის სიცოცხლაც ჩაქრა, ისარგებლა რა ერთი ბრძნული, „სომხური“ გამოთქმით – მკვდარ ლომს ცოცხალი თხა სჯობიაო, „ანასტას ივანიჩი“, „ნიკიტა სერგეიჩის“ პირველი მეაბჯრე გახდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველმა მიარტყა წიხლი, და მერე ვის?

*«Товарищ Сталин – гений социализма. Товарищ Сталин – великий создатель коммунизма».*

*(А Микоян. Журн. «Большевик», №24, 1949г. стр. 54).*

ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენეთ და ასე შორიდან იმიტომ დავინყე და ამოდენა წიგნი – არა პროზაიკოსმა, არა კრიტიკოსმა, არა პუბლიცისტმა, – იმიტომ დავწერე, რომ ერთი, თითქოს, უბრალოდ, ათასეული წლების მანძილზე ხმარებაში მყოფი“, მაგრამ მაინც გაუცვეთავი და სამარადჟამოდ გაუცვლელი ფრაზა ამომელერლა:

— გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო ყველაზე მეტად და ჩვენი ხალხი სხვაზე მეტად!.. მხოლოდ შენი სამშობლო და მხოლოდ შენი მშობელი ერი შეინახავს შენს სახელს, მით უმეტეს, ისეთი პატარა ერი, როგორიც ჩვენა ვართ!..

კაცობრიობის ისტორიამ, რამდენადაც მაგონდება, მხოლოდ ერთი შემთხვევა იცის, როცა სხვა ხალხის შვილის სახელი „ერმა-მამინაცვალმა“ ისეთივე საკადრისი ბრწყინვალეობით შეინახა, როგორც საკუთარის...

ეს გახლავთ ნაპოლეონი, პატარა კუნძულ კორსიკიდან, „ერი-მამინაცვალი“ კი ფრანგებია.

ვინც კი მიახლოებით მაინც იცნობს მაიაკოვსკის, არ შეიძლება არ ახსოვდეს მისი...



Я хочу...  
о работе стихов,  
от Политбюро,  
чтобы делал доклады Сталин.

ამ სტრიქონებს გაიგონებთ კიდეც მოსკოვის, ტაგანკის თეატრის სპექტაკლში – „Послушайте!“ – ოღონდ არა სრულად: ბოლო სიტყვა ამოღებულია და შეცვლილია მრავალ ნერტილით.

სტალინის გვარის წარმოთქმა ტაგანკელებმა, გასტროლების დროს, თბილისშიც კი ვერ გაბედეს. აქ რეჟისორი ლიუბიმოვი არაფერ შუაშია, ის, თავის ნებით, ყოველ შემთხვევაში, მაიაკოვსკის მაინც არ დაჩეხდა.

...დიახ, ასე დაუფასეს საბჭოთა ხალხთა მამობა იოსებ ჯუღაშვილს მიქოიან-ათაბეგიანებმა და არა მარტო მათ, ბევრმა არა ათაბეგიანმაც.

მე პირადად რამდენს შევხვედრივარ – საქართველოს გარეთ! – არა მარტო უბრალო ობივტილებს, რომელთაც ღრმა დარწმუნებით უთქვამთ, თქვენ, ქართველებს, სტალინი არავითარ გადასახადს არ გახდევინებდათ, თქვენ ჯარშიც არ მიჰყავდითო...

ჰმ! ეს მაშინ, როდესაც ამ ომში – პროცენტულად! – ქართველობა ყველაზე მეტი ამოიხოცა, – თითქმის სამასი ათასამდე.

სამასი ათასი, თანაც სულ ახალგაზრდები, ეს ხომ, სანახევროდ მაინც, ერის ამონყვეტაა!..

რაკი ასე გვაყვედრიან, ესეც ვიკითხოთ: ასეთი მაინც რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს? ის ხომ არა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა რომ აგვიშენა, რომლის არსებობაც სხვა რესპუბლიკებიდან შემოზიდულ ნედლეულზეა დამოკიდებული?! თუ ახალი ქალაქი – რუსთავი რომ დააარსა, რომელმაც საგრძნობლად შეუწყო ხელი ქართველი ხალხის სასიცოცხლო დასაყრდენის – სოფლების დაცარიელებას?! ეგებ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა დაგვისახელონ, რომელმაც დავით კაკაბაძის სურათივით მოხატული ზემო იმერეთი ლამის სულ ერთიანად გადახრუკოს?!

და საერთოდ, ჩვენ, როგორც ერს, საქართველოს აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაქცევამ რა სარგებლობა მოგვიტანა?! ჯერ არავის უთქვამს, არც ერთ ფილოსოფოსს და არც ერთ ეკონომისტს, არც სოკრატეს, არც ადამ სმიტს, რომ ერის ფიზიკური არსებობისათვის უზნეობით მოპოვებული სიმდიდრე უფრო გამამშვენიერებელი იყოს, ვიდრე ზნეობრივი სისპეტაკის მატარებელი სიღარიბე.

...ამ ოციოდე წლის წინათ ერთ კაცს, დიდკაცს, მორიდებული საყვედურით ჰკითხეს, შენი შვილები რატომ შეიყვანე რუსულ სკოლაშიო, მან უიმედო ხელის ჩაქნევით უპასუხა, როცა ჩემი შვილები სკოლას დაამთავრებენ, ჩვენ უკვე რუსებში ვიქნებით გათქვეფილიო.

საბედნიეროდ, როგორც ხედავთ, მისი ვარაუდი, ყოველ შემთხვევაში, ამ დროის მონაკვეთში, არ გამართლდა. ამიტომ, საერთოდ, სხვებზე ადრე, თხუნელასავით, წინასწარ თვალებს ნუ დავითხრით, ნუ ავცერცვტდებით და ქართველური წამხედურობით პირველნი ნუ გადავეშვეებით საპნის სახარშ ქვაბში.

თავის დროზე, სტუდენტობისას, ხუთიანი კი მივიღე, მაგრამ მე მაინც, სამწუხაროდ, არცთუ ზედმინევნით ვიცნობ მარქსიზმს, და დღესაც არ ვიცი, ამბობს თუ არა საერთოდ მარქსი, და თუ ამბობს, სახელდობრ, სად ამბობს ერების სატაფამწვარე კვერცხივით ათქვეფაზე, ხალხთა ერთმანეთში შერწყმაზე...

და თუ მართლაც ამბობს ამას, – მე ბოდიშის მოწინებით მოხდითა და არამონური ქედის მოხრით (მთელი თავისი სიცოცხლე მარქსი, თქვენც იცით, მონების განთავისუფლებისათვის იბრძოდა!) შევკადრებ მის დიად აჩრდილს:

— ეს არასოდეს არ მოხდება, და თუ მოხდება, სიცოცხლე არც ეღირება: ქვეყნიერება ერთ დიდ საძოვარს დაემსგავსება, – გამოდი უთენია, პირუტყვივით, საბალახოდ და უყურე ზუსტად შენს მსგავს ორეულს – პირუტყვებს, როგორ ბალახობენ...

თეორია იმიტომ არის თეორია, რომ ის ყოველთვის არ მართლდება, პრაქტიკულად არ მართლდება...

შორს ნუ წავალთ და ნურც ბევრ მაგალითს გამოვედევნებით, მხოლოდ ერთი მაგალითი ავიღოთ, ამერიკის მაგალითი: ხუთასი, ხუთასი წლის განმავლობაშიც კი ამერიკამაც ვერ მიაღწია ერთიანობას, მიუხედავად იმისა, რომ ყველა იქ ჩასულთათვის ამერიკა ახალი მიწა იყო, ახალი კონტინენტი, შემდგომი თაობებისათვის კი – ეს ხომ ნამდვილი და ერთადერთი სამშობლოა, სადაც ენაც პირველად აქ აიღვეს და ფეხიც...

ამერიკამ ამ ხუთი საუკუნის მანძილზე მხოლოდ ერთ რამეს მიაღწია, და ეს ერთი რამეც –

თუმცა ერთი კი არის! – ფრიად დიდმნიშვნელოვანია: ყოველი ამერიკელი, გარედან ყოველგვარი ძალდატანებისა და შიშის გარეშე, მთელი გულწრფელობით ამაყად ამბობს თურმე: „მე ამერიკელი ვარ!“

(თურმე-მეთქი – ვამბობ, რადგან მე იქ არ ვყოფილვარ და საკუთარი ყურით არ გამიგონია; ვეყრდნობი სოციოლოგების ნაშრომებს და ტენესი უილიამსის პიესის «Трамвай-желание»-ს მთავარი პერსონაჟის, ამერიკელი პოლონელის კოვალსკის გამონათქვამს).

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ერების ერთ, ეთნიკურად ერთ ერად გარდაქმნაზე, თუკი ამაზე, საერთოდ, ვინმე ფიქრობს, საბოლოო ანგარიშით ფუჭად დაშვრება, თანაც, თუ აშკარად გამოხატულს არა, ფარულ სიძულვილს მილიონი ტონობით მოიმკის...

ბუნების სულ უბრალო, ელემენტარული კანონით აიხსნება ყველა ხალხი, რიცხობრივად დიდი იქნება თუ პატარა, დიდად თუ ნაკლებად ნიჭიერი, კულტურული თუ უკულტურო, მათაც კი – ეს უკვე გულწრფელი ბოდიშის მოხდით მინდა ვთქვა, ახლანდელ მათს სახელს არც ვასახელებ, – მათაც კი, ვინც მეფის რუსეთისათვის «Самоеды»-ს სახელით იყვნენ ცნობილი, – თავისი თავი გამორჩეულ ეროვნებად მიაჩნიათ, სხვებზე უკეთესად, უფრო მეტიც – ყველაზე უკეთესად...

დიახ, ეს „მიჩნევა“ მარტო ინგლისელების ან ფრანგების ანდა გერმანელების პრივილეგია როდია, ასევე ფიქრობენ და აზროვნებენ ალასკის ესკიმოსებიც, პატაგონელებიც და ჰოტენტოტებიც... (საბჭოთა კავშირის ხალხებიდან არავის არ ვასახელებ, – ვინდლო შეურაცხყოფად არ მიიღოს ვინმემ).

როდესაც, ამ რამდენიმე ხნის წინათ, „ვიდაც“ დალესტენელმა აგაევმა, – ალბათ ეგონა, „ჩინმენდლებს“ კილოობით ჩამომკიდებენო, – მლიქვნელურად წაიწრიპინა, უკვე დადგა დრო, მართო ერთ ენაზე, რუსულად ვწეროთო, მეორე დალესტენელმა, საქვეყნოდ ცნობილმა დიდმა პოეტმა და პატარა ხალხის შვილმა, რასულ გამზათოვმა, ხმელეთზე გამოსაგდებ ჰარპუნგარჭობილ ვეშაპივით შეუღრიალა: რომ ვიცოდე ჩემი ენა ხვალ მოკვდება, მე დღესვე მოვიკლავ თავსო...

გამზათოვს მხარი პირველად ვინ დაუჭირა, გახსოვთ? – ჩვენმა უფროსმა ძმამ, მართლაც ძმამ – ვლადიმერ სოლოუხინმა.

(ჩვენში კი, საქართველოში, როცა ყველაფერი დაშოშმინდა და მტკიცედ დავრწმუნდით, რომ აგაევის ნაქეზებით ენის წართმევას არავინ გვიპირებს, მხოლოდ მაშინ წაილულულა ერთმა ცნობილმა, ლამაზი გვარის პოეტმა მშობლიური ენის სადიდებელი... „ენა-ზენა“...).

მართლაცდა, დედაენა – ეს ხომ პირველი ხუთწლეულების სახელმწიფო სესხი არ არის ერთმა თქვას – გამოვუშვათო და დანარჩენები – მილიონები! – ყველანი ერთპირად ავყვეთ, – გამოვუშვათ, გამოვუშვათო...

თუმცაღა, იმხანად, სტალინის სახელობის ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის მუშამ, კაპიტონ ლაშხმა მიტინგზე აღტაცების ნიშნად, როგორღაც თითის აწევა დაავიანა და ამისათვის ათი წლით ყურები აუწიეს და შემოაბრძანეს ჩემს ისედაც ვიწრო კამერაში, სადაც მალე ორივენი ავმღერდით დაბალ ხმაზე:

*Широка страна моя родна-а-ая...  
...Я другой такой страны не зна-а-аю,  
Где так вольно дышит челове-е-ек...*

\*\*\*

ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო, ჩვენო დიდო მოამაგე,  
გაიშალა ის ნაყოფი, შენ რომ შენი ხელით დარგე...

1936 წლიდან 1953 წლამდე საყოველთაოდ  
გავრცელებულ „მამაო ჩვენო, რომელი ხარ  
ცათა შინას“ შემცვლელ ლექს-სიმღერიდან.

*«Умер! Государь-Император Николай Первый  
умер! – закричал Соловьев, увидев Грановского.  
Грановский ответил: «То, что он умер, может, и не  
удивительно, удивительно, что мы с вами живы».*

*Из воспоминаний о Грановском.*

უცნაურია, – იტყვი ალბათ, – სტალინს ხან ადიდებს. ხან ძირს უთხრისო...

ერთხელ საუბარში, საქართველოს გარეთ, გამოჩენილმა... არც ქართველმა, არც რუსმა, არც ტაჯიკმა, არც... „უბრალოდ“ გამოჩენილმა საბჭოთა მწერალმა ნიშნის მოგებით მითხრა:

როგორ ფიქრობ, ვთქვათ და ქვეყანა შეიცვალა, – შენ შემასწრებ იმ ახალ ქვეყანაში შესვლას?!

მართლაცდა, ციხის ჟარგონი რომ ვიხმაროთ, ერთგვარი სიტყვიერი შერბილებით, ასეთი ცხრა მთავრობის ლაქიები „ახალ ქვეყანაშიც“ ყველაზე ადრე მოკალათდებიან და „ძველი დამსახურებისათვის“ გომიჯის დიდ ნაჭერსაც მოითხოვენ.

სტალინის დროინდელ ერთ პარტიულ ნადიდკაცარს, რომელმაც თავის დროზე, წყნეთში, მშვენიერი აგარაკი ნამოჭიმა მარქსიზმ-ლენინიზმის ფუნდამენტზე, ბელადის თხზულებათა ცამეტივე ტომი სარდაფში ჩაეყარა, და როცა მე მათ შემთხვევით თვალი მოვკარი, ვთხოვე, აქ ნუ დააღპობ, მე მომეცი-მეთქი, „სირცხვილით“ ველარ გამოიმეტა...

ეს ის ამხანაგია, კაბინეტშიც და სახლშიც, სტალინის ხსენებისას, თუ იჯდა, უმაღვე ფეხზე რომ წამოხტებოდა, მერე კი... მე კი სიცოცხლეში არცთუ მისი დიდი მოყვარული, სადმე თუ ნავანყდები მასზე რაიმე საინტერესოს, ვიძენ, ვაგროვებ და ვინახავ.

ალბათ პრეტენზიად ჩამეთვლება, მაგრამ მაინც ვიტყვი: ასე გამოადგა სტალინს მის მიერვე აღზევებული ორპირი, პირმოთნე, ფარისეველი მონები და მის მიერვე დამონებული ადამიანები; ათასი საარსებო პრივილეგია სწორედ პირველთათვის ჰქონდა განკუთვნილი და, საერთოდ, საცხოვრებელი სიკეთენი ეძლეოდათ საბჭოთა ადამიანებს არა მათი შრომის, ნიჭისა და უნარის კვალობაზე, არამედ მოსაჩვენარი ერთგულება, არამზადობა-უნამუსობის მიხედვით, კრისტა-ლურ პატიოსნებად რომ სალდებოდა.

დიახ, სტალინმა წარყვანა ადამიანთა შორის ადამიანური ურთიერთობანი, დათესა და ახარა მათში უნდობლობის, ეჭვიანობის, ვერაგობა-ფლიდობა-თვალთმაქცობის, სიცრუის, საყოველთაო დასმენა-დაბეზლების და მრავალი სხვა კაცური კაცობის გამაუკუღმართებელი სიგლახენი, სულ ერთნაირად ამოძირკვა სიტყვისა და აზრის სულ მცირეოდენი თავისუფლება კი და ორასმილიონიან ხალხს ყველა უფლებათაგან, რითაც პირმეტყველი განსხვავდება პირუტყვისაგან, დაგვიტოვა მხოლოდ ერთი: ტამის დაკვრის უფლება, თანაც ეს ტაში მქუხარე უნდა ყოფილიყო (*«Бурные аплодисменты, переходящие в овации»*).

„პატივი ეცი მამასა შენსა...“ (*«Чти отца своего...»*) ყოფილმა სასულიერო სემინარისტმა, თავად ხალხთა მამად წოდებულმა არარად ჩააგდო, უფრო ზუსტად – ფეხებზე დაიკიდა ეს ბრძნული ცნება და... აკი სიკვდილის შემდეგ მის მიერ დანერგილი მეთოდებითვე გაუსწორდნენ კიდევ მას მისივე უახლოესი „შვილები-თანამებრძოლები“...

ჩვენ შევქმენით ახალი ადამიანიო...

მეოცე საუკუნის ისტორიას, რასაკვირველია, არ გამორჩება ალუნიშნავი ის დიდი, სულისა და გონების შემძვრელი ფაქტი, რომ სტალინმა ხელკეტით და მხოლოდ მის შემყურე ცარიელ კუჭზე დაყრდნობით ჩამოქნა და ჩამოაყალიბა ახალი ადამიანი, მაგრამ მომავლის ისტორია, ალბათ, იმასაც გააანალიზებს და იკითხავს, თუ რამდენად სჯობდა ეს ახალი ადამიანი მის წინამორბედს, ძველს...

...და მაინც, სტალინი იყო გიგანტი!

ეს განსაკუთრებით ომის წლებმა დაადასტურეს.

წარსულში არავის სახელი არ ქუხდა მსოფლიოში ისე, როგორც სტალინის; არათუ პოლიტიკური მოღვაწისა, – მსახიობისაც კი (ჩაპლინის გამოკლებით).

მართალია, სამარადისო მიძინების შემდეგ მის დიდებას ხრუშჩოვებმა ვეტო დაადეს, მაგრამ ისტორიისათვის ეს სულ უმნიშვნელო კოლოს ნაკბენივითაა. ბურბონებმაც, ხელახლა გამეფებისას, 1815 წელს ნაპოლეონის სახელის ხსენებისათვის დახვრეტა შემოიღეს, მაგრამ დღეს ბურბონები მხოლოდ ისტორიის მასწავლებელს თუ ახსოვს, ნაპოლეონი კი, თითქმის ორასი წლის შემდეგაც, უკვდავ ადამიანთა გალერეაში წინანდებურად ელვარებს.

თითქოს ერთთავად კარგია, რომ სტალინის შარავანდედი ჩააქრეს. ამას დადებითი ის მოჰყვა, რომ ახლა მისი თუნდაც ოდნავ ძუნწი ქება თუ სადმე გაიპარა, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ეს ქება კონიუნქტურას არ ექვემდებარება, და რომ ეს ქება არსებითად კვადრატშია ასაყვანი.

ნიკიტა, რომელსაც თავად მიუგავდა თავი გლობუსს, ჯიუტად გვარწმუნებდა, სტალინი სამხედრო საქმეებში დაბდური იყო, სამხედრო რუკისაც კი არაფერი გაეგებოდა რა, მის ნაცვლად გლობუსს დასჩერებოდაო (ცხვარივით, ალბათ).

ერთ-ერთი მხედართმთავარი კი, რომლის გვარს ჩემს ქალაქებში, ჩემდა დიდად სამწუხაროდ, ველარ მივაგენი, თავის მემუარებში ასეთ ამბავს იგონებს, თანაც სასხვათაშორისოდ, როგორც ჩვეულებრივს: ერთხელ სტალინმა როგორღაც წასთვლიმა, არადა, სწორედ ამ დროს გახ-

და საჭირო და აუცილებელი ერთი ასეულის გაგზავნა მახლობელ რაიონში, მე კი რამდენიმე დღე-ღამის უძინარი სტალინის გაღვიძება მომერიდა და ჩემი რისკით გავგზავნე, და მერე, როცა ეს შემთხვევა სტალინს მოვახსენე, მან საყვედურით მითხრა, უნდა გაგეღვიძებინეთ, „...чтоб впрдъ такое не повторилось!«-ო.

ჰოდა, ახლა თვითონვე განსაჯეთ, თუკი სტალინის ნებართვის გარეშე ადგილიდან დაძვრა ერთი ასეულისაც კი არ შეიძლებოდა, მაშინ მთელი არმიების დისლოკაციას, მათ გადაადგილ-გადმოადგილებას, მასთან შეუთანხმებლად, რომელი ერთი გაბედავდა?! ომი კი ამ არმიებმა მოიგეს, ამ არმიებს კი სათავეში ვინ ედგა? ჩვენ გვეუბნებიან, პარტიაო.

კარგი, ბატონო, ოღონდ... რაკი ბნელეთიდან ჩვენს გამოყვანაზე მილიონები დახარჯულა, რაკი ჩვენს გასანათლებლად უთვალავი წიგნი გამოსულა (და გამოდის!), და ჩვენც მწყურვალ-ვით მთელი არსებით დავნაფებივართ მათ და მრავალ სხვა ისტორიებთან ერთად ძველი ისტორიის კარიც შეგვიღია, ამიტომ გვეპატიოს, თუ შევჭოჭმანდებით და მორიდებით ვიკითხავთ:

— კი, მაგრამ... აი, თუნდაც, ალექსანდრე მაკედონელმა ნახევარი სამყარო რომელი პარტიის მეთაურობით დაიპყრო? ანდა, უახლოესი ისტორიიდან... ნაცისტების პარტია ნუთუ ასეთი უბადრუკი, უმწო და ლაჩარი იყო, რომ იძულებული გახდა მისი საბრძოლო, სვასტიკიანი დროშები 1945 წელს, გამარჯვების პარადის დღეს, წითელ მოედანზე, ფაქტიურად, სტალინის ფერხით, ბლუჯა-ბლუჯა დაეყარათ?

ამ კითხვაზე მე პირადად ვერაფერს ვუპასუხებ, სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიის მე არაფერი ვიცი, ოღონდ ეს ერთი კი ვიცი, ინფანტერიის გენერალივით:

ა რ ა ს ო დ ე ს ა რ   დ ა ა ვ ი ნ ყ ე ბ ა   ჰ ი ტ ლ ე რ ს   გ ო რ ე ლ ი   ს ო ს ო !

ჯერ კიდევ იმ დროს (1928 წელს), როცა სტალინი, მაგალითად, კომკავშირის მე-8 ყრილობაზე საპატიო პრეზიდიუმში მხოლოდ მეოთხე კაცად იხსენიებოდა, გერონტი ქიქოძე წერდა:

„...დიდად ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ დღეს ჩვენი თანამემამულეები თანდათან ხელმძღვანელ ადგილებს იჭერენ. ეს როდია გასაკვირალი. საბჭოთა ქვეყნის ერებს შორის ქართველობა განსაკუთრებით დატვირთულია კულტურული და ს ა ხ ე ლ მ ნ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი ტ რ ა დ ი ც ი ე ბ ი თ “. (ხაზგასმულია ჩემგან).

ეს ამონაწერი გორთან 31 კილომეტრით დაშორებულ ქალაქის ერთი მცხოვრების ნათქვამმა გამახსენა, „გორელ სოსოზე“.

— ავი კაცი კი იყო, მაგრამა... რა უნდა ქნა რა, ჩვენებური იყო და... თქვი თუნდა უარი, მაინც ოსი იყო და...

ამას არა მარტო ის „ერთი“ ამბობს, – აქ იუმორი ძალღის თავივით სწორედ იქ მარხია, რომ ამ „ავ კაცს“ „მისი თანამემამულენი“ ვითომც ემიჯნებიან და თითქოს ერცხვინებათ კიდევ მისი, ნამდვილად კი ამ „ლანძღვა-ძაგებაში“ მას ბაბაიანცებივით იკუთვნებენ.

სტალინის „ოსობას“ შეუძლებელია ჯუღაპვილის ყურამდეც არ მიეღწიოს, მხოლოდ ამით თუ აიხსნება, რომ 1947 წელს გამოცემულ თავის „მოკლე ბიოგრაფიაში...“ ადამიანი, რომელიც – რაკი ღმერთკაცად იყო მიჩნეული და, ღმერთივით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს თანაბრად ეკუთვნოდა, – თავის ეროვნებას ხაზს არასოდეს არ უსვამდა, ახლა კი, სიცოცხლის მიწურულს, იგი ისეთი დაბეჯითებით და საგულდაგულოდ...

არა, უფრო აჯობებს – აკი ეს წიგნი ჩვენს დღეებში უკვე ძნელი მისაკვლევეია და, თანაც, არა მგონია, კიდევ ერთხელ მალე გამოცემა მას ბედად ეწეროს, – მისი პირველი გვერდის ა ნ ა ბ ე ქ დ ი შემოგთავაზოთ: მომყავს რუსულ ენაზე, თუმცა, ცხადია, არსებობს მისი ქართული თარგმანი.

ჩემი გულუბრყვილო აზრით, ვფიქრობ, ამით თითქოს საშუალებას ვუსპობ მომავალ ოს თუ სომეხ აზნაცავებს იმის თქმისას, თარგმნისას ქართველებმა ორიგინალი გააყალბესო.

**С**талин (Джугашвили), Иосиф Виссарионович, родился 21 декабря 1879 года в городе Гори, Тифлисской губернии. Отец его – Виссарион Иванович, по национальности грузин, происходил из крестьян села Диди-Лило, Тифлисской губернии, по профессии сапожник, впоследствии рабочий обувной фабрики Адельханова в Тифлисе. Мать – Екатерина Георгиевна – из семьи крепостного крестьянина Геладзе села Гамбареули.

Осенью 1888 года Сталин поступил в Горийское духовное училище. В 1894 году Сталин окончил училище и поступил в том же году в Тифлисскую православную духовную семинарию.

რამდენიმე ათეული წიგნი გადავიკითხე სერიიდან «Жизнь замечательных людей» და ვერსად ვერ წავაწყდი, რომელიმე ისტორიული პიროვნების მშობლების ეროვნება ასე გამორჩევით, ასე ხაზგასმით იყოს ფიქსირებული, როგორც ეს არის სტალინის ბიოგრაფიის ზემოთ მოყვანილ პირველსავე აბზაცში.

ცხადია, სტალინს უნდოდა ამით, ერთხელ და სამუდამოდ, კრიჭა შეეკრა ყველა იმ არაქართველისათვის, ვინც დააპირებდა ჰომეროსივით მის მითვისება-მისაკუთრებას.

საერთოდ კი ვიტყვოდი, ეროვნული თავმოყვარეობის, ეროვნული სიამაყის გრძნობის უქონლობის მკაფიო მაჩვენებელი და თავის უფროსე დაძვირებაც ძნელი წარმოსადგენია, შენი ერის თუნდაც მართლა შვილსაც, როცა არაფრად ეჭაშნიკება შენი ერის შვილობა, და შენ მაინც ებლაუჭები და ენებები მას.

საბედნიეროდ, ქართველები ამ მათხოვარა ხალხებს არ ვეკუთვნით; აი, მაგალითად, ჩვენ სრულებითაც არ მივსტირით და არც კალთას ვახევთ აფხაზობის მოსურნე არათუ კობახია – გვარამიებს, წერეთლებსაც კი!..

\*\*\*

## **„გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო!“ შენი ნახვით გულნატკენი გშორდები...**

**იეთიმ გურჯი**

როგორც მოგახსენეთ, პირველ მსოფლიო ომამდე ქართველობა თბილისში რაღაც 17 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ახლა მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი ვართ და, თანაც, ჩვენს სატახტო ქალაქს ქართული იერი – ჩვენი სიგლახითაც და ჩვენი სიკარგითაც – არათუ დაჰკრავს, ნათლადაც აჩნია. მაგრამ ამ ბედნიერებას უბედურებაც მოჰყვა თან: თბილისი მილიონიანი ქალაქი გახდა და დღითი დღე უფრო და უფრო იზრდება და იზრდება, ჭიპთან გომბეშოგადაყლაპულ უხსენებელივით იბერება...

ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც ჩვენი ქვეყანაა, განა რაიმე ხეირის დამყრელია, რომ მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის ერთი მეხუთედი ერთ ქალაქში – თუნდაც მთავარში იყრიდეს თავს?!

ერთნაირადვე სასაცილო და სატირალია, რომ თბილისის „გამილიონებას“ სხვადასხვა ჟანრის სახოტო სტრიქონებიც კი ეძღვნა: „ჩვენ მილიონი ვართ!“..

ჯერ ერთი, ვინ ჩვენ? – თბილისი ეროვნებათა სიჭრელით ჰონკონგსა და კასაბლანკასაც კი უსწრებს წინ, მეორეც – განსაკუთრებით ქართველებისათვის რა სიკეთე მოაქვს თან მილიონიან ქალაქს?

სხვა „მილიონების“ არ ვიცი, ჩვენმა „მილიონმა“ კი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საოცრად გაზარდა ქურდობა, ავაზაკობა, ყოველგვარი სახის დამნაშავეობა...

აქ ერთი რამეც არის დასაზუსტებელი: მილიონი ნაანგარიშეგია მათზე, ვინც ჩანერილია, ჩაუნერელი კი...

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა,  
და ან ცაში ვარსკვლავები...

ოღონდ ამ „ვარსკვლავებს“, ისე, როგორც საბინაო დავთრებში რეგისტრირებულ ბევრ სხვა „ვარსკვლავსაც“, ციურ ვარსკვლავებთან შედარებით, ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი დღისით-მზისით „ანათებენ“, „ანათებენ“ ყოველგვარი მორიდებისა და შიშის გარეშე, თავხედურად და უტიფრად...

ქალაქის ხელისუფალთ უბრალოდ ფიზიკურად არა აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ამოდენა ქალაქში თუნდაც ელემენტარული წესრიგი დაამყარონ.

მახსოვს, ჩემი ყმანვილობის დროს, თბილისის მილიციის უფროსი სიმონ ხმალაძე რუსთაველის პროსპექტის შუა გაყოლებაზე ფეხით რომ ჩაივლიდა, ყველა გამვლელი, მათ შორის, ცხადია, ალბათ ქურდებიც ერია, მონინებით და პატივისცემით თვალს აყოლებდნენ.

ვის გაეგონა, თუნდაც, ამდენი მკვლელობა, და ისიც განზრახი? ერთხელ, ვერის ბაღში, ვიღაც ზარისტი ცურინოვი მოკლეს და მთელი ქალაქი (არცთუ ისე პატარა – სამასათასიანი!) შეიძრა, კაცი მოუკლავთ, კაცი მოუკლავთ...

ახლა კი მკვლელობას და, საერთოდ, ყოველი სახის სიკვდილიანობას, განსაკუთრებით ავტოვარიებით გამოწვეულს, ისე შეგვაჩვიეს თუ შევეჩვიეთ, როგორც დღით პირის დაბანას...

თქვენ წარმოიდგინეთ, ქურდები და მძარცველები ისე გათავხედდნენ, რომ უცხოელ ტურისტებსაც არ ერიდებიან. ჰოდა, ამის მერე ზოგიერთ ჩვენგანს კიდევ გული მოსდის, რატომ პეტრა მიხაელმა ჩვენი გულითადი მასპინძლობა არ დააფასა და რვა კაცისათვის გამიზნული, მაგრამ ასი კაცისათვის სამყოფი ხორაგით დაზინულ სუფრასთან თორმეტსაათიანი ჯდომისათვის გაგვიკილაო.

როცა კითხულობ გაზეთში, ამა და ამ საწარმომ, ქარხანამ თუ ფაბრიკამ თვიური თუ წლიური გეგმა შეასრულაო, გინდა მათ პატივსაცემად ტაში შემოჰკრა და შესძახო, ბარაქალა თქვენ, მართლაც გმირები ყოფილხართ-თქო.

რატომ? თითქოს რა უნდა იყოს ამაში გასაკვირი? თბილისელისათვის გასაკვირია: სამუშაოზე დილით აფანცქალეხული გულით მიდიხარ, მთელი რვა საათი აფანცქალეხული გულით შრომობ და კიდევ უფრო აფანცქალეხული გულით ბრუნდები შინ, ვაითუ, ბინა გამიტყეს და გამქურდესო.

ჩვენს სატრაბახო მილიონიან ქალაქში ბინის გატეხვა-გადარცვა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ამბად გადაიქცა. თანაც საყოველთაო უბედურება ის არის, რომ, ასე ვთქვათ, გამოუცდელი, დამწყები, მოხალისე ქურდები აგვისტოს ბუზებივით მომრავლდნენ; როცა ისინი „საქმეზე“ მიდიან, წინასწარ არც კი იციან, შენ პარიკმახერი ხარ თუ აბორტმახერი, გაქვს რამე თუ არა გაქვს რამე, ოღონდ შინ არ იყო (ზოგი აღარც შინმყოფელს ერიდება – მოტყუებით შემოვა და გაგოჭავს), გადააბრუნ-გადმოაბრუნებს მთელ შენს მდიდრულ თუ ღარიბულ სარჩო-საბადებელს, რომლის ხელახლა თავის ადგილზე ლაგებ-მოლაგებას, აწენილი ნერვები რომ აღარ ვიანგარიშოთ, ხშირად თვეები უნდება...

ვამ თქვენი ბრალი მაშინაც კი, თუ თქვენი მთელი ქონება წიგნებისაგან, თანაც მხოლოდ საყვარელი წიგნებისაგან შედგება, და ისინი რაც მეტი გაქვთ, მით უფრო გულსაკლავია: ფულებს სწორედ წიგნებში ეძებენ, ფურცლა-ფურცლა გლეჯენ და ყრიან აქეთ-იქით...

რა თქმა უნდა, არა მარტო დიდქალაქიანობა უწყობს ხელს ასე მომრავლებულ ძარცვა-გლეჯას, – საარსებო პირობებიც.

ძველ გამოთქმას თუ ვიხმართ, ქონებრივი ცენზის მიხედვით ჩვენი საზოგადოების ნევრები ერთობ არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან; და ეს ქონებრივი უთანასწორობა ხშირად სრულებითაც არ გამომდინარეობს ადამიანთა ბუნებრივი, გონებრივი უთანასწორობისაგან. პირიქით, „უგონო“, უსინდისო ხალხი ათჯერ უკეთ ცხოვრობს გონიერზე და სინდისიერზე; ამავე დროს, ერთიც და მეორეც, ერთ საზოგადოებრივ ოქროს ასოებით დაწერილი კანონით, თითქმის ერთნაირი მოთხოვნილებანი უნდა ჰქონდეთ და მათ დასაკმაყოფილებლადაც თითქმის ერთნაირი საშუალებებიც.

ასე მომრავლებულ და სულ მზარდი და მზარდი დანაშაულობათა მეორე გამომწვევი მიზეზი – დასჯის შიშის უქონლობაა; დაჭერის აღარ ეშინიათ! ჯერ ერთი, ასე იოლად ვინ დამიჭერსო, და თუ მოხდა სასწაული და გამძაგრეს, სულ ერთია გამოძვრები ან გამომადვრენო. საამისო მაგალითებს ცხოვრების ელამ სარკეში უამრავს ხედავს.

მართლაცდა, ვინ არ იცის, რომ ჩვენი მოსამართლეები საბჭოთა ჰუმანიზმის, უფრო კი „ჯიბიზმის“ მოსაზრებით, უ-უმრავლეს შემთხვევაში (ესა თუ ის საქმე პროცესამდე საქვეყნოდ თუ არ გახმაურდა) დანაშაულისათვის, თუკი ის, ვთქვათ, სამი წლიდან რვა წლამდე პატიმრობას გულისხმობს, დანაშაულის სიმძიმე კი, ამ შემთხვევაში, რვა წელს ითვალისწინებს, თემიდას სასწორი, „გულმონყალე“ მოსამართლისათვის, თითქმის ყოველთვის, ქვევით და ქვევით იხრება: დამნაშავე თითქოს დაისაჯა და თითქოს არც დაისაჯა, აკი მან სასჯელის ის ზომა არ მიიღო, რაც ეკუთვნოდა.

ბევრმა იცის, რომ ახლა „ლუარსაბ ანდრონიკაშვილების“ და „შალვა მესხიშვილების“ დაცვის ფუნქციები უფრო შუამავლობით იფარგლება მოსამართლესა და ბრალდებულს შორის... ჩვენი ბევრი „სასიქადულო თანამემამულე“, საქართველოს რომ აღარ სჯერდება, „სამოლვანეოდ“ მოსკოვსა და სხვა ქალაქებში მიისწრაფვის (ჩვენდა სამარცხვინოდ და თავმოსაჭრელად, მათში ჩვენი „კდემამოსილი“ ქალებიც ურევია!); ისე თქვენ იცოცხლეთ, დაპატიმრების შემთხვევაში კანონით, მხოლოდ კანონით მათ იქ, შუბლზე, ორჯერ მეტ სასჯელს აკერავენ, ვიდრე იმავე დანაშაულისათვის აქ მიიღებდნენ.

ჩვენს სახოტბო ქალაქში რიგითი მილიციელი ბევრით არაფრით განსხვავდება სახალხო რაზმელისაგან; სახალხო რაზმელს კი, თუმცა მკლავი წითელი მატერიით აქვს დამშვენებული, რომელსაც რაკი სიტყვამ მოიტანა, მეტი ხალისით უფრო თვალეზე აიფარებდა, რომ არაფერში გაეხვიოს... ესეცაა, იგი აუფარებელი თვალეებითაც თავისი საათის მეტს ვერაფერს ხედავს: როდის გავა ეს ოხერი 2-3 საათი, მისი მორიგეობის სასჯელის ვადა!

ნუ გავამტყუნებთ, ყველამ ჩვენ თავ-თავისი საქმე უნდა ვაკეთოთ, ოღონდ გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად: არტისტმა არტისტის, მილიციელმა მილიციელის...

ამას წინებზე თბილისის ორ გაზეთში, თითქმის ერთდროულად, მახვილად დაწერილი ორი მომცრო წერილი დაიბეჭდა ქუჩებში მზესუმზირათი მოვაჭრეებზე, მზესუმზირას ჩენჩოთი და-ნაგვიანებაზე; ჩვენ, გამვლელებს მოგვინოდებენ, „ერთიანი ფრონტით“ და სხვა...

ეს საფრონტო საქმე არ არის, მაგრამ არც პატარაა, ოღონდ ამის მოსაპოვებლად, ერთხელ მოტორიზებულმა მილიციამ უნდა ჩამოიაროს, შეჰყაროს ეს ვაჭრუკანა დედაბრები დახურულ მანქანაში, ორი-სამი საათი სამილიციო უბანში აყურყუტოს, მერე ხელწერილი დაადებინოს, და-ემუქროს თანაც და... აბა ვნახოთ, მაშინ ქალაქი თუ აივსება მზესუმზირას ჩენჩოთი! მაგრამ ვი-საც ეს პირდაპირ ევალება და ძალაცა აქვს საამისო, ის თავს არ იწუხებს, სხვებმა კი რა ქნან!..

არადა, რა გულსატკენი ამბავია, – თუნდაც ელემენტარული ჰიგიენის თვალსაზრისით, – როცა, ერთმანეთის წამხედურობით, ქალაქის, სულ ცოცხალი, ერთი მესამედი მაინც, სად გინდათ და როდის გინდათ, ათას მტვერში ამოგანგლულ „სემიჩკას“ პირში იყრის...

ჰოდა, განა უნდა გვეწყინოს, თუკი ამის შემხედვარე, ნასტუმრალი „პეტრა მიხაელები“ და „ივან ივანიჩები“ გაცეცებულნი ამბობენ:

– *Город не работает, город лущает семечки!*

ერთხელ ორ ახალგაზრდა ქალიშვილს, ტროლეიბუსში მზესუმზირას ციყვების სისწრაფით რომ ანადგურებდნენ და ჩენჩოს უმისამართოდ თუ მარჯვნივ, თუ მარცხნივ, თუ პირდაპირ, პი-რიდან რომ ისროდნენ და ზოგ მგზავრს თავზეც კი აყრიდნენ, მამაშვილური შენიშვნა მივეცი. მორიდებით ისიც გავუთრე, თქვენებრ რძალი ოჯახში რომ შემომივიდეს... ფრაზა არც დამამ-თავრებინეს, ისე დამინუნეს სამამამთილოდ: შენი ბიჭიც შენისთანა იქნებაო... შვილმა მითხრა, დაანებე დონკიხოტობას თავი, ნუ გავინყდება საშა გამყრელიძის ამბავიო.

ეს ის ალექსანდრე გამყრელიძეა, მართლა სწავლული და მართლა ადამიანი, რომელიც ქუჩა-ში შეურაცხყოფილ ქალიშვილს გამოექომაგა და ამით „შეურაცხყოფილმა რაინდმა“, ფიზკულ-ტურის ინსტიტუტის სტუდენტმა (სტუდენტმა! „არამკითხა მოამბეს“, თითქმის ნახევრად ბრმას, „ფიზკულტურული ილეთით“ საძილე არტერიასში ჩაარტყა და ბელურა ჩიტივით სული გა-აფრთხობინა.

ეს იმ დროს ისეთი შემზარავი, შემადრწუნებელი ამბავი იყო, სხვაგან, თუნდაც „უკულტურო“ ტუნისში ან სალვადორში რომ მომხდარიყო, მთავრობა უეჭველად გადადგებოდა, როგორც უნიათო და უსუსური... ჩვენში კი არათუ გადადგა, იმდროინდელმა, ეგრეთ წოდებულმა დიდი კაცების ცოლებმა დიდი ფარული კამპანია გააჩაღეს, რომ არაკაცისთვის დახვრეტა აეცილები-ნათ: თურმე ნუ იტყვი, მკვლელის დედა „მალალ წრეებში“ განთქმული სპეკულანტი ყოფილა, რომლის „ქარვასლა“ ამ „მანდილოსნებს“ ათასგვარი უცხოური საქონლით ამარაგებს...

ასე შეეწირა ჩვენს ქალაქში ჩემთვის მუდამ უჭკნობი სიყვარულით მოსაგონარი მეგობარი, ალექსანდრე გამყრელიძე საზოგადოებრივ საქმეს, იმ საზოგადოებას, რომელიც ნახირის დო-ნემდეა დაყვანილი: ვინ როდის გამოგიხტება და სასიკვდილოდ გირქენს, სულიერმა კაცმა არ იცის.

...ჩვენ მარტო წამხედურობას როდი ვიჩენთ, ნაბაძვის უნარიც გვაქვს! ნაბაძვაც თითქმის იგივეა, რაც წამხედურობა, მაგრამ როგორღაც უფრო ამაღლებულად ისმის.

ნაბაძვა შეიძლება კარგ, კეთილ, სასარგებლო საქმეშიც, ოღონდ... ხარ თუ არა ამისათვის მომზადებული, ამას ჰქონია თურმე მნიშვნელობა! აი, ერთხელ, ოციოდე წლის წინათ, ვილაც დი-დი თავის კაცი... არა, აბა დიდი თავის კაცზე როგორ შეიძლება ითქვას „ვილაც?!“

...იყო თურმე ეს ამხანაგი დასავლეთში და, რას ხედავს?! უჩვეულო სურათს: პარკები, ბაღე-ბი, სკვერები, გაზონები სულ მოლიალებულია, გარდა ზოოპარკისა და კერძო ვილებისა; არსად არაფერზე არ წერია „აკრძალულია, აკრძალულია“, არც ეს წერია – „ნებადართულია“, ეს უკვე შენს კულტურაზეა დამოკიდებული – თავს ნებას მისცემ თუ არ მისცემ...

ეს მას, როგორც ჩანს, მოეწონა, აკი სამშობლოში დაბრუნებისას გასცა განკარგულება, რა-თა...

ჰოდა, მოვარღვიეთ ჩვენც, სადაც კი მივწვდით, რკინის ლამაზი, გრეხილი მესრები, მოვარ-ღვიეთ ის რკინა, რომელიც ომის დროსაც არ გავვიმეტებია (გადასადნობად გავიმეტეთ მხო-ლოდ... სიონის ზარები!), მოვარღვიეთ და... გამოჩნდა და რა გამოჩნდა! ერთმა მართლაც კარგი მამის შვილმა და თვითონაც მართლა კარგმა შვილმა ასე დაგვიხატა ეს სურათი:

„არის დეტალები, რომლებიც ჩვენმა თვალმა და შეგნებამ უკვე შეითვისა, ისინი თით-ქოს ჩვენი ყოფა-ცხოვრების განუყოფელ ნიშნებად იქცნენ: ის, რომ, მაგალითად, თბი-ლისის მშვენიერ ბაღებს შემოანგრიეს მიძიმე ქვის კედლები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ფარავდნენ ამ მშვენიერ სანახობას „უბრალო მოკვდავთა“ თვალთაგან...“.

მაგრამ მალე ამ მშვენიერი სანახაობის შავ-თეთრი სურათი შვიდფერ სურათად შეიცვალა:

გატიალდა და გაპარტახდა, – თითქოს დიდი კულტურის მქონე სელჯუკები ხელმეორედ შემოგვესიენო, – ქალაქის ცენტრში მდებარე ერთადერთი ბაღი, გატიალდა და გაპარტახდა „დინამოს“ სტადიონის მახლობლად რომ... ეე... აი, თითქმის ამ ორასი წლის წინათ იმდროინდელ „აიათო-ლა“ მუშტიედს ედემის ბალივით რომ გაუშენებია და მერე ჩვენთვის უსასყიდლოდ უბოძებია...

ერთ ნახვად ღირს, ფეხბურთის მატჩის გათავებისას, ასობით კაცი რომ მიესევა ხოლმე ამ თვალწარმტაც ნაპარკალს და მიუხედავად მოუხედავად აკეთებენ იმას, რისთვისაც ძალი და კაც-ტაც კი ამჯობინებენ მოფარებული ადგილი შეარჩიონ...

ჩვენ რომ დიდი კულტურის ხალხი ვართ, ეს კარგად იცის ჩვენმა ერთგულმა მეგობარმა, რეჟისორმა ვედეკინდმა, მაგრამ ეს რატომღაც არ იციან მისმა ქართველმა მასპინძლებმა: როცა თავიანთ ოჯახებში სადილად თუ ვახშმად ეპატიჟებიან, კერძების მომზადებაში როდი ხარჯავენ იმდენ დროს, რამდენსაც სახლში, საერთო შემოსასვლელზე, სადარბაზოში, ევროპელის ცხვირისათვის (!) მყარი, არასასიამოვნო სუნის განეიტრალებაში... სხვათა შორის, ყველა ეს სადარბაზო ცენტრალურ, როგორც იტყვიან, ხალხმრავალ ქუჩებზე მდებარეობს...

როცა ვედეკინდს თან მიჰყვებიან მთარგმნელები თუ მეგობრები, რუსთაველის პროსპექტზეც კი ცდილობენ, თუნდაც ძალიან ჩქარობდნენ, წინ მიმავალთ არ გაუსწრონ (თუ ისინი ქალები არ არიან), აკი, სულ ადვილი შესაძლებელია, რომ მათ მოულოდნელად გვერდით გააპურყყონ და თოვლის ფიფქივით მოგენებოთ (აქლემიც კი მხოლოდ გაბრაზებისას იფურთხება, და ისიც პირდაპირი მიმართულებით); ამ დროს თქვენ შეიძლება შემოგხვდეთ ზანგი (დადგენა ძნელია, აფრიკელი თუ ამერიკელი), რომელიც – გაფურთხება მისთვის თუ ასე აუცილებელია, – შუა ტროტუარიდან გეზს ნაპირისაკენ იღებს... როცა რუსთაველის პროსპექტზე, ზედ მიწისქვეშა გასავლელის თავზეც კი, მანქანების ორომტრიალში, ხალხი აქეთ-იქით გადასასვლელად, კისრისტეხით მირბი-მორბის, ვედეკინდს ძველი რუსული კინოსურათები ეხატება თვალწინ – ცხენოსანი პოლიცია თოფის სროლით რომ ფანტავს 1905 წლის 9 იანვრის მუშათა დემონსტრაციას პეტერბურგში...

როგორც მახსოვს, რევაზ ჯაფარიძე წერდა, ჰოლანდიაში სახლების ფასადებს ყოველ ორ კვირაში რეცხავენ „ასუფთავებენ“...

ჰოდა, ეგებ ნაგვეხედ-მიგვებაძა?! თუმცა... ხომ არ აჯობებდა, როგორც დიდი კულტურის ხალხს, ხუთი სოფლიდან ჯერ ერთს მაინც ჰქონოდა აბანო, და ტანი არა მარტო დაბადებისას და მიცვალებისას განგვებანა, – საახალწლოდაც, საპირველმანისოდაც და, თუნდაც საოქტომბროდაც...

ხომ არ აჯობებდა, რომ ჯერ ბევრ სოფელში ბევრი მოსახლეს გვეიძულებინა ღია ტიპის ფენისადგილი ორმოიანით შეეცვალა?

ხომ არ აჯობებდა, კერძოდ, ფილარმონიის ახლა კინოთეატრად გადაქცეულ მცირე დარბაზში, დასერილ-დაგლეჯილი სავარძლების ნაცვლად, რკინის სკამები დაგვედგა, რომელთაც დანა და „ბრიტვა“ ვერაფერს დააკლებენ?! ხომ არ აჯობებდა, ჩვენს რკინიგზებზე ქვაგაუმტარ მინებთან მატარებლებს ევლოთ, რომ მეტი ფანტაზიის შესაძლებლობა მიგვეცა მარტო ერთი წლის მანძილზე – ეს მხოლოდ დაკავებულ! – ორი ათასი მოზარდისათვის?!

...როგორი ოჯახიც გვაქვს, სკოლაც ისეთი გვაქვს, რაც მშობელია, შვილიც ისეთია... ერთსაც და მეორესაც შეუძლია ქუჩაში გაგაჩეროს და... „რომელი საათია?“ არც „ბოდიში“, არც „მომიტივეთ“, არც „უკაცრავად“ არც „მაპატიეთ, ეგებ მითხრათ...“ ეტყვი და... არც მადლობა, არც თავის ოდნავი დაქნევაც, თითქოს თქვენი ძველისძველი ძმადნაფიცო იყოს; პირველად ხედავ და... „სიგარეტი არა გაქვს?“

არა, ის მათხოვარი არ არის, არც დალუპვის პირას მისული ნარკომანია, მკერდს შეიძლება უნივერსიტეტის დამთავრების ნიშნითაც იმშვენებდეს...

ეს მაინც რაღა არის, შეხვედრისას, სახით და ტანით ვაჟკაცების დიაცური ხვევნა-კოცნა?!

უკვე ამ სამიოდე მაგალითითაც ჩანს, რა დიდი კულტურის ხალხიც ვართ ჩვენ, ამიტომ, მე მგონია, ასე სულ არ უნდა გაგვეწირა ჰერრ ჰერმან ვედეკინდის თანამემამულე, უფრო მეტიც – თანამოქალაქე ფრაუ პეტრა მიხაელი!.. ჩვენ კი ის იმდენად არ დავინდეთ, რომ სატირული პოეზიის ნეიტრონის ისრებიც ვესროლეთ, რომლებიც უეჭველად, უეჭველად ჩააღწევდნენ საარბრიუკენში მდებარე თბილისის მოედანზე!..

აბა ერთხელ კიდევ ჩავიკითხოთ ის, რაც ამ უმადურმა ფრაუმ დაწერა ჩვენზე:

„პურის ჭამაზე ძალიან დიდხანს სხედან, რაც ჩვენთვის, ევროპელებისათვის, მეტად მოსაწყენია... რაც უფრო დიდხანს იქნებიან სუფრაზე, იმას უფრო ფასი აქვს მათ თვალში. ხშირად მოხდება, სადილი შუადღეზე რომ დაწყებულა, შუალამეზეც არ დასრულებულა, რადგან დროს გატარებას ხედავენ მხოლოდ სმამი; ბოლოს იქამდე დათვრებიან ხოლმე, სრულებით გრძნობას კარგავენ და სახლამდე ხელით მიიყვანენ. ვინც ბევრს დალევს, რომ გონება არ დაკარგოს, ის კაცად მიაჩნიათ“.



აი-აი-აი, ფრაუ პეტრა, ფრაუ პეტრა!..

არამი იყოს შენზე ჩვენი მასპინძლობა, ჩვენი ტაბაკა-ვარიკები, ჩვენი ნიგვზიანი ფხალი და ჩვენი ქარვა-წინანდალი!

როგორ?!? ეს ფრაუ პეტრას არ დაუნერიაო?! აბა, ვინ?

არქანჯელო ლამბერტიმ, იტალიელმა მისიონერმა, შარდენისა და კასტელის თანამედროვემ, მე... მე... მე-17 საუკუნეში!

თუ ასეა, პეტრა მიხაელიც ამას წერდა ჩვენზე – სხვა არაფერს!

ჰმ! ატყობთ? სამასი წლის მანძილზე, ყოფაცხოვრებით კულტურის კიბეზე, ერთი საფეხურიც ვერ ავსულვართ თურმე მაღლა!.. ჰოდა, მაშინ, გული რატომღა მოგვდის?

ამბობენ, ანტონ ჩეხოვი საქართველოში არასოდეს არ ყოფილაო. ჩემი ღრმა რწმენით კი, ის არათუ ყოფილა – წლებითაც უცხოვრია აქ (ინკოგნიტოდ!).

მე ამას, რასაკვირველია, სადისერტაციო თემად არ ავიღებ, არც სხვებს ვურჩევ, რომ აიღონ, მაგრამ.

«Самолюбие и самомнение у нас европейское, а развитие и поступки азиатские».

თბილისის „გამილიონებას“ ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, როცა ბატონმა კონსტანტინემ (მე დიდ კონსტანტინეზე მოგახსენებთ) ერისკაცური გულისწუხილით ამოთქვა:

„შარშან ერთმა უცხოელმა მეცნიერმა, ჩვენი ქვეყნის დიდმა მეგობარმა მკითხა: „ეს ყმანვილები ამ პროსპექტების ხეთა ქვეშ რომ დგანან და მასლაათობენ, როდისღა მუშაობენ?“

ქუჩაში გაჩერება და უსაქმოდ ყიალი არც ერთ ქალაქს და არც ერთ მოქალაქეს არ ამშვენებს.

მხოლოდ ჩამორჩენილი და ბნელი ქალაქების მკვიდრთა ჩვევაა ქუჩაში უსაქმოდ დგომა და ყიალი“.

ამ სტრიქონების გამოქვეყნებიდან, უსაქმურთა, ბილწმესიტყვეთა რიგები „გამილიონებამ“ კიდევ უფრო „გამილიონა“.

ახლა სასწაული რომ მოხდეს და კონსტანტინე გამსახურდიამ თუნდაც ერთხელ, თბილისის ქუჩებში გაიაროს, მისი მახვილი თვალი ახალ შენაძენსაც შეამჩნევს: მოყიალენი, და არა მარტო მოყიალენი, არა მხოლოდ ქუჩებში, ყოველგვარ შეკრებილობაში და თეატრებშიც კი, სპექტაკლის მიმდინარეობისას „ჟვარჩკა-ჟვარჩკას“, გაღვიძებიდან დაძინებამდე, ჭალადიდის კამეჩივით რომ იცოხნებიან...

ამ „ჟვარჩკის“ სამშობლო ქვეყნებშიც კი მას მხოლოდ სადილის შემდეგ, და ისიც ცოტა ხნით, თუ დაღეჭავენ...

თბილისის „გამილიონებას“, ადრეც მოგახსენეთ, ბევრი სადიდებელი სტრიქონი მიეძღვნა-მეთქი. ერთმა ფრიად პატივისცემმა, მართლა მეცნიერ-ეკონომისტმა, სიხარულით აღსავსე, საყურნალო სტატიაც კი უძღვნა.

გამოგიტყდებით, მე პირადად ამ წერილის გაცნობამ არა მარტო გონებრივი სიმდიდრე შემძინა, – სასურსათო-მატერიალურიც:

„ქალაქის გარეუბნებში ახლა აღმართულია მრავალსართულიანი სახლები, ქარხნებისა და საწარმოთა კორპუსები, კლუბები და მაღაზიები, ს ა დ ა ც ი შ ი ვ ე ბ ა ყ ვ ე ლ ა კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ ი ს ს ა ქ ო ნ ე ლ ი.“

წავიკითხე თუ არა ეს, არც ვაციე, არც ვაცხელე, მაშინვე შემოვირბინე ვარკეთილი, გლდანი და დილომი, – რა გინდა, სულო და გულო, იქ არ ვიყიდე: ევროპა-საფრანგეთის „უსტრიც“ – ხამანკები, ჩრდილოეთ ამერიკის კოკა-კოლა და სამხრეთ ამერიკა-მექსიკის ანანასები, აფრიკის ბანანები – ეს ჩემთვის, როგორც უკბილო კაცისთვის, ყოფილი საყვარლისთვის კი აზია-ინდოეთის – სარი (ჭიგო-სარში არ აგერიოთ – კაბაა!), და, რაც მთავარია, ავსტრალიის მოზრდილი დედალ-მამალი კენგურუ, ეკონომიკის ინსტიტუტში მოსაშენ-გასამრავლებლად!..

...დიახაც, თბილისში მართლაც ამართეს „მრავალსართულიანი სახლები...“ ამას ბრმაც ვერ უარყოფს, მაგრამ იგივე ბრმაც კი ამჩნევს, მათი საარქიტექტურო-სამშენებლო ღირსებები, ტვირთად რომ ვაქციოთ, ჭიანჭველაც წამოიკიდებს.

ამდენ მახინჯ სახლს, მთელ რაიონებსაც კი, სხვა ქვეყნებში და სხვა ქალაქებში ფანტაზიითაც ვერ წარმოიდგენს ადამიანი.

ჩვენ ხშირად გვესმის ხოლმე, რომ ნიჭიერი არქიტექტორები გვყავს, ზოგიერთი მათგანი

კონკურსებში ოქროს მედლებსაც ლეზულობსო.

შეიძლება – შეიძლება, ოღონდ დასანანი ის არის, რომ ამას, ისე, როგორც ბევრ სხვა „უხვსა და გასაკვირელს“ მხოლოდ ქალაქზე ვხედავთ, სინამდვილეში კი...

აი, თუნდაც, განა შესაძლებელია – არქიტექტურული უგემოვნობის მხრივ – უფრო უბადრუკი ნაგებობა, ვიდრე სამხატვრო აკადემიის ახალი კორპუსია, სადმე სხვაგან კაცმა იხილოს?

დიახ, ს-ა-მ-ნ-ა-ტ-ვ-რ-ო აკადემიის!..

მერედა, ის ხომ საგულდაგულოდ დააპროექტეს და ააშენეს ამ დარგებში, ალბათ, დიდად გამორჩეულებმა და განაფულებმა?!

თბილისი ჩამოსულთ ყველაზე მეტად თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ხიბლავდა, განსაკუთრებით – მთანმინდა და, საერთოდ, ფუნქციური შემოგარენი... ახლა მათ მხოლოდ მახათას მთიდან თუ დაინახავთ, – აკი მათ წინ ქიმებიანი კოშკები და უქიმებო „ცათამბჯენები“ ააკოკოლავეს...

ამბობენ, ქალაქის გასაცნობად ვაგზლის მიდამოები პირველი ჭიშკარიანო, ჰოდა, ახლა შემოაღებ თუ არა ამ ჭიშკარს, უმაღლვე ცრემლებს მოგვგრის და სევდიანად ჩაგაფიქრებს ფ ი ქ რ ი ს გ ო რ ა, უფრო ზუსტად – მასზე ნამოყუნცული გრანდიოზული „სპიჩკის“ კოლოფები, და ამით მისი დაგონებული სილუეტი...

ამ გორას კი ვარაზის ხევიდან თუ ახედავთ, ვერც კი შეამჩნევთ, როგორაა შეჭრილი მის რელიეფში ერთი „ციხესიმაგრე“, რომლის ავტორი ახალი დროის თუ პირველი არა, ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი პირველი ქართველი არქიტექტორია, სვიმონ კლდიაშვილი.

ჰოდა, იმ შავბნელ დროში პირველს თუ ასეთი მახვილი თვალი და დალოცვილი მარჯვენა ჰქონდა, მისი მემკვიდრენი – ჩვენს ნათელ დროში – ნუთუ ყველა ბეცი და „ცაციაა?“

ძველ თბილისს არც მთავარი არქიტექტორი ჰყავდა და არც რიგითი არქიტექტორები, არც არქიტექტურის ორი ფაკულტეტი ჰქონდა, იგი სტიქიურად შენდებოდა, მაგრამ ახლა თავსაც კი ვინონებთ ამ „სტიქიის“ ნაყოფით, და ვინონებთ სამართლიანადაც, აკი განახლებული ძველი თბილისი, ახალი თბილისის ფონზე, ცისკრის ვარსკვლავით ციმციმებს!..

ვინ არ იცის, რომ ქრისტე ჯვარზე მხოლოდ ერთხელ აცვეს, მაგრამ ეს კი შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ოციან-ოცდაათიან წლებში იოსებ გრიშაშვილი, ძველი თბილისის ტრუბადურობისათვის, „დილის საარისათვის“ არაერთხელ ანამეს და მრავალჯერ აცვეს...

ჯვარზე არა, – ნამგალ-ჩაქურზე!..

ჰოდა, დიდებული იქნებოდა, ახლა მაინც, თუნდაც ამის „საკომპენსაციოდ“, იოსებ თბილელს, თითქმის წმინდანს, ძეგლს თუ დაუდგამენ მის სათაყვანო ძველი თბილისის რომელიმე უბან-კუთხეში, ოღონდ თუ დაედგმება, ისეთი ძეგლი უნდა დაედგას, მისი ლამაზი სახე რომ შემოგვეყურებდეს და კვარცხლბეკზე სახელი და გვარიც იყოს მიწერილი...

თუმცა ახლა ასე ფეხმოკიდებული მოდა – ძეგლებზე უგვარობა, ერთი შეხედვით, თითქოს გამართლებულიცაა: ნება შენია, ეს სანახევროდ გათლილი ზოდი თუ გინდა ჩვენი დროის დიდ პოეტად მიიჩნიე, გინდ ტანმალალ კვაზიმოდოდ, გინდ ჭრელ აბანოში მობანავე ხუცესად, გინდ მრავალ ჭირში გამოვლილ მგოსნად...

ეს კია, მაგალითად, ერთზე, ესკიმოს ჯოხის სიდიდის მარმარილოს საყრდენზე, ბომბორა ლომის თავი რომაა შემდგარი, რაღაც ლურსმული არის კიდევ თითქოს ამოტიფრული, ოღონდ ამ ლურსმულს, ალბათ, აკადემიკოსი გიორგი წერეთელიც ვერ ამოიკითხავდა...

...ეს უკვე თბილისს, როგორც მილიონიან ქალაქს, თითქოს არ ეხება, მაგრამ რაკი მის ორგანო „თბილისში“ დაიბეჭდა...

გულწრფელად ვამბობ, ახლახან გამოჩენილი ავტორის, ჯ. აფციაურის სტატიებს ხალისით და ინტერესით ვკითხულობ ხოლმე, თანაც გაოცებული: რაც მის რამდენიმე საგაზეთო წერილში ეპითეტები და მეტაფორები, ხატოვანი ორნამენტებია დახვავებული, ენობრივად მდიდარ მწერალსაც კი ეყოფოდა, სულ ცოტა, ორი რომანისათვის მაინც! ამავე დროს ის, საერთოდ, ჭკვიანურად წერს, მაგრამ მანაც კი...

„ინგლისი დღესაც ვერ მოსულა გონს ჩვენი „რიჩარდისაგან“...

ეს დაინერა სამი თვის შემდეგ ედინბურგში „რიჩარდის“ ჩვენების დღიდან...

მოდით ერთი, ესეც წარმოვიდგინოთ, ჩვენი დროის დღენაკლული შექსპირი როგორ ასახავდა ამ ტრაგიკულ ამბავს :

ე ლ ი ს ა ბ ე დ მ ე ო რ ე (კარისკაცს): – მიხმეთ პრემიერ-მინისტრს!

(კარისკაცი წელში ორად იღუნება, როგორც დრამატურგი რეჟისორის წინაშე და გადის. შემოდის მარგალიტა ტეტჩერი). მარგარეტ! როგორაა ჩემი სამეფოს თავდაცვის საქმე?

ტ ე ტ რ ი : – ამის თაობაზე ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, დედოფალო! რუსთაველის თე-

ატრის „რიჩარდისაგან“ მე ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ: აღარც ჩემი ქმარ-შვილი მახსოვს და აღარც თქვენი დიდი ბრიტანეთი!

ვინ უარყოფს, ჩვენი თეატრის თუ ჩვენი ცეკვა-სიმღერების წარმატება, შინ თუ გარეთ, დიდად სასიხარულოა, მაგრამ უფრო მოვიგებდით, ამით თავს თუ არ გაგვივიდოდა.

ერთი რამ ვიცოდეთ, ყველაფერი ეს სწრაფწარმავალია; ჩვენი საუკუნის დასაწყისის გურულ-მა ცხენზე მოჯირითებმაც „გააოგნეს“ ამერიკა, მაგრამ ამერიკა გონს მალე მოვიდა და ჯირით-ზე უფრო ძნელ როდეთზე შეჯდა, ჩვენ კი გონს დღემდე ვერ მოვსულვართ. ახლა ამას „რიჩარ-დიც“ ემატება და...

ჰოდა, რაც მალე მოვალთ გონს და რაც მეტად ვიმრავლებთ, მით უფრო მეტად გავაოგნებთ მტერსაც და მოყვარესაც, გავაოგნებთ ახალი და ახალი

„ყაჩაღებით“ და „რიჩარდებით“,  
ფალიაშვილებით და მუსხელიშვილებით,  
ტაბიძეებით და ჯავახიშვილებით,  
ახმეტელებით და მარჯანიშვილებით,  
უზნაძეებით და გუდიაშვილებით,  
ხორავეებით და ჭაბუკიანებით,  
ვერიკო ანჯაფარიძეებით და მაყვალა ქასრაშვილებით,  
სარაჯიშვილებით და სოტკილავეებით,  
ელენე ახვლედიანებით და ელისო ვირსალაძეებით,  
ლიანა ისაკაძეებით და ჯანსუღ კახიძეებით,  
პაიჭაძეებით და ყიფიანებით,  
არსენ მეკოკიშვილებით და ლევან თედიაშვილებით...

ვიცოდეთ, ვიცოდეთ, ვიცოდეთ: ეს რესურსები იწურება, იწურება იმიტომ, რომ ვინურებით ჩვენც!..

თავს შველა უნდა; ვიდრე გვიან არ არის, ვიდრე სულ გვიან არ არის!..

ერს სიბერე შემოეპარა, შემოეპარა მუხანათურად, ჩვენივე მუხანათობით...

აზერბაიჯანსა და სომხეთში მოსახლეობის 45-50 პროცენტი სულ ახალგაზრდობაა, საქართველოში კი – ქართველ მოსახლეობაში ოციოდე პროცენტს ძლივს მიაღწევს.

\*\*\*

**ჩვენ ქვეყანა გვიფრთხილდება,  
სათითაოდ გვითვლის...**

**ნაზი კილასონია**

ავტომობილმა და ავიაციამ, განსაკუთრებით კი მანქანამ, გარყვნეს საბჭოთა კავშირში ბევრი ხალხი, მათ შორის ყველაზე მეტად – ქართველები...

მანქანა სწორედ ჩვენი ასე სამარცხვინოდ ზნეობრივი დაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი; მანქანამ მოამრავლა ქურდები და ავაზაკები, გააადვილა დამნაშავეობა, მანქანამ გაათახსირა ახალგაზრდობა, მანქანამ მზის სიმალლემდე აიყვანა ჩვენში ისედაც გაფურჩქნილი ამპარტავნული კუდაბზიკობა, – იმას აქვს, მე არა მაქვს...

ჰოდა, მასაც რომ ჰქონდეს, არავითარ სიბილწეზე უკან არ იხევს. ერთ-ერთ გაზეთში ამოვიკითხე (სახელწოდებას არ ვასახელებ, ვაითუ რედაქტორს უსაყვედურონ, რატომ დაბეჭდეთ).

„...მანქანას ჩვენც მალე ვიყიდით. ე-ე, ხედავ ეგერ, ორლობეში, ბებია რომ მიფანდალებს? – ბევრი დღე აღარ უწერია, მოკვდება და...“

ესე იგი ელიან როდის ამოხდება სული იმ ადამიანს, რომელმაც, ვინ იცის, რამდენი ოფლი დაღვარა და ჯაფა ჩააქსოვა შვილებისა და შვილიშვილების ფეხზე დასაყენებლად, რომელმაც მათზე ზრუნვას მთელი სიცოცხლე შეაღია...

ჰოდა, ახლა ის, დღეს თუ ხვალ, „ღვთის მადლით“ ნაილებს წერილს და გამართავენ ქელესს იმდენი კაცისათვის, რამდენიც, რაიონული ცენტრის პირობაზე, საპირველმართო დემონსტრაციასაც კი ეყოფა...

მოაქუჩებენ „შესაწირავს“ თუ „გადასახურავს“ და... სულ მალე დაიხურავენ პატიოსანი კაცის ქუდს და ჩასხდებიან წითლად გადახურულ „ჟიგულში!“..

ჩვენ კი ვართ „დიდი კულტურის ხალხი“, მაგრამ... ამ შენიღბულ, ფაქტიურად, კანიბალიზმს

რა ვუყუოთ? რით ვიმართლოთ თავი? „ვეფხისტყაოსნით“ თუ იყალთოთი და გელათით?

(ერთი წერდა, იმ დროს ქვეყნიერებაზე სულ ხუთი აკადემია იყო, მათ შორის ორი ჩვენიო...).

წინათაც და ახლაც მსოფლიოს პრესის ფურცლებზე ხშირად ამოიკითხავთ, ავტომობილი ხალხებისათვის ბოროტებაა თუ სიკეთე? ამერიკის რა მოგახსენოთ, არ ვიცი, ჩვენთვის კი, საქართველოსათვის – ამას წამიერი დაფიქრებაც არ უნდა – ამჟამად, ამ პირობებში, უდიდესი ბოროტებაა, – ერის გამაჩანაგებელი და ამომწყვეტია! თუნდაც ზნეობრივ მხარეს თავი დავანებოთ და მარტო ფიზიკური არსებობის ასპექტით მივუდგეთ...

მართალია, როგორც გვარწმუნებენ, ინგლისის დღესაც გაოგნებულია ჩვენი „რიჩარდისაგან“, მაგრამ საქართველოში, თბილისში, არაერთხელ მომიკრავს ყური, – შექსპირის ეს დიდი ტრაგედია, – რუსთაველის თეატრის დადგმით, – თუ მართლაც კარგი სპექტაკლია, რატომ მაყურებლის სულს არ სძრავს, რატომ ემოციებს არ იწვევსო...

ჰმ...

აბა რით უნდა აგვალელვოს, რით უნდა შეგვაყრყოლოს, რით უნდა შესძრას ჩვენი სული და გონება სცენაზე შემოტანილმა ერთმა ბუტაფორიულმა კუბომ, როცა, თეატრში შემოსვლამდე, საკუთარი თვალებით ვიხილეთ ერთი სახლიდან ორი „ცოცხალი“ კუბო როგორ გამოიტანეს!..

განა მარტო ორი, – სამი, ოთხი და, ამას წინათ, ერთგან ხუთიც კი!..

ამ კუბოებს მიღმა შეფარებული ტრაგედიები, მთელი ოჯახების ამონყვეტა მხოლოდ მანქანის, ავტომანქანის „წყალობაა!“.

მე ეჭვი არ მეპარება, რომ ავტოავარიების რიცხვით და მსხვერპლიანობით – პროცენტულად მოსახლეობასთან შეფარდებით – ერთ-ერთი პირველი ადგილი გვიჭირავს არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, ალბათ მთელ მსოფლიოშიც კი!

შეგვირცხვენია ასეთი „პირველი ადგილი“ და გვრცხვენოდეს ჩვენი თავისაც ამ „პირველობისათვის!“

მარტო ერთ წელიწადში, მანქანამ 59 ბავშვის სიცოცხლე შეინირა და 160 დაასახიჩრა.

ბ ა ვ შ ვ ი ს , ბ ა ვ შ ვ ი ს !..

ამა წლის პირველ ექვს თვეში, ჩვენს რესპუბლიკაში, ორმოც ათასამდე მანქანა შემოუტანიათ, მანამდე კი – ვინ მოთვლის რამდენი იყო და რამდენი გველის კიდევ ახლო მომავალში, გზები კი, ორი-სამი მთავარი მაგისტრალის გამოკლებით, ბრაზილიის ჯუნგლებსაც არ ეკადრება, ისეთი გვაქვს...

არა, ოღორჩოდრო გზებზეც, ასე თუ ისე, ივლიდა კაცი, გონიერი კაცი, ფხიზელი კაცი, თუნდაც ელემენტარული კულტურის მქონე კაცი, მაგრამ...

„ჩვენ ხომ დიდი კულტურის ხალხი ვართ!“

ფრანგები ამბობენ, ადამიანები მანქანებს ისეთნაირადვე მართავენ, როგორადაც ცხოვრებაში იქცევიანო... აკი ჩვენც იმგვარადვე „ვმართავთ“, როგორადაც ვიქცევით. ამერიკული ატრაქციონი „ავტოდრომი“ თუ გინახავთ, კერძოდ თბილისში, სწორედ ისეთი სურათია. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რეზინის სალტებიანი მანქანები წარამარა კი ეჯახებიან ერთმანეთს, მაგრამ უმსხვერპლოდ...

ანდა ჩვენ, ქვეითნი, როგორ დავდივართ? ასე ჭიანჭველებით მომრავლებულ მანქანებიან ქუჩებში ისე, როგორც...

არ ვიცი რას შევადარო, ვიცი კი – ჩვენზე უფრო დანყობილად ბატები დადიან სოფლის ორობებში.

არც ჩვენ და არც ჩვენს მძღოლებს ჯერ კიდევ, ხეირიანად, ურმის ხანაც არ გაგვივლია, ჯერ კიდევ კოფოზე უნდა ვისხდეთ და... აჰა, უცებ უხარებო, სწრაფმავალი მოტორიანი საზიდარი!..

ხანდახან მაინც გადახედეთ სამგლოვიარო განცხადებებს: არ შეიძლება კიბომ ან ინფარქტმა, ერთ ოჯახში, ერთსა და იმავე დღეს, ორი თუ სამი ადამიანი ერთდროულად იმსხვერპლოს...

ჩვენზე, ქართველებზე, არც ინფარქტი და არც კიბო ისე გაგულისებული არ არიან, როგორც ჩვენივე ხელით მტარებელი მანქანა...

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა გმირთა მოედანი ჯერ კიდევ რეკონსტრუირებული არ იყო (თუმცა არც ახლაა – უსაფრთხოების თვალსაზრისით – ხეირიანად დაგეგმარებული), იქ, აჯაფსანდალივით არეულ-დარეულ მანქანებში მოხვედრილი მოსკოველი ავტოტურისტი ზეცას ევედრებოდა, ღმერთო, ამ ჯოჯოხეთიდან ამ ერთხელ როგორმე გამიყვანე და არასოდეს აქეთ პირს აღარ ვიზამო...

ღმერთის მიერ თავაზიანად მოგზავნილი მილიციელის დახმარებით მან „იმ ერთხელ“ მართლაც გააღწია ჯოჯოხეთს, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ვინც მუდმივად აქ ვცხოვრობთ, რა ვქნათ „ძვირფასმა თბილისელებმა“ და თბილისის „ძვირფასმა სტუმრებმა?“ იმავე ღმერთის მიერ ბოძებულ ჩვენს მონაკვეთზე – ტროტუარებზეც ხომ შიშით ვერ გაგვივლია და... რა ვქნათ, სახლე-

ბის სახურავებზე ვიაროთ ხტომა-ხტომით?!

რამდენი იყო შემთხვევა, როცა ტროტუარზე გაჭყლიტეს თავისთვის ჩაფიქრებული ანდა სხვისი მომლოდინე ადამიანი! ყველგან ხომ არ გაკეთდება მიწისქვეშა გასასვლელი, არადა, კაცს ქურა დამშვიდებით დანიშნულ ადგილზეც კი ვერ გადაგიჭრია – ნიშანსვეტის ნითელ ფერს მილიონიან ქალაქში, ალბათ, მარტო ვახტანგ ჭაბუკიანი თუ უნევს ანგარიშს!..

ათიოდე წლის წინათ, საბურთალოში, სატვირთო მანქანა პირდაპირ... ხალხით სავსე „გას-ტრონომშიც“ კი შეიჭრა: ისეც გაღეშულ შოფერს, ვინ იცის, რაც ჩაეხეთქა – ეცოტავა და ახლა დასამატებლად „შეუხვია...“

...წინააღმდეგობით სანიმუშო დისციპლინისა და მართლწესრიგის დამყარებისათვის მიძღვნილი დიდი ფორუმი რომ ჩატარდა, მეორე თუ მესამე დღეს ავტონისპექციამ, საგულდაგულოდ, დედაქალაქში დიდი რეიდი მოაწყო და ერთ დღეში, მხოლოდ ერთ დღეში... ექვსასი (600!) სხვადასხვა სახის და სხვადასხვა ზომის ავტოდამნაშავე გამოავლინა (ეს, ვინც ხელთ მოხვდათ და რამდენი თვალს არ მოხვდა!).

ეს გრანდიოზული ციფრი რვა მილიონიანი მოსკოვისათვისაც კი, ალბათ, შემადრწუნებელი იქნებოდა არათუ ერთი დღის, – ექვსი თვის მანძილზეც კი!

მერედა, როგორ ვსჯით ასეთ მოტორიზებულ ნაძირალებს, რომელთაც ადამიანის სიცოცხლე (არა თავისი, რა თქმა უნდა!) ერთი ჭიქა ბატიბუტის ფასადაც არ უღირთ? როგორ და... ცალმხრივად გაგებული საბჭოთა ჰუმანიზმი აქაც ძალაშია!

მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვან: კახეთში ერთმა, წ ი ნ ა თ ა ც კ ა ც ი ს გატანისათვის ნაპატიმრალმა შოფერმა (გ. ზურიკაშვილმა), არსებითად თითქმის სხვათა შორის, თითქმის გასართობად, თავისთვის მიმავალი ორი და, – ორი და! (ბაბულია და სონია სვანიძეები) – ქვითკირის კედელს ბალღინჯოებსავით მიასრისა...

13 (ცამეტი!) წელიწადი მიუსაჯეს და... ხუთი წლით ჩამოართვეს მართვის უფლება!

ჰმ! გამოვა მერე ის ციხიდან, ისევე საჭეს მიუჯდება, და ისევე ეჭვი არ არის, ასეთი დამთხვეული კიდევ ვინმეს გაიტანს, ისევე ჩასვამენ, ისევე გამოვა და... თითქოსდა შოფრობა კოსმონავტობა იყოს ანდა კიბერნეტიკოსობა, – თუ სამუდამოდ აუკრძალავ ადამიანის მკვლელს მანქანის მართვას, ამით სახელმწიფო, რაკი ეს ფიზიკურად და გონებრივად გამორჩეულთა პროფესიაა – დიდად დაზარალდება.

მ ა რ თ ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა უ ნ და ე კ რ ძ ა ლ ე ბ ო დ ე ს ს ა მ უ დ ა მ ო დ , ს ა მ უ დ ა მ ო დ არა მარტო ავტოთი კაცის მკვლელს, – უნდა ეკრძალებოდეს ყველას, ვინც, ასეთი ისე, სერიოზულ ავტოდანაშაულს ჩაიდენს, და არა მხოლოდ მართვის უფლება, მანქანაც ავტომატურად, სახელდახელოდ უნდა ჩამოერთვას, – პირველ ხანებში თუნდაც სასამართლოს გარეშე, რაკი ჩვენი მოსამართლეების „სამართალს“, ჯერ-ჯერობით მაინც, სულ ვერ ენდობა კაცი და, საერთოდ, ვიდრე დამნაშავე და მისი „გულშემატკივრები“ დატრიალდებოდნენ.

შეიტანონ ეს სასჯელის მუხლად სისხლის სამართლის კოდექსში, არა მარტო შეიტანონ, – პრაქტიკაში, პრაქტიკაშიც მოიხმარონ, უშეღავათოდ ფართოდ მოიხმარონ და მაშინ ნახავთ, ახლა ასე გათავზებებული, სინდის-ნამუსზე ხელაღებული, უზრდელი და ტუტუცი პროფესიონალი და არა პროფესიონალი ავტომოჯირითენი, თავის თავისა და ხალხის პოტენციური მტრები, ჭკუას თუ არ მოვიდნენ, – უჭკუოებიც კი!..

და თუ მანქანა – საქართველოსთვის ამჟამად უდიდესი ბოროტებაა – უახლოეს დროშიც კი შედარებით მცირე ბოროტებად არ გადაიქცეს!

შეიძლება გვითხრან, ასეთი მუხლი სხვა რესპუბლიკის კოდექსებში არ არისო, მაგრამ რა ვქნათ, თუკი ჩვენ ჩვენი სატკივარი გვაქვს და ასეთი სატკივარი არა აქვთ, მაგალითად, არც ლიტვას, არც ლატვიას, არც ესტონეთს, – საკუთარ თავს აღარ ვუმკურნალოთ, სატკივარზე მოსაშუშებელი მაღამო აღარ დავიდოთ?! ცივილიზაციის ამ მონაპოვარს – მანქანას – ჩვენივე უგუნურობით მონღოლებივით რომ გვანადგურებს, რაკი „სხვებს არა აქვთ“, მათი ნაბაძვით, „პრესტიჟისათვის“, თავი სულ ერთიანად მოვასპობინოთ?!

ერთი აღმოსავლური გამოთქმისა არ იყოს, ბევრიც რომ იყვირო, – ტკბილია, ტკბილია, თუ პირში ჰაღვა არ გიდევს, სიტკბოს ვერ იგრძნობო...

ვიძახოთ, რამდენიც გვინებება, ტელევიზორში, რადიოში, ტრიბუნაზე, ვწეროთ და ვბეჭდოთ, რომ ჩვენ დიდი კულტურის ხალხი ვართ, და თუ არ გჯერათ, აი, საბუთები: ჩვენი გელათი, ჩვენი ვარძია, ჯვარი და სვეტიცხოველი, „ვეფხისტყაოსანი“ და „სიბრძნე სიცრუისა“... მაგრამ ყველაფერი ეს შორეული წარსულია და ყოველივე ეს მხოლოდ მატერიალურ კულტურაზე მიგვანიშნებს, და არა ჩ ვ ე ნ ს დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ყ ო ფ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი თ კ უ ლ ტ უ რ ა ზ ე ...

ამ „კულტურის“ მხრივ კი ჩვენ, ძალიანაც რომ ვეცადოთ დავფაროთ, ნამდვილ კულტურულ ხალხებთან შედარებით, ცოტათი თუ ვდგავართ მაღლა ახალ გვინეაში ახლახან აღმოჩენილ ტომ კუკუკუკუზე (დიახ, თოხჯერ კუ-კუ-კუ-კუ!), რომელმაც კი, არა მგონია, „დუბლიონკისა“ და ავტომანქანის ქონება შინაგანი კულტურის რაიმე გამოვლინებად მიიჩნიოს.

...მერედა, სად არის საზოგადოებაო, სადა აქვს ხალხს თვალეზიო, უყვართ ხოლმე თქმა და გადმობრალება. ხალხს თვალეზიც აქვს და ყურებიც, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენში საზოგადოებას და საზოგადოებრივ აზრს ისეთივე გასაავალი აქვს, როგორც ცხვარს, დასაკლავად რომ მიჰყავთ – პროტესტის ნიშნად საცოდავად ბლავის, მაგრამ მის ბლავილს არავინ ყურად არ იღებს...

ათი წლის წინათ, 1969 წლის ოქტომბერში, გაზეთებში დაიბეჭდა წერილი: „ავლაგმით ავტომოჯირითეთა თარეში“. სტატიას ხელს აწერდნენ:

„აკადემიკოსი კ. ერისთავი, შ. ამირანიშვილი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წვერ-კორესპონდენტი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. პაპინაშვილი, პროფესორი გ. ინკირველი, პროფესორი ვ. ქვაჩახია, კომპოზიტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. მაჭავარიანი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ჯ. ჩარკვიანი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ლეჟავა, მსოფლიო ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. რურუა“.

რას იტყვით, როგორი საზოგადოებაა?! მართლაც ბრწყინვალეა, ხომ? მერედა, ამ საზოგადოების აზრი ვინმემ ყურად იღო?! ჩათვალეს რამედ?!

ამას რამე ნაყოფი რომ გამოეღო, მაშინ, მისი გამოქვეყნებიდან ათი წლის შემდეგ, 1979 წლის მარტში „კომუნისტში“ ავტობანდიტებზე აღარ დაიბეჭდებოდა უფრო შემამფოთებელი სტატია, რომელსაც ხელს აწერდა ასეთივე პატივსაცემი საზოგადოება.

ამ წერილს კი მოჰყვა რაიმე ძვრა დადებითისაკენ? „ძვრა ის მოჰყვა, რომ მის მერე... მხოლოდ ერთ დღეს, მხოლოდ თბილისში, ექვსასი ავტოდამრღვევი აღრიცხეს! მხოლოდ ერთ დღეს!

ვერც გაზეთი და ვერც საზოგადოებრივი აზრი ავტოაფთრებს ვერ მოათვინიერებენ. ამაში რომ დავრწმუნდეთ, ამისათვის არ არის საჭირო ათეული წლები – მხოლოდ ახალი, ჩვენი პირობებისათვის შესაფერი, მკაცრი კანონის ძალა თუ გვიხსნის.

ჰოდა, ჩვენ რომ მოსკოვმა ჩვენივე კოდექსისათვის – თუნდაც საექსპერიმენტოდ, აბაშასავით! – ჩვენი სატკივრის გამაჯანსაღებელი მუხლი დაგვითმოს, და მასთან ერთად ორიოდ სხვა მუხლიც, რომლებიც ასე აუცილებელია ქართველი ერის ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად, ამით ვითომ ვინმეს რამე დაუშავდება? შეიძლება დაუშავდეს მხოლოდ ვაზგენს და მის ამფსონებს, სხვას – არავის...

სომხები, აფხაზები, ოსები ჩვენზე სიხარულით იცინიან, რაც ავტოავარიებში ქართველები დაიღუპნენ, იმდენი ჰიტლერთან ომში არ დაღუპულანო.

ადვილი შესაძლოა, ჩვენ შორისაც გამოჩნდნენ ისეთი „პატრიოტები“, რომლებიც... რაკი ჩვენ „დიდი კულტურის ხალხი ვართ“, ხომ არ დაგვამცირებს ეს კულტურული მსოფლიოს თვალშიო...

მათ დასამშვიდებლად მოდით და გადავხედოთ, თუნდაც ცალი თვალთ, ჩვენზე „ცოტათი ნაკლებ“ კულტურის მქონე ხალხთა კანონმდებლობას: არათუ ავტომობილით ადამიანის მოკვლის ან დასახიჩრებისათვის, ჩვენებურად გაგებულ „უბრალო“ სიმთვრალისათვისაც კი...

კანადაში შოფრებს, თუნდაც მხოლოდ პირველად, ერთხელ შემჩნეულებს, აპატიმრებენ ერთ წლამდე, ართმევენ ს ა მ უ დ ა მ ო დ მართვის უფლებას.

ნორვეგიაში, ჩვენსავით პატარა ნორვეგიაში: დიდი ჯარიმა და პატიმრობა, მართვის უფლების ჩამორთმევა ერთი წლის ვადით, სიმთვრალის განმეორებით შემთხვევაში საერთოდ უკრძალავენ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს მართვას.

პორტუგალიაში: ართმევენ მართვის უფლებას და აპატიმრებენ ექვსი თვიდან ერთ წლამდე; ამის შემდეგ თუ კიდევ იურჩა და მაინც მიუჯდა მანქანის საჭეს, სჯიან 5 წლით!

დანიიაში, ჩვენსავით პატარა დანიიაში: საერთოდ ართმევენ მართვის უფლებას და აპატიმრებენ ერთ წლამდე.

იუგოსლავიაში გარდა იმისა, რომ მკაცრი ერთიანი სახელმწიფო კანონი მოქმედებს, ზოგიერთ მის მხარეში, მაგალითად, სლოვენიაში, სასტიკად აკრძალულია ლუდის დაღვევაც კი, თუნდაც სულ ცოტა ადრე, ვიდრე მანქანას ჩართავდე.

იაპონიაში გამოიგონეს და უკვე პრაქტიკაში დანერგეს მძღოლის ორგანიზმში ალკოჰოლის აღმოჩენი აპარატი: თუ მან აღნიშნა, რომ ო დ ნ ა ვ მ ა ი ნ ც და ლ ე უ ლ ი ხ ა რ, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ა პ ე ლ ა ც ი ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე ერთხელ და ს ა მ უ დ ა მ ო დ, ა დ გ ი ლ ზ ე ვ ე გ ა რ თ მ ე ვ ე ნ მ ა რ თ ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს!

შემეძლო სხვა „ჩამორჩენილი“ ქვეყნების მაგალითიც მომეყვანა, რომელთა მოსახლეობა 100 მილიონსაც კი აჭარბებს, – მათთვის წელიწადში ათასი კაცის სიცოცხლე თითქოს რა უნდა იყოს, მაგრამ მაინც განგაშს ტყეხენ ხოლმე, ჩვენში კი, თუმცა „ქვეყანა სათითაოდ გვითვლის“, მათზე მეტი არ გველუპება?!

მხოლოდ ერთ წელიწადს, მხოლოდ თბილისში, ავტოავარიებში, დასახიჩრდა 957 კაცი, სიცოცხლეს გამოესალმა, უფრო სწორად – გამოასალმეს 105 კაცი...

მხოლოდ ერთ წელიწადს გამოვლენილი იქნა 14306 (თოთხმეტი ათას სამას ექვსი!) კაცი, რომლებიც გახეთქილი მთვრალნი უსხდნენ საჭეს!

ეს, ვინც გამოვლენილი იქნა, და ვინც „უბრალოდ“ მთვრალი იყო და ვერ გამოავლინეს?! განა ამას ფიქრი უნდა, რომ ისინი ათიათასობით დაითვლებიან?!

ავტოავარიაში დაღუპული ყოველი მესამე კაცი მთვრალი მძღოლის „წყალობაა“! მერედა, ერთ მუჭა ხალხს მანქანისაგან ამოწყვეტა გვჭირდება კიდევ?! საამისოდ აბორტი არ გვეყოფა?

ვინ არის პასუხის მომცემი, როდემდე გავუძლებთ ამას?!

მართლაცადა, რა გვეშველება, თუკი დიდი პარტმანდატით შეიარაღებული მფარველი ანგელოზი არ მოგვევლინა!

\* \* \*

**მე ის მალონებს დღევანდელ ქართველს  
ძველი ანდერძი რომ ავიწყდება  
და ეროვნების მაგარი ციხე  
შეუგნებლობით შიგნითვე ტყდება.  
აკაკი.**

ეს ახალი ამბავი არ არის, საკმაოდ ძველია, თუმცა არა მგონია, იგი ისე დაძველებულიყოს, რომ სადღეისოდ მისი მოყოლა არ ღირდეს...

წნორში გახლდით, და როგორღაც ერთ-ერთ იქაურ სკოლაში მოვხვდი, გაკვეთილებსაც დავესწარი მეათე კლასში... გამოვესაუბრე მოსწავლეებს (რა ხანია სიტყვა „მონაფეს“ აღარ ხმარობენ, – ვიცოდეთ მაინც, ამ ყოველმხრივ აზრიანმა, სანიმუშო ყოფაქცევის „მონაფემ“ ასეთი რა სიგლახე ჩაიდინა, რომ, საერთოდ, „კლასიდან გააგდეს!“)... ვკითხე მათ, აი თქვენ წელს სასწავლებელს ამთავრებთ, ბევრი თქვენგანი უმაღლესისკენ გაეშურება ალბათ, ჰოდა, ვის რა გინდათ, რომ გამოხვიდეთ-მეთქი.

პირველი პასუხის გაგონებისთანავე შევცბუნდი, არ შევიმჩნიე კი – მონტანელი გამახსენდა, უადგილო ჩარევით „აღმსარებლისთვის“ კალაპოტი, გეზი არ მეცვლევიანებინა:

ოცდაათი გოგო-ბიჭიდან ოცდარვა... გინეკოლოგი გვინდა გამოვიდეთო!

შევწუხდი, შევწუხდი და თანაც შემრცხვა, განსაკუთრებით, ტანით უკვე ტოტოლა ვაჟების „ვაჟკაცური“ პასუხით.

ამდენიდან არც ერთმა არ თქვა, კოსმონავტობა მინდა, თუნდაც ექიმი-თერაპევტი, გეოლოგი გამოვიდეთ, – არა, გინეკოლოგიო.

მერე მასწავლებელმა, ვის გაკვეთილსაც ვესწრებოდი, დარცხვენილმა მთელი წნორი შემომატარა და რამდენიმე, ახლანდელ კვალობაზე, სრა-სასახლე მაჩვენა – ყველა ისინი გინე...

არა, მათ მიმართ ჩვენში ასე შებღალულ, მაგრამ სხვაგან ჯერ ისევ პატიოსან, სახელგაუთხეხელ სიტყვას ნუ ვიხმართ...

დიახ, ყველა ეს გამორჩეული სასახლე თურმე აბორტმახერებს ეკუთვნით!

ა, ბატონებო, ძალა პირადი მაგალითისა!..

რიგაში, ერთ მეან ქალთან საუბარში, გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ სიტყვა „აბორტმახერის“ მნიშვნელობა არც კი იცოდა, და როცა ისიც ვუთხარი... კავკასიაში (ა la «Я кавказец!»!), თუნდაც საავადმყოფოს პირობებში გაკეთებული აბორტისათვის 20-30 მანეთს იღებენ-მეთქი, – იმ პატარა ბავშვივით გაკვირდა, რომელიც ცირკში პირველად მოიყვანეს: ათიდან ერთი თუ მოგვართმევს სამამანეთიან კანფეტის კოლოფს, და ამის მიღებაც გვეკრძალებათ.

ეს ლატვიაში... შარშან წყნეთში ერთმა, ჭიათურის რაიონიდან გადმოსულმა, იქ მცხოვრებმა და მომუშავე ახალგაზრდა ქალმა, ჩემს მორიდებულ საყვედურზე, რატომ დაიკოს ძამიკო ან მეორე დაიკო არა ჰყავს-მეთქი, გულნატკენმა მიპასუხა, კიდევ მალე არც ეყოლებათ.

თურმე ნუ იტყვი, პირველი მოლოგინება თბილისის ერთ-ერთ სამშობიაროში სამას მანეთამდე დასჯდომია, და ახლა რამდენი დრო უნდა გავიდეს, რომ ამ მცირე ხელფასიანმა ქალმა „ამ საქმისათვის“ კიდევ მეორე სამასი მანეთი დააგროვოს. ამ „ბედნიერმა“ დედამ თუმცა დამი-

სახელა კიდევ იმ სამშობიარო სახლის ნომერი და გვარებიც ჩამომითვალა, – გვარები უფრო სახინკლეს დახლში დასაყენებელ ჰიპოკრატეს „შეგირდებისა“, მე მათზე კონკრეტულად მაინც არ ვათითებ, რადგან ეს ჩემი ნაწერი არ მინდა სისხლის სამართლის დანაშაულის აღსაძვრელ საქმედ იქცეს (თუმცა ესეც არის, აღშფოთდება და აღძრავს კი ვინმე, ვისაც ეს ევალება?!), მით უმეტეს, რომ „ის“ სამშობიარო ქალაქის სხვა სამშობიაროებისაგან, არა მგონია, რაიმეთი განსხვავდებოდეს.

მჟავანადის დროს იმერეთის ერთ-ერთი რაიკომის, თუ არ ვცდები წესიერმა მდივანმა შემომჩივლა, ყოველ შაბათ-კვირას სისტემატურად, გაუცდენლად ჩამოდის ჩვენს დაბაში ძველი დროის ექიმის საკვოიაჟით, „ესა და ეს“, სადგურიდან პირდაპირ მიემართება საამისოდ სპეციალურად დაქირავებულ ბინაში, სადაც სოფლებიდან ჩამოსული გლეხი ქალების გრძელი რიგი უკვე გამზადებული ეგებება მას, და ისიც, სწრაფად და ცქვიტად „საქმიანობს“, თითქოს თონედან ცხელი შოთები ამოჰქონდესო; ახალნათხოვი ჩემი ცოლის ბიძაშვილის შვილია და ხათრით ვერაფერს ვეუბნები, არადა, რაიონში შობადობა ისეც ნაკლებია, მან კი ეს, რკინიგზის პირას მიმავალი ჩხრიალა მდინარე დაკეპილი ნაყოფებით ლამის აავსოსო...

ის დედაკაცი კი, დიპლომით ექიმი და სულით ყველაზე დაბალი ყალიბის ექიმბაში, ყოველ კვირა საღამოსვე უკან დაბრუნებისას, უკვე უფრო დამძიმებული საკვოიაჟით, მატარებლიდან გულდამშვიდებით და სიამის გრძნობით გასცქეროდა ხოლმე მშობლიური ზემო იმერეთის კობტა და კოპნია, მთაგორიან პეიზაჟებს და მიუხაროდა დედაქალაქში, სადაც მას ელოდა ქმარი – ერთი პატივსაცემი დარგის დამსახურებული მოღვაწე... საქართველოსი!\*

ამ „მოღვაწემ“ ჩინებულად იცოდა, რა „სამოღვაწეო ასპარეზითაც“ შემოჰქონდა სახლში მის ცოლს და მეგობარს გასისხლიანებული ფულის დასტები, იცოდა მშვენივრად, რომ ეს დასტები ხელს უწყობდნენ ქართველი ერის ჯერ გამეჩხერიანებას და შემდეგ კი მის მთლიანად ამოგდებას, მაგრამ ეს მის ეროვნულ სინდისს არ ანუხებდა; მართალია, ვესპასიანე არ გაეგონა, სამაგიეროდ ერთხელ გაგონილი მისი ნათქვამი არასოდეს ავიწყებოდა, – ფულს სუნი არ უდის!

გვიამბობენ, იოსებ ჟორდანიას, ქალის ეს დიდი და პირველი მეგობარი, ასეთ უშუბლო დედაკაცებს გომბეშო-აბორტმასხერებს ეძახდა, და თუ სადმე მათ გადაეყრებოდა, ზიზლით მიაყვირებდა, დამეკარგეთ თვალიდან თქვე ცივშანთიანებოო...

ამ დიდი ექიმისათვის და დიდი ადამიანისთვის „ცივი შანთი“ სასიცოცხლო ქირურგიული მამა იყო, გომბეშო-აბორტმასხერების ხელში კი იგივე მამა შუა საუკუნეების დროინდელი ადამიანის დამდალავ, კაცის მკვლელ ჟანგიან იარაღად არის გადაქცეული...

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. იატაკქვეშა, არალეგალური აბორტები კანონით ისჯება, და თუმცა იგი კეთდება ათასობით და ათიათასობით, კეთდება, როგორც დავინახეთ, სავსებით მორიდებლად და ლეგალურად, თვით რაიკომებისა და მილიციის ცხვირწინაც კი, აქამდე ამ „სასახლო საქმისათვის“ დასჯილი ადამიანი (ბოდიშს ვიხდი ამ დიადი სიტყვის წინაშე!) ორიოდ შემთხვევა თუ იქნება აღრიცხული. მათმა „ცივმა შანთმა“ უამრავი ქალის ჯანმრთელობა შეარყია, ბევრიც, საერთოდ იმსხვერპლა, და თუ ეს ტრაგიკული შემთხვევები საქვეყნოდ – სასამართლოს წესით არ ხმაურდება, მხოლოდ იმიტომ, რომ გომბეშო-აბორტმასხერები ფულით დატენილ ქისებს არ ინანებენ ჭირისუფლებისათვის (მე თქვენ გეტყვით და ამით მათ მუცლიან საკვოიაჟებს ბევრი რამე დააკლდებათ თუ?!), – ჩემი დაჭერით თქვენი მკვდარი სულ ერთია მაინც არ გაცოცხლდება და, ის არა სჯობს, რომ საფასურში მოვრიგდეთო?..

გესმით? – მიცვალებულის საფასურში, მიცვალებულის საფასურში!..

შესაძლოა იფიქროთ, რომ „სააბორტო საქმეში“ მე მაინც არაკომპეტენტური კაცი ვარ და ზედმეტად შავი საღებავებით ხომ არ ვხატავ ჩვენს ნათელ სინამდვილეს, ამიტომ რამდენიმე ციტატას შემოგთავაზებთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამართული დისკუსიის დროს დაბეჭდილი ერთ-ერთი წერილიდან. მისი ავტორია კონსტანტინე ერისთავი, ექიმი-აკადემიკოსი:

„დღეს ჩემი შეკრებილი მასალიდან ჩანს, რომ ზოგიერთ სამშობიარო სახლში წელიწადში 3 ათას აბორტს აკეთებენ... თბილისის ახლოს ერთ-ერთი რაიონის საავადმყოფოში აბორტს აკეთებს არა მხოლოდ გინეკოლოგი, არამედ ყველა ექიმი. ქუთაისის შესწავლამ გამაკვირვა: ერთ-ერთ სამშობიარო სახლში 4 ათასი აბორტი გააკეთეს ერთ წელიწადში. იმ წელიწადს ამ დაწესებულების ხელმძღვანელმა სადოქტორო ხარისხიც დაიცვა და თბილისშიც გადმოვიდა. ამავე დროს, სოხუმში, სამშობიარო სახლის გამგედ მუშაობს რუსის ქალი და ორი წლის განმავლობაში მას მხოლოდ 3 აბორტი აქვს გაკეთებული. მე იგი გამოვიძახე და ვესაუბრე. მან მითხრა:

– ქალს, რომელიც აბორტის გასაკეთებლად მიდის, მაინც ეზარება აბორტის გაკეთება,

\* გვიანდელი შენიშვნა (მაისი, 1989 წელი): ამჟამად აბორტის საფასური 100 მანეთამდე აღწევს თურმე.



რადგან დედა და ეცოდება ნაყოფის მოცილება, ჭოჭმანობს და თუ იმას გაესაუბრები, ეტყვი, რომ არ არის საჭირო აბორტი, ჯანმრთელობისათვის მავნეა, სჯობს დაბადო, სიამოვნებით დაგიჯერებს“.

„არიან ექიმები, რომლებიც დღეში რამდენიმე ათეულ აბორტს აკეთებენ და მათი მოღვაწეობა სულ აქეთკენ არის მიმართული... ახლა ქალაქი და სოფელი სავსეა აბორტმახერები თ... ამას წინათ ჩვენი სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს, რომლის თავმჯდომარე მე ვარ, მოუვიდა კრიმინალური საქმე: ხუთი თვის ორსულმა ქალმა აბორტის გაკეთება გადაწყვიტა და ქართლში ერთ საავადმყოფოს მიმართა. უფროსი ექიმი და გინეკოლოგი რესტორანში სადილობდნენ. პაციენტმა ისინი მონახა და აბორტის გაკეთებაზე დაითანხმა. ამ ნახევრად მთვრალმა ექიმმა გაუკეთა აბორტი და ქალი აბორტს გადაჰყვა“...

„...მე არ ვიცი ჯანმრთელობის მაშინდელ საკავშირო მინისტრს ს. კურაშოვს ვინ ჩასჩურჩულა ანდა თვითონაც თუ უკვე იცოდა, რომ დიდი შობადობა იმ რაიონში მოდიოდა, სადაც ქართველი მოსახლეობა სულ მცირერიცხოვანი იყო, ეს კია, მითხრა: ასე თუ გაგრძელდა, იმ ზომამდე შეიძლება მიიყვანოს ეს მშვენიერი ერი, რომ სულ გადაგვარდეს და მოისპოსო“.

„ჩემი აზრით, არ იქნებოდა ცუდი აბორტის სანინაალმდეგო კანონის აღდგენა. დიდ ერში რაც უნდა მცირე შობადობა იყოს, მას მაინც არ ემუქრება გადაშენებისა და მოსპობის საფრთხე. ეს საშიშია ჩვენთვის, პატარა ერისათვის“.

მაგრამ ჩვენი დღევანდელი დღისათვის, როცა მთას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ყველაზე საინტერესო მაინც ეს არის:

„იმ ხანებში საქართველოს ხელმძღვანელი ამხანაგებიც შედიოდნენ შობადობის საკითხზე დაარსებულ კომისიაში; კომისიაში შედიოდნენ ეთნოგრაფები, ისტორიკოსები და სხვა სპეციალისტები, მაგრამ კომისია ჩქარა დაიშალა. კომისიის მუშაობისას მე ერთ საინტერესო საკითხს გავეცანი. ადრე მეგონა, რომ ხევსურებისა და სხვა მთიელთა ჩამოსახლება ბარში პატრიოტული საქმეა-მეთქი. ერთმა ისტორიკოსმა კი განაცხადა, რომ ამით ჩვენ ბევრ რამეს ვაგებთ. მთაში აბორტი არ იცოდა, იბადებდა იმდენი, რამდენიც ჩაისახებდა. მაგრამ საცხოვრებლად ყველა არ რჩება მთაში. გარკვეული ნაწილი ახალგაზრდობისა მთიდან ბარში ჩამოდის, ასე რომ ერს ახალგაზრდობის შენამატი მთიდან გადმოუსახლებლად მეტი ეყოლებო“ („ლიტ. საქართველო“, 13.3.70).

ქალის მეორე დიდმა მეგობარმა, იოსებ ჟორდანიას უმცროსმა კოლეგამ, კონსტანტინე ჩაჩავამ, რომლის სულ ამასწინანდელი სიკვდილი მართლაც უღვთო იყო, გომბეშო აბორტმახერები ერის... მაგრამ უფრო აჯობებს, სიტყვა თვით მას მივცეთ:

„საზოგადოების მრისხანება უნდა დაატყდეს თავს ყველა იმ ვაი-ექიმს, აბორტმახერს, ვინც მასთან მისულ დაბნეულ ახალგაზრდა ქალს არ აუხელს თვალს მომავალ საშიშროებაზე, ვინც ანგარებას, მომხვეჭელობას ანაცვალებს ადამიანის ბედს, ერის ინტერესებს. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს ამ ვაი-ექიმთა რიცხვი მომრავლდა. დაბალი ინტელექტისა და კულტურის იატაკქვეშა აბორტმახერები განუზომლად დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს ხალხს. მე მათ ერის მოღალატეებს ვუნოდებ და სრულიადაც არ მეშინია ამ სიტყვის დანერა“.

დიახ, აი, ვინ არიან ერის მოღალატეები! ხალხის მტრები ესენი არიან, და არა ისინი – 1937 წელს, ბართლომეს წელს, მარტო საქართველოში ათიათასობით რომ გააქრეს დილის მისალმება „გამარჯობა შენის“ თქმისათვის და ბევრიც ამ სიტყვების უთქმელობისთვისაც კი!..

ახლა კი – და რამდენიმე ხანია მას აქეთ! – ეს ხალხის მტრები საქართველოს მინა-წყალზე ისე ლაღად და უზრუნველად დანავარდობენ, როგორც ცაში ფრთოსნები!..

აი, უკვე ოცი წელიწადი გადის იოსებ ჟორდანიასა და ათი წელი კონსტანტინე ერისთავის, კონსტანტინე ჩაჩავას, ამ ერისკაცების მოთქმა-გოდება-შეგონებიდან, და აბა თუ ვინმემ, ვის სიტყვასაც წონა და გასავალი აქვს, ვისაც დამსჯელი ძალაუფლების სადავეები უჭირავთ ხელთ, ერთმა მაინც თუ ოდნავ ყური მიუგდო ერის გადასარჩენად მათ სასონარკვეთილ შეძახილებს?

რალაც არ გვსმენია, როგორღაც არ გაგვიგია, ამას კი „მოვკარით ყური“ რომ ამ ხნის განმავლობაში შობადობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და იზრდება – ნუ დავიზარებთ, ერთხელ კიდევ მოვიგონოთ, – ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, გარდაბნის, ნალკის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ზნაურის, ჯავის, ცხინვალის, გუდაუთის – საქართველოს სხვა რაიონებში კი ასეთივე გეომეტრიული პროგრესიით კლებულობს და კლებულობს, სულ მცირდება და მცირდება...

ამ რაიონების „ზრდა-აყვავებაში“ განუზომელი „ღვანლი“ და უზომო „დამსახურება“ მიუძღვით გომბეშო აბორტმახერებს, მაგრამ ორმაგი უბედურება ის არის, რომ მათ, როგორც ამას

განსვენებული კ. ჩაჩავა გვიჩვენებს, საზოგადოება თავზე ვერავითარ მრისხანებას ვერ დაატყვის, რადგან ამ სფეროში თავად საზოგადოებას შმორიანი ჰაერი, რომლითაც სუნთქვას, გაფილტრულ ჟანგბადად ეჩვენება.

აქ საჭიროა შორსმჭვრეტელი სახელმწიფო-დრაკონის ხელი, რომელსაც მერე და მერე, ბევრი, ძალიან ბევრი, ამ აშმორებულ ჰაერით მსუნთქავთაგანაც კი, და კოცნის ღირსადაც მიიჩნევს და წაიწვევად კიდევაც სამთხვევად, – აკი სამართლიანი დრაკონი ყოველთვის სიკეთის მომტანია და თვალის ამხელია წამხდარი ხალხისათვის...

ერთმა მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსმა თქვა:

«Народы существуют для того, чтобы ими повелевать».

მგონი, თუ არ ვცდები, ამ აზრს ამა თუ იმ დარგში ხანდახან ჩვენც ვატარებთ ხოლმე და რატომ არ უნდა გატარდეს ის იმ დარგში, რომელიც მთელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს ეხება?!

ამჟამად, საქართველოში, ქურდობა-მოტყუება-წამგლეჯ-მტაცებლობა-მექრთამეობის წყალობით ქონებრივად აღზევებულები უთვალავია, კაცს შეუძლია გრძელი სიაც კი ჩამოწეროს სახელგატყვილ, კაცური კაცობის შემრცხვენილი პროფესიებისა, მაგრამ გომბემო-აბორტმახერების პროფესიაზე უფრო გათახსირებული პროფესია სხვა არც ერთი არ მეგულება.

არა მგონია, თქვენი ყურადღებაც არ მიეპყრო იმ – ახლობლებისათვის ტრაგიკულ, გარეშეთათვის კი საკმაოდ თავშესაქცევ – შემთხვევებს, რომლებიც, ბოლო წლებში ასე მომრავლდნენ თბილისში; მე მხედველობაში მაქვს, ასე ვთქვათ, კაი ოჯახებიდანაც კი გასათხოვარი ქალიშვილების „გაპარვა“ და ამ ნიადაგზე მათი მშობლების გულამოსკენილი მოთქმა, გულის ხეთქა, ზოგჯერ კი – ინფარქტი და ინსულტიც...

სხვა რესპუბლიკების დიდ ქალაქებში მსგავს სიმახინჯეს ვერსად წაანყდებით (ისე, როგორც ვერ შეხვდებით ადამიანების გატაცებას გამოსყიდვის მიზნით, თუმცა იყო ერთი თუ ორი შემთხვევა, და ისიც, ალბათ, ჩვენი „კეთილისმყოფელი გავლენით“).

ოჯახისა და საკუთარი თავისვე ამ დამამცირებელ, პირუტყვულ „გაპარვა-გაქცევაში“ მთავარი „ღვანლი“ სწორედ გომბემო-აბორტმახერებს მიუძღვით... ამათ შორის არიან დიდად „ხელგანაფულნი“. თავისი, ძნელად წარმოსადგენი უბინძურესი საქმის ოსტატები, რომლებიც არაქალიშვილებს „აქალიშვილებენ“ (მხოლოდ მცირე ხნით, უფრო მეტი ხანგრძლივობისათვის ჯერ „ვერ მიუღწევიათ“!), მოკლედ, მათივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „აპაჩინკებენ“, უფრო „კულტურულ“, „საექიმო“ ენაზე ამოკერვას ეძახიან და... „კერავენ და კერავენ“ დიდ ფასად!..

შეიძლება კი საექიმო ეთიკა ამაზე უფრო ძირს დაეცეს? და ასეთი „ექიმები“ სტადიონზე, მატჩის შუალედში, 70 ათასი კაცის წინაშე გავარვარებული შანთით არ უნდა დადალონ? ეს ნაძირალებზე ნაძირალები თამარისა და ქეთევანის შთამომავლებად უნდა ითვლებოდნენ?!

ახალგაზრდებს, საერთოდ, აბა, რა გამოეპარებათ, მით უფრო დღევანდელ ყოველმხრივ ინფორმირებულ ახალგაზრდობას. – „რემონტ-ჰაჩინკობის“ ამბავი მათ კარგად მოეხსენებათ, და თუ ვაჟი თავმოყვარეა და „ლობიო“ არ არის, შეგულებულ თავის „გოგოს“ მოულოდნელად თავზე ადგება და ულტიმატუმს უსვამს: – „გინდა ჩემი ცოლობა? მაშინ... ან ეხლა, ან არასოდეს!“.

ვინც „ამოუკერავია“, შიშით, რომ გაუთხოვარი არ დარჩეს, თანახმაა, თუნდაც ძალღივით, სანაგვეში დანებდეს და დაუმტკიცოს თავისი უმანკობა...

ასე გათახსირდა ქორწინება და შეუღლება – ყველაზე დიდი აქტი ადამიანის ცხოვრებაში დაბადების შემდეგ!

ეს „სიახლე“ ქალ-ვაჟთა ურთიერთობაში, სხვათა შორის, ბევრისათვის გულის გამხარებელმა „მილიონმაც“ მოგვიტანა.

უმანკობაო, ეს-ეს არის ვთქვი, მაგრამ ეს უმანკობა დიდად განსხვავდება ადრინდელისაგან; ქალაქში მომრავლდნენ გარყვნილების კერები, ზნეობრივი სიფაქიზე ისე დაეცა, რომ ამჟამად ახლად წამოჩნტილი გოგო-ბიჭებიც ქუჩაში, ერთმანეთს არა მორიდებული ხელის ჩამორთმევით ეცნობიან, – კოცნით! დავუშვათ, თუნდაც არა მკაფიოდ გამოხატული ვნებიანი კოცნით, მაგრამ ამ ასაკში კოცნას, თუკი ეს სისხლით ნათესავს არ ეხება, მაინც სხვა ელფერი დაჰკრავს.

ჰოდა, რაკი აბორტმახერებმა აბორტი და „ამოკერვა“ თვალზე საღებავის წასმასავით გააიოლეს, რაც არ ემალება მოზარდ თაობას, გაიფადა პირველი კოცნაც, ის პირველი კოცნა, რომელზეც მწერლობაში, მხატვრობაში, ქანდაკებაში მსოფლიო შედეგებია შექმნილი...

(საერთოდ ქალებმა თავი ისე გაიუფასურეს, რომ ახლა, მეტადრე თბილისში, იშვიათად შეხვდებით წყვილს – ვაჟს მიჰყავდეს ხელკავით ქალიშვილი; „მშვენიერი სქესის“ წარმომადგენელნი პირველნი ებლაუჭ-ეკონნიალებიან, ერთი პოეტი ქალის გამოთქმას თუ ვიხმაროთ, „დედამინის დაფნის გვირგვინთ“, და მალე, ალბათ, იქამდეც მივლენ, რომ აივნებზე გადმომდგარ ჩადუნდუ-

ლებულ-ჩაკურატებულ, თვალებგამობლებილ „ტარიელთა“ წინაშე ასფალტზე მუხლებს მოიყრიან და სერენადებად „აგიტარდებიან“...).

ძველად, ასურეთში, ქალს, რომელიც მუცელს მოიშლიდა, სარზე სვამდნენ... მე არ ვამბობ, მუცლის მომშლელი ყველა ქართველი ქალი სარზე ჩამოვაცვათ-მეთქი; ჯერ ერთი, იმიტომ არა, რომ ეს ინკვიზიციისაკენ გვიბრუნებდა პირს, მეორეც, – ახლა ამდენ სარს ვინ იშოვის, მათი შოვნა ვენახებისათვისაც გვიჭირს, მაგრამ გომბეშო-აბორტმასხერებისათვის ასეთი „სარები“ უეჭველად უნდა მოინახოს; დიპლომიან აბორტმასხერებს საქმე ისე უნდა გაუხდეთ, რომ სტომატოლოგობაზე და რენტგენოლოგობაზე ოცნებობდნენ, რომლებიც, თუმცა „ექიმების“ რიცხვით პირველი ადგილი გვიჭირავს მთელს დუნიაზე, – საქართველოს პატარა მიწა-წყალს სათვალავში მაინც აკლია...

თუკი აბორტმასხერის ავტომანქანების გამტაცებლები ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით რვა წლამდე, რატომ ავტოგამტაცებლებზე ათასჯერ უფრო ბილნი და საშიში, ერის მოღალატენი, ხალხის მტრები არ უნდა ისჯებოდნენ ბევრად უფრო მკაცრად? მაგრამ უნდა ისჯებოდნენ ნამდვილად და მართლაც ყველას გასაგონად და ყველას დასანახად, და არა ფიქციურად! და ეს რაც მალე მოხდება, მით უკეთესია: მათი გამოისობით და პლუს ჩვენი უჭკუობით, სანამ არ ამოვმწყდარვართ, სანამ სულ არ ამოვმწყდარვართ!..

ქალს, სულ ცოტა, ვიდრე ოთხ შვილს არ შობს, აბორტი სასტიკად უნდა აეკრძალოს, და ეს შეტანილი უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ დამატებით მუხლებში, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მოსკოვს უნდა გამოსთხოვონ.

არა მგონია, ამაზე უარი გვითხრან, აკი ეს მათთვისაც ხელსაყრელია: საქართველოში ადგილობრივი რუსი მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა, ჩვენი არ იყოს, მკვეთრად შენელებულია მცირეშვილიანობის გამო.

და თუ ეს შემდეგშიც ასე გაგრძელდა – ეს კი მთელი კავშირის მასშტაბითაც უკვე საგანგაშო ამბად ხდება – კარგი არაფრის მომტანია; ამის თაობაზე, ბოლო წლებში, საკავშირო პრესაში, ეკონომისტებისა და დემოგრაფების არაერთი შეშფოთებული სტატია დაიბეჭდა; ბუნებრივია, უფროს ძმას ბევრად არაფრად ესია მოვლება, თუკი მას უმცროსი ძმები წამოენევიან.

რელიგიას ჩვენში თითქოს დიდი არაფერი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ვინ იცის ეგებ მართლმადიდებლობაც გავვახსენდეს, – აკი ისლამური და სომეხთგრიგორიანული მოსახლეობა ყოველ ათ წელიწადში 30-30 პროცენტით მატულობს და მატულობს!..

რუსეთი, უკრაინა და ბელორუსია საბჭოთა კავშირში უკანასკნელ ადგილზე არიან შობადობის მხრივ (ჩვენ მათ, ერთი პროცენტით, ვითომ „ვუსწრებთ“ – სხვების ხარჯზე!); ამით შეწუხებული „ლიტერატურნაია გაზეტა“ ამას წინათ წერდა:

*«Вполне вероятно, что следует принимать сильно действующие меры для повышения престижа семьи (количество детей в семье)» («ЛГ» 27.12.78)*

თუნდაც ექსპერიმენტის სახით ვუჩვენოთ მათ მაგალითი თუ რა კეთილისმყოფელია ეს *«сильнодействующие меры»*.

არა მგონია, აბორტის სანინაალმდეგო კანონი – მხოლოდ ქართველებისთვისო – ვინმემ დაგვიწეროს, მაგრამ საერთოდ – საქართველოსო, – ამას გონიერმა კაცმა შეიძლება მიაღწიოს – და ჩვენ ამითაც მოგებული დავრჩებით: აბორტს ჩვენში საყოველთაოდ ჯერ ქართველი ქალები იკეთებენ, მერე – რუსები, სხვა ეროვნებათაგან – ათასში ერთი...

ამ კანონის მიღების შემთხვევაში რა თქმა უნდა, გაქსუებული და გადაგვარებული ქართველი ქალები, ამ „წმინდა საქმისათვის“, სხვა რესპუბლიკებში დაინყებენ ნონიალს, მაგრამ მასობრივად და სისტემატურად იქ წაწაღ-ხეტიალი მათაც კი გაუჭირდებათ.

...ამ მონაკვეთის დასაწყისში მჭავანაძის დროინდელ რაიკომის მდივანზე რომ მოგახსენეთ, მან მეორე შეხვედრისას გულთ მთხოვა, მისი ცოლის ნათესავის ავსაქმიანობის ასალაგმავად, რომელიმე გაზეთის რედაქციიდან ეგებ „სასიგნალო“ წერილი გადამეგზავნა, ამ წერილს იმ ქალს ვაჩვენებ, როგორც დოკუმენტს და უფრო გაბედულად დაველაპარაკებო...

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილის ბენო თათარაშვილის დახმარებით, მე ასეთი კორესპონდენცია გავამზადე კიდევ, მაგრამ ამასობაში რაიკომის ის მდივანი სხვაგან – ათიათასობით ფრინველის უფროსად გადაიყვანეს...

ასე და ამგვარად, რაკი იმ დედაკაცს ფრთები ვერ შევაჭერთ, – რაიონის დაუფრთიანებელ პოტენციურ თანამემამულეებს – კიდევ უფრო მეტს და მეტს გადაუძახა რკინიგზის პირას მიმავალ აქაფებულ მდინარეში... მალე მან დამსახურებული ექიმის წოდებაც მიიღო, მაგრამ არა

მგონია, რომ ისიც ოდესმე – ყველა სიკვდილის შვილები ვართ! – ჯოჯოხურ-ყასბური გზით მუცელ-გადმობრუნებულმა კლიენტებმა ისე დაიტვირთონ, როგორც ერთი მისი ახლო ნათესავი – 60 წლის ტანმორჩილი პედიატრი – ქალი, „ხალხის ნამტრალი“, დაუმსახურებელი ექიმი (ასოთამნყოფს ვთხოვ არ შეცდეს: და-უ-მსახურებელი!), რომელიც პატარა პაციენტებმა და უფრო კი მათმა მშობლებმა მდულარე ცრემლით დაიტვირთეს, და არათუ დაიტვირთეს, – ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში და, ალბათ, ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაშიც, – ჭირისუფლებსაც კი არ დაეკითხნენ, ისე დაუდგეს საფლავზე ძეგლი, რომლის საეპიტაფიოდ, ადრე რომ დაწერილიყო, ზედგამოჭრილი იქნებოდა პოეტის ეს სტრიქონები:

...მაგრამ დალოცვილ საქართველოში  
არ შეიძლება არ იყოს ცოტნეც!

\* \* \*

*«Таков закон природы: от варварства  
к образованности переход труден,  
от образованности к варварству  
недалек».*

*Т. Грановский.*

*«Как это верно, что культура начинается  
не с чтения и письма, а с ремесла».*

*Альберт Швейцер.*

მედიცინაში აღწერილია ასეთი შემთხვევა: ყმანვილ კაცს ყოველ დილით სიცხეს აძლევდა, 38 გრადუსამდე...

არა, ის თერმომეტრით არ ეშმაკობდა, სიცხე ნამდვილად ჰქონდა ხოლმე. ჰოდა, რაკი შეუძლოდ იყო აღარც სკოლაში მიდიოდა მაგრამ შუადღისას, სიცხე ნორმალური უხდებოდა და თავს კვლავ ჯანმრთელად გრძნობდა, მეორე დილით კი ისევ აუწევდა, და ასე ყოველდღე, გარდა კვირა-უქმებისა: ამ დღეებში კი ტემპერატურის ანევის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა ექიმებმა დიდხანს, დიდხანს იმტვირთეს თავი, მაგრამ ვერაფერი გაუგეს, საბოლოოდ კი მაინც მიაგნეს სიცხის გამომწვევ მიზეზს: თურმე იმ ჭაბუკს იმდენად არ უნდოდა, ეზარებოდა სწავლა, რომ მთელი მისი ორგანიზმი ბოხოქრობდა და პროტესტს აცხადებდა.

ასეთი „ავადმყოფები“ ჩვენ ათასობით გვყავს, ოღონდ მათ არც აციებთ, არც აცხელებთ: ოღონდ შენ სკოლაში ფორმალურად იარე, მასწავლებლებს დაენახვე და... ათი წლის შემდეგ, სრულიად უმნიფარსაც, სიმნიფის ატესტატს ჩაგაბარებენ. აკი ჩვენში საყოველთაო საშუალო განათლება სავალდებულოა!

ერთმა ნაცნობმა მასწავლებელმა არ დამიმალა ორშაბათობით და პარასკევობით სულ მუდამ კარგ ნიშნებს ვნერ ამ დღეებში გაკვეთილები თერთმეტ საათზე მითავდება და თუ ვინმეს დაუფუნერე ორიანი, სკოლაში ყველა გაკვეთილის დამთავრებამდე, სამ საათამდე უნდა მოვიცადო და ის ოროსანი ვამეცადინო; რა ვქნა. ოჯახის მსგავსი მეც მაქვს რაღაც, მათაც მიხედვა უნდაო...

საყოველთაო საშუალო განათლება, ეს ისეთი მონაპოვარია, რომელიც მართლაც ბევრ კარგ მონაპოვარს აქარწყლებს და ამახინჯებს, საზოგადოება არათუ წინ მიჰყავს, – უკან ექარება და, თვალში ნაცრის შეყრა იქნებოდა ამის უთქმელობა: რყვნის კიდეც.

მე ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ საქართველო მაქვს მხედველობაში, მე პირადად საბჭოთა სწავლების აკვარგიანობა, საერთოდ იმდენად მანუხებს, რამდენადაც ის ჩემი ხალხის სატკივარს ეხება. ამ სატკივარს კი უფრო მტკივნეულს ხდის ჩვენი ყველა სკოლადამთავრებულის მისწრაფება უმაღლესი განათლებისადმი...

მისწრაფებაო!..

ვინ რას იტყოდა, რომ ეს მისწრაფება გულიდან და გონებიდან მომდინარეობდეს, რომ ადამიანი მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად სულით, გულით მიილტვოდეს, – არა, ყველას ნამხედურობით, მასაც უნდა დიპლომი ჯიბეში ედოს, თავში კი რაც უდევს – ორჯერ ორი ოთხი და „აი ია“, – ამითაც კმაყოფილდება.

ენგელსი ამბობს: „ყოველ ადამიანს უდავოდ აქვს უფლება, რათა განავითაროს თავისი ნიჭი და უნარი“, მაგრამ ენგელსი არსად არ ამბობს უნიჭობისა და უუნარობის განვითარებაზე. განა

ყველა ადამიანი, თუნდაც საბჭოთა, ერთნაირად ნიჭიერი და უნარიანი იბადება? ამაზე პასუხის გაცემა უხერხულიც კი არის, იმდენად სიბრძნეა თავად ამ კითხვის დასმაც კი.

საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატის მიცემა არ იყოს მთაში მოჩუხჩუხე წყაროსთან ჭიქა წყლის ჩამორიგებასავით გაადვილებული, და არაფერი საჭიროა, ექვსი-შვიდი კლასის შემდეგ, ვისაც სწავლა არ უნდა, ცოდნას ცხვირში პიტნასავით ვატენიდეთ. სულ ერთია, ამ ჩვენს პედაგოგიურ ნაძალადეგ ჩალიჩს კარგი შედეგი მაინც არ მოაქვს: ამით ათასობით საშუალო განათლების „მქონე“ პრეტენზიანი უფიცი გვემატება, რომლებიც ფიზიკურ შრომას ყიალსა და ხეტიალს, სხვის ჯიბეში და სხვის სულში ხელების ფათურს ამჯობინებენ: სად საშუალო განათლება და სად თოხი, სად ჩაქუჩიო!.. ტყუილად იარა (დიახ ისწავლა კი არა, –იარა!) „ვაჟკაცმა“ ათი წელიწადი სასწავლებელში?!

კაცი რომ დაუჟვირდეს, ლოგიკის მოსაზრებით, თითქოს არც გაემტყუნება; შენ ეუბნები, წაღი პარიკმახერად, ან ხარატად ან სანტექნიკოსად ანდა ის პასუხს გაძლევს: მაშინ რატომ მატარეთ ათი გრძელი წელიწადი სკოლაში, როცა პარიკმახერობის შესწავლას სამი თვე უნდა, ხარატობას დიდი-დიდი, წელიწადი, სანტექნიკოსობას კი იმაზე ნაკლები...

მე ვმსჯელობ, ცხადია, ჩვენი სატკივრის მიხედვით მხედველობაში ჩვენი თავისებური, ქართული ხასიათი მაქვს, თორემ, მაგალითად, სომეხს სრულებითაც არ ეთაკილება, რა განათლებაც უნდა ჰქონდეს, ხელოსანიც იყოს... ეს არის მათი ნაციონალური ხასიათის დიდებული ნიშანდობლივი თვისება. და ეს თვისება საშუალებას აძლევს მათ, რომ მყარად იდგნენ არამშობლიურ მიწაზეც კი...

სომხები თბილისზე, როგორც თავიანთ სატახტო ქალაქზე, ფარულად იმიტომაც გვედავებიან, რომ მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე, და მერეც – ნიკოლოზის ჩამოგდებადღე, თბილისი მათი კულტურის ცენტრი იყო, აქ იყრიდა თავს სომხური ინტელიგენციის დიდზე დიდი ნაწილი...

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეს დასაყრდენი თანდათან გამოეცალათ და იძულებულნი გახდნენ პირი თავიანთ მეორე დედაქალაქ ერევნისაკენ ებრუნებინათ, – ჩვენ ამით მათ, ობიექტურად, დიდი საისტორიო საქმე გავუკეთეთ – შევავარეთ მათივე მიწა-წყალი...

ეს – ინტელიგენციას კი, მაგრამ ხელოსანთ?! ხელოსანთ ვერაფერი დავაკელით, რაკი ჩვენი არა გვყავს, რაკი ხელოსნობას ჩვენ არ ვკადრულობთ, რაკი ჩვენ, ერთმანეთის ნაბაძვით, ყველას „თეთრი საქმე“, პროფესიონობა გვინდა...

და ჩვენ ხომ უმაღლესი განათლების მხრივ (არა ფაქტიური ცოდნით, – დიპლომების რაოდენობით!) პირველ ადგილზე ვართ დედამიწის „ზურგზე!“..

პატარა ამბავი ხომ არ არის, აი თუნდაც ის, რომ საქართველოში ამჟამად 25 ათასი მეცნიერია, სამ მილიონიან ხალხს 25 ათასი მეცნიერ-მუშაკი ჰყავს, მაგრამ რა ბედნიერება იქნებოდა ერისათვის, ამდენივე მუშაკი მაინც – მღებავი, მებათქაშე, ქვისმთლელი, დურგალი, მეპარკეტე, ხურო, მეჩექმე, კალატოზი გვყოლოდა!..

(სწორედ ამ 25 ათას „მეცნიერთაგან“ გახლდათ ის, ვინც სიცოცხლის უკანასკნელი წლები მოუშხამა „არამეცნიერს“ ალექსანდრე ნეიმანს, რომელიც ათეული წლების მანძილზე იშვიათი გულმოდგინებით კრებდა, აგროვებდა, ახარისხებდა ქართულ სინონიმებს და უბრაზაბრუხოდ მაგიდაზე დაგვიდო წიგნი, რომლის დარი ჩვენზე უფრო მოზრდილ ერებსაც არ გააჩნიათ.

ამ „დამწყებმა მეცნიერმა“ კი, ამ თხუთმეტობდე წლის წინათ, უნდა ვივარაუდოთ, მასზე უფრო „დიდმეცნიერების“ ნაქეზებით და ჩაგონებით, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, ერთი ავტორის პირობაზე, ვეებერთელა ნაშრომ-ნაღვანი, ბზის გამქექავი ქათმის მეთოდებით ისე მოთხარა და გააქიქა, რომ მასში ხორბლის ერთი მარცვალაც ვერ მონახა...

თავისთავად საინტერესო და საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „პატივცემული“ რეცენზენტის მთელი აქტიური მეცნიერული მოღვაწეობა, მგონი, ამით მოთავდა: მისი გვარი ამის მერე, სამეცნიერო ასპარეზზე მორბენალთა შორის, აღარც შემხვედრია... ეგებ დუმილი იმით აიხსნება, რომ სინონიმების სრულყოფილ ლექსიკონს გვიდგენს, ა? ღმერთმაც ქნას, როგორც იტყვიან, ჩვენს თხას მგელი დაეჭიროს, თუმცა... ამის მნახველი, გველეშაპ ნესის არ იყოს, ჯერ არ გვინახავს, ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ ორმოცათასიანი მესამე გამოცემა კი სულ აგერ ახლა, შარშან ვიხილეთ!).

...ერთი საქვეყნოდ გამოჩენილი ფრანგი სოციოლოგი ე. მიშენი წერს:

*«Чрезмерная любовь к науке подорвет в конечном итоге моральные устои общества в еще большей степени, чем чрезмерная любовь к деньгам («ЛГ», 24, 1959 г.)*

ა?! ეს რა გავიგონ-წავიკითხეთ?!

რასაკვირველია, მიშენის აზრი, როგორც... მმ... ბურჟუაზიული მკვლევარისა, ჩვენ შეგვიძ-

ლია არ გავიზიაროთ, მაგრამ ერთგვარ ჩაკვირვებას მაინც იმსახურებს: თქვენზე ვერაფერს ვიტყვი, თავს არ მოგახვევთ, მე კი აქამდე ყველაზე საშიში სენი საზოგადოებისათვის მექრთამეობა-მომხვეჭელობა, კორუფცია, ფულის კულტი მეგონა, ეს კი ამბობს... მეცნიერებააო! და მერე, თანაც, როგორი სიყვარული მეცნიერებისადმი? ნამდვილიც კიო!

ჰოდა, მეცნიერებისადმი ჭარბ სიყვარულსაც თუკი შეუძლია საზოგადოების ზნეობრივ მხარეს ძირი გამოუთხაროს, მაშინ რაღას უნდა მოველოდეთ მეცნიერებისადმი მოსაჩვენარი, ანგარებიანი სიყვარულისგან? მაშინ ამან ხომ სულ უნდა დააქციოს საზოგადოება?!

მართლაცდა, შეიძლება კი მთელი ქვეყანა, დიდი იქნება თუ პატარა, მხოლოდ ინტელიგენციისაგან შედგებოდეს?! თუნდაც ეს ინტელიგენცია „ვითომი“ კი არა, ნამდვილი იყოს? ყანა ვიღამ დაამუშაოს, ჩარხი ვიღამ აამოძრავოს, ავადმყოფს სასთუმალი ვინ აუმაღლოს, დახლში ვიღა ჩადგეს?!

ლევ ტოლსტოის ერთი ვაჟი პატარ-პატარა რაღაცეებს წერდა, მამამ შეატყო, ტყუილად ცდებოდა, გამოსაჩენ რამეს ის ვერასოდეს ვერაფერს დაწერდა და, თუმცა ამის თქმა მისთვის, მამისათვის, ალბათ სამძიმო იყო, უთხრა მაინც:

*– Зачем ты пишешь? Лучшие займись другим делом. Полезным делом. А полезных дел вокруг сколько душе угодно. Ну хотя бы подметать улицы – тоже полезное дело.*

ეს კი, მაგრამ...

აბა რომელი ქართველი, თუნდაც არაკუდაბზიკა, დაგვიდგება მეეზოვედ? ერთმა მითხრა, თუკი საქართველოში მარტო ქართველები იქნებიან პირველი მე დავდგებიო... ამ სურვილს, აბა, ვინ მამაღმერთი შეუსრულებს ამიტომ, რაკი გაუნათლებელს ჯიბეში განათლების დამადასტურებელი ტკიცინა გერბიანი ქალაღლი უდევს, განათლების მინისტრობა უნდა მოინდომოს?! თუ არადა, დამნაშავეობა არჩიოს „სამოღვანეოდ“ თვით საზოგადოებაც ხომ არ უწყობს ხელს, საყოველთაო-სავალდებულო სწავლებით წლები რომ გააცდენინა სკოლის უფროს კლასებში სიარულით?!

\* \* \*

**Мы путь земле укажем новый,  
Владыкой мира будет труд...**

**რევოლუციის პირველი წლების  
ერთ-ერთი სიმღერიდან.**

არა მგონია, იმდენი უსაქმური საერთოდ და, კერძოდ ძალად „განათლებული“ უსაქმური, რამდენიც საქართველოშია რომელიმე სხვა რესპუბლიკაში მოიძებნებოდეს.

ამ სულით ლატაკ მუქთახორებს თავი უმუშევრებად მოაქვთ. მარქსი მუქთახორობაზე, რამდენადაც ვიცი, არსად არაფერს ლაპარაკობს, უმუშევრობაზე კი...

უმუშევრობა, თქმა არ უნდა, საზოგადოებისათვის სიკეთის მომტანი არ არის, მაგრამ მუქთახორობა კი გაცილებით დიდი უბედურების მომტანია. ჩემი პატარა „ეკონომიკური“ ჭკუით იმასაც კი ვიტყვოდი, რომ მცირეოდენ უმუშევრობას სახელმწიფოსათვის გარკვეული სარგებლობა მოაქვს; დასაქმებული ადამიანი გულდაგულ შრომობს, სამუშაო ადგილს უფრთხილდება, მიში აქვს, მცონარობის გამო მის ნაცვლად სხვა არ მიიღონ.

საბინაო კანტორაში წყალსადენის ოსტატად მომუშავემ, არცთუ დიდი ხნის წინათ ქალაქ აბოვიანიდან გადმოსულმა სედრაკ ენფიჯიანმა ერთხელ მითხრა: „იძახი სომეხი, სომეხი, სუ სომეხი იძახი... აბა გაიხედე, პრესტუჰნიკი სუ ქართველია...“

არა, იმ „პრესტუჰნიკებში“ სომხებიც ურევია, მაგრამ ორ მესამედზე მეტი რომ ქართველია, – ეს მილიციის სტატისტიკური განყოფილების დასტურს არ საჭიროებს, ჩვენი უბედური თვალებით ამას ყველა ვხედავთ და გულშემოყრილნი ყველანი ვგრძნობთ.

...ფინეთში, კარგა მოღამებისას, გლეხები გზატკეცილზე, თავის ჭიშკრების წინ, ახლად მოწველილი რძით სავსე ბიდონებს გულდამშვიდებული გამოდგამენ ხოლმე; ალიონზე მათ რძით მოვაჭრე ფირმები სპეციალური მანქანებით ჩამოუვლიან და ქალაქად მიაქვთ. ჩვენშიც... პირველი ხუთწლედებისას თბილისის ქუჩებში თუნუქის საფურთხებლებს ეკლიანი მავთულით საგანგებოდ ამაგრებდნენ, მაგრამ მათ მოპარვას მაინც ახერხებდნენ. ცხადია, იპარავდნენ არა საფურთხებებს როგორც საფურთხებებს, – მასალას მისას, „ჟესტს!“

ამ უკანასკნელ ორმოც წელიწადში ცხოვრება წინ წავიდა, ამას თუნდა ისიც ადასტურებს,

რომ ბოლო ხანებში რკინის ბადურებში ჩასმული ქაშანურის საფურთხელებიც დაგვიდგეს. მაგრამ უკვე ბევრი მათგანი, ნაკლებად გამოსაჩენ ადგილებში, ცამ აიტაცა თუ მიწამ ჩაიტანა, ეს კია, ჩვენს თვალებს ველარ ახარებენ.

ჩემს სოფელში ერთი ეული, ხნიერი გლეხკაცი ცხოვრობდა, კვირიას მალაქია, – ცოტა მოზარმაცო, ცოტა მოფილოსოფოსო: სარჩო-საბადებელი ჩიტების სამყოფი თუ ებადა, მაგრამ მის დასაცავად, ანდა უფრო, ალბათ, ხრიოკი, მელოტი ეზოს დასამშვენებლად საიდანაც ფერდებ-მელენილი ნაგაზი მოიყვანა... ყმანვილმა ერთხელ ვკითხე, რას აჭმევ, ბიძია, ძაღლს-მეთქი, გაიკვირვა, მე რა უნდა ვაჭამო, ძაღლმა თვითონ უნდა იშოვოს თავისი საჭმელიო...

ჰოდა, ძალაუნებურად გაიფიქრებ კაცი, – იმდენად არა მოზარმაცო, რამდენადაც მოფილოსოფოსო, – ეს კრედო ხომ არ უდევს ბაზისად ჩვენში ასე ფეხმოკიდებულ ყოველნაირ ქურდობას და მრავალ სხვა სიგლახესაც, აკი ის ძაღლიც, რაკი ძაღლობით თავი ვერ ირჩინა, მელად იქცა; ჯერ ქათმებით იჯერა მშიერი კუჭი, მერე და მერე კი, თუმცა ფერდები ამოენია, შეჩვეულ სინუნკეს არათუ მოეშვა, – ერთიორად გამსუნაგდა: ახლა უკვე მსხვილ ფრთოსნებს, ბატ-ინდაურთ დაასო ჯერ თვალი და მერე კბილი...

წინათ საქართველოში არც ამდენი სასწავლებელი იყო და არც ამდენი ნასწავლი ხალხი, მაგრამ არც ამდენი დამნაშავე მოიძეებოდა, განსაკუთრებით ქალი-დამნაშავე, ანდა მოზარდი-დამნაშავე ეს ისეთი იშვიათობა გახლდათ, როგორც ახლა მზის დაბნელებაა...

ამ მოზარდს ვეხვეწებით და ვემუდარებით, თუნდაც არც ნიჭიერება უწყობდეს ხელს და არც თავად ჰქონდეს იოტისოდენი სურვილი სწავლისა, – ოღონდ სკოლაში იაროს, ოღონდ იაროს და... მისი სიმწიფის ატესტატი ჩვენზე იყოს! – ნაცვლად იმისა, რომ შვიდი კლასის შემდეგ პრაქტიკულ შრომითს საქმიანობაში ჩავაბათ და მომავალ ცხოვრების გზაზე შევაცენოთ...

გრიგოლ კობახიძე, ამ საქმის დიდი პრაქტიკოსი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის წოდება, სწავლისადმი გულგრილად განწყობილ მოსწავლეზე ამბობს, თუ თვითონ არ არის მონადინებული, ამეცადინეთ რამდენიც გინდათ, მაინც არაფერი გამოვაო.

ჰოდა, შეიძლება ადამიანს, – პატარა ბავშვებს არ ვგულისხმობ, – სწავლა და ღვინო დააძალო? ღვინო კიდევ ჰო, მაგრამ სწავლა?!

განა რამედ ღირს, უკვე დასრულებული ვაჟკაცი, გარიცხვის დამუქრებით და ქამანდით, ლექციაზე მიიყვანო?! კარგი და, მოიყვანე, სულ ერთია, მერხზე გინდ ის მჯდარა, გინდა მისი „დუბლიონკა“, არც ერთი არ ისმენს ლექტორის – თუ ის, მით უმეტეს, ოთობოთოა, – ოჭობოჭი-ას...

დიახ, ამდენმა საყოველთაო-სავალდებულო სწავლა-განათლებამ ბევრს ცხოვრების გზაკვალი აუბნია, ბევრსაც შეაჯავრა მიწა და სოფელი, ქართველი ხალხის სასიცოცხლო ბალავარი...

წინათ კაცი სოფელს თუ ტოვებდა, ქალაქში მუშათა კლასს ემატებოდა, ახლა ტოვებს და ქალაქად მეტწილად პარაზიტული ელემენტების რიგებს ავსებს.

სწავლა-განათლებამ, რაკი ასე საყოველთაო და სავალდებულო გახდა, დაკარგა თავისი ადრინდელი ფასი, თითქმის მოისპო ზღვარი მართლა განათლებულსა და მართლა გაუნათლებელს შორის. ახლა ამა თუ იმ პროფესიის კაცი საშუალოზე ზევით აღარ მიისწრაფვის, ამისათვის აღარ იტკივებს თავს, აკი ხედავს, რომ მასზე გლახა, თუ უკეთესად არა, ყოველ შემთხვევაში მასზე ცუდად არ ცხოვრობს...

კარგი მაგალითი ვისგან უნდა აიღოს კაცმა, აღარ იცი! მე ვიცნობ ერთ მასწავლებელ ქალს, რომელიც პაპიროსს, მონაფეების წრეშიც კი, ისე ახრჩოლებს, როგორც ძველი დროის ორთქლმავალი, სამოქალაქო ომის დროს შეშით რომ ახურებდნენ. არ გამიკვირდება, მივიდეს მასთან „აქსელერანტი“ – მეთექვსმეტე და უთხრას: „მას, სიგარეტი არა გაქვს? მეც მინდა მოვქაჩო“... ამავე დროს ეს მასწავლებელი უბრალო მასწავლებელი როდი გახლავთ, – სამაგალითოა, დამსახურებული. მისმა დიდმა პორტრეტმა, როგორც ღირსეული მასწავლებლისამ, ერთ-ერთი საღამოს გაზეთიც კი დაამშვენა...

ჰოდა, ამ სამაგალითომ რა მაგალითი უნდა მისცეს თავის აღსაზრდელებს? განა უნდა გაგვიკვირდეს, თუ გავიგებთ, რომ თბილისის სკოლებში, მეექვსე-მეშვიდე კლასელი გოგონებიც კი, თამბაქოს ეწევიან?! კაცს ცივი ოფლი დაგასხამს, ცივზე ცივი!..

...თქვენ შორის ყველაზე მეტად, ალბათ, ბატონ გრიგოლ აბაშიძეს ეხსომება ოციანი წლების პროლეტარული პოეტი სანდრო ეული.

აი ის, ერთი ასეთი ლექსიც რომ ჰქონდა – „ვზივარ, ვზივარ ცეცხლის რაშზე...“ და ამის გამო მოქილიკენი რომ კვიმატობდნენ, ცეცხლის რაშზე თუ ზის ეს დალოცვილი, საჯდომი არ ეწვი-სო?!

ჰოდა, ამ ამხანაგმა სანდრომ, პარტიის ყრილობის ტრიბუნიდან, ოპერის, როგორც საზიზლა-

რი ბურჟუაზიული აგენტურის, პირდაპირ დანვა მოითხოვა, – იქ ნეპმანები დადიანო.

მართლაც, იმ ხანებში ჩვენი საოპერო თეატრი ყოველ საღამოს ხალხით იყო გაჭედილი, უფრო ინტელიგენციით, ვიდრე ნეპმანებით...

ალარ მახსოვს, ოპერა წარმოდგენის მსვლელობის დროს უნდა დაენვა თუ წარმოდგენის შემდეგ, ეს კი მახსოვს, დანვის მოსურნეს ქალაქის ბრანდმაიორმა ბერიძემ ერთი ვედრო ცივი წყალი გადაასხა და ცეცხლის რაშიდანაც გადმოსვა, მაგრამ პოეტ – „ჰეროსტრატეს“ მარტო ეს არ აკმარეს: ოპერის შენობის ფონზე ანთებული ჩირაღდნით ხელში – გამოსხატა ერთ-ერთი ნომრის თავფურცელზე იუმორისტულმა ჟურნალმა „ტარტაროზმა“ (სხვათა შორის, ამას მალე სახელი „ნიანგზე“ შეუცვალეს: აბა სად არიან ტარტაროზები საქართველოშიო, თითქოსდა ნიანგები კი იყვნენ!).

ეს ამბავი იმასთან დაკავშირებით მოგიყევით, რომ ახლა უფრო გვესაჭიროება... არა დამწვევლი, ცხადია, მაგრამ მიმხურავი კი – ჩვენს პატარა საქართველოში ასე მომრავლებულ, ზოგიერთ „სამეცნიერო ტაძრისა!“

ცოტა იყოს და მართლაც კარგი იყოს! ისწავლოს მან, ვისაც სწავლა მართლაც გულით სწავლია, და არა სწავლას ამოფარებულმა უზნეო ავკაცმა.

აბა გვითხრან, რომელმა უმაღლესმა სასწავლებელმა ჩააბარა, საზეიმო ვითარებაში, ინჟინრის წითელი დიპლომი მას, რომლის მიერ აშენებულმა რვასართულიანმა სახლმა შესახლებისთანავე – უმინისძვროდ, უმინისძვროდ! – ნგრევა იწყოს და მობინადრენი სასწრაფოდ რომ არ გამოესახლებინათ, მიიჭეჭყ-მოიჭეჭყებოდნენ...

ამის შესახებ – მაღლობა „ოქროპირს“! – ტელევიზორში კი გვამცნეს, მაგრამ დრო მის შემდეგ თუმცა ბევრი გავიდა, კონკრეტული დამნაშავეების ვინაობანი საზოგადოებამ აქამდე რატომღაც ვერ შეიტყო. მისცეს კი, საერთოდ, ისინი პასუხისგებაში? თუ არ მისცეს, ამაში ეჭვი ნუ შეგეპარებათ, იმ ნასახლარზე და მის გვერდითაც, და ბევრ სხვაგანაც, ისეთივე სახლები აშენდება, როგორც ააშენეს...

არა მგონია იფიქროთ, რომ მე ბუნებით ბოროტი კაცი ვარ და, როგორც ასეთს, სისხლი მწყუროდეს და პროკურატურას და სასამართლოს ციხეების ავსებისაკენ მოვუწოდებდე, მაგრამ, კერძოდ ამ შემთხვევაში, როცა შენ საცხოვრებელი სახლისათვის განკუთვნილ ცემენტს იტაცებ, რათა შენი ისედაც გაბერილი სტომაქი კიდევ უფრო მოალორო, თანაც ისიც იცი, რომ უცემენტოდ აშენებული სახლი ნკიპზე ეკიდება, – ასეთი „ინჟინერი“, რა თქმა უნდა, ნამდვილად ხალხის მტერია და მისი განუსჯელობა ისეთივე დამლუპველია, როგორც „განსჯაც“, ამ ორმოცი წლის წინათ განუკითხავად რომ მიმართავდნენ... მაშინ, მაგალითად, უნივერსიტეტის „ჩემი“ რექტორი, კარლო ორაგველიძე, თვალის დახამხამებაში გააქრეს მხოლოდ იმიტომ, რომ, მანამდე ორმოცამდე კაცის ჩამყრელმა ლიპარიტე ყურუამ, სადაც „ჯერ არს“, აცნობა, – ხალხის მტერმა ორაგველიძემ გუშინ სტუდენტთა ბუფეტში მანონი არ შემოიტანაო (ვიდრე განაჩენს გამოიტანდნენ, ჭეშმარიტება რომ დაედგინათ, ინკვიზიტორებმაც კი, სასამართლოში მხატვარი ელ გრეკო სამჯერ გამოიძახეს)...

ჰოდა, ახლა ესეც ვიკითხოთ, ის იყო ხალხის მტერი და რვასართულიანი სახლის ხუხულასებრ ამშენებელი ხალხის მეგობარია?! ხალხის მეგობარია ის, ვისაც აზრად მოუვიდა, მანძილის შემოკლების მიზნით, კიროვის პარკი კიბით დაეკავშირებინა სანაპიროსა და ვერის ხიდთან, მაგრამ განა ხალხის მეგობარია ის, ვინც ამ საშვილიშვილო კიბის საფეხურები, „ეკონომიკური მოსაზრებებით“, იმდენად ვიწრო და მოკლე გააკეთა, რომ ფეხის მხოლოდ ორი მესამედილა თუ იდგმება და ჩამსვლელები დაცემის შიშით, უფრო გულის კანკალით ეშვებიან, ვიდრე ცირკში ბაგირზე მოსიარულენი?!

ისე არ გამიგოთ, თითქოს ამ მაგალითების საფუძველზე, მე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიკეტვას მოვითხოვდე – მე ის კაცი არ გახლავართ, ცეცხლის რაშზე რომ იჯდა...

ეს ინსტიტუტი ბევრ კარგ ინჟინერსაც უშვებს, ძალიან კარგებსაც და აქა-იქ შეიძლება ჩინებულებსაც, მაგრამ საერთო მასა მაინც დაბალ დონეზე დგას, არა მარტო ტექნიკური ცოდნა-განათლებით, ზნეობრივი ასპექტითაც... და ის ერთადერთი გამონაკლისი როდი არის, სამწუხაროდ!..

მე ვიცნობ ერთს – იურიდიულ ფაკულტეტდამთავრებულს, რომელსაც „ჭ“ „ჯ“-სგან ვერ გაურჩევია, განაჩენები კი გამოაქვს; ბევრს ვიცნობ დიპლომიან ფილოლოგს, რომლებიც გამართულად სამსტრიქონიან განცხადებასაც ვერ დაგინერენ...

ილია ჭავჭავაძე, სათვალავში თუ არ ვცდები, საქართველოსთვის ორმოციოდე აგრონომს ნატრულობდა; ახლა აგრონომები ათი ათასობით გვყავს, მაგრამ იმ ათასებიდან ბევრი ვერც მყნის, ვერც სხლავს...

რატომ? თუკი წინამძღვრიანთ კარის პატარა სკოლადამთავრებულს ამ დარგში, როგორც იტყვიან, არაფერი არ ეშლებოდა, რალა ემართებათ პროფესორ-აკადემიკოსებსა და დოქტორ-



კანდიდატების მიერ განვრთნილ-განაფუთვით? საქმე ის არის, რომ წინამძღვრიანთკარელი მთელი გულით შრომობდა... შრომობდა, ესე იგი სწავლობდა!

ზოგს ჰგონია, რომ სწავლას შრომა არ უნდა, რომ სწავლა შრომა არ არის! რა თქმა უნდა, იქ, სადაც სწავლა მოჩვენებით ხასიათს ატარებს, სადაც სწავლა გაადვილებულია და მიფუჩიჩებულის, ცხადია, იქ სწავლას შრომის სუნი არც უდის!..

და ამის შედეგიც, როგორც „კარგი“ ქართულით ვიტყვით ხოლმე, „სახეზეა!“

შრომის უნარი და ნიჭიერება ისე არიან ერთმანეთზე გადახლართული, ყმანვილს უკვე დაბალ კლასებშივე შეეცყობა.

ჰოდა, ვისაც არც ერთი აქვს და არც მეორე, – იმას, მონყალეებასავით, არც საშუალოს დამთავრების მოწმობა უნდა ეძლეოდეს, რომ მერე, მშობლებიანად, უმაღლესის კარების წინ არ გამოიფგიმოს. მაშინ შესაძლოა 25 ათასი „მეცნიერი“ აღარც გვეყოლოს, მაგრამ რაც გვეყოლება, – ალუმინი თავს ოქროდ ვერ შემოგვატყუებს.

ძველად, ხიდის გამძლეობის გამოცდისას, მისი ამშენებელი-ინჟინერი ხიდქვეშ დგებოდა: თუ ჩაინგრეოდა, ნანგრევებში პირველი ის უნდა მოყოლილიყო.

როგორ ფიქრობთ, ასეთი ინჟინერი, თავის სამშენებლო ობიექტს, რკინასა და ცემენტს დააკლებ-მოჰპარავდა?!

„რიჩარდმა“ ბევრს აანეინა თავი ზევით და, მგონი, ყველაზე მეტად თეატრალურმა ინსტიტუტმა მოიღერა ყელი, რობერტ სტურუა ჩვენი გამოზრდილიაო. კი, მაგრამ თუკი ჩვენი სათეატრო უმაღლესი სასწავლებელი ტალანტების ასეთი სამჭედლოა, რატომ სხვა, მეორე სტურუაც ვერ გამოჭედა?!

თეატრალური საზოგადოების მონაცემებით, ამჟამად საქართველოში... 175-მდე რეჟისორია! აქედან, სულ ცოტა, 150-მა მაინც დაამთავრა ხსენებული ინსტიტუტი, და თუ ბუნებრივ ნიჭიერებას, შერწყმულს შრომისმოყვარეობასთან, ბევრი არაფერი მნიშვნელობა აქვს, რატომ ასეთი მწირი მოსავალი გვაქვს? ისე, კაცი გულახდილად თუ იტყვის, საბჭოთა ჰუმანიზმი რომ არა, იქ თავმოყრილი მრავალრიცხოვანი „პროფესურ-დოცენტურა“ არ გეცოდებოდეს, ეს ინსტიტუტი უკვე დიდი ხანია მართლაც მისახურია...

შეიძლება საშუალო სკოლადამთავრებულს სწრაფად კითხვა მაინც არ შეეძლოს? შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, დიპლომიანმა ექიმმა – ექიმისათვის სულ უბრალო რამ – არტიერიული წნევის გაზომვა არ იცოდეს?!

ეს ყოველივე კარგი, მაგრამ... შენ შეგიძლია თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრო ისე და სცენაზეც გამოხვიდე ისე, რომ... ლაპარაკი არ გეხერხებოდეს!

მე მეტყველების კულტურაზე მოგახსენებთ. სწორი, მართებული დიქცია ისეთი ელემენტარული რამ არის, რაც მსახიობს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება, მოეთხოვება აი, თუნდაც ისე, მასპინძელმა სასურველ სტუმარს, – დაბრძანდითო, სკამი რომ შესთავაზოს.

ამბობენ, კარგი დიქციით მსახიობი თავის ზრდილობას გამოხატავს მაყურებლის მიმართო. მერედა ჩვენ, მაყურებლებს, ქართულ თეატრში, როგორი ზრდილობით, როგორი თავაზიანობით გვიმასპინძლებიან?

ამჟამინდელი ქართული თეატრის, და მაშასადამე, ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო მაყურებლისათვის, ყველაზე დიდი უბედურება სწორედ დიქციაა, თუკი, საერთოდ დიქცია ეთქმის დუდღუნს, პრუტუნს, ფლიქინს, ღმუილს, ჭყლოპინს...

ჩვენს ორივე აკადემიურ თეატრში, თითოეულში, 10-12 მსახიობი თუ მოინახება ისეთი, „ქრისტიანულად“ რომ მეტყველებენ, დანარჩენები კი... მით უმეტეს პროფილში თუ ლაპარაკობენ, და თუ ზურგით დგანან, მაშინ ხომ თქვენთვის სრულიად გაუგებარ, სუახილის ენაზე მოლაპარაკედ მოგეჩვენებათ...

ჰოდა, ვაშა ქართველ მაყურებელს, რომ ის ქართული თეატრის, ასე თუ ისე, მაინც ხშირი სტუმარია, მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის სიტყვიერი მასალიდან ორი მესამედი ძლივს გამოაქვს. ბევრი მათგანი – სირცხვილით! – საკუთარ თავს აბრალებს, ალბათ სმენამ თუ მილალატა, კარგად ვერ გავიგონეო, რუსთაველის თეატრში კი ზოგიერთები თავს ცუდი აკუსტიკით იმართლებენ.

კი, მაგრამ ეს დალოცვილი აკუსტიკა რაღა მაინცდამაინც ქართულ ენაზე იყრის თავის გულისჯავრს? ფრანგული და გერმანული თეატრების გასტროლების დროს მე განგებ სხვადასხვა კუნჭულიდან – ქანდარაზეც კი ავბობლდი, – ვუსმენდი მათ და ყველა სიტყვა მკაფიოდ მესმოდა: ამ ენების ბევრი კი არაფერი გამეგება, მაგრამ ერთი სიტყვა როდის მთავრდება და მას მეორე როდის ენაცვლება, ამის გარკვევა კი შემეძლია; ჰოდა, არც ამ ენებისთვის და არც ჩემთვის „ცუდი აკუსტიკა“ არ გამოდიოდა შემფერხებლის როლში.

რ. სტურუას „გამოჭედვის“ არ იყოს, ჩვენი თეატრალური ინსტიტუტი ნუ დაიქანდის, რომ სწორედ მათ ააოქროპირეს, მაყურებლის ყურისა და გულის გასახარებლად, ეროსი მანჯგალა-

ძე, რამაზ ჩხიკვაძე, გიორგი გეგეჭკორი, ავთანდილ მახარაძე, გურამ სალარაძე, სალომე ყანჩელი, მედეა ჩახავა, მარინე თბილელი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ირაკლი უჩანეიშვილი, იაკობ ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე, ელენე ყიფშიძე, მედეა ჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი...

გიორგი შავგულიძეს არასოდეს არ გაეგლო თეატრალური ინსტიტუტის გვერდითაც კი, მგონი არც თენგიზ ჩანტლაძე გახახუნებია ოდესმე მის კედლებს, მაგრამ...

ჰოდა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილნი და ორი ათეული კიდევ სხვაც ბუნებამ შექმნა მსახიობებად და ასეთივენი იქნებოდნენ, თეატრალურ ინსტიტუტს დაამთავრებდნენ თუ არ დაამთავრებდნენ...

ერთი რამეც – ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, ჩემთვის! – უეჭველია: არც რუსეთში და არც უცხოეთში ჩვენს თეატრებს ასეთი საშურველი წარმატება არც ექნებოდათ, რომ იქ ქართული ესმოდეთ; ჩვენდა საბედნიეროდ, იქაური მაყურებელი, ცხადია, ვერ ხვდება, როგორ უნიათოდ მეტყველებს ქართველ მსახიობთა დიდი, დიდი უმრავლესობა...

საერთოდ, არტისტული ძალების მხრივ, დღევანდელი ქართული თეატრი დიდ გასაჭირშია; მართალია, სახალხო არტისტები რიცხობრივად თავზე საყრელად გვყავს, მაგრამ ზოგჯერ მეზობელმაც კი არ იცის, მისი მეზობელი – სახალხო არტისტი რომ საერთოდ მსახიობია; განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ახალგაზრდა მსახიობების გამოზრდისა და გამოვლინების მხრივ...

წინათ თეატრებთან არსებობდნენ სტუდიები, სტუდიელები, „ენის ადგმისთანავე“ უშუალოდ სპექტაკლებშიც მონაწილეობდნენ: ზოგი რჩებოდა, ზოგიც იცხრილებოდა, – დროულად.

სცენა აბანოსავითაა, ნიჭი და უნიჭობა ერთბაშად თვალში საცემია. ამის შესატყობად არ არის საჭირო, ყმანვილმა კაცმა ხუთი წელიწადი თეატრალურ ინსტიტუტში ტვინი დაიმძღვიოს!..

რეზიუმესავით:

დიდად სასიხარულოა, დიდად საამაყოა, რომ „გავაოგნეთ ინგლისი“, მაგრამ ჩვენც ისე ნუ გავაოგნდებით, რომ ერთი კარგი ქართული ანდაზის სიბრძნე დავივიწყოთ: ჩემს დაჭედულ ხარს მე უფრო ვიცნობო...

\* \* \*

**„ერთი შვილ მაინც გაგზარდე“,  
დანისტი – ნარკომანია...**

ჯერ ორი შვილი რა არის და... ერთი?!

...ვაკის სასაფლაო. ერთადერთი შვილის საფლავზე დედა ცისმარე დღე დადის... საფლავის მოვლა-გამშვენებებზე ათასებს ხარჯავს... შავი გრანიტი უკრაინიდან ჩამოატანინა, კვიპაროსები – ბათუმიდან... შვილი ავტოკატასტროფაში დაეღუპა; როგორც იტყვიან, საწყალმა თავისივე ხელით იყიდა სიკვდილი: პირდაპირ რესტორნიდან მთვრალი მიუჯდა საჭეს და... გზატკეცილის პირას მდგომი „კატოკი“ ბუზად მოეჩვენა, – აბა ბუზი რას მიზამსო და, შეასკდა...

სამი თანამეინახეც იმსხვერპლა...

ახლა დედას შიშის ზარს ჰგვრის ყოველი მანქანის დანახვა, მაგრამ რა ქნას, ქალაქის ქუჩებში, აბა სულ თვალედახუჭული ხომ ვერ ივლი...

ჯავრი ღრღნით და ჯავრი ადნობთ მასაც და მის ქმარ-პროფესორსაც, რომ შვილს... სურვილი ერთი იყო და უმაღვე მანქანა მიუგორეს.

სამარეზე დარგული ვარდებისათვის სპეციალურად დაქირავებული მომვლელი ჰყავთ მიწნეული, – მიკიჩა... ხან მიკიჩა მიუსხამს ხოლმე მათ წყალს, ხან – მისი შვილები: შვიდიდან რომელიმე...

...14 წლის გოგონა, მშობლებისათვის ერთადერთი მზე და ერთადერთი მთვარე, საქმეზე რომ მიმდგარიყო, მთელ საქართველოს დაუფიქრებლადაც რომ ანაცვალდნენ, მესამე სართულიდან გადახტა, – ასე რომ გიყვარვართ, დაგწყვეტთ გულსო.

მიზეზი: როგორ შეუბედეს საყვედურისებური რაღაც ეთქვათ მისთვის, როცა შინ გვიან ღამით დაბრუნდა.

...შარშან ორი დედისერთა თბილისელი ახალგაზრდა დაიხრჩო ზღვაში...

...შორეული „ლაგერებიდან“ თანაპატიმრების მიერ მოკლული შვილები ჩამოასვენეს: ზარში „რაღაც“ წააგეს, ვერ გადაიხადეს და მოკლეს. ზონის რკინის ბადესთან მიმდგარმა პატიმრებმა ჩამოსული ახლობლები თავისებურად დაამშვიდეს:

— Убили по всем правилам справедливости, – ჩვენი კანონებითო.

ერთი მათგანი – ნ. – 20 წლის, შესახედავად ვაჟკაცი, სულით კი ნაძირალა, უკვე მესამეჯერ იჯდა...

დედისერთა იყო: მამა რკინიგზელია, დედა ფერმაში მუშაობს: – „მეორე შვილი რად გვინდა, ერთიც საკმარისია, ისეც გადასარევი ბოვში გვყავსო“ – ამბობდა ადრე... და ეს თითქმის სოფლად, პატარა დაბა ხარაგოულში!

ანდაზაა: ერთის შემხედვარე – წყალში ჩამხედვარეო. არის ასეთიც: ორი შვილი – ვითომ შვილიო...

...ზამთრის არდადეგებზე, „სწავლით გადაღლილ“ ვაჟს, გასასეირნებლად და გულის გადასაყოლებლად, რიგა-ტალინ-ვილნიუსში გზა დაულოცეს. ჯიბეები ფულით ისე დაუტენეს, რომ ის და მისი ორი ამხანაგი მარტო საუზმეზე, მხოლოდ ხიზილალა და ბლინებში, ას-ას მანეთს ხარჯავდნენ.

ერთ ღამეს, ტალინში, ისე გაიღემა, ნომერში ოფიციანტებმა ზურგზემოკიდებული აათრიეს და... ძილში გაიგუდა.

ჩამოასვენეს... იყო განცხადება „თბილისში“: „მშობლები... ესა და ეს... ბებები... ესა და ეს... ბაბუები... ესა და ეს... იუნყებიან შვილისა და შვილიშვილის გარდაცვალებას“.

ახლა რომ ნებას იძლეოდნენ, როგორც ძველად, მაშინ ეს განცხადება ასე წაიკითხებოდა.

„...გულდათუთქულნი... ესენი და ესენი... იუნყებიან ერთადერთი შვილისა და ერთადერთი შვილიშვილის გარდაცვალებას“.

მშობლები და მათი მშობლები! ესე იგი ექვსი წარმავალი სული იუნყება ერთადერთი ბოლომოღებული იმედის...

...შვილები თუ ვიყოლიე, მე როდისღა ვიცხოვროო, – საყვედურზე მიპასუხებდა ხოლმე ჩემი ნაცნობი ექიმი ქალი, მაგრამ არა აბორტმახერი...

ჰოდა, ერთის მეტი არც იყოლია; ოქროს „კალიასკაში“ ჩაანვინა, ოქროებს ატენიდა პირში და ოქროებით მოსავდა, „არა მაქვს ფული“, – რას ნიშნავდა ეს სიტყვები ვერც წარმოედგინა, „მშია“, – ეს გრძნობა იყო თუ პირობითი რეფლექსი, ამით არც ოდესმე დაინტერესებულა; ფეხისა და ენის ადგმის დღიდანვე არაფერი არ უნატრია, – სანატრელად აბა როგორ გარჯიდნენ მას, – დედა ექიმი, მამა – მეცნიერი...

ჰოდა, რაღაც 22 წლის ასაკში, მოყირჭდა ცხოვრება და მიწიერ შვებას ზეციურ ნარკოტიკებში დაუნყო ძებნა...

და ახლა ეს ჩვენი 42 წლის „კდემამოსილი ქართველი ქალი“, რომელსაც ამქვეყნად საცხოვრებლად ჯერ კიდევ ბევრი, ბევრი დრო დარჩენია, ყოველ შაბათ-კვირას დამდულრული ძალღივით გარბის ცხინვალის მახლობლად მდებარე ნარკომანთა კოლონიაში, ერთადერთი პირმშოს სანახავად და „პერედაჩის“ მისატანად...

...ძალღის ხსენებაზე! ჩვენს დედაქალაქში ამ ბოლო დროს ძალღების ყოლა შემოიღეს მოდაში!.. თუ ამას დროულად და რალაცნაირად არ მიხედეს, ქუჩები, რომლებიც ისედაც არ კრიალებენ, ძალღების განავლით აივსება.

ერთი მანქანა, ერთი „გადასარევი ბოვში“, ერთიც ძალღი და... ესეც ჩვენი სანიმუშო ქართული პატრიოტული ოჯახი!

...სულ აგერ ახლა კორფტკოვის ქუჩაზე, 26-ში მცხოვრები, „ავი ძალღის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, რუბენ მინდელიოვის პროტოტიპის შვილი მიიცვალა, მინდელიოვი ალბერტი, შედარებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა... ცოლმა, ასმიკამ, მისამძიმრებისას, უცრემლო თვალებით მითხრა:

— უდროოდ კი დამაქვრივა, მაგრამ მაინც ვემაღლიერები; დიდი სიმდიდრე დამიტოვა: ოთხი შვილი!

...დედ-მამა შედარებით ადრე გარდაეცვალა, ვერც გათხოვდა, დარჩა ენძელასავით მარტოდმარტო...

ნათესავები კი ჰყავს, მაგრამ, ამ საერთო მოუცლელობის ჟამს, შენთვის ყოველთვის ვინ მოიცლის! ნათესავებთან კარგია ჩაის სმა, და ისიც ხანდახანო, – უთქვამს ბრძენს. იმ ბრძენს ესეც უთქვამს: ერთმანეთისათვის და-ძმებზე უფრო ახლობელი არავინაა ამქვეყნად, იმ ქვეყნისა კი არა ვიცი რაო.

თავის დროზე არ იზრუნეს „ამ ქვეყნისაზე“ მისმა მშობლებმა, და ესეც, ფიზიკური ობლობისაგან, რომელიც, მერე და მერე, თანდათან გადაიზარდა სულიერ ობლობაში, ბუსავით გულჩახვეული შენდობას არ უთვლის მათ და არც მიაჩნია ისინი ნეტარსახსენებლად.

...დედაც დედისერთა იყო, შვილიც დედისერთა იყო... იყვნენ და აღარ არიან... ოხრად დარჩათ აუარება ბროლი და ავეჯი.

...როცა ერთხელ ერთბავშვიან თვალის ექიმ-ქალს შევკადრე, მსოფლიოში საყოველთაოდ განთქმულ კინომსახიობსა და მომღერალს არგენტინელ ლოლიტა ტორესსაც კი ხუთი შვილი ჰყავს-მეთქი, ისეთი „ლოგიკურად მომსპობი“ ტონით მიპასუხა – „მას, ბატონო, სლუჟანკა ჰყავსო“, – თითქოს ტორესის ნაცვლად – ხუთჯერ! – მისმა „სლუჟანკამ“ იფეხმძიმა და იმშობიარა...

ანდაზაა: ბევრი შვილის პატრონსაო ღმერთი ულენს კალოსაო.

...მამაც ბავშვებისათვის წერს, დედაც ბავშვებისათვის წერს (ჟანრს არ გავამყლავნებ), პირველად თავის საყვარელ კრიტიკოსს უკითხავენ, რომელსაც არც ძმა ჰყავს, არც და ჰყავს, არც ნაყინი აკლია, არც ციგა და არც ველოსიპედი, და ეს მაინც, შუა კითხვის დროსაც კი... „ნამიყვანე, დედა, ბავშვებთან!“

...შეუღლებს თანავე დათქვეს, შვილები არ იყოლიონ, ხელს შეგვიშლიან შემოქმედებაში, რომელსაც მთელი ჩვენი ნიჭიერება უნდა შევწიროთ და ვანაცვალოთო.

ასეც ქნეს და ორმოც წლამდე მართლაც დალხინებულად ცხოვრობდნენ, მერე და მერე კი რაღაც სევდისებური შემოეპარათ; კიდევ რამდენიმე წელი, და ეს სევდისებური პირდაპირ სევდად გადაექცათ, ბინაშიც ერთგვარი მძიმე, შემხუთავი დუმილი ჩამოწვა; ამ სევდისა და დუმილის ამაფორიაქებლად პატარა ტაქსა-ძალი აიყვანეს, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, სიხარული-სა და ჭმუნვის წყაროდ ძალი ვერ გამოდგებოდა...

ახლა ქალი, უძირო და უძეო ქვრივი, სამოთახიან ბინაშია შეყუჟული, დიაბეტმა თვალის ჩინი წაართვა, არადა, გარეთ გამყვანიც აღარავინ შემორჩა, ძაღლმა კი გზა არ იცის არც გასტრონომისკენ და არც სასაფლაოსკენ, ორივემ ერთად სამშობლოს წინაშე „ვალმოხდილი“ მიცვალებული რომ მოინახულონ...

ანდაზაა: ბავშვებიანი სახლი ბაზარია, უბავშვო – სამარე... „ბაზარი“ შვიდშვილიან ლევ ტოლსტოის „კალმის წრიპინში“ ხელს არ უშლიდა.

...ჩინებული ავტორია, ჩინებულია მისიც... „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“ ძმობის გრძნობადა-ნატრებული ქალიშვილები ეკითხებიან (აღბათ, ეკითხებიან!), თუ ძმა ძმით მართლა ასე ძლიერია, ჩვენ რატომ არა გვყავს ძმა?!

...მუსიკის ნიჭი ყველა ნიჭთაგან, მგონი, ერთადერთია, რომელიც მამიდან შვილზე გადადის, მაგრამ არა უეჭველად პირველ შვილზე, და, ბევრჯერ, არც მეორეზე...

ბახების დინასტიის თითქმის მთელი სამასი წლის ისტორია ამის უტყუარი დამადასტურებელია...

ჩვენც გვყავდა ორი „ბახი“, მაგრამ ახლა ისინი, როგორც მუსიკოსები, მომდევნო „ბახების“ მცირეშვილიანობის გამო, არსებითად გადაშენდნენ. ერთი მათგანი, რომელსაც ცხოვრებაში მხოლოდ ჩიტის რძე აკლდა და ახლაც აკლია, ორი გოგოს „ლიმიტით“ შემოიფარგლა, ქალი კი, ვთქვათ, გინდ კომპოზიტორობდეს, გინდ დირიჟორობდეს, ნიჭიერებით მაინც არა დგას დიდად მაღლა ქალ-მოჭადრაკეზე\*.

...ტყუპი ეყოლა და უხარია, რომ ამით ოჯახისა და სამშობლოს წინაშე ერთბაშად მოიცილა (და არა მოიხადა!) ვალი...

ქართველების სასაფლაოს დარაჯ მიკიჩას ერთხელ ვკითხე, რად გინდა ამდენი შვილი-მეთქი, მიპასუხა: მე განა ქართული ჭკუით ვწონი, მე ჩემი სასწორი მაქვს...

წერა-კითხვის მცირემცოდნე მიკიჩას სასწორმა იცის ის, რაც არ ვიცით ჩვენ – აკადემიკოსებმა, პროფესორებმა, ლიტერატორებმა, მინისტრებმა და მავანმა და მავანმა: ცოლქმრობა მრუშობა როდია, ეს ეროვნული საქმეა, საზოგადო მოღვაწეობაა შენი ერისა და შენი ქვეყნის სა-

\* გვიანდელი შენიშვნა (ივნისი, 1989 წ.): ჩვენდა სამწუხაროდ გაქრობის საშიშროება ემუქრება კიდევ ერთი დინასტიის „მუსიკასაც“ – თურმანიძეების მალამოს; აქაც მცირეშვილიანობის გამო; მისი შემზადების საიდუმლოს ნეტავ ვინმეს მაინც გაუმხელდნენ და გადასცემდნენ!..

მარადისო სასიცოცხლოდ!..

მიკიჩას სასწორმა იცის, მალე „გიჟ-ვრაცუებს“ გამსვენებელიც აღარ ეყოლება, თუმცა... მოსალოდნელი ეპიდემიის შიშით, ჩვენი „ძმები“ – მიკიჩები მინაში ჩაუგდებელს არ დაგვტოვებენ.

\* \* \*

**ქერივ-ოხერს, ბეჩავ თინიას  
ჰყავს ერთადერთი შვილია...**

**რ.ერისთავი.**

იძულებული ვარ არა ერთი და ორი ჭკვიანი კაცის ნათქვამი გავიმეორო: ერთი და ორი შვილი არათუ ოჯახის, მთელი ერის ტრაგედიაა.

წინათ დედისერთობა ბედის სასჯელად და ისეთ უბედურებად ითვლებოდა, რომ, მაგალითად, ნიკოლოზს დედისერთები ჯარში არც მიჰყავდა.

დედისერთა შეზღუდულია თავისთვისაც და მშობლისთვისაც: ვერც გაფრენილა, ვერც მოფრენილა... დედისერთა მუდამ დამოკლეს მახვილის ქვეშაა, უწინარეს ყოვლისა, ფიზიკურად!

ამის სათქმელად, ცხადია, კაცს ენა ძნელად მოგიბრუნდება უთხრა პირში ერთშვილიან მშობელს, მაგრამ აქ, ქალაღზე, „ზურგს უკან“, შეიძლება დაინეროს: ჩვენს ათასნაირ ფათერაკებით აღსავსე დროში ერთი შვილი გამოტირებულიც უნდა გყავდეს კიდევ წინასწარ; ამდენი კატასტროფები – ავტო-საჰაერო-სარკინიგზო, მკვლევლობები – განზრახი და შემთხვევითი, უბრალოდ – უკურნებელი დაავადებანი...

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ბავშვთა ავადმყოფობის 20 და მათი სიკვდილიანობის 15-20 პროცენტი დაკავშირებულია ფიზიკურ, ფსიქიკურ და ფუნქციურ მანკიერებებთან. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყველა ჩვენგანი ფიქრობს, ეს მე არ მომივა, ეს ჩემსას არ შეემთხვევა, ეს ბედი სხვას უწერია...

ჩვენი დღევანდელი აფორიაქებული ცხოვრება ფაქტიურად საომარ მოქმედებას წააგავს, ომიდან კი შეიძლება დაბრუნდე, შეიძლება ვერ დაბრუნდე, უმეტესწილად ვერ ბრუნდებიან...

ხალხი ამბობს, შვილი შვილის შემცვლელი არ არისო. ეს მართლაც ასეა, მაგრამ როცა მრავალშვილიანი ერთს კარგავს, მისთვის, დანარჩენების შემხედვარესთვის, ჯავრის გაქარვება შედარებით უფრო გაადვილებულია, ვიდრე როცა ერთადერთს კარგავ და მასთან ერთად კარგავ სიცოცხლის მიზანს.

საქართველოში ერთშვილიანი ქართული ოჯახების რაოდენობა 30 პროცენტამდე აღწევს.\* ეს დამაფიქრებელი პროცენტი როდია, – საბედისწერო ეროვნული ტრაგედიის პირდაპირი მაჟნყებელია.

ეს იგივეა, დასაწყისში, სისხლის ჩაქცევისას, ტვინში რომ გაჟონავს, მედიცინა რომ ამბობს, პირველი ზარიაო, მერე კი მას – არცთუ დიდი ხნის შემდეგ – მეორე ზარიც მოჰყვება და ადამიანიც თავდება...

ეს საუცხოოდ იცის ვაზგენ ბრძენმა, სომხეთის მთავრობის ფარულ, თუ თავმჯდომარემ არა, ყოველ შემთხვევაში მისმა პირველმა მოადგილემ, ამიტომაც ახლა ის ნარკოტიკებში აღარ აბანდება საზღვარგარეთელი სომხების უამრავ შემონირულებათ...

ნუ დავიზარებთ და ერთხელ კიდევ მოვიგონოთ მისი.. ქართველებს რომ შეეძლოთ ნახევარი ბავშვის გაკეთება, ნახევარს გააკეთებდნენ, ცოტაც და... ქართველები თავისით განადგურდებიანო.

ნუ იფიქრებს მისი უტერტერესობა, რომ ამით მან თვალები აგვიხილა, თავად ჩვენც ჩინებულად ვიცით: პირველი მტერი ქართველებისა თვითონ ქართველები არიან!..

ცოდნით კი ვიცით, მაგრამ...

მე ზემოთ ერთშვილიანობაზე მოგახსენებდით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორშვილიანობა ბევრით განსხვავდება მისგან, და რომ ისინი მხრებზე მკლავგადადებულნი ერთად არ მიიმლერიან...

მოსახლეობის გასამრავლებლად ორშვილიანი ოჯახებიც არაფერს იძლევიან: ორი მიდის – ორი რჩება, და ესეც იმ ბედნიერ შემთხვევაში, თუ მართლაც დარჩა...

ამ მხრივაც ჩვენ სხვა უბედურებაც გვჭირს: აუარება გაუთხოვარი ქალი გყავს. საქართველოში გათხოვება, ქართველ ქალთა ცხვირიბზეკიაობის გამოც, შედარებით, ყოველ დროში ჭირდა, მით უმეტეს ახლა, ამ სწავლა-განათლებამ – ცრუმ და ნამდვილმაც – ისინი კიდევ უფრო მოამრავლა. ბევრი დედობას მეცნიერებას ამჯობინებს, მერე კი, როცა „გამეცნიერდებიან“ და რო-

\* 1989 წლის მაისი. ამ ათწლეულის ბოლოს უკვე 50 პროცენტსაც გადააჭარბა...

ცა საამისოდ ასაკობრივად აღარც ვარგანან, შეიძლება თავშიც კი იშენდნენ ხელებს, მაგრამ რაღა დროს...

თქვენ, ალბათ, დაგლალათ ჩემმა ამდენმა თავდასხმამ ამჟამინდელ ქართველ ქალებზე, რომელთა დიდი, დიდი უმრავლესობა – ერთხელ კიდევ ვიმეორებ, – უკვე კარგა ხანია გადაგვარების გზაზეა შემდგარი, მაგრამ რა ვქნათ, ტრაგიკულ სინამდვილეს სად გაექცევი?!

ეს კია, უსამართლობა იქნებოდა, მთელი ჩვენი სიგლახე მარტო ქალებისათვის გადაგვებრალებინა, – ჩვენ თვითონ, მამაკაცები, მათგან პატრიოტული გრძნობით, სამშობლოს აქტიური, აქტიური სიყვარულით ვითომ ასე დიდად გამოვიჩინეთ?!

ქალი მაინც ქალია, გინდა ქართველი იყოს და გინდა პაკისტანელი, მისი საქციელის წარმმართველი ყოველთვის მამაკაცი იყო, და ახლაც უნდა იყოს, თუკი, რა თქმა უნდა, შენ მართლაც მამაკაცი ხარ. ამ მხრივ კი საოცრად დავჩიავდით, მოხარშულ მამალს დავემსგავსეთ, – სულიერად, ცხადია, თორემ ისე... მმ... ფაშვები ისე გვაქვს გადმოყრილი, ქამარს, ბოდიშს მოვიტხოვ, ბაყვებთან ვიკრავთ.

დღევანდელი, ასე ვთქვათ, ემანსიპირებული ქართველი ქალიც რომ ვერ დააჯდება თავზე თავის ერისა და თავისი ქვეყნის მოყვარულ მამაკაცს, ამის ორიოდე მაგალითს გაგაცნობთ...

1967 წლის აგვისტოში ქუთაისისკენ მიმავალ საერთო ვაგონში ხაშურში ახალდაბიდან მომავალი ერთი ექვსსულიანი ოჯახი ამოვიდა: მამა, დედა, ბებია და სამი ერთმანეთზე წანკაპული პატარ-პატარა ბავშვი...

ყველა რომ სომეხი ყოფილიყო, ცხადია, ჩემს ყურადღებას ვერ მიიქცევდა, – მრავალშვილიან სომეხთა ოჯახები რამდენი მინახავს!..

ტყიბულში მიდიოდნენ, მამა – ასატუროვი, შვილები – სარქისი, ნათელა და მარინე...

ბებიას ქართულის არაფერი გაეგებოდა, მისმა რძალმა მითხრა, აგვეკიდა ეს დალოცვილი, სად გვექონდა მაგის ბილეთის ფულიო.

(სარქისს როცა საჩუქრად მანეთიანი გავუწოდე, ხელიდან ისე გამომგლიჯა, ლამის ფრჩხილებიც თან გაიყოლა).

ქმარი მალაროში მუშაობს თურმე, ცოლი მისი, ტყიბულელი ეთერ ქათამაძე – იქვე, სადღაც...

ვერ ვიტყვით, რომ ეს ასატუროვი დავით სასუნცს ჩამოჰგავდა, – ერთი დალეული, მიწისფერი სახის მქონე მოკაცო იყო, მაგრამ ხომ ხედავთ, ამ „მოკაცომაც“, სულ რაღაც ხუთი თუ ექვსი წლის მანძილზე, ქართველ ქალს სამი ბავშვი გააჩენინა და არა მგონია სამზე შეჩერებულიყო. ამიტომაც ასე გულდაგულ ჩამოგითვალეთ მათი ვინაობის მიმანიშნებელი „კოორდინატები“: თუ ვინიცობაა ტყიბულში მოხვდეთ, ეგებ დაინტერესდეთ, რამდენი შვილი ჰყავთ ახლა ასატუროვებს; ჩემი ვარაუდით დღეისათვის მათ, სულ ცოტა, ექვსი მაინც ეყოლებათ...

ზემოთ გამოთქმული აზრის კიდევ უფრო დასადასტურებლად ჩემს „კუსტარულ დემოგრაფიასაც“ მოვიშველიებ... ყურადსაღები ის არის, რომ ეს საპირისპირო სამგლოვიარო განცხადებები გაზეთის ერთსა და იმავე ნომრებიდან არის ამოწერილი:

„მეუღლე ნინო შალიკაშვილი, შვილები გურამ, ირა, შოთა, ჟორა... იუნყებიან, რომ გარდაიცვალა სურენ გაბრიელის ძე კარაჯიანი“.

„მეუღლე მარიამი, შვილი ლენა იუნყებიან, რომ გარდაიცვალა თედორე ანდრიას ძე კუჩერიანი“.

„შვილები ვალიკო, ოთარ, ლენა, გივი ჩაპკანოვები იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ეკატერინე მიხეილის ასული კბილაშვილი – ჩაპკანოვი“.

„შვილი ჯამლეთ ასანიძე იუნყება, რომ გარდაიცვალა ბაბალე (ვარვარა) პავლეს ასული პეტრიაშვილი“.

„მეუღლე ოლღა ბიბილური, შვილები სილვა, გრიგოლ, არარატ იუნყებიან, რომ გარდაიცვალა სერგო (სამველ) მელიქის ძე მელიქოვი“.

დაბოლოს ერთიც, – როცა სომეხი მიჰყვება ქართველს:

„მეუღლე ზურაბი, შვილი ლიანა იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ამალია დანიელის ასული ასატუროვა-ჯოგლიძე“.

**Если хочешь погубить человека  
– дай ему все, что он захочет.**

**Латинская поговорка.**

რამდენიმე სადოქტორო დისერტაცია უკვე დაცულია და ალბათ, ასამდე საკანდიდატო დისერტაცია კიდევ დაინერება მშრომელი ხალხის სისხლის მსმელ (?) ქართველ ბურჟუა-ბურჟუებზე (?)...

ქუთაისში ასეთები იყვნენ თქვენთვის კარგად ცნობილი მიტროფანე ლალიძე, სახერხი ქარხნების, უფრო ზუსტად – ხე-ტყის უბრალო სამხერხაოების მეპატრონენი – დათეშიძე, ხათრიძე, გორგაძე...

ყოფილა შემთხვევები, როცა მათ დილით ადრე, სადარბაზო კარიდან, ტირილ-კნავილისებური გაუგონიათ; გაუღიათ კარი და... „აუ-აუ“ შერჩინიათ ხელთ ქალაქის ნაგლეჯითურთ: „ღვთის გულისათვის ამ ლატაკ დედის შვილისათვის ლუკმა პურს ნუ დაინანებთ...“

კი, შეფუთვნილ-გახვეულებს ახლაც ბევრს ნააწყდებით თბილისის სახლების სადარბაზოებში და მათ წინაც, მაგრამ, „ღვთის გულისათვის“ თოთო ბავშვებს აღარავინ იმეტებს, – მათში ნაგავია გახვეული...

ბავშვები იყიდება, – არა, საამისოდ სპეციალური ბაზარი არ არსებობს, იყიდება ნამალევად, „დახლს ქვემოთ“, ისე, როგორც იყიდება ყველაფერი, რაზედაც მოთხოვნილება დიდია, რესურსები კი ნაკლები...

ბევრი ჩვენი აბორტებით საშოგამოლადრული ქალი, რომლებმაც ახალგაზრდობა ჭრიჭინასავით სიცილ-კისკისა და ცეკვა-ხტუნვაში გაატარეს და ახლა თვითონ ბიოლოგია ელობება დედობის მათ დაგვიანებულ სურვილს, მიეხეტებიან ბალტიისპირეთში და იქიდან ჩამოაქვთ ფინური შპალერი და მასთან ერთად მოაქვთ, დიახ, მოაქვთ ქერათმიანი ბავშვები...

ეს ერთთავად მათთვის გასეირნებაც არის და ბიზნესიც: თბილისში ვერც ასეთ შპალერს ნააწყდები იოლად და ვერც ასეთ ბავშვებს შეიძენ ამ ფასად, ადგილობრივი შავგვრემანების ღირებულება ბევრად უფრო დიდია.

ბავშვი ნაყიდა, ნაშვილებია თუ შენგან შობილია, რასაკვირველია, მაინც შვილია, თუკი შენ თვითონ ზრდი მას...

მერედა, როგორ ვზრდით? აქაც ერთმანეთისადმი მაიმუნური ნამხედურობით ვზრდით უნიავო სათბურში, ფუფუნებაში, ვუსპობთ „კალიასკიდანვე“ (აბა „გადმონაშთში“, აკვანში ხომ არ ჩავანვენთ?!)... ვუსპობთ რაიმის ნატვრისა და ოცნების საშუალებას, და თუ შეიძლება ცხოვრება, პირობითად, თეატრს შეედაროს, – ნაცვლად იმისა, რომ თავდაპირველად ქანდარაზე დავსვით და ჯერ, ცხადია, ჩვენის დახმარებით, მერე კი, წელთა მომატებასთან ერთად, უფრო მისივე სულ მზარდი და მზარდი ინიციატივით, თანდათანობით პარტიერისკენ რომ ესწრაფოდეს... ჩვენ კი მას პირდაპირ ლოყაში ვსვამთ!.. რაიმე შრომის მსგავსს როგორ მივაკარებთ, ლამის სასწავლო წიგნების ფურცლებიც ჩვენ გადავუშალოთ და... ყველაფერი ეს ხდება იმ სახელმწიფოში, რომლის გერბს ნამგალი და ჩაქუჩი ამშვენებენ!

მთელი ჩვენი პრესა მუდამ სავსეა „მეორე“ სამყაროს ლანძღვა-თათხვით, – რა კარგები ვართ ჩვენ და რა გლახები არიან ისინი! – მაგრამ ათასში ერთხელ ამ წყევლა-ძაგებაში გაიპარება ხოლმე მზის სხივი, რომელიც იმ ბნელეთის სამყაროს ცოტა სხვანაირად გვინათებს...

ამ რამდენიმე წლის წინათ „კომსომოლსკაია პრავდაში“ ამერიკაში ნამოგზაურები ჟურნალისტების პესკოვისა და სტრელნიკოვის ნარკვევები დაიბეჭდა...

ერთხელ, ერთ-ერთი ავტოსტრადის გასწვრივ მდებარე კაფე-ბარში შევიდნენ წასასაუზმებლად; მათ მოხდენილი, კოხტა, ასე 18-19 წლის ქალიშვილი მოემსახურათ... საუბარში გამოირკვა, რომ ის ადგილობრივი შტატის, მილიონერი გუბერნატორის შვილია... სარგებლობს რა საზაფხულო არდადეგებით, დროებით ოფიციალტად მუშაობს, რათა ინსტიტუტში სწავლის ქირის გადასახდელი ფული მოაგროვოს.

არ იფიქროთ, რომ ის მამასთან ნაჩხუბარია ანდა სახლიდან გამოქცეული, არა, ის უკვე სრულწლოვანია და მოვალეა იშრომოს!

მოდით და ამის შემდეგ ბრძანეთ, რომ შრომით მოპოვებული ფული დასაძრახისია, და თუნდაც გამდიდრება – შრომის გზით – დასაგმობია!..

ჩვენში 18 წლის ქალიშვილი კი არა, ბევრი 30 წლის ბრგე ვაჟკაციც (მხოლოდ ტანად!) კიდევ მშობლებს აწევს კისერზე, და ეს ამ უკანასკნელთ თითქოს არც ეხამუშებათ და არც შვილიკოს ნონა ემძიმებათ!

ისინი კიდევ არაერთხელ შეათამაშებენ ჰაერში ასოც კილოგრამიან ამ თუჯის თოჯინას!

ეს ზნეობრივი სიმახინჯე და მრავალი სხვაც, მსგავსი ამისა, გა მოწვეულია მხოლოდ მცირე შვილიანობით, მცირე შვილიანობა კი ბადებს სიმაძღრეს, სიმაძღრე კი – კერძოდ ქართველი კაცისათვის – გა დამგვარებელია!

ეს იყო მილიონერის ქალიშვილი, რა მაგდენი ფული აქვს ამერიკელ მილიონერსო, – ამას კი არავინ იტყვით, მაგრამ ვთქვათ, რომ თქვით. რაკი ასეა...

იოსებ ნონეშვილი ამის ცოცხალი მოწმეა, და ეს ამბავიც მისგან შევიტყვეთ: მილიარდერ დევიდ როკფელერის პოეტი ქალიშვილი, ელინა, ნიუ-იორკის მოშორებით, ფერმაში თურმე ხალიჩებსაც ქსოვს, „რომლებიც, როგორც თვითონ ამბობს, კარგ ფასად იყიდება (ხელებზე მართლაც ეტყობა ფიზიკური შრომის კვალი“).

ჩვენში ხალიჩის ქსოვა კი არა, გაბერტყეო, – ამასაც ვინ შეუბედავს, ეს, დედისერთა თუ „დედისორთა“, დედას პურზეც არ ეგზავნება, – აბა ხელში პური რომ დაიჭიროს, ამხანაგებმა რომ დაინახონ, რას იტყვიან, – მათ ხომ, არც შინ, არც გარეთ, თითსაც არ ანძრევენებენ!

ჩვენში, ტურფა საქართველოში, გვერცხვინება პური ჩვენი არსობისა ხელთ დავიჭიროთ, „იმ დამპალ“ ინგლისში კი ლორდს ფოსტალიონობაც არ ეთაკილება, – არ იფიქროთ, ჩემი მოგონილი იყოს, ამოვიკითხე და ამოვჭერი; არც ის ლორდი გეგონოთ შერეკილი, – სრულებით ნორმალური, სალი გონების პატრონი გახლდათ.

(მინი-ცნობა: დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ზედა პალატის წევრებს, საერთოდ ლორდებს არავითარი გასამრჯელო არ ეძლევათ, არც პენსია!).

„კომსომოლსკაია პრავდაშივე“ დაიბეჭდა ნორვეგიაში ტურისტად ნამყოფი საბჭოთა მასწავლებლის შთაბეჭდილებანი: სკოლას იმ დროს ვენვიეთ, როცა უფროსკლასელები კიდევ მეცადინეობდნენ...

ერთ-ერთ ცარიელ საკლასო ოთახში ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი ხელებდაკაპინებული იატაკს რეცხდა... ერთმანეთს გამოვესაუბრეთ, ამავე სკოლის დირექტორის ცოლი აღმოჩნდა... ცოტა არ იყოს, შევცბუნდით, ვკითხეთ, ჯამაგირს რამდენს იღებდა, გვიპასუხა: მატერიალურად ჩვენს ოჯახს არაფერი უჭირს რა, მაგრამ მე დამლაგებლად მაინც ვმუშაობ იმიტომ, რომ მოზარდებმა დაინახონ და იცოდნენ, შრომა რა გვარისაც უნდა იყოს, არავისათვის საძრახისი არ არისო.

აი გაკვეთილი! პირადი მაგალითის თვალსაჩინო გაკვეთილი!.. და ასეთ გაკვეთილებს ატარებენ ჩვენსავით პატარა ნორვეგიაში და ატარებს ჩვენსავით ერთი მუჭა ხალხი!

ჩვენი „კდემამოსილი“, ქართველი „ინტელიგენტი მანდილოსნები“ კი – ეს პირში სიგარეტგაჩრილი, ცირკის ადრინდელი კლოუნით – ახლანდელებმა ამაზე ხელი კაი ხანია აიღეს! – მწვანედ თვალეშეთხუპნულები, ერთ თუ ორშვილიანი ქალბატონი მადონა თუ ქალბატონი ჯულიეტა... (გთხოვთ ქარაგმად არ გაიგოთ: ჩვენი ნიჭიერი ტელეკომენტატორი ჯულიეტა ვაშაყმაძე სამი შვილის დედა ყოფილა! აფერუმ მის ქალობას!) და მსგავსნი მათნი 10, 20 თუნდაც 50 ათასი რომ გვყავდეს, – ნელში კიდევ, შეიძლება, ვერ გავწყდებოდით, მაგრამ ვაი, რომ მათ სათვალავი არა აქვთ, და მათ, დღითი დღე ახალ-ახალი „კადრები“ ემატებათ.

\* \* \*

**შვილო, ბრალი მათ, ვისაც ერთი და ორი შვილი ჰყავთ...**

**კუკია, ნარწერა საფლავის ქვაზე.**

ერთმანეთის წამხედურობით ბევრი ქართველი ქალი ამბობს, ძნელია შვილების გაზრდაო.

ძნელია, რა თქმა უნდა, ძნელია, მით უმეტეს ჩვენს ახლანდელ პირობებში, როცა ქალი არა მარტო ოჯახის უღელშია გაბმული; წინათ ქართველ ქალს სათოხარში ვინ გაუშვებდა, ყანაში თუ წავიდოდა, მხოლოდ ლობიოს საბუდნავად და სათხრელად, და სიმინდის სატეხად, იქ მომუშავე ქმარს და შვილებს სადილს და სამხარს თუ მიუტანდა...

მოკლედ, კისერზე ხის უღელი ედგა, მერე როცა, 8 მარტის სახელით, მონობისაგან განთავისუფლდა, იოსებ სტალინმა მას ხის უღლის ნაცვლად, ერთი ხელის აქნევით, რკინის უღელი დაადგა და ახლაც ამ უღლის ქვეშ მიიკვნესის: „ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ...“

დიახ, ძნელია ბავშვების გაზრდა, ძალზე ძნელია, მაგრამ... ეს სიძნელე ყველა საბჭოთა ქალისათვის ხომ ერთნაირად საძნელო უნდა იყოს? ჰოდა, თუ ასეა და ასეც არის, მაშინ რით აიხსნება, რომ მარნეულში, ახალქალაქში შობადობა ყოველ ათას კაცზე 33-ია, მახარაძისა და ჩოხა-



ტაურის რაიონებში კი... 16?!

რაკი ეს საკითხი, მე მგონია, თქვენზე უფრო შესწავლილი მაქვს, შემოგბედავთ და დემოგრაფიულად „გაგანათლებთ“: ათას სულზე 15-16 შობადობა ეს უკვე იმ კრიზისის ზღვარია, როდესაც მოსახლეობის კლება ინტენსიური ტემპით მიმდინარეობს...

...ძნელი კი არის, მაგრამ ოთხივე რაიონი ხომ ჩვენს კურთხეულ საქართველოშია; მით უმეტეს: მახარაძის რაიონი ახალქალაქთან შედარებით – კლიმატით, გეოგრაფიული მდებარეობით – პირდაპირ ედემის ბალია!

ჰოდა, ედემის ბაღში ბავშვების გაზრდა უფრო იოლი არ უნდა იყოს?! ოღონდაც კი გააჩინე და – მეპატიოს ეს ფანტაზია! – თავისთავად დაიზრდებიან! მაგრამ როცა გულში არ გიზგიზებს პატრიოტული ცეცხლი, როცა საყოველთაო ნამხედურობა შენი ცხოვრების კომპასია, როცა მთელი შენი ფიქრი და ზრუნვა სამშობლოს და, მაშასადამე, შენი ერთი თუ ორი შვილის მომავალზე მხოლოდ იმით ამოინურება, რა გზებით და რა მანქანებით გაირჭო, თუნდაც ნესტოებში, ოქროს საკიდები და ლამის ფეხის თითებზეც ნამოიცვა ოქროს ბეჭდები, – ასეთ გარემოცვაში, რასაკვირველია, ძნელია ბავშვების გაზრდა, არათუ გაზრდა, – მათი საერთოდ ყოლაც კი სასურველი არ არის.

...კარგი, ახალქალაქისა და მახარაძის რაიონები, ვთქვათ, სხვადასხვა პოლუსებზეა, მაგრამ ცხინვალის რაიონში შობადობის რიცხვი ხომ დიდად მეტია მის მეზობელ ქარელის რაიონზე, – ეს კი რაღა მიზეზით ავხსნათ? რაღა მაინცდამაინც ჩვენს მარცხენა მეზობელს მამაცაშვილს უნდა ნაფხედოთ, ავიღოთ მაგალითი მარჯვენა მეზობლისაგან – ჯიოვეისგან, უფრო ჭკვიანი და შორსმჭვრეტელისაგან! მაგრამ ჩვენს გაქსუებულ ქალებს უნდათ, ბავშვი კვიცი იყოს, დილით რომ დაიბადება და საღამოთი ეზოს შემოურბენს!

ჰოდა, რაკი ეს ასე არ არის...

ძალაუნებურად კაცს ხანდახან შავი ფიქრები გჯიჯგნის, – აჭარასთან ერთად ნეტავი გურიაც გაემაჰმადიანებინათ-თქო, და არა მარტო გურია, – ლიხამდე მაინც; მგონი არც ლიხს აქეთ გვანწყენდა მაინცდამაინც... სადაც ისლამია, იქ შვილთმრავლობაა, თუმცა...

ამ ბოლო დროს აჭარაშიც კი, განათლებასთან ერთად, „აბორტგანმანათლებლებიც“ შეიჭრნენ (გვინდა კი ისეთი განათლება, რომელიც ამოგვხოცავს?!)..

...მრავალშვილიანობა საქართველოს ამ წარმტაც „მუსლიმანურ“ კუთხეშიც კლებულობს და კლებულობს! ბათუმსა და დაბა-ადგილებს რომ თავი დავანებოთ, სოფლებსაც მოედენენ ვაზგენის გამხარებელი ემისრები...

„მეუღლე მეხფულე, შვილები ვარდო, ავთანდილი იუნყებიან, რომ გარდაიცვალა სულეიმან უზეირის ძე შაშიკაძე.

დაკრძალვა სოფ. ქედქედში (ხელვაჩ. რ.)“.

„მეუღლე აიშე, შვილი ბულბული იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ხემიდ იბრაიმის ძე ბერიძე. დაკრძალვა სოფ. კახაბერში“.

ანალოგიური განცხადებები ათასობით მაქვს შეგროვილი. რა თქმა უნდა, სამგლოვიარო განცხადებებში, ჯერჯერობით, სამიც და მეტი შვილიც იუნყება ხოლმე მათთვის სამწუხარო ამბავს (და ჩვენთვისაც, – „საქართველოს სადა ჰყავს შვილი დასაკარგავი!“), მაგრამ გეზი, საერთოდ, მაინც დაბლისკენ ეშვება.

ჩვენში ოჯახის მეთაურის, მამაკაცის ხელფასი ისეა გაანგარიშებული, თავი რომ გაიტანონ, ქალმაც უნდა იმუშაოს. ამიტომაც გაუთხოვრებს და შინაბერებს რომ თავი დავანებოთ, გათხოვილ ქალთა თითქმის მთელი კონტინგენტი მუშაობს კიდევ, ცოლიც და ქმარიც, ორივე უღელშია გაბმული (მეუღლეებით, ვინც ქართულში ეს დალოცვილი სიტყვა მოიგონა, სულ ცოტა, ორი ათასი წლით ადრე ჩვენამდე, ის, ალბათ, ახლაც სასუფეველშია, – უ-უშორეს განჭვრეტელობისათვის!).

კი, მაგრამ...

ამ უღელში მარტო თბილისში არიან გაბმულნი?! უღელს მარტო ჩოხატაურის რაიონში ეწევიან? ერევანში არ არიან გაბმულნი?! არიან, როგორ არა, მაგრამ... ერევნის მოსახლეობის 40 პროცენტამდე ოთხი და ხუთსულიანი ბავშვებიანი ოჯახებისაგან შედგება, თბილისში კი – ქართველებში – ასეთი ოჯახები ოცამდეც ვერ ჩამოითვლება...

კარგი, ბატონო, გურიაში ჩაის კრეფენ, მაგრამ რაჭა-ლეჩხუმშიც ჩაის კრეფენ?! როგორ, ნალკაში, ბოგდანოვკაში, ახალციხის რაიონის დემოგრაფიულად „მეორე ნახევარში“ ხალხი უზუნდარის ცეკვის მეტს არაფერს აკეთებს?! ანდა ზნაურ-ცხინვალ-ჯავის რაიონებში აისიდან დაისამდე სულ გარმონს უკრავენ?

თუ გასაჭირია, ისინიც ისეთსავე საერთო გასაჭირში იმყოფებიან, როგორადაც ჩვენ...  
ჰოდა, ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო, ვინ ამბობდა ამას? ხალხი, ქართველი ხალხი, სულ აგერ ახლაც, – სამოციოდე წლის წინათ მცხოვრები ჩვენი დედები და მამები...

\* \* \*

**ოი, დედანო, მარად ნეტარნო,  
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო.**

## **ნ. ბარათაშვილი**

დედაჩემი აბაშიძის ქალი გახლდათ; არ ვიტყვი, რომ თავადის ქალი იყო (ახლა ზოგიერთი უზომოდ მომლიქვნელო „პლუტარქე“ ხონელ აბაშიძეებსაც თავადებად გვიხატავს), აზნაურიშვილი იყო, საზანოელი, სრულიად უსწავლელი, მაგრამ ბუნებით ინტელიგენტი, გონიერი, გამჭრიახი...

მან ცხრა შვილი შობა, ამათგან რვა შემორჩა და ერთხელ, თავისივე შვილების მაგალითის მიხედვით, თქვა: შვილი რაც მეტი გეყოლება, მით უკეთესია; ზოგი კაი გამოვა და ზოგიც გლახაო (ამ „კაისა“ და „გლახაში“ ის, ცხადია, არა მარტო ჭკუასა და ნიჭს გულისხმობდა, – ზნეობრივ მხარესაც და გარეგნობასაც).

ჩვენი დროის უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე, მაგრამ ბუნებით დაბალი ინტელექტით შემკული, ჩვენი დროის აბორტმახერები კი სხვაგვარად მსჯელობენ. ერთმა ჩემს საყვედურზე, ამდენ გაუშლელ კვირტს რა სინდისით წყვეტ-მეთქი, თავი ასე გაიმართლა:

— აბა ხულიგნები ვამრავლოთ?!

ახლა ყოველ მშობელს ჰგონია, რომ მისი ერთადერთი შვილი, ან თუნდაც მეორეც, – ორივენი ყოველმხრივ ნიჭიერებით ისე იქნებიან დახუნძლული, როგორც კარგად მსხმოიარე ვაზის ძირი. ჰგონია, თუ ერთი და ორი შვილი იყოლია და მათ „კარგი აღზრდა“ მისცა, ე. ი. სმენამოკლებულიც კი მუსიკაზე ატარა და ათი წლის მანძილზე უცხო ენის, სიზარმაცის გამო, მოძულეს „ჰაუ დუ იუ დუ“ შეასწავლა კერძო მასწავლებელთან, რომელსაც საათში 6 მანეთს უხდის, – უეჭველად გამოჩენილი და სახელოვანი გამოვა. მაგრამ, ვაი რომ, არც ბუნება და არც ცხოვრება მის ამ ოპტიმიზმს მეტწილად არ იზიარებს, და უფრო ხშირად ღვთის მადლით მომდევნოებს აჯილდოებს. ასე, მაგალითად, შვილებში ნაპოლეონი მე-8 იყო, რუბენსი მე-7, რიჰარდ ვაგნერი მე-6...

ამ ოცდახუთი წლის წინათ ერთ ჩემს ნაცნობ ოჯახში დიდი „უბედურება“ დატრიალდა: გაგვეპარა, გაგვეპარაო და... არასასურველ, ნაძალადევ შვილს „მეტია“ დაარქვეს, ახლა კი მისით ხარობენ და მისით ცოცხლობენ: მეტია ოჯახის ყველაზე უფრო თვალმეტი გამოდგა.

ხშირად გაიგონებთ თავით ფეხებამდე „ჩადუბლიონკებულ“ – გამეშჩანებულ „ერთი შვილი – არა შვილის“ ვითომ დედებისაგან: ერთი ვიყოლიო და კაი აღზრდა მივცეო...

ამაში იმდენი ფუთი სისულელეა, რამდენსაც თვითონ ამის მთქმელი ინონის!

კარგი აღზრდა, თქმა არ უნდა, ნიჭს ავითარებს, მაგრამ კარგი აღზრდა უნიჭოს ნიჭს ვერ მისცემს და ვერ მოუმატებს.

ყველაფერი თანდაყოლილია, ყველაფერი თავდაპირველადვე გენებშია ჩათქმული: ნიჭიც და უნიჭობაც, სიბეჯითეც და სიზარმაცეც, კაიკაცობაც და ავკაცობაც...

იბადება ლეონარდო და ვინჩი და იბადება პატარა მამუკას გამტაცებელი, ადრე კაცის მკვლელი, ოთხჯერ ნასამართლელი, კაკაბეთელი ოტიაშვილიც!

მე ამით ამერიკის აღმომჩენის როლში არ გეველინებით და არც ორიგინალური აზრების ბუდედ მინდა მოგაჩვენოთ ჩემი თავი, – ყოველივე ამას, პრაქტიკულ ცხოვრებაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯერ კიდევ გაუკანდიდატებელი ასპირანტიც კი შეამჩნევს, მაგრამ ჩვენი თავები ათეული წლობით ისეა ამოვსებული „იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით“, რომ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას, ვინ შვილია, გაბედავს!

ჩვენი საერთო კონცეფციით, ადამიანი, რაკი საბჭოთა გარემოცვაში დაიბადა და რაკი საბჭოთა ჰაერს სუნთქავს, ანგელოზი უნდა იყოს და თუ „ზოგჯერ“, „ხანდახან“ და „აქა-იქ“ ეშმაკებისკენ მაინც წაიბორძიკებს, ეს, თურმე, ისევ ჩვენი ბრალა: მშობლების, მეზობლების, ადგილკომის, უზნის რწმუნებულის, უგულისყურო გამვლელების და მრავალ სხვათა...

მე, რასაკვირველია, არ უარვყოფ ადამიანის ზნეობრივ სფეროში გარემოს როლს, არათუ არ უარვყოფ, პირიქით, – მიმაჩნია, რომ მარქსიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება – მდგომარეობა ქმნის შეგნებას, – უბერებელია, არავითარ დროში არ დაძველდება. ისე კი, ამას ხშირად სწორედ ისინი ივინყებენ, ვისაც ყველაზე მეტად ეს უნდა ახსოვდეს.

არის ერთი მეტად პატივსაცემი პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, იგი პატივსაცემია

არა მარტო იმიტომ, რომ თავის დარგში მართლაც განსწავლულია, – ქალაქად მცხოვრები ეს კარგი მამულიშვილი, ამავე დროს, ოთხი შვილის მამაა...

კახეთში ერთმა ძმამ, ჩეკურიშვილმა, მეორე ძმას ვაზი აუჭრა. ეს საზარელი, ველური ამბავი ჩვენმა მეცნიერმა პედაგოგიურად გააანალიზა და დაასკვნა: ჩანს, მამამ შვილს შრომისმოყვარეობა არ ჩაუნერგაო.

კი, მაგრამ...

როგორ ეს? ერთს ჩაუნერგა და მეორეს არ ჩაუნერგა? და, საერთოდ, რა ჩანერგვაზეა აქ ლაპარაკი, გლახკაცი, რომელიც უთენია დგება და გვიან სალამომდე ვენახში ოფლს ღვრის, შვილები კი ამას ცისმარე დღე ხედავენ, – ამაზე უკეთესი ჩანერგვა რა შეიძლება კიდევ იყოს? ცუდლუტს და მცონარას რამდენიც გინდათ „უნერგეთ“, ის მაინც არ „ჩაინერგავს“ იმას, რაც თვითონ ბუნებამ არ ჩაუნერგა. სამწუხაროდ, მე არ ვიცნობ „სოფლის ცხოვრების“ ამ პოპულარულ ავტორს და არც არასოდეს მისი შვილები მინახავს, მაინტერესებს კი, – რასაც მამა-პედაგოგი თავის ოთხ შვილს უნერგავს, ოთხივენი ერთი მონდომებით ინერგავენ? ჰგვანან კი ისინი, საერთოდ, ხასიათით ერთმანეთს? ნიჭით, უნარით, ნებისყოფით, სწავლის წყურვილით? შოლტის მოქნევა არც ერთს არ სჭირდება?..

შოლტი ვახსენე და ისე შემზარა, თითქოს შოლტი მე თვითონვე გადამკრეს: ეს ხომ საბჭოთა პედაგოგიკის უძირითადესი საფუძვლების პირდაპირი ხელყოფაა!..

მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ყოველ ოჯახში კედელზე, მაღლა, შოლტი თუ წკეპლა, თუ არ მოიხმარეს, სიმბოლურად მაინც უნდა ეკიდოს; ბავშვს და ყმანვილს უფროსების წინაშე მცირეოდენი შიში და რიდი თუ არ ექნებათ, დღევანდელ სავალალო მდგომარეობას ბოლო არ მოეღებო: თავგასული საბჭოთა შვილები მამებს ისე გველაპარაკებიან, თითქოს მამები ისინი იყვნენ და ჩვენ კი მათი შვილები...

10-12 წლის ლუდოვიკო მე-14-ეს, უკვე სამეფო ტახტზე ასულს, ამ მხრივ „ყურადღებას“ არ აკლებდნენ: არ მინდა თქვენი მეფობა, ოღონდ ნუ მცემთო...

არ ვიცი, ეს იყო მიზეზი თუ სხვა რამ, ყოველ შემთხვევაში, ისტორიას თვრამეტი ლუდოვიკოდან ყველაზე მეტად მისი სახელი შემორჩა.

ვინ არ ცდება ამქვეყნად, ცდება ადამიანებიც და ცდება სახელმწიფოებიც, – მაგრამ თავის მოჩვენება, თითქოს არ შემცდარხარ და ჯიბრზე, რომ ვითომ მართალი ხარ, და მაინც იმ შეცდომის გზას აგრძელებ, – ეს დიდი ზიანის მომტანია.

კიბერნეტიკის გარიჟრაჟზე კიბერნეტიკა ჩვენ ცრუმეცნიერებად, უფრო მეტიც – რეაქციულ მეცნიერებად გამოვაცხადეთ; კიდევ კარგი, ამ ერთხელ არცთუ ისე გვიან მოვედით გონს და მალე სქელტანიანი კრებულები გამოვეცით: „კიბერნეტიკა და კომუნიზმი...“

ოცდაათიან წლებში – დიდხანს, დიდხანს! – ტვინი ამღვრეული გვექონდა დიალექტიკური მეთოდით; ყველაფერი დიალექტიკური მეთოდით უნდა გვეკეთებინა. ლამის იქამდე მივედით, რომ ზღვაში ხამსა დიალექტიკური მეთოდით უნდა დაგვეჭირა...

ესეც იყო ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ მწერლობაში მაშინ საყოველთაო-სახალხო კამპანია გაჩაღდა: დამკვრელთა განვევა ლიტერატურაში (Призыв ударников в литературу)...

თავის დაზვისა და თავის ჩარხის მოყვარულ მუშას, რომელიც წერა-კითხვაში ჯერ კიდევ ჯეროვნად არ იყო განაფული, მოუწოდებდნენ, მწერალი გახდიო. „საოჯახო თვითკრიტიკის“ წესით ვიტყვი, ამ საკავშირო კამპანიაში ჩემი უფროსი ძმაც მონაწილეობდა და, მიუხედავად მისი ახალგაზრდული გზნებისა, სტალინის სახელობის ქარხნის სამი ათასი მუშიდან პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას მხოლოდ ორად ორი მუშა შეემატა: ივანე ნაზარბეგოვი და დავით ჯღარკავა...

თქვენც მოგეხსენებათ, ხელოვნურად შექმნილი, ჯერ თვითონ მწერალი რა არის და გამწერლებული მუშა რალა იქნებოდა: მალე ორივე ჩამოსცილდა მწერლობას და, სამწუხაროდ, მუშათა კლასსაც.

ამ შორეული ამბის მოგონებით იმის თქმა მინდა, რომ ყველამ ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, – ქალმა ქალის და კაცმა კაცის, – ვაკეთოთ გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად.

დიახ, ქალმა ქალის და კაცმა კაცის...

საქართველოში ამჟამად უამრავი გაუთხოვრად დარჩენილი ქალია. ესეც, ცხადია, მომაკვდინებლად მოქმედებს ჩვენი ერის გამრავლებაზე. ამ ქალებიდან ბევრს სწავლა-განათლებამ მოუხპო დედობის სიხარული... ათი ათასზე მეტი ქალი-მეცნიერი და ვითომ მეცნიერი გვყავს ახლა საქართველოში!

ასტრონომიული ციფრია ერთი კუნწულა ხალხისათვის!

ღმერთმა და ბუნებამ, თავის დროზე, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ამქვეყნად ყველაფერი ისე გააანაწილეს და ისე ჩამოარიგეს, ვისაც რა შეეფერებოდა და ვის რა დაამშვენებდა: ცხენს უნაგირი, ხარს უღელი, თხას წვერი, ძროხას ჯიქანი!

ბუნებას ქალი დედად გაუჩენია და რაკი, ანომალიასავით, ასი ათასში ერთხელ, ვთქვათ, ერთი მოჭადრაკე გამოჩნდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ 99 ათას 999-მა დროულ დედობას ზურგი შეაქციოს და ერთის ფეხისხმას აჰყვეს!

სასაცილოცაა და სატირალიც, რომ ახლა ჩვენში, წამხედურობით, ათასობით გოგონას პატარაობიდანვე, რაკი ეს მშობლებს თავისებურად სარფიან საქმედ ეჩვენებათ (სახელი, დიდება!), ტვინს უმღვრევენ გრძელი როქით და მოკლე როქით...

სხვათა შორის, რახან სიტყვამ მოიტანა, თუმცაღა საამისოდ საერთაშორისო ფედერაციაც კი არსებობს, მაინც არ შევშინდები და ვიტყვი: ქალის საჭადრაკო ინტელექტი დიდი ვერაფერი მოგონებაა, ეს სწორედ იმის დასტურიცაა, რომ ქალი ქალია და კაცი კაცი. ასე დაანესა განგებამ თუ ბედისწერამ, და მის დიად სიბრძნეში მხოლოდ „ბრძენ“ ბრიყვებს შეუძლიათ ეჭვი შეიტანონ.

ქალთა ჭადრაკი – ეს ქართული ფენომენიაო, უყვართ ხოლმე თქმა. მაგრამ, ვაითუ, დროთა განმავლობაში ეს არ გამართლდეს; ორმოციოდე წლის წინათ ტანვარჯიშში ჩვენი მჯობნი მთელს კავშირში არავინ მოიძებნებოდა; ქართველი გიმნასტები სენსაციურ გაოცებას ინვეგდნენ, მერე კი, როცა რუსებმა (სომხებმაც!) ისწავლეს „აღმა ტრიალი“, ჩვენ ისე სწრაფად დავეშვიტ „დაღმა ტრიალი“, რომ ახლა გვერცხვინება კიდევ განვაცხადოთ, – ეს მხოლოდ მოსაწონი და საქებარია! – რომ მსოფლიოში გიმნასტიკის მეორე სამშობლო საქართველოა (ჩეხოსლოვაკიის შემდეგ – „სოკოლი“ და „შევარდენი“). ასევე, ვაითუ, რუსეთშიც და სხვა რესპუბლიკებშიც, ტანვარჯიშით, ქალთა ჭადრაკსაც დაენაფნენ და ჩვენი „ქართული ფენომენი“, ღმერთმაც ნუ ქნას, მაგრამ... ვინ იცის, ეგებ საპნის ბუშტივით გასკდეს.\*

ცოტა არ იყოს, მერიდება ამის თქმა, მაგრამ რაკი თქვენს თვალში, ალბათ, უკვე სავსებით ჩამოყალიბებულ ჩამორჩენილი კაცის სამოსელში ვარ გახვეული, დაე ბოლომდე დავრჩე ასეთად და შეგეკითხებით: ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში, ერთშვილიანი ნონა გაფრინდაშვილი, ვითომ უფრო მეტად პატივსაცემია, ვიდრე „ექვსგზის“ დედა, ქალბატონი ვერა გაფრინდაშვილი? ძალიან მეეჭვება, უკეთ – სულაც არ მეეჭვება. ვერა გაფრინდაშვილს სხვებივით „ცვაიქინდერსისტემით“ რომ ეხელმძღვანელა, შეეძლო არაერთხელ მისულიყო ზუგდიდში ცნობილ აბორტმახერ შ-სთან, რომელიც თავის ავსაქმიანობით, გარდა საკუთარი ოჯახისა, თბილისში კიდევ ორ ოჯახს მეფურად აცხოვრებს და... ნონა გაფრინდაშვილი, სათვალავით მეხუთე შვილი, საქართველოს ვერ მოვევლინებოდა!

მე ამას, ცხადია, ზოგადად ვამბობ: იყავი, ბატონო, ნონა გაფრინდაშვილი, თქვენი თავი გვეამაყება ჩვენ, გვესახელება, მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ შენ, ამ დიდ ეროვნულ გასაჭირში, შენი ძუძუს მანოვებელი სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესები, შენი პირდაპირი მოვალეობა დაივიწყო.

ს ა ე რ თ ო დ , ს წ ო რ ე დ ჩ ვ ე ნ ი ც ნ ო ბ ი ლ ი , ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი , ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს და ს ა ნ ა ხ ა ვ ი ქ ა ლ ე ბ ი უ ნ და ი ყ ვ ნ ე ნ ტ ო ნ ი ს ა და ც ო ც ხ ა ლ ი მ ა გ ა ლ ი თ ი ს მ ი მ ც ე მ ნ ი ა თ ი ა თ ა ს ო ბ ი თ გა ქ ს უ ე ბ უ ლ ი ქ ა ლ ი ს თ ვ ი ს .

მათ მუდამ თვალწინ უნდა ედგათ ხუთშვილიანი ლოლიტა ტორესისა და „ჯერჯერობით“ სამშვილიანი სოფი ლორენის სახეები! არა მგონია, ჩვენი ქალები უფრო მეტად იყვნენ დასაქმებული შემოქმედებით თუ მეცნიერებით, ვიდრე ეს ორი მსოფლიოში, კიდით კიდემდე სახელგანთქმული მანდილოსანია...

ისე კი, სოფიო კოვალევსკაიაზე ნათქვამ ფრაზაში ორი სიტყვა რომ შევცვალოთ, ასე გამოვიდოდა (ოღონდ ვინრო აზრით ნუ გავიგებთ): სჯობს ჩვენმა ქალებმა მოჭადრაკეები დაგვიბადონ, ვიდრე თვითონ გახდნენ მოჭადრაკეები...

„რა ქალი წახდეს, ოჯახიც დაეცეს, ერიცა და ქვეყანაც“,

— თუმცა ეს ოქრო სიტყვები გრიგოლ ორბელიანის ერთი ცნობილი ფრაზითაა ჩაგონებული, მის ახალ მთქმელ-დამწერზე, მეცნიერების კანდიდატ ქალზე დოქტორობაც ალალი იქნებოდა – დაუცველად! – ერთი რამ რომ ვიცოდეთ: სამი შვილი თუ ჰყავს მაინც?!

ჩვენი გაჩანაგების მოთავეები, როგორც აღვნიშნე, მამაკაცებიც ვართ-მეთქი, მაგრამ მთავარი მოთავე, როგორც ირკვევა, მაინც ქალი ყოფილა. ზოგადად ეს აზრი ყველაზე ადრე ვაყას გამოუთქვამს: ქალს შეუძლია ერი ააღორძინოს და ერიც დაამხოსო...

\* გვიანდელი შენიშვნა (ივლის, 1989 წელი): გულწრფელად ვწუხვარ, ჩემი ეს მოსაზრება-ვარაუდი ვაითუ მართლაც ახდეს: ჯერ ისევ სულ ნორჩი, უნგრელი დები პოლგარები საჭადრაკო ასპარეზზე ისე მიიწვევენ ახლა წინ, ქალებთან თამაშს თაკილობენ კიდევ.

\* \* \*

„ამ ქელეხში ხალხი ისე გაილემა,  
მკვდარი ცოცხალს ჰგავდა და თამადა  
მკვდარს“.

სოფლის კორესპონდენციიდან.

1896 წელს დასავლეთ საქართველოში არნახული თოვლი მოვიდა; მაშინ თოვლის სისქეს მეტრობით არ ზომავდნენ, არც არშინობით, მაგრამ საამისო ცნობა იმდროინდელმა ყმანვილებმა დღემდე შემოინახეს: ერთსართულიანი სახლის სახურავებიც ლამის დაფარა.

ჰოდა, ასეთ დიდთოვლობისას მიიცვალა ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსი. მართალია, ის ხალხთა „ოპიუმის“ – რელიგიის მსახური კი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს იყო დიდი ჭკუის, დიდი გონების და... თუმცა ხალხს კი „ათახსირებდა“ ქრისტიანული სარწმუნოების იშვიათი მქადაგებლური ნიჭით, და მაინც ეს იყო უსპეტაკესი ზნეობის ადამიანი (თუ არ ვცდები, გერონტი ქიქოძე მისი ძმისწული გახლდათ)...

და აი, ასეთი ადამიანის გასვენება ვერ ხერხდებოდა, რაც ეკლესიას, ჭირისუფლებს და მათ მიმხედვარებსაც ერთობ ალონებდათ, აკი მართლმადიდებელთა წესით მიცვალებული დაუმარხავი მხოლოდ 3-4 დღე შეიძლება გააჩერო; გაბრიელი კი, ღვთისა და ხალხის ეს მჭლე მონა, გელათში უნდა გადაესვენებინათ, გზები კი... გზები კი არა, თვალსაწიერზე სახლებიც არ ჩანდნენ.

ეს შორეული წარსულიდან... ახლო, უფრო უკეთ – უახლოესი წარსულიდან კი...

ქვემოთ საზანოში ერთი ჩუმი, წყნარი, შრომისმოყვარე კაცი გამოეთხოვა წუთისოფელს. გარდაიცვალა, მართალია, ზამთარში, მაგრამ ისეთ უთოვლო ზამთარში, როცა მზე მთელი ორი კვირა საარშისო სხივებით ელამუნებოდა დედამიწას... მიუხედავად ამისა, ახლობლებმა და სოფელმა იმდენ ხანს შეინახა მიცვალებული, იფიქრებდით, მის მკვდრეთით აღდგომას ხომ არ ელოდებიანო.

დიახ, 33 საუკუნის წინათ, ეგვიპტეში, ფარაონი რამზესი ბალზამირებისთვისაც არ გაუჩერებიათ გაუსვენებელი იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ჩვენს საუკუნეში, ჩვენს დღეებში საზანოელი გლეხი აკაკი მაცაბერიძე გააჩერეს... ქელეხის სამზადისში.

ახლა კიდევ ისე არა, მაგრამ რამდენიმე ხნის წინათ კი განსაკუთრებით, – გადმონაშთებად მონათლულ ყოველგვარ მანკიერებათ ჩვენს წინაპრებს ვაწერდით.

კი, მაგრამ...

ვითომ ასეა საქმე?! დღევანდელ ისტორიკოსებს ალექსანდრე მაკედონელისა და სპარსეთის მეფის კიროსის დროინდელი ამბების აღდგენა არ ეძნელებათ და, ნუთუ ჩვენ, მეხსიერებაში, გუშინდელი ჩვენი თანამედროვეების ცხოვრების შტრიხები ვერ უნდა აღვადგინოთ?!

ომამდე ქალაქად, კერძოდ თბილისში, ქელეხოზა რა იყო, ბევრმა არც კი იცოდა. პატარა, ეგრეთ წოდებულ ჭირის პურს ხელოსნები თუ გამართავდნენ ჩულურეთში, ავლაბარში, სვანეთის უბანში... ვიმეორებ, – პატარა ჭირის პურს! ახლა კი ხარაზები და მეთუნეუქეები კი არა, ვითომ ინტელიგენტი და მართლაც ინტელიგენტიც „პატარა ჭირის პურს“ შინ კი არა, რესტორანში აშანშალებს.

(რა დიდი ბინაც უნდა იყოს, სამას კაცს მაინც ვერ დაიტევს, არადა სოფლურად ხომ არ მოიქცევიან: ერთი პარტია რომ სუფრას მოათავებს, მეორე პარტია მიიპატიჟო, მერე მესამე და ა.შ. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ახლა ხალხს ზურგზე „ნაჭმობის“ ნიშნად ცარცს აღარ უსვამენ: გაძღა და გამდიდრდა თითქმის ყველა, და ამ გამდიდრების საფუძველი, ზოგიერთისთვის, მკვდრებით „აღებ-მიცემობაა“).

ახლა ესეც ვიკითხოთ, რესტორანი და... ქელეხი?! ეს არის მიცვალებულის პატივისცემა?! რამდენი შემთხვევაა, როცა რესტორნის ერთ დარბაზში გამართულ სამგლოვიარო სუფრაზე მეზობელი დარბაზიდან დოლ-გარმონის რია-რია, სიცილ-ხარხარი, საქორწილო შეძახილები «Горько, горько» ისმის...

შეცდებით თუ იფიქრებთ, თითქოს, ყველას ესიამოვნებოდეს, საერთოდ ქელეხის და, კერძოდ, „გრანდიოზული“ ქელეხების გადახდა, მაგრამ რა ვქნათ, თუკი ჩვენს ბრძენთ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ უთქვამთ, წამხედურობამ ქვეყანა ამოაგდოო...

ოხ, ნეტავ ვინმე გამოჩნდებოდეს ისეთი...

ალბათ კიდევ გახსოვთ, პირამიდასავით აღმართულ სატვირთო მანქანაზე ლენტეხიანი გვირგვინები ისე რომ ეკიდნენ, როგორც ჩიჩილაკზე ფოჩებიანი კანფეტები...

ერთ მშვენიერ დღეს (თუმცა ქარ-ყინვა კი იყო იმ დღეს!) კარგმა „ყაძახებმა“, ძმებმა ნიკოლოზ და რობერტ სტურუებმა, დედის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, პანაშვიდზე მომსვლელთა საყურადღებოდ, კარზე განცხადებასავით გააკრეს: „გთხოვთ გვირგვინს ნუ მოი-

ტანთ!“

ალარ მივიტანეთ და თითქოს უფრო თავისუფლადაც ამოვისუნთქეთ. კიდევ უფრო შვებით მაშინ ამოვისუნთქეთ, როცა აიკრძალა ერთსა და იმავე მიცვალებულზე ერთზე მეტი სამგლოვიარო განცხადების გამოქვეყნება. თვალისათვის (გონებისათვისაც!) აბა რა სიამის მომგვრელია, მით უმეტეს ახალგაზრდა თუ ალარა ხარ, ერთმანეთზე მიჩურჩხლული ამდენი მიცვალებული, ეს ერთი, მეორეც... ზოგიერთი საწყალი მიცვალებული (ექვს გარეშეა, – სიცოცხლეშიც საწყალი!) აქაც იჩაგრებოდა...

კარგად მახსოვს, არცთუ ძალიან დიდი ხნის წინათ, მჟავანაძეობისას, ერთ „არასაწყალ“ კაცს სიდედრი გარდაეცვალა; უკვე გასვენებულიც კი იყო, მაგრამ მის დაკრძალვას კიდევ მთელი სამი კვირა იუნყებოდა „გულდათუთქული“ მლიქვნელების მთელი არმია...

დამწუხრებულ სიძეს, ცხადია, შეეძლო ეთქვა რედაქციისათვის, კმარა, შეწყვიტეთ, ჩემს ნაჭრილობეზე გულს ყოველ საღამოობით მარილს კიდევ ნუ აყრითო, მაგრამ არ უთხრა...

უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მას, პირიქით, ესახელებოდა და სევდასაც უქარვებდა. სხვათა შორის, თქვენ ამ დიდად პატივსაცემ პირს ყველა იცნობთ, თუ პირადად არა, – რეგალიებით მაინც; გაზეთში თავის ტიტულებს თვითონვე რომ ჩამოთვლის, მასთან შედარებით ნიკოლოზ ხელმწიფე, იტყვიო, უბრალო „კოლეჟსკი რეგისტრატორი“ ყოფილა, რომელიც ქაღალდსაც უფროთხილდებოდა და თავის ქვეშევრდომთა მოთმინებასაცაო:

Николай II Император и Самодержец  
Всероссийский, Царь Польский, Государь  
Псковский и Царь Грузии, Великий  
князь Смоленский, Литовский, Финляндский,  
Князь Эстляндский, Лифляндский, Курляндский и  
прочая и прочая и прочая...

ამისათვის კი «и прочая и прочая и прочая» არ არსებობს, – სრულიად და მთლიანად!

საერთოდ, მე, ალბათ, როგორც „მეკომედიეს“, „ჩინ-მენდლებით“ ჟღარუნის სასაცილო და საცოდავ პრანჭიაობად მესახება ესეც კი, – საყოველთაოდ მიღებული, არსებითად, დამამცირებელი წამძღვარებები, რომელთაც ჩვენში ლიტერატურული პრესაც კი არ ერიდება: მწერალი (ვთქვათ) ჯანჯიბუხაშვილი... პოეტი ჯღარკანავა... დრამატურგი მუჩაიძე...

ნამდვილ მწერლობას კაცმა ნაწერებით უნდა მიაღწიო აღიარებას, და არა სავიზიტო ბარათით. მით უმეტეს, ლიტერატურულ გაზეთში მაინც, გზამკვლევი არ უნდა სჭირდებოდეს მკითხველს, შენ მწერალი ხარ თუ მეარმატურე...

„ლიტერატურულ საქართველოში“ ასეთი კურიოზიც ამოვიკითხე: „გარდაიცვალა მწერალ დავით კლდიაშვილის“... ესა და ესაო!

ვაი ჩვენი ბრალი, თუკი დავით კლდიაშვილსაც სჭირდება ატესტაცია, რომ ის მწერალია!...

არც ირაკლი აბაშიძეს ამშვენებს დიდად, ყოველ ლექსს „პოეტი-აკადემიკოსი“ მიანეროს; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის ირაკლი აბაშიძეა, მეორეც იმიტომ, რომ ლექსი თუ ცუდია, მას ხარისხის სახელმწიფო ნიშანიც ვერ იხსნის.

ამას, რამდენადაც მახსოვს, ჩვენი „დამიკო“ გალაკტიონიც არ აკეთებდა, თუმცა, ვინ არ იცის, სახელ-დიდების რა მოყვარულიც იყო. და ეს არც დაეძრახებოდა: ჯერ არ დაბადებულა პოეტი, მზიან მხარეს მოერიდოს და ჩრდილში დადგეს. პუშკინიც კი...

Я памятник себе воздвиг нерукотворный...

\* \* \*

**ჩემთვის დღესავით არის ნათელი,  
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა...**

**გალაკტიონი...**

რაკი საუბარი როგორღაც პოეზიისკენ გადაიხარა, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ახლა ფსევდონიმით აღარავინ გვევლინება, თითქოს ყველას უნდა ჯიქურ გაგვეცნოს; დაე ყველამ, საბინაო კანტორამ და მინისტრთა საბჭომაც, პირველი ლექსიდანვე იცოდნენ, ვინცაა ამის შემოქმედი!

მე რამდენიმე უთუოდ ნიჭიერ პოეტს ვიცნობ, რომელთაც საკადრისი პოპულარობა, ნაწილობრივ მაინც, თავიანთი „პროზაული“ გვარების გამო ვერ მოუპოვებიათ.

აბა ბრძანეთ, თავის დროზე და ახლაც, ამ მხრივ განა არაფერი დააკლდებოდათ... ალექსან-

დრე ჩოჩიას, ტერენტი კვირკველიას?!

არადა, მაშინ პუშკინით უნდა ქუხდე და ჭავჭავაძესავით ბუბუნებდე, მთებზე რომ აღმართულან და მათი გვარები ამიტომაც ასე დიდებულად რომ გვეჩვენება.

გვარებთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ პირდაპირ დათვური სამსახური გაუწიეს ათეული წლობით ფიროსმანად ცნობილ ფიროსმანს, როცა გვარი დაუგრძელეს, აქაოდა, ყველა არაქართველმა იცოდეს, რომ ის ქართველიაო და უცხოეთში, კერძოდ, პარიზის გამოფენაზე ფიროსმანაშვილად წარადგინეს. ზოგჯერ ჩვენც კი გვიჭირს ამა თუ იმ მოკრიმანჭულო ქართული გვარის გამოთქმა და რაღა იქნებოდა უცხო ტომისათვის კილომეტრიანი, მიხვეულ-მოხვეული...

ჰოდა, ნურც გაგვიკვირდება და ნურც გვეწყინება, თუკი თავსატეხი გვარის წარმოსათქმელად „ევროპა“ თავს არ აიტკივებს და არც ეცდება დაიხსომოს.

თავისთავად საყურადღებოა ისიც, რომ ახმეტელმა თავისი გვარი (ახმეტელაშვილი) ადრევე, ცხადია, არა „დახსომებისათვის“, უფრო სილამაზისათვის შეკვეცა, მაგრამ ის, ახმეტელი, 1930 წლის თეატრალურ ოლიმპიადაზე დამსწრე მაყურებლებს არც იტალიელად ჩაუთვლიათ და არც მოიტალიელოდ...

აქვე იმასაც დაძენდი, რომ, როგორც გაუმარგლავ ყანაში, სარეველა ბალახივით მომრავლდა ჩვენში, – ესეც, რასაკვირველია, პროვინციული წამხედურობის ნიადაგზე, – უგვანო, საანეგდოტო სახელებს რომ თავი დავანებოთ, – შინაურული, საალერსო-კინობითი სახელების საქვეყნოდ, საჯაროდ „გამოფენა-გაყიდვა...“

მთელი ჩვენი პრესა, კინო და ტელეეკრანები, ოფიციალური დოკუმენტებიც კი ავსებული და აჭრელებულია ქეთინო-თალიკოებით, სოფიკო-თამრიკოებით, ბიჭიკო-სოსო-გოგი-გიგა-გიე-ბით...

ეგებ ესეც წყეული წარსულის გადმონაშთია, ა? ჩვენი ავადსახსენებელი წინაპრების დანატოვარია, ა? თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, რომელიც შეუძლებელია 14-16 წლის ყმანვილი ბრძანდებოდეს, ოფიციალურადაც კი გვეცხადება ხოლმე ბავშვობის სახელით...

კი, მაგრამ, როგორ მოგეწონებათ, სადმე რომ გაგეგონათ ანდა ნაგეკითხათ... „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვანიკო ჯავახიშვილი?“ ანდა... „თავადი ილიკო ჭავჭავაძე?“

ალბათ გაკვირვებით იკითხავდით, ვინ ეშმაკია ვანიკო ჯავახიშვილი, ვისი ტიკი-ტომარაა ილიკო ჭავჭავაძეო, რაკი ასაქცევი გზა არ დამრჩენია, გაგანდობთ ამ „დიდ საიდუმლოს“: ივანე ჯავახიშვილი და ილია ჭავჭავაძე გახლავან, მაგრამ მათ, თავის დროზე როგორც ილიკოსა და ვანო-ვანიკოს არათუ ფართო, ვინრო საზოგადოებაც არ იცნობდა, – მხოლოდ შინაურები, ახლო ნათესავები და უახლოესი მეგობრები მიმართავდნენ ასე...

ახლა კი... ცოტა არ იყოს, სასაცილოც კია, რომ ბევრნი, უკვე ნახევარ საუკუნეს მიღმა მდგარნიც კი, ისე თავგამოდებით ემიჯნებიან, მაგალითად, მშვენიერ, დარბაისლურ „რევაზს“ და ისეთი ქალური კოკობზიკობით ებლაუჭებიან „რეზობას“, თითქოს „რევაზობა“ ნიჭს დააკლებდა მათ და ხნოვანებას მოუმატებდა...

ეს ახირება, სხვათა შორის, ჯერ კიდევ ამ ოციოდე წლის წინათ, ერთ-ერთ ჩემს კომედიაში სატირის ქურაში გავატარე (მასთან ერთად ჩვენი დიდებული, ჩვენი დროის დიდებულების მიერ ფეოდალურად მონათლულ „ბატონო და ქალბატონოს“ ნაცვლად შემოღებული „პატივცემულო“ და რუსულიდან იდიოტურად გადმოტანილი „იჩობაც“, მსგავსი „ქაიხოსროვიჩისა“ და „ქაიხოსროვნასი“), მაგრამ განა სატირა და, საერთოდ, ლიტერატურა მოიყვანს გონს ბედაურის პატრონს, რომელიც, „მაღალი პრინციპის“ გამო, ვირზე ჯდომას ამჯობინებს?!

ისე კი, ამის მოვლა-გამოსწორება სულ იოლია: როცა ყველაფერი სახელმწიფოს ხელშია – ბატიბუტიც და გუტენბერგის გამოგონებაც! – სულ პატარა განკარგულებაა „ზევიდან“ საკმარისი: ამიერიდან აღარ დაბეჭდოთ ადამიანთა ურთიერთობის გამაუბრალოებელი, ფამილარობა-უზრდელობის დამამკვიდრებელი ესა და ისა-თქო, მაგრამ „ზევით“ ასეთი რამისთვის განა დროს და ენერგიას დაკარგავენ?..

არა, ამბავი რომ ეხებოდეს საპატაკო საქმეს, – ო-ო, მაშინ ეს უკვე სხვა ამბავი იქნებოდა!..

ეს მოხდა კარგა ხნის წინათ: მთაში, ერთ-ერთ საძოვარზე მგლებმა მწყემსი დაგლიჯეს... მერე იქ ბარიდან რაიკომის მდივანი ავიდა და პირველად ეს იკითხა:

— ცხვარი ხომ არ დაგეხოცათ?

პიროვნების კულტს იოლად მივალწიეთ, ადამიანის კულტი კი ჩვენში ჯერ კიდევ ჭანჭიკ-„ვინტიკის“ დონეზეა.

\* \* \*

ვინცა სთესავს მოსავლელად  
თესლსა სადმე ანწლისასა,  
ის ცრუ არის, თუ მოელის  
ლერნამს მისგან შაქრისასა.

„ქილილა და დამანა“.

წინაპრები, წინაპრებიო... საწყალი ჩვენი წინაპრები! რას არ ვაბრალებთ მათ?!

როცა მასწავლებელი ნიშნის დაწერაში ფულს აიღებს, რომელი ჩვენი წინაპარ-მასწავლებელი იზამდა ამას? ლუარსაბ ბოცვაძე, სილოვან ხუნდაძე? პეტრე თუ იოსებ ოცხელი? ალექსანდრე თუ ბესარიონ ჭიჭინაძე?

კარგი, ბატონო, ეს შორეული წარსულია, ახლო წარსულში... ეპიფანე ვასაძე, პავლე მეტრეველი, სოლომონ ფურცელაძე, ანდა, ეგებ ამბროსი შევარდნაძე?! – (ამ უკანასკნელზე ათი წლის წინათ ალ. კოკაიას მიერ დაწერილ და გამოსაცემად გამზადებულ პატარა მონოგრაფიას „ერთმა კაცმა“ ვეგო დაადო, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის სანიმუშო მასწავლებელი არ იყო...).

როდესაც პროფესორი კაცი იმდენად ურცხვად „გაქრთამდება“, რომ ჩვენს, არამზადების მიმართ ლმობიერებით აღსავსე დროშიც კი, იძულებული ხარ დააპატიმრო, რომელი ჩვენი პროფესორ-წინაპარი იკადრებდა ამ სიგლახეს?!

მკრეხელობა იქნებოდა მოძღვარ-მოძღვრების აჩრდილები შემენუხებინა, ამათი დასახელება მკრეხელობაა, მაგრამ რაკი შედარებით მხოლოდ მოძღვრებია, ეგებ მაპატიონ... გულშიც კი გაივლებდა მსგავს რამეს ვარლამ თოფურია, მიხეილ ზანდუკელი ანდა კოტე ბაქრაძე?!

ჩვენს წინაპრებს ჩვენზე ზედმინვენით, მე მგონია, მათი თანამედროვე არქანჯელო ლამბერტი უფრო იცნობდა. ის კი წერს: „ქორწილში საჩუქრები არ მოაქვთ“. კარგი, ეს იყო მე-17 საუკუნეში, მაგრამ საჩუქრებზე ასე სამარცხვინოდ დახარბებული, როგორც ახლა ვართ, სულ ახლო წარსულშიც არ ვყოფილვართ.

ომის წინა წელს უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებულმა თავიანთ ქორწილში რამდენიმე სტუდენტი-ამხანაგი მიგვიპატიჟეს. ახალგაზრდული ქორწილი კი იყო, მაგრამ მექორწილებს მშობლებიც ჰყავდათ, ახლო ნათესავებიც და ნაცნობ-მეგობრებიც, მაგრამ იქ არავის, გარდა თეთრი ვარდებისა, არაფერი მიგვიტანია: ოთახში... დიახ, ოთახში, და არა ცხენსაჭენებელ დარბაზში, ახლა ბევრ ერთ ღინკილა ბავშვიანსაც რომ აქვს, საითაც არ გაიხედავდით, – ვარდები, ვარდები, ვარდები! სულ თეთრი, თეთრი!..

დედოფალი ნუნუ ქადეიშვილი გახლდათ, – დღეს ფრანგული ენის მართლა ჩინებული სპეციალისტი, ქვრივი, ფაქტიურად, გათხოვების პირველი თვიდანვე; ნეფე – დიდი იმედების მომცემი პროზაიკოსი კოტე ხიმშიაშვილი, რომელიც თავის დროზე მრავალ ახალგაზრდა მწერალში მიხეილ ჯავახიშვილმაც კი გამოარჩია (დაიღუპა 25 წლისა; მისთვის წესის აგებაში დიდი ნიჭი და დიდი ცეცხლი ჩააქსოვა გამომძიებელმა აირაპეტ მარკაროვმა, მასთან ერთად, ერთ საქმეზე, დაღუპა ერთდროულად 16 ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდაც მისმა წინამორბედმა და მისმა თანამემამულემ, ნამიკიტნარმა სარქის თათუზოვმა, რუსულად მხოლოდ ერთ სიტყვას რომ წერდა უშეცდომოდ – Расстрелять! – იმსხვერპლა ქართველი ინტელიგენციის არა ერთი და ორი გამოჩენილი წარმომადგენელი; სტალინის სიკვდილის შემდეგ ორივემ თავი მოსკოვს შეაფარა; მარკაროვს, ამ ათიოდე წლის წინათ, როგორც იქნა, მოაკითხა „ტერ-ასტვაცმა“, თათუზოვის ასავალ-დასავალი კი დამეკარგა. ვიცი მხოლოდ, გორკის ქუჩაზე ს. ქავთარაძეს ბინა გადაუცვალა, და თუ ახლაც ცოცხალია, ეჭვი ნუ შეგეპარებათ, ყოველწლიურად დიდ ეროვნულ, პერსონალურ დახმარებას იღებს ვაზგენისაგან („ჰაირენიკ აიასტანის“ წინაშე საიდუმლო დამსახურებისათვის!).

ყველამ ვიცით, რომ 1972 წლის თითქმის მიწურულში საქართველოში ზნეობრივი რევოლუცია დაიწყო. ამ რევოლუციას ქართველების ჯანსაღი ნაწილი შეხვდა დიდი სიხარულით და დიდი იმედებით, აკი ხალხის ეს ნაწილი გმინავდა – ამ სიტყვის პირდაპირი და სრული მნიშვნელობით, – გმინავდა თავისივე ქართველების დამპალი ნაწილის უღელის ქვეშ. მე არ შემიძლია განვსაზღვრო, რა თანაფარდობა არსებობდა მაშინ დამპალსა და არადამპალს შორის; თუნდაც პირველი ყოფილიყო ბევრად უფრო მცირე, ვიდრე მეორე, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს, რადგან... საამისოდ მაგალითად ესეც კი გამოდგება: თბილისში რამდენიმე ათეულ ათას ავტოს საქვსთან მჯდომს ტერორიზებული ჰყავს დანარჩენი მილიონამდე მცხოვრები...

მელიორატორებმა კარგად უწყიან, რომ ჭაობის ამოშრობის ყველაზე დიდი მტრები ყოველთვის იყვნენ და არიან ბაყაყები; მაგრამ, როცა „ბაყაყები“ იარაღდებიან იმდენი ფულით, რომ მისი დათვლა აღარ ეხალისებათ, – ეზარებათ კიდევ, და ამავე დროს, ბევრი მათგანი ნამდვილი



იარაღითაც იარაღდება, რა გასაკვირია, თუ ასეთი ჭაობის ერთბაშად ამოშრობა ზოგჯერ გადაულახავ სიძნელეებთანაც კი არის დაკავშირებული...

იმ ხანებში ერთმა ჩემმა ნაცნობმა სოფელმა ჭაბუკმა მილიციის სკოლა დაამთავრა, მილიციის მოზრდილი მუშაკის ქალიშვილიც შეირთო, ბრწყინვალე მომავალს – ქონებრივს! – ნერწყვის ყლაპვით შესცქეროდა, რომ ამ დროს... მის ჯერ კიდევ უმანკო თვალებზე ცრემლების ნიღვარმა გადმოხეთქა და ჯერჯერობით მხოლოდ თეორიული ცოდნით აღჭურვილმა მილიციელმა ხორავას არათეატრალური, ბუნებრივი ტრაგიზმით იქუხა: „რალა მაინცდამაინც ჩემს ჯინაზე მოხსნეს მჟავანაძე?! ერთი-ორი წელიწადი დაეცლიათ კიდევ! ტყუილად ვისწავლე?!“

მრავალ ბრძმედში გამოვლილმა სიმამრმა, ზნეობრივი რევოლუციით უკვე თვითონ შეშინებული, არც სულ მტკიცედ, მაგრამ მაინც გულდაჯერებით დაუნყო დამშვიდება „ტყუილად ნასწავლს“: „ნუ გეშინია, სულ ასე ხომ არ იქნება, გამოსწორდება საქმე!..“

ვაი-ვაი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ „საქმე“ მართლაც „გამოსწორდა!“ ახლა მის ბინაში რომ შეიხედოთ, არა მგონია, მისი პატიოსანი მინისტრი ცხოვრობდეს ისე, როგორც ეს მილიციის ლეიტენანტი! ალბათ იკითხავთ, როგორ, საიდან? სულ უბრალოდ: თვალებს ხუჭავს. ამის სანაცვლოდ, როგორც უბნის ინსპექტორი, ჩამოუვლის ხოლმე დანიშნულ დღეებში მის უბანში განლაგებულ სავაჭრო ობიექტებს და კრებს... არ ვიცი, რა შევარქვა: ღალა, ხარკი თუ კონტრიბუცია...

დიახ, ზნეობრივი რევოლუცია კარგად დანყებული, დიდებული წმენდა-დასუფთავება მერე და მერე როგორღაც შენელდა, შეყოვნდა, შეფერხდა, ნაბორძიკდა... უფრო და უფრო იდეურ-ალმზრდელობით ზომებზე გადავიდნენ, შეგონებებზე...

კი, მაგრამ შეგონებანი იმოქმედებენ მგლებზე და აფთრებზე?! მსოფლიოში ჯერ არც ერთ ცირკს არ უნახავს მხეცების ისეთი მწვრთნელი, რომელსაც აფთარი მოეთვინიერებინოს; სახარების ტკბილი ჰანგები მგელს ერთიორად ამგელებს, მგელმა იცის, სახარება დასჯას არ ქადაგებს.

ჰოდა, მორჯულების ამგვარ მეთოდზე ხელი თუ არ ავიღეთ და ისევ ეკლიან გზას არ დავადექით, – ვაითუ გამართლდეს მარქსის თანამედროვის ბრუნო ბაუერის სიტყვები:

*«Все великие начинания кончаются неудачей».*

რევოლუცია, როგორც უნდა იყოს, – პოლიტიკური იქნება ის, კულტურული თუ ზნეობრივი, – უმსხვერპლოდ წარმოუდგენელია. მე, რა თქმა უნდა, არ მოვუნოდებ ფიზიკური მსხვერპლისაკენ, მაგრამ... როცა აფთარი თვითნაკეთი ბომბით არხეინად დაიარება და მის ხუშტურზეა დამოკიდებული, ადამიანთა რომელ თავშეყრას ესვრის ამ ბომბს, ასეთ აფთარს რალაც ჰუმანიზმის პოზიციებიდან აღარ უნდა ვუდგებოდეთ, ხალხისათვის სჯობს ერთი ნაძირალა ამოიკვეთოს, ვიდრე ამ ნაძირალამ ასი ღირსეული ადამიანი შეიწიროს.

რა ფასი აქვს ქვეყნისათვის მატერიალურ სიმდიდრეს, თუკი ის ზნეობრივად ახალი სახის ველურების წარმომშობი წყარო იქნება?.. მე ვთქვი, ახალი სახის-მეთქი, აკი პალეოლითის დროინდელი ველურებიც მკვდრებით არ ვაჭრობდნენ.

რა გახდა ასე ძნელი ჩვენთვის, რომ სოფლად, მწარე მაგალითის საჩვენებლად, ჯერ ერთი-ორი ზნედაცემული – ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვისათვის – ადამიანი მოვთოკოთ და შევანჯღრიოთ... ეგებ იმის გვერიდება, რომ ეს მისი მიცვალებულის უპატივცემლობაში ჩამოგვერთმევა, მაგრამ თავისივე მიცვალებულის პირველივე შეურაცხმყოფელი ხომ თვითონ ის არის? სწორედ ამიტომაც უნდა ამოენაყოს ცხვირი მას, რომ შუბლზე გარკვევით დაინეროს: გარდაცვლილი-სადმი კაცური მოქცევა ცოცხლებს გვამაღლებს!..

ნუთუ ასე ძნელია „წინაპართაგან“ ჯერ კიდევ შემორჩენილ ყოფაცხოვრებით სიმახინჯეთა აღგვა იმ საბჭოთა ადამიანების შთამომავალთათვის, რომელთა მამებმაც ასობით ეკლესია დაანგრიეს, ერთი ხელის დაკვრით შემუსრეს ხალხის გონებაში სარწმუნოება, სვანეთში საუკუნეობით ძვალ-რბილში გამჯდარი სისხლის აღების წესი აღმოფხვრეს, იმ დროს ფანატიკურ აჭარაში ქალებს ჩადრი ჩამოგლიჯეს, მერე, ცოტა მოგვიანებით კი მოსპეს და გაანადგურეს ერთძროხიანი და ორხარისანი კულაკობა, როგორც კლასი (ამ საისტორიო საქმეში, სხვათა შორის, ქართველმა მწერლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის კონსტანტინე ლორთქიფანიძის მადლიან კალამს)...

სხვადასხვა მშენებლობასთან დაკავშირებით მთელი სოფლები აგვიყრია და... ერთსულოვნება ხომ ჩვენი ცხოვრების ბერკეტია! ჩვენ ხომ იმ მოწინავე, ორგანიზებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ზევიდან სულ დაბალი ხმითაც რომ დაგვიძახონ, აბა ესა და ეს გავაკეთოთო, მის გასაკეთებლად ფიცხლავ მილიონობით ვირაზმებით, ჩვენ ხომ მორალურად გახრწნილ დასავლეთში არ ვცხოვრობთ, სადაც, მაგალითად, მისთვის ასეთი გამაბახებელი ამბავიც კი შეიძლება

მობდეს (ამოღებული მაქვს ჩვენივე პრესიდან): ერთმა ახალგაზრდამ პასპორტში თავისი სურათის ნაცვლად მაიმუნის სურათი ჩააკრა და ისე გადალახ-გადმოლახა დანია-ნორვეგია-შვეიცია-პოლანდია, ბელგია-საფრანგეთი-იტალიის საზღვრები, რომ ვერსად ვერავინ შეამჩნია და ვერავინ მიუხვდა... საინტერესოა, ის „მაიმუნი“ ჩვენს საზღვარს რომ მოსდგომოდა... (საზღვარს კი არა, მწერალ კაცს „კომუნისტის“ რედაქციის შენობაში ცხვირი იოლად ვერ შეგიყვია, ჯერ, საერთოდ, არ გიშვებენ, და თუ გამონაკლის შემთხვევაში მოწყალეობა მოიღეს, შენს საწვერო წიგნაკს ისე ჩითავენ, თითქოს მასში ადამიანის კი არა, მართლაც მაიმუნის სიფათი იყოს ჩაბეჭდილ-ჩანებებული).

...ეს დასავლეთი, მაგრამ ჩვენ არც აღმოსავლეთის ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებში ვცხოვრობთ, როგორცაა, მაგალითად, იაპონია...

*«Крестьянин Тахакиро Окубо не согласился продать для сноса свой дом, стоявший на трассе строящейся автострады №18 Токио-Осака. Тогда автострада была построена так, что злополучный дом оказался посередине дороги. Сейчас Окубо должен быть предельно внимательным, выходя из дома».*

... პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დადგენილება მაგნე და დრომოჭმული ტრადიციების შესახებ დიდებული დოკუმენტია, მაგრამ მისი გამოქვეყნების დღიდან აგერ ბარე კაი ოთხი წელიწადი გადის და... ამ დრომოჭმული ტრადიციების ფესვებს როგორღაც შერყევა არ ეტყობა.

ამ გაზაფხულს ერთი საინტერესო გურული კაცი გავიცანი; ის თუნდაც იმითაც არის საინტერესო, რომ ამ ჩვენს საუკუნეში რა რევოლუციაც მომხდარა, გარდა სექსუალურისა, ყველაში მონაწილეობა მიუღია; დაბადებულია 1893 წელს, პარტიის წევრია 1916 წლიდან, – ვასილ დარჩია.

მან მითხრა: თავზე ქონის წასმით, ბიძია, საქმე არ გამოკეთდებაო. ერთ მის ნაცნობს თურმე... 14 (თოთხმეტი!) სასტიკი საყვედური აქვს გამოცხადებული უკანასკნელი გაფრთხილებით! არც პარტიიდან რიცხავენ, არც ფულის საკეთებელი ადგილიდან ხსნიან!..

საყვედური, თუნდაც, სასტიკი, თუნდაც უსასტიკესი, აბა რა არის უპატიოსნო, სინდისგარეცხილი „ამხანაგისთვის“?! ჟუჟუნა წვიმაა!..

ჰოდა, ასეთი ჰუმანიზმი, თუგინდ ის „საბჭოურის“ ეპითეტიტაც შეამკე, საერთო-სახალხო საქმეს წინ ვერ წასწევს; „გაფრთხილება“, მორალის სფეროში მაინც, თუ „ცეცხლითა და მახვილით“ არ შეიცვალა, გათახსირების უკანასკნელ საზღვრამდე მიგვიყვანს.

მინდა გაეცნოთ, ჩემი აზრით, საინტერესო ამონაწერს ერთი სერიოზული ისტორიკოს-ლიტერატორის წიგნიდან:

*«Буржуазно-олигархическая Англия XVIII века была жестокой и грубой не только в своем обращении с низшими. Она не только терроризировала рабочих и безработных виселицами, позорными столбами и плетьюми. Эта жестокость и грубость пронизывали весь быт самих имущих классов. Драки с разбиванием морд в кровь и с возможным смертельным исходом, нападения из-за угла банды наемных хулиганов были явлениями повседневными. Лорды и джентльмены напивались до рвоты и на четвереньках уползали спать. На балах дамам приходилось терпеливо улыбаться, танцуя с пьяными кавалерами, рыдавшими им в лицо».*

ახლა კი დიდ ბრიტანეთში ადამიანი მსგავს რამეებს განა შეხვდება? მერედა, რით ამომანთეს ყოველივე ეს და როგორ დაიბრუნეს ინგლისელებმა დღევანდელი ცივილიზებული ადამიანის სახე? თქვენ ფიქრობთ, პრესით, თეატრით, მუსიკით, ლექსით, კომისიებით და სოციოლოგიური გამოკვლევებით? არა! და არც ჩემნაირი, ბრჭყალებიანი „ცეცხლითა და მახვილით“, – ნამდვილი ცეცხლითა და მახვილით!..

...ოცდაათიან წლებში, მწერალთა კავშირში, ერთ-ერთი დისკუსიის დროს, კამათში გამოსულმა კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა: ამ მაგიდაზე წითელი ჭინჭიც რომ დაგვიდონ, თუ ის ცეკას გამოგზავნილია, მე მას დროშად მივიჩნევო...

ასევე მეც, – აკი მე ბატონ კონსტანტინეს ნამონაფარი ვარ, არა მწერლობის დარგში, რასაკვირველია...

როცა ერთ დროს მას პროლეტარულმა მწერლებმა, ლიტერატურის მეშვეობით, ცხოვრების წყაროც კი მოუსპეს, მასწავლებლობა დაიწყო: გერმანულს მასწავლიდა მე-14 შრომის სკოლაში...

ჰოდა, მეც ასევე-მეთქი, მაგრამ... ზემოთ მოხსენიებული დადგენილების ერთი ფრაზა, მაინც როგორღაც ნაადრევად, უფრო მეტიც – საეჭვოდ მომეჩვენა და მეჩვენება: ბავშვები საზეიმო

ვითარებაში უნდა იბადებოდნენო...

ჩემი ეჭვის გასაფანტავად, აგრეთვე იმის გასაგებად, დღე-ღამეში საშუალოდ რამდენი ბავშვი იბადება და მათ შორის ქართველი რამდენია, – თბილისის ერთ-ერთი სამშობიარო სახლი მოვინახულე (შესვლა მანეთი დამიჯდა!).

პირველ სართულიდანვე თუმცა ფალიაშვილის „ცანგალა და გოგონა“ კი შემომესმა, მერე ბიზეს „ხაბანერაც“ და შალვა დადიანის „მხოლოდ შენ ერთს“, მაგრამ მათ მაინც წკიპზე მდგარი დედების ოხვრა-კვნესა ჩრდილავდა, ხანდახან ყურისწამლები კივილიც კი...

როგორც პრესიდან ვიცით, საბჭოთა ქალი ყოვლისშემძლეა, მაგრამ, როგორც ჩანს, საზეიმო ვითარებაში მოლოგინება, ჯერჯერობით მაინც, მათაც გაუჭირდებათ...

\* \* \*

**„ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყვანან“.**

**აკაკი.**

ბატონმა ნოდარმა თავისი წერილი-მისალმება მოქანდაკე ბერძენიშვილისადმი ასე დაამთავრა:

„ძმაო მერაბ! ჭეშმარიტად გმირია დედა, რომელიც თორმეტ შვილს გაუჩენს მამულს, მაგრამ უფრო გმირია ის დედა, რომელიც ერთ და ორ შვილს გაუზრდის შენისთანას“.

ცოტა რაღაც შეუსაბამოდ მეჩვენება, რომელიმე დედას შეეძლოს უნიჭო შვილი ნიჭიერად აქციოს (თუმცაღა, რომელი მშობელი არ ცდილობს ამას!)... განა თვითონ ნოდარ დუმბაძე ნოდარ დუმბაძედ დედამ გამოზარდა?

კი, მაგრამ რატომ ვერ გამოზარდა სოფია ანდრეევნამ შვიდი შვილიდან ერთი მაინც, ტოლსტოის თუნდაც შორეული, შორეული მსგავსი რაღაც? როგორ, საამისოდ მას გვარიშვილობა აკლდა, სახსრები, ენერჯია თუ განათლება?! მაგრამ ეს სხვათა შორის...

მთავარი ის არის, რომ არა მგონია, ახლა, როცა ფიზიკური ამონყვეტის წინაშე პირდაპირ ვდგავართ, თორმეტი შვილის დედა თუ ბევრად არა, ყოველ შემთხვევაში ნაკლებ პატივსაცემი იყოს იმ დედაზე, რომელსაც ერთი შვილი ჰყავს, თუნდაც ის ძალიან ნიჭიერი ბრძანდებოდეს.

დღევანდელ სიტუაციაში მაინც, ამგვარი რამის ქადაგება ჩვენს საერო საქმეს წინ ვერ წასწევს, აკი ეს დიდად ჩამოჰგავს იმ „კრედოს“, რომელზედაც ამას წინა გვერდებზე ვწერდი: „ერთი-ორი შვილი გავზარდო და კარგი აღზრდა მივცეო“...

დაე ყველაფერში ჩამოვრჩეთ – დროებით! – თუნდაც სომხებსაც ჩამოვრჩეთ, ოღონდ მათსავით ვიმრავლოთ; ჩვენი სიცოცხლე სიმრავლეზეა დამყარებული, და როცა ამ მხრივ ახლანდელი რაქიტიანი ფეხები გამოგვეცლება და ისევ ამირანის ფეხებზე შევდგებით, მაშინ თქვენი შემწეობა-ამფორიანებელი, ამ სტრიქონების ავტორი, აღარც ქართული ალპინიზმის წინააღმდეგ გამოვა და აღარც ქალთა „ჭადრაკიზმისა“...

იმ ჩამორჩენას კი, კულტურის, მეცნიერების და ყველა სხვა დარგში, როგორც ბუნებით ნამდვილად ნიჭიერი ხალხი, მალე ავინაზღაურებთ, მაგრამ სულთმობრძავობამდე თუ დავიყვანთ ჩვენს თავს, – ჩვენივე მოსულიერება ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლება, „ძმები-მეზობლები“ კი ჭიქა წყლის მოწოდების ნაცვლად, ერთ მაგარ ჭიტლასაც ამოგვეკრავენ და სანთლებსაც აგვინთებენ, რათა მოუსავლეთისაკენ ბნელში გზები არ აგვერიოს და უმოკლესი გზით წავიდეთ...

ერთმა რუსმა პოეტმა მთელი თავისი გულწრფელობით ასე შეგვამკო:

**Без Грузии станет Вселенная много беднее...**

მაგრამ არა, მსოფლიო უქართველებოდაც არ გაღარიბდება, არც დაობლდება: ეტრუსკების ვით გაქრება ქართველი ხალხი, მაგრამ არ გაქრება არც კახეთის ვაზი და არც სვანეთის მთები – დევგმირები, ხეოფსის პირამიდასავით, ხანდახან, ჯვარიც მოჰკრავს ხოლმე ყურს გიდის სტიქიოტიპულ ფრაზას;

— აბა ახლა მარჯვნივ გადაიხედეთ! ერთ დროს იქ ქართველები სახლობდნენ...

საქართველო, როგორც გეოგრაფიული სახელწოდება, შეიძლება დარჩეს კიდეც, აკი მის დასაპატრონებლად ჩვენი დღევანდელი „ძმები და მეგობრები“ ერთმანეთს დაერევიან „არა, ჩემია, არა, ჩემიას“ ძახილით, და როცა ვერ მორიგდებიან, „საქართველოს ხალხებმა“ შეიძლება „შეგ-

ვიცოდონ“ და... აკი არაბებმაც „შეიცოდეს“ ეგვიპტელები და ეგვიპტეს ძველი სახელი შეუნარჩუნეს!..

ისე კი, გული სულ ნუ გაგვიტყდება, ზოგი რამ ჩვენი მატერიალური კულტურიდანაც შემორჩება კიდევ ისტორიას, შეიძლება მთლიანად არც ჩვენი პოლიფონიური სიმღერები დაიკარგოს, ოღონდ... ოღონდ მათ, სხვადასხვა რჯულისა და ჯიშის „არაბები“, „ცოტა“ სახეშეცვლილად იმღერებენ „ინტერნაციონალის“ ხმაზე:

აყვავდი ტურფა ქვეყანავ,  
იხარე მოსულთ მხარეო...

\* \* \*

**„დაე დიდხანს იდგეს მისი სასიქადულო  
კალამი მამულის სამსახურში...“**

**ერთ-ერთი ჟურნალის მისალმება  
ერთშვილიანი ერთ-ერთი იუბილარისადმი.**

ჩვენს დროში – მხოლოდ ჩვენს დროში! – რაც საქართველოზე საქებარ-სადიდებელი თუ-გინდ მარტო ლექსები დანერვილა (და ინერება), რალაც სასწაულით მათი გადნობა და წყლად ქცევა რომ შეიძლებოდეს, ვინ მოთვლის, რამდენ ნისქვილს აამუშავებდა, რამდენ კილოვატ ენერგიას მოგვცემდა! რომელი ჩვენგანი არ...

ჰე, საქართველოვ, შენზე ძვირფასი  
რა გვაქვს შენს შვილებს დასაფიცარი!

კი, მაგრამ...

მარტო ფიცი, და ისიც, შეუსრულებელი ფიცი, ეყოფა ჩვენს მამულს? შვილებს მომავლისას?

საქართველოს მთებს, მის წყაროებს, ტბებს,  
მის ციხე-კოშკებს ძველს, მტლად დავედები!..  
ვარდ-ყვავილთა ფერს, ხეგებსა და სერს,  
ჩემს საყვარელ ერს ვამკობ ლექსებით.

კი, მაგრამ...

ჩვენთვის თითქოს ასეთ სანუკვარ სამშობლოს მარტო ლექსებით შემკობა ეყოფა?! „მტლად დავედებიო...“ ამ „მტლად დამდებელს“ მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს და მხოლოდ ერთადერთი უკვე დადუღებული შვილიშვილი, ასე რომ, მეორის, „დაუდუღებლის“ მოლოდინი ნულარ გვექნება...

ჩვენი დღევანდელი მწერალი ქალები ბევრად უფრო გამართულად, სამწერლო ტექნიკის მხრივ, ბევრად უფრო გამართულად წერენ, ვიდრე ეკატერინე გაბაშვილი, მაგრამ არც ერთ მათგანს – ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით მაინც, – არ შეუქმნია „მაგდანას ლურჯას“ ტოლი ნაწარმოები. ჰოდა, გაბაშვილმა კი, ეკატერინემ, მამულს არა მარტო „მაგდანა“ დაუტოვა, – 11 მამულიშვილიც!

ქალაქის პირობებში, ცხადია, ახლა ბევრს ვერ მოსთხოვ ათობით შვილს, მაგრამ შენ რომ გამოჩენილი ქალი ხარ, და ვითომ ასე რომ გიყვარს ის ქვეყანა და ის ხალხი, ვის ენაზეც წერ, „მტკაველ-მტკაველ დასაკოცნო, გოჯი გოჯზე სათაყვანო“-ო, ყველას თვალში რომ სჩანხარ, მიეცი ამ „დანარჩენ უბრალოთ“ ცოცხალი, სამშობლოს სიყვარულის დამამტკიცებელი არა მხოლოდ სიტყვიერი მაგალითი, და ამ „ჩემო მინავ, მაღლიანოზე“... სამი რა არის, მაგრამ სამი შვილი მაინც იყოლიე!

დღევანდელ ქართველ მწერლებში ერთი კი მაინც მოინახება ასეთი მწერალი-ქალი? თუ სწორად მივაკვლიე, ერთი, თურმე, მართლაც მოინახება: ნაზი კილასონია, პატარა ქალი, მაგრამ არცთუ პატარა პოეტი, თუმცა ასეთად იგი როგორღაც არ ჩანს კრიტიკოსების თვალში, იმ კრიტიკოსების, რომლებიდანაც ბევრი „მძიმე“ ბამბის საჩხრიალო ტექნიკას უფრო დაუფლებულია, ვიდრე კიო, ვიდრე გოზალიუსი (იყო ასეთი ილუზიონისტი – ხაშურელი გოზალოვი).

ნაზი... აი, ვის აქვს სრული მორალური უფლება უმღეროს საქართველოს, გვირჩიოს, შეგვარცხვინოს, მოგვინოდოს გამრავლებისათვის!

ახლა იმდენი ზღვა-ლექსები ქვეყნდება, რომ პირდაპირ ლოცმანი უნდა დაიქირაო, ნამდვი-

ლად კარგი ლექსის სანაპიროს რომ გაგიყვანოს, მაგრამ ნაზი კილასონიას, ჩემთვის პირადად უფრო საინტერესო ბოლოდროინდელ ლექსებს, – „დედა“, „სასამართლოს დარბაზიდან“, „ვიყოთ, ვიმრავლოთ“, – ლოცმანი არ სჭირდება, განსაკუთრებით „ვიყოთ, ვიმრავლოთ“, – ეს სულის შემძვრელი ეროვნული საგოდებელია...

რა მოგვდევს ხელთა?  
ნელ-ნელ ვიცლებით:  
ამ დედისერთა  
ნაზი პრინციბით...

ამ ლექსის ყოველი სტრიქონი ტყვიაა, – ჩვენს გულში პირდაპირ მოხვედრილი, ტყვია – ჩვენს გამოსალვიძებლად, გამოსაფხიზლებლად, მაგრამ... „მხოლოდ პირუტყვი ივინყებს წარსულს, არ ფიქრობს მომავალზე და მარტო ანმყოთია კმაყოფილი“, – ამბობს აკაკი და რა სამძიმოც უნდა იყოს ამის თქმა, მაინც უნდა ითქვას: ჩვენს ახლანდელ... მმ...

სარვამარტოდ „კომუნისტში“ იშვიათი ღირებულების ნაწარმოები დაიბეჭდა, ეს არის ლექსი-სიმფონია; მისი ავტორი ჯერჯერობით არ არის მხცოვნად აღიარებული, თუმცა ბაბუობის სტაჟი ხელს კი უწყობს. ალბათ ამით გათამამებული მოგვმართავს და მოგვინოდებს, – „მეტი გვიზარდეთ ენაწყლოპინები!“ არა კილასონიასებურად „ვიმრავლოთ“, – გვიმრავლეთო...

ცოტა არ იყოს, ეს ისევ სხვისი ფეხით სამოთხეში შესვლას ნააგავს, – ამ წიგნის დასაწყისში რომ მოგახსენებდით, ანდა, საერო ტვირთი ერთს რომ აკვიდოთ ზურგზე და ჩვენ კი, ყველანი, უკან მივსდევდეთ და ვამხნევებდეთ: „აბა ჰე, აბა ჰე!..“

თითქოს სასიხარულო უნდა იყოს, ეს ჩვენი დიდი ეროვნული უბედურება კარგი პოეზიის წყაროდ რომ იქცა, მეორე მხრივ ყოველივე ეს ყურში გლოვის ზარად უნდა ჩაგვესმოდეს, – აკი ლექსი, როგორი გენიალურიც უნდა იყოს, ვერ გამოგვაფხიზლებს, და საერთოდ, ვერავითარი ლიტერატურა, ვერავითარი მუსიკა, ვერავითარი თეატრი, ვერც უმაღლესი ორგანოების დადგენილებები და ვერც, ვთქვათ, საგანგებო მიმართვებიც ხალხისადმი, ვერ გამოგვიყვანს ჩვენი ახლანდელი პირუტყვიული მდგომარეობიდან და ვერ გვიხსნის ამ განსაცდელისაგან; ჩვენს სატკივარს ვერ უშველის ვერც რამიშვილ-სუხიშვილის ანსამბლის მოსალოდნელი ტრიუმფალური გასტროლები ინდონეზიაში, ვერც ნინო გურიელის გაგროსმეისტერება ვაჟთა შორის, ვერც „დინამოს“, თუნდაც, ზედიზედ სამგზის ჩემპიონობა და ვერც ქუთაისის „ტორპედოს“ პირველიდან უმაღლეს ლიგაში გადასვლა...

მხოლოდ პირადი მაგალითით შეიძლება ამოიშანთოს ერის ორგანიზმში შეჭრილი ნამხედურობის მეტასტაზები...

\* \* \*

**მაშ რად გამზარდა დედამა,  
რად განმმტკიცა მკლავია,  
თუკი სამშობლოს სარგოდა  
იგი ვერ მომიხმარია.**

ვაჟა

ამ ბოლო ხანს ქართულ პრესაში ხშირად შეხვდებით სხვადასხვა „ფიქრებს“: „ფიქრები თეატრზე“, „ფიქრები ჩვენს პოეზიაზე“, „ფიქრები ბუნების დაცვაზე“, „ძეგლებზე“, „არქიტექტურაზე“, „ფიქრები ესტრადაზე“ და სხვა. გარდა ორი-სამი ლექსისა უკვე აღარაფერი დაბეჭდილა იმ თემაზე, რომელიც ქართველი ხალხის ხვალისდელ დღეს, მისი ფიზიკური ყოფნა-არყოფნის „ფიქრებს“ რომ შეეხება...

და მე ამით არც მინდა ვინმეს რამე ვუსაყვედურო, არც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, არც რადიოს და ტელევიზიას, არც დიდს, არც პატარას... განვლილმა ათწლეულებმა ახლა, ალბათ, რეგენიც კი დაარწმუნა, რომ ასეთ, თუნდაც ძალიან ბრძნულ, გულში ჩამწვდომ შეგონებებს არავითარი, აბსოლუტურად არავითარი დადებითი შედეგი არ მოაქვს. ყველაფერი ეს – დისკუსიები, ლექციები, პრესა თუ პიესა და სხვა მისთანები ფუჭი ტყვიის გასროლაა. ისევ ძალაში რჩება კლასიკური „შენ კი რამდენი გყავს?..“

ასეთ კითხვა-კითხვაში, „შენ რამდენი გყავს“, ერთ უბედურ დღეს ამის შემკითხველიც აღარავინ აღმოჩნდება. ამ უბედურ დღეს, მართალია, ჩვენ ველარ მოვესწრებით, შეიძლება ვერც ჩვენი შვილები მოესწრონ, მაგრამ ჩვენი ხალხის მომავალი მარტო ჩვენი და ჩვენი შვილებით ხომ არ უნდა ამოვწუროთ და გავზომოთ!

რა ხანია მასობრივად მომრავლდნენ ისეთი „დიდი ქართველები“, რომელთაც ცოცხალი საქართველო მანამდე უნდათ, ვიდრე თვითონაც ცოცხალნი არიან...

არა, არც ის ივარგებს, რომ ცილი დავენამოთ: მათს შემდეგაც თუ იდღეგრძელებს საქართველო, ამის მოსურნენიც არიან, ოღონდ ვიდრე თვითონ „აქ“ არიან, მათთვის სამშობლო ის ცხვარია, რომლის საკვები ბალახისთვის თავი არ უნდა შეინუხო, მაგრამ რომლის დუმაც კი უნდა თალო და თალო...

ასეთების სულს, ისინი კი ასიათასობით დაითვლებიან, ვერც „დედავ, ისმინე ქართლის ვედრებათი“ შესძრავ და ვერც „ქართლის დედაო, ძუძუ ქართლისა...“

აქ საჭიროა სხვა ზომები, რკინა რკინითვე უნდა ამოიშანთოს. ეს რკინა კი სახელმწიფოს ხელშია ...

ჩვენს პატარა რესპუბლიკას, საქართველოს, სულ პატარა დრაკონი სჭირდება, სახით შემაშინებელი, გულით – სათნო, მოკლედ, კეთილი დრაკონი, ამ „ღია ბარათის“ დასაწყისში რომ მოგახსენებდით...

...თბილისელი, ქართველი მრავალშვილიანი დედა (ნ. გ.) ძალზე ვიწროდ ცხოვრობს, ბინას თხოულობს და, ვისთანაც კი მივიდა, თანამდებობის პირნი დასცინიან კიდეც: „რად გინდოდა ამდენი შვილი? ქურთებს შეეჯიბრე?!“ ამავე დროს მის ერთშვილიან დედინაცვალს, საკავშირო დეპუტატს, ვეებერთელა, არასტანდარტულ ხუთოთახიან ბინას აძლევენ...

ეს არის სამართალი?! საბჭოთა სამართალი?! თუნდაც პატრიოტული გრძნობაც რომ ჩამოვაცილოთ?! საგულისხმოა ისიც, რომ ეს „მთავრობის ქალი“ სრულებით არ იწუხებს თავს, რომ ქმრის შვილსა და შვილიშვილებს თუნდაც სიტყვიერად მაინც დაეხმაროს (ჩანერილი მაქვს ოცი-ოდე წლის წინათ).

...ქობულეთელი კარგი ქართველი ქალი, ნუნუ წილოსანი, მეორე ბავშვის შექმნისას, მიდის რაიკომის მდივანთან და ცრემლმორეული ემუდარება, აკვნის დასადგამი ადგილიც არა მაქვსო...

რაიკომის მდივანი, პირველი კაცი რაიონში, ძველებურად გუბერნატორი (პატარა!) ბატონ-კაცურად უპასუხებს: ბავშვებს წარამარა რომ აჩენ, არ იცოდი, რომ ბინა არ გქონდაო?!

ბავშვების „წარამარა“ შექმნის სურვილი დაეკარგა შეურაცხყოფილ დედას, სამაგიეროდ ორშვილიანმა სიორიძემ, იმ ხანებში, ორი ბინა „გააიმასქნა“ დედაქალაქში, და როცა „რაიკომობის“ ყავლი გაუთავდა, საკუთარი ორსართულიანი სახლიც მიაყიდა... საგულისხმოა ისიც, ამ სახლის ქვედა სართული რაიკომის მდივანს... რკინა-კავეულის მალაზიისათვის ჰქონდა მიქირავებული!

...სამწუხაროდ, ეს ამბავი უკვე ზნეობრივი რევოლუციის პერიოდში მოხდა: თბილისში, დათიაშვილების ათშვილიან ოჯახს ისეთი ბინა მისცეს, რომელშიც, არსებითად, არც იცხოვრება. ბინა კი ახალია, ოღონდ... ერთი ღირსება კი აქვს: წვიმა არ ჩამოუდით, მის ზევით კიდეც რამდენიმე სართულია.

ამავე დროს, ჩვენს ქალაქში, ნებივრობენ ისეთებიც, რომელთა ერთადერთი მემკვიდრის დაბადების დღეს, თამადა სუფრის თავში რომ დაჯდება და სუფრას თვალს მოავლებს, მარტო მის წინ ას კაცზე მეტი ზის.

ამერიკელი მილიარდერი პოლ გეტი 84 წლისა გარდაიცვალა, სულ ცოტა ადრე სიკვდილამდე, მოათავა თავისი მემუარები. ამ მემუარების ბოლო ფრაზა ასეთია:

*«Люди должны смириться с тем, что между ними никогда не было равенства, нет и не будет».*

ნუთუ გეტს, მილიარდერს, ჩვენც, საბჭოთა ადამიანებიც, ვყავდით მხედველობაში?!

\* \* \*

«Жить так, как мы живем, можно только по приговору, который к тому же окончательный и обжалованию не подлежит».

## ფსიქიატრიულ საავადმყოფოში რომელიღაც შეშლილისაგან გაგონილი

სულ აგერ ახლა ჩვენი გასაბჭოების არნახული აყვავება რომ ვიზიემეთ, მის მერე ფიქსირებული მხოლოდ სამი, და ისიც მორიდებული, ამონაკენესი:

„...ძალიან გავმწარდი, როცა მთელი დღე ვიარე და ვერ შევიძინე ლოგინის თეთრეული და ქმრისა და პაპაჩემისათვის საცვლები, იმიტომ უფრო გავმწარდი, რომ პაპა ძალიან შემეხვეწა, აუცილებლად მიყიდე გრძელი საცვლები, თორემ მცივაო“.

„...1960 წელს ბარად ჩამოგვასახლეს და დიდ იმედებს ვამყარებდით, გვეგონა ოც წელიწადში მაინც შეიცვლებოდა რამე, მაგრამ ყველაფერი პირიქით გამოვიდა. ვცხოვრობთ ძველებურად, კვლავ სანატრელი გვაქვს კლუბი, სამედიცინო პუნქტი, გზა და სასმელი წყალი, რაც მთაში უხვად გვქონდა... ყველაზე აუტანელი კი უფრო ის არის, რომ პირველი კლასის მოსწავლეებს, რომლებიც თავიანთ ჩანთებსაც ვერ ერევიან, სკოლაში სასმელი წყალი სახლიდან მიაქვთ“.

„...ჩვენი საცხოვრებელი სახლი 14-სართულიანია. ბუნებრივია, გვაქვს ლიფტი, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ლიფტი ძალიან ხშირად მწყობრიდან გამოდის, უიმიხოდ კი ძალიან გვიჭირს ამ სიმაღლეზე ასვლა-ჩამოსვლა. ესეც არ იყოს, თუ ლიფტი გამოთიშულია (მუშაობს მხოლოდ 8 საათიდან 24 საათამდე) ანდა გაფუჭებულია და მაშინ გამოვიძახებთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუშაკები, – თავბედს იწყევლიან; სანყლებს გული ამოვარდნაზე აქვთ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მეცამეტე, მეთოთხმეტე სართულზე ფეხით ამოსვლა და თან სამედიცინო აპარატების ხელით ატან-ჩამოტანა.“

ვის არ მივმართეთ, მაგრამ ქმედითი დახმარება არავინ არ აღმოგვიჩინა. მ ო გ ვ ხ ე დ ე თ, მ ე გ ვ ი ბ რ ა ლ ე თ, შეუძლებელია ასეთ პირობებში მრავალსართულიან ბინებში ცხოვრება. ვინ იცის, ჩვენსავით რამდენი სხვაც იტანჯება?“

...1837 წელს ნიკოლოზ პირველი ერევანს ესტუმრა. მას დიდი ამბით ანუ, როგორც ახლა ვამბობთ ხოლმე, მგზნებარე ენთუზიაზმით შეხვდა სომეხთა ბრბო (толпа). ამ ბრბოს წინამძღვარს დროშასავით ამართული, ჯოხზე წამოცმული, გაპუტული და ენანაჭრილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი ბატი მოჰქონდა...

— Что это? – გაიკვირვა თვითმპყრობელმა.

— Здешний обычай, Ваше Величество! – აუხსნა გუბერნატორმა.

გვირგვინოსანი ამ პასუხით არ დაკმაყოფილდა და ფლიგელ ადიუტანტი გაგზავნა ამბის გასაგებად. გამოირკვა, რომ ეს ჩალურჯებულ-გაძვალტყავებული ბატი სიმბოლოა თურმე იმ მდგომარეობისა, რომელშიც ეს ხალხი იმყოფება: „ჩვენც ამ ბატივით კანამდე ვართ გაპუტული და იმის უფლებაც არა გვაქვს ჩვენს ბედშავობაზე კრინტი დავძრაო“.

იმ ძველ წიგნში, სადაც ეს ამოვიკითხე, არაფერია ნათქვამი, ბრძანა თუ არა რაიმე იმპერატორმა თავისი ქვეშევრდომ-ბატების ხელახლა შესაბუმბლავად და ასამეტყველებლად...

...შექსპირი იმდენად პოპულარულია საქართველოში, რომ გვარს მისას ზოგიერთი, „დაჟე განათლებულიც“ თავის პირმშოს სახელადაც კი არქმევს (მსგავსად ედისონისა, რენტგენისა, ეიფელისა, მარატ-ჟორესისა და სხვათა), და მაინც, ჩვენდა სავალალოდ, შექსპირს, როგორც პოეტს, ცოტანი თუ ვიცნობთ, თუმცა გვაქვს კიდევ მისი სონეტების ორი თარგმანი...

ჰოდა, ეს ჩვენი სათაყვანო შექსპირი, უილიამი თუ ვილიამსი, ჩვენამდე ჯერ კიდევ ოთხასი წლით ადრე, გოდებდა:

ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,  
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,  
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,  
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,  
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა...

ქალაქის ეკონომიის მიზნით ბოლომდე აღარ ჩავათავებ და ამ ისტორიულ ექსკურსს ნაადრევად ვუსვამ წერტილს, დაინტერესებულ მკითხველს კი ძებნაში დროს არ დავაკარგვინებ: სათვალავით ეს სონეტი სამოცდამეექვსეა.

**იყო ხალხი, ბრძენი ჰყავდათ მმართველი,  
მიტომ შერჩა ამ ქვეყანას ქართველი!**

**სანდრო შანშიაშვილი.**

წინათ, აი, იმ დროს, როცა წყეულ „ნაშთებს“ თესავდნენ, ნაცისხარ კაცს უნდო თვალით უყუ-  
რებდნენ, სასჯელმოსხდილ კაცის მკვლელს კი აბა ხელს ვინ ჩამოართმევდა, ბევრი მათგანი ად-  
რინდელ საცხოვრებელ ადგილს აღარც ეკარებოდა...

გამახსენდა ყოველივე ეს და მინდოდა დამეწერა, ერთსულოვანი საზოგადოებრივი ზიზლი  
გამოეფუცხადოთ-მეთქი ახალგაზრდა მშობლებს, ჯერჯერობით ერთბაშეშვიანებს, მაგრამ ხელი  
კალმინანდა ჩავიქნიე, აკი საოცრად მომრავლდნენ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილები, და უბე-  
დურებაც ის არის, რომ თანამედროვე საბჭოთა ისაკიჩებს არავინ, არამეჯღანუაშვილებიც კი,  
ზიზლით არ უყურებს, არავინ მათ არ დასცინის, არავინ მათ არ გაურბის, პირიქით – ის, გმირი  
თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დასამოყვრებლად მაინც ჩინებული პარტიკა თავის წრეში და მის  
გარეთაც.

რა მშვენიერ, დიდებულ ოჯახში შევიდაო, მოჰკრავთ ხოლმე ყურს ახლად გათხოვილ ქალიშ-  
ვილზე. ეს „მშვენიერი, სანიმუშო“ ოჯახი კი საქვეყნოდ ცნობილ მექრთამესა და გამომძალველს  
ეკუთვნის. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, რაიმე საზოგადოებრივი ზიზლის გამოცხადებაზე  
იმედის დამყარება უიმედო წამონწყება იქნებოდა, თვით საზოგადოებაც თითქმის მთლიანად  
ასეთივე „საზოგადოებას“ წარმოადგენს.

და მაინც, ერის კეთილმა, ერის მხსნელმა, ერის მკურნალმა  
დრაკონმა, რაკი მის ხელშია მათრახიც და ნამალიც, იმათ წინაშე  
ფარ-ხმალ არ უნდა დაყაროს, ცოტნე დადიანივით უნდა შეებრძო  
ლოს ერის ურჩხულთ, ერის მოღალატეებს...

ვინ არ იცის, რომ ჩვენში დიდი და პატარა, განათლებული და ვითომ განათლებული, სწავ-  
ლული და ვითომ სწავლული, თავიანი და უთავო, ყველა-ყველა, სულ მცირეოდენის გამოკლე-  
ბით, თანამდებობისკენ მიისწრაფვის, „სკამის“ ხელში ჩაგდებაზე ოცნებობს და მის ჩასაგდებად  
არავითარ სიგლახეზე უარს არ ამბობს. ჩვენმა კეთილმა დრაკონმა კი საქმე ისე უნდა წარმარ-  
თოს, რომ ეს სიგლახე ერის სასარგებლო სიკარგისაკენ შეტრიალდეს: თანამდებობაზე დანიშ-  
ვნისას უნდა გამოიკითხოს, დასანიშნავ პირს შვილი რამდენი ჰყავს... უპირატესობა მეტშვილი-  
ანს უნდა მისცეს, მით უფრო ახალგაზრდას, მომავალ მამას და დედას.

ამჟამად ეს არის ყველაზე უკეთესი, მამკურნებელი სტიმული გამრავლების წასაქეზებლად,  
რადგან ახლა, გადაგვარების გზაზე დამდგარ ხალხს, ეკონომიური სტიმულით ვერ დააინტერე-  
სებ: გამძღარ-გახეთქილს მთელ გოგორა პურს მიართმევ თუ არ მიართმევ, ეს მისთვის სულ  
ერთია! ბაბუნაშვილს როცა ფულების თვლა მოყირჭდა, სამინისტრო სავარძელს დაასო თვალი.  
ასეთია დღევანდელი ქართველი კაცის ბუნება, სულ ერთია ის დიდფულიანი ბაბუნაშვილი იქნე-  
ბა თუ ნაკლებფულიანი ბაბუნაშვილი...

ჩვენი ცხოვრება ისე აენყო, რომ ყველას უნდა ხელქვეითი ჰყავდეს, ყველას უნდა, შენ იყო  
მასზე დამოკიდებული, და არა ის იყოს შენზე! ყველა მიილტვის შემოსავლიანი, საქურდალი ად-  
გილისაკენ (მე ბოდიშს ვიხდი ზოგიერთი არა ასეთის წინაშე, მაგრამ ისინი ისე ცოტანი არიან,  
რომ იძულებული ვარ „ყველაობით“ ვილაპარაკო).

ალბათ იტყვი, მერედა, სად მოინახოს ამდენი შვილიანი და თანაც თავიანი ხალხიო. საქმეც  
ის არის, რომ თავიანს და უთავოს ძებნა არც უნდა დაუნყონ. მიიხედ-მოიხედონ, რამდენი უთა-  
ვო ზის სათავო ადგილებზე, მაგრამ ცხოვრება მაინც თავისი გზით, შეიძლება ტაატიო, მაგრამ  
მაინც თავისი გზით მიიმართება და, როგორც ხედავთ, ქვეყანა ამით არ ინგრევა, ჩვენი ნაწილი  
დედამინისა მაინც ბრუნავს!..

რა თქმა უნდა, აკადემიის პრეზიდენტი უეჭველად თავიანი უნდა იყოს, და ამის გამო მას  
სულ უშვილობაც ეპატიება, მაგრამ, როცა შენ „ატეკას“ უფროსად ორშვილიანი უთავო (თუნ-  
დაც თავიანი!) მამაძალი გიზის, დააყენე მის ნაცვლად მეტშვილიანი უთავო და დაე მასზე  
ალალიც იყოს, თუკი, ვთქვათ, ხალხის ჯიბეში, სრულიად მოურიდებლად, ხელის ჩამყოფი ტაქ-  
სისტი რაღაცას მასაც უწილადებს: ეს შვილებს მაინც უზრდის სამშობლოს!

როცა მასა, ხალხი გაიგებს და დარწმუნდება, რომ მეტშვილიანობა და მრავალშვილიანობა  
ჩვენში არა მარტო იმით ფასდება, რომ „სოფლის ცხოვრება“ მათს ჯგუფურ ფოტოსურათს მოა-  
თავსებს მეოთხე გვერდზე, არამედ ასეთი ხელშესახები და თვალდასანახავი პატივისცემითაც,



მაშინ ყველა ჩვენ მოწმენი გავხდებით, რა სასიკეთო შედეგი მოჰყვება ამას ერისათვის.

ამიტომაც, ვინც ხალხის რჩეულად ითვლება, საზოგადო მოღვაწედ, ერისკაცად, ვინც გაგებით თუ ვიტყვით, – და მას არა მარტო ლექსებით და კანტატებით უყვარს თავისი საქართველო, „რომლის სადარი ქვეყნად სად არი“, – არაფერი არ უნდა დაიშუროს ერის საკეთილდღეოდ, თუნდაც ეს მის პირად კეთილდღეობასაც ეხებოდეს.

რამდენი ახალგაზრდა მწერალია, რამდენი ახალგაზრდა ხელოვანია, რომლებიც ოჯახს არ ეკიდებიან, ანდა უკვე მოკიდებული არიან და ერთი და ორი შვილით იფარგლებიან, მაგრამ ისინიც კი შუბლზე ხელს იტკლიცავენ და სწრაფად გამოფხიზლდებიან, თუკი, ვთქვათ, მაგალითისათვის, ერთ უცნაურ დღეს ასეთ ფანტასტიკურ ამბავს შეიტყობენ:

გრიგოლ აბაშიძე და ოთარ თაქთაქიშვილი – ერისა და სამშობლოს სათაყვანოდ! – გადადგნენ თავიანთი თანამდებობებიდან – პირველი სამშვილიან გურამ ფანჯიკიძისა და მეორე ოთხშვილიან ნოდარ გურაბანიძის სასარგებლოდ!..

მე ამას სახუმარო-საქილიკოდ არ ვპენტავ: გარდა იმისა, რომ ისინი ჩვენ გვჯობიან „ბავშვობრივი“ ცენზით (პირობითად ვხმარობ „ქონებრივის“ ანალოგიით), ამავე დროს, ნურას უკაცრავად და, არც თავიანთობით ჩამოგვივარდებიან (მეპატიოს მრავლობითში ლაპარაკი, ჩემს თავს სრულებითაც არ ვაგდებ თავებში, მაგრამ ამით, ასე მგონია, თქვენს თავებს ნაკლებ ჩრდილს ვაყენებ).

ერთი, სულ პატარა მაგალითი: ჟურნალი „განთიადი“, ფანჯიკიძის რედაქტორობის დროს, ქუხდა და გრგვინავდა, – მორიგი ნომრის გამოსვლას ჩვენ, მკითხველები, თვიდან თვემდე სიამით და გულისფანცქალით ველოდით; პროვინციის, „ქუთათურმა“ ჟურნალმა სულ მოკლე ხანში ქართული სქელი ჟურნალისათვის არნახულ ტირაჟს მიაღწია – 35 ათასს! შეიცვალა რედაქტორი და... ახლა, საერთოდ, გამოდის თუ არა, ბევრმა არც კი იცის; წნევიან ავადმყოფს, შეცდომით, რეზერპირინის დოზას რომ შეუშხაპუნებენ და წნევაც ერთბაშად კატასტროფულად დაეცემა, ასე დაეცა ამ ჟურნალის ტირაჟიც.

ნოდარ გურაბანიძეც გახლავთ... არა, მართალია, ზოგჯერ მის თავს შენჯღრევა სჭირდება, მაგრამ...

აბა რომელია ჩვენში ისეთი მინისტრი, დროდადრო ასეთი პროცედურები არ სჭირდებოდეს?! სწორედ ამისათვის არსებობენ ზემდგომი ორგანოები, – თუ მივიძინებთ, გამოგვაფხიზლონ. აი, როგორც ერთხელ, ცეკას იმდროინდელმა მდივანმა ქალბატონმა ვიქტორია სირაძემ... რა არის, მინისტრის პირველი მოადგილე ჯინსს რომ იცვამსო... იმ დღიდან ჩვენმა შერისხულმა ამხანაგმა ნოდარმა, ყველას დასანახავად, გაიხადა ჯინსის კოსტუმი და თვალის დასანახავად შეიჯავრა იგი, უფრო, ალბათ, სხვების თვალის ასახვევად...

ისე კი, კაცმა რომ თქვას (ჩემისთანა უპარტიო „აბდალაიმ“, რა თქმა უნდა!), არც ის არის, მაგალითად, სულ მთლად გონივრულ-გამართლებული, – აგვისტოს პაპანაქებაშიც კი, როცა თბილისში კვერცხი მზეზე სამ ნუთში, ჩრდილში კი ხუთ ნუთში შეინვ-შეიხრაკება, კოსტუმებში, მეტწილად დარბაისლურ შავში რომ დადიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს თანამშრომლები.

ამბობენ, ეს იმიტომ, რომ უფრო წონიანი გამოჩნდნენ მასების თვალში... შეიძლება, შეიძლება! შეიძლება წონაში მართლაც იმატებენ მასების თვალში, ოღონდ... ესეცაა, ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი პრეზიდენტი, ჯონ კენედი, მოკლესახელოებიანი, შარვალში ჩატანებული პერანგით გამოდიოდა ხოლმე პრესკონფერენციებზე და თავისივე პროფესიის ხასიათიდან გამომდინარე უსაშველოდ გამკილავ-გამქირდავ-განმქიქებელი ჟურნალისტების თვალშიც კი არ ჩანდა ბოთედ და ტინგიცად.

(სხვათა შორის, – არც ჩვენი გიორგი ნიკოლაძე, რომელიც ზაფხულობით, ხანდახან, მოკლე, მუხლებამდე შარვლით ჩაივლიდა ხოლმე რუსთაველის პროსპექტზე, მაგრამ ჩვენ, მომაიმუნო ბიჭებიც კი, უკან ქირქილით როდი მივსდევდით, პირიქით, – სიყვარულით თვალს ვაყოლებდით, – ეს გიორგი ნიკოლაძეა, დიდი ინჟინერი და დიდი ალპინისტი, მოკლედ – აი, ვაჟკაცი!).

...ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, პოლონეთში, ბულგარეთში, თუმცა იქ თანამდებობა, ძალიან დიდიც კი, ავტომატურად იმდენ სიკეთეს არ აძლევს ადამიანს, როგორც ჩვენში, – ამა თუ იმ ადგილზე დასანიშნ კანდიდატს ყოველთვის ეკითხებიან, რამდენი შვილი გაყავსო, – და ამ კუთხით უდგებიან, როგორც ხედავთ, სრულიად ერთგოვან ქვეყნებშიც, სადაც არც ამონყვეტა ემუქრებათ და არც სომხების დაგეგმილი შემოსევა ყოველი მხრიდან, და არც სამასი ათასი აზერბაიჯანელის სტიქიური მოძალევა აღმოსავლეთიდან და არც ქვეყნის შუაგულიდან ოსების მაჩვისებური შემოპარვა, და არც ზღვისპირიდან აფხაზების თავხედური ხრიკები...

ამ ქვეყნებში, და ბევრ სხვაგანაც მრავალშვილიანებს მრავალი სხვა უპირატესობაც აქვთ, მაგრამ მათ ჩამოთვლას მე არ შევუდგები, – ჩვენს პირობებში მათი განხორციელება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, არარეალურია; ჰოდა, იმას მაინც მივხედოთ, რაც ჩვენს

ხელთ არის, რაც ჩვენზეა დამოკიდებული...

ახლა მაინც, როცა ჩვენში ზნეობრივი რევოლუცია მიმდინარეობს, სიორიძეებს ნუ გავაჭაჭანებთ იმ პოსტებზე მაინც, საიდანაც მათ შეეძლებათ ქედმაღლურად შესძახონ ერისქალებს.

— ღორი ხარ, ამდენი შვილი რომ გაგიჩენია?!

ფაქტი, რომელიც არ შემომონებია (მრავალშვილიანობის მხრივ), რადგან არ მინდოდა ცუდ გუნებაზე დავმდგარიყავი, თუ ის მართალი არ გამოდგებოდა: ცენტრალურ კომიტეტში მუშაობს თურმე ერთი ამხანაგი, გვარად თოთაძე, მისი სახელი, სამწუხაროდ, არ ვიცი, ოთხი შვილის მამა!..

ბინების განაწილებისას ჭკვიანმა ხალხმა მას სამოთახიანი ბინა მისცა. ამის თაობაზე, ასეთივე ფართობის მსურველმა, ერთშვილიანმა, როგორც მამამ უკვე უპერსპექტივომ, ერთი ამბავი დაანია: იმას რომ მიეცით და მე არ მომეცით, საიდან არჩენს ის ოთხ შვილსო...

მე რომ ის კეთილი დრაკონი ვიყო, რომლის მოვლენაზე საქართველოსთვის დღე და ღამე ვოცნებობ, ასეთი „ლოგიკისათვის“ ამ ნომენკლატურის მუშაკს, გამოუკითხავად მაკულატურაში გადავუძახებდი, თოთაძეს კი ყოველმხრივ ხელს შევუწყობდი და გავამხნეებდი მის კაცურ კაცობაში...

მეორეც, არც სულ დამონმებული ფაქტი: ცენტრალურ კომიტეტში ერთ-ერთი განყოფილების გამგედ მუშაობს სამშვილიანი ამხანაგი, და ახლა მეოთხესათვის ემზადებაო...

მეოთხეს, ასეთ მწირიანობაში, ვინ მოსთხოვს, მაგრამ თუ სამიც ჰყავს, აფერუმ მის ქართველობას!

პირადი მაგალითი, მხოლოდ პირადი მაგალითი, და ამას რაც „ზევიდან“ გამოსაჩენი ადამიანები მოგვცემენ და გვიჩვენებენ, ჩვენზე, პატარა ხალხზე უფრო შთამბეჭდავად იმოქმედებს, არა მარტო გამრავლებაში, — ცხოვრების ყველა სფეროში!

აი, თუნდაც, რა ხანია მოგვიწოდებენ, გადავაქციოთ თბილისი ბაღნარად, ნალკოტად, გავაშენოთ და შევმოსოთ ვაზითო... ყოველწლიურად ყვავილების დღესასწაულიც კი იმართება. მე თქვენ გეტყვით, კლიმატი არ გვინყობს ხელს თუ საყვავილე მინა! ცენტრალურ ქუჩებზე, აივნებზე, თუნუქის, მიწით სავსე კოთხოებიც კი დაგვიდგეს უფასოდ, მაგრამ, რაკი ჩვენ „დიდი კულტურის ხალხი ვართ“, თესლის ჩაგდებაც კი გვემძიმება და სამ დღეში ერთხელ ერთი ტოლჩა ნყლის მისხმა.

მაგრამ რა პირით უნდა გაამტყუნო „ვინტიკები“ და „ბოლტიკები“, როცა... აი, უკვე 10 წელიწადია, დღეში ორჯერ მაინც, ჩავივლი ხოლმე ფალიაშვილის ქუჩაზე, დიდი, საგულდაგულოდ ნაშენები 31 სახლის წინ, რომლის აივანზე, წყვილ-წყვილად, უფრო მოზრდილი და ღამაზი საყვავილე კოთხოებია ჩამოკიდებული, მაგრამ ათი წლის მანძილზე, არც ერთ ამ კოთხოდან, არც ერთხელ, ერთ მორცხვ იასაც არ გადმოუყვია თავი! მერედა, თქვენ ფიქრობთ, აქ „ია-ია“ ხალხი ცხოვრობს თუ?! სულ დიდი მთავრობის ხალხი, ზოგი უკვე ცხენიდან გადმომჯდარი, ზოგი ისევ ცხენზე მჯდომი!..

ჰოდა, როგორღა გადავაქციოთ ჩვენი დედაქალაქი ბაღნარად?! საამისოდ ყვავილთა მეფეები, ჰოლანდიელები ხომ არ მოვიწვიოთ, რომლებმაც ზღვაც კი არაფრად ჩააგდეს და უკან დაახვეინეს?!

როცა ერთ ნამდვილ მეცნიერს შევჩვილე ერთი პატარა, ცნობილი ლექსის „ვარდს ვერ გაეშალა კოკორის“ უბედური ამბავი, ასე მითხრა: პირს რომ ვიბანთ, ბატონო, ესეც არ გიკვირთო?!

სულ აგერ ახლა, მე-18 საუკუნეში, არც ინგლისელები იბანდნენ პირს, მაგრამ...

ჩვენც ვისწავლით, ოღონდ დასაბანი პირი შეგვრჩეს, ოღონდ ცოცხალი ვიყოთ, ოღონდ ვიმრავლოთ! საამისოდ კი... მ ა გ ა ლ ი თ ი ! პ ი რ ა დ ი მ ა გ ა ლ ი თ ი ! მხოლოდ პ ი რ ა დ ი მ ა გ ა ლ ი თ ი ! და კ ა ნ ო ნ ის ძ ა ლ ა ც !

ბევრს ორი ბავშვის ყოლაც კი არ უნდა იმიტომ, რომ...

„რა ბედნიერი ვარ, რომ მხოლოდ ერთი შვილი მყავს, ახლა მეორეც რომ მყავდეს მოსაწყობი უმაღლესში, უი, დედა!“..

ასეთი „ბედნიერი“ დედები, „სანაქებო“ დედობით ცხვირანუელნი, ცხენივით ერთ კვიცს რომ მიაბოდილალებენ, ქართველი ხალხის მხსნელმა, კეთილმა დრაკონმა იმით უნდა გაამწაროს და გონს მოიყვანოს, რომ...

მ ე ტ შ ვ ი ლ ი ა ნ ე ბ ი დ ა ნ , უ მ ა ლ ლ ე ს შ ი მ ი ლ ე ბ ი ს ა ს , უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ა მ ა თ უ ნ დ ა მ ი ე ც ე ს , ვ ი ს ა ც დ ა -ძ მ ა მ ა ი ნ ც ჰ ყ ა ვ ს , მ რ ა ვ ა ლ შ ვ ი ლ ი ა ნ ი ო ჯ ა ხ ე ბ ი დ ა ნ კ ი უ გ ა მ ო ც დ ო დ , დ ი ა ხ , უ გ ა მ ო ც დ ო დ თ ი თ ო -თ ი თ ო შ ვ ი ლ ი მ ა ი ნ ც უ ნ დ ა მ ი ი ღ ო ნ ! ამის დაწესება დასტურის იქნება იმისა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოები, მათ ღვანლს ქვეყნის წინაშე მხოლოდ სიტყვით როდი აფასებენ!

ეს გაახარებთ მათ და ამავე დროს ეს კარგი, კეთილისმყოფელი მათრახი იქნება მცირეშვილიანებისათვისაც, რომლებიც ჯერ არ დაბადებული „აბრამებისათვის“ უმაღლესზე ფიქრობენ 18-20 წლით ადრეც...

ამის დანესებით სრულებით არაფერი დაუშავდებათ ჩვენს უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებს, არ იმოქმედებს ცუდად მათს კონტინგენტზე; ახლაც ხომ, მიუხედავად მრავალჯერ შეგონებისა, ხვენწა-მუდარისა და გაფრთხილებისა, იძულებულნი არიან, უკიდურეს შემთხვევაში, გარიცხონ არა ერთი და ორი დედისერთა და „დედისორთა“ სტუდენტები – სისხლის სამართლის დამნაშავენი, ქურდები, ავაზაკები, მანქანების გამტაცებლები, ხულიგნები, ისეთები, რომლებიც თუმცა დიდი ვაი-ვაგლახით მოეწყვენ, და მაინც არ უფრთხილდებიან ასე ძნელად მისაღწევ ბედნიერებას – სტუდენტობას.

მე, რა თქმა უნდა, არ ვიძლევი იმის გარანტიას, რომ ყველა, უგამოცდოდ მიღებული, შრომისმოყვარე მრავალშვილიანი ოჯახებიდან, უთუოდ ანგელოზი იქნება ნიჭითა და საქციელით, ეს კია, ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი სასტუმრო „ივერიასთან“ უცხოელს ჩემოდანსა და ხელჩანთას არ გამოსტაცებენ; მარჯანიშვილის მოედანზე, დღისით-მზისით, ტელეფონის ჯიხურში ქალიშვილს, დანებმომარჯვებულნი, ჯინსის შარვალს არ ჩახდიან „კარგი ოჯახის“ შვილებივით...

თანაც, არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც პირველი შვილი მიიღონ, ეს დაკვირვებით უნდა აწონ-დაწონოს თვით ოჯახმა და სკოლამ, სადაც ის სწავლობდა, უგამოცდოდ მისაღები ერთი შვილის „ლიმიტი“ ჭკუით უნდა გამოიყენონ.

...უნდა დანესდეს ალიმენტის ოდენა გადასახადი ერთშვილიან ოჯახებზე, ჯერ ერთშვილიანებზე!

(აქვე გარკვევით შევნიშნავ: ასეთ სავაგლახო გახშირებულ გაყრა-გამოყრას სწორედ ერთ და ორშვილიანობა აადვილებს).

...თუ ეს პრაქტიკულად მოსახერხებელი იქნება, ამჟამინდელ საქართველოს პირობებში, მანქანები – ეს ბორბლებიანი კუბოები, არ უნდა მიეცეთ ერთშვილიანებს, საცოლედ შეღებულ ვაჟკაცებს, რომლებიც ოჯახს არ ეკიდებიან, და მანქანას, მეტწილად, გაადვილებული მრუშობისათვის იყენებენ.

...როცა „განკითხვის დღე“ დადგება, არ უნდა გაენიოს არავითარი ანგარიში ერთშვილიანი დედების აფერისტულ თავის მოსაწყობებას, „პირველიც მუცლიდან ამოვიჭერი“, „მეტი არ მეყოლა“, „გულის მანკი მაქვს“... ასეთები ათიათასებში, შეიძლება, ერთი-ორი მართლაც გამოერიოს, მაგრამ სჯობს ისინიც, ასე თუ ისე, დაისაჯონ, ვიდრე ცოდვამიტევებულად ჩათვალონ თავი ათიათასებმა!..

მე ვთქვი, დაისაჯონ-მეთქი, და არა გაიკიცხნონ, აკი ასეთ ადამიანებზე გაკიცხვა ისე მოქმედებს, როგორც „ჟუჟუნა წვიმა“, როგორც ვასილ დარჩიასეული „14 სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით!..“

\* \* \*

**მარად და ყველგან, საქართველოვ,  
მე ვარ შენთანა!..**

**ილია.**

მე თუ რამე დამეკითხება, უკვე ხანმოთუფლ კაცს, ცხოვრებაში ბევრი ავისა და ჭირის მნახველს, ქართველების მხრივ ყოველგვარი „დისიდენტობა“, საერთოდ, დიდი უჭკუობაა. ასეთივე უჭკუობა იყო 1924 წელს „დისიდენტური“ გამოსვლები, რომლებსაც მხოლოდ და მხოლოდ ტრაგიკული შედეგი მოჰყვა, საქართველოს ბევრი კარგი შვილი რომ დააკარგინეს.

პოლიტიკამ ილუზიების პატიება არ იცის, პოლიტიკოსს რეალისტის თვალები უნდა ჰქონდეს, სამყაროს ძალთა თანაფარდობას ტელესკოპის მეტრნახევრიანი ობიექტივით უნდა სჭვრეტდეს: არასოდეს არ დადგება ისეთი დრო, როცა ძალა აღმართს ვერ დახნავს!

როცა ოცი-ოცდახუთი წლისა ვიყავი, ერთობ მიკვირდა, როგორ ახსოვთ ხნიერებს-მეთქი ოცი წლის წინანდელი ამბები, მე ესენი ძველისძველ ისტორიებად მეჩვენებოდნენ, ახლა კი იმდროინდელი ამბები გუშინ მომხდარ ამბებად მესახებიან. ასე აირეკლება ხოლმე დრო სიბერის პრიზმაში.

1956 წლის 9 მარტი დღევანდელი ახალგაზრდობის თვალში ლამის ანტიკური დროის კალენდარს მიეწერება, სინამდვილეში კი ასე არ არის. იმ უბედური დღის ნატყვიარები, მიუხედავად საგულდაგულოდ შელესვა-შეგლესისა, ახლაც ემჩნევა ერთი შენობის ფასადს... ცოტაც და, არ ვიცი კი ვისი, ეს კია, ერთი გონიერი კაცის წინდახედულობა რომ არა, იმ შენობას ნატყვიარები, ალბათ, კიდევ მიემატებოდნენ.

მერედა, ღირდა კი ამ ფასად ჩვენი ახალი კონსტიტუციის ის „სადავო“ მუხლი? აღნიშნული მუხლი 40 წელიწადი იყო უმაღლესი ხარისხის, ბრინჯის ქალაქზე ამოჩუქურთმებული ასოე-

ბით ძველ კონსტიტუციაში ჩაბეჭდილი, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მისთვის ხელი ავად არავის უხლია, მაგრამ... მოვიხმარეთ კი რამეში?! გამოგვადგა კი რამეში?! დღეს კონსტიტუცია, თუ მართლაც შენი ერი გიყვარს და შენი ქვეყანა, შენს პატრიოტულ გულში უნდა გიზგიზებდეს, და ამ სიყვარულს პლაკატით და ყანნით კი არ უნდა ამტკიცებდე, – ფუტკრისებრივი საქმიანობით და ერისათვის ახლა ყველაზე უფრო აუცილებელი, იმ ცოცხალი მაგალითის ჩვენებით, რომლის ასე ხშირად განმეორებით, ალბათ, ასე დიდად დაგლალეთ.

რაც უფრო მეტი ვიქნებით, მით უფრო ძლიერი ვიქნებით, რაც უფრო დავსუსტდებით, მით უფრო დაგვჯახნიან: ბუნების ეს კანონი, დღიდან ქვეყნიერების დასაბამისა, ერთნაირად მოქმედებს როგორც ცხოველთა სამყაროში, ისე ხალხთა ურთიერთობაშიც.

დიახ, ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს თავი რომ უნდა მიაკლას „ფილკინა გრამოტებს“, განა უფრო ის არა სჯობს, როგორც ერისათვის, ისე მისთვის, მაგალითის მიმცემი გახდეს, რათა მისი საყვარელი სამშობლო, შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის ენა მარად არსებობდეს და მარად ისმოდეს, რათა მისი მშობელი ხალხი არ აღიგვას პირისაგან მიწისა, რათა ეს დამღუპველი, ამომჟღავნებელი ნამხედურობა ერის გადამრჩენი, მხსნელი „ნამხედურობით“ შეიცვალოს?!

მე დიდი მონინებით ვარ გამსჭვალული ერთი „ნადისიდენტარის“ მშობლებისადმი, ერთი ამათგანი ჩემი სკოლის ამხანაგი იყო... მისი ვაჟი, მე მგონია, სამშობლოს სიყვარულს, მისდამი თავდადებას, სულ ცოტა, ოთხი შვილის გაჩენით უფრო დაგვიმტკიცებდა; როგორც იმერეთში იტყვიან, მე შენ გეტყვი და, საამისოდ ხელს ბინის ფართობი არ უწყობდა, მატერიალური სახსრები თუ ღირსეული მეუღლე?! სხვათა შორის, ეს მათთვის არც ახლაა გვიან!.. ჩინებული ცოცხალი მაგალითი იქნებოდა, არა ერთი და ორი მიმბაძველიც გამოუჩნდებოდათ.

...გელა ბანძელაძეს პირადად არ ვიცნობ, არც ოდესმე თვალით მინახავს, არც ის ვიცი, სად მუშაობს. როცა მის წიგნებს და სტატიებს ვკითხულობ ხოლმე, მათ ავტორს არ სჭირდება წამძვარება, რომ ის პროფესორია, ეს უამისოდაც ჩანს, ეს უამისოდაც იგრძნობა, ეს თავიანი კაცი ამავე დროს სანიმუშო ქართველი მოქალაქეა, – ხუთი შვილის მამაა! რატომ არ უნდა ვხედავდეთ მას – თუნდაც ცოცხალი მაგალითის საჩვენებლად – გამოსაჩენ საერო ადგილზე?! მისი მეუღლე ხომ ჩვენგან, თუ მეტად არა, თანაბრად მაინც, პატივსაცემია ბატონ გელასთან ერთად?!

\* \* \*

Можно все время обманывать некоторую часть народа, можно некоторое время обманывать весь народ, но невозможно обманывать весь народ все время.

Авраам Линкольн.

მარქსიზმი, რამდენადაც ვიცი, პიროვნებას ისტორიაში დიდ როლს ანიჭებს, მაგრამ არცთუ სულ გადამწყვეტს თვითონ მასებმა თავისივე რიგებიდან უნდა შეამზადონ და გამოყონ ისეთი პიროვნება, რომელიც წარუძღვება მათ დიადი მიზნებისაკენ. ეჭვი არ არის, რომ მარქსს მხედველობაში ჰყავდა ისეთი ყოველმხრივ მძლავრი პიროვნება, რომელშიც კონცენტრირებული იქნებოდა ფართო მასების ყველაზე საუკეთესო თვისებები: ჭკუა და ნიჭი, ენერჯია და შემართება.

ჩვენი დროისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი მონაკვეთის სინამდვილემ ეს ისტორიული მოსაზრება, ცოტა არ იყოს, შეაფამფალა; ისეთმა პიროვნებამაც კი, როგორც ნიკიტა ხრუშჩოვი გახლდათ, მთელი ათი წლის მანძილზე 250 მილიონიანი ხალხი, ისე გვაბურთავა და გვათამაშა, როგორც ქსოვის დროს, ბებიის კალთიდან გადმოვარდნილ ძაფის მორგვს ათამაშებს ცინდალი. ბავშვობაში სოფელში ვისაც უცხოვრია, არ შეიძლება თვალი არ მოეკრას ასეთი ცინდალ-ფუტბოლისტისათვის...

რაკი ოთხკაციანი სურათიდან ნიკიტა სერგეის ძემ ბოლო ერთი კაცი ტაშ-ფანდურით ამოაგდო, და რომ ის თავისუფალი ადგილი თავისი პორტრეტით დაემშვენებინა, არა მხოლოდ როგორც ნაცად პრაქტიკოსს, არამედ როგორც მარქსისტულად ღრმად განსწავლულ თეორეტიკოსსაც, – ერთ-ერთ თავის მრავალრიცხოვან გამოსვლაში, კომუნისიმის დადგომა 1980 წლისათვის გვინინასწარმეტყველა; სწორედ იმ ხანებში დაბრუნდა იგი დე გოლის პარიზიდან, სადაც თურმე 150 ათასი ჰოროსკოპი არსებობს და მკითხავ-მარჩიელობს სამწუხაროდ, მისი თეორიული ვარაუდი არ მართლდება: მომავალ წელს კომუნისიმის ნაცვლად ოლიმპიადა შემოგვიღებს კარებს. რასაკვირველია, ჩვენთვის ოლიმპიადის სტუმრობაც ერთობ სასიხარულოა, მაგრამ იგი მხოლოდ 16 დღით გვესტუმრება კომუნისიმი კი უნდა მოგვევლინოს სამარადისოდ – საზოგადოების უცვლელ ფორმად.

იმდროინდელი მეორე პიროვნება, ვასილ მყავანაძე, ხრუშჩოვთან შედარებით, უფრო პატარა მასშტაბის მოღვაწე იყო, და ეს არც გასაკვირია, აკი მისი სამოღვაწეო ასპარეზი რუსეთის ერთი ოლქის ოდენა ტერიტორიით შემოიფარგლებოდა. ამ ფარგლებში კი მან დიდი უნარი გამოიჩინა და სულ მალე საქართველო ბურთის სათამაშო უბალახო მინდვრად გადააქცია...

არა, ის ნიკიტა ხრუშჩოვივით და იმ სოფლელი ცინდალივით ხალხს ბურთივით არ გვათამაშებდა, – მის ხელში თითქმის ყველა თამაშობდა, და თამაშობდა ისე, როგორც ესურვებოდა: ზოგი სად ურტყამდა და ზოგი სად, ზოგი – წინ, ზოგი – უკან, პასს მეტწილად ისევ თავის თავს აძლევდნენ, თავით კი მხოლოდ კარში ურტყამდნენ, სადაც ვასილ პავლეს ძე იდგა, როგორც გუნდის კაპიტანი, როგორც გოლერი და როგორც მსაჯი: როგორც მეკარე იოლად ასაღებ ბურთებსაც უშვებდა, როგორც მსაჯი დროდადრო უსტვენდა კიდეც, მაგრამ მის სტვენას ყურად არავინ იღებდა, ატალახებულ პარტახ-მოედანზე ბურთი მაინც მუდმივ ტრიალში იყო...

და ასე ხელ-ფეხ-კალათ-წყალ-ღვინბურთ ბაკქანალიის თამაში გრძელდებოდა მთელი... აჭარბებენ, როცა ამბობენ, ოცი წელიწადიო, – „მხოლოდ“ 19 წელიწადი!

ჰოდა, დროის ამ მონაკვეთში, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, საოცრად გაძვირდა კიტრი და საოცრად გაიაფდა მთანმინდა!

...მართლაცდა, ედუარდ შევარდნაძემ ყველა დარგში და ყველა სფეროში დამპალი მემკვიდრეობა ჩაიბარა. ზღვასაც კი შმორის სუნი ასდიოდა... და ეს მთებიც, ჩვენი თვალტანადი მთებიც, დაჩიავებულნი გამოიყურებოდნენ. გაირყვნა და გათახსირდა ხალხის დიდი ნაწილი, აღზევდა ქონებრივად და დაეცა ზნეობრივად... იმდენად, რომ ბევრ მათგანს ახლა თვითურად ჯამაგირი ათასი მანეთიც რომ დაუნიშნო, როგორც კახპა ქალი ავხორცობას, ისე ესენიც ხელმრუდობას და სულმრუდობას არ მოიშლიან; ყველაფერი დახურდავდა ფულზე: კაცური კაცობა, ვაჟკაცობა, პატიოსნება, სინდისი, მოყვასის სიყვარული, საერთოდ ადამიანობა...

და რაკი ადამიანობაში ფარას ვერ აიღებ, ეს მათთვის გროშ-კაპიკის საღირაღსაც არ წარმოადგენს, და მათ არც სურთ იყვნენ ადამიანნი, ამ ცნების შეუბღალავი გაგებით, – მგლობა ურჩევნიათ, და რაც უფრო ტრაგიკულია, ეს მგლები თავის თავს კომუნისტებს ეძახიან, აკი საამისო საბუთებიც – დანომრილი! – ჯიბეში უდევთ!..

ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებასო და, ჩვენი უბედურება ორმაგდება იმითაც, რომ ცუდი ყოფიერება, თუნდაც დროებითი, ზოგს ისე წარყვნის, რომ მერე მისი შემობრუნება-შემოტრიალება, თუ დიდი კეტი არ იხმარე, ძალზე ძნელია.

თავი მოვიჩვენოთ, თითქოს ეს ასე არ არის, სიბრიყვე იქნებოდა, არ ვებრძოლოთ ამას თავდაუზოგავად და მათაც – დაუზოგავად, – უზნეობას კიდეც უფრო გავალრმავებდით. გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრიც, რომ ქართველი ხალხის წლობით ტლაპოში ამოსვრილი და ნამსხვრევებად ქცეული სახელის განმენდა-გამთელეებას შვიდი-რვა ან ათი წელიწადი ეყოფა, ჭაობში ჩაყურყუმალება იოლია, ამოყურყუმალებაა ძნელი, – ამას შეიძლება მთელი ერთი თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობაც დასჭირდეს, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ შიში და ისადგურებს ყოველგვარი სიგლახის წინაშე და სასჯელის უღმობელი ზომები იქნება მიღებული, და არა „შენ გენაცვალე, ან ი მაინც ნუ იზამ მაგას“, ანდა „14 სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით“!..

სიხარულისა და ნუგემის მომცემი უკვე ისიც არის, რომ ქართველი ხალხის ყველაზე უფრო სახელგამტეხი მანდარინ-სინდის-ხურმა-ლუფა-კაცური ღირსების ბითუმად და ცალობით მოვაჭრე ათასობით პარაზიტს ედუარდ შევარდნაძემ ვაჟკაცურად, თუ გზა ჯერ კიდეც სულ ვერ გადაუღობა, ყოველ შემთხვევაში მარწუხებში მაინც მოაქცია.

ეს ისეთივე დიდი საერო და საშვილიშვილო საქმეა, როგორის ფიქრი და ზრუნვა 30 წლის წინათ ერთი წინდაუხედავი, აჩქარებული ხელმძღვანელის მიერ გატიალებული ჩვენი მთიანეთის ხელახლა შეფოთვლა-დასახლება (საქართველოს ქართველების სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ალამაზებს, და არა სართიჭალა და ვარკეთილი!)...

ამ ორი რამის წამოწყებაც კი საკმარისია, რომ სამშობლოს ისტორიის გულში კარგი მამულიშვილის სახელი დაიმკვიდრო, მაგრამ ედუარდ შევარდნაძე, შედარებით, ჯერ კიდეც ახალგაზრდაა და შეუძლია მრავალი სხვა რამ სასიკეთოთიც გაგვახაროს.

ახლა, ჩვენს ათეისტურ დროში, ვთქვათ, სასწაული მოხდეს და შოთა რუსთაველი აღსდგეს მკვდრეთით და ილია ჭავჭავაძემაც მთანმინდიდან ღიმილით გადმოგვხედოს და უფსკრულიდან ამოსათრევად ხელიც გამოგვინოდოს, – ვერც ერთი და ვერც მეორე მამობას ვერ გაგვინვევენ; განა იმიტომ, რომ არ მოისურვებენ, – ამის ნებას მათ არ მისცემენ: ამა თუ იმ საბჭოთა რესპუბლიკის მამად ახლა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ითვლება, და ბედნიერია ის რესპუბლიკა, ვისაც ღირსეული მამა ჰყავს. ჩვენ, ამ მხრივ, საყვედური თითქოს არ გვეთქმის; პატიოსანი ვინც არის, ჩვენი მამის მამობა ეამაყება კიდეც, თუნდაც იმიტომ, რომ მყავანაძის დროს ერთი კაციც არ დარჩენილა პარტიული ელიტიდან ისეთი, იმ

მყრალ, ბინძურ მორევში ფეხი არ ჩაეკრა, ჩვენმა ახლანდელმა მამამ კი, როგორც ყური მომიკრავს, მხოლოდ ერთხელ აიღო „ქრთამი“, მგონი ბაბუნაშვილისაგან (თუ ლაზიშვილისგან?), და ისიც უმალვე, ერთი კაბინეტიდან მეორე კაბინეტში... სახელმწიფო ბიუჯეტს ჩააბარა!

ასეთ სიუჟეტურ სვლას მხოლოდ კარგი დრამატურგი თუ მოიფიქრებს!

ყოველივე ეს ერთობ სასიამოვნოა, მაგრამ ჩვენთვისაც და, ალბათ, ჩვენი მამისთვისაც, დასანანი ის არის, რომ ჩვენ, საუბედუროდ, მაგალითად, სომხეთივით ერთეროვანი რესპუბლიკა არა ვართ; იქ მამობის განევა ბევრად იოლია, ჭრელ რესპუბლიკაში კი ყველა მოდგმის ხალხის მამობა გევალება, და რაკი ასეა, ხშირად, თავის დაზღვევის მიზნით და კარგი მამის რეპუტაციის შესანარჩუნებლად, შენი ერის ინტერესებს, კანონიერსაც კი, უფრო ნაკლებად იცავ, ვიდრე სხვებისას, ვაითუ, მიკერძობა, ნაციონალისტობა დამნაშავე...

ქართველი კაცი, საერთოდ, ძველი თუ ახალი, ნაციონალისტი რომ ყოფილიყო, ახლა ხუთი მილიონიდან ორ მილიონზე მეტი უცხო, მოსული ხალხი არ გვეყოლებოდა!

თითქოს პრიმიტიული საბუთია, მაგრამ მაინც: ქართველი კაცი ნაციონალისტი რომ იყოს, თავის შვილებს ჯამბულსა და მურთაზს არ დაარქმევდა, აბა ერთ ვაჟას, აბა ერთ შოთას თუ მონახავთ სადმე ყაზახეთში, შუა აზიაში, აზერბაიჯანში ან დაღესტანში?!

...ჩვენ დიდი ეროვნული სატკივარი გვანუხებს, და არა მგონია, ეს სატკივარი შენიშნული არ ჰქონდეს ბატონ ედუარდსაც, როგორც ეჭვი არ მეპარება, – ბუნებით ქართველ კაცს და როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელსაც. მაგრამ შეიძლება მან არც იცოდეს, რომ ამ სატკივარს გადაუდებელი, სასწრაფო, სერიოზული და საფუძვლიანი მკურნალობა სჭირდება, – ვიდრე ჯერ კიდევ სულ გვიან არ არის; ამ სატკივრის მორჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუკი ივანე გომართელივით გულისხმიერი და თავისი ერისა და თავისი ქვეყნის მოყვარული ექიმი, ადრეც რომ მოგახსენებდით, კეთილი დრაკონი გამოგვიჩნდება...

ამ მხრივ თქვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, თქვენ საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებები ბრძანდებით, ახლო, მეგობრული ურთიერთობა გაქვთ რესპუბლიკის მეთაურთან, თქვენი ათიოდე სიტყვაც კი უფრო იმოქმედებს მასზე, ვიდრე ჩემისთანა ჭია-ლუების ათობით ტრაქტატი...

წინათ, შავბნელ დროშიც კი, მეფეს მასხარა, ხუმრობა-ხუმრობაში, ხალხის საკეთილდღეოდ რამდენ მწარე სიმართლეს შეაპარებდა, ახლა კი, დემოკრატიის სამეფოში, ასე რამ დაგვანია, რომ თუ ხელმძღვანელ ამხანაგთან მოხვდი, უეჭველად უნდა ჩაურაკრაკო ისევ საკუთარ... ამაზე და ამაზე!

ვამა, სიკვდილზე ხმალდახმალ მისვლას  
ქვეყნის და ხალხის სასიქადულოდ!

ასეთი თავგანწირვა, დიმიტრი თავდადებულებით, რასაკვირველია, არ დაგჭირდებათ, ბატონო გრიგოლ აბაშიძევ, ოღონდ თუ ამ „ქვეყანაში“ და „ხალხში“ საქართველოსა და ქართველ ხალხს გულისხმობთ, და არა მთლიანად აღებულ ჩვენს უზარმაზარ ქვეყანას და უკვე 262 მილიონიან საბჭოთა ხალხს, მაშინ არც თქვენ და არც თქვენმა მეგობრებმა, ადამიანის სულის ინჟინრებმა...

არა, ამ შემთხვევაში, მგონი, უფრო აჯობებს ძველი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, – ხალხის, ერის გულის მესაიდუმლეებმა „თავი რისთვის ავიტკივო“, „ვაითუ ეწყინოს“ პოლიტიკას არ უნდა დავადგეთ, მით უმეტეს ახლა, – როცა ჩვენი სამშობლო ასეთ მძიმე განსაცდელშია.

ბოლოს და ბოლოს, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება სავაჭრო ობიექტები ხომ არ არის, რომ მათ, ამ სფეროში მომუშავენი, მხოლოდ ჩვენი პირადი განცხრომისათვის ვიყენებდეთ. თანაც, ჩვენს ათეულ წლობით მყარად ნაშენებ ოჯახებს ამით არაფერი დააკლდება; კაცმა რომ თქვას, სანატრელი თითქოს აღარც არაფერი დაგვრჩენია, – არც სახელი, არც დიდება, არც პირფერ-ფარეშები, გვაკლია მხოლოდ ორი რამ, რაც ჟაკლინ კენედის მეორე ქმარს, ონასისს ჰქონდა: საკუთარი იახტა და საკუთარი თვითმფრინავი...

ხალხი ბრძენიაო, გაგეგონებათ. ჰოდა, ნუ მივცემთ მას საბაბს სხვაზეც თქვას ის, რასაც ერთ „ღვანლმოსილ“ თავკერდა „მამულიშვილზე“ ამბობს: აიდგა ფეხი ამ წრუნუნამ თუ არა, მაშინვე აუნყო ცხოვრებას ფეხი და, ცოტა იარა თუ ბევრი იარა, წრუნუნ-წრუნუნ სულ მიხვეულ-მოხვეულ იარა, და... გმირობაც გაირტყა და აკადემიის კარიც შეალოო.

არა მგონია არ გახსოვდეთ, რომ ერთი, დიდად ცნობილი მგოსანი, პოეზიითაც და სიმალლითაც, მრავალი წლის მანძილზე დაახლოებული იყო ვასილ მჟავანაძესთან, ფრინავდნენ ერთად, ნადირობდნენ ერთად, ერთობოდნენ ერთად!..

ჰოდა, ამ პოეტს, ცა რომ ნიშნავს და ერი რომ ზრდის, ერთხელ მაინც, თუნდაც ნანადირევის მირთმევისას, შენუხებულს რომ ეთქვა, საქართველო იქცევაო, არა მგონია, ვასილ მჟავანაძეს

ეს გახარებოდა და არ ეკითხა მისთვის, მერედა, რით ვუშველოთო.

მუჟავანაძე, მართალია, გატალახებული ბურთით თამაშს არავის უშლიდა, და მაინც, ის არცთუ ისეთი ობროდი იყო, როგორადაც გვესახებოდა. ერთხელ მას კერძო მოხსენებითი ბარათი წარუდგინეს საქართველოს ეკონომიკის ჩამორჩენილობის თაობაზე, გზებიც დაუსახეს მის აღმოსაფხვრელად: ეს აშენდეს, ის აშენდესო...

ამაზე მუჟავანაძემ უპასუხა: კი, ბატონო, ავაშენოთ ესეც და ისიც, მაგრამ მათ ასაშენებლად, ჩვენი რომ არ გვეყოფნის, ხომ უცხო ხალხი უნდა ჩამოვიყვანოთ, რომელიც მერე უკან აღარ მიდისო...

მე ეს მიაბო თვით ამ ბარათის ავტორმა, დიდად სპეტაკმა ადამიანმა, რომელსაც ვიცნობ იმდენად არა როგორც ეკონომისტს, რამდენადაც ერთ დროს კულტურის დარგში უნარიან, პრინციპულ ხელმძღვანელს... მას, ცხადია, ამ ამბით უნდა დავერწმუნებინე მუჟავანაძის სიჩერჩეტეში, პირიქით კი მოხდა: კონკრეტულად ამ შემთხვევაში მე მუჟავანაძის გამჭრიახობა და გონიერება უფრო ვინამე.

მეორეც... ოციან წლებში თბილისში თურქული თეატრი არსებობდა, «турецкий» კი არა, – «тюркский...»

(სასხვათაშორისო ცნობისათვის: ეს სტალინმა ურჩია აზერბაიჯანელებს «тюркский язык, тюркская литература!»-ს სანაცვლოდ აზერბაიჯანული ენოდებიანთ და ეხმარათ).

ჰოდა, ეს ჯერ კიდევ „თიურქული“ თეატრი, ისე, როგორც სომხური, შეკედლებული იყო „ნაციონალისტი“ ქართველების რუსთაველის თეატრში: პარასკეობით მართავდა ხოლმე წარმოდგენებს (სომხები – ოთხშაბათობით); იმ დროს ამ თეატრში არტისტობდა ერთი ისფანჰანლი... ცოტა ხანიც და, ეს არტისტი გარეყისორდა, მერე გამთავარეყისორდა კიდევ, მაგრამ თეატრი თავისთავად ჩაკვდა; თუ დაითვლიდით, სცენაზე უფრო მეტი მოთამაშე იყო, ვიდრე დარბაზში მაყურებელი...

ჰოდა, ისფანჰანლიმ, უკვე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, პროფესია შეიცვალა: გოგილოს აბანოში დაიწყო მუშაობა, ჯერ უბრალო მექისედ, მერე მთავარ მექისედ და, ალბათ, რესპუბლიკის სახალხო მექისეობასაც მიაღწევდა, მაგრამ... ვაი რომ, ასეთი წოდება ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობს!..

წლებთან ერთად ისფანჰანლი მოტყდა, მკლავებში ძალა გამოეღია და მუხლებშიც კვნიტმა მარილმა დაუწყო ხრამახრუში, არადა, მექისეს ძალა უნდა, თუ არსენ მეკოკიშვილისა არა, ლევან თედიაშვილისა მაინც...

ჰოდა, გაახსენდა თავისი რეჟისორული წარსული, „დიდის“ ნაცვლად რუსულ კალკს რომ ვხმარობთ ხოლმე უადგილოდ, – „მაღალი“ ტიტულიც და... დაჯდა კაცი წერადა და... დაგზავნა მოსკოვში განცხადებები, მარტო ხუთამდე „პრამენია“ – ულტიმატუმი კულტურის მინისტრ ფურცევასთან აფრინა: საქართველოს ამა და ამ რაიონებში სულ პირნიმინდად აზერბაიჯანული მოსახლეობაა, ამა და ამ რაიონებში კი აზერბაიჯანელები სჭარბობენ, ამიტომ და იმიტომ მოვითხოვთ თბილისში აზერბაიჯანული თეატრი გაგვიხსნანო...

მუჟავანაძე არ დაფრთხა, არ შეშინდა და... არც გახსნა: ნეტავი სომხური თეატრიც არ გვანვეს მძიმე ტვირთადო... თანაც იმ ხანებში ვასილს საინგილო მოენახულებინა და იქიდან ნამდვილად გულშემოყრილი დაბრუნებულიყო: გვათათრებენ, და მერე როგორ მოურიდებლად და ურცხვადო (ინგილოების აზერბაიჯანულ ყაიდაზე „მოქცევა-მორჯულება“ – კვლავ მოურიდებლად და ურცხვად! – დღესაც გრძელდება)...

კი, მაგრამ, შე მამაცხონებულო, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ხარ, შენს სამმეტრიან სურათებს პირველ მაისს და შვიდ ნოემბერს კურილის კუნძულებზეც კი აფენენ და... საინგილო თურქეთში ან ირანში ხომ არ მდებარეობს, რომ ვერ მისწვდე?.. და თუ ვითომ საზღვარს იქით არ გინდა ხელი გადაანოდო, შენც მათებურად მოექეცი „მათებს“, – საქართველოს მიწა-წყალზე დალხინებით რომ ცხოვრობენ და სადღეგრძელოს კი შაჰ-აბასისას სვამენ!

(შიგ შუა ქართლშიც კი, ჩვენი სულელური სტუმარ-მასპინძლობის წყალობით, ორი თუ სამი აზერბაიჯანული სოფელია ჩაჩრილი; არ ვიცი, ჩვენ მათ ცალკე სკოლა უკვე გავუხსენით თუ აწი უნდა გავუხსნათ...).

...მაგრამ მეტი რა უნდა მოსთხოვო მარტო „დინამო-დინამოს“ მძახებელ „პატრიოტებს“, როცა ჩვენც კი, ერის რჩეულად მიჩნეულებს, ჩვენი მუცლის, ჩვენი სახლის, ჩვენი კარიერის მეტი არაფერი გვახსოვს!

გულრიფშის რაონის სოფელ ნებელდაში ერევნიდანაც კი სპეციალურად ჩამოდიან „მოსამსახურებლად“ სამუსიკო ანსამბლები, ჩვენს ფილარმონიას კი ერთხელ მაინც თუ შეუხედავს იქ, ანდა სხვა მსგავს „მიუვალ“ ადგილებში?! სილვა კაპუტიკიანი თითქმის ყოველწლიურად დადის, ვაზგენ ბრძენის შემუშავებული მარშრუტით, მესხეთ-ჯავახეთში თანამემამულეების გასამხნევებლად და ნასაქეზებლად – კიდევ მეტად გამრავლდითო; არც შავი ზღვის სანაპიროს ტოვებს

ობლად; გასცქერის, ალბათ, ზღვას, ზღვისპირელ 80 ათას სომეხთან ერთად და, მსგავსად ნათბილისელი, ამჟამად მოსკოველი „პარტნოი“ მნაცაკანიანივით ბალღამიანი ოხვრით აღმოთქვამს:

— Почему у грузин должно быть пароходство, а у нас нет?

დიდ „პატრიოტულ ყურადღებას“ რომ ვიჩენდით, სწორედ ამიტომაც ჩვენს გვერდზე მდებარე პლასტუნკის ქართული სკოლა დაიხურა, სულს ლაფავს კახის ქართული სკოლაც, მიშველებას საჭიროებს ქალაქ ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლაც... ვითომ მივეშველებით?! საერთოდ, ქართველ მწერლებს, ქართველ კომპოზიტორებს ეს სკოლა ოდესმე გვინახავს? ორჯონიკიძის ქართველი მოსახლეობისათვის ერთხელ მაინც თვალეში შეგვიხედავს?

სილვა კაპუტიკიანს ხომ არ დავავალოთ ეს საპატიო მისია?!

დაბერებით კი დავბერდით, მაგრამ ნუთუ სულ მთლად დავჩაჩანაკდით, ა?

დიახ, ჩვენ ნაციონალისტები ვართ... თუკი ეს ეხება ჩვენს საკუთარ ბუხარს, ჩვენს ლამაზ თავსა და ლამაზ ცოლს და ულამაზეს შვილს, ძეს ან ასულს!..

\* \* \*

**გმირებს ეძახის, უყივის  
ჩემი ბუკი და ნალარა!..**

**აკაკი.**

ბევრ ჩვენგანს, ენით პატრიოტებს, „საქართველო“ და „გამრავლება“ პირზე გვაკერია, საქმით კი ისე ვიქცევით, როგორც უცხო, გადამთიელი ხალხის შვილები.

ყველა ჩვენ – ერთ და ორშვილიანებს – საქართველოს მომავლისა და შთამომავლობის წინაშე დიდი დანაშაული მიგვიძღვის; როცა ახალგაზრდებს მოვუწოდებთ, გამრავლდით-თქო, და ისინი კი, თუმცა უკვე გაცვეთილი, მაგრამ მაინც კანონიერი კითხვით შეგვეპასუხებიან, თქვენ კი, ბატონო, რამდენი გყავთო, ყველამ ჩვენ, მთავრობის თავმჯდომარით დანყებულ და სარქლით დამთავრებული, უყოყმანოდ თავზე ნაცარი უნდა დავიყაროთ და გულწრფელად გამოვუტყდეთ, ჩვენ ჭკუამოკლენი ვიყავით და მიექარეთ, ახლა მაინც ნუ გაიმეორებთ ჩვენს საბედისწერო შეცდომას, თორემ ასე ძახილ-ძახილ, „შენ კი რამდენი გყავს, შენ კი რამდენი გყავს“, – ფესვის ნასახიც აღარ დარჩება ჩვენი-თქო...

თვით დიდად პატივცემულ ეღუარდ შევარდნაძესაც კი, ქვეყნისა და ხალხის თვალში, მხოლოდ სიყვარული მოემატება, თუკი თავის მრავალნაირ საქმიანობაში, ჩაისა და ვაზის გამეჩხერიანების გულისწუხილში, ქართველი ხალხის ასე უღვთოთ გამეჩხერიანებაც შეაწუხებს... რაიკომის მდივნებთან ხორცის დამზადების გეგმის შესრულებაზე საუბარს რომ მოათავებს, ესეც ჰკითხოს მათ, – როგორაა ან გასაჩენი ჩაის მკრეფავეების, მევენახეების, მეცხოველეების, „რიჩარდების“ „დამზადების“ საქმე-თქო...

დროდადრო, მინდვრად თუ კაბინეტში, სოფლად თუ ქალაქად, მომსვლელს, მთხოვნელს, უბრალოსა და ბრალიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეეკითხოს შვილიანობის თაობაზე, თან დასძინოს: სამწუხაროდ, თავის დროზე მე დიდი შეცდომა მომივიდა, – ვერ წავბაძე კარგ საქმეში ვერც ჩემს მშობლებს, ვერც ჩემს უფროს ძმას და მხოლოდ ორით შემოვიფარგლე... ახლა ამას დიდად ვწუხვარ და ასეთ სანუხარს თქვენ მაინც ნუ გაიჩენთ მომავალში-თქო.

ამას აკეთებდა გენერალი დე გოლიც, ორმოცმილიონიანი ხალხის მეთაური, რომელმაც თავის „ძიძობის“ დროს ფრანგები თითქმის 50 მილიონამდე გაზარდა. შემედლო დე გოლზე არა ნაკლები სხვა სახელმწიფო მოღვაწეებიც დამესახელებინა, მაგრამ ვერიდები, ვაითუ რალაც საშეურაცხემყოფოდ მიიღონ; ისინი ჩვენი წყობილების არც თუ დიდი მოტრფიალენი იყვნენ.

მე ცოტა ზევით უკვე მოგახსენეთ, ძნელია ჭრელი რესპუბლიკის მამობა-მეთქი, მაგრამ ჩვენ ხომ – დღემდე გამოსული ყველა საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, – ჯერჯერობით მაინც, რესპუბლიკის „ძირითად მოსახლეობად“ ვითვლებით, მაშასადამე, მეტი ყვირილის უფლებაც გვაქვს, მაგრამ ჩვენ მაინც ნუ ვიყვირებთ, – ნურც დადგენილებით, ნურც პრესით, ნურც ტელევიზიით, ნურც სოციოლოგიური კვლევა-ძიებით და ნურც სპეციალური კომისიებით, – ათეული წლების პრაქტიკამ ნუთუ აღარ დაგვარწმუნა, რომ ამ ჩვენს ეროვნულ სატკივარ ნომერ პირველს ასეთი ღონისძიებანი ვერ კურნავენ, მათ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ...

ჩვენ მხოლოდ ჩვენი დროის... ცოტნე დადიანი თუ გვიშველის!



ვინ იცის, ედუარდ შევარდნაძემ ეგებ გასწიოს ცოტნე დადიანობა, ა?! თუნდაც ცოტათი, იმდენად ცოტათი მაინც, რომ არც ჩვენს „ჭეროიკულ“ ხანას ჩრდილს მიაყენებს, არც პარტიის შამფურს დასწვავს და არც მის მშობელ ხალხს სხვებისთვის გემრიელად ჩასახრამუნებელ სამწვადედ გახდის!..

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთმანეთისაგან, ზოგჯერ, საკმაოდ განსხვავებული კანონები იურიდიულ ძალაში; ეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ შტატში მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებითი კულტურა რა დონეზე დგას; 1925 წელს ტენესის შტატში სასჯელი დაადეს ბიოლოგიის მასწავლებელს მხოლოდ იმისთვის, რომ მოწაფეებს უთხრა, ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვაო... დანარჩენ შტატებში კი ასეთი მკრეხელობისათვის არც მასწავლებლებს სჯიან და არც მათებურ მღვდელმთავარს. ჩვენ კი, სხვადასხვა რესპუბლიკებს, ვითომდაც საკუთარი სისხლის სამართლის კოდექსები გვაქვს, მაგრამ ფაქტიურად ისინი ერთმანეთის ასლებია. არადა, საბჭოთა ხალხებს, ისე, როგორც, საერთოდ, მსოფლიოში ყველა ხალხს, თავ-თავისი სატკივარი აქვთ. ყველაზე მეტი სატკივარი ქართველებსა გვაქვს, თანაც სპეციფიკური, ქართველური...

ჩვენი ხალხის განსაკუთრებულ-მოსარჯულელად, არა მარტო გამრავლების მხრივ, ცხოვრების სხვა სფეროებში, რომლებზედაც ადრე ვლაპარაკობდი, განსაკუთრებული, – დროებით მაინც! – საგანგებო ზომების მიღებაა საჭირო! ამ ზომებმა ერთგვარი კანონის იერი თუ არ მიიღეს, ფასიც არ ექნება. მაგრამ რაკი ამ კანონებს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა, მხოლოდ ჩვენი ეროვნული სატკივრის მოსაშუშებელი, ვინრო ხასიათი ექნება, – ასეთი „სეპარატიზმი“ მოსკოვს, შეიძლება, არც ეჭაშნიკოს... მაგრამ ჩვენი ცოტნე რის ცოტნე იქნება, თუკი... თუკი ვასილ მჭავანაძე ჩაუვარდა მუხლებში ნიკიტა ხრუშჩოვს, ნუ გადაგვასახლებო...

სხვათა შორის ეს ამბავი, თურმე, არცთუ სულ მონაჭორია: ასეთი რამ ხრუშჩოვმა სიმთვრალეში მართლაც წამოაყრანტალა, და როცა ვასილი, „ცოდვების“ გამოსასყიდად „ფეხშიშველი“ „კანოსას“ ჩავიდა და საქართველოს პირველი მფარველის, წმინდა ნინოს სეხნიამ, ნინა პეტროვნამ გაიგო რაშიც იყო საქმე, ერთი მსუბუქი წონის ბოქსიორის სილა სტკლიცა თურმე თავის, უკვე გამოფხიზლებულ თანამეუფეს...

...ჰოდა, ნურც ჩვენი პატარა ქვეყნის წინამძღვარი დაიშურებს კრემლის წინაშე ხვეწნა-ვედრების სიტყვებს ქართველი ხალხის ხმელეთზე თავისი ნებით გამორიყული ვეშაპივით, უგუნური თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად; ბოლოს და ბოლოს, კრემლშიც ხომ ცოცხალი ადამიანები სხედან, რომელთათვისაც არაფერი ადამიანური უცხო არ უნდა იყოს და, მათ შორის, ალბათ, არც...

ჰოდა, თავის მომხიბლავ ღიმილს გურული იუმორითაც თუ შეაზავებს და...

«Как мне известно, чай требует колониального труда, и мне бы не хотелось, чтобы такая прекрасная нация, как грузины, перерождалась».

ასე შეგვაფასა და გადასაგვარებლად ასე არ გაიმეტა ჩვენი ხალხი ნიკოლოზ მეორემაც კი, – როცა ტახტზე ჯერ კიდევ მტკიცედ იჯდა, 1909 წელს (ორიგინალი დაცულია სვერდლოვსკის (ყოფ. ეკატერინბურგის) ცენტრალურ არქივში).

ჰოდა, ნუთუ ახლა ძმობის ხანაში, ჩვენი უფროსი ძმა, თავის უჭკუო, მაგრამ ლამაზ და ნიჭიერ უმცროს ძმას სააგონიოდ გაიმეტებს?!

არ უნდა გაგვიმეტოს თუნდაც იმიტომ, რომ, რაც უნდა იყოს, ჩვენც მათსავით მართლმადიდებელი, ძველთაძველი ქრისტიანები ვართ (ახლა, ჩვენს საზღვრებს იქით, ისლამს ვუნწევთ მფარველობას და ჩვენ კი ქრისტიანებმა, კაცობრიობის წინაშე, ასეთი რა დავაშავეთ?!). არ უნდა გაგვიმეტოს აგრეთვე თუნდ იმიტომაც, რომ, თუკი ახლა რუსეთი მთელ მსოფლიოს აზანზარებს, ამაში „პეტერე“ წვლილი მაინც, ერთ დიდ ქართველსაც მიუძღვის!

თავის დროზე ქრისტიანული საქართველო ერთმორწმუნე რუსეთს უფრო იმის გამო შეუერთდა, რომ გარეშე მტრებისგან ფიზიკურად არ ამოწყვეტილიყო.

და ეს მაშინ, თუ ირგვლივ მიიხედ-მოიხედავდით, სწორი ნაბიჯი იყო. მე-19 საუკუნის დასაწყისს მისუსტებული, ჯანღონისაგან დაცლილი საქართველო დაახლოებით 700 000 სულს ითვლიდა, მერე და მერე კი მკვეთრად იმატა. რუსეთთან შეერთება თუნდაც ამითაც იყო გამართლებული.

ჩაის კი... ზემო იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, აღმოსავლეთ საქართველოში ჩაი არ მოჰყავთ, მაგრამ... ამ არემარეშიც უჩაიოდაც თითქმის გადაგვარდით!

ამბობენ, ჩაის მკრეფავ ქალებს მშობიარობის უნარი უსუსტდებათო. რა თქმა უნდა, აქ ჩემი დილეტანტური აზრი ვერ გამოდგება, ისე კი, მე მაინც მგონია, უბედურება უფრო ის არის, რომ ჩაიმ სიმდიდრე მოიტანა, სიმდიდრისგან გაღორების შემაფერხებელი წამალი კი მრავალშვილიანობაა, აკი, როგორც ჩვენი ბოლო დროინდელი ცხოვრება გვარნმუ

ნებს, სიმდიდრე ქართველი ხალხისთვის, ნამხედურობის ნიადაგზე, შვილიერობის შემამცირებელი ცაა და, საერთოდ, სულიერად გადა მგვარებელიც!

მაგრამ, როგორც წინათაც აღვნიშნე, ჯერ კიდევ შეიძლება ერს ეშველოს, ჩვენი „გადმოგვარება“ კიდევ მოსახერხებელია, თუკი ჩვენი დროის ცოტნე დადიანი...

თუკი ჩვენი დროის ცოტნე დადიანი!.. (ამის ირგვლივ – წინა გვერდებზე).

შენც მიდიხარ, მეც მივდივარ,  
გეთხოვები, საქართველო!  
შენც ჭკნები და მეცა ვჭკნები  
როგორც ზამთრის პირად მდელი.  
...შენს დაქცევა და დამხობას  
ასი წელი შემოჰყურებს.  
შენ ნახვალ და სხვა შემოვა,  
შენს ნადგომზე ისადგურებს.

რაკი თავი გადადებული მაქვს, აკაკის ამ სტრიქონებისათვის შემეძლო კვერიც დამეკრა და ტაშიც დამეკრა, მაგრამ ვერ ვიმრუდებ: ჩვენს დაქცევას და დამხობას არც ელოდება და არც შეჰყურებს ჩვენი დროის რუსი ხალხი, შეიძლება ეს მისთვის სულერთიც იყო („თვით უპატრონეთ თავის თავს, ნუ იმედოვნებთ სხვებზედა“), მაგრამ საამისოდ რომ ის რაიმე ზომებს მიმართავდეს, – ამის გულში ეჭვის გავლებაც კი უაზრო ცილისწამება იქნებოდა; ჩვენს გაქრობას, რათა ჩვენს „ნადგომზე ისადგურონ“, მხოლოდ ისევე ჩვენივე მეზობლები, ჩვენი „ძმადნაფიცი“ სომხები, აფხაზები, აზერბაიჯანელები, ოსები, ქურთები არიან მიდარაჯებულნი...

\* \* \*

**„სადა განსუენებაი არს, მუნ არს მტერისა იგი საყოფელი, სადა შუებაი და განცხრომაი არს, მუნ ნაყოფი სულისაი არა ყუავის“.**

**საღვთო წერილიდან.**

იმდენ ჩემთვის (კარგი იქნებოდა, თუ თქვენთვისაც) საჭირობოროტო საკითხს შევეხე (თქვენი აზრით კი, ალბათ, მივედ-მოვედე), რომ ძალზე, ძალზე გრძელი ეპისტოლე გამომივიდა, მაგრამ თუ აქამდე უკვე ჩაიკითხეთ, შემეძლია გაგახაროთ: მე უკვე ვამთავრებ, მაგრამ... კიდევ ერთი რაღაც მინდა გაიმბოთ, რომელიც არცთუ ხელოვნური გულივით იქნება ჩადგმული ჩვენი ერის ასე დაავადებულ ორგანიზმში...

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით, „იზვესტიაში“ მცირე მოცულობის ასეთი გამომხატურებაც დაიბეჭდა: ვინმე პროხოროვი...

ბოდიში, ამხანაგი პროხოროვი მოითხოვდა, რაკი საბჭოთა სახელმწიფო ასეთი მძლავრი გახდა, უკვე მომნიფდა დრო, რომ მამაკაცების საპენსიო ასაკი ხუთი წლით აქეთ გადმოინიოს, ესე იგი პენსია ენიშნებოდეთ მათ 65 წლის ასაკში, ქალებს კი სამოციანში, და ეს კანონად იქნას შეტანილი ახალ კონსტიტუციაშიო.

აბა ვინ იტყვის, რომ ამ აზრს რაიმე დაენუნება საბჭოთა პატრიოტიზმის თვალსაზრისით! ჰოდა, მეც დაუოკებელი სურვილი აღმეძრა ჩემი თვალებით მეხილა ამხანაგი პროხოროვი და მისი პატრიოტული ხელი ჩამოსართმევად ჩემს ორივე ხელში მომექცია გულწრფელი აღტაცებისა და მადლობის ნიშნად...

მოსკოვში სამასამდე პროხოროვია, და მეც ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით, თითქოს მყინვარწვერზე ავდიოდი, კითხვა-კითხვით მაინც მივაგენი ამ მგზნებარე ამხანაგს: მოკლედ რომ გითხრათ, თავად 68 წლისა აღმოჩნდა, ცოლი მისი კი – 62-ის! ორივენი პენსიებს უკვე კარგა ხანია ლებულობენ, ასე რომ, მათი საქმიანი, პატრიოტული წინადადება კიდევ გასულიყო, ამით ისინი სახიფათო ზონაში არ მოჰყვებოდნენ, პრაქტიკულად სრულებით არაფერს აგებდნენ, ისეც და ასეც, ძველად რომ იტყოდნენ, თავნზე რჩებოდნენ (თავნი, – ჩვენს ყველაფრით გახურებული ვაჭრობის დროსაც კი ეს, მარგალიტივით, „კომერციული“ სიტყვა, მაინც იკარგება...) ჰოდა, იმ ამხანაგ პროხოროვისა არ იყოს... მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

არ მინდა ისე იფიქროთ, თითქოს ამ „ღია ბარათით“ მე დავაპირე თქვენთვის გონება გამეხსნა და თვალები ამეხილა. ამ ბარათში წამოჭრილი საკითხები, თუ ყველა არა, ბევრი მაინც, ეჭვი არ მეპარება, თქვენც იმნაირადვე განუხებთ, როგორც მე, და, შესაძლოა, უფრო მეტადაც;

თქვენც უთუოდ გული შეგტკივთ იმ სანუკვარი სამშობლოსათვის, რომელიც ჩვენი უჭკუობის, ჩვენი სადღეისო ეგოიზმის, მხოლოდ სიტყვიერი, წყალ-წყალა, პასიური პატრიოტიზმის წყალობით, ჩვენივე თვალწინ, ჩვენივე სიცოცხლეში ხელიდან გვეცლება... ახლა ბევრ ფაშვიან და ბევრ უფაშვო „დიდ ქართველსაც“ შეხვდებით, რომლებსთვისაც... „საქართველო და სვეტიცხოველი რას მედარდება, დამისხი, დამალევიწე!“

და ჩვენ ხომ ამ გადაგვარებულთ, ჭაობის ბაყაყებს არ უნდა ვემგვანოთ, თქვენც ხომ გნადი-ათ, დიდი, დიდი ხნის შემდეგაც ქართული სიტყვა ნკრიალებდეს საქართველოში საყოველთაოდ, და არა მხოლოდ უცხო ხალხების მეცნიერ-ლინგვისტებისათვის, თქვენც ხომ გინდათ, რომ თქვენს ლექსებს, რომანებს, თარგმანებს და გამოკვლევებს, მუსიკას მაშინაც ჰყავდეს მკითხველი და მსმენელი!..

მე ამ ბარათით ვცადე თქვენთვის, დიდი შემოქმედებითი და დიდი თანამდებობით დატვირთულთათვის, უბრალოდ, ცოტათი მაინც, ჩემი ბლაგვი წალღ-კალმით ვინრო გზა-შამბნარი გამეკაფა, რომელიც თქვენ, თუკი თავს გამოიღებთ, შეგიძლიათ სანიმუშო გზატკეცილად გადააქციოთ, – თუკი თავს გამოიღებთ, თუკი თავს გამოიღებთ!..

მე შემეძლო კონკრეტულად, რამდენიმე გვერდზე ჩამომენერა, რა და რა მასალაც არის საჭირო ამ გზატკეცილისათვის, მაგრამ მოვერიდე, – მასწავლებელ-მენტორის როლი ჩემი ამპლუა არ არის; თქვენგან სამი იუმორისტიკა, ერთი – აშკარა, მწერლობაშიც, ორიც – შენიღბული, მოცინიკოსო იუმორისტიკა, სიცოცხლის კერძად არ გადმოგიგდეთ ჩემი თავი... და თუ გადავცდებოდი და დავწერდი, ასე დავიწყებდი:

ახლა, ერის ამ განსაცდელის უამს, თავიდათავია...

მ ე ტ შ ვ ი ლ ი ა ნ ო ბ ა ქ ა ლ ა ქ ა დ, მ რ ა ვ ა ლ შ ვ ი ლ ი ა ნ ო ბ ა ს ო ფ ლ ა დ, – ე ს უ ნ დ ა ი ყ ო ს, ე ს უ ნ დ ა გ ა ხ დ ე ს კ ა ი ქ ა ლ ო ბ ი ს, ე რ ი ს ქ ა ლ ო ბ ი ს და ე რ ი ს კ ა ც ო ბ ი ს ს ა ზ ო მ ი!

მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ო ბ ი ს ს ა ზ ო მ ა დ ს ხ ვ ა ა რ ა ფ ე რ ი ა რ უ ნ დ ა ი თ ვ ლ ე ბ ო დ ე ს!

რადგან ახლა, გაქრობის ქარი კარგა ხანია გვიბერავს, რომელიც ხვალ თუ ზეგ ქარიშხალში გადაიზრდება, – ამისაგან ვერავითარი ახალი „ვეფხისტყაოსანიც“ კი, ვერავითარი „აბესალომიც“ ჩვენ მშველელად ვერ გამოდგება. თუკი პირველს, პარალელურად, მეორეც მოჰყვება, ვინ იტყვის ამაზე უარს, ის, პირიქით, ასგზის სათაყვანო მამულიშვილი იქნება!..

...„მაგრამ ამ დალოცვილ საქართველოში არ შეიძლება არ იყოს ცოტნეც“, – მეორედ მომყავს ეს ორი მანუგეშებელი ოქრო სტრიქონი, რადგან ოქრო ადამიანებს, რომლებიც მართლაც აქა-იქ კიდე შემოგვენახნენ, სწორედაც რომ ასეთ ერისკაცებს ცოტნე უნდა ერქვათ და ასეთ ერისქალებს კი... სამწუხაროდ, არ ვიცი და არც ეს ვიცი, ისტორიას მაინც თუ ახსოვს ცხრა ძმა ბერხეულიძეების დედის სახელი...

მე მრავალშვილიან ქართველ ქალებზე მოგახსენებთ. დიახ, სამშობლოს სიყვარული ჩვენს „დალოცვილ საქართველოში“, როგორც ივნისის მინურულს მოგვიანებული ფარფატა ციციანათელა, კიდევ კიაფობს! ცოტანი არიან, მაგრამ ჩვენს დიდ იმედად, ჩვენს სანუკველ ნუგეშად ჯერ კიდევ გვყვანან სამაგალითო, თავდადებული, ხელმარჯვე მრავალშვილიანი ქართველი დედები!..

მე ქარაგმულად უკვე აგინერეთ, როგორ გადაშენდა, როგორც მუსიკოსები, ერთი ქართველი „ბახის“ გვარი, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველმხრივ, ალბათ, იოჰან შტრაუსზე უფრო უზრუნველყოფილებმა, თავი მაინც არ შეინუხეს ორი ქალიშვილის მეტით, დუშმა და კარლო ლომიძეებმა კი, ქართლის სოფელ ფცადან, ზედიზედ... 12 გოგონა გააჩინეს და თავიანთი მამულიშვილური მოღვაწეობა მეცამეტეთი – ბიჭით დაავკირგვინეს!..

ქალაქად, სოხუმში მცხოვრები ნათელა შელეგია, უფრო გაჭირვებული, ვიდრე დალხინებული ექთანი, ათ შვილს უზრდის აფხაზეთიდან ერთიან, მთლიან საქართველოს (სწავლობენ ქართულ სკოლაში): „ჩემი მანქანა, ჩემი დუბლიონკა“ ჩემი ბავშვები, სხვა სიმდიდრე მე არ მინდაო“, – ასე რომ ემსჯელა ან განსვენებულ, სამსახლიან და, საერთოდ, უამრავკონებიან ერთ აკადემიკოსს, მაშინ აღარ დასჭირდებოდა ეშვილა... შვილიშვილი, მერე, ბაბუა-მამობილის სიკვდილის შემდეგ იმ გაშვილებულ ბავშვს საკუთარი მამა, ნოტარიული გაფორმებით, „აპეკუნად“ რომ დაუდგა და სოცურუნველყოფის სამინისტროსაგან ცოცხალმა მამამ „მამა-ბაბუის“ პერსონალური პენსია, რომ გამოითხოვა, სიმამრზე გაშვილებული ღვიძლი შვილის აღსაზრდელად და გზაზე დასაყენებლად...

და ეს „ცხოვრების სწორ გზაზე დამყენებელი“ ავლაბრელი ყომარბაზი ანდა საადრეო ტარხუნით მოვაჭრე ვინმე როდია, – „ხილთმცოდნეობის“ მსახურია იმ 25 ათას მეცნიერთაგან, რომელთა რიცხოვნებაც ასე რომ გვეამაყება ხოლმე (ადრე „დაგიმალეთ“, ახლა გამოგიტყდებით: ეს თქვა ნიკო მარმა, „როგორ, მეცნიერმა კაცმა ის იკითხოს ჯამაგირს რამდენს მივიღებო?! მა-

შინ ის რაღა მეცნიერია?!“).

...საქართველოს ჰყავს მრავალშვილიანი „რეკორდსმენიც“: ეს ჩვიდმეტშვილიანი ლოლა და რამინ ზარანდიებია!

სენაკელ, უფრო ზუსტად, ხორშელ შურა და ვარდენ ჭითავებს ჰყავთ 15 შვილი – თორმეტი ვაჟი და სამი ქალიშვილი! საერთოდ, ბარაქალა და დიდება მეგრულ ქალებს, მათ საქართველოს ყველა კუთხე, მგონი აჭარაც, ჩამოიტოვებს! თბილისშიც კი, ლოტკინის მთაზე მცხოვრებ ზეინაბ ცომია-გელაძეს რვა შვილი ჰყავს!..

მერედა, ჩვენ, ერთშვილიანები და ორშვილიანები, „ქართველთა მზეო, იბრწყინე მარად“-ის მომღერლები, ვაფასებთ კი მათ?! და თუ ვაფასებთ, რით გამოიხატება ჩვენი ეს დაფასება? ვი-ლაც ბუჩაიძე, უჯმაჯურიძე და ჯიჭონაიამ კი არა, – ჩვენი ქვეყნის ვარსკვლავებდამშვენებულები – აბაშიძეებ-დუმბაძეებ-ნონეშვილები როდისმე ერთი სტრიქონით მაინც თუ შეეხმანენ მათ, ანდა რაიმე სამახსოვრო საჩუქარი თუ გაუგზავნეს, თუნდაც თავიანთი ავტორისეული თხზუ-ლებანი, მათი პატრიოტული შესაქები სიტყვების თანდართვით?!

მერედა, ეს არის ჩვენი „მარად საფიცარი“ სამშობლოს სიყვარული?! როგორღა იბრწყინოს „მარად და მარად“ ქართველთა მზემ? – მზე კი იბრწყინებს, ოღონდ... ვაითუ მზე მარტო ჩვენ-თვის ჩაესვენოს!

ეს არა მარტო მწერლებზე ითქმის, ამ შემთხვევაში – ყველა ინტელიგენტზე, სულ ერთია ის კომპოზიტორი იქნება, მეცნიერი თუ ხელოვანი...

უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში ჩვიდმეტშვილიანი ოჯახი რომ გამოჩენილიყო, – მე არ ვგუ-ლისხმობ ჩინეთს, ინდოეთს, ბრაზილიას, – იქ მრავალშვილიანობა ისეთივე ბუნებრივი, ჩვეუ-ლებრივი მოვლენაა, როგორაც ჩვენში „ანცვანქინდერ“, – საჩუქრებით და ათასნაირი ყუ-რადღებით აავსებდნენ, ჩვენ კი... ვითომდა აქ არაფერი! მარტო საგაზეთო წერილით და ფოტო-სურათით უნდა ვაგრძნობინოთ მათ, რომ ისინი მთელი ერისათვის ხელით სატარებელი ადამია-ნები, ერის ბურჯნი არიან?!

დიახ, ნამდვილი ერისკაცები ისინი არიან, – საქმით ერისკაცები, და არა ისინი, ვინც ერისკა-ცების სახელს ჩაბლაუჭებიან და ის ერთგვარ შემოსავლის წყაროდაც გადაუქცევიათ.

ამ პირად, არა პრესაში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილ წერილ-ბარათში მაინც, თავს ისე ნუ მოვიჩვენებთ, თითქოს არ ვიცოდეთ, როგორ ვირჩევთ დეპუტატებს... მმ... ვირჩევთ ხალხის საუკეთესო შვილებს! მართალია, ზოგჯერ, ამ საუკეთესო შვილებში, ზოგიერთი „აქტრისა“ რა-ლაც 4 წლის გასვლასაც არ ელოდება, ისე ნაჩქარევად მოგვჭრის ხოლმე თავს ამომრჩევლებს, მაგრამ, პრინციპში, მაინც...

კი, მაგრამ, ამ საუკეთესო შვილებში, ამ ორმოცი წლის მანძილზე, მრავალშვილიან დედებში, ნუთუ ერთხელ მაინც ერთი ღირსეული ქალიც არ გამოინახა სადეპუტატოდ?! ეგებ ვფიქრობთ, რომ მრავალშვილიანი დედა დეპუტატობის ტვირთს ვერ ზიდავს? ჯერ ერთი, ჩვენში ასეთი რა მძიმეა დეპუტატობის ეს ტვირთი, და თუ ასე მძიმეა, დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ, მეორეც, – რამდენიმე ნაცნობ ნადეპუტატარს გამოვკითხე და მითხრეს, ზოგიერთ მათგანთან, მთელი დე-პუტატობის მანძილზე, ათი მთხოვნელ-ამომრჩეველი, აჰა, ძლივს თუ მისულა...

ათი მთხოვნელი კი დღეში ათჯერ და მეტჯერაც მიდის თავის დედა – „დეპუტატთან“, და ეს „დეპუტატი“ ზოგს აპურებს, ზოგს აძინებს, ძროხასაც წველის, „ჰაუ-ჰაუთი“ ქორსაც იგერიებს, ჩაისაც კრეფს, ქმარსაც ემსახურება და... ასეთი მართლა „მათე-მაია ყაჩაღები“ დააუშნობენ განა ჩვენს პარლამენტს?!

ერთი ღირსება მაქვს... თუმცა ჩვენი დროისათვის ეს აღარაფერი ღირსებაა, – ორპირი არა ვარ, არც ტყუილს ვიტყვი, სულ არაფერს ვიტყვი, მაგრამ ტყუილს არ ვიტყვი: ლამარა ჭყონიას ნიჭისა და კაიქალობის დიდი პატივისმცემელი ვარ, სადეპუტატოდ მართლაც ღირსეული ქალია და, მედეა ჯაფარიძის არ იყოს, ეჭვი არ მეპარება, ამომრჩევლებს არ შეგვარცხვენს, მაგრამ იმა-ვე ოპერის თეატრში მუშაობს თამარ გურგენიძე, ლოლიტა ტორესივით ხუთი შვილის დედა და კარგი მომღერალი... პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექციებს კითხულობს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გურჩა კვარაცხელია, ესეც ხუთი შვილის დედაა... არც ერთს არ ვიცნობ პირადად და არ იფიქროთ, რომელიმე ამათგანს „პროტექციას“ ვუნწევდე, – ისინი თავისი შვილიანობით, თავისდაუნებურად, თვითონვე იქებენ თავს!

ჰოდა, კარგი იქნება, როცა მსახიობთა და მეცნიერთა „ლიმიტზე“ მიდგება საქმე, არც მათ დაივიწყებდნენ; ისინი იძლევიან იმას, რაც ახლა ჩვენ ტყის ჰაერით გვჭირდება: ნამდვილი მა-მულიშვილობის ცოცხალ მაგალითს!

...დიახ, აქამდე ტალახში ამოსვრილი დედობის კულტი უნდა ანკარა წყლით განიბანოს და ამაღლდეს და ამაღლდეს, და ეს მხოლოდ საქმით, საქმით, და არა სიტყვიერი „პატრიოტული“ კორიანტელით, რომლითაც ბევრი „მამულიშვილი“, ვიმეორებ, ისევ საკუთარ ჯიბეს ისქელებს...

მედიცინის უცხოელი ქურუმები ამბობენ და ამტკიცებენ, ადამიანის ორგანიზმისთვის სამ-

ნუთიანი სიცილი უფრო სასარგებლოა, ვიდრე 15 გრამი სხვადასხვა ნამლის დაღვევა-ჩაყლაპვაო. მიუხედავად ამისა, მე მაინც გთხოვთ, ძალზე ხმამაღლა ნუ გაიცინებთ: მე ვისურვებდი, რომ...

ყოველი ქართველი კაცის ოჯახში ღვთისმშობლის ხატივით ეკიდოს ლოლა ზარანდიას სურათი! და ყოველ პურისჭამას, და არა მხოლოდ უჩვეულო წვეულებას, ამშვენებდეს პირველი სადღეგრძელო, მოკლე და სხარტი:

— დაე ვიმრავლოთ, დაე თუ ისე არა, როგორც ლოლა და რამინ ზარანდიებმა, — მათზე ოთხჯერ ნაკლებად მაინც!..

\* \* \*

Жизнь нужно прожить так, чтобы смерть была для нас несправедливостью,

Мигель Унамუно.

საბჭოთა სალაპარაკო ენიდან დიდი ხანია ამოვარდა სიტყვა „მდიდარი“. ამოვარდა იმ დროიდან, როცა განადგურდნენ მდიდრები და მათი სიმდიდრე რევოლუციამ რევოლუციის მომხდენ მშვიერ-მწყურვალ ხალხს დაურიგა.

გავიდა დრო და, კერძოდ, საქართველოში, მუჟანაძეობისას, უამრავი ფულიანი ხალხი მომრავლდა: მათ, კლასიკური გაგებით, ვერც ბურჟუას უწოდებ და ვერცთუ სულ სოლომონ ისაკიჩებს; თუ რა ეწოდოს ბურჟუაზიის ამ ახალ, უცნაურ სახეობას, ახლა ამის ანალიზის დრო აღარ გვრჩება, ოღონდ იმას კი ვიტყვოდი, რომ მიუხედავად სიმდიდრისა და მდიდრებისა, ეს თითქოს მოძველებული სიტყვა — მდიდარი — ვერა და ვერ აღდგა მაინც ჩვენს დღევანდელ მეტყველებაში; როგორღაც გვერიდება, გვერცხვინება კიდევ... შეიძლება იმიტომ, რომ ბევრი ეს მდიდარი მარქსის ქუჩაზე ცხოვრობს, შეიძლება პროლეტარული ქუჩის შესახვევშიც, ეგებ „აღსდე-ექ, მშვიერო-წამებულოს“ ჩიხშიც...

ასეა თუ ისე, დღევანდელი ჩვენი ამხანაგი მდიდარი დიდად განსხვავდება ძველი დროის წყეული მდიდრისაგან: ფულით სავსე, გაბრიგნილ ტომარაზე ისე ზის, როგორც მექისე ისფაჰანლი იჯდა ხოლმე აბანოში კლიენტის გასაპნულ ზურგზე!..

არა მგონია, ჩვენთვის ერთი-ორი შტრიხით უკვე ნაცნობი, ერთდროულად მამა-ბაბუა აკადემიკოსი ნაკლები სიმდიდრის მფლობელი ყოფილიყო ვიდრე გ. ქართველიშვილი, და მაინც, იმ აკადემიკოსმა, კომუნისტმა, მატერიალური რამ არაფერი დაუტოვა თავის ხალხს, პირიქით, — მისმა სწავლულმა სიძემ, კომუნისტმა, მისი სახელით ხალხს აქეთ წასტაცა, ქართველიშვილმა კი, თავისი ხარჯით და თავგამოდებული მეცადინეობით, დიდებულად გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“...

არცთუ ძალიან დიდი ხნის წინათ მელიქიშვილის ქუჩაზე, ბუკინისტურ მაღაზიაში, წავანყდი ასე, საშუალო ღირსების წიგნების გროვას... ჩანდა, მის პატრონს თავისი ბიბლიოთეკა გაეცხრილა და, ალბათ, უყურადღებობით, ბევრი წიგნი ისეთი გაჰპარვოდა, რომელთაც ახალგაზრდობაში მიწერილი — „ამის და ამის წიგნებიდან“ — ამშვენებდა. ეს ცნობილი პირი, ამ წიგნების გაყიდვისას, აკადემიის...

არა, არ ღირს იმის თქმა, წევრი იყო თუ კორესპონდენტი, ამის თქმა კი ღირს: ზედმეტი წიგნები რომელიმე, თუნდაც მშობლიური სოფლის სამკითხველოსთვის რომ შეეწირა, ვითომ ეს გმირობა მის საოჯახო ყულაბას ასე დიდ დანაკლისად დააჩნდებოდა?! ძალაუნებურად გახსენდება კაცს ერთი ლიტერატურული პერსონაჟის გამონათქვამი:

— ჩვენი დროის ეგრეთ წოდებული საზოგადო მოღვაწე უფრო იმაზე ზრუნავს, რა წაღლიტოს და რა წაგლიჯოს საზოგადოებას!

მე არ ჩამოვთვლი, ეს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე რა და რა სიკეთით სარგებლობს საზოგადოება-სახელმწიფოსაგან, იმას კი ჩამოვთვლი, რომ იაკობ გოგებაშვილი არც დიდ ჯამაგირს იღებდა სადმე, არც დეპუტატობის ორასმანეთიანი თუ ასმანეთიანი მოუდიოდა ყოველთვიურად, არც მისი წიგნები იცემოდა წამდაუნუმ, და არც ისინი სხვა ენებზე ითარგმნებოდა და იქიდან ჰონორარებს არ ლებულობდა, და არც მისი „იავნანა“ დიდი ქვეყნის 70-80 თეატრში არ იდგმებოდა, და მაინც მან, რაც „დედა ენით“ შეიძინა, „დედა ენასთან“ ერთად, თავის დედა ენაზე მოლაპარაკე ხალხს დაუტოვა...

ნურავის ნუ მოუბრუნდება ენა და ნუ იტყვის, გოგებაშვილი უშვილო იყო, ხარჯი ცოტა ჰქონდაო, მაშინ სხვა დრო იყო, ახლა სხვა დროაო, ჩვენ ფრაუ პეტრა მიხაელის დაპატიჟებაც

გვიხდება და ამაშიც ფული მიგვდისო...

ეს მართლაც მართალია, იაკობი უშვილო იყო, მაგრამ ჩვენც, ერთი და ორშვილიანებიც, ერთ-სათვის არსებითად უშვილოები ვართ, მეორეც, – იცვლებიან მხოლოდ წელიწადის დრონი, სხვა მხრივ დრო არ იცვლება, რა შინაარსსაც ჩააქსოვ მასში, იმ დროის მცხოვრები და მსახური ხარ...

გოგებაშვილს ჩვენს „ჰეროიკულ“ ხანაშიც რომ ეცხოვრა, თავის სამი თუ ხუთი წლის შვილიშვილებს ათასმანეთიან „დუბლიონკებში“ არ გაახვევდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ქურქები კანადისა და ალასკის 40-გრადუსიანი ყინვებისთვის არის მოგონილი, და არა პრესტიჟისათვის, – აბა როგორ დამჩაგრო შენ მე, ანდა მე შენ...

ერთი ოფიციალურად განდიდებული მწერლის პატარა მურიამ მითხრა ერთხელ თავის მფარველზე, აბა საიდან ექნება იმას ფული, სტუმრიანი კაციო.

დაილოცა მისი ლოგიკა, სამწუთიანი სიცილი ამიტყდა. ამ ამბავმა ერთი სხვა უცნობილესი და უნაყოფიერესი მწერალიც მომაგონა, რომელიც სულ ნუნუნშია, – ფული არა მაქვს, ფული არა მაქვს...

ფული მას, ჯერ ერთი, იმიტომ „არა აქვს“, რომ ეშინია სესხად არავინ სთხოვოს, მეორეც, რაც ათეული წლობით სხვადასხვა შემნახველ სალაროებში ფულები აქვს დაგროვილი, მათ ფულებად არცა თვლის: რაკი „სროჩინზე“ აქვს შეტანილი, გამოტანა არ უნდა, რომ უწყვეტლივ იბარტყონ და იბარტყონ პროცენტებმა! არა მგონია, ის ზუბალაშვილზე ბევრად ღარიბი იყოს, ეს წყეული კაპიტალისტი კი ღარიბ ქართველ სტუდენტებს ერთდროულად დახმარებას აძლევდა და, სარაჯიშვილივით, სტიპენდიებსაც უნიშნავდა; სახალხო თეატრის შენობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სასამართლოს ქუჩაზე ღარიბ-ღატაკათვის სპეციალური, დიდი სახლი ააგო, რომლის ფასადზეც წარწერილი იყო:

„ვისაც უჭირდეს, მოვიდეს, დაპურდეს და ღამე გაათოს“.

სხვათა შორის, მისი სიკვდილის შემდეგ, ამ სახლის ვესტიბიულში ამშენებელ-დამპურებლის პატარა ზომის ბიუსტი დადგეს: 21 წელში კი იქ გახსნილი პარტიული სკოლის კურსანტებმა ეს ბიუსტი, პირველ დღესვე, ცემენტის იატაკზე დაანარცხეს და ნამსხვრევებად აქციეს, როგორც ექსპლუატატორის და მშრომელი ხალხის სისხლის მსმელისა...

რას იტყვით, შეენდოთ?!

თუკი შეიძლება ასე ითქვას, გაცივილიზებული ადამიანის ბუნება ისეთია, რომ, როცა გუნებაში სხვის ფულებს ითვლის, ისინი მას უფრო ბლომად ეჩვენება, ვიდრე ეს არის სინამდვილეში, მაგრამ, როდესაც სხვის გასაგონად „მიჭირს და გვიჭირს“ ვიტყვით, ისიც უნდა გავიხსენოთ, – რაც ბევრ ქართველს, საქართველოს საქებ-სადიდებელ დაუტეხავ თუ დატეხილ სტრიქონებში, ხალხის წიაღიდანვე მომდინარე მუსიკალურ ჰანგებში, ფუნჯის მოსმაში, ცეკვა-სიმღერაში, კინოსურათებში ფული აულია და თავისივე ნახევრების აბორტებში ფული მიუხარჯავს, იმ თანხით სომეხი, სულ ცოტა, ხუთ შვილს მაინც გამოზრდიდა..

ოი, კიდევ და ისევ სომეხიო, იტყვით ალბათ. მაგრამ მე აქ სომეხი იმიტომ ვახსენე, რომ ჩვენ მათგან გონიერების მაგალითი ავიღოთ, ზოგი რამ ვისწავლოთ და გადმოვიღოთ კიდევ, და საერთოდ, ჩვენ სომეხებს უნდა ვემეგობროთ და ვეძმოთ კიდევ, თუმცა, ეს კია, საბოლოოდ ეს მაინც კუსა და მორიელის დამძობილებას ემგვანება; სიყვარული როცა ცალმხრივია, ინტერნაციონალისტობა სხვის სამშობლოში ერთობ მომგებიანი და სარფიანი საქმეა.

...იმ პროხოროვისა არ იყოს, საქვეყნო საქმისათვის ასე თავგამოდებით რომ იღვწოდა, ალბათ იკითხავთ, და ეს მართებულიც იქნება, ამდენს რომ გვექაქანები და იჭაჭები, ერთი ესეც გვითხარი, თვითონ შენ რა ჩიტი ხარო...

მეც, ჩემი საძულველი უამრავი ქართველივით, ფრთებშეჭრილი, უნისკარტო ჩიტი ვარ: ერთი შვილის მამა, და ამის აღიარება ჩემს სიგლახეს ერთი ბენოთი მაინც თუ გამოაკეთებს, – ჩემს დიდ სიმახინჯედ მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ნაციხარმა და იმხანებში ხელმეორედ დაჭერის მუდამ შიშში მყოფმა, მაშინდელი კულტურის მინისტრის, დიდებული ადამიანის, ავთანდილ გუნიას გულისხმიერი მეცადინეობით 17-კვადრატული მეტრიანი ბინა მაშინ „მიბოძეს“, როცა საშვილიეროდ, ასაკობრივად, უკვე საბერე კიტრივით ვიყავი... ვარ ერთი შვილის მამა, ახლა ის უკვე საცოლე ბიჭია, რომელსაც არც მანქანა აბადია, არც „დუბლიონკა“ აცვია, არც საზღვარგარეთი მოუვლია და არც მოსკოვ-კიევ-ტაშკენტში დაფრინავს ფეხბურთის მატჩებზე დასასწრებად...

არა, ის დებილი არ არის და, როგორც ახალგაზრდა კაცს, ყველაფრის ამის სურვილი აქვს კიდევ, მაგრამ საამისოდ თავისი ხელფასი არ ჰყოფნის...

ამ ორიოდ წლის წინათ ჩემი კომედიების მოზრდილი კრებული გამოვიდა, ჩემი კალამ-ცოდვილობის ნახევარი საუკუნის მანძილზე, რიცხვით მეორე...

გამოვიდაო, თქმა და დაწერა იოლია, ისე კი, ის რომ გამოსულიყო, – გამომცემლობა „ნილასის“ დირექტორმა, რაკი დაბალ ლობედ მიმიჩნია, სამი წელიწადი მანვალა მარკიზ დე სადივით,

ამის მერე ორ წელიწადზე მეტიც კი – ზახერ-მაზოხივით, – კუთვნილი ჰონორარი რომ მიმელო... არიან სხვა დაბალი ღობეებიც, რომელთაც ასე ვერ ამცირებენ ძლიერნი ქვემძრომნი ამა ქვეყნისანი; ეს ღობეები ეკლიანი და ქაცვიანია, თავისთავად მათ მუდამ მზადა აქვთ საკრამენტული ფრაზა: „არ ამაცროლოთ, თორემ!.. ტრიბ უნი დან ვიყვირებ, თვი თონ თქვენ რა შვილებიცა ხართ!..“

ჰოდა, გულში მათ მშვენივრად იციან, „რა შვილებიც არიან“ და უკან იხევენ...

სამწუხაროდ, ბუნებამ ჩემთვის არ გამოიმეტა არც ეკალი, არც ქაცვი, ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ, ეს წიგნი ხელთ არ ჩაუგდოთ „ნილაბის“ დიდ პატრიოტად შენიღბულ „ხაზეინს“, რომლის მომრევი საქართველოში, როგორც ჩანს, არავინ არის, აკი ის ახლაც, თუ დასჭირდა, ისეთი სპეციფიკური დაშინებისა და დემაგოგიის მეთოდებით „იღვნის“, როგორადაც ბევრზე ბევრნი – ახლო წარსულში, სტალინის ეპოქაში; სანერი მაგიდის უფრაში მას საპატიო და ყველაზე უფრო იოლად მისაგნებ ადგილზე წითელყდიანი დოსიე-კონდუიტი უდევს: მასში ისიც კი აქვს ფიქსირებული, ლანჩხუთში როდის და რამდენჯერ მოხდა ორბალიანი მინისძვრა... მით უმეტეს, ჩემს ამ წერილში ულუპოდაც შეუძლია აღმოაჩინოს... მე რომ ფიქრი და წერა ისე შემეძლოს, რომ ამ ნილაბმა შარი ვერ მომდოს, მაშინ ახლა, რომელიმე რაიკომში, მიუხედავად ხნოვანებისა, მესამე მდივნად ვიქნებოდი იდეოლოგიის დარგში...

ჰოდა, მისთვის მუდამ მოკრიალებულ ცაზე, წვიმის მომასწავებელი ერთი პანანინა ღრუბელიც რომ შენიშნოს, თავისი ფირმის დასაცავად, მოსკოვში ერთ ვაიუშველებელს ატეხს, – აი, შეხედეთ, როგორაა ჩაშლილი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში...

მე ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ სრულებითაც არ გინდათ რაიმე უსიამოვნება შეხვდეს ედუარდ შევარდნაძეს, მით უმეტეს მე არ მინდა, რომ ეს მოხდეს ჩემ გამო...

...ჩემი კრებულის გამოსვლა არავის შეუნიშნავს; თუმცა პიესების წიგნი კი იყო და ფასიც, შედარებით წიგნების საერთო გაძვირებამდე, დიდი ედო, მაინც მალე გაიყიდა; ისე კი, არც „ლიტერატურულ საქართველოში“ და არც „საბჭოთა ხელოვნებაში“ ქრონიკის ერთი სტრიქონიც არ მოუთავსებიათ, ამის და ამის ეს გამოვიდაო, როგორც, საერთოდ, ბევრ წიგნზე იბეჭდება. კრიტიკული სტატიით გამომხაურებას რომ თავი დავანებოთ, თურმე ამ ორიოდე სტრიქონისათვისაც კი საჭირო ყოფილა გავლენიანი თანამდებობა გეკავოს, ან თუნდაც დაბალი ქაცვიანი ღობე იყო, ანდა კიდეც, – იმდენი ირბინო, რომ რედაქტორს, მისთვის ასე საჭირო, ტვინი ამოუღო... მე კი, საერთოდ, ცოტას მართლაც დავრბივარ, მაგრამ დავრბივარ მხოლოდ ვაკის პარკში, და არც ტრეპანაციის დარგში ვარ ადრინდელი ხევესურივით დახელოვნებული.

ჰოდა, რაკი ეს ასეა, თანაც უთანამდებობა...

არ იფიქროთ, სავარძლის მაძიებელი კაცი გახლდეთ, ქილის სკამიც კი არასოდეს მიძებნია, მით უმეტეს ახლა, – ხუთასი მანეთიც რომ დამინიშნონ ნიკოლოზის ბაჯალლო ოქროთი, საბატონო საქმეს არ გავეკარები.

არადა, უთანამდებობა... და ისიც ჩვენს დროში, ჩვენს „ჰეროიკულ“ ხანაში!..

თებერვალში რუსთაველის თეატრს ერთი ჩემი, 15 წლის მანძილზე ნაგვემი პიესა... როგორც იქნა, თითქოს ცა გაიხსნაო და... როლებიც განაწილდა. პირველი რეპეტიციის დღეც დაინიშნა, რომ ამ დროს ცამ ისევ შეჰკრა შუბლი, სხვისთვის რომ გახსნილიყო: ერთმა დარბაისელმა, თანამდებობით აღჭურვილმა მწერალ-დრამატურგმა, თითქოს მისთვის შეუფერებელი, არადარბაისლური ნიოკობა დაანია: მე თქვენთან უკვე რამდენიმე თვეა პიესა მაქვს მოტანილი!.. არა მგონია, მას არ სცოდნოდა, რომ ჩემი პიესა რუსთაველის თეატრში რამდენიმე თვე კი არა, ექვსი წელიწადი იყო ჯვარზე გაკრული და... აჰა, როგორც იქნა, მისი ჩამომხსნელი გამოჩნდა, მაგრამ...

ო-ო, თანამდებობავ, ძალთა შენსა!

და ეს ხდება, იცით, როდის? მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე თეატრში ამავე ავტორის სხვა პიესის პრემიერის მეორე დღეს!.. არც რუსთაველის თეატრის თავკაცებმა მოისურვეს თანამდებობიან ავტორთან ურთიერთობის, იმდენად არა შემოქმედებითი, უფრო „მეც დაგჭირდება, შენც დამჭირდება“ ურთიერთობის გამწვავება, და არც კულტურის სამინისტრომ, – პირიქით, მინისტრმა გზაც დაულოცა ჩემი პიესის „დროებით“ ამოგდებას, – აკი მე დაბალი, უეკლო და უქაცვო ღობე ვარ, მისი კოლეგიის წევრი კი – ყორეა მაღალ-მაღალი, თანაც თუ დასჭირდა, ქაცვიანიც, მაგრამ... მაგრამ...

შენ, შეიძლება დაგინეროს, როგორც გავლენიანი თანამდებობის მქონე ავტორს, ასეთივე გავლენიანი თანამდებობის მქონე თეატრალურმა კრიტიკოსმა... ამის და ამის პიესები „მტკიცედ დამკვიდრდნენ ქართული თეატრის რეპერტუარში“, მაგრამ ეს მაინც ვერაფერს უშველის პიესებს – საპნის ბუშტებს!..

არ ახსოვს მსოფლიოში თეატრის ისტორიას, სოფოკლედან ჩხაიძემდე, რომ რომელიმე თე-

ატრში, სპექტაკლისათვის „ინტიმის შესაქმნელად“, პარტერს ზევით ბილეთები არ გაეყიდათ, ხოლო წელს ამოიწვერა ასეთი უნიკალური თეატრი მტკვრის მარცხენა ნაპირას ერთი პიესის პატივსაცემად, მაგრამ...

კარგია თანამდებობა, ძნელია დრამატურგობა, რა თქმა უნდა, ნამდვილი დრამატურგობა! ლუნაჩარსკი ყოველმხრივ ბუმბერაზი იყო როგორც ორატორი, როგორც პუბლიცისტი, როგორც მოაზროვნე... და ასეთ ბუმბერაზს, ოი, როგორ უყვარდა „გლახების საქმე“ – პიესების წერაც! პიესების ორი დიდი ტომიც კი დატოვა, მაგრამ ის, თავის დროზე, მათ დასადგმელად არც თავის დიდ თანამდებობრივ მდგომარეობას იყენებდა, არც თავის პირად მომხიბვლელობას, – ორი პიესა დამიდგით დედაქალაქში ერთ სეზონშიო, ამას კი არა, თუკი სადმე, თუნდაც პენზაში, რამეს – მისას თავისით დადგამდნენ, ამისთვისაც დიდ მადლობას უთვლიდა...

ადრეც მოგახსენეთ, სცენა აბანოსავით არის-მეთქი, თეატრში ჟანგბადის ბალიშებით „ინტიმს“ ვერ შექმნი, ვერც უკვე თავისთავად განწირულ „ინტელექტუალობას“ სიცოცხლეს ვერ გაუხანგრძლივებ, მაყურებელთა დარბაზში ჰამბურგის ანგარიშით მიდის თვლა, ოღონდ ჩვენში, სცენაზე „შავისა და თეთრის“ გარჩევას თვით თეატრის სახელმწიფოებრიობა უშლის ხელს; სახელმწიფო თეატრისათვის არა აქვს მნიშვნელობა, რას დადგამს და ვისას დადგამს, თუგინდ ზედიზედ ხუთი ცუდი პიესა-სპექტაკლი მიანკაპოს, იცის, ის ამით, სულ ერთია, მაინც არ გაკოტრდება, ხელფასს თავის დროზე კაპიკ-კაპიკ, სრულად მიიღებს.

მთელს ჩემს ხანგრძლივ შემოქმედებითს ჩხირკედელაობაში, მონაფეობის დროინდელ „აურიე რგოლს“ თუ არ ჩავთვლით, სულ ხუთად ხუთი პიესა დაიდგა, ესე იყო ყოველ ათ წელიწადში საშუალოდ თითო-თითო; ჩემი სამი კომედია, მათ შორის უკვე 18 წელიწადია, ნერვებდანყვეტილი და ყურებჩამოყრილი, ელოდება, როდის გაუღებს „სცენა-აბანოს“ კარს რეჟისორი და მექისე „ისფაჰანლი“, ამიტომ ვინ გაუღებს, „შავია თუ თეთრია“, ისე კი, მის „სითეთრეში“ არცთუ სულ ბოთე ავტორს ეჭვი არ ეპარება, თორემ არც გამოაჩენდა...

ორი წლის წინათ მარჯანიშვილის თეატრში „ეზოში ავი ძაღლია!“ დაიდგა, მაგრამ ის „თავისით“ არ დადგმულა, – „მეც გამოგადგების“ პოლიტიკა იხმარა ჩემი წიგნის რედაქტორმა, კაცურმა კაცმა, აკაკი დვალისვილიმა თეატრის ხელმძღვანელის მიმართ; ამასაც „რალაც საქმე“ ჰქონდა კინოში და... პატარა გავიხარე!

გაიხარა, რაც უფრო მთავარია, მაყურებელმა, – სპექტაკლის ავკარგინაობის ავტორისეული გარჩევა ახლა აქ უადგილო იქნებოდა, ეს კი ფაქტია: არავის ახსოვს, რომ დიდი ხნის, 30 წლის წინათ დანერილ და ხელახლა დადგმულ პიესას ოდესმე ასეთი წარმატება ჰქონოდა. ეს, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ, საავტორო პროცენტების სახით შვიდი ათას მანეთამდე დამიგროვდა. წიგნის ჰონორარმაც მომიწია შვიდი ათას ორასამდე...

სკოლა ისე დავამთავრე, ჩემთვის, რეჟისორებივით საძულველი მათემატიკიდან მხოლოდ ის გამოვიტანე, რომ ცხრაჯერ ცხრა ოთხმოცდაერთია, მაგრამ ამ ფულების დათვლისას, მადლობა ღმერთს, სათვალავი არ შემშლია, თორმეტი ათასი მანეთი ცალკე გადავდე და ავისრულე დიდი ხნის ოცნება: ორ-ორი ათასი მანეთობით საქართველოს სხვადასხვა რაიონში (სოხუმი, სენაკი, ქარელი, ჭიათურა, მესტია, თბილისი) – ექვს მრავალშვილიან ოჯახს მივართვი ჩემს წიგნთან ერთად, – მათი ნამდვილი მამულიშვილური, ნამდვილად ერისკაცული მოღვაწეობის წინაშე ქედის მოხრისა და აღტაცების ნიშნად.

„ლიტერატურულ საქართველოში“ დისკუსიის დროს „რამდენი შვილი უნდა გვყავდეს?“ – ერთმა აზრი გამოთქვა, რომ კარგი იქნებოდა, თუკი სახელმწიფო გაუდიდებდა დახმარებას მრავალშვილიანებსო. მეორე მოკამათე, როგორც ჩანს, პირველზე უფრო გამჭრიახი, „შეესპორა“: დამატებით დახმარებას შეურაცხყოფად მიიღებენო...

არა მგონია, თქვენ შორის გამოჩნდეს ისეთი, ვინც მეორის აზრს გაიზიარებს. და თუ გამოჩნდება, შემძლია დავამშვიდო: ჩემი ასეთი ქცევა არათუ შეურაცხყოფად მიიღეს, სიხარულმა და უფრო კი განცვიფრებამ, ამ ჩვენს „ჰეროიკულ“ დროში, ისე გააოგნეს ისინი, – ალბათ უფრო მეტად, ვიდრე „რიჩარდმა“ ინგლისელები!.. ზოგიერთი ჩემზე ხელზე საკოცნელადაც კი წამოიწია, მაგრამ ამის ნებას, რომის პაპიც რომ ვყოფილიყავ, აბა, როგორ მიცემდი, – თვით დავუკოცნე მათ ჭკვიანი ქართული შუბლი და გულში ჩავიხუტე მათი გამრჯე ქართული ხელები. ერთმა ისიც კი შემომითვალა, თქვენს სახელობაზე ორ ბავშვს კიდევ გავაჩენთო. სოფელ ფცაში ესეც კი ეთქვათ, ნეტავი მეც მყოლოდა მრავალი შვილიო... ამაზე დიდი მადლობა და ამაზე დიდი დაფასება ჩემი მცირე ამაგისა, – არც მინდა და ვერც წარმომიდგენია.

მე მინდა იცოდეთ, რომ ყველა ეს მრავალშვილიანი წესიერი, პატიოსანი, მუყაითი ადამიანები არიან, და ისიც უნდა გითხრათ, რომ არცთუ ისე დალხინებულად ცხოვრობენ; მათი ყოველდღიური სუფრა არ ჩამოჰგავს საახალწლო სუფრას, როგორც ეს მუდამ აქვთ ერთსა და ორშვილიან „პატრიოტ“ მექრთამეებს და გამომძალველებს, უდამბაჩო ავაზაკებს, ქურდებსა და ჯიბგირებს (ცხადია, არა ტრამვაი-ტროლეიბუსის „სამოღვაწეო“ მასშტაბით!); ახლა სოფლად ბევ-



რგან შეხვდებით მრავალთახიან ორსართულიან სახლებს, სადაც ერთი თუ ორი ბავშვი დაკინკილებს, ზოგიერთ მრავალშვილიანს კი ხეირიანი საცხოვრებელი ჭერიც არ გააჩნია. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ სენაკის რაიკომის მდივანმა ვახტანგ ესვანჯიამ ითავა, ჩემგან გაღებული სახსრებით, სახლი აუშენოს სოფელ ხორშში მცხოვრებ ნელი და ვენია ღვამბერიებს. მესტიის რაიკომის მდივანმა ს. კარტოზიამ კი – სოფელ მულახში ქეთო და ილია ნიგურიანებს.

...თითქმის ასი წლის წინათ, ახალციხელმა სტეფანე თავთაქიძემ, რაც შეიძლო, თვითონაც გაიღო, ადგილზეც შეაგროვა შემონირულებანი, მერე კი მთელი საქართველო შემოიარა იმ მიზნით, რომ აღედგინათ საფარის მონასტერი და იქ მისასვლელი გზა გაეკეთებინათ.

სტეფანე თავთაქიძე არც მწერალი იყო, არც კომპოზიტორი, არც ძეგლთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, სტეფანე თავთაქიძე ღარიბი და უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ პატრიოტი, გულით პატრიოტი...

მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, ქართველ ხალხში ჯერ კიდევ აქა-იქ „დინოზავრებით“ შემორჩენილ მრავალშვილიან ოჯახებს შეეხმებიან და არ დაიშურებთ მათთვის გულის სიტბოს, ეს კი ერთიათად გაახარებს მათ, ვიდრე მე ეს შევძელი, აკი თქვენ თვალნი ხართ საქართველოსი, ყველასათვის ცნობილი შემოქმედნი, ყველასათვის თვალხილული საზოგადო მოღვაწენი, ერისკაცები!..

შეეხმებიან, რასაკვირველია, არა მხოლოდ ავტორისეული წარწერებიანი წიგნებით და რომანსებით, – ეს სულისათვის, მაგრამ ადამიანს, მით უმეტეს წვრილშვილიანს, სხვა ადამიანური მოთხოვნილებებიც აქვს...

და ეს ამბავი მარტო ჩვენი კი არ უნდა ამოიწუროს! მე, ცხადია, არ ვგულისხმობ არამად მოპოვებულ, ტომრობით ფულის პატრონთ, ჩაოქრულ-„ჩადუბლიონკებულ“ ქართველს, – ვისაც შენიღბული თუ შეუნიღბავი მამაძალლობით ფულის ზვინების გამოჩენა სრულებითაც არ ეშინიათ, თუკი ეს საჭიროა მათებური ტკბილი ცხოვრების კიდევ უფრო დასატკბობად და გასაზღაპრებლად, ვისაც ცოცხალი საქართველო, „ოქროს ვარაყიან სახეში“, გულზე ეხატებათ მხოლოდ მანამდე, ვიდრე თვითონაც ცოცხალნი არიან, – ისინი ეროვნულ ჭაპანში შებმულთათვის, თითო საჩვენებელი ქართველებისთვის ჯიბისკენ ორ თითსაც არ წაიღებენ, და არც ზნეობით ეს სპეტაკი ქართველები დახარბდებიან უზნეობით მოპოვებულ მათ სიმდიდრეზე...

სამწუხაროდ (თუმცა მე ამას არ ვწუხვარ), მე ვემეგობრები მხოლოდ იმათ, ვისაც არც ფული აქვს და არც თანამდებობა. თქვენ კი ახლო ნაცნობობა გაქვთ და ბევრი მეგობარიც გყავთ არა მარტო ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებში, – საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა დარგში; ბევრ მათგანს, ძალზე ბევრ მათგანს, კანონიერი გზით, მოპოვებული აქვს იმდენი შეძლება, რომ ამ ეროვნული საქმისათვის ცოტა რაღაც რომ მოიკლონ, ეს მათს ანაბრებს არც დაეტყობა.

სხვათა შორის, „დასაბეგრავად“ მე მხედველობაში მყავს მხოლოდ ერთ და ორშვილიანები, მეტშვილიანებს ეს არ ეხებათ, მათ ვალი სამშობლოს წინაშე, თუნდაც მხოლოდ სამიც რომ ჰყავდეთ, შეიძლება მოხდინდეს ჩაეთვალათ. ამასთან ერთად ისიც უნდა გითხრათ, რომ 12 ათასი – ეს ზღვარი არ არის, ეს მინიმუმია ჩემისთანა პატარა კაცისთვის, რომელსაც, მართალია, ფულეები არ მიუდის ფრაუ პეტრას დასაპატიჟებლად თავის ადრინდელივით სტუდენტურ ბინაში, მაგრამ, ისე, როგორც, წინათ, არც ახლა აპირებს, მანქანა გამოიტანოს და მერე ის ორმაგ ფასად გაყიდოს, და არც ფიქციური შემოქმედებითი მივლინებისათვის შეგანუხბოთ, რომ მასში ფაქტიური ფულეები აილოს, მოკლედ, – კაცს, რომელსაც პერსპექტივაში ასოცმანეთიანი პენსიის მეტი არაფერი არ ელოდება...

„ნიღაბის“ ნიღბოსან მეპატრონესი არ იყოს, „დოსიე-კონდუიტი“ მეც გამაჩნია, ოღონდ მასში, უკვე ორ ათეულ წელიწადზე მეტია, მრავალშვილიანი ოჯახების გვარები და მათი ადგილსამყოფელი შემაქვს; მე მზადა ვარ, თუკი ისურვებთ, ამ მხრივ სამსახური გაგინიოთ, თუ არადა, საამისო ცნობების მოწოდება ყოველ რაიკომის მდივანს შეუძლია.

სრულებითაც არ არის აუცილებელი, ვისაც ჩვენი ყურადღებით გავახარებთ, უეჭველად 10-12 შვილი ჰყავდეს. მე, მაგალითად, ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხში მივაკვლიე და ხელი გავუწოდე ოთხი მცირეწლოვანი შვილის დედას, შურა ახობაძეს, ქოხი რომ ენგრევა თავზე... ამ ქოხმანში უკვე ოცი წელიწადია ორ-ორნი რომ წვანან ქვეშაგებში. თითქმის ყველასგან უყურადღებოდ მიტოვებული, ამჟამად მძიმე სენით დაავადებული – ხელებნართმეული, ეს სანყალი ქალი სოციალისტური შრომის გმირია!

დიახ, თქვენი „სეხნიაა“, ბატონო გრიგოლ!..

\* \* \*

**მინდოდა მკვდარსა გამეგო  
ქართველთა ბედისწერანი,  
რად უნდა დარჩეს ტიალად  
ცრემლით მორწყული მღერანი?!**

**ვაჟა.**

ყოველივე ეს, ძველად რომ ქველმოქმედებას ეძახდნენ, რა თქმა უნდა, ტკბილ ნაყოფს გამოიღებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი გზა, რომელიც დამლუპველ უფსკრულს აგვაცდენს...

ეს მხოლოდ სადღეისოდ, დღევანდელ სიტუაციაშია გამართლებული, რამდენადაც ამით ჩვენს სიყვარულს, პატივისცემას, დაფასებას გამოვხატავთ სამაგალითო, მისაბაძი, ნამდვილი მამულიშვილებისადმი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წესად გავიხადოთ, – შენ ბავშვები აჩინე და მე ფულს მოგცემო...

ეს ჩვენი გადაგვარების კიდევ ერთი დასტური, უზნეობა იქნებოდა. თუკი ჩემი ამდენი „შეგონებებისგან“ შესაძლოა ასეთი დასკვნის გამოტანა, მაშინ ზემოთ არაერთხელ თქმულს კიდევ გავიმეორებ:

ჩვენი მხსნელია მხოლოდ პირადი მაგალითი!

მხოლოდ პირად მაგალითს შეუძლია ჩვენი შეველა, მხოლოდ მას შეუძლია ერის ორგანიზმში შეჭრილი კიბოს დამარცხება!..

ჰოდა, ვიდრე ჯერ კიდევ ერი ვართ, მივხედოთ ჩვენს თავს, ჩვენს ერს!

ნუ გავახარებთ ჩვენს მტრებს, მხოლოდ შევილიანობით შეიარაღებულ ჩვენს მტრებს და ნუ მოვათავსებინებთ ჩვენს თავს, ამერიკელი ინდიელებივით, რეზერვაციებში!

ნუ ვათქმევინებთ სომხებს, აკი ვამბობდით, რუსთაველი სომეხი იყო, აბა უჭკუო ხალხი როგორ შობდა ასეთ გენიოსსო!

აკაკის ახლა მაინც, საფლავიდანაც ნუ წამოვაცხებინებთ: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!..“

ნუ ამოვადებინებთ წამხედურობას „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოს!..“

ვუსმინოთ დავითს, გურამიშვილს:

„გირჩევ, ნუ აქცევ ზღუდებსა,  
შენს ზურგის მისაყუდებსა“.

გვახსოვდეს ილია: „ერის სიბერე ერის აღგვაა დედამინის ზურგიდამ“.

დაე ვიმეოროთ ვაჟასთან ერთად, უფრო საქმით, ვიდრე სიტყვით:

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
ძილშიაც ამას ვდუდუნებ!“

სირცხვილია, როცა გარს აღარც მონღოლები გვარტყია და აღარც სელჯუკები, ჩვენ თვითონ ვუმონღლოთ და ვუსელჯუკოთ ჩვენსავე თავს!..

სირცხვილია, მეოცე საუკუნეში, თვითმკვლევლობით დაამთავროს სიცოცხლე, სულ ცოტა, ორი ათას ხუთასი წლის ერმა, რომელმაც შექმნა „ვეფხისტყაოსანი“, და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი!..“

1979 წ. თბილისი

**კიტა გუარჩია**



## დამატებითი სტრიქონები

*«Истинный показатель цивилизации – не уровень богатства и образования, не величина городов, не обилие урожая, а облик человека, воспитываемого страной.»*

*Р. Эмерсон.*

„საქართველოს დასავლეთში, რიონის ხეობაში, ქართული ტომი ულამაზესია მთელს მსოფლიოში“.

**გობინო (1816-1882) – ფრანგი მწერალი და სოციოლოგი, ეთნოგრაფი, რასობრივი თეორიის ფუძემდებელი.**

„საქართველოში ბავშვთა სიმრავლე ჩვეულებრივია; უამისოდ ქართული მოდგმა დიდი ხანია მინის პირიდან აღვცილი იქნებოდა და უკვალოდ გაქრებოდა“.

**ო. ვეზენდოკი – გერმანელი მეცნიერი, 1926 წელს გამოცემული წიგნიდან.**

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ამქვეყნად არც ტელეფონი წკრიალებდა და არც კონვერტ-მარკები იყო გამოგონილი, ენგურის ქალაქის ფაბრიკის ახლანდელი მიდამოები კი არგონავტებს სიზმრადაც არ ეხილათ, ერთმა ბრძენმა თქვა: წერილზე პასუხის გაუცემლობა ეს იმას ნიშნავს, რომ კაცს გამარჯობის სათქმელად გამოწვედილი ხელი არ ჩამოართვაო.

საბჭოთა მწერლების სულ გუშინდელი მამა-წინაპარი მაქსიმ გორკი არავის, არა-ვის კორესპონდენციას უპასუხოდ არ ტოვებდა. არა მგონია, რომ ის ლიტერატურული და საზოგადოებრივი საქმიანობით უფრო ნაკლებ დატვირთული ყოფილიყო, ვიდრე ამ „ღია ბარათ-წიგნის“ ადრესატები, მათ კი – აი უკვე წელიწადი გადის – არც ამ წიგნის და არც მისი ავტორის მიმართ ყურიც არ გაუბარტყუნებიათ.

ეს ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას:

ერთი იმით, რომ...

„ჩვენს დროში არისტოტელეს თავიც რომ გებას, თუ წელს თანამდებობა არ გიმაგრებს, მცირედი პატივისცემის ღირსადაც კი, აბა, რომელი ერთი მიგიჩნევს?!“

და თუ ეს ასეა, რაღა იქნება მაშინ, როცა სანყალს უბრალო ხრიკინა თავი გაბია, რომელსაც „რაინდნი და მორჭმულნი ჩვენი დროისანი“, პრაქტიკული მოსაზრებით, კომბოსტოს თავს ამჯობინებენ.

მეორე მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ რაკი ამ წიგნის ადრესატებს თავად არაფერი სტკივათ რა, ამიტომაც ღრმად არიან, ალბათ, დარწმუნებულნი, რომ არც მათ მამულს ეტკივება რამე...

მოკლედ, ასეა თუ ისე, ეს ჩემი დამატებითი სტრიქონები უკვე აღარ არის მიმართული ამ დიდი... ჰმ... ერისკაცებისადმი!

...„სოფლის ცხოვრების“ წლებად 22 ივნისის ნომერში ასეთი რამ ამოვიკითხე:

„...ჩვენი უახლოესი მეზობლების აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობის გამრავლების ტემპი თითქმის ორჯერ მაღალია, ვიდრე საქართველოს მოსახლეობისა“.

მეორეც: „...ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი იმდენად შემცირდა, რომ თუ ასე გაგრძელდა, ორმოცდაათი წლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ ერთ მილიონს დაითვლის“.

აქ ორი შეცდომაა: პირველი გამოწვეულია ზუსტი სტატისტიკური უცოდინარობით, მეორე, – რაკი „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ“, პრესაში შენი „ვიწრო, ლოკალური“ სატკივარი, აბა, რა სახსენებელია!

ადვილი შესაძლებელია, რომ ამ სტატიის „ჩვენი იმედი და მომავლის“ ავტორმა არ იცოდეს, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით მოსახლეობის გამრავლების ტემპი „ჩვენთან“, სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით, არათუ „თითქმის ორჯერ“, არამედ სამჯერ და მეტადაც დაბალია, რაც შეეხება მეორეს... ორმოცდაათი წლის შემდეგ საქართველო არათუ ერთ მილიონამდე შემცირდება, – ათ მილიონამდეც კი გაიზრდება, ოღონდ ქართველები ამ ათი მილიონიდან ერთიც არ იქნება. ეს კი, რათქმაუნდა, გუნებაში მშვენივრად იციან წერილის ავტორმა და გაზეთის რედაქტორმაც, მაგრამ რა ქნან, ნუ გავამტყუნებთ, აკი „ჩვენ ინტერ...“

...ამ ხუთიოდე დღის წინათ „კომუნისტში“ ერთი კარგი მწერალი წერდა:

„შარშან სწორედ ჩვენი დიდი ზეიმის, გარეჯობის წინა დღეებში ვილაცამ ჩამოთალა, ჩამოამსხვრია ნათლისმცემლის მონასტრის ჩუქურთმები, პირწმინდად უკანასკნელ ასომდე ჩაჩეჩქვა სტუდენტთა მიერ მიწის ქვეშ აღმოჩენილი სამარხის წარწერიანი მარმარილოს დაფა, დადღაბნა ისედაც დადღაბნილი წმინდა კედლები, ჩვენმა ყიჟინამ იქნებ ცული მაინც ხელიდან გააგდებინოს იმ მტერს“.

ვაი, ვაი რომ ჩვენი ყიჟინა, მხოლოდ ყიჟინა, ვერ გააგდებინებს იმ „ვილაცას“ პირდაპირ ჩვენს გულში მომართულ ბებუთს, ცულს თუ ლაღუმს...

ყიჟინით ამ რამდენიმე წლის წინათაც ბევრი ვიყიჟინეთ, როცა დმანისის რაიონის სოფელ ჰამამლოში დღისით-მზისით „ვილაცებმა“ შებილწეს და ააფეთქეს, ააფეთქეს მე-11 საუკუნის უნიკალური ქვაფვარის ძეგლი, მას თან მიაყოლეს მდინარე ხრამისა და ყარაბულახის შესაყართან აზიდული საუცხოო ორსართულიანი სამრეკლო და მის მახლობლად მდგარი მე-12 საუკუნის დიდებული ტაძარიც, „ლამაზ საყდრად“ წოდებული, მაგრამ...

სულ აგერ ახლა, ძველად რომ ერქვა ქრისტეშობისთვე, მის დამდეგს „ვილაცებმა“ ახალციხეში გაძარცვეს და დაარბიეს ილია II-ის მიერ დიდი რუდუნებით ახლად შექმნილი მესხეთის საეპარქიოს ადგილსამყოფელი...

ეს „ვილაცები“ არ არიან თამარაშვილ-გვარამაძეების ჩამომავალნი, არც დმანისელი „ვილაცები“ არიან ორბელიან-ჯავახიშვილების ნაშიერნი...

დიახ, ყველამ ვიცით, ვინც არიან ისინი, მაგრამ ჩვენ იმით გვამშვიდებენ, რომ ისინი ერთეულებია, მაგრამ ვინ არ იცის, და მათ შორის ჩვენმა დამამშვიდებლებმაც მშვენივრად იციან, რომ ეს „ერთეულები“ ასობით ათასობის სურვილებს და გულის ნადილს გამოხატავენ და ასრულებენ კიდევ!..

ასეც არ იყოს, განა ერთეულები ვერ შეძლებენ ქვეყნის ღირსშესანიშნაობათა მოხრება-გატილებას? აშენებით ვერ ააშენებენ, თორემ... ნაცარტუტად ქცევას?! ჰეროსტრატემ განა მართოკამ არ ამობუგა სამყაროს ერთ-ერთი საოცრებათაგანი – არტემიდე ეფესელის ტაძარი?!

ვიცოდეთ ისიც, რომ ახლა ეს არ არის ბრძოლა ერთი სარწმუნოებისა მეორის შესამუსრავად, როგორც ეს იყო არაბების, სპარსელების, თურქების თავდასხმებისას, ეს არის ურცხვად და აშკარად, დაუფარავი შემოსევა „ჩვენი ძმებისა“, რათა საბოლოოდ და მტკიცედ დაეპატრონონ ჩვენს მიწაწყალს, ჯერჯერობით თუნდაც ნაწილს მისას, მაგრამ... ჯერ სადა ვართ, რუსები რომ იტყვიან,

*Это цветочки, а ягоды впереди!*

დიახ, უარესსაც გვიზამენ,

თუკი ჩვენი „ზრდა“ ამ „ტემპით“ გაგრძელდა, უარესზე უარესს გვიზამენ, აკი...

პატიებას ვითხოვ განმეორებისათვის:

„...რაც მეტი ვიქნებით, მით უფრო ძლიერი ვიქნებით, რაც უფრო დავსუსტდებით, მით უფრო დაგვჯაბნიან: ბუნების ეს კანონი დღიდან ქვეყნიერების დასაბამისა, ერთნაირად მოქმედებს როგორც ცხოველთა სამყაროში, ისე ხალხთა ურთიერთობაშიც“.

„...არასოდეს არ დადგება ისეთი დრო, როცა ძალა აღმართს ვერ დახნავს“.

ჰოდა, სწორედ ჩემი მშობელი ხალხის დღევანდელმა კრიზისულმა მდგომარეობამ დამანერინა წინამდებარე ბარათი, ჩვენმა დიდმა ეროვნულმა უბედურებამ ამანთო მიმენვდინა ხმა ჩვენი ერის შესაძლო მხსნელის, ჩვენი დროის პოტენციური ცოტნე დადიანისათვის, თუმცა ვიცოდი და ვიცი, ჩვენს დროში ცოტნე დადიანობა არც ისე იოლია, მაგრამ მცირეოდენი მასშტაბით, ვფიქრობ, მაინც შესაძლებელია.

ვგლახ, რომ დიდმა... ჰმ... მამულიშვილებმა ამ ბარათში გამოთქმულ თუნდაც ერთ მოსაზრებასაც კი არ გაუწიეს შუამავლობა ჩვენი რესპუბლიკის თავკაცთან, და მხოლოდ მაშინ, როცა საბოლოოდ დაგვარგე მათგან ხელშეწყობის იმედი, თვითონვე... ბევრი ცდა-დამცირება-წვალეების შემდეგ თითქმის გამოვნახე კიდევ საიმედო გზა, ოღონდ ესაა, დღესაც კი, რამდენიმე თვის

გასვლის შემდეგაც არ ვიცი, მართლა საიმედო იყო თუ არა ეს გზა... ეჭვი უფრო იმიტომ მეპარება, რომ არა მგონია, ედუარდ შევარდნაძე იზიარებდეს ილია ჭავჭავაძის ირონიულ გამოხატვას:

„ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ მისთვის, რომ დიდმა თქვას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო“ და პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა ბრძანებისამებრ თქვენისაო“.

...ამ ნაწერს დიდი ხნის განმავლობაში არავის ვაკითხებდი, არ მინდოდა მათ, ვისაც ვაუზგზავნი, ვიდრე მათგან რაიმეს არ შევიტყობდი, თავზე გადავხტომოდი.

ბევრი ფუჭი ლოდინის შემდეგ კი... და ისიც იმის გამო, რომ, რაკი ზოგიერთმა საზოგადო მოღვაწედ ცნობილმა და, რაც მთავარია, ამავე დროს ტომრებფულიანებმა, ჩემ მიერ მრავალშვილიანებზე „ფულის ჩამორიგება“ უცნაურობად, და, ზოგმა, უფრო მეტიც – შექანებულობადაც კი ჩამითვალეს, – მხოლოდ ამის მერე გადავწყვიტე გამომეჩინა, „აქა-იქ“ მაინც, ჩემი გიჟიანობის დამამტკიცებელი „თეორიული საფუძვლები...“

„...წამხედურობამ ქვეყანა ამოაგდო“ დღემდე სულ ათიოდე კაცს თუ ექნება ნაკითხული, – მეტწილად ხნიერთ. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო ის არის, რომ, მაგალითად, ერთმა ახალგაზრდა კარდიოლოგმა (ა.მ.) და მისმა მეუღლემ, უკვე ორი შვილის მშობელმა, ნაკითხულით შეძრწუნებულებმა, დაიფიცეს, რომ მესამე შვილს იყოლიებენ; 32 წლის ინჟინერმა (თ.ქ.) – რუსულად „უბუჟდიონი ხალასტიაკს“ რომ ეძახიან – სიტყვა მისცა ახლობლებს, რომ უახლოეს ხანში ოჯახს მოეკიდება...

გთხოვთ თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, – ითქვა აგრეთვე, რომ ეს ბარათი ყოველი ქართველის ოჯახში უნდა იყოს, და რომ მას, – ეკლესია იქნება ის თუ ქორწინების სახლი, – ახალდაქორწინებულთ თან უნდა ატანდნენო.

ერთმა, როგორც ჩანს, ერთობ გამჭრიახმა და შორსმჭვრეტელმა ესეც მითხრა, ასეთი მსუსხავი სიმართლით ბევრს გადაიკიდებთო...

ჯერჯერობით ბევრი არა, მაგრამ ერთი მართლაც უკვე გადავიკიდე, და ისიც ჩემივე ყოფნა-არყოფნის სფეროში: აქაოდა, როგორ შემოგვბედე – ქართველ მსახიობთა დიდი უმრავლესობა ისე უნიათოდ მეტყველებს, რომ მოსკოვსა და უცხოეთში ჩვენს თეატრს ასეთი წარმატება არც ექნებოდა, რომ იქ ქართული ესმოდეთ და, ჩვენ მიერ დაჭედილ ხარს ჩვენ უფრო ვიცნობთო, – ისე იწყინა ეს ერთმა ხშირი ტაშით გაბრუნებულმა დირექტორ-რეჟისორმა, რომ მისთვის ასე იოლად ხელმისაწვდომი ხერხებით ფიცხლავ გამომიტანა განაჩენი: დატენა თოფი ინფარქტით და წარბშეუხრელად მრეხვა მამამისის ტოლს და მამამისის ყრმობის მეგობარს...

ასეთი ჰუმანურობა (!) ალბათ არც მომავალში მომაკლდება, თანაც არა მხოლოდ თეატრალური მუშაკებისაგან, მაგრამ თავს რომენ როლანით ვიმშვიდებ:

„ერთადერთი, რაც ამქვეყნად ყველას ერთნაირად დიდად მოსწონს, ეს არის ფული“.

ეს ჩემი მცირე ნაფიქრალ-ნააზრევი კი შავი ფულიც არ არის, და ის მე თუმცა ფულისთვის არა, მაგრამ, საერთოდ, მოგებისთვის კი დავნერე: ეს „მოგება“ მინდოდა ჩემს სამშობლოს მოხმარებოდა, – ჩემს ხალხს, ჩემს ერს, რომელიც ასე უდარდელი და უზრუნველი მიცეკვავს და მიიმღერის დამლუპველი უსფკრულისაკენ, მინდოდა ამ ციცაბო დაღმართზე მას წინ გადავდგომოდი და ერთი წამით მაინც შემეჩერებინა იმ იმედით, რომ ჩემზე ყოველმხრივ უფრო ძლიერები აზრით და გონებით, თავდადებით და სიმამაცით – ერთხელ და სამუდამოდ შეაჩერებენ მას და ვაჟკაცურად პირს აბრუნებინებენ უკან – სიცოცხლის აღმართისაკენ, რომლის მწვერვალზე ათასეული წლის მანძილზე ათას ჭირში გამოვლილი ჩვენი ეროვნული დროშა თუმცა ძლივს ფრიალებს, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ფრიალებს, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ანბან-წარწერილი:

— მოეგეთ გონს, ქართველებო!

გიყვარდეთ ბავშვები!

გიყვარდეთ, გიყვარდეთ, გიყვარდეთ ბავშვები – ჩვენი მარადიული არსებობის დედაფუძე!

25 დეკემბერი,  
1980წ.

კ.პ.

\* \* \*

## „აღსდექ, საქართველო!“

9 აპრილის წინა დღეებში რუსთაველის პროსპექტზე ასეთი მონოდებიტაც მიიმართებოდნენ ქართველნი...

გნებავთ მათ უბრალო დემონსტრანტები შევარქვათ, გნებავთ პროტესტანტი მემამოხენი ანდა მშვიდობიანი მემამოხენი, – ოღონდ ეს კია, მათში ერთიც არ ერია რომელიმე ჩვენი „მოძმე“ ტომთაგანი...

დიახ, 9 აპრილის ცისკარზე მთავრობის სახლის წინ შემოდგომის ჩალასავით აჩეხეს მარტო-კა ქართველები, და ეს არა წინასწარი შერჩევა-გამორჩევით, – ამ უთენით ჩვენს „თანამოძმეებს“ ჯერ კიდევ ფაფუკ ბალიშებზე ნეტარად ეძინათ და სიზმრად ხედავდნენ, როგორ იცლებოდა და სისხლისაგან მათი – უწინკლებოდ! – მათი ჯერ კიდევ საქართველოდ წოდებული საქართველო...

არ დაიჯეროთ...

ან კი რომელი ბრიყვი დაიჯერებს, რომ ჩოჩიევ-ჯუსოითებმა, ტვამბა-გოგუებმა, მნაცაკანი-ან-ამბარცუმიანებმა, ანდა ჯაფარლი-მამედოვებმა 9 აპრილს ჩვენი დაკოდილი გულის ტკივილი თავის გულთან ერთი წამით მაინც ახლოს მიიტანეს, – ო, რაც მალე ამოვწყდებით ჩვენივე ხელის შეწყობით და სხვათა ხელის შეშველებითაც, – ეს მათი დიდი ხნის ოცნებაა!

ვაგლახ, რომ ეს არ არის შორეული ოცნება, და იგი დღითი დღე, სულ უფრო და უფრო რეალობის ფრთებს ისხამს ჩვენივე ეროვნული გრძნობის საძრახისი, თავისმომჭრელი მიძინება-დაქვეითებით...

და აი, – გმადლობთ შენ, უფალო! – ამ სისხლიანი 9 აპრილის ელდამ, ჩვენ, როგორც ერი, თითქოს გამოგვადვიდა, თითქოს შეგვკრა კიდევ ერთ ეროვნულ ბირთვად და მონობის ათეული წლების მანძილზე წართმეულ-დაკარგული მებრძოლი სულიც დაგვიბრუნა: ნუ იტყვი, საქართველოს თურმე, საუბედუროდ, არა მარტო უამრავი, თავისივე სამშობლოს გამყიდველი უკუღმართი შვილი ჰყოლია, – ჰყოლია აგრეთვე, საბედნიეროდ, ნამდვილი მამულიშვილებიც, ყველა ასაკის, თავისი ქვეყნისათვის თავდადებული, სასიქადულო ვაჟკაცები და ვაჟკაცი ქალები, რომლებიც ძნელბედობისას წარუძღვებიან მას, ზოგი აწონილი ტაქტით და შორსმჭვრეტელობით, ზოგიც – აუწონავი სულსწრაფი წინდაუხედაობით...

დიახ. 1989 წლის 9 აპრილს სისხლიანი კვირა კი გაგვითენდა, სამაგიეროდ მან მომავლის იმედიც ჩაგვისახა, თუმცა... მმ...

ვაითუ, ყოველივე ეს დროებით აღტკინებად დარჩეს, ყოველივე ამან წამიერ აბობოქრებად გაიელვოს და ცისარტყელასავით უკვალოდ გაქრეს და...

ჩვენ ისევ საყოველღალო ტკიბილი ცხოვრების ნაჭუჭში შევძვრეთ და – ბოდიშს კი მოვიხდი ამ არცთუ, შეიძლება, კაზმული გამოთქმისათვის, – კვლავ ფეხებზე დავიკიდოთ ჩვენი მშობელი ერიც და ჩვენი უკვე ყოველმხრივ ფუძემერყეული ტურფა არემარე და ისევ და ისევ დაქირავებული, ლაქლაქა თამადის პატრიოტული სიტყვების კორიანტელით დავიტკბოთ ყურთასმენა:

„საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!“

„კიდევაც დაიზრდებიან“...

„ჩვენს გამრავლებას გაუ-მარ-ჯოს!“..

მაგრამ მარტო ამ მქუხარე შეძახილებით, და ვერც ახლად შეკერილი სამფეროვანი დროშების ფრიალით, და ვერც თუნდაც საყოველთაო სახალხო შიმშილობის გამოცხადებით ვერ გავიმარჯვებთ, და ვერც მეცნიერულად იმის დასაბუთებით, რომ ჩოჩიევ-ჯუსოითების მტკიცება:

*«Пять тысяч лет живем мы на этой прекрасной земле».*

ტვინში უკვე ჭარბად სისხლჩაქცეულის როშვა-ბოდვაა, და ამგვარივე როშვაა ჩვენგან ოსებივით დაჩაგრული“, ეგრეთ წოდებული აფხაზების „უცილობელი“ პრეტენზიები ისტორიული „აფხაზეთის სამეფოს“ მიკუთვნება-მითვისებისა, და ვერც იგორ მურადიანის პირით სომეხთ მეცნიერების აგრესიული მოთხოვნა-ლალადისის გაქარწყლება ამოგვიდგება გვერდით:

**«В Грузии и Абхазии (440 тыс. человек) должно быть увековечено пребывание армянского населения, включая город Тбилиси. При этом необходимо работать над сохранением армянской культуры, включая культурные учреждения, национальные школы и язык, так как в Грузии армянское население испытывает определенный пресс ассимиляции». (მიმართვიდან «Всем Армянским национальным организациям», მათ შორის «Руководителям партии «Дашнакцუთი»).**

... და ბოლოს, ჩვენს ეროვნულ სატკივარს სულაც არ დაედება მომშუშებელ მალამოდ ჩვენი მათხოვრული ვედრება აზერბაიჯანელებისა და ლეკებისადმი, რა იქნება, დაგვითმეთ, სოფლები ხომ წაგვართვით-წაგვართვით, მაგრამ მათი ქართული სახელები მაინც დაგვიტოვეთ-თქო (პატარა ოთხკუთხა მაგიდასთან ორი ქართველის ტელესაუბრიდან).

თითქოსდა ქართული ტოპონიმიკის შენარჩუნება ხელუხლებლობა იყოს ქართველი ერის მარადიული არსებობის თავდები და გარანტი!..

თუ ჩვენ, ბატონებო, ამქვეყნად აღარ ვიქნებით, იმქვეყნად იმით ვიამაყოთ და ვიტრაბახოთ, – აი, ეს ჩვენი ქართული, ოდესღაც საქართველოში ჩვენი არსებობის დამადასტურებელი ტოპონიმიკა ხომ მაინც დარჩა-თქო?!

... ეს ჩვენი ბოლნისი და დმანისი, ეს ჩვენი ახალქალაქი და ნალკა, ეს ჩვენი ცხინვალი და სამხაბლო, ეს ჩვენი სამურზაყანო და ბიჭვინთა...

ჯერ არ ვიცით, რას გვიჩვენებს მოსახლეობის წლევანდელი აღწერა, მაგრამ მას არც უნდა დაველოდოთ რათა თვალები აგვეხილოს გადახედეთ სამგლოვიარო განცხადებებს და პარალელურად ამისა სამშობიარო სახლებშიც შეიხედეთ და შეამოწმეთ: ქართველი რამდენი მოევლინა საქართველოს და არაქართველი კი რამდენი...

...დიახ, სიტყვიერად ჩვენ ამ საბედისწერო 9 აპრილამდეც ვმრავლდებოდით, მაგრამ ასეთ „გამრავლებას რაიმე პრაქტიკული, ხელშესახები ნაყოფი რომ გამოელო, განა მაშინ ჩვენივე ფიზიკური გაუჩინარების აჩრდილი ასე ახლოს თავს აღარ წამოგვეფარებოდა და ქართულ მიწებს ჩვენ თვალწინ და თითქმის ჩვენ ცხვირწინ სხვათა ჯილაგის არხეინად მოსულ-მოთრეულები ასე იოლად და თავხედურად ველარც ჩამოგვაჭრიდნენ, მაგრამ არ ღირს იმის გამეორება, რასაც თქვენ, მკითხველო, ამ ბარათში ეს-ეს არის უკვე გაეცანით და, ვ ფ ი ქ რ ო ბ , ი ს ი ც შ ე - ნ ი შ ნ ე თ , რ ო მ ა თ ი წ ლ ის წ ი ნ ა თ შ ე მ ო კ რ უ ლ ი ეს გ ლ ო ვ ის ზ ა რ ი ა ხ - ლ ა ა დ რ ი ნ დ ე ლ ზ ე კ ი დ ე ვ უ ფ რ ო შ ე მ ზ ა რ ა ვ ა დ ქ ვ ი თ ი ნ ე ბ ს . . .

დღეს ჩვენ, ქართველები, საქართველოში არაქართველებზე თუ კიდევ ცოტათი მეტნი ვართ და ამით დაიმედებულნი ჩვენი მიწა-წყლის მეტ ნაწილზე თავმოლერილნი დავდივართ, რალა იქნება მერე, როცა...

მერე კი არა, უკვე ახლაც მოსულ-მოთრეულებთან შედარებით ჩვენ, ჩვენივე მიწა-წყალზე ბევრგან, უკვე ლამის ხიზნებად გამოვჩნდეთ, ისინი კი – მკვიდრებად, რომლებიც უკვე ისე ალმაცერად გვიცქერიან, თითქოს აბეზარი მოთრეულები ჩვენ ვიყოთ, და არა ისინი...

ჰოდა, რალა იქნება მერე, როცა ჩვენივე სამშობლოში ჩვენი მოსახლეობის უპირატესობის ათი-თხუთმეტიოდე პროცენტიც ჩვენი ეროვნული გულარხეინობა-უდარდელობით ხელიდან გამოგვეცლება?!

გამოგვეცლება კი უეჭველად და აუცილებლად, თუკი ჩვენმა ნათიებმა, მამუკებმა, გოგიებმა, ქეთინოებმა კვლავინდებურად ასე ეულად „იარონ, იარონ, იარონ...“ და კიდევაც არ დაიბადნენ „ალგეთს ლეკვები მგლისანი“...

იმ თავზარდამცემ 9 აპრილის ერთ მომდევნო დილას რადიოდან სევდანარევი ხმა შემომესმა: – ორი შვილის დედა ვარ და... არ დავფარავ: მესამეზე ფეხმძიმე. 9 აპრილამდე მუცლის მოშლას ვაპირებდი, მაგრამ ახლა, 9 აპრილით შეძრწუნებული, გნებავთ შურისძიების მიზნით, ამ ნაბიჯს არა და აღარ გადავდგამ...

ო-ო!..

დაე ეს იყოს ჩვენი ეროვნული მართლა გამოდვიდება – გამოფხიზლები სპირველი საქმიანი მერცხალი!..

დაე ეს იყოს 9 აპრილს ჩვენი ეროვნული გენიის სახელობის პროსპექტზე დანთხეული ქართული სისხლის მართლაც საშურისძიებო პასუხი ქართველი ერის შინაგანი მტრების მიმართ, რომლებიც სულ უფრო და უფრო „ძმური სიყვარულით“ გარს გვერტყმიან და თავისივე ჭკვიანურად მოფიქრებული სიმრავლით ჯერ ჩვენი დაჯაბნა-გადათელვა დაუსახავთ მიზნად

(ამას უკვე ახლაც ახერხებენ, – საქართველოს ზოგიერთ ქართველობით მცირერიცხოვან რაიონებში ქართველ კაცს უკვე ეშინია გამოტყდეს, რომ ის ქართველია, ბევრი მათგანი იქიდან – შევინროების გამო! – გამორბის კიდეც), მერე კი დედაბუდიანად ამოგდებას გვიპირებენ...

\* \* \*

## ქართველებო!

გადამთიელთ ნუ ამოვადებინებთ, ნუ მოვავადვინებთ ჩვენს თავს!..  
ეს კი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს გონიერებაზეა დამოკიდებული!..  
ჰოდა, ვიდრე საამისოდ ჯერ კიდევ საგრძნობი ფიზიკური ძალა შეგვწევს, ძალა შეგვწევს, ნუ, ნუ...  
9 აპრილამდე, თქვენც იცით, ეს საერო-სასიცოცხლო გონიერება დიდად გვაკლდა-გვაკლდა, ახლა კი...  
ცხრააპრილელთა განწირულმა სულისკვეთებამ არ უნდა ჩაიაროს, არ უნდა ჩაიაროს ტყუილუბრალოდ, არ უნდა ჩაიაროს ფუჭად, ფუჭად!..  
ჰოდა,  
ვიძიოთ შური!  
გესმით?  
სწორედ საამისოდ 9 აპრილს ჩვენს დედაქალაქში დანთხეული ქართული სისხლი გვიხმობს და გვეძახის!..  
იმ შავ დღეებში ერთი ცოცხლად გადარჩენილი ცხრააპრილელი ჭაბუკი ტრიბუნიდანაც კი დაიმუქრა, „ძალიან დიდების“ წინაშეც, ჩვენ კიდევ ავისხამთ იარაღსო...  
კი, მაგრამ ასეთი რა იარაღი უნდა აისხას ჭიანჭველამ, დათვს მოერიოს?!  
ჩვენი იარაღი...  
ღიას, ვიძიოთ შური,  
ვიძიოთ შური, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გამრავლებით, გამრავლებით, გამრავლებით, გამრავლებით ვიძიოთ შური!..  
ჰეი, ალსდეძ, საქართველოვ,  
მართლაც  
ალსდეძ, საქართველოვ!..

აპრილი  
1989 წელი.

კიტა ბუაჩიძე





**ლია ბარათი**  
**აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს**  
გაზეთი „კაბადონი-8“, 8 აპრილი, 1990 წელი

ბატონო გიორგი! მეტად არასახარბიელო მისია დავაკისრე ჩემს თავს: კრიტიკული თვალთ მიმოვიხილო ერთი ორგვერდიანი განცხადება, რომელიც გამოგზავნილია თქვენს სახელზე და რომლის ასლიც ქალაქში ახლა ფართოდ ვრცელდება.

არასახარბიელო მისია-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ამ განცხადების ავტორია ბატონი აკაკი გელოვანი, კაცი-ფუტკარი, რომელიც არა ერთი და ორი სასიკეთო ქართული საქმის მოგვარებით ჩვენგან ღრმა პატივისცემას იმსახურებს.

მაგრამ, როგორც ეს საერთოდ ცნობილია, შეუმცდარი ამ ქვეყნად, ღმერთის გარდა, სულიერი კაცი არავინ არის და ამაში ეჭვი ოდნავადაც ნუ შეგვეპარება. ამ ცოდვილთაგან, როგორც სულიერი, არც აკაკი გელოვანი უნდა იყოს გამონაკლისი.

ამის დამადასტურებელი მისი მიმართვა, მე ვიტყვოდი, პანიკური მიმართვა თქვენდამი, რომელიც ეხება „არაქართველთაგან“ გვარისა და ეროვნების გამოცვლას, ახლა რომ ასე გახშირდა საქართველოში და რასაც ბატონი აკაკი სულით ხორცამდე აუფორიაქებია, აქაოდა... „ჩვენ ხომ ვიცით, მათ არა ქართველობა უნდათ, არამედ თანამდებობა. პასპორტში კი ჩაინერებიან ქართველად, მაგრამ ერთ ჩხირსაც არ გაიმეტებენ საქართველოსთვის“ (თითქოსდა ცოტანი იყვნენ ჩვენში გვართ და ეროვნებით ისეთი ქართველები, რომლებიც საქართველოსთვის რაიმეს იმეტებდნენ!). „...ესაა უიარალოდ ერის დაპყრობა“. ეს პროცესი უნდა შეიზღუდოს და თუ ვინმე გვიბრძანებს, ეს უკვე აშკარა დივერსიაა!“

სამწუხაროდ, არათუ გვიბრძანებენ, ეს უფლება რომ გამოგვეგლიჯა „ვინმე დივერსანტებისათვის“, საამისოდ (სახელმწიფოს დონეზე!) მრავალწლიანი ბრძოლა დაგვჭირდა და ახლა, როცა იგი მოპოვებულია, ამ პროცესს, არა და არა, გზა არ უნდა გადაეკეტოს: ამით მხოლოდ საქართველოს მტრები — „დივერსანტები“ - მოიგებ-გაიხარებენ.

გელოვანის მიხედვით, თურმე „სომხების“ გაქართველებას კმაყოფილებით ხვდება თვით ვაზგენ I, ლოცავს კიდევო: „მიიღეთ, გაიფორმეთ, მერე ამ საქმეს მივუბრუნდებით“...

ეს, რა თქმა უნდა, უფრო პატივცემული მწერლის ფანტასტიკური ნააზრევია, ვიდრე სრულიად სომეხთა კათალიკოსისა...

ნამდვილად კი „სომხების“ გაქართველებას სომხების სულიერი მამა და მისი მრევლიც როგორ შეიძლება უყურებდეს, ეს ჩინებულად გამოსჭვივის ჩემს ხელთ არსებული სომეხი მეცნიერის იგორ მურადიანის მიმართვიდან:

„Всем армянским национальным организациям“, მათ შორის Руководителям партии «Дашнакцутюн»:

**В Грузии и Абхазии (440 тыс. человек) должно быть увековечено пребывание армянского населения, включая город Тбилиси. При этом необходимо работать над сохранением армянской культуры, включая культурные учреждения, национальные школы и язык, так как в Грузии армянское население испытывает определеннный пресс ассимиляции».**

მაპატიოს ჩემთვის დიდად ძვირფასმა აკაკიმ, მაგრამ რა ვქნა, უნდა შევნიშნო მაინც: ასევე უხეიროდაა შეთხზული მის მიერ „სომხების“ გამონათქვამები, აი, თუნდაც ამგვარნი: „ასატურიანი რომ ხარ და ასათიანი ხდები, რა კაცობაა? ხომ იცი, ვინცა ხარ?“ „ვიცი, მაგრამ ასე მსურს და ასე გავაკეთებ, შენ რა გინდაო!“

ასე თავაგდებით რეგვენი „ასატურიანიც“ არ დაიცავს თავს!... „გურამიშვილი რომ ხდები, იცი, ვინ იყო გურამიშვილი და რა გააკეთა ერისთვისო?“ „მაგი არ მაინტერესებსო...“

„მაგით“ გურული „სომეხი“ თუ შეეცდება, მოიგერიოს შემკითხველი!..

ვაგლახ, ჩვენ ამის შნო რომ დაგვყოლოდა, მაშინ ამას წინათ ცხრა თვის ბავშვს აკვანში არ მოგვიკლავდნენ და ბაღში ვლადიმერ ვეკუას რკინით თავს არ გაუროფავდნენ...

საუკუნეების განმავლობაშიც ჩვენ ჩვენს მიწა-წყალზე ჩამოთესლებული და ჩვენ გვერდით მცხოვრები იმ დროს ერთი მუჭა გადამთიელნიც კი ვერ გავაქართველეთ.

...სხვათა შორის, ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ საქართველოში ყოველ დროს იყვნენ გელოვანისებური მოაზროვნენი (ამ საკითხში!): არიქა, ფროთხილად, ანკარა ქართულ სისხლს სხვათა მღვრიე სისხლი არ შეერიოსო...

ჩვენ არათუ სხვებს ვაქართველებდით, თვითონ სხვები ჩვენებურებს კარგა ბლომად „იქართველებდნენ...“ საამისო მაგალითი მრავლად მოინახება და თუ დღეს დაგვიდგა ისეთი სანატრელი დრო, როცა შეგვიძლია, ეს პროცესი ჩვენდა სასიკეთოდ შემოვაბრუნოთ, განა ამას ნინ უნდა აღვუდგეთ?!

მე გთხოვთ, ბატონო გიორგი, გადაფურცლოთ ტელეფონის ცნობარი თუნდაც მარტო „გან“-ზე და „სან“-ზე: იქ გრძელოვის გვარსაც ამოიკითხავთ და სიხარულოვისასაც...

ჰოდა, მაგალითად, შეიძლება განა, გაგრძელოვებული გრძელიშვილები და გასიხარულოვებული სიხარულიძეები სომხები იყვნენ?!

და თუ ისინი ახლა არქივებს და მამჩის ბიუროებს მიაწყდებიან თხოვნით, დაგვიბრუნეთ ჩვენი ნამდვილი ეროვნება და გვარიო, ამაზე უარი უნდა ვტკიცოთ და მოუბოდიშებლად პირში მივახალოთ, თქვენ ქართველებად იმიტომ აპირებთ მოინათლოთ, რომ გინდათ, თანამდებობები ჩაიგდოთ ხელშიო?!

რომელი დიდი თანამდებობის მონატრულია თელეთელი ასლამაზოვი, ნყნეთელი შაყულოვი, კუმისელი მამაჯანოვი ანდა ჩხარელი სიმონგულოვი?!

ისიც შეიძლება, გვარ-ეროვნების გამომცველთა შორის მართლაც გამოერიოს არაქართველებიც, რომელთაც სწადიათ ქართველობა, რადგან დროა და თაობათა განმავლობაში ისინი გულით, სულით დასტურ გაქართველდნენ და... ჩვენ კი მათ განა მჯილი უნდა ვკრათ, გაგვეცალეთ, თქვენ ჩვენი გორისანი არ ბრძანდებით-თქო?!

ნუთუ მაღალმა ღმერთმა ჩვენ სხვაზე ნაკლები ჭკუა მოგვმადლა? შორს რომ არ წავიდეთ, ხომ დავინახეთ, აგერ აფსუებს ჩვენ, ქართველები, თურმე დიდად როდი ვეპიტნავებით, მაგრამ აფსუობის მოსურნე ქართველებს მაინც გულში იკრავენ, რათა სათვალავში მეტი გამოჩნდნენ (და ეს გააფსუებული ქართველები, სხვათა შორის, მერე და მერე, ალბათ, რომ არ წამოაყვდრონ, აფსუებზე უფრო თავზეხელაღებული აფსუები ხდებიან... საერთოდ, საამისო მაგალითები ყოველი ერის ისტორიაში მრავლად მოინახება; ამჯერად მამლუქების გახსენებაც საკმარისია).

...სათვალავში-მეთქი, აფსუებზე ეს წამია რომ მოგახსენეთ... ჰოდა, სათვალავზე ფიქრი და ზრუნვა როგორ ჩვენ, ქართველებს, განა აღარ გვჭირდება? რომელი „მრავალრიცხოვანი ხალხი ჩვენა ვართ?!

სულ აგერ ახლა პრესამ მოსახლეობის შარშანდელი აღწერის შედეგები გაგვაცნო, რომელთა მიხედვითაც ქართველები საქართველოში 70 პროცენტს შეადგენს თურმე... ათი წლის წინათ ნმ პროცენტი ვიყავით, ახლა კი...

თქვენი არ ვიცი, ბატონო გიორგი, მე კი ეს მაჩვენებელი ვერა და ვერ დამამშვიდებს, რადგან სრულებითაც არ მჯერა მისი: იგი უთუოდ შეფერადებულ-შელამაზებულთა ანდა არაზუსტად ნაანგარიშევი...

ეს ხომ იმ ერზეა ლაპარაკი, რომლის მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი ერთშვილიანია, რომლის შვილებიც ავტოავარიებში ყოველწლიურად ასობით და ათასობით იღუპებიან. რომლის შვილები და შვილიშვილები უბრალო გულისმოსვლაზე შეუბრალებლად და დაუფიქრებლად ბუზებივით ხოცავენ ერთმანეთს (შარშან რესპუბლიკაში ორასზე მეტი განზრახ მკვლელობა აღირიცხა, მათ შორის ათზე მეტი მოზარდების მიერ ჩადენილი, მოზარდების, მოზარდების... ვაი, ერის თავის მოჭრავ მთელი ქვეყნიერების წინაშე! ეს ჩვენგან განა უფრო საგოდებელი არ არის, ვიდრე 9 აპრილი? ამ დღეს გარეშე, უცხო ძალამ გაგვიმეტა, ეს ორასი სიცოცხლე კი თავისიანმა გასწირა)...

... რა თქმა უნდა, ამას ბევრი ბჭობა არც უნდა, რომ ჩვენ, ქართველები, უკვე კარგა ხანია, ამოწყდომის უფსკრულისკენ თოხარიკით მივექანებით, და, ჩვენი ბედი! შეიძლება უკანასკნელი, რომ დრო დაგვიდგა ისეთი, თუკი ჩვენი ბედოვლათობით გამოწვეულ ამ ავბედითობაზე ავღალადდებით და, უფრო მეტიც, არაფერს დავიშურებთ თავის გამოსახსნელად, - „ნემესტნიკი“ კოვანოვები უკვე ვეღარ შემოგვწყრებიან, რას მიქვია, ქართველები გამრავლდეთ, მთავარია, საბჭოთა ხალხი გამრავლდესო...

მე, რა ვქნა, ასე მგონია, არც ისეთი ბოთე ვარ, ვირწმუნო, რამდენიმე ათეული ათასი „ყოფილი“ ქართველის კანონიერი გადმოქართველება გვიხსნის ეროვნული დაწრეტისაგან, მაგრამ

ეს ჩვენი ეროვნული სახლის გასამაგრებელ ერთ ბოძად მაინც გამოდგება, და ამ ბოძს დაუფიქრებლად, ვითომდა პატრიოტული მოსაზრებით არც ერთმა ჭეშმარიტმა ქართველმა ხელი არ უნდა ჰკრას...

ბატონი აკაკი გელოვანი კი, რაღა თქმა უნდა, ჭეშმარიტზე ჭეშმარიტი ქართველია და ჩვენთვის რარიგ დასანანია, რომ მას ასე დიდად ადარდებს: „თბილისის არქივის დირექტორი, უაღრესად კეთილსინდისიერი, პატრიოტი იზა გუჯეჯიანი ლამის თვითმკვლელობამდე მივიდეს, ისე აწუხებს ეს მასობრივი მოზღვავება გვარის და ვითომ ეროვნების გამოცვლაზე თუ „აღდგენაზე“ ათასობით თბილისელისა!

მე მოკრძალებით ვურჩევდი ქალბატონ იზა გუჯეჯიანს, თუკი ის მართლაც კეთილსინდისიერი პატრიოტია, თავს ნუკი მოიკლავს, პირიქით – სიცოცხლით კიდევ უფრო მეტად აენთოს, რათა არქივის კარი ფართოდ გაუღოს ათასობით თბილისელს, აკი ამ აქციის დაკანონებამდე (და ბევრგან ახლაც!) მამჩის მოხელენი „გადმოსარჯულებელთ“ ცხრაპირ ტყავს აძრობდნენ.

იმედი მაქვს, ბატონო გიორგი, რამდენადაც ეს თქვენზე იქნება დამოკიდებული, ამ კეთილ საქმეს ხელს არ შეუშლით, პირიქით, ხელს მოუშართავთ და დალოცავთ კიდევ.

25 თებერვალი  
1990 წ.

პატივისცემით  
კიტა ბუაჩიძე

P.S. ბარათს თან ვურთავ ამონაწერებს ათი წლის წინათ დანერილი „შავი წიგნიდან“, რომლებიც აქ აღძრულ „სადისკუსიო“ თემას ეხმიანება:

არავინ უწყის, „ჩვენი უსაფუძვლო, პროვინციულ-„დურაქული“ ეროვნული კუდაბზიკობით რამდენ „უცხო“ ადამიანს ვკარგავთ და რამდენსაც კიდევ სამეგობროდ მოსულს, პირდაპირ მტრად ვიკიდებთ. ისე ვიქცევით, თითქოს ასმილიონიანი ერი ვიყოთ, რომელსაც, ვითარცა მუმილი მუხასა, ვერავინ ვერაფერს დააკლებს. ორმოცმილიონიანი თურქი ყველას ათურქებს – ფრანგი იქნება ის თუ ლაზი, მათებურ ანკეცაში ეროვნება არცა სწერია, რაკი თურქეთში ცხოვრობ, მაშასადამე თურქი ხარ და მორჩა და მოისვენა! ჩვენ კი... მხოლოდ ერთი, ერთი მაგალითი: კომპოზიტორი ვანო მურადელი გორიდან გახლდათ, დედამისი კასპელი იყო – ელენე მეზურნიშვილი. მამის წინაპრები, მურადაშვილები, მე-18 საუკუნეში მესხეთიდან გორს გადმოსახლებულან... იმდროინდელ ერთს შორსმჭვრეტელ ტერტერას ერთი მათგანი რაღაც შემთხვევის გამო მოუნათლავს და გრიგორიანელებში ჩაუნერია... სულ ეს არის ვანოს „დანაშაული“, კაცის, რომელიც ქართულად ლექსებს წერდა (თავისთვის!), სომხურის „ლავეს ბიჭი არის ესა“ - ესეც არ გაეგებოდა. თავი ქართველი ეგონა (თავი ქართველად კი არ მოჰქონდა, ეჭვიც არ ეპარებოდა), გვარიც გააქართულა. მამამისის ბიძაშვილები, მართლმადიდებელი მურადაშვილები, ახლაც ცხოვრობენ გორის რაიონის სოფელ პატარა გარეჯვარში... ჰოდა, ასეთ ქართველ კაცს მაინც არ მოეშვნენ ქართველი „ძმები-მუსიკოსები“, - სომეხი ხარ, სომეხი ხარო... მოსკოვში გადავიდა, არც იქ მოასვენეს, - სომეხიაო; მერე, ომის წლებში, ცნობისგამახვილებულმა სომხებმა სომხეთში ჩაიტყუეს, ჩაიყვანეს ეჩმიაძინში, ერთი მაგრად გამოათვრეს და ვიდრე გამოფხიზლდებოდა, ხელწერილი დაადებინეს - „მე... ესა და ეს... ვარ სომეხი...“ - რა მექნა, - დიდი ხნის შემდეგ მიაშობდა „ვანო ილიჩი“, - ქართველებმა ქართველად არ დამაყენეს და რაკი ადამიანი ხარ, რომელიმე ერს ხომ უნდა ეკუთვნოდეთ...

არიან არა მხოლოდ გაქართველებული სომხები, არიან, ასე განსაჯეთ, გასომხებული ქართველებიც: ყველა ეს მებალოვები, ღარიბოვები, მზარეულოვები, ბარძიმოვები, ხუციევეები, მერაბოვები, მამულოვები, მამასახლისოვები, მჭედლოვები, მღებროვები, გიგოლოვები, ძამოევეები და კიდევ მრავალი და მრავალი სხვა. მათ ქართველობაზე თუნდაც მათი გვარების ძირებიც მიგვანიშნებენ, ოღონდ ესაა, ჩვენ, „ჭკვიანი“ ქართველები, მათ ჩვენგან ვერეკებით, „უჭკუო“ სომხები კი... აბა, რომელი „ხატისოვი“ ან „არწრუნი“ ნამოაყვედრით მათ, თქვენი წანაპარი „ვრაცი“, მით უმეტეს, „გიჟ-ვრაცუა იყო“...

კ.პ.

## პატალთ ბალს დამნიჟება...

გაზეთი „კომუნისტი“, 10 ივნისი, 1990 წელი

ათეული წლების მანძილზე ჩვენ ისე შევეჩვიეთ თუ შეგვაჩვიეს, თავზე მხოლოდ წითელი ვარდებისგან მონწილე დიდების გვირგვინი დაგვადგან, თუ მასში მინდვრის ყვავილი თუნდაც ერთი გამოერია, ის გვირგვინი უკვე სარეველა ბალახისგან შეკონილად გვეჩვენება.

ჰოდა, სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ახლო წარსულში ერთმა, საერთოდ, ფრიად პატივსაცემმა ლიტერატორმა ჩემთან უბრალო, ფორმალურ ნაცნობობაზეც კი ხელი აიღო: მე იგი ისეთ მოაზროვნედ ვერ გამოვაცხადე, რომელიც ცხოვრებისეულ არც ერთ საკითხში არასოდეს არ ცდებდა.

სიმართლე გითხრათ, ამჟამინდელ საქართველოში ასეთი მოაზროვნე არც სხვა ვინმე მეგულება და, მგონია, თუნდაც არა ერთი და ორი ჭკვიანური აზრის გამოთქმა, ეს კიდევ არ ნიშნავს მოაზროვნეობას.

ლენინ-სტალინ-ბრუშჩოვ-ბრეჟნევის პერმანენტულ მონათმფლობელურ საზოგადოებაში უბრალო მსჯელობა და განსჯაც დასაჭურისებული იყო და, მაშასადამე, მათ ეპოქებში ჭეშმარიტად მოაზროვნე არც შეიძლებოდა წარმოშობილიყო.

აი, მხოლოდ აგერ ახლა ნაწილობრივ მაინც აეხადა სარქველი ჩვენს თავის ქალას, და მაინც, ჭეშმარიტი მოაზროვნე რომ გამოჩნდეს, ამას დროც უნდა და სრული თავისუფლებაც. ისე კი, დიდი მოაზროვნენი ისევე იშვიათად იბადებიან, როგორც ცხოვრების ყველა სფეროში — დიდი ტალანტები. სწორედ ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს, რომ ბოლო ორი საუკუნის კაცობრიობის ყველაზე დიდმა სკულპტორმა, ფრანგმა როდენმა „პუბლიცისტი“ ან „ჟურნალისტიკრიტიკოსი“ კი არ გამოაქანდაკა, გამოაქანდაკა „მოაზროვნე“ (Мыслитель);

სწორედ ამ რანგის მოაზროვნე გახლდათ ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, ნიკო ნიკოლაძე, ჩვენ კი... მმ.. არა, ამ ფრაზას არ შევკვეცავ იმის შიშით, ვაითუ, ვინც უკვე გადავიკიდე, ახლა მათ სხვებიც არ მიემატონ-მეთქი...

დიახ, ჭკუადადგდარი მოაზროვნენი ეთქმის განა მათ, ვინც ჩვენს „მარიონეტულ მთავრობას“ ულტიმატუმს წაუყენებს, „შენყდეს გვარებისა და ეროვნების გამოცვლაო“; ვინც რუსთაველის პროსპექტის ერთ ყველაზე ლამაზ შენობასთან ამწეს მიაყენებს და დაასახიჩრებს მის კარნიზზე იაკობ ნიკოლაძისა და თამარ აბაკელიას ხელოვნებას, თუნდაც იქ მათ გამოექანდაკებიანო (ეს ხომ უკვე ისტორიის კუთვნილებაა!) სტალინი და... „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ (თუ ასეა, მაშინ ტიცთან ტაბიძის პოეტური კრებულიდან უნდა ამოვადგოთ მთელ საბჭოთა ქვეყანაში პირველად დაწერილი ლექსი სტალინზე, სადაც ასეთი სტრიქონიც გვხვდება (მომყავს მახსოვრობის მიხედვით): „ვინ დახრის დროშას მაღალტარიანს, როცა ის მოაქვს პროლეტარიატს!“); ვინც უკუღმართი ცხოვრებისაგან ასიათასობით ისეც განამებულ ადამიანს ქალაქში ტრანსპორტით სარგებლობის უფლებას წაართმევს და ამით კიდევ უფრო გაანამებს მათ, თანაც არა ერთი და ორი საათით, მთელი დღეებით; ვინც თუნდაც მარტო სიტყვიერი მუქარა-„მაუზერით“ სანარმოებში შეიჭრება, გაიფიცეთ, გაიფიცეთო და ამით ისეც ბეჯით შრომას გადაჩვეულთ ამოადებს სამუშაო რიტმიდან და კიდევ უფრო გააძვალტყავებს ისედაც სულთმობრძავ ქართულ ეკონომიკას; ვინც ხომტარიასეულ, ოცი-ოცდაათიან წლებში ხელოვანთა სასახლედ ცნობილ დიდებულ შენობაში შეიჭრება გაურანდავი (თუნდაც გარანდული!) ფიცრებით, ათსანტიმეტრიანი ლურსმნებით და ურო-ჩაქურჩით და ერთი მოხატული ოთახის ჩუქურთმა კარებს აჭედავს?!

თუ მოვიგონებთ, „ახალი ქვეყნის შენება“ ბოლშევიკებმაც სწორედ ქვის ხანის დროინდელი, ამგვარი „საქმიანობით“ დაიწყეს...

მერედა, ჩვენ, ახალი საქართველოს გულწრფელად მონატრულებმა, კაციჭამიების „ბრძოლის“ თარგი უნდა გადმოვიღოთ?! ანდა... „მონადირენი“ ჯერ კიდევ „დათვის მოკვლამდეც“ კი ერთმანეთს სროლას რომ აუტეხენ, განა ეს მათი სახელმწიფოებრივი ჭკუასავსეობის დამადასტურებელია?!

ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში სიტყვასიტყვით ასეთი რამ ამოვიკითხე:

ჩვენს პარტიასო „... გადანყვეტილი ჰქონდა ლენინის ძეგლის აღება. ამ აქციისათვის იგი სათანადოდ მოემზადა, რასაც მარიონეტულმა ხელისუფლებამ დაუპირისპირა საბრძოლო ტექ-

ნიკა და შინაგან საქმეთა ჯარის ნაწილები. მოსალოდნელი შეტაკებისა და სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ძეგლის ალების აქცია გადაიდო.“

აქედან, აბა, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, თუ არა ის, რომ ... სისხლისღვრა დროებით გადაიდო!

კი, მაგრამ... ნუთუ არ კმარა, რაც აქამდე სისხლი დაიღვარა?

ნეტავი, საერთოდ ყველაფერში ასე თავგამოდებით რატომ ვჩქარობთ, ცოტა მაინც ვაცალოთ ბალს დამნიფება და მერე ვიგემოთ...

კაცი როგორღაც დაეჭვდები, სული იმიტომ ხომ არ მიგვისწრაფვის, რომ მერე... მერე... პრეზიდენტობაზე სხვაზე მეტი პრეტენზია განვაცხადოთ და სამინისტრო სავარძლების განაწილებისას უფრო დიდ ერისკაცებად და უფრო დამსახურებულ ღვანლმოსილებად გამოვჩნდეთ, რათა პრივილეგიებიც მეტი დავითრიოთ?!

(ახლა ხშირად ამბობენ, ღმერთი ჩვენთან არისო; ჰოდა, თუ ჩვენთან არის, მუხლმოდრეკილებმა შევევდროთ, რათა ისტორია აღარ გამეორდეს: საქართველოს გასაბჭოების მეორე დღესვე გამსაბჭოებელი ძაბრქუდიანი თავკაცები პირველები შეცვივდნენ მილოვის, ბოზარჯიანცისა და სხვათა — „იანცების“ სეფე-დარბაზებში, მუშა ერთიც არ გახსენებიათ).

სისხლიო...

ღირს კი ლენინის ძეგლის ალება ქართული სისხლის თუნდაც ერთი წვეთის გაღებად?!

ეგებ ვფიქრობთ, რაც მალე ავიღებთ ლენინის ძეგლს, მით უფრო მალე მოვიპოვებთ დამოუკიდებლობას?

თუ ამით კიდევ უფრო გავამწვავებთ ჩვენს პატარა ქვეყანაში ისეც ურთულეს ვითარებას, როცა გარეშე მტრებს შინაური მტრები მხარს უბამენ და ერთმანეთს ჩვენ წინააღმდეგ ძმობას ფიციციბიან?!!

რატომ ვაყენებთ ჩვენს „მარიონეტულ მთავრობას“ მძიმე და თავსამტვრევ მდგომარეობაში ჯერ კიდევ უფროსი ძმის სტატუსით აღჭურვილი ჩრდილოეთის წინაშე? თანაც... ჩვენი დღევანდელი მთავრობა ეგებ არც ისეთი მარიონეტულია, როგორც გვჩანდა თუ გვიჩანდა? რაკი მისი მეთაური, გივი გუმბარიძე, ბალის დამნიფებამდე ერთი ხელის დაკვრით არ აპირებს კომპარტიის გაუქმებას?

ჰო, მაგრამ... ალგიდრას ბრაზაუსკასი უკვე ნახევრად თავისუფალ ლიტვაში ფორმალურად ახლაც კომუნისტია, მაგრამ მასზე უფრო დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხისა სხვა არც ისე იოლად მოინახება იგივე ლიტვაში...

ჰოდა, ვინ იცის, გუმბარიძე, რომელსაც, არა მგონია, ვცდებოდე, არაპატრიოტული რამ სამშობლოსათვის ჯერ არაფერი გაუკეთებია (ნუ გავამტყუნებთ, თუკი შინაური ჩვენი „ძმების“ თავგასულობა აქამდე ვერ აღკვეთა, ამ „ძმებს“ ჩვენზე ასმილიონჯერ ძლიერი „ძმა“ მფარველობს და ათავხედებს“), და, ვინ იცის ბრაზაუსკასისა არ იყოს, ბატონ გივი გუმბარიძესაც ეროვნული გული ეგებ არანაკლებად უძგერს, ვიდრე, მაგალითად, ბატონ აკაკი ბაქრაძეს: კომუნისტობაზე თუ მიდგება საქმე, აკი ჩვენი ღირსპატივისცემი დიდად სახელმორჭმული აკაკიც ამ ათიოდე წლის წინათ ხომ შევიდა კიდევ უფრო დამპალ კომუნისტურ პარტიაში, ვიდრე ეს პარტია დღეს არის?!

აბა რა მანქანებით დავიჯეროთ, რომ ასეთი მახვილგონიერი კაცი 50 წლის ასაკში დარწმუნდა ერთადერთი მმართველი პარტიის მართლკანონიერებაში, მართლკაცთმოყვარეობაში, მართლმორწმუნეობაში - ბრეჟნევის სოციალიზმ-კომუნიზმის იდეალების სინმინდესა და სიდიადეში?!

ახლა ხშირად გაისმის ხოლმე, ვიყოთ მიმტყვებელნიო...

ღიას, უნდა ვიყოთ და უნდა შევუნდოთ ერთმანეთს!..

ამას წინათ ბატონი აკაკი განერელია ქარაგმულად მიგვანიშნებდა ერთ, ან განსვენებულ, დიდ მეცნიერზე, ერის საამაყო შვილად მიჩნეულზე, ისეთ საძრახის ამბავს... ისეთ საძრახის ამბავს...

იმ დღეებშივე ერთ ძველ ოჯახში იმასაც შევესწარი, როგორ იგერიებდნენ ამ თავდასხმას სახელმწიფოებრივ მამულიშვილზე მისივე ახლობლებში საიდუმლოდ ნათქვამი სიტყვებით: „იქ“ (ესე იგი ჩეკაში) ნამყოფი ნურავინ დაიტრაბახებს, ვაჟკაცი შევედი და ვაჟკაცი გამოვედიო, ბერმუხაც რომ იყო, ღვლერჭივით მოგგრიხავენო...

არათუ ეყოფ-ბერიას ფრჩხილებდამაძრობელ და ბოთლზე დამსმელ დროს, შედარებით სულ აგერ ახლა, ჩერნენკოვობისას, ორჯერ მოინახულა ერთმა მართლაც ზეციურმა ადამიანმა ერთი ქვემძრომელა ნაჩეკისტარი ავადმყოფი... გაემტყუნება? – მოთვალთვალე და ზედამხედველი იყო მისი! (ახლა, საბედნიეროდ, აღარ არის).

დიახ, ჩვენ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახულ და არგაგონილ ისეთ ამორალურ, თახსირ სახელმწიფოში დავიბადეთ, გავიზარდეთ და ვცხოვრობდით, ბუნებით რა წმინდანადაც უნდა ჩავეფიქრებინეთ ღმერთს, ეს საცხოვრისი პირუტყვეული პირობები, ზოგს დიდად, ზოგს ნაკლებად, უწმინდურობის დაღს მაინც დაგვასვამდა...

როცა სარწმუნოება აღარ არის შენი წინამძღვარი და შენი სულის მამოძრავებელი და იმქვეყნიური სასუფეველის იმედიც გადანრეტილი გაქვს, - ქეთევან წამებულის გზას თუ ვერ აირჩევ, უნდა შეგიწოდონ, რადგან შემდგომობებიც არ დგანან შენზე მაღალ ზნეობრივ ქვაკუთხედზე.

დიახ, უცოდველი ახლანდელ უფროს თაობაში, საშუალო და ამის მომდევნო, უკვე არცთუ ისე ახალგაზრდა თაობაში, თუ იგი მთელი სიცოცხლე ლოკოკინასავით ნიჟარაში არ იყო შეყუყული, ძნელად თუ ვინმე მოინახება, თუმცა ამის საპირისპირო პრეტენზიებს არაერთი უკვე აცხადებს და მომავალში, ცხადია, უფრო მეტიც განაცხადებს...

მე ვიცნობ ერთს, ფრიად განსწავლულს და ახლა მრავალი დიდად პატრიოტული წერილების ავტორს, ზოგჯერ კი საერთო ხასიათის ასეთი პოლიტიკური სტატიების შემოქმედსაც, იფიქრებთ, „პერესტროიკის“ თ ე ო რ ი უ ლ ი წამომწყები ეს არის, და არა ანდრეი სახაროვი, რომლის მრავალწლიანი დევნისას ეს ჩვენი ქართველი ამხანაგი, ასევე მრავალი წლის მანძილზე, ცენტრალური კომიტეტის პირველხარისხოვან, მაგრამ ნომენკლატურის მუშაკთათვის უიადფეს დახურულ სასაბილოში მეფისწულივით იკვებებოდა და ამის საფასურად, შეიძლება უხალისოდ, მაგრამ მაინც ბევრ ისეთ რამ უკეთურს აკეთებდა, რასაც გული არ კარნახობდა, და მაინც აკეთებდა, ახლა კი იგივე გულიდან მომდინარე ბევრ სასიკეთო ეროვნულ საქმეს მართლაც გულით და ხალისით აკეთებს...

...დიახ, ამასაც უნდა შეენდოს ყოველივე წინანდელი პარტიული ნაუკეთურევი, რადგან, თუ მართლაც გვინდა, საოცნებო ეროვნულ სანადელს მივალწიოთ, ყველა ქართველი, ცოდვილების მთელი არმიები და არაცოდვილი ერთეულებიც, უნდა გავერთიანდეთ, შევკავშირდეთ, ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ და არა ერთმანეთს ქვები დავუშინოთ, მით უმეტეს ტყვიები...

მაგრამ ეს – ურთიერთმხარში ამოდგომა და ლიტველებივით 600 კილომეტრის გაყოლებით ერთ მუშტად, ხელიხელგადაჭდობილად ჩამწკრივება – ჩვენთვის იოლი არ იქნება: ბევრს კი გავყვირით „სამშობლო-სამშობლო“, მაგრამ ჩვენი ეროვნული შეგნება – საქმით! – ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა...

ამბობენ, ამჟამად საქართველოში ასზე მეტი პარტიააო, მაშინ როცა – მომყავს შესადაარებლად – ჩვენს პირველ რესპუბლიკაში, თუ არ ვცდები, ათამდე პარტია თუ იქნებოდა (ქართული! იყო, მაგალითად, სომხურიც)...

როგორც ჩანს, დღევანდელ მღელვარე საქართველოში ყველა კუს უნდა, ფეხი გამოყოს, მეც მინდა ერის წინამძღოლობა, ბელადობაო...

...არადა, როგორ გეჭირდება სწორედ ახლა ერთობლიობა, მთლიანობა, თანადგომა, მოკლედ, ახლა ასე მოარულ სიტყვად რომ გადაიქცა – კონსოლიდაცია.

ასე განსაჯეთ, საერთო ენის გამონახვა ჩვენს „მარიონეტულ მთავრობასთანაც“ კი...

ტყუილად ფიქრობს ერის მხსნელის როლის ზოგიერთი მოთამაშე-მოჩქარე, თუ დღესვე კომუნისტი გივი გუმბარიძე შეიცვლება ამ ასი პარტიიდან რომელიმე მისი არაკომუნისტი მეთაურით, ვთქვათ, წინაკაძეთი ანდა ძირტკბილაშვილით, საქართველო უმაღლვე ედემის ბალად გადაიქცევა, მაშინვე დამყარდება შრომა-გარჯის კულტი და მოისპობა საყოველთაო მექრთამეობა და ცხოვრების ყველა სფეროში დასადგურდება ევროპული ყაიდის რკინის ნ ე ბ ა ყ ო ლ ო ბ ი თ ი დისციპლინა და უმათრახოდ მიიღწევა სანიმუშო წესრიგი და აღიკვეთება ამჟამად თითქმის მასობრიობამდე მისული მკვლელობები და ძარცვა-გლეჯა და ყოველდღიური გულშემზარავი ავტოტრაგედიები და კიდევ მრავალი და მრავალი სხვაც, რაც დღეს ასე „ამკობს“ და „ალამაზებს“ ჩვენს ეროვნულ პროფილს...

გივი გუმბარიძე, კომუნისტობის გამო, არ გახლავთ ხელწამოსაკრავი კაცი; მისი გამოსვლები მოსკოვში, სახალხო დეპუტატთა პირველ და მეორე ყრილობაზე, თავისი პატრიოტული მგზნებარებით, აზრობრივი სიღრმით და პოლემიკური სიმძაფრით, და, თუ გნებავთ, ელვარე

რუსულითაც და ორატორული, მომხიბლავი არტისტულობითაც პირადად ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, ერთობ საამაყო იყო და გულის მომფხანავიც...

და იმ დღეებში ვინც ეს ვერ იგრძნო, და ვერ იგრძნო უფრო, ალბათ, სხვადასხვა „ასპარტიული“ მოსაზრებით, დაე, შეენდოთ!

ვიცი, მიწყენენ, მაგრამ... რეალობის გრძნობას მოკლებული ზოგიერთი პარტია ამ ასზე მეტი პარტიიდან, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სახელით, დროდადრო ისეთ სულნასულ მომანტაჟო აქციებს მიმართავს, კაცი ძალაუნებურად იფიქრებ, ასე იმიტომ ხომ არ ჩქარობენ, ჯერ მხოლოდ შეთვალეული, ზემოიმერულად თუ ვიტყვით, კუხე ბალის დაკრეფას, - ვაითუ საქართველოს დამოუკიდებლობას გუმბარიდემ ჩვენზე ადრე მიაღწიოს, თანაც სისხლის დაუღვრელად და შიმშილობის გარეშე, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება ხომ ისევ მას დარჩებაო...

დაე, ვინც უნდა ვიყოთ, ნუ ვიბრძოლებთ გადაღებილი, სიფათშეცვლილი რაიკომის მდივნობისათვის, ვიბრძოლოთ მხოლოდ სანეტარო საქართველოსთვის!

ნუ ვიტყვით, რომ დღეს ნიჭიერი, ბრძენი პოლიტიკოსებით ავსებულია ჩვენი ეროვნული ბელელი... დილეთანტი, არაპროფესიონალი, მეტსაც ვიტყვოდი, ნაცარქექია პოლიტიკოსებით კი...ჰმ... მხოლოდ მათ, და არა ეკონომიკაში ღრმად ჩახედულ ნოდარ ჭითანავას ანდა ვალერიან ადვადეს, შეუძლიათ გული დაიმშვიდონ იმ იმედით, რომ როგორც კი თავს გამოეყოფთ რუსეთის ყულფიდან, მთელი მდიდარი და განათლებული მსოფლიო უმაღვე გვერდით ამოგვიდგება: კანადა, რაკი ლელთ ლუნისას ნატვრა აგიხდათო და რუსეთის იმპერიას თავი დააღწიეთ, ისე როგორც ერთ დროს ჩვენც — დიდი ბრიტანეთისასო, ამის აღსანიშნავად და... ვაი, რომ არ მოგვივდეთო, სიუხვისაგან ისედაც გადასაყრელ პურს თავზე საყრელად მოგვაცურის; ინგლისი ხომ ჩვენთვის, რათა ფინანსურად ამოგვნიოს, დოლარ-სტერლინგების მილიონებსაც არ დაიშურებს, აკი მის პრემიერს, ცისფერთვალეა მარგარეტ ტეტჩერს, თბილისში სტუმრობისას 6 ათას მანეთად ღირებული ქართული კაბა მივართვით; სუხიშვილ-რამიშვილის ცეკვებით არაერთხელ გაოგნებული ამერიკა, მადლობის ნიშნად, ნიაგარის ელექტროენერჯიას მოგვანვდის, რამდენიც გვინდა და რა ხანსაც გვინდა; არგენტინა, რაკი ბუენოს-აირესში ჭეიშვილები ცხოვრობენ, ხორცს არ მოგვაკლებს, ჰოლანდია კი ომის სულ ბოლო დღეებში ტექსელზე ფაშიზმთან შერკინებაში დაღუპულ ქართველთა ხსოვნის პატივსაცემად – რძესა და ყველს; იაპონია, რაკი მისი ახალგაზრდები „მრავალჟამიერს“ „გურჯაანელებზე ნაკლებად როდი მღერიან, „ტოიოტა“ავტომობილებით აგვავსებს, დასავლეთ გერმანია კი, რაკი ვედეკინდი და ლაფონტენი ჩვენი ძველი მეგობრები არიან, არიქა, რუსთავის ღუმელებში ცეცხლი არ განელდესო და ამ ნიადაგზე ას სამოცათასიანი ქალაქი უმუშევარი და, მაშასადამე, მშიერ-მწყურვალი არ დარჩესო, - ნედლეულით მოგვამარაგებს...

...და ყველაფერ ამათ – ნაწილს ბორჯომისა და ხვანჭკარას სანაცვლოდ, ნაწილს კი, ცხადია, უფასოდ, მუქთად, სესხის დაუბრუნებლად, რაკი თქვენ, ქართველები, ძველი და დიდი კულტურის მქონე ხალხი ხართ, “რაც თუნდაც იმითაც დასტურდება, რომ საქართველო „ავტომსხვრპლიანობის მსოფლიო ჩემპიონატში“ მუდამ პირველ ადგილზეა და მის დედაქალაქში ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, მწერალი თუ მკითხველი მანქანებით გიჟურად გადაჭედულ შუა ქუჩებშიც კი, რაღაც ნუთების მოსაგებად და მთელი სიცოცხლის ნასაგებად, ისე გულარხეინად დაბოდიხლობენ და გადადი-გადმოდიან, როგორც კალკუტასა და ბომბეიში წმინდანებად მიჩნეული ძროხები...

კიდევ ერთი: რაკი საზოგადოებრივ ტუალეტებად წოდებული თქვენი ფეხისალაგები მართლაც ფეხისალაგებია და არა ტუალეტებო, საშველად პირველსავე ჩვენს დაძახილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარები უმაღვე შემოვლენ საქართველოში და ოსებს, თათრებს, აფსუებს და მრავალ სხვა შინაურ თუ გარეულ დუშმანს ჭკუაზე მოიყვანენ და დააფიცებენ ქართველების ერთგულებას...

დიას, ბრძენი პოლიტიკოსი თავზე ხელაღებული, დაუფიქრებელი, ჯიქური მოქმედებით როდი ფასდება, ვითარების აწონ-დაწონით, თუ საჭიროება მოითხოვს, ორი ნაბიჯის წინ გადადგმით და ერთით-უკან, გნებავთ, მელიის დიპლომატიითაც...

ეს, ალბათ, პოლიტიკაში სულაც ჩაუხედავი, მაგრამ ბუნებით ჭკვიანი ქართველი გლეხი-„პოლიტიკოსის“ ნათქვამი იქნება, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, მაგრამ... სადაც შეხლა აუცილებელია, იქ კი — შეხლაო...

პოლიტიკოსს დიდი სიფრთხილე და დიდი დაკვირვება მართებს...

აგერ ახლა ტელევიზორში იმ ასი პარტიიდან ერთ-ერთი პარტიის მეთაური ჩვენ, ტელემა-  
ყურებლებს, გამოგვესაუბრა...

მე არც მის გვარს დავასახელებ, არც ასაკს, არც პარტიას, სახელს არ გავუტეხ, თუმცა...  
სახელი რალაც ათიოდე წუთის განმავლობაში თვითონვე გაუტეხა ერთსაც, მეორესაც და მესა-  
მესაც: ჩვენ თვალწინ ორჯერ მაინც, მოქაჩაო, არ ვიტყვი, მონია სიგარეტი... თუნდაც ერთხელ  
მოენია... თუნდაც სულაც არ მოენია და ცეცხლმოუკიდებელი ისე, „ფორმისათვის“ ხელში სჭე-  
როდა...

როგორც გადმომცეს, ბევრ მსმენელ-მაყურებელზე ამ თითქოს უბრალო ამბავმა ფრიად  
უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, ზოგიერთს ასეც კი წამოეძახა: „ამას უნდა გაჰყვეს სა-  
ქართველო?..“

მართლაც, დალოცვილს, ასეთი რა ცეცხლი მოეკიდა, საქეიფო სუფრასთან ხომ არ იჯდა,  
რომ ნიკოტინით დატკობა ათიოდე წუთითაც ვერ გადადო და... ამით თავის პარტიას და დანარ-  
ჩენ 99 პარტიასაც მომავალ არჩევნებში ათიოდე ხმა მაინც დააკარგვინა...

მერედა, განა ცოტაა ათი ხმა? კენჭის ყრისას, როგორც ირკვევა, არცთუ ისე ცოტა ყოფი-  
ლა. აკი ვოცენ იარუხელსკიმ პრეზიდენტის არჩევნებისას პოლონეთში მონინაალმდეგეზე სულ  
რალაც ერთი ხმის უპირატესობით გაიმარჯვა; არც ბორის ელცინმა მიიღო ამაზე ბევრით მეტი  
ხმა, მაგრამ ესეც საკმარისი გამოდგა, რომ იმ დღეს მიხეილ გორბაჩოვს სადილ-ვანხამი ჩამნა-  
რებოდა.

სხვათა შორის, იმ „გაბოლილ“ ეკრანზე რამდენიმე დღით ადრე „ასპარტიელთაგან“, ტელე-  
მაყურებელთა სასიხარულოდ, ერთობ სიმპათიური ახალგაზრდა მანდილოსანი გავიცანით:  
მოკრძალებული თავდაჭერა, ინტელიგენტური სიტყვა-პასუხი, გონიერებაც და ზომიერებაც...

... და მაინც, ასი პარტია და... მაშასადამე, ასი აზრი, მოქმედების ასი გეზი და მიმართულე-  
ბა...

კი, მაგრამ, ეს კიდევ უფრო ხომ არ დაბურღავს დამოუკიდებლობის მაძიებელ, ისეც აბურ-  
ღულ-დაბურღული ძაფის მორგვს?

დათვის სულის ამოხდომას თითქოს კიდევ ბევრი რამ უკლია, მაგრამ ზოგიერთი უკვე ახ-  
ლაც, თუ პირდაპირ არა, ცდილობს, ქარაგმულად მაინც მიგვახვედროს, რომ „ის იყო, რაც იყო“,  
და რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მისი შეძახილით დაიწყო...

მაგრამ არა, ეს ახალი ამბავი არ არის... დღიდან ბოლშევიკ-კაციჭამიების საქართველოში  
შემოჭრისა, ეს ბრძოლა, მეტ-ნაკლებად, არასოდეს შეწყვეტილა...

ამ ბრძოლას შეენირა, ვასახელებ მხოლოდ ერთ-ორს, ვისაც ერთი გაფიქრებით ვიგონებ  
და პირადად ვიცნობდი, ჯერ კიდევ სულ პირტიტველა გივი ქიქოძე 1936 წელს; ამას ლამის შეე-  
ნირა იმ ხანებშივე გიორგი შატბერაშვილი; ამას შეენირა – დახვრიტეს – 17 უნივერსიტეტული  
ახალგაზრდა 1942 წელს... ამისთვის იბრძოდნენ ლევან გოთუა და ჭაბუა ამირეჯიბიც...

ჩვენ ყველაფერში ვჩქარობთ, გარდა მთავარი სასიცოცხლო საქმეებისა... როცა აგერ ახლა  
გაზეთ „ტრუდ-ში“ ამოვიკითხე რედაქციის პასუხი მკითხველის შეკითხვაზე, რომელ საბჭოთა  
რესპუბლიკაში იბადებო ყველაზე მეტი და ყველაზე ნაკლები ბავშვი, იქ საქართველოს „ყველა-  
ზე ნაკლებშიც“ კი მიკუთვნებული აქვს უკანასკნელზე უკანასკნელი ადგილი (თუმცა შობადო-  
ბის აღრიცხვა — სტატისტიკაში, როგორც ვიცით, მეტად აქტიურად „გვეხმარებიან“ ჩვენი  
„ძმები“ - არაქართველები, რუსების გამოკლებით), და ეს ვაჩვენე და თანაც შევევედრე ერთ  
ნაცნობ ახალგაზრდა ქალს, რომელიც ყველა მიტინგის გულმხურვალე მონაწილეა და სამფე-  
როვანი დროშის თავგამოდებული მფრიალებელ-გამკივანიც („გაუმარჯოს თავისუფალ საქარ-  
თველოს!“ დასტურ, თითქოს ცუდი არ იქნებოდა, ამას „მშრომელსაც“ თუ დავამატებდით), მეო-  
რე შვილი მაინც იყოლიე-მეთქი, „დამამშვიდა“, როცა მივიღებთ დამოუკიდებლობას, მაშინ ვი-  
ყოლიებო...

ასე გამოდის, რომ ჩვენ, ქართველებმა, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე არც შვილები  
უნდა ვიყოლიოთ თურმე, არც ქუჩები უნდა დავგავოთ და არც, საერთოდ, თუნდაც ოდნავ ცივი-  
ლიზებული ადამიანების ქცევისათვის დამახასიათებელ წესებს დავემორჩილოთ...

ეს კია, მანამდე – ეს არის, თურმე, მთავარზე მთავარი! – სულთამხუთავი მჩაგვრელების  
ძეგლები ავილოთ, თუნდაც ეს ჩვენი სისხლის დაღვრის ფასადაც დავგიჯდეს!..



თითქოსდა, როცა დამოუკიდებელი გავხდებით, მაშინ, აბა, სადღა გვეცლება ლენინის ძეგლის ასაღებად და მის ადგილზე შოთას მონუმენტის აღსამართავად და ლენინის მოედნის რუსთაველისაზე გადასარქმევად...

ნუ იფიქრებს მკითხველი, მე ამ ძეგლებში გაქვავებული ავკაცების რაიმე პატივისმცემელი გახლდეთ და ამიტომ არ ვჩქარობდე თვალთავან მათ მოშორებას...

მაშინ, როცა ოდნავ გადაკრული, ანტისაბჭოურად მომჩვენებელი სიტყვა და აზრი, სულ მცირეოდენი პოლიტიკური გამბედაობაც კი გააფთრებით იდეენებოდა, ახლა ამ სახის ყოველგვარი გამბედაობა ნ ე ბ ა დ ა რ თ უ ლ ი ა და სწორედ ამის ნაყოფია ეს ასი პარტიაც!!! – როცა სერგო ორჯონიკიძე სულაც არ გამოიყურებოდა, როგორც დღეს, ნაგვემ-ნაცემივით, ვწერდი საქართველოს ისეთ მბრძანებელს, ვისაც უდანაშაულო კაცის დაჭერაც შეეძლო და დიდი დამნაშავის გამოხსნაც: ამა და ამ ეროვნულ საქმეს თუ მიხედავთ-მეთქი.

„...ეს იქნებოდა დიდი, დიდი საშვილიშვილო, უკვდავი საქმე და როცა მომავალი თაობები ძეგლს დაუდგამენ განსაცდელის ჟამს სამშობლოს გადამრჩენელს, ედუარდ შევარდნაძეს, შთამომავალნი მას სათუთი სიყვარულით მოიხსენიებენ და არა ისე, როგორც ახლა – საბურთალოში აღმართულ ერთ მონუმენტს გულგრილად და უსიყვარულოდ რომ ჩაუვლიან ხოლმე...“

ეს ახლა იქნებ გასართობადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ იმ ჭირიანობის ჟამს „შავი წიგნის“ ამ ფათერაკიან სტრიქონებს პოლიტიკაზე ჭიპმოჭრილი პენსიონერები კიროვის ბაღში ჩურჩულით რომ კითხულობდნენ, შიშით და შეიძლება ცოტა ნუხილითაც ამბობდნენ, დაიჭერენ, დაიჭერენ ამ საცოდავსო...

არა, დაჭერით არ დავუჭერივართ, მაგრამ არც თავზე დაუსვამთ ხელი...

ღიახ, დრო იყო ასეთი...

და განა ახლა საქართველოსთვის უკეთესი დრო დადგა?! არასოდეს ქართველი ხალხი თავისივე სამშობლოში ისეთ შავ დღეში არ ყოფილა, როგორც დღეს არის...

და ჩვენ ამ შავი დღიდან ვერც კვარცხლბეკიდან ლენინის ჩამოგდება გამოგვიხსნის არა მარტო ყოფილ თავისუფლების მოედანზე, თუნდაც „მისი სახსენებელი“ ცენტრალური კომიტეტის ვრცელ შემოგარენშიც ამოვნვათ და „ლეჩკომბინატის“ ერთი ხელისდადება ეზოშიც (აქ ბელადის, „ყველაზე უფრო ადამიანური ადამიანის“, ყელტიტველა ბიუსტი ფანერით შენიღბეს; ალბათ ფიქრობენ, რა იცი, ეგებ შემობრუნდეს ამის დროო!)

ჩვენი მხსნელი, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მწირი ერის ტანის აყრაა, მისი აზღვაგებაა, ხშირი ხმარებისგან უკვე „გაცვეთილ“ სიტყვას თუ მივმართავთ, გამრავლებაა, საბჭოთა კავშირში მიმოფანტული 190 ათასი ქართველის სამშობლოში დაბრუნებაა და აქაც, ადგილობრივ, გონივრული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებაა, ო, ოსეთის კი არა, როგორც...მმ...

ამას წინათ ერთმა ჩემმა მეგობარმა დალაქმა, არცთუ „უმაღლესებში“ ნასწავლმა, მაგრამ ბუნებით ბრძენმა, გზადაგზა, როცა „მაკობტავებდა“, ბევრი საგულისხმო აზრი ამოაფრქვია, და მათ შორის ასეთიც: ჭკვიანებად მიჩნეული ბრიყვებით მუდამ იყო საქართველო გამოტენილიო...

ჰოდა, ეჭვი არ არის, ეს სწორედ ის ქართველები იქნებოდნენ, რომლებმაც თავისი ოთობოთო, „ჭკვიანური“ სიბრიყვით შეფერილი წამოძახილებით ერთი ფერეიდნელი ქართველი აიძულეს, ისევ ირანს დაბრუნებულიყო და წინაპრების სამშობლოსთან გამოთხოვების ჟამს სიმწრით ეთქვა: მირჩევნია, იქ გურჯს მეძახდნენ, ვიდრე აქ თათარსო...

ღმერთო, ნუ მიწყენ და... სწორედ ასეთი ჭკვიანები, უფროსი ძიები, ჯერ ხომ არ აქეზებენ და მერე მოწონებით ხომ არ ამხნევენ ახლა ასე გავრცელებულ და ზოგჯერ თითქოს სეირობამდე დაყვანილ მოშიმშილეობას, რომლის მონანილეთა მოთხოვნები ხშირად იმ ჩემი ერთი ნაცნობი, ჭირვეული ყმანვილის ულტიმატუმს წააგავს, მცირე ხელფასით ხელფეხშებორკილ მშობლებს რომ დაემუქრა, მანქანას თუ არ მიყიდით, შიმშილით თავს მოვიკლავო...

ახლა ზოგიერთს უკვირს, რა არის, საზოგადოება მოშიმშილეთა ხვედრით წინანდელივით აღარ ძრწუნდება და მათ მიმართ გულგრილობას იჩენსო...

რას იზამთ, ეს თითქოს ბუნებრივიც უნდა იყოს, აკი... „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად...“

რასაკვირველია, მე ვიცი წონა და ფასი სოხუმის ქართული უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ ფელიქს ტყეპუჩავას შიმშილობისა, მაგრამ ასეთის?! – ვაცხადებთ შიმშილობას, უმაღ-

ლესში უგამოცდოდ თუ არ ჩაგვრიცხავენ... მეტროს მოძრაობას თუ არ შეაჩერებენ... ცისკრის ვარსკვლავს თუ არ მოგვინყვეტენ... თუ ღმერთს ჩვენი თვალით არ დაგვანახებენ...

ბისმარკს უთქვამს: კი, სისულელეც მამაზეციერის ნაბოძებია, მაგრამ იგი ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ.

სხვათა შორის, ყურადსაღები და დამახასიათებელი ისიც გახლავთ, რომ არავინ, არავინ არ აპირებს საპროტესტო შიმშილობას იმ მოტივით... სწავლისათვის თავს სულაც რომ არ ვიტკივებთ და უთენიიდან შუალამემდე ქუჩებში, თუ მანქანით დავქრიალობთ, თუ ფეხით დავყილობთ, ვიდრე ერისათვის სიკეთის მომტან რაიმე სამუშაოს არ მოგვცემთ, არ დაგვასაქმებთ, მანამდე პირში ხემსსაც არ ჩავიდებთო...

სულ აგერ ახლა, სახალხო ფრონტის 3 ივნისის გაზეთ „საქართველოში“ უჩვეულო, პირადად ჩემთვის მართლაც გასაცეცებელი, აქამდე სრულიად უცნობი ორი ისეთი ამბავი ამოვიკითხე, შვიდწლიან ნაპატიმრალ „კონტრრევოლუციონერს“ ქოჩორი რომ მქონოდა, უეჭველად ყალყზე დამიდგებოდა...

ამბავი პირველი:

„1984 წლის ნოემბერში მერაბ კოსტავამ შიმშილობა გამოაცხადა. ეს შიმშილობა წელიწადი და ორი თვე გაგრძელდა (დღეში ერთხელ ძალით კვებადნენ, რომ არ მომკვდარიყო)“.

მერედა, იცით კი, მკითხველო, ეს შიმშილობა მერაბმა სად გამოაცხადა? არა თავისუფლად ყოფნისას მზიან საქართველოში, ნოემბრის გამყინავ ციმბირში, ანგარსკის ბანაკში, სადაც ვინ მოთვლის, რამდენი ასეული ხუნდებგაყრილი იმყოფებოდა...

... და მაინც, გთხოვთ, სულ ორიოდე წამით ყურადღება ერთიორად გაამახვილოთ: აქაც კი, საპყრობილეში, შიმშილობის ამ უ-უგრძეს, წელიწადსა და ორი თვის მანძილზე... „ძალით კვებადნენ, რომ არ მომკვდარიყო“...

აღბათ იცით, სამედიცინო პერსონალისთვის რარიგ რთული და სანვალეებელია ადამიანის ხელოვნური კვება, მით უმეტეს მაშინ, როცა იგი ამას ეწინააღმდეგება და შენ, ექიმი ხარ თუ სანიტარი, იძულებული ხდები, ძალას მიმართო...

ისე კი, თუნდაც სხვათა შორის რომ ვთქვათ, არა მგონია, ციმბირის ბანაკის „დერჟიმორდული“ რუსი უფროსობა, კერძოდ, მერაბ კოსტავას სიცოცხლეს ასე იმიტომ უფროთხილდებოდა, რომ გრძნობდა, ხუთიოდე წლის შემდეგ იგი საქართველოს ეროვნული გმირის კვარცხლბეკზე ავიდოდა...

(აქ, გზად, ერთი გენიოსის ნათქვამს შეგახსენებდით: უბედურია ის ერი, რომელსაც გმირები სჭირდებაო... ესე იგი, უფრო გასაგებად თუ გავხდით ამ თითქოს პარადოქსულ აზრს, რაოდენად დაუძღურებულნი, დაგლახაკავებულნი, დაჩიავებულნი უნდა იყოს ის ხალხი, რომელიც... „გმირებს ეძახის, უყივის ჩემი დაფი და ნალარა...“).

ამ მცირე, მაგრამ დიდად მნიშვნელოვანი ისტორიიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ...

პირველი: ეჭოვ-ბერიას „კაც-ჰკლა“ „გულაგს“ ბოლო სამ ათეულ წელიწადში რამ სიგრძე ნახტომი გაუუკეთებია „არა კაც ჰკლა“ „გულაგამდე“; მეორე: არც ჩვენ უნდა მივიჩნიოთ უმართებულოდ, სიცოცხლეზე მტკიცედ ხელაღებულ მოშიმშილეს, რა აბსურდული და, თუ გნებავთ, რა კეთილი მიზნებიც ამოძრავებდეს, თუკი ხელოვნურად გამოვკვებავთ და თან აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილსაც მოვიშველიებთ, რათა ჩააგონოს, ამ „აქცია-სიკვდილით“ შენ, ბაბუა, საქართველოს გაბედნიერების ნაცვლად, კიდევ უფრო აუბედურებ-თქო...

„მერაბ კოსტავა – შტრიხები პორტრეტისათვის“ დაწერილია ქალბატონ რუსუდან ბერიძის, მერაბ კოსტავას მეუღლის მიერ... მას ჩვენგან, მკითხველებისაგან, ცინცხალი სიმართლისათვის განსაკუთრებული მადლობა ეთქმის. ნურავინ იფიქრებს, იგი თუნდაც ერთი სტრიქონით ქმარს აუგად იხსენიებდეს, არა, მაგრამ არც სხვა ქების ღირს სიმართლეს გვიმალავს, თუმცა საიმისოდ ერთ საქებას სიტყვასაც არ იმეტებს, მაგრამ ჩვენ ხომ თვალში ისე სინათლედაშრეტილები არა ვართ, რაც თეთრია, ის შავად მოგვეჩვენოს...

ღიას!

ამბავი მეორე, პირველზე უფრო გასაკვირველ-გასაცეცებელი (ეს ამონაწერი გრძელი კია, მაგრამ შიგადაშიგ მაინც არ ვამოკლებ იმის შიშით, რომ მომავალში ცილი არ დამწამონ, გადაასხვაფერაო):

„1977 წლის აპრილში ზვიადი და მერაბი დააპატიმრეს. 1978 წლის მაისში სასამართლო ჩატარდა. სასამართლოს შემდეგ, 1978 წლის 24 ივნისს, მე და მერაბმა მეორედ ვიქორწინეთ საქართველოს სუკის შენობაში (ხაზი ჩემია. კ.ბ.). ეს იყო პირველი ქორწინება საქართველოს სუკში. „პატარძალს“ მერაბის დედასთან, ოლიკო დემურიასთან ერთად წამომყვნი ჩემი ბიძაშვილები ავთანდილ და ქეთევან ბერიძეები. შესასვლელში ავთანდილსა და ქეთევანს ჰკითხეს, თქვენ ვინ ბრძანდებითო. ავთანდილმა იხუმრა, ჩვენ ხელის მომკიდები ვართო. ხელს ჩვენ მოვკიდებთ, თქვენ ნუ შენუხდებითო და მარტო მე და ოლიკო გაგვატარეს. ქორწინებას ესწრებოდნენ ზვიადი, მმაჩის ბიუროს თანამშრომელი ქალი, სუკის საგამომძიებლო ნაწილის უფროსი და მისი მოადგილე. მერაბის დედას და მე უფლება მოგვცეს, საჭმელი მიგვეტანა და ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ სუფრა გავშალეთ. მაგიდაზე სურით წყალი იდგა. მერაბმა წყალი დაასხა ჭიქაში, ჭიქა ასწია და სადღეგრძელო თქვა: „ამ შენობაში სულ მალე თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელო დაგველიოს!“ სუკის თანამშრომლები გადაფითრდნენ...“

აი, ვინც ამ ამონაწერის ნაკითხვამ არ გააოცა, არ განაცვიფრა, მეტსაც ვიტყვოდი, ოღონდ ცოტა უხეშად, არ გააშტერა, იგი ასაკით სულ ყმანვილი იქნება, აკი აქ იმ დაწესებულებაზე და იმ ციხე-შენობაზეა ლაპარაკი, მის ირგვლივ მდებარე სამი ქუჩიდან თუნდაც ერთ რომელიმეზე უბრალო გავლაც კი ადამიანში შიშის ზარს იწვევდა, გახედვას კი იქითკენ, აბა, რომელი ჭკუათმყოფელი გაბედავდა...

ახლა კი... ესე იგი, რაღაც ექვსიოდე წლის წინათ... სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი – სუკი, ესე იგი ყოფილი ლენინის ჩეკა, მერე ყოფილი სტალინის გეპუუ, მერე ოგეპუუ, მერე შინსახკომი, მერე ემგებე, კაგებე... ღმერთო ჩემო, ახლა პირდაპირ რიტუალების სასახლეს დამსგავსებია!..

თუმცა არც სულ, არც სულ!.. როგორც ჩანს, მას ცოტათი კიდევ ჩამორჩება, აკი ბიძაშვილები – ხელისმომკიდები თავაზიანად არ შეუშვიათ, „ხელს ჩვენ თვითონ მოვკიდებთ, თქვენ ნუ შენუხდებითო“...

მერედა, განა ეს მცირე პატივია, პატიმრებს დამჭერებმა, და მერე ვინ? – ჩეკისტებმა ხელისმომკიდებობა გააგინონ?!

ქორწინებას ესწრებოდნენ ზვიადი, მმაჩის თანამშრომელი, საგამომძიებლო ნაწილის უფროსი, მისი მოადგილე...

რას იტყვით, ხომ კარგი კამპანიაა და არცთუ ისე პატარა?!

სუფრაც გაუშლიათ, ოღონდ უღვინოდ, და ამან არ უნდა გაგვაკვიროს: ჩეკა აბა რისი ჩეკაა, თუ რაღაც ერთი წლით ადრე ვერ გაიგებდნენ მიხეილ გორბაჩოვის საიდუმლო ჩანაფიქრს ანტიალკოჰოლური კამპანიის მოახლოების თაობაზე...

ვერ დავმაღავ, ამ საზეიმო მხიარული სუფრის ერთი რამ არ მომეწონა... ვიცი, მიცვალებულზე საერთოდ და, მით უმეტეს მიცვლილ ეროვნულ გმირზე, ოდნავ რაღაც კრიტიკულიც არ უნდა წამოგცდეს, მაგრამ რაკი საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე ვართ შემდგარი და ამ გზაზე ფრთხილი, ბრძნული ნაბიჯებით სიარული გვმართებს, რომ მიზანს მივალნიოთ... დაე, მაპატიოს მერაბ კოსტავას ნათელმა ხსოვნამ, მაგრამ სულ პატარა ეშმაკი პოლიტიკოსიც კი არც ღვინით, არც წყლით მასპინძელი ჩეკისტების თანდასწრებით იმ სადღეგრძელოს არ დაღვედა (ამის გაგონებაზე „სუკის თანამშრომლები გადაფითრდნენო...“), თუნდაც იმიტომ, რომ მეორე დღეს მისი ტექსტი „კომუნისტში“ არ გამოქვეყნდებოდა და, მაშასადამე, საბჭოთა ხალხს საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად არ დარაზმავდა...

ასეც არ იყოს, ტუსად კაცს დამტუსალებლებმა ასეთი გაუგონარი პატივი გცეს – გაქორწინეს და მერე სად? – ისეთ სატუსალოში, საიდანაც იყო დრო, ცოცხალი ვერ გამოხვიდოდი, შენ კი თუნდაც ფორმალური მადლობის ნაცვლად...

ცოტა არ იყოს, ეს „ინციდენტი“ როგორღაც ჩამოჰგავს ვიქტორ ასტაფიევის სტუმრობას საქართველოში: ვასვით, ვაჭამეთ, ვამღერ-ვაცეკვეთ, დავასაჩუქრეთ და... გამოთხოვებისას მანც გაგვთათხა...

არ ვიცი, ქალბატონ რუსუდანს ყველაზე მთავარი ამბავი გულმავინყობით გამორჩა თუ განგებ გამოტოვა? თუ განგებ გამოტოვა, ო-ო, მე, რომელსაც ორი-სამი თვე კი არა, - მაშინ რაფავას სულაც არა სტუმართმოყვარე „სანახებში“ 1942 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე გამატარებინეს და იქვე დამატოვებინეს მარჯვენა ყურთასმენა... ახლა კი ამ დაუჯერებელი, უნიკალური ქორწინების, რომლის სიუჟეტზე, სხვათა შორის, ამერიკა-ჰოლივუდი მშვენიერ ფილმს გადა-

იღებდა, ნებადამრთველი, რასაკვირველია, მხოლოდ გენერალ-ლეიტენანტი (თუ გენერალ-პოლკოვნიკი?) ალექსი ინაური იქნებოდა – სუკის მაშინდელი თავმჯდომარე... ამის დავინყება, ვფიქრობ, არ შეიძლება!

არც იმის დავინყება შეიძლება, რომ ალექსი ინაურმა, რაკი იგი დაბადება-ბუნებით „ძერჟინსკი“ არ იყო და ჩეკაშიც შემთხვევით მოხვდა, 1956 წლის 9 მარტის მღელვარე, სისხლიან დღეებში, დროული და სწრაფი მოსაზრებით, ვიდრე მოსკოვიდან საგანგებო კომისია ჩამოვიდოდა, ბევრი ქართველი ახალგაზრდა სასჯელს ააცდინა...

ჰოდა, რაკი გავიგეთ, ამ ბოლო წლებში ინაურის მმართველობისას ჩეკა ლამის „რიტუალური“ სასახლედ“ გადაქცეულა, კაცი როგორღაც დაეჭვდები, რომ კერძოდ, ამ ფანტასტიკურად ჰუმანური ქორწინების „ეპოქაში“ „იქ“ ვილაც-ვილაცებებს თითქოს ვენაში ხუთსანტიმეტრიანი ნემსებით ისეთ პრეპარატებს უშხაპუნებდნენ, რათა გამოეთავყვანებინათ და მერე ამ დროებით გამოეთავყვანებულებს საქვეყნოდ, მომნანიებლურად ელაპარაკათ ის, რაც ჩეკას უნდოდა და არა თვითონ მათ...

წერილის ამ ბოლო მონაკვეთს ბალთან თითქოს არაფერი საერთო არა აქვს, მაგრამ მაინც... უმნიშვარს ნურაფერს დავეხარბებით, მით უმეტეს, როცა ეს ეხება ერის სასიცოცხლო ინტერესებს.

10 ივნისი,  
1990 წელი

P.S. ერთმა ფიზიკურად ახლომხედველმა, მაგრამ გონებრივად შორსმხედველმა ცნობილმა პირმა არ მირჩია ამ წერილის გამოქვეყნება, რუშდის ბედი არ აგცდებათო.

ეს ის ინგლისელი მწერალია, რომელმაც, სარწმუნოებით ისლამის ნაშეიქმა, თავის რომანში მუჰამედის მოძღვრება თითქოს შეურაცხყო, რისთვისაც აიათოლა ჰომეინმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანა...

... და აი, უკვე რა ხანია, ქალბატონ მარგარეტ ტეტჩერის მთავრობა ისეთი თავგამოდებით და ისეთი საკვირველი საიდუმლოებით იცავს და მალავს ამ სალმან რუშდის, რომ მის კვალს შეიძლება ალლაჰიც ვერ აგნებს...

რაკი ჩვენ ინგლისის დემოკრატიამდე და, კერძოდ, პიროვნების ხელშეუხებლობამდე, ჯერ კიდევ შორი მანძილი გვაქვს გასავლელი, არა მგონია, თუ მართლაც რუშდის ხვედრი მელის, ჩვენმა მთავრობამ მფარველობის, თანაც ხანგრძლივი მფარველობის, კალთა გადამაფაროს, თუნდაც იმიტომ, რომ ბატონ შოთა გორგოძეს მილიციელები არათუ ასეთი წვრილმანისთვის, ეთნოკრიზისების ჩასაქრობ-მოსაწესრიგებლადაც არ ჰყოფნის...

ამიტომ, რაკი შესაძლო ქართველი „ანტირუშდისტები“ ალბათ მორწმუნე ქრისტიანები იქნებიან, მე მათი ქრისტიანული მიმტვევებლობისა და შემწყნარებლობის იმედი უფრო მაქვს...

და თუ ეს ჩემი იმედი არ გამართლდა და ამ ქრისტიანებში რატომღაც მაინც ისლამურმა ფანატიზმმა უფრო იმძლავრა, მე ვთხოვდი მათ, განჩინების აღსრულება იმ დღემდე გადაეტანათ, ვიდრე გამოვცემდე „შავი ნიგნის“ მეორე ნაწილს, „ხალხის მტრის“ ჩანაწერებს ნახევარი საუკუნის მანძილზე“, „გრძელზე უგრძესი ესე უსტარი ვიქტორ ასტაფიევს და სხვა ბარათებიც შავ-თეთრი სურათებითურთ“-ის ქართულ თარგმანს...

არ ვიცი, ქალაქის ასეთი მწვავე ნაკლებობისას ყოველივე ამას დრო რამდენი დასჭირდება...

მერე კი დაუნანებლად... გულით ვამბობ, ეს ჩემი თავი ანდა ფორმალ, უნდა არაფორმალ მიქელ-გაბრიელს... ფეშქეშ!

კ.პ.



## გვიშველე, მამაშვალო!..

გაზეთი „კომუნისტი“, №171, 26 ივლისი, 1990 წელი

სვაზილენდი ყველაზე პატარა სახელმწიფოა სამხრეთ აფრიკაში. მის მეფეს, სობხუზ მეორეს, ასი ცოლი ჰყავს და ექვსასი შვილი. მაგრამ ეს ერთი ხელისგულისოდენა ქვეყანა ამით როდია ჩვენთვის საინტერესო, — საკვირველი ის არის, რომ, ჩვენგან განსხვავებით, ამ ჯერ კიდევ თანამედროვე ცივილიზაციის ფეხაუდგმელ ქვეყანაში ავტომანქანები თუმცა ერთობ მომრავლებულია, მაგრამ მათი ტარების, ექსპლოატაციის კულტურა ბევრად მალლა დგას, ვიდრე, როგორც ხშირად გვარწმუნებენ, უძველესი ცივილიზაციის მქონე საქართველოში.

სვაზილენდის გზებზე დიდი ასოებით წარწერილი ტრანსპარანტები მძღოლებს აფრთხილებენ: გახსოვდეთ:

ხუთი წლის მანძილზე ჩვენს გზებზე სამასი სასიკვდილო შემთხვევა მოხდა...

ეს ცოტა დანაკლისად როდი მიაჩნია იმ ხალხსაც კი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს პატრიარქალურ წყობას, რომელმაც არ იცის, რა არის აბორტი, არ იცის, რა არის მკვლელობა, რომელსაც არ უსწრაფავს სიცოცხლეს ლოთობა და ნარკომანია, რომელსაც სწამს საიქიო ცხოვრებისა, და მაინც არ ესწრაფვის მოუსაველეთისაკენ.

სამასი „ავტოსიკვდილი“ საქართველოში ხუთ წელიწადში კი არა... სულ ცოტა, სამი თვის ნორმაა, მაგრამ ამაზე ჩვენი მაგისტრალები დუმან, ვაითუ ეს ამბავი მოზამბიკში ანდა ეთიოპიაში შეიტყონ და მათ თვალში კომუნიზმის მშენებელთ სახელი გაუტყდესო; ჩვენში ხომ არაფერი არ ხდება ადამიანის საზიანოდ, არც ბუნება გვერჩის და არც ბუნების მეფე, კაცად წოდებული!

1979 წელს რკინიგზის ნატანებ-ბათუმის გადასარბენზე უსაზარლესი კატასტროფა მოხდა... იმდენად საზარელი, რომ ზუსტად ვერც კი აღირიცხა, რამდენი მგზავრი ცოცხლად ამოინვა-ამოიბუგა.

ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავენი საქვეყნოდ გაესამართლებინათ და ჩვენ, შეძრწუნებული ხალხი, სასამართლოს ყოველი სხდომის კურსში ვყოფილიყავით, რათა ამით ყველას გაგვეგო და ჭკუა გვესწავლა, რა მოჰყვება რკინიგზაზე მაინც რკინისებური დისციპლინის დარღვევას, მხოლოდ ტელევიზორით, ისე, სასხვათაშორისოდ გვამცნეს განაჩენი — პატიმრობის ამდენი და ამდენი წელი მიესაჯათო...

კი, მაგრამ... ტელევიზორს ერთდროულად მთელი ქვეყანა ხომ არ უყურებს, თანაც მარტო ტელევიზორით გაცნობა რაიმე მნიშვნელოვანისა, ეს თითქმის ყინულზე დანერის ნააგავს...

...თქვე მამაცხონებულებო, პარაგვაიში ავტობუსი გადაბრუნდაო, ორი მოკვდა და სამი დაშავდაო, ამას ჩვენს გაზეთებში დიდი ამბით, სასენსაციოდ თუ ბეჭდავთ...

ჰო, მაგრამ, მამაშვილობას, ეს რა ჩვენი სადარდებელია, პარაგვაიში თუ ურუგვაიში ავტობუსი გადაბრუნდა თუ გადმობრუნდა, მით უმეტეს, რომ ასეთი შემთხვევები იმ ქვეყნებში არცთუ ისე ხშირად ხდება, ჩვენთან კი ამგვარი უბედურებანი, როცა ორი და სამი კაცი კი არა, ხუთი და ათიც იღუპება და მილიციის სწორუპოვარი მაიორი გიული აბულაძე, რომელსაც ეჭვი არ არის, ჩინებულად მოეხსენება, პარაგვაის მალამოთი ჩვენი ჭრილობები არ განიკურნება და არც დაამდება, ორ-სამ თვეში ერთხელ თუ გახსნის წარბს და გვეტყვის: „გინაროდენ“, გუშინ საქართველოს გზებზე და მაგისტრალებზე არავინ დაღუპულაო...

წყალტუბოს საშენ მასალათა საწარმოს

კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუნყება,

რომ გარდაიცვალნენ —

ხუტა გიორგის ძე კვანტალიანი,

თინიკო ხუტას ასული კვანტალიანი,

ანზორ ნოდარის ძე შალამბერიძე,

ნოდარ ანზორის ძე შალამბერიძე,

ნადია შალვას ასული შალამბერიძე.

დაკრძალვა 12.VIII ქუთაისში, ბესიკის 2.

ავტოკატასტროფებში იჟლიტება მამა და შვილი, ცოლი და ქმარი, მთელი ოჯახებიც, მაგრამ სამგლოვიარო განცხადებებში, ერთგვარ ძვირად ღირებულშიც კი (როცა დაწესებულება აცხადებს) გამაფრთხილებელ სიტყვა „ტრაგიკულს“ ვერ ამოიკითხავთ — გარდაიცვალნენო; თითქოსდა, ვთქვათ, ეს სამი ადამიანი სუფრას უსხდა და ტკბილი საუბრისას ჯერ ერთმა ჩაქინ-

დრა თავი და ამოისუნთქა უკანასკნელად, მერე მეორე მოემზადა საამისოდ და... მესამესაც, აბა, სხვა რალა დარჩენოდა, მიჰყვა მათ!

განა არ აჯობებს, ისევ ჩვენი დღეგრძელობისთვის, მოსაჩვენარ, დიდად ცივილიზებული ქვეყნის პრესტიჟს არ გამოვეკიდოთ და მაგალითი აფრიკის იმ „უკულტურო“ სვაზილენდისგან ავიღოთ, რომელიც ყოველი რამდენიმე კილომეტრის შუალედზე აფრთხილებს თავისიანებს, ესა და ეს თავზეხელაღებულით ავტოკატასტროფის მსხვერპლი გახდა და თუ გინდა, სიცოცხლეს არ გამოეთხოვო, შენ მაინც ნუ გაიმეორებ მის სიგლახესო...

მე მგონია, ასეთი შეგონება ჩვენ უფრო გვჭირდება, ჩვენ, რომლებსაც არც ედემ-სასუფეველისა გვწამს რამე და არც ელდორადო-სალხინებლისა...

ამას კი ვწერ, ჩემო მკითხველო, მაგრამ ესეც მკითხეთ, მჯერა კი, რომ ჩვენი გამაფრთხილებელი წარწერები, ეგრეთ წოდებული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა თუ ღონისძიებანი, თუნდაც სიტყვა „ტრაგიკულიც“ მოვიშველიოთ, ესენი გვიხსნიან, ესენი ჩაგვიდებენ ჭკუას იმ უთაურ თავში, რომელი თავითაც ახალ საქართველოში ავტომესაჭეთა, სულ ცოტა, 80 პროცენტით დანავარდობს და ინავარდებს, სანამ კისერს არ მოიტეხს და სხვებსაც არ მოტეხს?!

ბოლო წლების ცხოვრების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს ფუჭი ოცნებაა და ამ ოცნების განუხორციელებლობას კი საკანონმდებლო ორგანოების ღრმა ძილი უწყობს ხელს და, ცხადია, ისინიც, ვისაც ეს ორგანოები ექვემდებარებიან.

ფაქტი უკომენტაროდ: „... როცა ტრამვაი გაჩერებულია და ხალხი ადი-ჩამოდის, მაშინ არავის არ აქვს უფლება, არ დაელოდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაძვრას. მაგრამ ასე როდი მოიქცა სატვირთო ავტომობილის მძღოლი ქიშვარდ მერმანიშვილი, მან თბილისში დილით, ხუთი დეკემბრის ქუჩაზე, სადაც საგზაო ნიშანია - „ფრთხილად – ბავშვები!“ გაჩერებული ტრამვაის ვაგონიდან ხალხის გადმოსვლას არ დაუცადა, სატვირთო ავტომობილის სვლა არც კი შეანელა და ადგილზევე მოკლა ორი მეოთხეკლასელი გოგონა (გაზეთი „კომუნისტი“, 28.11.82).

„შავი წიგნის“ პირველ ნაწილში მთელი გულისმომკვლელი თავი მივუძღვენი ჩვენი პატარა ქვეყნისათვის აურაცხელ ფათერაკთა მომტან ავტომობილიზაციას; იქ ყველაზე მეტად მთვრალ მძღოლებს მივუზღვე საკადრისი, მაგრამ მიაქციეს კი ამას ყურადღება მათ, ვისაც შეეძლოთ, ეს უმტკივნეულესი საკითხი – თავისი სიმწვავეთ თითქმის თანაფარდი აბორტმახერობისა – დროულად, თავისი ქვეყნისა და თავისივე ხალხის სასიკეთოდ მოეგვარებინათ?

ექვნი არ მეპარება, რომ მათ საქართველო და ქართველი ხალხი ჩემზე ნაკლებ არ უყვართ, მაგრამ...

ო, ეს პრესტიჟი და ეს მუნდირი!..

აბა, წამოსცდენოდა ეს მათთან დაახლოებულ რომელიმე ლიტერატურულ ლენერალს, და არა ჩემებრ ჭიალუა ჯარისკაცს... მაგრამ რა ქნას, როგორ მოიქცეს ეს ჯარისკაცი, თუკი ლენერლები დუმან?! მათგან აილოს მაგალითი და არ წარმოთქვას გულდასერილმა, მიიხედ-მოიხედეთ, განა ომისდროინდელ საქართველოში შეგხვედრიათ ამაზე მეტი შავოსანი, რამდენსაც ახლა, 40 წლის შემდეგ, მის არემარეზე ხედავთ?!

(გენერლისა და ჯარისკაცის, ამ ორი დიდად განსხვავებული სამხედრო პირის ხსენებაზე...

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთში დიდად გახმაურდა ერთი რომანი, რომლის ავტორის გვარი ველარ მომიგონებია, სათაური – კი (თარგმნილია რუსულად): „Генералы умирают в постели“.

ძველ საბერძნეთში ერთი პატრიოტი, კოჭლი ახალგაზრდა მთავარსარდალს გამოეცხადა თხოვნით, ბრძოლის ველზე გამიშვითო... უარი უთხრეს, ცალფეხა ხარო... მაშინ ამ ახალგაზრდამ ასე მოუჭრა: მეგონა, ომში ჯარისკაცი საბრძოლველად გჭირდებოდათ და არა იმისათვის, მტრის დანახვისას კუდამოძუებულს მოეკურცხლაო...)

„შავ წიგნში“ უკვე ვწერდი, სხვადასხვა ქვეყანაში დასჯის რა ზომებს მიმართავენ მთვრალი მძღოლების ჭკუაზე მოსაყვანად; იმ „მოდველებულ“ ცნობებს, ახალსაც წავამატებ:

ავსტრალიაში მთვრალი მძღოლი ხანგრძლივი პატიმრობით ისჯება, მათ გვარებს – შესარცხვენად! – პრესაშიც აქვეყნებენ.

(სხვათა შორის, კარგა ხანს ასე იქცეოდა „თბილისიც“, მაგრამ შედეგი – შემარცხვენელი! – არავითარი!)

ახლა ამ გაზეთმა უფრო „მკაცრ“ ზომას მიმართა: გავაკრათ სამარცხვინო ბოძეო და... მთვრალი თუ ლოთი მძღოლების სურათების ბეჭდვას მიჰყო ხელი! თანაც როგორის? უყურებ

მათ და უნებლიეთ ფიქრი გიპყრობს, ეს პორტრეტები ნიჭიერმა ფოტოხელოვანმა სააკოვმა ხომ არ გადაიღო...

ერთი რომელიმე მაინც ჰგავდეს მოხუციგნო დამნაშავეს! წვერგაპარსულები, თმადავარცხნილები, ზოგი ლეონარდო და ვინჩის ჯოკონდას გამქირდავი ღიმილითაც კი შემოგვცქერის...

სწორედ რომ საკვირველია: რამდენი ღირსეული ადამიანი ოცნებობს, გაზეთში თავისი გამოსახულება იხილოს და ეს ოცნება – ისიც ზოგიერთს! – ნეკროლოგში თუ აუხდება, ამათ კი, ლოთ ავტოამნიოკებლებს... „მობრძანდით, ინებეთ, გვიმსახურეთ!..“ ესენიც... „გადამიღეთ, გადამიღეთ, გამიცნოს ხალხმაო...“).

მალაიზიაში მთვრალ მძღოლს, თუ ცოლიანია, ცოლთან ერთად ციხეში სვამენ; ტერიტორიით ჩვენზე სამჯერ მცირე და მოსახლეობის მხრივ თითქმის ჩვენოდენ სალვადორში კი... ულაპარაკოდ სიკვდილს უსჯიან...

დიახ, სიკვდილს...

„ცხადია, მძღოლთა შორის ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეს მეთოდი ყველაზე ეფექტიანია“, – წერს იუმორგარევიტ ფრანგული საინფორმაციო ბიულეტენი, საიდანაც ეს მონაცემები ამოვიღე.

კი, ბატონო, ვიცით-ვიცით. რომ ჩვენ დიდი ჰუმანისტები ვართ (სხვა ქვეყნებში კი სულ... სადისტებია!) და მთვრალ მძღოლს არათუ სიცოცხლე უნდა წაართვა (თუმცა, რამდენი მათგანი ართმევს სხვებს სიცოცხლეს!) და არც ცოლთან ერთად ციხეში უნდა ჩასვა (თუმცა რამდენ ცოლს აცმევენ ისინი შავებს!), მაგრამ ამით მაინც დასაჯე:

სიმთვრალეში მეორედ შემჩნევისას ჩამოართვი სამუდამოდ მართვის უფლება და ჩამოართვი ულაპარაკოდ მანქანაც!

მოდით, მამულიშვილნო, ვიკმაროთ გაუთავებელი თავისქება და ეროვნული ტრაბახი აღმატებით ხარისხში და ერთხელ მაინც ჩავიხედოთ თანამედროვეობის რეალურ, პირუთვნელ სარკეში: ჩვენნაირი ხალხის თავხედ, თავაშვებულ, უტიფარ, წამხდარ, უზნეო მძღოლებს ამ სენისაგან ვერავითარი სხვა წამალი ვერ განკურნავს!..

ათასმანეთიანი ჯარიმაც კი! (ახლა „სასემიჩქო“ ათმანეთიანს ახდევინებენ!).

დასავლეთში, რომლის ყოფით კულტურას დღესდღეობით ჩვენ ახლოსაც ვერ გავეკარებთ, ოდნავ ნასვამ მძღოლსაც სასტიკად სჯიან, ჩვენთან კი რამდენჯერმე ხელჩავლებულ ლოთსაც კი, სულ დიდი, შეიძლება ჩამოართვან ერთი წლით, თუნდაც, ვთქვათ, სამი-ხუთი წლით მართვის უფლება და ესეც ფაქტიურად, ფორმალურად, აკი იგი ამის მერეც უმონმოზოდაც აღმა-დაღმა, ზოგჯერ კვლავ ნაბახუსევი, თავალერილი დააჭენებს თავის „პირის ზიარებას“.

ნორვეგიაში კი ერთხელ მსუბუქად ნალვინევი ტახტის მემკვიდრეც არ დაინდეს და, როგორც გადაკრულს, საპყრობილეში უკრეს თავი, საქართველოში კი... მართალია, უფლისწულები არა გვყავს, მაგრამ ისეთი „წულები“ და „ბატონიშვილები“ კი თავზე საყრელად მოგვეპოვებინ, რომელთა აღვირახსნილობის ასალაგმავად, ისევ და ისევ მათივე სასიცოცხლოდ და, საერთოდ, მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ, წლიდან წლამდე მრისხანე კანონს ველოდებით, მაგრამ მის შემოღებას ამდენი ხანია პირი არ უჩანს (მარტო ერთი რესპუბლიკისათვის სეპარატული კანონის გამოცემის უფლებას მოსკოვი არ მოგვცემსო), და თუ ოდესმე შემოიღეს, იმ დროისათვის, ალბათ, ბევრი ჩვენგანის შესანდობელიც კი, მივიწყების გამო, აღარც შეისმება...

თითქოს არც გაემტყუნებათ, რაკი ჩვენი პრესა იმითაც კია გახარებული, რომ...

„წლეულს რვა თვეში თბილისში მოხდა შარშანდელთან შედარებით ნაკლები – 424 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა 50 და დაშავდა 534 კაცი. ამავე დროის მანძილზე შემთხვევების ადგილიდან გაიქცა და მიიშალა ათობით მძღოლი, რომლის დროს დაიღუპა შვიდი, ხოლო დაშავდა 95 კაცი... საერთოდ კი გამოვლინდა მოძრაობის წესების დარღვევის 195383 შემთხვევა. მათ შორის ავტომანქანას მართავდა 1583 მთვრალი“ (კომუნისტი, 24.10.82).

ეს მხოლოდ რვა თვეში და მხოლოდ შარშანდელთან შედარებით, თანაც მხოლოდ თბილისში.

ახლა ესეც წარმოვიდგინოთ, მთლიანად საქართველოში მთელი წლის მანძილზე რამდენი ავტოსიკვდილი და რამდენი ავტოსგან გახეობრებული უნდა დავითვალოთ და რამდენით მეტი

იქნებოდა ასეთი უბედურებანი შარშან, თუკი ეს წლევანდელი შარშანდელზე თუნდაც ნაკლებია?!

კი, მაგრამ... თუ ასე უმონყალოდ დავიხოცეთ და დავსახიჩრდით, თანაც, უმეტეს შემთხვევაში, სიცოცხლის ჯან-ლონით სავსე ასაკში, თუ ასე უდროოდ ავტომობილის ბორბლებით ჯვარი დაესმება უკვე დამშვენებულ ჩვენს სიცოცხლეს, მაშინ რაღა აზრი აქვს ჩვენს დაბადებას, ჩვენს გაზრდას, ჩვენს სწავლას, ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას?!

ფეიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, იგივე გაზეთი როგორ აჯამებს ამ რვა თვის „უხვ მოსავალს“:

„დიდია მორალური და მატერიალური ზარალი. ათობით ოჯახი დაობლდა და დაქვრივდა, რამდენი ადამიანი სამუდამოდ დახეიბრდა, შრომის უნარი დაკარგა, სახელმწიფომაც დიდი ზარალი განიცადა.“

ხედავთ და გესმით? დიდია თურმე სახელმწიფოს ზარალიც! მერედა, რას ფიქრობს სახელმწიფო, ამ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკა, ამ ზარალზე, რომელსაც ყოველგვარი სხვა ზარალისაგან განსხვავებით, ვერაფრით, აბსოლუტურად ვერაფრით და ვერასოდეს ვერ აინაზღაურებ?!

თუმცა...მმ... ეგებ ტყუილად ვეძლევით პანიკას, ა? აბა ერთი რუსულ გაზეთსაც მოვუსმინოთ:

„შარშან საქართველო ჩვენს ქვეყანაში პირველ ადგილზე გავიდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობის კლების მიხედვით და რესპუბლიკურ სახელმწიფო ავტონისპექციას თავისი არსებობის მანძილზე პირველად მიენიჭა გარდამავალი დროშა“ („მოლოდიოჟ გრუზიი“, 11.9.82).

ამ სიხარულს თავის ინტერვიუში ის დიდი თანამდებობის პირი გვიზიარებს, რომელსაც შეიძლება უკვე ჩააბარეს საქართველოს „გზებზე და გზაჯვარედინებზე“ „დიდრუანი“ მიღწევისათვის ეს დიდი ჯილდო!

რასაკვირველია, აღნიშნული ფაქტის სისწორეში ეჭვს, აბა, როგორ შევიტანთ და ჩვენც, შავებით შემოსილი ათასობით დაობლებულები, დაქვრივებულები, გახეიბრებულებიც... მმ... შევხარით და შევცინცინებთ ამ გარდამავალ წითელ დროშას, ოღონდ... ცოტა თითქოს გვიკვირს კი, თუკი საქართველო გამოვიდა „ამ გზებზე“ პირველ ადგილზე, მაშინ რომელია ადგილი და რა ფერის დროშა მიეკუთვნათ, მაგალითად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, კერძოდ ესტონეთს, სადაც არათუ მძლოლი, ქვეითიც კი, მანქანის ჭაჭანება სულაც რომ არ ჩანდეს, ვიდრე წითელი შუქი არ ჩაქრება და მწვანე არ აინთება, არავინ, არავინ (გარდა სავაჭროდ ჩასული ქართველისა!) ქუჩას არ გადაკვეთს!..

ვინ იცის, ეგებ ეს არის მიზეზი, რომ ამ საამო ცნობის ჩვენებრ ოტროველა წამკითხველს როგორღაც ტვინს უბურღავს ბილნი, ცილისმნამებლური შეკითხვა: ახლა რამდენი დაუფჯდათ და კიდევ რამდენი დაუფჯდებათ ეს დროშა – წითელი! — მომავალ წელსაც რომ შევინარჩუნოთ?!

ერთმა ქონებრივად და მეცნიერულად უცენზო, მაგრამ გონებაგახსნილმა მოხალისე სოციოლოგმა ამას წინათ მკითხა, აი, მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით, სახელმწიფო ბოლოს და ბოლოს, კომუნიზმის დადგომისას ხომ უნდა მოკვდეს-გაუქმდეს; ჰოდა, თუკი ამჟამად, კერძოდ საქართველოში, როცა სახელმწიფო სრულ ძალაშია, და მაინც, ირგვლივ ენით ძნელად ასანერი ამდენი სისაძაგლე სუფევს და ტრიალებს, რაღა იქნება მაშინ, როცა კომუნისტური სახელმწიფო დასჯის ფუნქციებს დაკარგავს, და ჩვენ ყველანი თავის ნება-ქეიფ-ხუმტურზე ვიქნებით მიშვებულნიო...

არ დაგიმაღავთ, ეს კითხვა იმდენად რთულად მომეჩვენა, მოსაუბრეს ვთხოვე, პასუხის მოსაფიქრებლად ერთი წლის ვადა მოეცა, გულში კი ჩავილაპარაკე: ამ ერთ წელიწადში ან შენ გაგიტანს გალემილი ან ცეტი ვინმე რეტიანი, ან მე გამიტანს და მაშინ არც მე დამჭირდება ამაზე პასუხის გაცემა და არც შენ მისი მოსმენა-მეთქი...

კიტა ბუაჩიძე

P.S.: ალბათ იკითხავთ, ამ რვა წელიწადში ჩვენს „გზებზე და გზაჯვარედინებზე“ ნუთუ ოდნავ მაინც არ წაინია ჩვენი ეროვნულ-საზოგადოებრივი შეგნებაო...

არა! უფრო გაუარესდა, კიდევ უფრო გაუარესდა...

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველო იტყობინებოდა:



„განვლილ კვირაში (9-დან და 15 ივლისის ჩათვლით) თბილისში (ეს მარტო თბილისში! კ.ბ.) მოხდა 8 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაიღუპა 2, დასახიჩრდა 14 კაცი. სახელმწიფო ავტონისპექციის მუშაკებმა გამოავლინეს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის 3028 შემთხვევა, ტრანსპორტს მართავდა 25 მთვრალი მძღოლი, 75 — უნომროდ, 110 — ტექნიკური დათვალიერების გარეშე, რეგისტრირებულია 284 ავარიული სიტუაცია, 49 მანქანა აბინძურებდა ჰაერს, ათ-ათი მანეთით დაჯარიმებულია მოძრაობის წესების 2026 დამრღვევი.“

...ეს ვინც გამოავლინეს, და ვინც ასცდა გამოვლინებას? მათი რიცხვი გამოვლინებულთ, ალბათ, სულ ცოტა, სამჯერ მაინც აღემატება...

3 ივლისის გაზეთ „თბილისის“ მხოლოდ ერთი ნომერი სამგლოვიარო განცხადებით ორ-სამსულიან ოჯახის ამონყვეტას გვაუწყებდა...

ჩვენი რესპუბლიკის თავკაცებს ეს რომ თვალში მოხვედროდათ, ვფიქრობ, რა მშვიდობა უნდა ყოფილიყვნენ, როგორც დიდად შემფოთებულნი, იმ დღეს სადილს პირს არ დააკარებდნენ და ამჯობინებდნენ, სასწრაფოდ ეთათბირათ ავტომობილისგან ერის ხსნა-გადარჩენის უმკაცრესი სამართლიანი კანონის შემუშავების გადაუდებლობის თაობაზე...

მით უმეტეს, რომ, მგონი, უკვე დაგვიდგა ის ნანატრი დრო, როცა საამისოდ მოსკოვის თანხმობა - „დალოცვა“ საჭირო აღარ არის...

და თუ, ვინიცობაა, ჩვენი ახალი მამები, უწინდლებივით, არც ახლა მოგვაპყრობენ ყურს... მაშინ შენ მაინც მოგვხედე, მამაუფალო!..

21 ივლისი, 1990 წელი.

კ.ბ.



## საიდუმლო წერილი

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედ. შივარდნაძეს

გაზეთი „კაბადონი-8“, №7, 20 მაისი, 1990 წ.

მინაწერი:

ეს ბარათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომენდატურას ჩაბარდა 1984 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში. გაიგზავნა იგი ხელნაწერის სახით მხოლოდ იმიტომ, რომ მის შინაარსს მემანქანეც კი არ გასცნობოდა და ასევე ეფიქრა ბ-ნ ედ. შივარდნაძესაც: ვინძლო მასში დასმულ ზოგიერთ უბრალო საკითხს მაინც, როგორც თავისივე ინიციატივიდან გამომდინარე, დადებითად გადაწყვეტდა.

სამწუხაროდ, ახლაც არ ვიცი, მიაღწია თუ არა მან ადრესატამდე, ეს კია, ამ ბოლო თითქმის შვიდი წლის მანძილზე საქართველოს „გზებზე და გზაჯვარედინებზე“ მდგომარეობა ოდნავადაც არ შეცვლილა, პირიქით — კიდევ უფრო გაუარესდა...

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ ამას წინათ შეგვატყობინა: „მარტო ერთი კვირის მანძილზე... თბილისში მოხდა 13 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაიღუპა 1, დასახიჩრდა 15 კაცი. სახელმწიფო ავტონისპექციის მუშაკებმა გამოავლინეს საგზაო მოძრაობის წესების 3950 დარღვევა. ტრანსპორტს მთვრალი მართავდა 32 მძღოლი, 85 უნომროდ, 49 — მართვის მონობის, ხოლო 77 — ტექნიკური დათვალიერების გარეშე. 5-დან 10 მანეთამდე დაჯარიმებულია მოძრაობის წესების 2553 დამრღვევი.“

დიახ, ეს მარტო თბილისში, და არა მთლიანად საქართველოში, და ისიც მხოლოდ გამოვლენილი, გამოვლენის მიღმა კი, ვინ იცის, რამდენი დარჩა?!

აგერ ახლა გაზეთ „თბილისში“ ამოვიკითხე, რომ ერთმა ჩვენმა ამერიკელმა სტუმარმა, გამოთქვა რა ალტაცება საქართველოთი და მისი ადამიანებით, წრფელი გულით და თავაზიანი მორიდებით შემოგვბედა: „...მიიღეთ ერთი რჩევა, დაიცავით მოძრაობის წესები: თბილისში მძღოლები იოტისოდენ სიფრთხილესაც კი არ იჩენენ, ჩვენ კი გვინდა ჯანმრთელად იყოთ.“

შორეულ ამერიკელს უნდა, რომ ჩვენ, ქართველები, ჯანმრთელი (ცოცხალი) ვიყოთ, თვითონ ჩვენ კი... ჰმ...

მულო, შენ გეუბნები, რძალო, შენ გაიგონეო - ეს ანდაზა აბა, ვის არ სმენია!

„საიდუმლო წერილი ედ. შევარდნაძისადმი“ უკვე საიდუმლო აღარ არის და იგი ახლა უშუალოდ მიმართულია ბატონ გივი გუმბარიძისადმი.

ავტორი,  
8.05.90წ.

### ბატონო ედუარდ!

ამ თემაზე ბარათის მონერა ბარემ სამჯერ დავაპირე და სამჯერვე გადავიფიქრე.

უფრო იმიტომ, მიიღებთ მას თუ არა, გადმოგცემენ თუ არა, ამის დანამდვილებითი განჭვრეტა მე კი არა, ახლა მითოლოგიური წინასწარმხილველი კასანდრაც რომ მოგვევლინოს, ალბათ, მასაც გაუჭირდება.

პირველად 22 მაისს ვაპირებდი თქვენთვის დროის წართმევას: ამ დღეს, დღის 11 საათზე, ჩემ თვალწინ, ბარნოვის ქუჩაზე, კინოთეატრ „ყაზბეგთან“ მდებარე გზაჯვარედინზე არანაკლებ 120 კილომეტრის გიჟური სიჩქარით მომავალი თეთრი „ვოლგა“, რომელმაც არაფრად ჩააგდო გამაფრთხილებელი ნითელი შუქნიშანი, ისე მძლავრად დაეჯახა მგზავრებიან ტაქსს, რომ ტაქსი ტრიალით იქვე, სასურსათო ჯიხურის გვერდით, სკოლის ეზოში გადაეშვა... რალაც ბედად, იმ მომენტში არც ეზოში იყო ვინმე და არც იმ ადგილას, ტროტუარზე არავინ მიდი-მოდიოდა.

მეორედ...

ხუთ ივნისს, ესეც ჩემ თვალწინ, დღის სამ საათზე, ბარნოვის ქუჩაზე, მრგვალ ბაღთან მდებარე საბავშვო სახლის წინ, ნითელი „ჟიგული“ (ალბათ გახეთქილ-გაღეშილი!) შეასკდა დიდტანიან ეკლის ხეს და... მანქანას ცხვირი მიეჭეჭყა, ხე კი ფესვებამოვარდნილი დაეცა სავალ გზაზე.

თუ დაინტერესდებით, ამის მოწმენი გახლავან გამვლელ ქალთა უნებურ კვილზე სადარბაზოდან გამოცვნილი თქვენი სახლის მცველებიც. რომელთაც, სხვათა შორის, საქართველოსათვის ამ ჩვეულებრივი, ბანალურ-სტანდარტული სურათის დანახვისას სახეზე ღიმილი აუთამაშდათ (თითქოს არც გაემტყუნებათ: ყოველდღიურ ამბებად ქცეული ტრაგედიები ადამიანებში შეძრწუნებას აღარ იწვევენ)...

ერთგვარად ყურადსაღებია ისიც, რომ ის ნაქცეული უეკლებო ეკალი იმ საღამოსვე, როგორც იტყვიან, ოპერატიულად მოაშორეს იქაურობას, იმ დღეებში აღჟირიდან თქვენ დაბრუნებას ელოდებოდნენ და... ხომ შეგეძლოთ, იგი ბინის ან ავტომობილის სარკმლიდან დაგენახათ!

მესამედ...

როცა 18 ივნისს სასტუმრო „უშბასთან“ ახალგაზრდა უცხოელი ტურისტი-ქალი ურზულა კასპარი ნაცრისფერი „ჟიგულით“ გაიტანა ერთმა ნაძირალამ, რომელიც, როგორც თვითონვე დაკითხვისას ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, გულგრილად თქვა, ასი კილომეტრის სიჩქარით (სინამდვილეში, ალბათ, მეტიც) მოაქროლებდა მანქანას თითქმის უკვე მილიონნახევრიან (ჩვენდა სავალალოდ და თავში საცემად!) ქალაქის ქუჩებში...

მეორე დღეს ამ საზარელი ამბით კიდევ უფრო სევდამორეულს და შეშფოთებულს („რავუთხრათ ურზულას მშობლებს, რითი ჩამოვირეცხოთ სირცხვილი?!“) ჩემი სახლის წინ, ბარნოვის ქუჩაზე („ო, ისეც ბარნოვი“, იტყვით ალბათ, - რა გაენყობა, ახალი ნაინფარქტალი ჯერ სხვა ქუჩებში ვერ დავბოდიხლო) შემომხვდა ერთი პატივსაცემი თანამდებობის პირი, თუმცა ძირითადი პროფესიით, წინათ რომ ამბობდნენ, თავისუფალი მხატვარი (მაგრამ პროფესიით არამხატვარი) და, როგორც გაზეთები, რადიო-ტელევიზია, ტრიბუნები გვაუწყებენ ხოლმე, დიდი ერისკაცი, დიდი მამულიშვილი, დიდი საზოგადო მოღვაწე...

— ჩვენც ვიბოცებით და სხვებსაც ვხოცავთ, ბატონო N, - მივმართე მე მას. — ვინ არ იცის, თქვენს სიტყვას გასავალი აქვს... ნუ დაიზარებთ, საგულდაგულოდ ესაუბროთ შევარდნაძეს ამ ჩვენს დიდ ეროვნულ სატკივარზე...

ამ დიდმა თავისკაცმა... ბოდიში, ერისკაცმა, მცირე პაუზის შემდეგ ჯერ როგორღაც ირონიულად შემომხედა, მერე კი მითხრა (რაც მის მოციმციმე თვალებში ამოვიკითხე, ფრჩხილებს შუა ვათავსებ):

— (ერთი შენც მოგცლია!) — დალპა ქვეყანა... (თითქოს შტერი და სულელი არა ხარ, თითქოს სმენა-ყნოსვაც მახვილი გაქვს და... ) ნუთუ სუნი არ გცემთ?

— სუნი მცემდა თუ არ მცემდა, ეს კია, მე ერთმა უმნიშვნელო ქართველმა კაცმა ჯერ კიდევ ამ ხუთი წლის წინათ, ასე თუ ისე, თავი გადავდე და, ჩემი მცირედი გონებრივი შესაძლებლობის ფარგლებში დავწერე ბევრი ჩვენი — ჩვენგანვე მომდინარე! — ეროვნულ ჭირთა ამსახველი „შავი ნიგნი“, რომლის ერთი თავიც ეხება სწორედ საქართველოს „მანქანიზაციას“, „მონღოლებივით რომ გვანადგურებს“ (უფრო მართებულად თუ ვიტყვით, თავისთავად მანქანები კი არა, მათი ტანფეხშემოსილი ველური (შეუმოსავი ბევრად ნაკლებ საშიში იყო!), მართვის საქმეში უფიცი, საქციელით ტუტუცი, ლოთი-შფოთი, გონებაჩლუნგი მესაქენი (ამათ მძლოლი არ ეთქმით!) გვანადგურებენ).

— ჩემი ეს ნაშრომი თავის დროზე თქვენც გამოგიგზავნეთ, გაუფხვანვე აგრეთვე მთავრობის იმდროინდელ თავმჯდომარეს, ან განსვენებულ ზ. პატარიძეს (ვინ იფიქრებდა, თუ ოდესმე ისიც ავტოვარიის მსხვერპლი გახდებოდა), მოგვიანებით კი — მთავრობის ახლანდელ თავმჯდომარეს დ.ქართველიშვილს.

სხვათა შორის, „შავი ნიგნის“ ზემოხსენებული თავი ასე მთავრდება:

„ავტოვარიაში დაღუპული ყოველი მესამე კაცი მთვრალი მძლოლის „წყალობაა!“ მერედა, ერთ მუჭა ხალხს მანქანისაგან ამოწყვეტა გვჭირდება კიდევ?! საამისოდ აბორტი არ გვეყოფა?

ვინ არის პასუხის მომცემი, როდემდე გავუძლებთ ამას?!

მართლაცდა, რა გვეშველება, თუკი დიდი პარტმანდატით შეიარაღებული მფარველი ანგელოზი არ მოგვევლინა!

ნატვრა კი აგვიხდა, ოღონდ...

ჩვენი პატარა ქვეყნის პირდაპირ საუბედუროდ, ამ „ანგელოზმა“, როგორც ათეისტმა, ჩანს, იწყინა და იუკადრისა „ანგელოზობა“, აკი ხუთი გრძელი წელიწადი დასჭირდა, რომ მოგვევლინებოდა...

ეს კი ათასობით სიცოცხლედ დაგვიჯდა ისეც თვითამოწყვეტის გზაზე შემდგარ ერთ მუჭა ხალხს!..

მე დაკვირვებით და გულისყურით გავეცანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახურულ წერილს ავტოვარიების თაობაზე რესპუბლიკის ყველა მცხოვრებისადმი და, ვიმედოვნებ, არ დასჯიან მას, ვინც ის გამაცნო, ჯერჯერობით მაინც, მეც ხომ საქართველოს მცხოვრები ვარ!...

ამ წერილ-ბროშურის წამკითხველს ყდიდანვე აფრთხილებენ: „Подлежит возврату“, თუმცა მისი ტირაჟი პატარა როდია — რვა ათასზე მეტია.

იგი იმდენად საჭირო, ჩასაფიქრებელი, გულისშემძვრელი ნიგნ-წერილია, რომ კაცმა მორწმუნესავით ლოცვანივით უნდა იკითხო, ბევრი მისი სტრიქონი შესასრულებელ მცნებებად გონებაში რომ ჩაიბეჭდოს...

და მაინც, Подлежит возврату.

ალბათ შიშობენ, თუ ხალხში დარიგდა „დაუბრუნებლად“, ვაითუ სადმე, აი თუნდაც სოციალისტურ რესპუბლიკას სახელი გაუტყდეს.

ანდა...

არა, ეს კი მართლაც თავმოსაჭრელი ამბავი იქნება, თანაც არა მარტო აფრიკის მასშტაბით: ეგებ, ხუთივე კონტინენტზე დიდად პოპულარულ გინესის რეკორდების ნიგნში ამოგვაცოფინონ თავი — აკი ტერიტორიის ოდენობისა და მოსახლეობის რაოდენობასთან პროცენტული შეფარდების მხრივ, ავტოვარიების რიცხოვნობით და მათგან გამომწვეული მსხვერპლიანობით „საპატიო“ პირველი ადგილი გვიჭირავს (ჯერ არაოფიციალურად!) მთელ ჩვენს პლანეტაზე!..

ამ ჩვენს „მიღწევას“ საზღვარგარეთ, მართალია, ჯერ კიდევ არ იცნობენ, მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკებში ეს ბევრმა იცის, და არა მხოლოდ სტატისტიკოსებმა!..

დიახაც რომ კატასტროფული, საგანგაშო მდგომარეობაა საქართველოს გზებზე და გზაჯვარედინებზე!

და ეს საგანგაშო მდგომარეობა წლევანდელი ამბავი კი არ არის, როცა... „რა ვუთხრათ ურზულას მშობლებს, რითი ჩამოვირეცხოთ სირცხვილი?“

და არც შარშანდელი!.. ასეთივე მდგომარეობა იყო ხუთი წლის წინათ, ათი წლის წინათაც და თხუთმეტი-ოცი წლის წინათაც, მაგრამ...

რომ არავის ენყინოს, თუმცა მოქილიკენი კი ასახელებენ, მე მაინც არ დავხურდავდები და არ ვიტყვი, მეგრელი იყო, რაჭველი იყო, თუმი, კახელი თუ გურული, კაცი იყო ერთი, სოფლად გზად მიდიოდა და... ცოტა მოშორებით რაღაც ამოხურთული მრგვალი დაინახა. ნეტა ეს რა ვიპოვეო... მიუახლოვდა, დაიხარა, ეჭვი კი აიღო, მაგრამ ვიდრე ხელი არ შეახო და ცხვირთან არ მიიტანა, ვერა და ვერ დარწმუნდა, რომ იგი სხვა არაფერი იყო, თუ არა გამხმარი ფუნა...

ეს შარაზე მიმავალ მიამიტ გლესს კი ეპატიება, მაგრამ ხალხის წინამძღოლთ, სახელმწიფოს მესვეურთ... ჰმ...

არა, დრო არ უნდა იხარჯებოდეს და არც სახსრები იმის გასარკვევ-დასამტკიცებლად, ფუნა რომ ფუნაა... არც მეცნიერული მიდგომაა ამისთვის საჭირო და არც სოციოლოგების დასკვნა-კირკიტი...

ჩემი ღრმა რწმენით, სულაც არ არის აუცილებელი, წინასწარმჭვრეტის რაღაც ზებუნებრივი ძალა გაგაჩნდეს, რომ კაცმა, თუნდაც ჩემისთანა არადოქტორ-სოციოლოგმა, თქვას და არც შეცდეს:

ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული წერილი, საერთოდ, დადებით შედეგს კი გამოიღებს, მაგრამ არცთუ ისეთ მნიშვნელოვანს, როგორსაც თქვენ მოელით.

აი, ამის დამადასტურებელი რამდენიმე ფაქტი:

სწორედ იმ დღეებში, როცა მისი თითქმის საყოველთაო-სახალხო კითხვა-განხილვა მიმდინარეობდა, როცა გვაფრთხილებდნენ პრესაც, რადიოც, ტელევიზიაც... 26 აგვისტოს საგარეჯოს რაიონში მგზავრებიანი ავტობუსი გადაჭარბებული სიჩქარის გამო გადაიჩეხა იორში... მომდევნო დღეს კი ქალაქ ცხაკაიასთან თბილისიდან მომავალი „ჟიგული“, უჭკუო თავზე ხელაღებულობის გამო, სატვირთო მანქანას შეასკდა: დაიღუპა მთელი ოჯახი, მათ შორის 4 წლის ბავშვიც... 29 აგვისტოს ფარულმა პატრულებმა თბილისში და თბილისი-ხაშურის გზაზე, სულ რაღაც რამდენიმე საათის მანძილზე, გამოავლინეს მოძრაობის სამასზე მეტი უხეში ავტოდამრღვევი, რომელთა შორის, „სხვათა შორის“, ურევია – მადლობა ჩვენს ტელევიზიას, რომ ეს საქვეყნოდ გვამცნო! – ისეთი რანგის პასუხისმგებელი მუშაკებიც, ცხადია, კომუნისტები (ესეც ცხადია, მხოლოდ პარტიული მისხედვით!), რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ საგანგაშო მიმართვას, ალბათ, პირველნი გაეცნენ და წინააღმდეგობა შეიძლება საჯაროდ უკითხავდნენ მას თავიანთ თანამშრომელთ-ხელქვეითთ...

ჰოდა, ამის შემდეგ რაღა უნდა მოსთხოვო და რაღას უნდა ელოდე ათასობით ტუტრუცანა, გონებადახშული და სინდის-ნამუსზე ხელაღებული არაკომუნისტებისაგან, ავტომობილების საჭესთან სპირტის ორთქლი რომ ასდით?

და განა „დასპირტული“ კომუნისტები კი ცოტანი უსხედან მანქანის საჭეს?

მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ირწმუნება, ფუჭი შრომაა, უკითხო მგლების ხროვას სახარება!

კიდევ მეტი ფუჭი ოცნებაა, თუ მას კომუნისტებად შენიღბულ მგლებს უკითხავენ!..

აბა, ერთი მიბრძანეთ, განა რაიმე საგრძნობი დადებითი შედეგი გამოიღო მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ვადაჭკორია-ანჩაბადის გამკიცხველ-დამტუქსველმა კომისიამ?!

სახარების (ამ შემთხვევაში ზემდგომი ორგანოების შემადგონებელი მიმართვების) კითხვასთან ერთად, ხომ არ აჯობებდა, ცნობილი რუსული გამოთქმა – Пора и власть употребить – საქმით რომ გეხმარათ?

მე რომ მეკითხებოდეს რამე, არათუ ოდნავ გასაგონი მთელი ხმით შევძახებდი: - Пора! Давно пора!.. (დაგვიანებულიც კი არის!).

და რაც უფრო მკაცრი იქნებოდა ეს „ვლასტი“ (სასჯელი), მით უფრო მეტ შვებას მოუტანდა არა მხოლოდ ქვეყანას და ხალხს, იმ უტიფარ დამთხვეულებსაც, რომლებიც არარად აგდე-

ბენ არა მხოლოდ სხვების სიცოცხლეს, არ უფრთხილდებიან არც თავიანთსას და არც თავიანთი ახლობლებისასაც!..

ამ ორიოდ წლის წინათ ჩვენს რესპუბლიკაში გაამკაცრეს კანონი ვაჭრობის დარგში ჩადენილი დანაშაულისათვის. ამ გამკაცრებული კანონის ერთ-ერთი მუხლი მიახლოებით ასე იკითხებოდა: „სამი წლის ციხე ან ხუთასი მანეთი ჯარიმა“.

კი, ასეთი მკაცრი სასჯელი მართლაც მკაცრ სასჯელად ჩაითვლებოდა ვახტანგ მეექვსე – სჯულმდებლის საქართველოში, როცა უზალთუნიც უფრო ძნელი საშოვნელ-საპოვნელი იყო, ვიდრე ზღვის ფსკერზე მარგალიტი, ჩვენი დროის საქართველოში კი, სადაც ათი ათასები ფულს ათასობით ნიჩბებით ხვეტენ... ჰოდა, ამ გამკაცრებული მართლმსაჯულების ბადეში გაბმული „ვაჭარი“, როგორ ფიქრობთ, ხუთასი მანეთის გადახდას სამი წლით ციხეში ჩაჯდომას ამჯობინებს? რა არის მისთვის ხუთასი მანეთი? თუნდაც ათასი, ათი ათასი, ზოგისთვის კი ასი ათასიც? დილის საუზმეა!...

ამ ანეკდოტურ „გამკაცრებულ კანონს“ იმიტომ შევეხე, რომ...

როგორც ტელევიზიამ უკვე რამდენჯერმე შეგვატყობინა, ახლა ბევრგან მიმდინარეობს ცენტრალური კომიტეტის იმ დახურული წერილის კითხვა-განხილვა. კრებებზე გამოსულები... (არ ვამბობ, ორატორები-მეთქი, ეს დაამცირებდა ლუნაჩარსკის, ჟორესს, ირაკლი (კაკი) ნერეთელს...) დიახ, კრებებზე გამოსულები ერთხმად და ერთსულოვნად მოითხოვენ, რომ ავტოდანაშავეებს ჩამოერთვათ მანქანები და გაიყიდოს ისინი არა კერძო პირებზე, არამედ წარმოება-დანესებულებებზე (მე კი მათ – თქვენი ნებართვით და ლოცვა-კურთხევით- მრავალშვილიან ოჯახებს დაეფრთხილები, უსასყიდლოდ!)

ვის არ მოეხსენება, რომ კრებებზე, როგორც წესი, იმას ლაპარაკობენ, რასაც ავალევენ, რასაც „ზევით“ ფიქრობენ...

ამ შემთხვევაში ეს ფიქრი და ეს დავალება უთუოდ დიდებული რამ არის, ოღონდ... იკმარებს კი იგი თავზე და სინდისზე ხელაღებულ მოადამიანო ორფეხთა მიმართ?

ამ გამოსვლა-მოთხოვნების მიხედვით, თუ გუმანი არ მლაღატობს, რესპუბლიკაში უნდა მზადდებოდეს კანონი ავტომოთარეშეთა, ავტოლოთების, ავტომკვლელების ერთხელ და სამუდამოდ, უვადო დროით ასალაგმავ-ალსაკვეთად...

ვიმეორებ, ეს დიდებული რამ იქნებოდა, ოღონდ ეს ახალი „ავტოკანონი“ ხომ არ იქნება მსგავსი იმ... „სამი წლის ციხე ან ხუთასი მანეთი ჯარიმა?“

აკი ამ კრებებზე გამოსულთ, არც ერთს არ უთქვამს, მანქანასთან ერთად ჩამოერთვას მართვის უფლებაო...

როგორც ჩანს, ასე ფიქრობენ „ზევითაც“, ეს კი სულ ერთიანად გააქარწყლებს გონივრულად წამოწყებულ აქციას...

დიახ, მართვის უფლება უნდა ჩამოერთვათ, მაგრამ არა სამი წლით, და არც ხუთი წლით, - ს ა მ უ დ ა მ ო დ !!!

და თუ ამის მერე კვლავ მიუჯდება საჭეს თვითნებურად, თუნდაც ერთხელ, „სახალისოდ“, „გასასეირნებლად“, პატიმრობა არ უნდა ასცდეს.

გთხოვთ, მერწმუნოთ, ეს მათთვის (და მომავალი, პოტენციური ავტოფრთებისათვისაც) უფრო მძიმე და შ ე მ ა შ ი ნ ე ბ ე ლ ი სასჯელი იქნება, ვიდრე მანქანის კონფისკაცია...

აბა რა არის ბევრ ამათგანისთვის მანქანა? თითქმის ხელთათმანი, რომლის არც ღირებულება აშინებთ და არც მისი ხელახალი შეძენის გზების გაგნება!

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქის, ურზულა კასპარის ავტომკვლელი დარაჯად, დიახ, დარაჯად მუშაობდა ქალაქის ერთ-ერთ დანესებულებაში, მისი მამაც დარაჯი გახლავთ...

ჰოდა, ბატონო ჩემო, საქართველოში თუკი სამოცმანეთიან დარაჯსაც შეუძლია, მანქანა მოიგოროს, მაშინ...

თბილისში (და განა მარტო თბილისში!) კერძო მანქანების 80-90 პროცენტი ნაყიდა ნაქურდალი, ნაძარცვი, ნაქრთამი, ნაარმევი ფულით...

მერედა, როგორ, ასეთი ხალხი ხელმეორედ და, თუ გნებავთ ხელმეათედ მანქანას ვერ შეიძენს?!

ამიტომ, მართვის უფლების ჩამორთმევა – სამუდამოდ, ყოველგვარი შეღავათისა და შებრალების გარეშე – ს ა მ უ დ ა მ ო დ !

სამარცხვინო-საგანგაშო მდგომარეობიდან საგანგებო ზომები თუ გამოგვიყვანენ: ამჟამინდელ საქართველოში ავტოლოთობა (ჯერ ისე ლოთობა რა არის და, ავტოლოთობა?!) მასობრივ ხასიათს ატარებს, და ასეთი სასჯელი სულაც არ უნდა გვეჩვენებოდეს რაღაც დრაკონისებურ ღონისძიებად. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ოდნავ ნასვამობის შემჩნევისასაც კი მართვის უფლების სამუდამო ჩამორთმევა ჩვეულებრივი ამბავია (გიგზავნით „შავი წიგნის“ ამის დამადასტურებელ გვერდებს).

მაგრამ კანონი, კარგი და დროული კანონი, სამართლიანად მკაცრზე უმკაცრესიც კი უბრალო, ფარატინა ქალაქად დარჩება, თუკი მას ასეთივე მკაცრი და სამართლიანი შემსრულებელი არ ეყოლება. უფრო უარესიც: ბევრ კანონალმასრულებელს შეუძლია, ამ მკაცრ და სამართლიან კანონზე უსამართლოდ და უსინდისოდ კიდევ მოითბოს ხელი, ვიდრე მანამდე ითბობდა...

საამისოდ ფაქტები, ვაი რომ, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. სულ აგერ ახლა თანამედროვე ქართული საბჭოთა სამართლის ერთ თითქმის ტიპიურ განჩინებას მეც წამოვკარი ფეხი: საგარეჯოს რაიონში ერთმა სრულწლოვანმა სალახანამ, მთვრალმა, მანქანა გაიტაცა და გატაცების დღესვე კაცი გაიტანა...

ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და ამდენივე წლით ჩამოართვეს მართვის უფლება.

ღიახ!..

აღბათ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ტოლი იურისტი უნდა იყო, რომ ჩასწვდე, ასე რა მოტივებით შეინყალებს ავტოგამტაცებელი და ავტომკვლელები? მარტო მანქანის გატაცებაც კი, თუ არ ვცდები, სასჯელს ხომ რვა წლამდე გულისხმობს?!

ეს სამართალში უკვე მიცემულის სფეროდან, ახლა კი ერთ რთულ გამოცანას შემოგთავაზებთ სამართალში მისაცემი კანდიდატის ცხოვრებიდან: ლაგოდეხის რაიონში მოზრდილი თანამდებობის პირს 13 ათასი მანეთი შეაძლიეს, რომ შემძლეველი ავტონისპექტორად მოენყო...

გამოცანა გვეკითხება: ეს ამხანაგი ამოდენა თანხას იმიტომ ეთხოვებოდა, რომ იურიდიული უფლება ჰქონოდა, კახეთის გზებზე და გზაჯვარედინებზე სანიმუშო წესრიგი დაემყარებინა თუ აღნიშნული თანხა სულ მოკლე ხანში ერთიანად აენაზღაურებინა?..

სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში ერთი ჩემი ახლო მეგობარი, კაი ყმა ორდე დგებუაძე დაატუსაღეს ლაყბობისათვის (ახლანდელი გაგებით – სიმართლის თქმისათვის)...

მეორე დღეს ამ კონტრრევოლუციონერის ოჯახში მიიღბინა, თურმე, საკმაოდ ნიჭიერმა ლიტერატორმა, მაგრამ ბუნებით უკუღმართმა დიდი იაკობის სეხნიამ და პატიმრის გულშემოყრილ მეუღლეს საიდუმლოდ ჩასჩურჩულა თურმე:

— დარდი ნუ გაქვთ, ეხლა ჩეკადან მოვდივარ; მითხრეს, სამი ათასი მანეთი მოგვიტანე და გამოვუშვებთო... ოღონდ იცოდეთ, ქალბატონო პოლია, ამის თაობაზე კიტა ბუაჩიძესთან არამც და არამც სიტყვა არ დაგცდეთ...

ქმრის სასწაულებრივად შესაძლო ასე მალე გამოშვება-დაბრუნებით გახარებულმა ცოლმა მახარობელს დიდი სიხარულით გაატანა, თურმე, ჩეკაში მისატანად სამი ათასი მანეთი (რეფორმამდელი სამი ათასი ანუ ახლანდელი კურსით სამასი მანეთი ცოტათი თუ ჩამოუვარდება ახლანდელ სამ ათასს!)...

წინამდებარე რაღაც ორი აბზაცი ამდენი „თურმეთი“ იმიტომ დავტვირთე, რომ ეს ამბავი „ქალბატონ პოლიას“ ჩემთან მხოლოდ მის შემდეგ დასცდა, როცა ბევრი ლოდინის შემდეგაც მისი ბინის კარი აღარც ქმარმა შემოაღო და აღარც „იაკობ-განმათავისუფლებელმა...“

მე მაშინ ჩემი მეგობრის ცოლი წინა ოთახიდან უკანაში გავიყვანე, რადგან წინაში სტალინის სურათი ეკიდა და ახლახან ციხის შვიდწლიან აკადემიადამთავრებულს და ამით უზომოდ დაბრძენებულს შემეშინდა, ბელადს ჩემი ნათქვამის არაფერი გაეგონა:

— დალოცვილო, ექიმი ქალი ხარ, თითქოს გონებაგახსნილი, გათვითცნობიერებული და... უკვე 30 წელიწადია საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრობ და ნუთუ აქამდე ვერ შეიგნე, ჩეკაშიც რომ ერთამებს ღებულობდნენ, ეს ქვეყანა აქამდე დაქვეულებული იქნებოდა...

ჰოდა, ჩვენც რომ მოგვცა ახლა ისეთი მილიცია და მართლმსაჯულების ისეთი ორგანოები, სადაც ერთამი ვერ შეაღწევდა, ვერ გასჭრიდა, ვერ გაანათებდა...

კმარა! საზღვარი აქვს ოცნებასაც... ამიტომ... თუკი ჩვენი ავტონისპექცია და სასამართლო ნაწილობრივ მაინც გაინმინდება და შეივსება ისეთი კადრებით, რომლებიც დილიდანვე,

ადგომისთანავე, იმის ფიქრს არ მიეცემიან, აბა, დღეს რა საკბილოს ვიშოვიო, მაშინ ჩვენი რესპუბლიკისთვის გარეთ თავის მომჭრელი და შიგნით კი მოსახლეობის ასე უწყალოდ ამომხოცი ავტოავარიების რეკორდული მაჩვენებელი შეიძლება იმდენად დაეცეს, რომ შესაძლებლობა მოგვცეს, თავი კულტურულ ხალხად წარმოვიდგინოთ.

უკვე ამთავითვე ჩანს, რომ ფარულ პატრულებას კარგი შედეგის მოტანა შეუძლია; და თუ ეს პატრულები წარმოდგენილი იქნებიან ნ ა მ დ ვ ი ლ ი კომუნისტებით (შემოგბედავთ და გაგაკვირვებთ: „აქა-იქ“ უპარტიოებშიც მოინახებიან წრფელი, უმნიკვლო, კაცური კაცები!), მაშინ ისინი უნდა აღჭურვოთ იმ უფლებით, რა უფლებითაც მათ შეეძლება, ადგილზევე – აქ ტ ი თ! — ბოროტ ავტოდამნაშავებს ჩამოერთვას მანქანაც და მართვის უფლებაც სამუდამოდ! ავტომკვლელის გასამართლება კი – უმოკლეს ვადაში! – უმაღლესი სასამართლოს კომპეტენციას უნდა შეადგენდეს.

შეიძლება თქვან, ყოველივე ეს კანონის დარღვევა იქნებაო.  
არა!

ყველაფერი ის, რაც მიმართულია ადამიანების სიცოცხლის არაადამიანების, ნაძირალების ხელყოფისაგან, ხალხის მშვიდობიანი არსებობის დასაცავად, არ შეიძლება უმართებულო და უკანონო იყოს (ასეთ არაკაცებს ძველად ხალხი, კანონის დაუკითხავად, თავად ქოლავდა, ახლა თავად ხალხი იქოლება მათ მიერ!).

ომის დროს მოქმედებენ საომარი კანონები!

ჩვენი ახლანდელი საგანგაშო მდგომარეობაც... განსხვავება ამათ შორის მარტო ის არის, რომ ომში ანადგურებენ მტერს და ეწირებიან სამშობლოს, დღევანდელი ჩვენი რეგვენი და შუბლგარეცხილი „მეომრები“ კი ეწირებიან საკუთარ მუცელს და თან ანადგურებენ თავისივე მშობელ ხალხს!...

ასეთ დროს განა შეიძლება სახელმწიფო ბრძენკაცმა იფიქროს – იკირკიმალოს რაღაც დარღვევაზე, თუკი ეს „დარღვევები“ იმ უნუგეშო მდგომარეობიდან გამოგვიყვანენ, რომელიც არაერთი ათეული წელიწადი გრძელდება?!

\*\*\*

... აი, თქვენ, ბატონო ედუარდ, დაამთავრეთ (თუკი, რასაკვირველია, გადმოგცეს და, საერთოდ, კითხულობდით) ჩემი ეს საკმაოდ ვრცელი წერილი.

შესაძლოა, მე ამ ბარათითაც განწყენინეთ, ისე, როგორც ადრინდელი ჩემი ნაწერებითაც, მაგრამ თქვენ, როგორც ერის წინამძღოლმა, მეორე დავით აღმაშენებელმა (ასე გინოდათ მიხაკო ორაგველიძემ სტუდენტთა შეკრებილობაზე; ვფიქრობ, თქვენი თანხმობა რომ არა, ტელეცენზურა მას უეჭველად ამოიღებდა), და როგორც ასეთმა პირადი, წვრილმანი წყენა, საქვეყნო საქმის საზიანოდ, გულთან არ უნდა მიიკაროთ.

მე ამ წერილში ჩემი მხოლოდ „ავტო“-მოსაზრებანი გაგაცანით, რომლებიც ჩემში, სხვათა შორის, არც გუშინ და არც შარშან არ ჩამოყალიბებულან, მაგრამ... გაუწევთ კი თქვენ თუნდაც რომელიმე მათგანს რაიმე ანგარიშს?

ისე კი, სიმართლე მოგახსენოთ, ძალიან მინდა, თუნდაც „შურისძიების“ მიზნით, მაღალმა ღმერთმა დაგსაჯოთ და... თქვენი აზრის მდინარება სულ რაღაც ორიოდე წუთით მაინც შემოაბრუნოს და გაფიქრებინოთ, რომ ეს „არზა“ მოგწერათ არა წვრილფეხა მწერალმა და მსხვილფეხა შოვინისტმა, არამედ დიდმა მწერალმა და დიდმა ინტერნაციონალისტმა (სადავო რომ არ გახდეს, რომელი უფრო დიდია, ვასახელებ ანბანის მიხედვით): აბაშიძე ერთმა, აბაშიძე მეორემ (რომელია მათ შორის პირველი, ამას ოცდამეერთე საუკუნე გაარკვევს!), დუმბაძემ, ნიშნიანიძემ, ფანჯიკიძემ, ჩარკვიანმა და ბევრმა სხვამაც, მაშინ ამ მოსაზრებებს მართლაც მოსაზრებებად მიიჩნევდით და მსჯელობის საგნადაც გახდიდით, ახლა კი... ორჯერ ორი ოთხიაო, მე რომ გითხრათ, შეიძლება არც ამაზე დამეთანხმოთ.

და მაინც, მე გთხოვთ, და ეს მარტო ჩემი კი არა, უთვალავ ქვეითად მოსიარულეთა სათხოვარია:

არა მხოლოდ ფიზიკურად ნუ გაასრესინებთ, ნურც მორალურად დაამცირებინებთ ჩვენს თავს უსულო მანქანებს და მათ უსულგულო პატრონებს! ბოლოს და ბოლოს ჩვენც ხომ საბჭო-

თა ადამიანები ვართ, ჩვენც ხომ გადატრიალებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და არა გადასატრიალებელში!...

ნუ წაართმევენებთ ჩვენთვის განკუთვნილ გზებსა და ბილიკებს - საამაყოდ გამოცხადებულ ჩვენს დედაქალაქში ბევრგან მანქანებს ტროტუარებზე თითქმის ისე დააგელვებენ, როგორადაც შუა ქუჩაში!

(ტროტუარებზე და გაზონებზე ასობით ჩახერგილთ მილიციამ სისტემატურად უნდა ჩამოუაროს და დაუკითხავად ახსნას ნომრები, რომ ამით ცოტათი მაინც დაისაჯონ და განვალდნენ მათი თავგასული მფლობელები).

რესპუბლიკის მთავარი მოედანი მოსიარულე და მოსიერნე ხალხს თავდაპირველად იმიტაც ხიბლავდა, რომ იქ მანქანების მოძრაობა აკრძალული იყო...

ახლა კი მათ ნაკადებს შორის, თანაც ყოველგვარი შუქნიშნის გარეშე, გრძელი ბენვის ხიდი უნდა განვლო, სასტუმრო „ივერიას“ რომ ესტუმრო...

კარგი, ბატონო, ჩვენი საბჭოთა თავი ჯანდაბას, მაგრამ აქ მეტნილად უცხოელები იდებენ ბინას, ზოგი უბრალო ტურისტი, ზოგიც მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი და... ნუ ჩავიგდებთ კვლავ ჩვენს თავს სირცხვილში, მათ კი - საფრთხეში! ევროპაში „სახელის გასათქმელად“ ვიკმართოთ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, ფრანგი ივ ფარჟი და სულ ახალგაზრდა გერმანელი ურზულა კასპარი, სიცოცხლეს რომ შეჰხაროდა!..

რაკი წითელი შუქი ავტომარულის ბევრ მოყვარულს მწვანედ ეჩვენება, დაანესებინეთ თბილისის მეტნილ ქუჩებში ცალმხრივი მოძრაობა (როგორც ეს არის ფალიაშვილის ქუჩაზე), ამით გადასვლა-გადმოსვლისას დიდ შვებას იგრძნობს მოსახლეობა: აღარ მოუხდება მას ცოფიანი ძაღლივით თვალების აქეთ-იქით ცეცება, შორი გზისა და ქალაქის პირობებში 60-70 კილომეტრის სიჩქარით მსვლელობის მოძულე „მემანქანეებს“ კი ეს ცოტათი მაინც დააკარგინებს უსაქმო და უთავბოლო, აღმა-დაღმა თარეშის სურვილს!

მე არ ვამბობ, ცალმხრივი მოძრაობა დანესდეს იქ, სადაც მიწისქვეშა გასასვლელებია და განლაგებულია მრავალი სხვადასხვა სავაჭრო ობიექტი და წარმოება-დანესებულებანი, რომელთაც სახელმწიფო ტრანსპორტი ემსახურება, მაგრამ იქ კი, სადაც... მაგალითად, სამკილომეტრიან ბარნოვის ქუჩაზე ერთი კვლევითი ინსტიტუტია და სულ რაღაც ოთხი მაღაზია (ერთი გასტრონომი, ერთი რძის პროდუქტებისა და ორიც პურის)... სხვათა შორის, ერთ დროს, როცა ამ ქუჩაზე ცხოვრობდნენ გეგეშიძე, ძონენიძე, თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი (ახლა ყოფილი), ცალმხრივი მოძრაობა იყო კიდევ, მერე კი...

არ იფიქროთ, მე საკუთარი მუცლის გვრემა მალაპარაკებდეს, „ჩემი ქუჩის პატრიოტიზმი!..“

არა!

ერთხელ მრგვალ ბალთან, სადაც დღით და ღამით მუდამ პიკის საათია, მანქანების განუწყვეტელი ნაკადია და კაცმა არ უწყის, ჭიანჭველებისა არ იყოს, ვინ რისთვის და სად მიქრის და ვინ რისთვის სად მოქრის... შავებში ჩაცმული პატარა ბავშვიანი, ხნიერი ქალი, ალბათ ბებია, მცხეთის ქუჩიდან ჩამომავალი, გადასასვლელზე დიდი ხნის ჭირვა-თმენის შემდეგ, როგორც იქნა, მარცხენა ნაკადს დაუძვრა და ახლა, როცა გაუთავებელმა მარჯვენა ნაკადიდან ზიგზაგებით მომავალმა მანქანამ ბავშვს ლამის ბორტი გაჰკრა, ორ ცეცხლს შუა მოქცეულმა ქალმა ისე შემზარავად იწივლა, ვიღაც ქრისტიანმა ნაკადი „შეაგუბა“ და... ასე თუ ისე, უკვე სამშვიდობოზე შეშინებული, მოღრიალე ბავშვით გაღწეულმა, ორივე ხელი ზეცას მიაპყრო და სასონარკვეთით წაიკივლა თქვენი სახლის მისამართით:

— ღმერთო, როდისმე მაინც, ცოტა ხნით მაინც ჩვენი უფროსებიც აცხოვრე ისე, როგორადაც ისინი გვაცხოვრებენ ჩვენ!..

უცნაური წყევლაა, რალაცნაირად გათანამედროვეებული!

საბჭოთა ეპოქაში წყევლისა და ხატზე გადაცემის კი აღარავის ეშინია, მაგრამ მაინც...

დაე, ასეთი წყევლა მეტჯერ ნულარ გაგვეგონოს ნურც ამ გზაზე, ნურც სხვა გზაზე, და საერთოდ, ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ნურც ერთ სფეროში!



**პასუხი**  
**„ხასიათნამდარ მკითხველს“, მერაბ კუსრაშვილს**  
**ანუ გლავილი ბებერი ხარისა...**

**„კაბადონი-8“, 13 ოქტომბერი, 1990 წ.**

**ბატონო მერაბ!**

ბარათის მიღება, აბა, რომელ ადამიანს არ ამხიარულებს!

თქვენი ბარათით მეც, რასაკვირველია, დიდად გავიხარე; ჩემი სიხარული შეიძლება იმ ფაქტმაც გააძლიერა, რომ ეს ამბავი 29 სექტემბრის „კაბადონი-8“-ის მეშვეობით მიღეთმა ხალხმაც შეიტყო.

ვერ ვიტყვი, რომ მე, საერთოდ, წერილებს მკითხველებისგან არ ვღებულობდე.

როგორ არა, ვღებულობ, ოღონდ, სამწუხაროდ, არა იმ ოდენობით, ცისფერ-ლაჟვარდოვანი ეკრანიდან, როგორც ჩვეულებრივი ამბავი, თითქოს გაუკვირვებლად და თავმდაბლურად, ვამცნო ზღვა ტელესაზოგადოებას, რომ... ჩემი ახალი წიგნის გამოსვლასთან (ან იუბილესთან) დაკავშირებით სრულიად უცნობებისგანაც კი ათასამდე მოსალოცი წერილი და დეპეშა მივიღეო...

ადრე, ვიდრე ასეთ მართალ გადმოცემებს ჩემი ყური მოისმენდა, ვფიქრობდი, ქართველ მკითხველს, მაგალითად, რუსი მკითხველისგან განსხვავებით, ბევრად არაფრად ეპრიანება-მეთქი, წერილობით შეეხმიანოს ავტორს; ერთიცი იმიტომ, რომ ხელის განძრევა ეზარება, მეორეც, თუ იგი უმაღლესდიპლომიანია, ერიდება და შიშობს მაინც, ვაითუ, ვერც აზრს მოაბას თავი და მართლწერაშიც მეოთხეკლასელივით ჩაიჭრას...

სხვათა შორის, სამიოდე წლის წინათ ერთი ასეთი დეპეშა მეც მივიღე...

და მერე, იცით, ვისგან? სომხეთის, მგონი, მამაკაცებს შორისაც კი პირველი პოეტის, ხალხში სიყვარულით „სომხეთის დედად“ შერქმეული სილვა კაპუტიკიანისაგან:

„С наслаждением читаю Ваше длинное письмо“...

მისი ეს „ნასლაჟდენია“ გამოწვეული იყო ჩემი „გრძელზე გრძელი უსტარით“ ვიქტორ ასტაფიევისადმი...

ო, ეს კი არ ვიცი, ქალბატონი სილვა ქართულში განაფული რომ იყოს, რა სიტყბობას მიაჩნებდა ახლა მას ჩემივე „შავი წიგნი“, რომლის მიმართ თქვენ საქებარ სიტყვებს არ იშურებთ:

„რა მშვენიერი და ყოვლისმომცველი სახელწოდება შეგირჩევიათ...“

შინაარსიც დიდებული და ჭირბოროტით არის სავსე. მე თუ მკითხავთ, ყოველ ქართულ ოჯახს (უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა „ქართველ ოჯახს?“ - კ.ბ.) სამაგიდო წიგნად უნდა ედოს ეს წიგნი...“

ამავე დროს თქვენ საყვედურების კორიანტელსაც აყენებთ გამომცემლობა „განათლების“ მისამართით, მაგრამ გთხოვთ, მერწმუნოთ, თუკი „შავი წიგნი“ გამოცემულია დაბალ პოლიგრაფიულ დონეზე, ეს გამომცემლობის ბრალი არ არის...

ბეჭდვის პროცესს მეც თავზე ვადექი ხოლმე, თანაც ისეთივე გულისფანცქალით, გაფაცინციებული ყურადღებით და პასუხისმგებლობის იმ ჰიპერტროფიული გრძნობით, როგორც, მაგალითად, სტალინის დროს ჯანმრთელობის სამინისტროს მე-4 სამმართველოს მკურნალი – პროფესორი თავს დაადგებოდა დიდ პარტიულ ამხანაგს – უიმედო ავადმყოფს, რომელიც თუ გარდაიცვლებოდა, იცოდა, ეს მას განზრახ მკვლელობაში ჩაეთვლებოდა...

...მერედა, რა გამოვიდა აქედან, ესე იგი ჩემი გულმოდგინე წამლობიდან? მხოლოდ ის ნუნი, რამაც თქვენ, როგორც ინერებით, ხასიათი წაგიხდინათ და აღგაშფოთათ; ეს კი წყალობაა არა ახლახან ამერიკიდან ჩამოტანილი გონიერი მანქანებისა, არამედ ამ მანქანების მომსახურე პერსონალის დაბალი პროფესიული ოსტატობისა...

(კიდევ კარგი, თუ ცისქვეშ, თუ გაჩახჩახებულ ჭაღებქვეშ გამართულ მიტინგებზე იმპერი-ალიზმის მოძულე ორატორები დაბეჯითებით გვამშვიდებენ ხოლმე, გვაიმედებენ, გვარწმუნებენ, როგორც კი მოვიპოვებთ დამოუკიდებლობას, საქართველო ბრინჯაოს ხანიდან მუყაითობა-გარჯილობისა და მკურნალობის რომელიც გენბავთ სფეროში ერთბაშად ისკუპებს, თურმე, კომპიუტერების ეპოქაში, ახლა კი თუ ყველაფერში გვაკლია საჭირო ოსტატობა და საქმის სიყვარული. არც გაგემტყუნებათო, აკი ჩვენ ხომ იმპერიის მიერ ერთ გუდურად შეკრული, ხელფეხშებორკილი მონები ვართ და... რა იქნება, აბა!...).

თქვენ, ბატონო მერაბ, გულისწყრომას ვერ ფარავთ, სამართლიანადაც! რომ „შავი წიგნი“ შავ ბაზარზე „შავ ფასად“ შეიძინეთ, გაოთხმაგებულნი თანხა გაიღეთ.

თუ ეს ოდნავ მაინც დაგამშვიდებთ და თქვენს წახდენილ ხასიათს ცოტათი მაინც გამოაკეთებს, მოგილოცავთ, იაფად დაუთმიათ...

აი, მაგალითად, ერთი ჩემი სხვა მკითხველი მატყობინებს, ჩვენთან, გალში, „შავ წიგნს“ ყოვლად ურცხვად და დაუფარავად 15 მანეთად ყიდიანო... წერილის მიხედვით თუ დავასკვნით, ეს მართლაც ნამდვილი მამულიშვილი სასომიხდელია:

„როგორ გადავგვარდით, როგორ გავიხრწნით ქართველები... განა შეიძლება ასეთი საერო წიგნი, საერთოდ, ზედმეტ ფასში იყიდებოდეს? ეს ხომ „სექს-ჰოროსკოპი“, სექსუალური ურთიერთობის გზამკვლევი არ არის?“

დიახაც რომ, არ არის, არ არის, მაგრამ ამ ცოდვასაც გამომცემლობას ნუ ავკიდებთ: წიგნის სტამბიდან გამოსვლის შემდეგ მისი ბატონ-პატრონი, მისი გამყიდველ-გამსალბელი „საქწიგნია“...

ამ წიგნის სასპეკულაციოდ გადაქცევის წინააღმდეგ პირველმა, „დიდების“ წინაშე, მე შემოვკარი პანიკის ზარი, მაგრამ მოინახა კი „რაიმე გამოსავალი“?

ამასაც გაცნობებთ, რომ ხელნაწერის ასაწყობად გაგზავნისთანავე სულ იმის ზრუნვა-ფუსფუსში ვიყავი, რომ წიგნისათვის ფასი რაც შეიძლება მცირეოდენი დაედოთ, რათა იგი ხელმისაწვდომი ყოფილიყო, ასე ვთქვათ, საწყალი ხალხისათვის, აკი მეტ შვილს სწორედ საწყალი ხალხი უფრო აჩენს, ვიდრე ის ყოველმხრივ გალაღებული ოჯახები, რომლებსაც მაინცდამაინც დიდად არაფრად უღირთ, მაგალითად, „ბიბლიაში“ შავ ბაზარზე ორასი მანეთიც გადაიხადონ (და მერე არც ჩაიხედონ მასში - ეს უკვე „სხვათა შორის!“)...

თქვენს რისხვას საზღვარი თითქოს არც უჩანს, როცა...

„ვის, ვის და ბატონ კიტა ბუაჩიძის „შავ წიგნს“, ერის ტკივილით და ჩვენი უკუღმართი ცხოვრების პრობლემებით დატვირთულ წიგნს, არ ეკადრება, რეკლამა გაუწიოს ვ.ი.ლენინის სახელობის საბჭოთა საბავშვო ფონდს, რომელსაც თურმე საქართველოს განყოფილებაც ექვემდებარება...“

მე არ ვიცი, ბატონო მერაბ, რა ხნისა ბრძანდებით თქვენ. თუ სამჯერ ჩემზე ახალგაზრდა ხართ, მაშინ ბაბუაშვილურად მოგმართავდით, მერაბიკო-გენაცვალე, მე ის კაცი არ გახლავართ, ვისმე, საერთოდ, რეკლამა გაუწიოს, მით უმეტეს, დაუმსახურებელი რეკლამა, თანაც ისეთი წიგნით, რომელსაც მან დაუღებინებელი სიცოცხლის არაერთი წელიწადი შეაღია...

წიგნის ბოლო გვერდის დანართი – ტექსტი „ძვირფასო მეგობრებო!“ არათუ მე არ შემიდგენია, - გამოგიტყდებით ჩემთვის ამ სამარცხვინო ამბავში, - უკვე დაბეჭდილისთვისაც ყურადღება არ მიმიქცევია; რაკი წიგნი შეფასდა მანეთად და ორ აბაზად, მაშინ, როცა კილოგრამი კიტრიც კი ორი მანეთი ღირს, სიხარულით ცას ვენიე და...

ლენინიო... კი, ბატონო, თქვენს გამაფრთხილებელ შეძახილზე ხელებს „რუკი ვერხს ვუშვრები“ და გეთანხმებით, არ ყოფილა თურმე კაი კაცი ლენინი, შავი კაცი ყოფილა თურმე ის დალ... (მომიტყვევთ, ლამის „დალოცვილი“ ნამომცდა), „მარა“, როცა „შავმა წიგნმა“ ათწლიანი დევნა-პატიმრობა რის ვაი-ვაგლახით და ვაი-ვიშით მოათავა, ჩვენი ამჟამად უკვე ყოფილი ამხანაგი ლენინი ჯერ ისევ კაი კაცად გვეთვლებოდა და მისი „ფართრეთი“ კიდევ ხატად გვეკიდა. ახლა იგი გორბაჩოვმაც კი სახალხო დეპუტატთა ყრილობათა დარბაზშიც სახელმწიფო გერბით შეცვალა, ელცინმა კი თავის რუსეთის საუფლოში – გაშლილი დროშით, მართალია, ჯერ ისევ ერთფეროვანი წითელით, ო, ვიდრე ალექსანდრე ნეველი კრემლში არ შემობრძანებულა და არც დროშა შეკერილა სამფეროვანი – თეთრ-წითელ-ლურჯი ქსოვილისაგან.

დრო ახლა ჩვენში იაპონური მატარებლის ტოკიო-ოსაკას სისწრაფით მიქრის და გზისპირის პანორამებიც წამდაუნუმ იცვლება: სულ რაღაც სამიოდე თვის წინათაც ლენინის სახელობა, მოედანი იქნებოდა იგი, სტადიონი, საროსკიპო თუ საბავშვო ფონდი, ჩვენს ყურთასმენას სულაც არ ჭრიდა, დღეს კი...

ისე, კაცმა რომ თქვას, თუკი „ობოლთა, მშობლიურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა, პატარა ინვალიდთა“ ფონდისათვის გავიღებთ ჩვენს წვლილს, ამ ფონდს, ჩემი მორიდებული აზრით, გინდ ლენინის სახელობა ერქვას და გინდა იგნატი ლოიოლასი, ოლონდაც კი ეს ჩვენი ქართული წვლილი მარტო ქარ თველ ოზლებს მოხმარდეს!..

... ასე რომ, მერაბ ბატონო, მოდით, ვიყოთ ვაჟკაცები თუ არა, ვაჟკაცუნები მაინც და ახლა უკვე სახელ და თავგატეხილ ილიჩს ნუ მივაჭყლებთ საწყალ ხუტა ბერულავას, ჯერ კიდევ ლენინის სახელობის ფონდის საქართველოს განყოფილების როგორც მეთაურს და როგორც პოეტსაც...

დიახ, საწყალს-მეთქი, როგორც პოეტსაც... აკი ჩვენგან, საერთოდ, „რუსულ ბარაბანსაც“ არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც ხვდება მას „რუსული გულისთვის...“

თქვენც კი, მერაბიკო, წამხედურობის მძრახველმაც და, თუ ინტუიცია არ მლალატობს, მწერალთა სამზარეულოსგან შორს მდგომმაც, არ დაინდეთ იგი და ერთი იდეური ჭიტლაყი ახლა თქვენც მიარტყით.

კი, მაგრამ.. თქვე ზოგო მამაცხონებულეზო და ზოგოც მამადიდხანსმაცოცხლებლეზო, ამ გამმაგებული მოწოდების - „კართაგენი უნდა დაინგრეს!“ - მსგავსად, ჩვენი გაუთავებელი ზმუილ-გნიასით წლებისგან ეს უკვე მოტეხილი კაცი მაინცდამაინც ფიზიკურად უნდა ვიმსხვერპლოთ და მერე ჩავაგოთ სამსალაში ამოვლებული ავტოკალმები ქარქაშებში, რაკი კართაგენი უკვე დაიქცა?!

იმსახურებს კი იგი ამდენ ნიოკობას? როგორ? „რუსული გულის“ სათაურით არა, მაგრამ სულით-ხორციით ამის მსგავს კონიუნქტურულ თხზულებათ სხვები ცოტას წერდნენ?! ამ „სხვებს“ შეიძლება უფრო შემგუებელი, იოლად ასატანი ხასიათი აქვთ და ამიტომაც ახლა მათ არ იმეტებენ, ხუტა ბერულავას კი...

ო-ო, მძიმე ხასიათი დიდი სასჯელია არა მარტო მისთვის, ვინც ბუნებამ ასე დასაჯა, მის ირგვლივ მყოფთათვისაც; მენდელევი, ეს დიდზე დიდი მეცნიერი, სწორედ და მხოლოდ მისი მძიმე ხასიათის გამო არ აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში მასთან შედარებით სულ „პატატრუანმა“ მეცნიერებმა...

თქვენ მთხოვთ, ბატონო მერაბ, და საკმაოდ კატეგორიულადაც, რომ...

„როგორც წიგნის ავტორმა და ამ ფონდის ქველმოქმედმა...“

ო, მერაბიკო, ისევ გენაცვალე, ჩემი მისამართი შეიძლება ზუსტად ვერ ჩაინერეთ, ა? მე, აბა, ლენინის სახელობის ფონდის სადაური და რომელი ქველმოქმედი ვარ?!

მაგრამ რაკი ასეთი პატივი მაინც დამდეთ და, საერთოდ, ქველმოქმედად შემიცანით, რომლის საქვეყნო-სარეკლამო გამჟღავნებას, რამდენადაც საამისოდ ხელი და ენა მიმიწვდებოდა, ყოველთვის ვებრძოდი, მოგახსენებთ: მე, ასე ვთქვათ, კერძო, ინდივიდუალური ქველმოქმედი ვარ ათზე მეტი წლით ადრეც კი იმ დროიდან, ვიდრე საქართველოში, საერთოდ, ფონდობია დაინყებოდა, როცა მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთი, სამხედრო ფონდი არსებობდა - თავდაცვისა (თუ... თავდასხმისა?), როცა თვითონ ეს სიტყვა - ქველმოქმედება - არც იხმარებოდა და ქმნაც სიკეთისა საძრახისად და სიჩერჩეტედ ითვლებოდა...

დიახ, რომ იცოდეთ, არათუ ლენინის ფონდთან, ჩვენს დემოგრაფიულ ფონდთანაც კი არავითარი ურთიერთობა არა მაქვს, კვლავინდებურად დამოუკიდებლად, ყოველნაირი შუამავლობის გარეშე „ვექველმოქმედებ“...

შემდეგ... თქვენ მავალდებულეზო, რომ მოვითხოვო...

ვ.ი. ლენინის სახელობის საბჭოთა საბავშვო ფონდისგან საქართველოს საბავშვო ფონდის გამოყოფა და დამოუკიდებლობა.“

მე...

ჰმ, მე... მოვითხოვო... გამოყოფა და დამოუკიდებლობა...

ო-ო, მერაბიკო, მერაბიკო, ფრანგები ამბობენ, ულამაზესი ქალიც ვერ მოგცემს იმაზე მეტს, ვიდრე მას აქვსო.

თქვენც ჩემგან ისეთ რამეს მოითხოვთ, ისეთ რამეს მოითხოვთ... გენაცვალე, მე, აბა, ვისი ტიკი-ტომარა ვარ, რაიმე, თუნდაც ერთობ გონივრულიც, მოვითხოვო და ანგარიში გამინიონ... არა, შეცდომით საზოგადო მოღვაწედ ხომ არ მიგაჩნევიან?! მიკვირს, საიდან გედიდებით ასე თვალში! საზოგადო მოღვაწე, უნინარეს ყოვლისა, საზოგადოებაში აღმა-დაღმა უნდა ტრიალებდეს... ჰოდა, გინახივართ კი ოდესმე რომელიმე, ან მონარდეთა, ან მონადირეთა, ან მწერალთა, საზოგადოებაში აღმა მოტრიალე, ანდა წაღმა მობუქნავე?

ნურც ამას იტყვი, რომ სახით მიცნობთ... თქვენ კი არა... ერთ დროს, როცა მწერალთა კავშირში დიდგორისებური, თითქმის ხელჩართული ბრძოლა ატყდა მდივნობისათვის, მაშინ რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ვასილ მუჟანაძემ ჯანყის ჯერ დასაშოშმინებლად, მერე კი მისი სრული ლოკალიზებისათვის ჩინებული ტაქტიკური ხერხი იხმარა: 3-4 რეალური პრეტენდენტი პირის ნაცვლად მდივნების მთელი დივიზიონი აარჩევინა, უფრო სწორად, დაანიშნინა: 12 კაცი!

ეს, დღეს უკვე შორეული ამბავი იმიტომ მოვიგონე, რომ არსებითი გადმომეცა: იმ 12 მდივანბეგიდან სახით (შეიძლება გვართაც) მხოლოდ ორი მიცნობდა...

თქვენ კი ეჭვიც არ შეგაქვთ... საზოგადო მოღვაწეო...

ა, ბატონო, ამასთან შედარებით ბევრად უფრო ახალი „ისტორიაც“: ან განსვენებული ამირან აბშილავა, რომელსაც ხშირად ვეპაექრებოდი და ჩემი თავი მასზე უფრო ბრძენი მეგონა, სინამდვილეში კი ის აღმოჩნდა ბრძენზე ბრძენი შორსმჭვრეტელი, აკი, ჯერ კიდევ მიხეილ გორბაჩოვის გაიმპერატორებამდე მიმტკიცებდა, საბჭოთა ქვეყანა იქცევაო, მე კი არ ვეთანხმებოდი, სტალინის მიერ სპეციალური რეცეპტით შემზადებული, ოინბაზური რკინაბეტონით კედლება-მოყვანილ ქვეყანას ვინ ეშმაკი უქნავს ძვრას-მეთქი.. აკი უქნეს!

ჰოდა, ასეთი, ჩემზე უფრო გონებაგამჭრიახი ამირანი დიდი თავყვანისმცემელი გახლდათ მუხრან მაჭავარიანისა და მურმან ლებანიძის პოეტური ტალანტისა, მე კი უფრო შოთა ნიშნიანიძისკენ ვიხრებოდი, რომელსაც პირადად არ ვიცნობდი და არც ამჟამად ვიცნობ...

...ერთ მზიან დღეს სიცილით შეფერილი ნიშნის მოგებით („ესეც შენ!..“) მიაბობს ამირანი: გუშინ უნივერსიტეტთან შოთა ნიშნიანიძე შემომხვდა და როცა ვუთხარი, შენი ლექსების მაქება-რია-მეთქი კიტა ბუაჩიძე, ვინ არის კიტა ბუაჩიძეო...

მე არც ახლა მგონია, დიდი შოთას თანამოსახელე იმ გაგებით იტყოდა ამას, რომ... ვინ ჩემი ფეხებია ეს კიტა ბუაჩიძე, რომ მისი ქება რამეში ჩავაგდოო - უფრო, ალბათ, ვინ არის, რა კაცი-აო...

ესეც არის, სწორედ იმ დღეებში ჩემი „ავი ძალი“ უნივერსიტეტის მოპირისპირე მხარეს, მარჯანიშვილის თეატრში ისე „გლეჯაზე ყეფდა“, ეს თითქოს „ქე“ უნდა გაეგონა იმ დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, პოეტ შოთა ნიშნიანიძეს, თუმცა... არც ეს გაემტყუნება მაინცდამაინც: რა ექნა, ამ მწყემსმთავარს ხუთასი ცხვარი... ბოდიში, ხუთასი მწერალი ებარა და რა გასაკვირია, თუკი მათგან მხოლოდ ვერძებს, ყოჩებს... კვლავ ბოდიში, ბოდიში!.. ნამდვილ მწერლებს მწყემსავდა და აგრეთვე იმათაც, ვინც დღენიადაგ თვალში უვარდებოდა როგორც საჭირო და კარგი თანამდებობის უსტაბაშს და არა როგორც კარგ პოეტს, რომელიც მე, სხვათა შორის, როგორც პოეტი, არც იმ, ამირანის გამახარებელი და ჩემთვის „დამამწუხრებელი“ დღიდან ჩამომიფასებია, როცა... ვისი ტიკი-ტომარააო“...

ჰოდა, ახლა ამ ამბავმა ხომ მაინც დაგარწმუნათ, მერაბ ჩემო, რა სიდიდის საზოგადო მოღვაწეც მე ვყოფილვარ, თქვენ კი... მოითხოვეთ... (ლამის) უბრძანეთო... თქვენ, რომელიც მე... არა, სახით, ალბათ, უკვე მიცნობთ, ოღონდ ნახევარი სახით: რა დღესაც „კაბადონში“ თქვენი „შავი ფიქრები“ დაიბეჭდა, სწორედ იმ დღეს განახლებულ, ადრინდელივით არა ერთი კაცის ორგანო „სამშობლოში“.

დიახ, „სამშობლოში“, ჩემდა საკვირველად, ჩემი ისეთი სურათი ვიხილე, რომლის პოზის მსგავსი არასოდეს არ გადამიღია... მხოლოდ მაშინ მომაგონდა, ორი თუ სამი თვის წინათ რედაქციიდან ტელეფონით მაცნობეს, თქვენზე წერილის დაბეჭდვას ვაპირებთ და სურათი გვაახლეთო... ამაზე მე ვუპასუხე, რაკი პრესის თავისუფლებას მოვესწარი, წერილს ჩემს პერსონაზე, სალანძღავი იქნება იგი თუ საქებარი, გნებავთ, დაბეჭდავთ, გნებავთ, არ დაბეჭდავთ, სურათის მოცემა-არმოცემა კი ეს უკვე ჩემი საქმეა და ვერ მოგართმევთ: გაზეთში „ჩაკარტიკების“ წინააღმდეგი ვარ საერთოდ, ამას, ასე მგონია, თვითრეკლამის სუნი ასდის-მეთქი...

ჰოდა, მეტჯერ აღარც „შევუნუხებივართ“ და... ეს სურათი, როგორც ჩანს, ქუჩაში, შორიდან გადამიღეს (ახლა სპეციალური აპარატით თითქოს ახლო მანძილიდან ჭაბუკ ლომებსაც კი უღებენ და... ჩემისთანა ბებერი „ლომის“ გადაღება რა გაუჭირდებოდათ!), თორემ მე, ვიცი რა ჩემი „რომაული“ ცხვირის ამბავი, პ რ ო ფ ი ლ შ ი , პროფილში „სიფათი“ ფოტოგრაფისტვის ახალგაზრდობაშიც არასოდეს მიმიშვერია.

თქვენ, ბატონო მერაბ, ჩემგან თითქმის ულტიმატუმით ამასაც კი მოითხოვთ:

„მკითხველებს თქვენ თვითონ გვაცნობეთ, ამ წიგნში აღებული თანხიდან ვინ რამდენი გაინანია და ქართველ ბავშვებს მოსახმარებლად რა მოგება დარჩა...“

ო, მერჩია, ეშაფოტზე აგეყვანეთ, ასეთი დავალება კი არ მოგეცათ: ამის შესრულებას, ქრისტეს სიკვდილის ხნისაც რომ ვიყო, ფიზიკურად შეიძლება კი, მაგრამ გონებრივად... ვერა და ვერ შევძლებდი და ვერ შევძლებ... მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნსაც ვერ ვარჩევ სამგლოვიარო მარშისაგან, მე მაინც მუსიკის სამყაროში უფრო ლაღად ვბანაობ, ვიდრე ბუღალტერიაში...

ისე, როგორც ყოველგვარი ნიჭი თანდაყოლილია, მით ურო თანდაყოლილია მათემატიკის... და ახლა, როცა ვიგონებ ჩემს მოწამებრივ უმწეობას სწავლა-განათლების ამ სფეროში, ვნატრობ ხოლმე ისეთი საზოგადოების თუ ასოციაციის, სათნოების ორდენის თუ თანადგომის ფონდის დაარსებას, რომელიც იზრუნებდა იმ არაზარმაც, ა რ ა ზ ა რ მ ა ც გოგო-ბიჭებზე, რომელთა არამათემატიკურ თავში, ბევრიც რომ უზაგუნო, ჩემი თავის არ იყოს, გამრავლების ცხრილსაც ვერ შეუღწევია...

ო. შეინყაღე, უფალო, ისინი და მოუმართე ხელი მათ ცხოვრება-მოღვაწეობის ყველა იმ ასპარეზზე, სადაც მათემატიკა – მეცნიერებათა მეცნიერების ეს გვირგვინი – აუცილებელი და საჭირო არ არის ნახევრად ცარიელ თავზე რომ დაიდგა!..

ბატონო მერაბ, თქვენი ბოლო მოთხოვნა უკვე პირდაპირ ულტიმატუმის მუქარისებურია:

„მოსთხოვეთ პასუხი გამომცემლობა „განათლებას“ უხარისხოდ გამოცემული წიგნის გამო.“

ო-ო, მერაბ, მერაბ, მერ-რაბიკო... ნუ დამინდობთ, ნუ შემიცოდებთ და, გნებავთ, ჯვარზეც მაცვით, ანდა, სუფთა ბენზინის ნაცვლად ნავთგარეული გადამასხით, რათა კიდევ უფრო მეტი კრუნჩხვებ-ნამებით დავინვა, მაგრამ...

რა ვქნა, ამას ვერ შეგისრულებთ, ამას ვერ ვიზამ, ვერ მოვთხოვ პასუხს „განათლებას“ იმი-სათვის, რაშიც ის კი არა, წარღვნის წინადროინდელი ჩვენი პოლიგრაფიაა დამნაშავე...

ასეც არ იყოს, აბა, ერთი მიბრძანეთ, რა პირით და რა სინდისით აღვმართო ხელი მათზე, ვინც ხელი გამომინოდა და შეივრდომა ჩემი „პასუხი ასტაფიევს“. ნამუსისაგან ისე პირწმინდად როგორ გავირეცხო, რომ „სუდში“ ვათრიო გამომცემლობის დირექტორი, არამწერალი ლუკა ხუნდაძე და ამ საქმეში მისი და, მაშასადამე, ჩემიც, ხელშემწყობი გამსახკომის თავმჯდომარე, ესეც არამწერალი რევაზ ლლონტი, მაშინ, როცა ამათზე ცოტა ადრე სხვა გამომცემელმა, მ ნ ე რ ა ლ მ ა , მიუხედავად იმ დროს ჯერ კიდევ სრულ ძალაში მყოფი რესპუბლიკის მეთაურის, ჯუმბერ პატიაშვილის განკარგულებისა, „ასტაფიევი“ არსებითად თავზე გადმომახია, რუსებს ეწყინებათო...

(ალბათ მიაქცევთ ყურადღებას და, ცხადია, არ მომიწონებთ, რაკი ამ პირთ „ბატონის“ წარუმძღვარებლად ვიხსენიებ, მაგრამ ეს ცუდი გაზრდილობით როდი მომდის: ახლა, ერთ დროს „რამეთუ“-სი არ იყოს, „ბატონოს“ თითქოს პატივის მისაგებად იქაც კი ჩრიან, სადაც ამას საჭიროება არ მოითხოვს; რაც შეეხება, საერთოდ, „ბატონოს“, ამის მხარდასაჭერად, „ამხანაგოს“ საზიანოდ, ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინათ ამოვიღე ხმა, ნაბეჭდითაც კი...).

...დიახ, ვერა და ვერ დავნიხლავ „განათლებას“, რომელსაც, ასე განსაჯეთ, „შავი წიგნის“ ხელნაწერის გაცნობისას კირკიმალი და ჭოჭმანი არ დაუწყია და კატის მიერ შეშინებული თავ-ვივით არ ამოუთქვამს, ვერა, ვერ გამოვცემ, „რამეთუ“... სომხებს ეწყინებათო.

დასტურ, რაკი თქვენ, თურმე, „შავი წიგნის“ ასეთი თავგამოდებული ქომაგი ბრძანდებით – „ყოველ ქართულ ოჯახს სამაგიდო წიგნად უნდა ედოს ეს წიგნი შინო“ – შეგეკითხებით, რატომ

არ შეიძლება უკვე ახლაც, გადაუდებლივ, ხელმეორედ გამოიცეს იგი არა მარტო იმიტომ, რომ პირველი გამოცემა სტამბურად სრულყოფილი არ არის; თუნდაც ტირაჟისათვის, რომელიც, ადრინდელი რომ საკმარისი ყოფილიყო, მაშინ იგი არც შავ ბაზარზე დაიდებდა ბინას და არც ასე ცეცხლის ფასად გაიყიდებოდა...

მე, აბა, ენა როგორ მომიბრუნდება, ბრიყვულად წამოვროშო, - თუკი ყველა ქართველს თუნდაც უფასოდ ჩამოვურიგებთ ამ ნაშრომს, მაშინ ჩვენი ამონყდომის სწრაფი ტემპი შეწყდება ან შესამჩნევად შენელებს-მეთქი, მაგრამ იგი, ამ ჩვენი ახლანდელი სავაებო დემოგრაფიული მდგომარეობის დროს, ცოტა რაღაცას ჩვენდა გამოსაფხიზლებლად რომ აკეთებს, ამის უარყოფა, ვფიქრობ, არ იქნებოდა თითქოს სულ მართებული.

ჰოდა, რაკი ეს „ცოტა რაღაც კარგი“-ც კი ამ შავბედითობის ჟამს ჩვენთვის დიდზე დიდი რამეა, - რა დაშავდებოდა, თუკი თბილისში არსებული რომელიმე ჯერ კიდევ სახელმწიფო გამომცემლობა დროებით გადადებდა სხვადასხვა, არცთუ ისე აუცილებლად საჭირო ნიგნეულების გამოქვეყნებას და ხელს მოჰკიდებდა, როგორც არა მარტო თქვენ ერთი ამბობთ, ყოველი ქართველისათვის ამ საჭირო, ამ სამაგიდო, ამ საერო ნიგნის გამოცემას...

ვსარგებლობ შემთხვევით და გაცნობებთ თქვენ, უფრო კი, ცხადია, ამ მართლაც ბატონ გამომცემლებს, რომ უკვე თითქმის ათი წელიწადია, გამოსაცემად მზად მაქვს „შავზე შავი ნიგნიც“, რომ აღარაფერი ვთქვა „ასტაფიევის“ ქართულ თარგმანზე და ორტომიანზე „ხალხის მტრის“ ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე“ (1929-1979 წწ)

არც ერთ ამ ნაწერს, ეჭვი არ მეპარება, „განათლება“ არ დამინუნებდა, მაგრამ რა პირით შევთავაზო მას, რომელსაც ქალაქი სასკოლო სახელმძღვანელოების ერთი მესამედის გამოსაცემად არ მოეპოვება, „დედაენა“ გადადე და ჩემი...

არა მგონია, არ დამეთანხმოთ, რომ „კაბადონი-მ“ რესპუბლიკის ახლად აღმოცენებული გაზეთების იმ ოთხეულ-ხუთეულში შედის, რომელმაც მკითხველთა ყურადღება უკვე დაიპყრო... ამ მკითხველთა რიცხვს, თუ ქოქოლას არ მომაყრიან, მივაკუთვნებდი ჩვენს გამომცემლებსაც - იოსებ იმედაშვილებივით, სოსიკო მერკვილაძეებივით, იოსებ ოცხელებივით ერის თავდადებულ, მოუსყიდავ, უანგარო მსახურთ... არა მგონია, მათ „კაბადონის“ მაინცდამაინც ეს ნომერი გამოეპაროთ და არ წაიკითხონ „ბლავილი ბებერი ხარისა...“

და თუ ამ „ბლავილს“ - „შავისა“ და „შავზე შავის“ გამოცემის საკითხს მიუდგებიან არა ისე, „ქართველებს ეწყინებათო“, არამედ „ქართველებს გავახარებთო“, თუ ეს მართლა ასეც ახდა, ამ სასწაულებრივ ამბავს პირველს, რასაკვირველია, თქვენ შეგატყობინებთ, აკი თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ აქა-იქ არაექიმურად დამჩხვლიტეთ (ეს კია, ეს ბარათი დაუჩხვლეთავად არც დაინერებოდა!), ჩემგან მაინც უთუოდ პატივისცემის ღირსი ბრძანდებით: ერთიც იმიტომ, რომ როგორც ეს თქვენი წერილიდან ჩანს, ს ა მ ი შვილის მამა ბრძანებულხართ, რაიც მე იმ სასიხარულო საბაბს მაძლევს, რომ „შავი ნიგნი“ ავტორისეული წარწერით მოგართვათ, რომლის მსგავსი „სიგელ-ავტოგრაფით“, სხვათა შორის, იგი თვით მისი გამომცემლებისთვისაც არ მიმირთმევიან, „რამეთუ“ ერთ მათგანს ორად ორი შვილი ჰყავს, მეორეს - ერთადერთი...

მეორეც იმიტომ, რომ... მმ... ვაითუ, გაგიჭირდეთ, წარმოიდგინოთ, რა დიდად მომანონა თქვენი თავი იმ ფაქტმა, რომ თქვენი წერილი სტერეოტიპულად, ტრაფარეტულად არ მთავრდება: „გთხოვთ, გადარიცხოთ ჩემი ჰონორარი“ ამა და ამ ფონდშიო...

ო, ახლა, მერაბ ბატონო, ფონდების მომრავლებასთან ერთად დიდად მოგვიმრავლდნენ, მამულის საბედნიეროდ, დიდი ერისკაც-ქველმოქმედები: ისინი თავიანთი საგაზეთო (მხოლოდ საგაზეთო!) წერილების ჰონორარებს თქვენსავით, უფრო კი კარაპეტა-ჩემსავით, საკუთარ ჯიბეში სახელდახელოდ როდი იტყუცავენ, რომელიმე ფონდს, ზუბალაშვილ-სარაჯიშვილივით სახელის გასათქმელად კი არა, დაუოკებელი შინაგანი წვისა და ბობოქარი სულიერი მოთხოვნების გამო ვაჟკაცური გულუხვობით სწირავენ ხოლმე...

აი, მაგალითად, ამას წინათ (25.09.90) გაზეთ „თბილისში“ ერთი დიდად ცნობილი (ხოლო პირადად ჩემთვის უცნობის) და, ალბათ, დიდად პატივსაცემი პროფესორის გულისწყრომით და გულისტკივილით აღსავსე წერილი წავიკითხე, სადაც იგი თავს ესხმის და არცხვენს საზოგადოება „სტალინის“ წევრებ-მეთაურებს და მოუწოდებს მათ...

„...მივმართავ მე მათ შვილებსა და შვილიშვილებს, სთხოვონ მამებსა და ბაბუებს - ნუ იზამენ ამ საქმეს. სტალინიზმმა რომ გაიმარჯვოს საქართველოში, საქართველოს ხელს არ ჩამოართმევს არც ერთი კულტურული ქვეყანა“.

რამდენადაც მომეხსენება, ამ „ენციკლიკის“ ავტორი ნამდვილი პროფესორია და, აბა, ასეთს, ვითომ პროფესორისაგან განსხვავებით, როგორ არ დაეჯერება, თუმცა... ეჭვის ჭია მაინც მღრღნის და მეძნელეობა, დავიჯერო, რომ „სტალინს“ ახლა საქართველოში სტალინიზმის გაცოცხლება სწადია მთელი მისი უკუღმართობით...

ახლა 8 საუკუნის წინათ მოთარეშე ჩინგისხანსაც კი უკვე სხვა თვალთ უყურებენ და... ვაცალოთ ისტორიას: სტალინს, როცა აღარ ვიქნებით ჩვენ – მისი მადიდებლები და მისგან განანწყენებულები, მაშინ გამოეტანება შეუმცდარი, მართებული განაჩენი...

დავიხიოთ, მერაბ ბატონო, ცოტა ისევ უკან და ერთხელ კიდევ ნავიკითხვით პატივსაცემი პროფესორის შემოფოთებული გამონათქვამი, სტალინიზმმა თუ გაიმარჯვა საქართველოში, არც ერთი კულტურული ქვეყანა ხელს არ ჩამოგვართმევსო...

ვითომ? მართლა არ ჩამოგვართმევენ?

არა, ნუ შევშინდებით, ჩამოგვართმევენ, უეჭველად ჩამოგვართმევენ, რამეთუ სტალინიზმი საქართველოში მაშინაც არ იყო დედაბუდიანად გამარჯვებული, როცა სტალინსაც გამარჯვებული ეგონა...

... რამსიგრძე უსტარით მოგმართავთ, მერაბ ბატონო, და აქამდე არ ვიცი, რა პროფესიის კაცი ბრძანდებით. თუ ჟურნალისტი ხართ და ხანგამოშვებით მაინც იბეჭდებით, ალბათ გეცოდინებათ, გაზეთ „თბილისის“ ერთი ნომრის მთელი ჰონორარი... 180 მანეთია, ესე იგი ერთი მოზრდილი სამგლოვიარო განცხადების საფასური.

ასე რომ, რა პატივსაცემიც უნდა იყოს ეს ჩვენი პატივსაცემი პროფესორი, მას მის 131-სტრიქონიან პატარა წერილში მანეთ-ნახევარზე მეტს არ გამოუწერდნენ.

ჰოდა, ეს მანეთ-ნახევარი... „ჰონორარი გადაირიცხოს რეზოთაბუკაშვილის ფონდშიო.“

მე ვფიქრობ, და ვფიქრობ აგრეთვე იმასაც, რომ ამ ჩემს ფიქრს თქვენც უჭოჭმანოდ შემოუერთდებით: განა არ აჯობებდა, რომ ამ პატივცემულ ანტისტალინელ, ქველ ავტორს ეს მთელი თავისი ჰონორარი უკლებლივ! – საზოგადოება „სტალინის“ დამანგრეველ ფონდში შეეტანა, ვიდრე რეზო – რევაზ...

დასასრულ, ნიგნზენასაწერად, გთხოვთ, მაცნობოთ თქვენი მეუღლის გვარი და სახელი: ის თქვენი სამი შვილი, რომელთათვის დაფანტული „შავი ნიგნის“ ხელახლა აკინძვა მიგინდიათ, თუ სალად განვსჯით, არა მგონია, მარტო თქვენი ნაკეთობა იყოს.

2 ოქტომბერი.  
1990 წელი

გვფარვიდეს ღმერთი!  
კიტა ბუაჩიძე



## ქეთი, თემურ-ლენგი, კოსმოსა და სხვები...

გაზეთი „კომუნისტი“, 4 ნოემბერი, 1990 წ.

სომხებს საკუთრივ სომხური სახელი უამრავი მოეპოვებათ, და ეს არა მარტო ჩვენთან შედარებით...

ქართველებს ბევრი სახელი ნასესხები გვაქვს ძველი ბერძნებისაგან, რომაელებისაგან, სპარსელებისაგან, უფრო მეტად კი – ებრაელებისაგან.

ზოგიერთს შეიძლება გაუკვირდეს კიდევ, მაგრამ ეთერ-აბესალომზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თამარიც კი ძველი ებრაულიდან მომდინარეობს.

აი, ლამარა კი წმინდა ქართული სახელია და, სხვათა შორის, საქართველოში ყველა ლამარა დაბადებულია 1926 წლის შემდეგ: სწორედ ამ წელიწადს დაიდგა რუსთაველის თეატრში გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“ და... ისე, როგორც ყველა ანზორი დაბადებულია 1928 წლის მერმე, თუმცა ეს სახელი ალექსანდრე ყაზბეგთან გვხვდება „ელისოში“ ჯერ კიდევ როდის, მაგრამ ხალხმა მაშინ იგი არ აიტაცა; ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, თეატრმა დაჯაბნა ლიტერატურა...

... კი, ასეთი ზედაპირული გავლენა ადამიანებზე თეატრს მართლაც შეუძლია, მოახდინოს, მაგრამ მას რომ შეეძლოს საზოგადოების სოციალური ქრილობების განკურნება, თუნდაც ნება მოგეცეს ამ ქრილობების გამომწვევი მიზეზების ჩვენებისა, ამის მტკიცება ბავშვური გულბრყვილობა იქნებოდა, მაგრამ ეს სხვათა შორის...

სამწუხაროდ, ჩვენში თეატრმა (და არა მარტო თეატრმა) გაუთვითცნობიერებელ, წამხედურა ადამიანებში სხვა სახელებიც თუ ჯერ კიდევ ლამარასა და ანზორით მასობრივად ვერ დაამკვიდრა, ყოველ შემთხვევაში ისინი უფიცობით თავგამოდებით მიისწრაფვიან აქეთკენ...

მე „იმპორტულ“ სახელებზე მოგახსენებთ, შეიძლება დიდად განთქმულსა და თანაც ერთობ მშვენიერზეც, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ყოფისთვის, როცა ეს სახელები სცენიდან კი არა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, მერწმუნე, ძვირფასო მკითხველო, ქართულ ყურთასმენას უსიამოდ ქრის...

არაქართველებისთვის კი ისინი ხომ სიცილისა და დაცინვის უშრეტი წყაროა, ჩვენი პროვინციელობის, ზოგჯერ კი პირდაპირ საარაკო უკულტურობის დამადასტურებელი ბეჭედ-დარტყმული დოკუმენტი...

შენივე ერშიც კი თითქმის ყოველ ადამიანს სიამოვნებას ჰგვრის, შენთან შედარებით უკეთესობით თუ გამოირჩევა, თუკი შენ სამასხარაო-საბურთავებელი ხარ, შერეკილობასა და ამაზე სხვა უარესობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

განა შეიძლება სახელად, მაგალითად, მაუგლი გერქვას ან ჯუნგლი? თურმე შეიძლება, და ჰქვიათ კიდევ, თქვენ წარმოიდგინეთ, ასე თუ ისე, საკმაოდ ცნობილ პირებსაც კი...

სახელი მუდამ თან დაგყვება, ისე, როგორც გარეგნობა, პირისახე... სახეს ვერ აირჩევ, მას ბუნება იძლევა, სახელი კი ჩვენს ხელთ არის, არჩევანიც დიდზე დიდია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ქართველმა კაცმა, სპეციფიკური ქართული გვარის მატარებელმა, უცხოური, თუნდაც თავისთავად კეთილხმოვანი და საქვეყნოდ ცნობილი, მაგრამ შენი გვარისთვის და ჩვენი ეროვნული ყურისათვის უსაზომოდ მყვირალა სახელით თავი შეიმკო, უფრო სწორად – შეგამკონ...

და თუ ნაკლებად წინდახედულმა მშობლებმა მთელ სასიცოცხლოდ ასეთ უღელში შეგაბეს, გამოიცვალე, ბატონო, ღვთის მადლით, ამას ახლა იმდენი ტანჯვა-წვალება არ სჭირდება, რამდენიც სჭირდება გვარის გამოცვლას ანდა, მაგალითად, სომხობიდან შენი ნამდვილი ეროვნების – ქართველობის დაბრუნებას...

„თავის მომჭრელ“ უცხო სახელობიას ჯერ კიდევ ამ ორმოცი წლის წინათ, 1940 წელს დაწერილ კომედიიაში გაგკარი კბილი:

ი ვ ა ნ ე : გლეხის ბიჭს, შე, გლახა, რომის პაპის შვილივით გზრდიდი.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი : ნუ მაყვედრი, რომის პაპს ბავშვები არ ჰყავს... რისთვის ჩამოხვედი, საჩხუბრად?

ი ვ ა ნ ე : ურემს რომ ტვირთი დაანვება – ჭრიჭინს დაინყებს.



ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი : თუ ასეა, შენ რომ ტვირთი ამკიდე, ოცდასამი წელიწადია, კურტანივით მკიდია და სადაც წავალ, ეფვანივით თან დამყვება, მაგრამ ჩემგან საყვედური ჯერ ერთხელაც არ მოგისმენია.

ი ვ ა ნ ე : რომელ ტვირთზე მეუბნები?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი : რომელზე და... ნაპოლეონი რომ დამარქვი, ჭკუა სად გქონდა? სირცხვილით ანკეტაც ვერ შემივსია. სად ჭინჭილეიშვილი, სად ნაპოლეონი?! ნაპოლეონის მაგივრად პუჭუჭიე დაგერქმია, არ მერჩია?!

ი ვ ა ნ ე : მე კეთილი გულით დაგარქვი, იცის ღმერთმა! სპირიდონმა თავის ბიჭს ბისმარკი შეარქვა და... მე რა, სპირიდონზე ნაკლები ვარ თუ?! ნაპალიონი ზარბაზანივით ქუხს, შენ კი არ გინდა მამის ამაგი დააფასო...

ვისაც იუმორის გრძნობა არ გააჩნია, ვთხოვ, მენდოს და დამიჯეროს: შენ ჰამლეტ დადიანი იქნები თუ ჰამლეტ ჭიპაძე, სხვის თვალში, რა ლამაზიც იყო და რაგინდ ჭკვიანიც, მაინც სასაცილოდ გამოჩნდები...

ჩვენ ახლა რუსეთთან ხშირი მიმოსვლა გვაქვს, ზოგი ცხოვრობს და მსახურობს კიდევ იქ, ზოგიც სწავლობს... უმამისსახელოდ კი რუსები მხოლოდ „შანტრაპას“ მიმართავენ. ჰოდა, თუ ცოტათი მაინც პატივისცემის ღირსად მიგიჩნიეს, თქვენი ვინაობა გვიბოძეთ, როგორ უპასუხებ? „Гамлет Робинзонович...“ „Дездемона Гамлетовна...“ ჰმ! თან გვარიც მათთვის ძნელად წარმოსათქმელი თუ მოგყვებათ...

საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთი პროგრამა, ორ კვირაში, მგონი, ერთხელ რომ გადაიციმა და, აქვე ვიტყვი, ჩემი აზრით, ბევრად რომ არ ჩამოუვარდება მოსკოვის ანალოგიურ პროგრამას - ერთ-ერთი მისი დარბაისელი მონაწილე მეორე დარბაისელ მონაწილეს მიმართავს:

— ჰამლეტ, ეგებ ცოტა რამ გვიამბოთ დანიაზე...

— სიამოვნებით, სოსო!... დანია საქართველოსავით პატარა ქვეყანაა...

...ჰო, მაგრამ... მე უკვე ყურადღება გამეფანტა და ტელევიზიის ჰამლეტის კარგი, ზეპირი ქართულით ნაამბობს უკვე ყურს ველარ ვუგდებ, რა ვქნა, ჩემს მეხსიერებაში შექსპირის ჰამლეტი შემოიჭრა: „ოფელიავ, ნადი მონასტერში!“

ჩემსა და ტელევიზორს შორის, ალბათ, კონტაქტი არც განყდებოდა, რომ...

— ბატონო ჯამლეტ, იქნებ ცოტა რამ გვიამბოთ დანიაზე...

— სიამოვნებით, ბატონო იოსებ! დანია...

— როგორც ხედავთ, სულ რაღაც ერთ ასოშია განსხვავება და ესეც უკვე საკმარისია იმიტომ, რომ თავი ვიგრძნოთ ჩვენს გარემოცვაში, ჩვენს მინა-წყალზე და თანაც სახეზე ჩვენი უპირატესობის დამცინავი ღიმილი არ აგვესახოს.

აქვე შევნიშნავდი, რომ „სოსო და ჰამლეტი“ და კიდევ რამდენი არაჰამლეტი და არასოსო არა მარტო სატელევიზიო გამოსვლებ-საუბრებში, თითქმის ყველა სახის საჯარო ურთიერთობებში ერთმანეთს მიმართავენ... ო, რა ხანია, „ამხანაგომ“ და „პატივცემულომ“ განდევნა...

არა, მგონი აჯობებს, კვლავ ერთი შორეული „დოკუმენტი“ შემოგთავაზოთ – ნაწყვეტი ოცი წლის წინათ, 1962 წელს დაწერილი კომედიიდან:

ჭ ი ჭ ი ნ ო ბ ე ლ ი ძ ე : ეს უკვე თქვენი ბრალი არ არის, ლეონიდ... მმ... ეგებ მამის სახელი მიბოძოთ.

კ ა მ ა რ ე ლ ი : ალექსანდრე.

ჭ ი ჭ ი ნ ო ბ ე ლ ი ძ ე : დიახ, ეს უკვე ჩემი ბრალია, ლეონიდ ალექსანდროვიჩ!

კ ა მ ა რ ე ლ ი : გთხოვთ, „იჩობით“ ნუ მომმართავთ. ეს ძალიან ცუდია, თუმცა ჩვენი ყური ამას ისე შეეჩვია, თითქმის აღარავის ეჩოთირება. მამის სახელით მიმართვა წმინდა სპეციფიკური რუსულია, რომელიც, სხვათა შორის, რუსებისაგან არ გადაუღიათ არც ჩეხებს, არც პოლონელებს, არც ბულგარელებს და თითქმის არც ერთ სხვა სლავურ ერს. ჩვენ კი, ქართველებს, ისეთი რა ცეცხლი გვიკიდია, რომ ერთმანეთს მივმართავდეთ: „ყარამანიჩ“, „პილატევიჩ“, „ძუკუევიჩ“, „ბურდლიჩ“, „ქაიხოსროვნა“... ჩვენი ეროვნული სახე გუშინ არ ჩამოყალიბებულა. გეკითხებით: ასეთი რა დააშავა და რატომ უნდა მივცეთ დავიწყებას ჩვენი კეთილბოგანი, ტრადიციული „ბატონო“? „ბატონო გედეონ!“ - „ქალბატონო ნინო!“... ცუდია?

ჭ ი ჭ ი ნ ო ბ ე ლ ი ძ ე : ჩინებულება, მაგრამ ზოგიერთები ალბათ ფრთხილობენ, ფეოდალიზმისადმი სიმპათია არ დაგვწამონო.

კ ა მ ა რ ე ლ ი : ჰმ! განა ფეოდალურ ურთიერთობას „ბატონო“ აღადგენს? რაც მიიცვალა და გაიხრწნა, მას ვერც ღმერთი გააცოცხლებს და ვერც დიალექტიკა...

...„თუთაშხიას“ ბევრმა მკითხველმა ალბათ არ იცის, რომ ამ რომანის ავტორის ნამდვილი, ნათლობისა და ახალგაზრდობის დროინდელი სახელი მზეჭაბუკია და, თუმცა იგი წმინდა ქართულია, მისმა პატრონმა, როგორც ჩანს, ზედმეტად პრეტენზიულად მიიჩნია და შეიცვალა ის „გლეხურ“ ჭაბუაზე; ამით მას, როგორც პიროვნებას, და არც მის რომანს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, სულაც არაფერი დაჰკლებია.

სხვათა შორის, მზეჭაბუკ ამირეჯიბი ერთ დროს, თურმე, მართლაც ამართლებდა ამ ბრწყინავ სახელს... თურმე-მეთქი, რამეთუ ვერ დავიტრაბახებ ამის მნახველობით, გადმოცემით კი ვიცი: როცა 1946 წლის მარტში ორთაქალის შედარებით ადამიანური შრომა-გასწორების კოლონიიდან თავი მიკრეს ავჭალის კოლონიაში, რათა აქ უფრო მძიმე შრომით ძირფესვიანად გამოვესწორებინეთ, სწორედ მაშინ გავიგე, რომ წინააღმდეგ აქაური პატიმარი მზეჭაბუკი, როგორც ჩანს, შრომითვე უკვე ლოთიანად გამოსწორებული, დათასავით გაფირალებულიყო...

მე მხოლოდ იმას მივუსწარი, კოლონიის უფროსი, ტანად დავით აღმაშენებლის მტკავლის ოდენა კაცი, როგორ ყრიდა ამის გამო ცეცხლებს:

— დოცლაპია მცველებო, ყველას დაგხვრეტო, თუ სასწრაფოდ არ მონახავთ და არ გაძაგრავთ... („კაცი, რომელიც დააკლდა ციხეს!“).

(სხვათა შორის, ათიოდე წლის შემდეგ უკვე შერისხული ბერიას ეს ახლობელი, იმჟამად თამბაქოს ფაბრიკის დაცვის უფროსად ყოფნისას, ტომრობით პაპიროსების ქურდობა-გატანისათვის... „კაცი, რომელიც შეემატა ციხეს!“).

„შავ ნიგნში“ უკვე ვწერდი, და ახლაც ამაზე კვლავ სიტყვის ჩამოგდება თითქოს აღარც ღირს, მით უმეტეს, რომ ამით სულ ერთია, მაინც არაფერი სწორდება - ძალი ყვეს, ქარავანს ეს არ აშფოთებს, მაგრამ რას იზამ, თუ ქართველს გული გიკვდება ჩვენი უგემოვნობის, ჩვენი უკულტურობის, ზოგჯერ კი პირდაპირ განუკითხავი სიტუტუციის დამადასტურებელი „ფიგურლით“ და „კლოზეტათი“ (ეს, ალბათ, ვიქტორ ჰიუგოს „განკიცხულნიდან“), ფრანგული კოზეტასაგან მონანწკარებს), „ნეგუსით“ და „კოსმოსათი“ („- სადა ხარ ბიჭო, კოსმოს? კოსმოსა!..“ „ნორინგით“ და „ჯიუ“-თი, „ჟანჟაკარუსით“ და „ჯოულით“, „რენტგენით“ და „როდენით“, „შახით“ და „ტახით“ და ათობით ამისთანებით, რომლებითაც სასეიროდ ვიხდით თავს, მსგავსად, „ალი კირპიჩ ბრასაი ოღლისა“, განსაკუთრებით არაქართველის თვალში.

მოზღვავედა, ამ ბოლო დროს მაინც, ისეთი „სახელები“, რომ იმ უმთავრესსაც ვერ გაიგებ, მისი მფლობელი ქალია თუ კაცი; თითხნიან სახელად რაღაც ასოებს, ანდა დედისა და მამის სახელების პირველ მარცვლებს აკონინებენ (ამით, ალბათ, ბრძენი მშობლების ბრძნული აზრით, თავიანთ თავსაც უკვდავყოფენ და თავიანთ, მეტწილად ერთადერთ პირმშოსაც აბედნიერებენ დაბადებიდან აღსასრულამდე), ანდა უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან კრეფენ - მორალი, ლომბარდი, დოტაცია (ყველა ესენი ამონერილი მაქვს პრესიდან და სამგლოვიარო განცხადებებიდან)...

წინათ ასეთ სიმახინჯეს ერთი მედავითნეც კი მოუღებდა ბოლოს, ახლა ამას მთელი რესპუბლიკაც ვერ მორეგია, ანდა, აბა, რას მოერევა, როცა მისივე სახელმწიფო დაწესებულება ზოგჯერ უმეცრებით, მომეტებულად კი - „ეს არის ჩემი ხალტურის“ მოსაზრებით ანაგვიანებს სახელთა კრებულ თაიგულს და უდანოდ ასახიჩრებს ადამიანებს.

(ამას წინათ სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი მმართველი მუშაკი გამოიჭირეს, რომელიც თავისი „მოღვაწეობის“ 30 წლის მანძილზე უქრთამოდ უბრალო ცნობასაც არ იძლეოდა და ამ გზით დიდძალი ფული დააგროვა; განა ფიქრი უნდა, თუ მას ეტყოდნენ, მაგალითად, რაღაც უცნაურზე, ეს ჩამიწერეო, მთხოვნელს გაოცების ფართო თვალებით სახეში კი არ შეხედავდა, - ხელებში, ამისათვის რას მომცემო).

როგორც შეამჩნევდით, „კულტურულ“ ქართველებში დიდი მოთხოვნილებაა ბევრ ისეთ „სახელზე“, რომლებსაც ცოტათი გაგებული ადამიანიც კი ძაღლებსა და მაიმუნებს თუ შეარქმევს. ამავე დროს ათასში ერთხელ თუ გაიბრჭყვიალებს ისეთი კოხტა ქართული სახელები, როგორიცაა, მაგალითად, მზექალა, მზეონა, გულთამზე, გულისა, გულვარდი, თეა, ძიძია, მამისა, ცისნამი, ქართლოსი, თორნიკე, გულადი, ლომგული, ალუდა, ვეფხია, მინდია, ბარათა, მამამზე.. შოთაც კი გაიშვიათდა, ცოტნეს კი შეიძლება მხოლოდ წამლად შეხვდეთ სადმე, მაშინ, როცა „თემურმა“ ლამის წაგვლეკოს, და ახლა ამას ცალკე „ლენგიც“ ემატება...

დიახ, ნაცვლად იმისა, რომ ამ „თემურს“ და „ლენგს“ - საქართველოს შვიდჯერ თუ რვაჯერ ამანოკებელ-დამაქცევარ-ამაოხრებელს, ქართველების ასიათასობით ამომხოც-ამომწყლეტს დღენიადაგ წყევლა-კრულვით ვიხსენიებდეთ, ჩვენ მას, პირიქით, არსებითად უკვდავყოფთ კიდევც.

ეს მოგვდის ისტორიაში გაუნათლებლობით, დაუფიქრებელი ნამხედურობით და, თუ გნებავთ, პატრიოტული გრძნობის, უკაცრიელი პასუხია, ფეხებზე დაკიდებითაც, შეიძლება ჩვენი, საერთოდ, სულელური გულმავიწყობით და მიმტევებლობითაც.

მართლაც რომ სახელს შერჩევა უნდა, მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი ყვავილივით უნდა ატარო, და არა კურტანივით, და თუ შენმა მზრუნველმა მშობლებმა თავიანთი სიბრყვიით თუ ცრუგანსწავლულობით ეს კურტანი აგკიდეს, გონიერების ასაკში შესვლისას მას თუ გადააგდებ, ვინ იქნება შენი მძრახველი!

ოციანი წლების დასაწყისში, როცა ძველი ქვეყანა დაემხო და ახალი მოგვევლინა, მრავალი შემთხვევა იყო სახელის შეცვლისა, მომეტებულად ვლადიმერზე; ეს, ცხადია, ლენინის პატივსაცემად და აგრეთვე იმის ნიშნადაც, რომ... „აჰა, ამით გაფურთხებ შენ, საზარელო ძველო ქვეყანავ!“

(როგორც ცნობილია, ტიტე ტაბიძე და პავლე იაშვილი ჯერ კიდევ რევოლუციამდე „მოინათლნენ“ ტიცვიანზე და პაოლოზე).

რალა შორს წავიდე, ჩემმა ძმამ მეფის მირიანობა ითაკილა და იუკადრისა და იგი ბენიტოზე გადაცვალა, რამაც მერე და მერე... არა, ამის თაობაზე მას ჩემთვის არაფერი შემოუჩივლია - როგორც ნაბოლარას ოჯახში მეცხრეს, დიდი არაფერი ფასი მედო, მაგრამ ჩემითაც ვხვდებოდი, დროთა განმავლობაში ამ „ლამურობამ“ ბევრი სიმწარე აწვნია: თურმე ბენიტო იტალიის, იმ დროს ახლად წამოჩივლულ დიქტატორს მუსოლინსაც რქმევია...

ჰოდა, „რავალი“ საქმე იქნებოდა, იყო პროლეტარული მწერალი, იტალიის გარდა, ესპანეთში და სხვა ესპანურენოვან ქვეყნებში საკმაოდ გავრცელებული, მაგრამ მაინც ამ შემთხვევაში, იყო დიდი ფაშისტის სეხნია და თან ცხოვრობდე სტალინის სამეფოში?!

დასტურ, სტალინმა პაოლო იაშვილს პავლეობა დაუბრუნა, ნატა ვაჩნაძეს... ნატო ხარო.

აბა, დაფიქრდეთ, ჩემი თაობის და ცოტა ამაზე მომცრო თაობის მკითხველებო, კერძო საუბარში, თუკი რალაც სასწაულით სტალინის გვერდით მოხვდებოდი, რა უნდა ეთქვა მას ისეთი, რომ იგი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, გულით და სულით არ მოგწონებოდა?!

ეთქვა თუნდაც კალმით ნახატი ქალისთვის, ჯულიეტა კი არა, შენთვის ბაჯაჯღანა უნდა დაერქმიათო... ჰოდა, ამის მერე, აბა რომელი ჯულიეტა არ „გაბაჯღანდებოდა?“ აკი მან იცოდა, ამიერიდან მთელი დარჩენილი სიცოცხლე ბელადისაგან სხივნატყორცნი თავალერილი ივლიდა, სტალინმა შემარქვაო...

იმჟამად რომელი ერთი იფიქრებდა, ამ „ნათლობას“ როდისმე ყავლი გაუვიდოდა, ანდა სტალინი, საერთოდ, ოდესმე მოკვდებოდა და თუ - დალახვროს ღმერთმა! - მოკვდებოდა, მის მიერვე დაფრთიანებული აღზრდილები აღმზრდელს ქვა და გუნდას დაუშენდნენ?!

ახლა ესეც წარმოიდგინეთ, ან გუნდაობისას რა დღეში ჩავარდებოდა ერთი ჩემი ნაცნობი, გვარად მურადოვი, რომელსაც, ბევრად ადრე ხრუმჩოვის გაკეისრებამდე, ერქვა... სტალბერ!

ეს ამხანაგი, სტალბერ მურადოვი, იძულებული გახდა, თავისი ერთ დროს მქუხარე სახელისთვის ჯერ „ბერ(ია)“ ჩამოეკლო და მერე, როცა ამ განახევრებულ „სტალ“-საც შეერყა, მარქსისტულ ტერმინს თუ ვიხმართ, ბაზისი, შემომჩივლა, არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, კაცი, მგონი, სულ უსახელოდ ვრჩებიო...

დიახ, ერთხელ უკვე მოგახსენეთ, დროს არც უნდა გაუსწრო და არც უნდა ჩამორჩე... ეს კია, მაშინ არ მითქვამს: გასწრებას მაინც, მგონი, ისევ ჩამორჩენა სჯობს. დასტურ, ასე რომ მოქცეულიყვნენ, არც სტალბერნი და არც ლენსტალნი უსახელოდ არ დარჩებოდნენ.

გარდა მეცნიერების ამ დარგის - ონომასტიკის - სპეციალისტებისა, ბევრს ეჭვი არ ეპარება, რომ, მაგალითად, ნატალია და ნიკიტა წმინდა რუსული სახელებია...

არა! რუსებს, ჩვენი არ იყოს, ალბათ როგორც მართლმადიდებლებს, ცოტა აქვთ საკუთარი სახელები: Вера, Любовь, Надежда; Святослав, Владимир, Владислав და კიდევ რამდენიმე სხვაც... ამ „რამდენიმე სხვაში“ ლიუდმილა კი რუსულია, ოლონდ რუსლანი, ჩვენი გორგასლანისა არ იყოს, ცოტა გადასხვაფერებული სპარსული არსლანია (ლომი)... ნატალია ლათინურია და მშობ-

ლიურს ნიშნავს, ღვიძლს; ნიკიტა კი ბერძნულია და საწყისს გამარჯვების ღმერთ ნიკა-ნიკედან იღებს.

ნატა შემოკლებული ნატალიაა და სრულიად ბუნებრივია ქართულისათვის. მიმართვა-და-დახებისას, უფრო მეტად სოფლად, ქართველებს მეტწილად გვეძალება-გვეადვილება „ო“-ზე დამთავრებული სახელები: ლადო, სანდრო, მარო, ზაქრო, სერგო... ამ მიზნით ზოგჯერ, კერძოდ იმერეთში, თანხმობანზე დამთავრებულ სახელს მიმართვისას „ამრგვალებენ“ ხოლმე: მირიანო, ნიკოლოზო, დავითო...

ნატოც ასეთი სახეცვლილებაა ნატასი; და თუ არ ვცდები, წინათ იგი ნათლობის სახელად არც იწერებოდა. ასე რომ, პოპულარობის უკვე ზენიტში მყოფს, უკიდევანო საბჭოთა ქვეყნის ყველა ერისათვის საყვარელ ნატად ცნობილ ნატა ვაჩნაძეს არ უნდა შეეცვალა იგი ნატო ვაჩნაძეობაზე...

... და რომ სტალინი არა, რასაკვირველია, არც შეიცვლიდა, ო-ო, აბა, ვის, ვიმეორებ, ვის არ გააბრიყვებდა, ვის არ წასძლეოდა სული, რომ ამ უღმერთო ღმერთ-კაცს შენთვის წამიერი ყურადღება დაეთმო და ეს არ დაგეფასებინა და არ გეგრძნო თავი უ-უბედნიერეს ადამიანად მსოფლიოს ყველა ცოცხალთა შორის!..

(აქვე გზად იმასაც შევნიშნავდი, რომ კარგმა, დიახ, კარგმა პოეტმა ალიო მაშაშვილმა ბევრი რამ წააგო, როცა მაშაშვილს – იმ დროს ერთობ ცნობილ ფსევდონიმს – კუკუ ჰკრა და მკითხველებს უეცრად „ვიღაც“ მირცხულავად გამოეცხადა).

ერთმა ჩემმა ახლო ნაცნობმა მითხრა, აი, შენ ასე თავგამოდებით რომ ებრძვი საზოგადოებაში, პრესაში, ტელე და რადიოგადაცემებში გამოტანა-ხსენებას, შინაურული, კნინობით-მოფერებით-საალერსო სახელების „გამოფენა-გაყიდვას“, ოცდაათ-ორმოც-სამოცი წლისან ქეთინო-თამრიკო-მარიკებს, რეზოებს და დათოებს, გიებს და გიგებს, და კიდევ რამდენ ამისთანას, თან სერიოზულ არგუმენტსაც იშველიებ, - ასეთი ფამილარობა, ურთიერთობის გაუბრალოება, დისტანციის მოსპობა უმცროს-უფროსს შორის (ახლა არცთუ ისე იშვიათია, როცა მცირეწლოვანი შვილებიც კი მშობლებს და ბებია-ბაბუებს სახელით მიმართავენ და... ამათი მხრიდან არავითარი უარყოფითი რეაქცია, ვითომც აქ არაფერი!) კიდევ უფრო აქვეითებსო ზრდილობა-აღზრდილობის ჩვენში ისეც უკვე ძალზე ჩამოქვეითებულ, ასე ვთქვათ, რეიტინგს, — შენზეც თქვეს, კიტაც ხომ კნინობითი-მოფერებითი სახელია, და თუ ის კაი კაცია, რატომ თავადაც ნიკიტად არ იწერებაო.

ო, ეს, თქმა არ უნდა, ერთობ მძიმე ბრალდებაა, მით უმეტეს, თუ მართლაც „კაი კაცი ხარ“, თანაც იმ კაცის მიმართ, რომელიც ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს, იცხოვროს ისე, როგორც წერს (ეს მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენს) და წეროს ის, რასაც ფიქრობს (ეს უკვე ძნელზე ძნელია, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ამას თითქოს ახერხებს და სულ ლაფში არ ისვრება).

დიახ, პასპორტის მიხედვით მე ნიკიტა გახლავართ, ოღონდ ისეთი ნიკიტა... ერთხელ, ალბათ, სახუმაროდ, თბილისიდან ჩემს სოფელში, ფარცხნალში, სადაც დავიბადე და ზაფხულობით იქ ვიზრდებოდი, წერილი გამომიგზავნეს, მიერთვას ნიკიტა ბუაჩიძეს საკუთარ ხელშიო.. ფოსტალიონს კი ბარათი თაროზე ამოედო, ნიკიტა ხარაძე – კი, მაგრამ ნიკიტა ბუაჩიძე?.. ასეთი ჩვენთან არავინ არისო.

ჩემს ნიკიტობას მე არასოდეს არ ვმაღავდი, და არც მერცხვინებოდა მისი: მწერალთა ცნობარში ნიკიტაც არის ჩანერილი, რუსულად გამოცემული ყველა ჩემი წიგნის ბოლო გვერდზე სწორედ ასეც ვეცნობი მკითხველს...

(თითქოს სასაცილო დეტალი: როცა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი თავის ვულკანისებურ ენერგიას ეტნასავით თავზე გვაფრქვევდა, ნაცნობი მემანქანე მოსკოვში, ძველი ყაიდის რუსი ინტელიგენტი, ანა ივანოვნა კრავჩუნოვსკაია, ერთხელ შეცდა, ნიკიტა სერგეევჩირობით მომმართა და უმაღვე ენაზე იკბინა:

- Ой, простите, простите, Никита Михайлович, ей Богу, я не хотела оскорбить Вас!

და ეს იმ წლებში, როცა ნიკიტას პოლიტბიუროს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მის მესაჭეს, სერგეიჩს, ხალხში დიდი ავტორიტეტი შეუქმნა).

მე იმ დროს დავიბადე, როცა საქართველოში კიტა აბაშიძეს ვეებერთელა სახელი ჰქონდა. მამაჩემმა სწორედ მის პატივსაცემად დამარქვა ეს სახელი, მაგრამ რაკი სახელთა საეკლესიო ნიგნში იგი არ აღმოჩნდა და აღმოჩნდა მსგავსი ამისა – ნიკიტა, ეს ჩაინერა კიდეც მეტრიკაში.

ღიას, „კიტა“ არც კინობითია და არც მოფერებითი; ნაძალადევად თუ გამოენახება მას ასეთი ფორმა, მაშინ... კიტკო, კიტუნი, ანდა მსგავსად რუსული ნატამა-პავლუშასი – კიტუმა...

რას გააწყობ, მეტი გზა არ არის, უნდა შევთანხმდეთ: კიტა ცალკე, დამოუკიდებელი სახელია, და რომ ეს ასეა, ამას ადასტურებენ ჩემი თანამოსახელენი და, რაც მთავარია, ჩემზე ადრე დაბადებულები: დიდებული ქართველი, საუბედუროდ, ნაადრევად დაღუპული ფილოსოფოსი კიტა მეგრელიძე და ასეთივე დიდებული ქართველი, საზღვარგარეთ ფართოდ ცნობილი ლექსი-კოგრაფი და სამი შვეიცარიელი ქართველოლოგის აღმზრდელი კიტა ჩხენკელი.

ექვი არ მეპარება, რომ ეს „კიტებიც“ კიტა აბაშიძისადმი სიყვარულით გამოეცხადდნენ სამზეოს, ოლონდ ეს კი აღარ ვიცი, მათმა მამებმა რა გზებით მოახერხეს, შვილები არასაეკლესიო სახელით ჩაენერათ საეკლესიო ნიგნში...

სხვათა შორის, თითქოს უცნაური კია, თვითონ თავადი კიტა აბაშიძის ნათლობის სახელი ივანეა; უნდა ვივარაუდოთ, რომ, ალბათ, არც მას ჩაუნერეს 1870 წელს დაბადების მონმობაში ის სახელი, რომლითაც შემდეგ ასე ფართოდ გაეცნო მთელ საქართველოს.

ისე კი, ბარემ ამასაც ვიტყვოდი, ამ სახელს ჩემთვის სახარბიელო რამ არაფერი მოუტანია, სახარხარო კი – მრავალზე მრავალი: რამდენი შემთხვევა მახსოვს, სულ ბოლო დროისაც კი, როცა გამცნობს ჩემი თავის წარდგენისას უნებლიეთ წამოსცდენია: „იცნობდეთ, დრამატურგი კიტა აბაშიძე“... და ამასაც, ესე იგი გასაცნობელს, ცხადია, ნაკლებად გათვითცნობიერებულს, თუმცა, შეიძლება უნივერსიტეტდამთავრებულსაც, ისეთი ამბით ჩამოურთმევია ჩემთვის ხელი, თითქოს იგი მთელი თავისი დღე და მოსწრება სულ ამას ნატრობდა, რომ ეს ღირსსაცნობი დრამატურგი კიტა აბაშიძე როგორმე ეხილა:

- გიცნობთ, ბატონო!.. სახელით, აჰა, არ გიცნობთ?! არ მენახეთ, თვარა... კიტა აბაშიძეს?! თქვენ ვინ არ გიცნობთ!..

აი, ასე „ინიხლება“ ხოლმე პატარა კაცი მისი „მონათესავე“ დიდი ადამიანის აჩრდილითაც კი...

ისე, ვისაც იუმორის გრძნობა მოეპოვება, ასეთი „დანიხლვა“ მასში მხოლოდ თავშესაქცევ ღიმილს თუ გამოიწვევს: დრამატურგს, საერთოდ, შექსპირის გარდა, არა მგონია, იცნობდეს ვინმე...

ოლონდ... ღირდა კი ამდენი მიდებ-მოდება ჩემს „მოფერებით“ სახელზე, ანდა, საერთოდ, სახელებზე? მაინც ვფიქრობ, რომ ღირდა, აკი ჩვენ ისე უზომოდ „გავნათლდით და გავკულტუროსნდით“, რომ ახლა ჩვენს ყურებს უფრო ჯემსი და პეპსი ელამუნება, ვიდრე...

ზოგიერთი მატრაკვეცა ამჟამად აღარც ქეთევანობას კადრულობს, მაგრამ ამაზე უფრო დასანანი ის არის, რომ თუ ეს მატრაკვეცა საზოგადოებაში ცოტათი მაინც რაიმეთი გამოირჩევა, წამხედურა მიმდევარები მას ლეგიონიც კი გამოუჩნდება ხოლმე...

ღიას, გარდა ქეთევანისა, სხვა დიდებული, გაუხუნარი სახელებიც იდევნება არა მარტო ქეთებით, მარიკებით, გიებით, დათოებით...

კი, მაგრამ... ნუთუ ჩვენს დროში ჩვენთვის ისე ხელნა მოსაკრავნი, დასავინყებელ – შემარცხვენელნი გახდნენ ქეთევან წამებულები, წმინდა მარიამი, დავით აღმაშენებელი, წმინდა გიორგი?! ზოგს, ალბათ, ღრმად სჯერა და ეჭვიც არ ეპარება მასში, თუ იგი, მაგალითად, ქეთევანის ნაცვლად ქეთის მიიტყუებებს, ან მარიამი – მარიკას, ანდა უკვე ასაკოვანი დავითი დათოს არ მოეშვება, ან კიდეც სამოც წელს მიტანებული გიორგი – გოგის, რევაზი – რეზოს, გრიგოლი – გიგას, აკაკი – კაკოს, იოსები – სოსოს, ზურაბი-ზურას, თენგიზი – გიზოს, ამით იგი ხალხის თვალში უფრო ლამაზიც გამოჩნდება, უფრო ნიჭიერიც და, რაც მთავარია, ორჯერ და სამჯერაც უფრო ახალგაზრდად მოგვეჩვენება...

ასეთი „მეტამორფოზი“... ეჰ, ჩავიქნით ხელი და ვთქვათ, არტისტს, კიდეც ჰო, ასე თუ ისე, მიეტევება, მაგრამ იგი სულაც არ შეშვენის არამსახიობთ - მეცნიერს („ვანიჩქა ჯავახიშვილი“, „სიმონიკა ჯანაშია“), მწერალს („კონო გამსახურდია“, „გიგა რობაქიძე“)...

ო, სხვა პროფესიების ჩამოთვლით თავი რომ არ მოგაბებრო, მკითხველო, თუ არ შემომწყრები და კითხვას თავს არ დაანებებ, ერთ „ისტორიულ უკანსვლას“ კვლავ შემოგთავაზებ:

ხანმოთეულისა და ხანმოუთეველის მცირე დიალოგს დიდი ხნის წინათ დანერგილი და დადგმული პიესიდან:

ბ ა ჭ უ ლ ა : ბატონო ლეონიდე, აი, როგორც იქნა, დამიბეჭდეს ეპიგრამები!

კ ა მ ა რ ე ლ ი : მართლა? მომილოცავს, დიდად გამახარე... აბა! (კითხულობს):

ნიგნების გროვას ისე უმზერდა,  
თითქოს მგლებია შიგ გარეული,  
სამეცნიეროდ ემზადებოდა  
კაცი ფეხბურთზე გადარეული...

უცნაური ყურნალია, სახატავი რვეულის ოდენაა, სიმართლე კი, რაკი სატირულია, ხანდა-  
ხან მაინც გაეპარებათ ხოლმე...

გაცვია ფრენჩი და გაცვია კიტელი,  
მაინც ხარ ლენჩი და მაინც ხარ ტიტველი...

„ბაჭულა მაჭარაძე“... მმ... ეს მითხარი... შენ ილიკო ჭავჭავაძე გაგიგონია?

ბ ა ჭ უ ლ ა : ილიკო?! ჭავჭავაძე? არა.

კ ა მ ა რ ე ლ ი : ილია ჭავჭავაძე?.. ო-ო, გატყობ, ჩემი შეკითხვა ლამის შეურაცხყოფად მიი-  
ლო, მაგრამ ეს ორივე ერთი და იგივე პირია, სამოცდაათი წელიწადი ილიას თავისიანები, მარტო  
ძალზე ახლობლები, ილიკოს ეძახდნენ, მაგრამ იგი, როგორც ეს ჭკვიანსა და დაკვირვებულ პი-  
როვნებას შეჰფერის, საზოგადოებას, როგორც პოეტი, ოცი წლის ჭაბუკიც კი, ილიად წარუდგა.  
ამით მას, სხვათა შორის, ხალხის სიყვარული ერთი ბენოც არ დაჰკლებია... შენ კი, ბაკურის ნაც-  
ვლად, ბაჭულა მიგინერია. დიდი უტაქტობაა, როცა ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით მკით-  
ხველს ეცნობი იმ შინაურული, საალერსო, კნინობითი სახელით, რომლითაც დედა აკვანში მოგ-  
მართავდა, ახლა კი ცოლი ლოგინში გეძახის, თუმცა... აბა, მაგალითი ვისგან უნდა აიღო, როცა  
ჩვენი პრესა, ეკრანები, აფიშები, აჭრელებულია რეზობებით, გოგებით, სოფიკოებით...

ბ ა ჭ უ ლ ა : რა მექნა, ასე მიცნობენ და...

კ ა მ ა რ ე ლ ი : ასე გიცნობდნენ მთანმინდაზე, როცა კოჭობანას თამაშობდი. ამიერიდან  
სტრიქონს არ წავიკითხავ შენსას, თუ კიდევ...

...დიახ, გვარი და სახელი თავისთავად ვერა და ვერ აგამალლებს, ვერ გაგამშვენებებს,  
ისინი თვითონ უნდა აამალლო და გაამშვენებრო შენი კეთილი საქმეებით, შენი საერო ღვაწლით  
და რუდუნებით...

იყო დრო, ჩიბურდანიძე საქართველოში ერთობ საოხუნჯო გვარად ითვლებოდა, ახლა კი,  
როცა ეს გვარი შემოგესმება, მისდამი პატივისცემით იმსჯვალები...

ვისაც აკადემიკოსი დოლიძე ახალგაზრდობიდან ახსოვს, დამიდასტურებს, რომ მის მე-  
ფურ სილამაზეს სულ ოდნავაც ვერ ჩრდილავდა დღეს ასე სოფლურად მიჩნეული, გლეხუჭური  
სახელი: ისიდორე...

სხვათა შორის, რეზიკო-თამრიკოებს და მრავალ მათ დაიკო-ძამიკოებს, ამ „გადასრულ-  
წლოვანებულ ალუებს“, ავისა და კარგის გამრჩევო მკითხველო, ამჟამად ხელმეორედ ვახედებ  
საზოგადოებრივ სარკეში, მაგრამ, გულწრფელად გამოგიტყდებით, არა მგონია, ამან რაიმე შე-  
დეგი გამოიღოს, დადებითი, ცხადია.

აი, ჩვენ რომ დანია ვიყოთ და რომ გვექონდეს დანიელების....ეე... მმ...

ერთხელ კოპენჰაგენში მისმა მერმა თვალი შეასწრო, ზოგიერთი მოქალაქე, გზის შემოკ-  
ლების მიზნით, ერთ მონიშნულ ადგილას, გაზონზე გადადიოდა... მეორეჯერაც შენიშნა... კვლა-  
ვაც შენიშნა და მაშინ ქალაქის მამამ იმ ალაგას საშუალო კაცის სიმაღლის სვეტი ამართა ასეთი  
წარწერით: „ბილიკი ვირებისათვის“.

ჰოდა, იმ დღიდან იმ ბილიკზე არც ერთ „ვირს“ აღარ გაუვლია და არც ერთ „ვირს“ სურვი-  
ლი არ აღძვრია, რომ ის წარწერა ჩამოეგლიჯა და... ბილიკი ისევ მწვანე ბალახით შეიმოსა.

სამწუხაროდ, მტკიცედ არ ვიცი, სად არის დანია, გამიგონია კი, მგონი, ევროპაში უნდა  
იყოს...

ვფიქრობ, შეამჩნევდით, აქამდე სახელებთან დაკავშირებით რადიო-ტელევიზიასთან ერ-  
თად პრესასაც ვკიცხავდი, ცხადია, ქართულ პრესას, რომელიც არათუ რევოლუციამდელი,  
ომამდელი ჩვენი პრესისგანაც განსხვავებით, ამის მერე ჩვენი საერთო, ყოფითი კულტურის,

აღბათ, უსაშველოდ „ამაღლების“ გამო თავის ფურცლებზე უხვად მასპინძლობს და ხელს უწყობს ათობით ქეთი-გიების შინაურულ კომპიაობას...

ჰოდა, ვიფიქრებდი განა, რომ საქართველოს პირველი რუსული გაზეთიც, რომლის მუშაკები, ბუნებრივია, რუსული კულტურის სულით უფრო იქნებოდნენ გამსჭვალულნი, ვიდრე ქართულით, და მაინც, ამ სიგლახეს ქართულ გაზეთებს დაესესებოდნენ?!

რუსუდან ფეტვიაშვილის სახელ-გვარი ახლა, აბა, ვის არ გაუგონია და იგი ჯერ თუმცა მხოლოდ 14 წლისაა, საზოგადოებას მაინც არ ევლინება, „მე პატალა ლუსიკო ვალო“, მაგრამ „Заря Востока“ მას მაინც დაჟინებით „რუსიკოდ“ წარმოგვიდგენს.

მაგრამ ეს არაფერი! უფრო „არაფერი“ ის არის, რომ ამავე გაზეთში შეგეძლოთ ამოგეკითხათ: „Заслуженный артист-Авто Махарадзе“; „Режиссер-Авто Варсимашвили...“

Авто, Авто ...

ჯერ ქართულადაც კი უცნობილესი და უსაყვარლესი, შოთასეული ავთანდილის შეჭრა-შემოკლება, მე თუ მკითხავთ, საერთოდ, დიდი სირცხვილია, რუსულად ხომ კიდევ უფრო მეტი სირცხვილია, ავთანდილს „ავტომაშინასთან“ რომ აკავშირებენ...

ბევრი არაფერი დაუშავდებათ ჩვენი პრესის მუშაკებს, როგორც ქართულისას, ისე რუსულისასაც, 1980 წელს მოსკოვში გამოცემული ნ.ა. პეტროვსკის ჩინებული წიგნიდან ამოღებულ ამ ციტატას თუ დაიხსომებენ და იხელმძღვანელებენ კიდევ:

„Уменьшительно-ласкательная форма в отличие от полного имени, носящего официальный характер, служит для называния человека в быту, в кругу семьи, в кругу друзей, товарищей.“

(„კნინობითი-მოფერებითი სახელობითი ფორმა სრული სახელისაგან, რომელიც ოფიციალურ ხასიათს ატარებს, იმით განსხვავდება, რომ მას მიმართავენ შინაურობაში, ოჯახში, მეგობრებისა და ამხანაგების წრეში“).

(გვიანდელი მინანქარი: ჩემი ვარაუდი, სამწუხაროდ, გამართლდა: ამ „შეგონების“ გამოქვეყნების დღიდან საკმაოდ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე არც ერთი ქართველი დედიკოს არც ერთმა ქართველმა შვილიკომ დანიელებისგან მაგალითი არ აიღო, ალბათ, ვაითუ, ჩემს დიდ ჭკუასა და ჩემს გონივრულ არჩევანში ეჭვი შეიტანონო და... არა და არა, ვირიდან არ ჩამოხტა და ბედაურზე არ ამხედრდა... ასე რომ, უნდა ვიმედოვნოთ, ამ მხრივ საქართველო მალე, შეიძლება, სულ ერთიანად გადაიქცეს სრულწლოვანთა საბავშვო ბაღად...

ერთ გაზეთში რომელიღაც სტატიის ავტორის გვარ-სახელი ამოვიკითხე: „ფილოსოფოსი გია კოდია“. ჰოდა, თუკი ფილოსოფოსიც (!) ვერ ელევა „ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზის“, სხვა არა-ფილოსოფოსს „მალხაზებს“ რაღა მოეთხოვება?!

ჩემს წერილს მართლაც მეცნიერი და მართლაც ცნობილი ლექსიკოგრაფი მიხეილ ჭაბაშვილი უმაღლესად გამოეხმაურა:

„...მომიტევონ ჩვენმა ცნობილმა მწერლებმა, რეჟისორებმა, მსახიობებმა, მეცნიერებმა, მაგრამ როდესაც მათი სახელები შემხვდება ასე შემოკლებულად – ვანო, რეზო, გოგი, გია, გიგა, დათო, სოსო, ლადო, ქეთი, მარიკა, სოფიკო... – ყოველთვის მებადება კითხვა: რა უშლის ხელს, რომ გვარის წინ მათ მაგივრად ეწეროს: ივანე, რევაზ, გიორგი... ქეთევან და ა.შ.“

უცნაურად არ მოგვეჩვენება, რომ ვინმემ ეკატერინე გაბაშვილი კატოდ მოიხსენიოს ან ივანე ჯავახიშვილი – ვანოდ, ხოლო ზაქარია ფალიაშვილი – ზაქროდ? არადა, შინაურები ალბათ ასეც ეძახდნენ მათ“ (გაზეთი „ახალი საქართველო“, 23.11.90).

არა მგონია, ეს ანდა ამის მსგავსი სტრიქონები სადმე ან როდისმე წაეკითხათ, მაგრამ მაინც, როგორც ჩანს, ეს მშვენივრად იციან რუსუდან ფეტვიაშვილის მშობლებმა...

ო-ო, მათ განა მარტო ეს იციან!

მანანა და ვახტანგ ფეტვიაშვილების მსგავსთა საქართველოსათვის მოსავლენად მზად ვარ, დღე და ღამე ორივე მუხლზე დაჩოქილმა შეუსვენებლივ ვილოცო და თუ ისინი მრავლად მოგვევლინებოდნენ, მაშინ ქართველების ბედს მათივე სამშობლოში ერთი გადამთიელიც ვეღარ დაჰყეფდა...

... რუსუდანი მათი პირველი შვილია, და თუმცა უკვე ორი წლისას გამოაჩნდა მას ხატვის ნიჭი, მშობლებმა, ასიათასობით სხვა უგუნურ ქართველსავით როდი გადაწყვიტეს, მორჩა, გათავდა, ეს ერთიც გვეყოფა, თავისი ნიჭიერებით იგი ათ ბავშვსაც კი აინონის და ახლა ავდგეთ და მარტო მისი ნიჭის გაფურჩქვნაზე ვიზრუნოთ...

არა!

პატარა რუსიკოს სამი და-ძმა კიდევ შემატეს და... სულ აგერ ახლა, ორიოდ წლის წინათ, მეხუთეითაც გააბედნიერეს შვილები, საკუთარი თავიც და საქართველოც, თუმცა დედას თამამად შეეძლო, „ხანდაზმულობა“ მოემიზეზებინა (სულ უფროსს და სულ უმცროსს ერთმანეთისაგან 12 წელიწადი აშორებს).

დიახ, მანანა აბრამიშვილი – აი, ვინ არის ჩვენი დროის ნამდვილი ქართველი მანდილოსანი.

და ვახტანგ ფეტვიანიშვილი – აი, ვინ არის ჩვენი დროის ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი!

კიტა ბუაჩიძე

1982 წელი

PS: მაშინაც კი, როცა ეკლესიები ლამის ბოსლებად აქციეს და ანაფორიანი მღვდელი ქართულ მიწაზე ისეთივე იშვიათი სანახავი იყო, ვითარცა ქართულ ცაზე მფრინავი თეფშები, ბევრი ქართველი თავის ბავშვს ნათლავდა მაინც, მალულად ნათლავდა...

საბედნიეროდ, უკვე დრო დაგვიდგა ისეთი, როცა ტელეეკრანზე მღვდელმსახურთ უფრო ხშირად ვხედავთ, ვიდრე რაიკომის მდივნებს...

ასე რომ, ანი შიშის გარეშე, საზეიმოდ მოვინათლებით ხოლმე, ოღონდ ამ ნათლობას წინანდელივით არაფრის მთქმელი ფორმლობის ელფერი არ უნდა დაჰკრავდეს: უპირველეს ყოვლისა, ნათლობის სახელს იურიდიული ძალა უნდა მიენიჭოს.

რასაკვირველია, საეკლესიო კალენდარი – სახელების დავთარი ახალი, კობცა, გონმოსაწონი ქართული სახელებით უნდა შეივსოს და გამდიდრდეს.

1990 წელი

\*\*\*

ბვინადელი დანართი (1990 წლის დეკემბერი): ვფიქრობ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გაგება, რომ წიგნის ეს ნაწილი, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა (4.11.90), არ არის სრული: მას დაბოლოება აკლია, ურომლისობაც, ავტორის მტკიცე აზრით, წერილს ახეიბრებს...

როცა ტელეფონით შეხმიანებისას („თქვენი ქეთი“ დიდად მომეწონა“) შეიტყო ჩემი ეს გულისწუხილი „ლიტერატურული საქართველოს“, ასე ვთქვათ, მეორე რანგის ხელმძღვანელმა, - გამოგვიგზავნეთ, ჩვენ დავბეჭდავთ... და მეც არ დავაყოვნე და უმალვე ვაფრინე ელიზბარ ჯაველიძის სახელზე

**ბატონო რედაქტორო!**

მიხეილ ჭაბაშვილის განმარტებით, კინოლოგია არის მეცნიერება ძაღლების შესახებ, კინოლოგი კი მეძაღლე – მეცნიერია...

სამწუხაროდ, ამჟამად თბილისში ამ დარგში ჩვენ არც ერთი მეცნიერი არ მოგვეპოვება (ჩემი ყმანვილობის დროს კი იყო – პაჭუ ჟორდანიას, რომელიც, მახსოვს, პაოლო იაშვილსა და მის სეტერს ემეგობრებოდა).

სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ვერა და ვერ დავადგინე, რა მეცნიერული მიზნით აჭრიან ხოლმე ზოგიერთი ჯიშის ძაღლს კუდს; კუდი ხომ ძაღლისათვის ასე დიდად საჭირო ორგანოა; კუდით აბეზარა ბუზებსაც იგერიებს და მისი ქიცინით რას არ გამოხატავს: პატრონისადმი თავდადება-ერთგულებას, სიყვარულს, ლხენას, ალერსს...



აი, გუშინ, 4 ნოემბერს, გაზეთ „კომუნისტი“ დაიბეჭდა ერთი თავი გამოსაცემად გამზადებული, „სპონსორმადიებელი“ ჩემი „შავზე შავი ნიგნიდან“: „ქეთი, თემურ-ლენგი, კოსმოსა და სხვები...“

ჰოდა, მერწმუნეთ, კუდი რომ მქონოდა, წინააღმდეგობით რედაქციაში ზღვარს გადასული სიხარულით და პირთამდე სავსე მაღლიერების გრძობით მეც უეჭველად გავაქიცინებდი, როგორც უბედნიერესი ავტორი: აკი ეს იყო ჩემს უხანგრძლივეს, თუმცა დროდადრო წყვეტილ, ლიტერატურულ ცხოვრებაში პირველი შემთხვევა (გთხოვთ, გამოიჩინოთ სულგრძელობა და, როგორც რედაქტორი, ამისთვის ნუ გამინაწყენდებით და ნურც ამ სტრიქონს ამოშლით)... როცა ჩემს ნაწერს რედაქტორის, როგორც წესი, ქავილს მიჩვეული მარჯვენა ხელი (ცხადია, თუ ცაცია არ არის!) ამჯერად ჩემს წერილს სულაც არ შეხებია და როცა სალამოს რვა საათზე, კორექტურის გასწორების მერმე სტამბიდან შინ დავბრუნდი, ჩემს თვალს საოცარი კმაყოფილებისა და აღმაფრენის ცრემლი მხოლოდ განთიადისას შეაშრა...

...და როცა დილის რვა საათზე მე-9 საავადმყოფოს გაქუცულ ბაღში მდებარე ჟურნალ-გაზეთების კიოსკში თავმომწონედ მთელი ბლუჯა სამ-სამ კაპიკიანი „კომუნისტი“ შაურ-შაურად შევიძინე...

ო-ო, ცრემლის ნიაღვარი ახლა იკითხე, თურმე, ბედკრულო ავტორო: ღამის, ალბათ, პირველ-ორ-სამ საათზე, როდესაც რედაქტორის (ან მისი მოადგილის) გონება უფრო ფხიზლობს, ჩემი „ქეთ-თემურ-კოსმოსას“ არცთუ ისე გრძელი (ორგვერდიანი!) „კუდი“ სულ ერთიანად შეეჭრათ და ამოეგდოთ.

ასეთ შემთხვევაში დალოცვილებს ბარემ „თავიც“ წაეჭრათ, აკი წერილის დასაწყისი - „სომხებს საკუთრივ სომხური სახელი უამრავი აქვთ და ეს არა მარტო ჩვენთან შედარებით“... - უშუალოდ კავშირშია დასასრულთან.

აი, ეს შერისხული დასასრულიც (თუ თქვენც კრამოლად არ მიიჩნევთ, იმედი მაქვს, დაბეჭდვაზე უარს არ მეტყვი):

ალბათ შენიშნავდით, ჩემი ნაწერის ამ მონაკვეთში შავ ქვებსა და თეთრ კენჭებს ხან აქეთ ვისვრი, ხან — იქით, ზოგჯერ — პირდაპირი მისამართით, ზოგჯერ — თითქოს უმისამართოდ და თუ ეს ცოდვად ჩამეთვლება, რაკი დავაშავე, ბარემ მას ერთ ცოდვას კიდევ მივუმატებ და სახელებზე სჯა-ბაასს იმით დავამთავრებ, რითიც დავიწყე: სომხებს საკუთარი სომხური სახელები უამრავი აქვთ-მეთქი; ასე განსაჯეთ, მათი ეს სიმდიდრე ოთხ ტომსაც კი შეადგენს...

ჰოდა, სომხები რუსთაველის სომხობას სულ იოლად ამტკიცებენ: შოთა ოდნავ შებრუნებული ამოტიპო.

ამას, რასაკვირველია, ბევრი კრიტიკი არც უნდა, ეს ისეთივე „მეცნიერული“ საბუთია, როგორც არის მათივე ანექდოტური მტკიცება, ღვთაებრივი ჯუზებე ვერდი-ს სომხობისა, რომლის ნამდვილი გვარი თურმე, ნუ იტყვი, ალახ-ვერდი-ანი ყოფილა.

ჩემი ბევრის მომთმენი მკითხველი ახლა მაინც, ოდნავ მაინც რომ შევასვენო, გასართობად, მხოლოდ, მხოლოდ გასართობად მინდა, მათებური, სომხური ჭეშმარიტების დასადგენად მათივე ამ მეთოდით ვისარგებლო და მათ, სომხებს, ერთი დიდი კაცი „წავართვა“...

ეს გახლავთ ლორის-მელიქოვი, გრაფი, მეფის რუსეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც თითქმის ზუსტად ასი წლის წინათ სხვადასხვა გუბერნიაში გენერალ-გუბერნატორობიდან ვეებერთელა იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრობამდე ამაღლდა, ერთხანს კი, მართალია, არცთუ დიდი დროის მანძილზე, მთელი რუსეთის დიქტატორი — სომეხი კი არა... ქართველი იყო.

დიახ, ქართველი!

საბუთი? ინებეთ: მელიქი არც სომხური სიტყვაა და არც ქართული, არაბულია და ნიშნავს გამგებელს, მმართველს სოფლისას, ქალაქისას, პროვინციისას... ლორე ერთ დროს სწორედ ქართულ პროვინციად ითვლებოდა... ლორის, ლორესი ნათესაობითი ბრუნვაა ქართულში; მაშასადამე, ლორის მელიქი — ლორის გამგებელი.

მაგრამ ეს კიდევ არ არის მთავარი; მთავარი ის გახლავთ, რომ 1825 წელს დაბადებულ ამ ლორის-მელიქოს სახელად მიხეილი შეარქვეს. არათუ მაშინ, ეს სახელი ახლაც კი იშვიათია სომხებში, თუმცა ბოლო დროს მათთან, ჩვენი არ იყოს, ერთობ მოძალდა არტურები, ალბერტები, რობერტები, ედუარდები, მიხეილს კი იშვიათად სადმე თუ ნააწყდებით, ჩვენში კი მიხეილი

ისეთივე ჩვეულებრივი, ფართოდ გავრცელებული სახელია, როგორც მათთან, ვთქვათ, არშაკი ან ტიგრანი.

ჰო, მაგრამ, სიცილის მოყვარულ ჩემო მკითხველო, არც ეს არის სულ მთავარი: მთავარზე მთავარი ის არის, რომ... ამ მიხეილის მამას ერქვა... ტარიელი!

ეს ტარიელი კი დაიბადებოდა, სულ ცოტა, მე-18 საუკუნის მინურულს...

მერე? სომეხი და ტარიელი?! თანაც რა დროს? როცა სომეხი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თავის გრიგორიანულ სარწმუნოებას და თავის გრიგორიანულ, ასარჩევადან ასობით ასარჩევ სომხურ სახელებს!

დიას, Граф არა Трдат СМБЫТОВИЧ Лорис-Меликов, არამედ... Михаил Тариелович Лорис-Меликов!

სავარაუდებელია, რომ მიხეილის მამის, რუსის ყურისათვის უჩვეულო სახელის წარმოქმნისას პეტერბურგის ჩინოვნიკები, მეფეების — ალექსანდრე მეორისა და ალექსანდრე მესამის ჩათვლით, ენას ისე იმტვრევდნენ, როგორც დღევანდელი მოსკოველები მათთვის საყოველთაოდ სათაყვანებელი ანდრონიკოვის... Ираклий Лаур... Лоар... Лулу... Лу-ар-са-во-вич...

როგორც ხედავთ, ერთი კი არა, ბარემ ხუთი საბუთიც კი გამოვქექე მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვ-მელიქიშვილის ქართველობის დასამტკიცებლად, და მაინც, არ ვთვლი მას ქართველად, რაკი თავი თვითონ მას სომხად მიაჩნდა.

ვფიქრობ, არ იქნებოდა ცუდი, სომხებსაც ყველა სხვა „სომხის“ მიმართაც ანალოგიური დასკვნა გამოჰქონდეთ, მაგრამ, ვეჭვობ, რომ ეს შეძლონ; საერთოდ, ეროვნულ ბლინძვას, ქართველი იქნება ის, ჩუქჩი თუ სომეხი - „ჩვენ ვართ, რაც ვართ!“ - ვერც წამალი კურნავს და ვერც გონივრული რჩევა-დარიგება...

\*\*\*

ჩემდა სავალალოდ, მწერლების გაზეთის ამ ბატონმა რედაქტორმა, ჩემთვის პირადად უცნობმა, მაგრამ წიგნებისა და ტელევიზორის შუამავლობით ახლო ნაცნობმა, არ მიიჩნია საჭიროდ, თ ა ვ ი ს ი გაზეთის ფურცლებზე გამოენახა მცირეოდენი ადგილი იმ დროს უკვე აგონიაში მყოფისაც კი, „კომუნისტის“ მიერ ამ ძირში მიჭრილი „კუდისათვის“, თუმცა, იგივე რედაქტორი დროდადრო და გეგმაზომიერად, ზოგჯერ ნომრიდან ნომერში („გაგრძელება იქნება“) მთელ გვერდებს უძღვნის ხოლმე იმის მტკიცებას, რომ...

მაგალითისთვის მოვიყვან მარტო ერთ ბოლოდროინდელ თავდასხმა-შესევას ან განსვენებულ მერაბ მამარდაშვილზე, როგორც ეს ჩვენ, მეპატიოს „მეიდანზე“ ნასესხები სიტყვის ხმარება - „ყურბანა“ ინტელიგენციამ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შევიტყვეთ ამ მსოფლიოს მასშტაბის პიროვნებაზე, თანამედროვეობის უგანათლებულესი რუსი მეცნიერების მიერაც კი აღიარებულ „ერთადერთ ნამდვილ, ცოცხალ ფილოსოფოსზე საბჭოთა კავშირში“ იმის გამო, რომ იგი მოსკოვში ცხოვრობდა და რუსულად აზროვნებდა და რუსულად წერდა, ამიტომაც ის თურმე... მონათხრობს, უფრო სარწმუნო რომ იყოს, ვფიქრობ, დედანში წაკითხვა აჯობებს („ლიტერატურული საქართველო“, 26.10.90):

„ისევ და ისევ იმიტომ, რომ მამარდაშვილი არაა ქართველი.

მას ქართული სატიკვარი არა სტიკვა, ან გულში სიცარიელე აქვს.

ქართველობას ვინა ჩივის, მგონი, აქვე ფილოსოფოსობაშიც შეირცხვინა თავი:

„ჩვენ ძლიერი, უკვე აშენებული დემოკრატიით შეგვიძლია, გავეყაროთ ასევე ძლიერ და დემოკრატიულ რუსეთს“-ო – ბრძანებს ჩვენთან საგასტროლოდ სიბერეში ჩამობრძანებული რუსულ-საბჭოურ-სოციალისტურ ჟურნალებში ნარედაქტორალი მამარდაშვილი.“

დაე, მკითხველმა თავად განსაჯოს თუნდაც ამ ერთი ციტატის მიხედვით პოლემიკური მსჯელობისა და თავაზიანობის დონე, და ისიც, იყო თუ არა მერაბ მამარდაშვილი ქართველი და რამდენად შემარცხვენელია „ფილოსოფოსობაში“ წინასწარმეტყველება იმისა, რომ დემოკრატიული საქართველო თავს გამოიხსნის იმპერიალისტური რუსეთისაგან მაშინ, როცა თვითონ იგი გახდება დემოკრატიული...

მე კი მოხარული ვარ იმით, რომ არაფილოსოფოსმა ანალოგიური აზრი გამოვთქვი ამ „თავშერცხვინილი“ ფილოსოფოსის დამოუკიდებლად: განთავისუფლდება რუსეთი — განვთავისუფლდებით ჩვენც-მეთქი.

ჩვენთან საგასტროლოდ სიბერეში ჩამობრძანდაო...

ო-ო, ეს „არაქართველი“, მამარდოვ-მამარდიან-მამარდ-ზადე, საქართველოს დაუბრუნდა ფიზიკურად და გონებრივად სულაც არაბერიკაცი, რადგან... „მთელი ჩემი სულით და სხეულით მე ქართველი ვარ“-ო. ხოლო რაც შეეხება „რუსულ-საბჭოურ-სოციალისტურ ჟურნალებს“, აი, რას ამბობდა მათი „ნარედაქტორალი“ სიკვდილამდე ცოტა ადრე, 1990 წლის აგვისტოში:

„ტყუილი რუსეთის იმპერიის ელემენტი იყო და ეს ტრადიცია გაგრძელდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეს ჩვენთვის არაისტორიული და არატრადიციული უნდა მოვიშოროთ და დავუბრუნდეთ ტრადიციულს.“

„...გვეუბნებიან ტყუილს და თვალსაც არ ახამხამებენ, გართმევენ, გახრჩობენ, გთრგუნავენ და შენ თქმაც არ შეგიძლია, რადგანაც ბუნებრივი ენაც ოფიციალური და რიტუალურია.“

„...გვაქვს სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფო არ არის. გვაქვს უცნაური საზოგადოება, რომელიც საზოგადოება არ არის და უცნაური ხელისუფლება, რომელიც ხელისუფლება არ არის... ხელისუფლება საბჭოეთში არის ამორფული. მართავს იმით, რომ ჩვენ ვმართავთ ერთმანეთს მის სასარგებლოდ. ჩვენ ადამიანურად „ვუგებთ“ ერთმანეთს და ვაკეთებთ იმას, რაც სურს საბჭოთა ხელისუფლებას და ვიღებთ საბჭოთა იდიოტიზმს ეკონომიკაში, ხელოვნებაში, სამოქალაქო ცხოვრებაში.“

„იმისათვის, რომ დავუბრუნდეთ საკუთარ თავს, უნდა მოვიცილოთ ეს ამორფული ხელისუფლება, რომელიც თავს მოგვახვიეს და დავუბრუნდეთ ისეთ ცხოვრებას, სადაც პურს პური ჰქვია, ჯარისკაცს — ჯარისკაცი და არა მეომარ-ინტერნაციონალისტი. ესე იგი დავუბრუნდეთ რეალობას და ამ რეალობაში ნაკლები სისხლი დაიღვრება იმიტომ, რომ ლანდები გაცილებით მეტ სისხლს მოითხოვენ, ვიდრე ბოროტი სახელმწიფო ან ხელისუფლება. ეს ძნელი ამოცანაა, ან ამას შევძლებთ ქართველები ან – არა ვართ ღირსნი ისტორიული ცხოვრებისა.“

(სხვათა შორის, როცა „ლიტერატურულმა საქართველომ“ პირველ წერილში, კრივის ტერმინს თუ ვიხმართ, ნოკდაუნით ძირს დაანარცხა, მე აღარ დაველოდე „გაგრძელება იქნებას“ - მეორე წერილ-ნოკაუტს. და გავუგზავნე ჩემი „ასტაფიევი“. „მოკრძალებით და რიდით პირწმინდა ქართველს ბატონ მერაბ მამარდაშვილს.“

და სულ მალე, მიღებისთანავე, ტელეფონზე ჯერ არასოდეს გაგონილი და სრულიად უაქცენტო ქართული მომესმა: „დიდი, დიდი მადლობა გამხნევებისათვის...“).

მერაბ მამარდაშვილი ინფარქტმა მოცელა. ინფარქტი ადამიანს შეუმზადებლად არ ემართება: სულიერი აფორიაქების ნიადაგზე ნაჭდევეს ნაჭდევი ემატება ხოლმე და... სულ ცოტა, ერთი ნაჭდევი მაინც ჩვენც აღვბეჭდეთ იმ გამთათხავი, ორსერიანი წერილებით ქართველობისათვის თურმე ასე საამაყებელ, დიდი ფილოსოფოსის მგრძნობიარე გულზე...

ო. მოგვიტევე და შეგვინდე ჩვენ, თითქოს დიდად განათლებულ პროვინციულ ბრიყვებს, ბატონო მერაბ!..

...და მაინც, ყოველივე ეს რა ბრალისათვის? თუ ეს, „ლიტერატურული საქართველოს“ კვალიფიკაციით, მართლაც დანაშაულია, მაშინ არც პეტრე იბერი უნდა მივიჩნიოთ ქართველად, არც ანთიმოზ ივერიელი, არც პეტრე ბაგრატიონი, არც ივანე რამაზის ძე თარხანოვი, არც ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათოვ-იუჟინი, არც ირაკლი ლუარსაბის ძე ანდრონიკოვი, არც გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძე – ჯორჯ ბალანჩინი... და არც მაყვალა ქასრაშვილი და ზურაბ სოტკილავა უნდა ცხოვრობდნენ მოსკოვში და მღეროდნენ დიდ თეატრში და არც პაატა ბურჭულაძე დანონავდეს ევროპიდან ამერიკაში და ამერიკიდან ევროპაში, მილან-ლონდონ-ვენა-ნიუ-იორკში: სამივენი, თუ ნაღდი ქართველები არიან, უნდა ეგდონ თბილისში და უგალობდნენ ცარიელ სკამ-სავარძლებს ჩვენს სახელგანთქმულ, საქართველოს გარეთ მართლაც სახელგანთქმულ საოპერო თეატრში (წელს გერმანიაში საგასტროლოდ გამგზავრების წინ თბილისში გაცნობის მიზნით ჩამოსული დუისბურგელი მუსიკის პროფესორი გაცეცდა, როცა, მისი აზრით, დიდებულ „აბესალომ და ეთერზე“ დარბაზში ექვსად ექვსი მაყურებელი დათვალა, აქა-იქ ყვავებივით რომ ჩამომსხდარიყვნენ. ასევე, არა მგონია, შევცდე ვარაუდში, თუნდაც ჩვენს პატივისცემ ქართველ თურქოლოგ რედაქტორსაც ანდა მის ნაფიც ავტორს, ყოველივე ქართულისთვის დამწვართ, ქუდიც რომ შევუგდოთ... თუმცა რას შეუგდე, „ახალი თაობა“ ქუდს აღარ იხურავს!).

„ამ „ანტირუსული თეორიით“ ისე გამოდის, ჩვენ რუსეთში, კერძოდ მოსკოვში, მამარდაშვილ-სოტკილავა-ქასრაშვილ-ვირსალაძე-ანანიაშვილებით და, თუ გნებავთ, შევარდნაძეებით კი არ უნდა გვიცნობდნენ, ქართველ ხალხს უნდა ზომავდნენ მაღაზია-ბაზრებში მოთარეშე, ერის

თავისმომჭრელი ვაჭრუკან-სპეკულანტებით და სინდისა და სირცხვილზე ხელაღებული რეკე-ტირ-ბანდიტ-ბინის ქურდებით, რიცხოვნობად ამ „პროფესიის“ რუსებსაც რომ აჭარბებენ ახლა თურმე მოსკოვში...

როცა ჩვენი „ნაფიცი ავტორი“, გურამ პეტრიაშვილი, ამ გვიანდელ მინანერს გაეცნობა, ეჭვი არ მეპარება, არტისტული მგზნებარებით ამოთქვამს ჩემზე:

— დედა-დედა, ეს რა უმადური კაცი ყოფილა!.. მე ხომ ისა ვარ, 1988 წლის ნოემბრის მღელვარე დღეებში ტელევიზიის შენობის კიბე-ბარიკადიდან კომუნისტური რეჟიმის ბრალდასადებად რომ შესძახა, რატომ არ უნდა იბეჭდებოდეს, ხალხო, კიტა ბუაჩიძის „შავი წიგნი“... ეგებ არ იცის, ა?!

არა, ვიცი, იმ დღესვე მომიტანეს ეს ამბავი, მაგრამ გურამ პეტრიაშვილის მიერ მარტო ქართველებისათვის უკვე გამოთხრილ და ან კიდევ უფრო ღრმად გამოსათხრელ „სუვერენულ“ გამოქვაბულში არც ამისთვის და არც სხვა რამისთვის, რა ვქნა, თავს ვერა და ვერ შევყოფ და ჩემი ერისანის არც სხვებს ვურჩევ იქ შეხიზვნას: გარესამყაროსათვის საყურებლად ძალზე ვინ-რო, ძალზე შეზღუდული სათვალთვალოთი აღჭურავს მას მისი მთავარი მშენებელ-არქიტექტო-რი.

ისე კი, საერთოდ., გარდა იმისა, რომ „შავი წიგნი“ უნდა დაიბეჭდოსო, სხვაც ბევრი რამ სა-გულისხმო უთქვამს და ბევრი რამ გონივრულიც დაუნერია და დაუბეჭდავს გურამ პეტრიაშ-ვილს, მაგრამ მათში, პუბლიცისტურ წერილებში, სამწუხაროდ, ისეთ არაგონივრულსაც გამოუ-რევს ხოლმე, კაცს ძალაუნებურად გაგახსენდება ერთი კასრი თაფლისა და ერთი კოვზი, არა ჩა-ის, სუფრის კოვზი კუპრის ნაერთი...

გულწრფელად გაგანდობთ: მე ახლა შიში მზარავს, ვის ამოიღებს მორიგ სამიზნედ უკვე არასოციალისტური, არასაბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ეს, საბედნიეროდ, მგონი, არ-ცთუ მთავარი იდეოლოგი, ვის შეესევა ან ვის შეუსევენ? ღმერთმანი, ჩემს თავს არ ვჩივი, ჩემი თავი ხონჩაზე მიმირთმევია და ჩემი უსამართლო განქიქებაც კი მისგან არც ისე მენყინება, თუ-კი არ ჩხუტავს თავის ნამახულ კალამს ლევან ხაინდრავას, ვერაგულად ჩინეთში დაბადებულს და 32 წლის ასაკში საქართველოში დაბრუნებულს, ქართულის სუსტად მცოდნეს, რომელიც რუსულად წერს და თავს მაინც ქართველ მწერლად თვლის, ორი კარგი ქართველი ვაჟკაცის მა-მას... და თუ მაინც გაიმეტებს, ამ გამეტებამდე წუთით იმაზეც დაფიქრდეს, საქართველოსა და ქართველების დასაცავად რომელი ჩვენგანი გამოაქანდაკებდა ისეთ ბარათ-ალიყურს, როგო-რიც მან მიართვა ჩვენი დროის რუსეთის ყველაზე დიდ მწერალს, ალექსანდრე სოლჟენიცინს?!“ (იხ. „Литературная газета“, 24.10.90).

საერთოდ, როგორღაც ვშიშობ, რუსეთისა და რუსული ენის მიმართ ახლა, როცა თითქმის ყველაფერში დარეტიანებული ვჩქარობთ, ვაითუ, მეორე უკიდურესობაში გადავვარდეთ, მსგავსად ოციანი წლების იმ „კომცომოლებისა“, რომლებიც, ყველაფერი ძველის ნგრევის ექ-სტაზით შეპყრობილნი, ლაფში ანარცხებდნენ, კერძოდ, ეკლესიათა ჯვარ-გუმბათებს, სახარე-ბას ცეცხლს უკიდებდნენ, მღვდელმსახურთ „ცოცხლივ“ წვერს აგლეჯდნენ...

ჰოდა, ახალი, კომუნისტური ქვეყნის ამ „მშენებლობამ“ თუ რა ნაყოფიც გამოიღო, ეს ახლა ვის არ მოეხსენება...

რუსული ენა უნდა ამოიძირკვოსო, გაიგონებთ ხოლმე ჩვენი დროის მიტინგებზე თითქოს იმ „კომცომოლების“ მონათესავო, დაუდულარი გონების მომაჭრო ახალგაზრდებისაგან, ზოგ-ჯერ უკვე დადულებულ-დაღვინებულთა ჩაგონებითაც...

კი, მაგრამ... მაშინ, აბა, რა ენაზე უნდა ელაპარაკოს დამოუკიდებელი საქართველო ბალ-ტიისპირეთის, შუა აზიის, კავკასიის ხალხებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, მოლდაველებს, ყა-ზანის თათრებს, თვით რუსებს? – ინგლისურად?

ო-ო, თავის მოტყუება იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ თუნდაც ოდესმე რუსულის ნაცვლად საქართველოში ინგლისური დამკვიდრდება საყოველთაოდ... ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით მდებარე დიდი ბრიტანეთის კი არა, პატარა ბავშვობიდანვე ჩაგვესმის მეზობელი რუსეთის ენა და მაინც ის, უმაღლესი განათლების დიპლომის მიხედვით ინტელიგენტებად მიჩნეულებსაც კი რიგიანად ვერ შეგვისწავლია და... ინგლისურს ავითვისებთ მასობრივად?!

დიახ, ამ დიდი ეროვნული განამანის დროს გონება თუ გვიმტყუნებს, რუსეთსა და რუ-სულ ენას ზურგს შევაქცევთ, ეს სიკეთეს ბევრს არაფერს მოგვიტანს... რასაკვირველია, მე ლი-გაჩოვ-იაზოვ-როდიონოვის რუსეთს როდი ვგულისხმობ, - ახალს, თავისუფალს, რომელიც რუ-

სეთის დიდი შვილების ოცნებაც იყო მუდამ და რომელზეც ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მეაბ-ჯრე, იაკობ მანსვეტაშვილი წერდა:

„ნუ დავივინწყებთ, რომ ილიაც და ჩვენ ყველა მისი თანამოკალმენი გაზრდილი ვიყავით რუსეთის მწერლობაზე. ვინ იყვნენ ჩვენი ჭკუისა და გონების გამწვანებლები? ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და რუსეთის მეცნიერნი. ვინ გვაძლევდა საკვებს გრძნობისას და გემოვნების გაღვიძების და განვითარებისათვის? პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვანი. ჩვენ ვიყავით იმათი ღვიძლი სულიერნი შვილნი. და განა დასაგმობი არ იქნებოდა ისეთი შვილი, რომელიც შეაგინებს, შეურაცხყოფს თავის დედას, იმ დედას, რომელმაც იგი თავისი ძუძუთი გამოზარდა? ჩვენ ამას ვერ ვიზამდით, რადგან უმადურობა კი არა, უგუნურობაც იქნებოდა. არა, ჩვენ გვძულდა და ამ სიძულვილს არცა ვმალავდით, გვძულდა რუსეთის მთავრობა, გვძაგდა რუსეთის წესწყობილება, გვეზიზღებოდა ის წარმომადგენელი ჩვენში, რომელიც უხეშად, ბრყვიულად გვიფურთხებდნენ და ფეხქვეშ გვითელავდნენ ყველა იმას, რაც ჩვენთვის წმინდას შეადგენდა“.

ღიას, ჩვენც გვძაგს თანამედროვე რუსული წესწყობილება, გვძულს საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მოგვახვია ხალხთა ძმობის კავშირად სახელმწიფოებრივ საბჭოთა რუსეთმა, სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესმა და ადამიანურად ვერაგმა და უღმობელმა, და საქართველო, ეს ლიფსიტა თევზი, დღეს თავგამეტებით იბრძვის, რათა ამ გველეშაპს როგორმე დაუძვრეს და ცოცხალი თავიც შერჩეს...

ღმერთმა ქნას, ღმერთმაც ქნას, მაგრამ... მმ... ათასჯერ უფრო მოხარული ვიქნებოდი, თუკი ეს ჩემი ნაღველნარევი პროგნოზი არ გამართლდებოდა: ძალზე სათუთა, რომ არამოსაჩვენარ, ნ ა მ დ ვ ი ლ თავისუფლებას რუსეთისავე მძლავრი ხელის დაუხმარებლად მოვიპოვებთ; ჩვენი მონური ქვეშევრდომობის ჯაჭვების აყრა დამოკიდებულია ისევ და ისევ რუსეთის ხვედრზე.

ღიას, განთავისუფლდება რუსეთი – განთავისუფლდება საქართველოც!

მივაკითხოთ ისტორიას: განა ასე არ მოხდა 1917 წელს, როცა თებერვლის რევოლუციამ გამოიხსნა ცარიზმისაგან რუსეთი და მასთან ერთად გვიხსნა ჩვენც?!

ამიტომ მოდით...

თუმცა ჩვენ, დღევანდელი ქართველები, ერთმანეთის დაუნდობლობით უფრო წარმართებს ჩამოვგავართ, ვიდრე ქრისტიან მართლმადიდებლებს, მაგრამ მაინც, მუხლმოყრილებმა ვილოცოთ და ვევედროთ უფალს მუსულმანებივით დღეში ხუთჯერ, რათა თვით რუსეთი დაუსხლტეს დროულად.. საბჭოთა რუსეთის ბოროტების იმპერიას!

ამ მიზნის მისაღწევად გაბედულად იბრძვიან კიდევ რუსეთისავე გონებანათელი, დემოკრატი შვილები – ვასილიევი და სობჩაკები, ტრავკინები და სტანკევიჩები, კარიაკინები და ვლასოვები, აფანასიევი და ლიხაჩოვი...

ღიას. ლიხაჩოვი, დიმიტრი ლიხაჩოვი, უსპეტაკესი სინდისის მქონე ეს დიდი ინტელიგენტი და მეცნიერი, მარტო ერთია რუსეთში, მას გვერდით ტოლს ვერავის ამოუყენებ, ამიტომაც არ ითქმის და არ ვწერ, ლიხაჩოვები-მეთქი...

ვაგლახ,, ჩემგან მისთვის ასეთი დიდი ფასის დადებას არა და არ დაეთანხმება ჩვენი პატივცემული გურამ-მეხდამტეხი, აკი მან ერთხელ საკმაოდ უპატივცემულო ტლინკი ლიხაჩოვსაც ჰკრა, როგორც შოვინისტ რუსოფილს, რომელსაც თურმე პატარა საბჭოთა ხალხები თვალში თითქოს კიდევ უფრო ეპატარავენ და ბევრად არც არაფრად თვლის მათ; ამათში, თავისთავად ცხადია, ქართველებიც იგულისხმება...

რამდენად მართებული და სწორია ყოველივე ეს, ამის დასადგენად, სჯობს, სიტყვა მივცეთ ნერილობით დოკუმენტს – ლიხაჩოვის მიერ ჩემდამი მოწერილი სამი ბარათიდან მხოლოდ ერთს, რომელიც მიღებისას ყველას წინაშე არც ამიფრიალებია, რადგან იმხანად ჩეკისტური ცენზურა კიდევ მძვინვარებდა და შევშინდი, ვაითუ რაიმე ხიფათი შეემთხვეს ამის მომწერს-მეთქი:

Дорогой Кита Михайлович!

Большая, большая благодарность Вам за чай.

Хотелось бы поговорить как-либо с Вами. Сейчас в муках рождается нечто совсем новое и спасительное не только для Грузин, но и для России. Россия была прикована к захваченным ею

территориям, и это было плохо прежде всего для нее самой, для ее культуры, для свободного развития, для свободы политической ее самой.

Мучила других и тем самым мучилась сама в тисках оков, созданных ею для других.

Ну, да этого всего не объяснишь в письме.

Еще раз большое спасибо. Для меня он (чай) приятен еще тем, что подарен он грузином.

Любящий Вас

Д. Лихачев

29.03.90

ახლა ხომ ხედავთ, მკითხველო, რა ყალიბის „შოვინისტი“ „დერჟიმორდა“ რუსიც ყოფილა აკადემიკოსი დიმიტრი ლიხაჩოვი?

ვინც რუსული სუსტად იცის და ეს ვერ იგრძნო, მათ ამ ისტორიული, დიას, ისტორიული ბარათიდან ერთი ფრაზის თარგმანს მაინც მივანვდი: რუსეთი „ტანჯავდა სხვებს და ამით თავადაც იტანჯებოდა მის მიერ სხვებისათვის შექმნილ მარწუხებში მოქცეული“-ო.

დასასრულ, ერთი პატარა ამონაწერიც იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ „ვძულვართ“, კერძოდ, ჩვენ, ქართველები, საქვეყნოდ ცნობილ ამ აკადემიკოსს:

„Благородство, рыцарственность, самопожертвование, сознание собственного достоинства, сознание своего служения высшей идее – вот, что в моих глазах стало главным в представлениях о грузинах.“

(Багратион русского искусства, «Партийное слово», №10, 1981г.);

ქართველ ხალხს ბოლო დროს ბევრი რუსი მეგობარი შემოაკლდა: ზოგი სიკვდილმა წაგვართვა, ზოგიც ჩვენზე არასწორი, სახელგამტეხი ინფორმაციის წყალობით ჩამოგვშორდა...

შემორჩე-

ნილ მეგობრებს უნდა გავუფრთხილდეთ, დაუფიქრებელი, ავყია სიტყვით ისინი არ უნდა დავკარგოთ.

კ.ბ.



## **დიდად კატივცემულო, ბატონო ქურდებო!**

**ჟურნალი „ნიანგი“, 21 ნოემბერი, 1990 წ.**

ამ კარის ზარს ბოლო ხანებში რამდენჯერმე ჩამოჰკრეს ჩვენი დროის მეტწილად ახალგაზრდა ბატონიშვილებმა; ხელში მათ, ზოგს პორთფელი ეჭირა, ზოგს - „დიპლომატი“... ზოგიერთი თითქოს დაღლილიც ჩანდა, რა ხანია, ალბერტ მუჩაიძეს ვეძებ და მეგონა, აქ ცხოვრობდამო; ზოგიც – თითქოს შეწუხებული, დაზიანების ბიუროდან ვარ და თქვენი ტელეფონი გლახად ხომ არ მუშაობსო; ერთმა კი... თქვენთვის ზვიად გამსახურდიას უნდა დაერეკა და ხომ არ დაურეკიაო...

ო-ო, ქრისტეს მადმერთებელნო შვილნო, რასაკვირველია, იოლი მისახვედრია ჩემი ბინით და ჩემი პიროვნებით, მუჩაიძისა და ტელეფონის გაუმართავი მუშაობით და თუნდაც ჩემთვის პირადად უცნობი ზვიადით ასე რატომ დაინტერესდით; გეტყობათ, გაგიგიათ, ვილაც კიტა ბუაჩიძე, ალბათ, კოოპერატორი, თურმე, ისე მდიდარია, მისთვის სრულიად უცნობ მრავალშვილიანებსაც კი ათასებს ურიგებსო...

ჰოდა, ტომრები ფულეებით რომ არ ჰქონდეს დატენილი და ბინა ოქროებით გამოტენილი, რა შვილია, გადამთიელი უცხოებისათვის მანეთსაც შელეოდაო...

ო, როგორ გავბედო, ქრისტეს უებრო შვილნო, თქვენი ვარაუდის გაქარწყლება, მაგრამ... რა ვქნა, შეველიე, მანეთზე მეტსაც შეველია, ოღონდ არა იმიტომ, რომ სიმდიდრე თავზე გადამდის და ბინა ხელოვნების მუზეუმის დახურულ სეიფს მიმიგავს...

ო, არა!..

ისე, საერთოდ, რომ იცოდეთ, ქრისტეს გამგონე შვილნო, მოყვასისათვის სიკეთეს ჯიბე როდი იმეტებს, გული, გული იმეტებს!..

მე საუცხოოდ ვგრძნობ, ქრისტეს გონება გამჭრიახნო შვილნო, თქვენი მახვილი თვალი მინცდამინც ამ კარს რატომ დაადგით; თქვენებრ დიდად კვალიფიციური ოსტატები კი არა, ჯერ კიდევ სულაც გაუნვრთნელი თქვენი შეგირდებიც კი მას უბრალო, გრძელი ლურსმნის ჩხაკუნითაც გააღებენ, მისი შემტვრევა კი ერთი საშუალო ძალის წიხლის კვრითაც შეიძლება...

აღბათ ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, ფანერის ასეთი ფარღალალა კარი მთელ თბილისში, მგონი, მარტო მე შემომრჩა - აკი თითქმის ყველამ მუხისა და ბზის კარებიც კი ათას მანეთად ღირებულ რკინის ცხრაკლიტულებზე შეცვალეს, რომლებსაც ზოგჯერ ზეინკლების დაუხმარებლად პატრონებიც ველარ ალებენ...

ისე კი, სიმართლე გითხრათ, თუკი ჩემი ოროთახიანი ბინა, ქრისტეს ერთგულნო შვილნო, ციხესიმაგრედ გადაიქცევა, ამისათვის ათას მანეთს არც მე დავიშურებდი, მაგრამ ეღირება კი ამ ფასად ჩემი საცხოვრებელ-საბადებელი?! ანდა... თქვენ მერე, აბა, რა პირით შეგანუხოთ, რომ რკინის კარს ეჯაჯგუროთ?!

ამიტომ, ქრისტეს ხელხვაიანო შვილნო, რაკი სურვილი გაქვთ, ეს ფანერის კარი ამთავითვე გაბედულად შემოაღეთ და შემობრძანდით საბძელ-სადგომელსა ჩემსა, ოღონდ, თქვენი თავის ჭირიმე, ცოტა ფრთხილად, წიგნებისა და გაზეთების ზვინებს ზედმეტი ვაჟკაცობით ფეხი არ წამოჰკრათ და არაფერი იტკინოთ...

მერწმუნეთ, ქრისტეს მასახელებელნო შვილნო, მთელი ჩემი მილიონები მე—9 საავადმყოფოს ახლოს თავგის სოროს ოდენა შემნახველი სალარო რომ არის, იქ ინახება, ასე რომ, წიგნებში მიმალულს თუმნიანსაც ვერსად წაანყდებით, და ვერც თივით გამოტენილ ბალიშში, მუთაქა კი, სამწუხაროდ, ჯერ სულაც არა მაქვს...

ჰოდა, ამიტომ და იმიტომ ხელაპყრობილ-ფეხმოდრეკილი უმორჩილესად გევედრებით, ასიანებისა და ბრილიანტ-ოქროების ძებნაში ნუ გადააქოთებთ და ნუ აწენ-დანენავთ და ნუ მიყრი-მოყრით წიგნებსა და მით უფრო ნაწერებს და ამით, ქრისტეს გულმონყალნე შვილნო, ნუ გამანვალ-გამანამებთ - ვაი, რომ მათ მისალაგ-დასალაგებლად დარჩენილი სიცოცხლე აღარც მეყოფა...

მე კი თქვენგან, ამას თამამად გეტყვით, ასეთი დანდობის ღირსი ვარ კიდევ: იყო დრო, როცა ციხეებსა და კოლონიებში ღვანღმოსილ დიდ ქურდებსა და ნიჭიერ დამწყებ ქურდებს შორის მთელი შვიდი წელიწადი ვტრიალებდი და მე იქ ის თქვენი წინამორბედი მოკრძალებით და სიყვარულითაც კი მეპყრობოდნენ: მე მათ ნაირფერ გულისამაჩუყებელ წერილებს ვუნერდი ხოლმე თუ ცოლებსათვის, თუ სატრფო-საცოლეებისათვის და ამათაც, ომიანობის დიდი გასაჭირის ჟამსაც კი, მსუქან-მსუქანი „პერედაჩები“ მოჰქონდათ და მოჰქონდათ...

ჰოდა, ქრისტეს მაღლიანო შვილნო, ნუ დამიკარგავთ ამ დამსახურებას თქვენი სახელოვანი ქურდული სამყაროს წინაშე!

დაბოლოს, გთხოვთ, ნება დამართოთ, რათა მეც დაგლოცოთ, ქრისტეს კურთხეულნო შვილნო: დაე, მუდამ გამარჯვებით გეველოთ იმ მართლაც ტომრებფულიანების რკინის კარებისაკენ, ვინც საერო-საქვეყნო საქმისათვის დღეს ასე თითქმის უბრალო ჭუჭყიან ქალაქად ქცეულ ათმანეთიანსაც არ იმეტებენ...

კარს მიღმა მცხოვრები  
თქვენი უზომოდ მოსიყვარული

1990 წლის ოქტომბერი

კიტა ბუაჩიძე



**ინდოეთის სპილოჯი საქართველოში ანუ სიმახინჯე,  
რომლის ტარებაც არ ემიქმებათ,**

**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 22 ნოემბერი, 1991 წ.**

*„ვინც ლუარსაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამინყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა.“*

**ილია ჭავჭავაძე**

ჩვენს ბედკრულ დროში სიკვდილი ისე მოგვიმრავლდა, დღე არ გავა, პანაშვიდზე წასვლა არ მოგვიხდეს.

წესად მაქვს: არასოდეს მიცვალებულს არათუ არ ჩავაშტერდე, არც კი შევხედო, არც გადავხედო; ნაცნობია თუ უცნობი, ახლობელია თუ შორეული, მინდა, მისი სახე მეხსიერებაში ცოცხალი ჩამჩქეს (თუმცა იყო კი ერთი-ორი შემთხვევა, როცა ამ წესს ზურგი ვაქციე, - რაკი ლენინი და სტალინი ცოცხალი არასოდეს მეხილა, ისინი მავზოლეუმში მოვინახულე.

ხრუმროვი, ო, რა დიდად მოტყუვდა, როცა მკვდარი სტალინი მარშლის თუ გენერალისი-მუსის მუნდირში გამოაწყო: სიცოცხლეში ტანმორჩილად მიჩნეული მთავარსარდალი სარკოფაგში, მით უმეტეს, უკვე მუმიადამდნარ, მუჭისოდენა ლენინთან შედარებით, მნახველებზე დევეკაცის, მართლაც მილიონების უებრო ბელადის შთაბეჭდილებას ახდენდა; ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, როცა ეს იგრძნო, ნიკიტუშკამ იჩქარა, მის ხრიკინა გოგრაზე ჩიბუხ-ჩამკაკუნებელი დიდი იოსები მავზოლეუმის უკან მალულად ჩაემინებინა).

... ამ განსვენებულს არათუ ვიცნობდი, არც ოდესმე მენახა, მაგრამ რაკი მის უახლოეს ნათესავთან კეთილი ურთიერთობის ძაფი მაკავშირებდა, არ შეიძლებოდა, ახლა მისთვის ჩემი სამძიმარი ტრადიციული ხელის გამამხნეველები ჩამორთმევით და კუბოს ირგვლივ შემოვლით არ გამომეხატა.

და ამ შემოვლის დროს ცალი თვალი, ჩემდა უნებურად, როგორღაც ჯერ ისევე სუდარაგა-დაფარებულ თავლია კუბოსთან გამექცა: მის შუაგულში, ვაკე ყანაში ჩალის ზვინივით თუ მიძინებულ ზღვაში აისბერგივით, დიდზე დიდად ამობურთულიყო...

არა, ცხედარს, ვინ იცის, ეგებ ნეტარსახსენებელს, ვერ შევკადრებ არათუ აპოლონისებრი სილამაზის გამომხატველ იმ სიტყვას, ასო „ფ“-ზე რომ იწყება...

ეს კია, კიბის ბაქანზე მდგომს, სევდამორეულს (ყველანი სიკვდილის ულუფა ვართ!), ერთმა, თეატრალურ წარმოდგენებზე უფრო პანაშვიდებზე სიარულის მოყვარულმა, ჩამჩურჩულა, ვერ ამჩნევთ, არსად კუბოს თავსახური არაა მიყუდებული, არ მორგებია თურმე და უკანვე გაუბრუნებიათ და ახალი შეუკვეთიათ, წინანდელთან შედარებით ბევრად უფრო ჭერმაღალი და ახლა ჭირისუფლები ნერვიულობენ, ვაითუ, ხვალ, გასვენების საათისთვის ვერ მოესწროსო...

... ამ სამიოდე წლის წინათ ჩვენმა ტელევიზიამ თავის გადაცემებში ერთი ისეთი სიახლეც შეიტანა, რომელიც იმდენად ორიგინალურად და გონებამახვილურად იყო მოფიქრებული და გათამაშებული, რომ ცენტრალური ტელევიზიაც კი დაგვეესხა; გახსოვთ ალბათ „აუქციონი“, სადაც „სარეკლამოდ“ იფინებოდა ისეთი ტანთშესამოსელი, იოლად რომ ვერ ჩაიცვამდი: ზოგს სახელო ჰქონდა ვინროზე ვინრო ან მოკლეზე მოკლე, ზოგს, მაგალითად, შარვალს – ერთი ტოტი ისეთი ფართო, დათვის ტორი გაეტეოდა, მეორე ტოტი კი თითქოს თხის ფეხისთვის იყო მოზომილი.

„აუქციონზე“ აგრეთვე გამოეფინათ (თუ აიძულეს, გამოეფინილყვენ?) „რიჟი პამაგას“ ამ გარდერობის ნათელშუბლიანი მწარმოებელ-შემოქმედნიც...

ერთ მათგანს, ნათელი შუბლის გარდა, ყრონჭამდე აზიდული, გრანდიოზული სტომაქიც ამშვენებდა და რაკი მის წინ მაგიდა არ იდგა, მუხლებამდე კი ხელებს, საპატიო ფიზიკური მიზეზის გამო, ვერ მიაწვდენდა, ამიტომ ბლოკნოტი...



არა, ნუ ვიხმართ შეურაცხმყოფელ სიტყვა ფაშვს, მუცელზე დაედო და რალაცას ინერდა (ეგებ, ვაითუ დამავინყდესო და, უკვე ამთავითვე სახავდა თავისივე ნაკეთობა-საქონლის ხარისხის მკვეთრად ამაღლების გზებს.)

მეორე მის კოლეგას, ამგვარივე მონუმენტური „ფასადის“ მქონეს, ხელები, დაფარვის მიზნით, ჯვარედინად დაენყო, მისი აზრით, უფრო ღიბზე, ვიდრე ფაშვზე, თვალები კი ისე მიელულა, აქაოდა, თუ გინდათ, მთვლემარედაც ჩამთვალეთ, ოღონდ ნუ მკითხავთ, თუ მარტო ხელფასით ცხოვრობ, საიდან ამოდენა მუცელიო, და ნურც მოხუც მამაჩემსავით გამკილავთ და მოიგონებთ, სტალინის დროსო ოდნავ მუცელგამონეულსაც კი ზედ ხელს უთათუნებდნენ და ეკითხებოდნენ „რა არის, ბიჭო, ეს? „სოციალისტიჩესკი ნაკაპლენიაა“ (სოციალისტური დაგროვე-ბაა)?!“

... ამ ქირურგ ქალს ოქროს ხელები აქვს, მაგრამ უცნობები მას თავიანთ თავს ძნელად თუ ანდობენ, ისინი სიმპათიას უფრო იმ კაცი-ქირურგის მიმართ იჩენენ, რომელიც... რომელიც...

და ამის მიზეზი ის როდი გახლავთ, რომ ეს კაცია და ის ქალი. ეს კაცი, კოლეგებში საკმაოდ ნაკლებად ხელმარჯვე მედიკოს-ოპერატორად ცნობილი, წარმოსადეგი გარეგნობისაა, ახოვანი; როცა იგი საავადმყოფოს დერეფანში ნიკოლოზ პირველის ანდა ალექსანდრე მეორის, გნებავთ, მესამის (ამათი მომდევნო ნიკოლოზ მეორე მომცრო ტანისა იყო) მეფური სიდიადით ჩაივლის ხოლმე, გასაჭრელად განჩინებაგამოტანილი პაციენტები, მეტწილად სოფლელები, იმედიით თვალს აყოლებენ და მის ხელებს წინასწარ ლოცავენ, იმ კაბიან, ტანმორჩილ, მართლაც ოქროსხელებას კი უცნობები გაურბიან კიდევც...

ო, ნეტავ ეს ახლო ნაცნობი დედაკაციც მისთვის უცნობი ყოფილიყო, აი, ის, ის, გუშინ საოპერაციო მაგიდაზე რის ვაივავლახით რომ აბობლდა და ზოდივით... ოღონდ არა ოქროს ზოდივით, გაიშოტა: ჰიპოკრატეს ფიცის უღალატო დასტაქარსაც კი, ვიდრე იგი საგანგებოდ ალესილი დანა-სკალპელ-პინცეტით საოპერაციო ორგანოსკენ გზას გაიკვლევდა, შუბლზე წურწურით ღვითქი გადასკდა და ამაში ხელს მას ტანად პატარა ქალობა კი არ უშლიდა – მთელი ის მიდამო ქონით იყო მოდებული და მრავალტანჯული, სნეული კუჭი საძებნელი გამხდარიყო.

...სცენის ამ მართლაც ცნობილმა ხელოვანმა პრემიერაზე, თითქოს მისი ბენეფისიო, თაყვანისმცემელთაგან შესაშურად ბევრი ვარდ-ყვავილი მიიღო, მის გვერდით ჩამწკრივებულმა სპექტაკლის სხვა მონაწილეებმა კი... ერთიც არა, არც იის კონა, არც ყელმოღერებული მიხაკი!

ჰოდა, მათში ერთს მაინც, მთავარ პარტნიორს, გული რომ არ დასწყვეტოდა, ბენეფიციანტმა თაიგულებიდან რამდენიმე თავმომწონე ვარდი შეარჩია და მისართმევად თანამოდვანე არტისტი-ქალისკენ გაემართა, მაგრამ, რალაც ეშმაკად, სწორედ მის წინ ეს სურნელოვანი ნობათი როგორღაც ხელიდან გაუსხლტა და... ასაღებად დახრა კი დააპირა, მაგრამ ამ განზრახვას მისმა ერთმა „რალაცამ“ ვერაგულად გზა გადაუღობა, რაც, სხვათა შორის, მაყურებლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, ბევრს გაელიმა, ზოგიერთმა „უზრდელმა“ კი ხმამაღლაც ჩაიციხა.

...კავშირგაბმულობის სამინისტროს ლიფტში სამი ადამიანი, ასე თუ ისე, თავისუფლად ეტევა, ოთხს კი უკვე ცხვირები თითქმის ერთმანეთზე აქვს მიბჯენილი; მე ამ „კოსმოსური ხომალდით“ ასეთი შემადგენლობითაც არაერთხელ მიმგზავრია და, დალოცოს ღმერთმა, თუმცა ჭრიჭინ-ჭრიჭინ, მაგრამ „სოიუზპეჩატის“ მეოთხე სართულამდე მაინც მშვიდობით მიულწევია; ამას წინათ კი მე, არცთუ სულ ჩხირივით ხმელს, მაგრამ არც კომბალივით მსხვილს, და საშუალო ზომა-წონის ქალს ის-ის იყო, ღილაკთან თითი უნდა მიგვეტანა, როცა ერთმა კაცხორციელმა ლიფტში ქოშინ-ქოშინ ჯერ თავი შემოყო, მერე კი ნიკაპს ქვემოთ მდებარე სხეულის სხვა ნაწილებიც, როგორც იქნა, შემოაგია და... თუმცა ყველა ღილაკს, ვისაც რომელ სართულზეც ასვლა გვენდა, თითი დავაჭირეთ, მაგრამ არა და არა, ადგილიდან არ დაძრულა, თითქოსდა ეს უსულო, მექანიკური ამყვან-ჩამომყვანი დანადგარი კი არ ყოფილიყო, არამედ ჯორი, უსაშველოდ მძიმე ბარგი-ბარხანა რომ აჰკიდეს და თან ციცაბო აღმართი უჩვენეს ასასვლელად.

დიახ, გაჯიუტებული ეს ელექტროჯორი ადგილიდან მხოლოდ მაშინ დაიძრა, როცა მე იგი (აბა, „ჯენტლმენი“ კაცი მანდილოსანს ანდა ლამის გულამოვარდნილ მამრს გარეთ ხომ არ გაუძახებდი!) დავტოვე და მის კარზე ამოვიკითხე, „არა უმეტეს 240 კილოგრამისა!“.

... ყოველმხრივ საოცარმა იაპონიამ მსოფლიო ბევრ სხვა ყველაფერთან ერთად, სპორტის არაერთი, ჩვენთვის უცხო სახეობითაც გაამდიდრა. კერძოდ, მაგალითად, მათი ძიუ-დო ქართველებმა უკვე ისე შევისისხლხორცეთ, ახლა თვით იაპონელებსაც ტოლს არ ვუდებთ. ეს კია, იაპონიაში დიდად ცნობილმა და იაპონელთათვის დიდად საყვარელმა, 1500 წლის ისტორიის

მქონე ჭიდაობა სუმომ საქართველოში დღემდეც ვერ შემოაღწია და, საერთოდ, იგი ამ ამომავალი მზის ქვეყნის საზღვრებს იქით ფართო მასშტაბით ვერა და ვერ გასცდა, თუმცა სუმო მაინცდამაინც მრავალფეროვანი და რთული ილეთებით არ გამოირჩევა: ოთხმეტრიანი დიამეტრის წრეში მოჭიდავენი ერთმანეთს ერკინებიან და ვისაც ამ ჭიდილში ამ წრის გარეთ ფეხი გადაუცდება, ანდა ამავე წრეში დააჩოქებენ, იგი ითვლება დამარცხებულად. სუმო არ ცნობს სხვა ჭიდაობებში დანესებულ წონათა კლასიფიკაციას. ს უ მ ი ს ტ ე ბ ი , ვიდრე საჭიდაო სარბიელზე გამოსვლის პატივს დაიმსახურებენ, სპეციალური კვებით, რომელსაც პირობითად შეიძლება დინოზავრის დიეტა შეერქვას, ისეთ გიგანტურ წონას იკრებენ, რომ... რომ...

აი, თუნდაც თუ განყრა ღმერთი და დისნეილენდივით ამ საკვირველებათა ქვეყნიდან ასეთი სტუმარი გვეწვია და ის ჩვენი კავშირგაბმულობის სახლის ლიფტით ისარგებლებს, მაშინ ამ ლიფტს მთელი თავისი ძალის მაქსიმალური მობილიზაცია მოუწევს.

ჰოდა, თუ ასეაო, იკითხავს, ალბათ, ამ სტრიქონების ნორმალური წონის მკითხველი, საქართველოში რატომ არ იწერება თუნდაც დიდი სახელმწიფოების შესახარბებლად სუმო – ჭიდაობის ეს საინტერესო სახეობა, განა ჩვენ ცოტა გვყავს ისეთები, ვინც დინოზავრის დიეტას მისდევს?!

მიიხედ-მოიხედეთ, შეიხედ-გაიხედეთ, – გნებავთ პროსპექტებზე, ქუჩებში, შესახვევებში, ჩიხებშიც კი, გნებავთ – დანესებულებებში, გნებავთ – ინსტიტუტ-უნივერსიტეტ-აკადემიებში, გნებავთ – „სულ ზევითაც...“

წარსულ საუკუნეში სუმოსთვის ერთეულები თუ მოგვენახებოდა, ბავშვობიდანვე ჩვენთვის ასე ახლოს ცნობილი ლუარსაბ თათქარიძის მეთაურობით, ახლა კი... ვითომ დიდად გაჭირვებულადაც კი ვცხოვრობთ, და მაინც, ყოველი მეოთხე-მეხუთე ქართველი, სოფლადაც კი, ერთი ისეთი „რალაცით“ იმშვენებს თავს, როგორადაც ავსტრალიის კენგურუ ბაყვებთან მოქცეული ჩანთით, ყოველი მეათე ქართველი კი... თუნდაც დღესვე შეაგდეთ სუმისტების საჭიდაო წრეში!

მაგრამ, ო, არა! იაპონელი სუმისტები ლემის ტომრები როდი არიან, მათ გიგანტურ წონას გიგანტური ძალა და ღონე ახლავს თან, რასაც ოფლდამდენი, საყოველღეო ვარჯიშით აღწევენ, რაიც, საერთოდ, გაუთავებელი, შეუწებელი პირის გემოს „ვარჯიშით“ როდი მიიღწევა...

სხვათა შორის, სიტყვა „მიღწევა“ ქართულში მხოლოდ კარგი რამის მიღწევას გულისხმობს, კარგი რამ კი გონებრივი თუ ფიზიკური ენერჯის დაუხარჯავად აქამდე არსად არაფერი შექმნილა.. კალორიებზე კალორიების დაზღვაგებით ორგანიზმში მხოლოდ ცხიმეულს დააზღვავენ, ძალ-ღონის წყარო კი კუნთებია...

ვისაც დიდუბეში გაუვლია, სტადიონის ცოტა იქით, მეტრო „წერეთელთან“ (ვისარგებლებ შემთხვევით და აქვე დავსძენ: სხივნათელი აკაკის სახელობის ეს სადგური ისეთი გულისშემლონებელი, კუკუნახი სვეტებით არის „მოხატული“, უფრო კრემატორიუმს რომ მოუხდებოდა)...

...დიახ, მეტრო „წერეთლის“ თავზე ვეებერთელა წარწერაა: „გადავაქციოთ თბილისი მასობრივი ფიზიკური კულტურის ქალაქად!“

ორი ათეული წლის მანძილზე ეს ლამის ასმეტრიანი მონოდება-პლაკატი ორჯერ განაახლეს, ბოლოს მორბენლებიც მიახატეს (დასტურ, ჩვენი საუკუნის უდიდეს ფიზიკოს ალბერტ აინშტაინს არავისი არაფერი შურდა, გარდა ერთი რამისა: შურდა მათი, ვისაც რბენა კიდევ შეეძლო)... და მაინც, მიუხედავად ასეთი შეგონებისა, ჩვენი თვალი, ჩვენი დედაქალაქი ამ ოც წელიწადში მასობრივ კაპიტალურმუცლიანთა ქალაქად უფრო გადაიქცა, ვიდრე საყოველთაო ფიზიკური კულტურის ქალაქად.

წელს, გამოზაფხულზე, ვაშინგტონში, დიდი სახელმწიფოების მეთაურები შეიკრიბნენ. ტელევიზიამ გვიჩვენა, რალაც ორი საათით ადრე ამ ფრიად მნიშვნელოვანი თათბირის დაწყებამდე სხვა მორბენალ, უბრალო ამერიკელებთან ერთად გაკრიალებულ ქუჩაზე როგორ მორბოდა, ტრუსისა და მაისურის ამარა, ტანწერნეტი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში...

თვალი, დალოცვილი ტელევიზიის წყალობით, სულ აგერ ახლა ამასაც მოვკარით: მოსკოვში ბოლოდროინდელი ჩამოსვლისას, როცა წითელ მოედანზე ბავშვს ხელიდან რალაც გაუვარდა, 67 წლის „ამ სიმალის“ ჯორჯ ბუში უმაღვე დაიხარა, აიღო და მიანოდა...

დიახ, დიახ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი!.. და ამით მისი პრეზიდენტობა ჩვენს გულში და გონებაში არ დადაბლებულა, პირიქით, მყინვარწვერამდე ამაღლდა როგორც „სპორტულად“, ისე ადამიანურად...

საერთოდ, ამერიკაში ყინჩიაობა თურმე არავის არ ახასიათებს, არც მულტიმილიონერს, არც კინოვარსკვლავს, პრეზიდენტს ხომ არა და არა...

...დიახ, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად თითქმის მთელი ამერიკა დარბის!

კი, ბატონო, ჩვენც ვირბენთ, ვირბენთ, მაგრამ... რას ირბენ, გენაცვალე, როცა ზურგზე სამი ფუთი კარტოფილი გაქვს ნამოკიდებული... უფრო მიუხვეველ-მოუხვეველად, უქარაგმოდ, პირდაპირ თუ ვიტყვით, სამფუთიანი მუცლით ხუთიოდე მეტრსაც გაირბენ კი?! (ცნობად მათთვის, ვინც ძველი დროის ზომა-წონას არ იცნობს: ფუთში 16 კილოგრამია!).

გამოითვალეს: ჯერ კიდევ 1998 წელს ამერიკელებმა 5 მილიარდი დოლარი დაახარჯეს, რათა ზედმეტი წონა დაეგდოთ.

ორჯერ ინფარქტგადატანილი, წარსულში ცნობილი მოჭიდავე, არაერთგზის მსოფლიოს ჩემპიონი შოთა ლომიძე, რომელიც გამოსაჯანსაღებლად ამერიკაში მიიწვია მისმა ყოფილმა მეტოქემ (!), ახლა კი ხელგამართულმა ბიზნესმენმა, ამ ორი წლის წინათ გვიამბობდა:

„... ამერიკელი ექიმები დიდ ყურადღებას აქცევენ კვების რეჟიმის დაცვას. ამერიკაში სიმსუქნე ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთ უპირველეს მტრად ითვლება. სამშობლოში ნამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მკურნალი ექიმი, ჩემი მასპინძელი დევი სეიბი და მისი რამდენიმე მეგობარი სადილად მოვიწვიეთ. ჩემმა მეუღლემ დააცხო ხაჭაპურები, აქედან ნაღებული სანელებლებით გააკეთა საცივი, ბაჟე და სხვა ქართული კერძები... სტუმრები მოიხიბლნენ ქართული სუფრით და თქვეს, წელიწადში ერთი-ორჯერ ასეთ სუფრასთან ჯდომა დასაშვებად მიგვაჩნიაო. დევიდმა, როგორც საქართველოში ნამყოფმა კაცმა, განაცხადა, ასეთ გემრიელ კერძებს ქართველები თითქმის ყოველდღე მიირთმევენო... ექიმი, რომელიც მანამდე ჩუმად იყო, წამოდგა და განაცხადა: მე მინდა, დავლიო ქართველი ქალების სადღეგრძელო და ვთხოვო მათ, ნუ გასწირავენ, ნუ მოუსწრაფავენ მეუღლეებს სიცოცხლესო! და შემდეგ სრულიად სერიოზულად დასძინა: საკმარისია ჩემი პაციენტი შოთა ოთხ-ხუთჯერ ასეთ სუფრას მიუჯდეს და ჩვენი მკურნალობა წყალში გადაიყრებაო.“

სხვათა შორის, ამის მთხრობელი, ერთ დროს ჩვენი საამაყო ფალავანი, არ გვიმალავს, რომ მან სპორტიდან წასვლის შემდეგ ჩვეულებრივ, ქართველურ ცხოვრებას მიჰყო ხელი და ჯანმრთელობაც სწორედ ამან შეურყია... აქვე შევნიშნავ, რომ ჩვენზე, გულშემატკივრებზე, ერთობ უსიამო შთაბეჭდილებას ტოვებს ხოლმე, როცა ერთ დროს სათაყვანო ყოფილ სპორტსმენებს ახლა ღიპებდამძიმებულთ ვხედავთ.

დასტურ, ასეთ „დეკორაციაში“ ამაზე უარესი სანახავიც კი არიან მილიციის მოქმედი მუშაკები, გნებავთ რიგითი, გნებავთ, სულ უფროსობაც... ამ მხრივ მათი ამასწინანდელი პარადი, ცოტა არ იყოს, კომედიური ფილმისთვისაც კი გამოდგებოდა, მაგრამ აქვე ესეც უნდა ითქვას: ახლახან მათ მიერ მარნეულში ნარკოტიკების დამამზადებელ-რეალიზატორთა სამხელად ვაჟ-კაცურად ჩატარებული ოპერაცია (და ალბათ ზოგი სხვაც) ჩვენგან მხოლოდ ქებას და მადლობას იმსახურებს.

არგენტინაში არსებობს „სიმსუქნის წინააღმდეგ მებრძოლთა ეროვნული ფონდი“. ჩვენთან კი ასეთი ეროვნული ფონდი, მართალია, არ არსებობს, მაგრამ არსებობენ სიმსუქნის ხელისშემწყობი ინდივიდუალური, საოჯახო ფონდები, რომლებიც ზრუნავენ, თავიანთი გვარის ახალგაზრდა გამგრძელებელთ ინდივიდუალურად ჩააცვან, მაგალითად, უცეცხლობისას ცეცხლის ფასად ღირებული მაისურები, ზედ ფრანგულად რომ აწერია „შანელ, პარის“, რომლის ქვეშაც სიარულისას მათ ისე ლაღად უძიგძიგებთ მუცლები, როგორადაც ხორცსავსე დედაკაცს უბიუსტჰალტერო გულმკერდი და თან ჭიპთან კი არა, ჭიპიდან ქვემოთ, სულ ქვემოთ შეკრული შარვლები ხომ ლამის სძვრებათ, და რომ არ ჩასძვრეთ, სხვათა შორის, ამისთვის ქამარზე უფრო საჭიროა „პომოჩები“, რომლის ქართული სახელი არავინ იცის, გარდა რუსულ-ქართული ლექსიკონისა (აჭიმი, საბეჭურებიო), მაგრამ მათ „შარვალჩამძვრალი“ კაცი სად წაანყდები?! თბილისში ყოველ ფეხის ნაბიჯზე „ნამცხვრები“ - „ნამცხვრები“ გვეპატიჟებიან, მაგრამ არც ერთ „ბიზნესმენს“ არ მოსდის აზრად, დააარსოს და გახსნას ნამცხვრებზე არანაკლებ საჭირო და, ალბათ, მათზე უფრო შემოსავლიანი „პომოჩების“ მწარმოებელი კოოპერატივი!

ვიქტორ ასტაფიევის ქართველებისთვის შეურაცხმყოფელი „მოთხრობის“ დანერისა და გამოქვეყნებისათვის ბევრმა ჩვენგანმა თავგამოდებით შეუტია და თითქოს კუდით ქვაც ასროლინა, მაგრამ გულახდილად თუ ვიტყვით, ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი სიგლახე განა მან მართებულად არ შენიშნა?

ციმბირელმა ასტაფიევმა ყოველი ფეხის ნაბიჯზე ამდენი ქართველი დიდლოყება „жирные дети“, „четырепудовые одышливые Гогин, восьми лет отроду“ რომ დაინახა, გულს მოეფონა: რას იზამ, სიმახინჯე, რომელიც შენს ხალხს არ ახასიათებს და მას სხვაში აღმოაჩენ, თანაც ისეთში, თავი რაღაც ღვთაებრივი გამორჩეულობით და უძველესი კულტურით რომ მოაქვს, გახარებს კაცს, თუნდ დიდად ჰუმანისტი მწერალიც ბრძანდებოდე.

ჩემი მოწაფეობის დროს, ოციან წლებში, მთელ კლასში მხოლოდ ერთი ლოყებპუნტულა, შეძლებული ვეჩილის შვილი სწავლობდა და მას თანაკლასელების დამცინავი პნკენა-ჩქმეტისაგან მოსვენება არ ჰქონდა; ორმოციან წლებში კი ავჭალის შამპანკომბინატის კოლონიაში სამ ასეულ პატიმარს შორის ერთი ოდნავ შესუქებული, საამხანაგოდ საიმედო, გამტანი, ხუმარა ახალგაზრდა შემხვდა და მას მაინც, თუმცა სიყვარულით, ღიპო-ღიპუნიას ეძახდნენ. ახლა კი, როგორც გადმომცეს, ჩასქელებული, ღაბაბიანი პატიმრები მრავალზე მრავალია, სკოლები ხომ ავსებულია ბიჭებითაც კი, წინ მუცლებით და უკან ქალური „ტაკოიანებით“...

და არავინ მათ არ კილავს, არავინ ირონიულად მათ არ კბენს, და ეს თითქოს ბუნებრივია: თამამად და დაუსჯელად მხოლოდ უმრავლესობას შეუძლია, დასცინოს ერთეულებს, და არა კუთხეში მიყუჟულ უმცირესობა-ერთეულებს – ათასები და ათი ათასები...

ამ რამდენიმე წლის წინათ, როგორც მახსოვს, აკადემიკოსი, კარდიოლოგი ნოდარ ყიფშიძე წერდა, უცხოეთის მრავალი ქვეყანა მომივლია, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში არ შემხვედრია იმდენი და ისეთი ჩასუქებულები, როგორც საქართველოში.

...დიახ, ბავშვიც და ყმაწვილიც, ქალიშვილიც და ჭაბუკიც, კაციც და ქალიც, მიუხედავად ხნოვანებისა!

არა, ამათში მართლაც ავადმყოფი ათასში ორი-სამიც შეიძლება გამოერიოს – თუ დიაბეტით დაავადებული, თუ ნივთიერებათა ცვლის მოშლილობით, თუ სიმსუქნისკენ მემკვიდრეობითი მიდრეკილებით, მაგრამ დანარჩენი 997 „ამხანაგი“ შეჭველად და უთუოდ მოუღლეელი, უფრო დასარწმუნებლად უცხო სიტყვას თუ დავესესხები, ინტენსიური ჭამა-სმის პროდუქტია.

ერთმა ფრიად დაკვირვებულმა გეოლოგმა, რომელსაც მცირე დროის მანძილზე როგორღაც ხშირად მოუხდა სხვადასხვა დონეზე გამართულ ჭირის სუფრას – თუ რესტორანში, თუ შინაურ გარემოცვაში – დასწრებოდა და რაკი იმ სუფრებზე საკუთარი თვალთ იხილა, ჩვენი „კდემამოსილები“ სამი დღის დამშულებივით როგორ „თოხლაობდნენ“, ქელეხს სახელი ქალეხზე უცვალა...

პროვინციის დაბა-ქალაქებს ნუ გადავწვდებით, მარტო დედაქალაქის ქუჩებში თუ პროსპექტებზე გავიაროთ და... დავთვლით კი, რამდენს გადავეყრებით წონით გადამძიმებულ მშვენიერ, რომლებიც ჯეირანივით როდი მიირხევიან, სპილოებივით „მინარნარებენ?!“ და ეს მხოლოდ თვრამეტიდან ოცდათვრამეტამდე, ამ ასაკის ზევით არავის ვერჩი (ვერჩი კი არა, ახლაც შერისხვის შიშით ისე ვკანკალებ, როგორც ბაჭია თოფმოღერილი მონადირის წინაშე და... მთელ საქალეთს ხომ არ გადავიკიდებ?!).

რუსებს აქვთ ერთი ძველისძველი ანდაზა: Бабу с воза, кобыле легче...

ჩვენს წინაპრებს ასეთი ანდაზა არ შეუქმნიათ, როგორც ჩანს, იმდროინდელმა ცხოვრების სინამდვილემ მათ საამისო საბაბი არ მისცა.

პარიზის სილამაზის ინსტიტუტი მომსვლელთ ასეთი წარწერით ეგებება, თურმე: „ყველა ქალი მშვენიერი და ელეგანტური უნდა იყოს!“

კი, მაგრამ, იციან თუ არა ჩვენმა ქალებმა, რომ, უპირველეს ყოვლისა, სილამაზე და სიმსუქნე ერთმანეთთან ყოვლად შეუთავსებელია და შენ თუნდაც მარიამ ღვთისმშობლის ანდა თამარ მეფის სახე გქონდეს და სიმაღლეც გინცობდეს ხელს, თუ შენი წელის გარშემოწერილობა 60 სანტიმეტრს აღემატება, სილამაზის კონკურსთან ახლოსაც არ გაგაკარებენ. მე ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ევროპა-ამერიკას ვგულისხმობ, და არა ივერიას, სადაც რაკი ყველაფერი გაიაფებულ-გაშარჟებულია, ზომა-წონის გამყალბებელ ხერხსაც იოლად გამოიხატავენ და თავს ისე დაიჭერენ, თითქოს არც არასდროს გაეგონოთ მსოფლიოს ყველა კულტურულ ერში ერთნაირად გავრცელებული აზრი - რაც უფრო წვრილია წელი, მით უფრო ხანგრძლივია სიცოცხლეო.

თუ აქამდე საყოველთაო, თანაც ელემენტარულ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, რომ ინტელექტსა და სიმსუქნეს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, და რომ ინტელექტი უკვე თავისთავად გამორიცხავს სიმსუქნეს, რადგან ქონი თრგუნავს აზრს და ამის საგამონაკლისოდ შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ისტორიული პიროვნება დაგვესახელებინა, აი, თუნდაც, ბალზაკი და

ჩერჩილი, დღევანდელმა ლიპიანმა საქართველომ კი ეს თითქოს აბსოლუტური ქეშმარიტებაც ყირაზე დააყენა, აკი ახლა ჩვენში ისეთი „სპილოებიც“ მოგვიმრავლდნენ, რომელთა ინტელექტუალურობა არავისთვის საეჭვო და სადავო თითქოს არ უნდა იყოს.

აქვე ამასაც შევნიშნავდი: ჩვენი დროის ქართველ „გაბარიტებთან“ შედარებით, წინა დროის ბალზაკი და ჩერჩილი სუხიშვილ-რამიშვილის ანსამბლში თუ მოცეკვავეებად არა, მედოლეებად მაინც გამოდგებოდნენ.

ხნიერთათვის „რალაც“, ახალგაზრდებისათვის კი - „უ, რა დიდი, დიდი ხნის“, 25 წლის წინათ თბილისში ცნობილ ადამიანთა შორის ერთი ზომამზე მეტად ტანსრული, მაგრამ არა ჭარბად ქონმოკიდებული კაცი იქცევდა ყურადღებას; ეს იყო აკაკი კვანტალიანი, კრიალა კომედიური მსახიობი, რომელიც თავის ამ „გაბარიტობასაც“ ხელოვნების, მაყურებლის გულის გასახარებლად იყენებდა... გენრიეტა ლეჟავამ, მარჯანიშვილის თეატრის ფიროსმანისებურმა „აქტრისამ“, ერთხელ, როცა მითქმა-მოთქმა ატყდა, შტატებს ამცირებენო, შეწუხებულმა იკითხა, ჩემი კომპლექციის ერთადერთი მსახიობი ქალი თეატრმა ნუთუ არ უნდა შეინახოსო... ახლა კი თეატრებში „მისი“ კომპლექციის მსახიობთ ძებნა არ სჭირდებათ, არამსახიობთ კი... ო, „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა!“

ბევრი ჩადანდალებული შეიძლება არ წუხს კიდევ, რომ ამოდენა სიმძიმეს ურიკათი კი არა, ფეხით მიათრევს, რის გამოც ტროლეიბუსის ორ დაბალ საფეხურზეც დაუძაბავად ვერ ასულა, ორიოდ მეტრიც ვერ გაურბენია, რომ ავტობუსს მიუსწროს, მესამე სართულზეც სვენებ-სვენებით თუ ავა, და მაინც, ჭამა-ყლაპვის იმტაზე ხელის ალება მისთვის ალბათ ისევე ძნელია, როგორც ჩემთვის, ვთქვათ, ბაზალეთის ტბის გადაცურვა...

- ეს თქვენ, თქვენ გამიდიდეთ კუჭი, - ასეთი ბრალდება წაუყენა თავის მშობლებს ერთ ჩემს ნაცნობს, საერთოდ, ყოველმხრივ დიდგაბარიტიან ოჯახში 22 წლის ერთადერთმა, გაუთხოვარმა ქალიშვილმა, როცა გაზეთ „მანსში“ ამოიკითხა:

„30 წლის შევსრულდი. ვარ მაღალი (184სმ), გამხდარი, სპორტული აღნაგობის და სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი. მატერიალურად არ მიჭირს, მაქვს ბინა, სამსახური (აკადემიაში), საკუთარი აგარაკი წყნეთში.. მსურს, გავიცნო 22-დან 26 წლამდე ასაკის ქართველი, ინტელიგენტურ ოჯახში აღზრდილი ქალიშვილი... მსუქანი ნუ გამომეხმაურება!“

თითქოს სამომავლოდ მაინც იმედი უნდა ჩავვისახოს აქა-იქ, ზოგიერთ განცხადებაში გამოთქმულმა სურვილმა, რომლის მიხედვითაც საქმროს მონატრებული, გასათხოვარი ქალიშვილებიც კი... „მსუქანი მამაკაცი ნუ გამომეხმაურებაო“

...იმ მაზანდადაცემული ინტელიგენტურობით, როგორადაც ახლა საქართველოში ინტელიგენტობა იზომება და ფასდება, ეს ოჯახიც ინტელიგენტურია (მამა - პროფესორი, დედა - ექიმი) და ამ ინტელიგენტებს, ისევე როგორც მათ მსგავს ათიათასობით სხვა ქართველ ინტელიგენტს და ასიათასობით არაინტელიგენტს, ღრმად სწამთ, რომ სიმსუქნე ბავშვის ჯანმრთელობის პირველი საწინდარია და ამიტომაც თავის ერთადერთ ან, სულ დიდი, ორ „კუკლას“ ატენიან და ატენიან პირში ცხიმეულით სავსე საკვებს, თუ ამ ნუგბარს, თუ იმ ნუგბარს...

დიახ, დღევანდელ საქართველოში, საერთოდაც, რაც მშობელია, ის შვილია, ამიტომ, კერძოდ, ამ „ორკუჭა“ - დიდკუჭიანებს ნურაფერს დავაბრალებთ - მათ ხომ ჩვენგან აიტაცეს, გაითავისეს, და როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე, ჩვენი მშობლების სიგლაზე კიდევ უფრო გააღრმავეს, ასე რომ, მათი მომდევნო თაობა მათზე კიდევ უფრო „მოხატული“ ჩამოყალიბდება.

ახლა რისი დეფიციტი აღარ არის, მაგრამ... მაგრამ ყველაზე დიდი დეფიციტი, ეს მაინც ელემენტარული ყოფითი, ყოფითი კულტურის თითქმის სრული უქონლობაა (საქართველოში ერთხელ უკვე ნამყოფ და მეორედ ჩამოსულ ამერიკელებს, ამბობენ, რალაცნაირი რეზინის ნულა-მესტისებურები ჩამოაქვთ და მათ, ვიდრე ჩვენს ხავერდოვან „ტურისტულ“ ტრასებზე აქა-იქ განლაგებულ „ტულეტებში“ შევიდოდნენ, ფეხსაცმელებზე ნამოიცვამენ თურმე მერე ამ „დამცავ საჭურველს“, ცხადია, ყრიან); უცხოელები კი არა, ჩვენი, ახლა უკვე ყოფილი საბჭოთა მეზობლებიც თვალს აცეცებენ, თბილისის ქუჩებში (და განა მარტო ქუჩებში?!) ამდენ „მოსემიჩკეს“ და „მეჟუვარჩკეს“ რომ ხედავენ, მეტროს ესკალატორზე სულ რაღაც ორი ნუთით ჩამოიჯდარ ახალგაზრდებსაც და მეტროდან ამოსვლისას - ქუჩის ნაპირზე ისეთ ჩაცუცქებულებსაც, როგორადაც ეს, ბოდის მოვითხოვ, მოსაქმებისას სჭირდებათ ტყის მჭრელებს...

ჩვენი „დიდი კულტურა“ ზოგჯერ ჩვენებურსაც კი აოცებს: ერთხელ ტროლეიბუსიდან ჩამოსვლისას ჩემმა ნაცნობმა დალაქმა, გონიერმა კაცმა, როცა ურნაში ნახმარი ბილეთი ჩააგდო

და ამას თვალი შეასწრო იქვე გამვლელმა მილიციის მაიორმა, მას ლამის საკოცნელად გადაეხ-  
ვია: „თქვენ გენაცვალეთ! თქვენისთანა ხალხი გვიმრავლოს, გვიმრავლოს ღმერთმა!“ –ო.

... ვინ უარყოფს, საჭმლის მირთმევა ადამიანისთვის დიდი სიამოვნებაა, მით უმეტეს მაშინ,  
თუ გზია... მაგრამ როცა მოშივებული არა ხარ და, უფრო მეტიც, როცა „კაპიტალურად“ დანაყ-  
რებულიც ბრძანდები და მაინც კუჭს ძალას ატან და მიაძლები...

ასე, სხვათა შორის, არც ფრინველი, არც საქონელი არ იქცევა: ქათამს ჩიჩახვი რომ ამოე-  
სება, ანდა ძროხას – ფაშვი, პირველი საკენკის ძებნას თავს ანებებს და ნაცრიან ადგილას შე-  
ყუყუდება-გაინაბება, ასევე ძროხაც – ჩრდილში და ეს მიუხედავად იმისა, რომ მათ ჭამის გარდა  
ცხოვრებაში სხვა ინტერესი არაფერი აქვთ: არც დიდი თანამდებობის დათრევაზე ფიქრობენ,  
არც სახელის განდიდებაზე, არც ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ, არც ტელეეკრანზე ფეხ-  
ბურთის მატჩს უყურებენ და არც ერთმანეთში სტუმრად მიდი-მოდიან...

... და შენ, ადამიანი – ბუნების გვირგვინი! – ამ შემთხვევაში ქართველი ადამიანი, ხომ უნ-  
და განსხვავდებოდე პირუტყვისაგან, რომელიც იმისთვის ცოცხლობს, რომ ჭამოს, შენ კი, ადა-  
მიანი, იმიტომ ჭამ, რომ იცხოვრო და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ის უბრალო ამბავიც უნდა  
იცოდე და დღენიადაგ გახსოვდეს, სხეულის ჭარბი წონაც კი, მით უმეტეს სხეულის დაეფორმა-  
ციის გამომწვევი...

არ იფიქროთ, რასაც ამის ქვემოთ წაიკითხავთ, ჩემი ტვინის ნალიტინევი იყოს, ამოკრეფი-  
ლია მსოფლიოში ფრიად ავტორიტეტიანი მეცნიერ-მედიკოსთა შრომებიდან:

ლორმუცელობის შედეგია სიმსუქნე, სიმსუქნე კი ინვესს გულის იშემიურ დაავადებას,  
ათეროსკლეროზს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, ნიკრისის ქარს, ნალველ-კენ-  
ჭოვან დაავადებებს, ართრიტებს.

ჭარბი კვება, თუნდაც არ ინვესს სიმსუქნეს, მაინც შეიძლება არტერიული წნევის, ჰი-  
პერტონიის მიზეზი გახდეს.

საკონდიტრო ნაწარმით, ტკბილეულით ზომაზე მეტად გატაცება არღვევს ენდოკრინულ  
ფუნქციას და შეიძლება ხელი შეუწყოს შაქრიანი დიაბეტის წარმოქმნას;

სიმსუქნე აქვეითებს მამაკაცის სექსუალურ პოტენციას, სულაც რომ აღარაფერი ვთქვათ  
სხეულის სილამაზეზე და თუნდაც მასზე, რუსულ სამედიცინო ლიტერატურაში „Зеркальная  
болезнь“-ად რომ იხსენიება (ვაჟკაცი შენი სხეულის „ერთ“ უმნიშვნელოვანეს ორგანოს უსარ-  
კოდ რომ ვერ ხედავ);

თითქოს არც ეს უნდა იყოს ნაკლებად ყურადსაღები: ხვრინავენ უფრო ღიპოსნები, ვიდრე  
გამხდრები...

ანტიკური სამყაროს მოაზროვნეებს ჩინებულად ესმოდათ, რომ ზომიერება ჭამაში ჯან-  
მრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია და ამბობდნენ, მუცელღმერთა თავისივე  
კბილებით ითხრის სამარესო.

ამ „მუცელღმერთებზე“ მე ჯერ კიდევ ამ ექვსი წლის წინათ ჩამოვაგდე მწარე სიტყვა, რო-  
მელზეც ახლახან გამოცემულ თავის მოგონებებში - „ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე“ -  
დიდი ეთნოგრაფი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ასე მოგვითხრობს:

„გულდასმით წავიკითხე გაზეთ „კომუნისტის“ 1986 წლის 13 აგვისტოს ნომერში მოთავსე-  
ბული კ. ბუაჩიძის სტატია „რამდენს იწონის თქვენი საქმრო? ანუ უსამიკიტნო მიკიტნები“.

პრობლემა, რომელზეც წერილშია საუბარი, უპირველესად ესთეტიკურ გემოვნებას გვი-  
ლახავს, მეორეც. ფიზიკური გადაგვარების საშიშროებას ჰქმნის.

მე-17, მე-18 და მე-19 საუკუნეებში ქართველები ანთროპოლოგიურად საუკეთესო რასი-  
ულ წარმომადგენლად ითვლებოდა. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი აღფრთოვანებული წერდა:

„ქართველები მთელ აღმოსავლეთში და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში საუკეთესო  
ჯიშის ხალხია, ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უმწი ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქა-  
ლი. ვხვდებოდი მხოლოდ ანგელოზისებურ სახეებს... ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა  
და ტანის დახატვაც კი შეუძლებელია. არიან მაღალნი, კოხტა და მოქნილი ტანისა და საოცრად  
ნელწვრილნი.“

ნელწვრილნიო, გესმით?! კოხტა და მოქნილი ტანისაო...

პროფესორი ფრიდრიხ რატცელი, გერმანელი ეთნოგრაფი და გეოგრაფი, ჩვენი საუკუნის  
დასაწყისში სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ ათასგვერდიან ნაშრომში — „Народоведение“ -  
წერს (მომყავს რუსული თარგმანიდან):

„Грузины всего более соответствуют идеальному представлению о кавказских народах: высокие, сильные фигуры, светлокожие, с каштановыми и черными волосами, темными серыми глазами и энергичными физиономиями“ (გვ. 788).

ო. მაგრამ... დღეს, ახლა, რომ მოხდეს სასწაული და შარდენი და რატციელი აღდგენენ მკვდრეთით და რუსთაველის პროსპექტზე ჩაიარონ, ანდა დილით, ლექციების დაწყებამდე, რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის შესასვლელის წინ დადგნენ და იქ შემსვლელთ თვალი მიადევნონ, ხომ არ გაუფუჭდებათ გუნება დღევანდელი ქართველების გარეგნობის ხილვისას?!

ერის სულიერი დაკნინება, როგორც ჩანს, ინვევს მის ფიზიკურ დეგრადაციასაც...

ამისთვის ცოტათი მაინც გზის გადასაღობავად ახლა მეორედ ვიმადლებ ხმას. თუმცა ვიცი, ამ სასონარკვეთილ ამოძახილს, ისევე, როგორც პირველს, რაიმე სასურველი შედეგი, თუნდაც ერთეულების მხრივ, ბევრი არაფერი მოჰყვება და კვლავ იმატებენ და იმატებენ უსამიკიტნო მიკიტნები და მძიმე წონის საცოლეები...

შეაყარე ცერცვი სტომაქს, დაიჭერს განა?!

„დაუდევრები ვართ ქართველები და კიდევ ეგ მოგვიღებს ბოლოს“, გულისწუხილით უთქვამს ილიას.

ჰოდა, ვიდრე ბოლო ჯერ კიდევ სულ არ მოგვლებია... ადამიანი კუბოშიც ლამაზი უნდა იყოს!

ჭირისუფლებს ამნე არ უნდა დასჭირდეთ განსვენებულის საუკუნო განსასვენებელში ჩასასვენებლად...

ცხადია, არაფერია სადავო, რომ სილამაზე მიცვალებულზე მეტად ცოცხალს სჭირდება და რა სასიხარულოა, რომ სამი საუკუნის წინათ შარდენს თურმე საქართველოში ერთი უშნოც არავინ შეხვედრია... ისე კი, მართალი მოგახსენოთ, ამის დაჯერება ცოტა მიჭირს, ის კი მჯერა, რომ მაშინ ქართველები თავს ხელისძალათი არ იუშნობდნენ, როგორც... ახლა, დღეს, ჩვენს დროში!

დღევანდელ ჩვენს არეულ-დარეულ სამშობლოში, აბა, რა არ იბეჭდება და ვინ აღარ იბეჭდება... ჰოდა, ამ ცოტა ხნის წინათ ჟურნალ-გაზეთების კიოსკებში ერთმა მოალმანახო ჟურნალ-მაც გამოანათა „ლიმილის“ სათაურით, რომლის რედაქტორ-მემდგენელია „ვინმე“ რევან მიშველაძე (მის ვინმეობაში „დამარწმუნა“ ერთ-ერთ სამთავრობო გაზეთში მკითხველი საზოგადოებისათვის და, სამწუხაროდ, ჩემთვისაც სრულიად უცნობმა, ორმაგი გვარის მქონე ქალბატონ-მანდილოსანმა, დიდი ასოებით აწყობილმა მისმა შეკითხვა-შეძახილმა, - „ვინა ხართ თქვენ, ბატონო მიშველაძე?“ რომელშიც თითქოსდა ამ ქართველმა მაძამ დე სტალმა წაართვა თავის სამწერლო დროს 10-15 წუთი, რათა სწორე ჭკუაზე მოეყვანა, ვილაც ტარასკონელი, ახლად ფეხადგმული მწერლუკა).

ჰოდა, აი, ამ ბატონმა მიშველაძემ „ლიმილში“ ჩემი სამი წლის წინათ დაწერილი და ბევრისაგან დასაბეჭდად უარყოფილი („ენციკებათო!“) „ღია ბარათი“ ერთი ღირსეული ქალბატონისადმი უშიშრად გამოაქვეყნა...

რაკი ეს „ლიმილი“, ისე როგორც ყოველგვარი ღიმილი, ახლა ჩვენში საკმაოდ ძვირია და ბევრს ალბათ არ ექნებოდა მისი გაცნობის შესაძლებლობა, ამოვგლეჯ ამ ბარათიდან სულ მცირეოდენს:

„...სამკილოიან ქურქს იცვამდე და... ყინვაში ზედ ასგრამიან ქუდსაც არ იხურავდე, ეს შეიძლება? რასაკვირველია, ყველაფერი შეიძლება, თუკი ცივი გონების სარქველი ხელს გინყობს!

მაგრამ მე ამჯერად ზამთარში უქუდობა ისე როდი მანუხებს, როგორც... აი, ის, არსენაზე რომ ითქვა:

„...რო შეიქნა 16 წლის, უღვაშები დაიმშვენა“...

ახლა საქართველოში, რაკი ეს ევროპელთა მაიმუნური მიბაძვით ვილაც „ჭკვიანმა“ კაცმა მოდად აქცია, ყველა ქართველი, ჭაბუკიც და ხანდაზმულიც, მცირე გამონაკლისის გარდა, პირტიტველნი იწონებენ თავს!

დიახ, უხდება-არ უხდება, წვერ-უღვაშს მაინც პირწმინდად იხოხნის, აბა, „ბეჩა“, მოდას „რავა“ ჩამორჩება!

მე-19 საუკუნის ფრანგი ეთნოგრაფი, რასობრივი თეორიის ფუძემამყრელი, გობინო წერდა:

„საქართველოს დასავლეთში, რიონის ხეობაში ქართული ტიპი ულამაზესია მსოფლიოში.“  
განა ღირს ბჭობა იმის თაობაზე, თუ რას იტყოდა გობინო, ეს ფრანგი ეთნოგრაფი, დღევანდელ „ქართულ ტიპზე“?

ულვაში ჩვენი ეროვნული, ქართული სახის ბუნებით ნაბოძები, უფასო, ძვირფასი სამკაულია, რა თქმა უნდა, არა „მოვეროპიელო“ სახისა, მაგრამ წმინდა ქართული სახისა – კი... ასეთი სახეები ჩვენში არა მარტო „რიონის ხეობაში“, „ლიახვ-ალაზნის ხეობაშიც“ ჯერ კიდევ მრავალზე მრავალია და ვიდრე ჯერ კიდევ სულ არ გადავჯიშებულვართ, ხელისძალათი რატომ უნდა ვიუშნოებდეთ თავს?!

ეს განსაკუთრებით ჩვენს ფოლკლორულ ანსამბლებს ეხება, შინ და გარეთ!

ღიახ, შინ და გარეთ!

კაცი ტელევიზორშიც კი შეამჩნევ: აი, გვეცხადება ეკრანზე, ვთქვათ, გალის თუ სენაკის, ჩოხატაურის თუ მესტიის დღეგრძელთა ანსამბლები და... ტელეობიექტივი მათ, ჩამწკრივებულთ, ცალ-ცალკე რომ ჩამოუვლის, უნდა ნახოთ, რა მოგებულნი რჩებიან წვერ-ულვაშიანნი ასე სააშკარაოზე გამოფენილ-ღმერთო, მეპატიოს კადნიერება! – სახეშელახულთა ფონზე!

გნებავთ, თვალი ახალგაზრდებსაც შეავლეთ, ან შედარებით ხანმოთეულთ, გინდ, შვიდკაცას, გინდ, ცხრაკაცას თუ ასკაცას და... ვისაც ულვაში უყენია, სჯობნის კიდევ შესახედავად მის გვერდით მდგომ, ვთქვათ, ჩხორონყუელ „პარიზელს“ თუ „ჩიკაგოელს“, თუნდაც ამას „იმაზე“ უფრო დანყობილი და მიმზიდველი სახეც ჰქონდეს.

ღიახ, ამის შემონმება სულ იოლია, ოღონდ თვალი შეავლეთ და შეადარეთ, თვალი შეავლეთ და შეადარეთ!

ესეცაა, „შავისა“ და „თეთრის“ გასარჩევად საჭიროა, სილამაზის აღქმის სულ მცირე გრძნობა მაინც გქონდეს.

აბა, ერთი მიბრძანეთ, რა იქნებოდა ახლა უულვაშოდ, მაგალითად, ანზორ ერქომაიშვილი? არა, ჩინებული ლოტბარი და მომღერალი ანზორ ერქომაიშვილი, რასაკვირველია, ისევე ჩინებული მომღერალი და ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი იქნებოდა, მაგრამ ჩვენს თვალში ცოტა რაღაც მაინც დააკლდებოდა: ის პენი და ლაზათი არ ექნებოდა, ახლა რომ აქვს ჩვენდა სასიხარულოდ.

სხვათა შორის, ღმერთმა მოხუც კაცთ, ქალებისგან განსხვავებით, ის უპირატესობა გვარგუნა, სიბერისაგან დაღარული ჩვენი სახე-ყელი წვერ-ულვაშით ცოტათი მაინც მივმალეთ.

„...ასმილიონიანი ვეებერთელა ბრაზილია მსოფლიომ პატარა მრგვალი ბურთით გაიცნო, დაინტერესდა და ცოტათი ალბათ შეიყვარა კიდევ.“

როგორც ამერიკაში თქვენმა ამასწინანდელმა გასტროლებმა დაგვიდასტურა, ცეკვითაც შეიძლება თურმე, შორეულმა ქვეყანამ გაგიცნოს და მოიხიბლოს შენით...

ჰოდა, უცხოელთა თვალში თუ უფრო ლამაზები და უფრო ეროვნულები, სხვა ერებისგან სახითაც განსხვავებულნი გამოვჩნდებით, ამას, აბა, რა სჯობს! მით უმეტეს, რომ ეს მომგებიანი გარეგნობა სულ რაღაც უმნიშვნელო, სადალაქო ხარჯს მოითხოვს მხოლოდ...

როდესაც გობინომ „ქართული ტიპი“ შეაფასა, როგორც „ულამაზესი მსოფლიოში“, მაშინ მას ოციანი წლების თბილისის გოგირდის აბანოებში მომუშავე სპარსელი მექისეებივით გახობნილნი ქართველნი როდი ეხილა.

ასეც არ იყოს, ჩოხა და უულვაშობა? ეს იმას ნიშნავს, შენს ჩოხას ქამარ-ხანჯალი და მასრები არ ამკობდეს!

რაკი ასეა, ქალბატონო ნინო, გაუმარჯოს ულვაშებს, ჯერ ფოლკლორული ანსამბლების მოცეკვავე-მომღერალთა ქართულ სახეებზე მაინც!

შეაყარე ცერცვი კედელსო, ეს უთუოდ ნათქვამია იმედგადაწურული კაცის მიერ, მაგრამ...

ო, არა, თუ „კედელი“ გონიერია, მაშინ იგი შეყრილ „ცერცვს“ ხელადვე აიტაცებს და ანდამატივით მიიკრავს.

გადმომცეს: როცა ანზორ ერქომაიშვილი „ლიმილს“ გაეცნო, ღიმილნარევი მუქარით გამოუცხადა თურმე თავისი ანსამბლის პირგახოხნილ წევრებს: ვინც ულვაშს არ დაიყენებს, არ წაიყვან საგასტროლოდო...



ჰოდა, ახლა, სწორედ ამ დღეებში, კოპნია უღვაშებით კიდევ უფრო დამშვენებული, სახელგანთქმული „რუსთავი“ მღერის და ცეკვავს გერმანიასა და ჰოლანდიაში!

დასასრულ, ჩვენთვის უკვე იმ ნაცნობი მილიციის მაიორისა არ იყოს, არ შემოიძლია არ შევცდახო: ღმერთო, გვიმრავლე ასეთი გამგონე „კედლები“ (და რალა აჯობებს, თუ გამგონე „სტომაქებიც“ გამოჩნდებიან!).

ავვისტო-სექტემბერი,  
1991 წელი

კიტა გუაჩიძე

PS: ამ წერილის წამკითხველთაგან ჩემზე, ვიცი, ბევრზე ბევრი „სასიკვდილოდ“ განაწყენდება („რა უნდა ამ ტუტუცს ჩვენგან, მაგისას ხომ არაფერს ვჭამთ?“), ზოგიერთი მათგანი კი, ეჭვი არ მეპარება, ნაწყენობით არ შემოიფარგლება და თუ პირისპირ გადამეყარა, დატორვასაც დამიპირებს, ტელეფონით ხომ... განსაკუთრებით „კდემამოსილმა მანდილოსნებმა“ ჩემი, მუდამ სიყვარულით მოსაგონარი ცხრა შვილის დედის ხსოვნა რომ არ შემიბილნონ, აი, იმ სიტყვებით, რომლებიც საბასთან კი არის, მაგრამ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სირცხვილით არ შეიტანეს, დაბეჭდვამდე ორიოდ დღით ადრე იერუსალიმს გავფრინდები, რათა იქ თავიც შევაფარო და გოდების კედელსაც ვემთხვიო, იქიდან კი პირს უკან მხოლოდ მაშინ ვიზამ, როცა ძველისძველი თეატრალი და ჩემი კეთილისმოსურნე ბენო რიჟინაშვილი მაცნობებს, დაბრუნდი, ნუ გეშინია, შენი დარიგება-შეცხადებანი უკვე აღარავის ახსოვსო...



**გაზეთი „შარავანდის“  
18-კაციან სარედაქციო  
კოლეგიას და მის მეთაურს  
პატონ გურამ ფანჯიკიძეს**

**გაზეთი „შარავანდი“, №9(13), სექტემბერი, 1991 წ.**

„შარავანდის“ ბოლო, ავვისტოს ნომერმა (18) დიდი სიამოვნება მომანიჭა.

ეს სიამოვნება ალბათ მეტიც იქნებოდა, რომ „ავტომობილიც“ წამეკითხა, მაგრამ, სამწუხაროდ, უდროობის გამო ჯერჯერობით ვერ მოვახერხე.

მე, საერთოდ, მუდამ ვერიდები ჩვენში ასე გაკაპეიკებულ შეფასება-ეპითეტებს - „უდიდესი“, „შესანიშნავი“, „ბრწყინვალე“, მაგრამ ახლა არ შემოიძლია, თქვენი ირონიული „სახელოვანი მამულიშვილი“ უმაღლესი ნიშნით არ შევამკო, და ეს არა მარტო დანერის ოსტატობის მხრივ, მასში ჩაქსოვილი ღრმა, საერთო აზრის მხრივაც.

ასევე მართებული და მახვილგონივრულია გაზეთის მთელი ის სვეტიც, რომელიც ეძღვნება თაფლის წვეთს შესეული ჭიანჭველებივით ახლა ასე მომრავლებულ ავტორებს, რომლებსაც თავიანთი რამდენიმე მანეთიანი ჰონორარის ასაღებად, ეზარებათ რა, ბულალტერიას მიაკითხო, ამ მანეთებს სხვადასხვა ფონდს სწირავენ, როგორც დიდსულოვანი, სწორუპოვარი ქველმოქმედნი.

ჩვენში ძებნა არ სჭირდებათ არც ისეთ კალმოსნებს, რომლებიც თავის თუნდაც ძალზე შორეულ ნათესაურ აზრს თუ აღმოაჩენენ სხვის ნაწერში და მათ, ესე იგი წყაროს, არ მიუთითებენ, ერთ ვაიუშველებელს ატეხენ ხოლმე.

მე კი ამის საპირისპირო ზნე მჭირს: მინათებს რა გზას აღფრედ დე მიუსეს გამონათქვამი - „მე ვსვამ პატარა ჭიქიდან, მაგრამ ეს ჭიქა ჩემია“, სულ იმის შიშში ვარ, ლიტერატურული ხელცივობა არავინ შემწამოს.

ახლაც ამით შეშინებული, ვჩქარობ, საალიბოდ გაახლოთ 1990 წლის 3 ნოემბრის გაზეთ „კაბადონში“ დაბეჭდილი ჩემი წერილი „ბლავილი ბებერი ხარისა“, რომლის ერთი-ორი აბზაცი თითქოს ეხმიანება თქვენს „ვფიქრობთ, ძალზე უხერხულიას.“

ხოლო რაც შეეხება „ნოდარ შარუშაძეს“, ამის მომსგავსო თანამოაზრეებზე რამდენიმე წლის წინათ ვწერდი „შავზე შავ წიგნში“, რომელიც, სხვათა შორის, უკვე კარგა ხანია, აწყობილია, მაგრამ უქალაქობის გამო არ იბეჭდება.

08.08.91

პატივისცემით  
კიტა ბუაჩიძე

P.S. გთხოვთ, ჩემი კუთვნილი ჰონორარი მთლიანად გადარიცხოთ ხნოვანების გამო კლიენტურა დაკარგულ პროსტიტუტკათა დახმარების ფონდში.



### უსახელო ღია ბარათი პროფესორ შალვა ამონაშვილს

„საქართველოს რესპუბლიკა“, №54(74), 20 მარტი, 1991 წ.

#### ბატონო შალვა!

გუშინ, 11 იანვარს, ტელევიზორით თქვენი საჩვენებელი გაკვეთილი ვნახე და მოვისმინე.

პირველად გიხილეთ ასე „ახლოს“, ცხოვრებაში კი თქვენთვის თვალი შორიდანაც არასოდეს მომიკრავს; სამწუხაროდ, არც თქვენი წიგნი „Здравствуйте, дети!“ - ჩამვარდნია ჯერ ხელთ.

ასე რომ, მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებით გიცნობთ და ვიცი ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის პედაგოგიურ წრეებში უკვე ფართო პოპულარობა გაქვთ მოპოვებული.

შეიძლება ამიტომაც დამრჩა საწყენად ის ამბავი, რაც მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთში, თითქოს სასხვათაშორისოდ, დაბეჭდილ სტრიქონებში ამოვიკითხე: თქვენ ცენტრალური ტელევიზიით გამოსულხართ და ტელეაუდიტორიაზე მაინცდამაინც ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოგიხდენიათ, როგორსაც მოელოდნენ. ამაში უფრო თვით ტელევიზიას ამტყუნებდნენ, Не так было подано“-ს მსგავსად...

ჰო, მაგრამ, როგორ ვიფიქროთ, მოსკოველებს ამას უფრო თავაზიანობა ხომ არ აწერიან და ბრალი, ცოტაოდენი მაინც, თქვენც ხომ არ მიგიძღვით?!

მე არ ვიცი, რუსულად თქვენ, ასე ვთქვათ, რა დონეზე მეტყველებთ, მშობლიური ქართულით კი, თუ ვიმსჯელებთ თქვენი მხოლოდ გუშინდელი გამოსვლის მიხედვით, მე მგონია, ერთგვარ გაუმჯობესებას მოითხოვს: არ ვიცი, სხვა დროს — როგორ, გუშინ კი ერთობ სწრაფად ლაპარაკობდით, იმდენად აჩქარებულად, რომ აზრის დაჭერა ბავშვებს კი არა, ხანდაზმულთაც გაუძნელდებოდათ.

ბუნებით თანდაყოლილი სიტყვა „ტყვიამფრქვევობა“, რასაკვირველია, ყველასთვის, მით უფრო მასწავლებლისთვის, ერთობ საუხერხულოა, მაგრამ მისი გამოსწორება „ენობრივი ვარჯიშით“ თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც შესაძლებელია, თუკი დაძაბული კონტროლის ქვეშ მოაქცევთ საკუთარ თავს, განსაკუთრებით გაკვეთილის ახსნა-ჩატარებისას.

ისე კი, მართალი გითხრათ, თქვენებრ თუნდაც ასეთ „ჩქაროსნულ“ ზეპირ ლაპარაკს მე პირადად მაინც ბევრად ვამჯობინებ ღეჭვა-ღეჭვით, დამარცვლით კითხვას (თუნდაც ეს კითხვა დაუღეჭავი და დაუმარცვლავი იყოს!), რომლითაც ასე ხშირად გვიმასპინძლებდებიან და გვანათლებენ მავანი და მავანი პროფესორ-დოქტორები ტელეეკრანიდან და ჩვენც, ტელემყურებლები, იმდენად გავნათლდებით ხოლმე, რომ მათივე ცოდვით დამწვარნი ერთმანეთს ვეკითხებით:

— ესაა მეცნიერი?!

— ამას ჰქვია დოქტორი?!

— პროფესორია აგი?!

ო-ო, ტელევიზორი, ბატონო შალვა, დიდი ვერაგი და მაცდური ვინმეა! ფარჩა-ატლასითაც რომ შეიმოსო, მაინც კუდის რიკამდე გაგაშიშვლებს, თუკი, რა თქმა უნდა, ამის ღირსი ბრძანდები... ასე, მაგალითად, ირაკლი ანდრონიკოვს იგი ვერ ამიშვლებს და ვერც რევაზ თაბუკაშვილს, ვერც აკაკი ბაქრაძეს. ამათ, პირიქით, სახელს კიდევ უფრო უქმნის.

ნამდვილად ჭკვიანმა კაცმა იცის, რას შეეჭიდოს და რას არ შეეჭიდოს, რა შეუძლია და რა არ შეუძლია, რა დაამშვენებს და რა დააუშნობს.

მე, როგორც საქართველოსთვის გულით დამწვარ ერთ პატარა ქართველს, ყოველთვის უსახლვროდ მახარებს ხოლმე, როცა ქართველი კაცი სასახელო საქმეებით და არა ხურმა-მან-დარინით დატვირთული „იაშიკებით“ გააღწევს ჩვენი პანია სამშობლოს ფორმალურ საზღვრებს იქით, მაგრამ ზოგს ეს ზეამაღლება ხშირად გონებას უბნელებს და კიდევ მეტი სახელ-დიდების ძიების განამაწიანია იმასაც კარგავს, რაც უკვე მოიპოვა...

როგორც ალბათ სულგრძელი პედაგოგი, ვფიქრობ, მომიტევენ: მე ის გონებაბრჯგუ, ჩამორჩენილი არსება ვარ, რომელმაც საბჭოთა შრომის სკოლა კი დაამთავრა და იდეურ-აღმზრდელობითი მზრუნველობის ორბიტაში უკვე ათეული წლობით ბრუნავს, და მას მაინც ბევრი ისეთი რამ მოსწონს საზღვარგარეთული, რასაც ჩვენი ფხიზელი პრესა პირველი აყრის ხოლმე ქვა და გუნდას (ესეცაა, მერე და მერე, პრაქტიკულ ცხოვრებაში, მეტწილად ზოგი რამ „ქე“ გადმოგვაქვს!).

არ ვიცი, თავდაპირველად სად შემოიღეს, მეეჭვება კი, რომ ეს იდეა თქვენგან გადაეღოთ - ბავშვების სწავლება ექვსი წლის ასაკიდან უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში... „არ ახალია, ძველია“, მაგრამ „იქ“ საამისოდ, ჩვენგან განსხვავებით, სულ სხვა მატერიალური ბაზა გააჩნიათ: ბალები „თამაშ-თამაშ“ კი ეუფლებიან იქაურ „აი იას“, ოლონდ... იქვე იკვებებიან, იქვე ცურაობენ, შეუძლიათ, წაიძინონ კიდევ, ესე იგი თითქმის ისე ცხოვრობენ, როგორც შინ...

გამიგონია, ბავშვი ყველგან ბავშვიაო, მაგრამ ყური როგორღაც იმისთვისაც მომიკრავს, იაპონიაში ბავშვები თითქოს არ ტიროდნენ, ჩვილებიც კი...

ჰოდა, თუკი ეს, ცოტათი მაინც, მართლაც ასეა, მაშინ ჩვენი პლანეტის ყველა კუთხე-კარის ბავშვებიც არ ყოფილან ერთმანეთის ზუსტი ასლები

გუშინ, როცა თქვენი საცდელ-საჩვენებელი გაკვეთილის დროს ქართველ ცეროდენებს ვუყურებდი, მათი ცოდვით ლოყებზე გაგანია ცეცხლი მომეკიდა: ჩალამებული თვალებით, შეჭმუხვნილი შუბლებით, სერიოზული პოზებით ისინი მობერებულ ლილიპუტებს უფრო წააგავდნენ, ვიდრე ექვსი წლის დაუდგრომელ, ცქმუტავ, მოუსვენარ ანცებს...

ამ ანცობაში კი, რამდენადაც მედიცინიდან ვიცი, მათ ძვლები უმაგრდებათ, ეს კი რაქიტის პირველ მტრად ითვლება.

მე, რა თქმა უნდა, მესმის ისიც, რომ ტელეკამერა, და, შესაძლოა, უფროსების დარიგებანიც — „ჭკვიანად იყავით, ბავშვებო, ახლა ჩვენ კინოში გადაგვიღებენ“, — ძალაუნებურად შებორკავდა მათ, მაგრამ ამაზე არანაკლებად – მაგიდები, რომელთა შორისაც ისინი იყვნენ ჩაჭედდნენ...

კი, მაგრამ, ჯერ საერთოდ ჩვენს ქვეყანაში და მერე კი, კერძოდ, საქართველოში, ვითომ ასე აუცილებელი და საჭიროა, რომ სწავლა 6 წლის ასაკიდან დავიწყოთ, თუნდაც ეს სწავლა-მეცადინეობა, გნებავთ, თამაშ-თამაშ მიმდინარეობდეს, გნებავთ, ბურთით და, გნებავთ, უბურთოდ?

როგორ ფიქრობთ, საბჭოთა ბავშვებს რაც უფრო ადრე დავუწყებთ სწავლა-ჩიჩინს, ისინი მით უფრო განსწავლულ-განათლებულები გამოვლენ ცხოვრების ოღროჩოდრო სარბიელზე?

რით შეგიძლიათ აგვიხსნათ, რომ, მაგალითად, ქართველი ბავშვები, მიუხედავად თერთმეტწლიანი სწავლა-განათლებისა, მათი დიდი უმრავლესობა სკოლას ისეთი განათლებით ამთავრებს, სწრაფი კითხვაც კი ეძნელება, წერით კი რვეულის ნახევარ გვერდზეც უბრალო თემაზე, ვთქვათ, „რატომ მიყვარს ჩემი დედა“, ანდა „რატომ არ მიყვარს ცუდი ამინდი“, ერთმანეთზე გადაბმულად ასჯერ გაგონილ ორ ფრაზა-აზრსაც ვერ აკონინებს?

ამ შემთხვევაში ზარი, წესით, პირველმა პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ უნდა შემოჰკრას, მაგრამ განა მისი, ეჭვი არ არის, ფრიად განათლებული და დიდად ჭკვიანი პრეზიდენტი იტყვის კი:

— ო, მგონი, შევცდით, ძვირფასო კოლეგებო, ორჯერ ორი თითქოს არ უნდა იყოს ხუთი, ორჯერ ორი, მგონი, უფრო ოთხს უახლოვდება.

სამაგიეროდ... ოღონდ ერთმა „სხვამ“, „სულ დიდმა“ კი თქვას, თუნდაც ალაღბედად, თუნდაც სხვათა შორის, ორჯერ ორი ოთხიაო, მაშინ თქვენი აკადემია და ყველა სხვა აკადემიაც ხბოს აღტაცებით მიესალმებიან ამ ახალ, კოლოსალურ აღმოჩენას, მაგრამ ჩვენი საყოველთაო-სავალდებულო ტრადიციაც სწორედ ის გახლავთ, რომ ასეთი „სხვა“ რომ გამოჩნდეს, ამას ათეული წლები სჭირდება, მანამდე კი ჩვენ ყველას (ცხადია, საჯაროდ გასაგონ-დასანახავად და არა გულში, შინაურ გარემოცვაში!) „ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი გვგონია...“

რომანოვები სამასი წელიწადი ქმნიდნენ, ხვენდნენ განათლების საქმეს და ნუ ვიფიქრებთ, რომ ისინი სამეფო ტახტზე სამ საუკუნეს გაძლებდნენ, რომ კერძოდ, სწავლა-განათლება, ასე თუ ისე, ნამდვილი განათლების კალაპოტში არ მოექციათ...

ო-ო, ალბათ უკვე აღშფოთებით გაიფიქრეთ, ნეტავ, ვინ მწერს ამას? არა, ის ქართველი არ იქნება, ის უთუოდ თებერვლის რევოლუციის დროს რომელიღაც არქეოლოგიურ სამარხში შემალული, რაღაც მანქანებით ცოცხლად შემონახული პურიშკევიჩის მსგავსი შევრაზმელია, ცარიზმს ახლაც რომ მისტირისო...

არა, მე ნამდვილად ქართველი კაცი ვარ, დედითაც, მამითაც და წინაპრებითაც და ცარიზმისათვის კი ნიხრის დადებაში, ცოცხალი რომ იყოს, მუხლის თავებს დაფუკოცნიდი ილიას:

„რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, -  
ღმერთმა ის რუსსვე ას-კეცად მისცეს.“

...და მაინც, ნიკოლოზს, ესე იგი ცარიზმს, განათლების დარგში აბსოლუტურად ყველაფერი როდი ჰქონდა ცუდი და დასანუნი, სანაგვეზე გადასაყრელი...

ჰოდა, თუ „არ გამლახავთ, შალვა მასწავლებლო“, შემოგბედავთ და იმაშიც გამოგიტყდებით, რომ მე... მმ... სკოლაში გაროზგვისა არა, მაგრამ უღირსი, უგვანო, უხამსი, ყოვლად უზუნეო, თანაც არაერთხელ ჩადენილი ასეთი საქციელისთვის სკოლიდან გარიცხვისა და, ასე განსაჯეთ, მგლის ბილეთის მიცემის მომხრეც კი ვარ...

ო, არა. მე იმას როდი ვინონებ, როცა სამი ალექსანდრე და ორი ნიკოლოზი რევოლუციონურად მოაზროვნე ახალგაზრდებს გიმნაზია-უნივერსიტეტებიდან მგლის ბილეთით რომ ერეკებოდნენ...

სხვათა შორის, თითქოს არც ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მრისხანება ჩვენს სასწავლებლებში ნამლად ერთი-ორი ისეთი დაუდულარი თუ გამოერევა, რომელთაც, ჩვენნაირი დადუღებული-დაშტამპული თავები ჯერ კიდევ არ გამობმიათ და...

მინდა, გკითხოთ, როგორც საბჭოთა პედაგოგიკის თეორეტიკოსს და პრაქტიკოსს: მოსწავლეები, რომლებიც თავისივე სკოლას ცეცხლს ნაუკიდებენ, მერე ქალაქგარეთ მათთვის სრულიად უცნობ და სრულიად უდანაშაულო მოხუც დარაჯს დანებისა და იარაღის მუქარით საფლავს გაათხრევენ და წარბის შეუხრელად მოკლავენ, ამ ორმოში ჩააგდებენ და მიწას გადააყრიან, ამათ მგლის ბილეთის ნაცვლად „ცხვრის ბილეთი“ უნდა მიეცეთ?

და განა ეს მათი პირველი დანაშაული იყო და განა მათ მანამდე მრავალჯერ არ აპატიეს, არ შეუნდეს, წითელ კვერცხებს არ უგორებდნენ, ფიანდაზად არ ეგებოდნენ?!

ნიკოლოზის უკუღმართი დროისთვისაც კი ძნელად წარმოსადგენი დანაშაულის ჩამდენი მოსწავლეების აღზრდასა და ცხოვრების სწორ გზაზე მათ დაყენებას ჩვენში, როგორც წესი, მილიციის უბნის ინსპექტორს ავალებენ...

მერე? მოაქვს კი ამას რაიმე სასურველი შედეგი? ხელისუფლების უმნიშვნელო ფიგურას – უბნის ინსპექტორს კი არა, უფრო დიდჩინიან, ბობოლა მილიციელებსაც, ისე, როგორც ბევრ ჩვენგანს, სხვისი შვილები კი არა, სათანადოდ საკუთარიც ვერ აღუზრდიათ და...

ალბათ გეხსომებათ, პოლკოვნიკ თუ პოდპოლკოვნიკ ბურდლიას (გვარს ზუსტად არ ვასახელებ) ორივე შვილი, ორივე სისტემატური დაუსჯელობით უზომოდ გათამამებულნი, ახლა ავად სახსენებელი რომ გახლავან: ერთი ქურდი-რეციდივისტი, მეორემ კი – ჩვენი „უანგარო, მოუსყიდავი მართლმსაჯულების“ კლანჭებიდან ბარე ოთხჯერ გამომძვრალმა კი არა, — მედიდურად გამობრძანებულმა, ელემენტარული წესრიგის დასაცავად სრულიად სამართლიანი შენიშვნის გამო-ეს როგორ გამიბედო - დღისით-მზისით დანაზე ღორივით წამოაგო, ათეულობით იქვე მდგომი ღიპიანი ქართველი „ვაჟკაცების“ თვალწინ, — საზოგადოებისათვის დიდად საჭირო ახალგაზრდა ინტელიგენტი...

რაკი პედაგოგია ახლოს დგას ფსიქოლოგიასთან, ამიტომ, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ეს ნაძირალები არც სკოლაში იქნებოდნენ გვრიტები, გარიცხვის კანდიდატობასაც არაერთხელ დაიმსახურებდნენ, მაგრამ ახლებურ-საბჭოურად გაგებულმა ჰუმანიზმმა მათ, პირიქით, ყოფაქცევაში ხუთიანი დაუნერა, არცოდნისათვის კი ქების ატესტატით აღჭურვა.

სამოქალაქო პირის შვილები რომ ყოფილიყვნენ, აღსაზრდელ-გამოსასწორებლად შეიძლება მათ მილიც...

ო, მე თუ მკითხავთ, ასეთებს ჩვენს დროში მილიციელი კი არა, მაკარენკოც ვერ მოარჯულებდა...

ჩვენს დროში-მეთქი, რადგან მაკარენკოს დროს სხვა სოციალურ გარემოში ვცხოვრობდით და პირობებიც სხვა იყო სამართალდამრღვევი მოზარდების აღსაზრდელ-გამოსასწორებლად: ქვეყნის ყოველ კუთხე-კუნჭულში, შრომა-გასწორების კოლონიებშიც კი, საყოველთაო ერთუზიანობაში სუფევდა, აკი სოციალიზმი შენდებოდა, კოლექტიური სოციალიზმი, ახლა კი, როგორც ვიცით, განვითარებად სოციალიზმში ვიმყოფებით, როცა ყველას, სულ მცირეოდენის გამოკლებით, გემოვნება-მოთხოვნილება, ადრინდელთან შედარებით, ერთიანად განუვითარდა და ინდივიდუალურ, საკუთარი მუცლის სოციალიზმს იშენებს და თუ ირგვლივ მივიხედ-მოვიხედავთ, ამ თითქოს რთულ ამოცანას პრაქტიკულ ცხოვრებაში დაუბრკოლებლადაც ართმევს კიდევ თავს...

ვინ იცის, შეიძლება სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ მაკარენკოს გარდაცვალებიდან, აი, უკვე ლამის 50 წელიწადი გავიდა და ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე სხვა, ახალი მაკარენკო ჯერ არ გამოჩენილა და არც პირი უჩანს, რომ გამოჩნდება.

სტატისტიკამ ამას წინათ მორცხვად და მორიდებით შემოგვაპარა, დამნაშავეთა დიდი ნაწილი საშუალო და უმაღლესი განათლების პირებზე მოდისო...

ამან, ვისაც განსჯის უნარი ჯერ კიდევ შემორჩა, გონებაგამჭრიახი ადამიანი საგონებელში უნდა ჩააგდოს და სიმწრით ათქმევინოს:

— ესეც თქვენ, განათლების ნაყოფი!..

მაგრამ ნუ ავჩქარდებით და ვადაზე ადრე ნუ ვიტყვით ამ საკრამენტულ ფრაზას: ესენი ხომ მომეტებულად მოსაჩვენარი, მხოლოდ ქალაქებში არსებული, ცრუგანათლების მქონე პირები არიან, რომლებიც ჩვენმა უბადრუქმა საგანმანათლებლო სისტემამ დამოძღვრა და თავისებურად გაანათლა: ათი-თერთმეტი წლის მანძილზე იმდენი ეჯაჯგურა მათ თავის ქალებს, კითხვა იმ უმაღლეს დონემდე შეასწავლა, გაზეთ „ლელოს“ საკითხავად რომ ეყოფათ და წერილთა მათი ტოლ-ამხანაგის ბატიფეხურს რომ წაიკითხავენ და თვითონაც რომ წაუბატიფეხურებენ...

ეს კია, თვლა-ანგარიშის შესასწავლად დრო და ჩიჩინი ბევრი არ დასჭირვებიათ და ახლა ფულს, მხოლოდ ფულს, თუ გნებავთ, ასი ათასობითაც „უჩოთქოდაც“ ჩაიყრ-გადმოყრიან ჯიბეში და ჯიბიდან...

ჰო, მაგრამ განა ასეთი განათლება არ შეეძლოთ, მათ შინაც მიელოთ, თანაც საამისოდ სულაც არ დაეხარჯათ ათი-თერთმეტი წელიწადი და მას, დასტურ, ჩვენი წინაპრები, როცა „ნუცას სკოლაც“ კი ყველასათვის არც ხელმისაწვდომი იყო და არც ფეხმისაწვდომი (სასწავლებლის სიმშორის გამო), ლებულობდნენ კიდევ, რა თქმა უნდა, ვინც კი ამ სურვილით იყო ანთებული...

შარშან ერთ იმ სოფელში გახლდით, ლომონოსოვივით სწავლის წყურვილით მონადინებული, ახლობელ-მახლობელთა მეურვეობა-პროტექციის გარეშე ოცდაათიან-ორმოციან წლებში ხუთამდე პროფესორი, ნამდვილი პროფესორი რომ გამოვიდა.

ახლა კი, ოთხმოციან წლებში საყოველთაო-სავალდებულო კანონით სწავლას მიჯაჭვულმა, იმავე სოფლის მერვეკლასელმა ნიუტონიც ვერ მოიგონა (არ დავიჯერე, მითხრეს კი, არც მისმა მასწავლებელმა იცისო!), ეკატერინე გაბაშვილი არ გაეგონა, ვერც ყაზახეთის, ვერც უზბეკეთის, ვერც მოლდავეთის დედაქალაქი დამისახელა, ბალტიისპირა რესპუბლიკები კი მისთვის ისეთივე მიუწვდომელი და უცნობი აღმოჩნდა, როგორც კრატერები მთვარეზე...

იმ სოფელშივე ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა უკვე არცთუ სულ პატარა ბიჭმა თავისი თითქმის უკვე მონიფული, ასაკოვანი კაცის დაულალავი შრომა-საქმიანობით... ოღონდ სწავლას ნუ გააგონებ და გინდათ, უღელში შეაბითო, — გამანდეს.

მერედა, რა არის ამაში სათაკილო-საძრახისი ანდა რატომ არ არის სანიმუშო შრომისმოყვარეობა მოსაჩვენარ სწავლა-განათლებლაზე უფრო მეტი სარგებლობის მომტანი მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც?!

ჯერ, საერთოდ, საყოველთაო-სავალდებულო სწავლებამ, მერე კი ამის მომდევნო სავალდებულო საყოველთაო-საშუალო განათლებამ, პათეტიკურად რომ ამბობენ ხოლმე, სოციალისტური საზოგადოების ამ უდიდესმა მონაპოვარმა, მოსწავლე თაობის თვალწინ სულ ერთიანად დასცა ფიზიკური შრომის ხიბლი და მისი სასიცოცხლო საჭიროება, და რაც ამაზე ნაკლებ სამწუხარო არ არის, დაამცირა და დააკნინა პედაგოგის პროფესია, იმდენად ჩამოაქვეითა მასწავლებელი, ლამის არის, არარად აქციოს იგი...

აბა, თვითონვე ბრძანეთ, რა წონა და რა ავტორიტეტი ექნება საწყალ მასწავლებელს...

დიახ, საწყალს, რომელიც სკოლაში მოსვლის ქრონიკულად და ჯიუტად არამსურველს დილით, მძინარეს შინ რომ მიაკითხავს, თავზე დაადგება და გაღვიძებას დაუწყებს ხვეწნა-ვედრებით:

— ადექი, ადექი, გენაცვალე!... მოერიე თავს რამენაირად, წამოდექი და წამობრძანდი სკოლაში... ვიცი, ვიცი, გაკვეთილი არ გეცოდინება, მაგრამ ნუ გეშინია, არც არაფერს გკითხავ.. შენ მხოლოდ ყურნალში ამოკითხვისას, აქა ვარო, შემომძახე და... მეტი არაფერი მინდა რა შენგან!

მაგრამ ეს რა არის იმასთან შედარებით, რაც... მმ...რუსთავში სხვა ასეთივე საწყალ მასწავლებელს, მოსწავლესთან ერთად, მისი მშობლების გაღვიძებაც უხდება თურმე (ესენიც, რასაკვირველია, საყოველთაო-სავალდებულო განათლების ღვიძლი შვილები იქნებიან)...

ჰმ! ეს კი გამეგონა, მერძვეემ დილაადრიანად კარზე კაკუნით გაგაღვიძოს, რძე რაში ჩაგისხათ, ბატონებო, წუხელ ჭურჭლის გამოდგმა დაგვიწყებიათო, მაგრამ...

ეს კი მხოლოდ ჩვენს განათლებულ დროში და ჩვენს ქვეყანაში გავიგონე, მასწავლებელმა მოზარდს დილით შინ მიაკითხოს, სკოლაში გვაგვიანდება და... თუ არ გამინყრები, ცოტა ჩქარა ისაუზმე, მე ქუჩაში დაგელოდებიო (ეს იმ შემთხვევაში, თუ ამ უბედურს გზადაგზა სხვებიც არა ჰყავს გასაღვიძებელი)...

დიახ, მოისპო მანძილი მონაფესა და მასწავლებელს შორის, ნაიშალა ზღვარი ღმერთსა და მლოცველს შორის, ისინი ჩვენს ქვეყანაში უკვე კაი ხანია, ერთ სიმაღლეზე (თუ სიდაბლეზე?) დგანან...

რაც დავთესეთ, იმას ვიმკით!

ასეთი გზით მოპოვებული სწავლა-განათლება, უფრო სწორად, სწავლა-განათლების პროფანაცია, შეგნებულად თავის მოტყუება, აფრიკის ახლად გამოღვიძებული, ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის ჩვენი თავის მოსაწონებლად რომ არის თითქოს მიმართული, განა რაიმე დადებით შედეგს გამოიღებდა?

ო, თუ ამას დადებით შედეგად მიიჩნევთ, სტატისტიკა რომ გვაუწყებს, დამნაშავეთა მეტი წილი საშუალო და უმაღლეს დამთავრებულებზე მოდისო, მაშინ კი, ბატონო!

ესეც გვახსოვდეს, ბევრ ამ დამნაშავეს თვით სკოლაშივე, ვიდრე მას დაამთავრებდნენ, ერნევათ აკვანი...

არასრული სტატისტიკა იმასაც გვატყობინებს, რომ არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა საყოველთაო-სავალდებულო სწავლაში ჩაბმული, ჩემებურ-ძველებურად – მონაფე, თქვენებურ-ახლებურად – მოსწავლე. თავის მოძღვარ-მასწავლებელზე საცემად რომ წაწეულა და შემოურტყამს კიდეც და „სწავლა“ ანუ, უფრო ზუსტად, სიარული მაინც გაუგრძელებია, თუ იმ სკოლაში არა, სხვა, მახლობელ სკოლაში მაინც!

აბა, საშუალო განათლების უატესტატოდ ხომ არ დატოვებენ და ჩრდილს ხომ არ მიაყენებენ ჩვენი საზოგადოების უ-უდიდეს მონაპოვარს – საყოველთაო-საშუალო-სავალდებულო სწავლებას (ჩემი მორიდებული, შეშინებული აზრით კი – შრომაზე დაფუძნებული სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ძირგამომთხრელ მღრღნელს).

საფრანგეთის სამეფო ტახტზე ლუდოვიკო მე-14 სულ ღლაპი ავიდა და უკვე „კაი სტაჟის“ მქონე მეფე იყო, როცა 10-12 წლისას მასწავლებლები... მტკიცედ ძნელია თქმა, სხეულის რომელ ნაწილზე, ლოყაზე, თავში თუ „ტაკოზე“, ეს კი დანამდვილებით ცნობილია, რომ მას მასწავლებლები თუ გაკვეთილის მოუმზადებლობა-უცოდინარობისათვის, თუ წრეგადასული გიჟმა-ჟობისათვის უტყაპუნებდნენ ხოლმე...

დიახ! მეფეს – პედაგოგები!... აკი პედაგოგი, როგორც მსმენია, ძველბერძნულად ჯოხიან აღმზრდელს ნიშნავს და ახლა კი ეს ჯოხი, ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში, მოსწავლეს უჭირავს და მასწავლებელიც ყოველმხრივ ცდილობს, ამ „პედაგოგს“ არაფერი აწყენინოს და თავი აარიდოს...

ძველად, როცა უხილავი ძალა სწამდათ, ასეთი ამბის გაგებისას ხელაპყრობილნი მუხლებს მოიდრეკდნენ და...

— ღმერთო, ერთსა გთხოვ: ნურც ქვეყანას დააქცევ და ნურც მე გადამრევ...

სულ ახლახან ჩვენთან ერთი ვაი-უშველებელი ატყდა, რესპუბლიკის სალამოს სკოლებში სათანადო დონეზე არ დგას სწავლა-მეცადინეობაო...

ბოდიში, მაგრამ... საიდანაც ყოველთვის სანიმუშო მაგალითს ვიღებთ — რუსეთში კი დგას?

საქართველოში ყოველგვარი სიგლახე ერთბაშადვე ზრდადასრულებული დინოზავრის სახეს ღებულობს ხოლმე, მაშინ, როცა იგივე სიგლახე სხვა რესპუბლიკებში „დამწყები“ დინოზავრის სიდიდეს იშვიათად თუ გადააჭარბებს, ოღონდ ამ შემთხვევაში... ჩვენდა საბედნიეროდ (სიგლახეში როდისმე ერთხელ მაინც ჩამოვრჩეთ ვინმეს!), მგონი, რუსეთმაც კი გაგვისწრო...

ეს მოსაზრება არც თქვენ და არც სხვებმა (თუკი ამ წერილს ვისმე წააკითხებთ) ცილისწამებაში რომ არ ჩამითვალთ, წყაროზე მივითითებთ: ერთი და იგივე სათაურიან ორ სტატიაზე შარშანდელ „Комсомольская правда“-ში: „Надоело!“ — გვაკმარეთო ამდენი ტყუილი, დაუსრულებელი თვალის ახვევა, სალამოს სკოლები ფაქტიურად მხოლოდ ქალაქებზე არსებობენო; მასწავლებელი მას ეთქმის, ვინც გარშემოხვეულია მოწაფეებით, ჩვენ კი უმოწაფეებო მასწავლებლები ვართ და გვრცხვენია (უნდა ვივარაუდოთ, არა ყველას, ცხადია!), ხელფასს რომ ვიღებთო... ვინც ვალდებულია, სულ ერთია, სწავლა მაინც არ უნდა, ძალათი თუ შემოვართიეთ, მაინც გაგვირბისო...

და მრავალი სხვა ამგვარი!

აქაც მასწავლებლების დამამცირებელი ბინებში სიარული, მათ მიერ ჩანყობილ-მომზადებული გაკვეთილები და მათ მიერვე მიღებული ვითომ გამოცდები და ცისფერლენტშემოვლებული ატესტატები...

დიახ, არსებითი განსხვავება დილისა და სალამოს სკოლებს შორის თითქმის არ არსებობს; პირველის დევიზია – ოღონდ სკოლაში იარე, მეორესი – ოღონდ ჩაენერეთ...

ესეც არის, სალამოს სკოლის მასწავლებელს ორიანის დანერისათვის - „ისეთს ჩაგაფარებ რომა“ - არავინ ემუქრება, აქაური „მოსწავლე“ ცხოვრების ასპარეზზე უკვე გამოსულია და დაუსწრებლად ორიანს დაუნერ თუ ხუთიანს, ამას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, აკი იგი...

სხვათა შორის, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი რომ არა, საშუალო „განათლებულ“ უცოდინართა არმიები, როგორც „Вечные абитуриенты“, წლითინლობით არ აეყუდებოდნენ უმაღლესი სასწავლებლების კარებთან და იძულებულნი გახდებოდნენ, შრომითი საქმიანობისათვის, შედარებით მაინც, დროულად მოეკიდათ ხელი...

დიახ, ეს დღეს ჩვენი საზოგადოების ძალზე მნიშვნელოვანი სატკივარია და იგი რაც დრო გავა შეიძლება კიდევ უფრო და უფრო უარეს სენში გადაიზარდოს...

ჰოდა, თუკი მე, ისეთი „პედაგოგი“, რომელმაც თავისი ცხოვრების გზაზე მხოლოდ ერთხელ ჩაატარა საჩვენებელი გაკვეთილი და მაშინაც კი ცხვირი მოიტეხა იმის გამო, რომ ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილისათვის მომზადებული მასალა ნახევარ საათში ამოეწურა და დანარჩენი თხუთმეტწუთიანი სიცარიელე აღარ იცოდა, რით ამოევსო...

ვხვდები, თუ რა განუზომელი ზიანის მომტანია მოზარდი თაობის დიდი ნაწილის გამათავსებელი-გამაფუჭებელი და ძალზე ბევრისათვის კი ცხოვრების გზის ამბნევი პოტიომკინის სოფლის მსგავსი ეს საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლება.

როგორ დავიჯეროთ, რომ ამას ვერ ხვდებით თქვენ, უკვე საქვეყნოდ ცნობილი პედაგოგი, რომლის წიგნი „გამარჯობათ, ბავშვებო!“ მოსკოვში, მგონი, ნახევარმილიონიანი ტირაჟით გამოიცა და რომლის ავტორიც შარშან ქებით მოიხსენია პედაგოგიური მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა კონდაკოვმა და უმაღლესი განათლების მინისტრმა პროკოფიევმა (ახლა, თუ არ ვცდები, უკვე ყოფილმა)?..

და თუ ხვდებით და გრძნობთ ამ სახალხო-საზოგადოებრივი სატკივრის მთელ სიმწვავეს, მაშინ მოიმარჯვეთ კალამ-სკალპელი და, როგორც უკვე დიდად ავტორიტეტულმა მოძღვარ-მასწავლებელმა...

იყივლეთ მაინც!

და თუ არ გათენდება...

ო-ო! რომ არ გათენდება, ამაში არც ამ უსახელო ბარათის მომწერს ეპარება ეჭვი: ძალად მაცხოვნების ოჩოფებზე აგებული დღევანდელი ჩვენი სწავლა-განათლების სისტემა რომ შეიცვალოს, საამისოდ „ორჯერ ორი ხუთის“ მონაგარიშე-დამდგენელთ კიდეც, სულ ცოტა, 30-40 წლის ფიქრ-ჭოჭმანი მაინც დასჭირდებათ.

სამაგიეროდ... თქვენი დროული, გამაფრთხილებელი ყივილი საისტორიოდ ხომ მაინც დარჩება!

მერწმუნეთ...

არა, ვიცი, არ დამერწმუნებით, მაგრამ ჩემდათავად მეც ვიყივლებ, ოღონდ, გთხოვთ, საწყენად ნუ მიიღებთ: პედაგოგიკის ისტორიაში თქვენ ამით უფრო შეხვალთ, ვიდრე ბავშვების 6 წლის ასაკიდან „თამაშ-თამაშ“ ასამდე თვლისა და „აი იას“ წერა-კითხვის შემოსაღები სწავლებით!

აბა, ბრძანეთ, ისეთი რა მნიშვნელობა აქვს, დღევანდელი საბჭოთა სკოლა უთვალავ უვიცთ, და მათ შორის არცთუ ისე ცოტა უვიცთ-დამნაშავეთ, 6 წლის ასაკიდან „განათლებს“ თუ 7 წლიდან ?!

ისე, მე თუ მკითხავთ, პატივცემულო შალვა მასწავლებლო, სულ უკანა მერხზე მჯდომ, გაკვეთილის გამოსვლის დასარეკი ზარის გულისფანცქალით მომლოდინე ცუდლუტ მონაფეს, მაინც ჯობს, ბავშვებმა ბურთი შვიდ წლამდე სუფთა ჰაერზე, მინდორში ითამაშონ, ვიდრე ჩახუთულ ოთახში თუნდაც ერთობ სიმპათიური ნანა მასწავლებლის მონაწილეობით, ასე რომ გაგვაცანით, - ახალგაზრდად კი გამოიყურება, მაგრამ მაინც კარგა ხნის პედაგოგიური სტაჟი აქვსო...

ჩემდა საკვირველად, ეს ხომ არ იყო მიზეზი – ახალგაზრდად „გამოყურება“ — რომ მას გაკვეთილის დასაწყისში უქალბატონობით მიმართეთ, „აბა, ნანა, დავინყოთ!...“

კი, მაგრამ...

ეს საჩვენებელი გაკვეთილი უფრო ხომ ჩვენთვის, უამრავი ტელემაყურებლისთვის იყო გამიზნული, ვიდრე იქ მსხდომი თორმეტი ბავშვისათვის...

ტელეეკრანებს კი ბევრი ვუსხედით ისეთი „კულტურულ-განათლებული ინტელიგენტიც“, ვისაც ჯერ კიდევ გვჭირდება ელემენტარული თავაზიანობის გამომუშავება, ეს კი, აბა, ვისგან ვისწავლოთ, თუ არა ისევ ტელევიზიისაგან და პირადად თქვენგანაც...

პატივისცემით

არაფრისმცოდნეობის კანდიდატი,  
რომიელსაც თვალი ახლა დოქტორობაზე  
უჭირავს.

P.S. ხელით ნაწერისთვის ბოდიშს ვიხდი, თუმცა... ამ ბარათში ზოგიერთი აზრი თუ ისე მკვახედ მოგეჩვენებათ, რომ „ანონიმჩიკის“ გამომჟღავნებას საჭიროდ მიიჩნევთ, ამ რთულ საქმეში „პოჩერკი“, პირიქით, საქმეს გაგიადვილებთ.

ისე კი, რომ იცოდეთ, ეს თქვენი „მოსე მწერალი“ სულაც არ აპირებს თვალთაგან მიფარებას: ერთხელ კიდევ შეეცდება, წააწყდეს სადმე თქვენს წიგნს და თუ ამჯერადაც ვერ მიაღწევს სანატრელ მიზანს, მორიდებით შემოაღებს თქვენი კაბინეტის კარს და ხიხინა ხმით გეტყვით:

— გამარჯობათ, ბატონო შალვა! მე მოვედი სამათხოვროდ: მისაჩუქრეთ თქვენი

„Здравствуйте дети!“

იანვარი, 1986 წელი.



**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს  
გატონ ზვინაძე გამსახურდიას**

**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 25 დეკემბერი, 1992 წელი**

ამთავითვე მოგახსენებთ: თქვენ მოგმართავთ დედიტაც და მამიტაც ერთი ქართველი კაცი, თქვენი ამომრჩეველი, რომელიც შეიძლება სულაც თავხედურად ფიქრობდეს, რომ ამ დიდი განსაცდელის ჟამს თავის სათაყვანო პრეზიდენტზე ნაკლებად როდი შესტკივა სამშობლოსათვის გული.

მინდა, ესეც იცოდეთ: მე ადრეც, თქვენ მიერ საქართველოს განთავისუფლებამდე, უპარტიო კაცი ვიყავი და ახლაც, თავისუფალ საქართველოში, არც ერთ პარტიას არ მივეკუთვნები, მით უმეტეს კომუნისტურს – ხომ არა და არა!

ამ გარემოებას ასე ხაზგასმით ორი კატეგორიული „არათი“ იმიტომ აღვნიშნავ, რომ არ იფიქროთ, კომუნისტებმა ჩამაგონეს ის, რასაც ახლა გწერთ.

არადა, დასწყევლოს ღმერთმა, ამ ჩემს მომართვას კომუნისტური სუნი თითქოს უდის კიდევ, და მაინც, ბატონო პრეზიდენტო, ნაადრევად ნუ აღშფოთდებით და გთხოვთ, ბოლომდე ჩაიკითხოთ.

დღეს ჩვენი უსაყვარლესი, მთლიანი საქართველო საბედისწერო სასწორზეა შეგდებული; როგორც ერთიანი ეროვნული ორგანიზმი, იგი ყოფნა-არყოფნის, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იმყოფება და, რარიგ დასანანია, რომ ბუნებამ თითქოს საგანგებოდ თქვენთვის მოიცალა, თქვენთვის — არა იმდენად ასაკობრივი, რამდენადაც მმართველობის ხანგრძლივობით — სრულიად ახალგაზრდა პრეზიდენტისათვის.

დიახ, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო ერთპიროვნულ მესაჭეს, თითქოსდა გამოცდის მიზნით, განგებამ თავს გაუგონარი მასშტაბის კატასტროფები დაატეხა — ორგზის საშინელ მიწისძვრას ხომ წარღვნიებური წყალდიდობაც მოჰყვა...

დღეს თითქმის ნახევარი საქართველო კერააყრილია, თითქმის ნახევარი საქართველო დანგრეულია.

თუკი ამას ბედი ეთქმის, კიდევ ჩვენი ბედი, რომ ქვესკნელი თბილი თვეების დადგომისას აბობოქრდა, თორემ ეს რომ ზამთარს მომხდარიყო...

ო, რაჭასა და ზემო იმერეთში ზამთარი რომ იცის, ექვსთვიანი, უხვთოვლიანი..

ადამიანთა მსხვერპლის მხრივ არა, მაგრამ ნგრევის მხრივ საქართველომ სპიტაკის მიწისძვრაც კი უკან ჩამოიჭოვა.

სომხეთი, აი, უკვე მესამე წელიწადია, ჭრილობებს იშუშებს და ჯერაც ვერა და ვერ მოუშუშებია, თუმცა მას თითქმის მთელმა მსოფლიომ რეალური შემწეობის ხელი გაუწოდა და მთელი მსოფლიოს მდიდარი სომხობაც ხომ სიტყვით და საქმით ფეხზე დადგა (მარტო უილიამ საროიანის ამერიკაში 600 ათასი სომეხია, შარლ აზნავურის საფრანგეთში 200 ათასამდე დაითვლება), ჩვენ კი ისეთი მზრუნველ-მიმხედავი, რომ წელში ოდნავ მაინც გავესწორებინეთ, არავინ გვეგულეება (აბა, ხელი რით უნდა გაგვიმართოს რალაც ორასამდე ამერიკელმა ქართველმა და თუ არ ვცდები, ათასამდე საფრანგეთში მცხოვრებმა — მათში მილიონერი რამდენიმე მაინც რომ ერიოს, კიდევ ჰო...).

ჩვენი სათვალავით, უკვე მესამე, უნორჩესი რესპუბლიკის მატერიალური ზარალი, როგორც ტელევიზიით გვაცნობეს, ათ მილიარდსაც კი აჭარბებს თურმე. ჩვენ კი დღემდე რის ვაივაგლახით მხოლოდ 60 მილიონამდე შეგვიგროვდა... მერედა, სამოცი მილიონი ამოუდგება გვერდით ათ მილიარდს?!

თანაც ჩვენი, საერთოდ, შრომის და, კერძოდ, აღდგენითი შრომის ტემპები რომ ვიცით! რომელი ამერიკელები ჩვენა ვართ, ამ ორიოდ წლის წინათ კალიფორნიაში მიწისძვრისაგან 12-კილომეტრიანი მიგრეხილ-მოგრეხილი ხიდი სამიმოსვლოდ ორ კვირაში რომ გაამრთელეს, ჩვენ კი, აი, უკვე მეორე წელიწადია, ქაშვეთის ეკლესიისათვის, პროსპექტის მხრიდან, პატარა ნაგე-

ბობა-შესასვლელიც ვერ მიგვიშენებია, თუმცა იქ, რამდენადაც დაგვირგვინებია, გულით მუშაობენ, თანაც არც ფულადი სახსრები აკლიათ და არც სამშენებლო მასალა...

ჰოდა, მიწისძვრის იმ რაიონებში, სადაც ბევრგან არც ფული მოეპოვებათ და არც სამშენებლო მასალა... საჩხერეში, მაგალითად, სილაც უკვე საძებნელი გახდომიათ, არადა, უახლოეს ორ-სამ თვეში კარს ჯერ სიცივე, მერე კი ხანგრძლივი ზამთარი მოგვადგება, რა ეშველებათ მაშინ ამჟამად ცისქვეშ მცხოვრებ იმ ათი ათასებს, რომლებიც თქვენ ახლა, როგორც ბიბლიურ მხსნელს, შემოგცქერიან, სასწაულმოქმედთან რომ გაიგივებენ?!

დაე, ღმერთმა დიდი ცოდვის მოწმენი ნუ გაგვხადოს, დიდი ცოდვის მოწმენი ნუ გაგვხადოს ღმერთმა!

...ეხ, ვინ იცის, ამ დიდ სტიქიურ უბედურებას, ვაითუ, ამაზე არანაკლებმა მეორე პოლიტიკურმა უბედურებამაც აუბას მხარი:

სამოკავშირეო ხელშეკრულებას არძინბა ხელს თუ მოაწერს, დაგვეკარგება აფხაზეთი!..

აფხაზეთის დაკარგვა კი იმას ნიშნავს, რომ ჰერეთ-საინგილოსავით სამუდამოდ დაგვარგოთ ქართულ ამ ბაღნართან ერთად 250 ათასი ქართველი...

დიახ, სამუდამოდ!.. ისინი, ჩვენს თვალსა და ჩვენს ყურს მოკლებულნი, საქართველოს მოშორებულ-მოკვეთილნი, ნაწილი ადრინდელი ქართველებივით გააფხაზდება, ნაწილი გარუსდება... დაემართათ ხომ ასე არათუ მარტო მეგრელებს, იმ რაჭველებსაც კი, ამჟამად საქართველოს თითქმის საზღვართან, სოჭის მახლობლად, სოფელ პლასტუნკაში რომ ცხოვრობენ და ქართულ იერს დღითიდღე კარგავენ და ქართულს უკვე ამტვრევენ...

არძინბა კი, არხეინად ბრძანდებოდეთ, სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელს უეჭველად მოაწერს, მოაწერს გორბაჩოვ-იაზოვის ჯარით გულ და ზურგამაგრებული და ეს ჯარი, რაც ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ, აფხაზეთში უკვე განლაგებულია და, სამხედროების ენით თუ ვიტყვით, სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია...

ნუ ვიქონიებთ იმედს, ჩვენო სათაყვანო პრეზიდენტო, რომ არძინბას ამ საქმეში შეაკავებს ანდა შეაშინებს თქვენი ერთგული თანამებრძოლის, ბატონი აკაკი ასათიანის მუქარა-გაფრთხილება, მთელი ქვეყანაც რომ დაიქცეს, ჩვენ აფხაზეთს არ დავთმობთო...

სხვათა შორის, მე ეჭვი არ მეპარება, რომ ქვეყნის დაქცევის იმ ტრაგიკულ მომენტში ბატონი აკაკი სადმე საიმედო ბუნკერს არც ძებნას დაუნყებს და არც თავს შეაფარებს...

რასაკვირველია, ამაზე უფრო ერთიორად მწამს თქვენი ვაჟკაცური ბუნებისა და ვიცი, ერთიანი საქართველოსთვის სიკვდილის წინაშე არც თქვენ დაიხვეთ უკან, მაგრამ საკითხავია — რატომ, რისთვის?

ღირსეულ პრეზიდენტობას რომ თავი დავანებოთ, თქვენ ჩინებული მწერალი ბრძანდებით და, თუმცა, დიადი იდეა გასულდგმულებთ, მაგრამ მაინც, არ უნდა შეაკლათ მას თავი ბაირონ-პეტეფივით...

და ეს ისევ ჩვენთვის, ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს , ხ ა ლ ხ ი ს თ ვ ი ს ! ო, ვინ იცის, კვლავ რამდენ რამ ხელით საგოგმანებელს შეგვიქმნით სიცოცხლის მეორე ნახევარში, კიდევ უფრო დაბრძენებისას!

დიახ, არც თქვენი, არც ასათიანის და არც სხვა რომელიმე, თუნდაც სულ პატარა ჩვენიანის წინასწარ გამიზნული, ერთი სიკვდილიც არ ღირს იმად, რაც გამარჯვების ნატამალსაც არ მოგვიტანს.

ვიკმაროთ, ვიკმაროთ.

განა თქვენ, ჩვენო გულმონყალე, სათნო პრეზიდენტო, ეს ყმანვილები რუსეთის „დედოვ-შჩინიდან“ იმიტომ გამოიხსენით, რომ მათ ახლა მშობლიურ მიწაზე ისევ რუსის სადესანტო ჯარისგან აღმოხდეთ სული?!

ნუ ვიფიქრებთ, რომ იქ სისხლი არ დაიღვრება.. სწორედ ასე გვეგონა მ აპრილს, რომ არც 9 აპრილს და არც მერე ჩვენი სისხლის დაღვრას ვერ გაბედავდნენ, მაგრამ გაბედეს, თანაც რაიმე მერყეობის გარეშე: ასევე გვეგონა, „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“ თუ გავაუქმებდით, ამას აბრაგი ოსები უსისხლოდ მოინელებდნენ, იოლად შეურიგდებოდნენ — არ შეურიგდნენ, ეს მიწა ჩვენიაო...

ახლა, აფხაზეთში მაინც, რეალობის თვალთ შევხედოთ მოსალოდნელ საბედისწერო საშიშროებას, სოხუმში ვეკუები დასალუპავად მეტი აღარ უნდა გავიმეტოთ...

თქვენ, ბატონო ზვიად, სამი შვილის მამა ბრძანდებით, ქალბატონი მანანა ორი ბიჭის დედაა. ჰოდა, ამ სამიდან სამშობლოს სამსხვერპლოსთვის რომელიმეს გაიმეტებდით? მე, რა თქმა უნდა, ისეთ სამსხვერპლოს ვგულისხმობ, რომელიც, კერძოდ, შეიძლება აფხაზეთში აღიმართოს საბოლოოდ გარეშე ძალების ჩარევის წყალობით, ეროვნულ გამარჯვებას რომ ვერ მოგვიტანს.

დღევანდელ სიტუაციაში დიდი მიხვედრილობა არაა საჭირო იმ დასკვნის გამოსატანად, რომ არძინბას საბჭოთა ხელისუფლება აფხაზეთზე გულზე ისე ეხატება, როგორაც ჩვენ — ქართულზე, და მაინც, მისი ოცნებაა, რომ უკვე არასაბჭოთა საქართველომ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელი არ მოაწეროს, რაიც მას კანონიერ შესაძლებლობას მისცემს, ცხადია, კრემლის შეგულიანებით, თავი დაიძვრინოს „ფაშისტ გამსახურდიას საქართველოს არტახებიდან...“

ჰოდა, თქვენ, როგორც სრულიად საქართველოს და, მაშასადამე, აფხაზეთის პრეზიდენტიც, როგორც გონებაგამჭრიახი და ემმაკი (არაემმაკმა პოლიტიკაში ცხვირი არც უნდა ჩაყოს, როგორც ბოთემ და დაბდურმა)... დიახ, ემმაკი პოლიტიკოსი, თავისი ბრძნული სახელმწიფოებრივი ნაბიჯით, არ გაახარებს არძინბებს, არ აუხდენს მათ დიდი ხნის სანატრელ ოცნებას, ჩაუგდება უკვე პირთან მიტანილ მურაბიან კოვზს ნაცარში და... მთლიანი საქართველოს სახელითაც მოაწერს ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე!

ცხადია, ჩინებულად ვიცი და მშვენივრად ვგრძნობ, ამაყ და ზვიად ზვიად გამსახურდიასთვის ეს ახლა, ამდენი ბრძოლის შემდეგ, ერთობ ძნელზე ძნელი იქნება, მაგრამ ამ ეროვნულ-პოლიტიკურ სიბრძნეს ერთიანი საქართველოს დაუქუცმაცებლობისა და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები თუ მოითხოვენ, განა ღირს ამისათვის ფიქრი და ჭოჭმანი?!

დარდი ნუ გექნებათ, ეს ნაბიჯი თქვენ, როგორც საღად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწეს, მსოფლიოს თვალში ოდნავაც არ დაგამცირებთ, არ დაგამდაბლებთ, სახელს არ გაგიტებთ, პირიქით!

თქვენი იდეალი ხომ გენერალი შარლ დე გოლია და პრეზიდენტობის დროინდელი რონალდ რეიგანი! მერედა, განა გენერალი დე გოლი საფრანგეთის მთავარკაცობისას მუდამ ამოღებულ ხმაღს იქნევდა? განა მას დროდადრო არ ჩააგებდა ხოლმე ქარქაშში? განა რეიგანმა ცოტა დაუთმო გორბაჩოვს იმ ანგარიშით, რომ საბოლოოდ მისგან მეტი მოგება მიეღო (ცხადია, აქ ფინანსური სარფა არ იგულისხმება)?!

პოლიტიკა, ჩვენო საამაყო, სწორუპოვარო პრეზიდენტო, სახელმწიფო მოღვაწეობის ის სფეროა, სადაც ზოგჯერ მზაკვარიც უნდა იყო და ზოგჯერ კუდამელაც. პოლიტიკაში, თუკი ეს გარემოებამ მოითხოვა, ბედაურიდან ვირზეც უნდა გადაჯდე, რათა მერე, უკვე მგლის მუხლიანი, ისევ ბედაურზე ამხედრდე უფრო მტკიცედ...

თქვენ ისე გეჯავრებათ და გძულთ მოსკოვი-კრემლი, ცენტრი და მისი მთავარი რეჟისორ-დირიჟორი მიხეილ გორბაჩოვი, რომ, ასე მგონია, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტს გულდასმით არც გაეცნობოდით: იგი ცალკეული, ასე ვთქვათ, სუვერენული რესპუბლიკებისათვის უკვე აღარ არის ისე მონურად ხელფეხშემბორკავი; თუ წინათ რკინის ხაფანგი იყო (რასაც ცხადი ტერორის ჟამიც უწყობდა ხელს), ახლა მასთან შედარებით, უფრო ნეილონის ობობას ქსელს წააგავს, საიდანაც გამოღწევა დროთა განმავლობაში არ იქნება შეუძლებელი, ოღონდ იმხანად ეკონომიკურად საკუთარ ფეხებზე უნდა იდგე.

ბატონო ზვიად, დრო დაგვიდგა ისეთი, როგორც ამას წინათ ერთმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ დაადასტურა, პროსტიტუცია კი უკვე აღარ ითვლება სამარცხვინო საქმიანობად. მეძავობა, ასე განსაჯეთ, ერთ-ერთ პირველ პრესტიჟულ პროფესიად დაასახელეს...

ჰოდა, თუკი ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას, თუნდაც მტკიცე გადაწყვეტილებას, შენი მშობელი ერისა და შენი სანუკვარი სამშობლოს გადასარჩენად ზურგს შეაქცევ, ამას ჭეშმარიტ ერისკაცს სულიერ მეძავობაში არ ჩაუთვლის არც ისტორია და არც თანამედროვეობა (გარდა ხელმოცარული დემაგოგებისა და ორი-სამი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უმწიფარი პოლიტიკოსისა).

... და თუ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ყოველივე ამას გონების სასწორზე აწონ-დაწონით და დეტალური განსჯის შემდეგ თავს „დაიმცირებთ“ და სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერთ, ამით საქართველო მხოლოდ მოიგებს, მოიგებს უსისხლოდ იმას, რასაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის საფასურითაც ვერ მოიგებს.

ჩამოვთვლი მთავარზე მთავარს:

1. ველარ გაგვეყრება აფხაზეთი;
2. შესაძლოა, შიდა ქართლიც შეგვრჩეს – ჩვენთვის კრემლისაგან ერთგვარ საკომპენსაციოდ – იმ სტატუსით, როგორაც თქვენ უკვე დასახეთ (კულტურული ავტონომია).

3. მიუხედავად საყოველთაო-საქვეყნო ეკონომიკური კრიზისისა, საქართველოს ამჟამინდელი სულისმღაფავი ეკონომიკა, საერთო, საკავშირო ძალისხმევით სულს მოითქვამს და მოცოცხლდება;

4. ჩვენი ხელმონერით გახარებული მოსკოვი-კრემლი, ცენტრის ჩარხმტრიალებელი გორბაჩოვი თქვენი და ქართველი ხალხის გულის მოსაგებად მიწისძვრებისაგან იავარქმნილი საქართველოს ფეხზე წამოსაყენებლად საგრძნობ რესურსებს უეჭველად მოგვაშველებს;

5. დაბოლოს, რაც პატარა ამბავი არ იქნება, მსოფლიოს ბევრი მოწინავე ქვეყანა, სადაც სახელი გაგვიტეხეს, ზოგჯერ კი — ვიყოთ გულწრფელი და ნუ დავმალავთ — სახელი თვითონაც გავიტეხეთ, ახლებური, კვლავ სანდო თვალთ შემოგვხედავს, მათ შორის ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც, და ყველა ისინი ასეთ გაუგონარ ბედუკულმართობაში ჩავარდნილთ კეთილ ხელს უთუოდ გამოგვიწვდიან, ოღონდ დავით კლდიაშვილის კუდაბზიკა, კუჭმიმხმარ აზნაურივით ნუ შეგვრცხვება ამის და ნუ ვიუკადრისებთ; სულ აგერ ახლა ჩინეთის 18 პროვინციაში დიდმა წყალდიდობამ მოსახლეობას ცხოვრების საარჩო-საბადებელი წაართვა და ამ ვეებერთელა, მილიარდინან სახელმწიფომაც კი მსოფლიოს შესძახა, ჭირის დღეში ჩავვარდით, მოგვეშველეთო...

ღიას, ბუშიც-მეთქი, ეს-ეს არის, მოგახსენეთ... ო, რამდენად მართებულია მისი აზრი, რესპუბლიკებისათვის საბჭოთა კავშირიდან გასვლა თვითმკვლევობის სადარი იქნებაო. ახლა ამის თაობაზე საპარლამენტო საპროტესტო განცხადებებით და ჩვენი ქართულ-რუსული პრესის მეშვეობით აღშფოთებაც რომ გამოვთქვათ და ამის სანინაალმდეგო ვამტკიცოთ, სულ ერთია, ბუშს ჩვენს პოზიციაზე მაინც ვერ გადმოვიბირებთ. ჩვენმა ჭკუის დარიგებამ კი მის ყურამდე თუ მიაღწია, ვაითუ, კიდევ უფრო მოვიმდუროთ და თუ მან ჩვენი მეზობელი სომხეთის მომავალი პრეზიდენტი მრავალკერძიან სადილზეც კი მიიპატიჟა, ჩვენ ერთი სენდვიჩითაც აღარ გაგვიმასპინძლდება, თუნდაც კონგრესმენების მიძალებით მიგვიღოს კიდევც თეთრ სახლში.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ძვირფასო ბატონო ზვიად, თქვენი პრეზიდენტობის მალმერთებელს თუ არ ჩათვლით ქართველი ერის მოღალატედ და შენიღბულ კომუნისტად, სიყვარულით შემოგბედავთ და გეტყვით: თქვენი დროდადრო, უფრო აღრინდელი მოუზომავი პირდაპირობით, საკმაოდ მკვახე გამოთქმებით გორბაჩოვის მისამართით, რომლებიც ადრესატს სულ იოლად შეეძლო მიეჩნია უმაღლესი დონის ხელისუფალთათვის შეუფერებელ, არათავაზიან უდიერობად, ასე მკაფიოდ გამოხატული იგნორირება არათუ თვალუნვდენი საბჭოთა იმპერიის ბატონ-პატრონის გულს გაკენწლავდა, იგი უსიამოვნოდ ააფორიაქებდა მას მაშინაც კი, ახლაც სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მდივანი რომ იყოს.

რაკი მთელი ეს წერილი თითქმის სულ „მოგებაზეა“ აგებული, მორიდებით შეგეკითხებით: მოვიგეთ კი ამით რამე?

თქვენ მოსკოვში, ბოლო დროის ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე როგორც მახსოვს, ამგვარად განაცხადეთ: „Официальная Москва меня не признает...“

25 ივლისით დათარიღებულ მიმართვაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო (ესე იგი ფაქტობრივად, თქვენ) საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს (ესე იგი ფაქტობრივად, გორბაჩოვს) წერს:

„Верховный Совет Республики Грузия подтверждает свою готовность в любую минуту сесть за стол переговоров с руководством СССР. Надеемся, что с вашей стороны будут проявлены добрая воля и благоразумие во имя свободы и процветания наших государств и народов“.

ამ სტრიქონების გაგზავნიდან დრო საკმაოდ გავიდა, მაგრამ როგორც ვხედავთ, მოსკოვი-კრემლი, გორბაჩოვი-ცენტრი ჩვენს „ლუბაია მინუტას“ არ ეხმაურება და როგორც ჩანს, ჩვენთვის არც „ღობრაია ვოლიათი“ და არც „ბლაგორაზუმითი“ არ აპირებს, თავი შეინუხოს.

აღბათ... დაავიანეთ, დაავიანეთო; ბევრად ადრე, როცა ჩვენ თვითონ ასე მოგმართავდით, და თუ თქვენ არ ინებებთ ჩვენთან ჩამოსვლას, ჩვენ თვითონ გეახლებითო, მაშინ ყურიც არ გამოიბერტყეთო: დასავლეთის იმედი გქონდათ, ბუშის, ბუშის... ბუშმა კი, აი, ყოფაქცევაში ორიანი დაგინერათ და უსადილოდაც დაგტოვათო...

არ დაგიფარავთ, ძალზე მიკვირს: თქვენ, ბატონო ზვიად, ასეთ ბრწყინვალე რუსთველოლოგს — „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ ეს ხომ ეპოქალური შედეგია! – რატომ მიგავინწყდათ შოთას გენიალური შეგონება:

„გველსა ხვრელით ამოიყვანს  
ენა ტკბილად მოუბარი...“

დასტურ, ამ ტკბილმოუბარი ენით ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა თავისი ქვეყნის საქმეები აღჩუხე ისე აანყო, მილიარდებამდე ღირებულ ბაიკანურიც კი მიინანილა; მას არც აზერბაიჯანის ალბათ მომავალი პრეზიდენტი მუტალიბოვი ჩამორჩა, „მის“ ყარაბახს, მისივე ტკბილად მოუბარი ენით მოხიბლული, ახლა თვითონ გორბაჩოვი იცავს სომხებისაგან...

ო-ო, ალბათ ამით სმენაგამახვილებული და შეშფოთებული ლევონ ტერ-პეტროსიანი (სხვათა შორის, თუ ენების ცოდნა სახელმწიფო საჭის უავარიოდ მართვის გარანტიაა, ლევონს, თუ არ აჭარბებენ, თერთმეტამდე უცხო ენა სცოდნია!)... ჰაიასტანის პრეზიდენტი, შეიძლება ამის მიზეზითაც, უკვე გადასულა – თუმცა ენამწკარტეობაში არც ადრე შეიმჩნეოდა — ტკბილმოუბრობაზე: ამბობენ, იგი მოანერსო ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებას...

და თუ ეს ამბავი, ბატონო ზვიად, მართლაც ასე დაგვირგვინდა, მაშინ აღმოსავლეთში მარტო ჩვენ დავრჩებით ხელმოუწერელ, გარიყულ იაქედ, რამაც, არა მგონია, რაიმე მნიშვნელოვანი სარგებლობა მოგვიტანოს... ჩვენი მომავალი თავისუფლების ბედის თანამოზიარე ბალტიისპირეთი ისე შორს არის ჩვენგან ყოფით, კულტურით, ეკონომიკით და თუნდაც გეოგრაფიულად...

სხვათა შორის, ჩვენი არ იყოს, მასაც ეგონა, მის სასონარკვეთილ, „დამოუკიდებელ“ კვილზე ამერიკასა და ევროპას გული აუჩუყდებოდა და მოსკოვს უმაღვე მუქარით თითს დაუქნევდნენ, გვერდით ამოუდგებოდნენ...

იმედის ეს ბუშტი ახლა ალბათ იქაც გასკდა, ამერიკის პრეზიდენტმა არათუ მილიონნახევრიან ესტონეთს, ორნახევარმილიონიან ლატვიას და სამნახევარმილიონიან ლიტვას კი არა, ორმოცდაათმილიონიან უკრაინას მისივე დედაქალაქში საბჭოთა კავშირის ერთიანობის დაურღვევლობისაკენ მოუწოდა.

... ისე კი, რა დაგიმალოთ, საწყენი კი იქნება, საერთოდ, ჩვენს ქართველ პრეზიდენტს, თუნდაც ნახევრად მეგრელს, მუსულმანი და სომეხი პრეზიდენტები უკან თუ ჩამოიტოვებენ შორსმჭვრეტელობით, სახელმწიფოებრივი ალლოთი და, თუ გნებავთ, პოლიტიკაში ზოგჯერ ასე საჭირო (ბოდიშს მოვითხოვ) მამაძალლობითაც.

ღიას, ღრო მოვიდა ისეთი, ახლა ბუნებით თუნდაც ძრისტმს მოციქულისებრი პრეზიდენტიც კი მოვალეა, სამშობლოს ატომიარაღასხმული მტრების ღონეს ხერხი დაუპირისპიროს და მათ მიმართ ცბიერიც იყოს, ბაიკპერაც და კარბად ბაქნილი ვირეშაპაც.

თქვენი სიბრძნის მოიმედე,

თქვენი დიდად მოყვარული და დიდი პატივისმცემელი როგორც პრეზიდენტის და როგორც მწერლის.

5 აგვისტო, 1991 წელი,  
თბილისი

კიტა ბუაჩიძე

P.S. მინდოდა, ეს ბარათი თქვენთვის პირადად მომერთმია, უკიდურეს შემთხვევაში, თქვენი თანაშემწეებისათვის ჩამებარებინა მაინც, მაგრამ მთავრობის სახლის კართან, რომელსაც არ მივაღეჭი, ყველგან იმდენი მკაცრი და უღიმილო გვარდიელი დგას, იქ მაფშალიაც ვერ შეფრინდება... არადა, ამ ახალგაზრდებმა თქვენზე გადმოსაცემად კონვერტიც არ გამომართვეს, გაიარე, გაიარე... მეც „გავიარე“ და, აი, უკვე მესამე დღეა, ვიტყვ თავს, ეს ნაწერი რა გზებით და ვისი მეშვეობით მოგანვდინოთ, რომ თქვენზე ადრე იგი სხვამ არავინ ნაიკითხოს.

8 აგვისტო, 1991 წელი.



**ლია ბარათი**  
**ხსოვნის საერთაშორისო საზოგადოება „სტალინი“-ს**  
**თავმჯდომარეს ბ. მინიანს**

**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 18 მარტი, 1994წ.**

ბატონო ბრიბოლ! ვფიქრობ, უთუოდ შემჩნეული გექნებათ, რომ უკვე დიდზე დიდი ხანია, ჩვენს პრესაში იშვიათად თუ სადმე წაანყდებით სიტყვა „დიდს“; მის ნაცვლად ყველგან და ყველაფერში „გაყიდვაშია“ „უდიდესი“:

პროფესორ პოჭოჭიკაშვილის გამოსვლამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე...“

„ჩემს შემოქმედებას უდიდესი სიყვარულით და უდიდესი ინტერესით ადევნებდა თვალს ჩემი უფროსი კოლეგა, ან სასუფეველში მყოფი, ბატონი...“

მოკლედ, ჩვენ ასე შეგვაჩვიეს „უდიდეს-უდიდესს“, რომ ახლა, ცოტა არ იყოს, ვშიშობ კიდევ, ვაითუ, საწყენად დაგირჩეთ, თქვენს ვრცელ ინტერვიუს - „როგორც ღმერთს, ისე სტალინსაც“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 21.12.93) თუ არ მივუსადაგებ „უდიდესს“ და შემოვიფარგლები მარტო...

მართლაც, თქვენი ეს ღრმაშინაარსიანი, არსებითად, სტატია დიდი დაკვირვებით ჩავიკითხე და, რა დავმალო, დიდადაც გავიხარე, თუმცა არასოდეს, არასოდეს არათუ უდრეკი სტალინელი, სულ უბრალო...

ო, მაგრამ, ვიდრე ამ აღსარებას გაგანდობდეთ, რაკი სრულებით არ გეცნობით, საჭიროდ მიმაჩნია, ჩემი თავი წარმოგიდგინოთ:

მე გახლავართ მწერალთა კავშირის წევრი და, მაშასადამე, მწერალი, თუ დე ფაქტოდ არა, დე იურედ მაინც ვითვლები და როგორც ასეთს, ამ ბარათის გარდა, სხვა ნაწერებიც გამაჩნია, კერძოდ, თქვენთვის ასე ახლობელ იოსებ სტალინზეც, რომლის ხსოვნის საზოგადოება, თანაც საერთაშორისო, თურმე უკვე დაგვიარსებიათ და, რაც მთავარია, აპირებთ, უახლოეს დროში სტალინის ნეშტი მის სამშობლოში გადმოსვენოთ.

აქვე დასძენთ, ჩემი წინათგრძნობით, დასძენთ თითქოს გულისწუხილითაც. რომ თქვენს ამ განზრახვას მომხრეც ბევრი ჰყავს და, სამწუხაროდ, მონინაალმდეგეც.

ო. არ ვიცი კი, ქვემოთ როდესაც ჩემს ამონაწერებს გაეცნობით, ასე ვთქვათ, სტალინის თემაზე, რომელ ბანაკს მიმაკუთვნებდით, ნაცად-ნაწრთობ სტალინელებისას თუ მის მაძაგებელ-მაგინებელთა კოჰორტას.

ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ თოთხმეტი წლის წინათ მე დავწერე „შავი წიგნი“, რომელიც მთელი ათი წლის განმავლობაში, ქსეროქსზე ნამდვილად არაერთხელ გადაღებული, „დისიდენტურად“ ვრცელდებოდა და იგი მხოლოდ მის შემდეგ დაიბეჭდა, როცა „პერესტროიკამ“ ცენზურას ფრთები, ასე თუ ისე, შეაჭრა-შეუკვეცა...

თქვენ ამ წლებში, ბატონო გრიგოლ, სამეურნეო საქმიანობით ბრძანებულხართ გადატვირთული და ალბათ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჩემი ამ ნაშრომის არსებობამ თქვენს ყურამდე ვერ მოაღწია, მით უმეტეს, რომ მასზე, თითქოს საერო წიგნზე, არავის, მათ შორის კალმოსან მამულიშვილებსაც, პრესაში სიტყვა ერთიც არ დასცდენიათ, რასაც მე უფრო იმით ვხსნი, რომ საკუთარი პერსონისადმი ყურადღების მისაქცევი ორგანიზატორული ნიჭი ჩემთვის მამაუფალმა ერთი ბენოც არ გამოიმეტა, რამეთუ ალბათ გაიფიქრა, საქართველოში საამისოდ ისეც ბევრს დავაბერტყე ჩემი მადლიანი კალთაო.

ახლა არსებითზე...

„შავი წიგნის“ სამოცდამეთვრამეტე გვერდზე თქვენ შეგიძლიათ, ამოიკითხოთ ისეთი სტრიქონები, რომელთა არსს, არა მგონია, დაეთანხმოთ:

„სტალინმა წარყვანა ადამიანთა შორის ადამიანური ურთიერთობანი, დათესა და ახარა მათში უნდობლობის, ეჭვიანობის, ვერაგობა-ფლიდობა-თვალთმაქცობის, სიცრუის, საყოველთაო დასმენა-დაბეზლების და მრავალი სხვა კაცური კაცობის გამაუკუღმართებელი სიგლახე-

ნი, სულ ერთიანად ამოძირკვა სიტყვისა და აზრის სულ მცირეოდენი თავისუფლება და ორასმილიონიან ხალხს ყველა უფლებათაგან, რითაც პირმეტყველი განსხვავდება პირუტყვისაგან, დაგვიტოვა მხოლოდ ერთი: ტაშის დაკვრის უფლება, თანაც ეს ტაში მქუხარე უნდა ყოფილიყო (Бурные аплодисменты, переходящие в овацию!)“.

და მაინც, სტალინი იყო გიგანტი!“

„შავი წიგნის“ სამოცდამეთერთმეტე გვერდზე კი შეგეძლებათ, გაეცნოთ იმხანად საკავშირო კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის, ანასტას მიქოიანის გამონათქვამს ცოცხალ სტალინზე:

„Товарищ Сталин – гений социализма.

Товарищ Сталин – великий создатель коммунизма“

ამის მახლობლად კი – იგივე მიქოიანი, ანასტასი, ან გარდაცვლილ „სოციალიზმის გენიოსზე“, „კომუნისმის დიად ხუროთმოძღვარზე...“ „...В течение 20 лет у нас фактически не было коллективного руководства, процветал культ личности. И это, конечно, не могло не оказать крайне отрицательного влияния на положение в партии и на ее деятельность“.

ამას ჩემი ასეთი კომენტარი მოსდევს:

„ო-ო, დიდებულია, прекрасно, ლავეს-ლავეს, მაგრამ... აქედან თავისდაუნებურად რა დასკვნა გამოდის? გამოდის, რომ მთელი 20, უფრო ზუსტად კი – 30 წლის მანძილზე ცუდიც და კარგიც სტალინს გაუკეთებია და არა კოლექტიურ „რუკავოდსტვოს“.

ჰოდა, თუ კოლექტივიზაცია, ვთქვათ, გაუმართლებელ ცოდვად მიეთვლება, უმოკლეს ხანში უზარმაზარი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და ჯოჯობეთური სამკვდრო-სასიცოცხლო ომის მოგება, გინდა – არ გინდა! სტალინს უნდა მიეწეროს!

დიახ, არასოდეს არ დაავინყდება ჰიტლერს გორელი სოსო!“

(ამონაწერი რუსი პოეტის, ფ. ჩუევის ძალზე საინტერესო წიგნიდან:

„Сто сорок бесед с Молотовым (Москва, 1991):

„Странные вы, русские! – сказал мне знакомый немец. – Обливаете грязью Сталина, который победил самого Гитлера, и поднимаете предателей...“

ვაგლახ, ახლა ბევრი გამოტყვრა ისეთი „უცნაური ქართველიც“, რომლებიც ამ მხრივ წინ უსწრებენ კიდევ იმ „უცნაურ რუსებს!“

თქვენ, ბატონო გრიგოლ, წერთ სტალინის „ოსობაზე“, წერთ ამჟამინდელ...

„ჩრდილოეთ ოსეთში „გაჩაღებულია“ მოძრაობა, შექმნილია კომიტეტი სტალინის „წინაპართა“ ისტორიულ სამშობლოში გადმოსასვენებლად და ვლადიკავკაზში აკლდამის ასაგებად.“

ჰოდა, მოდით, ახლა იმასაც გავეცნოთ, თუ რას წერდა სტალინის „ოსობაზე“ „შავი წიგნის“ თქვენთვის უცნობი ავტორი მთელი 15 წლით ადრე, ვიდრე ოსები ამ აკლდამის აგებას ჩაიფიქრებდნენ:

„სტალინის ოსობას“ შეუძლებელია, ჯულაშვილის ყურამდეც არ მიეღწიოს, მხოლოდ ამით თუ აიხსნება, რომ 1947 წელს გამოცემულ მის „მოკლე ბიოგრაფიაში“...

ადამიანი, რომელიც რაკი ღმერთკაცად იყო მიჩნეული და ღმერთივით ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს თანაბრად ეკუთვნოდა, თავის ეროვნებას არასოდეს ხაზს არ უსვამდა, ახლა კი, სიცოცხლის მიწურულს, იგი ისეთი დაბეჯითებითა და საგულდაგულოდ...

აღნიშნავს დედიტაც და მამითაც თავის ქართველობას!

იქვე მომყავს რა გერონტი ქიქოძის მიერ ჯერ კიდევ 1928 წელს გამოთქმული აზრი:

„დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ დღეს ჩვენი თანამემამულეები თანდათან ხელმძღვანელ ადგილებს იჭერენ, ეს როდია გასაკვირალი, საბჭოთა ქვეყნის ერებს შორის ქართველობა განსაკუთრებით დატვირთულია კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციებით.“

რასაც ჩემი კომენტარი მოჰყვება:

„ეს ამონაწერი გორიდან 31 კილომეტრით დაშორებული ქალაქის ერთი მცხოვრების ნათქვამმა გამახსენა:

- იოსები ავი კაცი კი იყო, მაგრამა... რა უნდა ქნა რა, ჩვენებური იყო და... თქვი თუნდა უარი, მაინც ოსი იყო და...“

ამას არა მარტო ის „ერთი“ ამბობს, აქ იუმორი ძალის თავით სწორედ იქ მარხია, რომ ამ „ავ კაცს“ „მისი თანამემამულენი“ ვითომც ემიჯნებიან და თითქოს ერცხვინებათ კიდეც მისი, ნამდვილად კი ამ „ლანძღვა-გინებაში“ მას ბაბაიანს(ც)ივით იკუთვნებენ.“

აღბათ იკითხავთ, ეს ბაბაიანცი ვილა ოხერიაო.

„ო, ოხერი კი არა.“

მან კარგი, კეთილი საქმე გააკეთა: შეკრიბა და ცალკე წიგნად ბიბლიოგრაფიული ცნობარის სახით გამოსცა ყოველივე ის, რაც კი საერთოდ რუსთაველზე დასტამბულა 1970 წლამდე.

ამისთვის ჩვენგან ბაბაიანს მაღლობის მეტი, აბა, რა ეთქმოდა, ჰოდა, მეც ავდექი და ვუთხარი; ამ საუბრისას მოსკოვში ამხანაგმა არმენაკამ არცთუ ისე მორიდებით შემომამპარა:

— Сталин был армянин!

თითქოს თავში დამკრესო, ისე შევცბი: ყველაფერი გამეგონა, გამეგონა, რომ იტალიელი კომპოზიტორი ჯუზეპე ვერდი სომეხი, ჯუზეპე ალახ-ვერდი-ანია, ავსტრიელი დირიჟორი ფონ კარაიანი სომეხია, შოთა რუსთაველი აშოტ რუსთავიანცია, მაგრამ სტალინი თუ სომე...  
მართალი გითხრათ, სტალინს ასე იოლად მაინც ვერ შეველიე... არ მინდოდა, ჩემი და ბევრი ჩემი ახლობლის ცხოვრების გამამრუდებელი უბრძოლველად ბაბაიანის ხელში ჩამეგდო:

А какие у вас основания, считать Сталина армянином?

- Как какие?! Ведь отец Сталина работал у Адельханова? А кто был Адельханов?

Армянин! А разве принял бы он грузина на работу при тогдашнем избытии рабочих рук?“

აღბათ შეატყო, მისი ასეთი „ლოგიკით“ სახე როგორ ამელანდა და შეიძლება შევეცოდე კიდეც როგორც მოაბდალო, „გიჟ-ვრაცუა“ ხალხის შვილი და ნახევარი ნაბიჯით უკან დაიხია:

„Нет, я не говорю, что у Сталина и мать была армянка...Сталин только наполовину армянин“ („შავი წიგნი“, გვ. 37-38).

ისტორიიდან ცნობილია, ჰომეროსი ელადაში რაკი ყველას ესახელებოდა, მისი სადაურობისთვის სხვადასხვა დროს, თუ სათვალავში არ ვცდები, ერთმანეთს რვა ქალაქი ეცილებოდა, თქვენი კი არა, ჩვენიაო.

სტალინის მიმართაც, როგორც ვხედავთ, დასაკუთრების ანალოგიური „ძალისხმევა“ უკვე ამთავითვე შეინიშნება და, ვაითუ, თვითონ ჩვენ, ქართველები, დავრჩეთ საბოლოოდ თამაშგარე მდგომარეობაში“, აკი ჩვენში ბევრია ისეთი „ჭკუები“, რომლებიც მზად არიან, მათი ეს „შემარცხვენელი შვილი“, გნებავთ, ჩოჩიევს გადაულოცონ, გნებავთ ჩოჩიანცს და, საერთოდ, ვინც კი ისურვებს...

ამაში სულ იოლად დარწმუნდებით, თუკი 1989 წლის დამდეგს დანერილსა და რევაზ მიშველაძის 1991 წლის ჟურნალ „ლიმილი“ დასტამბულ ჩემს „ღია ნერილს“ გაეცნობით ერთ ფრიად პატივსაცემი, დიდი ქალბატონისადმი, რომელიც იგონებს რა თითქმის 60 წლის წინანდელ ამბავს იმის თაობაზე, თუ როგორ უსახსოვრა ახალგაზრდა ხელოვანის ხელოვნებით მოხიბლულმა სტალინმა თავისი სურათი ქართული ნარწერიტ მას და ეს დაკიდებდა თუ არა კედელზე ამ პორტრეტს, იმ დროს ჯერ კიდევ პატარა ქალბატონი უმაღლვე ჩამოხსნიდა, როგორც საძულველს. და მერეც და მერეც კვლავ ასე: ის დაკიდებდა, ეს ჩამოხსნიდა... დაკიდებდა-ჩამოხსნიდა...

გითხრათ სიმართლე, ცოტა არ იყოს, ვეჭვობ კი: იმ წლებში ისეთი შიშის ზარი სუფევდა... ცოლ-ქმარს შორისაც კი, საკუთარ ბინაშიც... მაგრამ სხვა გზა არ არის, უნდა ვირწმუნოთ, აკი „მე არ შემიძლია, არ ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ, რომ ვერ ვიტან ტყუილს...“

ამიტომ ჩვენც უნდა დავიჯეროთ ისიც, რომ საზეიმო მიღებისას სტალინმა შეიტყო თუ არა ამ ქალბატონის გვარი, იმნამსვე მიხვდა, საქართველოს რომელი კუთხიდანაც იქნებოდა იგი და ფიცხლადვე მოჭრა: „ტამ ვსე მენშევიკი, ვსეხ არისტოვაც ნადაო“.

ამ შემთხვევის ჩემი კომენტარი ასეთია („ლიმილი“, გვ. 102-103):

„თქვენ ამით სტალინი, ეს დიდი და ეშმაკი პოლიტიკოსი, გნებავთ - არ გნებავთ ენატარტალა ბოთედ გამოგყავთ.“

სტალინი ყველას-ყველას! ხალხის სახელით, ხალხის „მოთხოვნით“ იჭერდა და რაღა მაინცდამაინც ამ რჩეულ დღეს, ისიც თქვენი თანდასწრებით, მოუვიდა მასპინძელს ასეთი „იალღი-ში“ და თავისი ნამდვილი, ბნელი სახე კრემლის გაჭახჭახებულ სინათლეზე გამოაფინა?!



ო, არა, ქალბატონო, სტალინი ქერქეცა გონებისა და ცერცეცა ხასიათის პატრონი რომ ყოფილიყო, მაშინ მას ჩვენი თითქმის მთელი ქვეყანა მართლაც კარგ მამასავით არ შეიყვარებდა და არც ასე ცხარე ცრემლით დაიტირებდა...

იმხანად სტალინის სიკვდილით ყველა საბჭოთა ადამიანისთვის-პროცენტულად ერთეულების გამოკლებით – მზე თითქოს ისე ჩაესვენა, რომ მეორე დღით აღარც ამოვიდოდა.

(სხვათა შორის, მე მაშინ ის ერთეული გახლდით, რომელსაც ამ „მზის ჩასვენებამ“ დიდი სიხარული მოჰგვარა: სწორედ იმ დღეებში ღარიბული ბარგი უკვე შეკრული მქონდა, რადგან როგორც ხალხის „ნამტრალს“ და მომავალშიც საეჭვო ელემენტს, თბილისიდან მასახლებდნენ).

„ღიმილის“ ამ ნომერშივე მე გამოვაქვეყნე პირველად, საერთოდ, ხელზე მოარული, 1933 წლით დათარიღებული „შენი სოსოს“ წერილი – ფაქსიმილე ყრმობის მეგობრის, პეტა (პეტრე) კაპანაძისადმი (საინტერესოა ისიც, რომ მის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად, ალბათ თავის შემცვლელად, 1949 წლის ზაფხულში ხაშურში თავისი შვილი ვასილი გამოგზავნა).

ჩემს ამ „ღია წერილში“, სხვათა შორის, ასეთი აბზაცებიც იკითხება:

„სტალინი თუ მტარვალი იყო, იგი ქართველების გამო როდი იყო მტარვალი, როგორც ახლა ამას ჩვენი დროის შავრაზმელები ავრცელებენ.

სტალინი ყოველგვარი ეროვნულობის გარეშე, უწინარეს ყოვლისა, ბოლშევიზმის სისხლი სისხლთაგანია და მისი ხორცი ხორცთაგანი...

არის ამქვეყნად ერთი ასეთი ყურნალისტი, ერნსტ გენრი... არა, ის არც ინგლისელია და არც ამერიკელი, რუსი ებრაელია, „ერნსტ გენრი“ ფსევდონიმია მისი. სტალინის დროს მგზნებარე სტალინელი იყო, ახლა კი...

ამას წინათ ეს გენრი ერთგან, მრავალ სხვათა მსგავსად, წერდა: სამამულო ომი ხალხმა მოიგო და არა სტალინმა, ესე იგი ხალხმა გადაარჩინა სტალინი და არა სტალინმა ხალხიო.

მე ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ არა იმიტომ, რომ ეროვნებით ქართველი ვარ და ერნსტ გენრი, როგორც ებრაელი, ჩემზე უფრო ჭკვიანი იქნება... მე ვიცი, ისე, როგორც ეს გენრიმაც ჩინებულად იცის, მისი ეს დასკვნა-განაჩენი თავიდან ბოლომდე მრუდეა და უსამართლო, მაგრამ რაკი ის დარწმუნებულია, რომ ჩვენ, ამ შემთხვევაში ქართველები, თავცარიელები ვართ, ჰგონია, ამ თავებში, სულ იოლია, აბდაუბდა სიბრძნედ შეიტანო.“

და რომ ეს ასე არ არის, ამის თაობაზე „ერნსტ გენრებს“, ვფიქრობ, საკმაოდ საკადრისად შევეპასუხე „**Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву**“-ში, რომელშიც სტალინის დაცვას არა ერთი და ორი სტრიქონი მივუძღვენი, რა თქმა უნდა, სადაც კი მისი დაცვა შეიძლებოდა.

(დასტურ, „შავი წიგნისა“ არ იყოს, არც „ასტაფიევს“ მოჰყოლია ქართულ პრესაში რაიმე, სულ მცირეოდენი, თუნდაც ორსტრიქონიანი გამოხმაურებაც, მაშინ, როცა იგი რუსეთში ბესტსელერად მიიჩნეეს; 1989 წლის თებერვალში ქართველი ინტელიგენციის ვიწრო წრესთან შეხვედრისას იმჟამად პოლიტიუროს წევრმა და ამჟამად რუსეთის ტელევიზიის მეთაურმა, აკადემიკოსმა ა.ნ. იაკოვლევმა, რომელსაც ქსეროქსზე გადატანილი ხელნაწერი წაეკითხა, თქვა: „**Очень талантливо написано**“ (არსებობს ამის ტელეჩანაწერი), რამაც ხელები გაუხსნა ჯუმბერ პატიაშვილს, სამი წლის „ნაპატიმრალი“ პუბლიცისტური ნაშრომი დაებეჭდათ).

დასასრულ, თუ ბევრ დროს არ წაგართმევთ, მინდა, გაეცნოთ კვლავ „სტალინიადაზე“ ორიოდ, როგორც ძველად იტყოდნენ, პასაჟს შარშანწინდელი ჩემი ერთი ვრცელი წერილიდან, რომელიც, სხვათა შორის, უკვე წელიწადნახევარია, ამოდ ელოდება, რედაქტორ-„სპონსორს“, მაგრამ, ჩემდა და, შესაძლოა... მკითხველთა სამწუხაროდაც, აქამდე არავინ არ გამომიჩნდა:

„...ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში, სტალინის საგინებელ რჩეულ „თაიგულში“ ასეთი ზიზღნარევი „არგუმენტაცია“ ამოვიკითხე, სტალინი არ ქართველობდა, იგი... კარტუზიან ქუდს იხურავდაო.

არა, ეს მართალია, სტალინი თავის ქართველობაზე წამდაუნუმ საქვეყნოდ არ გაჰყვიროდა, რადგან ყოველი მისი სიტყვა ოქროზე ათასჯერ მეტად ფასობდა, რომელიც გნებავთ, საბჭოთა ხალხის თვალში, სულ ერთია, იგი რუსი იქნებოდა თუ იაკუტი, სომეხი თუ თათარი, უკრაინელი თუ ბაშკირი, ყველანი სტალინს თავიანთ მამად თვლიდნენ და ასეთ სიტუაციაში მსოფლიოს მართლაც უდიდესი პოლიტიკოსი ისე როგორ აცუნდრუკდებოდა, რომ თავისი ერი ხალხთა ძმობის ქადაგებისას ყველას დასანახავად გამოეცალკეებინა და მისთვის გამორჩეული ალერსით თავზე ხელი გადაესვა.

ჰმ, კარტუზიან ქუდს იხურავდაო...

აბა, სვანურს ხომ არ დაიხურავდა... პოლიტიკურში! ასეც არ იყოს, დიდო ბრძენო კალმოსნებო, ერეკლე მეორის თავსაბურავი რაკი მუსულმანების ჩალმა იყო, ამიტომ ის ოსმალოდ ან სპარსად უნდა გამოვაცხადოთ?!

„...კომუნისტი მახარაძეების მიერ შერისხული და დასამარებული ილია ჭავჭავაძე სტალინმა გაუცოცხლა ქართველ ხალხს, მისივე მეფური თხოვნით საფრანგეთის პრეზიდენტმა, გენერალმა დე გოლმა დაუბრუნა საქართველოს ეროვნული საგანძური; ოცდაათიანი წლების დასაწყისში სტალინი არ მოერიდა, გამოეცათ მოსკოვში ემიგრანტ კონსტანტინე ბალმონტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, მანვე თარგმნა პოემის ერთი სტროფი, რომელიც, შალვა ნუცუბიძის შეუმცდარი აზრით, ყველაზე უფრო ახლოს არის პოეტურად და აზრობრივად რუსთაველთან, სტალინმა კრემლშიც შეინარჩუნა ქართული სახელი „კობა“... ის არც ქართულ აქცენტს ფარავდა, შეეძლო კი, თითქმის ნახევარი საუკუნე რუსეთში მცხოვრებს, რომ „ეარტისტა“ ცოტათი მაინც, არ გაუჭირდებოდა, ემეტყველა „ველიკორუსივით“... ომის მიწურულს, როცა საბჭოთა ჯარი ბერლინს გარს შემოერტყა, სტალინმა უბრძანა ბერიას, მოენახა ერთი ქართველი მეომარი, რომელიც რუსთან ერთად გამარჯვების დროშას აღმართავდა რაიხსტაგის გუმბათზე... დიახ, ასე გაგმირდა „კარტუზიანი“ არაქართველი სტალინის მიერ წალენჯიხელი მელიტონ ქანთარია! დიდი ფსიქოლოგობა არაა საჭირო, ვივარაუდოთ, რომ იმ ქართველ მეომარში სტალინმა გულის სიღრმეში თავისი თავი გააიგივა...“

ახლა „ჭკვიანებიდან“ ამასაც გაიგონებთ, სტალინი შემთხვევითი ფიგურა იყო. ჰო, მაგრამ ამ „შემთხვევითმა ფიგურამ“ პარტიის გენერალური მდივნის პოსტზე ყოფნისას ბარე ხუთჯერ დააპირა და ითხოვა გადადგომა (ერთხელ ლენინის მოთხოვნით, და მაინც, ლენინი ამ საკითხში პარტყრილობამ „გააბითურა!“), მაგრამ არ დათანხმდნენ, ნება არ დართეს, არც ერთხელ არ გაუშვეს!“

„...დიახ, სტალინი მრავალი წლის მანძილზე მსოფლიოს აფიქრებდა, როგორც გამოცანა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ძალზე ბევრს უყვარდა, საბჭოთა კავშირში ხომ თითქმის ყველას, საქართველოში კი...“

ო-ო, საქართველოში დღეს გამოჩნდნენ კონიუნქტურას აყოლილი ისეთი „ისტორიკოსები“, სტალინის დასამცირებლად 1956 წლის 9 მარტის ამბებსაც რომ ათანამედროებენ და აყალბებენ: ასე და ისეო, და არა ისე, რომ იმ დღეებში ქართველი ხალხი მხოლოდ და მხოლოდ ბოროტი, ყვეყჩი ხრუშჩოვის მიერ ჩვენი ეროვნული ღირსების, სტალინის შებღალული სახელის დასაცავად მოქმედებდა...“

„...ახლა ზოგიერთი ედუარდ შევარდნაძეს დიდ ბრალდებად უთვლის ყოფილ „ფუნქციონერთა აღზევებას“, არიქა, კომუნისტური ჭირი, კვლავ უნდათ, შემოგვისიონო.“

ო, არა „ქალბატონებო და ბატონებო“, ამის შიში განდევნეთ შორს თქვენგან, კომუნისტური ჭირი ან აღარ მოგვაკითხავს და აღარც მობრუნდება; თუნდაც წლევიანდელ, 11 ოქტომბრის არჩევნებში საზოგადოება „სტალინსაც“ დართონ მონაწილეობის უფლება და თუნდ იოსებ სტალინის ნეშტი სულ მალე გადმოვასვენოთ საქართველოში და, დიახაც უნდა გადმოვასვენოთ, როგორც გოლიათი ქართველისა, რომელსაც, დრო მოვა, მსოფლიო ისტორია კაცობრიობის უსაკვირველეს ადამიანთა სიაში შეიტანს და...“

ნუთუ ჩვენ, დღევანდელმა ქართველებმა-დაუდულარ და, თუგინდ, დადულელულ, მაგრამ ჩიტირეკია, შუშტრუკანა ჭკუისანებს არ ვგულისხმობ — იმ ქართველის საფლავი უნდა დაეკარგოთ, რომელიც 30 წელინადი მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო?! ახლა დიდი და ცივილიზებული ქვეყნები სამეცნიერო ექსპედიციებსაც კი გზავნიან მე-13 საუკუნეში აღსრულებული ჩინგიზ ხანის იმ დროს გასაიდუმლოებული სამარის მისაკვლევად და... ჩვენც ასეთივე თავსატეხი გამოცანის ამოცნობა დაუუტოვოთ შთამომავალთ?!

ჩემთვის, ბატონო გრიგოლ, ადვილი მისახვედრია, რომ ეს ბოლო აბზაცი უთუოდ გაგახარებთ: თქვენს ისტორიულ, შორს გათვლილ მამულიშვილურ და ვაჟკაცურ (წინ რამდენი ბარიერია გადასალახავი, რაოდენი სიძნელეა დასაძლევია!) ნამოწყებას კიდევ ერთი მომხრე რომ გამოუჩნდა, ამავე დროს ეჭვიც აღგეძვრებათ, ეს თითქოს პატივსაცემი ამხანაგი, ცოტა არ იყოს, ხელცივი ხომ არ არის და ხომ არ აპირებს, შეედავოს მწერალსა და ისტორიკოს ლევან სანიკიძეს სტალინის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების გაცხადების იდეის პირველობაში, მაშინ, როცა ბატონი ლევანის წერილი-ინტერვიუ „გადმოვასვენოთ, დავასვენოთ და... დავისვენოთ“ დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1992 წლის 19 დეკემბერს, კიტა ბუაჩიძის წერილი კი თურმე დაინერა ამაზე

ბევრად ადრე, მაგრამ... დღევანდლამდე ხელნაწერში მთელი წლის მანძილზე, ხომ შეეძლო რასაც ისურვებდა, ის ჩაემატებინა, შეეტანა, შეეცურებინა... ვინ იქნებოდა დამშლელი?!

— არავინ, — გიპასუხებდით და თან დავამატებდი: ისეთ ყოველნაირი ძარცვა-გლეჯის ხანაში ვცხოვრობთ, თქვენი ვარაუდი ჩემს შესაძლო სამწერლო ხელცივობაზე თითქოს კანონზომიერია და არც სანყენია, ოღონდ...

შეიძლება არ იცით, ან არ გახსოვთ, რომ ერის გამანადგურებელ ჟამიანობის (ეს ჩემებურად, „მათებურად“ კი – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის) ბოლო წელიწადს თბილისში იწყო გამოსვლა ერთმა სიმპათიურმა, იმ დროს ერთობ პოპულარულმა გაზეთმა — „კაბადონი-8“, რომელშიც ჩემი სამი თუ ოთხი წერილი დაიბეჭდა; ერთი მათგანი, „ბლავილი ბებერ ხარისა“, გამოქვეყნდა 1990 წლის 3 ნოემბერს (გთხოვთ, ეს თარიღი ყურადღებაშიუქცეველი არ დატოვოთ!); მასში, სხვათა შორის, „თავს დავესხი“ ერთ ცნობილ პიროვნებას, რომელიც თავის მხრივ თავს დაესხა თქვენს წინამორბედ, ახლად ჩამოყალიბებულ საზოგადოება „სტალინის 131-სტრიქონიანი ანათემით („თბილისი“, 25.09.90), მოუხმო რა მის წევრებ-მეთაურებს:

„მივმართავ მე მათს შვილებსა და შვილიშვილებს, სთხოვონ მამებსა და ბაბუებს – ნუ იზამენ ამ საქმეს! სტალინიზმმა რომ გაიმარჯვოს საქართველოში, საქართველოს ხელს არ ჩამოართმევს არც ერთი კულტურული ქვეყანა! (აქ ძახილის ნიშნები ჩემი მიწერილია).

მართალი გითხრათ, მაშინ მე ეს გაფრთხილება თითქოს სასაცილოდ მომეჩვენა: აბა, ამხანაგი კარლო გარდაფხაძე რომელი სტალინიზმის გამმარჯვებელი იყო საქართველოში, თანაც ამის მომწოდებელი გახლდათ წლების მანძილზე ერთ-ერთი დიდი დანესებულების პარტკომის თუ პარტბიუროს ყოფილი მდივანი, რომლის წინაშე სტალინის „დაცვას“ ხელს ვკიდებდი მე, რომელსაც.

„...მამა – ჯერ მღვდელი, მერე ნამღვდლარი — სამჯერ დაუჭირეს, ძმა ოცდაჩვიდმეტში დაუხვრიტეს, დაც დაუტუსაღეს, ამის ქმარიც გააქრეს, აგრეთვე კარგი სახელის მქონე ალალი ბიძაშვილები და კიდევ რამდენი არა ალალი ნათესავი პირწმინდად მოხვეტეს მის სანათესავოში, მერე შვიდი წლით ისიც შეაგდეს „ნაობახტში“, თუმცა იმ ქალბატონით ბელადის სურათს არც ისე ერჩოდა, არც ასე და მასავით, თუ დაეჯერება, არ ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა.. ეს კია, წერდა კი იმას, რასაც ფიქრობდა, მალულად წერდა, დიდი შიშისგან ხელის კანკალით წერდა, აკი იცოდა, ამ ნაფიქრალის ერთი სტრიქონიც რომ ეხილათ, მიახვრეტდნენ „უტროიკოდაც“ („ლიმილი“, გვ. 99).

დიახ, ყოველი სტალინელისგან „სტალინურად“ ვიცავდი მას, ვინც...

„...ჭაბუკობიდანვე არ მიყვარდა სტალინი, როგორც სულთამხუთავი დიქტატორი და... ჭაბუკობიდანვე მეამაყებოდა, რომ ის ქართველი იყო... იმდენად მეამაყებოდა, ომის დროს, მაგალითად, ორ ცეცხლს შუა ვინვოდი: თუ გაიმარჯვებდნენ გერმანელები, შვიდწლიან ტუსალობას, მერე კი ყმობასაც ავცდებოდი და თავისუფლების ჰაერს ლალად ვისუნთქავდი, მაგრამ... პატიმარს, კონტრრევოლუციონერად დალდასმულს, არც ის მინდოდა, რომ სტალინი, აქამდე ღმერთკაცად მიჩნეული, ისტორიის ანალებში დამარცხებული ჯაბანივით შესულიყო, ცხადია, რაკი ქართველი იყო, თორემ... იმხანად საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში მოლოტოვი ან მიქოიანი რომ მდგარიყო, ჰიტლერი თუ გაიმარჯვებდა... მმ... მეპატიოს ამ მკრეხელური აზრის დაუმთავრებლობა... („კაბადონი-8“, 3.11.90).

„...შვილებისა და შვილიშვილებისადმი“ იმ პანანინა წერილ-მუდარას პარტკომის თუ პარტბიუროს ყოფილმა მდივანმა მიაწერა: „გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ რეზო თაბუკაშვილის ფონდში“.

ბუღალტერიაში გამოვიძიე, ეს ჰონორარი მანეთნახევარს შეადგენდა, ჩემი კი, ვრცელზე ვრცელის... მაგრამ სჯობს, მთლიანად მოვიყვანო აქ „ბებერი ხარის ბლავილის“ დასკვნითი მინაწერი, რაც ამ შემთხვევაში მთავარზე მთავარია:

„ფულადად უმწეო, პატარა ბავშვივით, ყელზე თითის მიტანით ვეხვეწები რედაქციას, რაკი ჩემი ამ წერილის გამოქვეყნება თავდაპირველად 13 ოქტომბრის ნომერში იყო ნავარაუდები, ჰონორარი 13 მანეთზე ნაკლები არ გამოიმწეროს და დაუგვიწიებლივ გადარიცხოს იგი ან დასაარსებელ იოსებ სტალინის ნემტის (1993 წლამდე მაინც) გორში გადმოსასვენებელ ფონდში, რასაკვირველია, თუკი გვინდა, რომ დროთა განმავლობაში საძებნი არ გაგვიხდეს საფლავი – ახლა ბევრიც რომ ამცირონ- ისტორიისათვის იმ ტანმორჩილი გოლიათი ქართველისა, რომელიც 73 წლისა გარდაიცვალა და რომლის თხუთმეტკომიანი თხზულებათა გამოცემა მე-13 ტომზე შეწყდა. ამასთანავე, ვთხოვთ ვინროშუბლიანთ, ამ ჩემს შეძახილს ისე ნუკი გაიგებენ, მე თითქოს სტალინის დროს მივტიროდე და მისი ორეულის გამოცხადებაზე ვოცნებობდე.

გვფარავდეს ღმერთი!“

ასე და ამგვარად, ბატონო გრიგოლ, თქვენ უკვე გაეცანით – ფრაგმენტულად! — ჩემებურ „სტალინიადას“, თანაც თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ ჩემი თაობის არც ერთი ქართველი მწერალი ასე ხანგრძლივად და თანმიმდევრობით არ ქომაგობდა „ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვედანარცხებულ“ (რუსთაველი) სტალინს, იქნებ მეც მცნოთ სტალინის ნეშტის მოსკოვის წითელი მოედნიდან ქართლის შუაგულში გადმოსვენების მთებზე მომხრედ...

ახლა კი, დანამდვილებით დასასრულს, გისურვებთ რა თქვენი – ვიმეორებ! – მამულიშვილური და მამაცური თაოსნობის კეთილად დაგვირგვინებას, რაკი ეს შინაურული ბარათია, მინდა, ვისარგებლო შესაფერისი შემთხვევით და გთხოვთ, გადასცეთ ჩემგან მოკითხვა ერთ ახალგაზრდა ქალბატონს, რომელსაც, არა მგონია, არ იცნობდეთ, თუ ნათესავი არა, თქვენი მოგვარე ხომ არის და არის: ნატო ონიანს, საქართველოს ტელევიზიის თვალმარგალიტს, რომლის ტელეეკრანზე ყოველ გამორჩენას და მის „ტაიმ-აუტს“ მე პირადად კვირიდან კვირამდე მართლაც უ-დ-ი-დ-ე-ს-ი მოუთმენლობით ველი...

ო, თუნდაც გუშინ, რა მომხიბლავი ტაქტით, რა მარგარეტ ტეტჩერისებური ლოგიკით, რა გამოუვალ ხლართებში არ გაახვია საქართველოში, როგორც ამბობენ, ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტიის ლიდერი — ბატონი ჭანტურია, გია – გიორგი!

ანდა ამაზე რამდენიმე ხნით ადრე თავმომწონე დეპუტატი, ბატონი რაულ კუპრავა ორიოდე წუთში სამჯერ რომ ჩააგდო ნოკდაუნში, „აბსოლუტურად!“

დიახ, მეამაყება კიდეც, რომ ბერიკაცი ნატო ონიანის „ტაიმ-აუტს“ ისეთი სიამით და შვება-ლხენით ველოდები ხოლმე, როგორადაც ახალგაზრდობაში ბორის პაიჭაძის „ტაიმ-აუტს“ „დინამოს“ მობიზინე სტადიონზე!

10 იანვარი, 1994 წელი.

მინაწერი: როგორღაც ხელთ მომხვდა 7 იანვრის გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, რომლის მე-7 გვერდზე რედაქცია, „ახალგაზრდა ივერიელების“ ხელმოწერით, მრისხანე პროტესტს უცხადებს „მზის დაბნელებას საქართველოში“, ანუ სასტიკად გმობს და ურაგანისებურ ბღღვირს ადენს „განწმენდის ონიანისებურ გზას“.

შეიძლება ნაადრევია მტკიცედ თქმა ამისა, მაგრამ ამით თითქოს საფუძველი ეყრება საქართველოში გონიერება-უგუნურების, ნაღრძობი ტვინების გამოსამზეურებელ მორიგ, რიცხვით მეორე სასინჯ ქვას...

როგორც ვიცით, პირველმა - „ზვიადი, ზვიადი!“ - უამრავი უანგარო უგუნური გამოავლინა და ნიღაბი ჩამოაგლიჯა ასობით ანგარებით შეპყრობილ არცთუ სულ უგუნურ ზვიადოსნებს, ახლა კი, როგორც ჩანს, ჯერი მიდგა და თავი წამოყო მეორე, სტალინის შეცნობის სასინჯ ქვამაც და...

ჩვენი ჭკუის დიაპაზონის, ჩვენი „შემართების“, ჩვენი „პატრიოტიზმის“ დონე და ამბავი რომ ვიცი, რომლის წყალობითაც დღევანდელი საქართველოს რუკა ცხვირნაჭრილი და მუცელგამოღადრული გამოიყურება, ცოტანი როდი გამოჩნდებიან ისეთები, არარსებულ სტალინიზმთან ბრძოლის მომიზეზებით ხელს შეუწყობენ, კერძოდ, ოსებს, „სამხრეთ ოსეთის“ მითვისების შემდეგ „ოსი“ იოსებ სტალინიც მისაკუთრონ.

საწყენი და გულსატკენი იქნება ის, თუ ახალგაზრდა ივერიელების ამ „მოდრაობას“ „ახალგაზრდა ივერიელი“ წარუძღვება, რომლის ნიშნები, „რუსულ-ქართულად“ თუ ვიტყვით, სამწუნაროდ, უკვე „სახეზეა“: ეს გაზეთი ამთავითვე კატეგორიულად აფრთხილებს მათ, ვინც ამ „ეროვნული“ და „კეთილშობილური“ საქმისათვის ფულს „არ დაიშურებს“, „ყველა მათგანის გვარ-სახელს გავაცნობთ საზოგადოებას“-ო.

ჰოდა, ამგვარი მუქარა თუმცა სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი ტერორის იდეოლოგიური, უტყვიო ნაირსახეობა, მე ის მაინც ვერ შემაშინებს, რომ ამ ნამდვილად ეროვნული საქმის წარმატებით წასამართავად გავილო, როგორც სტალინის დროინდელმა „უხუცესმა პოლიტპატიმარმა“, ნასესხები ხუთი ათასი რუსული მანეთი.

და თუ ეს პირველია, დაე, სხვა მრავალი მოჰყვეს მას!

კ.პ.



## არავითარი საუპირატესო სტატუსი

გაზეთი „მთაწმინდა“, №7, 1995 წელი

იმ საზარელმა ცნობა-ამბავმა, რომელიც 11 სექტემბერს ცივილიზებულ მსოფლიოს სოხუმიდან თავს დაატყდა, მე პირადად, როგორც იტყვიან, სულით ხორცამდე შემძრა: უცნობმა პირებმა თავისივე ბინაში ავტომატით დაცხრილესო პროფესორი იური ვორონოვი, განსაკუთრებით ბოლო ხანებში არძინბას ერთ-ერთი უახლოესი და უჭკვიანესი მრჩეველ-დამრიგებელი და წარმმართველი, კერძოდ, აფხაზეთში ქართველთა, მისი აზრით, დიასპორის ცეცხლითა და მახვილით ი ა ვ ა რ ს ა ყ ო ფ ა დ .

ჩემი უკიდევანო გულისწუხილი კიდევ უფრო გააღრმავა და გაამძაფრა იმის გაგებამ, რომ ბატონ ვორონოვს სცოდნია თურმე ქართული ენა და ცოლადაც ქართველი ქალი ჰყოლია. დასტურ, ერთ-ერთი დიდ გვარს აფხაზეთში, არძინბას შემდეგ, ზურაბ შამბასაც ქართველი ქალი ჰყავს თანამეცხედრედ და ალბათ თანამოაზრედაც, აკი არც ის და არც ქალბატონი ვორონოვა ქართველებისთვის ამ, აქამდე არნახული და გაუგონარი ტრაგედიების ჟამს არათუ შუშანიკის და ქეთევანის წამებულ გზას დაადგენენ, აფხაზებსა და ქართველებს შორის უბრალოდ თეთრი მანდილიც არ ჩამოაგდეს.

(სხვათა შორის, ერთთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ არაერთი წმინდა წყლის აფხაზი ქართულ სახელს ატარებს: ზურაბ შამბა, შალვა ინალიფა, შინაგან საქმეთა მინისტრი გივი აგრბა, ეთერ კოლონია)...

დიახ, ვორონოვი მოკლესო, გულზე მეხივით რომ დამეცა და შიშით კანკალმა ამიტანა, ამ სამარცხვინო ტერორისტული აქტის ჩამდენნი, ვაითუ, ქართველები არიან-მეთქი.

(ჩვენდა თავმოსაჭრელად განა ის არ კმარა, წინა საუკუნეში ქართველი ერის ზოოლოგიურად მოძულეთ სიცოცხლე რომ მოუსწრაფეს, რექტორ ჩუდეცკის იოსებ ლალიაშვილმა და გენერალ გრიაზნოვს არსენა ჯორჯიაშვილმა?! მართლა, ამ ვანდალობას გვიან, ძალზე გვიან, მაგრამ, ღვთის მადლით, ბოლოს და ბოლოს მაინც მიუხვდნენ „ქუჩების დარგში“ დღევანდელი ჩვენი ბრძენი მესაჭენი და უღირს „ჯორჯიაშვილს“ სახელი შეუცვალეს ნამდვილად ღირსეულზე (თუმცა ამ უკანასკნელს ამ გზასავალთან არასოდეს არანაირი ძაფი არ აკავშირებდა), ამ ორიოდე წლის წინათ — აგრეთვე ანაგის ქუჩასაც, მათმა წინაპრებმა კი ხელი ამართეს ვარდისუბნის, ხილიანის, მღეთის, ბელინსკის ქუჩებზე, ალბათ იმიტომ, ისტორიული თბილისის ნიშანდობლივი კვალი სულ ერთიანად რომ წაეშალათ, აგერ ახლა კი წირვა გამოუყვანეს თითქმის წმინდანის, ვასილ ბარნოვის სახელობის ქუჩის ორ მესამედს ერთი აკადემიკოსის უკვდავსაყოფად, თუმცა მას უკვდავება სიცოცხლეშიც არც ოდესმე ჰკლებია და, ვაითუ, დღეს თუ ხვალ ასეთივე ბედი ეწიოს ფალიაშვილის „გრძელ“ ქუჩასაც.

არადა, კერძოდ, „ბარნოვზე“ მცხოვრებთა აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, ერთ-ორგან ახალი აბრები ჩამოგლიჯეს კიდევ: „მაინც რას ერჩოდნენ ამ ჩვენს ვასილ ბარნოვს? რუსული გვარი რომ აქვს, იმიტომ?! მერედა, ესაა დემოკრატია?!“ მაგრამ მათ „დემოკრატია“ ყურს, აბა, ვინ უგდებს: ამ ქუჩების ახლად შესახელებულნი რაღაც სასწაულით ხუთი-ათი წუთით რომ გაცოცხლდნენ და „თავიანთ“ ქუჩებზე გაიარონ, ასეთი დათვური სამსახურისთვის ფიცხელ პროტესტს თვითონვე განაცხადებდნენო).

... და როცა ჩემი ეს შიში ვორონოვისთვის მზის, აფხაზურად, მგონი, ამრას, სამარადჟამოდ დაღამების საქმეში ქართველის ხელი ხომ არ ურევია-მეთქი, და ეს ეჭვი ჩემს ერთ მეგობარ ქალს გავუზიარე, მან წამსვე დამამშვიდა, ამის შნო ჩვენი დროის ქართველებს, აბა, ვინ მისცა. ისინი მხოლოდ ერთმანეთის კვლაში არიან ყოჩაღებით, თან ესეც დაამატა, აფხაზი განა მოკლავს აფხაზს, ან ჩეჩენი — ჩეჩენს, ანდა სომეხი — სომეხს?! ჩვენ კი, ისედაც გადაშენების გზაზე შემდგარი ხალხი, მუსსრს ვავლებთ ერთმანეთს და... ერის ამაზე უარესი დეგრადაცია განა შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა წარმოიდგინოს?! გარეშე მტრების „გარჯილობა“ ჩვენდა ამოსადირკვავად ვითომ არ გვეყოფა?!

ჩვენს პირობებში მყოფთათვის შედარებით ჩინებულად ინფორმირებულმა და, საერთოდ, კარგმა გაზეთმა „კავკასიონმა“, დროდადრო პირველ გვერდზევე რომ შეგვახსენებს ხოლმე „გახსოვდეს აფხაზეთი!“, ამ ბოლო ხანს თავისი არაერთი ნომერი მიუძღვნა საქართველოს პროკურატურის მიერ აფხაზეთში ქართველების გენოციდის მიკვლევულ ათასობით ფაქტს... ამ ზღვა საბრალდებო მასალიდან მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანე საინტერესოდ:

„ინეზა კვარაცხელიას (გულრიფში, სოფ. ფშაფი) ჩვენებით, სომეხი ეროვნების ფშაფში მცხოვრებ ბარბუქს შედგენილი ჰქონდა ქართველი მოსახლეობის სიები, დადიოდა აფხაზეთთან ერთად ქართველთა ოჯახებში უწვავდა სახლ-კარს, ანადგურებდა ოჯახებს, მის მიერ მოკლული იქნა ფშაფში მცხოვრები 60 წლის შურა ქობალია და მისი მეუღლე, რომელსაც გამოჭრა ყელი.“

სომეხი ეროვნების კბილის ექიმმა, სახელად ანდრეიმ, ყელი გამოჭრა ექიმ აკაკი სიჭინავას და მის ძმას, რომელიც მუშაობდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ანდრეი ცხოვრობს სოფ. ფშაფში, თბილისის გზატკეცილზე, სომხების დასახლებაში.“

ჩვენი „ძმების“, ღორებისათვის ყელის გამოჭრაზე დიდად დასაპეციალებული სომხების „ვაჟკაცობის“ დამადასტურებელი მსგავსი „ოპერაციები“ ასობით შეგვიძლია ამოვიწეროთ რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ტომებიდან, რაც, „სხვათა შორის“ ზედმინეებით აღწევდა ერევანში სომეხი ერისკაცების ბუნებრივ სასმენ აპარატებამდე, მაგრამ... არც ერთ მათგანს, არც რომელიმე მღვდელმთავარს და არც პოეტ სილვა კაპუტიკიანს (აღრე ახალქალაქში სისტემატურად რომ ჩამოდიოდა და ამხნევებდა და მოუწოდებდა თავისიანებს, კიდევ უფრო გამრავლდით) და არც ქართველოლოგ პარუირ მურადიანს და არც საგარეო საქმეთა მინისტრ ფაფაზიანს, ამას წინებზე „ნეზავისიმაია გაზეტაში“ არცთუ შენიღბულად რომ დაგვემუქრა, არც წერილობით და არც საჯაროდ ენით უთქმელი ეს მხეცური ანტიქართული „აქციები“ არ დაუგმიათ და მცირეოდენი აღშფოთებაც არ გამოუთქვამთ, არც ერთი მათგანი არ ჩასულა ქართველების სასაკლაოდ გადაქცეულ აფხაზეთში (სადაც, დასტურ, თავის დროზე ვასილ მუჟაჟანაძემ არაერთი სომეხი რეპატრიანტი ჩაასახლა ვაზგენის თხოვნით, ისინი სომხეთის ჰავას ვერ ეგუებიან, ზღვის კლიმატს არიან შეჩვეულნი) და თავის გვარისანებისათვის ამგვარადაც არ მიუმართავთ:

— ხალხნო! ძმანო სომეხნო! რას შვრებით და რას სჩადიხართ? ნურც თქვენ იჭრით და ნურც ჩვენ გვჭრით თავს და მანდაურ ქართველებს ნუ უწყობთ ისეთ გენოციდს, როგორც ჩვენ მოგვიწყვეს ამ საუკუნის დამდეგს, თურქებმა, როცა მილიონნახევარი ჩვენიანი ამოწყვიტეს, რაკი თვალი რუსეთისკენ ეჭირათ და... მოდი, ახლა ეს მაინც ვიკმაროთ, ყარაბაღისათვის აზერბაიჯანს ომი რომ ავუტეხეთ, რითაც ისევ აზერბაიჯანელებმა ისარგებლეს და ორსაუკუნოვანი სანუკვარზე სანუკვარი ოცნება აიხდინეს, გამოყარეს რა თავიანთი ეზო-ყურედან ნახევარი მილიონი ჩვენი ტომისანი... ჰოდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ ამდენივე სომეხი ცხოვრობს ახლა საქართველოში, ცხოვრობს მშვიდად და ხელშეუხებლად და... ნუ ვიქნებით უმადურები და თუ საქმით არა, სიტყვით მაინც დავაფასოთ, მით უმეტეს, დღევანდელ არაადამიანურ გარემოცვაში ქართველების ეს ნამდვილი ადამიანობა... პირდაპირ სირცხვილია დავიწყება თუნდაც იმისა, რომ იმ საშინელი მიწისძვრისას პირველები სწორედ ქართველები მიეშველნენ სპიტიკს და... ჩვენ, სომეხები, ასეთ კეთილ კარის მეზობლებს ყელს უნდა ვლადრავდეთ?..

ო, არავითარი ამის მსგავსი გამოძახილი ჰაიასტანიდან, არც მთავრობის დონეზე, არც ხალხის წარმომადგენელთა დონეზე, თითქოსდა მათი ძმები აფხაზეთში სააღდგომო კრავებივით უცოდველნი არიან...

ახლა კი აფხაზეთის, უფრო სწორად, აფსუების „ჰუმანიზმის“ ამსახველი ათასობით ფაქტიდან მხოლოდ ერთს გაგაცნობთ:

„შალიკო ჩალაძემ (გაგრის ზონა, ს. იფნარი, სახლი №8, ბინა №9) აჩვენა, რომ გაგრაში ყოფნის დროს იგი მოწმე გახდა, თუ როგორ აწამებდნენ და ხვრეტდნენ ქართველებს აფხაზი სეპარატისტები, და თუ როგორ აჭრიდნენ თავებს და ფეხბურთს თამაშობდნენ, ასევე, თუ როგორ სვამდნენ ქართველების სისხლს. იგი, ასევე, იყო მოწმე, თუ როგორ დახოცეს აფხაზებმა ქალები ჩვილ ბავშვებთან ერთად და შემდეგ ისინი ჩაყარეს დიდ თხრილში, გადაასხეს ბენზინი და დაწვეს.“

ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ, ქართველებმა, ერთად უნდა ვიცხოვროთ, უკაცრავად პასუხია, ასეთ ხალხთან?! ადამიანებმა და არაადამიანებმა?! თანაც არძინბას „მამობრივი მზრუნველობის“ ქვეშ?!“

„ვახტანგ მასხულიამ (ოჩამჩირე, ახალი კინდლი) აჩვენა, რომ ემუქრებოდნენ, ან აფხაზე-ბად დაენერეთ პასპორტით, ან ამოგხოცავთო...“

ვახტანგ მასხულია აფხაზად არ დაენერა, მაგრამ... განა იმხანად ცოტა ქართველი ჩაენერა აფხაზად, და არათუ მარტო ჩაენერა, როგორც უკვე „აფხაზებმა“...

„გივი გუგეშაშვილმა (გაგრის ზონა, სოფ. ლიძავა) აჩვენა, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა წაართვეს მანქანა, პირუტყვი... წაართვეს სახლი რაშიც ბრალი ედებათ სოფლის კომენდანტს და ადმინისტრაციის უფროს საშა გუჩუას და მის ხელქვეითებს, ძმებს კაპანაძეებს...“

„ტყვარჩელში ქართველობის მკვლელობით თავი გამოიჩინეს ძმებმა ნარმანიებმა (აფსნის ქ. 19), გივი ჯინჯოლიამ (ორჯონიკიძის ქ.), ძმებმა დიდიებმა, ვოვა ბაგათელიამ, ნაური კუპრა-ვამ...“

ჩვენი შურისძიება კი იმაში უნდა გამოიხატოს, რუსეთის წყალობით ჩვენზე „გამარჯვებულ“ არძინბა-ოზბან-აგრბა-შამბას აფხაზეთს არავითარი განსაკუთრებული სტატუსი არ უნდა მიეცეს, რომლითაც კვლავ უმცირესობა იბატონებს უმრავლესობაზე და, რაც ამჟამად ყველაზე მთავარია, არძინბა და მისი ხროვა ვერ უნდა დაუძვრნენ საერთაშორისო ტრიბუნალს, როგორც დამნაშავენი კაცობრიობის წინაშე!

სულ აგერ ახლა, სექტემბრის შუა რიცხვებში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა იუგოსლავიაში საომარ ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით განაცხადა:

„შეერთებული შტატები მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტის წინააღმდეგ ილაშქრებს. ჩვენ არ ძალგვიძს და ვერც ვერასოდეს შევურიგდებით გენოციდს“ („კავკასიონი“, 16.09.95).

ამ მხრივ ბოსნია-ჰერცეგოვინა-ხორვატია-სერბიაში რაც ახლა ხდება, პატარა, მინიატურული, ლოკალური გენოციდია მასთან შედარებით, რაც აფსუებმა ქართველებს დამართეს თავისსავე მშობლიურ მხარეში...

მერედა, ეს მთელი ხმით არ უნდა ვაუწყოთ, როგორც ამბობენ ხოლმე, ცივილიზებულ მსოფლიოს და ამის პირველ კაცს, ჩვენს კეთილმოსურნეს ბილ კლინტონს?!

რაც ჩვენ წარსულ ზამთარს, საკუთარ სახლებში შეყუყულებმაც, უკვე გამოცვადეთ, რა შავ დღეში ჩაგვავდო მარტო უგაზობა-უშუქობამაც კი, არა მგონია, ამის შემდეგ ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენი იყოს, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ აფხაზეთიდან დევნილები კოდორის ხეობის გადალახვისას... მერწმუნეთ, ამ თემაზე კინოსურათის გადაღება რომ დააპირონ, ბუნების ასეთი გაავებისას არც ერთი მსახიობი არ ითამაშებს, თუნდაც საღამოთი, გადაღების მოთავებისას, მყუდრო ბინაში ბუხრის გიზგიზა ცეცხლი, არომატული ცხელი ჩაი და თბილი ლოგინიც ელოდებოდეს.

დიახ, ასეთ სატანურ შავეთში ჩაგვადეს ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ასეული საუკუნის წინანდელ ბარბაროსებზე უბარბაროსესმა აფსუებმა ქრისტეს დაბადებიდან მეოცე საუკუნის დამლევს აფხაზეთის სრულიად უდანაშაულო, ლოიალური, მშვიდობიანი ქართველობა და... მართლაც პირდაპირ თვლებში შეფურთხების ღირსნი იქნებიან ის ქართველები – ჩამომავალნი ვახტანგ გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა, თამარ მეფისა, ცოტნე დადიანისა, გიორგი სააკაძისა, ერეკლე მეორისა - როდისმე, გვიან თუ მალე, საკადრის საზღაურს არ მიუზღვავენ ქართველებზე იმ ნადირობისთვის, რომლის ანალოგი არ მოიპოვება კაცობრიობის ისტორიაში...

ჭეშმარიტად, გვახსოვდეს, გვახსოვდეს აფხაზეთი!

ოღონდ არა ისე, რომ იქ საქართველოს მარტო იურისდიქციის აღდგენით დაკმაყოფილდეთ, რაც, არსებითად, ბევრი არაფერია; აი, მაგალითად, ახალქალაქის რაიონზე საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია კი ვრცელდება, მაგრამ ეს „დიქცია“ უფრო წმინდა წყლის ფიქციაა იმდენადაც კი, რომ ამას, წინებზე იქ ჩასულ ჩვენს მაღალი ჩინის პირებსაც კი ჩვენზე განაწყენებულმა სომეხთა ბრბომ ალყა შემოარტყა და მათი მძევლებად აყვანა-დაპატიმრება განიზრახა; საამისო გამბედაობას მათ ის გარემოება აძლევდათ, რომ ხსენებულ რაიონში და თვით ახალქალაქშიც ქართველები თითებზეც აღარ დაითვლებიან.

ო, ასე მოხდება სულ მალე აფხაზეთში და სხვაგანაც, თუკი ჩვენ, ა ვ ა დ მ ყ ო ფ ი ე რ ი, არ ვიზრუნებთ ჩვენს განკურნებაზე და არ შევებრძოლებით იმ სენს, რომელსაც დემოგრაფიის ენაზე ერის ნებაყოფლობითი თვითმკვლელობა ჰქვია და არ გავამართლებთ ჩვენი ამონყდომის მოდარაჯე „ძმების“ სიხარულით შეფერილ წინასწარხედვას:

— Подобно корякам и чукчам, грузины вымирающая нация!

დასტურ, ნავთობსადენის საქართველოს ტერიტორიაზე გავლა დიდად შეგვიწყობს ხელს ეკონომიკურად წელში გამართვაში. ეს საკითხი, როგორც უკვე ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყდა, რისთვისაც აუნონავი მადლობა ეთქმით ბილ კლინტონს და ედუარდ შევარდნაძეს!

ბოროტი ენები, როგორც ყოველთვის, ახლაც უთუოდ შეიცხადებენ, შევარდნაძე აქ რა შუაშიაო... ო-ო, იმ შუაშია, „ქალბატონებო და ბატონებო“, რომ ამ წამონყების ჩვენთვის დადებითად გადასაწყვეტად ამერიკის პრეზიდენტმა არა პანტელეიმონ გიორგაძის და არც აკაკი ბაქრაძის და არც ჯუმბერ პატიაშვილის და არც როინ ლიპარტელიანის და არც ქართლოს ღარიბაშვილის, არამედ ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ი ს ხათრით დაურეკა პრეზიდენტ ელცინს და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს...

დიახ, მხოლოდ შევარდნაძის პატივსაცემად!.. ჰოდა, უკვე კარზე მომდგარ არჩევნებისას საქართველოს პრეზიდენტად შევარდნაძე კი არა, ზემოთ ჩამოთვლილ პრეზიდენტობის კანდიდატებიდან რომელიმე სხვა უნდა ავირჩიოთ?! ო, ახლა რომ ცოცხალი იყოს „ეთიოპიისა“ და რუსეთის დიდი შვილი, ამაზე, ალბათ ასე გვიპასუხებდა:

В одну телегу прячь не можно

Коня и трепетную лань!

ეს კი, მაგრამ... თუ დროს გავუსწრებთ და 5 ნოემბერს ხალხი ამათვან, ვთქვათ, ედუარდ შევარდნაძეს მიანიჭებს უპირატესობას, სულ ერთია, მავანი და მავანი მიეთ-მოეთნი ლაყაფს მაინც არ დააყოვნებენ, საარჩევნო ბიულეტენები გააყალბესო, მაგრამ არავითარი ანგარიში ამას არ უნდა გაენიოს, რადგან ერის დამლუპველ უგუნურებას ერის გადამრჩენი გონიერება არ უნდა შეენიროს.

1995 წ. მაისი

კიტა ბუაჩიძე



### საკრეზიდენტოდ ვის ვაქლავთ ხმას?!

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 3-10 ნოემბერი, 1995 წ.

თქვენი არ ვიცი, ძვირფასო მკითხველო, მე კი როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატების პირველი, ვრცელი სია მოგვახარეს, ჩემი არჩევანი მერყეობდა ორ ფრიად ღირსეულ კანდიდატს შორის: ჭუკვეიძემ (თუ ჭუკვაიძე?) მომხიბლა თავისი გვარით, რომელიც პირველად გავიგონე, მექსიკურ-ბრაზილიური გაუთავებელი ტელე-სერიალივით, ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში, უთვალავი არჩევნების მომსწრე და მონაწილემ, თანაც დრამატურგმა და უმაღლვე უბის წიგნაკში ჩავინიშნე, თუ კომედიისთვის არა, როდისმე ტრადედიისთვის მაინც გამომადგება-მეთქი; რაც შეეხება ჯონ მალხაზ შალიკა... ბოდიში., შალიკაშვილს კი არა, ჯონ ზაქარა ლაშქარაშვილს, ბევრად ადრე, ვიდრე იგი საქართველოს პრეზიდენტობის პოსტს შეეჭიდებოდა, ვიცნობდი, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა თბილის-ქალაქში ტაქსისტობას ეწეოდა, მაგრამ ეს ორივენი, ოღონდ არ ვიცი, რამდენად ერის, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ კი, პრეზიდენტობის კანდიდატობას მალე გამოეთიშნენ, ასევე ბატონი არევაძეც (ვაგლახ, სახელი აღარ მაგონდება), და თუ საარჩევნო პრესამ არ დამაბნია, არადა, მის ფურცლებზე არაერთხელ გაიელვა ბატონმა ვახტანგ ბოჭორიშვილმაც („ზვიადის გზა – ხმა ერისა“-ს პარტიიდან!).

დიდად პატივსაცემმა აკაკი ბაქრაძემ თავის ერთ ბოლოდროინდელ პრესკონფერენციაზე მისთვის ჩვეული სიბრძნით განაცხადა, საქართველო კულტურისა და ცივილიზაციის ისეთი უძველესი ქვეყანაა, შეუძლებელია, შევარდნაძეს ალტერნატივა ვერ მოენახოსო; არა მგონია, ამ



შესაძლო ალტერნატივაში ბატონ აკაკის ბატონი პანტელეიმონი (გიორგაძე!) შეეცნო და ეგულისხმა — უკვდავ-უბერებელი კომუნიზმის ამჟამინდელი ერთ-ერთი გამოჩენილი მეომარი — მოძღვარი კამჩატკიდან მალთაყვამდე, ანდა მისივე კარის მეზობელი, ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი, ამას წინათ ერთიანი კომუნისტური პარტიის ყრილობას თითქოს იჩქით-ანაზღადად რომ ესტუმრა და მას კომუნისტი — გიორგაძისტიები პერესტროიკამდელი მქუხარე ტაშით შეეგებნენ, შემდეგ მგზნებარე ოვაციებში რომ გადაიზარდა...

ო-ო, აბა, რა ბევრი ბჭობა-სჯა უნდა, ბატონი აკაკი ბაქრაძე შევარდნაძის ალტერნატივაში, ცხადია, უწინარესად თავის თავს ივარაუდებდა, და რომ ასე არა, მდაბიურად თუ ვიტყვით, რა შვილია, დიდად სახელოვან ქალბატონ თამარ ჩხეიძისა და ისეთივე სახელგანთქმულ ირაკლი ნერეთლის მიერ წამოყენებულ პრეზიდენტობის კანდიდატობაზე არც დათანხმდებოდა, თანაც ოდნავ დაეჭვებულიც რომ ბრძანდებოდა მასში, რომ დღეს სულით ხორცამდე გაუბედურებულ საქართველოს სულ რაღაც უმოკლეს დროში არ დაამსგავსებს ისლანდიას, სადაც სისხლის სამართლის კოდექსი საერთოდ არ მოქმედებს, აკი ისლანდიელებს თეორიულადაც კი არ გაეგებათ, რა არის, მაგალითად, ქურდობა, რა არის ძარცვა-გლეჯა, შარაგზის ყაჩაღობა, მანქანების ავტომატით წაგლეჯ-წართმევა და ადამიანების გატაცება მერე მათივე ჭირისუფლებზე მიყიდვის მიზნით. ადამიანის მკვლელობაზე ხომ წარმოდგენაც არ გააჩნიათ და არც გრელანდიას ედავებიან დანიას, როგორადაც ჩვენ — რუსეთს, დაგვიბრუნეთ-თქო აფხაზეთი... ისე კი, მის მიერ ძღვევამოსილად ქცეული საქართველოს რესპუბლიკის სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო ჯარების მთავარსარდლობა ბატონ კაკო-აკაკის მართლაც რარიგ დაშვენდებოდა, მით უფრო, რომ საამისო გამოცდილება დააგროვა კიდეც ექვსწლიანი დირექტორობისას ასკაციან რუსთაველის თეატრში და ამ მხრივ ალბათ კიდეც უფრო დაოსტატდებოდა, მისთვის ცოტა კიდეც რომ ეცლია რეჟისორ ფარსადან შადიმანიძეს..

და მაინც, მიუხედავად ამდენი საპრეზიდენტო ღირსებებისა, მე, როგორც ბუნებით ბოლ-მაშეპყრობილი პატარა კაცი, არჩევნებისას ხმას არ მივცემ ბატონ აკაკის, რადგან წლების მანძილზე მალორა, მალორა და საბოლოოდ მაინც არ დადგა ჩემი ერთი მოანტო პიესა „ფორმულა პლატონისა“, თუმცა დედამიწის ერთ მეექვსედზე ერთადერთ მმართველ, კომუნისტურ პარტიაში შესვლა სწორედ ჩვენი დროის ამ პლატონის ფორმულამ ჩააგონა: „სჯობს, ვირად გთვლიდნენ და კაცივით ცხოვრობდე, ვიდრე კაცად გთვლიდნენ და ვირივით ცხოვრობდე“, ანუ სულმნათ ლენინის ენაზე თუ ვთარგმნით პერსონალურად ბატონ პანტელეიმონისთვის, იგი ასე აჟღერდებოდა:

„Лучше слыть ослом и жить как человек, чем быть человеком и жить как осел!“

ეჰ, აკაკი ბაქრაძეს, ანდა ვინც უნდა იყოს, სხვა ვინმეს განა გაემტყუნება, თანამდებობისთვის, ესე იგი კარგი ცხოვრება-პრივილეგიებისთვის თავის დროზე კომუნისტად თუ განწევრიანდა?! 1985 წლის აპრილამდე, აბა, რომელი ჭკუათმყოფელი იფიქრებდა, საბჭოთა იმპერია საუკუნეებს რომ არ გაუძლებდა?

ო, არა! თურმე ყოფილა ამქვეყნად ერთი ადამიანი, გვარად ლარიბაშვილი, რომელსაც ბოროტების იმპერიის აღგვა-დანგრევა ისე ზუსტად გამოუთვლია, კომუნისტურ პარტიას ახლოსაც არ გაჰკარებია, ამიტომაც იგი ახლა თავის კოლეგა-პრეზიდენტობის კანდიდატებს ზემოდან დასცქერის, მე ერთი ვარ თქვენ შორის, რომელსაც შუბლზე კომუნისტების დამლა არ აზისო...

დასტურ, რა დავმალო, ტელეეკრანზე ბატონების, როინ ლიპარტელიანის და ქართლოს ლარიბაშვილის, პირველად ხილვისას ისე მოვიხიბლე, მზად ვიყავი, საარჩევნო კანონი, გამონაკლისის სახით, ნებას თუ დამრთავდა, ერთდროულად ორივესთვის მიმეცა გასაპრეზიდენტებლად ხმა, მაგრამ მერე და მერე მათმა მსმენელ-მაყურებელმა გადავიფიქრე და, აი, რატომ: ბატონ როინის მოუსვენარმა, მგონია, ულაცმა, უშბას ფონზე, თუმცა ერთობ ზეალმიტაცა, მაგრამ თან იმის შიშიც შემომაპარა, კალიგულასი არ იყოს, თავისი ცხენი, სახელად ფენმარდი (быстроногий), ლამის რომ გააკონსულა, ბატონი როინიც თუ გაპრეზიდენტდა, ასე მბორგავი, და მაინც ასე დამჯერი თავისი ჰალსტუხიანი მხედრისა, ვაითუ გააპარლამენტაროს-მეთქი...

ასევე დიდად მომეწონა ბატონ ქართლოს ლარიბაშვილის „სტალინისეული“ ჩიბუხი, ეკრანზე გამოჩენისას ერთ-ორ ნაფაზს რომ მოგვაბოლებს ხოლმე წარსულში დიდად ცნობილ ამერიკელ კინომსახიობ

რობერტ ტეილორივით. მაგრამ რა ვქნა, საპრეზიდენტოდ ვერც მას მივცემ ხმას: საქართველოს პრეზიდენტობა ყველაზე უფრო მას შეეფერება, ვისაც ქართლოსი ერქმევა და გვარად ღარიბაშვილი იქნებაო...

როგორც ღარიბი კაცი სწორედ სიღარიბის გამო მას დავუჭერდი კიდეც მხარს, ოღონდ... მართლაც ღარიბი რომ ბრძანდებოდეს. აკი თვითონვე ბრძანა (იხ. გაზეთი „სამშობლო ფორტე“, №16, ოქტომბერი, 1995 წელი), „მაქვს მერსედესი...“

ჰოდა, შე კაი კაცი, რაღანაირი ღარიბი ბრძანდები, თუკი რუსთაველზე „მერსედესით“ „დაგულაობ?!“ არადა, ეგებ მითხრათ, გეთაყვათ, ღარად ღირებულ ვარდს, ერთ ვარდსაც კი განა იყიდის ის, ვისაც ჯიბეში პურის საყიდელი თეთრიც არ უჭყავა?! „მერსედესს“ კი არა, ველოსიპედსაც ვერ... ტავტოლოგია რომ არ გამომივიდეს, ამ ფრაზას აღარ დავამთავრებ, მით უმეტეს, რომ თქვენ თურმე.. „მყავს ორი ძაღლი...“ არადა, დასწყევლოს ეშმაკმა, ახლაც „კი, მაგრამი“ უნდა მოვიშველიო: ქვეყნად ამ ნახევრად შიმშილობის ჟამს ორ... ერთს „კი არა, ორ ძაღლს საპრეზიდენტოდ შემართული ღარიბი კაცი რა ეშმაკებით ინახავთ?! მით უმეტეს, რომ ადრე მყავდა ლორდიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა.“

ეჰ, ქართლოს, ქართლოს, ძვირფასო ქართლოს, გულწრფელად გითანაგრძნობთ, ოღონდ... არც ერთი ქართველი არ იტყვის ძაღლზე, თუნდაც მას „ლორდიც“ ერქვას, გარდაიცვალაო, ლორდზე-კი, ადამიანზე...

როგორც ხედავთ, მკითხველო, მე უკვე მიმოვიხილე პრეზიდენტობის მაძიებელი ექვსიდან ხუთი კანდიდატი, რომელთაგან არც ერთს არ შევანევ ჩემს სრულუფლებიან საარჩევნო ხმას და... ო, რომ იცოდეთ, რარიგ ვწუხვარ, რარიგ ვწუხვარ, პრეზიდენტისთვის მცირეწლოვანობის გამო საპრეზიდენტო ამ არჩევნებში წამოყენებული არ გახლავთ ბატონი ივერი სამჭკუაშვილი, რომელსაც საპრეზიდენტოდ გვარიც უწყობს ხელს და სახელიც. რასაც, თუ გნებავთ, ეს ორიოდე სტრიქონიც ადასტურებს, ამ რამდენიმე დღის წინათ „სამშობლო ფორტე“-ში რომ გამოქვეყნდა ირაკლი წერეთლის ფსევდონიმით:

„თუ ჩემი პარტია მოვა ხელისუფლების სათავეში, ქვეყანას ეყოლება ყველაზე უკეთესი ხელისუფლება აღმაშენებლის შემდეგ“.

არ ვიცი კი, „დავითი“ აქ გამორჩა თუ განგებ გამოტოვა მომავალმა ივერი აღმაშენებელმა!

ყოველივე ზემოთქმულის მერე მკითხველს, ვფიქრობ, არ გაუჭირდება მიხვდეს და დაასკვნას, რომ მე მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებში, მსგავსად პენსიონერ გურამ რუსიას თქმისა არ იყოს (იხ. გაზეთი „საქართველოს პარლამენტი“, 15.09.95), „მიუხედავად მისი რბილი ხასიათისა, მაინც ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მივცემ ხმას.“

ოღონდ აქ ჩემდათავად იმას დავამატებდი, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში ედუარდ შევარდნაძე მხოლოდ ბოლო ოთხ წელიწადში შეძენილ ამ რ ბ ი ლ ხ ა ს ი ა თ ს თუ არ გამოეთხოვება და, საერთოდ, უპირველესად ყურადღებას არ მიაქცევს ახლა ყველასათვის თვალნათლივ ქართველი ერის სრული ამონყდომის საშიშროებას, რის ირგვლივაც, სხვათა შორის, პრეზიდენტობის კანდიდატებს თავიანთ წყალუხვ გამოსვლებში ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ, მე უკანვე გამოვიტხოვ ჩემს ხმას, როგორც გულუბრყვილო შეცდომით მიცემულს ედუარდ შევარდნაძის ასარჩევად...

... რაკი ამჟამად რუსეთშიც სიკვდილიანობამ იმძლავრა შობადობაზე, 18 ოქტომბრის „Комсомольская правда“-ში შეგვიძლია ამოვიკითხოთ:

„По подсчетам ученых, во второй половине XXI века русских на территории России может остаться порядка 25-30 миллионов, то есть нация, как таковая, сойдет на нет...“

ჰოდა, თუკი ეს რაღაც 50-60 წლის შემდეგ შეიძლება დაემართოს 140-მილიონიან რუს ერს, მაშინ რაღა მოგვივა ჩვენ, ერთ კონა ხალხს საქართველოში, სადაც სიკვდილიანობა უკვე რა ხანია, ორჯერაც კი სჭარბობს შობადობას?!

ნუთუ აღარ დაგვიდგა ის დრო, როცა რამენაირად გონს მოვეგოთ და შევიგნოთ, რომ ჩვენი ბედი ახლაც კი არც ცხინვალში წყდება და არც სოხუმ-აფხაზეთში, ჩვენი ბედი წყდება მთლიანად მთელ საქართველოში, და რომ ვერაფერი ჩვენ ვერ გვიხსნის, გარდა პირადი მაგალითისა, დაწყებული პრეზიდენტიდან და გათავებული საღდაც მთიანეთში ჯერ კიდევ შემორჩენილ ერთ ამომრჩევლამდე.

23.10.95.

კიტა ბუაჩიძე

**თამაზ კვაჭანტირაძის,  
როგორც ლიტერატორს და როგორც მინისტრს  
გაზეთი „შანსი“, №3, 1996 წ.**

**ერთ დროს ჩემო ნამებობრალო თამაზ!**

მარჯანიშვილის თეატრში ერთ მსახიობს, რომელიც გაცნობოდა „ჩემი“ რეჟისორის მიმართ სათვალავით პირველ მოუზრდელებს, „კბენია“ უსტარს, სინანულით ეთქვა:

— კიტა ბუაჩიძე დრამატურგი კაია, პოლიკარპეს მერე მეორეა, მარა რა გინდა, პირადი წერილების წერა იცის გლახაო...

ჰოდა, ახლა ამ განჩინებით შეშინებული იმაზე ვფიქრობ, ეს ბარათიც „გლახა“ არ გამომივიდეს, მით უმეტეს, რომ ამის წინა ბარათმა, რომელიც 1989 წლის იანვრის პირველ დღეებში გამოგიგზავნეთ, კინალამ თქვენი თავი დამაკარგვინა...

... მაგრამ აი, კარზე მომდგარ 1996 წლის წინა დღეებში სასწაულსავით, სრულიად მოულოდნელად ჩამესმის ტელეფონში თქვენი სასიამოვნო, დრამატული ტენორი, ლაპარაკის დასაწყისში თუ კარგად გავარჩიე, უძღები შვილის თაობაზე...

ჩემთვის ორმაგად სასიხარულო უფრო ის იყო, რომ სწორედ შემოქმედებითმა იმპულსმა – გაზეთ „მთანმინდაში“ გამოქვეყნებულმა ჩემმა ორმა პუბლიცისტურმა ნაშრომმა, რაკი გულით მოგეწონათ, ჩაგაგონათ, ძველ წყენაზე ვაჟკაცურად ხელი ჩაგექნიათ და გადანყვიტეთ შემხმინებოდით, თუმცა „გამოფიტულ ნიორში“ ჩემთვის უჰალსტუხოების, თქვენთვის კი „უხამუტობის“ გამო, ცოტა არ იყოს, „გაგნკეპლეთ“ კიდეც.

ამის შემდეგ, იანვარსა და აპრილში, ტელევიზორში ორჯერ გიხილეთ ყელსახვევით, რა „სამოსელშიც“, თუ არაბულ „ლამაზს“ კი არა, ქართულ სიტყვას მოვიშველიებ, დიხაც, რომ პირმშვენიერი წარმოჩნდით, მაგრამ მერე და მერე, რაკი ჩვეულება, როგორც ჩანს, მართლაც რჯულზე უმტიცესია, კვლავ ბედაურზე ამხედრდით, რისი დამადასტურებელი საბუთი ამასწინანდელ „საქართველოს რესპუბლიკაში ახალი მინისტრების სურათების გამოფენაა, საიდანაც „ჩაგალსტუკებულნი“ შემოგვცქერიან ყველანი, გარდა... გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს მ ი ნ ი ს ტ რ ი ს ა!

ტელეფონით ჩვენი საუბრისას დაგპირდით, რომ გაზეთ „შანსს“ გამოგიგზავნიდით, სადაც დაუმახინჯებლად დაიბეჭდა ჩემი „არავითარი საუპირატესო სტატუსი!“, აგრეთვე წინა წერილების იმ გვერდებსაც, რომლებიც „მთანმინდის“ მიერ ამოგდებულ იქნა, რაც მეორე დღესვე მოგართვით კიდეც და გთხოვეთ, რაკი მათ ნაკითხვას დრო ბევრი არ დასჭირდებოდა, სამი დღის შემდეგ დაგებრუნებინათ, მაგრამ, აი, მის შემდეგ უკვე ათი დღეც გავიდა და... როგორც იტყვიან, არ შეგჭამოთ რუხმა მგელმა!

მაშინ კი ისევ თქვენ გასამართლებლად გავიფიქრე, ალბათ ახალი წლის დადგომას ელოდება, მაგრამ არც პირველში და არც ორში ხილიანის ქუჩიდან ჩემგან გაფაციცებით მიდარაჯებულ ტელეფონში... „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..“

სამში კი, საღამოთი, რაკი დილიდანვე ხანგრძლივ მერყეობას და ჭოჭმანს ჰამლეტივით... დანიის პრინც ჰამლეტივით (და არა ახლა ჩვენში ასე პანტაპუნტად მიმოფენილ ჭოპორტ-მოხის-აჯამეთელ ჰამლეტივით!), როგორც იქნა, ვძლიე და რაკი წერილის მოწერა არა და არ მინდოდა იმის შიშით, ჩემი ბრიყვული პირდაპირობით მასში რაიმე „გლახა“, ვაითუ, ამჯერადაც გამეპაროს-მეთქი და უბის წიგნაკში დღემდე სასოებით შემონახულ თქვენი ტელეფონის ნომერს ხელის პარკინსონისებური კანკალით დავწვდი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ათჯერაც კი, მაგრამ... ამ შესაძლო შვების წყაროდანაც „არსაიდან ხმა...“

ჰოდა, ბოლოს, ამ უსასრულო სატელეფონო წამებისას, თითქოს უფალმა უეცრად გონების გზა გამიკვლია და ცნობათა ბიუროს მივმართე, მაგრამ ვაი ჩემს თავს – აბონენტს და უი მათ პასუხს: ჩვენ მინისტრების ტელეფონებს არ ვიძლევიით.

ალბათ იმიტომ, რომ თქვენ, უსაქმურებმა, არ შეიანუხოთო...

არ შემიძლია, ამ მოულოდნელი შემოღამებისას არ მოვიგონო 80-იან წლებში თქვენს ტელექციებში ცოტა შეპარვით, მაგრამ მაინც გაბედულად, ორჯერ თუ სამჯერ მთელი საქართველოს გასაგონად თქმული, რომ „ცენზურაგაუვლელი“, მხედველობაში გქონდათ „შავი წიგნი“, როგორც ერისათვის დიდად საჭირო ნაწარმოები, უნდა გამოიცესო...

ვერც თქვენს იმ ერთ პატარა წერილს დავივინყებ „ლიტერატურულ საქართველოში“, „მნაპნელებისაგან“ რომ მიცავდით...

„Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву“

— იქ დაბეჭდვამდე „განათლებისადმი“ განკუთვნილ რეცენზიაში თქვენ ასე წერდით:

„სამწუხაროდ, მათ („შავ წიგნს“ და „Длинное письмо“-ს) ჯერჯერობით არ ღირსებით ტიპოგრაფიული ნიშნებით აწყობა და მხოლოდ თვითგამოცემის წესით დაბეჭდილნი და ქსეროქსით გამრავლებულნი გადადიან ხელიდან ხელში. არადა, უნდა გამოიცეს, ვინაიდან ეს წიგნები არიან მართალი, საჭირო და საინტერესო წიგნები. „ვრცელი უსტარიც“ ამ ტიპის წიგნია – ტკივილიანი, მწარე, დაურიდებელი სიტყვა ცხოვრების ათას დარჯაკგამოვლილი პატიოსანი ლიტერატორისა... ეს გახლავთ საინტერესო ავტორის საინტერესო ნაწარმოები, რომელიც თავიდან ბოლომდე გაუნელებელი ინტერესით იკითხება. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნში პუბლიცისტიკიტა ბუაჩიძე ტოლს არ უდებს დრამატურგ, უფრო ზუსტად – კომედიოგრაფ კიტა ბუაჩიძეს: იუმორი, ირონია, სარკაზმი შეზავებულია ვრცელი და მრავალმხრივი ფაქტობრივი მასალის ღრმა და მახვილ ანალიზთან... ავტორმა ეს წიგნი ქართულადაც უნდა დაწეროს, ხოლო გამომცემლობებმა მათი დაბეჭდვა ითავონ... მერნმუნეთ, არ წააგებენ — ეს წიგნი რუსული და ქართულიც ორ დღეში სანთლით საძებარი გახდება წიგნის ბაზარზე.“

ისე აგიხდეთ ყველა სურვილი, როგორადაც მაშინ ეს თქვენი წინათგრძნობა ახდა: ამ „უსტარზე“ პოლიტიურს ერთ-ერთი წევრის მიერ ამ ჩემს ნაშრომზე გამოთქმული საქებარი აზრით გათამამებულმა და ბორკილყრილმა ლუკა ხუნდაძემ ივაჟკაცა და „Письмо Астафьеву“ ასიათასიანი ტირაჟით გამოსცა, რომელიც ორ დღეში არა, მაგრამ ორ კვირაში კი მართლაც საქებნელი გახდა: ზოგიერთი თბილისელი ათ-ათ ცალობითაც ყიდულობდა და თავიანთ ნაცნობ-მეგობართ სიამაყის გრძნობით უგზავნიდა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და ბევრ სხვაგანაც, წაიკითხეთ და... ახლაც იტყვიან, ქართველები სალანძღავი ხალხიაო?!

(ისე კი, რა „საქებარი“ ხალხიც ჩვენ ვიყავით, მე ეს, რასაკვირველია, „ასტაფიევის“ დაწერამდეც მშვენივრად ვიცოდი, მაგრამ არაქართველისგან ჩვენს დაცინვა-დანახლვას განა მოვიტმენდი, ავიტანდი და მიუფტევებდი?!).

თავი ძალიანაც რომ მოვისანყლო, ფაქტს სად გავექცე? საბჭოთა კავშირის რჩეულ მკითხველთა საზოგადოებაში ქართველი მწერლის მიერ პუშკინის ენაზე დაწერილი და უკვე წიგნად გამოსული „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву“ 1989 წელს ლამის ბესტსელერად იქცა: საიდან არ მთხოვდნენ და ზოგჯერ რა კურიოზულ საჩუქარს არ მიგზავნიდნენ, რომ ეგზემპლარი მიმეწვდინა.

დიახ, მაღლობისა და მოწონების წერილები და ავტოგრაფით შემკული წიგნები ვინ აღარ გამომიგზავნა: ლენინგრადიდან პოეტმა მიხეილ დუდინმა, მოსკოვიდან პოეტმა რიმა კაზაკოვამ, სერგეი მიხალკოვმა, კრიტიკოსებმა: ლევ ანინსკიმ, სტანისლავ რასადინმა, ალექსანდრე ბორშჩაგოვსკიმ, ევგენი სიდოროვმა (ამჟამად რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრია), ვლადიმერ ლაკშინმა, ასტაფიევის ახლო მეგობარმა ჟურნალ „Москва“-ს რედაქტორმა ვლადიმერ კრუპინმა („Это не письмо, а труд!“), ჟურნალ „Книжное обозрение“-ს რედაქტორმა ავერინმა, ვორონეჟიდან გავრილო ტროეპოლსკიმ, ზოგის გვარი კი ასე სახელდახელოდ ვეღარ მომიგონებია, მაგრამ რუსეთის სინდისად წოდებულ აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვს, აბა, რა დამავინყებს, რომლისგანაც საერთო სათვალავში სამი წერილი და ორი წიგნი მივიღე, ანდა მეორე აკადემიკოსისას, ოლონდ გთხოვთ, მის პიროვნებას არა დღევანდელი, იმჟამინდელი საზომით მიუდგეთ: მიუხედავად იმისა, რომ ჩემი „გრძელზე გრძელი უსტარი“, არსებითად, იმდენად არა ასტაფიევის, რამდენადაც უფრო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგაა მიმართული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში, პოლიტიურს წევრმა ალექსანდრე იაკოვლევა ქართველი ინტელიგენციის ვინ-

რო წრესთან შეხვედრისას, 1988 წლის თებერვალში, განაცხადა (არსებობს ამ შეხვედრის ჩანაწერი ვიდეოკასეტაზე): „Ответ очень интересно написан...“

Скажу я: очень талантливо... Я его прочитал с большим интересом...“

მოგვიანებით, თბილისში, იაკოვლევთან შეხვედრისას, ჭაბუა ამირეჯიბი საუბარში, სიამაყით ასეთ რეპლიკას ჩაუერთავს: „Чингиз Айтматов считает, что это исторический документ“.

სომხების დედად მიჩნეული სილვა კაპუტიკიანი, სომხებიდან ყველაზე ცნობილი პოეტი საბჭოთა კავშირში, მაჩაბლის ცამეტის მისამართით მისთვის სრულიად უცნობი ავტორის სახელზე დეპეშას აფრენს ერევნიდან:

„С наслаждением читаю Ваше длинное письмо...“

მიაქციეთ ყურადღება: „прочла“, „прочитала“ კი არა „читаю“, ე.ი. რას იზამ, ძალაუნებურად იუმორგარევიტ თუ იფიქრებ, კითხვისას ისე აღტაცდა, დამთავრებას აღარ დაუცადა, ფეხი დაჰკრა და... ჰერი, ჰერი ფოსტისკენ, ფოსტისკენ!..

ღიას, ეს სომეხმა მწერალმა, შენიანმა, ქართველმა მწერლებმა კი არათუ დეპეშა, არც ერთმა...

თუმცა არა: იმხანად ბაზალეთის ქუჩაზე შემთხვევით ირაკლი აბაშიძე შემომხვდა და... ო, ვიდრე ამას გიამბობდეთ, პანანკინა „პრეისტორიას“ გაგაცნობთ: ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა სულ რაღაც რამდენიმე წელიწადს მოიცავდა, მაგრამ ეს „რაღაც“ დიდზე დიდი მანძილია, როცა შენ თხუთმეტისა ხარ, ის კი უკვე ქალებში „დაგულაობს“, ოცისაა და როგორც თითქმის უკვე ცნობილი პროლეტარული პოეტი შენს უფროს ძმას, უკვე უთითქმისოდ ცნობილ და მეხდამტეხ პროლეტარულ კრიტიკოსს, ბენიტო ბუაჩიძეს ემეგობრება და მას ამის მერეც-მერეც, სიბერეშიც არ ავინყდება, ძალზე ხშირად კუჭმომხმარი ყმანვილი როგორ ელრიტინებოდი ხოლმე:

— რა იქნება, თუ გაქვს, მომეცი შაური, პონჩიკს ვიყიდი...

— ადამიანურად ეს ბევრ ხანმოთეულსაც სჩვევია იფიქროს, ამ დროის განმავლობაში იგი, ო, რა უსაშველოდ გაიზარდა, შენ კი მის მეხსიერებაში ისევე „მომეცი შაურის“ დონეზე დარჩი... ამიტომ არც გამკვირვებია, როცა ირაკლიმ, გაქილიკების მოტრფიალემ, განგებ გაოცებით მკითხა:

— კიტა, ბიჭო, მართლა შენ აუნვი კუდი ასტაფიევს? ის წიგნი მართლა შენ დაწერე?

— მე არა, გრიგოლ აბაშიძემ, - მოსაჩვენარი სერიოზულობით დინჯად ვუპასუხე, რაკი ვიცოდი (და ეს ვინ არ იცოდა!), ამ ორ აბაშიძეს ერთმანეთი გულზე არ ეხატებოდა.

— კაი ერთი, გრიშა რა ამის დამწერია?! ისე, მაინც, ბიჭო, რა კაი რუსული გისწავლია ციხეში!

— ციხეში, შე კაცო, რა რუსულს ვისწავლიდი, მთელი შვიდი წელიწადი ყურში სამად სამი უცენზურო სიტყვა ჩამესმოდა.. ეს კია, რუსულად მოლაპარაკენი მათ ექვსივე ბრუნვაში ისეთი **ლინგვისტური** ოსტატობით აბრუნებდნენ და მათი შემწეობით არცთუ უბრალო აზრებსაც ყველასათვის ისე გასაგებად გამოთქვამდნენ, ნიკო მარსაც შეშურდებოდა.

ამის დამადასტურებელი ორიოდე „თვალსაჩინო“ მაგალითიც მოვიყვანე, „პალესტინა, პალესტინამ“ ჩაიხიბითა და, ალბათ, ასე იოლად გონმისაწვდომი „განათლებისთვის“, მაღლობის ნიშნად, მხარზე ხელი დამკრა, რაც მისი ახოვნებისთვის ძნელი არ იქნებოდა, თუკი ჩემს „ახოვნებასაც“ გავითვალისწინებთ.

— კი, მაგრამ, იცი შენ მაინც, რა დაწერე, რა გააკეთე?

არა, ასტაფიევზე დაწერით ჩვენც დავწერეთ, სამმა კაცმა გვერდნახევარი, მაგრამ „დღინი პისმოსთან“ რას მოვა... შენ კი - ქართველ ერს, არა მარტო რუსების, სხვა ხალხების თვალშიც, სახეზე ჩამორეცხე ასტაფიევის ნასროლი ლაფი და... ყოჩაღ შენ! და ამ თითქოს მოწმენდილ ლოყაზე ღიმილით ხელი მომითათუნა, - დედა, დედა, ასე რავა გამომეპარა, რამხელა „პონჩიკი“ გაზრდილხარ თურმე!... აფსუს, სანყალი ბენიტო, რა ნიჭის კაცი იყო!.. არშარუნმა დალუპა, დალუპა ამ სახეძალდმა...

დიახ, ასე კაზმულად შემაქო, მაგრამ დაწერით არაფერი დაწერა და ამისთვის ვერც დაემდურები: თავის ცოცხალ კოლეგებზეც კი, რამდენადაც მახსოვს, ის, საერთოდ, არაფერს წერდა, მაგრამ...

ხუთასიდან სხვა მწერლებს და კრიტიკოსებს, მით უმეტეს პროფესიონალებად ითვლებიან და...

საბაბი სულ მცირედიც თუ მიეცათ, ნაცნობ ავტორს, მეგობრობით თუ „ისე“, ხოტბის სიტყვებს ხოშკაკალასავით რომ აყრიან...

რალა მაინცდამაინც ახლა შეახმათ პასტა?!

ო, არა, პასტა სულაც არ შეხმობიათ, მაგრამ ვინაა მათთვის ვილაც კიტა ბუაჩიძე, რა პირადი ურთიერთობა აკავშირებთ მასთან, თავიანთ მარაქა-საკრებულოში იგი ხომ არც ახალგაზრდა, არც ხნიერი არასოდეს უნახავთ და...

პირადად გ ვ თ ხ ო ვ დ ე ს მაინც, ჩემზეც დაწერეთ რამე!

არადა, რაკი ჩვენში, ვთქვათ, ღირსეულზეც უ ძ მ ა კ ა ც უ რ ა დ, უთხოვნელად არაფერი იწერება, ერთი მითხარით, აბა, როგორ არ მივუსადაგო სამშობლოსთვის დამწვარ ამ ერისკაცებს პოლონეთის ოციან-ოცდაათიანი წლების, სტალინის მომსგავსო დიქტატორის, იუზეფ პილსუდსკის მწარე გამონათქვამი, რომლითაც მან ერთხელ, გაგულისებისას, სეიმის წევრებს მიაძახა:

— „Фиште йестесче курвами, Паньство!“

დრომ კი, როგორც ზემოთ ჩემი მონაყოლიდან უკვე იცით, ფრიად ნათლივ აჩვენა, რომ „ასტაფიევს“ რუსები არათუ წყენით შეხვდნენ და არათუ მხოლოდ მათ მოფხანა გული, — არა რუს პატარა ერებსაც, რომელთა ორი გამოჩენილი წარმომადგენელი, კაპუტიკიანი და აიტმატოვი, დაგისახელეთ კიდევ, დანარჩენები კი — არა, ჩვენში მათი ნაკლებცნობილობის გამო.

ახალი წლის წინა დღეებში „დალხინებული სამწერლო ცხოვრებისგან“ სტენოკარდიამ მთელი სიმძაფრით შემომიტია და მიქელგაბრიელთან პირისპირ ჭიდილში იმ უბრალო, სადა, მარტივ ჭეშმარიტებამდე მივედი, რომ სულ ტყუილია, სულ ერთიანად მოგონილია, მტკნარი აბსურდია, არაბუნებრივი და არაადამიანურია საყოველთაოდ ცნობილი ლეგენდა იმაზე, თითქოს ადამიანები სიკვდილის უკანასკნელ წუთებში საშთამომავლოდ სამარადისო რაიმე სიბრძნეს აღმოთქვამენ ხოლმე.

— ო, ყველა ეს „უკანასკნელი ამონათქვამი“, თუნდაც, აი, როცა კოცონზე იწვოდა იან ჰუსი და თვალი მოჰკრა, ერთი დედაბერი როგორ აყრიდა ცეცხლზე ფიჩხს, რათა ის კიდევ უფრო გაძლიერებულიყო და ერეტიკოსი მალე დამწვარიყო, ჰუსმა წამოიძახაო, „ოი, წმინდაო გულუბრყვილობავ!“, ანდა სხვა, მაგრამ ანალოგიურ შემთხვევაში, გალილეო გალილეის - „მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავს!“, მათთვის დროთა განმავლობაში მიწერილია მადლიერი შთამომავლების მიერ.

ეჰ, იმ წუთებში, აბა, ვინ ფიქრობს ამაზე და ვის სცხელა ამისთვის!

რა ეროვნებისაც უნდა იყვნენ ეს დიდი ადამიანები და უამისოდაც მართლაც უკვდავნი, მათი უკანასკნელი ამონაკვნესი იქნებოდა, არის და მუდამც იქნება ის, რაც ამ ერთ ქართულ ხალხურ სტრიქონშია პარადოქსული გენიალობით ჩაქსოვილი:

— თუ სიკვდილი მენერა, რისთვის მშობე მშობელო...

მე გთხოვთ, „ოდესლაც“ ჩემო ნამეგობრლო თამაზ, ისეთ სულელად ნუ ჩამთვლით, ვითომდა ჩემი პერსონა დიდ ქართველად მიმაჩნდეს, ოღონდ ეს კია, დიახაც, ასეთი რომ ვიყო და სიცოცხლესთან გამოთხოვებისას თავს თუ მოვერეოდი, თუ მ ო ვ ე რ ე ო დ ი, ჩვენი დღევანდელი დემოგრაფიული მდგომარეობა ჩვენივე ეროვნული უჭკუობით ისეთი ტრაგიკული და კატასტროფულია, სიკვდილის წინ უეჭველად წავიბუტბუტებდი:

— დარდი მიმყვება საქართველოსი...

(გვახსოვდეს ვაზგენი:

„ქართველებს რომ შეეძლოთ, ნახევარ ბავშვს გააკეთებდნენო...“

„Грузины подобно корякам и чукчам. вымирающая нация“) —

„შავზე შავი წიგნის“ გამოუცემლობაც ამ დარდის ერთი შემადგენელი ნაწილია, რადგან ის, მისი წინაპრის, „შავი წიგნისა“ არ იყოს, უმთავრესად იმ საკითხებს ეხება, რომელთა გამო, სულ ცოტა, უკვე შვიდი ათეული წელიწადია, ეროვნული სისხლისგან წვეთ-წვეთობით, დღითიდღე ვიცლებით, ვინრიტებით და თუ თქვენ, როგორც მინისტრი და ლიტერატორი, გულით მოინდომებთ და ამ საერო წიგნის გამოცემის საქმეს ნარუძღვებით, ამით, მერწმუნეთ, დღევანდელი საქართველოს საუბედურო ისტორიაში უფრო დამშვენებული შეხვალთ, ვიდრე 300 „უნივერსიტეტიანი“, „უგანათლებულესი“ საქართველოს განათლების მინისტრობით, მე კი ამით ისე გამახარებთ და სიცოცხლეს ისე გამიხანგრძლივებთ, რომ შეგეძლებათ, შარშანდელი უყურადღებობა გამოასწოროთ და 1996 წლის 31 დეკემბერს თქვენი სასიამოვნო, დრამატული ტენორი ტელეფონით გამაგონოთ:

— მოგილოცავთ ახალ წელს – კიდევ უფრო მიახლოებას უკუნეთთან!

— ო, ელდა მე ამით სულაც არ მეცემა, მე რეალისტი ვარ და მეტად დავალეებული ვიქნები იმისთვისაც, რომ სასიცოცხლოდ მთელი ერთი წელიწადი მისაჩუქრეთ, რათა „შავზე შავი“ თეთრ ყდაში მეხილა, რომლის პირველი ეგზემპლარი, რასაკვირველია, მოგედღვნებათ თქვენ, სამშვილიანს, ეჭვმიუტანელი სამადლობელი წარწერით...

ო, ეჭვის მიტანაზე გამახსენდა: ამ ათი-თორმეტი წლის წინათ ლიტფონდის ან განსვენებული თავმჯდომარის, ამირან გაბესკირიას კაბინეტში, საწერ მაგიდაზე ახლად გამოცემული წიგნი ვიხილე, რომლის ავტორისეულმა წარწერამ როგორღაც გამაკვირვა: ჩვეულებრივ „ამას და ამას და ასეთს და ასეთს“ მოსდევდა:

მართლა პატივისცემით კობა იმედაშვილი.

დიახ, მე სწორედ ამ „მართლამ“ შემაცბუნა... არადა, ვერც გაამტყუნებ: ისე გაიაფდა, ისე დაეცა ჩვენში ურთიერთპატივისცემა და ისე აღზევდა ცბიერობა და ორპირობა, ქეშმარიტი პატივისცემის დასადასტურებლად გიხდება კაცს „მართლას“ მოშველიება!

ჩემი ამ არცთუ მოსანატრად შესახსენებელ, ლამის უკვე „უხუცესობის“, „მხცოვნობის“, „უკანასკნელი მოპიკანობისას“ ნუთუ იმის ღირსი არა ვარ, რომ ჩემი კალმის ერთი მაინც ნამოღვაწარი გამოიცეს ამ არასრული სიიდან:

„შავზე შავი წიგნი“ ან „ხალხის მტრის ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე (1929-1979 წწ.)“ ან პუბლიცისტური ნაწერების კრებული: „სიგლახე არ უნდა შერჩეს არავის, და არც სიკეთე დაეკარგოს არავის...“ ანდა ქართული თარგმანი წიგნისა: „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву“

...დიახ, ნეკროლოგამდე ხალხში წიგნებმა შენმან უნდა გამოგაჩინონ და არა კრიტიკის ჟანგბადის ბალიშებმა.

მწერლობაში სასიცოცხლოდ ხელოვნურ ჟანგბადს მე პირადადა არასოდეს გავკარებდვარ და... ვფიქრობ, არც აწი, არც აწი... ოღონდ მოხდეს სასწაული და გამომცენ.

ჩემთვის თვალის ახვევა არც ისე იოლია და თუ ეს ვიგრძენი, ერთხელ კიდევ ვთარგმნი პოლონურიდან და მივახლი მათ სახეში იუზეფ პირნუჩკის სენტენციას:

„Фсиште йестесче курвами, Паньство!“

10 იანვარი,  
1996 წელი

კიტა გუაჩიძე

P.S. ეეს, თამაზ, თამაზ!

ჯერ კიდევ შარშან ტელეფონით ჩვენი გასაუბრებიდან თვეზე მეტიც გავიდა, მაგრამ ამათზე უფრო მოტრაგიკულოა ჩემთვის ის ამბავი, რომ ამ დროის მანძილზე თქვენგან კვლავ „არსაიდან ხმა“ და აქამდე გაზეთი „შანსი“ და ჩემი

ორი წერილიდან ამოღებული ის გვერდებიც აღარ დამიბრუნეთ, რომელთა გაცნობისთვის საათნახევარი თუ დაგჭირდებოდათ...  
დამიბრუნებთ კი საერთოდ?  
ო, როგორც ჩანს...

5 თებერვალი, 1996 წელი



### „განა ჩვენ გულით რასმე ვაკეთებთ?“

„შავზე შავი წიგნი“, „განათლება“, 1996წ. გვ. 36-51

მინაწერი:

ამ ცოტა ხნის წინათ (13 აგვისტო) „საქართველოს რესპუბლიკამ“, პრეზიდენტის თხოვნით, რომელიც გაზეთიდან ბატონ ტარიელ ჭანტურიას ინტერვიუ გადმოიღებდა: „საზოგადოებაც შეიცვალა და მწერალიც“, რომელიც მოიცავს, კერძოდ, ჩვენი სამწერლო საზოგადოების არაერთ მტკივნეულ საკითხს.

ვფიქრობთ, არ იქნებოდა ცუდი, თუ გაგაცნობდით ამის თაობაზე ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, 1982 წელს, მაშინ ჯერ კიდევ ამხანაგ კიტა ბუაჩიძის შეშფოთებულ აზრს ხუთასწევრიან მწერალთა კავშირზე და იმაზე, რომ მწერალი დღეს და გუშინ კი არა, ძალზე დიდი ხნის წინათ შეიცვალა, და რომ ხუთასი მწერალი და „მწერალი“ ბევრზე ბევრია ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის... ყოველივე ეს გამოთქმულია „შავზე შავ წიგნში“, რომელმაც, სხვათა შორის, სტამბის სინათლე, უამრავი წვალეების შემდეგ, მხოლოდ შარშან იხილა.

ადამიანმა ადამიანური სახე რომ შეინარჩუნოს და ღირსეულად ატაროს იგი, ამისათვის ბრძოლაში მაგალითის მიმცემნი ვინ უნდა იყვნენ, თუ არა ადამიანის სულის ინჟინრები, მწერლებს რომ შეარქვა იოსებ სტალინმა?!

სულ აგერ, ეხლა კი ერთმა ჩვენმა უდავოდ მახვილგონიერმა ლიტერატორმა, რომელსაც ბასრი კალამი – თანაბრად ემარჯვება მხატვრული სიტყვის თითქოს ერთმანეთის სანინააღმდეგო სფეროებში – კრიტიკაში და პროზაშიც, ქართველი მწერალი ერის უპირველეს ჭირისუფლად დაგვისახა...

ჭირისუფლობა აქ, ცხადია, ვინრო, შინაურული გაგებით როდი იგულისხმება, შენი მკვდარი ვითომ ცხარე ცრემლით რომ დაიტვირო და რვაასკაციანი საქელებო სუფრა გაშალო...

„პასიური პატიოსნება“, რა თქმა უნდა, პატიოსნებაა, მაგრამ საზოგადოების განვითარებაზე ძალიან სუსტ გავლენას ახდენს.

ჩვენს ცხოვრებას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისინი ალამაზებენ, ვისაც შეუგნია მამულისა და ხალხის წინაშე თავისი ღვთიური ვალი, ვისაც პირადულზე მაღლა საზოგადოებრივი საქმე დაუყენებია და ერის მოჭირნახულის მანტია უმშვენებს მხრებს“-ო.

აქ რომელი სიტყვაც უნდა აიღოთ, სულ ბაჯაღლო ოქროსგან არის ჩამოსხმული და აზრიც მთლიანად, რასაკვირველია, ოქროვარაყიანია.

მართლაცდა, პასიური პატიოსნება ყოველ ადამიანს, ყოველ მოქალაქეს მოეთხოვება — არ იყო მატყუარა, გაიძვერა, უპირო; არ იყო ქურდი და ავაზაკი, ურცხვი და ზნედაცემული; არ იყო მექრთამე, ხარბი, სახელითა და ქონებით გაუმაძღარი. ყოველივე ეს უბრალო, ჩვეულებრივი, ელემენტარული პატიოსნების მაჩვენებელია. აქტიური პატიოსნება კი იმას ნიშნავს, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთ და მრავალ და ბევრს სხვა ხინჯსა და სიგლახეს, ერს რომ აკნინებს და აქვეითებს, თავდაუზოგავად შეება-შეებრძოლო და არა მხოლოდ ქაქანა სიტყვებით, ეს ისევ პასიური პატიოსნების გამოვლინება იქნებოდა, არამედ საქმით, მხოლოდ მოქმედებით, რაც ყველაზე ნაყოფიერად და თვალნათლივ პირად მაგალითს ჩაექსოვება და მოერგება ხოლმე.

ჰოდა, ვინ შეიძლება იყვნენ ამის მოთავენი, ამის მოწინავე მედროშენი, მაგალითის პირველი მიმცემნი, თუ არა ერის უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ი ჭირისუფალნი – ჩვენი მწერლები!



და რაკი ასეა, ჩვენზე უფრო ბედნიერი განა შეიძლება იყოს კიდევ სადმე ერი?!

მილიარდიან ზღვა – ჩინეთს მხოლოდ ორი ათასი მწერალი ჰყავს, მასთან შედარებით, ბაზალეთის ტბის ოდენა საქართველოს კი... ხ უ თ ა ს ი !

ესე იგი ერის ხუთასი უპირველესი ჭირისუფალი, მხარზე მანტიამოსხმული ერის ხუთასი მოჭირნახულე, ხუთასი სულიერი ქომაგ-გულშემატკივარი, საქართველოს ბედით გულაფორიან-ქებულნი და, რაც მთავარია, მისი მარადიული მერმისისათვის საქმით თავგამოდებული მებრძოლ-მეომარნი!..

ტსს...

ო, ეს რა მომესმა? ასე მწარედ ამას ვინ ჩამჩურჩულებს? – შე მამაცხონებულო, თუკი ჩვენს სამშობლოს ამდენი ღირსეული შვილი თავს დასტრიალებს, ამდენი მესვეურ-მზრუნველი, ამდენი მოამაგე და მეურვე ჰყავს, მაშინ ჩვენი საერო საქმე რატომ ვერ მიდის ისე წინ, როგორც ჩვენ ვაგვეხარებოდით...

არა, ეგებ მართლა სათვალავში მოვტყუვდით, სწორად ვერ დავთვალეთ და ამდენი სულაც არა გვყავს, ა?

მე პირადად დამთვლელად ოდნავაც ვერ გამოვდგები, თვლა რაღაც ათამდე ვიცი, ამის მეტე კი ქვის ხანის დროინდელ ბანჯგვლიან მოანგარიშესავით ვამბობ — „ბევრს“...

ეს ათიც ახლა ძლივს, ძებნა-ძებნით, ბორძიკ-ბორძიკ, რის ვაი-ვაგლახით ჩამოვთვალე, „ბევრის“ სათქმელად კი ენა ვერასგზით ვერ მოვაბრუნე, ვერ დავიმორჩილე...

ხომ არ ვცადოთ, ხელახლა დავითვალოთ, ა?

ჩვენს დროში აღარავინ დავობს იმის თაობაზე, რომ დინოზავრები ჯერ კიდევ უხსოვარ დროში გადაშენდნენ. ეს აქსიომაა თითქოს, მაგრამ მხოლოდ „თითქოს, რადგან საიდანლაც ახლაც გამოტყვერა ერთი კაცი ჩემი სახით, რომელიც ამტკიცებს, თუ სულ ისეთი დინოზავრი არა, მილიონი წლების წინათ ჯერ კიდევ გაჭუჭყიანებულ ჩვენს დედამინაზე რომ დაბოგინებდა, ყოველ შემთხვევაში, მისი მინიატურული ნაირსახეობა ახლაც ცხოვრობს ჩვენს დედაქალაქში ადამიანის, ნამდვილი ადამიანის სახით, რომელიც, ბევრის სავალალოდ, პასიური პატიოსანი როდია, აქტიურია და, აი, ამ „დინოზავრს“ — ო, თოლორაიას, რომელმაც ადრე არა ერთსა და ორ კინოგანმანათლებელ-კინოფიკატორს ფულის წყაროს დაშრობით ცრემლის ნაკადული აღვრევიანა, ამ რამდენიმე ხნის წინათ ავგიუსის თავლის მსგავსი, ათეული წლების მანძილზე „გაკრიანლებული“ ქალაქის საბინაო განყოფილება ჩააბარეს. სულ აგერ, ახლა კი მას უფრო ახლოს საღამოს გაზეთში გავეცანით.

მოდით, მისი წერილიდან მხოლოდ ორ აბზაც-ნახევარი ამოვიკითხოთ:

„ერთმა ცნობილმა მწერალმა ორ ადგილზე მიიღო საცხოვრებელი ბინა და ამის შემდეგ იმასაც შეეცადა, რომ ერთ-ერთ ძველ ბინაში არასრულწლოვანი შვილიშვილი დაეტოვებინა. ქალაქის საბჭომ სამართლიანად არ შეუნყო ხელი მისი ახირებული სურვილის განხორციელებას.

თუ კარგად იცნობთ ამ მწერლის შემოქმედებას, აღტაცებული დარჩებით, როგორ გვესაუბრება ზნეობაზე, სულის და ხორცის სინმინდეზე, მამულიშვილობაზე, სიკეთეზე...

როცა მის ნათქვამს და ნამოქმედარს ერთმანეთს ადარებთ, გაოცებული რჩებით ამგვარი გაორებით.“

ვინ არ იცის, რომ ზოგი მწერალი დიდია, ზოგი საშუალო და ზოგიც პატარა. ეს მწერალი კი, რაკი ცნობილია და რაკი მის წიგნებში ქადაგებას სულისა და ხორცის სინმინდეზე აღტაცებაში მოყვარტ ხოლმე, უთუოდ დიდებს უნდა განეკუთვნებოდეს და, მაშასადამე, ერის უპირველეს ჭირისუფალსაც.

ჰოდა, თუკი ერის დიდი ჭირისუფალიც კი ასეთ ზრუნვა-სასოებით დასტრიალებს თავს ერსა და სამშობლოს, მაშინ განა მეტი მზრუნველობა მოეთხოვებათ საშუალო და პატარათ?!

ცოტა არ იყოს, საკვირველი ის არის, რომ ჩვენი პატივსაცემი დინოზავრ-ბინათუფროსი ამ დიდ შემოქმედს ზვიგენის ამ მადას რაღაც ახირებულ სურვილში უთვლის და... თითქოს არც გაემტყუნება: მას აქამდე არათუ საქმიანი ურთიერთობა, კაზმული სიტყვის ოსტატებთან უბრალო ნაცნობობაც არ ჰქონია და, აბა, რას წარმოიდგენდა, თუკი ერის უპირველესი ჭირისუფალიც მთელი ქალაქის დასანახავად და გასაგონად ამღერებოდა:

მე ჩონგური მისთვის მინდა,  
რომ ჩემს მუცელს მსახურობდეს!

შვილიშვილისთვისო...

რა თქმა უნდა, შვილიშვილებზე ზრუნვა სასახელო, მოსაწონი, დიდად საქები საქმეა, მაგრამ როცა შენ, ერის უპირველეს ჭირისუფალს, ერთადერთი შვილიშვილი გყავს და არა ხუთი-ექვსით ხარ გარემოცული, იმ ერთთან, ბევრი ჭამისა და ძილისაგან ლოყები ყურთბალიშებს რომ მიუგავს, საქვეყნოდ ჟურნალში კი არ უნდა „ჩაკარტიჭკდე“.

და არც შენ, ერის სულ დიდო ჭირისუფალი, ის ერთი შვილიშვილი შენთან ერთად ტელევიზორში არ უნდა გამოიყვანო და არ უნდა ათქმევიანო, ბაბუაჩემმა ჩემზე ლექსების მთელი წიგნი დანერაო...

ეს, ჯერ ერთი, ამ პატარას უკვე ღლაპობიდანვე აჩვევს გამორჩეულობას, მეორეც, აბა, რა ქნან ათიათასობით ამის მნახველმა სხვა შვილიშვილებმა, რომელთაც ბაბუები მწერლები არა ჰყავთ და თავიანთ შვილიშვილებს ლექსების მთელ წიგნს კი არა, ორ სტრიქონსაც ვერ გაურითმავენ. რატომ უნდა ვაგრძნობინოთ მათ თავი დაჩაგრულად?

საერთოდ, ჩვენი ერის უპირველეს ჭირისუფლებს შვილიშვილი – თანაც რაღაც ერთი, სულ დიდი, ორი, კულტად ჰყავთ ქცეული („გადასარევი ბოვში გვყავს!“)...

ერთმა ასეთმა, ერთხანობას თავისი ცხოვრება-კარიერის შენელებული დინამიკით განაწყენებულმა და ამიტომ განდგომილმა, შინაურულ საუბარში, როგორც ჩანს, გულისჯავრი ველარ დამალა და რესპუბლიკის მეთაურის მისამართით ბრძანა, მომცეს შვილიშვილისთვის ბინა და ამოვუდგები მხარშიო...

კი, მაგრამ, შე კაი კაცო, რაკი ამქვეყნად უცოდველი და შეუმცდარი, თუკი საერთოდ, რაიმეს აკეთებ, არავინ არის, ჰოდა, ეს ჩვენი მეთაურიც, ვთქვათ, „ამაში და ამაში“ არ არის სწორი და მართალი, და შენ, რაკი მან, თუნდაც სულ უბინაოს, ბინა მოგცა, ამისათვის მას ერისათვის რაიმე საზიანო საქმეში მხარში უნდა ამოუდგე?

ანდა... ამას წინებზე, დღიდან გაჩენისა, ყოველგვარ ნატვრა-საოცნებოს მოკლებულებმა, მუდამ დამტკბარი სიცოცხლით მოყირჭებულ-გადაყირჭებულმა ბატონიშვილებმა თავის ქეიფზე თვითმფრინავის მიმართულების შეცვლა მუქარით რომ სცადეს და ამ ცდაში, ოფიციალურ ცნობას თუ ვენდობით, არც ახლობლები დაინდეს და არც შორებლები, როგორ, შენ, ერის უპირველესი ჭირისუფალი, ამ ამაზრზენ საქმეში რესპუბლიკის მეთაურს განზე უნდა განუდგე, რაკი შვილიშვილისთვის ბინა ჯერ კიდევ ვერ მიუცია და მასთან ერთად საქვეყნოდ არ უნდა დაგმო („საქართველოს სადა ჰყავს შვილი დასაკარგავი...“) ერისათვის ეს სამტროზე სამტრო წინდაუხედავი უგუნურობა და შენი შემყურე ქართველი ახალგაზრდობა შენი მუცლისეული დუმილით ერის უჭკუო გაჩანაგების პოზიციაზე უნდა დააყენო?! მაშინ რატომღა უნდა გაგვიკვირდეს, თუკი განდგომილ-განაწყენებულთა ტვინშესაბრუნებლად იმედიანად წაილიწინებენ ხოლმე:

რა აყმუვლებს ამ მუნიან მურიას?  
ხომ არ შია და ან ხომ არ სწყურია?  
გადავუგდოთ ბინა-სამსახურია  
და გახდება ჩვენი ყმა-მსახურია!..

ეს ვისაც „აკლდათ“, მაგრამ ჩვენ ვხვდებით ერის ისეთ ჭირისუფლებსაც, რომელთაც არასოდეს არაფერი არ ჰკლებიათ, „არც გროშები და არც ქოშები“, და მაინც, ეს ნიჭიერთა შორისაც და სიბერეშიც კი, დიდკაცობის ჟინი და მუდმივი შიში ხის კენწეროდან ხის ძირას დაბერტყებისა იმდენად ძალუმია მათში, რომ დრო და დრო, ძლიერთა გულის მოსაგებად, საქვეყნოდ ისეთ რამესაც განაცხადებენ, რომ ეს ძლიერებიც, ცოტა არ იყოს, ალბათ, უხერხულად გრძნობენ თავს...

ასე, მაგალითად, ქართველი ერის ჭირისუფალთა მეცხრე ყრილობაზე ერთმა აკადემიკოს-ჭირისუფალმა უკვე განხორციელებულ საამაყო, სასიკეთო საქმეთა ჩამოთვლისას პათეტიკურად განაცხადა (და დაბეჭდა კიდევ):

„შეხედეთ, რა სილამაზე გამოჩნდა ბარათაშვილის ქუჩაზე, ჩვენი დიდი პოეტის ძეგლით რომ არის დამშვენებული. ხალხთა მეგობრობისა და კომკავშირის მუზეუმის გახსნა, თბილისის გადაქცევა სისუფთავისა და წესრიგის სანიმუშო ქალაქად...“

გადაქცევა... უკვე გა და ქ ც ე ვ ა . . .

ამაზე ჩვენი პრესა უკვე 60 წელიწადია ოცნებობს და ჩვენც ყოველდღე, გარდა კვირა სალამოსი, მოგვინოდებს და გვეხვეწება ხოლმე, გადავაქციოთო...

სხვათა შორის, როცა დილის სხდომაზე ამ პატივსაცემმა ორატორმა გამოაცხადა თბილისი სისუფთავისა და წესრიგის სანიმუშო ქალაქად, სწორედ სხდომის დამთავრების ყამს, შუადღისას, სანაგვე მანქანამ, რომლის ქურთმა მძღოლმა უკან დახვევისას თავი არ შეინუხა უკან მოხედვით, კედელს მიაჭეჭყა თავის გზაზე მშვიდად მიმავალი, რაიმე ხიფათის სულაც არმომლოდინე, ხნიერი დედ-მამის ერთადერთი შვილი-იმედი, მოსალამოებისას კი თვით მწერალ-ჭირისუფალთა პოლიკლინიკის ექთან მზია კ-ძეს თავისივე სახლის ეზოში ორმა სანიმუშო თბილისელმა საყურეები ჩამოაგლიჯა და თან სცემა, რატომ გაგვიძალიანდით...

თითქოს არც ამის აღუნიშნაობა ივარგებდა, აკი... „მე ვამაყობ, რომ თბილისელი ვარ.“ ნაცემ-გაძარცვული ქალის შემზარავ კივილზე ფანჯრებიდან ერთმა მეზობელმაც არ გადმოიხედა არც საშველად და არც ცნობისმოყვარეობით...

და ეს მათ თითქოს არც დაეძრახებათ: არანორმალური ამბავი, თუ იგი ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ამბად გადაიქცევა, ადამიანი მას უკვე ისე აღიქვამს, როგორც ნორმალურს, როგორც არაგასაკვირალს.

ჩემს თაობას კარგად ახსოვს კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი; თუ იგი სადმე ფეხზე მდგომი ან მოსიარულე შეგხვდებოდათ, არ შეიძლებოდა, გაოცებული თვალები არ მიგეპყროთ: მართლაც დინოზავრით ბრგე, მოუხეშავი, ზოზინა და იმდენად მაღალი იყო, რომ ჩვენი პირველი რესპუბლიკის დროს გამომავალმა კარგმა იუმორისტულმა ჟურნალმა, „ემმაკის მათრახმა“ ორ ნომერში მოათავსა მასზე მეგობრული შარჟი: ამ ზომის კუბოს, აბა, რომელი ჭირისუფალი იშოვისო, ამიტომაც „მიცვლილ“ კომპოზიტორს დამწუხრებული საზოგადოება შუაზე გადახერხილს მისავენებდა... ქვემოთ მიენერათ „გაგრძელება შემდეგ ნომერში“... შემდეგი ნომრის კუბოში კი მხოლოდ გრძელი ფეხებიღა ენყო.

როცა ასაკის მიხედვით სიკვდილი ჯერ კიდევ შორს, შორს გიდევს და თან იუმორსაც ემეგობრები, ასეთი მოშავო ხუმრობა შენზეც კი შენშიც ღიმილს გამოიწვევს, მაგრამ ეს უკვე ხუმრობას აღარ განეკუთვნება, როცა ახალგაზრდულ გაზეთს შენ, ერის უპირველესი ჭირისუფალი, იმსიგრძე ინტერვიუს მისცემ, ერთ ნომერში რომ ვერ დაეტევა და მომდევნო ნომერში გააგრძელებენ, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ის უფრო „ბევრფერია“, ჭირისუფალ-ინტერვიუერის დასახასიათებლად როცა მომდევნო ნომერშიც წინა დღეს ჩახატულ სურათს ხელმეორედ ჩახატავენ და შენ ამას „თავმდაბლურად“ შეიფერებ კიდევ და მისდამი კეთილად განენყოები...

ჰო, მაგრამ... საკუთარი თავის ასე სახატედ გადაქცევას სტალინიც არ მიმართავდა: ბელადის სურათს ცენტრალური პრესა მხოლოდ დროგამოშვებით ათავსებდა, ყოველდღე მის ბეჭდვას კი ჩვენი „კომუნისტიც“ თითქოს ერიდებოდა...

ო! ერის ჭირისუფალიო, თანაც უპირველესიო... „ეს“ მხცოვანი ჭირისუფალი, როგორც ჩანს, ჩვენს უთქმელადაც მიიჩნევს თავის თავს უპირველესად, თორემ ასე კატეგორიულად და ასე გაკვირვებით ამას სხვების გასაგონად მაინც არ იტყოდა:

— როგორ, მე და ჩემი შოფერი ამ ქვეყანას ერთი „ფორთოჩიდან“ უნდა ვუყურებდეთ?!

კი, მაგრამ... თუ შენ, როგორც სიტყვაკაზმული მწერლობის ოსტატი, მართლაც შენი ერის, შენი ხალხის, შენი სამშობლოს ჭირისუფალი ბრძანდები, მაშინ რატომ შენც და შენი შოფერიც ერთნაირად არ უნდა უყურებდეთ – ამ შემთხვევაში ყოველდღიური ცხოვრება იგულისხმება – ამ ქვეყანას?! მით უმეტეს, რომ შენ არა მარტო ერის ჭირისუფალი ხარ, ამავე დროს მისი დეპუტატიც ბრძანდები... ოქტომბრის რევოლუცია ხომ იმიტომ მოახდინეს, რომ ამ ქვეყნისათვის ჩვენ ყველას ერთი, საერთო, კრიალა სარკმლიდან გვეყურებინა?! დეპუტატი ხალხის მსახურიაო, არაერთხელ გაგვიგონია... თქვენი „ფორთოჩის“ მიხედვით კი, ბატონო, თუ კაცი იმსჯელებს, უფრო ხალხია დეპუტატის მსახური...

ნ.ვ. გოგოლი რეგულარულად, თანაც უსახელოდ, ინკოგნიტოდ, უგზავნიდა ხოლმე ფულად დახმარებას პეტერბურგის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტობას... და ამას იგი იმიტომ კი არ შვრებოდა, რომ სიმდიდრისგან დულდა და გადმოდულდა... როცა გარდაიცვალა, მის ბინაში ვერც ფული იპოვეს და ვერც საგარეო ტანსაცმელი: კუბოში იმ გაცვეთილ სერთუკში ჩაასვენეს, რომელსაც ყოველდღე იცვამდე...

ამერიკელმა „ერის ჭირისუფალმა“ ჯონ სტეინბეკმა თავისი რომანის — „მრისხანების მტევნებისათვის“ მინიჭებული პულიტცერის პრემია, გაჭირვებისას ხელი რომ გაემართა, მთლიანად გადასცა ერთ თავის ღარიბ მეგობარს...

ფრანგი ჟან-პოლ სარტრი თავის ჰონორარებს მთლად როდი ღებულობდა, — მხოლოდ მის მცირე ნაწილს, თანაც არა ერთბაშად — ყოველთვიურად: მას არ უნდოდა, რაიმე განსხვავება ყოფილიყო მასსა და უბრალო ფრანგ მოსამსახურეს, ჩვეულებრივი ჯამაგირის შემყურეს შორის...

(ცოტა უცნაურიც კია, „დამპალ“ კაპიტალისტურ სამყაროში, როგორც ამას ჩვენი საინფორმაციო ორგანოები გვაუწყებენ ხოლმე, ადამიანი ადამიანისთვის მგელია და ეს მგლები ერთმანეთს ცოცხლივ, შეუმწვარ-მოუხარშავადაც ჭამენო, ეს სარტრი კი არ უკადრისობდა, რომ მასაც და მის შოფერსაც ამ ქვეყნისთვის ერთი „ფორთოჩიდან“ ეცქირათ... თუმცა არა! მწერალსა და მოაზროვნე სარტრს საკუთარი შოფერი არც არასოდეს ჰყოლია).

...არა, ეს ყველა ჩვენს ხუთას ჭირისუფალს არ ეხება, მაგრამ მათგან ოცს, ოცდაათს კი.... აი, ვისი წიგნები აქ და ბევრ სხვაგანაც დასტობით რომ გამოდის, ვისი პიესებიც ათობით თეატრებში იდგმება აქაც და ბევრ სხვაგანაც, ვინც ჰონორარისა და ჯამაგირის გარდა „ხალხის სამსახურისთვის“ იღებს იმდენ თანხას, სარტრი რომ კმარობდა მთელი თვის მანძილზე. ჰოდა, ჩვენ კი რამ შეგვიკრა კრიჭა ისე, რომ ჩვენს მშობლიურ სოფელში მაინც მთელ ჩვენს სიცოცხლეში თუნდაც ერთი პატარა წყარო ამოვაჩუხჩუხოთ?... ჩვენ ხომ ერის უპირველესი მანტიამოსხმული მოჭირნახულენი ვართ, რომლებიც...მმ... პირადულზე მაღლა ყოველთვის თურმე საზოგადოებრივ საზრუნავს ვაყენებთ!.. ანდა... საწერად შემართული ხელი განა ვითომ შეგვახმება, თუკი ვინმე შვილებიან ღარიბს ამ ხელს შევაშველებთ და ფეხზე წამოვაყენებთ?!

ეგებ ბრძანოთ, სად არიან ჩვენს გალაღებულ ქვეყანაში ღარიბები, ხელმოკლე ოჯახებიო...

ამას წინათ ხარაგოულის რაიონის სოფელ ფარცხნალში მყოფს, თერჯოლიდან ერთმა გლეხმა მომაკითხა:

— თქვენთან მომასწავლეს, ბატონო... მითხრეს, მრავალშვილიანობის თაობაზე ისე ადვილად შედის შევარდნაძესთან, როგორც ხაბეიშვილიო... მეც, ბატონო, რვა შვილის მამა გახლავარ და... ძალიან მიჭირს... ოჯახობა ახლა მეცხრეზეა ორსულად და ვეუბნები, წადი, ქალო, რაიონში, მოიშალე მუცელი... რა იცი, შეიძლება ინამუსონ და ფული არ გამოგვართვან-მეთქი...

...არა, მას ჩემთვის არც სააბორტე ფული უთხოვია და არც... საერთოდ, ჩემს გზაზე ჯერ არ შემხვედრია ისეთი მრავალშვილიანი, ფული რომ ეთხოვოს ანდა თუნდაც ქარაგმულად არაკი ჩამოეგდოს...

ჩემმა თერჯოლელმა სტუმარმა ეს კი მითხრა, რა ხანია, ამდენი ამბავია ატეხილი ქართველების გამრავლებაზე, მე კი სოფლის მთავრობა ყურადღებას არაფერს მაქცევსო...

არ დავმალავ: მიუხედავად იმისა, ჩემამდე რომ მოსულიყო, მან საკმაოდ დიდი გზა გამოიარა და თან მოვიდა დიდი იმედებით, მისი ფიქრით, ასეთ დიდკაცთან, მე მაინც უკვე საუბრის დასაწყისშივე მის იმედებს ცივი ღვინო გადავასხი:

- ჩემო კარგო, თქვენთვის სწორად არ უთქვამთ. მე იმდენად პატარა კაცი ვარ, შევარდნაძე პირისპირ არც ოდესმე მინახავს... წარმოიდგინეთ, არც ტრიბუნაზე მინახავს და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ საზეიმო დემონსტრაციებზე არასოდეს დავდივარ... თუმცა არა, ერთხელ ვიყავი, 37-ში, შიშით შეკპრობილი და მაშინაც გამოვიპარე...

ხაბეიშვილიო... ხაბეიშვილს კი მხოლოდ ერთხელ შევხვდი თეატრის ფოიეში, ქუთაისში, სულ რამდენიმე წუთით...

(ეს ჩემთვის დიდი გასაჭირისას, როცა მისი მეორე მდივნის, ვარდანაშვილის ქალის ფხიზელმა თვალმა და ქუთათური მწერლების ლიდერის, კვიცარიძის შორსმჭვრეტელმა გონებამ ჩემი პიესა „პლატონი“ იდეურად ბინძურ და მანკიერ ნათითხნად მიიჩნიეს და გასინჯვისას მისი მოხსნა მოითხოვეს, ხაბეიშვილმა კი — დაილოცა მისი ოჯახი! — მაინც დართო ნება, ეჩვენებინათ, რითიც, სხვათა შორის, საბჭოთა ხელისუფლებას მემილიარდე მიკრონითაც საძირკველი არ შერყევია არც თვით ქუთაისში და არც მაგადანზე!)

გამომშვიდობებისას ჩემს მრავალშვილიან სტუმარს სიტყვა ჩამოვართვი, რომ მისი მეუღლე არავითარ შემთხვევაში მუცელს არ მოიშლიდა და მეცხრეს მეთესაც მოაყოლებდა...

ერთი კვირის შემდეგ კი, რაკი გულმა არ მომითმინა, დაუპატიჟებლად ვენვიე სოფელში და... მართლაც რა ნახეს ჩემმა უამრავი ავისა და გულშემზარავი ამბის არაერთგზის მნახველმა

თვალემა: პერუს ყველაზე მიყრუებულ სოფელში ნითელკანიანი ინდიელიც არ იცხოვრებს ასე...

მე ამ სურათს არვის, მათ შორის ჩვენი ერის უპირველეს ჭირისუფალთაც, არ ავუნერ-და-ვუხატავ, ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო და თუ ნახავენ, მაშინ... მმმ... მაშინ შეიძლება მთავრობასთან დაახლოებულმა გავლენიანმა ადამიანის სულის ინჟინრებმა, თუ თავად სინდისი არ შეაწუხებთ, რაიკომის მდივანი სიტყვიერად მაინც შეანამუსონ... მე ეს პირადად ვცადე კიდეც, როგორც ადრინდელ მდივანზე (ა. ბურჯანაძე), ისე დღევანდელზე (რ. მხეიძე), მაგრამ... როგორც რუსები იტყვიან, Ноль внимания, რაც, სხვათა შორის, სულაც არ გამკვირვებია: კვლავ, როგორც რუსები იტყვიან, Это у нас в порядке вещей, რაკი ანგარიშგასანევი მანტიით არა ხარ კაცი შემოსილი...

(ყოველი შემთხვევისთვის ამ ქართველი რვაშვილიანი „ინდიელების“ მისამართს განვდით: თერჯოლის რაიონი, სოფელი ქვემო ალისუბანი, ციური და ოთარ ჯაბიძეები.

მისვლისას, შეულობავ ეზოში შეიძლება ქათმებიც შემოგეგებონ და ინდაურებიც კი, მაგრამ ეს მათ უფრო გლახურ სიბეჯითეში ჩამოართვით, ვიდრე შეძლებულებაში... ხომ გახსოვთ, გოგია უიშვილმა საახალწლოდ გოჭიც დაკლა და გომიჯებიც გამოაცხო, მაგრამ იგი ამით დავით დროიძეს კეთილდღეობით მაინც ვერ გაუტოლდებოდა).

მოდით, ახლა, ძვირფასო მკითხველო, ამ ჭირისუფლობას და ჭირისუფლებს საერთოდ მოვეშვათ და გადავიდეთ... თუმცა... არც ამის უთქმელობა ივარგებდა: ჩვენისთანა პატარა ერისათვის ხუთასი მწერალი-„ჭირისუფალი“ ერთობ ბევრი ხომ არ არის?!

ამას წინათ ერთი ქართველი გერმანისტი ზედაპირული შთაბეჭდილების მსხვერპლად სახავდა და ერთგვარი საყვედურით წერდა დასავლეთგერმანულ მწერალ ჰაგელშტანგეზე, რომელმაც რალაც სამი დღე დაჰყო საქართველოში და...

ქართველები ბევრს ჭამენ და სვამენო (ვითომ ტყუილია?).

ღვინის დაძალება იციანო (ვითომ ლალატობს ჭეშმარიტებას?).

ცოტა არ იყოს, ბაქიები არიანო (ვითომ დიდად აზვიადებს?).

და რაც ჩვენთვის უფრო გულსატკენია,

მწერლები, რომლებიც აეროსადგურში დაგვხვდნენ, მაინცდამაინც მწერლებს არ ჰგავდნენო...

— ო-ო, ეს უკვე ისეთი ცილისწამებაა, რისთვისაც ეს ბატონი რუდოლფ ჰაგელშტანგე, ლიერიკოსი და პროზაიკოსი, ნამდვილად ღირსია იმისა, რომ ჩვენმა დიდმა, თანამდებობიანმა მწერლებმა, აეროპორტში რომ შეხვდნენ მას, ასეთი გაუგონარი დამცირებისთვის დუელში გამოიწვიონ და თბილისში დამზადებული ხანჯლის ფორმის, გამხმარი პასტით გატენილი კალამი, არც აცივონ, არც აცხელონ და... პირდაპირ ჩხუტონ ზედ ჭიპში!

ისე, კაცმა რომ თქვას, თუკი ჩვენმა პირველმა ოცეულმა, რჩეულმა მწერლებმა მასზე ასეთი უღიმღამო, უბადრუკი შთაბეჭდილება დატოვეს, მაშინ ყველა ჩვენ, დანარჩენი 480 მწერალი დასახვედრად აეროდრომზე რომ გავმწკრივებულიყავით, ჰაგელშტანგე ვითომ არ იტყოდა, ვინ არიან ეს ნაყარ-ნუყარა ღვთის გლახებო?!

ერთხელ, საკმაოდ დიდი ხნის წინათ, მწერალთა ერთ-ერთი საკავშირო ყრილობის წინ, ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით 30 კაცი და ქალი შეინყალეს და გააოფიციალეს მწერლებად; ეს იმ დროს უფრო იმიტომ, აქაოდა, რაც მეტი წევრი გვეყოლება დიდებ-მოზრდილ-მომცრო და ნამღევა-პატარებიდან, ზოგიც მავედრებელ-მახვეწრებიდან, ზოგიც კი აგრესორ-მოჩხუბრებიდან, მით მეტი დელეგატი ნავალთ მოსკოვსო...

ერთხანობას ქართულ ლიტერატურაში... ო-ო, არა შემოქმედების სფეროში, სადიდკაცო-საკომანდო სარბიელზე მნიშვნელოვანი პოსტების დაკავების მსურველთა იერიში იმდენად მძაფრი და ძლიერი იყო, რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჟავანაძე იძულებული იყო, ისევ “გადმომდგარიყო” და სამწერლო ფრონტზე ძალთა დისლოკაცია მოეხდინა, უკან ორგანიზებულად დაეხია და კომპრომისზე წასულიყო: მწერალთა კავშირში... 12 (თორმეტი) მდივანი დაენიშნა – აერჩიათ!

(ახლა ექვსია!!! სხვათა შორის, როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, ლილიპუტიაში, რომელიც საქართველოს არც მოსახლეობის რიცხვით და არც ტერიტორიით აღემატება, მწერალთა კავშირში მხოლოდ ორად ორი უჯამაგირო ლილიპუტი-მდივანი ჰყოლიათ).

ახლა ესეც ვიკითხოთ, მომადლიერების ასეთი პოლიტიკა ზიანს ხომ არ აყენებს ჯერ, კერძოდ, მწერლის სულს და მერე, საერთოდ, მთელ მწერლობას? მის პრესტიჟს ხალხის თვალში?!

აგერ ახლა უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე წერდა, ლიტერატურული პროდუქციის სიუხვით, უცხოეთის მწერლებთან შედარებით, ჩვენ უბრალოდ უსაქმურებად ჩავითვლებითო.

როცა იგი ამას ამბობდა, ეჭვი არ არის, მან იცოდა, 36 წლის ამერიკელი მწერალი კინგ სტივენი უკვე ათამდე რომანის ავტორია, ოღონდ ეს კი არ ვიცი, იცოდა თუ არა, რომ, მაგალითად, ჩვენი მხცოვანი მწერლის, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მუდამ დალხინებული, ახლა უკვე ოთხმოც წელს მიტანებული კონსტანტინე ლორთქიფანიძის მთელი ნაშემოქმედარი, აჰა, ძლივძლივობით ოთხიოდე ტომს თუ მიაღწევს მაშინ, როცა მუდამ დევნილ-დაუღბინებელმა, 56 წლის ასაკში სიცოცხლემოთავებულმა მიხეილ ჯავახიშვილმა სამწერლო მოღვაწეობის სულ რაღაც 15 წლის მანძილზე ათამდე ტომი დაგვიტოვა და რომ დაეცლიათ, 80 წლამდე ესუნთქა საბჭოთა ჰაერი (ეს გამოთქმა პაოლო იაშვილს ეკუთვნის, იგი თქმული იყო მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე 1934 წელს), ვინ იცის, იმ ათს კიდევ რამდენ ერთს მიუმატებდა...

თქვენ, დაკვირვებულო მკითხველო, შეიძლება ბრძანოთ, რაოდენობა – ჰო, მაგრამ... ხარისხი... ხარისხიო...

ვინ უარყოფს, ერთი „დონ კიხოტი“ სულ იყიდის ორასტომიან, დიდად ნიჭიერ ჟორჟ სიმენონს და ამდენივე ტომიან და ასეთივე დიდად ნიჭიერ აგატა კრისტის!

ერთი „მერანი“ სულ იყიდის ჩვენი საუკუნის ბევრი ქართველი პოეტის თუნდაც ფუთობით ლექსებს!

მწერალი, ცხადია, ფასდება მის მიერ შექმნილი სახეებით და თუ ეს ასეა, არა მგონია, ბარნაბა საგანელიძე ანდა მექი ვაშაკიძე ტოლს დაუდებენ არსენა მარაბდელს, ჯაყოს, კვაჭის, თეიმურაზ ხევისთავს, აბდულას, ჩანჩურას, გივი შადურს...

ვინ არ იცის, რომ საქართველოში ხუთასი მწერლიდან რამდენიმე ათეული თუ ამოირჩევა, რომელთაც ნამდვილი მწერალი შეიძლება ეწოდოს...

და რარიგ დასანანია, როცა ჭეშმარიტი მწერლის დრო და ნიჭი იხარჯება იმდენად არა შემოქმედებაზე, რამდენადაც თანამდებობა-დიდკაცობის მისაღწევად გაძრომ-გამოძრომაზე, „ჩინ-მენდლების“ მისაღებად სირბილ-ზრუნვაზე, საიუბილეო ვაკხანალიებზე და სხვა ათას წვრილმანზე, რომლებიც მათ მსხვილმანებად და ტკბილი ცხოვრების ბალავრად მიაჩნიათ...

კი, მაგრამ, ტკბილია კი ასეთი ცხოვრება?! დროდადრო მაინც ძილს ხომ არ გვიფრთხობს ხოლმე სინდისი, რომელიც მწერალს, ჩემი აზრით, როგორც ადამიანის სულის ინჟინერს, სხვა პროფესიების ადამიანებთან შედარებით, უფრო მეტი უნდა ჰქონდეს და არასოდეს იგი არ უნდა მიაძინოს? ფუმფულა ბალიში ხომ უდარდელი ხვრინვის პირველი მეგობარია?!

ჩემს ამ ნაწერში რაკი ჩვენი ცხოვრების უფრო უარყოფით მხარეებზე მაქვს კალამი გამახვილებული, ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ მე იმასაც ვიტყვი, რომ საქართველოში მარტო მწერლობით ვერ იცხოვრებ, ასე ვთქვათ, წმინდა მწერლობით, ესე იგი უსავარძლოდ-უთანამდებობოდ, უსამსახუროდ..

რასაკვირველია, არა ყველა ის ხუთასი მწერალი და „მწერალი“, მე მხედველობაში მყავს მხოლოდ კარგი პოეტი, კარგი პროზაიკოსი, კარგი დრამატურგი (ცხადია, თუ პიესებს უდგამენ)... ეს კია, მტრების შეძენით შეშინებულ კრიტიკოსს ცოტა კი გაუჭირდება, მაგრამ... ჰონორარის მაქსიმუმს დაუმსახურებელი ქება-დიდებას ნიაღვარშიც ხომ იძლევიან!

ვის არ ახსოვს, როგორ ჩიოდა პარიზიდან ეგნატე ნინოშვილი, რა ნაციაა ის ნაცია, რომლის მწერალიც შვიდკაპიკიან პორციას ჭამსო...

ახლა კი... ჩემი ახლო ნათესავი ქალი, ეკონომისტი-ფინანსისტი, ერთ-ერთი გამომცემლობის უმნიველო მუშაკი, როგორც გაავებული ზღვა ნაპირის დამცველ ვეებერეთელა ბლოკს ეხეთქება ხოლმე, ისე ეხეთქება მისი გული, როცა... შოთა რუსთაველსაც უნდა „მისცეს“ 16-მარცვლოვან სტრიქონში ორი მანეთი და „ამასაც“ - ორი მანეთი დატეხილი ლექსის ორასოიან „და“-ში!..

მაშინ, როცა სულაც არ იყო დღევანდელივით ამდენი წყარო ლიტერატურული ნაღვანის ფულადობრივი ანაზღაურებისა (კინო, ტელევიზია, რადიო; უთვალავი ჟურნალ-გაზეთი, მრავალი კონკურსი და ზოგი რამ სხვაც), მხოლოდ ლიტერატურული შრომით ირჩენდნენ თავს მიხეილ ჯავახიშვილი და გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი და ტიცციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე და ლეო ქიაჩელი... გალაკტიონ ტაბიძე (ცოტა ხანს), კონსტანტინე გამსახურდია (ესეც ცოტა

ხანს) და ნიკო ლორთქიფანიძე კი მასწავლებლობდნენ, რისთვისაც ისინი ახლაც კი, დიდი ხნის მიცვლილნი, მონინებით შუბლზე მთხვევის ღირსნი არიან, აკი მათი საზრუნავი მოზარდი თაობის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდა იყო, სამშობლოსადმი არავაჭრული, არაგამორჩენითი სიყვარულის გაღვივება-განმტკიცებას ცდილობდნენ.

ივანოვი, როგორც იცით, ყველაზე უფრო გავრცელებული გვარია რუსეთში. არიან იაკუტი ივანოვებიც, ჩუქჩი ივანოვებიც. ამ შემთხვევაში მე წმინდა რუს ივანოვებზე მოგახსენებთ... ასეთი გვარის მწერალი კი, საკავშირო მწერალთა კავშირის ცნობარით თუ ვიხელმძღვანელებთ, რუსეთში სულ ხუთიც არ დაითვლება, საქართველოში კი ერთი გვარის ხუთ მწერალს, მარტო მთიდან თბილისში „შემოხიზნულთ“, სულ იოლადა ჩამოთვლით.

ჰოდა, ახლა ესეც ვიკითხოთ, ამ ხუთიდან, საქმეზე რომ მიდგეს, ერთი მაინც კი წავა თავის მშობლიურ მხარეში ნორჩი ქართველების აღმზრდელად, მით უფრო ამჟამად, როცა სკოლაში მამაკაცი მასწავლებელი ჟანგბადივით გვჭირდება? ანდა იმ ხუთასი წევრ-მწერლიდან, ბევრიც რომ ეხვეწო, ერთი მაინც კი წავა თუნდაც თავის სოფელში, რათა დათესოს მოზარდ თაობაში ის, „რაც ერთხელ სულს დააჩნდების“?!

საამისოდ, მერწმუნეთ, ერთი უბრალო ექსპერიმენტის ჩატარებაც არა ღირს, არ წავა არავინ! არც პარტიული ინტერნაციონალისტი, არც უპარტიო პატრიოტი!

სამაგიეროდ...

ო, რარიგ გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ერთი მართლაც ცნობილი მწერალი არა მხოლოდ საქართველოში, ჯანმრთელობის მხრივ არცთუ სულ სტამბოლის კაჟივით ჩამოკვეთილი, თანაც ხნოვანებით ცაიტნოტში მყოფი და, რაც მთავარია, მატერიალურ-ფინანსურად ორივე ფეხზე ასწლოვან მუხასავით მდგომი, ჩამდგარა თურმე, წინათ რომ იტყოდნენ, „კაზიონი“, სახელმწიფო სამსახურში, თანაც ისეთში, რომლის გაძლოლა (აკი სხვებიც უძღვებოდნენ მას ათეული წლების მანძილზე!) საშუალო თავის მქონესაც იოლადა შეუძლია: მართალია, ასეთი თავები თბილისის ქუჩებში ტროლეიბუსის ნახმარი ბილეთებივით როდი ყრია, მაგრამ რაიკომებში... ო-ო, ისინი თავსაყრელად მოინახებინ.

საქმე ის არის, რომ ჩვენს დროში თუ დიდჯამაგირიან, დიდმანქანიან, დიდკაბინეტიან, შენს თვალებში შემომჩერე ბევრხელქვეითიან სავარძლებში პატარაზე დიდი ანდა ამაზე უფრო მოზრდილი შემოქმედნი სხედან, ეს... საზოგადოებრივ მოღვაწეობად საღდება!

კი, მაგრამ...

საზოგადო მოღვაწე საზოგადოებას კისერზე უნდა აწვეს თუ თავისი კისერი საზოგადოების უსასყიდლო უღელში უნდა ჰქონდეს გადებული?!

ჰოდა, ასეთ ამბებს უჩემკომენტაროდაც უკვე კარგად და უკვე დიდი ხნითაც შეჩვეულო მკითხველო, ხომ არ გამინყრებით, თუ ერთხელ კიდევ მოგაგონებთ ფილოსოფოს პლატონს, რომლის ეროვნებამ ქართული გაამდიდრა მშვენიერი სიტყვებით – ბრძენი, სიბრძნე, ბრძნული:

საზოგადოებაში იფურჩქნება ის, რასაც საზოგადოება თავად ნერგავსო... ნერგავსო, ნერგავსო... ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა თ ვ ი თ ო ნ ნ ე რ გ ა ვ ს ო ...

თბილისის ერთ-ერთი ბიბლიოთეკის თანამშრომელი, ხალასი ინტელიგენტი, რომელიც თავისი საქმისა და ადამიანებისადმი სიყვარულით, დღევანდელი თვალსაზრისით, ჩამორჩენილ ქალად რომ შეიძლება მივიჩნიოთ, ზეცას შესთხოვს ხოლმე:

— ღმერთო, დაიფარე ჩემი შვილები ქონებისა და თანამდებობისაგან! ესენი გვიკარგავენ ჩვენ ადამიანურ სახეს!..

11 თებერვალი  
1984 წელი

კ.პ.



**რა ღირს დაბადება და სიკვდილი თბილისში?**  
**„შავზე შავი წიგნი“, „განათლება“, 1996 წელი გვ. 124-134.**

ო-ო, ძალიან ძვირი, ძალიან ძვირი (ისე, როგორც მთელ საქართველოში!).

ერთმა ჩემმა მკითხველმა, ახლებურად მედიცინის დას რომ ეძახიან და წინათ – მონყალე-ბის დას (ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში მონყალეება-შებრალება, აბა, რა სახსენებელ-წასახალისებელია, გასაწყლება-შეუბრალებლობა – კი), ერთ დიდ ცხოვრებისეულ შეცდომაში გამომიჭირა:

თქვენ რომ წერთ, ბატონო, ერთ ქალზე, სამასი მანეთი დაუჯდა მშობიარობაო, ფასს რატომ დაუკელით? მე შვილიშვილის დაბადება... ხუთასი მანეთიდან შინ ცხრა მანეთი ძლივს მომყვა... ექიმმა, ჩემი ქალიშვილი მისი მორიგეობის დროს რომ მოლოგინებულყო და ფული ჩემგან თავად აეღო და არა მის შემცვლელ ექიმს, მშობიარობის დასაჩქარებლად რაღაც ნემსიც კი გაუკეთა და როგორც ოჩან ცხენს მათრახს რომ გადაუჭერენ, სალანძღავი სიტყვებით ისე უყვიროდა, გაიჭიფხე, გაიჭიფხე, შე დეგენერატოო...

დიახ!.. ახლად დაბადებული რომ განბანონ, ფული უნდა მისცე, ძუძუს მისაცემად რომ მოგიყვანონ, ამაშიც ფული უნდა მისცე, თუ ტირილი შემოგესმა და შენუხდი, სხვისიც რომ ტიროდეს, შენი ღლაპი ტირისო და... აქაც ფული უნდა იძრო...

ამევსო და გადამევსო ერთხელ მოთმინების ფიალა და საქვეყნოდ შევკვივლე, ესაა უფასო მკურნალობა?! ესაა თქვენი კონსტიტუცია?! ქვეყანა ავაშენოთო... ქვეყანა კი არ ააშენეთ, დაანგრიეთ და დააქციეთ და გაათახსირეთ ხალხი...

ეს ხანდაზმული, თითქოს ყაჩაღანა ქალი როცა შედარებით დამშვიდდა და გონს მოეგო, ძალზე შეშინებულყო, ვაითუ, დამიჭირონო...

ღმერთი, რჯული, სამართალი!... მე ეს პარტიისა და მთავრობის მისამართით არ მითქვამს, მე ეს ამ ციგნების გასაგონად წამომცდა...

თან, თურმე, იმის შიშის ზარიც უსერავდა გონებას, ვაითუ, თეთრ, ქათქათა სამოსელში გახვეულმა ამ რუხმა მგლებმა შვილიშვილი დამინყველონო...

დიახ, საქართველოში ექიმობა, ეს უაღრესად კეთილშობილური, ზნეობრივად სპეტაკი პროფესია, თითქმის ყველაზე უფრო წამხდარ ხელობად გადაიქცა.

ასეთი შედარებისა და კატეგორიული განზოგადებისათვის მედიცინის მსახურნი, ეჭვი არ არის, უთუოდ შემრისხავენ, მაგრამ...

როცა ოპერაციაში მასწავლებელს მისი წამოწაფარი ფულს ააღლეტს, არც ასეთი თქმის მოგერიდება, თუნდაც ასეთები მედიკოსებ-თეთრხალათიანებში ბევრი არც იყოს.

დიახ, როცა ექიმობას არათუ გამდიდრების, „გადამდიდრების“ წყაროდ მიიჩნევენ, მაშინ...

სხვათა შორის, არა ყველა სახის ექიმობას!..

ზესტაფონში ერთმა პატიოსანმა ექიმმა ქალმა (კი, პატიოსნებიც ურევია მათში, ოღონდ... ასში ერთი!) შემომჩივლა, ჩვენ, ხნიერები, უკვე მივდივართ, შემცვლელებს კი ვერავის ვხედავთ — ფთიზიატრებს, რენტგენოლოგებს, თერაპევტებსაც კი... ყველას გული – ჯიბის გზით! – გინეკოლოგობისა და ქირურგობისაკენ მიუწევსო...

მართლაც! ერთმა ჩემმა ნაცნობმა ახალგაზრდა თერაპევტმა მანამ არ მოისვენა, სანამ თავისი საექიმო პროფილი გინეკოლოგობაზე არ გადაახურდავა, დედაჩემის დინასტია მინდა, გავაგრძელოო...

ჰო, მაგრამ, ასეთი რა სასახელოა და რა სადინასტიაო აბორტმახერობა?

ესეც არის, სახელს, პატივისცემას სასიქადულოს, ვილა დაეძებს? „რას ამოგვიჩემეთ, ბატონო, რას გვემართლებით, ფულს ძალათი ხომ არ ვართმევთო...“

ფულს ხელისძალათი ბანდიტები ართმევენ და ისიც დიდფულიანებს, ამათთვის კი, თეთრ სამოსელს ამოფარებული შავსინდისიანებისთვის, გარჩევა არ არის, შენ, მშობიარე, შვიდთუმ-



ნიანი დამლაგებელი ხარ თუ ყოველმხრივ გალაღებული, პირთამდე სავსე გასტრონომის გამბე...

„ძალათიო...“

სახაფანგე გარემოცვაში თუ ჩამაგდებ, გამოძალვა ბევრით როდი განსხვავდება წართმევისაგან.

ეს ამხანაგი, რომელსაც, სამსახურის მიხედვით, ქურდების დაჭერა ევალება, რაღაც რვა თვის მანძილზე ორჯერ თვითონვე გაქურდეს, პირველად ლამით: წაიღეს თორმეტი ოქროს ბეჭედი (ეს – დაზარალებულთა სიტყვით, დამზარალებლებმა კი ნადავლი, ალბათ, უფრო ზუსტად აღწერს)... და როცა მეორედ „განმინდეს“ დღისით, დიასახლისს ეთქვა, რაღა აზრი აქვს, დღე იქნება თუ ღამე, ანდა კარის ჩაკეტვას, ან სულ ღიად დავტოვებო...

სხვათა შორის, ამ ქალბატონის ერთშვილიან-დედისერთა ქალიშვილს, მუსიკის მასწავლებელს, „შავი წიგნი“ წაეკითხა და მუჟავე გუნებაზე დამდგარიყო, არ მოსწონებოდა...

აბა, ამისთვის ვის რა დაეძრახება, ყველას ერთნაირად შეიძლება ვერც „ვეფხისტყაოსანმა“ გაუღოს გულისკარი, მაგრამ მე, ალაღად გამოგიტყდებით, ავტორის თავმოყვარეობამ სადღაც მაინც გამკენწლა და დავინტერესდი, კონკრეტულად, რა არ მოეწონა?

საერთოდ არ მომეწონაო; აი, მაგალითად, ბევრი მეორე შვილსაც რომ არ ყოლიობს, ამაში ქალი როდია ყოველთვის დამნაშავეო; ერთ ჩემს მეგობარს, „ამის და ამის“ რძალს, ძალიანაც უნდა, ჰყავდეს მეორე, მაგრამ ქმარი ნებას არ აძლევს და არც მამამთილი ურჩევსო...

ჰმ, არც მამამთილი ურჩევსო...

მერედა, მკითხველო, რომ იცოდეთ, რა მამამთილი, ვინ მამამთილი!

არა, შვილი სულ მუდამ, აბა, რას გაგიგონებს, მით უფრო შენგანვე გამეცნიერებული შვილი, მაგრამ შენ მაინც... როგორც მამამ, როგორც მამამთილმაც...

ვაი, სირცხვილო!..

ვაგლახ, საქვეყნოდ რომ არ გამომაქვს მისი ვინაობა და ტიტულები, „ამას და ამას“ რომ ამოვაფარე... გვარი მისი რომ შემოგესმათ, ეჭვი არ მეპარება, გულს შემოგეყრებათ და იტყვით, როგორ, ეს ხომ ის დიდი ერისკაცია, ის დიდი მამულიშვილი, ტრიბუნიდან და პრესაშიც რომ გვიქადაგებს ხოლმე უმნიკვლო ზნეობაზე, ერის შეუბღალავ მამაშვილობაზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე, ის, ვისაც ჩვენი რესპუბლიკის პირველი დიდებული, ამხანაგი შევარდნაძე, ღამის პირველ საათზეც არ ეტყვის მიღებაზე უარსო...

დიახაც რომ, დიახაც რომ ის გახლავთ!

ო, გმადლობ შენ, უფალო, ჩემი ერთგული ინფორმატორის მეცადინეობით ასე რომ გამანათლეს, მაგრამ ხომ იცი, „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი“ — ეგებ ამ საიდუმლოსაც ამიხადო საბურველი: მაინც ასეთი აგრესიული პოზიცია რატომ დაიჭირა ჩემს ნაშრომში გამოთქმული სევდიანი აზრების მიმართ უკვე ორმოც წელს მიტანებულმა, ღვთაებრივი მუსიკის, მუ-სი-კის, ერთშვილიანმა მასწავლებელმა?

...ო-ო, ბოლოს და ბოლოს, ღმერთის ნყალობით და ჯვარედინი გამოკითხვით ესეც გაირკვა: ამ ერთშვილიანის დედისერთა დედის – ესეც ასევე! – დედისერთა დედა, თურმე, გინეკოლოგი ყოფილა, ანუ ჩვენებურად... მმ...

სავარაუდებელია, რომ ქურდებმა, ვიდრე „საქმეზე“ ნასვლას დააპირებდნენ, ამ ვითარებას ზედმინევიანთ აუღეს ალღო და არ დაიზარეს, შეჭიდებოდნენ აბორტმასხერის ცხრასაკლიტურიან მუხის კარს და არა „შავი წიგნის“ დამწერის ფიცრულისას, რომელსაც ღამის საფოსტო ყუთის გასაღებიც მიუდგეს...

დედაჩემმა ცხრა შვილი შობა, მისი „გინეკოლოგი“ წელში ორად მოხრილი მელანო გახლდათ; წერა-კითხვის ამ გაუგებელ ქალს ცხრიდან ერთიც არ შემოჰკვდომია, თუმცა ხელთ არც სტერილური მაშები ეჭირა, არც ტკივილის გამაყუჩებელი პრეპარატები გააჩნდა და არც მელოგინეს — „აჩუ, ცხენოო“, — უკიოდა... ერთი თუნგი თბილი ნყალი, სპილენძის ტაშტი, რომელიც მეტწილად ფაცხა-ქოხებში სოხანეზე იდო (მისთვის, ვინც არ იცის: სოხანე დატკეპნილი მიწის იატაკია)...

სხვათა შორის, სწორედ ამ მელანომ უბებიავა შუა ცეცხლის მახლობლად სამუელ (ნოე) ბუაჩიძეს და კიდევ ამის ათ და-ძმას... ამათ დედას ალვასი ერქვა, ეს სახელი ღირსია დახსომებისა თუნდაც იმიტომ, რომ მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი სულაც არ ჰგავდა რომელიც გნებავთ დღევანდელ ოჯახს, სადაც დიდიან-პატარაიანად ყველა კომუნისტია: სამუელი მგზნებარე ბოლ-

შევიკი კი იყო, რომელიც ლენინს პირადად იცნობდა და მიმოწერაც ჰქონდა მასთან, მაგრამ მან თავისი ბოლშევიკური ცეცხლით მაინც ვერ აღანთო ვერც ერთი თავისი ძმა: ზოგი მათგანი მენ-შევიკი დადგა, ზოგი – ნაციონალ-დემოკრატი, ზოგიც – ფედერალისტი, ერთიც – არარსებული გლეხთა პარტიის მინის მუშა, ერთიც – შავი ქვის მრეწველი (ამათგან ყველაზე უმცროსმა, დავითმა, 1921 წელს კოჯორთან, საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად თავი შეაკლა მომთაბარე ბოლშევიკებს)... რაც მთავარია, ყველა ისინი პატიოსნები იყვნენ, თუკი, რა თქმა უნდა, პატიოსნებად ჩათვლებიან არაკომუნისტური და, მაშასადამე, ანტიხალხური პარტიის წევრები...

...დიახ, უნიგნურ ბებიაქალ მელანოს თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მარტო ჩემს სოფელში შვიდასამდე ბავშვი ეყოლებოდა ჭიპშეჭრილი, რომლებიდანაც, ვიმეორებ, ერთიც არ მოხუთვია, რადგან ყველას თავისი გულის სითბოსა და სიყვარულს ანათლავდა და სულაც არ ფიქრობდა, მელოგინეს რას ააღლევტ-აართმევდა... მისი გასამრჯელო ახალშობილი ქართველის ომახიანი ტირილი იყო.

არა, ომახიანად ახლაც ტირიან...

როცა გალის სამშობიაროში ვირთხებმა ჩვილი დაკბინეს, მასთან ერთად დედაც ატირდა „ომახიანად...“

ახმეტის სამშობიაროში ოთხი ახალშობილი თითქმის ერთდროულად ისე გამოეთხოვა ამქვეყნიურ სამოთხეს, ჯერ თვალებიც არ ჰქონდათ რიგიანად გახელილი. მიზეზი? სრული უგულისყურობა თანამედროვე საგინეკოლოგიო იარაღით აღჭურვილი მედიკოსების მხრივ...

შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ამათ ჯიბეებამდე ახალშობილთა ხელმოკლე დედებს ხელი ვერ მიუწვდათ...

ბარემ ესეც ვიცოდეთ, რათა გული ოდნავ მაინც დავიმშვიდოთ: თბილისთან შედარებით რაიონში მშობიარობა (ოღონდ არა ტყუბისა!) უფრო იაფი ჯდება: იქ მომხარებელ-მახარობლები - „ბიჭი გყავს, ბიჭი!“ „...გოგო არ ჯობია ბიჭს?!“ - უფრო ცოტანი არიან და, მაშასადამე, ისე ხშირად არ უხდება გაბედნიერებულ მამას, ჯიბეები გადმოაპირქვავოს...

რატომ შინ არ იმშობიარებთ-მეთქი, ვკითხე ერთხელ ამ არსად გამოკრული პრეისკურანტით ერთ შენუხებულ ახალგაზრდა ქალს, ორსულობას რომ გაურბის, რადგან აბორტი უფრო იაფი უჯდება. — ვინ იძლევა ამის უფლებას, თუ შემთხვევით მოულოდნელად შინ მოილოგინე, სულ ერთია, მაინც რაიონში უნდა წახვიდე და დანვე მათთან შენი თოთოიანითო...

სწავლა სიბერემდეო — მე ეს აქამდე არ ვიცოდი.

ეს კი ვიცოდი: ევროპა-ამერიკაში პოლიციელებს სპეციალურად ასწავლიან, როგორ აღმოუჩინონ საექიმო დახმარება მშობიარეს ექსტრემალურ სიტუაციაში...

საინტერესოა, ასეთი სწავლება ჩვენშიც რომ იყოს, მილიციელები მომკვივან მშობიარეს ქალადს, ლენინი რომ ახატია, „მანამდე“ მოსთხოვდნენ თუ „მის“ მერე?

...აი, მიიცვალა ადამიანი, და თუ ის... არა, მას უკვე აღარ ძალუძს, „ჩოთქს“ ხელი ჩამოჭკრას და თვითონვე იანგარიშოს თავისივე გასვენების ხარჯები...

და თუ მისი ჭირისუფალნი არასმქონე, ღარიბნი არიან...

ო-ო, ეს სიტყვები ნაბეჭდ ლიტერატურაში, სცენაზე და რადიო-ტელევიზიაში აღარ იხმარება, მათ მკაცრი ამკრძალავი ტაბუ ადევთ, მაგრამ რას იზამ, ჩვენს სინამდვილეში ასეთები...მმ... „აქა-იქ“ კიდევ მოინახებიან, და ვისაც ამის არ სჯერა და ამას ცილისწამებად ჩამითვლის, გაისარჯოს და ხანდახან მაინც შეიხედოს ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში – რამსიგრძე რიგი დგება ხოლმე იქ ბაზართან შედარებით ბევრად-ბევრად უხარისხო ხილზე და მწვანილეულზე, მაგრამ იმავე ბაზართან შედარებით უფრო იაფზე...

შეიძლება ჩვენმა დაკვირვებულმა, ობიექტურმა სოციოლოგებმა ამ ხალხის რიგში დგომის მოყვარულობით და მისი სიზარმაცით ახსნან, ბაზარში წასვლა ეშორებათო, სადაც არაზარმაცები, სხვათა შორის, ნაირ-ნაირ ხორაგეულს ფასის დაუკითხავად, შეუვაჭრებლად ყიდულობენ და ათავსებენ მანქანების საბარგულებში.

...დიახ, მიიცვალა ადამიანი. თუ მისი მომვლელ-მზრუნველნი მარტო ალალი ლუკმის შემხედვარენი არიან... ო-ო, მერედა, მარტო პატიოსნება ხომ არ გააპატიოსნებს მიცვალებულს? ეს ბალზამირებაო, ეს...

არა, არ ჩამოვთვლი, და არა იმიტომ, რომ გრძელი სია გამოგვივა... იაპონელები შეხვედრი-სას, რომელიმე მათგანს შინ თუნდაც მიცვალებული ესვენოს, ერთმანეთს მაინც ღიმილმორეუ-ლი ესაუბრებიან, - ყველას ისეც უთვალავი დარდი აქვს და კიდევ ჩემი სევდა თავზე რაღას მო-ვახვიოო. ასევე მეც ჩემი მკითხველი შავი საფიქრალით რატომ დავტვირთო, ამას კი ვიტყვი მოკლედ, საბჭოთა ქვეყანაში მინა, მგონი, მხოლოდ სასაფლაოზე იყიდება და მას ერთი სახელ-მნიფო ფასი აქვს; თბილისი, მართალია, როგორც ვიცით, საბჭოთა სახელმწიფოში კი არის, მაგ-რამ საფლავის მინას, სამი არშინი ფართობი რომ სჭირდება, ორნაირი ფასი ადევს — სახელმწი-ფო, რომელიც ფიქტიურია და ფაქტობრივი, - კერძო, რაც ვრცელდება აგრეთვე დამარხვასთან დაკავშირებულ ყოველნაირ სხვა „აქსესუარ-რიტუალებთან“: ეს შოფერს — კუბოს მოტანის-თვისო, ეს მუშებს — კუბოს ბინაში ატანისთვისო, ეს სამარის გაჭრისთვისო, მიცვალებულის სა-მარეში ჩაშვებისთვისო, მისთვის მინის მიყრისთვისო, და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი, რამდე-ნი წვრილმანი გამოხტება ხოლმე, რომლებიც, მათი თვითდამკანონებლების ნება-სურვილით, მსხვილმანად სალდება და გინდა-არ გინდა, ასეთად უნდა იწამო, რამეთუ სხვა გამოსავალი, ბევრიც რომ იხტუნო-ინრიალო, არ არის და არ არის...

ეს მუხის კუბო მაინც რაღას შემოიღეს, რომლის სახელმწიფო ფასი... 350 მანეთია! ვფიქ-რობ, არ გაგიჭირდებათ, წარმოიდგინოთ, რა იქნება მისი მალული ფასი, თუკი იგი მხოლოდ „დახლს ქვემოდან“ იყიდება...

ჰოდა, რაკი იგი საპრესტიჟო სასახლედ ითვლება, ყველა ჩვენგანი, ხელმოკლე და „ხელ-გრძელიც“, აკი ერთიც და მეორეც წამხედურა კუდაბზიკაა, ვცდილობთ, ერთმანეთს არ ჩამოვ-რჩეთ ჩვენი მიცვალებულის პატივის მიგებაში...

ო, ადამიანის სიბრძნე რარიგ იხეიმება, თუ ამ მუხის სასახლეებში მარტო მათ ჩაასვენებ-დნენ, რომელთა გასვენების ხარჯებს ჩვეულებრივ სახელმწიფო კისრულობს ხოლმე და არ იყი-დებოდეს ისინი „კერძო პირებზე“...

გაზეთში გამოცხადებაც დიდ ფინანსურ ტვირთად აწევს მცირეხელფასიან ჭირისუფალს... რა ქნას, არ გამოაცხადოს და... გადაათრიეს, იტყვიანო, გამოაცხადოს და... 40 მანეთი! ეს ზოგი-ერთისთვის ჯამაგირის ერთი მესამედია, ზოგიერთისთვის — მისი ნახევარიც კი...

ცოტა არ იყოს, თითქოს უხერხული ისიც უნდა იყოს, რომ გაზეთ „თბილისში“ ზოგჯერ სა-მოცზე მეტი სამგლოვიარო განცხადებაც კი იბეჭდება, რომლის შემოსავალი — სამოცი გამრავ-ლებული ორმოცზე — 2400 მანეთს აღწევს, მაშინ, როცა იგივე გაზეთის ერთი ნომრის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი საავტორო ჰონორარი 180 მანეთს არ აღემატება.

ეგებ ესეც სიბრძნე იქნებოდა, უფრო ხელმისაწვდომი რომ გახდეს, სამგლოვიარო განცხა-დებას ფასი თუ დააკლდებოდა, მით უმეტეს, რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო კლებულობს განცხადებათა მოცულობა (თუმცა ნებადართულია მოხსენიება გარდა მშობლებისა, მეუღლეე-ბისა, შვილებისა და დები-ძმებისა, აგრეთვე პაპა-ბებიებისა, რძლებისა, სიძეებისა, შვილიშვი-ლებისა, დედამთილ-მამამთილ და სიდედრ-სიმამრისა).

წავიკითხოთ ზოგიერთი მათგანი, რამდენადაც მათში ერთგვარი დემოგრაფიული სურათი თვალსაჩინოდ აირეკლება:

„შვილი მარინე მესხი, ძმა კონსტანტინე ვაჩნაძე იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ეკატერინე დავითის ასული მესხი. დაკრძალვა თბილისში“.

(მიაქციეთ ყურადღება: არც ძმა, არც და, არც ქმარ-შვილი, არც ცოლ-შვილი)...

„დედა ნაზიბროლა, ბებია კატუშა, ბაბუა კარლო მიქანაძეები იუნყებიან, რომ გარდაიცვა-ლა ია (კოკრო) კალანდაძე. დაკრძალვა თბილისში“.

(როგორც ხედავთ, გარდაცვლიათ ერთადერთი შვილი და ერთადერთი შვილიშვილი... დარ-ჩენილთ... ღმერთმა დიდი მხნეობა მისცეთ და დიდხანს, დიდხანს იცოცხლონ, მაგრამ... ოდესმე მაინც... ვილა ეყოლებათ გამს...მმ...).

„და საშა მექანარი, ბიძაშვილი თამარ ასათიანი ოჯახით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ირაკლი ალექსანდრეს ძე მექანარი. დაკრძალვა თბილისში.“

(მეტი არც ძმა, არც და, არც ქმარ-შვილი)...

„შვილი ანიკო, შვილიშვილი გიგი იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ეკატერინე ზაქარიას ასული ასლანიშვილი-მაზმიშვილი. დაკრძალვა სოფ. ყარაღაჯში (კასპის რ.)“.  
(არც დედას, არც შვილიშვილს – არც დები, არც ძმები).

„შვილი მარო, შვილიშვილი ლეილა კეთილაძე იუნყებიან, რომ გარდაიცვალა გაიანე კონსტანტინეს ასული ტერელაძე-გოგაძე, დაკრძალვა გორია-ჯიხაიში (წულუკიძის რ.)

(გთხოვთ, შეადაროთ ქალაქი და სოფელი ერთმანეთს, რაიმე განსხვავებას მათ შორის ალბათ ვერ აღმოაჩენთ).

დიახ, ასეთ კუდმომწვარ განცხადებათა ფასი 40 მანეთია!

...ო-ო, ძვირფასო მკითხველო, ბოლოს და ბოლოს, თქვენთან ერთად მეც, რასაკვირველია, არა იმდენად სამგლოვიარო განცხადების ფასი მანუხებს - ეს შეიძლება სულ მუქთადაც ვაქციოთ, მაგრამ.... ამ ზარდამცემ „კუსტარულ დემოგრაფიას“ რა ვუყოთ, ასე დაუნდობლად და ხმა-მალლა რომ გაჰკივივს ვაზგენების გასახარებელ „Умирающая нация“-ს?!

**ბვინადელი მინანქარი:** ზემოთქმულის დანერიდან ორი წლის შემდეგ აქლემმა ჩოქვით ერთხელ კიდევ მომაკითხა: გარდამეცვალა და-ძმებში ყველაზე უფროსი მარტოხელა და...

სამგლოვიარო განცხადებას თურმე უკვე აღარ ზღუდავენ: მასში ახლა შორეული ნათესავი კი არა, თუ გნებავს, ბერნარდ შოუ და ონორე დე ბალზაკიც მოიხსენიე, ვინ არის დამშლედი, ოღონდ... ყოველ სიტყვა-ხსენებაზე ორ-ორ მანეთს უნდა ჩამოხვიდე...

ზოგიერთი საპრესტიჟოდ მიჩნეული ყვავი-ჩხიკვის მამიდაშვილებიანი განცხადება ორას მანეთამდეც კი ჯდება! (ერთი გაჭიმული სამგლოვიარო განცხადების საფასური – მთელი სამხიარულო გაზეთის საავტორო ჰონორარის ტოლი!).

... და თუმცა ჩემი და, პირობითად თუ ვიტყვით, სპარტანულად გასვენდა - უმუხისკუბოდ, უმუსიკოდ, უგვირგვინოდ, სულ რაღაც 15-კაციანი მოსაგონარი ჭირის პურის თანხლებით, და მაინც, გასვენების ხარჯებმა, თუ მათ საბაზრო ფასებით ვიანგარიშებთ...

ო-ო, ღმერთმა აგარიდოთ ეს აქლემი და ეს ანგარიშიც, გინდ კერძო და გინდ სახელმწიფო პრეისკურანტით, ისე კი, თუ პატივს დამდებთ და მენდობით, რაკი მე უკვე ვიანგარიშე...

ერთობ ძვირი ღირს სიკვდილი თბილისში (ისე, როგორც მთელ საქართველოში)!

მარტო კუბოს, უბრალო კუბოს ღირებულება 131 მანეთია, ჩემისთანა კაცის კაი ერთი თვის პენსია...

და მაინც...

ჭიხვინებენ ცხენები,  
ჩვენ არ მოგვესვენება...  
ქართველები გახლავართ,  
კარგად მოგეხსენებათ.

ღმერთო, შენ გაუნათე  
ერს სიცოცხლის მიზანი  
და უმრავლე ჩვენს მამულს –  
ლეკვნი ალგეთისანი!...

1983 წ.

მთავარეპისკოპოსი თადეოზი  
(იორამაშვილი)



## კვანის ისე, რომორადაც გაკვანისება...

„შავზე შავი წიგნი“, „განათლება“, 1996წ. გვ. 182-186.

*Иностранный язык есть оружие  
в жизненной борьбе.  
К. Маркс*

ახლა ისე, როგორადაც ივანე კერესელიძის „ცისკრის“ ავტორებს სჩვეოდათ, მიემართათ, მეც მათებურად...

ჩემო სულგრძელო მკითხველო, მართალია, კი დაგლალე, მაგრამ მაინც, შენი ზნეკეთილი დასტურით ორიოდ ნაბიჯით უკან დავიხევ, რათა ხელმეორედ დავუბრუნდე და ამით საბოლოოდ მოვათავო კიდეც საუბარი იმ „სადავო მუხლის“ ირგვლივ, რომლის ჩემ მიერ შეფასებამ გულისწყრომა გამოიწვია დალაგებული ჭკუისმქონე „კონსტიტუციონალისტთა“ შორისაც კი.

ასე მაგალითად, ერთმა მათგანმა, ჭეშმარიტად გულმხურვალე პატრიოტმა, მისაყვედურა, თქვენი წიგნის პირველმა ნახევარმა ისე შემძრა, ბარათის მონერა განვიზრახე, მაგრამ შემდეგ, როცა ჩვენი კონსტიტუციის მიღების ამბებს მივადექი, გადავიფიქრე, აკი ყოველივე ის, ჩვენი მხრივ, დიდი ვაჟკაცობა იყო, თქვენ კი ჯეროვნად არ შეაფასეთო.

კი, მაგრამ ახლა ესეც ვიკითხოთ, ამ დიდმა ვაჟკაცობამ გამოიღო განა რაიმე ნაყოფი? დადებითი და ხელშესახები არავითარი, ხიფათი კი დიდზე დიდი იყო.

(გვახსოვდეს, ჩვენში ცრემლსადენი გაზი არც მზადდება და არც იხმარება, და არც „ბროს“ გასაფანტავად წყლის მასხურებელ ავტოცისტერნებს მიმართავენ ხოლმე, და არც პლასტიკური ტყვიებით ტენიან ავტომატებს!).

შეიძლება მითხრან, ამას დრო უნდაო.

დრო კი, მაგრამ... აი, მის მერე ბარემც ოთხი წელიწადი გავიდეს და ეს ხანი თითქოს არცთუ ისე მცირეა, ჰოდა, შეიცვალა კი რაიმე ამ ხნის მანძილზე უკეთესისკენ?

მხოლოდ ერთი მაგალითი, მარტივზე მარტივი: „ჩვენი“ ოსებიც კი იმ დიდი საფათერაკო ამბების შემდეგაც თავიანთ საქმიან და უსაქმო ქალაქებს თბილისში – მათგან სულ რაღაც ასიოდ კილომეტრით დაცილებულ საქართველოს რესპუბლიკის სატახტო ქალაქში! – არათუ ქართულ ენაზე შედგენილს, ბლანკებზეც კი, მხოლოდ ოსურ-რუსულ ენებზე დაბეჭდილ ბლანკებზე გვიგზავნიან და ასე, ამგვარად, როგორც ხედავთ, ჩვენი სახელმწიფო ენა არათუ წითელ ხიდამდე აღმოსავლეთით და ლესელიძემდე დასავლეთით, გორიდან სულ ცოტა მოშორებითაც კი უკვე აღარ „ხელმწიფობს“.

(მინი-ცნობა არა მარტო ტოპონომიკოსების საყურადღებოდ: სამხრეთ ოსეთში ოსურ ენაზე დაბეჭდილ ყველა წიგნზე რცხილნარიდან წარმომდგარი ცხინვალის გვეცხადება როგორც Цхинвал).

ზოგმა წერილობით, ზოგმაც სიტყვიერად არ გაიზიარა ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბევრი არაფერი დანაშაული იქნება, თუკი ჩვენს ბავშვებს აქა-იქ, სპეციალურად, ქართველებისთვის განკუთვნილ რუსულ სკოლაში მივაბარებთ-მეთქი (ოლონდ, მართლაც აქა-იქ, და არა ისე „აქა-იქ“, როგორადაც გახეთქებში წერენ ხოლმე საყოველთაოდ გავრცელებულ სიმახინჯეზე) თანაც იმ პირობით- იქვე აღვნიშნავდი, — თუ ეს არ მოხდება, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში-მეთქი.“

თქვენ კი ამბობთ, „აქა-იქო“, მაგრამ ჩვენი დროის ქართველი „ივანიჩები“ — ისინი კი ათი-ათასობით დაითვლებიან – ამ „აქა-იქს“ ხელებზე დაიხვევენ და, ეს ერთი „აქა-იქ“ მე ვიყო და, ასე, ამგვარად, საბოლოო ანგარიშით ყველას შვილები რუსულ სკოლაში ამოყოფენ თავსო.

მართალი გითხრათ, როცა ამ საკითხს ვეხებოდი, ჩემს სიტყვას მაგიურ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი (რასაკვირველია, არც ახლა ვანიჭებ), თანაც გამჭრიახი და გამგები მშობლები მყავ-

და მხედველობაში, რომლებიც შვილების „აქა-იქ“ რუსულ სკოლაში მიბარებით არც სამშობლოს სიყვარულს გაუნელებენ და არც მშობლიურ ენას დაავინყებინებენ; თვალწინ გასული საუკუნის ჩვენი ცხოვრების ისტორია მეხატებოდა, როცა მრავალმა ქართველმა რუსული აღზრდა-განათლება კი მიიღო, მაგრამ ქართველობის მცირეოდენი ნიშან-წყალიც არ დაუკარგავს.

ახლა სხვა დროაო, მეუბნებიან და ამას, როგორც ჩანს, არ შეიძლება ანგარიში არ გაენიოს. თუმცა ესეც არის, სხვა დრო კია, მაგრამ ამ სხვა დროშიც ყველა მშობელი ერთმანეთის ანაბეჭდად როდი გვევლინება; პარიზში დიდი ხნის წინათ გადახვენილმა ქართველებმა და იქ დაბადებულმა მათმა შვილიშვილებმაც დღესაც საკმაოდ კარგად იციან ქართული, მოსკოვში მცხოვრებ ჩემს ზოგიერთ ნაცნობ, წმინდა ქართულ ოჯახში კი ბევრი ბავშვი ენობრივად გარუსებულია, მაგრამ ამავე დროს იმავე ქალაქში მცხოვრები იოსებ სტალინის შვილიშვილის შვილები – იაშა და ბესიკი – უწუნო ქართულით მეტყველებენ, თუმცა მათმა მამამ, პაპისა და მამის მშობლიური ენა, რაკი სხვა გარემოცვასა და სხვა პირობებში იზრდებოდა, არ იცის.

ასეა თუ ისე, თავზე მეხიც რომ დამატყდეს, მე მაინც ვიტყვი: ურუსულოდ ჩვენ, თუნდაც ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს, ჩიხში ჩაყენებულ მატარებელს დავემსგავსებით, მატარებელი კი მაშინ არის მატარებელი, როცა მოძრაობს, თანაც როცა მიიწევს წინ!

ჰოდა, რაკი მე ვერ მოვნახე, როგორც ირკვევა, სწორი და მოკლე გზა ამ ჩიხიდან ჩვენი თავის გამოსაძვრენად, მონახონ სხვებმა, მხოლოდ არა იმით, რუსულად *квасной патриот*-ებს რომ ეძახიან. აქვე ამასაც დავძენდი: ისინი ვერც მონახავენ.

საკავშირო მასშტაბით ჩვენ დიდი სახელმწიფოებრივი წარსული გვაქვს. დღევანდელი ახალგაზრდობისათვის ეს შორეულზე შორეული ამბავი უბრალო ამბავი როდი გახლავთ, იგი ბევრი რამის მთქმელია: 1923 წლის აპრილში გამართულ რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობის 59 კაცისგან შემდგარ ხელმძღვანელ ორგანოებში არჩეული იყო 6 ქართველი (შესა-დარებლად: სომეხი 1).

(მინი-ცნობა: იმხანად ასეთ სამეთაურო ადგილებზე ადამიანებს ირჩევდნენ არა თანამდებობების მიხედვით, როგორც ახლა, — ირჩევდნენ გონებრივი მონაცემების გათვალისწინებით).

1931 წელს, თებერვალში, ანატოლი ლუნაჩარსკიმ „იზვესტიაში“ პატარა, მაგრამ საგულისხმო აზრებით დახუნძლული სტატია მოათავსა, საქართველომ ჩვენ მოგვცა თანამედროვეობის არა ერთი და ორი გამოჩენილი პიროვნებაო; ვიაჩესლავ მოლოტოვს კი 1937 წლის დასაწყისში, კრემლში ქართული ხელოვნების პირველი დეკადის მონაწილეებთან შეხვედრისას, როცა საქართველოს „ჩვენი დიადი ქვეყნის მარგალიტი“ უწოდა, არა მარტო ჩვენი ქვეყნის იშვიათი კლიმატურ-გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა მხედველობაში, — ხალხიც. აკი თქვა კიდევ, ქართველთა ტალანტები მთელ საბჭოთა კავშირში ბრწყინავენო.

ალბათ, მარტო ობროდი არ დამეთანხმება: ის ტალანტები მოსკოვის ცისკიდურზე რუსულის უცოდნელად ვერ ამობრწყინდებოდნენ...

ახლა კი... ამ ტალანტებს, ცხადია, დროთა განმავლობაში თითქოს უნდა ემატა კიდევ, ნამდვილად კი თითქმის სულ არარაობამდე დავიდა, ჩვენი მეზობელი სომხებისა კი...

ო, ამაზე უკვე არაერთხელ მოგახსენე, ჩემო დიდად მომთმენო მკითხველო, და ვიდრე საყვედურს შემომკადრებდე სიტყვიერი ტკეპნისათვის, ვფიქრობ, სჯობს... მით უმეტეს, რომ ერთხელ უკვე ვინვნიე კრიტიკული შოლტის სიმწვავე...

დიახ, გადმომცეს აკი, ერთმა დოცენტმა, რომელსაც „შავი წიგნი“ ჩავარდნოდა ხელთ, დიდ ცოდვად ჩაუთვალა თურმე ავტორს, განმეორებები აქვსო.

მე დავინტერესდი, სხვათა შორის, ამ მეტად პატივსაცემი ამჟამად დოცენტისა და ახლო მომავალში – ამაში ეჭვი ნუ შეგვეპარება! – პროფესორის მოღვაწეობით და... ჩემ წინ მისი უუდიდესი მეცნიერულ-ლიტერატურული სიმდიდრე გადაიშალა, თუმცა, ესეც უნდა მოგახსენოთ, ამ უნიკალურ სიმდიდრეს ბევრი ქექვა-წვალების შემდეგ მივაკვლიე: ორ დიდებულ შრომას, დაბეჭდილს საკმაო ინტერვალებით ერთსა და იმავე ფორმატმომცრო გაზეთში, რომლებიც – ორივე! — უაღრესად მტკივნეულ საკითხს ეხება: აი, უკვე რამდენიმე თვეა (ეს პირველ ნაშრომში, მეორეში კი... „უკვე მთელი გრძელი წელიწადი გავიდა მის შემდეგ, რაც...“) ამ პატარა,

მყუდრო ქუჩაზე მთავარი მაგისტრალიდან მოძრაობა გადმოიტანეს, ეს კი საფრთხეს უქმნის...  
ამა და ამ საზოგადოებრივ... საზოგადოების... საზოგადოებას...

მივაკვლიე იმასაც, ეს უკვე ძალიან იოლად, რომ სწორედ ამ პატარა, მყუდრო ქუჩაზე ცხოვრობს თურმე ეს ჩვენი ამხანაგი დოცენტი და, ალბათ, უახლოეს მომავალში უთუოდ პროფესორი და, თუმცა ამას ცალკე აბზაცში არ გამოყოფს, მაგრამ ეს ისეც იგრძნობა, სწორედ მანქანების ხმაური უშლის მას ხელს კანტისებურ აზროვნებაში, მათი გამონაბოლქვი კი საფრთხეს უქმნის მის ტვინსა და ფილტვებს, რომელთა ყოველი ნერვი და უჯრედი მთლიანად და სავსებით, სავსებით და მთლიანად ეკუთვნის, ცხადია, საყვარელ დედასამშობლოსა და მშობლიურ კომუნისტურ პარტიას!

ეს ყველაფერი ჰო, მაგრამ... თუკი საგზაო მოძრაობის დროებით შეცვლაზე, რომელიც არსებითად მხოლოდ შენს მუცლის გვრემასთან არის დაკავშირებული, დროის სულ მცირე მონაკვეთშიც კი შეიძლება პრესის საშუალებით ორჯერ ამცნო და მოაგონო საზოგადოებას, რატომ არ შეიძლება, ანდა რა გასაკიცხია, თუკი შენი მშობლიური ერის უბედურებაზე ორჯერ, სამჯერ და, თუ გნებავთ, უთვალავჯერაც ჩაგიკაკუნონ თავში, თუნდაც იგი, ვთქვათ, ცარიელი არც იყოს?!

როცა ტკივილი გაკვნესებს, იმაზე როდიდა ფიქრობ, სხვათა ყურთასმენისათვის დამატკბობელ ხმაზე იკვნესო, კვნესი ისე, როგორადაც გეკვნესება...

მე თეატრში დასადგმელ დრამას კი არ ვწერ, რომ მის არქიტექტონიკა-კომპოზიციას გულდასმით ვუკირკიმალო...

...სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ,  
მუდამ მთქმელი ვარ ამისა,  
ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ  
მთიდან ყვირილი ხარისა...

კიტა ბუაჩიძე



### **სოფელს საძირკველი არ უნდა გამოეცალოს...**

**„შავში შავი ნიგნი“, „განათლება“, 1996წ. გვ. 307-312.**

ვისთვის კვდები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულე.

რუსთაველი

ამ ხუთიოდე წლის წინათ ჩვენი დედაქალაქის პირველ გაზეთში ამოვიკითხე:

„21-ე საუკუნის დამდევისათვის საქართველოს ქალაქებში იცხოვრებს დაახლოებით 3.8-4 მილიონი კაცი, ანუ რესპუბლიკის მოსახლეობის 60-65 პროცენტი.

21-ე საუკუნის დამდევისათვის საქართველოში სოფლების რიცხვი 35 პროცენტით შემცირდება...“

ამ ცნობას სახელმწიფო დაწესებულება გვანვდის და სატირალი და სავალალო ის არის, რომ მასში გულისხმილი როდია ჩაქსოვილი, პირიქით – ჩვენი დიდი ეროვნული ტრაგედია ერთგვარ ოპტიმისტურ ჩარჩოშია ჩასმულ-მოვარაყებული.

კი, მაგრამ, რით არის ეს სასიხარულო? ქალაქების ასეთმა მომძლავრებამ მოგვიტანა კი რაიმე სიკეთე? ვთქვათ, ჯადარში ანდა კავთისხევში თუ არ აიმართება ჩარხსაშენი ქარხანა, ამით საქართველოს ვითომ ბევრი რამე დააკლდება? ჩარხებს ჩვენზე უკეთ სხვა რესპუბლიკებ-

ში დაამზადებენ, მაგრამ ვაზს იქ ვერც მოაშენებენ და ვერც მოუვლიან და ვერც ღვინოს დააყენებენ კახური წესით, ვერც ციტრუსებს გაახარებენ და ვერც ჩვენებურ ხეხილს ახეირებენ...

და ამას არა იმიტომ, რომ იქ ჩვენზე ნაკლებ გამრჯე ხალხია, — ჩვენ საამისოდ მიწა-ნიადაგიც გვიწყობს ხელს და ჰავაც, აგრეთვე ძველისძველი ტრადიციებიც.

ეს ტრადიციები კი ახლა სოფლის მოსახლეობის შეთხელების გამო თანდათან ხელიდან გვეცლება და აგრეთვე იმ საყოველთაო ნაძალადევი, თავის მოსაწყუებელი სწავლა-განათლების გამოისობითაც; ამ „განათლებულებს“, სოფლად ფეხადგმულებსაც კი, ძროხა უკვე ბიზონად ეჩვენებათ, მონველით კი... ო-ო, თუნდაც თავი დაიმცირონ და იკადრონ, საიდან მიუდგენენ ჯიქანს და როგორ მობანონ, ეს მათთვის თავსატეხი, ამოუცნობი გამოცანაა.

დიახ, თუ კიდევ ასე განვეითარდით „კულტურულად“ (შეჩერებას კი როგორღაც პირი არ უჩანს!), მაშინ მომავალი საუკუნის დამდეგისათვის 35 პროცენტი რა არის, უფრო გამაჩანაგებელ მარვენებელსაც უნდა ველოდეთ.

შეჭფერის და ეპატიება კი ქართველ კაცს სოფლის მიგდება-მიტოვება? არის კი ამაში გონიერების რაიმე ნასახი? მთელ საქართველოს რაღაც 8-10 საათის განმავლობაში აღმოსავლეთის სანყისი წერტილიდან დასავლეთის ბოლო წერტილამდე გადასერავ... აი, იმით, მე რომ ბორბლებიანი კუბო შევარქვი, და ეს კუბო უკვე ათიდან თითქმის ყოველმა ერთმა მოვიმარაგეთ და მალე ეს ათი, ალბათ, ხუთზეც ჩამოვა... თანაც ჩვენ ხომ ისეთი ჭკუადატენილი ვაჟკაცები ვართ, რომ არც ყოველსაათობრივი, საზარელი ავტოავარიები გვაფრთხობენ და არც უვარგისი გზები...

... და მაინც, შენ, რაჭველმა კაცმა, თბილისისათვის შენი მშობლიური, კურთხეული მხარე რომ მიატოვე, ვითომ არ შეგეძლო, იქ კერია არ ჩაგექრო და შაბათ-კვირაობით მაინც ცეცხლი ისევ გაგეჩაღებინა? საამისოდ იქით-აქეთ მისვლა-მოსვლაში რა ბევრი დრო დაგეხარჯებოდა, სამაგიეროდ, შენს სიცოცხლეს ერთ კვირაში, სულ ცოტა, დღე-ნახევარი მაინც შეემატებოდა...

...ანდა შენ, იმერელო, ქუთაისში რომ ცხოვრობ და პატრიკეთი და ქვიტირი შენს ყურის ძირშია... ან შენ, კახელო, ქართლელი, მეგრელო, გურულო, სამურზაყანოელო, სვანო, ლეჩხუმელო... რატომ ვივინყებთ, რომ საქართველო ერთი ხელისგულის ოდენა ქვეყანაა!

წინათ ერთი მტკაველი სადავო მიწისათვის ძმა ძმას თავში კეტს უზაზუნებდა, ახლა კი აბიბინებულ ეზო-გარემოს თავის სახლებიანად ეშმაკებს ვუტოვებთ და გავრბივართ იმის იმედით, რომ ასფალტი გახდება ჩვენი დედამარჩენალი...

მარქსისტები ერთ დროს ასეთ მიგრაციას მშრომელი მასების გაღატაკებით ხსნიდნენ, საინტერესოა, ახლა მას რა ახსნას გამოუნახავენ?!

თავად კომუნისტური საზოგადოება ხომ არ არის ხელშემწყობი, რომ გლეხი გლეხურ შრომას გადაეჩვია და მიწის მალმერთებელმა მიწა შეიჯავრა? სულ აგერ ახლა გაზეთ „კომუნისტში“ ამოვიკითხე ბრალდებისებური, — თბილისის ახლომახლო სოფლებში ხალხი არც ძროხას და არც სხვა საქონელს აღარ ყოლიობს, ერცხვინებათ კიდევ თითქოსო...

ო, სანყალი ეს ხალხი!..

მბრძანებელი ერთეულები ჯერ ურემს გადააბრუნებენ და მერე ამ გადაბრუნებაში ბრალს ისევ ხალხს სდებენ, ამას კი თავის გასამართლებლად ხმაც ვერ ამოუღია: არა ვართ, ბატონებო, ჩვენ დამნაშავე, არა ვართ...

ისტორიკოსები კი ივინყებენ, მაგრამ ხალხი არ ივინყებს „კვადრატულუდობრივი“ და „აგროგოროდების“ დიდ ხუროთმოძღვარს, ნიკიტა ხრუშჩოვს... არც მის მონოდება-ბრძანებას ივინყებს, კერძო მესაკუთრეების ძროხა და ხარი, ცხენი და ვირი...

(სხვათა შორის, ეს ერთობ სულგრძელი, კეთილშობილი ცხოველი, რომელსაც ქართველი კაცი შინაურობაში საალერსოდ დიდყურას ეძახის, ლიტერატურაში კი თითქოს ბოდიშის მოსახდელოდ სახედრად იხსენიება, აღმოსავლეთ საქართველოში, ჯერ კიდევ ხრუშჩოვის ამ გამანადგურებელ დაყროყინებამდე ჩვენი ადგილობრივი იმდროინდელი ბრძენი ხელმძღვანელების მიერ უკვე დიდი ხნის „მომსპარი“ იყო; მათი საყოველთაო ლიკვიდაცია კი ვირების სატახტო გომურიდან, წყნეთიდან დაიწყო. ან კი, აბა, როგორ გნებავდათ, ქვეყნის ტვირთმაშვრალნი საღამოთი აგარაკს ამობრძანდნენ და... გზა-ბილიკი მათ ვირებმა გადაულობონ?!).

...დიახ, ძროხის ყოლა-მოვლით თავი რატომ უნდა აიტკივოთო, გვიფრთხილდებოდა ნიკიტა, — რძე გინდათ? „პაჟალუსტა“, მიაკითხეთ, როცა კი მოგესურვებათ, კოლმეურნეობას და უმაღლ ჩამოგისხამენ, ლიტრა რას მიქვია, გნებავთ, ბიდონებითაცო...



ჩვენც მივაკითხეთ ხოლმე და რამდენჯერაც მივედით, იმდენჯერ... რძე არა, ტკიცინ-ტკიცინა დადგენილებები, ხრუმჩოვის ხელმონერით, აგვაფარეს ტუჩებზე...

ჰოდა, სახელმწიფოს ასეთი მეთაური კიდევ სტალინის კილაგდა, სოფლის მეურნეობის არაფერი გაეგებოდაო...

სტალინის სოფლის მეურნეობის თეორიისა და პრაქტიკის რა გაეგებოდა და რა — არა, ამაზე, დაე, გამოცდილმა ეკონომისტებმა გვიპასუხონ, მე კი ჩემდა თავად ვიტყოდი, სოფლის მეურნეობის ჩვენი მოდელი ზუსტად არც ერთ სოციალისტურ ქვეყანას არ გადაუღია და იქ სურსათის ნაკლებობა, ასე თუ ისე, არც იგრძნობა.

მეფის რუსეთი სახნისით მოყვანილი პურით მთელ ევროპას კვებავდა, ჩვენ კი ახლა, ტრაქტორ-კომბაინებით გალაღებულთ, ამერიკა-კანადა, ცოტა არ იყოს, გვამადლის კიდევც, რომ პურს ყიდის ჩვენზე, თანაც მათივე მუხლმაგარი დოლარებით და არა ჩვენი მომაკვდავი მანეთებით...

ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ მინის მუშას პრესტიჟი გამოეთხარა და სოფელს — საძირკველი... იმდენად გამოეთხარა, რომ...

აი, ჩემი ძმისწული, ქალაქელი ახალგაზრდა და თავის დროზე ცნობილი მამის შვილი, სოფლად დასახლდა, რათა რვა შვილის გამზრდელი ბებიისა და ბაბუის ნაფუძარი არ გაპარტახებულყო. და ეს მისმა მამიდებმა არათუ საზარელ, ოჯახისათვის სამარცხვინო, თავმოსაჭრელ ტრაგედიადაც მიიჩნიეს („ბენიტოს შვილი მინას უნდა ჩიჩქნიდეს?!“), თვითონ სოფელში კი მითქმა-მოთქმა ატყდა, ალბათ რაღაცა დაამავა და ქალაქად ცხოვრება ეკრძალებათ...

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას უინსტონ ჩერჩილმა, დიდმა პოლიტიკოსმა და დიკენსისა და სომერსეტ მოემის ფონზე, ალბათ საშუალო რომანისტმა, ომი რომ მოიგო და პრემიერ-მინისტრად მაინც აღარ აირჩიეს, ცხენები მოაშენა; ჟან გაბენმა კი, მსოფლიოში ცნობილმა ფრანგმა კინომსახიობმა, ამ რამდენიმე წლის წინათ მეძროხეობას მიჰყო ხელი და საქონლის სადგომიდან ფუნაც კი თავისი ხელით გაჰქონდა; ჩემმა ერთმა ნაცნობმა ქალმა კი, რომელმაც თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა და ამ დამთავრების შემდეგ უსაქმური დიპლომს სულ მარაოსავით აფრიალებს, რომ ყველამ დაინახოს, თუ რა განათლებულია, სოფლად შემთხვევით მოხვედრისას, ზიზღნარევი ხმით „ნაიმონოლოგა“:

— ო-ო, ვერ ვიტან ეზოში ქათმებს, მათ სკინტლი იციან.

მას უთხრეს-ურჩიეს, მაშინ ადექით და მოაშენეთ ანგელოზებიო...

აგერ ახლა ჩვენი გაზაფხულისათვის უჩვეულო თოვლი რომ მოვიდა, „მოამბეში“ დიქტორმა მხნე და სიამაყით აღსავსე ხმით გვამცნო:

„...და მაინც, კახეთში ერთი წუთითაც არ წყდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.“

და თუ თქვენ ამის არ გჯერათ, „პატივცემულო ტელემაყურებლებო“, მაშინ... აჰა თქვენ კინოდოკუმენტიც: დათოვლილ ზვარს ბარავენ და რა გასაკვირია, თუ წვალებით და ზედაპირულად ბარავენ თავსაფრიანი, შავებით შემოსილი, გამხდარი ხნიერი ქალები... იმ არემარეზე ერთი შარვლიანის ჭაჭანებაც არა ჩანს, ვაჟკაცს ვინ ჩივის, არც ხანში შესულისა...

გულისა და გონების ეს დამთუთქველი კადრები არც ოპერატორს გადაუღია განგებ და არც ტელევიზიის ფხიზელ ცენზორ-რედაქტორებს გაჰპარვიათ, მათი თვალები და მათი გონება ასეთ ამბებს უკვე იმდენად ნორმალურად აღიქვამენ, რომ მათში სულაც ვერ ხედავენ ჩვენი ხალხის დღევანდელ შემზარავ და ახლო მომავალში კიდევ უფრო საზარელ სურათს.

სხვათა შორის, იმ კახელმა შავოსანმა დედაკაცებმა, რომლებმაც, ცხადია, მშვენივრად იცოდნენ, მათ წინ გადაძვლები აპარატის სახელურს რომ ატრიალებდნენ, თავიანთ გადაღლილ სახეებზე არაქალური შრომით გამოწვეული ენთუზიაზმი მაინც ვერ გამოხატეს და... სევდამორეულს ძალაუნებურად მომაგონდა ერთი ზემოიმერელი, თითქმის საუკუნეს მიტანებული, თავის სიცოცხლეში გაზზე კი არა, პირდაპირ ცეცხლის პირას კეცზე სამასი ათასამდე ჭადის გამომცხობელი, წერა-კითხვის მცირემცოდნე, ნააზნაურალი, მაგრამ ფაქტობრივად გლეხის ქალი, გაზეთში ტრაქტორზე წამოსკუპული კაბიანი ასული რომ იხილა და თქვა:

— რა ქალის საქმეა ტრაქტორი? ქალს დიასახლისობა ამშვენებს... ქალს ექიმობა უხდება, მასწავლებლობა უხდება, არტისტობა... თანაც ზომიერად... თუ ასე ყველა ქალი საშოვარზე გავრეკეთ, რავა, ოჯახს ქალი აღარ უნდა?!

თუ რამდენად გამოჩერჩეტებული და სკლეროზოდებული იქნებოდა ამის მთქმელი, საამისო დიაგნოზის დასმა მკითხველისთვის მიმინდვია, ჩემგან კი ნუ ელით, რომ მასზე ვიტყვი,

ბებრუხანაო, ვისი მრავალი შვილიდან ერთიც არ გამოსულა ბანდიტი და არც ქურდი, არც მექრთამე, არც მკვლელი, ლოთი და ნარკომანი...

ისე კი, მათთვის, ჩვენ რომ ცხოვრებას გვიადვილებენ და ჩვენს ნაცვლად ფიქრობენ და აზროვნებენ, ვილაც დედაბრის ნაბჭობ-ნაბოდვარი, აბა, რა ყურადსაღებია!

ანდა, ვინ იცის, ოჯახს ქალი შეიძლება მართლაც აღარ დასჭირდეს, ა? ეს თითქოს გარკვევითაც გამოსჭვივის იმ სამთავრობო სტატისტიკური მონაცემებიდან, რომელთა მიხედვითაც ამ საუკუნის ბოლოსთვის და თუ ჩვენი საქმე საერთოდ კარგად წავიდა, მაშინ შესაძლოა, ამაზე ათი წლით ადრეც, საბავშვო ბაგებსა და ბალებში, ქალაქად აღზრდიან თურმე ბავშვების 80 პროცენტს, სოფლად კი — 60 პროცენტს.

პროცენტი კი, აბა, რის პროცენტია, თუ არ იპროცენტია, ასე რომ, იმედი უნდა გვქონდეს, მერე და მერე იგი ასამდეც გაიზრდება!..

ჰოდა, ასეთ იდეალურ გარემოცვაში ქალი – დედა ვითომ მაქნისი იქნება კიდევ?!

მე კი, როგორც ჩანს, გონაკლულსა და დროის სწრაფ მატარებელს დიდი ხნით ჩამორჩენილს, მეგონა და ჩემში ახლაც ვერ ჩამიკლავს ის რეგვენული აზრი, რომ არათუ ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი, ბრწყინვალეზე უბრწყინვალესი, განათლებულზე უგანათლებულესი, ადამიანურზე უადამიანურესი კრემლის საბავშვო ბაგა-ბაღიც კი ვერ შეუცვლის ბაღს დედის გულის სიტბოს და მის ფუნთულა ლოყებზე დედის ალერსიანი ხელის მოთათუნებას...

თიბერვალი  
1984 წელი

პატივისცემით  
კიტა ბუაჩიძე



### უნდა ვიმრავლო!

„შავზე შავი წიგნი“, „განათლება“, 1996წ. გვ. 313-325.

ის წიგნი, რომელიც ორჯერ წაკითხვის ღირსი არ არის, ის არც ერთხელ წაკითხვის ღირსია.

კარლ ვეპერი

(გერმანელი კომპოზიტორი, 1786-1826)

საუკეთესო წიგნის შესახებ მკითხველი ფიქრობს, რომ მისი დანერა მასაც შეეძლო.

პასკალი

დასავლეთ საქართველოში, მთებს შუა გამომწყვდეული მდინარის პირას მდებარე ორქუჩიან დაბაში რაიკომის ბიუროს მორიგ სხდომაზე ერთი ჩემი ახლო ნაცნობი მისთვის სანატრელ თანამდებობაზე დანიშნეს...

და აი, ახლა მაჯა და ნაბიჯაჩქარებული მოემართება იგი სოფლის შარაზე, რათა დროულად მიახაროს შინაურებს მისი გადიდებულების ამბავი...

ჭიშკრის შეღებისთანავე... ღმერთო მაღალო, ამას რას ხედავს?! ცოლ-შვილზე ადრე ჟივილ-ხივილით და ფრენა-ფრენით, თითქოს მოსალოცად, გარს შემოეხვივნენ ქათმები, ბატები, იხვები...

საკვირველი და გასაოცარი ჩემთვის ის იყო, — მიამბობდა მოგვიანებით იგი, - ამ ბენტერა ბატებმა მაინც ასე სწრაფად საიდან შეიტყვეს, პურ-ხორბლეულის საწყობში რომ გამამწესესო...

დიახ, დრო დაგვიდგა ისეთი, რომ ახლა ჩვენში არათუ ადამიანებს, როგორც ხედავთ, ქვეყნის ასავალ-დასავალი, თურმე, ბატებსაც აღარ გამოეპარებათ. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუკი არც ჩემთვის დაიმალა ახლობელ ქალთა წრეში ერთი გავლენიანი მანდილოსნის „შავ წიგნზე“ კატეგორიულად ნათქვამი, შოვინისტური წიგნიაო.

რამდენადაც ვიცი, საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ომის მოსურნე-მქადაგებელი – კი, მაგრამ შოვინისტი თავისუფლების აღკვეთით, ყოველ შემთხვევაში დღეს-დღეობით, არ ისჯება; სამაგიეროდ ჩვენი ინტერნაციონალური საზოგადოებისგან სასტიკად იკიცხება და ასეთ გაკიცხვას მერე და მერე, როგორც წესი, სიკეთეთა ჩამოსაქვეითებელი ზომების მიღება მოჰყვება ხოლმე.

მე საპრივილეგიო თითქოს ბევრი არაფერი მაქვს, რომ მისი ჩამორთმევით გული დამეთუთქოს, და მაინც, აბა, რა სიამის მომგვრელია, თუკი ქართველი კაცი ნაპოლეონის მათაყვანებელი ფრანგი ჯარისკაცის, შოვინეს კამპანიაში აღმოჩნდე... ამიტომ, ვფიქრობ, არ დამეძრახება, თუკი შევეცდები, თავი ვიმართლო უცხო სიტყვათა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ლექსიკონის მოშველიებით, თანაც სულ ახლახან გამოცემულით, — ძველში, აბა, ვინ იცის, რა და როგორ წერია (მაგალითად, რევოლუციის შემდეგ მთელი ათი წელიწადი სიტყვა „სამშობლო“, „პატრიოტიზმი“, „პატრიოტულის“ ხსენებაც კი იკრძალებოდა; პრესაში მათ სარკმელი გაუღეს, თანაც ნელ-ნელა და ცოტ-ცოტაობით 1928 წლიდან, როცა საბჭოთა მფრინავმა ჩუხნოვსკიმ ჩრდილოეთის ყინულებში იტალიელი უმბერტო ნობილეს დაღუპული ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი გადაარჩინა):

„Шовинизм – буржуазный национализм, проповедь национальной исключительности, противопоставление интересов одной нации интересам всех других наций, разжигание национальной вражды, чувства презрения и ненависти к другим расам и нациям“.

(Краткий словарь иностранных слов, Москва, 1978 г.).

„ჰოდა, აბა, ერთხელ კიდევ ქორის თვალი გადაავლეთ ჩემს ნაწერს და ბრძანეთ, განა მცხია მე რამე ბურჟუაზიულობისა, და განა მე ვქადაგებ, რომ ჩვენ, დღევანდელი ქართველები, ყველა სხვა ხალხისაგან გამორჩეული ვართ-მეთქი?“

განა „შავი წიგნით“ მე ვაღვივებ ეროვნულ შუღლს, სიძულვილისა და ზიზღის გრძნობას სხვა ხალხების მიმართ, თუკი, პირიქით, თავგამოდებული მომხრე ვარ იმისა, რომ ქართველად ჩავწეროთ ყველა ის, ვისაც გულით ქართველობა უნდა და ვიძმოდ ყველა ისინი, ვისაც ჩვენდამი მოღალატეობის გრძნობა არ ასულდგმულებს?!

„შავ წიგნში“ ჩემი მშობელი ერის იმდენ ბიწსა და მნიკვლზე მაქვს საუბარი, როცა მას წასაკითხავად ვაძლევ ვისმე, თან ვაფრთხილებ, არაქართველს ხელში არ ჩაუგდოთ, ჩვენი სიგლახის ამოკითხვა მას სიხარულის ფრთებს შეასხამს-მეთქი (არაქართველებში ქართველ ებრაელებს, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ); დიახ, ეს წიგნი მაშინ იქნებოდა შოვინისტური, სხვა ერების შეჭმა-ჩანთქმას რომ მოძღვრებდეს, მე კი ამის საპირისპიროდ, - ჩვენივე უჭკუობით და წინდაუხედაობით მათ თავს ნუ შევაჭმევინებთ-მეთქი...

შენი ერის სიყვარული თუ შოვინიზმად გამოცხადდება, მაშინ შოვინისტი ყოფილა ჩინებული რუსი მწერალი, ნაომარი თედორე აბრამოვი, ამას წინათ ოსტანკინოს საკონცერტო დარბაზში ტელევიზიით რომ გამოვიდა და არაერთხელ მკაფიოდ თქვა:

„Советская русская земля... Советская русская земля... Сколько русских гениев полегло в этой войне...“

როგორ? მათში ქართველი, სომეხი, უკრაინელი გენიოსი ერთიც არ გამოერეოდა? თუ პატარძლეულები ანდა აშტარხანელები უფრო მოვალენი იყვნენ მკერდით დაეცვათ სტალინგრადი, ვიდრე რიაზანელ-პენზელებს?!

იაკობ გოგებაშვილის აზრით, „რომელიმე ერის გაქრობა აღარბებს და ასახიჩრებს თვით კაცობრიობას“ („ბურჯი ეროვნებისა“, გვ. 57).

ჰოდა, თუკი მე არ მინდა, რომ უკვალოდ გაქრეს, თანაც ასეთი კატასტროფული სისწრაფით, ნიჭიერი ქართველი ერი და ამით სულ ცოტათი, ცო-ო-ტათი მაინც არ გაღარბდეს, არ დასახიჩრდეს კაცობრიობა, განა ეს შოვინიზმია?! სად, რომელ გვერდზე, რომელ აბზაცში ამოიკითხა ამ მანდილოსანმა ჩემი ისტერიკული მიმართვა:

- ჰეი, თქვენ, ქართველებო! თუ გინდათ, შეინარჩუნოთ სიცოცხლე და სამშობლო, ფიცხლავ ხელი ხმალს იკართ და დასცხეთ და გადარეკეთ მესხეთ-ჯავახეთიდან სატრაპ პასკევიჩის

მიერ ჩამოთესლებული სომხები, კუდით ქვა ასროლინეთ რამდენიმე საუკუნის წინათ ხიზნებად დასახლებულ ოსებსაც ცარიზმის დროინდელი გორის მაზრიდან გამოყოფილ და სამხრეთ ოსეთად ხელოვნურად შერქმეული ქართული მიწა-წყლიდან, თათრებსაც – ქვემო ქართლიდან, ბერძნებსაც – თრიალეთიდან!..

როგორც ჩანს, თუ დავწერდი, ქართველებო, უკვე დროა, სულ ერთიანად ამოვწყდეთ და ჩვენი წალკოტი ქვეყანა უკვე მოსულებს და ან მოსასვლელთაც, ჩვენს მესაფლავეებს დავუტოვოთ-მეთქი, მაშინ იგი ზოგიერთის ფხიზელ თვალს, ალბათ, შემანუხებელ ბენვად არ მოეჩვენებოდა.

დიახ, არა მგონია, რომ „შავ წიგნს“ ეს ამჟამად ბევრისგან (უფრო ყოვლისშემძლე ქმრის ნყალობით!) პატივსაცემად მიჩნეული მანდილოსანი სხვა დროსა და სხვა სიტუაციაში ამ ნაწერს შოვინისტურად მონათლავდა, ამიტომ, დაე, ვიყოთ სულგრძელნი და მიმტევებელნი, და ნუ მოვთხოვთ ნურც მას, ნურც სხვებს – მრავალი მიზეზით შებორკილთ – ილაპარაკონ ის, რასაც ფიქრობენ...

განა რომის პაპი გააჩერებს საკურთხეველთან თავის კარდინალს, თუ ის საჯაროდ ეჭვს გამოთქვამს ზენაარსის ყოფიერებაში?!

ჰოდა, ნუ გავკილავთ და ნუ დავაბრალებთ მათ სიმხდალეს!.. კერძოდ, ნურც, აი, მას, გუნებაში არსებითად ისეთნაირ „კომუნისტ-ბოლშევიკს“, როგორც მე ვარ გასრულწლოვანებიდან, ოღონდ განსხვავება ჩვენ შორის ის არის, რომ იგი, როგორც ნომენკლატურის მუშაკი, არ გახლავთ ჯოღლომოლო ხალხისათვის განკუთვნილი გასტრონომის ჩემსავით შემყურე. ამ ფრიად არაუმეცარ, ფრიად განათლებულ, ფრიად გონებაგახსნილ, იუმორის გამგებ არასქელი ჟურნალის რედაქტორს მე თვითონ მივართვი გასაცნობად „შავი წიგნი“ და როცა დამიბრუნა, ამანაც... შოვინისტურიაო, თუმცა, აქეთ-იქით მიხედ-მოხედვის შემდეგ (ვაითუ, ვინმემ გაიგონოსო) წამიჩურჩულა, ბევრს წააკითხე, ბევრს წააკითხეო...

ამ ჩემი ფრთხილი „თანამოაზრის“ რჩევის გარეშეც მე მას არცთუ ისე ცოტას ვაკითხებ და ვავრცელებ, თუმცა, მისი ქსეროქსზე გადატანა ძვირი ჯდება, თან ყოველივე ამას გარკვეული შიშიანობაც ერთვის...

კონტრასტისათვის, ვფიქრობ, არ იქნებოდა მიზანშეუწონელი, თუკი გაგაცნობდით ჩემი წიგნის „შოვინისტობის“ თაობაზე რამდენიმე ამონაწერს, აზრს სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა ასაკის მკითხველთა წერილებიდან (მრავალწერტილებით შეცვლილი მაქვს ჩემი მისამართით გამოთქმული ჩემთვის მეტად უხერხული ქების სიტყვები).

ვ.კ. – ომის მონაწილე, გადამდგარი პოლკოვნიკი:

„თქვენი შესანიშნავი წიგნი დიდი ყურადღებით წავიკითხე და დიდი სულიერი კმაყოფილება ვიგრძენი... ასეთი წიგნის დაწერა ჩვენს დროში შეუძლია ნამდვილ ქართველ პატრიოტს, თავდადებულს, მეტად... და ერის სატკივრით გულდამწვარ ადამიანს. წიგნი გატაცებით იკითხება პირველი ფურცლებიდანვე და ყოველი დასმული საკითხი ღრმა ინტელექტუალური ანალიზით არის დასაბუთებული.“

სანამ ბოლომდე წავიკითხავდი, ვიფიქრე, ეს წიგნი უსათუოდ უნდა გაიგზავნოს ზემდგომ ორგანოებში, ბოლოს კი გამოირკვა, რომ იგი უკვე გაიგზავნიათ კიდეც ამხ. ე.ა. შევარდნაძის სახელზე. დარწმუნებული ვარ, მთელი რიგი საკითხები დადებითად იქნება გადაწყვეტილი.“

ლ.გ.- ერთ-ერთი პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში:

„მივესალმები თქვენს ... გაბედულად რომ წამოჭერით ჩვენი მტკივნეული პრობლემები. ეს კია, მეეჭვება, რომ ცოტნე დადიანი გამოგვიჩნდეს, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო.“

ლ.ც. – ახალგაზრდა მწერალი

„ვინაც არ უნდა წაიკითხოს თქვენი ხალასი ქართულით და სასიამოვნო სტილით დაწერილი წიგნი, დარწმუნებული ვარ, რომ იგი ყველას ჩემსავით ჩააფიქრებს და ალაგზნებს, გამოაფხიზლებს.“

მე ჯერ გაუთხოვარი გახლავართ, მაგრამ, როდესაც მეყოლება საკუთარი ოჯახი, პირობას გაძლევთ, იგი ექვს სულზე ნაკლები არ იქნება, რა პირობებშიც არ უნდა მომიწიოს ცხოვრება.

ჩემი სურვილია, თქვენი წიგნი რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ წაიკითხოს, რომ სწორედ მათ იგრძნონ, თუ რა საშიშროების წინაშე ვდგავართ, რომ ყველამ უნდა იზრუნოს ერის გამრავლებისათვის, მის მარადის არსებობისათვის. თქვენი წიგნი კი, როგორც ფასდაუდებელი განძი ოჯახისა, ყოველი ქართველის საოჯახო ბიბლიოთეკაში უნდა იდოს როგორც აუცილებელი და საჭირო ყველა ქართველისათვის“.

დ. ჭ. — მათემატიკოსი:

„...მართალია, თქვენ ამ ნაშრომს თავმდაბლურად, უბრალოდ წერილს უწოდებთ, მაგრამ, სიმართლე მოგახსენოთ, მის ავტორობაზე... (სახელი და გვარი — კ.ბ.)... უარს არ იტყოდა ჩვენი დიდი პუბლიცისტი... (სახელ-გვარი)... კი თავის რჩეულ ნაწარმოებებში პირველ ადგილს დაუთმობდა ამ ბრწყინვალე ნარკვევს, თქვენი გონივრული წინადადებები უსათუოდ დიდ დახმარებას გაუნევეს ჩვენი ერის გამრავლებას. ... ამ საკითხების მოგვარებას დიდი შემწეობა შეუძლია გაუწიოს ამხანაგ შევარდნაძემ, თუ, რასაკვირველია, გულით მოინდომებს... და ნუთუ არ მოინდომებს? ნუთუ არ უნდა ძვირფას ეღუარდ ამბროსის ძეს, რომ სამუდამოდ უკვდავყოს თავისი სახელი?“

რვა შვილის მშობლები, თბილისელი ზ. და მ. გ-ძეები:

„ვკითხულობთ თქვენს წიგნს და ვტირით. ნამდვილად რომ სატირლად გვაქვს საქმე... მაგრამ ქართველი კაცი პესიმისტი ვერ იქნება, ჩვენ გვაქვს იმედი, დიდი იმედი, რომ ყველაფერი გამოსწორდება.“

ასეთი გ-ძეები თუ იმრავლებენ, მაშინ მართლაც რომ გამოსწორდება!

ლ.კ. – ომის მონაწილე, სამი შვილის მამა; პროფესიასაც დავასახელებდი, მაგრამ, ვაითუ, ზოგიერთი მიხვდეს, აკი მის კოლეგებში სამი შვილი, რამდენადაც ვიცი, არავის არა ჰყავს:

„თქვენი წიგნი ჯერჯერობით წინ მიდევს და ვწუხვარ, რომ მალე წამართმევენ. თუ მოვასწარი, მინდა კიდევ ერთხელ წავიკითხო, უფრო გულმოდგინედ.“

... არ შეიძლება, არ მოეწონოს თქვენი ნააზრევი ქართველ კაცს, თუკი ჭეშმარიტი ქართველია იგი და თქვენსავით ფიქრობს საქართველოს ბედზე, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა... თუ არ ვცდები, ეს სიტყვები დენი დიდროს ეკუთვნის: „მე ბილნად ჩავთვლიდი ჩემს აზრს, თუკი იგი ყველას მოეწონებოდაო“. იქნებ ზოგიერთს მართლაც არ მოეწონოს თქვენი ნააზრევი, სხვადასხვა, უფრო კი ეგოისტური მოსაზრებით...“

...სულაც არ გამკვირვებია, რომ თქვენს წიგნს არ გამოეხმაურნენ ისინი, ვისაც თქვენ უშუალოდ მიმართეთ, აგრეთვე თანამდებობის სხვა პირნიც... ისინი მხოლოდ ტრიბუნიდან გვპირდებიან ხოლმე აშენებას პათეტიკური სიტყვებით, როგორც სიმთვრალეში გაცნობილ თანამესუფრეს ივინყებს ხოლმე გამოფხიზლებული. ეს ბევრს შეეხება, გარდა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელისა.

... პირდაპირ თავზარდამცემია იმის გაფიქრება, რომ 50 წლის შემდეგ საქართველო, თუ არაფერი ვიღონეთ, ერთ მილიონამდე დავა“.

სხვათა შორის, ამ ბარათში ასეთი ფრაზაცაა, რომელიც არ ვიცი კი, რამდენად ესადაგება ჩემს „შოვინისტობას“: „თქვენ გონიერ, ნიჭიერ ხალხად იხსენიებთ სომხებს.“

ექთანი მ.მ-ძე:

„წავიკითხე თქვენი წიგნი მთელი გულისყურით და როგორ ვინანე სამი შვილის დედამ, რომ 20 წლის წინათ არ მყავდა თქვენისთანა ჭკუისდამრიგებელი. მართლაც, ყველა ქართველ ქალს მზითევი უნდა გაატანონ იგი, რომ უფრო კარგად ჩაუფიქრდნენ ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს.“

შ.ნ. – ხანშიშესული კინომსახიობი:

„ამ ჩვენი დიდი ეროვნული გასაჭირის დროს მთავარი მაინც ის არის, რომ ამ წიგნმა ჩვენი რესპუბლიკის ქვეყანა და ენერგიულ ხელმძღვანელამდე მიაღწიოს. გაგონილი მაქვს, როცა მას მოახსენეს, შინაგან საქმეთა მინისტრობისას, ერთი საზარელი მკვლელობის ამბავი, მომიყვანეთ და შემახედეთ, ვინაა ამის ჩამდენი, კაცია თუ ნადირო...“

ის დალოცვილი, თუკი მკვლელით დაინტერესდა, ნუთუ ამის დამწერის ხილვით არ დაინტერესდება?“

(გვიანდელი მინანქარი (1990წ.): არა, „ამის დამწერის ხილვით“ არ დაინტერესებულა და შეიძლება უფრო იმიტომ, რაკი იმ დროს, იმ დროს „შავ წიგნში“ გამოთქმული ბევრი აზრი ოფიციალურ იდეოლოგიას არ ემთხვეოდა; ეს კია, 1981 წლის წინა ღამეს, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, როცა ახალგაზრდობას ახალი წელი მიულოცა, მართალია, „შავი წიგნი“ არ უხსენებია, ან კი როგორ ახსენებდა „ნაციონალისტურ-შოვინისტურ „სამიზდატს!“, მაგრამ საქართველოში დიდი ხნის დუმილის შემდეგ პირველად ჩამოაგდო ტრიბუნიდან სიტყვა ერის ამ დიდ სატყვივარზე და მოუწოდა დამსწრეთ გამრავლებისათვის.. ფაქტიურად სწორედ ამ დღიდან დაიწყო ამ საკითხზე წერა და ლაპარაკი ჯერ კანტიკუნტად, აქა-იქ, ზოზინ-ზოზინ, მერე და მერე კი ეს ამბავი იმდენად აზღვავდა, რომ ახლა, როგორც ყველამ ვიცით, ქართული დემოგრაფიული საზოგადოებაც კი დაარსდა და მოქმედებს კიდევ).

ახლა ერთ მოკლე ამონაწერსაც „შემოგაპარებთ“ იმ ნ ა მ დ ვ ი ლ ი მეცნიერის და ნ ა მ დ ვ ი ლ ი ქართველი მოქალაქის ბარათიდან, რომელსაც მე, როგორც დრამატურგი, მთავარი პერსონაჟის პროტოტიპად თუ გამოვიყვანდი, იმ პიესას სათაურად ვერ დავარქმევდი: „მხდალი – ჩვენი დროის გმირი“ („Трус – герой нашего времени“).

„თქვენ დაწერეთ არაჩვეულებრივი წიგნი, რომელიც ღირსია იმისა, რომ ყოველი მამულიშვილის ოჯახში იყოს როგორც ძვირფასი განძი. ძალიან არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რამდენ ოჯახშიც ეს წიგნი შევა როგორც საკუთრება და მუდმივად საკითხავი წიგნი, იმდენივე (თითქმის იმდენივე) ბავშვი შეემატება ჩვენს ქვეყანას: ქართველები — ერის გადარჩენის მიზნით, არაქართველები კი-ჩვენს ჯიბრზე.“

განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინა ჩემზე თქვენი უანგარო ქველმოქმედების ამაღელვებელმა ფაქტმა. რა უთქმა უნდა, ასეთი რამ არც დაესიზმრებათ გააკადემიკოსებულ და გაგმირებულ მწერლებს – ერისადმი სამსახური შემოსავლის წყაროდ ან პირადი განდიდების წყაროდ რომ გადაუქცევიათ.“

(გვიანდელი მინანქარი (1990წ.): სტრიქონები, რომლებიც ეს-ეს არის, წაიკითხეთ, ამოღებულია მართლაც რომ უდროოდ გარდაცვლილი ექვსი შვილის მამის, პროფესორ გელა ბანძელაძის წერილიდან).

კიდევ ერთი, ჩემი „შოვინისტობის“ დამადასტურებელი, ერთობ საქებარი სიტყვებისგან გაცხრილული, ასე ვთქვათ, განჩინება რესპუბლიკის ერთ-ერთი საზოგადოებისა, რომლის სამეცნიერო მიმართულებას ვერ გავამჟღავნებ, ვაითუ, მოხვდეს მის მესვეურს, მით უმეტეს, რომ იგი დაბეჭდილია ბლანკიან ქალაღზე და ზედ მრგვალი ბეჭედიც აზის:

„თქვენი ფუნდამენტური გამოკვლევა „ღია წიგნი“ არის ქართველი ერის გადარჩენისა და ხსნის ნათელი პროგრამა. მასში გაანალიზებულია ჩვენი ხალხის ანმყო და მომავლის პერსპექტივები. თქვენ... თქვენი ნათელი აზრით... მწერლური ნიჭით და... მეცნიერული რუდუნებით შეძელით ყველაზე დიდი ეროვნული გასაჭირის დროს...“.

ყველა ეს ციტატა მომყავს ხელნაწერიდან, და როგორც ალბათ შეამჩნიეთ, ავტორების გვარებს არ ვასახელებ, არა იმიტომ, რომ მათ ჩემთვის საამისო თანხმობა არ მოუციათ, მე მა-

ინც ვუფრთხილდები მათ რეპუტაციას, ჩეხოვის ბელიკოვისა არ იყოს, ვაითუ, დროთა განმავლობაში „как бы чего не вышло“.

ერთობ ვუფრთხილდები აგრეთვე ერთი თვალში საცემი თანამდებობის პირის სახელსაც; მან ხომ ჩვენი დროისათვის არნახული ვაჟკაცობა გამოიჩინა და ჩემს დაუბეჭდავ ნაშრომ — „სამიზდატს“ „ამაღლელებელი ნაწარმოები“ უწოდა არა კერძო ბარათში, არა ქუჩაში შეხვედრისას (სახით არც მიცნობს), არა ტელეფონით, 50-ათასიანი ტირაჟით გამოცემულ თავის წიგნში!

მე უკვე ვწერდი, რომ ჩვენი ეროვნული ჭირის განსაკურნავად ჩემი „შავი წიგნი“ თუნდაც ცოტათი, სულ ცო-ტათი მაინც ნამლად ვისმე თუ გამოადგება, ღმერთმა ხელი მოუმართოს და მოახმაროს იგი, თუგინდ წყაროს მიუთითებლადაც, ოღონდ ამ წყაროს მხოლოდ თავისივე კერძო წისქვილის ღარზე მისაშვებად ნუ გამოიყენებს.

ჩვენმა საერთო წისქვილის დოლაბმა კი წმინდად და მეტი რომ ჩამოფქვას, სწორედ ასე მოიქცა საკმაოდ ცნობილი, საკმაოდ დიდ თანამდებობაზე მყოფი ავტორი და, აი, მას შემდეგ უკვე წელიწადი გადის, და ამ დროში კვირა დღე ერთიც არ გამომჩინია ისეთი, ზეცისკენ ხელები ვედრებით არ აღმეპყრო:

— ღმერთო, ჩემი გულისთვის მის დიდ უფროსებს ნუ დაასჯევენებ მას და რასაც მე მამაცურ მოქალაქეობაში ვუთვლი, რომელსაც ჩვენ, საწყალი ხალხი, ასე დანატრებული ვართ საერთოდ, მათ აჩქარებასა და უგუნურებაში ნუ ჩაათვლევენებ...

ამ მონაკვეთის დასასრულს მინდა, შემოგთავაზოთ კიდევ ერთი ამონაწერი, დიამეტრულად განსხვავებული იმათგან, ზემოთ უკვე ასე მრავლად რომ გაგაცანით:

„ერი, რომელიც ამ ზომამდე მიიყვანს თავის თავს, ის არც არის სიცოცხლის ღირსი, როგორც ჩანს, აქ მოქმედებს ბუნების შერჩევის კანონი...“

დროთა განმავლობაში ჩვენს მაგალითზე სხვა ხალხები მაინც გაფრთხილდებიან და ისტორია ქართულისას სხვას თუ არაფერს, ამ ანდაზას მაინც შემოინახავს; რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.“

არ იფიქროთ, ამის მომწერი ვაზგენი იყოს ანდა ის ერეგნელი გიდი, არასომეხ ტურისტებს „გულისწუხილით“ რომ ანათლებდა და არც ის ორი უბრალოდ ჩაცმული სომეხი, მგონი, ხელოსნები, ვაკეში, ტროლეიბუსში სომხურად ხმამაღლა რომ ქაქანებდნენ, რასაც წინათ ჩურჩულით თქმასაც ერიდებოდნენ (მითარგმნა ერთმა ჩემმა ნაცნობმა სომხურის მცოდნე თანამგზავრმა):

— ახლა ამ ტუტუც-ვრაცებს ჩვენი სომხური გულს უხეთქავთ... ჰამაც, ბოლმა რაც მეტი მოაწვებათ, აღსასრულიც მათი უფრო მალე მოვა...

დიახ, „დავითაო... შენი თავითაო...“ ამის მომწერი ჩვენი გაჩანაგებით სიხარულისაგან აფოფინებული არც „ჩვენი ძმები ქურთებია“ და არც საკუთრივ ჩვენი „დიდები“, ჩრდილოეთს სიამაყის გრძნობით რომ უპატაკებენ ხოლმე, საქართველოში 100 სხვადასხვა ეროვნების მოსახლეა და ყველა ისინი ჩვენი ძმებიაო. ამას მწერს არცთუ ახალგაზრდა, ნიჭიერი და განათლებული, სამწუხაროდ, გაუთხოვარი ქართველი ქალი, იწერება თითქოს ნიშნის მოგებითაც, მაგრამ არა მგონია, ჩვენი საერთო უბედურებით ისიც არ იყოს გულდაკოდილი...

ესეც ადვილი სავარაუდებელია, რომ იგი ჩვენს ასეთ საყოველთაო ეროვნულ პასიურობას უკვე შეურიგდა, და რომ, მისი თვალსაზრისით, ჩვენი მარადიული სიცოცხლის შესანარჩუნებლად უკვე ზედმეტია რაიმე მოქმედებაზე ფიქრი და ზრუნვა, და რომ სწეულ ერს ანი აღარაფერი ეშველება და... „სჯობს, დავიხოცოთ როგორც რაინდები...“

ო, ამგვარი ბჭობა ძალიან წააგავს ლიანდაგზე გადამავალ იმ ადამიანს, ჯერ კიდევ შორიდან გრიალ-გრიალით მომავალ მატარებელს თვალი რომ მოჰკრა და უმაღვე შიშმა ისე აიტანა და მუხლები მოეკეცა, რომ სიცოცხლის მსხნელი ერთი ნაბიჯი, მხოლოდ ერთი ნაბიჯიც ველარ გადაუდგამს...

არა და არა!

თუ არ გვინდა, საქართველო, სულ ერთიანად მაინც, არ გადაიქცეს საქურთელოდ, თუ არ გვინდა, ჩვენი შვილები, შვილიშვილები არ აღმოჩნდნენ თავისავე, მაშინ უკვე ყოფილ სამშობლოში საძულველ გერებად,

ჩვენ ასეთი ნაბიჯი უნდა გადავდგათ,  
უნდა გადავდგათ,  
უნდა გადავდგათ!!!

ჩვენ არა მარტო უნდა შევაჩეროთ ჩვენი დღევანდელი საბედისწერო კლება, ჩვენ უნდა ვიმრავლოთ და ამ სიმრავლით მოვეერიოთ ყველა ჩვენი სიკვდილის მნდომთ!

ჰმ, ამოვიხოცოთო...

ამოხოცვა შენივე თავით, შენივე ხელით, თითქოს სატრაბახოდ, ისტორია რეგვენობად რომ ჩავიწერს, ეს, ვიმეორებ, რა რაინდობაა?!

გუშინ დაწერილი ამის წინა ფურცლები გადავიკითხე უფრო სტილისტური, ვიდრე აზრობრივი დახვეწის მიზნით... აზრში, აბა, რა შემეშლებოდა-მეთქი, თავმომწონედ გავიფიქრე და.. დახეთ, სწორედ რომ აზრში... მაინც, ეს რა დამინერია, ა?! „თუ საქართველო აღარ იქნება, ნუ-ღარ იქნებაო ნურც სხვა ქვეყანა...“

სირცხვილი, ჩემი სირცხვილი!

ჩვენი ბეყეირათობა-უთაობით შავეთისაკენ, გულარხეინად მივექანებოდეთ და...

რას ვერჩი და ჩვენს შემდეგ რატომ აღარ იცოცხლოს საქართველოზე პატარაზე პატარა, თუნდაც ისლანდიამ, თითქმის უხმელეთო, ყინულოვანმა ისლანდიამ, რომელმაც არც კი იცის, რას ნიშნავს „არა იპარო“, „არა კაც კლა?!“ (ამ სტრიქონების დაწერის დღეს მარტო თბილისში, მარტო ბენზინის რიგში, უკვე მესამე ქართველი მოკლეს ქართველებმა...).

რას ვერჩი და ჩვენს შემდეგ რატომ აღარ იდღეგრძელოს საქართველოზე სივრცით ორჯერ პატარა და მოსახლეობის მიხედვით სამჯერ მეტმა, თუნდაც ჰოლანდიამ, რომელმაც ხმელეთი ზღვასაც კი გამოსტაცა და ახლა ეს „ქონდრისკაცი“ ამერიკის მერე მსოფლიოს მეორე მარჩენალია?!

დიახ, რას ვერჩი გარჯილობითა და გონიერებით კურთხეულ დანიას, შვეციას, შვეიცარიას, ნორვეგიას, ფინეთს, სინგაპურს და თუნდაც ამათზე ბევრად დიდ ტაილანდს, სამხრეთ კორეას, იაპონიას და სხვა, და სხვა საკვირველებათა ქვეყნებს?!

რაკი ჩვენ აღარ ვიქნებით, ნუთუ ამათი სულდგმულობაც უნდა ამოიშანთოს მიწისა ზედა? ღმერთო, შემინდე და მაპატიე წამიერად გონებადაბნედილ ცოდვილს წამონაროში ჩემი!..

მარტი  
1984 წელი

პატივისცემით  
კ.პ.





**ბატონ ავლიზ ზურაბაშვილს**  
**„შავზე შავი ნიგნი“, „განათლება“, 1996 წ. გვ. 340.**

**ბატონო ავლიზი!**

ერთობ გამაოცა იმ ამბავმა, რომ თქვენ ჩემი „შავი ნიგნი“ არათუ წასაკითხად დაიტოვეთ, თითქოს მასში დინამიტი დებულებო, უბრალო ცნობისმოყვარეობამაც კი ვერ წაგძლიათ, რომ იგი აქა-იქ მაინც გადაგეფურცლათ.

თქვენი დანაბარები სიტყვა კი ზუსტად მომიტანა ჩემმა „ფოსტალიონმა“ და მეგობარმა ვაჟა ჩინჩალაძემ:

— გადაეცით ბატონ კიტა ბუაჩიძეს, რომ მე ცენზურაგაუფლელ ნიგნებს არ ვკითხულობ...

ჰოდა, რაკი თქვენ, დიდად პატივცემულო ავლიზი, მხოლოდ ცენზურის მიერ ნებადართულ ნიგნებს კითხულობთ, გიგზავნით ამჯერად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს რჩეული სიტყვებისა და სტატიების ქართულ ენაზე ამას წინათ საგულდაგულოდ თარგმნილ 512-გვერდიან კრებულს:

**„პარტიული და სახელმწიფო  
აკარატის  
მუშაობის საკითხები“.**

**იკითხეთ და დატკბით!**

18 ოქტომბერი,  
1984 წელი

პატივისცემით  
კიტა ბუაჩიძე



**გვიმრავლე ქართველებს ასეთი დედაი...**  
**„შავზე შავი ნიგნი“, „განათლება“, 1996 წ., 352-356.**

*Всякий неработающий человек – негодяй.*

**Ж.Ж.Руссо**

*Освобождение себя от труда есть преступление.*

**Л.Толстой**

ერთმა თბილისელმა გურულმა ქალიშვილმა, ახლახან უმაღლესი სასწავლებელი რომ დაამთავრა და სამ და-ძმას გვერდს უმშვენებს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ შრომისმოყვარეობით და მამულიშვილობით საქები ოჯახიდან გახლავთ, ბევრად უფრო გონივრული ბარათი მომწერა, ვიდრე ჩვენი ხალხის მესიობის პრეტენდენტმა, ამ ნიგნის დასაწყისში სტრიქონ-სტრიქონ რომ გაგაცანით.

ცხადია, თქვენ უკვე გაიფიქრეთ, მე მას ხოტბას ვასხამ, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ მე-18 საუკუნის ერთი ბრძენი ფრანგის – ლაროშფუკოსი არ იყოს... „როცა სულელი გვაქებს, ჩვენ ის უკვე არცთუ ისე სულელად გვეჩვენება.“

არა, ეს რომ ასე იყოს, მაშინ მე მას ჩემი იმ გამქიქებლის გვერდით არ მოვიხსენიებდი. ეს ქალიშვილი თითქმის მიწასთან მასწორებს... თითქმის-მეთქი, რადგან ჩემგან ცოტა რაღაცას მაინც ტოვებს მიწის ზემოთ:

„თქვენ გინდათ, კიდევ ერთი საქრთამო ადგილი დააარსონ“...

„თქვენ გავიწყდებათ, რომ ცხოვრების წესად სიყალბე გავიხადეთ, ყველგან და ყველაფერში სიყალბე! გინახავთ კი, როგორ კრეფენ ამ ბოლო დროს ჩაის? ეგებ არ დამიჯეროთ, მაგრამ მაინც გეტყვი – ხის ცულებით.“

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, რომ „ცულების“ ამბავი გაგონილი ბევრად ადრეც მქონდა, რაიც მერე, საკმაოდ მოგვიანებით, ჩვენ ყველამ ეგრეთ წოდებული მაღალი ტრიბუნიდანაც მოვისმინეთ. ეს კია, იმ ტრიბუნიდან და არც რომელიმე სხვა ტრიბუნიდან, აი, ამის მსგავსი ჯერ არაფერი გვსმენია:

„...ანდა, აბა, რა ქნან მეჩაიებმა, როგორ შეასრულონ ეს გრანდიოზული გეგმები? და განა მარტო მეჩაიები არიან ამ დღეში?“

აქ თითქოს პატარა კენჭი კი არა, მოზრდილი კოლბოხია ნასროლი ვენახსა და ზვრებში, და ბევრგან სხვაგანაც...

ჰო, მაგრამ... ეს მეც მომეხსენება, გენაცვალე! ჩვენში ხარისხი და რაოდენობა ძალიან ხშირად ერთად რომ არ მიდიან და შეხმატკბილებულად არ მიიმღერიან, — ამაში რომ ერკვეოდე, ამისთვის არ არის აუცილებელი კაცმა უნივერსიტეტი დაამთავრო, თანაც სულ უნიგნური არც მე გახლავართ, - დამთავრებული მაქვს სტალინის სიკვდილამდე სტალინის სახელობის (და არა ივანე ჯავახიშვილის!) თბილისის უნივერსიტეტის კულინარიის ფაკულტეტი პირველი ხელის მზარეულის დიპლომით, და თუმცა ხუთწლიანი სწავლის პერიოდში თეორიულად არაერთხელ შევამზადეთ, პრაქტიკულ ცხოვრებაში კი, რა თავპირიც არ ვიმტვრიეთ, ვერც მე და ვერც ჩემმა თანაკურსელებმა ერთხელაც, ე რ თ ხ ე ლ ა ც ვერ გავაკეთეთ ინდაურის რიგიანი საცივი... ნიგოზიც ვუყავით, მიხაკ-დარიჩინიც, ზაფრანაც და ზოგი რამ სხვა საკმაზიც, გვერდით ღომიც მივუდგით, მაგრამ ინდაურის საცივს მაინც ვერ დავამსგავსეთ, რამეთუ ამ კერძის, მთავარი რამ, ასე ვთქვათ, ბაზისი გვაკლდა, — ინდაური!

რამდენიმე დედაკაცმა „შავი ნიგნის“ გაცნობის შემდეგ მისაყვედურა, ასე თავგამეტებით რატომ გვესხმით თავს მშვენიერ სქესსო...

ბუნებას ამის გასამართლებლად რაღაც მოსაზრება, ალბათ, უეჭველად ექნებოდა, როცა ანესებდა: ქალების თუნდაც რომელიმე ერთი ფენა აუგად რომ მოიხსენიო, მთელი მდებრობა თავდაცვის მიზნით ბზიკივით გეცემა, რაიც, სხვათა შორის, მამაკაცებში მიახლოებითაც არ შეინიშნება.

ჩემდა სასიხარულოდ, ეს ჩემი უცნობი ქალი-კორესპონდენტი ამ მხრივაც იშვიათი გამონაკლისი აღმოჩნდა... აბა, მოვუსმინოთ:

„გეთანხმებით, დღეს საქართველოს უჭირს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე და ეს გაჭირვება – ო, როგორ მიძიმს ამის დაწერა! – ჩვენი ერის სულიერი დაკნინებაა, ხოლო დაკნინების ყველაზე უფრო საზარელი გამოხატულება აბორტები და აბორტმახერების ასე ბელურებივით მომრავლებაა. ამ სიტყვების უკან დგას ათასობით გაზარმაცებული ქართველი ქალი, რომლებიც თავიანთ უნიათობას და სიზარმაცეს იმით ამართლებენ, რომ... „რა ვქნა, ბატონო, ოჯახს ვუვლი, ვმუშაობ, მესამე როგორღა გავაჩინოო...“

ახლა ესეც გავარკვიოთ, მუშაობენ კი? მსგავსი ქალებით გამოტენილია კვლევითი ინსტიტუტები და საპროექტოები, ლაბორატორიები და გამომცემლობები... ჰოდა, ვინ რას აკეთებს? უფრო ერთობიან, ვიდრე მუშაობენ, სამსახური მათთვის ალიბია, სიზარმაცის ალიბი!“

არა, საქმე სულ არც ასეა, როგორც ამას ეს ფრიად დაკვირვებული ახალგაზრდა ქალბატონი გვიხატავს, მაგრამ ამ სურათში სიმართლის, სულ ცოტა, 80 პროცენტი — მუქი ფერი რომ ბრჭყვიანებს, ამას სოციოლოგიური არც გამოკითხვა სჭირდება, არც გამოკვლევა.

დასტურ, საერთოდ გვჭირდება კი ჩვენ რაიმეში სოციოლოგია, როგორც საკვლევადიებო მეცნიერება? ბრძებისთვისაც კი ნათელს, ყველასათვის თვალხილულს და სულ იოლად გონება-

მისანვდომს განა კიდევ სჭირდება რაიმე კირკიმალი და კირკიტი ჩვენს სარკესავით კრიალა სინამდვილეში?!

ერთხელ ცირკში, არენაზე, კლოუნმა პატარა, მინიატურული, მუხლებამდე რომ სწვდებოდა, ჭიშკრის მაკეტი გამოიტანა, ასეთი წარწერით: „შესასვლელი სამოთხეში“.

ჰოდა, რა ხერხს არ მიმართა, რამდენი არ იწრიალა, რათა სამოთხეში შესულიყო, მაგრამ ვერა და ვერ შეაღწია — უბრალოდ, ჭიშკარში ვერ ეტეოდა... მერე უეცრად, თითქოს მის თავზე ცა გაიხსნაო და სამოთხეში უკვე მყოფმა, ალბათ, თვით ალბერტ აინშტაინმა სტყორცნაო თითქოს ეს გენიალური აზრი, ადგა და „ჭიშკარს“ გადააღაჯა და უსაზღვროდ გაიხარა, რაკი საოცნებო ედემში თავი, ბოლოს და ბოლოს, მაინც ამოყო.

შეიხედეთ ჩვენს რომელიც გნებავთ დანესებულებაში და თვითონვე დარწმუნდებით, რამდენი ქალია... ზოგი ქსოვს, ზოგი თვლემს, ზოგიც პირში სიგარეტგაჩრილი ცისა და ბარისაზე ლაპარაკობს, მოკლედ, - საქმეს ერთი თავი რომ გააკეთებს, იმას ცხრას „აკეთებინებენ“.

(**მინი-ცნობა** ანეკდოტების მოყვარულთათვის: თბილისში არსებობს ერთი მუზეუმი... ჩვენი პირველი, სახელმწიფო მუზეუმი კი არა, არც ხელოვნებისა, და არც ეთნოგრაფიული და არც ზაქარია ფალიაშვილისა... და ეს შედარებით პატარა, არცთუ ცნობილი, უმნახველებო მუზეუმი, რომლის საქმიანობა მარტო „ფუნქციონირობით“ იფარგლება... 77 თანამშრომელს ითვლის!).

**გვიანდელი მინანარი** (1990 წლის სექტემბერი): ჩემი ოპონენტი – ქალიშვილი, რომლის მღელვარე ბარათიდან ამონაწერები ეს წუთია, შემოგთავაზეთ, ამ შვიდი წლის წინათ როგორღაც გავიცანი: იგი აღმოჩნდა სასიამოვნო გარეგნობის, უნივერსიტეტდამთავრებული არა მარტო დიპლომით, მართლაც ცოდნით და მართლაც განათლებით... და რაც უფრო სასიხარულოა ჩემთვის დღესაც, სიტყვანი მისი და საქმენი მისი, მით უმეტეს, ეროვნულ სფეროში, ერთმანეთს არასოდეს არ შორდებიან: გათხოვდა და... თუმცა პირველზე ერთობ მძიმედ იმშობიარა, მეორე ბავშვის ყოლას მაინც არ მოერიდა... არც მეორემ ჩაიარა პირველზე ნაკლებ გაუნვალებლად, და მაინც... ახლა მესამეზეა ორსულად და, როგორც მითხრეს, გეგმაში მეოთხეც ჰყავსო, და ეს არც გამიკვირდება, აკი მას ქმარიც ღირსეული შეხვდა, თანამოაზრე...

მიამბეს ესეც: როცა იგი, ფეხმძიმობით შეუძლოდ მყოფი, ერთმა მასზე ადრე გათხოვილმა თანაკურსელმა, ყოველდღიურად ორი „პაჭკა“ სიგარეტმომსუნთქავმა, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ერთშვილიანობის პრინციპზე სალ კლდესავით მდგარმა, მოინახულა და უსაყვედურა, რას იკლავ, სულელო, თავს, ჯერ მეორე რა იყო და... ეს მესამე მაინც რაღა ჯანდაბად გინდაო, ამაზე ბრალდებულმა ბრალმდებელს მიუგო:

— ზოგი დედად იბადება, ზოგი — ბოზად... მე დედად დავიბადე და ამისთვის ღმერთს უზომო მადლობას ვწირავ.

დედაო ღვთისავ, გვიმრავლე ქართველებს ასეთი დედები, ისეთი „დედები“ კი...მმ...

კიდევ ერთი, ზემო მინანარზე ცოტა უფრო **გვიანდელი**: გუშინ, 10 ოქტომბერს, ჩვენს ტანმომცრო, სულით და სახით ამ ლამაზ ქალბატონს, **ღირსეულ** ქალბატონს ბიჭი შეეძინა: საბა!

ვინ იცის, საბას შეიძლება სულხანიც მოჰყვეს! ასეთი ქართველი დედისაგან ყველაფერი „ავია“ მოსალოდნელი!..

18 ოქტომბერი  
1984 წელი

კ.პ.

„კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შინისა...“  
„შავზე შავი წიგნი“, „განათლება“, 1996წ. 370-372გვ.

ახალბაზრდებო,  
შუახნისანო,  
ხნიერებო და მოხუცებო,  
დანო და ძმანო!

ძართველებო!

მრავალი ჩვენი ოჯახური უბედურება გამონვეულია ჩვენი მცირეშვილიანობით, ერთი თუ ორი ხელიხელ საგომამანებელი, ხატად ქცეული, სათაყვანო პირმშოებით!...

ვიცოდეთ და გვახსოვდეს:

— მამაკაცებო, მცირეშვილიანობით ცოლებს ძალაუნებურად თავად თქვენვე უნყობთ ხელს საძრახის გზაზე დადგომაში!

დიახ, როცა ქალს ერთსა და ორ შვილზე ფიქრი და საზრუნავი გამოელევა, მის თავში თქვენი შემარცხვენელი აზრები იკიდებენ ფეხს!

— ცოლებო, ერთი და ორი შვილია მთავარი მიზეზი იმისა, კერია რომ გენგრევათ და მიტოვებული რჩებით; სამი შვილიც კი უკვე ფრთებს უკვეცავს გასაფრენად შეღერებულ ქმრებს!

საერთოდ, გიხაროდენ, ქალებო, თუ დედად დაიბადეთ და არა — ბოზად, და ხელოვნურად ნუ ჩაკლავთ თქვენში საამაყო დედობის ამ მადლცხებულ გრძნობას!

— დედებო და მამებო, სიხარულით კვიცივით ნუ ავკუნტრუშდებით ხოლმე და 18—20 წლით ადრე თავს ნუ დავიმშვიდებთ და ნუ გამოვიტანთ იმ სანეტარო დასკვნას, რომ ჩვენი ერთადერთი სასოება და იმედი უთუოდ ნიჭიერი და ქვეყნის თვალი გამოვა, რაკი უკვე ახლაც, ორი-სამი წლის ასაკშიც კი ტიტინებს — „რაო, ბატონო მელაო...“

გულს ნურც იმით გავიკეთებთ და უდარდელ შვება-ლხენას ნუ მივეცემით იმ იმედით, თუ-კი ნორჩობაში თქვენი იიკო თუ ციიკო „პირდაპირ კუკლაა“, დაქალიშვილებისასაც ასეთივე „კუკლა“ იქნება...

ნუ დაიზარებთ, წაბრძანდით ზოოპარკში და შეათვალიერეთ: პატარაობაში ბეჭემოტიც კი ლამაზი და მიმზიდველია!

კოზაკიც!

ბულდოგიც!

... და როცა მშობლების ეს ვარაუდი მეტწილად არ მართლდება, მათი ერთადერთი „ნაკუკლარი“ რჩება მწარე ბედის მომდურავი და დედ-მამის ცხოვრებიდან ნასვლის შემდეგ კი სულაც მიუსაფარი: გვერდით არც ძმა, არც და... ახლა დრო დაგვიდგა ისეთი, ბიძაშვილ-დეიდაშვილებსაც აღარ სცალიათ სანათესავოდ...

ნუ იქნებით სულელურად გულდაჯერებული და თავს ნუ მოიტყუებთ იმ უნიადაგო რწმენით, რომ ასეთი ბედი შეიძლება ეწიოს თქვენს ნაცნობს, თქვენს მეზობელს, თქვენს ახლობელს, თქვენს მტერს, მაგრამ არა და არა — თქვენს ერთას!...

ახლა ხშირად ამოიკითხავთ, ანდა გაიგონებთ საქებრად ნათქვამს, ესა და ეს ამდენ და ამდენ შვილს უზრდის მამულსო...

კი, მამულსაც, მაგრამ... ეს შორსმჭვრეტელი, გონიერი ადამიანი, უწინარესად, მათ თავის თავს უზრდის, და-ძმებს უზრდის, ოჯახის საძლიეროდ ზრდის...

ჰოდა, სადაც ოჯახი ძლიერია, იქ მამულიც ძლიერია!

...მიიხედ-მოიხედეთ. ბოლო ხანს ამ ჩვენს სიტყვით სათაყვანო მამულში როგორ მომრავლდნენ ქართველი მათხოვრები, წინათ მათ ანთებული კვართაც ვერ ნახავდით...

ყველა ისინი ეულები არიან,

რაკი ამ ფრაზაში ჩაქსოვილი აზრი ორივე „შავი წიგნის“ საფუძველთა საფუძველია, და თუმცა იგი არაერთხელ უკვე ითქვა, მე მას მაინც ერთხელ კიდევ მოგაგონებთ:

— შვილი, რაც მეტი გეყოლება, მით უკეთესია: ზოგი კაი გამოვა და ზოგიც გლახა... ჭკუითაც, გარეგნობითაც, საქციელთაც!

ეს ბუნების სიბრძნეა, დიდი სიბრძნე, რომელიც არც პროფესორს უთქვამს და არც აკადემიკოსს, არც მწერალს, არც მინისტრს....

ამ გონიერებით სავსე დასკვნამდე ერთი ისეთი მრავალშვილიანობის პრაქტიკოსი ქალი მივიდა, რომელსაც სკოლის პირველ კლასშიც კი არასოდეს ფეხი არ შეუდგამს...

მიიხედ-მოიხედეთ: თვითონ ცხოვრება გვიდასტურებს, რომ ხშირად, ძალზე ხშირად მშობლებს ათი შვილიც არ გაამწარებს ისე, როგორც ერთი, მამისა და დედისერთა!

ღიას!

მამ ასე: გულით საყვარელო ჩემო მკითხველო, მოანია დრომ, როცა უნდა დაგემშვიდობო და ერთხელ კიდევ მოგმართო: ის „შავი ნიგნი“ და ეს „შავზე შავიც“ თეთრად რომ იქცნენ და ჩვენმა მძიმე სატკივარმა არ შეგვიწიროს, ეს დიდად არის შენზე დამოკიდებული, და არა მარტო შენზე, — ჩემზეც, მასზეც, ყველა ქართველზე, თუკი იგი, ცხადია, ჯერ საკუთარი თავისა და მერე კი თავისივე ქვეყნის რეგვენი მტერი არ არის...

მე მოგმართავთ თქვენ, ქართველებო, არა სიტყვიერი, გატლექილი ენით გამრავლებისკენ...

პაპა ხარ თუ ბებია, შვილიშვილზე იმოქმედე, მამა ხარ თუ დედა, შვილებზე იმოქმედე, ახლად შეუღლებულნი თუ ხართ, ერთმანეთზე იმოქმედეთ, თუ ასაკი ხელს გიწყობთ და ჯერ არ შეუღლებულხართ, იჩქარეთ, ნუ გადასდებთ...

საქართველო განსაცდელშია, ახლა წყდება ბედი მისი...

ვიხსნათ, ვიხსნათ ჩვენი სამშობლო აღგვისა და მოსულ-მომსვლელთა ნალექვისაგან!

ტსს...

აბა, ყური მიუგდეთ... გესმით? ქართველების სასაფლაოზე ქართველების მესაფლავენი — მიკიჩ-აბდულ-ზაურბეკ-კუმფი ამ სამი წლის წინათ გულში თუ ღიღინებდნენ, ახლა უკვე მოურიდებლად ნახევარი ხმით მღერიან და...

ნუ, ნუ!

ნუ მივცემთ მათ ჩვენი ბელოვლაობით,

ჩვენი უღარღელობით,

ჩვენი ღაუღევრობით,

ჩვენი უშნარობით,

ჩვენი უჭკუობით,

ბახარების საბაბს, რომ მთელი ხმით ამღერდნენ:

საქართველო მაღე თქვენი აღარ იქნება-ა...

10 მარტი—25 ივნისი,

1984 წელი

კიტა ბუაჩიძე



**გიგლა ჭელიძეს!**  
**(ქალაქი ნულუკიძე, გამარჯვების ქუჩა №70)**  
**„შავზე შავი წიგნი“, „განათლება“ 1996 წ. გვ. 397-401**

პატივცემულო გიგლა!

ჩვეულებრივ, ვინც ბავშვობის სახელით თავს არ „იმშვენებს“, მე მათ, როგორც წესი, ყველას ბატონობით მივმართავ ხოლმე.

თქვენ უკვე ოცდათვრამეტის ბრძანებულხართ და, ცხადია, „ბატონო“ უფრო შეგფერით, ვიდრე...

ოღონდ გიგლა და „ბატონო“, ყოველ შემთხვევაში ჩემს წარმოდგენაში, ერთმანეთს როგორღაც ვერ ეწყობა, ამიტომაც „პატივცემულო“-მეთქი, თუმცა... საქართულოდ მიმართვის ამ ფორმას გამორჩეული პატივისცემით მაინცდამაინც არცთუ ვეპყრობი..

მაგრამ ეს საერთოდ...

მწერთ, მარნეულში მივლინებაში ყოფნისას ერთმა აზერბაიჯანელმა სუფრაზე, სადღეგრძელოში მითხრაო, ეს ჩემს მარნეულს და თქვენს საქართველოს გაუმარჯოსო, რამაც გული მოგიკლათ...

აღბათ იცით, მარტო მარნეულის რაიონში ასი ათასამდე მუსულმანი მცხოვრებია, მაშინ, როცა, მაგალითად, ყაზბეგის რაიონში ქართველობა შვიდ ათასამდე ძლივს დაითვლება.

...ინერებით, რომ ორი ბიჭის მამა ხართ და ჩემი „შავი წიგნი“ ცოტა ადრე რომ წაგეკითხათ, უეჭველად ოთხს მაინც იყოლიებდით, ახლა კი იმედი შვილებზე გადაგაქვთ, ჩემს შეცდომას გამოვასწორებინებო...

ო-ო, გიგლა ჩემო, გიგლა ჩემო, ყველაფერი ეს ზღაპარია, ცრუ იმედები და თავისმოტყუებაა!

როცა დღევანდელი ჩვენი მცირეწლოვანი შვილები ჩვენი საბედისწერო შეცდომების გამო მონსორებსა შეუდგებიან (ესეცაა, შეუდგებიან კი?!), მაშინ ნულუკიძე-ხონს „მათმა მარნეულმა“ შეიძლება შემოაღწიოს კიდეც.

აღბათ გახსოვთ, ჩემს წიგნში, რომელსაც თქვენ ასე გაუტაცინხართ, რომ ერთ ღამეში თავაულებლივ წაგიკითხავთ, ვწერ, — ჩვენ ყველას საქართველო თითქოს გვიყვარს კიდეც, ოღონდ სამოთხეში შესვლა ყველას სხვისი ფეხით გვინდა-მეთქი...

ამ მხრივ, როგორც ჩანს, არც თქვენ უნდა იყოთ გამონაკლისი...

კაცი ჯერ ორმოცი წლისაც არ ბრძანდებით, თქვენი მეუღლეც, არა მგონია, თქვენზე უფროსი იყოს და... ვითომ ასე ხანდაზმულნი ხართ, მესამე შვილი, თანაც გოგო, თქვენს ბიჭებს რომ მოუვლინოთ და აგრეთვე თქვენივე თავსაც, — განა არ შეგიმჩნევიათ, მოხუც მშობლებს ქალიშვილები უფრო გულისხმიერებით და მზრუნველობით რომ ეპყრობიან?

ვინ იცის, იქნებ იმის გერცხვინებათ, რომ თქვენი უმცროსი ბიჭი უკვე თერთმეტი წლისაა?!

ჩემი მშობლები თქვენზე ხნიერები იყვნენ, როცა მე ამ ქვეყანას კნავილ-ღნავილით გამოვეცხადე, შვილებში სათვალავით მეცხრე...

ნაბოლარასა და სულ უფროს ქალიშვილს შორის ასაკობრივი განსხვავება თითქმის ოც წელს აღწევდა.

ვიცი, იტყვი, იმ დროს ქართველი ხალხი ჩამორჩენილი და გაუნათლებელი იყო, ახლა კი ყველანი გავნათლდით და დროშიც ათასჯერ უფრო ბედნიერში ვცხოვრობთო და სხვა ამისთანები...

ჰო, მაგრამ...

ჩემს ნაშრომში მოხსენებულმა 46 წლის ქეთევან ნიგურიანმა მეთორმეტე შვილი მაშინ შობა...

არა, კი არ გაპარვია, როგორც ამას ზოგჯერ გულისწუხილით აღნიშნავენ, სრული შეგნებით იყოლია მეთორმეტე შვილი მაშინაც კი, როცა პირველი შვილიშვილი... უკვე სამი წლისა ჰყავდა!

აი, ვინ არის საამაყო ქართველი ქალი და არა გადაგვარების გზაზე შემდგარი ის ერთშვილიანი და ორშვილიანი დღევანდელი ქართველი ქალები, რომლებიც ასეთი მცირეშვილიანობით საკუთარ თავსაც მტრობენ და თავისივე პირმშოებსაც.

ახლა ჩვენში რადიო-ტელევიზორიდან ხშირად გაიგონებთ და ასევე ხშირად პრესაშიც ამოიკითხავთ უკვე ტრაფარეტად ქცეულ გაცვეთილ ფრაზას, ესა და ეს ამდენსა და ამდენ შვილს უზრდის მამულსო, ამან და ამან ამდენი და ამდენი შვილი მამულს აჩუქაო...

არა, ბატონო, მამულს კი არა, თავის თავს აჩუქა, თავისივე შვილები გააბედნიერა...

დიახ, მრავალი შვილი, უწინარეს ყოვლისა, და-ძმების, მშობლების, ოჯახის ძლიერებაა.

მერე კი, რაც აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, ეს ერისათვის, საქართველოს სამარადჟამო სასიცოცხლოდ ნაბოძები ნობათიცაა!

თქვენ გეამაყებათ, რომ შვილებს მურთაზი და ჯამბული კი არ დაარქვით, არამედ გიორგი და ზურაბი...

ეს თავისთავად, რასაკვირველია, კარგია და მოსაწონი, ოღონდ ნუ ვიფიქრებთ, რომ უკვე ახლაც ათი ათასობით მოზღვავებულ ალიასა და მიკიჩასაგან თითო ოროლა ზურაბი და გიორგი გვიხსნის...

დიახ, „მარნეული“ და „ახალქალაქი“ დღითიდღე სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებიან და თუ გინდათ, გიგლა ჩემო, თქვენი ზურაბი და გიორგი და მათი შვილები და შვილიშვილები თავისივე სამშობლოში ჩვენ შემდეგ ლაღად და გულოვნად ცხოვრობდნენ, ამთავითვე უნდა იმოქმედოთ მათივე სასიკეთოდ.

ეს, რასაკვირველია, მარტო თქვენ როდი გეხებათ, — ასი ათასობით თქვენებრ ქართველთ!

გვახსოვდეს: ჩვენი მხსნელი მხოლოდ პირადი მაგალითია!

ამას, მგონი, მეასეჯერ ვიმეორებ და მისი გამეორებით, თუკი ეს ჩვენს ეროვნულ საქმეს ოდნავ მაინც წინ წასწევს, არც ოდესმე დავიღლები, ოღონდ ესეც არის...

ამას წინათ ჩემთან სტუმრად მოსულმა თერთმეტშვილიანმა სვანმა, დავითიანმა, გულდანყვეტით მითხრა, ბრიყვსა და უგუნურს გინდა შავი წიგნი უკითხე, გინდა თეთრი, სულ ერთია, მაინც აბორტმანერთან გარბისო.

თქვენი წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უგუნურთა სიაში თქვენი ჩანერა ჯერ ნაადრევი იქნებოდა...

ღმერთმაც ქნას, ამ სამარცხვინო სიაში არც მერე შემეტანეთ.

16 თებერვალი, 1986 წ.  
თბილისი.

კიტა ბუაჩიძე

P.S. რაკი ჩვენი ფოსტის მუშაობას სულ მთლად ვერ ვენდობი, გთხოვთ, ამ ბარათის მიღების ფაქტი თუნდაც სულ ერთი სიტყვით დამიდასტუროთ: „მივიღე“.

სხვათა შორის, ჩვენში ვისაც თავი დიდთავა ინტელიგენტად მოაქვს, წერილზე პასუხისათვის, ჩვეულებრივ, თავს არ ინუხებს, ვისაც კი საამისო პრეტენზია არ გააჩნია, მეტწილად უფრო ისინი იძლევიან პასუხს.

თქვენ კი...

„მე ერთი უბრალო გურული კაცი ვარ“, აკი ჩემდამი მოწერილ ბარათს ასე ინყებთ.

### გიგლა ჩემო!

თქვენი ბარათი მივიღე. მის საპასუხოდ გიგზავნით ჩემს „შავ წიგნს“ საჩუქრად, რაკი მას თქვენზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ, როგორც ინერებით, მე და ჩემს მეუღლეს კი არა, ღრმა მოხუცებსაც კი ჩააფიქრებსო.

მაგრამ მარტო ჩაფიქრება და სინანულით გულზე ბაგუნი სულაც არ ეყოფა ახლა ჩვენს ერთსა და ორ შვილს და ჩვენც სამომავლოდ, როგორც მშობლებს, და არც ჩვენს პატარა ქვეყანას ქართველურად სასიცოცხლოდ...

მოხარული ვარ, რომ არ გსურთ, მოხვდეთ „ბრიყვთა და უგუნურთა სიაში“, და რომ თქვენ და თქვენი მეუღლე ყოველთვის იქნებით ერთგული იმ მოწოდებისა, რომ არ გადავშენდეთ და პრაქტიკულად ეცდებით, წვლილი შეიტანოთ თქვენი ოჯახისა და ჩვენი ერის სიძლიერის საქმეში.

თქვენი ეს სიტყვები მე იმგვარად გავიგე, რომ მესამე შვილს უეჭველად იყოლიებთ, და როცა ის გეყოლებათ და ამ სასიხარულო ამბავს შემატყობინებთ, მე თვითონ ჩამოვალ ხონში და სამადლობელ სიტყვებს წაგიწერთ ამ წიგნის თავფურცელზე...

მინდა, იცოდეთ, რომ ავტორისეული წარწერით ერთ ან ორშვილიანისათვის ჯერ ეს წიგნი არავისთვის მიმიძღვნია და არც ოდესმე მივუძღვნი, თუნდაც იგი ქვეყნის მპყრობელი იყოს და ამის საფასურად მეორე სიცოცხლეს მაჩუქოს.

6 მარტი,  
1986 წელი

კიტა ბუაჩიძე

P.S. სიახლისა და პროგრესის მტრობაში ნუ ჩამითვლით, რაკი წულუკიძე ხონად მოვიხსენიე... რა ვქნა, თუმცა ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც ზოგიერთ ქართულ ქალაქს სახელი გვარებზე შეუცვალეს, მე კი ამას დღემდე ვერ შეგვუბივარ, რადგან ასეთი რამ ქართული ენის ბუნებიდან არ გამომდინარეობს.



### ქალბატონო მზია!

„შავზე შავი წიგნი“, „განათლება“, 1996 წ. გვ. 402-406.

მადლობას მოგახსენებთ ბარათის გამოგზავნისათვის და მოხარული ვარ იმის გაგებითაც, რომ თქვენ და თქვენი მეგობარი ქალები ჩემმა „შავმა წიგნმა“, ასე თუ ისე, სულიერად აგაფორი-აქათ და ცოტათი მაინც გამოაღვიძა თქვენში პატრიოტული გრძნობა.

ეს ერთობ კარგია, ოღონდ ცუდი ის იქნება, თუკი თქვენი გულისწუხილი მხოლოდ წუთიერად გაიელვებს და წიგნის დახურვისთანავე აორთქლდება და გაქრება.

ამჟამად ქართველ ერს მარტო სიტყვიერი მოთქმა-კვნესა „ვაი ჩვენს თავს, რა გვეშველება!“ — როდი უშველის, ყველა ჩვენგანმა, პირველ ყოვლისა კი ქალებმა, ჩვენი ეროვნული ტაძრის უკვე ასე ძალუმად მორყეული საძირკვლის გასამაგრებლად, სულ ცოტა, თითო-თითო აგური მაინც მივიტანოთ.

მაგრამ ჩვენი დიდი ეროვნული უბედურება სწორედ ის გახლავთ, რომ ამის გაკეთება თითქმის არავის გვინდა, არ გვინდა, საკუთარი და, ამავე დროს, სასამშობლო საქმისათვის გავისარჯოთ და თავი შევიწუხოთ.

აი, თქვენ ახალგაზრდა ქალი ბრძანდებით, მხოლოდ ორი შვილი გყავთ, თანაც ორივე ბიჭია (ხანში შესვლისას, და მით უმეტეს სიბერეში, როგორც წესი, ვაჟები მშობლების მიმართ უფრო ნაკლებ გულის სითბოს იჩენენ, ვიდრე ქალიშვილები)...

ჰოდა, აბა, ისეთი რა დაგიშავდებათ, რომ ამ ჩვენი დიდი ეროვნული განსაცდელის ჟამს მესამე შვილიც იყოლიოთ და ამით ცოცხალი მაგალითი მისცეთ ნათესავებს, ახლობლებს, ნაცნობ-მეგობართ და, თუ გნებავთ, მეზობლებსაც; დრო რომ გაივლის, მაშინ კი მიხვდებით, რომ ამით საკუთარი თავიც გაიბედნიერეთ, შვილებიც გააბედნიერეთ და, საერთოდ, სამშობლოსაც მხარში ამოუდექით.

მე ჩემს წიგნში ხაზგასმით ვწერ და ახლა პირადად თქვენთვის ვიმეორებ, რომ ჩვენ, როგორც ერს, იმ ტრაგიკული ჩიხიდან, რომელშიც უკვე კარგა ხანია, ვიმყოფებით, შვილიერების პირადი მაგალითი თუ გამოგვიყვანს.



და თუ ჩვენ უკვე კარზე მომდგარ უბედურებას თავს დავალწევთ, მაშინ თქვენს შვილებს 30-40 წლის შემდეგ თავში ველარ ჩასცხებენ, როგორც ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენლებს (თავისივე სამშობლოში!) ვერც სომეხი და ვერც ქურთი, ვერც ოსი და ვერც აფხაზი და ვერც თათარი-აზერბაიჯანელი...

და მაშინ თქვენ და თქვენისთანებს აღარ დაგჭირდებათ სინანულით ლოყაზე ხელის შემორტყმა, როგორადაც ახლა ირტყამენ კიდეც შვილიერების ასაკს გადაცილებული, მცირეშვილიანობით შენუხებული, გვიან გონს მოსული ქართველი „მანდილოსნები-სიგარეტოსნები“...

მე პირადად ამ ბოლო დროს ასეთები ბევრი შემხვედრია, ჰოდა, ნურც თქვენ გაიხდით მომავალში სადარდებლად მსგავს საქციელს.

ამას წინებზე ავთანდილს, თქვენს მეუღლეს, სიტყვა ჩამოვუგდე, რა დაგიშავდებათ, მესამე შვილი რომ იყოლიოთ-მეთქი...

არა, მას ქვა არ აუგდია და მისთვის თავი არ შეუშვერია, ეს კი ბრძანა ლამაზ თვალეზე ცრემლმორეულმა, ცოლს ხომ ვერ დავჩაგრავო...

გამელიმა, სიმწრით, ცხადია... თქვენ ის სხვა მხრივ ნუ დავჩაგრავთ, თორემ ეს დაჩაგრვა კი არა...

დედაჩემმა ცხრა შვილი შობა და ღრმად ვარ ამაში დარწმუნებული, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ მან 95 წელიწადი იცოცხლა, და იცოცხლა არა როგორც ცოცხალმა გვამმა, — სულ საქმით მოფუსფუსემ, შვიდშვილიანმა დედაჩემმა კი — 97!

მშობიარობა ქალის ორგანიზმს მხოლოდ აახალგაზრდავებს, აბორტები კი ხშირად „აკიბოებს“ კიდეც მას.

ერთხელ თქვენმა ქმარმა ესეც მითხრა... ამით უნდოდა, ალბათ, თავის ორშვილიანობისთვის ჩემს თვალში საბოლოოდ ლოგიკური ნერტილი დაესვა, — მე კაი ბიჭები მყავსო.

ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ „კაი ბიჭებით“ ხშირად იღერებთ ყელს და ეს ბუნებრივიცაა, აბა, ეს რომელ დედას დაეძრახება, ოღონდ...

ღმერთმაც ქნას, თქვენი ბუთხუზა ბიჭები ბუთხუზებად დარჩენილიყვნენ — ამ სიტყვის იდეალური გაგებით — ჭაბუკობასა და მონიფულობაშიც და მერეც, მაგრამ ამით თავის დამშვიდება მეტწილად ნაადრევია ხოლმე და ხშირად იგი საბოლოოდ თავის მოტყუებით მთავრდება; ბავშვობაში, ვიდრე ჩვენ დედის კალთაზე ვართ ჩაფრენილი, ყველანი „უი, დედა, რა კარგები“ ვართ, მერე და მერე კი... ალბათ გაგიგონიათ, რაც უფრო იზრდება, მით უფრო ვირდებაო. მით უფრო ახლა, ამ ჩვენს უკუღმართ დროში, — აბა, ერთი, ირგვლივ მიიხედ-მოიხედეთ, თითქმის მასობრივად რა თავისმომჭრელი ამბები ხდება, თავისმომჭრელი საკუთარი თავისა, თავისმომჭრელი მშობლებისა და თავისმომჭრელი შენივე სამშობლოსი!..

დიახ, რა სრულყოფილადაც უნდა ზრდიდე — მუსიკასაც ასწავლიდე და ინგლისურსაც, ცეკვაზეც დაგყავდეს და ცურვაზედაც, — მაინც არავინ არა ვართ ამისგან, ე.ი. სიგლახისგან დაზღვეული, ამიტომ დედაჩემის აზრი, რომელიც მან საკუთარი შვილების „განაწილებისას“ გამოთქვა, არც ახლა კარგავს ერთგვარ პრაქტიკულ სიბრძნეს: შვილი რაც მეტი გეყოლება, მით უკეთესია; ზოგი კაი გამოვა და ზოგიც — გლახაო.

ადამიანის ავი და კარგი, მისი ხასიათი დედის საშოშივე ჩანასახთან ერთად ისახება და მერე, დიდობაში, იგი აღზრდისა და სოციალური გარემოს ზეგავლენით, შეიძლება ცოტათი გაფუჭდეს, ან ცოტათი გაუკეთესდეს, მაგრამ მხოლოდ ცოტათი...

თქვენ პედაგოგი ბრძანებულხართ და როგორც პედაგოგს, მე ვფიქრობ, არ გაგიჭირდებათ, აი, თუნდაც თქვენი ქმრისა და თქვენი მაზლის ხასიათი შეადარ-შეაპირისპიროთ. განა ისინი ერთმანეთს ყველაფერში ემთხვევიან? არადა, ხომ აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში და ერთნაირ გარემოცვაში იზრდებოდნენ?!

ამ რამდენიმე დღის წინათ ერთშვილიანი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, წინო და ვანო ყიფიანები მესტუმრნენ და მე იმ დღეს, ავადმყოფ კაცს, გულის გასამხნეველად წამალი აღარ დამჭირვებია, ნიტროგლიცერინის მაგივრობა სინარულმა გამიწია: არათუ ჩემთვის, ღვთის მადლით, ჯერჯერობით კარგად მხედველისთვის კი არა, ნახევრად ბრმისთვისაც ქალის ორსულობა ადვილად შესამჩნევი იქნებოდა, უკვე მეცხრე თვეში იდგა და მე როგორღაც ანაზღად მომაგონდა სახარებიდან: „კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა...“

შემოსვლისთანავე ვაჟმა ცოტა ზეანეული ტონით მომმართა, თითქოს უნდოდაო, რომ ეს ცოლსაც გარკვევით გაეგონა:

— ეს სულ თქვენი წიგნის წყალობაა, ბატონო, და თუ ახლო მომავალში მესამესაც არ იყო-  
ლიებს, თქვენი თანდასწრებით ვუცხადებ, - სხვასთან გავაჩენ.

— ო, ღმერთო!..

გვიხსენ, ღმერთო, საქართველოში ახლა ასე მომრავლებული „გადედლებული“ ქართველი  
კაცუნებისგან და გვიმრავლე ასეთი „მამალი“ ქართველი ვაჟკაცები!..

რალაც ბედად, მეორე დღემაც დიდი სიხარული მომიტანა: მივიღე თემქაში მცხოვრებ 160-  
ე საშუალო სკოლის მასწავლებლის, სამშვილიანი ლიანა მარსაგიშვილის ბარათი, რომელშიც  
ასეთი რამეც ამოვიკითხე:

„თქვენი წიგნის წაკითხვისას ჩვენმა პედაგოგმა ნანა კაპატაძემ გადაწყვიტა, აღარ დაღუ-  
პოს ნაყოფი და მესამე შვილის შემდეგ, რომელიც შვიდი თვის მერე დაიბადება, მეოთხეც იყო-  
ლიოს.“

დიახ, მე ის როდი მახარებს ხოლმე, როცა წერილობით თუ სიტყვიერად სულელურად მა-  
ქებენ, თითქოს მე დიდი მამულიშვილი ვიყო, რომ დადგება დრო და წმინდანებში შემრიცხავენ,  
რომ „შავი წიგნი“ ჩვენი დროის „ვეფხისტყაოსანია“ და სხვა ამისთანები, - მე მახარებს მხოლოდ  
ჩემი წიგნის პრაქტიკული ნაყოფი, რაც ასე გადაუდებლად გვჭირდება ყველა ჩვენგანს – გასათ-  
ხოვრებსა და უცოლოებს, ერთსა და ორშვილიანებს, თავად ამ ჩვენს შვილებს და, საერთოდ კი,  
ახლა გადაშენების გზაზე შემდგარ ჩვენს სამშობლო-საქართველოს!..

25 დეკემბერი, 1983 წელი  
თბილისი

იმიდით და პატივისცემით  
კიტა გუაჩიძე



**საიტი მიაქანება ქართული თეატრი?!**  
**„შავზე შავი ნიგნი“, „განათლება“, 1996 წ. გვ. 409-477.**

*Театр – высшая инстанция для решения жизненных вопросов.*  
*А. Герцен*

თეატრის დანიშნულება ხალხის ცხოვრებაში ასე განსაზღვრა ალექსანდრე გერცენმა...

აუ, ჯერ კიდევ როდის!

როცა ნიკოლოზ პირველმა გოგოლის „რევიზორი“ ნახა, სამეფო ლოჟის სავარძლიდან წელი ძლივს აითრია და ნაღვლიანად წარმოთქვა: - „Попало всем, и прежде всего – мне!“

სხვათა შორის, თუმცა „попало и ему“, იმპერატორს გულში ფიქრადაც არ გაუვლია, რომ მისი რეჟიმის გამაბახებელი კომედია აეკრძალა.

და მაინც, ისეთი „თავისუფლების“ დროსაც კი თეატრს არ შეეძლო გადაენწყვიტა ცხოვრებისეული საკითხები და ვერც ვერასოდეს გადაწყვეტს იგი ასეთ საკითხებს. თეატრს მხოლოდ მათი დასმა-ნამოყენება შეუძლია.

ესეც არის, თუ ნამოყენებინეს, თუ საამისოდ გზა არ გადაუღობეს!

ცოტა არ იყოს, მეუხერხულება საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ჩემი ამ აზრის გასამაგრებლად სხვა, უფრო დამარწმუნებელი მაგალითი, თანაც დოკუმენტურად შემონახული, არ მეგულება.

თითქმის ოცი წლის წინათ მე დავწერე სატირული კომედია „პლატონი“ („ფორმულა პლატონისა“), რომელშიც, მგონი, პირველმა ავსახე ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების ზოგიერთი მახინჯი მხარე, უფრო შერბილებულად ნეგატიურ გამოვლენებს რომ ვეძახით, და რომლებიც არ გვალამაზებდა (არც ახლა გვალამაზებს).

ეს მაშინ საკმაოდ შესამჩნევი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი გამბედაობა იყო, რაიც ჩვენს დროში, ეს ბევრს მოეხსენება, - მაინცდამაინც დიდი მონონებით არ სარგებლობს, და ეს იყო, ალბათ, მიზეზი იმისა, რომ ჟურნალ „ცისკრის“ ჯერ ძველმა რედაქტორმა მისი დაბეჭდვა გააძალდა, მერე კი ახალმა, ქალაქის დასუფთავების ტრესტის მსახურთა მეთოდით, როცა რედაქციის დანაგვიანებულ უჯრებს ასუფთავებდა, ერთი ახალგაზრდა მწერლის ხელით უკან გამომიგზავნა - მაღლობა მას! - არა როგორც ნაგავი, არამედ... ეს რომ დავბეჭდოთ, დაგვიჭერენო.

დაჭერით, არა მგონია, დაეჭირათ, მან უფრო ის იანგარიშა, რომ მისთვის უცნობი, ხანდაზმული ავტორის გამოსამზეურებლად არ ღირდა დეფიციტური საჟურნალო ქალაქის განიავება, აკი იგი, მისი დანიშნით გახარებულ თავის უახლოეს მეგობრებსაც არ ეყოფოდა... და არც აუტიკვარი თავის - ვინ იცის! - შესაძლო ატიკვებაც მიიჩნია სავაჟკაცო საქმედ.

შემდეგ კი, როცა საქართველოში 1972 წლის მიწურულს ახალმა სიომ დარის დადგომა გვაუნწა, მე გავიფიქრე, ეს ძველი, ჩამოხუთული ჰაერის გასაფილტრავად დანერილი პიესა ეგებ ახლა მაინც დაიდგას, აი, იმ დიდი ავდრიანობის ამსახველი, თუნდაც როგორც უკვე ისტორიული ნაწარმოები-მეთქი...

თქვენ არ იცით, რა არის პროფესიონალი დრამატურგისათვის დაუდგმელი პიესა, — მკვდარია, რომელიც დროზე, დანიშნულ დროზე უნდა გასვენდეს...

ახსოვს კი ვისმე, ჭირისუფლებს განცხადება გამოეკრათ, უამინდობის გამო გასვენება გადადებულაო?!

ჰოდა, რაკი ასეთ შავ დღეში არა ერთი და ორი წელიწადი ვიყავი, ჩემი მკვდარი რომ დამარხულიყო, რანგით არცთუ ისე დიდი, მაგრამ მაინც საკმაოდ მოზრდილი კაცის შეგუბებით, იმ მართლაც უმაღლეს ინსტანციას მივაკითხე, რომელიც წყვეტს ჩვენში არა მარტო დიდ ცხოვრებისეულ საკითხებს, — სულ პატარასაც კი...

იმ ხანებში იქ ამ მოზრდილი კაცის ხელქვეითად მუშაობა დაიწყო ერთმა ნამდვილმა ლიტერატორმა, პროფესორმა... პირველ დავალებად მას თურმე ჩემი პიესა მისცეს ზეპირ სარე-

ცენზიოდ და, როგორც ჩანს, თავის უფროსს ისე შავად მოახსენა მისი ავ (-კარგის გამოკლებით!), რომ მას, რალა გასაკვირია, სულ დაეკარგა სურვილი დამხმარებოდა, და თუმცა პირველად თავად წამაქეზა, ახლა კი, ვითომ აქ არაფერ შუაში ვარო, თვალსაწიერს გაპონივით მიეფარა, — ჩვენ ვერ ვეცყვით თეატრს, ეს დადგი, ის დადგი, ეს თვითონ თეატრის საქმეა, ჩვენ არ ვერევით თეატრის ფუნქციებშიო...

გამეცინა, რა თქმა უნდა, სიმწრით გამეცინა, აკი მკვდრის გასვენების გზა ამით სულ მეკეტებოდა, და მაინც, რომ არ ეფიქრა, მე ის გულუბრყვილო ფერეიდნელი რეპატრიანტი ვარ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არც დაბადებულა, არც გაზრდილა და არც დაბერებულა, ცოტა მკვახედ მივუგე, უთქვენოდ თეატრი კი არა, მღვდელიც არ ინიშნება სულ მიყრუებულ ეკლესიაში-მეთქი...

კარს, აბა, რას ვერჩოდი, ამიტომაც უხმაუროდ გამოვიხურე და... ამასობაში ეს ჩემი (და არა ჩემი მკვდრის) დამმარხავი პროფესორიც შემომეყარა: მარმარილოს კიბეზე ვორონცოვ-დაშკოვის დარბაისლური ნაბიჯებით ამოდიოდა და იოლად შევატყვე, წინათ რომ იტყოდნენ, 14 შაურად და ახლა რომ ამბობენ, 70 კაპიკად ღირებული მშვენიერი სადილი მიერთმია მახლობლად მდებარე დახურულ, „წითელ“ სასადილოში და მშვენიერ გუნებაზეც იყო; ჩემს საყვედურზე — თქვენისთანა დიდმა ლიტერატორმა, ძველი ბერძნული და ლათინური ენების მცოდნემ, ჩემისთანა პატარა ლიტერატორს ასე ერთი ხელის დაკვრით, თითქოს ბზიკს კლავდეს, კალამი რატომ უნდა გაავდებინოს ხელიდან-მეთქი, მიპასუხა — აბა, როგორ შეიძლება, სცენიდან გაკიცხვით წარმოითქვას, აი, თუნდაც ასეთი ფრაზა: „ჩვენდენი დიპლომი არავის არა აქვს მსოფლიოშიო...“

ჰაი, დედასა!

თავად მას დიპლომი მართლაც დამსახურებულად უდევს თავშიც და ჯიბეშიც... ჰოდა, მით უარესი, შენ რომ ნამდვილი პროფესორი ხარ, არც ყოველდღიურ 70 კაპიკზე და არც დიდ ოქროულზე უნდა გაყიდო შენი მოქალაქეობრივი სინდისი, და თუ ასეთ, სხვათა ბედის გადამწყვეტ თანამდებობაზე დადგები, ლომობას ვინ მოგთხოვს, მაგრამ არც სულ ტახიკარდით შეპყრობილ ბაჭიას უნდა ემსგავსო, რომ ბელიკოვის „Как бы чего не вышло“-ს აჩრდილივით თან დაგდევეს და მოზომილი ხორცის ნაჭრის დაკარგვის შიში კომმარულ სიზმრებს გგვრიდეს!

რასაკვირველია, ასეთი ბელიკოვების წყალობითაც თეატრმა ჩვენში რა ხანია დაკარგა უმაღლესი „ინსტანციობა“, ის აღარც ტრიბუნაა, აღარც კათედრაა და არც უნივერსიტეტი...

ანდა რა კათედრაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩემი თაობისთვის არცთუ ისე დიდი ხნის წინათ — ამა თუ იმ პიესის დადგმა-არდადგმის საკითხს ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე იხილავდნენ. მახსოვს, რა ყვითელი ციებ-ცხელებით შეპყრობილივით ეხეთქებოდა აქეთ-იქით გენო ქელბაქიანი, რომლის ერთი „საქარხნო“ პიესა დაიწუნა მრენველობის დარგის მდივანმა თოფურიძემ მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ავტორს ადგილკომის თავმჯდომარის გამოყვანა დავიწყებოდა (ადიულტერი — ქმარი, ცოლი, საყვარელი — იმ დროს პიესებში სანარმოო სამკუთხედმა შეცვალა: დირექტორი, პარტკომის მდივანი, ფაბკომ-ქარხკომის თავმჯდომარე და ყველა ამათ რალაც სიყვარულობიაზე არც უნდა ეფიქრათ და არც უნდა ელაპარაკათ, — მხოლოდ გეგმებზე! მოგეცათ ლხენა, სცენაზე, „სანარმოებში“ გეგმები იოლად სრულდებოდა, სანარმოებში კი...).

საბედნიეროდ, ეს ანეკდოტური წამოწყება დიდხანს არ აბოგინა ვალერიან ბაქრაძემ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ბუნებისაგან მომადლებული ინტუიციის წყალობით, — რა ჩემი საქმეა პიესების კითხვა, ან საამისოდ დრო სადა მაქვს, ანდა, დროც რომ მქონდეს, მე პიესას რა უნდა გაუფოო...

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას, სხვა, მისი რანგის კოლეგები განა ასე მსჯელობდნენ, რაკი ერთხელვე ძალაუფლება ჩაიბარეს, ეჭვიც აღარ ეპარებოდათ, რომ მათ ყველაზე უკეთესი თვალთახედვა აქვთ, რომ მათ ყველაზე უკეთესი ყურთასმენა აქვთ, რომ მათ ყველაზე უფრო დახვეწილი გემოვნება აქვთ, რომ ყველაფერი, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი იციან და არასოდეს არაფერში, ა რ ა ფ ე რ შ ი არ შეცდებიან, მეიხვეობიდან ბალანჩინის ბალეტამდე!

1955 წელს აკაკი დვალიშვილმა რუსთაველის თეატრში ერთი ადამიანური პიესა — მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“ — ფსიქოლოგიური სიმართლის ამსახველი ფერებით დადგა და მასაც და დრამატურგსაც რა ცოდვა არ შესწამეს!

ცენტრალური კომიტეტის იმდროინდელმა მდივანმა (იდეოლოგიის დარგში) ბარემ ხუთ-ჯერაც დაადგა მას ცერბერის თვალი — გაეშვა-არ გაეშვა; გაეშვა და... ვაითუ, ამით საბჭოთა ნყობილებას საძირკველი შერყეოდა, მაშინ?! აკი საამისო გაფრთხილება-სიგნალები მის ყურს უხვად მოესმოდა თეატრის ფოიეში, ანტრაქტების დროს მოფუსფუსე სახეანითლებული ფადეი ბულგარინებისაგან; ერთი მისი ყოფილი წინამორბედი, იმჟამად თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, ავტორიტეტულად იმასაც კი ამტკიცებდა, ჩემი მდივნობის დროს (სწორედ იმ დროის ერთი სოფლის ცხოვრებას ასახავდა ეს უკვე ჯვარზე ჩამოცმული დრამა!) ბევრად უკეთესი კოლმეურნეობები გვექონდაო.

„ყვარყვარეც“ გაშვებამდე რამდენჯერმე შეამონმეს თვითდაზღვევის შეუდარებელი ოსტატის, ბელიკოვის შავი სათვალეებით შეიარაღებულებმა, სულ აგერ ახლა კი ილია ჭავჭავაძის სამი ნაწარმოებისაგან შემდგარი სპექტაკლი ერთ დიდ, გავლენიან პირს რომ არ ეხსნა, თითქმის განწირული იყო პატარებისაგან...

მერედა, მოჰყვა კი რომელიმე ამ სპექტაკლს რაიმე ექსცესი მაყურებლის მხრივ? ვინმემ თუნდაც ერთხელ მაინც ყრუ ტაში კი შემოჰკრა მოხვევის შემოსვლისას ან გასვლისას? აკი ყველაზე მეტად ბელიკოვებს ამისა ეშინოდათ, ვაითუ... ვაითუ...

ფიქრი კი „ვაითუზე“ სულ ზედმეტია, თითქმის აღარავის აღარ აინტერესებს, რას იტყვიან სცენიდან, თანაც ისიც იციან, რომ საგულისხმოს ამ „კათედრიდან“ ბევრს არაფერს იტყვიან, ამიტომ განა ის არა სჯობს, თეატრის დარბაზშიც კი იმაზე იფიქროს, ხვალ რა იშოვოს, რა დაითრიოს, რა მოიპაროს, ანდა თავად მას არაფერი მოჰპარონ; ვინ მოატყუოს, არადა, ფრთხილად იყოს, რომ თვითონ ის არ მიაღორრონ?!  
დიახ, თეატრმა დაკარგა არათუ იდეური ზემოქმედების ძალა, მხატვრული ზემოქმედების ძალაც! იდეური ზემოქმედება კი შესაძლებელია მხოლოდ მხატვრული ზემოქმედების გზით! ახლა კი... ზიხარ შენთვის ტომარასავით სავარძელში და არავითარ ემოციას, არავითარ გრძნობებს არ აღვიძებს შენს გულში სცენიდან მონაბერი ქარი, აკი ის ნამდვილი ცხოვრებისეული როდია, ხელოვნური, ვენტილატორით გამონვეული ქარიშხალია ჭიქა წყალში.

საქმე ის კი არ არის, რომ მე პირადად ყველაფერი კლასიკური მხიბლავს – მუსიკაც და არქიტექტურაც, მხატვრობაც და ტრადიციული თეატრიც, და რომ ისინი არასოდეს არ დაძველდებიან, ყოველივე დღევანდელი მოდური დროთა განმავლობაში გაქრება, კლასიკური კი დარჩება...

საქმე საერთოდ ის არის, რომ ყოველგვარი სანახაობა, ფეხბურთიც კი და საცირკო წარმოდგენაც, თუ იგი ემოციურ სამოსში არ არის გახვეული, მაყურებლის გულს ვერ დაიპყრობს და ვერ მოინადირებს. მით უმეტეს, თეატრი, ადამიანის სულიერი სამყაროს ეს ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენთაგანი, უგანცდებოდ დიდი არაფერია. თუ სხვით არა, თეატრი ამით მაინც ხომ უნდა განსხვავდებოდეს საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზისაგან!

მით უფრო ახლა გვეჭირდება ჩვენ ეს, როცა ადამიანის ბუნება გაველურების გზით მიიმართება, როცა ცრემლი აღარც თავად გვდის და აღარც სხვისი ცრემლი მოქმედებს ჩვენზე... ინტელექტუალური თეატრიო... სისულელეა!

ნამდვილი ხელოვნება, ნამდვილი თეატრი არასოდეს არ იყო მოკლებულ აზრს, გონებრივ სანყისს, ეგრეთ წოდებულ ინტელექტუალობას, ოღონდ მაშინ ახლა უკვე ამ მოარულ სიტყვას არ ხმარობდნენ, ეს თავისთავად იგულისხმებოდა...

როგორ, იბსენი, ჰაუპტმანი, ჩეხოვი, გორკი, რომელთა პიესები სულს (და გონებასაც) უფორიაქებდა იმდროინდელ საზოგადოებას, უინტელექტონი იყვნენ? რევოლუციამდე მცირე თეატრს მოსკოვის მეორე უნივერსიტეტს ეძახდნენ და... ჩვენ შევეჩვიეთ ყველაფერი ძველის გაქიაქებას, მაგრამ ამას მაინც ნუ ვიტყვით, რომ წინათ უნივერსიტეტებში მხოლოდ რიკ-ტაფელას თამაშობდნენ.

ჩვენი ახლანდელი, აღარც თუ ისე ახალგაზრდა რეჟისურა (ახალგაზრდა ხარ 30 წლამდე!) ტყავში ძვრება და რა ხერხებს არ მიმართავს, რომ ინტელექტუალობის სამოსელში მოგვევლინოს, ანდა, უფრო უკეთ, თავი მოგვაჩვენოს ასეთად...

ბევრია კი მათში, ასე თუ ისე, შესამჩნევი ინტელექტით მირონცხებული?

იყო დრო, როცა ფორმალისმთან ბრძოლის საბაბით, ფორმალისტობას აბრალებდნენ სრულიად უვიც „ხელოვანთ“, მაშინ, როცა, თუ გნებავთ, იცოდეთ, ნამდვილი ფორმალისტი მხოლოდ დიდი კულტურის ადამიანისაგან შეიძლება წარმოდგეს.

ჩვენი ამჟამინდელი „ინტელექტუალი“ — რეჟისორები არსებითად ანტითეატრის მეზარბაზნად გამოდიან, უფრო მეტიც — ნამდვილი თეატრის მესაფლავედ, ოღონდ იმ განსხვავებით, საფლავის სანიტარული ნორმა ორი მეტრია, ისინი კი თეატრს საფლავს მხოლოდ ერთ მეტრ სიღრმეზე უჭრიან....

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ რუსთაველის თეატრში დაიდგა ა.კ. ტოლსტოის დიდად ცნობილი ტრაგედია „იოანე მრისხანეს სიკვდილი...“ წარმატება მას, მით უმეტეს ისეთი, როგორიც ტრაგედია უნდა ახლდეს, სულაც არ ჰქონია.... ან საიდან ექნებოდა, როცა ტრაგედიის მთავარი გმირი, მრისხანე მეფე იოანე, ტრაგიკულ სიტუაციაში, ტრაგიკული მონოლოგის წარმოთქმის უმაღლვე, სცენის ადგილმდებარეობის შესაცვლელად, სცენის მუშებთან ერთად, მაყურებელთა თვალწინ მაგიდებსა და სკამ-ლოგინს აქეთ-იქით თვითონვე ეზიდებოდა, და მერე, ამ დაწყობა-დალაგების შემდეგ, კვლავ იწყებდა ტრაგიკულ აბობოქრებას, რაც, ბუნებრივია, სიცილს უფრო იწვევდა, ვიდრე ჩვენს თანაგრძნობას მისი მუხთალი სახელმწიფოებრივი ბედი-სადმი...

და ამის დამდგმელს სურდა, დავერწმუნებინე მე, მაყურებელი, რომ ის ნოვატორი რეჟისორია, და რომ ეს დაბალი რანგის მაიმუნობა კი არა, მაღალი რანგის ინტელექტუალობაა!

როცა შენ, ნოვატორი-რეჟისორი, სცენის, ე.ი. (უნდა ვიგულისხმობ!) ოთახის ჭერზე მიკიდებ რკინის „კრაოტს“, მე რომ არაინტელექტუალი მაყურებელი ვარ, მოწინებით გეკითხები, — რატომ, რისთვის? რა გამართლება და რა დანიშნულება აქვს? აკი „ვარიაციები“, მგონი, არ ასახავს გერმანელ შილდბურგერელ და ჩვენებურ მოხისელთა ცხოვრებას, ძროხა დასაკლავად სახლის სახურავზე რომ აიყვანეს, დანა იქა ვაქვსო?! ან, ეგებ, ეს ისეთი ღრმა ინტელექტუალობაა, რომ მე, ბეჩავი, გაგრია მაყურებელი ამის აღსაქმელად ჯერ კიდევ არ მოგმწიფებულვარ და, ცხადია, არც უნდა მიკვირდეს, თუკი მას ვერ ჩავწვდები, ა?!

როცა შენ, ნოვატორი-რეჟისორი, მოქმედ პირთ, რაც არ არის ნაგულისხმევი პიესის, მოქმედების მიხედვით, — აკი ის არ ხდება არც მინდორზე და არც პლიაჟზე, — იატაკზე გაშოტილთ ალაპარაკებ, მწოლიარეთ უდგამ წინ ღვინოსა და ღვინის ჭიქებს, - რატომ, რისთვის? ადამიანს მილიონი წლები დასჭირდა, მაიმუნის ნახრილი მდგომარეობიდან რომ გამოსულიყო და ვერტიკალური პოზა მიეღო, ახლა კი მას ისევ მაიმუნობისკენ რომ აბრუნებ, ეგებ გვითხრათ, ბატონო, რატომ, რისთვის და რა ინტელექტუალობაა ამაში ჩაქსოვილი, რომლის ამოსახსნელად ჩემი ლატაკი ინტელექტი, როგორც ვრწმუნდები, საკმარისი არ არის?

როცა შენ აუქმებ ფარდას და მე, მაყურებელს, ფარდის ახდის მომლოდინეს, მართმევ იმ საიდუმლოს შეგრძნების სასიხარულო ინტერესს, თუ რა იმალება მის იქით და რა აღმოჩენა და რისი ხილვა მომელის მისი ახდისას, რა გამართლება აქვს, ჩემო დიდო ბატონო, ამ ინტელექტუალობას, რომლითაც შენ თავი ასე დიდად მოგაქვს ჩემისთანა გამოყრუებულის წინაშე?! ცირკი რომ ცირკია, ფარდას არენაზე ცირკიც კი იყენებს: უნიფორმისტი გასწი-გამოსწევს მას და, ჩემდა სასიხარულოდ და ჩემდა მოულოდნელად, მეცხადებიან ორფეხი თუ ოთხფეხა არტისტები.

აბა, როგორ გავკადნიერდე და შევეპასუხო, უთვალავი მაყურებლის სახელით, ამ ჩვენს დიდ ინტელექტუალებს, თორემ... ჩვენი უბადრუკი აზრით, მოულოდნელობა, ანაზღეულობა ერთი მთავარი პირობათაგანია ყოველგვარი სანახაობისა, მათ შორის სცენური ხელოვნებისაც.

როცა შენ, ნოვატორი-რეჟისორი, სრულებით უგულვებლყოფ გრიმს, რითაც, ჯერ ერთი, ისეც არტისტული საქმიანობისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას გადაჩვეულ მსახიობს კიდევ უფრო აზარმაცებ, მეორეც, დილით ბაზარში რომ ვნახე თავისი სახით, უგრიმოდ, სცენის ეს ოსტატი მარნეულელ ყიზის პამიდორსა და ტარხუნას რომ ევაჭრებოდა, საღამოთი, თეატრში მოსულმა, იმავე „გრიმში“ მყოფი როგორღა ვინამო ინგლისის მეფედ?!

როცა შენ, ინტელექტუალი-რეჟისორი, პირველ ქართულ თეატრში, თითქოს ქართულ სპექტაკლში მოქმედ პირთ ნახევრად ქართულად ალაპარაკებ და ნახევრად რუსულად, და როცა შენ ავტორის სრულიად ბუნებრივ, ნორმალურ ჩანაფიქრს — ჰყავდეს მთლიანი, ერთი ისტორიული პერსონაჟი, შენ კი მას სამად აქუცმაცებ და მახნევ მე, შენი ინტელექტუალური სპექტაკლებით, ბოლოს და ბოლოს უკვე „გაინტელექტუალებულ“ მაყურებელსაც კი, რატომ, რისთვის?! თუ ეს ბრეხტის გაუცხოების მეთოდით აიხსნება?! მე რომ თეატრის დიდი მოტრფიალე

ვარ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი მაყურებელი ვარ, და რომლის მსგავსთა მოუსვლელია მოუსვლელია თუ შენი თეატრი, დოტაციად მთავრობისაგან მილიონიც რომ მიიღო, მაინც ვერ იარსებებს, არც ვიცი და არც მაინტერესებს არც გაუცხოების არსი და არც სხვა თეატრალური თეორია, მე თეატრში მოვდივარ არა რეჟის-კროსვორდების ამოსახსნელად, მე მოვდივარ იმიტომ, რომ ვიხილო მხატვრულ სახეებად ჩამოქნილი ცხოვრება, წინანდელი და ახლანდელი, ოღონდ სიმართლის თვალთ დანახული...

და თუ შენ მართლაც ნიჭით სავსე რეჟისორი ხარ, სცენიდან თვალის დამაბრმავებელი პროექტორები კი არ უნდა მომანათო და წამდაუნუმ თავში კი არ უნდა მიკაკუნებდე შესახსენებლად, რომ მე თეატრში ვიმყოფები, სადაც ყველაფერი მოგონილია და ყველაფერი ილუზიების ოჩოფეხებზეა შემდგარი, პირიქით, შენი ნიჭის წყალობით, მე თავი უნდა მაგრძნობინო ცხოვრების შუაგულში, ამ ამბების უშუალო მონაწილედ, რომლებიც ჩემ თვალწინ გადაიშლება...

მე არ ვიცი, რას ქადაგებს თავისი თეორიებით ბრეხტი, ოღონდ ეს კი ვიცი, ხშირად, ძალიან ხშირად სიტყვით ქადაგებენ ერთს, საქმით კი აკეთებენ სხვას, უფრო სწორად, ინტუიცია მათ, უნებლიეთ, სულ სხვას, უკეთესს აკეთებინებს (პირიქითაც ხდება ხოლმე, ცხადია!)...

გოგოლი მონარქისტი გახლდათ, მაგრამ რომელიც გნებავთ მისი ნაწარმოები ძირს უთხრიდა მონარქიას. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“ „ბერლინერ ანსამბლის“ თეატრის დადგმით – ეს იყო წმინდა წყლის რეალისტური სპექტაკლი, რაღაც გაუცხოების ნატამალიც არ იგრძნობოდა მასში; მე ის ამ ათიოდე წლის წინათ ვნახე, ამ თეატრის თბილისში ჩამოსვლისას, და მიუხედავად გერმანული ენის სუსტი ცოდნისა, მეხსიერებაში ისე ჩამებეჭდა, მაშინ მიღებული შთაბეჭდილება დღესაც არ წამშლია. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვი ამავე პიესის რუსთაველის თეატრისეულ დადგმაზე... ჩვენი და მათი მსახიობების შესრულების, თამაშის დონე ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, როგორც ძველი დროის სასწორი, რომლის ერთ თევზზე ოყა დევს, მეორეზე კი – გირვანქა... თეატრი კი, არსებითად, იმდენად არა რეჟისორით, მსახიობით სულდგმულობს და, მეპატიოს ეს თავხედური აზრი, მგონი, დრამატურგითაც ა?!

მზისა და მთვარის ქვემოთ მოქცეულ მათ საბრძანებელში რეჟისორის ხსენება არც იყო, მაგრამ იყო თეატრი და იყვნენ სოფოკლე და პლავტი, შექსპირი და მოლიერი, ბომარშე და შერიდანი, ტალმა და კინი, ელეონორა დუზე და სარა ბერნარი, ლადო მესხიშვილი და ვასო აბაშიძე... ნამდვილად კარგ პიესას ნიჭიერი მსახიობები ურეჟისოროდაც შეასხამენ ხორცს და ჩაუდგამენ სულს, სიტყვასაც ააღვარებენ უმუსიკოდაც, ახლა კი განსაკუთრებით რუსთაველის თეატრისათვის სახელის მომტანი სპექტაკლების, განსაკუთრებით „კავკასიური ცარცის წრის“ წარმატების, სულ ცოტა, 40 პროცენტი მუსიკას უნდა მიენეროს, მაგრამ ეს ვითომ დიდ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს დრამატულ თეატრს?!

\* \* \*

ტელევიზიაში „თეატრალურ შეხვედრაზე“ საერთაშორისო ასპარეზზე ბოლო დროს ქართული თეატრის წარმატებამ ათქმევინა, ალბათ, ამ შეხვედრის „თამადას“, თავად მსახიობს, - ჩვენ მსოფლიოში ყველაზე უკეთესი მსახიობები გვყავსო.

შენი ერის გულწრფელად მოყვარულ ადამიანს პირდაპირ გული აგერევა ასეთი უკიდევანო ტრაბახისაგან. რასაკვირველია, ქოსატყუილასავით ასე რომ გააფრინო, საამისოდ, ცოტა არ იყოს, საზღვარგარეთული პრესაც გათამამებს. ის კი გვაქებს და გვაქებს, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა გვქონდეს ანალიზის, საკუთარი თავისადმი მიდგომის უნარი?! უპირველეს ყოვლისა, არ უნდა ვივინყებდეთ, რომ იქაურმა თეატრალურმა კრიტიკოსებმა ჩვენი მსახიობები იხილეს ერთ თუ ორ სპექტაკლში, აბა, ერთი ნახონ ჩვენსავით ათობით სპექტაკლში, თანაც წლების მანძილზე, მაშინ ვნახავდით, როგორ შეგვაფასებდნენ.

ესეც არის, სულ არც მაშინ გაგვწირავდნენ. აბა, თვითონვე წარმოიდგინეთ, მოზამბიკელებმა რომ ჩამოგვიტანონ „დარისპანის გასაჭირი...“ როგორ შეხვედებოდით და რას დავენერდით?! ცივ წყალს გადავასხამდით და არც ტაშს დავუკრავდით?! ეს კი არა, როცა ჩვენი მომღერალთა გუნდები საზღვარგარეთის დიდ ქვეყნებში გამოდიან, მათ სიურპრიზად მომზადებული აქვთ საგასტროლოდ ჩასული ქვეყნის სულ ერთადერთი ხალხური სიმღერა, რომელსაც, იქაური მაყურებლის მოულოდნელად, კონცერტის დასასრულს ასრულებენ და... დარბაზი ინგრევა ხოლმე ტაშისაგან, თუმცა, არა მგონია, მათ სიმღერას მათზე უკეთ ჩვენ შევასრულებთ, და მა-

ინც... რას იზამ, ეროვნული გრძობა დიდ ერებსაც ისე აქვთ სისხლში გამჯდარი, როგორც პატარებს. ჩინეთიც კი, ჩვენ რომ კომუნისტური გვეგონა, მილიარდიანი ჩინეთიც კი, საბოლოო ანგარიშით, ისეთივე ნაციონალისტი აღმოჩნდა, როგორაც ერთმილიონიანი ბასკეთი.

რასაკვირველია, „გარეთ“ ეს არ ითქმის, მაგრამ შინ, ჩვენ შორის ამის უთქმელობა, ისეც ყოველხმრივ თვითკმაყოფილებით შეპყრობილ ხალხს მხოლოდ უკან დაგვწევს: ამჟამად საქართველოში რიცხობრივად თეატრი უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე გვყავს ნამდვილი ნიჭიერი მსახიობები, დიდი მსახიობები კი ერთი ხელის თითებზეც არ ჩამოგვეთვლება...

და ასეთი მწირიანობის დროს რა ათმაგად გულსაკლავია ეროსი მანჯგალაძის გაუჩინარება!

მე ბევრი სახალხო არტისტის გასვენებას მოვსწრებივარ, ვანო სარაჯიშვილის გასვენებაც კი არცთუ სულ ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ ეროსი მანჯგალაძის...

ასე გაასვენა პარიზმა ჟერარ ფილიპი, ასე გაასვენა ლენინგრადმა ნიკოლოზ ჩერკასოვი, ასე გაასვენა თბილისმა...

ეს გრანდიოზული და ნამდვილად ეროვნული გლოვა ხალხმა გულიდან აღმოხეთქილი ტაშით შეამკო და ეს მსახიობს, მიცვლილსაც კი, თითქოს შეჭფერის კიდეც, ოღონდ მტკიცედ არ ვიცი, საქართველოზე ადრე ამას ვინ და სად მიმართა, და თუ ეს პირველად ჩვენში მოხდა, თბილისელებმა იგი ბათუმელებისაგან გადმოიღეს.

(მინიცნობა: საერთოდ, ბათუმი ბევრი კარგი რამის წამომწყებია. მაგალითად, ამ ოციოდენლის წინათ იქაური ახალგაზრდები, სწორი ქართულით ლაპარაკის დასანერგავად, ვისაც ჩიქორთული სიტყვა, რუსიციზმები წამოსცდებოდა („ვობშიემ, ნაგლია, გრუბია, დაჟე და ასობით ამისთანები!), ერთმანეთს აჯარიმებდნენ, რაც „ИЗВЕСТИЯ“-ს თბილისელმა კორესპონდენტმა ზ. ზვიგინმა ნაციონალიზმად მონათლა და „რაზაბლაჩიტელნი“ სტატიაც გამოაცხო; ეს იმ დროს, როცა თვით რუსეთში ტომები გამოდის თუნდაც იმის გასარკვევად, წარმოსათქმელად რომელი სიტყვა უფრო მართებულია ანდა სად უნდა იყოს მახვილი: „желчь თუ жёлчь, звонит თუ звонит, бытиё თუ бытиё, Кижъ თუ Кíжи.“

... დიახ, ასე დიდებულად გაასვენა თბილისმა ეროსი მანჯგალაძე...

რატომ?

სიტყვა მივცეთ ჯერ პოეზიას:

ეიფელის კოშკს შენ გერჩია ჯვარი და გრემი,  
უცხოთა „ბრავოს“ — აღტაცების ქართული ცრემლი,  
დიდებისათვის არ წასულხნარ არსად სალაშქროდ,  
ამერ-იმერში მაინც ქუხდი გაღმა-გამოღმა...

მე-19 საუკუნის დიდმა იტალიელმა ტრაგიკოსმა თომაზო სალვინიმ, რომელმაც ვერ განსჭვრიტა, რომ დადგებოდა დრო, როცა რუსთაველის თეატრის სცენაზე ინტელექტუალური რეჟისურა მიკროფონს დიდ პატივს დასდებდა, თქვა „Актер – это голос“.

მსახიობი – ეს არის დიქციაც, — დავძენდი მე, რაკი მხედველობაში მყავს ქართველი მსახიობი, თორემ, მაგალითად, იტალიელი თუ რუსი მსახიობისათვის ეს უბრალო, ასე ვთქვათ, საყოველღეო, პირველი მოთხოვნილების ქემმარიტებაა, მათ ქვეყნებში არათუ დრამატულ თეატრში, ოპერაშიც კი უნაკლო ფრაზირებაზე, ო, რა დიდად ამახვილებენ ყურადღებას!

საიუბილეო-საზეიმო დღეებში ერთი იუმორისტი პოეტი სულაც არ იყო ხუმრობის გუნებაზე:

შოთა რუსთაველის თეატრო,  
ქართული სიტყვის დიდო ცავ...

ქართული სიტყვის რა დიდი ცაც არის, ამ შემთხვევაში დიქციის მხრივ! თუნდაც რუსთაველისა და სხვა ჩვენი თეატრები, ამ საყოველთაო უბედურებაზე მე უკვე ვწერდი და მის გამეორებას არც ახლა დავიზარებდი, რომ ვიცოდე, ვინმე კეთილი გამკითხავი გამოჩნდება და ამ ნაქცევულ საქმეს თუ ვერ წამოაყენებს, ყოველ შემთხვევაში, შეეცდება მაინც, რომ წამოაყენოს.



ეროსი მანჯგალაძე კი თანამედროვე ქართველ მსახიობთა შორის (დაე, ცოცხლები ნუ მიწყენენ!) პირველი იყო, ვინც შემკობილი იყო იშვიათი ხმით, იშვიათი დიქციით და იშვიათი სცენური მომხიბლაობით.

მე, როგორც, ასე თუ ისე, მაინც გაგებულ მაყურებელს, რომელსაც თეატრმცოდნეობის პრეტენზიები არ გააჩნია, მანჯგალაძის ოიდიპოსს უფრო მალლა ვაყენებ, ვიდრე დანარჩენი სამი ტიტანისას (ხორავა, ზაქარიაძე, ვასაძე)...

და ასეთ ბაჯალლო ტალანტს, მართლაც სტიქიურ და არა ორგანიზებული წესით მიღწეულ ხალხისათვის სათაყვანოს, არ გავუფრთხილდით და, უფრო მეტიც, გული დაუჭიანეთ...

და როცა ასეთი მარგალიტი ხელიდან გამოგვეცლება, მხოლოდ მაშინ შემოვირტყამთ ხოლმე თავში ხელებს და ბევრიც მშობელ დედასავით ავქვითინდებით, ზოგიც – რიჩარდით (იმ შავ დღეებში „ერთი“ წერდა: „მე გეთხოვებით, ბატონო ეროსი, დიდი გულისტკივილით, რომ ბოლომდე ვერ გაგიზიარეთ ჩემი სიყვარული და დიდი სინანულით, რომ ველარასოდეს ვიმუშავებ დიდებულ მსახიობთან – ეროსი მანჯგალაძესთან“).

ზოგიერთი ადამიანის და მით უმეტეს მსახიობის გული ერთობ მგრძნობიარეა, სულ უმნიშვნელო ჩხვლეტასაც კი ხანჯლის დარტყმასავით განიცდის.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ თუკი შეიძლებოდა, როგორც რეჟისორს, ნამდვილად კი თეატრალურ ადმინისტრატორს, საბჭოთა ქვეყანაში არტისტისათვის დაწესებული უმაღლესი ნოდება მიეღო, რაც ყველასათვის მოულოდნელი და განსაცვიფრებელი იყო („რა არ იკვავება ამქვეყნად!“), თუკი შეიძლებოდა, ილუზიონისტ კიოსთვის, რომელსაც საქართველოსთან, გარდა გასტროლებისა, არაფერი არ აკავშირებდა, არც დაბადება და არც მოღვაწეობა, ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნოდება მიგვერთმია (მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ ამავე დროს მე სადავოდ და სათუოდ არ მიმაჩნია ჩვენი მაღლობის გამოხატულება მოსკოველი კლავდიუს პტიცასა და ლუდმილა ერმაკოვასადმი, მათ მართლაც მიუძღვით ღვანლი ქართული მუსიკის წინაშე), რატომ არ შეიძლებოდა, გაგვეხარებინა ეროსი მანჯგალაძე, რომელსაც საამისოდ ყველაფერი უწყობდა ხელს — ცინცხალი ნიჭი, შემოქმედებითი სტაჟი, ხნოვანება (ხორავას და ვასაძეს თითქმის ბალერინებისათვის დაწესებულ ასაკში მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტობა!)...

ეს კი სულ სხვა საკითხია, რომ ოფიციალური გამორჩეულობისათვის ნამდვილად ნიჭიერი, მართლაც შემოქმედი კაცი – რა დარგშიც უნდა იღვწოდეს! – გულს არც უნდა იტეხდეს; დასავლეთში ნოდებებით არტისტების დახარისხება არ არსებობს, მაგრამ იქ მაინც ყველამ იცოდა და იცის, ვინ იყო ჩაპლინი, ანა მანიანი, ჟან გაბენი და ვინ არის ლოურენს ოლივიე, სოფი ლორენი, გრეგორი პეკი... პიტერ ბრუკს არაფერი არ ემძღვარება გვარის წინ, მაგრამ...

(კონტრასტისათვის, ამონაწერი გაზეთ „კომუნისტიდან“:

„სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს კომკავშირის პრემიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის „ხუთწლედის მატეანის“ ლაურეატმა გოგი ქავთარაძემ.“

გავწიოთ ქალაღის ეკონომიაო, მას კი, საერთოდ, რაში ვხარჯავთ?! ვიდრე დამდგმელის გვარამდე მიაღწევდე, 29 (ოცდაცხრა!) სიტყვა უნდა ჩაიკითხო! სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ნიჭიერი რეჟისორი საქვეყნოდ დირექტორადაც, ე.ი. არსებითად სამეურნეო მუშაკადაც რომ არ მოვიხსენიოთ, ამით მის რეჟისორულ ნიჭს რამე დააკლდება?!).

სხვათა შორის, არც ჩვენი ლაღო მესხიშვილი იყო მთავრობის განკარგულებით „დამსახურებულიც“ კი, მაგრამ მის სახალხოობაში თავად ხალხს ეჭვი არ ეპარებოდა...

(კურიოზული მინიცნობა: 1930 წელს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ვლადიმერ (ლაღო) სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნოდება...

კი, მაგრამ ჩვენი „უკაზი“ მენშევიკების დროისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო უფლებამოსილი?! აკი მესხიშვილი 1920 წელს გარდაიცვალა! ამას უფრო ის ხომ არ აჯობებდა, რომ მისი საფლავისათვის მიგვეხედა, რომელიც, ფიროსმანისა არ იყოს, როგორღაც მიიკარგა...

ისე, კაცმა რომ თქვას, უნათესავებო, მიუსაფარი ფიროსმანის – კიდევ ჰო, მაგრამ... ლაღო მესხიშვილის?! ლაღოს შვილებმა მამის სიკვდილის შემდეგ კიდევ კარგა ხანს იცოცხლეს, შვილიშვილები კი სულ ახლახან მიიცვალნენ!..

აი, ესეც ჩვენში ვითომ არსებული მიცვალებულის კულტი!).

დიახ, ნიჭიერ ადამიანებს ბუნება ძუნწად იძლევა, დიდად ნიჭიერთ კი – მეტისმეტად ძუნწად. მათ, რასაკვირველია, უნდა გაეფრთხილდეთ, კრიზისულ სიტუაციაში კიდევაც მოვეფეროთ და მივუალერსოთ, ოღონდ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თავზე ნიჭიერი თავზე დავისვათ და „შენ გენაცვალე, შენი ჭირიმეს“ შეძახილებით მუდამ თავზე დასმული ვატაროთ, მონად ვექცეთ და ერთხელაც არ ვაგრძნობინოთ, რომ უტიფრობა და თავგასულობა ნიჭიერს მით უფრო არ ამშვენებენ.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ესა თუ ის რეჟისორი შეიძლება მართლაც ნიჭიერი იყოს, მაგრამ ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ნიჭიერი რეჟისორი გამოდგება მთავარ რეჟისორად და რომ ის თეატრს ღირსეულად წარუძღვება...

ვასილ ყუშიტაშვილი მარჯანიშვილის თეატრს მხოლოდ რამდენიმე თვე ედგა სათავეში, ის კი დიდი რეჟისორი იყო და თუ დღეს ასეთად არ იხსენიება, მარჯანიშვილისა და ახმეტელის შემდეგ არათუ მესამედ, საერთოდაც თითქმის არ იხსენიება, ეს იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ სხვა გარემოებას რომ თავი დავანებოთ, მას, სანყალს, გულშემატკივარი ნათესავები არ დარჩენია, რომლებიც, მაგალითისათვის მოგახსენებთ, თუნდაც ნებას არ მისცემდნენ პატარა რეჟისორს და საკუთარი კეთილდღეობის მრავალწლიანი გეგმების ყოველთვის წარმატებით დიდ შემსრულებელს, თავის დროზე, ერთ-ერთი ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარეობისას, მისი (ყუშიტაშვილის) დაბადების მე-80 წლისთავი თუნდაც სულ მცირე შეკრებილობით მაინც აღენიშნა. და ეს მხოლოდ იმიტომ მოიმოქმედა, ურთიერთობაში პირდაპირობით ცნობილი, „ენაგესლიანი“ ყუშიტაშვილი არასოდეს მისი – არც კაცის და არც შემოქმედის მაქებარი არ ყოფილა...

\* \* \*

წარმოშობით ირლანდიელმა, მაგრამ საყოველთაოდ დიდ ინგლისელ დრამატურგად აღიარებულმა ბერნარდ შოუმ ერთხელ თქვა:

„Пьесы создают театр, а не театр пьесы“.

ჩვენი დროისა და ჩვენი პატარა ქვეყნის წვრილფეხა და მსხვილფეხად მიჩნეული რეჟისორები, როგორც ჩანს, ამ აზრს არ იზიარებენ, ზოგიც, ალბათ, უვიცობის, ყოველ შემთხვევაში, დრამატურგიის სფეროში უვიცობის გამო, ზოგიც — ფულის იოლი შოვნის იმ წყურვილით, რომელმაც ჩვენი ცხოვრების ყველა კუნჭულში შეაღწია და მას წინათ ხელოვნების წმინდა ტაძრად მიჩნეულმა თეატრმაც ვერ გადაუკეცა კარი.

თეატრისა და დრამატურგიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ერთი შემთხვევაც არ მოიპოვება, — მსოფლიოს რომელიმე თეატრში დაწერილიყო თუნდაც ერთი პიესა, რასაკვირველია, მხატვრულ ღირსებათა მქონე ისეთი პიესა, რომელსაც დროის თუნდაც სულ მცირე მონაკვეთისათვის გაეძლო.

ვერც ჩვენი თეატრალური ინსტიტუტის რექტორი და პრორექტორი, ორივენი პროფესორ-დოქტორები და ვერც მათ მიერ შებრანულ-გამოცხობილი თეატრმცოდნეები დამისახლებენ, არათუ საქართველოში, მის გარეთაც ერთ რეჟისორსაც კი, რომელსაც ოდესმე თუნდაც ერთი ხეირიანი პიესა დაენეროს (ბერტოლდ ბრეხტი თავდაპირველადვე ლიტერატორი და დრამატურგი გახლდათ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუდგა სათავეში საკუთარ თეატრს, რალა სხვებმა დაასახირონ ჩემი პიესები, მე თავად დავდგამ მათ ისე, როგორც დამინერიაო; ესევე ითქმის ედუარდო დე ფილიპოზეც).

ისეთმა ვებერთელა კულტურის მქონემ, როგორც იყო ვლადიმერ ნემროვიჩი-დანჩენკო, „მხატვი“-ს ერთ-ერთმა დამაარსებელმა და დიდმა რეჟისორმაც ფეხი მოიტეხა დრამატურგიის სარბიელზე. მისი ყველაზე საუკეთესო პიესაც კი — „Цена жизни“ — რუსული თეატრის დღევანდელ ისტორიკოსებსაც აღარ ახსოვთ და თითქმის აღარც ახსენებენ, ამ ბუმბერაზ თეატრალურ მოღვაწეს ჩრდილი რომ არ მიაყენონ...

რაკი ჩრდილზე ჩამოვარდა საუბარი, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ნიგნის ბაზარზე გამოჩნდა „მარჯანიშვილი როგორც დრამატურგი...“

ჩემს აზრს ამ ნაშრომზე არ გამოვთქვამ, მე მგონია, ბევრად უფრო დამარწმუნებელი იქნებოდა აზრი მასზე ერთი ჩვენი დიდად პატივისცემი, მართლაც ღვაწლმოსილი მეცნიერისა, რომელიც პირადად იცნობდა მარჯანიშვილს და მის მალმერთებლად დარჩა დღემდე: „გამოსცე

ნიგნი „მარჯანიშვილი როგორც დრამატურგი“, ეს იგივეა, გამოსცე... „მარჯანიშვილი როგორც დურგალი“, ანდა „მარჯანიშვილი როგორც კალატოზი...“ სწორედ ამას ჰქვია დათვური სამსახური...

(სული მისწრებს, რომ „ამის“ გვარი დავასახელო, როგორც სარწმუნო ავტორიტეტისა, მაგრამ რაკი მან ეს თავისი მსჯავრი ჩურჩულთ გამანდო, ვაითუ, ეწყინოს და სიბერეში თუნდაც ერთი წამით გული ვატკინო, მან ხომ მთელი თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სიცოცხლე „არავის ვანყენინოს“ დევიზით განვლო და, ღმერთმა ხელი მოუმართოს, გზა კიდევ ელის წინ!).

სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე რუბენ სიმონოვს, ვახტანგოვის სახელობის მშვენიერი თეატრის ხელმძღვანელსაც წასძლია სულმა და დანერა პიესა „ЖИЗНЬ...“ წაიკითხა კიდევ დასში და, რა გასაკვირია, ზარ-ზეიმით მიიღეს – თეატრი ხომ ყოველთვის იყო და ახლა მით უმეტეს არის პირმოთნეობის, ფარისევლობის, შენიღბული ვერაგობის ბუნაგთა ბუნაგი... მაგრამ აი, დაინყო რეპეტიციები და ეს ჩვენი სამართლიანად ქებული რეჟისორი და უსამართლოდ ნაქები დრამატურგი მსწრაფლ დარწმუნდა, რომ მისი ეს შედეგად მიჩნეული ნაწარმოები, სხვა არაფერია, თუ არა დამწყები (და მ ნ ყ ე ბ ი!) დილექტანტის კალმის ნათხუპნი და... როგორც ჭკვიანმა სომეხმა, თავი ბოლომდე არ შეირცხვინა და რა ბრძანებითაც დაინყო რეპეტიციები, იმავე ბრძანებით შეწყვიტა ისინი...

ღიას, რეჟისორების გადრამატურგება თვალწინდენ რუსეთში, სადაც ოთხასამდე დრამატული თეატრია, ცხადია, ხდება ხოლმე, მაგრამ ხდება ეს იქ შედარებით მაინც იშვიათად, ჩვენში კი, საქართველოში, რამდენიც თეატრია, თითქმის იმდენივე რეჟისორი-დრამატურგი მოგვეპოვება!

\* \* \*

რუსთაველის თეატრის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით...

ბოდიშს ვიხდი, რომ ამ ფრაზას არ ვამთავრებ, აკი ამ იუბილეს ჩატარების დღიდან დრო თუმცა საკმაოდ ბევრი გავიდა, მე მაინც ახლაც მეხამუშება ეს... რუსთაველის თეატრი ასი წლისააო!

საიდან სადაო, წმინდა საბაო!

ახმეტელმა 1934 წელს იზეიმა მისი მხოლოდ ათი წლის თავი, სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ კი საზღვარგარეთ გასტროლების გამო გამოსულ ბუკლეთ-პროსპექტებში გვეუბნებოდნენ, რუსთაველის თეატრი თავის დასაბამს იწყებს 1922 წლიდან და, მაშასადამე, წლეულს შეუსრულდებოდა მას სამოცი წელი, როგორც მუდმივ, უწყვეტ, ერთიან თეატრალურ ორგანიზმს და, თუ გნებავთ, ჩვენთვის ყველასათვის ნაცნობ და საყვარელ შენობაში მყოფს...

ეს მიბრძანეთ, ხელოვნურად რომ არ დაგვემრგვალებინა ეს ასი წელი და სულ ცოტა ხნის შემდეგ გვედღესასწაულა მისი მესამოცი წლისთავი, ამით რუსთაველის თეატრის სახელსა და დიდებას ვითომ რამე დააკლდებოდა?! ერთგვარი შეჯიბრების სურვილმა ხომ არ გვიბიძგა და მაგალითი მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ გევორჯ გოიანისაგან ხომ არ ავიღეთ, რომელმაც რაკი იცოდა, რომ მის დიდგანიან ნაშრომს არასომეხი მკითხველი თავს არ მიამტვრევდა, - ნიგნის მალაზიების ვიტრინებში სათაურს ხომ მაინც წაიკითხავენო და... „2000 лет армянского театра“ შეარქვა?!

ისტორია უნდა იყოს მართალი, მით უმეტეს გუშინდელი დღის ისტორია, რომლის თანამედროვენი ბევრი ახლაც ცოცხალია.

აი, ვკითხოთ, თუნდაც, როგორც ადრე მოგახსენებდით, ამჟამადაც გონებაგაუცვეთელ 95 წლის ბატონ აკაკი შანიძეს, რომელი წლიდან ახსოვს რუსთაველის სახელობის თეატრი?

ისტორია არ უნდა იწერებოდეს იმის იმედით, ჩვენ ჩვენი ვთქვათ და... აბა, შედავებას ვინ გაგვიბედავსო; ეს დღეს კი, მაგრამ... ხვალინდელი ისტორია ამას გაბედავს, რის დამადასტურებელი ფაქტები ათობით შემიძლია დავასახელო, მაგრამ საამისოდ ენგურის ქალაღდი, რომელზეც ეს სტრიქონები იწერება, არ გამოდგება: იგი სირცხვილით არ წითლდება.

დღესასწაული, აბა, რის დღესასწაულია, თუ იმ დღეს რამე სასწაული არ მოხდა!... შარშანდელი ფაზისობაც ვერ ასცდა ამ „ღვთის რისხვას“:

„მე ვალში ვარ ჩემი ქალაქის წინაშე“, — თქვა გრძნობამორეულმა პროფესორმა პავლე...

კონსერვატორიის ამ პატივსაცემი პროფესორის გვარს გამოვტოვებ და იმ ჟურნალისტი ქალის გვარსაც არ დავასახელებ, რომელიც ასევე ჭარბად გრძნობამორეული განაგრძობს, თავის მხრივ, კალმის მოსმას:

„პატივცემული პავლე ახლა არქივში მოძიებულ მასალებზე მუშაობს, რომლებიც თაც ირკვევა, რომ პ ი რ ვ ე ლ ი საბავშვო თეატრი რესპუბლიკაში ფოთში ყოფილა.“

ასე რომ, იუბილეებისაგან დაღლილ-მოქანცულ მოქმედებებში მკითხველო, ჯერ ნუ ჩაიმუხლებ და მოსვენებას ნუ მიეცემი, ერთი დიდებული იუბილეც, როგორც ჩანს, კარზეა მომდგარი: ქალაქ ფოთის არქივში უკვე აღმოუჩენიათ საქართველოში პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ბ ა ვ შ ვ ო თ ე - ა ტ რ ი ს არსებობის დამამტკიცებელი სიგელ-გუჯრები და ახლა ისლადარჩენიათ, დაადგინონ, როდის – ასი, სამასი, ხუთასი, ათასი თუ ორი ათას ხუთასი წლის წინათ აიხადა ამ თეატრის ფარდა, ფაზისელი გოგონა-ბიჭუნებისთვის რომ ეჩვენებინათ „კომბლე“.

ჰო, „კომბლე“, ოღონდ ნახუცრიშვილისა კი არა, ხუციშვილისა!..

ო-ო, თქვენ არ იცით, ფოთის არქივის დამტვერილი თაროები რამდენ საიდუმლოს იტევს, აი, ნახავთ, ასეთი დრამატურგიც თუ არ აღმოჩნდეს, ოღონდ...

ეძიებდე და ჰპოვებდე! ეძიებდე და ჰპოვებდე! და მაშინ ვალი მოხდელი გექნება შენი მშობლიური ქალაქის წინაშე!..

ჩვენი დროის თუკიდიდებმა და პლუტარქებმა ყველაფრის უარმყოფლის იარლიყი რომ არ მომაკრან, ვჩქარობ იმის თქმასაც, რომ ჩვენი თეატრალური საზოგადოება მართლაც რომ ასი წლისაა, ამაში ნატამალი ეჭვიც არ მეპარება, აკი გარდა ცოცხალი მოგონებებისა, ამის ისტორიული დოკუმენტიც არსებობს, რომელსაც არქივებში არავის ქექვა არ სჭირდება.

\* \* \*

რუსთაველის თეატრის ასი (!) წლის იუბილესთან დაკავშირებით თავად რუსთაველის თეატრიდან ერთი ისეთი ფრთიანი ორიგინალობის პრეტენზიის მქონე ფრაზა გადმოისროლეს, რომელსაც, ჩემი ფიქრით, მომაბეზრებლადაც ისე ხშირად იმეორებდნენ, თითქოს რაღაცაში ვილაცას ბრალი დასწამეს და ახლა თავს იმართლებსო:

„თაობა მიდის, თაობა მოდის!“

რაიმე ახალი ამით თითქოს არაფერი თქმულა, ეს ბუნების წესია, რომ თაობა მიდიოდეს და თაობა მოდიოდეს, ოღონდ ეს კია, ადამიანებისთვისაც და ბუნებისთვისაც, ცხადია, დიდად სამნუხარო და დასანანი იქნებოდა, თავიანი თაობა თუ წავიდოდა და უთავო მოვიდოდა, ანდა თავიანი თაობის წასვლას უთავო თაობა თუ დააჩქარებდა...

ანალიზის ნიჭი თანდაყოლილია და დავფარავდი კიდეც, რომ ეს მოსახერხებელი იყოს, მე საამისო უნარი არ დამყვა, ამიტომ გადაჭრით ვერც იმას ვიტყვი, მაგალითად, ახმეტელის, როგორც თაობის, წასვლა რა „თავის“ თაობამ დააჩქარა („1935 წელს ახმეტელი ტოვებსო თეატრს“ — არა, ახმეტელს თეატრი დაატოვებინეს!), ანდა, მიხეილ თუმანიშვილის წასვლა და შემდეგ მისი შესაძლებელი დაბრუნება რომელმა თაობამ... შეაბრუნა?!

მაგრამ ვინც უკვე მოვიდა და მათაც, ვინც უკვე გზაშია და მოდის, მე მათ მთელი გულით მივესალმები, წრფელი გულით მივესალმები. წრფელი გულით იმიტომ, რომ ყოველივე ქართული, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ კარგი და მოსაწონი, მე გულით მახარებს, მე ამით ვცოცხლობ.

ცხოვრების ყველა სფეროში, და არა მარტო დრამატურგიასა და თეატრში, ახალი, გონებით და ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდობა თუ არ მოვიდა, ეს ნიშნავს ერის, ამ შემთხვევაში, ჩემი საყვარელი ერის, დაბერებას, ორივე ჩემი „შავი წიგნი“ კი, ალბათ დამეთანხმებით, ამ დაბერების, რომლის ბუნებრივი დასასრული სიკვდილია, თავიდან ასაცილებლად არის მიმართული.

ყოველ დროში ახალგაზრდობას ახალი სუნთქვა, ახალი სურვილები, ახალი მგზნებარება შემოჰქონდა ცხოვრებაში, კერძოდ, იმ დარგებში, რომლებიც ამ ნუთში ყველაზე მეტად გვინტერესებს — თეატრსა და დრამატურგიაში...

ასეა, ალბათ, ახლაც, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს, ოღონდ ყველაფერი ახალი როდია ახალი, თანაც არსებობენ, კერძოდ, მორალის მარადიული კანონები, რომლებიც არავითარ გადახედვასა და განახლებას არ საჭიროებენ, ადამიანის ბუნებაში მათ დანერგვასა და დამკვიდრებას კაცობრიობამ მილიონი წლები შეაღია და ახლა მათი შეცვლა-დამხობა, ახლის ძიების და პიროვნების თავისუფლების მომიზეზებით, ვერაფერი ნიჭიერებისა და ვერაფერი ორიგინალობის მაჩვენებელია.

რუსებს აქვთ ერთი მშვენიერი სიტყვა... უფრო სწორად, ის სიტყვა თავისთავად მშვენიერი კი არ არის, მშვენივრად გამოხატავს ნაბეჭდი ან ცოცხალი სიტყვით უკვე უხსოვარი დროიდან გაადამიანებული ადამიანის და მერე კი პირუტყვის დონემდე დასულ მოქცევას სექსუალურ სფეროში — *пошлость, пошлятина*. ჩვენ მას უხამსობას ვეძახით... ფსიქიატრიაში იგი ექსპიზიციონიზმის ტერმინით არის ცნობილი და, საერთოდაც, იგი მთლიანად და სრულად ფსიქიატრიას მიეკუთვნება და არა ლიტერატურას და მით უმეტეს თეატრს, სადაც ათასი თვალი და ათასი ყური მიდარაჯებულია, რას იტყვი და რას აჩვენებ...

მე არ ვიცი, რა ხნისაა „შეშლილი ახალი წლის“ ავტორი, ვვარაუდობ, რომ ახალგაზრდაა, აკი დიდ აფიშაზე მისი გვარი პირველად გამოჩნდა, სამაგიეროდ დანამდვილებით ვიცი, რომ ეს პიესა ჩვენს უპირველესი სახელგანთქმული, აკადემიური, ასი (!) წლის ისტორიის მქონე რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე იდგმება და რომ ის, ცხადია, ბევრი კირკიმალის შემდეგ ჯერ თვით თეატრის რაფინირებული გემოვნებით ცნობილმა ხელმძღვანელმა არათუ მიიღო, ალბათ შეასწორ-შემოასწორა კიდევ და მერე კულტურის სამინისტრომ მისცა ვიზა, და რომ მერე მას ეძღვნა აღფრთოვანებული რეცენზიები...

ასეთი საერთო მოწონების ღირსი არის კიდევ, ალბათ, ეს სპექტაკლი, აკი ის თითქმის დღეგამოშვებით იდგმება, მას დილის წარმოდგენადაც უშვებენ ბავშვებისათვის (იხილე განცხადება 1982 წლის 5 იანვრის გაზეთ „ნორჩ ლენინელში“)...

პიესის ავტორზე მტკიცედ და გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, აკი პიესა ჯერ დაუბეჭდავია და არ წამიკითხავს, ამიტომ არც ვიცი, რაში სცოდავს იგი და რაში სცოდავს თეატრი, მაგრამ სპექტაკლის დამდგმელ, მიმღებ და სიხარულით აყლოჭინებულ რეცენზენტთა გასაგონად კი ვიტყვოდი:

— **დარბაისქლო!** დასავლეთში უკვე კაი ხანია, მოთავდა ეგრეთ წოდებული სექსუალური რევოლუცია, რომელმაც თურმე მრავალსაუკუნოვანი ბორკილები აპყარა ადამიანს წელს ქვემოთ, სქესის სფეროში და მიაღწია საუკუნოვან ოცნებას – გაეთანაბრებინა იგი პირუტყვთან და ის სექს-ფილმები, რომელთა სანახავად უცხოეთში მოხვედრილი ზოგიერთი ჩვენებური ტურისტის მის ხელთ რაც არის, იმ მცირეოდენ ვალუტასაც არ იშურებს, და რომელთა სანახავადაც იმ ქვეყნის მკვიდრი კი სალამოს დროსაც აღარ კარგავენ, **ა რ ა ფ ე რ ი გ ა დ მ ო ს ა ტ ა ნ ი ა** ჩვენს მიწა-წყალზე, მით უმეტეს თეატრში, ორჯერ მით უმეტეს – ჩვენს პირველ თეატრში, ეროვნულ ტაძრად რომ უნდა ითვლებოდეს!

ექვი არ მეპარება, რომ ეს „წამყვანი ამხანაგები“ ამ ჩემს ნათქვამს ყოველად ჩამორჩენილობასა და ბერიკაცულ ბუზღუნში ჩამითვლიან...

არა, ასეთი „დედღური“ მოსაზრება ახლა როდი მწვევია, სიბერეში, რომელსაც უკვე აღარ ეთანამგზავრება ერთი მწერლის სხარტული გამოთქმა — როცა სისხლი ღელავს, ენა ფიცით არ იღლებო. არა, მე ეს ჯერ კიდევ ცხოვრების გარიჟრაჟზე, ადრიან ახალგაზრდობაში ციცერონმა ჩამაგონა:

„Делать не постыдно, а говорить и показывать непристойно“.

„შეშლილ ახალ წელიწადში“ კი სქესობრივი აქტი... თუნდაც მისი შორეული იმიტაცია ისე უგვანოდ და ურცხვად არის ნაჩვენები, იფიქრებ, აქამდე რომ გვეგონა, ეს ორი ადამიანის, ქალისა და ვაჟის საიდუმლო სერობას უნდა წარმოადგენდესო და მისი საჯაროობა კი...

ჰო, მაგრამ, მატებს კი მაინც რამეს ასეთი „მხატვრობა“ პიესის სიუჟეტს, ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს კი პერსონაჟის ხასიათს?!

და, ბოლოს, ეს უნდა გავხადოთ, ეს უნდა ვაქციოთ ხელოვნების საგნად? მაშინ ძაღლებზე უკეთეს ხელოვანთ ადამიანებში განა მოგვნახავთ?!

ამ სპექტაკლის უნახავი მკითხველი, ვფიქრობ, ახლა უკვე მიხვდება, რატომ აჩვენებს თეატრი მას თითქმის დღეგამოშვებით, და რატომ იყიდება მასზე ბილეთები პირდაპირ სალაროში და არა ბილეთების გამავრცელებლის ძალდატანების წყალობით (ურომლისოდაც, სხვათა შორის, ჩვენი დიდი თეატრებიც კი მე-19 საუკუნის მინურულს მოქმედი, დიდი ჯიხაიშის სცენის-მოყვარეთა ფ ა ც ი ა ს თ ი ა თ რ ი ს დღეში ჩავარდებოდნენ და მათი ხელმძღვანელებიც არ დააყოვნებდნენ პროფესიის გამოცვლას).

კი, მაგრამ... აქვს კი რაიმე ფასი ასეთი „სანახაობით“ თეატრში შემოტყუებულ მაყურებელს? ამას ჰქვია „Высшая инстанция для решения жизненных вопросов?“

ეს არის თეატრი-ტრიბუნა, თეატრი-კათედრა?! ამის ჩვენებალა აკლია ჩვენს ახალგაზრდობას, რომლის ზნეობრივი დონე არასოდეს ყოფილა ისე დაცემული, როგორც არის ამჟამად?!

ეს ჩემი „ცილისნამება“, უეჭველია, არ მოეწონება ერთ ჩვენს მეცნიერს, რომელმაც ტელევიზიით გვამცნო, ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს, ოღონდ მასში ერთი-ორი ზარმაციც ურევიაო...

კი, მაგრამ თუკი სანატრელად და საოცნებოდ გადაგვექცა, რომ ჩვენი შვილები არ გახდნენ ხულიგნები, ლოთები, მორფინისტები, ქურდები, ავაზაკები, მკვლელები, ერთ-ორ ზარმაცზე ღირს კი ყურადღების შეჩერება?! ანდა ეს... „ჩვენ შესანიშნავ ანმყოში ვცხოვრობთ და მერმისი მასზე უფრო დიდებული გველოდებაო.“ რაკი ასეა, განა არ აჯობებდა, შესანიშნავ ანმყოში მცხოვრებთ დიდებულ მერმისზე ფიქრით ტვინი აღარ დაგვექანცა?!

(გვიანდელი მინანქარი: 17 აგვისტოს, საღამოს ათის ნახევარზე (მოსკოვის დროით), ოსტანკინოს საკონცერტო დარბაზში ლენინგრადელი ნაომარი მწერალი დანიელ გრანინი შეხვდა მრავალრიცხოვან მკითხველთა აუდიტორიას; თუ რა მასშტაბის მწერალია თავად გრანინი, ამის მიხვედრა თუნდაც იმითაც შეიძლება, რომ რუსი მწერლებიდან ამ დარბაზში პატარას და საშუალოს კაციშვილი არ გააჭაჭანებს!

ჰოდა, ერთ-ერთ შეკითხვაზე, როგორ უყურებთ თანამედროვე ახალგაზრდობასო, გრანინმა ასე უპასუხა:

– Как я смотрю? Ну, как вам сказать... Не очень спокойно... Посудите сами: мы плохо работаем, о-очень плохо работаем. Второе... Не знаю, как у вас в Москве, а у нас, в Ленинграде, каждый второй брак оканчивается разводом... В третьих, - пьянство...

როგორც ხედავთ, ამ მოკლე პასუხში მოურიდებლად არის ხაზგასმული არცთუ სახარბიელო მდგომარეობა შრომის, ზნეობის, „სულიერი გართობის“ სფეროებში... და თუ ვისმე ეჭვი შეეპარება გრანინის სიტყვების ჩემ მიერ გამუქებაში, შეუძლია, შეამონმოს, ამიტომაც მივუთითებ კიდევ ასე ზუსტად თარიღსა და დროს, თანაც იმასაც დავძენდი, რომ ეს არ იყო პირდაპირი გადაცემა, მსგავსად ფეხბურთის მატჩისა, რომლის სტიქიურობა ცენზურის მიღმა რჩება ხოლმე).

\* \* \*

მარჯანიშვილის თეატრის ახლად დანიშნულმა ხელმძღვანელმა თემურ ჩხეიძემ მე და ჩემისთანა დრომოჭმულ-დახავსებულნი დიდად გაგვახარა პრესაში გამოქვეყნებული იმ საპროგრამო აზრით, რომ მას უნდა, შექმნას ფსიქოლოგიური თეატრი, მაგრამ თეატრი არსებითად ხომ ახალგაზრდობისათვის არის განკუთვნილი, და არა ხანდაზმულთათვის, და რა ბედნიერება იქნებოდა, თუ მას, ფსიქოლოგიური თეატრის მეშვეობით, მოვაქცევდით ფაქიზი და ხალასი გრძნობების, დიდი, საერო ფიქრების სამყაროში, შევძრავდით მის სულსა და გონებას, რასაც ვერ შეძლებს, უკვე თავისი ჟანრობრივი პროფილის გამო, ვერც ცირკი და ვერც მუსკომედია, ვერც გამაყრუებელი ელექტროგიტარა და ვერც მეცო-ხრინნოს ხმის მფლობელი მიკროფონაქე...

ისე კი, ამასაც შევნიშნავდი, ყოველი ნამდვილი დრამატული თეატრი არ შეიძლება, არ იყოს ფსიქოლოგიურ სანყისებზე დაფუძნებული, ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო ერთ დროს მოსკოვის სამხატვრო თეატრი და ასეთი იყო, კერძოდ, მარჯანიშვილის სახელობის თეატრიც...

ცხადია, ორი-სამი, დანყებითი სპექტაკლით ფსიქოლოგიური თეატრი ასე ერთი ხელის დაკვრით არ შეიქმნება, საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, სათანადო რეპერტუარია გამოსაძებნი.

ამ მხრივ კი, ცხადია, აბა, ვინ შეიძლება უკეთესი ავტორი მოინახოს, ვიდრე ილია ჭავჭავაძეა?! ილიას კი ძებნა არც სჭირდება, კაცი-მთა, დიდი მთა მარად აზიდულია ჩვენ თვალწინ, უფრო მეტადაც კი, ვიდრე მყინვარი, აკი, მყინვარს დროდადრო ნისლი ფარავს, ილიას კი ვერც ნისლი და ვერც ღრუბელი მუხლებამდეც კი ვერ უბედავენ დარჩრდილვას.

მით უმეტეს, თეატრმა არ უნდა შეჰკადროს ეს, თანაც ისეთმა ხელოვანმა, რომელიც თითქოს მის ყოველ სიტყვას საკუთარი თვალისჩინივით უფროთხილდება (ჩვენი ქართული, ლ ი ტ ე - რ ა ტ უ რ უ ლ ი , ნ ა ბ ე ქ დ ი ქართული ამ ორმოც წელიწადში, მთელი ჩვენი ხალხის საბედნიეროდ, ისე დაიხვეწა და ისე ჩამოყალიბდა, რომ ახლა აღარც ილია დაგვიწერდა „ასის წლის წინათ“ და არც „თარგმანს ინგლისურიდამ“), მაგრამ, თუკი მაინცდამაინც არჩევანზე მიდგება საქმე, როგორც ჩანს, უფრო აჯობებს, დიდი მწერლისას აზრს უფრო ვუფროთხილდებოდეთ, ვიდრე ცალკეულ სიტყვას...

როცა შენ კლასიკურ ნაწარმოებში, რომელიც ყოველმა ჩვენგანმა ზეპირად იცის, ლუარსაბის რძლის, ელისაბედის როლს თანამედროვე კოსტიუმში გამოწყობილ მსახიობ-ვაჟს ათამაშებ, რომლის ქალობაში გინდა დამარწმუნო მისი ჰიპერტროფირებული ქალური მანჭვა-გრეხიანობით, ბაკენბარდებიან თავზე კოპლებიანი თავსაფრის მოხურვით, რად მივიღოთ, ბატონო, ეს, ილია ჭავჭავაძისადმი ფანატიკურ ერთგულებად თუ ილია ჭავჭავაძის ნოვატორულ, ახლებურ ნაკითხვად, ან ეგებ, იმ ღრმა ფსიქოლოგიზმად, რომელსაც ჩვენი შიდანწევით გამხმარი თავის ქალა ასე იოლად ვერ ჩასწვდება?!

შეიძლება ამ მსახიობმა-ვაჟმა ქალების როლის უბადლო შესრულებით თქვენი ყურადღება ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში მიიქცია და არ გინდათ, ასეთი ნიჭი დაიკარგოს და გინდათ, რომ ის გამოჩნდეს თეატრის მოყვარულთა სასიხარულოდ...

ამ კეთილშობილურ განზრახვას, აბა, ვინ ერთი დაგინუნებთ, მაგრამ... დაგედგათ, ბატონო, მაშინ სპეციალურად მისთვის წარსულში დიდად ცნობილი ინგლისური კომედია „ჩარლის დეიდა“ და არა „კაცია- ადამიანი?!“

(სულ უახლესი მინი-ცნობა:

#### „Протест драматурга

Сэмюэль Беккет наложил авторское вето на постановку его пьесы «В ожидании Годо» в западногерманском городе Касселе. Режиссер этого театра вознамерился провести эксперимент и отдал мужские роли актрисам. Протест драматурга был удовлетворен. Спектакль не состоится.

«Сов. культура», 21 сентября, 1982 г.

აღბათ, არ იქნება ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენი, თუკი აბსურდული დრამატურგიისა და აბსურდის თეატრის მამამთავარი სამუელ ბეკეტი აღაშფოთა რეჟისორის ხელყოფამ – შეეცვალა სქესი მისი პერსონაჟებისათვის, მაშინ როგორღა მიიღებდა, ცოცხალი რომ იყოს, ქართულ რეალიზმის მამამთავარი ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ არცთუ სულ აბსურდულ მარჯანიშვილის თეატრში მისი ელისაბედის... გაელიზბარებას?!).

ამ სპექტაკლშივე, ამაზე ბევრად უფრო სამწუხაროდ (რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენთვის – გადაღჯუებულ-ჩამორჩენილთათვის!), „სექსუალური რევოლუციის“ მონაწილედ გვეცხადება... ღმერთო, ნუ მინყენ და... დარეჯანი!

როცა თავის თანამეცხედრე ლუარსაბს იოლად მისახვედრი ქარაგმებით ბრალს სდებს უშვილობაში და, შესაძლოა, ცვედნობაშიც, იატაკზე (აღბათ უნდა ვიგულისხმობთ, რომ ეს „კრაოტია“) ფეხებგაჩაჩხული ისეთ პოზას იღებს, რაც არც რეჟისორის ფანტაზიას ეკადრება, არც მის თეატრს, არც სინითლემორეულ უხერხულობაში ჩავარდნილ მაყურებლებს, ილია ჭავჭავაძეს კი – ხომ არა და არა!

და არც მსახიობმა, მით უმეტეს საქვეყნოდ ცნობილმა მსახიობმა, არ უნდა იკადროს იაფფასიანი „პოშლიატივის“ დემონსტრაცია! ალექსანდრე იუჟინი იქნებოდა თუ ალექსანდრე ნუნუნავა, განა ამაზე დაითანხმებდნენ მარია ერმოლოვას თუ ნუცა ჩხეიძეს?!

ვიცი, საამისო პასუხი „ნოვატორებს“, ისე, როგორც ყოველთვის, ახლაც მზად ექნებათ: საერთოდ,

„ეგრეთ წოდებული „საშუალო“ მაყურებელი ძნელად იღებს ახალს... მას სურს ყოველთვის ნაცნობი, ტრადიციული...“

(იხ. „სკოლა და ცხოვრება“, №3, 1981 წ., გვ.66).

კერძოდ,

მაშინ სხვა დრო იყო...

დრო კი სხვა იყო, მაგრამ ზემოთაც მოგახსენეთ, არსებობს მორალის, ზნეობის მარადიული კანონები, რომლებზეც დრო ხელს ვერ აღმართავს, თუკი, რა თქმა უნდა, სირცხვილის გრძნობას არ ამოვშანთავთ ჩვენში და სულ არ დავეშვებით იმ ჩვენი წინაპრების დონემდე, ზოოპარკის გალიაში, მზეზე, წელს ქვემოთ „საჯაროდ“ რომ იქექებიან და ჩვენ, მათ შთამომავალთ, თვალის წუთიერი შეჩერებაც რომ გვერიდება, თუნდა იმ დროს მარტონიც ვიყოთ...

შარშან ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№7) დაიბეჭდა „გარეუბნის მარტოსახლი“. ამ პიესის ავტორი, როგორც მითხრეს, ახალგაზრდა დრამატურგია, უფრო სტაჟით, ვიდრე ასაკით. მიუხედავად ამისა, მე მგონია, იგი მაინც უნდა მივაკუთვნოთ იმ თაობას, რომელიც მოდის, სამწუხაროდ, მეტად წელი ნაბიჯებით რომ მოდის და ასე დიდად იგვიანებს...

ახალგაზრდა შილერს „ყაჩაღები“ უკვე დაწერილი ჰქონდა და ის მაინც საგონებელში ჩავარდნილი გულს ეხეთქებოდა:

„22 года, и ничего не сделано для бессмертия!“

სხვათა შორის, „მარტოსახლიც“ მოქმედებენ ყაჩაღები, ყოველ შემთხვევაში, მოყაჩაღო ყაჩაღები, თუმცა არა იმ ზომისა და არც იმ სულის ყაჩაღები, როგორიც იყვნენ გერმანელი დრამატურგისა; შეიძლება ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ „მარტოსახლის“ ენობრივი ქსოვილი, სიტყვიერი მასალა, შილერთან შედარებით, სულ სხვა შედეგნილობისაა. სადეგუსტაციოდ მხოლოდ ერთ გვერდზე (112) დაბეჭდილს (დაბეჭდილს!), მაღალფარდოვნად რომ იტყვიან ხოლმე, შემოგთავაზებთ:

„ა ლ ე კ ო: ისეთ შავ დღეში ვარ, ჩემო მაგდა... გაჩაჩხული ვარ გაგლეჯამდე. გაგლეჯილი მაქვს შარვლის უბე. კუტუ გარეთა მაქვს გამოვარდნილი. ყვავი მაზის მხარზე. ქვემოდან ნაგაზი ცდილობს ამოხტომას. კუტუს მოჭმას მიპირებს.“

მ ა გ დ ა (თავგამოდებით): მოვუხმობ საშველად ყველას.

ა ლ ე კ ო: ... ასე გაჩაჩხული ვარ მე დღეს, რადგან კუტუს მოჭმას მიპირებს კავკასიური ნაგაზი... მაგდა, რად უნდა ყვავს მაგნიტოფონი? რად უნდა ძალს ჩემი კუტუ?

...უთხარი დოდონას: ალექოს რომ ფისი მოუნდეს-თქო, არ დასჭირდება შარვლის შეხსნა, გამოვარდნილი აქვსო-თქო გარეთ კუტუ.“

ალბათ დაინტერესდებით მოქმედ პირთა წლოვანებით... მოვიშველიოთ ავტორი: ალექო „შუა ხნის წარმოსადეგი მამაკაცია“, მაგდა „მონიფული ქალიშვილია“, დოდონა „ბებიაა მაგდასი, ას წელს მიტანებული“, თუმცა მოძრაობასა და სიტყვა-პასუხში სულაც არ ეტყობა, რომ იგი იმ წელს მოევლინა ამ ქვეყანას, როცა სანკტ-პეტერბურგის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის ქალიშვილმა, სოფიო პეროვსკაიამ სანკტ-პეტერბურგშივე გააგორა იმ დროისათვის ბევრი პროგრესული რეფორმის შემომღები ალექსანდრე მეორე...

ისიც მინდა, შევახსენო მკითხველს, თუ ის მამაკაცია, რომ ათი-თორმეტი წლის შემდეგ შვილები თანდათან შორდებიან მშობლებს, ცალკეედებიან, ბიჭი ამ ასაკში დედას ტანს უკვე აღარ აბანინებს, ერცხვინება...



ახლა კი, ყოველივე ამ მიხვეულ-მოხვევის შემდეგ, გთხოვ, მკითხველო, ერთი ნუთით მაყურებლად გადაიქცე და თავად წარმოიდგინო, რა ამაღლებული, რა შთამაგონებელი, რა სულისა და გონების გამწმენდი სანახაობა გელის, თუმცა, ამ პატარა სცენისა და დიალოგის მიხედვით, როცა „მარტოსახლს“ მთლიანად იხილავ რუსთაველის თეატრის სცენაზე, — დიახ, ეს პიესა თავის „კუთუბიანად“, „მთლიანად და სავსებით“ არათუ ჟურნალის დიდად დახვეწილი გემოვნების მქონე რედაქტორმა დაბეჭდა საუცხოო ცარცის ქალაღზე, იგი აგრეთვე „მთლიანად და სავსებით“ მიიღო კულტურის სამინისტრომ და ახლა მას ამზადებს ჩვენი სახელგანთქმული, რუსთაველის სახელობის, ჩვენი პირველი ეროვნული თეატრი დიდად დახვეწილი გემოვნების მქონე რეჟისორის, რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით; ამზადებს, ცხადია, „მთლიანად და სავსებით“, რაც, რასაკვირველია, ბევრად არც გაუჭირდება ჯერ „რიჩარდში“ ქვედა საცვლების გაუხდელად, მერე კი „შეშლილში“ დიდი ოსტატობით დადგმული იმ სცენის შემდეგ, რომლისთანებზე დასავლეთის პორნოფილმების უნახავმა და ამიტომ უბედურმა ციციერონმა ოცი საუკუნის წინათ თქვა: „...показывать непристойно“-ო.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათაც კი, აბა, სცენაზე ვინ იტყოდა „ნიფხავსაც“ კი; „ნიფხავი“ კი არა, ერთმა ჩემმა საყვარელმა მსახიობმა ქალმა კუპრის ცრემლებით მატირა, როცა ფრაზაში — „ვიდრე მაგას ბარძაყს არ გამოაჭამს, მანამ არც დაიჯერებს, რომ მისი ძალი იკბინება“, „ბარძაყი“ ამომიგდო, როგორც უცენზურო სიტყვა და თავი რომ მემართლებინა, ვერც ილია მომეშველა და ვერც აკაკი („შე არდასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყისოდენა მკლავები!“ „ცხელი მჭადი მომეღვა ბარძაყზე და მეცხუნა“).

ახლა კი, იმავე თეატრის სცენაზე, თანაც ქალი -ავტორის პიესებში ისეთი „ანტიკა“ სიტყვებია მიმოხვეული, დიდუბელ ფხაჭი-კოლასაც რომ შეშურდება...

რას იზამთ, განათლდა ხალხი, საოცრად განათლდა!.. ერთმა, როგორც ჩანს, თავზე საყრელად განსწავლულმა მოდრამატურგო დრამატურგმა შარშან მოსკოველთა ღირსსახსოვარ გასტროლებს მხოლოდ ცალი თვალი რომ შეავლო, პირად საუბარში ქედმაღლურად წაუაფორიზმა: „მართლაც მ ც ი რ ე თეატრი ყოფილა მცირე თეატრი“.

მე კი მეორემ, გ. ტოვსტონოგოვის „ცხენის ისტორიის“ პირველი მოქმედების ნახვითაც უკვე გაბრუებულს, ანტრაქტის დროს ისე დამცინავად გადმომხედა, რომ შევატყვე, ცოტათი შევეცოდე კიდეც და ამიტომ სულ ერთიანად არ გამწირა და არ მომახალა — „რა გესმით თქვენ ხელოვნებაში?!“ მან მხოლოდ სასწორზე შემეგდო: „ნუთუ ეს მოგწონთ?!“

ალბათ გასურთ, იცოდეთ ამ „მეორის“ ვინაობა — რუსთაველის თეატრის წამყვანი რეჟისორი გახლდათ (ეს თითქოს ჩვენს თემას არ ეხება, მაგრამ მაინც... რა ენობრივი უბედურებაა ეს... „წამყვანი“, „წამყვანი“...

პროგრამის წამყვანი — კიდეც ჰო, წამყვანი ორთქლმავალიც, მაგრამ „წამყვანი შემოქმედი?“ „წამყვანი უნივერსიტეტი?“ თუ მოწინავე?!

ეს „წამყვანი“ რუსულიდან კი მოდის პირდაპირი გზით, მაგრამ რუსულ-ქართულში ნუთუ ველარ გავინაფეთ ოციანი წლების შემდეგაც, როცა „подпольщик“-ს უსატყვისებდნენ ჭერქვეშელს... ჭერქვეშელი რევოლუციონერიო. ჭერქვეშე ცხოვრობს ყველა მოდგმა ადამიანისა, რევოლუციონერები და კონტრრევოლუციონერებიც. იატაკქვეშ კი იმალებოდნენ და ბეჭდავდნენ პროკლამაციებს მხოლოდ რევოლუციონერები!).

...დიახ, თაობა მიდის, თაობა მოდის! მე ვფიქრობ... ვფიქრობ, ცხადია, გაუბედავად და რა სამწუხაროა, როცა თაობა მიდის, და რა სასიხარულოა, როცა თაობა მოდის, ოღონდ... ორმაგად სასიხარულო იქნებოდა, თუ ეს თაობა თავის სამწერლო, სახელოვნო მოღვაწეობას... ბოდიშს მოვიხდი, „კუთუთი“ არ დაიწყებდა, რომელიც, როგორც „საბავშვო საღალაობო“ სიტყვაც კი, შეტანილი არ არის ჩვენი ეპოქის დიდ ძეგლში - „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.“

(**ანდერძისპური:** თუკი ასი წლის შემდეგ საქართველოში ქართველობა კიდეც იქნება შემორჩენილი იმ რაოდენობით, რომ მას კვლავაც ექნება ქართული შრიფტი და ქართული სტამბა, თანაც ვითარებაც იქნება ისეთი, რომ შეეძლება, დაბეჭდონ ჩემი „შავი წიგნი“, ჩემი თხოვნა იქნებოდა, მთელი ეს „სექსუალური“ ნაკვეთი ამოიღონ როგორც ქალაღის ფერის გამშავებელი და ადამიანში ადამიანურობის შეურაცხმყოფელი!).

\* \* \*

ნალბანდი რომ უნდა ნალბანდობდეს და ხაბაზი – ხაბაზობდეს, რაც ადრეულად შეიგნო ნემიროვიჩ-დანჩენკომ, რუბენ სიმონოვმა კი – მოგვიანებით, ამის ჩინებული მაგალითია რეჟისორ რობერტ სტურუას დრამატურგიული საქმიანობა...

ისე კი გადაშალეთ ანტონ ჩეხოვის „Записные книжки“, 1927 წელს მოსკოვში გამოცემული, გვერდი 89, სადაც ამოიკითხავთ:

„Всякий человек может написать пьесу, которую можно поставить“.

ამ აზრის დამადასტურებელი სულ პატარა მაგალითიც:

„ნ ა ზ ი კ ო (სიხარულით, ეხვევა და კოცნის): უი, მადონას ვენაცვალე, სადა ხარ, ქალო, სად დეიკარგე?!“

მ ა დ ო ნ ა (დალლილი ხმით); პაკუპკებზე ვიყავი, მოსკოვში... (უცხად ცოცხლად). დედა, რა სერვანტესები ჩამევიტანე, რო იცოდე, ცეკავშირის ჯუღეტაც დააფჩენს პირს!“

განა არ შეიძლება ეს სცენა-გადალაპარაკება გათამაშდეს თეატრში?! შეიძლება, ცხადია, ჰოდა, ამას კიდევ სხვა მიუმატე, იმ სხვას კიდევ სხვა და...

მოთხრობა-ლექსისაგან პიესის მთავარ განმასხვავებელ ნიშნად ხომ ერთმანეთში ლაპარაკი ითვლება, ამაღლებულად დიალოგს რომ ეძახიან დრამატურგთმცოდნეები, ადამიანები კი ენის ადგმისთანავე სულ ერთმანეთში ვლაპარაკობთ, ჰოდა, ამაზე ადვილი რა უნდა იყოს — ვალაპარაკებ მეც ხან ქალს, ხან კაცს? ვალაპარაკებ დედას მამასთან, ბებიას შვილიშვილთან, მექრთამეს სამსახურის მაძიებელთან, პატარას დიდთან, ავადმყოფს ექიმთან, მინისტრს მდივანთან, მდივანს სათხოვნელად მოსულთან („თათბირი აქვს“) და ასე შემდეგ და ასე ამგვარად... სხვა რაღა ჯანდაბა უნდა პიესას, ახლა ადექი და ითამაშე, ოღონდ ეს კია, ცოტა ძნელი ყოფილა სცენამდე მიღწევა, მაგრამ „შანციან“ კაცს არც ეს გაუჭირდება და არც უჭირს თურმე!..

„შანციანმა“ ისიც კი იცის, თურმე, რომ ჩვენი თეატრები პიესებს უფრო იმის მიხედვით იწონებენ და იწუნებენ, თუ ვისი დანერილია იგი; ფაქტიურად უფრო დამწერს, კაცს დგამენ, ვიდრე ნაწარმოებს, ამიტომაც არის, რომ ახლა დრამატურგია აღარ ითვლება ლიტერატურის ყველაზე რთულ, უძნელეს ჟანრად, და არათუ უძნელეს, საერთოდ, ლიტერატურადაც აღარ ითვლება; „ერთმანეთში ლაპარაკი ორ ნაწილად“ უკვე პიესაა, თუნდაც სახეები მასში უსახური იყოს, ენა გონჯი და მხატვრულ ალლოს მოკლებული, დასაწყისი და ბოლო დაუსაბუთებელი...

თუმცა, რის დასაწყისი, რის ბოლო, როცა მეტ-ნაკლებად მწყობრი სიუჟეტიც კი სულაც აღარ არის სავალდებულო და, მაშასადამე, არც ექსპოზიციან საჭირო და არც კვანძის შეკვრა, არც კონფლიქტის გამძაფრება, რომელსაც მოჰყვება კატასტროფა და გაიხსნება ნასკვი...

ყოველივე ეს სოფოკლეს, შექსპირის, მოლიერის, შილერის, ოსტროვსკის, შოუს უკვე წყალში გადასაყრელი ხერხები ყოფილა. თანაც ამ ძველმოდური კანონებით პიესა რომ დანერო, ამას ერთი ისეთი რაღაცა უნდა თურმე, რომელსაც „შანცი“ არ იძლევა, მას თურმე, ბუნება იძლევა, ისიც ძალზე ძუნნად, მის გასაღვივებელ-გასამდიდრებლად კი საჭიროა, თურმე, მთელი ცხოვრება კვარით იწვოდე...

ვიყავი მხოლოდ დრამით მდიდარი,  
არ მიძებნია მე სხვა ქონება,  
პიესის გარდა არავითარი  
მე არ მხიბლავდა სხვა შთაგონება.

(ვალერიან გაფრინდაშვილის ამ ტაეპში შეცვლილია მხოლოდ ორი ერთი და იგივე სიტყვა: „ლექსი“, „ლექსები“);

დიდება და მადლობა ღმერთს, რომ დრამატურგიაში დაგვიდგა დრო, როცა არათუ კვარით, ექვსშაურიანი სანთელივით რომ იწვოდე, ესეც ზედმეტია, და რომ ყველა ეს „თურმეც“ ბალასტია თურმე!

დიახ, დიდებული რამ ყოფილა დრამატურგობა, თანაც, თურმე, ო, რა უბრალო, იოლი და ადვილი!

(მინი-ცნობა: ოცზე მეტი პიესის, მათ შორის „მდაბიონის“, „მოაგარაკენის“, „ფსკერზე“, „მზის შვილების“, „ეგორ ბულიჩოვის“ ავტორს თავი დრამატურგად არ მიაჩნდა და ამით მაქსიმ გორკი ცრუ თავმდაბლობის სამოსელში როდი ეხვეოდა, მე უფრო ბელეტრისტი ვარო...

„Наконец, я обязан сказать кое-что и о себе, ибо есть опасность, что моя «драматургия», ныне чрезмерно восхваляемая, способна соблазнить молодых людей на бесполезное изучение ее и – того хуже – на подражание ей“.

„О пьесах“ полное собр. сочинений, том 26, стр. 423.

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას ბრჭყალებს, რომლებშიც გორკიმ თავისი დრამატურგია მოაქცია, როგორც, მისი აზრით, მდარე ღირსებისა...

ანტონ ჩეხოვი (ჩ ე ხ ვ ი ც ! ) შეწუხებული სწერდა ა.ი. სუვორინს „თოლიაზე“ („Чайка“):

...„Читая свою новорожденную пьесу, еще раз убеждаюсь, что я совсем не драматург“.  
Полное собр. сочинений, том 16, стр. 285.

კონტრასტისათვის მხოლოდ ერთი მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ გავიზარდეთ ჩვენ, დრამატურგები, ჩეხოვისა და გორკის შემდეგ:

ჩვენი დროის ისედაც ყოველმხრივ სახელგანთქმული ბელეტრისტი, რომელსაც დრამატურგობასთან იმდენივე კავშირი აქვს, რამდენიც პურის ცომს გამომცხვარ პურთან (მის ნაწერებს რომ სხვები ასცენიურებენ, ეს მთელმა მილეთმა იცის, ლენინგრადადელ ალამირზოიანიდან თბილისელ ლორთქიფანიძემდე!), თავს მაინც დრამატურგად გვაცნობს:

„Прозаик, драматург, поэт“ (იხილე Справочник Союза писателей СССР, Москва, 1981 г.).

ნუ ვიტყვით, რომ ასეთ ცნობარში შემდგენელი, ჩვენ მიერ ცნობის მიუწოდებლად, ჩვენდა დაუკითხავად, ზედმეტ „ჩინმენდალ-ტემლას“ მოგვაკერებს).

სტურუას ორად ორ პიესას, თუ საანგარიშოზე ჩამოვკრავთ და არ შევცდებით, მისი ჩათვლით ხუთი ავტორი ჰყავს!

პირველ პიესას „ბრალდებას“ ბრალს არც წაუყენებთ, რადგან იგი ქაბუკობაში დაიწერა, დაიწერა იმ ასაკში, როცა ცეცხლთან თამაში უბრალო გართობა ჰგონიათ, მეორე კი – „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“ – სულ აგერ ახლა, ჩვენ თვალწინ, ასაკობრივ და შემოქმედებითს ზენიტში მყოფობის დროს!

მართალია, რუსთაველის თეატრისა და მისი მთავარი რეჟისორისთვის საგულდაგულოდ, მისი კრედოს სრულყოფილად წარმოსაჩენად დანერგილი ეს პიესა სამ ავტორს – თითქმის მთელ ბრიგადას ეკუთვნის, მაგრამ მათი ბრიგადირი კალმით თუ არა, სულით მაინც, ხომ სტურუაა და, მაშასადამე, ის არის მისი პირველი და მთავარი ავტორი, რასაც, სხვათა შორის, არ უგულუბელყოფს ნაბეჭდი ქალაქის არც ერთი ნამცეცეცი, რომ აღარაფერი ვთქვათ აფიშა-პროგრამებუკლეტებზე და ფინანსურ მხარეზე.

ისე კი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო დრამატურგიაში არ მოიძევაბა თუნდაც ერთი, ასე თუ ისე ცნობილი დრამა თუ კომედია, ტრაგედია თუ ვოდევილი, სამ ავტორს რომ ერიოს მასში ხელი, ორის კი, მაგრამ მხატვრული ღირებულებით დიდად არც ისინი გამოირჩევიან. როგორც ჩანს, დრამატურგიაში არსებობს რაღაც კანონზომიერება, რომლითაც რაოდენობა არ გადადის ხარისხში, თუმცა, ესეც არის, „ვარიაციები“ მარტო სტურუასაც რომ დაეწერა, ხარისხობრივად მაინც იმავე ხარისხში იქნებოდა (და, შესაძლოა, უფრო დაბალზეც, ახლა ავტორებში ერთი ჟურნალისტი ქალი მაინც ურევია)... მთელ ამ „ვარიაციებში“ კი გულთან მისატან, გულის გამხარებელ ერთ ვარიაციასაც, ერთ ახლად დანახულ პერსონაჟს, ერთ ფრაზას, მწერალ კაცს რომ შეგშურდება, ნეტავ ამაზე ადრე მე დამენახა, მე მეთქვაო, ვერ ნაანყდებით.

და მაინც,

„ვარიაციები“ — პიესა და სპექტაკლი, რომელიც თეატრის მთავარმა რეჟისორმა თავის გემოზე დაწერა და რომლისთვისაც შეარჩია – აბა, ხელს ვინ შეუშლიდა! – თავისივე თეატრის ყველაზე საუკეთესო მსახიობები (ეროსი მანჯგალაძის გამოკლებით!) და დადგა, მაინც ვერ იქცა საეტიპო, საპროგრამო სპექტაკლად და მან ვერაფერი სიხარული მოუტანა ვერც თეატრს და ვერც მაყურებელს!

ისე კი ჩვენს სახელოვან რეჟისორს თავის დადგმებში ერთობ უყვარს „შტუკებისა და შტუჩკების“ მიმობნევა, ზოგი-საკუთარის, ზოგიც-ნასესხების... მაგალითად, „დამწყებ როლში“ ლაპარაკი სიტყვების წამლერებით ახლა ბევრისათვის უკვე მივიწყებულ მშვენიერი ფრანგული ფილმიდან — „შერბურის ქოლგებიდან“ არის, როგორც იტყვიან, „რბილად“ რომ ვთქვათ, წამოღებული... „ვარიაციების“ მთავარი დრამატურგიული საყრდენი კი, აქაც „რბილად“ რომ ვთქვათ (ო-ო, სიტყვა პლაგიატს არ ვიხმართ!), ცივ-ცივად არის აღებული ინგლისში საკმაოდ ცნობილი ერთი პიესიდან, რომლის ავტორია ფეი უელდონი და რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ დაიდგა...

არ ვიცი, ეს სხვათა შორის უნდა ითქვას თუ მტკიცედ და გარკვევით, რომ ამ პიესის სათაურიც ინგლისურად „ვარიაციებად“ იკითხება (Fay Weldon, „Action Play“) და აქაც ასე, როგორც ქართულ „ვარიაციებში“, რამდენჯერმე თამაშდება სხვადასხვა გარემოცვაში სცენები, რომელთაც სხვადასხვა დაბოლოება აქვთ.

(მე აღარაფერს ვამბობ გერმანელი დრამატურგის პეტერ ვაისის, დიდად ცნობილ პიესაზე „მარატ სადზე“, საიდანაც ქართულ სამავტოროვან „ვარიაციებში“, ყოველგვარი მოზოდიშების გარეშე, „ნასესხებია“ სიუჟეტური აღნაგობის პრინციპი, და არც ს. ალიოშინის პიესაზე „Тема с вариациями“).

სტალინი, რომელიც სინამდვილეში ხალხს არავითარ ანგარიშს არ უწევდა, მაინც ხშირად იმეორებდა, ხალხი ბრძენიაო („Народ мудр“).

ჰოდა, ბრძენ ხალხს უთქვამს, ნალბანდი უნდა ნალბანდობდეს, ხაბაზი უნდა ხაბაზობდესო.

ახლა ესეც ვიკითხოთ, რამდენად არის რობერტ სტურუა ქართველი... ნალბანდი, ან ქართველი ხაბაზი, ესე იგი ქართველი რეჟისორი?

მარჯანიშვილი სულ ათიოდე წელი ემსახურა ქართულ თეატრს და, მაინც, მიუხედავად იმდროინდელი ქართული დრამატურგიის მწირიანობისა, ამ ხნის მანძილზე „გარუსებულმა მარჯანოვმაც“ კი დადგა, ზოგიც ძველი და ზოგიც ახლად დაწერილი, 17 ქართული პიესა (პანტომიმა „მზეთამზისა“ და „არსენას ლექსის“ ჩაუთვლელად!); არც ახმეტელს დასცალდა, მასზე ბევრად მეტხანს ეგიზგიზებინა ცეცხლი რუსთაველის თეატრის სცენაზე, მაგრამ მანაც მოასწრო, დაედგა 15 ქართული პიესა (გადმოქართულებული „ანზორისა“ და „ნაბიჭვრის“ ჩათვლით!). დი-ახ, ახმეტელმა, მარჯანიშვილისა არ იყოს, მიუხედავად იმდროინდელი ქართული დრამატურგიის სილატაკისა, აკი იმ წლებში ჩვენი დრამატურგია, როგორც ლიტერატურის განცალკევებული ჟანრი, მხოლოდ ყალიბდებოდა.

თავისი რეჟისორული მოღვაწეობის ოცი წლის მანძილზე რობერტ სტურუამ წარმოგვიდგინა 27 სპექტაკლი, აქედან დამოუკიდებლად, მარტო მან, ქართული პიესა დადგა მხოლოდ... ექვსი! (მათ შორის „ლალატი“ ისე დაასაჭურისა, რასაც თვითონ საჭურისი ალა-მაჰმად-ხანიც ვერ მოახერხებდა, ყვარყვარეს კი ნაცარქექიას, არტურო უის ფერ-ხორცი შეასხა, ბრეხტმა მსოფლიოს ამამტუტებელ-დამაქცევარ ადოლფ ჰიტლერად რომ წარმოგვიდგინა!).

თანაც — ეს როგორღაც ნიშანდობლივია! – ქართული პიესა (და არც უცხოური!) ერთიც არ დაუდგამს ისეთი, რომელიც სადმე უკვე დადგმული არ ყოფილიყო („მზიანი ღამე“, როგორც რომანი, უკვე აპრობირებული იყო და მისი ინსცენირება არ იყო რაიმე სიახლესთან თუ რისკთან დაკავშირებული).

ზოგიერთმა ეს შეიძლება ამ ვეება რეჟისორის მორიდებულობით აგვიხსნას, — არ უნდაო, ძველი ფეოდალვით პირველი ღამის უფლებით ისარგებლოს მასზე დაქვემდებარებული დრამატურგიის ლატიფუნდიებში, თუმცა კი ამ უფლებით, მისი წინამორბედნი, მარჯანიშვილი, როგორც „დურგალი“ და ახმეტელი, როგორც „ხურო“, როგორც კი „სპექტაკლ-სკამის“ მზადებას შეუდგებოდნენ, უშიშრად და ფართოდ სარგებლობდნენ: ისინი ერთი წაკითხვით... ბოდიში, ერთი ხელის მოსმით, ერთი თვალის გადავლებით უკვე ხვდებოდნენ, რა ჯიშის ხის მასალასთან

ჰქონდათ საქმე: ეს იყო ძვირფასი მუხა თუ ბზა, თუ, მათთან შედარებით, დაბალი ღირსების თელა თუ ნიფელი...

\* \* \*

საქართველოს გარეთ ქართული თეატრისათვის ისე არავის გაუთქვამს სახელი, როგორც დაც ალექსანდრე ახმეტელმა გაუთქვა.

და ისიც რა დროს? როცა მატარებელი თბილისიდან მოსკოვამდე ჩასვლას ოთხ დღეს უნდებოდა, როცა უჩინმაჩინის ქუდი უფრო რეალური ამბავი იყო, ვიდრე ტელევიზია...

1930 წლის მოსკოვის თეატრალურ ოლიმპიადაზე რუსთაველის თეატრმა არა მარტო ჩვენი დროის ყველაზე დიდი ესთეტი ლუნაჩარსკი განაცვიფრა („რუსთაველის თეატრი მსოფლიო თეატრების პირველ რიგში წინაურდება“) და აგრეთვე ბევრი სხვა, თითქმის მისი ტოლი რუსი თეატრალური მოღვაწე და უბრალო მაყურებელი, არამედ მრავალი უცხოელიც...

ამერიკელებმა მიიწვიეს კიდევ ქართული თეატრი საგასტროლოდ თავის ქვეყანაში, და თუ ეს გასტროლები არ შედგა, ამაში ბრალი მხოლოდ იმ დროს დასში მყოფ ზოგიერთ ჭკუამოკლე და ენაგრძელ, თანაც ნიჭით პატარა მსახიობებს მიუძღვით („თუ მოგვეწონა ამერიკა, დავრჩებით იქ, აპა, რას ვიზამთ.“

როგორ ფიქრობთ, ეს გასტროლები რომ შემდგარიყო, უფრო ნაკლები წარმატება ექნებოდათ მათ, ვიდრე ახლანდელ რუსთაველის თეატრს ჰქონდა მექსიკაში?! ანდა „ურიელ აკოსტას“, რომლის დეკორაციული გაფორმება დღემდე ინარჩუნებს სიახლეს და გვაოცებს მუსიკით, „სტურუასებურად“ რომ იყენებს მარჯანიშვილი, რაც ეგზომ აძლიერებს სპექტაკლის ემოციური ზემოქმედების ძალას?! ან კიდევ მისივე, მარჯანიშვილისავე, „ბეატრიჩე ჩენჩის“ — საუცხოო სპექტაკლს.

იმდროინდელი რუსთაველის თეატრისა და მისი ვაჟკაცი ხელმძღვანელის ალექსანდრე ახმეტელის სასახელოდ და სადიდებლად ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ მათ ქართულ თეატრს სახელი ქართული პიესებით გაუთქვეს, „ლამარა“ და „ანზორი“ — აი, რა იყო მათი თეატრალური თავბრუს დამხვევი სავიზიტო ბარათი! სწორედ ამ სპექტაკლებში ბობოქრობდა ქართული სული და ქართული ბუნება!

— დიახ, შეიძლება სცენაზე ქართულად მეტყველებდნენ, მაგრამ თეატრი მაინც არ იყოს ქართული!

მიხეილ ჯავახიშვილი ავტორის სათქმელს ერთ თავის პერსონაჟს ათქმევინებს:

„ზოგჯერ სახელიც ისე ადვილად რყვის მწერალს, როგორც სილამაზე ქარაფშუტა ქალს.“

პროზაულ ნაწარმოებში ვერ ჩამოთვლიდა, თორემ ისე, რასაკვირველია, ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში მხოლოდ მწერალს კი არ გულისხმობდა, — არტისტსაც, რეჟისორსაც, პროვიზორსაც, სახელმწიფო მოღვაწეებსაც კი...

მართლაცდა, დიდი ნებისყოფის პატრონი უნდა იყო და დიდი ჭკუისაც, რომ ხოტბა-დიდება, თუნდაც დამსახურებულმა, ტვინი არ აგიმღვრიოს, მით უმეტეს დამსახურებულმა... ასეთები კი, დიდი ნებისყოფისა და დიდი ჭკუის გამგებლები, კერძოდ, ხელოვნების დარგში, არათუ იშვიათად არიან, მე მგონია, სულაც არ არიან, ამიტომ მათ მიმართ, ვინც ქების სალაროს განაგებს, უფრო მეტი სიძუნვე მართებს გენიოსობის ერთხელ და სამუდამოდ ბეჭედდარტყმული მონუმენტების ჩამორიგებაში.

ნუ გაასულელებენ და ნუ გაათავხედებენ მით უფრო იმათ, ვისაც ბუნებამ საამისო მონაცემები უხვად მიაფანტა, თუნდაც პროფილაქტიკური მოსაზრებით ნუ შეუნწყობენ ხელს, რომ თავში მათ სისხლი აუვარდეთ, რაც პირველი, მაგრამ მეტად საშიში ნაბიჯია, გადადგმული ტვინის სისხლძარღვთა სისტემის მოსაშლელად.

უმადურობა ყოველთვის ითვლებოდა ადამიანისათვის დიდ სიმახინჯედ და არც ახლა, როცა „ქვეყანა გამოიცვალა, ჩარხი უკუღმა ტრიალებს“ (აკაკი), არ უნდა იყოს, თუ არ ვცდები, მისი შემამკობელი და დამამშვენებელი.

ჩვენი ხალხის დიდმა მეგობარმა, საზღვარგარეთ ქართული ხელოვნების თავგამოდებულმა მაქებარ-აგიტატორმა, არ იქნებოდა გადაჭარბება, თუ ასეც ვიტყვოდი, ჩვენი დროის უორდროშმა თეატრალური ხელოვნების არეში, გერმანელმა რეჟისორმა ჰერმან ვედეკინდმა რუსთაველის თეატრში მე-17 საუკუნის თავისი თანამემამულე დრამატურგის, გრიფიუსის „ქეთევან ქართველი“ დადგა...

მტკიცედ ამის თქმის უფლებას ჩემს თავს არ მივცემ, ისე კი, რეპეტიციების დროს ქალაქში არცთუ ისეთი ხმები გამოდიოდა, რომ თეატრში ჩვენს მოამაგე უცხოელ რეჟისორს ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მოთამაშენი და არამოთამაშენიც, თუნდაც უბრალო თავაზიანობისა და ზრდილობისათვის...

ასე იყო თუ ისე, შედგა მაინც პრემიერა, რომელმაც მრავალი ხელისშემშლელი სიძნელე გადალახა და მაინც რიგიანად ჩაიარა, და მაინც, მეორე დილით გაფრინდა თუ არა თბილისიდან ვედეკინდი, ახლა უკვე მეორედ ნანამები „ქეთევან ნამებული“ სასწრაფოდ ამოიღეს რეპერტუარიდან, როგორც... ნუ იტყვით, როგორც მხატვრულად არასაკადრისი რუსთაველის თეატრის სამსოფლიო სახელისა!..

ეს, რასაკვირველია, არ გაკეთებულა თეატრის დირექტორისა და მთავარი რეჟისორის უნებართვოდ, რომელნიც ამ შემთხვევაში ერთსახეობაში გვეცხადებინან...

(მინი ცნობა: არსად, არც „პროვინციულ“ ბაქოსა და ერევანში, მოსკოვსა და ლენინგრადში ხომ არა და არა, არ არსებობს თეატრი (გარდა საბავშვო საოპერო თეატრისა), რომლის მთავარი რეჟისორი ერთდროულად დირექტორიც იყოს; ეს კია, ასეთი გაერთიანებული, „სამალაპრესტიჟო“ პოსტი, საქართველოს გარდა, ლილიპუტიაშიც ყოფილა თურმე, მსგავსად „Директор – капитан рыболовного траулера“).

კი, მაგრამ... ასეთი რა უბადლო რეპერტუარი მოეპოვება ამჟამად რუსთაველის თეატრს, რომ გრიფიუს-ვედეკინდის „ქეთევან ნამებული“ შავ ლაქას მოსცხებს მის თოვლივით თეთრ სამოსელს?!

ჩამოვთვალოთ...

„მშვენიერი ქართველი ქალი?“ — ყელგამოღადრული და გულგამოცლილი, გაოპერეტებული გოლდონი?

თუ საერთოდ დაიდგმებოდა ეს პიესა, მაშინ ყველაზე მეტად საჭირო იყო, დაეცვათ ორიგინალი, რომ გაგვეგო, როგორ და რას წერდა ჩვენზე დიდი იტალიელი დრამატურგი...

ეგებ შატროვის „ლურჯი ცხენები ნითელ ბალახზე?“ — ამაზე წინა ერთ გვერდზე ქარაგმულად უკვე მოგახსენეთ...

ანდა, ეგებ სტურუა-ვარსიმაშვილ-ფოფხაძის „ვარიაციები თანამედროვე თემაზე?“ — ამაზე კი ასევე წინა ერთ გვერდზე ყოვლად უქარაგმოდ მოგახსენეთ...

თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის?“ - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და ისიც – გულში, და არა საჯაროდ (ვინ გაბედავს?!), მკითხველისთვის მიმინდვია.

ველიეხოს „ოცნება?“ - ხანდაზმული მაყურებელი შემიძლია, დავამშვიდო — ასეთი რამ სპექტაკლი თუ იხილა კიდევ და მის მეხსიერებას სათაურიც არ შემორჩა, სკლეროზს ნუ დააბრალებს, ოცი-ოცდაორი წლისანნიც ველარ იგონებენ ახლა მას...

ჰიგინისა და კარიერის „ჰეროლდი და მოდი?“ — მკითხველს ვთხოვ, ორი სტრიქონით უკან დაიხიოს და კვლავ ნაიკითხოს „ოცნება“, „ოცნება...“

„ტარტიუფი?“ - მოლიერს რომ ასწავლიან 350 წლის შემდეგ, როგორ უნდა დაენერა და დაედგა თურმე მას „ტარტიუფი?!“

ან ეგებ ლიუსის „ამჰერსტის მშვენება“, ერთი ამერიკელი პოეტი ქალის ცხოვრებას რომ ასახავს?..

ვისაც არ ვკითხე, მათ შორის განათლებულ ფილოლოგებსაც, თითქმის არავის არ გაეგონა, შესაძლოა, დიდად ნიჭიერი დიკინსონის გვარი...

ჰოდა, რით უნდა დაიპყროს მან მით უმეტეს „საშუალო“ ქართველი მაყურებლის გულისყური? ამავე დროს თვით პიესაც არ გამოირჩევა შეუდარებელი ღირსებებით...

არა, შეიძლება არც ჩვენ გვაქვს სრულყოფილი პიესები ბარათაშვილზე, ილიაზე, ფიროსმანზე, მაგრამ ჩვენ მათ მაინც ინტერესით ვუყურებთ, რადგან მათ სახილველად ბავშვობიდანვე მომზადებული ვართ და ჩვენი წარმოსახვითაც ვამატებთ და ვამდიდრებთ ამ დიდებულ სახეებს, დიკინსონი კი... ასეც არ იყოს, ნუთუ თეატრმა წინასწარ ვერ უნდა აუღოს ალლო, რომ ერთპერსონაჟიანი ორსაათიანი სპექტაკლი ქართველი მაყურებლის ტემპერამენტიანი ბუნებისათვის მოსაწყენი და მომბაზრებელი იქნება, თუნდაც მის ერთადერთ გმირ ქალს ყველა დროისა და ყველა ხალხის პირველი მსახიობიც კი — ელეონორა დუზე ასახიერებდეს?!

ანდა „შეშლილი, შეშლილი... ახალი წელი?!“ — ძველი ბერძნები კათარსისს რომ ეძახდნენ თეატრის მეშვეობით სულის განწმენდას, როგორ, ეს „შეშლილი ახალი წელი“ უფრო განწმენდს

ჩვენს გაბინძურებულ სულს, ვიდრე „ქეთევან ნამებული“, თუნდა სულ ცუდადაც იყოს იგი დადგმულ-გათამაშებული?!

მე, რა თქმა უნდა, ყველა თეატრალურ ინსტიტუტდამთავრებულსავით თეატრის უცილობელ მცოდნედ თავი არ მომაქვს, მაგრამ რაკი უამინსტიტუტოდაც უკვე ვასხვავებ ამპლუას ამპლუასაგან, თეატრალური ხელოვნების სფეროში გაზეთი „Советская культура“ არ მიმაჩნია მაინცდამაინც ისეთ ურყევ ავტორიტეტად, რომ ჩემი აზრის გასამაგრებლად იგი მოვიშველიო, მაგრამ ამჯერად, რაკი – ვინ იცის! – ეს ჩემი ღარიბი ნააზრევი შეიძლება შემთხვევით „დიდებმაც“ წაიკითხონ, და რომ ეს ცილისწამებად არ ჩათვალონ, ამიტომ მოვიყვან მოსკოვის ამ გაზეთიდან ამონაწერს, რომელიც სპექტაკლის მოხსნის დღიდან საკმაო დროის გასვლის შემდეგ დაიბეჭდა:

„В спектакле ярко и образно раскрыты мужество, гордость, стойкость грузин, которые в кровопролитных боях с иноземными захватчиками защищали родину.“

თავად ვედიკინდმა სპექტაკლზე მუშაობის პროცესში ასე განაცხადა:

„მე მიყვარს საქართველო მთელი ჩემი არსებით, მინდა, მას ამ სიყვარულის ნიშნად ვაჩუქო ეს სპექტაკლი.“ (იხ. ჟურნალი „პარტიული სიტყვა“, №10, 1981წ.).

ჰოდა, ეს არის ჩვენი ქებული ქართველობა, რომ ვედეკინდს, თუნდაც იგი ბოლო დროს, ვთქვათ და, მართლაც შეშლილიყო, ასე უგვანოდ და უპატივცემულოდ მოვპყრობოდით?!

დარჩა კიდევ რამე რუსთაველის თეატრის რეპერტუარიდან? დარჩა-დარჩა: „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდი...“

„ცარცის წრე“ — კი, ბატონო, მშვენიერი სპექტაკლია, ოღონდ... შეიძლება გაიფიქრო კაცმა, რომ ის როგორღაც მაჭავარიანის „ოტელოს“ ჩამოჰგავს: უჭაბუკიანოდ ოტელო უკვე აღარ იყო ის სულისშემძვრელი „ოტელო“, რომლიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებაც სასიამოვნოდ ნერვებანწილთ ღამის სამ საათამდე აღარ გვაძინებდა. ასევე, ყანჩელის უმუსიკოდ „ცარცის წრე“ ვერა და ვერ შემოხაზავს დიდ, გაშლილ წრეს, რა თქმა უნდა, ესეც ნიჭიერების დამადასტურებელია, მუსიკა ისე მოარგო დრამას, რომ ჩინებული სპექტაკლი გამოგივიდეს.

თუკი ტექსტუალურ მხარეს არ გამოვედავებით, „რიჩარდი“ ერთიანი სტილის, ყოველმხრივ გამართული და, რაც მთავარია, წმინდა დრამატული სპექტაკლია, სადაც შექსპირის სუნთქვა, თუმცა ზოგჯერ არითმიული, მაინც გარკვევით იგრძნობა...

შეიძლება მკითხველებიდან ზოგიერთი გამოერიოს ისეთი, რომელიც თუ პირში არ მეტყვის, გულში მაინც გაიფიქრებს, — ახლა მოხვედი ამ აზრზე, ბიძიკო, როცა მთელმა ევროპამ და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით უფრო საამაყოა, კრომველის, გლადსტონის, ჩერჩილისა და მარგარეტ ტეტჩერის ინგლისმა უკვე ინამა ქართული „რიჩარდი?!“

არა, ამ აზრზე ახლა არ მოვსულვარ; იმ დროს, როცა „რიჩარდი“ აგონიური მშობიარობის კრუნჩხვებში იმყოფებოდა და მის მიმღებ ბებიაქალებს კულტურის სამინისტროდან ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ იგი მკვდარი დაიბადებოდა, და მერე კი სულ ვინრო წრისათვისაც საცდელად რომ ეჩვენებინათ, რაკი ყოველმხრივ დღენაკლულ და უდღეურად იყო მიჩნეული, ამაზეც კი ჭოჭმანობდნენ, მე როგორღაც მომიხდა, დავსწრებოდი ბოლო რეპეტიციებს, და ერთადერთი მე ვიყავი, რომელსაც გამბედაობა ეყო, გამოეთქვა საპირისპირო აზრი, რის გამოც აქედან და იქიდან, ცხადია, ჩურჩულით, ერთგვარად საიდუმლოდ (თუ გაგვიგო, არც როლს მოგვცემს და არც საზღვარგარეთ წაგვიყვანსო). არა ერთმა და ორმა გამკიცხა: „რას ამბობთ?! როგორ გეკადრებთ?! ეს მოგწონთ?..“

... მაშინდელი დირექტორის თანდასწრებით დამდგმელი რეჟისორი გავამხნევე, რომელსაც, უკლებლივ ყველას აზრით, თითქმის მთელი წლის ნამუშევარი წყალში უნდა გადაეყარა, თანაც არა მდორე ტემზაში, მღვრიე მტკვარში!..

და ახლა „რიჩარდი“ ერთადერთია რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის რეპერტუარში, რომელიც მის აკადემიურობას ამართლებს და რომლის სანახავადაც მაყურებლის შემოყვანა ქამანდით, ანდა კოვბოები ამერიკაში გაგარეულებული ცხენების დასაჭერად ლასოს რომ ეძახიან, საჭირო არ არის.

კი, მაგრამ... როდემდე იკმარებს ეს ერთი „რიჩარდი“, თუნდაც ჩინებული, განა მარტო ერთი სპექტაკლი ეყოფა წლების მანძილზე სულიერ საზრდოდ ათიათასობით ქართველ მაყურებელს?! მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის დრამატულ თეატრებს მიმდინარე რეპერტუარში ოცზე მეტი დასახელების სპექტაკლი აქვთ. იქ წარმოდგენას, რომელზეც დასწრება 90 პროცენტამდე დაეცემა, უმაღვე ხსნიან (თუმცა იყო ერთი შემთხვევა, როცა ჩვენდამი, ქართველებისადმი, განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, „მხატმა“ რამდენიმე ხანს შეინახა დიმიტრი ალექსიძის დადგმა „Я вижу солнце!“ და მერე, როცა „Комсомольская правда“-ს უმცროსმა ძმამ, „Московский комсомолец“-მა არ დაგვიწოდო და მოათავსა კრიტიკული წერილი სათაურით „А где солнце?“, მაშინ „მხატმა“ იფიქრა, ცარიელი დარბაზი უფრო სახელის გამტეხია პიესისა და სპექტაკლისათვის, ვიდრე მისი საერთოდ არარსებობა რეპერტუარში და...).

„თეატრში იმან უნდა იაროს, ვისაც სურს ეს, ვისაც ამის შინაგანი მოთხოვნილება აქვს, ვისთვისაც თეატრში ყოფნის ყოველი დღე დღესასწაულია“...

ეს ოქროს სიტყვები მარჯანიშვილის თეატრის ახალ ხელმძღვანელს ეკუთვნის და რარიგ მოხარული ვიქნებოდით, თუ მათ ოქროს საქმედაც აქცევდა.

გვახსოვდეს კი: სადღესასწაულო განწყობილება ადამიანს თეატრში უბრალო, ფიზიკური ყოფნით როდი შეექმნება, მხოლოდ და მხოლოდ კარგი სპექტაკლებით და თუ მათ შორის თუნდა ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც სადღესასწაულო სპექტაკლიც გამოერევა, ეს უკვე დიდი დღესასწაული იქნება არა მარტო ხელოვნებისათვის, მთელი ქვეყნისთვისაც.

მაყურებლისათვის თეატრში სასიარულოდ შინაგანი მოთხოვნილების გაღვიძება-გაღვივება, რასაკვირველია, ისევ და ისევ თეატრზეა დამოკიდებული; მაჭავარიან-ჭაბუკიანის „ოტელიომ“ იმ დროს უმაყურებლოდ გამოყრუებული ოპერის თეატრი კვლავ აახმიანა და რამდენიმე სეზონით გამოაცოცხლა; „კავკასიურმა ცარცის წრემაც“ ააფორიაქა ჩვენი უტახტო სატახტო ქალაქი და გაგვახსენა „ესპანელი მღვდლის“ დროინდელი რუსთაველის თეატრი; მარჯანიშვილის თეატრის ამასწინანდელმა ერთმა სპექტაკლმაც, რომლის სათაურში ერთი შინაური ცხოველის სახელია ჩართული, რომელიც, ადამიანებისა არ იყოს; შეიძლება ავიც იყოს და კეთილიც, გამოიწვია მაყურებელთა ცხარე ინტერესი და, მიუხედავად ტელევიზიით მისი უმონყალო ექსპლოატაციისა, ეს ინტერესი შეიძლება ორასი ანშლაგის შემდეგაც არ დამცხრალიყო, რომ... ქათმის გოდებისა არ იყოს, ნუ დამკლავთ და მაშინ ვნახოთ, რამდენ წელიწადსაც ვიცოცხლებო... ჰოდა, რა იმ სპექტაკლის ბრალია, თუკი ის მოსვლისთანავე დაკლა (ამოიღო რეპერტუარიდან) თეატრის ახალმა მხატვრულმა ხელმძღვანელმა, როგორც ანტიმხატვრული...

კი, მაგრამ თუკი ის ანტიმხატვრული ნაკეთობაა (ნაწარმოებო, ამის თქმას ვერ ვბედავ, ვაითუ, ტრაბახში ჩამითვალოს ხელოვანმა ხელოსანს), მაშინ როგორღა გამოძერწეს მისმა მშობლებმა ისეთი მხატვრული სახეები (ჩინჩახელი, სარე), რომლებიც თითქმის 30 წლის შემდეგაც ახსოვს ახლაც ბევრს?! ეგებ ეს მარტო მათი ხალასი ნიჭიერებით აიხსნება და დრამატურგი მათ თავისი ნაცოდვილარით სულაც არ დახმარებია, ა?!

ვინ იცის, ეგებ ასეა მართლაც, მაგრამ... მაშინ რამ შეუშალა ხელი მათს ტალანტს, ასევე გაბრწყინებულიყვნენ თითქმის საბუნეფისოდ, სპეციალურად მათთვის დადგმულ „სარეველასა“ და „სიტუაციაში“?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ თაობა მიდის, ისიც ვიცით, რომ თაობა მოდის...

ჰოდა, ალბათ, რა დიდად ეფონება გულს და რა ამაყად მოიღერებს ყელსა, როცა ერთდროულ გაზეთ „ქართული თეატრის დღეში“ ამოიკითხავს ერთ, ან უკვე მოსულ-მობრძანებული კრიტიკოს-დრამატურგის წერილში:

„თ. ჩხეიძემ უდიდესი რისკი გასწია – მან „ოიდიპოსი“ გაიაზრა არა როგორც ტრაგედია, არამედ როგორც ფსიქოლოგიური დრამა“.

ხედავ, თვალბრიალა მკითხველო, დამდგმელ რეჟისორს რა რისკი გაუწევია, თანაც რა უდიდესი (величайший)? ამ რისკთან შედარებით ნიაგარაზე გაჭიმულ ბაგირზე გავლა განა შეიძლება, საერთოდ, რაიმე რისკად მივიჩნიოთ?!

ესეც არის, დაახსომდა კი ვისმე, ნახვის შემდეგ დაძინებამდე მაინც, ამ უდიდესი რისკის შედეგი - „ოიდიპოსი“, როგორც ტრაგედია ან როგორც ფსიქოლოგიური დრამა?!

მკითხველის ყურადღებას იმასაც მივაქცევდი — როგორ ფიქრობს იგი, ეს მშფოთვარე „ფიქრები თეატრზე“ ამ კრიტიკოს-დრამატურგს ანგარებამ აფიქრებინა თუ უვიცობა-უგემოვნობამ?!



და საერთოდ, ღირდა კი ალექსიძის დიდებული „ოიდიპოსის“ მერე ქართულ სცენაზე დროის ასეთ მცირე მონაკვეთში სხვა „ოიდიპოსების“ გამომზეურება?!

\* \* \*

ეს არაფერია, თუ სხვებმა ისე არ იცინან, როგორც ჩვენ გვინდა, სამაგიეროდ, ჩვენ ხომ ვიცით, რა „დიდი კულტურის ხალხიც“ ვართ ქართველები, განსაკუთრებით კი თეატრალური ინტელიგენცია პირად და საზოგადოებრივ ურთიერთობაში; როგორ ვუფრთხილდებით ერთმანეთს, როგორ ვაფასებთ ერთმანეთს, როგორ ვუხანგრძლივებთ სიცოცხლეს თითქოს უკვე სიცოცხლემოსწრაფებულთაც კი... ამის დამამტკიცებელ მხოლოდ ერთ „ნივთიერ საბუთს“ შორეული წარსულის ჩემი მახსოვრობის არქივიდან წარმოგიდგინო:

ეს იმ დროს მოხდა, როცა ჩვენს ოპერის თეატრს ხალხი ისე აწყდებოდა, როგორადაც ახლა უნივერსალს მიანყდება, თუ გაიგეს, რომ „გაყიდვაშია დუბლიონკები“.

ამ ზღვა მაყურებელში უბილეთო ღარიბ ყმანვილს შეგეძლო, საკონტროლო ბარიერის ფეხებში გამძვრალიყავი, ანდა, ტოლებში ეს უფრო ვაჟკაცობად ითვლებოდა, ზედ ბარიერზე გადაშვებულიყავი. ერთიც და მეორეც მოსახერხებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მთავარი კონტროლიორი, სათვალისანი, ზორბა ტანის ტრუსევიჩი და მისი თანამემწე, ესეც ზორბა ტანის მისივე ქალიშვილი და წინა ფოიეში მოფუსფუსე ტანმალალი მთავარი ადმინისტრატორი (შემდგომში რეჟისორი) კვალიაშვილი როგორღაც ყურადღებას და სიფხიზლეს მოადუნებდნენ... სწორედ ამ მომენტის მომლოდინე და შემჩერე ვიყავი, როცა ტრუსევიჩის მჭექარე ხმა გაისმა ირგვლივ...

– Я ничего не знаю! Мне приказано не впускать Вас в театр!.. Отойдите! Вам говорят! Не мешайте людям проходить...

მის წინ კი გაცეცხლებული და თითქოს ცეცხლმოდებულიც პატარა ტანის გურული კაცი იდგა, რომელიც აღშოთების გამომხატველ სიტყვებს დიდი ხნის შემდეგ გამოგონილი ავტომატივით ისროდა და სულაც არ აპირებდა „ატაიდის“...

დღესაც არ ვიცი, რა დააშავა, ანდა, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, რა უნდა დაეშავებინა ისეთი „ქეთო და კოტეს“ შემქმნელ კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძეს, რომ მისთვის — თითქმის საკუთარ სახლში! – ოპერის თეატრში შესასვლელი გზა დაეხშოთ, თანაც ასე თავმოსაჭრელად, საჯაროდ?!

ეგებ ესეც იმით უნდა აიხსნას, რომ „თაობა მიდის, თაობა მოდის?“

ვინ იცის — ვინ იცის, ოღონდ ეს კია, ამ ამბის შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ ვიქტორ დოლიძის ღირსეული შემცვლელი კომიკური ოპერის ჟანრში ჯერ არავინ მოსულა.

სიცოცხლეში ჩადენილი სიგლაზე არც სიკვდილის შემდეგ უნდა ეპატიოს მის მქმნელს: არ ვიცი, ვის მიუძღვის კონკრეტულად ბრალი ზემოთ აღწერილ სიგლაზეში, ეს კი ვიცი, იმ ხანებში ოპერას ინტელიგენტად მიჩნეული ლელი ჯაფარიძე დირექტორობდა...

\* \* \*

ო, უკვე მოაწია დრომ, რათა ბოდიში მოვიხადოთ ასე მრავალგზის გადახვევ-გადმოხვევისათვის და, როგორც იტყვიან, მაღლობაც მოვახსენო მკითხველს ყურადღებისათვის, მაგრამ ჯერ ცოტათი მაინც კვლავ მინდა, ვისარგებლო მისი ყურადღებით და სამიოდე გვერდის უკან შეწყვეტილ აზრს დავუბრუნდე...

...დიახ, საბედნიეროდ, რუსთაველებს, „რიჩარდის“ გარდა, „ცარცის წრეც“ მოეპოვებათ, დიდხანს რომ ემსახურება თეატრსაც და მაყურებელსაც, მაგრამ მან ხომ უკვე კარგა ხანია, საგასტროლო რეპერტუარში გადაინაცვლა...

ო, ეს გასტროლები!..

თუ ჩვენი ქვეყნის ქალაქები, თუ ბებერი ევროპა, თუ ჭაბუკი ამერიკა!..

როგორც ქართველ კაცს, რასაკვირველია, გიხარია შენი პატარა ქვეყნის გაფრენა წითელ ხიდს იქით და თან როგორც იმავე ქართველ კაცს, გულს ჟანგი გედება ჩვენი პირველი ეროვნუ-

ლი თეატრი „ციგნების ხოროს“ ხომ არ უნდა ემსგავსოს, - სულ მოგზაურობაში იყოს, სულ და-  
ნონავდეს?! ამით ჩვენ, როგორც ერს, ვითომ ბევრი რამე გვემატება.

არც ერთი დიდი, სერიოზული თეატრი თავის ადგილსამყოფელს იშვიათად თუ ტოვებს დი-  
დი ხნით და თან ხშირ-ხშირად... ასე რომ იყოს, როგორ ფიქრობთ, მოსკოვის ტაგანკის თეატრს,  
ვახტანგოვის თეატრს, სატირის თეატრს, ტოვსტონოგოვის თეატრს ლენინგრადში, უკრაინის  
ფრანკოს სახელობის, ლიტვის პანევეჟისის, ესტონეთის „ვანემუინეს“ თეატრებს საზღვარგა-  
რეთ მიმპატიჟებლები არ გამოუჩნდებოდნენ და იქ თუნდაც დიდი ხნით დარჩენილიყვნენ, მაყუ-  
რებლები მოაკლდებოდათ?!

რასაკვირველია, არა, მაგრამ ისინი უფრო იმაზე ზრუნავენ და დღენიდაგ იმაზე ფიქრო-  
ბენ, რა გზებით გაახარონ საკუთარი, თავისი მაყურებელი და რით მოხიბლონ (ცხადია, ამ გზებ-  
სა და ამ მოხიბლვაში კარგი სპექტაკლები იგულისხმება).

ჰოდა, ჩვენ, ქართველ მაყურებლებს კი, რით გვახარებს ჩვენი პირველი, „საგასტროლო“  
რუსთაველის თეატრი? ჩვენ ხომ მისი, ასე ვთქვათ, მაინც ძირითადი, მთავარი მაყურებელი  
ვართ?! იგი ხომ ათასჯერ უფრო ჩვენზე უნდა ეყრდნობოდეს, ვიდრე ცხრა მთას იქითურ მექსი-  
კელებზე?!

ნუ მოგვერიდება და ვთქვათ გულახდილად:

გზა, რომლითაც რუსთაველის თეატრი მიდის, არ უნდა იყოს ჩვენი პირველი, ეროვნული  
თეატრის მთავარი გზა: სტილური აღრევა, მომაბეზრებელი და გაუთავებელი მოხისური „ექსპე-  
რიმენტები“; ცოტა პანტომიმა, ცოტა პიროტექნიკა, ცოტაც „მიკროფონიკა“, „ტანცები“ და, სა-  
ერთოდ, დრამატული თეატრისათვის შეუთავსებელი და მისი დამამცირებელი არცთუ ცოტა  
ოპერეტულობა, და ამავე დროს სრული უპატივცემლობა სიტყვისა და მისი გამომხატველი სა-  
შუალებებისადმი. საერთოდ, დრამატურგიული მასალისადმი თვითნებური, დამწყები ყასბის –  
ჯერ კიდევ რომ ვერ გარკვეულა, ჩალაღაჯი სად არის და სუკი სად — დანით მიდგომა დრამის,  
პიესისადმი, რომელიც მუდამ იყო და დარჩება თეატრის საფუძველი, თუკი, ცხადია, გვინდა,  
რომ დრამატული თეატრი ჰგავდეს დრამატულ თეატრს და არა მოცირკო-მოოპერეტო — მობა-  
ლაგანო სანახაობას.

რაკი მე, როგორც შინაურ მღვდელს, ვიცი, შენდობა არ მექნება, ჩვენი რეჟისორ-ნოვატო-  
რების (!) თვალთახედვასა და ყურთასმენას ვთავაზობ „გარეული“, თუნდაც არათუ რიგითი  
„მღვდლების“, „ეპისკოპოსებისა“ და „არქიეპისკოპოსების“, ნაქადაგებს, თუმცა, ესეც ვიცი, —  
კარგ სათქმელს კარგი გამგონე უნდა, კარგად დაწერილს კი — კარგი წამკითხველი...

კონსტანტინე სტანისლავსკი:

„Театр живет идеями драматурга“.

ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი:

„გადამეტებულ მიმიკას, მოქმედებას, მოძრაობას შეუძლია, ზიანი მოუტანოს  
სიტყვას, რომელიც დრამატურგიისა და სცენური ხელოვნების დედაბოძია“.

რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი:

„ჩვენი პროფესიის კეთილშობილური სიდიადე, მისი ძალა და სიბრძნე ის არის,  
რომ ნებაყოფლობით და შეგნებულად შეიზღუდო თავი. წარმოსახვის საზღვრებს ხომ  
ავტორი გვიდგენს და ამ საზღვრებიდან გადასვლა უნდა ისჯებოდეს კიდევ, რო-  
გორც ავტორის მიმართ ჩადენილი ღალატი და ვერაგობა; მონახო ერთადერთი სწო-  
რი, ზუსტი და მხოლოდ ამ პიესისათვის გამოსადეგი პირობითი ხერხი – აი, რეჟისო-  
რის უმაღლესი და უძნელესი ამოცანა.“

დრამატურგი ვიქტორ როზოვი:

„Еще и еще раз я убеждаюсь: если театр ставит пьесу так, как ее замыслил автор,  
впечатление наиболее сильное“

(„ЛГ“, №23, 1982г.).

როლფ ხოხუტი, ჩვენში ჯერ კიდევ ნაკლებად, მაგრამ დასავლეთში დიდად ცნობილი გერმანელი დრამატურგი:

„Обычно в возрасте сорока лет многие режиссеры переходят к постановкам лишь классических пьес, видимо, полагая, что таким путем и сами они станут классиками. Между тем, история культуры сохранила имена только тех режиссеров, которые работали с авторами – своими современниками.

Постановка произведений современных, живых драматургов предполагает наличие у режиссера мужества, которое присуще подлинному служению в искусстве. Музейные отношения с давно признанными авторами, произведения которых никого более не беспокоят, у дел посредственностей “

(„Театр“, №12, 1981г.).

\* \* \*

(27 სექტემბერი, 1982 წელი, სალამოს 8 საათი: ეს-ეს არის, ტელევიზიით გადასცეს „რუსთაველის თეატრი შორეულ აღმოსავლეთში“, გვესაუბრნენ თეატრის ერთპიროვნული ხელმძღვანელი და სხვა პატივისცემი პირები.

ჩვენება დაიწყო იმ ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენოვანი ემბლემით, რომელიც – ამას ხაზი უნდა გაესვას და არ უნდა ითქვას ეს სხვათა შორის – ჯერ კიდევ თეატრის შარშანდელ იუბილეზე შემოგვაპარეს, რაც, ცხადია, ჯაჭვის იმ ერთ-ერთი რგოლთაგანი იყო, თავდაპირველადვე წინამორბედთა მიმართ სამადლობელი ტლინკებისგან რომ იყო ასხმული...

რუსთაველის თეატრს მშვენიერზე მშვენიერი ირაკლი გამრეკელისეული ემბლემა აქვს და მისი შეცვლა იმდენჯერვე, რამდენჯერაც თეატრში განდიდების მონატრული („ისტორია ჩემით უნდა დაიწყოს!“) ესა თუ ის „დირექტორ-კაპიტანი“ მოვა, არ უნდა იყოს მის ხუმტურზე დამოკიდებული... ორი ემბლემა კი – ერთი შინ სახმარად, მოკვდავთათვის და მეორე გარეთ გასატანად, უკვდავთათვის, არათუ მოსკოვის სამხატვრო თეატრს, რომლის ფარდას, აფიშებს და პროგრამებს თითქმის დღიდან დაარსებისა თოლია ამშვენებს, აფრიკის ეგრეთ წოდებული განვითარებადი ქვეყნების ჯერ კიდევ ძიება-არჩევანში მყოფ არც ერთ თეატრს არ მოეპოვება — ერთი ჩვენთვისო, ზანგებისთვის, მეორე თეთრებისთვის!

\* \* \*

მკითხველი, მით უფრო არათეატრალი მკითხველი, ალბათ, ასე კუპრში ამოვლებული ფუნჯით რომ დაგვიხატეთ ჩვენი საუკუნოვანი, ეროვნული თეატრის სურათი, თუკი აქედან სულ ცოტა რამეც არ ღალატობს სინამდვილეს და ზოგი რამ მაინც, ასე თუ ისე, მართებულია, მაშინ სად არის, რატომ არ იჩიჩქნის ყურებს და არ აქცევს ყურადღებას კულტურის სამინისტრო, მისი კულტურული მინისტრიო...

ო-ო, ჩვენი კულტურული მინისტრი!..

ის ბევრად უფრო მეტია, ვიდრე კულტურული: ნიჭიერი, გონიერი, განათლებული, მართლაც გამოსაჩენი, „საგასტროლო-საექსპორტო“ კაცია, რომელზეც ენა ვერ მოგიბრუნდება, თქვა — У кого нет вкуса, ему нечего делать в искусстве! ალბათ ამიტომაც არის იგი შეუცვლელი მინისტრი აი უკვე 18 წელიწადია და, როგორც ჩანს, რევოლუციის პირველი წლების ერთი პლაკატისა არ იყოს... „Царству рабочих и крестьян не будет конца!“

ჰოდა, თუკი ასეა, მით უმეტესო, — მეუბნებით თქვენ, რის პასუხადაც ერთ პანია კუდმოკვეცილ ზღაპარს გიამბობთ:

იყო და არა იყო რა, მინისტრობაზე უკეთესი, აბა, რა იქნებოდა!..

იყო ერთი პატარა ვაიმარის საჰერცოგო.

ჰერცოგს დიდად ესახელებოდა, რომ მას კულტურის მინისტრად გერმანიის ყველაზე დიდი პოეტი ჰყავდა – იოჰან ვოლფგანგ გოეთე.

და არც გოეთე თაკილობდა ჰერცოგის მინისტრობას: იყო თავისთვის საჰერცოგოში, არაფერზე გული არ შესტკიოდა (თუმცა იმ მშვიდ საუკუნეში არცთუ ბევრ ვინმეს ჰქონდა გული ასატკივებელი), ნელა და დინჯად, უშიშრად და აუჩქარებლად თავის საქმეებს აკეთებდა და არც ის მოსდიოდა აინუნში. ზოგ-ზოგებმა მას, სალონებში, საკუთარ საქმეთა მინისტრიო, რომ შეარქვეს.

ასე, ჩემო პატარებო,  
ლხინი იქა, ჭირი აქა!.. ოი, შემცდა, ჩემო პატარებო,  
ჭირი იქა, ლხინი აქა!..

მარტი, 1984წ.

კიტა ბუაჩიძე

გვიანდელი დამატება:

1984 წლის 23 ოქტომბრის რადიოგადაცემიდან:

„მიკროფონთან არის რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ჩახავა:

„...სარეს როლი ჩემი საყვარელი როლი გახლავთ; იგი ისე კარგად აქვს დაწერილი ავტორს, ყოველი მსახიობისათვის მისი თამაში უთუოდ ბედნიერებაა.

მე დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონ კიტა ბუაჩიძეს, რომელმაც, როგორც ერთხელ თვითონ მითხრა, ეს როლი თავიდანვე ჩემთვის გაიაზრა. მე მას ყოველთვის დიდი ხალისით ვასრულებდი ხოლმე და დღემდე გამომყვა მისადმი სითბო და სიყვარული; აქვე ისიც მინდა შევნიშნო, რომ ამ როლს მერე და მერე ჩემზე უკეთესი შემსრულებლები გამოუჩნდნენ“.

პიესის ავტორი კი ფიქრობს, მეეზოვე სარე, მედეა ჩახავას შესრულებით, ყველაზე უნაკლოა მათ შორის, რომლებიც მას უნახავს, უნახავს კი მას თითქმის ყველა სარე ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ სცენებზე.

ავტორი ფიქრობს აგრეთვე, რომ მსახიობი დედის ამ რადიოგამოსვლას, რომელიც დასათაურებული იყო „უღიმილოდ ვერ მოისმენთ“, თუ საერთოდ უსმენდა მისი შვილი – რეჟისორი, უსმენდა, ეჭვი არ არის ირონიული ღიმილით.

რა გაენწყობა,

„თაოზა მიღის, თაოზა მოღის!..“

კ.ბ.



**მჟავანაქამ ვაზგანის თხოვნით არაერთი სომეხი  
რეპატრიანტი ჩაასახლა აზხაჯეთში, ისინი სომხეთის  
ჰაპას ვერ ეგუებოდნენ, ზღვის კლიმატს არიან შიშვეულნიო!..  
პასუხად რამ დავიდოვს  
„საქართველო“, N 18 (1528), 1997.**

**პატივცემულო რამ!**

„საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ გვერდზე წავიკითხე თქვენი რეპლიკისებური ნერილი „ნილაბი ციკლისთვის პირისპირ“, რომელიც ეხება ვალერი კვარაცხელიას ვრცელ ნერილს, „ლაგამამოდებულ სიტყვის ნოსტალგიას“.

ცოტა არ იყოს, გამაკვირვა თქვენი ნერილის სათაურმა, ნილაბიო... ვალერი კვარაცხელია თავის ნერილში სწორედ რომ სრულიად უნილბოდ წარმოგვიდგება და მკითხველს ესაუბრება ყოველგვარი მორიდების, ზურგს უკან მიმალული აზრების გარეშე.

რაც მთავარია, თქვენ აღშფოთებას გამოთქვამთ იმის გამო, რომ, თურმე, ამ „ნილაბს“ ძალიან სწყენია, როცა ჭორიკანა ავისმოსურნებმა იგი, წალენჯიხაში დაბადებული ქართველი კაცი, სომხად მონათლეს...

როგორ, ბატონო რემ, ერევენელ სომეხს, რომელიმე პეტროსიანს ან არუთინიანს რომ უთხრა, შენ სომეხი კი არა, ქართველი ხარო, იგი ამით ვითომ დიდად გაიხარებს და აქეთ არ შემოგვიკურთხებს? ანდა ნაღდი აპონელს რომ აკადრო, ჩინელი ხარო ან პირიქით, განა ისინი ამას შეურაცხყოფად არ აღიქვამენ?!

და ეს სრულიად მარტივი ეროვნული თავმოყვარეობით აიხსნება: მხოლოდ გადაგვარებულს შეუძლია არ იამაყოს თავისი ერის შვილობით, სულ ერთია, იგი ქართველი იქნება, სომეხი იქნება, ჩუქჩი თუ იაკუტი...

ჰოდა, აბა, ერთი მითხარით, ვალერი კვარაცხელია, უდავოდ ნიჭიერი ქართველი ჟურნალისტი, რატომ უნდა იყოს გამონაკლისი? და, საერთოდ, რომელ ნილაბზეა ლაპარაკი? გთხოვთ, არ მიგულოთ ვალერი კვარაცხელიას თავგამოდებულ თანამოაზრედ, მე მას პირადად არც ვიცნობ, მაგრამ ის „პირისპირში“ ნილაბს რომ არ ატარებდა, სწორედ ამიტომაც უარი ეთქვა „პირისპირს“.

თქვენი ნერილის მეორე ნახევარი სომეხი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან ძმობას ეძღვნება. თქვენ წერთ: „ნუთუ ვალერი კვარაცხელიას დაავიწყდა, რომ ბიბლიურადაც კი ქართველები და სომხები ძმები იყვნენ, ძმურად იზიარებდნენ ერთად ჭირსა და ლხინს ასწლეულებისა და ათასწლეულების მანძილზე.“

მართალი გითხრათ, მე არ ვიცი, რა იყო „ათასწლეულების მანძილზე“, ოღონდ ეს კი ვიცი, რომ ახლა, დღეს, როგორ ფიქრობთ, ეს ძმობა ცალმხრივი ხომ არ არის, ა? ქართველები რომ გეძმობით, ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ამჟამად საქართველოში ნახევარი მილიონი სომეხი მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობს, მაგრამ ეს ვითომ გვიფასდება?

ამის დასაეჭვებლად, ჩემი აზრით, აი, ეს სულ ბოლოდროინდელი ამბების მოყვანაც საკმარისი იქნება:

ჩვენს პირობებში შედარებით კარგად ინფორმირებულმა გაზეთმა „კავკასიონმა“ ამ ბოლო ხანს თავისი არაერთი ნომერი მიუძღვნა საქართველოს პროკურატურის მიერ აფხაზეთში ქართველების გენოციდის მიკვლეულათასობით ფაქტს.. ამ ზღვა საბრალდებო მასალიდან მხოლოდ რამდენიმეს გაგაცნობთ სანიმუშოდ:

„ინება კვარაცხელიას (გულრიფში, სოფ. ფშაფი) ჩვენებით სომეხი ეროვნების ფშაფში მცხოვრებ ბარბუქს შედგენილი ჰქონდა ქართველი მოსახლეობის სიები, დადიოდა აფხაზეთთან ერთად ქართველთა ოჯახებში, უწვავდა სახლ-კარს, ანადგურებდა ოჯახებს, მის მიერ მოკლულ იქნა ფშაფში მცხოვრები 60 წლის შურა ქობალია და მისი მეუღლე, რომელსაც გამოჭრა ყელი.“

სომეხი ეროვნების კბილის ექიმმა, სახელად ანდრეიმ, ყელი გამოჭრა ექიმ აკაკი სიჭინავას და მის ძმას, რომელიც მუშაობდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ანდრეი ცხოვრობს სოფ. ფშაფში, თბილისის გზატკეცილზე, სომხების დასახლებაში.“

ჩვენი „ძმების“, ღორებისათვის ყელის გამოჭრაზე დიდად დასპეციალებული, სომხების, „ვაჟკაცობის“ დამადასტურებელი ამის მსგავსი ოპერაციები ასობით შეგვიძლია ამოვიწეროთ რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ტომებიდან, რაც, „სხვათა შორის“, ზედმინევნით აღწევდნენ ერევანში სომეხი ერისკაცების ბუნებრივ სასმენ აპარატებამდე, მაგრამ... არც ერთ მათგანს, არც რომელიმე მღვდელმთავარს და არც პოეტ სილვა კაპუტიკიანს (აღრე ახალქალაქში სისტემატურად რომ ჩამოდიოდა და ამხნევებდა და მოუწოდებდა თავისიანებს, კიდევ უფრო მეტად გამრავლდითო) და არც ქართველოლოგ პარუირ მურადიანს და არც საგარეო საქმეთა მინისტრ ფაფაზიანს, ამას წინებზე „ნეზავისიმაია გაზეტა“-ში რომ დაგვემუქრა, ენით უთქმელი ეს მხეცური აქციები, არც წერილობით და არც საჯაროდ, არ დაუგმიათ და მცირეოდენი აღშფოთებაც არ გამოუთქვამთ, არც ერთი მათგანი არ ჩასულა ქართველების სასაკლაოდ გადაქცეულ აფხაზეთში (სადაც, დასტურ, თავის დროზე ვასილ მჟავანაძემ, ვაზგენის თხოვნით, არაერთი სომეხი რეპატრიანტი ჩაასახლა, ისინი სომხეთის ჰავას ვერ ეგუებია, ზღვის კლიმატს არიან შეჩვეულნიო) და თავისი გვარისანებისათვის ამგვარადაც არ მიუმართავთ:

— ხალხნო! ძმანო სომეხნო! რას შვრებით და რას სჩადიხართ? ნუ იჭრით თავს და ნურც ჩვენ გვჭრით თავს და მანდაურ ქართველებს ნუ უწყობთ ისეთ გენოციდს, როგორც ჩვენ მოგვინყვეს ამ საუკუნის დამდეგს თურქებმა, როცა მილიონნახევარი ჩვენიანი ამონყვიტეს, რაკი თვალი რუსეთისკენ ეჭირათ და.. მოდით, ეხლა ეს მაინც ვიკმაროთ, ყარაბაღისთვის აზერბაიჯანს ომი რომ ავუტეხეთ, რითაც ისევ აზერბაიჯანელებმა ისარგებლეს და ორსაუკუნოვანი სახუკვარზე სახუკვარი ოცნება აიხდინეს, გამოყარეს რა თავიანთი ეზო-ყურედან ნახევარი მილიონი ჩვენი ტომისანი... ჰოდა, გვახსოვდეს, რომ სწორედ ამდენივე სომეხი ცხოვრობს ახლა საქართველოში წყნარად და ხელუხლებლად და... ნუ ვიქნებით უმადურები და თუ საქმით არა, სიტყვით მაინც დავაფასოთ, მით უმეტეს, დღევანდელ არაადამიანურ გარემოცვაში, ქართველების ეს ნამდვილი ადამიანობა. პირდაპირ სირცხვილია დავინყება თუნდაც იმისა, რომ იმ საშინელი მიწისძვრისას პირველები სწორედ ქართველები მიეშველნენ სპიტაკს და... ჩვენ, სომხები, ასეთ კეთილ კარის მეზობლებს ყელს უნდა ვლადრავდეთ?..

ო, არავითარი ამის მსგავსი გამოძახილი ჰაიასტანიდან, არც მთავრობის დონეზე, არც ხალხის წარმომადგენელთა დონეზე, თითქოსდა მათი ძმები აფხაზეთში სააღდგომო კრავებივით უცოდველნი იყვნენ...

აფხაზეთში, ომის დროს, სომხების ორი ბატალიონი მოქმედებდა ქართველების ამ ოსახოცად... ჰკითხეთ რომელ ლტოლვილსაც გნებავთ, როგორ ეპყრობოდნენ მათ სომხები: უფრო ულმობლად, დაუნდობლად და სასტიკად, ვიდრე თვით აფხაზები და გადამთიელი ჩეჩნები...

ასე რომ, ბატონო რემ, ნუ აღშფოთდებით და ნუ გაამტყუნებთ ვალერი კვარაცხელიას, როგორც ქართველს, თუკი მან ამ შემთხვევაში სომხობაზე ხელი არ მოგინერათ.

თებერვალი,  
1997 წელი.

კიტა გუაჩიძე



## გამათხოვრებულ საქართველოში ერთ-ერთი მათხოვარი მეც ვარ

მოკლე ღია ბარათი საქართველოს პრეზიდენტ ედ. შევარდნაძეს

„საქართველო“, 3-5 სექტემბერი, 1997წ.

### ბატონო ედუარდ!

უზომო სიამოვნებას მანიჭებს, მოგილოცოთ ქალბატონ ჟაკლინ კენედის ყოფილი თანამეცხედრის, ან განსვენებული ალექსანდრე ონასისის სახელობის პრემია — 250 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით.

დაე, ეს თანხა კეთილად შემატებოდეს თქვენს „აღორძინების“ ფონდს, ასე გონივრულად რომ აგვარებს ბევრ საქვეყნო-საერო საქმეს: თუ წიგნებს სტამბავს, თუ დასავლეთ ევროპაში ღირსეული მოქალაქეებისათვის უძნელეს სასიცოცხლო ოპერაციებს აფინანსებს, თუ ზოგიერთ წყალს მონატრებულ სოფელში წყაროს ამოაჩუხჩუხებს...

სიმდიდრის მიხედვით თქვენ, როგორც ყური მომიკრავს, საქართველოში მეცამეტე კაცი ბრძანდებით.

სამწუხაროდ, მე არ ვიცი, თქვენ წინ მდგომნი ვინ არიან და რანი არიან, რა გზებით და რა მანქანებით გამდიდრდნენ (ამბობენ, ერთს უთქვამს, დეიდაჩემმა სოფლად მამალი ინდაური გაყიდა და ღირებულება მე მისაჩუქრაო, და ასე, ამგვარად, ჩაეყარაო ბალავარი ჩემს „ქონება უთვალავიას“ (რ. ერისთავი), ოღონდ ეს კი ვიცი, რომ თქვენ სიმდიდრე მოგიტანათ „ჩემმა არჩევანმა“, რომელიც რუსულიდან რამდენიმე ევროპულ ენაზე ითარგმნა.

ღიას, ასე რომ, ჩემს გონებას მიახლოებითაც არ ეკარებიან 1996 წლის 7 მარტის გაზეთ „Советская Россия“-ში მანდილოსან ჟურნალისტის, კლარა აბრამიას მიერ „გამომზეურებული“ მტკიცებანი.

„შევარდნაძის ყველაზე მძაფრ მტრებსაც არ შეეძლოთ, დაეყვედრებინათ ფულის სიყვარული. რესპუბლიკის მეთაურისთვის ბოლო ორ წელიწადში ეს ლეგენდა გაქრა. უფრო და უფრო ხმამაღლა ვრცელდება ხმები შევარდნაძის აურაცხელ სიმდიდრეზე – მის მამულეებზე გერმანიაში, აპარტამენტებზე საფრანგეთში და რუსეთში, რამდენსამე სახლზე და აგარაკზე საქართველოში, მილიონებზე შევიცარულ ბანკში და სხვა.“

რა დაგიმალოთ, ცოტა არ იყოს, მაკვირვებს კლარა აბრამიას დღევანდელი პოზიცია, მეტამორფოზა, აკი რამდენიმე წლის წინათ იგი ხომ ერთ-ერთი პირველი მიესალმა თქვენს დაბრუნებას საქართველოში: 1992 წლის მაისში მან თბილისში გამოსცა საკუთარი გაზეთი „თუთარჩელა“, რომლის მეორე გვერდზე, მთლიანად ერთ გვერდზე მოთავსებულია თქვენი სურათი, თითქოსდა მომღერალთა ანსამბლის დირიჟორის პოზაში, მის ქვემოთ კი იკითხება დიდასობიანი წარწერა:

„სრულიად საქართველოს ვულოცავთ ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას სამშობლოში.“

სურათის ზემოთ კი მოყვანილია ილიას სიტყვები, რომლებიც, ცხადია, გედღვნებათ თქვენ:

„მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცის თვისებაა... თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისი ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე.“

ჰოდა, თუკი ასეთი ღვთისნიერი კაცი ბრძანდებოდით, რომ ჭეშმარიტებისათვის სიცოცხლესაც დასთმობდით, ამის მომდევნო ოთხ წელიწადში ისეთი რა მოხდა... არა, უფრო უბრალოდ და გასაგებად თუ ვიტყვი, ისეთი რა აწყენინეთ კალმოსან ქალბატონს, რომ „Советская Россия“-ში მარტო (მარტო სათაური რად ღირს: „საბჭოთა რუსეთი“) პირდაპირ ხატზე გადაგცათ.

ო, საერთოდ, პრეზიდენტებიც კი, ადამიანებთან ურთიერთობაში ძალზე ფრთხილნი უნდა იყვნენ. აი, მაგალითად, სანყალი ბილ კლინტონი: მის მიმართ საჩივარს ახლა ამერიკის ყველაზე

მაღალი ორგანო – უზენაესი სასამართლო იხილავს; პრეზიდენტს უჩივის ქალი, რომლის მიმართ 12 წლის წინათ, გუბერნატორობისას, კლინტონმა სექსუალური ძალადობა... კი არ იხმარა, დაუპირა თურმე...

ჰოდა, ამ ფაქტს თუ არაფაქტს არჩევს ამერიკის მთავარი სასამართლო მთელი სერიოზულობით და მთელი იურიდიული ატრიბუტიკის მოშველიებით და ყურად არ იღებს ახლაც ლამაზი პრეზიდენტის სასონარკვეთილ წამოძახილს: „მომამორეთ თავიდან ეს აშარი დედაკაცი!“

დასანანი, რომ არც ეს „აშარი დედაკაცი“ და არც ამერიკის უმაღლესი მოსამართლენი არ იცნობენ ერთ ძველ ქართულ სიბრძნეს: კარგი ქალი არც მოგცემს და არც გაგცემსო...

დიახ, ამას ეძახიან ამერიკაში ადამიანის უფლებათა დაცვას და ჩვენც გვმოძღვრავენ და გვაგალობებულენ, მაგალითად, არა საეჭვო კაცის მკვლელს ძიებისას სიგარეტი მივანოდოთ და ყავა მოვუდულოთ...

რაც აქამდე ნაიკითხეთ, ეს პრემბულა იყო. ამბავი ამ წერილის მონერის მიზეზისა ანი იწყება.

არა ყველასათვის, მაგრამ ძალზე ბევრისათვის, დღევანდელ გამათხოვრებულ საქართველოში ერთ-ერთი მათხოვარი მეც ვარ.

ამ ორიოდ წლის წინათ თქვენ ბრძანეთ, ხუთი-ათი წლის შემდეგ საქართველო აყვავებული ქვეყანა იქნებაო. თუ დააკვირდებით, აღთქმული ნატვრის განხორციელებისათვის აქ შუალედი ერთობ დიდია (ხუთი – ათი!), ოთხი-ხუთი წელიც რომ იყოს, ჩემს ასაკში ესეც ბევრია, რაღაც სასიკეთოს რომ კიდევ მოვესწრო, მით უმეტეს, რომ „ცნობილი პოეტი“ შოთა რუსთაველი მისთვის ჩვეული გენიალობით „გვაფრთხილებს.“

„სცთების და სცთების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად.“

ჩემს მათხოვრობაში თქვენ მიმართ მე მათამამებს პატარა ბლოკნოტის ერთი ხელნაწერი ფურცელი, რომელიც თქვენმა აპარატმა რატომღაც მე გადმომიგზავნა, ალბათ იფიქრეს, გავახარებთო... გახარებით მართლაც გავიხარე, ოღონდ ჩემი სიხარული უფრო დიდი და ხანგრძლივი იქნებოდა, რომ ამ პატარა ბარათს რაიმე ხელშესახები შედეგი მოჰყოლოდა და იგი სულ მალე არ მივიწყებულიყო როგორც ადრესატის, აგრეთვე ადრესანტის მიერაც:

„ბ-ნ კ(ო)ბა იმედაშვილს,

მე ყოველთვის დიდი გულისყურით ვადევნებდი თვალყურს ბ-ნ კიტა ბუაჩიძის გამოსვლებს, ეხლაც ასეა, ყურადღება კი ვერ მივაქციე, ვიცი, რომ უჭირდა, ალბათ ეხლაც ასეა. იქნებ მოინახულოთ, მერე ერთად შევხვდეთ, თანადგომაა საჭირო.

ქ. შიშვარდნაძე.“

თარიღი არ უზის, მაგრამ კარგად მახსოვს, ეს იყო წარსული წლის დასაწყისში.

დიახ, მე მიჭირს, „ეროვნულ“ — გამანადგურებელი მოძრაობიდან დაწყებული, ყოველნაირად და ყოველმხრივ მიჭირს. იყო დრო, როცა ფული ფულობდა და კილო ფხვნილი შაქარი 94 კაპიკი ღირდა. კარგა ხანს და საკმაოდ დიდხანს კრებულებში აღებულ ჰონორარს და სპექტაკლებიდან მიღებულ შემოსავალს, თითქმის მთლიანად, მრავალშვილიან ოჯახებზე ვარიგებდი ისე, რომ ვის რას ვაძლევდი, ამასაც არ ვინერდი.

ალბათ გახსოვთ, 1982 წელს, თქვენი დავალებით, ჩემს ღარიბულ, სტუდენტურ ბინას ეწვია „პრავდის“ თბილისელი კორესპონდენტი, მეტად სიმპატიური ჟურნალისტი, რომლის ჩემთვის (თითქოს!) საპატიო წინადადებას არ დავთანხმდი („პრავდის“ 70 წლის იუბილესათვის მოსკოვში მზადდებოდა ფილმი, რომლისთვისაც, თქვენი არჩევით, მე უნდა მიმეცა საქართველოდან ინტერვიუ, სადაც უნდა მეთქვა არა ის, რომ ჩემი დანაზოგი ფულადი სახსრები ჩამოვურიგე მრავალშვილიან ოჯახებს, არამედ ის, რომ მე ისინი შევიტანე... თავდაცვის ფონდში! აქაოდა, საბჭოთა ქვეყანაში ყველანი დალხინებულად ცხოვრობენო).

ჩემმა უარმა თქვენ გაგანაწყენათ, შეიძლება გაგაბრაზათ კიდევ, საბჭოთა კავშირში, აბა, რომელი რესპუბლიკის ცეკას პირველი მდივანი მოითმენდა „პატარასგან“ სიტყვის შებრუნებას! თანაც იმ ხანებში „კომუნისტმა“ მოათავსა კორესპონდენცია იმის თაობაზე, ცხაკიას რაიონში სოფელ ხორშაში, ათშვილიან ბენია და ნელი ღვამბერიებს (ამის შემდეგ მათ ორი შვილი



კიდევ იყოლიეს და ერთს ჩემი სახელი დაარქვეს: კიტა ღვამბერია!), თუ როგორ აუშენეს ორსართულიანი სახლი, თანაც ამ სახლის ფოტოც მოათავსეს და იმ ქოხმანისაც, სადაც ღვამბერიები აქამდე საცოდავად თავს აფარებდნენ.

ყოველივე ამაზე თქვენი რეაქცია ის იყო, რომ, ალბათ აღელვებულმა, დაურეკეთ ერთს თქვენს ხელქვეითს, მნიშვნელოვანი თანამდებობის პირს, რომლისგანაც მე პირადად მხოლოდ კარგი მახსოვს. დაურეკეთ და უთხარით, რა არის, რა ამბავი ატეხეთ ამ კიტა ბუაჩიძის „პადაჩკის“ გამო...

„ოი, რა სკანდალს ავცდით, — თქვა მაშინ „კომუნისტის“ რედაქციის კოლეგიის სხდომაზე გიორგი ბედინიშვილმა, ფრთხილმა რედაქტორმა და კარგმა კაცმა, — ჩვენ ხომ კიტა ბუაჩიძეზე, ამასთან დაკავშირებით, სპეციალური წერილის მიცემას ვაპირებდით.“

ღიას, „პადაჩკის“ გამო.

(ცნობისათვის: გამოჩენილი რუსი ლექსიკოგრაფი ოჟეგოვი განმარტავს:

„Подачка: 1. Кусок еды, брошенный животному. 2. То что дают Кому-нибудь из милости, из снисхождения).

რას იზამ, ამქვეყნად არაფერი არ იმალება, დროის რბოლასთან ერთად იცვლება ცხოვრების წესიც, იცვლებიან ჩვენი ფიქრები, ძველებიან ადრინდელი შეფასებანიც.

იმ ჩემს დროს ქველმოქმედება იძრახებოდა, ლამის საბჭოთა სახელმწიფოს შეურაცხყოფად ითვლებოდა, ახლა კი... ახლა პირველი ქველმოქმედი თქვენ ბრძანდებით, თქვენ ბრძანდებით პირველი „მეპადაჩკე“. მე კი ამ „პრეზრიტელნი“ „პადაჩკის“ შემყურე და მომლოდინე — გაიკითხეთ უპოვარნი და გლახაკნი, მაგრამ, მე არავინ არ გამიკითხა, ჩემთვის უკვე დიდი ხანია ჩარაზულია მაგრად გამომცემლობათა კარები, გარდა „განათლებისა“, რომელიც სკოლის სახელმძღვანელოებსაც ვერ აუდის; მე, ასე განსაჯეთ, ახლო ნათესავმაც არ გამიტანა. ასე, მაგალითად, ვედრების ბარათით მივმართე „კოკა-კოლას“ მეთაურს, სიმდიდრით თქვენზე ალბათ წინ მდგომს, რომელსაც ცოლად ჩემი მკვიდრი ბიძაშვილის ქალიშვილი ჰყავს, მაგრამ... რის ნათესაობა, რა ნათესაობა, „პადაჩკად“ ლარის მეასედიც არ გაიმეტეს, არადა, ამის შემდეგ დრო ბევრი არ გასულა და... ერთ მზიან ღამეს წყნეთად წოდებულ აგარაკზე მათ ხუთი ნიღბოსანი მოხალისე „ფირალი“ თავს დაესხა და ძვირფასეულიდან რაც მობოჭეს, ხომ მობოჭეს და ზედ 20 ათასი... სინგაპურის კი არა, ამერიკული დოლარი მიაყოლეს (20 ათასი ეს დაზარალებულთა თქმით, უფრო ზუსტად კი წარმტაცებლები დაითვლიდნენ).

...ბოდიშს გიხდით, ბატონო ედუარდ, ეს „მოკლე ღია ბარათი“ ერთობ გამიგრძელდა, გრძელი უსტარების კითხვის დრო, აბა, სადა გაქვთ ათასი საქმით და ათასი ამბით დატვირთულს, ამიტომ მოკლედ მოვჭრი: დიდი ხანია, მზადა მაქვს ორი წიგნი — ხელნაწერი და რაკი, სამწუხაროდ, მემკვიდრე არავინ მყავს, გულით მინდა, მათ გამოცემას ჩემს სიცოცხლეში მოვესწრო, სასიცოცხლოდაც კი დრო ძალზე ცოტადა მრჩება, ამიტომ, ბუნებრივია, თუ ვიჩქარი.

პირველი წიგნი პუბლიცისტურ ნაწერებს მოიცავს; მასში თავმოყრილია ისეთი წერილებიც, რომელთა დაბეჭდვაზე ყოველდღიური პრესა სიდიდის გამო უარს მეუბნება. ერთი ამათგანია, მაგალითად, „თებერვალი, მარტი, აპრილი, აპრილი, აპრილი, მაისიც!“ რომელიც თითქმის მთლიანად ეხება თქვენს დაბრუნებას საქართველოში:

„...ედუარდ პირველი ისტორიულ-ობიექტური მიზეზების გამო დროის მსახური იყო, ედუარდ მეორე კი, ამას დიდი არაფერი ინტუიციის განჭვრეტა უნდა, სამშობლოს მსახური იქნება, გულით მსახური...“

კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებს: „ო, როგორ გვიყვარს ჩვენ, ქართველებს, გამორჩეულ ადამიანთა დაკორტნა.“

ჰოდა, აწი მაინც ნულარ დაკორტნით ედუარდ შევარდნაძეს, ლომკაცს, რომელიც მძიმე უღელს ეწევა და ამდენ ჭაპანწყვეტას უძლებს.“

„Я очень уважаю этого человека. Это удивительно морально цельный человек. Я думаю, он играл очень важную и нужную роль в жизни вашей страны“

(„Литгазета“, 10.07.91).

ბატონებო, ეს არ უთქვამს ალბანეთის ელჩს, ეს თქვა დიდი ბრიტანეთის ელჩმა, სერ როდრიკ ბრეითვეითმა.

ჰოდა, რაკი „თებერვალი-მაისი“ და ზოგიერთი სხვა მასალაც თქვენი, ასე ვთქვათ, მაღიდე-ბელია, თქვენი ჩარევით ჩემი პუბლიცისტიკის გამოცემას შეიძლება ამიტომ მოერიდოთ, მაშინ გამოეცით

„ხალხის მტრის ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე“ (1929-1979წწ.).

ეს არის კრებული ათასგვარი დაკვირვებისა და ამბებისა, ჩანერილი სისასტიკით აღსავსე იმ წლებში, განსაკუთრებით ცენზურის მხრივ, რომლებიც, მეგონა, ათას წელს მაინც გაგრძელდებოდნენ და ეს ასეც მოხდებოდა, თუკი მომავალი თაობები ქვეყანას წარმართავდნენ სტალინ-ბრუშჩოვ-ბრეჟნევის ნაცადი ხელით...

კაცობრიობის ბედად, ეს ასე არ მოხდა, როგორც ხედავთ, ამ გათენებას მეც მოვესწარი და უკვე შემძლია, სამალავიდან ამოვადვინო ჩემი ცხოვრების მთავარი და ყველაზე სანუკვარი ნაწარმოები „ხალხის მტრის ჩანაწერები“, რომელსაც, სხვათა შორის, თამაზ კვაჭანტირაძე უკვე გაეცნო და თუ მის ლიტერატურულ გემოვნებას ენდობით, მის დაბეჭდვას წინ არაფერი არ უნდა დაუდგეს.

არა მგონია, გახსოვდეთ, 1987 წელს, როდესაც თქვენ ანგოლა-მოზამბიკში წესრიგის დამყარებით იყავით გართული, მე გამოგიგზავნეთ ქსეროქსზე გადაღებული ჩემი „ასტაფიევი“ და წერილობით გთხოვდით, დამხმარებოდით მისი გამოცემის საქმეში... სხვათა შორის, იმხანად მოსკოვიდან დამირეკა თქვენმა თანაშემწემ, ჩემთვის პირადად სრულიად უცნობმა თეიმურაზ სტეპანოვ-მამალაძემ, რომელმაც არაერთი ქება მიაგო ჩემს ნაშრომს, ასე განსაჯეთ, ქართველი მწერლის რუსულიც კი მოიწონა და მითხრა ისიც, შევარდნაძეს ჯერ არ ნაუკითხავსო.

საერთოდ, ნაიკითხეთ კი? ის ხომ ღირსეულად შეაფასა – წერილობით! — რუსეთის სინდისად წოდებულმა აკადემიკოსმა დიმიტრი ლიხაჩოვმა ჯერ კიდევ იმ მძიმე წლებში, აგრეთვე პოეტებმა სერგეი მიხალკოვმა, მიხეილ დუდინმა, რიმა კაზაკოვამ, მწერალმა ტროეპოლსკიმ, ცნობილმა მოსკოველმა ლიტერატორებმა ლევ ანინსკიმ, სტანისლავ რასადინმა, ლაკშინმა, კრუპინმა, ბორშჩაგოვსკიმ...

საინტერესოა, რომ თერთმეტი წლის წინათ „ასტაფიევი“ მე მტკიცედ გამოვთქვი აზრი, „ბერიას გასამართლება“ უნიჭოდ დადგმული ფარსია-მეთქი, აგრეთვე კბილი გავკარი „ლიტერატურნაია გაზეტას“, რომელიც ამ „გასამართლებამდე“ უსაშველოდ სტყუოდა, თუ სექსუალური აღგზნებით შეპყრობილი უკვე მკვდარი ბერია როგორ იხვეწებოდა და ღრიალებდა საკანში: „Дайте мне бабу, бабу мне, бабу!“

სიმართლე როდისმე მაინც ამოყოფს თავს. სულ აგერ ახლა „Известия“-ს დამატება „Неделя“ (№22, 23 ივნისი, 1997წ.) ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, იტყობინება, რომ ლავრენტი ბერია მოკლეს 1953 წლის 26 ივნისს თავისსავე სახლში, კაჩალოვის ქუჩაზე, მკვლელობის ორგანიზატორი იყო მისივე მოადგილე კრუგლოვი.

ღიას, „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву“, რომელ კრებულშიც შედის აგრეთვე „Беседа во сне в ночь с 1-го на 2-ое января 1988 года с Михаилом Горбачевым“, ღირს იმად, რომ ნაიკითხოთ.

ეჰ, ბატონო ედუარდ, ბატონო ედუარდ! თქვენი „მეფობის“ 25 წლის მანძილზე („მეფობა“ ჯერ მონარქიულ საწყისებზე, შემდეგ კონსტიტუციურზე!) თქვენგან არავითარი თანადგომა არ მახსოვს, გარდა ამ ბოლოდროინდელი სიტყვიერი თანადგომისა, რომელიც ზემოთ მოყვანილ პატარა წერილობით ბარათშია მოხსენიებული, ასე განსაჯეთ, მეცხრე ათეულში გადასული თითქოს პატიოსანი მწერლისთვის „ღირსების ორდენიც“ ვერ გაიმეტეთ (ნურც გაიმეტებთ — არ მივიღებ!).

როგორღაც სასაცილოც კია, რომ „ასტაფიევის“ გამოცემას ხელი უფრო ნაჰკრა თქვენმა მეგობარმა ალექსანდრე იაკოვლევმა, რომელმაც ქართველი ინტელიგენციის ვინრო წრესთან შეხვედრისას, 1988 წლის 21 თებერვალს, განაცხადა: „Очень талантливо написано“ (არსებობს ამის ტელეჩანაწერი) და უფრო საოცრად საკვირველი ისაა, რომ მას, პოლიტბიუროს წევრს, იმდროინდელ საბჭოთა კავშირში მეორე კაცს, არ შეეძლო, არ შეემჩნია, რომ „Такое длинное, длинное письмо“ მიმართული იყო არა იმდენად ვიქტორ ასტაფიევის მიმართ, რამდენადაც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

და ასეთ ნიგნზე, ვისიმე რაიმე პრემიას ვინ ჩივის, გამოიცა-გამოვიდაო, ესეც კი არ დაწერილა ქართულ პრესაში, მსგავს რამეებს ჩვენში, ეს ვინ არ იცის, თუ თანამდებობა არ გამშვენებს, სირბილი და ხვენწა უნდა, რაც ჩემი თავისთვის არასოდეს მიკადრებია... მთელი ჩემი ცხოვრება ამ გზაზე რომ არ ვდგომილიყავი და „დიდებში“ ისე, უბრალოდაც, მეტრიალა, არა მგონია, ჩემი კომედიები, მათ შორის, „ეზოში ავი ძაღლია!“ „შავი ნიგნი“ და „შავზე შავი ნიგნი“, აგრეთვე „Такое длинное письмо“ ვისიმე პრემიას არ დაიმსახურებდა, გნებავთ, ტრაბახში ჩამეთვალოს, თუნდაც რუსთაველისას, რომლის მარტო მწერალი-ლაურეატი საქართველოში ოცდაათამდეა (30-მდე!).

დასტურ, თუ ხმებს დაეჯერებათ, ახლა, თქვენი განკარგულებით, რუსთაველის პრემიის ლაურეატებს 12-ჯერ მეტი ყოველთვიური გასამრჯელო ენიშნებათ, ვიდრე ჩემი პენსიაა (რვა-ნახევარი ლარი!).

ერთობ სანუხარ არს, რომ თქვენ, კერძოდ, არც ახალგაზრდობაში და არც ხანში შესვლისას არც ერთი ჩემი პიესა არ გინახავთ: „ავი ძაღლიც“ კი, რომელიც თქვენი მმართველობის დროს, 1977 წელს დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში (უჩვენებენ ახლაც ტელევიზიით, დაწერიდან 45 წლის და ბოლო დადგმიდან 20 წლის შემდეგ!) და რომელმაც 200 ანშლაგი გააკეთა და ვინ იცის, სცენაზე კიდევ რამდენ ხანს იარსებებდა, რომ თეატრის ახალ ხელმძღვანელს რეპერტუარიდან ამ ამოელო. ცუდი დადგმულიაო.

„ცუდი დადგმის“ გამო ასეთივე ბედი ეწია „ამბავი სიყვარულისას“, რომელიც ამ ორი წლის წინათ დაიდგა და ზოგიერთი მაყურებელი მეორეჯერაც ნახულობდა.

ო, რა ბედნიერება იქნებოდა, ბატონო ედუარდ, ავტორისათვის და სპექტაკლში დაკავებულ მსახიობთათვის სპექტაკლის არსებობის ორი თვის მანძილზე ერთხელ რომ მოზრძანებულიყავით და გენახათ. ვფიქრობ, მოგეწონებოდათ და მაშინ ასე ბრყვეულად არც მოხსნიდნენ, მაგრამ აი, დრო, დრო...

რასაკვირველია, დრო თქვენ, ფაქტობრივად, სრულებით არა გაქვთ, მაგრამ გამონაკლისს მაინც პოულობთ ხოლმე, აკი, მაგალითად, სწორედ იმ ხანებში დაესწარიო რ. კლდიაშვილის „საპოვნელას“ და პიესაც შეაქვთ და მისი ავტორიც. როგორც პიროვნება... მე კი შეიძლება პიროვნება არ ვიყო, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც პროფესიონალი დრამატურგი ვარ, 60 წელზე მეტხანს ვემსახურები ქართულ სცენას (ჩემი ბრალი არ არის, თუკი რვა კომედიიდან სამი დაუდგმელია, ეს უფრო დედაქალაქის თეატრების „მაღალ გემოვნებაზე“ მიგვანიშნებს), რ. კლდიაშვილი კი დამწყები დრამატურგია, პროფესიით ქიმიკოსი, თუმცა... მის დასამშვიდებლად ამასაც ვიტყვი: ალექსანდრე ბოროდინი (გედევანოვი) ქიმიკოსი გახლდათ, მაგრამ ოპერა – შედეგრი დაგვიტოვა, „თავადი იგორი“.

არა, თავს არ გაცოდებთ (შემიცოდებთ კი?!), მე ახლა ყოველმხრივ ძალიან მიჭირს და დიხაც რომ „თანადგომაა საჭირო“, ოღონდ არასიტყვიერი, თუნდაც დოკუმენტურად იყოს გაფორმებული...

მოიღეთ მოწყალება, ბატონო ედუარდ, გაიღეთ „პადაჩკა“, მე არ ვიუკადრისებ.

ჩემი რომელიმე ნიგნის გამოცემა თქვენი 250-ათასიანი პრემიის 2 პროცენტი თუ დაჯდება, შთამომავლობას კი დარჩება კარგი ნიგნი!

ოღონდ მინდა, ესეც იცოდეთ, მე სხვა ბუნების კაცი ვარ ... ამ წერილზე თუ დუმილით მიპასუხებთ, მე მას, ცხადია, უარად მივიჩნევ და, მაინც, წინანდებურად კვლავ დავრჩები თქვენი მხარდამჭერი, რადგან თქვენ ამ უაღრესად რთულ, დახლართულ სახელმწიფოებრივ ვითარებაში მთელი გონით და მთელი გულით ემსახურებით სამშობლოს და დღეს თქვენს შემცვლელს, თქვენზე უფრო ღირსეულს, საქართველოში მე პირადად ვერავის ვხედავ.

ლელა მესხის ჩოგბურთის აკადემიის  
ნამდვილი აკადემიკოსი  
კიტა გუარჩიძე

ივლისი, 1997 წელი.



## ვილუპაპით...

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №22, 1997წ.

ამას წინათ 21 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამოვიკითხე, რომ იტალიელები არ მრავლდებიან და მალე მათ „ნითელ წიგნში“ შეიტანენ, როგორც გადაშენებისკენ მიდრეკილ ერს.

ეს შემაშფოთებელი ამბავი თქმულია... 58-მილიონიან იტალიაზე!..

რუსეთის კომუნისტების მეთაური გენადი ზიუგანოვი პრეზიდენტ ელცინს დიდ ბრალდებად უყენებს, რომ „Страна вымирает...“

ამას ამბობს 140-მილიონიან რუს ხალხზე, რომელსაც არაერთი ათეული წელიწადი დასჭირდება, იმდენად შემცირდეს, რომ საყოველთაო განგაშის ზარები შემოჰკრან.

და მაინც, მოსალოდნელი რეალობის ფაქტით შეშინებული, ამთავითვე მოუწოდებს ქვეყნის მმართველებს, იფიქრონ და მიიღონ გადამჭრელი ზომები მოახლოებული ეროვნული უბედურების თავიდან ასაცილებლად.

ჩვენ კი... ქართველები, საქართველო...

სამმილიონიან ერს, რომელსაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მილიონზე მეტი პენსიონერი ეყოლება, ცხადია, ის ერი ღრმა სიბერის ასაკშია, სიბერე კი რითიც მთავრდება, აქ იმ საზარელ სიტყვას არ ვიხმარ, რომ გუნება არ მოგვეშხამოს, თუმცა... მოგვეშხამება კი?!

ღიახ, ჩვენი ეს დიდი ეროვნული უბედურება გუშინ არ დაწყებულა და არც გუშინწინ... ჯერ კიდევ ამ საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში მიხეილ ჯავახიშვილი გულისწუხილით წერდა ქართველი ქალის გაგარეულების თაობაზე, რაც კარგს არაფერს მოგვიტანსო... იოსებ ჟორდანიას, რომლის გმირული სიკვდილი, აბა, რომელ ერს არ დაადგამდა დიდების გვირგვინს, 1963 წელს წერილში — „ოჯახი ერის ბურჯია“ — გვაფრთხილებდა ჩვენი წინდაუხედაობის, უგუნურობის შესახებ, ერთი და ორი ბავშვით რომ ვიფარგლებით და ამით სასიცოცხლო ფესვებს ვაჭრით ჩვენი ერის სამარადისო არსებობას. თქვენი მორჩილი მონაც, აი, უკვე ოცი წელიწადია, „შავი წიგნით“ და „შავზე შავი წიგნით“ გავკვივი ქართველურ უნიათობაზე, მაგრამ უმაღლესი ხელისუფლებიდან, არც კომუნისტური და არც პოსტკომუნისტური წყობილების დროს არავინ არ გამომიჩნდა შემსმენელი და გამგონე და კვლავ და კვლავ ძალაში რჩება აწ განსვენებული სომეხი მღვდელმთავრის, ვაზგენის უკვე დიდი ხნის წინათ ნათქვამი, ქართველებს რომ შეეძლოთ, ნახევარ ბავშვს გააკეთებდნენო...

ჰოდა, თუ რამდენად მართებულია ჩვენ მიმართ ეს „ცილისწამება“, ამის დასადასტურებლად თავს ნებას მივცემ, მოვიყვანო რამდენიმე ნაწყვეტი ახლად გამოქვეყნებული ჩემი ერთი ნაშრომიდან, რომელსაც უსახსრობის გამო დაინტერესებული მკითხველის ხელი და თვალი, როგორც ჩანს, ვერ სწვდება:

„მთებში დაიღუპა უებრო ალპინისტი... დარჩა პატარა ბიჭი... როცა გაიზარდა, სათაყვანებელი მამის გზას დაადგა, უნდოდა, ამით მამის ხსოვნა ერთგვარი შარავანდედით შეემოსა, მაგრამ, ო, ბედო მუხთალო, შვილიც მამასავით ყინულოვანმა მთებმა შეინირეს... ახალნათხოვი ცოლი ორსულად დარჩა... იგი მზად იყო, თავისი სიცოცხლე მსხვერპლად გაეღო, ოღონდ დაეტოვებინა ამ ქვეყნად საყვარელი ქმრის სახსოვარი და მისი გვარის გამგრძელებელი... და, აი, ნევს იგი ერთ-ერთ სამშობიარო სახლში და ვაჟკაცურად იბრძვის ნაყოფის შენარჩუნებისათვის, მთავარი ექიმი კი... არა, ცოდვა იქნებოდა ამის უთქმელობა — მკურნალობით კი მკურნალობს და ყოველმხრივი სათანადო ყურადღებითაც, მაგრამ როცა მშობიარის სარეცლიდან თავის კაბინეტში გადაინაცვლებს, ცინიკურად ეუბნება კოლეგებს:

— სულელი არ არის ახლა ეს ქალი? რად უნდა ამას ანი ბავშვი?!

გინეკოლოგიის დარგში ასეთი ლოგიკით შეიარაღებული შუბლგამლილი მთავარი ექიმები და, მით უმეტეს, რიგითი ექიმები, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ამჟამინდელ მხრებგამლილ საქართველოში რამდენიცა გვყავს, ჰოდა,

ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!“

„ერთმა ხალხის ფართო წრეებისათვის ნაკლებად ცნობილმა, მაგრამ მისი პროფესიის მომუშავეთა შორის მსოფლიო მასშტაბის მეცნიერად მიჩნეულმა, ჰიდროტექნიკოსმა (ცოტნე მირცხულავამ), ჩემი ნაშრომის გაცნობის შემდეგ მითხრა, რაც საქართველოს სადიდებელი სადღეგრძელო დაგვილევია, ყველა ჩვენგანს მის ნაცვლად საერო მშენებლობაზე თითო-თითო აგური რომ მიგვეტანა, საქართველო ახლა ზღაპრულ ქვეყანას ემსგავსებოდაო.

ამ აგურებში იგი, რასაკვირველია, შვილიანობასაც გულისხმობდა.

ჰაი, ჰაი, რომ ჩვენდა საბედისწეროდ, თუკი ვინმე მიიტანს აგურს ამ მშენებლობაზე, ეს კი მოგვწონს, მაგრამ თავად ჩვენ მის ასაღებად არც დახრა გვეხალისება და არც ხელი გვემორჩილება...

ჰოდა, ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!“

ერთმა ჩემმა ყოფილმა თანაკურსელმა გვიან ღამით დამირეკა, ეს-ესაა, დავამთავრე შენი ნიგნი და ისეთ მონამულულ გუნებაზე დავდექი, ახალგაზრდა ქალი რომ ვიყო, უეჭველად ათ შვილს გავაჩენდიო...

გესმით?

ახალგაზრდა რომ ვიყო. დაუბრუნებელს – წლებს – რომ ვეღარ დაიბრუნებს, ეს მან საუცხოოდ იცის და ალბათ ამიტომაც გვპირდება ცაში წეროს და არ გვპირდება, რაც უფრო რეალური იქნებოდა, — ჩემს ორივე შვილს ანი გაგანია ცეცხლს შევუნთებ და მანამდე არ გამოვუნელე, ვიდრე მესამე ბავშვს კალთაში არ ჩამიგორებენ და არც საქვეყნოდ ცნობილ ფეხბურთელს, ჩემს დის შვილიშვილს, მოვეშვები, რომლის პირადი მაგალითი ახალგაზრდებზე ძალზე შთამბეჭდავად იმოქმედებსო.

— არაფერი ამგვარი არ მოუმოქმედებია.

ჰოდა, ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!“

„უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფაკულტეტის ჩასათვლელ გამოცდაზე პროფესორ „ამას და ამასთან“ შედის მესამე კურსის სტუდენტი „ესა და ეს“...

— მაგ ფორმაში ჩემთან მოსული მეორედ არ გნახო, — მუქარით შეფერილი ტონით მიმართავს მას გამომცდელი, რომელსაც პირველი დანახვისთანავე თვალში არ მოუვიდა ამ სტუდენტის „ფორმა“...

— ახლა ესეც ვიკითხოთ, მაინც რა ასეთ სასირცხვილო ფორმაში გამოეცხადა? ეგებ გულმკერდი ისე გადაუშვლეს, რომ ძუძუები ნახევრად მაინც უჩანს, ანდა იქნებ ჯინსის ისეთ ვინრო შარვალში გამოსალტულა, რომ მიბრუნ-მობრუნებისას ჯერ კიდევ ამ მხნე მამაკაცს სექსუალურმა გრძნობებმა გონება ისე დაუბნოს, რომ დადებითი ნიშანი სულაც არცოდნისთვისაც დაუწეროს, ა?

ო-ო, არც ერთი, არც მეორე: ამ სტუდენტი ქალის საძრახისი ფორმა თურმე ორსულობა ყოფილა, განიერ კაბაშიც რომ ვერ მიუმაღავს, ჩასაბარებელი დისციპლინის, რომელიღაც მოძმე ხალხის ლიტერატურის ისტორიის ასათვისებლად კი აუცილებელია თურმე „ერთსულობა“ და არა დედობა...

ჰოდა, ჩვენს პირველ ეროვნულ ტაძარშიც ასეთი მოაზროვნე გინდ ერთიც თუ გამოერევა, ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!“

დიახ, „ნითელი ნიგნის“ მესვეურებმა რომ იცოდნენ, რომ ამ ქვეყანაზე არის საქართველო და არსებობენ ქართველები, თავიანთ ნიგნში ბევრად ადრეც კი შეგვიტანდნენ.

1989 წლის აღწერის მიხედვით, მთელი მოსახლეობის 70 პროცენტს თუ შევადგენდით, განსაკუთრებით „ეროვნულ“-გამანადგურებელი მოძრაობის, მიხაკო წერეთლის გამოთქმას თუ დავესესხები, შინაური იდიოტების წყალობით, ახლა 50 პროცენტიც აღარ ვიქნებით და ამის უფრო ოპტიმისტურად წარმოსაჩენად ტყუილად ველით მომავალ, 1999 წლის აღწერის შედეგებს.

ამ ბოლო ხუთ-ექვს წელიწადში, არეულობისა და დუხჭირი ცხოვრების გამო, საქართველოდან ასი ათასობით ქალი და კაცი გაიხიზნა, მეტწილად ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდობა, ჰოდა, განა ჩვენ მომავალი გვიწერია, მით უმეტეს, რომ ეს გახიზნულები, ერთეულების გარდა, აღარასოდეს ყოფილ სამშობლოში არ დაბრუნდებიან, სადაც თავს ამოყოფენ, იქაურ ქუდს დაიხურავენ, მასპინძელ ერებში გაითქვიფებიან, და არა სომხებივით ან ებრაელებივით შეჯგუფულად იცხოვრებენ და მამა-პაპის ტრადიციებსაც შეინარჩუნებენ.

ქართველობაზე ხელის აღება, მშობლიური მიწის სურნელების მივიწყება, საერთოდ, ეროვნული გრძნობის მიძინება, ო, რარიგ გვეადვილება, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ: ნახევარზე მეტი დღევანდელი აფხაზებისა ყოფილი ქართველებია, თურქეთში, როგორც ამბობენ, ოთხი თუ ხუთი მილიონი გამუსულმანებული ნაქართველარი ცხოვრობს, რომელთაც ქრისტიანობა არც გაეგონებათ და საქართველო თუ საით არის, არც ეს იციან, მაშინ, როცა თურქეთში დიდი ხნით ნაცხოვრები სომხებიდან ერთიც, დიახ, ერთიც არ გათურქებულა.

რაკი სიტყვა თურქეთზე ჩამოვარდა, ბარემ ამასაც ვიტყვოდი, რომ ბევრად ადრეც კი, ვიდრე ამ ბოლო წლების თავის გატანის ჟამი დაგვიდგებოდა და თურქეთის საზღვრის გადალახვა გაიოლდებოდა, ამ ქვეყანას მეძავობის გზაზე შემდგარი ასობით ქართველი ქალი რუს „ნატაშებთან“ ერთად კალიასავით შეესია, მაშინ, როცა იქ სექსუალური „ბიზნესით“ გართულ ერთ აზერბაიჯანელ ქალსაც ვერსად წააწყდებით.

ჰოდა, ამის შემდეგ მოდი და ბრძანე, რომ ისლამი ადამიანის მორალური სინმინდის საგუშაგოზე არა დგას, და რომ ის ჩამორჩენილთა რელიგიაა, და თუ ჩვენ, ქართველები, ისტორიული ქარტეხილების დროს, აი, ისეთის, როგორიცაა თურქეთსა და პაკისტანში (ისლამური ფუნდამენტალიზმის გარეშე), სადაც პრემიერ-მინისტრებად შეიძლება ქალებიც იყვნენ, ჩვენ ახლა, როგორც ერი, თვითამონყვეტის უფსკრულის პირას არ აღმოვჩნდებოდით: შვილთა სიმრავლე, აი, რა არის ისლამის ერთ-ერთი მთავარი მცნება, შვილთა სიმრავლე კი ერის სამარადისო სიცოცხლის მთავარი წყაროა.

ვიცი, ამ აზრის გამოთქმისათვის ბევრი, რასაკვირველია, გამკიცხავს და ბევრიც ამიძულეებს კიდეც, მაგრამ მაინც ვიტყვი: ჩვენ ახლა არაფერი ქრისტიანული არა გვატყვია რა, ჩვენ ახლა მხოლოდ გარეგნულად, ფორმალურად ვართ ქრისტიანები, თუმცა ეკლესიები ლამის ყოველ სოფელში შენდება, ვაშენებთ აგრეთვე მეოცე საუკუნის გამორჩეულ ძეგლს – სამების ტაძარს...

ჰო, მაგრამ, აბა, ვის უნდა დაუფტოვოთ ეს წმინდა ნაგებობანი, თუკი სულ კიდეც რაღაც ოთხი-ხუთი ათეული წელიწადი და... სანთლის დამნთები აღარავინ გვეყოლება, მლოცველი აღარავინ იქნება...

ქართულ ეკლესიას ამ ბოლო ხანს სექტები შეესია, რომლებიც მას საყრდენს უთხრიან... მეც მომაკითხეს შინ ჩინებულად გამოცემული, კარგად შენიღბული სააგიტაციო ლიტერატურით, მაგრამ მე მათ „პლატფორმაზე“ არ გადავსულვარ, ქრისტიანული დოგმატიკისთვის არ მილაღატია, თუმცა როცა გავიგე, რომ იელოველებს აბორტის გაკეთება ეკრძალებათ და ამ ნიადაგზე ზესტაფონის რაიონის ერთ-ერთი სოფლის იელოველ გლეხის ქალს ხუთი შვილი ჰყავს – ხუთი! – აზრი შემეცვალა...

დიახ, ოღონდ გადავრჩეთ, გადაშენებას როგორმე თავი დავალწიოთ და... არათუ იელოველობას, ისლამსაც კი ჩავეკონები, მთელი გულით, მთელი სულით...

დიახ, ისლამსაც, ოღონდ ვიცოცხლოთ, ვიცოცხლოთ, როგორც ერმა სამარადისოდ!

კაცობრიობის მომავალი ისლამის არის, ბუდისტების არის, ინდუიზმის არის... რა გასაჭირს არ განიცდის ინდოეთი, მაგრამ იქაც შვილთა სიმრავლეა... ჩვენ, ქართველებს, ეკონომიკურად სულაც არ გვიჭირდა სამოციან, სამოცდაათიან, ოთხმოციან წლებში და მაინც ერთი შვილით ვიფარგლებოდით, სულ დიდი – ორით... სწორედ ამან ამოგვაყოფინა თავი დღეს ასეთ კატასტროფულ ვითარებაში...

სხვათა შორის, ისლამის მაღიარებლებია ჩეჩნებიც და... ვინ არ იცის, რომ ამ ერთი ხელის დადება ქვეყანამ, ერთმა მუჟა ხალხმა, დიდი და პატარა თითქმის ორი წელიწადი რა თავგამეტებით ებრძოდა ქრისტიანულ ურჩხულს – რუსეთს და საბოლოოდ ამ უზარმაზარ ვეშაპს თითიც მოაკაკვინა...

სულიერ კაცს ძალაუნებურად გაგონდება გუშინდელი ომი აფხაზეთში, რომლის გამოძახილი გალშიც არ იგრძნობოდა, საქართველოს დედაქალაქში კი იმხანად ადგილობრივი ქრისტიანი „მამულიშვილები“ არაბეთის ქვეყნებში წასასვლელად გამალეულ რეკლამას ენეოდნენ, თითქოსდა საქართველოს ბედი დუბაიში წყდებოდა და არა სოხუმში, სადაც რუსული ჯარის შენაერთები ქვას ქვაზე ადუღებდნენ.

(საინტერესოა, რომ ამ შენაერთების ფარული მთავარსარდალი შემდგომ ჩვენთან ქრისტიანულად საზიემოდ მოვნათლეთ, რაც, მგონი, დიდად არც გაგვემტყუნება: პოლიტიკის ცვალებადობა რას არ ჩაგადენინებს!

დასტურ, ქრისტიანული რუსეთისგან ქრისტიანულ საქართველოს, ტოტლებენიდან დაწყებული, აფხაზეთის ამბებამდე, უპირობა ახსოვს მხოლოდ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამიტომ რუსულ ენას შევუტოთ და სადაც რუსული წარწერებია, ყველა ისინი მატრაკვეცულად ჩვენთვის მიუწვდომელი ინგლისურით შევცვალოთ: დიდი ბრძოლის შემდეგ როცა ინდოეთი ბრიტანეთის იმპერიას დაუძვრა, ინგლისური ენა მაინც დატოვა თითქმის საერთო სახელმწიფო ენად).

— დიახ, ჩვენ ყველა თავის დროზე აჭარასთან ერთად რომ გაგმუსულმანებულიყავით, დღეს 4 ათასი მეძავი არ გვეყოლებოდა, 300 ათასი ნარკომანი არ „დაგვამშვენებდა“, აბორტი მთელ მოსახლეობას ეპიდემიასავით არ მოედებოდა, განქორწინებათა რიცხვი ქორწინებათა რიცხვს არ გადააჭარბებდა, დასავლეთიდან ელემენტარული ზნეობის წარმრეველი „სექსუალური რევოლუცია“ ისე ვერ შემოაღწევდა, რომ ქართველი ჭაბუკების თვალში ქალწულობა ისე არ გაპარტახდებოდა, რომ ახლა, სექსოპათოლოგ მერაბ ნებიერიძის ცნობით, სკოლის მეათეკლასელი გოგონების ნახევარი გათხოვებამდე უკვე ეწევა სქესობრივ ცხოვრებას და მათ მეცხრეკლასელებიც დიდად არ ჩამორჩებიან, პატარაობიდანვე სიგარეტის ბოლით „ნებივრობაზე“ ხომ სიტყვა არ ითქმის...

ვერაფერ ამის მსგავსს ისლამის ქვეყნებში ვერ შეხვდებით, შორით მგზავრობა არ დაგვჭირდება, გნებავთ, მეზობელ აზერბაიჯანში შეიხედეთ, ჩვენსავით 70 წელიწადი კომუნისტური დიქტატურის არტახებში გამომწვევდელ ქვეყანაში...

ერს, როგორადაც უნდა უჭირდეს, 9 წლის მეძავი რომ ეყოლება, რაზედაც „საქართველოს რესპუბლიკაში“ რ. ლორთქიფანიძე წერდა და ამაზე არაერთხელ თბილისის პოლიციის შეფმა დემურ მიქაძემ ილაპარაკა, ერს, რომლის...

ჩემს მონაყოლს ალბათ უფრო აჯობებს, წარსული წლის 14 ნოემბრის იმავე გაზეთში მოთავსებულ ბ. გულიაშვილის წერილში ამოვიკითხოთ:

„...საშინელი ამბავი მოხდა: ათი წლის გია გვალია საფეხბურთო კლუბ „კოლხეთში“ თამაშობდა, ყველას სჯობდა. რად გვჯობიაო და... 40 თანატოლმა „საგანგებო თათბირზე“ განაჩენი გამოიტანა. ეცნენ, წყალში შეათრეეს, თავი ჩააყოფინეს, მერე ზღვის სიღრმისკენ უბიძგეს, ნაპირს გამოვიდნენ და მშვიდად, უშფოთველად სახლებს მიაშურეს, ჩვეულებრივ ჭამეს, სვეს, დაისვენეს, დაიძინეს.“

ეს ბოლო ორი სტრიქონი ნაიკითხეთ ხელმეორედ: ათ-ათი წლის ბავშვებმა, 40 ბავშვმა, კოლექტიურმა მკვლელებმა „ჩვეულებრივ ჭამეს“... „უშფოთველად დაიძინეს...“

ძალაუნებურად მაგონდება ამ ათიოდე წლის წინათ ჩემ მიერ აღწერილი:

„Совершенно гнусное преступление – страшное убийство вице-адмирала Холостякова и его жены... Комсомолец Калинин (вместе с женой – комсомолкой) убив с целью ограбления умного, доброго, еще мыслящего и здорового героя Отечественной войны, старика и его старуху-жену... спокойно пошел спать“

(„Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву“).

ხედავთ რაიმე განსხვავებას ამ ორ ამბავში? ორმოცმა ბავშვმა, რატომ გვჯობიაო, სიცოცხლე მოუსწრაფა თავისივე თანატოლს და... „უშფოთველად დაიძინეს“, კომკავშირელმა, ალბათ 24—25 წლის კალინინმა მოკლა მოხუცი ცოლ-ქმარი და... „Спокойно пошел спать“.

ორივე შემთხვევაში მკვლელებმა ტკბილად დაიძინეს, ოღონდ პირველ შემთხვევაში ჩადენილის საშინელება ასმაგდება იმით, რომ მკვლელობის მონაწილეა სულ პატარა, ათ-ათი წლის ბავშვები, რომლებიც მოქმედებდნენ შეგნებულად, აკი მოაწყვეს „საგანგებო თათბირი“, 40 ბავშვში ერთიც არ გამოერია ისეთი, საზარელ განზრახვას განდგომოდა, შინ გაქცეულიყო, მშობლებისათვის შეეცდებინებინა...

არავითარი სინდისის ქენჯნა, არავითარი გულისწუხილი, „ჭამეს და დაიძინეს“... ასეთ უმანკო ასაკში საიდან ასეთი მხეცური გამოვლინებანი? მაგალითს ისევე უფროსებისგან ხომ არ იღებენ? მამებისაგან, ძმებისაგან და... ზოგ შემთხვევაში მათ უკვე აღარც ქალები ჩამორჩებიან.

ამ ცოტა ხნის წინათ გურამ ფანჯიკიძე გვიზიარებდა თავის გულის ვარამს: „ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში (თბილისის უნივერსიტეტის ეზოში – კ.ბ.) სტუდენტი მოკლეს. ერთი ჩემი მეგობარი შეძრწუნებული მიაშობდა, ახალგაზრდები როგორ ჩერდებოდნენ სისხლის გუბესთან და კევის ლეჭვით როგორი სიმშვიდით დასჩერებოდნენ უბედური ახალგაზრდის შედეგებულ სისხლს...“

ყოველივე ზემოთ ნაამბობი განა ერის სრულ ზნეობრივ დეგრადაციაზე არ მიგვანიშნებს?

დღევანდელ საქართველოში ადამიანის სიცოცხლე დაფიქრების ფასადაც აღარ ღირს. აგერ ახლა, ნარდის თამაშისას, კაცმა კაცი მოკლა, უბრალო წალაპარაკებისას, დუ შაში საიდან მოგივიდაო... დიახ, მოსახლეობის რიცხვთან შეფარდებით მკვლელობათა ოდენობით მსოფლიოში, კოლუმბიის შემდეგ, ერთ-ერთი პირველი ადგილი ჩვენ გვიჭირავს.

ჰოდა, ჩვენ კიდევ დღეს თუ ხვალ სიკვდილით დასჯა უნდა გავაუქმოთ? დაიხსომეთ ჩემი მორიდებული სიტყვა: გაუქმების შემთხვევაში განზრახ და შეკვეთილი მკვლელობები... ჯერ ახლა რა არის და... მაშინ ერთი ხუთად გაიზრდება.

უმაღლესი ხელისუფლება რომელიღაც სავალუტო ფონდის თუ ევროკავშირის ჩაგონებით („არ მიგიღებთ, თუ არ აკრძალავთ“) მოხარულიც არის, რომ ამაზე დათანხმდეს: „პოლიტიკური“ სიკვდილმისჯილები ბევრი გვყავს და რაკი შერიგებისკენ მივისწრაფვით, მათი სიკვდილით დასჯა მოსახლეობის გარკვეული ფენის დიდ შეშფოთებას გამოიწვევს, რაც ქვეყნის პრეზიდენტმა, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცის, მაგრამ ისიც ხომ იცის, კონსტიტუციის ძალით, თუ არ ვცდები, შეწყალების უფლებაც აქვს, ჰოდა, დღემდე მისჯილები ადგეს და შეიწყალოს, ხვალიდან კი სიკვდილით დასჯა...

შეიცვალოს სამუდამო პატიმრობითო... ჯერ ერთი, სამუდამო პატიმრობისათვის ჩვენ პირობები არ გავაჩნია, მეორეც, ამაოდ ფიქრობენ, რომ ამგვარი პატიმარი ბუნებრივ სიკვდილამდე სულ იმის სინანულსა და გოდებაში იქნება, ეს რა მომივიდა, რატომ ხელი არ შემახმა, რა პირით მოვკალიო...

განზრახ მკვლელი არავითარი დანდობისა და შებრალების ღირსი არ არის, მას გენებში უნერია ავკაცობის ზრახვები; ღმერთმა ვერ შექმნა სრულყოფილი ადამიანი, ამიტომაც ასე აწეწილ-დანწილია ქვეყნიერება.

ის, რაც დღეს ქართველს აწუხებს, ფრანგს არ აწუხებს, არც ინგლისელს, სულ პატარა ისლანდიასაც კი... ამიტომ ნუ გადმოგვაქვს მექანიკურად ეკონომიკურად ყოველმხრივ დალხინებული უცხო ქვეყნების ყოფა-ცხოვრების თარგები... ნიუ-იორკში თურმე მაღაზიებია, ძაღლების მაღაზიები, სადაც ძაღლებს მსურველებზე სასეირნოდ აქირავებენ: ფინიის გასეირნება საათში 25 დოლარი ღირს, დიდის, ბომბორასი – 40... ჩვენთან კი, შარშან თბილისში, ცოფიანი ძაღლებისგან დაკბენილი, ჩვენდა თავმოსაჭრელად, მ ადამიანი მიიცვალა... საერთოდ, „საქართველოს სადა ჰყავს შვილი დასაკარგავი“ და ისიც ცოფისგან, ცოფისგან...

ჰოდა, მოდი და დაეტოლვე: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პროფესორი ათასობით გვყავს და ერთ დაბდურსაც ვერ მონახავ, განათლების მონმობა არ ედოს ჯიბეში, „უნივერსიტეტს“ ფეხი ლამის ბ ა ნ ო ჯ ა შ ი ც წამოვჰკრათ, და მაინც, ჩვენ მათთან შედარებით თითქმის ნახევრად ველური, მაგრამ ბუნებით ნიჭიერი ხალხი ვართ: ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ გელათის ტაძარი, შევქმნათ „ვეფხისტყაოსანი“, წარმოვშვათ დავით აღმაშენებელი და ილია ჭავჭავაძე. მსოფლიოს მივცეთ სტალინი...

და ასეთი ხალხი უნდა აღიგავოს დედამიწის ზურგიდან? თანაც თავისივე ხელით, თავისივე ნებით... ეჰ, როდის იწინასწარმეტყველა აკაკიმ:

„შენც მიდიხარ, მეც მივდივარ,  
გეთხოვები საქართველო...  
შენ ნახვალ და სხვა შემოვა,  
შენს ნადგომზე ისადგურებს...“

ო, ვინმე სხვა შორეული როდი შემოვა, შემოვლენ ისევ ჩვენი „ძმები - მეზობლები“.

დიახ, ჩვენი სიკვდილის მომლოდინე „მეგობარი“ მტერი ხითხითებს, რომ ჩვენ, როგორც ერი, ასე იდიოტურად ვინრიტებით და ეჭვი აღარ გვეპარება, რომ, აჰა, სადაცაა კარს შემოაღებს ოცდამეერთე საუკუნე და იგი მოგვიტანს საყოველთაო შვებას, რის აღსანიშნავად სწორედ ამ



საუკუნის დასაწყისში ვიზიუმებთ კიდევ ქართული სახელმწიფოს არსებობის ორი ათას ხუთას თუ სამი ათას ხუთას თუ ოთხი ათას წელს (ძიება მიმდინარეობს!), რითიც მთელ მსოფლიოს ვაცნობებთ, რა უძველესი ერიც ვართ და რა უდიდესი კულტურის მქონეც...

ერთი სიტყვით, დიდი მზადება გველის ლხინისათვის ჟამსა ჭირიანობისას!

ო, ნეტავ რა მოგვცა ამასწინანდელმა ყოვლად ქართველთა ფორუმმა? უცხოეთში მცხოვრები ერთი ქართველი მაინც თუ დაბრუნდა თავის ისტორიულ, მამა-პაპათა სამშობლოში? არადა, ამ „ლონისძიებაზე“ ოცი მილიონი მიიხარჯა, მაშინ, როცა მშვიერ-მწყურვალნი ასობით მანან-ნალა ბავშვი გვყავს და 120 ათასი უგაჭირვებულესი ოჯახია დღევანდელ, საზეიმოდ შემზადებულ, შეჭრილ-შემოჭრილ საქართველოში, წლევანდელ ბიუჯეტში კი ერთი თეთრიც არ არის ნაგულისხმევი ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი მრავალშვილიანებისთვის დახმარების ხელგასანვდენად, თუმცა ითქვას კი, ესო მომავალი წლიდანო...

სწორედ ამ მომავალმა წლებმა მოგვიყვანა ერის არყოფნის ტრაგიკულ ფინალამდე...

ამ ცოტა ხნის წინათ თამაზ კვაჭანტირაძე ამბობდა და წერდა: „პირადად მე მექმნება ძალზე რეალური შთაბეჭდილება, რომ ქართველმა ერმა დაკარგა ეროვნული თავმოყვარეობა.

არა მგონია, ამ აზრს დაეთანხმოს ახლად დაარსებული „ეროვნული თვითშეცნობის ასოციაცია“, რომელიც უკვე გამოგვეცხადა სპეციალური მანიფესტით და გვაუწყა, რომ გამოსცემს ჟურნალს სათაურით: „რანი ვართ ქართველები“.

სხვათა შორის, ამგვარი ასოციაცია საქართველოსთვის ახალი ამბავი არ არის, იგი თავდაპირველად 1991 წელს ჩამოყალიბდა და იმთავად მას თავმჯდომარეობდა პატივცემული ჯანსუღ ღვინჯილია, რომელსაც ქართული თვითშეცნობის პრობლემა, როგორც ვხედავთ, დიდი ხანია, აწუხებს და, აი, დაუბრუნდა კიდევ მას, ამ შემთხვევაში უფრო ფართო მასშტაბით, რევაზ ბარამიძესთან, დავით გეგეშიძესთან და ჯანსუღ კორძაიასთან ერთად, ოლონდ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებას იწვევს ის ამბავი, რომ ჟურნალის — „რანი ვართ ქართველები“ რედაქტორად მოიხსენიება არა ამ ასოციაციის ორჯერ დამაარსებელი და მისი სულისჩამდგმელი, არამედ სხვა, საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი პიროვნება. როგორც ჩანს, ბატონი ჯანსუღი რაკი სარედაქტოროდ ვერ მოიცლის, ასოციაციას ქართველი ერის შესაცნობად ძალზე დიდი გეგმები აქვს.

გზად სახუმაროდ შევნიშნავდი, რომ იმხანად, 1991 წელს, თვითშეცნობის ასოციაციის პირველ კრებაზე რომელიღაც დამსწრეს ჩემი თავი ასოციაციის საპატიო წევრად წამოუყენებია, რის თაობაზეც მაშინვე თავმჯდომარის სახელზე „სწრაფი რეაგირების“ ბარათი ვაფრინე:

„გთხოვთ, გამომიყვანოთ თქვენი ღირსპატივსაცემი ასოციაციის წევრობიდან – სულ ერთია, იგი საპატიო იქნება თუ რიგითი, მით უმეტეს, რომ ასეთი ასოციაცია მე პირადად გულზე არცთუ ისე მეხატება, და ეს ქვეცნობიერად შეიძლება იმიტომ, რომ ქართული ეროვნული თვითშეცნობა ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1871 წლის 9 აგვისტოს შეიცნო ლექსად:

ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?“

სხვათა შორის, „ქართული თვითშეცნობის ასოციაციას“, თავისი დასახული მიზნებით და ამოცანებით, დიდად ენათესავება 1995 წელს შექმნილი „ქართული ფენომენის აკადემია“ (აკადემია!), რომლის პრეზიდენტი რევაზ მიშველაძე და ვიცე-პრეზიდენტი ლევან სანიკიძე საზეიმოდ გვპირდებოდნენ, რომ „სწორ წარმოდგენას შეუქმნიან ქართველს ქართველებზე“, მაგრამ, როგორც ჩანს, არ ჩქარობენ, აკი, დღიდან დაარსებისა, ამ წელიწადნახევარში, ამ აკადემიისა ჩამიჩუმი არ ისმის, ეს კია, მისმა ვიცე-პრეზიდენტმა თავისი ღრმაშინაარსიანი წერილები აქა-იქ დაამშვენა ტიტულით: „აკადემიკოსი ლევან სანიკიძე“ (ძალაუვნებურად გაგონდება პავლე ინგოროყვა – არც პროფესორი იყო, არც აკადემიკოსი, იყო მარტო... მეცნიერი!).

ამას არ უნდა ბჭობა, ამ კრიზისულ სიტუაციაში, როცა ერს სულის ხუთვა ჭირს და მისი სიცოცხლის წლები თითქმის დათვლილია და ყოველგვარ უასოციაციოდ და უაკადემიოდ ისედაც ვიცით, რანიც ვართ ქართველები, მთელი ჩვენი აზრი და ფიქრი, მთელი ჩვენი ენერგია დაავადებული ქართველი ერის შესაძლო გამოჯანმრთელებისკენ წარვმართოთ...

ვინ იცის, ეგებ მოხდეს სასწაული, ეგებ მოხდეს სასწაული და... გადავრჩეთ! როგორც ერი გადავრჩეთ!

ამ სასწაულს ვერც ღმერთი მოგვიხდენს, ვერ პატრიარქის ქადაგებანი და ვერც პრეზიდენტის მოწოდებანი!

ეს სასწაული თვითონ ჩვენ, ყოველმა ქართველმა უნდა მოახდინოს, პარლამენტის წევრებიდან დაწყებული და გათავებული მიკარგულ ადგილას მყოფ 18 წლის ახალგაზრდამდე.

აი, მაშინ უნდა ვთქვათ და ჩვენი სიკვდილის მოსურნე მტრებსაც ვუჩვენოთ, რანიც ვართ ქართველები!..

ღიას, ჩვენი მხსნელი, ჩვენი მშველელი, ჩვენი გადამრჩენი, ქვეყნისა და ერის ამომგდები წამხედურობის ამომმანთავი მხოლოდ და მხოლოდ პირადი მაგალითია, პირადი მაგალითია, პირადი მაგალითია!

ამ დიდ ეროვნულ სასწაულს სათავეში უნდა ჩაუდგეს, რა თქმა უნდა, საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც უშუალოდ გაუძღვება ენის სახელმწიფო პალატის მაგვარ სამთავრობო დაწესებულებას, რომლის მოქმედ აპარატში იმუშავენ არა შემთხვევითი „დემოგრაფები“, რომლებიც უფრო იმაზე ფიქრობენ, თუ რა წაგლიჯონ ჰუმანიტარული დახმარებიდან ობოლ ბავშვებს...

რასაკვირველია, დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება უფრო იოლია, ვიდრე ჯერ კიდევ შემორჩენილი მთელი ერის ეროვნულ ჭკუაზე მოყვანა და აღორძინების გზაზე შედგომა, მაგრამ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე არ უნდა შეუშინდეს ამ უძნელესი და უსაჭიროესი მისიის შესრულებას... 1980 წლის ივლისში გავუგზავნე რა მას მანქანაზე გადაბეჭდილი „შავი ნიგნი“, ასე მივმართავდი:

„...უზომოდ მოხარული ვიქნები, თუკი ეს არა მხოლოდ ჩემი საგოდებელი არ დარჩება, თქვენის წყალობით, „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა...“ დიახაც, რომ ეს იქნებოდა დიდი, დიდი საშვილიშვილო, უკვდავი საქმე და როცა მომავალი თაობები ძეგლს დაუდგამენ განსაცდელის ჟამს სამშობლოს გადამრჩენელს. ედუარდ შევარდნაძეს, შთამომავალნი მას სათუთი სიყვარულით მოიხსენიებენ და არა ისე, როგორც ახლა – საბურთალოზე აღმართულ ერთ მონუმენტს, გულგრილად და უსიყვარულოდ რომ ჩაუვლიან ხოლმე.“

მაშინ ამ ჩემს საქვეყნო სათხოვარს ბევრი არაფერი ყურადღება მიაქცია ბატონმა ედუარდმა.

შეიძლება იმ დროის ბრალი იყო, ახლა სხვა დროა... საბურთალოზე საქართველოს პირველი გამაუბედურებლის, სერგო ორჯონიკიძის მონუმენტი წყევლა-კრულვით მიანგრ-მოანგრის...

საქართველო კი ახლა უფრო უარეს დღეშია, ვიდრე იყო მაშინ: კიდევ უფრო შემცირდა მოსახლეობა, შემცირდა ტერიტორიულად...

ამონყდომის პირასა ვართ...

მხოლოდ სასწაული თუ გვიხსნის, სასწაული!

სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს, სინამდვილეში რანიც ვართ ქართველები...

რა ვქნა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც ვერ შევუერთდები პრეზიდენტის ცისფერ ოპტიმიზმს:

„მინდა, ყველას ვუთხრა, მტერსაც და მოყვარესაც: არ დაეცემა ეს ქვეყანა! არ დაიშლება საქართველო, არ გადაგვარდება და არ გადაშენდება ქართველი ხალხი...“

ღმერთმა გისმინოს, ღმერთმა გისმინოს!

იაკობ გოგებაშვილი ამბობს: „რომელიმე ერის გაქრობა ასახიჩრებს თვით კაცობრიობას“ („ბურჯი ეროვნებისა“, გვ. 57).

მით უმეტეს, ჩვენისთანა ნიჭიერი ერისა..

დაბოლოს, ჩემი სურვილია, მკითხველს შევთავაზო სტრიქონები, რომლებიც დაიწერა 1982 წელს:

„მრავალი ჩვენი ოჯახური უბედურება გამონვეულია ჩვენი მცირეშვილიანობით, ერთი თუ ორი ხელიხელ საგოგმანებელი, ხატად ქცეული, სათაყვანო პირმშობით...“

„...გიხაროდენ, ქალებო, თუ დედად დაიბადეთ და არა ბოზად, და ხელოვნურად ნუ ჩაკლავთ საამაყო დედობის ამ მადლცხებულ გრძნობას“.

„რაკი ამ ფრაზაში ჩაქსოვილი აზრი ორივე „შავი წიგნის“ საფუძველთა საფუძველია, და თუმცა იგი არაერთხელ უკვე ითქვა, მე მას მაინც ერთხელ კიდევ მოგაგონებთ:

— შვილი რაც მეტი გეყოლება, მით უკეთესია: ზოგი კაი გამოვა და ზოგიც გლახა... ჭკუითაც, გარეგნობითაც, საქციელითაც...

ამ გონიერებით სავსე დასკვნამდე ერთი ისეთი მრავალშვილიანობის პრაქტიკოსი დედა მივიდა, რომელსაც სკოლის პირველ კლასშიც კი არასოდეს ფეხი არ შეუდგამს.

მიიხედ-მოიხედეთ: თვითონ ცხოვრება გვიდასტურებს, რომ ხშირად მშობლებს ათი შვილი არ გაამწარებს ისე, როგორც ერთი მამისა და დედისერთა.“

მე მოგმართავთ თქვენ, ქართველებო, არა სიტყვიერი, გატლექილი ენით გამრავლებისკენ...

პაპა ხარ თუ ბებია, შვილიშვილზე იმოქმედე, მამა ხარ თუ დედა, შვილებზე იმოქმედე, ახლად შეუღლებულნი თუ ხართ — ერთმანეთზე იმოქმედეთ, თუ ასაკი ხელს გინყობთ და ჯერ არ შეუღლებულხართ — იჩქარეთ, ნუ გადასდებთ...

საქართველო განსაცდელშია, ახლა წყდება ბედი მისი....

ვისხნათ, ვისხნათ ჩვენი სამშობლო აღგვისა და მოსულ-მომსვლელთა წალეკვისაგან!

ტსს...

აბა ყური მიუგდეთ... გესმით? ქართველების სასაფლაოზე ქართველების მესაფლავენი – მიკიჩ-აბდულ-ზაურბეკ-კუმფი ამ სამი წლის წინათ გულში თუ ღიღინებდნენ, ახლა უკვე მოურიდეებლად ნახევარი ხმით მღერიან და...

ნუ, ნუ

ნუ მივცემთ მათ ჩვენი ბედოვლათობით,

ჩვენი უღარღვლოებით,

ჩვენი დაუღვევრობით,

ჩვენი უმწარობით,

ჩვენი უჭკუობით

ბახარების საბაბს, რომ მთელი ხმით ამღერდნენ:

საქართველო მაღე თქვენი აღარ იქნება – ა...

თეგერვალი, 1997 წელი

კიტა ბუაჩიქი



**მწერალსა და პუბლიცისტ თეიმურაზ ჭანტურიშვილს!**  
**მომავალში კიდევ არაერთხელ გაგხსარებინოთ თქვენი მკითხველბი**  
**„საქართველოს რესპუბლიკა“, № 216, 23 აგვისტო, 1998 წელი.**

მწერლისა და პუბლიცისტის, თეიმურაზ ჭანტურიშვილის პრესაში ყოველ გამოსვლას ინტერესით ხვდება მკითხველი (ახლახან გამოცემულ მის წიგნს „წარსულის სევდა“ მშვენიერი რეცენზია უძღვნა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, მანვე გაგვაცნო ქვეყნის პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის გულთბილი სიტყვები ამ კრებულზე).

ბატონი თეიმურაზის პუბლიცისტურ წერილებს ჩვენი მსცოვანი მწერლის, კიტა ბუაჩიძის ყურადღება მიუქცევია და ბარათით შეხმინებია ავტორს. იგი უბრალოდ პირადი წერილი არ არის, დღევანდელი მისეული განსჯაა. ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ფართო მკითხველისათვის.

**დიდად პატივცემულ თეიმურაზ!**

ო, რა სამწუხაროა, რომ ასე გვიან გაგიცანით, თანაც არა პირადად, სახით, არამედ წერილებით:

„რამდენიმე ფაქტი ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან“;

„როსტომ ჩხეიძის მცდარი და ტენდენციური წერილის შესახებ...“

ორივე, განსაკუთრებით კი მეორე, დაწერილია დიდი, დიახ, დიდი პუბლიცისტის ხელით და რარიც სასიხარულოა, რომ თქვენ ჯერ სამოცი წლისაც არ ბრძანებულხართ და, მაშასადამე, მომავალში კიდევ არაერთხელ შეგიძლიათ გაახაროთ თქვენი მკითხველები, რომლებსაც ჩემს თავს ვერა და ველარ მივაკუთვნებ, რადგან სასიცოცხლოდ ძალზე მცირე დროლა დამრჩენია.

დიდად გიმადლით, რომ მე, თქვენთვის სრულიად უცნობი პირი, ორივე წერილში მომიხსენიეთ და თითქოს ჩემს გულში იხედებოდით და გულისჯავრიც ამომყარეთ ორი გვამის მიმართ, რომლებმაც თავისებურად, სხვადასხვა დოზით და სხვადასხვა დროს სიცოცხლე გამიმწარეს.

თქვენ საკუთარი სტილი და საკუთარი ხედვა გაქვთ, ასე რომ, არავის კალმის ნატრობა გჭირდებათ. თქვენი მეორე წერილი სავსეა მწვავე ირონიით, სარკაზმით, რომლითაც სამარადისო-საისტორიოდ მოთხრილი გყავთ ეროვნული მოძრაობა და მისი ადეპტი როსტომ ჩხეიძეც, რომელიც ყველაფერს ედება და საკუთარი დასკვნები ეჭვიმუტანელ ჭეშმარიტებად მიაჩნია; ასე, მაგალითად, 1941 წლის „შეთქმულებას“ იგი ათარილებს 1942 წლისად, მაშინ, როცა ამ წელს ყველა „შეთქმული“ დაპატიმრებული ვიყავით და...

გსმენიათ კი სადმე, ან ოდესმე გაგიგონიათ, რომ ციხეში, მით უმეტეს, „კაგებეს“ შინაგან ციხეში, 32 პატიმარს, სხვადასხვა საკანში თავამოყოფილებს, შეთქმულება მოეწყობა? სრული აბსურდია!

ერთთავად საინტერესოა, რომ როსტომ ჩხეიძეს მე, 32-დან დღეს ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი „შეთქმული“, რომელიც არ გაუმართლებიათ და შეიძნელიანი სასჯელი „От звонка до звонка“ მოახდევინეს, ამ „ისტორიკოსს“ არც ოდესმე ვუნახივარ და არც როდისმე გაცნობის სურვილი გამოუთქვამს.

დიახ, რაკი თქვენ მიერ რეკომენდებული ვახტანგ რაზმაძის წერილი „ახალ საქართველოში“ უკვე წავიკითხე, შემიძლია, თამამად განვაცხადო, თქვენ მასზე უფრო მეტად ამიშვლებთ „პრეზიდენტობაზე შეყვარებულ“ გამსახურდიას და რა დასანანია, რომ ამავე დროს ისეთი ნიჭიერი მწერალი-რედაქტორი, როგორიცაა ნოდარ გრიგალაშვილი, თავისი გაზეთის ფურცლებზე (1998 წლის 4 ივნისი) ალაპარაკებს „ქალბატონ“ ირინე ტალიაშვილს:

„ზვიად გამსახურდიას არც ერთი შეცდომა არ ჰქონია, ხაზს ვუსვამ – **არც ერთი შეცდომა!**“

„ზვიად გამსახურდიას არანაირი შეცდომა არ ჰქონია“.

„არ დააცალეს, მას შეცდომა არ ჰქონია, ის იყო უშეცდომო კაცი“.

ვაი, ჩვენი დროის გაზეთის ქალაქლო, რამდენ პირწავარდნილ სისულელებსაც იტან „ნაფიცი პუბლიცისტებისაგანაც“ კი!

არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, 1993 წლის მარტში „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ჩემი „პრეზიდენტი კომპარული ოპერეტიდან, ანუ სატანას აგენტი საქართველოში“, რომლისთვი-

საც ზვიადისტებისგან ათასობით წყევლა-კრულვა ვინვინე („კიდევ ცოცხალი ხარ, შე ბებერო? ჩაკვდი, ჩაძალდი შე... შე...“), ეს ტელეფონით, „გამანადგურებელი“ ნაბეჭდი სიტყვით კი „პუბლიცისტიკა“ ირინე ტალიაშვილმა „მინასთან გამასწორა“.

იცოცხლეთ, მე მას და მისნაირებს პასუხი გავეცი 117 გვერდზე („კიდევ ერთი ცდა სიმართლის დასადგენად“, ანუ „მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქმნელსა“. ილია).

მაგრამ რად გინდა რა, მას შემდეგ უკვე ექვსი წელიწადი გადის, სიდიდისა და სიმძაფრის გამო დღემდე არავინ მიბეჭდავს. ასეთივე ბედს იზიარებს ამაზე ადრინდელი „1992 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი, აპა, მაისიც!“

ასე რომ, ძვირფასო თეიმურაზ, მწერლურ ოსტატობაზე ვერაფერს ვიტყვი, ისე კი, ზვიად გამსახურდიას „გამოცნობის“ პირველობაში, ვფიქრობ, ბევრი ვერავინ შემედავება, მით უმეტეს, რომ ჩემ მიერ მკითხველთან მისი გლახა კაცობის წარდგინება 1981 წლიდან იწყება.

მინდა იცოდეთ, რომ მწერალთა კავშირს 1937 წლიდან არ ვეკარები, „დიდებიდან“, გარდა ემზარ კვიციანიშვილისა, მე იქ ახლოს არავის ვიცნობ, არავის ვეძმაკაცები, რაც, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში - „განთქმულობისთვის“ მხოლოდ ზიანის მომტანია.

ამის დასადასტურებლად ერთ უბრალო მაგალითს მოგიყვანთ: ამა წლის 26 ივნისის „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ილია ბეგიაშვილის მიმართვა მწერალთა კავშირისადმი, დაეხმარეთო თქვენი კაიკაცობით და ქველმოქმედებით დემოგრაფიულ საზოგადოებასო, რომლის დიდი ხნის უცვლელი პრეზიდენცია, სხვათა შორის, თვითონ „ბატონი“ ბეგიაშვილი; იგი ასახელებს 16 მწერალს, მუხრან მაჭავარიანიდან დანწყებული, ლაშა თაბუკაშვილამდე, რომლებიც თურმე „დემოგრაფიული მოძრაობის სათავეებთან იდგნენ“ და მერე მიაწერს — „მრავალი სხვა“.

მადლობას ვწირავ „პრეზიდენტ“ ბეგიაშვილს, თუ ამ „მრავალ სხვაში“ მგულისხმობს მეც — კაცს, რომელმაც ბოლო ოცი წლის მანძილზე ჩვენს კატასტროფულ დემოგრაფიულ ვითარებაზე ორი სევდიანი „შავი წიგნი“ და „შავზე შავი წიგნი“ დაწერა და ათი ათასობით მყარი მანეთები ჩამოურიგა მრავალშვილიან ოჯახებს მაშინ, როცა ამგვარი ქველმოქმედება საბჭოთა სახელმწიფოსათვის შეურაცხყოფად მიითვლებოდა („ჩვენს ქვეყანაში ყველანი უზრუნველად ცხოვრობენ“).

თუ საკუთარ თავზე თვითონ არ ყვირი, ანდა მეგობრებს არ აყვირებინებ, აი, როგორ ეპატარავები თვალში „პრეზიდენტ“ ბეგიაშვილს და მრავალ სხვა არაპრეზიდენტ ბეგიაშვილებსაც...

გიგზავნიო ჩემს „ასტაფიევს“, რომელსაც რუსეთში ბევრი ცნობილი მწერალი, მათ შორის, „რუსეთის სინდისად“ წოდებული, აკადემიკოსი დიმიტრი ლიხაჩოვიც გამოეხმაურა, საქართველოში კი, ქართულ პრესაში, ერთი ობოლი სტრიქონიც არ გაჭაჭანებულა, თუმცა ხალხი მას ათათ ცალობით ყიდულობდა და უგზავნიდა რუს ნაცნობ-მეგობრებს, აი, როგორი ვართ ჩვენ, ქართველებიო...

მაშინ, ასე თუ ისე, მართლაც ვიყავით, ახლა კი... რაც ვართ, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

მინდა, რომ წაიკითხოთ „ასტაფიევი“, მიუხედავად უდროობისა, მაინც მინდა, წაიკითხოთ, ვინ იცის, შეიძლება მასში რაიმე იუმორის ნაპერწკალსაც წააწყდეთ, თუმცა არა მგონია, რომელიმე თქვენსას გაუტოლდეს...

მე მომწონს, რომ თქვენ თეიმურაზი ხართ და არა თემური, რომელსაც ახლა ათასობით „თემური“ რვაჯერ თუ ცხრაჯერ საქართველოს ამომგდების, თემურ ლენგის ალბათ პატივსაცემად თუ ირქმევენ.

საქართველოში, საერთოდ, ამ საუკუნეში სახელების მინიჭებაში სრული უმეცრება და ისეთი განუკითხაობაა, ტყის ხალხს რომ შეეფერება. გურიის რომელიღაც სკოლაში, თქვენ წარმოიდგინეთ, მასწავლებლობდა და, შეიძლება ახლაც მასწავლებლობს... მუჰამედ ვაშაკიძე!

ერთი მითხარით, აბა, რომელ მუსულმანს მოუვა აზრად, ქრისტიე დაირქვას, მუჰამედ... ვაშაკიძე კი თურმე ქრისტიანია...



## გონივრული ნაბიჯი, გადადგომული, სამსუსაროდ, დაგვიანებით...

„ლიტერატურული საქართველო“, 15 ოქტომბერი, 1998 წელი.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს, თ. წივნივაძეს!  
პატონო თამაზ!

როდესაც სახელმწიფო მეთაურმა, უეჭველია, ბევრი ფიქრისა და იქითაც და აქეთაც, მისხალ-მისხალ ანონ-დანონის შემდეგ ერთი შეხედვით თითქოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო, შესულიყო საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, შეუძლებელია, არ სცოდნობა მას, ამის ირგვლივ რა ქარბორბალას დაატრიალებდნენ გარკვეული ძალები საქართველოში, რა გაორკეცებული გაშმაგებით დაუწყებდნენ მის სახელს ჯიჯგნას წერეთლისნაირი „ერის მოძღვრები“ („ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვშორდეთ რუსეთს!“) და მისი ამყოლ-ჩამყოლნი (შევარდნაძემ ეხლა სულ მთლიანად მიყიდა საქართველო რუსეთს!“) და არც ის პარტიები დაიკრებდნენ მშვიდად გულზე ხელებს, რომლებიც საგარეო პოლიტიკურ კურსს უკვე კარგა ხანია, „ესენგესადმი“ სიძულვილზე აგებენ („სჯობს, სიცოცხლე მოვათავოთ ლამაზი სიკვდილით, ვიდრე გავხდეთ მონები!“) და ამ ამბავს ჩათვლიდნენ თავიანთი პრესტიჟის, თავიანთი პარტიული იდეალების შეურაცხყოფად...

ჰოდა, თუ ეს ასეა, მაშინ რაღა ითქმის წვრილფეხა „პოლიტიკოსებზე“, რომელთაც სადმე შეკრებულობაში თუნდ ერთხელ წამოსცდენიათ რაღაც აუგი „ესენგეზე“ და თუ მსგავსი რამ ოდესმე სადღაც დაუბეჭდავთ. ო-ო, ერთხელ აჩემებულ ნათქვამს, აბა, ახლა როგორ გადათქვამენ, ნაბეჭდს, მით უმეტეს, რა პირით გადაუდგებიან, თუგინდ საქართველოს... წინ წყალი, უკან მენყერი, ოღონდაც ამათ შუა თავად ნუ მოემწყვდევიან...

დიახ, თუმცა იცოდა ედუარდ შევარდნაძემ, ასეთი „ანტიეროვნული“ ნაბიჯის გადადგმისათვის თავს რა რისხვაც დაატყდებოდა და მაინც არც ერთ ამ ფაქტორს არ მოერიდა, არც ერთ მომავალ მაგინებელსა და „მეამბოხეს“ არ შეეპუა, რაკი მას მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი მამულიშვილობა, ის დიდი მისია ამოძრავებდა, რომელიც დააკისრა განგებამ საქართველოს გადასარჩენად, და არა მის „ლამაზ სასიკვდილოდ“, ანდა მონობაში სამყოფად.

ჩვენი „ანტიესენგისტი“ პოლიტიკოსები, ო, რა მწარედ შეცდებიან, თუ იფიქრებენ — ფიქრობენ კი! — რომ ისინი, მაგალითად, სომეხ პოლიტიკოსებზე უფრო ჭკვიანები და წინდახედულნი არიან, რომლებიც სამანეთო ზონიდანაც არ გამოვიდნენ და „ესენგეს“ ერთხანობას ამ უბენზინო და უიარაღო „მონებმა“ ისე შეუტიეს „ესენგეს“ არა მონა ერთ მეზობელ სახელმწიფოს, რომ მან, საბოლოო დამარცხების შიშით შეპყრობილმა, „ესენგეში“ ისევ შებრუნება ამჯობინა...

ჰოდა, როცა ჩვენ, ერის რჩეული პოლიტიკოსები, ედუარდ შევარდნაძეს ბუნებით უხვად მომადლებულ ვაჟკაცს სისხლს ვუშრობთ სამშობლოს „ლალატისათვის“, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ვიღაცას, აფხაზეთში ჩვენი მარცხით გათამამებულს, თვალი უკვე მესხეთ-ჯავახეთზე უჭირავს და ზოგიც არც ქვემო ქართლზე ხუჭავს თვალს...

ამ საქმეში კი უფლის იმედათ ნუ დავდგებით, ჩვენ ის გადაგვიდგა, ღმერთს ჩვენთან ალარაფერი ესაქმება....

ისე კი, არ იქნებოდა ცუდი, თუ ჩვენ, ერის რჩეული პოლიტიკოსები, ვიდრე სახელმწიფოს სათავეში მოვექცეოდით შევარდნაძის ნაცვლად, მანამდე სახელმწიფო ეკონომიკის პრიმიტიულ-ელემენტარულ საფუძვლებს ავითვისებდით ქუთაისის სახელგანთქმულ მოქალაქე ჭიჭიკიასაგან და, უწინარესად, ყურს მივუგდებდით მის სევდიან ამონათქვამს. რუსეთის სახით საქართველომ, ვაი, რა კოლონია დაკარგაო, აბა, რომელი ევროპა იყიდის ჩვენს ნაყარნუყარ ჩაის და ვინ ფრანგი და ვინ იტალიელი დახარბდება ერეკლეს დროინდელ ბოთლებში ჩამოსხმულ ჩვენს „ტიბაანზეო?!“

ერთი ახლა უკვე კლასიკურად ქცეული თქმისა — „რა ვქნა, არ მჯერა, არ მჯერა და.... რა ვქნასი“ არ იყოს, არც მე მჯერა, რომ ედუარდ შევარდნაძემ „ესენგეში“ შესვლის აუცილებლობა მხოლოდ სოხუმის ტრაგედიის ფინალის დღეს ირწმუნა და იწამა, და ეს სწორედ იმ კაცმა, რომელიც ამაზე თითქმის ერთი წლის წინათ ამბობდა:

„რუსეთისთვის ზურგის შექცევის ორიენტაცია საქართველოს მთავრებს უდიდესი მასშტაბის ზიანს; ის, რასაც ახლა განვიცდით, რესპუბლიკის წინანდელი ხელმძღვანელობის მიერ თვითბლოკადის შედეგია“. („საქართველოს რესპუბლიკა“, 19.11.92).

„მე გთხოვთ, როგორც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს, გულდასმით გაეცნოთ და თუ შესაძლებლად მიიჩნევთ, დაბეჭდოთ კიდევ ჩემი თითქმის უკვე სამწლიანი „ესენგიადის ერთი მცირე ნაწილი, რომელიც, რა დავფარო და, ამ ათიოდე დღის წინათ უკან დამიბრუნა ერთმა გაზეთმა.“

...იმ „რა ვქნასი“ არ იყოს, მეც, აბა, რა ვქნა, თუკი სხვათა აზრების გამოკვეთას არასოდეს არ ველოდები, ავად თუ კარგად თვითონ ვკვეთავ ხოლმე დამოუკიდებლად ჩემს ღარიბულ მოსაზრებებს, რასაც, ვფიქრობ, დაადასტურებს ის, რასაც ამის ქვემოთ წაიკითხავთ თქვენ და არ ველევი იმედს, თქვენი გაზეთის მკითხველიც...

8.10.93.

კ.პ.

### „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორს, ბ. გომიანსკის! ბატონო რედაქტორო!

საქართველოსათვის ამ ტრაგიკულ დღეებში აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა მიმდინარეობს იმის ირგვლივ, შევიდეთ თუ არა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში...

ლამის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმზეც კი მიდგეს საქმე, მაგრამ ღირს კი მისი ჩატარება? ჯერ ერთი, რეფერენდუმი დიდ ხარჯებს მოითხოვს და დროსაც, მეორეც, ისეთი დაბალზე დაბალი პოლიტიკური კულტურის ქვეყანაში, როგორც ამჟამინდელი საქართველოა, რეფერენდუმის შედეგს, როგორც უნდა იყოს იგი, გადამწყვეტი სიბრძნის მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს....

ისე კი, თუ მაინცდამაინც ამ მიზნით სოციოლოგიურ გამოკითხვას განახორციელებენ ქუჩაში გამვლელ მოქალაქეთა შორის და „ბადეში“ შემთხვევით მეც მოვხვდები, კითხვაზე – როგორ აფასებთ პარლამენტის სპიკერის, ვახტანგ გოგუაძის განცხადება-მიმართვას „ესენგეში“ შესვლის თაობაზე, ვუპასუხებდი: ფრიად დადებითად, ოღონდ, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, ძალზე, ძალზე დაგვიანებულად; ამ გზაზე იმთავითვე რომ დავმდგარიყავით და დროულად ალლო აგველო და სახელმწიფოებრივად მოგვეზომა მიხეილ გორბაჩოვის მიერ შეპარვით ტკბილად ნათქვამი მუქარა „...მაშინ ცუდად წავა თქვენი საქმე სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში“, საქართველო, ყოველ შემთხვევაში, ისეთ უბედურ, შავ დღეში არ ჩავარდებოდა, როგორშიც არის დღეს...

არ ვიცი კი, ეს „სხვათა შორის“ უნდა ითქვას თუ ხაზგასმით — ამის თაობაზე ვრცელი ბართი ვაახლე „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას“, 1991 წლის ივლისში, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა „ესენგეს“ კონტურებიც არ იყო გამოკვეთილი და მეტწილად უფრო კონფედერაციაზე იყო ლაპარაკი.

„სხვათა შორის“, ამაშიც გამოგიტყდებით: ეს ეპისტოლე გაიგზავნა არა ჩემი, პრეზიდენტის თვალში, ცოტა არ იყოს, შელახული სახელ-გვარით, არამედ ჩემი იმდროინდელი რწმენა-აზრით, პრეზიდენტისათვის ბევრად უფრო კეთილსაიმედო... „მასწავლებელი ჯონდო ნადარაიას“ სახელით (ესეც არის, შეიძლება სწორედ ამიტომაც გაზეთმა „დრონმა“ „ვილაც ჯონდო ნადარაიას უსტარი“ არ მიიჩნია გამოქვეყნების ღირსად).

„სხვათა შორის“, ჩვენს ამბავს „ესენგესა შინა“ მე კვლავ დავუბრუნდი შარშანდელ „თებერვალი, მარტი, აპრილი, აპა, მაის“-შიც, რომლის არსიც, ვფიქრობ, ალბათ ახლაც გახსოვთ და რომელიც არ დაბეჭდეთ მხოლოდ მისი დიდი მოცულობის გამო.

მორიდებით გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ამ „თხზულებიდან“ ეს მცირე ნაწყვეტი მაინც გააცნოთ თქვენი გაზეთის მკითხველებს, საიდანაც მიუკიბ-მოუკიბავად ჩანს, თუ როგორც რი-

გითი ქართველი მოქალაქე, რა პასუხს გავცემდი „ესენგეში“ საქართველოს შესვლა-შეუსვლელობის თაობაზე სოციოლოგიური გამოკითხვისას...

27.09.93

პ.პ.

\*\*\*

ახლა რომელი მეოცნებე აღარ იმეორებს დოსტოევსკის ფრთიან ფრაზას:

„Красота спасет мир!“.

„მირ“-სამყაროსი რა მოგახსენოთ, ამჟამინდელ გატიალებულ, თითქმის მიწასთან გასწორებულ საქართველოს კი სილამაზე ვერ გადაარჩენს და ვერც თეატრი, ვერც მუსიკა და ვერ „ვეფხისტყაოსნის“ ტოლი ახალი „ვეფხისტყაოსანი“, საქართველოს მხოლოდ შრომა, შრომა, შრომა გადაარჩენს და მხოლოდ შრომა თუ აამალლებს ჩვენს დღევანდელ გაუგონარ, არნახულ ზნედაცემულობას.

(ცნობად: შრომამ, დიახ, სწორედ შრომამ შექმნა დღევანდელი ამერიკა ასე მდიდარი, ასე ძლიერი, ასე ლალი!).

ჰო, მაგრამ... არავის თოხი არ უნდა, არავის წერაქვი არ უნდა, არავის ჭრა-კერვა არ უნდა, არავის ცელი არ უნდა, არავის საოჯახო საქმიანობა და ორი შვილის დედობაც არ უნდა, არავის დაზგა-ჩაქუჩი არ უნდა, ამათ ნაცვლად ყველას ავტომატი უნდა და ვისაც იგი აქვს, - ბევრს კი აქვს!- მასთან გამოთხოვება არ უნდა...

ჰოდა, ასეთ ვითარებაში, აბა, რა სასწაული უნდა მოახდინოს მარტოდმარტო თუნდაც გმირთაგმირმა, თუკი ჩვენ სეირის საყურებლად განზე გავდგებით, მკლავებს არ დავიკაპინებთ და მასთან ერთად ყველანი შრომის საერთო ფერხულში არ ჩავებმებით?!

ხოლო რაც შეეხება უკვე ნამსხვრევებად ქცეულ იმპერიას, რომლის დიდზე დიდი ნამსხვრევი... ჩვენ რუსეთთან ათასი ძაფი, ათასი სისხლძარღვი გვაკავშირებს, 200 წელიწადი სიამის ტყუბებივით შესისხლხორცებული ვიყავით ერთმანეთთან და ახლა ერთი ხელის დაკვრით, ნაჯახის ერთი დარტყმით განვცალკევდეთ, დავშორიშორდეთ, ამით ჩვენ, რუსეთთან შედარებით, ნაგებით ბევრს ნავაგებთ, მოგებით კი ვერაფერს მოვიგებთ...

12 რესპუბლიკიდან, ჩვენ გარდა, ამას ალლო ყველამ აულო, ჩვენ კი, თეთრი ყვავობა ავირჩიეთ, აქაოდა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მაგვარადო და იმას როდილა ვუნწვთ ანგარიშს, ლიტვა-ლატვია, ესტონეთი – ეს ევროპაა, 1940 წლამდეც ევროპა იყო და საბჭოთა წყობილების დროსაც, ასე თუ ისე, მაინც ევროპობა შეინარჩუნა, ჩვენ კი გაჩხირული ვართ მაჰმადიანურ ირან-თურქეთს შორის....

ამ აზრს საქართველოში მხოლოდ ერთეულები როდი იზიარებენ, მაგრამ შიშით, უეჭველად და უთუოდ ერის მოღალატეობას დაგვწამებენო, ამჯობინებენ, პირი აკრული იქონიონ.

...მერედა, მოუტანა კი საქართველოს რაიმე სარგებლობა „ესენგეში“ არყოფნამ? – არავითარი, აბსოლუტურად არავითარი, მხოლოდ ზიანი, პერმანენტული ზიანი...

ჰოდა, მაინც რატომ და რა მიზეზით?

...მკითხველი ალბათ იტყვის, საიდან სად გადახტაო და მაინც „გადავხტები“: რაკი აქტიური ჭირისუფლები არ დარჩენია (ისე, როგორც ვასილ ყუშიტაშვილს), ახლა დავინყებას მიცემული სერგო ჭელიძე ჩინებული რეჟისორი გახლდათ, -ომის მომდევნო წლებში სოხუმის ქართულ თეატრს ხელმძღვანელობდა და იმხანად ეს თეატრი საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც მართლაც კულტურულია, დიდადაც ხმინანობდა და აფხაზეთის ქართველობაში ეროვნული გრძნობის გაღვივება-გამძაფრებაში ღირსეულ როლებსაც თამაშობდა... ჰოდა, როცა მისი ნიჭიერი მთავარი რეჟისორი, გუნებაში სულაც არაკომუნისტი, შევიდა პარტიაში და მე ეს ნაბიჯი არაფრად მოვუნწონე, თავი ასე იმართლა: თეატრის დირექტორი პარტიულია, მისი მოადგილე პარტიულია, ადგილკომის თავმჯდომარე პარტიულია, ადმინისტრატორი პარტიულია, ბევრი მსახიობიც პარტიულია და... როცა ისინი, როგორც პარტიის მიერ ყველაზე ჭკვიანებად და პატიოსნებად მიჩნეულები, თუ ბიუროზე, თუ დახურულ კრებაზე უჩემოდ, უპარტიოს გარეშე, თათბირობენ და წყვეტენ ისეთ საკითხებსაც კი, რომლებიც თეატრის ფაქტობრივად წინამძღოლის გარე-



შე არც უნდა იხილებოდეს და არც უნდა წყდებოდეს, ამიტომაც იძულებული გავხდი, მეც შევიარალებულიყავი პარტიულითით.

...ჰოდა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების თანამეგობრობაში საქართველოს თუნდაც სწორედ ამიტომ უნდა დაეჭირა თავისი კუთვნილი ადგილი, რათა უკვე მოკლული დათვის ტყავი უიმისოდ არ გაეყოს და, საერთოდ, იქ უჩვენოდ „არ ემღერათ“.

ერთმა ახალგაზრდა ქალმა ტელევიზიით ბრძანა, „ესენგეში“ შესვლა ჩვენთვის 1788 წლის ტრაქტატის ტოლფასი იქნებაო, არცთუ ახალგაზრდა „წვერ“ — კორესპონდენტმა კი... თუმცა „მე არა ვარ პოლიტიკოსი“, „საქართველო ამ საბედისწერო ნაბიჯს არ გადადგამს და არ შევა სნე-შიო...“

არც მე გახლავართ, ქალბატონებო და ბატონებო, პოლიტიკოსი, მაგრამ მე მაინც, არაპოლიტიკოსს, მგონია, მე-18 საუკუნის მიწურულის მსოფლიო ვითარება და თვით რუსეთიც დიდად განსხვავდება მე-20 საუკუნის მიწურულის საერთაშორისო ვითარება — ძალთა თანაფარდობისგან და დღევანდელი რუსეთისაგან, და რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა — ეს არც ვირთხის ხაფანგია და არც დათვის მახე, თუ იქ ერთხელ მოხვდი, ვეღარ გამოძვრე (აი, გამწყრალი აზერბაიჯანი იმუქრება კიდევ გასვლით და არავინ მას არ აკავებს).

მსოფლიოს ქვეყნებს შორის ჩვენ მიმართ ჯერჯერობით გერმანიაა ყველაზე უფრო კეთილგანწყობილი, რაც მან უკვე არაერთხელ საქმითაც, მატერიალური დახმარებითაც დაამტკიცა... ჰოდა, ჩვენი ასეთი გულშემატკივარი ქვეყნის სოციალ-დემოკრატთა ვიცე-პრეზიდენტმა ჰანს იოჰან ფოგელმა აგერ ახლა, დედაქალაქში ყოფნისას, განაცხადა:

„თბილისში ჩამოსვლამდე სხვა რესპუბლიკებში გახლდით, მათგან საქართველო ერთადერთია, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლაზე უარს აცხადებს და ამავე დროს ევროპის ქვეყნების მიერ დე იურედ ცნობილი არ არის... თანამეგობრობისადმი სკეპტიკურად განწყობილ სკეპტიკოსთა შორის თვით ყველაზე სკეპტიკოსმა უკრაინის პრეზიდენტმა გულწრფელად განაცხადა, რომ გაერთიანება აუცილებელია თუნდაც **ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, რატომ უშვებს საქართველო ამ შანსს ხელიდან**“-ო.

ო, რომ იცნობდეთ, ბატონო ჰანს იოჰან, ჩვენს ეროვნულ ხასიათს, რომლის ქვაკუთხედია აზნაურული კუდაბზიკობა, მაშინ ეს ამბავი სულაც არ გაგაკვირვებდათ... ფუფუნების საგნებს ვილა ჩივის - ხორცს, რძეს, ზეთს, კარაქ-ყველს, კარტოფილს, ელექტრობას და გათბობას, ასანთი არა გვაქვს, მარილი არა გვაქვს, საპონი არა გვაქვს, ნავთი არა გვაქვს, ფულის ნიშნების უქონლობის გამო, ჯამაგირებს ვინ ჩივის, მცირედი პენსიებიც ვერ დაგვირიგებია და მაინც გვირჩევნია, კუდი ყავარზე გვქონდეს გადებული...

მაისი, 1992 წელი.

კიტა გუაჩიძე



**პასუხი ზვიად გამსახურდიას  
პოლიტიკურ წერილზე — „ნახევრად სიმართლეს ტყუილი სჯობია“**

**„ახალი საქართველო“, №11, 7—13 მაისი, 1998 წ.**

**მინაწერი:**

„ახალი საქართველოს“ მე-9 ნომერში დაიბეჭდა რუსუდან იმნაძის ღია წერილი კიტა ბუაჩიძისადმი, სადაც ავტორი ბატონ კიტას სთხოვდა ზვიად გამსახურდიას წერილის გამოქვეყნებას. ბატონი კიტა დაგვთანხმდა. ვაქვეყნებთ ზვიად გამსახურდიას წერილს კიტა ბუაჩიძის „შავ ნიგნთან“ დაკავშირებით. აქვე ვბეჭდავთ ბატონ კიტას პასუხს ზვიად გამსახურდიასადმი.

**ზვიად გამსახურდია:**

**ნახევრად სიმართლეს ტყუილი სჯობია**

**ბატონო კიტა!**

წავიკითხე თქვენი „ღია წიგნი“, რომლის სათაურია: „წამხედურობამ ქვეყანა ამოაგდო, ანუ ყოველ ერს თავისი სატყუარო აქვს“, სადაც მრავალი საინტერესო ფაქტი შეგიგროვებიათ ჩვენი ერის სავალალო მდგომარეობისა და უცხოეთსლთა მოძალების შესახებ. ფაქტების შეგროვება კარგი საქმეა, მაგრამ მათ სათანადო ანალიზი და მართებული გააზრება სჭირდება. ბევრ რამეში მე თქვენ გეთანხმებით და, ალბათ, ყველა შეგნებული ქართველი დაგეთანხმებათ. თუმცა არის პუნქტები, რომელთა შესახებ პირუთვნელად უნდა მოგახსენოთ ჩემი აზრი, თუნდაც რომ განმირისხდეთ ამისათვის. ჩემს ამ მოსაზრებებს რჩევების სახეს მივცემ. გაითვალისწინებთ თუ არა მათ – თქვენი საქმეა. (აქვე მივუთითებ თქვენი წიგნის გვერდებს, რომელთაც ეხებათ ჩემი შენიშვნები).

1. თვითგამოცემის წესით გამოსულ წიგნებში მაინც უნდა შევეშვათ მათეზობას („პოღ-ხალიმოზას“), ოფიციალური პირების პანეგირიკას (გვ, 142, 148, 155). ერთადერთი ფარი უნდა იყოს სიმართლე, „საჭურველად გარე მოგადგეს ჭემმარიტებაჲ მისი“.

2. ოფიციალობის მოსამადლიერებლად და თავის დასაზღვევად სიტყვა „დისიდენტის“ აგ-დებულ კონტექსტში მოხსენება არ უნდა იკადროს კაცმა, რომელიც არაოფიციალურ წიგნს უშ-ვეებს ერის სატყუარზე. ამით უფასურდება თვით მისი მართებული და საქმიანი მოსაზრებები და საეჭვო ხდება მისი გულწრფელობა (გვ. 145). „ერთ დისიდენტს“ მცირეშვილიანობას როცა უკიჟინებთ (სამი შვილის მამას) და თან ბრძანებთ, მას ბინის ფართი და მატერიალური სახსრები ხელს უწყობსო, უნდა უწყოდეთ, რომ მას საერთოდ არავითარი ბინის ფართი არ გააჩნია, ვინაი-დან იმ ბინას, სადაც იგი ამჟამად ცხოვრობს, არ უფორმებენ და არც ისაა მისთვის ცნობილი, როდის გამოაბრძანებენ იქიდან (საამისოდ უკვე აღძრულია სასამართლო საქმე). რაც შეეხება მის „მატერიალურ სახსრებს“, ისინი ამოიწურება მისი ჯამაგირით (ვინაიდან ყველა გამომცემ-ლობა-რედაქციებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ზემდგომი ორგანოების მითითებით და ერთ სტრი-ქონსაც აღარ უბეჭდავენ, ხოლო მამის ჰონორარიდან 12 პროცენტი ეძლევა, რაც უდრის წელი-წადში დაახლოებით 1000 მანეთს და რაც მალე შეწყდება, ვინაიდან კონსტანტინე გამსახურდი-ას ტომეულების გამოცემა დასასრულს უახლოვდება). მისი მეუღლე კი, რომელსაც იქვე იხსენი-ებთ, დიდი ხანია, მოხსნეს სამსახურიდან „დისიდენტის მეუღლეობისათვის“. აი, სინამდვილეში როგორია მდგომარეობა ამ ოჯახისა. ასე რომ, ჭორების აყოლის ნაცვლად სჯობდა, გამოგეკ-ვლიათ საქმის რეალური ვითარება.

3. კონსტიტუციით ქართული ენა სახელმწიფო ენად შევინარჩუნეთო, პირველ პირში რომ ბრძანებთ, არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ თქვენ მიერ აგდებით მოხსენიებული დისიდენტების საქმიანობა რომ არ ყოფილიყო საქართველოში, არც 14 აპრილი იქნებოდა და ვერც ენას შევი-ნარჩუნებდით სახელმწიფო ენად და, შესაძლოა, ვერც თქვენ გაგებდათ მსგავსი წიგნის გამო-ცემა დღესდღეობით. ასე რომ, ნუ იქნებით უმადური და თქვენს წინამორბედთა ღვაწლის მიმ-ჩქმალველი, თუ გსურთ, რომ ერმა სერიოზულად მიიღოს თქვენი სიტყვა.

ლიტრას ესროდნენ და, კოკავ, შენ გესმოდესო!

4. შვილოსნობაზე საუბრისას რაოდენობრიობის პრინციპის პარალელურად თვისობრიობის, ხარისხის პრინციპიც უნდა დავიცვათ. ერთშვილიანობა, ორშვილიანობა მართლაც რომ დიდი ბოროტებაა ჩვენში, მშობლებს მრავალშვილიანობასთან ერთად უნდა მოვუწოდოთ შვილის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისაკენ. ამას კი ვერ ვხედავთ თქვენს წიგნში, რატომღაც.

5. თვითგამოცემის იდეების გავლენა ხალხში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ოფიციალური პრესისა, ისინი ეპიდემიასავით ვრცელდება. ამიტომ, თავის დაზღვევის მიზნით, თვითგამოცემაში არ უნდა ვავრცელოთ წამლის მაგივრად სანამლაგი: „ზოგიერთ ქართველს შვილი რუსულ სკოლაში შეჰყავს და ბევრი ჩვენგანი ამას დიდ ეროვნულ დანაშაულში უთვლის... მე თუ მკითხავთ, თუ ეს არ ხდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ეს დიდი არაფერი დანაშაულია არც ერის წინაშე და არც სამშობლოს მიმართ“ (გვ.44). როგორ, განა მარტო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გვჭირდება ჩვენ ნამდვილი ეროვნული შეგნების ადამიანები? ფიზიკური შობადობისთვის რომ ილაშქრებთ, მოზარდთა სულიერი დასახიჩრება უნდა გაამართლოთ? „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდება.“

6. რუსისათვის ბოდიშის მონმენდა და მთელი დანაშაულის გადაბრალება სომხებისათვის, აფხაზებისათვის, ოსებისათვის და ა.შ. მკაცრი გამოთქმა რომ არ ვიხმაროთ, არაობიექტურობაა (გვ. 157). ისტორიიდან ცნობილია, როგორ რაზმავდა რუსული შოვინიზმი ამ ეროვნებათა წარმომადგენლებს საქართველოს წინააღმდეგ და დღესაც რაზმავს.

ასე რომ, ბატონო კიტა, ნახევარსიმართლეს ტყუილი სჯობია. ნახევარსიმართლე მაცდურია. ტყუილმა, უხეშმა ტყუილმა კი შესაძლოა, გამოაფხიზლოს კაცი და სანინააღმდეგო რეაქციის ძალით სიმართლესთან მიიყვანოს.

კიდევ ერთი რამ მსურს, შეგახსენოთ: ჩვენში როსტომ-ხანებს რომ შესძლებოდათ ცოტნე დადიანობა, საქართველო არ იქნებოდა ისტორიულად ესოდენ უბედური.

ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინოს!

სამწუხაროა, რომ თქვენს წიგნში კრინტსაც არ ძრავთ ზოგიერთ ძალზე მნიშვნელოვან საჭირობოროტო ეროვნულ პრობლემაზე. ჩემთვის საინტერესოა, რატომ აუარეთ მათ დუმილით გვერდი, მაგრამ წერილობით ამის შესახებ კითხვებს აღარ დაგისვამთ.

საქართველოს მდგომარეობა მართლაც რომ ტრაგიკულია, როდესაც ეროვნული ტკივილების შესახებ გამოდის ესოდენ საინტერესო წიგნი, ხოლო მისი ავტორი თავად ვერ უჩვენებს ერს პრინციპულობის მაგალითს. გისურვებთ წარმატებებს.

1981 წ. სექტემბერი.

ზვიად გამსახურდია

## **კიტა ბუაჩიძის პასუხი, ბატონ ზვიადის წერილზე:**

**კიდევ ერთი დამატება, საბოლოო და უკანასკნელი**

„Шумим брат шумим“

**А. С. Трабоедов**

ცხოვრებაში ყოველდღე და ყოველ ნაბიჯზე იმდენ რამ თავსამტვრევს ვაწყდებით, რებუს-კროსვორდების ამოსახსნელად აღარც დრო გვრჩება და არც მოთმინება გვეყოფნის.

ერთდროულად ლიტერატურისა და ხელოვნების ეს ცნობილი ქმნილება კი ისე დიდად წააგავს ცხრაფუთიანი ინტელექტით გამოტენილ გამოცანას, — როცა იგი საექსპორტო-სამოსკოვოდ დასჭირდათ და გამოიკითხეს, ვის შეუძლია მისი აზრისა და არსის მიახლოებით მაინც მბო-

ბა-ამოცნობა, ეს თვით, თქვენ წარმოიდგინეთ, ინტელექტუალობით თავმომწონე გამორჩეულეზმაც კი ვერ შეძლეს და... დახმარებისათვის მის მშობელ ავტორს მიმართეს.

ჰოდა, განა უნდა გაგიკვირდეთ, თუ რა უძირო და უნაპირო იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც ამის მერე ერთ უქარო, წვიმიან საღამოს რადიოდან ფსევდომოკრძალებული, ფსევდოთავმდაბლობით აღსავსე, სასიამოვნო მჟღერადი ხმა უსიამოვნოდ შემომექრა მარცხენა ყურის ლაბირინთში (მარჯვენა კაი ხანია, გამიუქმეს „კარატისტებმა“);

„ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მკითხველ-მაყურებლებისაგან უთვალავი წერილი მივიღე და უამრავმა ადამიანმა დამირეკა.“

მოდით და ნუ შეგშურდებათ!

ჰო, მაგრამ, შური ხომ ადამიანის ქვენა გრძნობაა, დასავმობი და ამოსაშანთავი, შენ კი, ღიმილს ამოფარებული მტრების გარდა, თითქმის ყველას თვალში გვრიტად ითვლები და... ბინიერების ეშმაკს მიეყიდე ძეხორციელივით?!

გრცხვენოდეს!

მრცხვენია კიდეც და მერე როგორ? სირცხვილისაგან მსუქან-მსუქან ტყუილებით მოლაპარაკე ტელევიზიის დიქტორივით ისე ვნითლდები, ღიანდაგთან რომ დამაყენონ, მემანქანე ხიფათის სიგნალად მიმიჩნევს და მატარებელს შეაჩერებს.

და მაინც, ეს თავისმომჭრელი სულმოკლეობა ამ ერთხელ იქნებ მეპატიოს და შემენდოს კიდეც, ა?

აბა, თვითონვე განსაჯეთ:

ხალხისა და გონებისათვის მიუწვდომელ, მისთვის თითქმის სრულებით გაუგებარი ნაწარმოების შემოქმედმა იგივე ხალხისაგან სამადლობელი წერილობითი ნობათები თურმე ტომრობით მიიღო და არც არავინ შეეპუა მორალურ და ფიზიკური წამებას, რაიც ასე ხელიხელ გადაჭდობილია ჩვენი დედაქალაქის სატელეფონო ობობისებურ ქსელთან და...

წკრუ და წკრუუ!

ღიახ, გაუთავებელი, პერმანენტული „წკრუ“, რათა ექსტრა-ქება მიაგონ და ათას ერთი მადლობა მიუძღვნან ზღვა სიხარულისა და მახათას მთის ოდენობა ჰარმონიული სიტკბოების მინიჭებისთვის.

„შავი წიგნის“ ოფლდამდენ ავტორს კი მთელი გრძელი ორი წლის მანძილზე სულ რაღაც ათიოდე ბარათი მოუვიდა და მოშლილი აპარატის ზრიალ-ზუზუნში მხოლოდ ორი ღვთისნიერი ადამიანი შეეხმიანა: ბავშვის შეძენის მონატრული, თვეობით ლოგინს მიჯაჭვული – ნაყოფი რომ შეინარჩუნოს – ნაშინაბერალი და უკვე ხნიერი, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენივით უცოლო და უშვილო, ოღონდ არაყრუ კომპოზიტორი...

თავი კაცმა თითქოს იმით შეგიძლია დაიმშვიდო, რომ „ამ“ ნაწარმოებ-სანახაობის მკითხველ-მაყურებელთა არმია თეორიულად ათასობით დაითვლება, „შავი წიგნის“ მკითხველთა კონტინგენტი კი დღემდე რაჭის დაცარიელებული ერთი სოფლის ბიბლიოთეკის აბონენტთა რიცხვს თუ გაუტოლდება, აკი მისი „ტირაჟი“ მიკროზე მიკროა და ალბათ არც აღემატება იმ საღვთო წიგნების რაოდენობას, წარმართებისაგან დამფრთხალი პირველი ქრისტიანები გამოქვაბულებში ბოჩოლას ტყავზე მალულად რომ წერდნენ.

და მაინც, ასეთი ღარიბული ფოსტა, ასეთი ღარიბული ფოსტა!...

ღიახ, ასეთი ღარიბული ფოსტა თითქოს არ შეჰფერის და არ ეკადრება ერის საბედისწერო სატკივარზე თუნდაც უხეიროდ დანერილ საგაზეთო სტატისასაც, „შავი წიგნი“ კი, ავია თუ კარგია...

არა, სულ ავი თითქოს არ უნდა იყოს, აკი მოარულ ხმებს და ზეპირ გადმოცემებს თუ ვერწმუნებით, ბევრი მის კითხვაში ღამეებს ათენებს და ორასამდე გვერდს ერთი ამოსუნთქვით უღებს ბოლოს, ბევრიც დილიდანვე იწყებს, მაგრამ ვერ ამთავრებს, რადგან... „ერთმანეთს არ ვაცლით და ხელიდან ხელში ვტაცებთ“.

ჰოდა, თუ ეს მართლაც რეალური სურათია და ეს არ არის მირაჟი, მაშინ რით აიხსნება მხოლოდ ორიოდე ზარი და ათიოდე...

თანაც ერთი ამ ბარათთაგანი, უკვე დროა, გამოგიტყდეთ, არათუ მადლობის მაუნყებელია, მოურიდებლად გამომლანძღველი და თითქმის ჩახმახშეყენებულიც... იგი იმდენი ცოდვა-

ბრალით არის სავსე, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, მათი ერთობლივი ჯამით, უეჭველად მომესჯებოდა, სულ ცოტა, 93 წელიწადი.

ჩამოვთვალოთ მთავარზე მთავარი.

თურმე:

„ფაქტების შეგროვება კარგი საქმეა, მაგრამ მათ სათანადო ანალიზი და მართებული გააზრება სჭირდება“.

მაშასადამე, მე ვერ გამიანალიზებია და ვერც გამიაზრებია:  
თურმე მე ვიჩინ

„მაამებლობას („პოდხალიმობას“), ოფიციალური პირების პანეგირიკას“

(როგორც ალბათ გავრილა დერჟავინი *Екатерине великой!*) აქვე გავკადნიერდები და ჩემ უ-უგანათლებულეს პროკურორ-გამქიაქებლის საყურადღებოდ გაუბედავი დაეჭვებით შევნიშნავ: „პოდხალიმობა“ ქართულად, მგონი, მლიქვნელობაა, „მაამებლობა“ კი რუსულად, თუ არ ვცდები, უფრო „უგოდნიჩესტვო“ უნდა იყოს, ვიდრე „პოდხალიმსტვო“).

შემდეგ... თურმე

„მშობლებს მრავალშვილიანობასთან ერთად უნდა მოეუწოდოთ შვილის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისაკენ. ამას კი ვერ ვხედავთ თქვენს წიგნში, რატომღაც.“

ხედავთ, მკითხველო, რას ხედავს? მე თურმე ქართველებს სხვა ერებში მალე გათქვეფას მოეუწოდებ; მე თურმე ინტერნაციონალური სიამის ჟრუანტელს მგვრის სომხების ჩასახლების ამბავიც კი შუა გურიაში (ქართველების მხრივ მუშახელის ნაკლებობის გამო, თუმცა მუშახელი სომხეთსაც აკლია და გლეხები იქაც ტოვებენ სოფლებს, მაგრამ ბევრი მათგანი ისევ სოფელში ცხოვრებას ამჯობინებს, თუკი ეს სოფელი წმინდა ქართულ მიწაზეა!), და აგრეთვე ლეკების შემოსევის ცდებიც ჯერ კიდევ მჭიდროდ დასახლებულ კახეთში და დაცარიელებულ თუმ-ფშავ-ხევსურეთში და სხვა მრავალზე მრავალი ხალხთა ძმობის გამომხატველი აქცია ქართველების ხარჯზე.

მე თურმე

„ოფიციალობის მოსამადლიერებლად და თავის დასაზღვევად სიტყვა „დისიდენტს“ აგდებულ კონტექსტში ვიხსენიებ...“

ალბათ შეამჩნევდით, ჩვენი დროის ეს უებრო პერსონოლოგი აკადემიკოს ავლიპი ზურაბაშვილივით ერთი თვალის გადავლებითაც როგორ ჯადოსანივით სწვდება ჩემს ცბიერ გულისნადებს; აკი მე თურმე დისიდენტობას თავქუდმოგლეჯილი იმიტომ არ ვუკრავ ტაშს, რომ „ოფიციალები“ მოვიმადლიერო, რათა ახლა მაინც...

როცა სამარიდან სულ რაღაც ხუთიოდე ადლით ვარ დაცილებული, ახლა მაინც ამისრულდეს ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის ნატვრა და ოცნება: საქართველოს პრეზიდენტმა, ამხანაგმა პავლე გილაშვილმა ეგებ გაიღოს მოწყალება და მიბოძოს სიგელი (ცხადია, მასზე უფრო დიდი პრეზიდენტის, ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის დასტურით, თორემ ისე, აბა, ვინ გაგაბედნიერებს!), რათა შავი მიწის წიაღის ჩამყურემ ლურჯი ზეცის შემყურეთა წინაშე მკვდარმა მაინც მოვიღერო ყელიც და კისერიც:

ჰეი, თქვენ, ჩემ ზევით მავალნო, ნაიკითხეთ და გასკვდით გულზე შურით:

აქ განისვენებს საპატიო სიგელოსანი  
კიტა ბუაჩიძე...  
გამვლელი, ნუ დაინანებ შენდობას მისთვის,  
რამეთუ  
კაცი ესე მოკლებული იყო ნატამალსაც  
იუმორისას...  
დიახ!  
მე თურმე...

„კონსტიტუციით ქართული ენა სახელმწიფო ენად შევინარჩუნეთო, პირველ პირში რომ ბრძანებთ...“

ო-ო, ახლა გინდა, ნაბრძოლ-ნაომართ მიეგმასნო და მათ მიერ დიდებულად გაშლილ სანადიმო სუფრას მიუჯდე? მაშინ კი სად დალოღავდი? ხომ იყავი თავგვივით სოროში შემძვრალი, ანდა ბუსავით ფულუროში?!

ა-ა, ხომ გამოგათრიეთ, ბიძიკელა, სამზეოზე?!

„ასე რომ, ნუ იქნებით უმადური და თქვენს წინამორბედთა ღვანლის მიმჩქმალველი...“

გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ იოლად იხსენი ცოდვილი სული ჩემი!..

ამდენი ბრალდება და... არც დახვრეტა, არც ჩამოხრჩობა, არც კოცონი და არც მოკვეთა მარჯვენისა, მხოლოდ... ტუსალობის მხოლოდ 93 წელიწადი!

(მინი-ცნობა: მეფის რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ერთ-ერთი გადამტრიალებელი – სტალინი – ციხეებში საერთო ანგარიშით, სულ დიდი, რაღაც ორ წელიწადსაც არ მჯდარა, თანაც განუწყვეტილად კი არა, პაუზ-პაუზ, ამ სტრიქონების ჩამჭიკჭიკებელი კი – თვალისთვის ძნელად შესამჩნევ ჭიამაიაზეც ეს ბევრად პატარა მწერი, რომელსაც დაუკითხავად საზოგადოებრივი კვების საბჭოთა თეფშიც თავუკულმა ერთხელაც არ გადაუტრიალებია, — შვიდ წელიწადს, თანაც ყოველგვარი შესვენება — პაუზის გარეშე; ერთხელაც კი ორთაჭალის კოლონიიდან რამდენიმე საათით მამის გასვენებაზე, კუკიაზეც არ გაუშვეს, თვითმპყრობელობასთან მეზობლად, პოლიტიკურ პატიმარ სოლომონ თავაძეს (პოეტ ობოლ მუშას) კი მეფის სატრაპებმა ნება დართეს, მეტეხის ციხეში ... ჯვარი დაენერა).

ციხის ჟარგონით თუ ვიმსჯელებთ, პატიმრობის 93 წელიწადი, რა თქმა უნდა, „Это же детско-фрайерский срок“, პროსტო იგრუშკაა.

მით უმეტეს, რომ მე თურმე...

„კრინტსაც არ ძრავთ ზოგიერთ ძალზე მნიშვნელოვან საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემაზე.“

ვაგლახ, რომ ამ საჭირბოროტო ეროვნული პრობლემებიდან ერთსაც არ მისახელებს ჩემთვის გონებისა და თვალის ამხელად მოვლენილი ეს დიდი ჭკუისა და დიდი სულის მრჩეველი და დამრიგებელი... რომ დაესახელ-მიეთითებინა, მაინც რომელ ეროვნულ პრობლემაზე დამეძრა კრინტი, ჩემი წიგნის „მეორე, შევსებულ გამოცემაში“ კრინტსაც დავძრავდი და შევეცდებოდი კიდევ, რომ...

ო, არა! საამისოდ მე, ცხადია, არც ინტუიცია მეყოფოდა, არც ნაკითხობა, არც გაანალიზების უნარი და, რაც მთავარია, პატრიოტობა ხომ არა და არა, აკი

„ავტორი თავად ვერ უჩვენებს ერს პრინციპულობის მაგალითს“.

ჰოდა, უპრინციპო კაცი განა ერის ტკივილს შეიგრძნობს? განა იგი მის მკურნალად გა-  
მოდგება? რასაკვირველია, და ამას წამიერი ჩაფიქრებაც არ უნდა, სწეული ივერიის ერთადერ-  
თი ჯანაოზი მხოლოდ და მხოლოდ ამ ბარათის მომწერია...

მომწერო?!

ო, ო, „ეს რა თქვი, დე-სანტოს?“ ფრთხილად, ყური არ მოჰკრას ამ მდაბიო სიტყვას, თორემ  
დედამინას ააყირავენს და ცას ჩამოაქცევს!

და რისხვა მისი მართებული იქნება და სამართლიანიც, აკი თქვენმა მორჩილმა მონამ...

არა, თავხედმა მონამ თავის უპრინციპო და საამებლო, ცრუპატრიოტულ წიგნში, ია-ვარ-  
დით მოფენილ გზად მიმავალმა არათუ ცალკე გამოყო და განადიდა, გაკვრითაც არ მოიხსენია.

წამება მისი და ღვანება მისი, თავდადება მისი და სისხლთა დენა მისი ქართველთა სამ-  
შობლოისათვის!...

ამ უბადლო მამულიშვილს (უასაკობის გამო ჯერ ცხოვრების ღრმა სარკეში ჩაუხედავ  
„იზარდე, მწვანე ჯეჯილოს“ წარმოდგენით!) თავის ბარათში, ჩემი ჩლუნგი აზრით, თითქოს  
უადგილო ადგილას მოჰყავს ანდაზა: „ლიტრას ესროდნენ და, კოკავ, შენ გესმოდესო.“

არ ვიცი, ვერ გავუგე კი, ამ სიტუაციაში ვინ იგულისხმება ლიტრად და ვინ — კოკად,  
ოღონდ ეს კი ვიცი, რომ არსებობს ასეთი ანდაზაც: ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე  
მეტს იწველიდესო...

ერთ-ერთ უძძიმეს დანაშაულად ზორაბ ბალიშზე თავდადებული მითვლის (დასმენა რომ  
არ გამომივიდეს, სახელს ვუცვლი), რომ მე ვემამებლები და ვემლიქენელები ყველაზე დიდ  
ოფიციალურ პირს საქართველოში...

ჯერ ერთი, რომ ეს ვაკიდან პირდაპირ ამაზონიის ჯუნგლებში მოხვედრილი ყარბის ტრო-  
პიკული ფანტაზიაა, მეორეც, თუნდაც ასეც იყოს, მე ხომ მას ფეხქვეშ არ ვეგები კარიერისტუ-  
ლი მოსაზრებით, მრავალზე მრავალ „ზოგიერთივით“ ჩემი პირადი კეთილდღეობისათვის: ბინა  
მომეცი (მეხუთეჯერ), „ვოლგა“ – მანქანა გამომიყავი (მეშვიდეჯერ!), მწერლების მდივანბეგობა  
ჩამაბარე, პიესების წერის ქავილით შეპყრობილი რეჟისორების მიერ კერძო დუქნებად გადაქ-  
ცეულ სახელმწიფო თეატრებში ათასში ერთხელ ჩემი პიესაც დაადგმევინე...

და არც წერილობით ვემუქრები, თავს მოვიკლავ, თუ დეპუტატად არ გამიყვანთ-მეთქი,  
როგორაც ერთ დროს ვასილ მუჟავენიძისა და გივი ჯავახიშვილის სახით კომუნისტურ პარტი-  
ას და საბჭოთა მთავრობას მიმართა ხან ბარში და ხან მთაში მოსიარულე ქართული მწერლობის  
ერთმა უცნობილესმა ოსტატმა, სომხურად „ვარპეტს“ რომ ეძახიან...

მე ხომ მას მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის ფიზიკური სიცოცხლის შენარჩუნები-  
სათვის „ვემლიქენელები“...

ანდა, გაუგონია კი ვისმე, კაცი შუა ზღვაში უმწეოდ ფართხალებდე და იქვე, გემზე მდგომ  
კაპიტანს, ხელში მაშველი სარტყელი რომ უჭირავს, ზედ „Грузия“ რომ აწერია, — გადამარჩი-  
ნეო, ეხვეწებოდე და თან მასვე ლანძღავდე და თათხავდე, აი, შე ასეთო და ასეთო, ჩქარა, მალე  
ეგ „სპასატელნი კრუგი“ გადმომიგდე, მე შენი გამჩენი დედაც და მამაცო...

ან არ ვარგა ნავსა ჯდომა, ანდა მენავესთან ბრძოლა — შევახსენებდი ამ ანდაზას ანდაზე-  
ბის, როგორც ჩანს, სათუთ მოყვარულს, რომელიც, კერძოდ, იმის გამოც გაგვიჯავრდ-გაგვიგუ-  
ლისდა, რომ საგანგებოდ არ აღვნიშნეთ მისი გარიბალდისებური როლი კონსტიტუციის იმ მუხ-  
ლის შენარჩუნებისას, რომელზეც ვწერდი „შავი წიგნის“ შუა ნაწილში...

რას გააწყობ, ბრალდება ისეთი, თუნდაც გაექცი, ჭეშმარიტება მაინც პირველსავე მო-  
სახვევში დაგენევა...

მართლაცდა, ამ სფეროში არც მისი როლი გამხსენებია და, ასე განსაჯეთ, არც ზოგიერთი  
სხვისა, რომელთაც, საერთოდ, რიდითა და პატივისცემით ვეპყრობი.

და ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მაშინაც მიმარნდა და ახლაც იმ აზრს ვადგავარ, რომ ის  
სადავო მუხლი ჩვენთვის, როგორც ერისთვის, მხოლოდ ფორმალური, თავის მოსატყუებელი  
ცარიელი სიტყვაა და ის თუნდაც ერთი ქართველი ახალგაზრდის არათუ სიცოცხლედ, მისი  
ცხვირიდანაც კი წარმოდენილ ორიოდ წვეთ სისხლადაც არა ღირს.

ღიას!

პირველ პირში რომ ბრძანებთ, კონსტიტუცია შევინარჩუნეთო...

კი, პირველ პირში ვბრძანებ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩემგან დაუმსახურებელი ვისიმე ღვანლი და ამაგი მივითვის-მივინანო...

პირველი პირი აქ და ბევრ სხვაგანაც, ეს ჩემი წიგნის მხოლოდ ლიტერატურული ხერხი და ფორმაა; ძალიან ხშირად მე ამ ხერხით სხვების ბევრ ცოდვასაც ვიღებ საკუთარ თავზე, თუმცა სინამდვილეში იმ ცოდვებისაგან, იცის ღმერთმა, ძალიან, ძალიან დაშორებული ვარ...

მე, მაგალითად, ისიც შემედლო დამენერა, რომ ჩვენ, ჩვენ სტალინს ფეხისწვერებზე შემდგარი ვუკრავდით ხოლმე ტაშს მე-20 საუკუნის, თუნდაც სულ ჩიკრიკელა ადამიანისთვისაც კი შეუფერებელ, ყოვლად გონჯ, ზოგჯერ პირდაპირ ბარბაროსულ „პირად ინიციატივებზე“, დიდი სიბრძნით გარნირმოყრილად წინ რომ დაგვიხათქუნებდნენ და გინდოდა-არგინდოდა, უნდა შეგვეთქვლიოდა და თან მადლობის ნიშნად საამური ცხოვრების მონიჭებისთვის შუბლი უნდა გვეტახუნებინა ქვის იატაკზე...

არა, ათასი „ფხიზელი“ თვალის გარემოცვაში და მათივე თვალის ერთ დახამხამებაში ფიზიკური გაქრობის შიშისქვეშ მყოფი, ცხადია, ტაშს მეც ვაყოლებდი მაგრამ მაინც...

1937 წელს, როცა პურისა და შეშის დამზადების პარალელურად ხალხის „დამზადებაც“ გაუგონარი მასშტაბით მიმდინარეობდა და წარმოება-დანესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ყოველდღე. ზოგჯერ დღეში ორჯერაც კი, სახელდახელოდ გამართულ მიტინგებზე ერთსულოვანი მქუხარე ტაშით უნდა გაგვენადგურებინა სულ ახლად და ახლად, ასობით და ათასობით გამომჟღავნებული „ხალხის მტრები“, რომელთა შორის ჩვენს მამებსა და დედებსაც მიითვლიდნენ, ძმებსა და დებს, არცთუ იშვიათად ბალებსაც (ერთმა მამიკოს დამჭერი ეჟოვის სურათი დახია, მეორემ რვეულის თავფურცლიდან „ძია სტალინის“ სურათი ვერ გადმოხატა კოხტად და ლამაზად, ცალი უღვაში მეორეზე ცოტა გრძელი გამოუვიდა და, ასე განგებ დახატაო, დააბეზლა კლასის დამრიგებელმა უფრო იმის შიშით, თუ არ ვამხილე, ვაითუ, სიფხიზლის მოდუნებისთვის მასთან ერთად მეც დამიჭირონო).

ჰოდა, იმ ზარდამცემ დღეებში, რაკი ცალხელას, ასე ყველასათვის საჩინო ფიზიკური ხინჯის გამო, ტაშის დაუკვრელობა შეიძლება (შ ე ი ძ ლ ე ბ ა!) კონტრრევოლუციად არ ჩამთვლოდა, მეც ვითომ დაცემისას ხელი ვიღრძე და ბინტმეხვეულ-მეფუთვნილი გულმკერდზე ჩამოვიკიდე, რათა ჩემი ხელებით მაინც არ გამენადგურებინა ბევრი ჩემი უდანაშაულო ახლობელი და ბევრიც შორეული...

(ამას ახლა, ღმერთის გარდა, უნივერსიტეტის იმდროინდელი ერთი ამხანაგიც დამიმონებებს (ვაჟა ჩინჩალაძე), რომელსაც მაშინ, საბედნიეროდ, დაჭერილი ჯერ კიდევ არავინ ჰყავდა და ამიტომ თავსაც შედარებით ლალად გრძნობდა, თანაც იგი სანდოზე სანდო იყო და „ფერ-შლობასაც“ ის მიწევდა).

დიახ, ცუდკაცობის სწორედ პირველმა ნიშან-თვისებამ — უმადურობამ — შეუჭმუნხა ჩემ მიმართ ნათელი შუბლი ერის ამ მაშვრალ შვილს, აკი მე თურმე მივჩქმალე მისი წინამორბედობის ღვანლი და კვალი... რომ ის არა და მისი ადრეული დისიდენტური საქმიანობა, მე თურმე გზას ვერ გავიგნებდი, ენას ვერ ამოვიღებდი, კალამს სამელნეში ვერ ჩავანებდი და ვერც ამ უდღეურ წიგნს დავწერდი, რომლისთვისაც მასალებს ვაგროვებ ა ქ ტ ი უ რ ა დ, სულ ცოტა, სამი ათეული წელიწადი, მასზე ფიქრი კი გულს მისერავდა (და მისერავს) და გონებას მიფორიაქებდა (და მიფორიაქებს) ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ეს ჩემი წინამორბედ-გზისმკვლევია ჩაფიქრებულიც არ ჰყავდათ მის მშობლებს.

თქვენ აგდებულ კონტექსტში იხსენიებთ დისიდენტობასო...

არა, არც აგდებულად ვიხსენიებ და არც გამოცალკეებულ მონიშნებით. ჩემთვის „დისიდენტი“ ისეთივე ჩვეულებრივი სიტყვაა, როგორც, მაგალითად, დისერტანტი, დილეტანტი, დეისტო, დეტერმინისტი და ათასი სხვა. „დისიდენტიც“ ამათსავით ლათინურიდან მოდის და თუ მას რელიგიურ საბურველს ჩამოვაცილებთ, სხვაგვარად მოაზროვნეს ნიშნავს და მეტს არაფერს.

სხვაგვარად მოაზროვნე, სხვანაირად მოაზროვნე. სხვაფერ... სხვაფრივ... სხვარივ...

მერედა, რა უნდა იყოს ამაში საკვირველი და არაბუნებრივი, ანდა რა კრიმინალი უნდა იმალებოდეს მის მიღმა? სამწვერიანი ოჯახიც კი არ არის ყოველთვის და ყველაფერზე ერთი აზრის მქონე, საგიჟეთშიც კი გიჟები გიჟურად კი აზროვნებენ, მაგრამ ყველა გიჟიც არ აზროვნებს ერთსახოვნად და, მით უფრო, 260-მილიონიან სახელმწიფოში — მამაკაცი და დედაკაცი,



მოსუცი და ახალგაზრდა, წვერიანი და უწვერო, ქრისტიანი და მაჰმადიანი, ქურთი და ესტონელი – განა შეიძლება ყველა ერთნაირად ყველაფერზე ერთი აზრისა იყოს?!

ჰოდა, თუ ეს ასეა, მაშინ ასეთი რა უნიკალობის მაჩვენებელია ეს დანყველილი თუ დალოცვილი დისიდენტობა? და თუ იგი თავმოსანონია, მაშინ, ბატონო, ხელწამოსაკრავი არც მე ვყოფილვარ: ერთ დროს – და მერე რა დროს! – როცა, ჰაერის გარდა, ყველაფერი ნორმირებული იყო, გამოთვლილი და გამოზომილი, ნაბიჯის სიგრძეც და ამა თუ იმ ფრაზაში სიტყვათა რაოდენობა და მათი თანმიმდევრობაც, და როცა მილიონები პროკრუსტეს სარეცელზე ვიყავით მოკრუნჩხული, მეც მიმიჩნიეს, ჩემო დიდო ბატონო, დისიდენტად, მაგრამ შვიდწლიანი სასჯელი სამწლიანზე არ გამიცვლია, უფრო მეტიც, შემეძლო, სულაც ამეცდინა, არ ავიცდინე კი, და ამიტომაც ახალგაზრდობის ყველაზე საუკეთესო წლები ჩამომანერეს, მაგრამ ამით ახლა არც თავი მომაქვს და არც ამისათვის პრივილეგიებს მოვითხოვ, ჩემი ამჟამინდელი „გზისგამკაფავი“ კი...

ჩემდამი მოწერილ ბარათს ზარატუსტრასებურად ასათაურებს — „ნახევარსიმართლეს ტყუილი სჯობია“ და მერე: „ერთადერთი ფარი უნდა იყოს სიმართლე“, და იქვე მოაყოლებს საღვთო წერილიდან: „საჭურველად გარე მოგადგეს ქეშმარიტებაჲ მისი“.

რაკი ასეა, სიმართლის ფარს საჭურველად მე მოვიშველიებ და გამოგიტყდებით: როგორც მღვდლის შვილს, სახარებისთვის ხელი მეც მიხლია და გადამიფურცლავს კიდეც, მაგრამ არსად არ ამომიკითხავს, არც ლუკასთან, არც მათესთან, არც მარკოზთან, არც იოანესთან —

რომელიმე წმინდანს, რომელიმე მოციქულს თავისი მლოცველ-მიმდევარნი თუ მეაბჯრენი პალესტინის გაგანია სიცხეში შუა გზაზე მიეტოვებინოს და თავი თვითონ კვიპაროსის საამო ჩრდილისთვის შეეფარებინოს; არც ის ამომიკითხავს, რომელიმე ერის მესიას (ანდა მას, ვისაც თავი ასეთად მოჰქონდა), გნებავთ, მოსეს, არა მარტო ისრაელთა – სხვა ხალხთა მილიონების წინაშეც, სიტყვიერად და სახიერად, თავის ნაქადაგებისათვის მიეფურთხებინოს იმდროინდელ ტელედანადგარ – გოლგოთიდან.

ღიას!

ბოლო დროს როგორღაც აღარ შემხვედრია, წინათ კი ბევრგან, ბალებსა და სკვერებში, სად არ ნახავდით, სამფეხზე შემდგარი ფოტოაპარატის წინ, ტილოზე დახატულ ბედაურზე ამხედრებულ უთავო ჩოხოსანს, თავის ნაცვლად პატარა საცრის ოდენა ადგილი ღიად რომ ჰქონდა და დატოვებულ; გაყოფდი „ბაშკას“ ამ საცერში და, წკაპ!

ხუთ წუთში შენგან მზად იყო... გინდოდა, თორნიკე ერისთავი, გინდოდა, ზაქარია მხარგრძელი!

სხვათა შორის, ჩვენში ახლა ასე ჯგროდ ღვანლმოსილ ერისკაცებად უმირონოდ მონათლულები – მწერალი იქნება იგი, მეცნიერი თუ ხელოვანი, საოცრად ჩამოჰგვანან ამ თავსაცერას, და არა მხოლოდ ისინი...

ნახევარსიმართლეს ტყუილი სჯობიაო... არა, ნახევარსიმართლეს ტყუილი არ სჯობია და, საერთოდ, სჯობია კი ტყუილი რაიმეს?! ასე რომ იყოს, მაშინ რაც ირგვლივ წლითინლობით ტყუილები გვესმის, ჩვენ უკვე ახლაც უნდა აყვავე... „იასნო დალშე!..“

(შალვა დადიანის კომედიის „კაკალ გულშის“ ერთ-ერთი პერსონაჟი სათქმელს, ცენზურული მოსაზრებით, შუა გზაზე წყვეტდა ხოლმე, დანარჩენი ისეც იოლი მისახვედრიაო).

ჰო, მაგრამ, სრულ სიმართლეს, ერთი ეს მიბრძანეთ, ცხრათავიანი დევის გარდა, სხვა, აბა, რომელი იტყვის? თანაც დევები თურმე ვერც წერენ და ვერც მეტყველებენ, ხატავენ მხოლოდ. ასე რომ, თუკი მე ნახევარი სიმართლე მაინც გამოვცერი, აქ კი, ჩვენს დროში ასე ძვირად ღირებული კიტრივით, თავის ქებას ამ ერთხელ უკვე აღარ მოვერიდები —

ბარაქალა ჩემში ჯერ კიდევ მოკიაფე, თუნდაც ოდნავ მბუფტავ გულოვნებას!

... ამ სტრიქონებს ნაჩუქარი, საუცხოო იტალიური პასტით ვწერ, რომელსაც ისე ვიზოგავ და ვუფრთხილდები, როგორც ევერესტზე ამავეალი ალპინისტი ჟანგბადს და, ცხადია, ჩემი „ალიბის“ დასამტკიცებლად მას ასე უხვად არ მივახარჯავდი, რომ „ის“ სამგვერდიანი უსტარი „ღია“ არ იყოს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფლებას იტოვებ, ყველას წააკითხო, სამგვერდიანი თხზულების დაბეჭდვას და გავრცელებას, თუნდა იგი რომის პაპის ენციკლიკაც იყოს. აბა, რა დიდი ჯაფა უნდა!

ჰოდა, მისი ავტორიც „გამარჯვებით“ აფოფინებული („ხომ გავაცამტვერე!“) და ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს მესიობა მარტოკა მისი მონოპოლიური მისიაა, სადაც კი ფეხი შეედეგმის და ხელი მიუწვდება, ამ „ენციკლიკას“ ცისფერი ბუშტივით დააფრიალებს...

კი, მაგრამ მოუტანს კი ასეთი საპრესტიჟო გარჯილობა რაიმე სარგებლობას ჩვენს საერთო ეროვნულ სატკივარს?!

სამწუხარო და გულსატკენია აგრეთვე ისიც, რომ ამ მოკლე პასუხსაც კი ჩემი „ამამეტყველებლის და გამაცამტვერებლის“ შესაძლო მრევლიდან ალბათ თითო-ოროლა თუ შეძლებს, გაეცნოს.

ისე კი...

ყველაფერი ძველი როდია დასაგმობი და ყველაფერი ძველი როდია შესაცვლელი; ლოგიკის ჩვენი დროის სახელმძღვანელოში ვერ ამოიკითხავთ, რევოლუციამდელი „ლოგიკა“ კი დაბეჯითებით ასწავლიდა: არის საგნები, რომლებზეც არ კამათობენო, და არიან ადამიანები, რომლებსაც არ ედავებიათ.

ერთხელ ლევ ტოლსტოის მეუღლეს მორიდებით და ტაქტით ჰკითხეს, რა არის მიზეზი, რომ ისეთ გენიოსს, როგორც თქვენი ქმარია, შვილები მაინცდამაინც ისეთი არ გამოუვიდა, როგორც თვითონ არისო. ამაზე სოფია ანდრეევნამ უპასუხა: „Природа отдыхает“.

ანუ, თუ გადმოვაქართულებთ, ბუნება ასე ხშირად როდი ჰბადებს გენიოსებსო.

მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც ხდება: პუშკინის მშობლები უფერული, წყალწყალა ადამიანები იყვნენ, არც ჭკუით გამოირჩეოდნენ, არც ნიჭით, მზეკაცი კი შობეს.

1981 წლის ოქტომბერი.

კ.ბ.



### **„დემოგრაფია არის მეცნიერებათა მეცნიერება“**

**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს ანზორ თოთაძეს!**

**გაზეთი „ახალი საქართველო“, 1999წ. №№14,15,16**

**ბატონო ანზორ!**

არა მარტო მთლიანად თქვენმა წერილმა, უკვე მისმა ჭკუაზე წამსვე მომთოკავმა სათაურ-მაც „დემოგრაფია დრამატურგია არ არის“ („ახალი საქართველო“, №6, 1999 წელი), როგორც ამბობენ ხოლმე, სულით ხორცამდე შემძრა, დაბეხრეკებულ ბერიკაცს, იმქვეყნად წასასვლელად გამზადებულს, თვალები, სამწუხაროდ, ასე დაგვიანებით, ამიხილა, მუდამ გონებადაბნელებულს გონება გამინათა და ღრმად შთამაგონა, რასაც აქამდე ვითომ ერის გამოსალვიძებლად ვცოდვილობდი, თურმე არაფრის მაქნისობა და სულ წყლის ნაყვა ყოფილა...

ღმერთო, შენ შეგცოდე, ეს, აბა, რა პირით უნდა დამცდეს განსვენებულზე, მაგრამ... რა ვქნა, ბრმად დავენდე ჩემი მეგობრის, მიხეილ ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონს, სადაც „დემოგრაფია“ ამ სახითაა განმარტებული:

„სტატისტიკის დარგი, რომელიც იკვლევს მოსახლეობის შემადგენლობას და მოძრაობას (შობადობა-სიკვდილიანობას, მიგრაციას და სხვა), ხალხთა აღწერილობა.“

თურმე ნუ იტყვი, თქვენს წერილს თუ დავეყრდნობით, ანდა, რა უფლება გვაქვს, არ დავეყრდნოთ, დემოგრაფია სტატისტიკის დარგი კი არა, მეცნიერებათა მეცნიერებაა, რომლის წინააღმდეგ არაფერი არ ესაქმებათ არასპეციალისტებს, მით უმეტეს, დრამატურგები ასე თავხედურად არ უნდა ყოფდნენ მასში ცხვირს.

ამიტომაც, ინილო-ბინილოს გარეშე, მოურიდებლად და პირდაპირ მწერთ:

„ზოგიერთი თქვენი შეხედულება, არც ისე იშვიათად, არასწორი და მიუღებელია, როგორც დემოგრაფი, დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა გარემოების გამო, თავს ვიკავებდი საჯაროდ თქვენთან პაექრობისაგან, მაგრამ ბოლო ხანს ი ს ე მ ი უ შ ვ ი თ ს ა დ ა ვ ე (ხაზი ჩემია – კ.ბ.), საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, დუმილი უკვე შეუძლებლად მიმაჩნია.“

ოი, დედა, თურმე რა დიდხანს მითმენდით, მთელი ოცი წელიწადი, „სხვადასხვა გარემოების გამო“, არადა, მე თურმე სადავე მიშვებული ვაქცევდი ჩემს ორთავ თვალის სინათლე საქართველოს, ახლა კი დუმილი შეუძლებლად მიიჩნით ლევ ტოლსტოისავით „Не могу молчать“!

ეჰ, რარიგ ვდარდობ, რომ არ მომეგვლინეთ ბევრად ადრე, ვიდრე სადავეს მივუშვებდი და ჭეშმარიტების გზაზე არ დამაყენებდით.

ამჟამად სხვა რაღა დამრჩენია, გარდა იმისა, რომ თავზე ნაცარი დავიყარო და გუცკოვის ურიელ აკოსტასავით შემოგვალადოთ: „დამნაშავე ვარ, დამნაშავე ვარ“...

მერწმუნეთ და მაპატიეთ, ბოლო ათეული წლების მანძილზე მე ერთი გამოვდექი ასეთი მატრაკვეცა, ისე კი, არათუ რომელიმე სხვა დრამატურგი, ხუთასი ქართველი მწერლიდან ერთსაც არ მოსვლია აზრად, შემოჭრილიყო თქვენს სამეცნიერო შემოგარენში, თუმცა...

ვაგლახ, მე არ ვიცი, რა ერთი წლისა ბრძანდებით, თუმცა დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსად ყველა ანზორისა საქართველოში, დაბადებული იქნებით 1928 წლის შემდეგ, როცა საქართველოს თეატრში სანდრო ახმეტელმა ვსევოლოდ ივანოვის რუსული პიესიდან გადმოქართულებული „ანზორი“ დადგა, თუმცა ამ სახელს კაცი ალექსანდრე ყაზბეგის რომელიმე ნაწარმოებში ადრეც შეხვდებოდა, მაგრამ მან ხალხში ფეხი ისე მაინც ვერ მოიკიდა, როგორადაც ყაზბეგისვე ელგუჯამ, ელისომ, ბერდიამ, მზალომ...

— დიახ, მე არ ვიცი, აი, თუნდაც 1979 წელს თქვენ რა ხნის იქნებოდით, არადა, სწორედ ამ წელს დაიწერა ჩემი „შავი წიგნი“ და იგი, ქსეროასლით გამრავლებული, ავტორისათვის დიდი შიშით, არალეგალურად კანტიკუნტად ვრცელდებოდა იმერ-ამერში, და მაინც, ქვეყანას ასეც არაერთი ბავშვი შესძინა.

თქვენ მაშინ, როგორც მახსოვს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რომელიღაც განყოფილებაში მუშაობდით და მე თქვენზე ვწერდი კიდეც, როგორც ოთხი შვილის მამაზე, ოღონდ გვარი ვერ დავასახელე ზუსტად, თოთაძე თოთაძეში ამერია, არადა, 30-იან წლებში ახლოს ვიცნობდი დიდებულ ვაჟკაცს, ლავრენტი თოთაძეს, რომელიც კინოსტუდიაში – სახკინმრეწვეში მუშაობდა.

დასტურ, იმ დროს, როდესაც „შავი“ და „შავზე შავი“ იწერებოდა, მე თქვენ, როგორც მეცნიერ-დემოგრაფს, არ გიცნობდით და ალბათ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ წიგნებში, ხელობით დრამატურგს, ენით უთქმელი აზრები კი არა, სრულიად უაზრო აზრიკუნები წამცდა, აი, თუნდაც ასეთი:

„თავს შველა უნდა, ვიდრე გვიან არ არის, ვიდრე სულ გვიან არ არის!...“

ერს სიბერე შემოეპარა მუხანათურად, ჩვენივე მუხანათობით...

აზერბაიჯანსა და სომხეთში მოსახლეობის 45-50% სულ ახალგაზრდაა, საქართველოში კი – ქართველ მოსახლეობაში ოციოდე პროცენტს ძლივს მიაღწევს.“

არც პოეტის აღმაფრენას ვიზიარებდი, როდესაც იგი სიხარულით აღსავსე აღმოთქვამდა:

„ფეხბურთიც ერის დონეა,  
ძალაა მისი არსობის!..“

მე კი, ბრიყვი, ამ დროს სკეპტიკურად მოვთქვამდი:

„არ შეიძლება, ტრაგიკულ სიტუაციაში ჩავარდნილი ერის პირველი, თავიდათავი საზრუნავი ბურთი იყოს, ან ჩაი იყოს, ანდა – ყურძენი.“

განა გაემტყუნება სომხეთის „ინტურისტის“ გიდს, თუკი მან ერევნის ქუჩაზე ნელა მიმავალ ავტობუსში მყოფ უცხოელებს, თითქოს სხვათა შორის, „ძმური“ სამგლოვიარო ხმით ამცნო: Грузины – вымирающая нация!...

გეკითხებით, ეს მისი დიაგნოზი-განაჩენი ვითომ მცდარია? და ნაადრევია?

და თუ არც მცდარია და არც ნაადრევია, მაშინ...

რა დროს ბურთია,

როცა ბედი წყდება საქართველოსი.“

თურმე ნუ იტყვი, ამოდ ვტეხდი განგაშს, — არავითარი ბედი საქართველოსი არ წყდება, აკი ახლაც, ამ პანიკური სტრიქონების დაწერიდან 20 წლის შემდეგაც, ქართველი ხალხი, როგორც ვხედავთ, ცოცხალია და იცოცხლებს კვლავაც, ოცდამეერთე საუკუნეშიც!

არადა, სახუმარო საქმე ხომ არ არის – მთელი 100 წელიწადი!..

საქართველოში, ო, რა ბევრს უყვარს ქყუმიშალავი და ყურყუმალი პროვინციალიზმის ქაობში!

ბატონო ანზორ, ის, რაც თქვენ ეს-ეს არის, წაიკითხეთ, ამ წერილის მხოლოდ წინათქმაა, რომლითაც თქვენი ჩემზე, როგორც დემოგრაფიაში ენაქარტალა დრამატურგზე, განაწყენებული გული მომეგო, ახლა კი გადავიდეთ მთავარზე და არსებითზე...

უნინარესად, არ ახსოვს კაცობრიობას, კერძოდ, ლიტერატურისა და პრესის ისტორიას, ოდესმე და სადმე – ელადასა და ძველ რომს არ გამოვრიცხავ – სოლონის, ნერონის, კარდინალ რიშელიეს, კრომველის, ნაპოლეონის, ბისმარკის, სტალინის ერთმმართველობისას, ბეჭდვადაუმთავრებელ წერილს თუ სტატიას შეპასუხებოდნენ, გნებავთ, დადებითად, გნებავთ, უარყოფითად...

რა დაგიფაროთ, ჩვენ ყველანი, ყოფილი საბჭოთა მოქალაქენი, ჯერ კიდევ შიშის შვილები ვართ, ამიტომ თქვენი თავდასხმა როგორღაც იდეოლოგიურ დივერსიად მივიჩნიე და შევშინდი კიდევ, ვაითუ, ბატონმა რედაქტორმა შეწყვიტოს ჩემი წერილის ბეჭდვა-მეთქი, მაგრამ, საბედნიეროდ, არა, არც შეაჩერა და არც შეწყვიტა, თუმცა ეს კია, როგორც ერთგან შენიშნეს, რედაქცია ავტორს ბევრ რამეში არ ეთანხმებაო.

...ჰოდა „შე“ კაი კაცო, აბა, რა მოხდებოდა, ცოტაოდენი რომ მოგეცადათ, „პეტერე“ რომ დაგელოდათ, ამასობაში წერილის ბეჭდვაც მოთავდებოდა და მერე შეგერისხათ ცოდვა-ბრალის დამწერი, რომლის ნაჯახირევის 110 გვერდიდან მხოლოდ 34 გვერდი ჩაიკითხეთ, მაგრამ თქვენ, როგორც მეცნიერი-დემოგრაფი, ისე აღშფოთდით, მოთმინება არ გეყოთ და წინასწარ განჭვრიტეთ, მერმისას რა ჩმახსაც წააწყდებოდით, არადა, ეს ჩმახი თვითონ რედაქციამ გამოიტანა ცალკეულ გვერდებზე ციტატებად.

ა, ბატონო, ზოგიერთი მათგანი:

„დღითიდღე ვინრიტებით როგორც ერი და სრული თვითამოხოცვისაკენ მივექანებით.“

„ჩვენი ეროვნული უბედურება ორმაგდება თანაც იმით, რომ მეტწილად მკვლევლები და მოკლულები ახალგაზრდები არიან, რაც ისეც გადაბერებულ ერს კიდევ უფრო აბერებს.“

„ჩვენში სიკვდილით დასჯის გაუქმება, ვითომ დიდი დემოკრატები ვართო, ნაადრევზე ნაადრევია: ჩვენ ჯერ ისეთ სახელმწიფოში არ ვცხოვრობთ, რომ, მაგალითად, შვიდი უდანაშაულო ადამიანის დამცხრილავს სიცოცხლე შეუნარჩუნო, ანდა პატარა ბავშვების მკვლელი შეიცოდ-შეიბრალო.“

„სულ ფულის ტომარაც რომ იყო, ცხოვრება მაინც მძიმე ტვირთია და ამ ტვირთს ყველა სათითაოდ ეწევა და, მით უმეტეს, როცა სიბერე წამოგეწევა, ვილა მოიცლის შენთვის, ვინ შეგეშველება, თუ შვილები არა, დები და ძმები?“

„ჯარში უნდა ვნახოთ თანამდებობრივად დიდკაცების შვილებიც, თუ მართლაც გვინდა, დიდსა და პატარას შორის ადამიანური უფლებები თანაბარი იყოს.“

„შვილების სახელების მიხედვით იზომება მშობლების კულტურა: - მითხარი, რა გქვია შენ და მე გეტყვი, რა გონებრივი ავლა-დიდებისაა მშობლები შენი...“

„ყველა ჩვენ, მუშაც, გლეხიც, ინტელიგენტიც, საერთოდ, არასწორად და საზარლად ვლაპარაკობთ ქართულად, რაც სამწუხაროდ, ნაკლად არ გვეთვლება.“

„როგორადაც ახლა მარქსი არ უნდა უარყონ, მისი დაკვირვება, რომ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, არასოდეს არ დაძველდება.“

„აბა, თვითონვე განსაჯეთ, რა მასწავლებლები გვყოლია და რა მშობლები, რომლებიც თავიანთ 12 წლის გოგონებს ყოველდღიურად თითო ლარს აძლევენ, სასიკვდილო მოსაწვევის საყიდლად.“

„ფეხმძიმე ქალი თამბაქოს რომ მოსწევს, იმას რა შვილი დაებადება? მეძუძური დედა სიგარეტს რომ არ დასთმობს, მან, აბა რა შვილი უნდა აღზარდოს?“

„რამდენიმე საათის ფრენა გვაშორებს ევროპასთან, მაგრამ ყოფის კულტურით მას მაინც ვერ დავუახლოვდით“.

„იმდენად დავჩიავდით და დავეცით, სამშვილიანებსაც მრავალშვილიანებად ვთვლით, თუმცა აქა-იქ ჯერ კიდევ ნამდვილ მრავალშვილიანებსაც შეხვდებით, რომლებითაც აღტაცებული უნდა ვიყოთ და რომლებსაც ხელს უნდა ვუწყობდეთ; ამას პირველ რიგში, რასაკვირველია, მთავრობა უნდა აკეთებდეს, მაგრამ მთავრობა, ჩვენი მთავრობა...“

თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ გამოდის ერთი ასეთი გაზეთი, რომელსაც უცნაური სახელი ჰქვია „ალია“ (ალია და ოსმანაო... ეს ანდაზა გაგონილი გექნებათ), რომელიც, მგონი, ყველაზე უფრო გავრცელებულია საქართველოში... ჰოდა, 1999 წლის 25 იანვრის ნომერში ერთი მკითხველი, ალბათ მრავალშვილიანი, მას ეკითხება, „არსებობს თუ არა რაიმე შეღავათები მრავალშვილიანებზე?“ ამაზე გაზეთის პასუხი მოკლეა და კატეგორიული: „არ არსებობს“.

კარგი, ვთქვათ, „ალია“ ოპოზიციური გაზეთია და ყველაფერი გლახა, რაც შეიძლება პრეზიდენტს მიანერონ, მას ახარებს კიდევ, მაგრამ, საერთოდ, ყოველმხრივ საინტერესო „სვობოდნაია გრუზია“ ხომ მთავრობის ორგანოა და პრეზიდენტის რაიმე ცუდი სიამეს არ უნდა გვრიდეს, მაგრამ... ისიც კი, აი, რას წერს პირველ გვერდზე მონინავეში (03.03.98): „Исполнительная власть в лице своих государственных чиновников не заинтересована в том, чтобы сохранить и развивать генофонд нации“.

ნინო კახიანი, საბურთალოს რაიონის მრავალშვილიანი დედების კომიტეტის წევრი, შემოფოთებული აცხადებს სახალხოდ პრესკონფერენციაზე:

„საქართველოში უაღრესად მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია საშიშროებას უქმნის ქართველი ერის არსებობას.“

ეს ითქვა შარშან მარტში, მე კი, თქვენი აზრით, მატრიაზი დრამატურგი, რომელსაც დემოგრაფიაში არაფერი გამეგება, ამაზე ბევრად ადრე ვწერდი წერილში „ვილუპებით“, რომ ვილუპებით, როგორც ერი, არადა, თურმე სულაც არ ვილუპებით, აკი, როგორც თქვენ ბრძანებთ, ღრმად არა ვარ „ჩახედული დემოგრაფიული განვითარების ურთულეს პროცესებში, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, არასწორ, მცდარ დასკვნებს აკეთებთ, სწორედ ვერ აანალიზებთ ჩამოყალიბებულ ტენდენციებს და შეცდომაში შეგყავთ საზოგადოებრიობა.“

ო-ო, ხედავთ კი, მიუდგომელო მკითხველო, ჩემს ამ უამრავ, თანაც უმძიმეს დანაშაულს? უკვე ოცი წელიწადია, ორი პანიკური წიგნით და ასეთივე ცალკეული წერილებით - „როცა ბედი წყდება საქართველოსი“ - თურმე სულ ტყუილ-უბრალოდ ვტეხდი აურზაურს, არავითარი ეროვნული სატიკივარი ჩვენ არ გვქონია და...

რა ვქნა, რატომღაც ეჭვი მეპარება, ამასვე უნდა ფიქრობდეს ჩვენი ღირსპატივსაცემი პრეზიდენტიც და თქვენ, ბატონო ანზორ, ამით ნახალისებულმა, აკი მის საამებლადაც დაწერეთ, — თუნდაც ნაწილობრივ მაინც! — „დემოგრაფია დრამატურგია არ არის“, რომლის (დე-

მოგრაფიის) შესაცნობად აუცილებელია თურმე „სპეციალური ცოდნა“ და მრავალი სხვა ამგვარი რამ, რომლებსაც, საერთოდ, დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ს ჭკუა-გონება, ბევრიც რომ ეწვალოს, ვერა და ვერ ჩასწვდება...

თქვენ მამშვიდებით, რომ ჩემი წერილი „ვილუპებით“, რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, ბატონ პრეზიდენტს წაკითხული აქვს...

ო-ო, ამით, რასაკვირველია, დიდად გამახარეთ, მაგრამ... მისი დაბეჭდვიდან ლამის უკვე ორი წელიწადი გავიდა და ამ ხნის მანძილზე მიიღო კი – ერთი მაინც! – რაიმე საგანგებო ზომა დალუპვისათვის განწირული ერის ფიზიკურად გადასარჩენად? არა! ვიცით, რომ დემოგრაფიის დეპარტამენტი დააარსა, მაგრამ ამ დაწესებულების თუნდაც ბრძნულზე ბრძნული კონცეფციები იხსნიან უკანმოუხედავად მოჩქარე ერს გადაშენებისაგან?

ამ ოცი წლის წინათ, როდესაც ედუარდ შევარდნაძე საქართველოში უპირველესი კაცი იყო და მის ყოველ სიტყვას კანონზე მეტი ძალა ჰქონდა, მე მას ვწერდი:

„ქვეყნისა და ხალხის თვალში მხოლოდ სიყვარული მოგემატებათ, თუკი თქვენს მრავალწილ საქმიანობაში, ჩაისა და ვაზის გამეჩხერიანების გულისწუხილში, ქართველი ერის ასე უღვთოდ გამეჩხერიანებაც შეგანუხებთ...

...დროდადრო, მინდვრად თუ კაბინეტში, სოფლად თუ ქალაქად, მომსვლელს, წამსვლელს, უბრალოსა და ბრალიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეეკითხეთ შვილიანობის თემაზე, თან დასძინეთ, — თავის დროზე მე დიდი შეცდომა მომივიდა, ვერ წავბაძე კარგ საქმეში ვერც ჩემს მშობლებს, ვერც ჩემს უფროს ძმას და მხოლოდ ორით შემოვიფარგლე... ახლა ამას დიდად ვწუხვარ და ასეთ საწუხარს თქვენ მაინც ნუ გაიჩნთ მომავალში.“

მერე? ჩააგდო რამედ ეს ჩემი თხოვნა-ვედრება? ან ეს ჩააგდო რამედ, როცა 1980 წლის ივლისში ვწერდი მას:

— უზომოდ მოხარული ვიქნები, თუკი ეს არა მხოლოდ ჩემი საგოდებელი არ დარჩება, თქვენი წყალობით, „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა...“

ღიახაც, რომ ეს იქნებოდა დიდი, დიდი საშვილიშვილო უკვდავი საქმე და როცა მომავალი თაობები ძეგლს დაუდგამენ განსაცდელის ჟამს სამშობლოს გადამრჩენელს, ედუარდ შევარდნაძეს, შთამომავალნი მას სათუთი სიყვარულით მოიხსენიებენ, და არა ისე, როგორც საბურთალოში აღმართულ ორჯონიკიძის ძეგლ-მონუმენტს, რომელიც ხალხმა მიანგრ-მოანგრია და როგორც საფრთხობელა ქალაქის ქუჩებში ჩაატარ-ჩამოატარა.

იმ ხანებში არათუ „სოფლად და ქალაქად“, პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატი სავსე იყო ერთ და ორშვილიანებით, მათში უცლოლოებიც ერივნენ, რომელთათვის პირველი მდივნის წარბის, ოდნავი შეხრაც კი შიშის ზარს იწვევდა, ჰოდა, რა უნდა ეთქვა მათთვის ისეთი, რომ არ შეესრულებინათ, მაგრამ ერთხელ მაინც მიმართა კი ამ ძალას ერის გასამრავლებლად? ო-ო, თქვენც არ მომიკვდეთ, აინუნშიაც არ ჩააგდო, ვითომ აქ არაფერი, ვითომ ყუყუნა წვიმაც არ მოსულა. „საერო“ ბრძოლა კი წინანდებურად გრძელდებოდა — „ყოველ მოსახლეს თავისი სასურსათო პროგრამა“ და 600 ათასი ტონა ჩაის დასამზადებლად!

რაკი უვიც „დემოგრაფს“ ასე თავგამეტებით მომდექით, მე არ ვიცი, გაქვთ თუ არა წაკითხული დიდად გასაიდუმლოებული, იმ დროისათვის შესამჩნევად კადნიერი, მოურიდებელი ბარათი, რომელიც მივწერე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ე. შევარდნაძეს მისი ძღვევამოსილების პერიოდში (1982 წელს) და რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: „უფრო მეტი პატივისცემით, ვიდრე თქვენ გამოიჩინეთ ჩემდამი...“ (წერილი შეტანილია „შავზე შავ წიგნში“).

აი, სულ აგერ ახლა, 16 თებერვალს (1999წ.), ბატონი პრეზიდენტი ვრცელი მოხსენებით წარდგა მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე („საქართველოს მოქალაქენო“), რომლის გამჭოლი არსი შეიძლება ასე დახასიათდეს: ყველაფერი თუ მშვენიერი არა, შედარებით მაინც მშვენიერია!

მოხსენებაში, ო, ერთი სიტყვაც არ არის თქმული ჩვენს უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებაზე, პირიქით, მასში ვკითხულობთ:

„სასიხარულოა, რომ მიღწეულია მოსახლეობის ბუნებრივი მატების, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც დაწყება. ეს ძირითადად გამონვეულია სამედიცინო დახმარების ხარჯზე.“

თუ როგორ „მატულობს“ ქართული მოსახლეობა, ამაზე მე უკვე ვწერდი წინა „წერილ-მომართვაში“ სოფელ დვირის მაგალითზე, ახლა კი იმას დავამატებ, რომ სამეგრელოს ერთ მშვენიერ სოფელ რუხში ბოლო წლების მანძილზე ორი ასეული მოსახლე გარდაიცვალა, დაიბადა კი 50 ბავშვი რაც შეეხება სამედიცინო რეფორმებს, მისი დაწყებიდან უსახსრობის გამო უთვალავი ადამიანი გამოეთხოვა წუთისოფელს და ამჟამადაც იხოცება სწორედ გადაუდებელი სამედიცინო „ჩარევით და დახმარებით“.

ბატონ პრეზიდენტს „დღევანდელი სახელმწიფოს ნომერ პირველ პრობლემად“ მიაჩნია კორუფციის დაძლევა, „რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აღმავლობას და საქართველოს საერთაშორისო რეიტინგის ამაღლებას.“

მე კი, პრეზიდენტის ამომრჩეველს, ასე მგონია, რომ კორუფციის დამარცხება-აღმოფხვრას, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელი იქნება, ამას წლები, წლები დასჭირდება და, ვაითუ, ამ დროში საქართველო, მის საერთაშორისო რეიტინგთან ერთად, „საქართველოს მეგობრების – სომხების, აზერბაიჯანელების, აფხაზების, ოსების“ სასიხარულოდ გაქრეს კიდეც, ამიტომ ქვეყანაში რა მძიმე, რა გამოუვალი სიტუაციაც უნდა შეიქმნას, პრეზიდენტისათვის უპირველესზე უპირველესი პრობლემა და საზრუნავი მაინც ქართველი ერის რიცხობრივად ამაღლება-აღმავლობის საკითხი უნდა იდგეს და სუფევდეს.

მე ამას წერილობით გავკვივი უკვე ოცი წელიწადია, მაგრამ ადრე კომუნისტური პარტიის ცეკვას პირველი მდივანი ყურთან ახლოს, აბა, როგორ მიიტანდა, ეს ვილაც კიტა ბუაჩიძეა, რას მებყუტურებაო. სამწუხაროდ, ახლაც, როცა ის პირველი მდივანი „თავისუფალი, დემოკრატიული, სუვერენული“ საქართველოს ბატონ-პატრონია, ჩემსას, უკვე არცთუ სულ ვილაცისას, მაინც არაფერს შეისმენს და არც გაიგონებს...

...სამწუხაროდ, მე არ ვიცი, იცნობთ თუ არა თქვენს „კონკურენტს“, ლეო ჩიქავას: იგი თქვენსავით, მგონი, დოქტორიც არის. ამავე დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტიცაა, ასე რომ, მეცნიერული ტიტულები არ აკლია, დემოგრაფიული თანამდებობით თქვენსას თუ არ აღემატება, ყოველ შემთხვევაში, თანაბარი მაინც არის. ჰოდა, მისი ინტერვიუ, რომელიც გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1997 წლის 10 ივლისს, თავისი პესიმისტური განწყობილებით, როგორც ჩანს, სულაც არ არის ნაამბობი და დაწერილი ქვეყნის პრეზიდენტის დასამშვიდებლად: იგი იმ პოზიციაზე დგას, რაც მე გამოვხატე „არამეცნიერულად“, „არადემოგრაფიულად“ ჩემივე წერილში „ვილუპებით“...

მე მინდა, იცოდეთ თქვენ და, რა თქმა უნდა, გონიერმა მკითხველმაც, აკი ეს პასუხი თქვენ მიმართ კი არის დაწერილი, მაგრამ რაკი იგი იბეჭდება, მას მკითხველი გაეცნობა და მინდა, მანაც შეისმინოს, რომ ლეო ჩიქავას ინტერვიუ გამოქვეყნდა თითქმის თვენახევრის მოხანების შემდეგ, ვიდრე ჩემი წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“ (30.05.97). ასე რომ, მისთვის მე არაფერი არ მომიპარავს და არც არაფერს დავსესხებივარ, ოღონდ ეს კია, ჩვენი დიდი ეროვნული უბედურება ერთი, საერთო თვალთაა დანახული.

მოდით, გავეცნოთ ზოგიერთ მის აზრს დედნის მიხედვით:

„1979-1989 წლებში, მაგალითად, საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანულ და სომხურ მოსახლეობაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 0,8 და 0,4 პრომილეთი გაიზარდა, ქართული მოსახლეობისა კი, პირიქით, 1,5 პრომილეთი შემცირდა. 80-იანი წლების დასასრულისათვის შობადობის კოეფიციენტი საერთოდ არაქართველებში ქართველებისას 72 პროცენტით აღემატებოდა. ეს თანაფარდობა არც შემდეგ პერიოდში შეცვლილა.“

„— სიკვდილიანობის ინტენსივობის მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი... როგორია ამ მხრივ ჩვენში არსებული მდგომარეობა?“

— 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში ამ მხრივაც არასასურველი ტენდენცია შეიმჩნევა. ერთ წლამდე ასაკში ბავშვთა რიცხვი ყოველ ათას ცოცხალ შობილზე მარტო ერთი წლის მანძილზე (1993 წელს 1992 წელთან შედარებით) თითქმის 6 პრომი-

ლეთი გაიზარდა და 18,3 პრომილეს მიაღწია. ეს მაჩვენებელი 3-4-ჯერ აღემატება მსოფლიოს მონინავე ქვეყნების დონეს. საგანგაშოა სხვა რამეც – შარშან გარდაცვლილ ჩვილ ბავშვთა თითქმის 90 პროცენტი ქართველი იყო, მაშინ, როცა ქართველების ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობაში მხოლოდ 70 პროცენტს შეადგენს.

— როგორია მოსახლეობის ბუნებრივი მატება?

— რამდენადაც შობადობა ეცემა, ხოლო მოკვდაობა მატულობს (ან სტაბილურია), ცხადია, მოსახლეობის ბუნებრივი მატება დაცემის ტენდენციით ხასიათდება. თუ 1960 წელს იგი შეადგენდა 18,2 პრომილეს, 1990 წელს იგი დაეცა 8,6, ხოლო 1995 წელს – 3,4 პრომილემდე. ესე იგი 35 წლის მანძილზე 5,3-ჯერ შემცირდა, რაც დემოგრაფიული ვითარების უკიდურესი გართულების მაუწყებელია.

გასულ საუკუნეში თუ საქართველო მოსახლეობის მატების მაჩვენებლით სომხეთსა და აზერბაიჯანს არათუ ჩამორჩებოდა, უსწრებდა კიდევ, დღეისათვის სურათი რადიკალურად შეცვლილია. უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, ქართველთა ბუნებრივი მატება არ აღემატება 7,6 პრომილეს, მაშინ, როცა სომხების ეს მაჩვენებელი შეადგენდა 8,4; ხოლო აზერბაიჯანელებისა – 22,9 პრომილეს, ანუ 3-ჯერ მეტს.“

„— დღევანდელ საქართველოში ერთშვილიანობა თითქოსდა მოდად იქცა. ქვეყანაში ერთშვილიანები მომრავლდნენ, მრავალშვილიანი ოჯახები კი უკვე იშვიათობას წარმოადგენენ, როგორ შეაფასებდით ასეთ ტენდენციას?

— რა თქმა უნდა, უარყოფითად. ჩვენში უკვე მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის პრობლემაც.

„... — აი, ბევრმა რომ ქორწინებაზე საერთოდ უარი თქვა?

— ეს მთლად დამანგრეველია ერის მომავლისათვის.“

„— მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება... ეს საფრთხე ჩვენც ხომ არ გვემუქრება?

— გვემუქრება კი არა, იგი ჩვენთან უკვე სახეზეა... მოსახლეობა დაბერებულად ითვლება, თუ მასში 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წილი 7 პროცენტზე მეტია (თუ 4 პროცენტზე ნაკლებია — ახალგაზრდად). 1995 წელში ასეთი პროცენტი 12,1-ს უტოლდებოდა...

დემოგრაფიული დაბერებით გამორჩეულ რაიონებში სიკვდილიანობა ძალიან მაღალია. ეს უწინარეს ყოვლისა, ქართული ეროვნების მოსახლეობას ეხება“.

ო, ბატონო ანზორ, რომ იცოდეთ, რაოდენი განსხვავებაა თქვენს წერილსა და ბატონ ლეო ჩიქავას წერილ-ინტერვიუს შორის, არადა, ორივენი ერთ ბატონს – დემოგრაფიას ემსახურებით. თქვენი წერილი, როგორადაც არ უნდა ვთქვათ, მაინც ოპტიმისტურ ტალღაზეა ამოზრდილი, ლეო ჩიქავასი კი ამ მხრივ ნაკლები იმედების მომცემია, მთელი ჩვენი საბედისწერო ეროვნული უბედურება უპირბადეოდ აქვს დანახული. მარტო ის რად ღირს, როცა მას ეკითხებიან „დღევანდელ საქართველოში ერთშვილიანობა თითქოსდა მოდად იქცა, ქვეყანაში დედისერთები მომრავლდნენ... როგორ შეაფასებდით ასეთ ტენდენციას?“ ამაზე მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი დაუფიქრებლად პასუხობს: „რა თქმა უნდა, უარყოფითად. ჩვენში უკვე მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის პრობლემაც“.

თქვენ კი წერთ: „რა თქმა უნდა, ნაწილი ქალებისა აჩენს მესამე შვილს, მაგრამ ქალთა დიდი ნაწილი ორი შვილის ამარა რჩება.“ ვთქვათ, რომ ამ საკითხში თქვენ მართალი ბრძანდებით და „ქალთა დიდი ნაწილი ორი შვილის ამარა რჩება“, მაგრამ გვაძლევს კი ეს დამშვიდების უფ-



ლებას მაშინ, როცა ჩვენ უამრავი გაუთხოვარი ქალი გვყავს, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის იმდენი უშვილო, რამდენიცაა საქართველოში (17 პროცენტი!)...

ორი კვდება – ორი რჩება და... რიცხობრივად საიდან უნდა მოიმატოს ერმა? ჩვენ რომ შევდეთი ვიყოთ, კიდევ ჰო, გარედან შეჭრით მას არავინ ემუქრება, ჩვენ კი, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს მინა-წყალზე მცხოვრები „საქართველოს შვილები“... ჰმ!

თქვენ წერთ: „დემოგრაფიული თაობის განახლებისათვის საჭიროა, ოჯახთა უმრავლესობას ორი-სამი ბავშვი მაინც ჰყავდეს.“

ჰოდა, მთელ ჩემს „დემოგრაფიულ“, თქვენი აზრით, ჩირთიფრთობაში სწორედ ამას „ვქადაგებ“, ვიღუპებით იმიტომ, რომ ორ შვილსაც აღარ ვაჩენთ-მეთქი, მაშინ, როცა აზერბაიჯანელები შვიდ-რვა შვილსაც არ სჯერდებიან: კარგი, ვთქვათ, მათ საამისოდ რელიგიურ-მუსულმანური ფაქტორი ამოძრავებთ, მაგრამ სომხებს რაღა ამოძრავებთ, ისინი ხომ ჩვენსავით ქრისტიანები არიან და თვით სომხეთში, და ნაწილობრივ საქართველოშიც, ოთხ ბავშვზე ნაკლები თითქმის არავის არა ჰყავს... და განა გაემტყუნებათ, ისტორიულად სულ მოკლე დროში მათი გიდები უცხოელ ტურისტებს თუ ჩვენზე ეტყვიან: Грузины вымирающая нация, они когда-то жили здесь...

თქვენს წერილში ბევრი „პილიულია“ მიმოხეული ჩვენს დასამშვიდებლად, აი, თუნდაც, საფრანგეთში და უკრაინაშიც შობადობა კლებულობსო, დასახელებულია უამრავი სხვა ქვეყანაც, დანიაც და პორტუგალიაც... ჰო, მაგრამ, რაში მეკითხება მე, უბრალო ქართველ კაცს, რა მდგომარეობაა ამ მხრივ შორეულ, თანაც 50-მილიონიან უკრაინაში, ანდა 55 მილიონიან საფრანგეთში რამდენი ბავშვი იბადება, თქვენ ეს მითხარით, ჩვენს ახლო მეზობლებს, ჩვენი თანდათანობით სიკვდილის ნეტარებით შემყურე კარის მეზობლებს რამდენი... (და ასე შემდეგ).

თქვენ, ბატონო ანზორ, არ შეგიძლიათ თურმე, გულისტკივილი და გულისწყრობა არ გამოთქვათ ჩემ მიერ: „ერთი მეტად ფაქიზი საკითხის გამო, აბსოლუტურად მიუღებლად გაშუქების გამო...“

ესაა,

„ზოგიერთი ერის ზოგიერთი წარმომადგენელი თავისად მიითვლის ქართულ მინა-წყალს, ქართველი კაცის კულტურულ ნაამაგარს, უმძიმესი განსაცდელის ჟამს, მხარში ამოდგომის მაგივრად, ზურგში მახვილს გვცემს. მაგრამ ეს ცალკეული დასახანი შემთხვევები არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ აუგად, უკადრისად მოვიხსენიოთ მთელი ერები, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი, მეგობრული, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა, საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლა გვაკავშირებს.“

ო-ო, ანზორ ჩემო (ჩემი ასაკი უფლებას მაძლევს, ერთხელ მაინც ამგვარად მოგმართოთ), თქვენ, პირწმინდად ქართველმა, კი არა, ქვეყნის მეთაურმა, ისიც თავიდან ფეხამდე ქართველმა, მაგრამ პროფესიონალმა პოლიტიკოსმა – პოლიტიკა ხომ დროის ცვალებადობას ემორჩილება – სწორედ ასე უნდა ილაპარაკოს (და ლაპარაკობს კიდევ) თუნდაც მსოფლიო სავალუტო ფონდის გასაგონად (ამბობენ, სომხეთს ეს ფონდი ახლოსაც არ გაუკარებიაო, ჩვენ კი თვალეში შევციცინებთ: „კიდევ რას გვიბრძანებთ, ბატონო?“)...

თქვენი ახლანდელი მსჯელობა ძალიან ნააგავს, თარიღი თუ არ მეშლება, 1977 წელს ქართველ მეცნიერთა კრებას კინოს სახლში, სადაც იხილებოდა აფხაზეთის საკითხი ისე, რომ აფხაზეთის მიმართ არაფერი სიმართლე არ თქმულიყო და არაფერი არ ეწყენინებინათ... ამ კრებაზე ცეკვას პირველმა მდივანმა ისტორიკოსი აკაკი ბაქრაძე ფოიეშივე იფრინა და დარბაზში არ შეუშვა, ეს წყალს აამღვრევსო, ჰოდა, ამ წყლის აურევლობის პოლიტიკამ მერე რა „დადებითი“ შედეგიც მოგვიტანა, ეს, ვფიქრობ, თქვენც გეცოდინებათ.

... ამდენი უცხო ხალხი რომ არის შეყრილი საქართველოში, ეს ჩვენს თანდაყოლილ ეროვნულ სიგლახზე მეტყველებს, თორემ... აბა, რა საუკუნოვანი, რის საუკუნოვანი, რა მეგობრობა, რის მეგობრობა, ჩვენის მხრივ – კი, მაგრამ... როგორც ჩანს, „ქვათა ღალადი“ ახალგაზრდობაში გაქვთ ნაკითხული, ნაიკითხეთ ხელმეორედ, გარწმუნებთ, დროს დაკარგულად არ ჩათვლით...

მაგალითისათვის, სომხები ახლაც კი, ზეპირი სიტყვით კი არა, ნაბეჭდით, 600 ქართულ ეკლესიას ისაკუთრებენ, ჩვენი აშენებულიაო, საზღვარგარეთ ჰაიასტანის რუკებს უშვებენ, სადაც თბილისიც კი მოქცეულია სომხეთის „ისტორიულ საზღვრებში“.

მე ნუ მიპასუხებთ, მე მას არ წავიკითხავ, მკითხველებს უპასუხეთ: რაც სომხებმა აფხაზეთში ქართველებს ყელეები გამოლადრეს და თავები წააჭრეს „საფუტბოლოდ“, როგორ, „ეს

ცალკეული დასანანი შემთხვევებია?“ და თქვენ უნდა მისაყვედუროთ მე, თუნდაც პრეზიდენტის სამსახურში მყოფმა, მაგრამ მაინც „თავისუფალი, სუვერენული“ საქართველოს მოქალაქემ, რომ...

„ასევე საფუძველშივე მცდარია თქვენი შემდეგი მოსაზრება: „თქმა არ უნდა, ჩვენი პირველი მტერი სომხებია, ისინი პირველები ელოდებიან ჩვენს ამოხოცვას.“

ამას, თუ გნებავთ, ახლაც გავიმეორებ და ამ აზრის გასამტკიცებლად მეტსაც დავამატებ: ჯავახეთში „ჯავახკმა“ „საკუთარი მშობლიური მხარის“ – კონსტიტუცია შეადგინა, დაბეჭდა და გამოაქვეყნა, ახალქალაქში კი – უკვე კარგა ხანია, ქართველ მაღალჩინოსნებსაც აღარ უშვებენ...

სომხები, რასაკვირველია, ნიჭიერი ხალხია, თითქოს ჭკვიანიც, ამას მონიშნავს თუნდაც ის, რომ რუსეთს მუდამ სიყვარულს ეფიცებოდნენ და ახლაც, რითაც დიდ მოგებასაც ნახულობენ, მაგრამ, მოდით, ამასთან შედარებით, ერთი პატარა, შორს გათვლილი ვითომ წვრილმანი ვახსენოთ: საქართველოში ამჟამად მყოფ 12 ათას პატიმარში სომეხი ეროვნების ათიოდე პატიმარს თუ მონახავთ. ჩვენში მასობრივად მოდებულ დანაშაულობებში ისინი არ მონაწილეობენ, განზე დგანან და, ცხადია, ხელებს თბილად იფშვნეტენ იმის მნახველნი, ქართველები ერთმანეთს თუ როგორ ვხოცავთ...

... თქვენ თავს მესხმით, ბატონო ანზორ, იმისთვისაც, რომ მე „არამცდაარამც“ არ მომწონს ციტატა „საქართველოს რესპუბლიკიდან“:

„ყოველივე უნდა ვიღონოთ, რათა ავამაღლოთ ქალის როლი საზოგადოებაში, გავათავისულოთ იგი ზედმეტი შრომისაგან და მივცეთ საშუალება, მეტი დრო დაუთმოს საზოგადოებრივ ცხოვრებას“.

რომ იცოდეთ, მე ერთი პატივსაცემი მანდილოსნის აზრიც არ მომდის ჭკუაში, რომელიც მოგვიწოდებს, მეტი ქალი ჩავაბათ პოლიტიკაშიო... მერედა, ერთშვილიანობაზე უკვე მტკიცედ მდგომი ერისათვის რა „ბედნიერების“ მომტანია ყოველივე ეს, ამაზე ჯერ კიდევ როდის – 1980 წლის აპრილში! – საბჭოთა კავშირის პირველი დემოგრაფი, პროფესორი ბ. ურნალისი თითქოსდა ქართველების თვალის ასახელად წერდა:

„Грузинская женщина УЖЕ ДАВНО начала ограничивать свою рождаемость и планировать число детей. Так, например, совсем молодые грузинки в возрасте 25-29 лет 5 лет назад рожали 155 детей (на 1000 женщин), а теперь 135 ребенка. В следующей возрастной группе, т.е. 30-34 летних, число рожденных из 1000 женщин уменьшилось за 5 лет с 88 до 80. Особенно сильно сократили свою рождаемость грузинские женщины в возрасте 35-39 лет с 40 детей (на 1000 женщин) до 26, т.е. почти вдвое за 5 лет.“

დიახ, ესეც თქვენი „ქალის როლი ავამაღლოთ საზოგადოებაში“, ესეც თქვენი „მეტი დრო დაუთმოს ქალმა საზოგადოებრივ ცხოვრებას“, ესეც თქვენი „მეტი ქალი ჩავაბათ პოლიტიკაში“... სულ კლება, კლება კლება... ერთშვილიანობამდე.

თქვენ, ბატონო ანზორ, როგორც ჩანს, ცდილობთ, გაგვანათლოთ:

„ტრადიციულად ჩვენში მრავალშვილიანი ოჯახები არ იყო გავრცელებული, რაზედაც თქვენ ასე დაჟინებით წერთ.“

მოდით, „მეცნიერულ“ დემოგრაფიაზე დროებით ხელი ავიღოთ და გადავშალოთ ნიკოლოზის ჩამოგდების წინა პერიოდის და ოციანი წლების პირველი ნახევრის ქართული გაზეთები და ნავიკითხვით მხოლოდ სამგლოვიარო განცხადებები, თან დავითვალოთ, რამდენი შვილი იუნყება მამის ან დედის გარდაცვალებას - სათვალავს ვერ აუხვავალთ, მეათე-მეთერთმეტე უკვე „მეტიას“ სახელით იხსენიება; მე თვითონ ოჯახში მეცხრე ვარ, ჩემი ერთი ბიძაშვილები შვიდნი იყვნენ (მათ შორის, ერთხანობას პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი იოსებ ბუაჩიძე და ან განსვენებული პროფესორი – ქირურგი სოფიო ბუაჩიძე), მეორე ბიძაშვილები, გიგოსანები კი – თერთმეტნი (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ანდრო ბუაჩიძე – 1937 წლამდე და პროფესორი – ვენეროლოგი პეტრე ბუაჩიძე)...

როგორ ფიქრობთ, ნარსულში, შარდენის დამონებებით, ოსმალეთის ბაზრებზე დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად 12 ათას (თუ მეტს არა) ბავშვს რომ ყიდდნენ, ვითომ მათი მშობლები დედისერთებს იმეტიებდნენ?!

თქვენ მიერ შერისხულ „შავ წიგნში“, რომელიც, ვფიქრობ, უფრო ადრე დაინერა, ვიდრე თქვენ სპეციალობად დემოგრაფიას აირჩევდით, მე მომყავს ციტატა გერმანელი მეცნიერის, ო. ვეზენდოკის წიგნიდან, რომელიც 1926 წელს გამოიცა:

„საქართველოში ბავშვთა სიმრავლე ჩვეულებრივია, უამისოდ ქართული მოდგმა დიდი ხანია, მიწის პირიდან ალგვილი იქნებოდა და უკვალოდ გაქრებოდა.“

და აი, უკვე სამოცდაათი წელიწადია, თანდათან ვქრებით და ვქრებით: ბავშვთა სიმრავლე აღარ მეფობს საქართველოში!

და ამის მთავარი მიზეზი თურმე ის არის, რომ –

„ადამიანები უკვე მეტ დაინტერესებას იჩენენ ცხოვრების ხარისხისადმი, თითოეული შვილის აღზრდისადმი...“

ჰო, მაგრამ, ის „თითოეული შვილი“ ხშირად ისე გვეზრდება, რომ სწრაფი კითხვაც არ იცის... ათნაირ ატესტაციან-დიპლომიანს ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდებით, მაგრამ მათში ელემენტარული კულტურის ნასახის მქონეს ათასში ერთსაც ძნელად თუ მონახავთ. არადა, გოგრაში უყრია რამე თუ არ უყრია, დიდკაცობა უნდა ყველას.

რასაკვირველია, არიან გამონაკლისები, რომლებიც ბრწყინავენ ბუნებრივი ნიჭიერებით, უსაზღვრო შრომისმოყვარეობით, სიბეჯითით...

აღბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ, ასე წარმოიდგინეთ, - მრავალშვილიანობა არ იყო გავრცელებული, რომ ბრძანებთ, - დღესაც კი, და ისიც მარტო თბილისშიც, როგორც იშვიათი მარგალიტები, მაინც მოინახებიან: ნყნეთში მცხოვრებ, უმუშევარ კარლო მატიაშვილს 5 შვილი ჰყავს, ინგა და დავით ჭეიშვილებს – 6 შვილი, ნინო და ბესარიონ მენაბდეებს – 8 შვილი, უფროსი 15 წლისაა, უმცროსი — 6 თვის, არქიტექტორებს — ლია ბოკერიას და პაატა შანშიაშვილსაც 8 შვილი ჰყავთ, უფროსი ანა 19 წლისაა, უმცროსი ერეკლე — 2 თვის; ესენი ცხოვრობენ გამსახურდიას პროსპექტზე 35-ში, ოროთახიან ბინაში, ბავშვებისათვის საწოლები მატარებლის კუპესავით აქვთ მოწყობილი, ორ-ორ სართულად...

აი, რა ხალხი უშველის და იხსნის საქართველოს, რათა არ აღიგავოს მიწისა ზედა... თქვენ, ბატონო ანზორ, დემოგრაფიის მთელი დეპარტამენტი გაბარიათ, თქვენ პრეზიდენტთან დაახლოებული პირი ბრძანდებით და იოლად მიგესვლებათ მასთან, ჰოდა, უამბეთ თქმულებასავით ეს საკვირველება და... აღმოუჩინეთ ამ დიდ მამულიშვილებს რაიმე ხელშესახები დახმარება, მათ, ცხადია, უჭირთ. გადაეცით აგრეთვე პრეზიდენტს, რომ უბრძანოს ლევან მამალაძეს, ნუ აწვალებს და ათხოვოს ტრაქტორი სოფელ სიონში მცხოვრებ თორმეტშვილიან ნოდარ ტალიაშვილს, — კაცი მიწას ებრძვის, რათა გამოკვებოს თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახი...

დიახ, ეს იქნებოდა ყველაზე უკეთესი დემოგრაფიული კონცეფცია, რასაც თქვენი დეპარტამენტი შეიმუშავებდა 1999 წელს!

...ბატონი ლეო ჩიქავა, თქვენი არ იყოს, პრეზიდენტის სამსახურშია, მაგრამ მას მაინც ეყო გამბედაობა, ეთქვა: „ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით“ (რაც ნაკლებად სარწმუნოა)...

ჰოდა, მაისში მოსახლეობის აღწერა რომ ჩატარდება, ჩვენს სტატისტიკოსებს ზოგი რამ „არასარწმუნო მონაცემები“, ვაითუ, გაეპაროთ და ეს არა ხალხის, უფრო პრეზიდენტის კარგ გუნებაზე დასაყენებლად...

ოფიციალური ცნობითაც კი, ამ არეულ წლებში საქართველოდან უცხოეთში უკეთესი ცხოვრების საძიებლად 400 ათასი კაცი გადაიხვეწა, მეტწილად – ახალგაზრდობა. ეს რიცხვი თუნდაც სიმართლეს ღალატობდეს და ნაკლებიც იყოს, სამმილიონიანი ერისათვის მაინც ზურგში მახვილის ჩარტყმაა...

დიახ, დღეს ყოველგვარი დემოგრაფიული თეორიებისა და კონცეფციების გარეშე, ეროვნული კატასტროფის წინაშე ვდგავართ, ეს ამბავი კი არც პარლამენტს და არც პრეზიდენტს, მათი უმოქმედობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდად არც ანუხებთ, არც აღელვებთ.

ამ ფონზე, რასაკვირველია, სასიხარულოა, რომ საქართველოში რეგისტრირებული ასი პარტიიდან, შალვა ნათელაშვილის შრომის (ინგლისური ლეიბორისტობა ქართულ ყურს როგორღაც ჭრის) პარტიას ჩვენი საერო უბედურება ახლოს მიაქვს გულთან, მათ საარჩევნო პროგრამაში ვკითხულობთ:

„შემამოთვებელია დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხე, რაც გამოიხატება ქორწინებათა და შობადობის მკვეთრ შემცირებაში, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემოკლებასა და სიკვდილიანობის ზრდაში...“

„მრავალშვილიან ოჯახებს უფასოდ უნდა გამოეყოთ ბინები...“

დიახ, მართალია, შრომის პარტია, თქვენს საყვარელ გამოთქმას თუ დავესესხები, ბატონო ანზორ, მხოლოდ ზედაპირულადაა ჩახედული დემოგრაფიის რთულ საკითხებში, მაგრამ დედისერთა, ერთშვილიანი საქართველო რომ სულს დაფავს, ამას ზედმინევენით გრძნობს.

და თუ შალვა ნათელაშვილი დღეს თუ ხვალ რესპუბლიკაში პირველი კაცი გახდება, დაე, იცოდეს, ნიჭიერ, მაგრამ ეროვნულად უჭკუო ქართველ ხალხს ვერავითარი დემოგრაფიული დეპარტამენტები ვერ უშველიან და ვერც პრეზიდენტის ფიცხელი, ცეცხლოვანი პატრიოტული მოწოდებანი, ჩვენი ხსნა, ასე თუ ისე, შეუძლია მხოლოდ საგანგებო ადმინისტრაციულ ზომებს, რომლებზეც არაერთი სიტყვა აქვს თქმული ერთ არადემოგრაფს თავის ნაწერებში.

თქვენ წერთ:

„1940 წლიდან დაწყებული, დღემდე ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად მცირდება შობადობა.“

მე ამაზე, რასაკვირველია, არ შემოგედავებით, თუმცა ვფიქრობ, შობადობის კლება ჩვენში ბევრად ადრე, ოციანი წლების დასაწყისიდან დაიწყო. მე უფრო, ცოტა არ იყოს, ის მაოცებს, რომ თქვენ ალბათ შუახნის კაცი – დემოგრაფი, ეყრდნობით რა სტატისტიკას („რაც ნაკლებად სარწმუნოა“ – ლეო ჩიქავა), აგრეთვე წერთ:

„1959 წელს ქართველების რაოდენობა 2 მილიონ 600 ათას კაცს უდრიდა, ხოლო 1989 წლის 3 მილიონ 787 ათასს, ე.ი. ოცდაათი წლის მანძილზე ქართველების რიცხვნობა მილიონ ორასი ათასით გაიზარდა“-ო.

ო-ო, ანზორ, ანზორ, ზღაპარია ეს, ზღაპართზღაპარია, თუნდაც 1940 წლიდან შობადობა ერთი პრომილეთიც არ შემცირებულყო.

ოცდაათი წლის მანძილზე მილიონ ორასი ათასი კაცით, მე-19 საუკუნეშიც, როცა რუსეთმა ჩვენი თავი შემოიერთა და გარეშე მტრებისაგან, როგორც იქნა, დავისვენეთ და ღრმად ამოვისუნთქეთ, მაშინაც კი... მილიონ ორასი ათასი კაცით... ერიჰა!

ისე კი, ამ დროის მანძილზე რომ აბორტი მასობრივად არ დაგვრეოდა, ყოველ შემთხვევაში, ერს დღევანდელივით შეიძლება საყოველთაო უბედურება არ შეემთხვეოდა. დიახ, ძირითადად აბორტმა გაანადგურა ქართველი ხალხი, თქვენ კი ამისათვის გონებაზე მომყვან ლექციებს მიკითხავთ, მკიცხავთ, მამუნათებთ, ჰოდა, თუ არ იუკადრისებთ, როგორც უალრესად განათლებული მეცნიერ-დემოგრაფი, წაგაკითხებთ ერთ ამონაწერს, რომელიც ეკუთვნის 70-იან წლებში იოსებ ყორდანას უმცროსი კოლეგის, იმ დროს გამოჩენილი გინეკოლოგის, კონსტანტინე ჩაჩავას კალამს:

„საზოგადოების მრისხანება უნდა დაატყდეს თავს ყველა იმ ვაი-ექიმს, ებორტმახერს, ვინც ანგარებას, მომხვეჭელობას ანაცვალებს ადამიანის ბედს, ერის ინტერესებს. სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს ამ ვაი-ექიმთა რიცხვი მომრავლდა. იატაკქვეშეთა

აბორტმახერები განუზომლად დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს ხალხს. მე მათ ერის მოლა-  
ლატეებს ვუნოდებ და სრულიადაც არ მეშინია ამ სიტყვის დანერა.“

კონსტანტინე ჩაჩავას თუ ამ სიტყვის დანერის არ ეშინია, მე იმის დანერის არ შემეშინდე-  
ბა, რომ პირდაპირ და მოურიდებლად გითხრათ: ჩემი დანაშაული თქვენ წინაშე ის არის, რომ სა-  
ქართველოს უნუგეშო ყოფიერებამ მაიძულა, დრამატურგია მიმეტოვებინა და, თქვენი აზრით,  
„დემოგრაფიული „შავი წიგნი“ დამენერა, რომელსაც თავის დროზე არახელწამოსაკრავმა  
მწერლებმა, ლევან სანიკიძემ და ვლადიმერ ალფენიძემ (რომელთა გვარებს არ ასახელებთ, ალ-  
ბათ შიშობთ, სახელი არ გაუტყდეთ!) ალტაცების სტრიქონები უძღვენეს. ნამდვილმა პროფე-  
სორ-მეცნიერმა, ექვსი შვილის მამამ, გელა ბანძელაძემ კი...

„თქვენ დანერეთ არაჩვეულებრივი წიგნი, რომელიც ღირსია იმისა, რომ ყოველი  
მამულიშვილის ოჯახში იყოს როგორც ძვირფასი განძი.“

თქვენ კი ამ „განძში“ ერთი ნათელი აზრიც ვერ აღმოაჩინეთ და ოცი წლის ჭოჭმანის შემ-  
დეგ ჯაჭვები აიხსენით და გვინწყალობეთ - „დემოგრაფია დრამატურგია არ არის“, რითაც უზო-  
მო შვება იგრძენით, აკი ჭეშმარიტებას აცდენილი საზოგადოება ჭეშმარიტების გზაზე გადმო-  
იყვანეთ. მეც კი თქვენმა წერილმა არათუ უშეცდომო დემოგრაფიაში ჩამახედა, მასწავლა აგ-  
რეთვე, თუ როგორ უნდა ვიცხოვრო უშეცდომოდ. აფსუს, რომ დაგვიანებულია, და მაინც, მე  
ვლოცავ თქვენს მარჯვენას და...

„სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ,  
მუდამ მთქმელი ვარ ამისა,  
ნუ შეგაშინებთ, არ გავნებთ  
მთიდან ყვირილი ხარისა...“

საქართველოში, ო, რა ბევრს უყვარს ჭყუმპალაობა და ყურყუმალი პროვინციალიზმის ჭა-  
ობში!

ბიბლიის ერთ აბზაცს ძველი ებრაულიდან თანამედროვე ქართულზე თუ ავამეტყველებთ,  
ასეთ თარგმანს მივიღებდით:

„ადამიანებს, რომელთაც სძულთ სიმართლე, სძულთ აგრეთვე ის ადამიანები, რომელთაც  
ყოფნით გამბედაობა, თქვან სიმართლე.“

...მადლობა უფალს, რომ ამდენი მაცალა და თქვენდამი ეს წერილი დამამთავრებინა, რი-  
თაც დიდი ტვირთი მოვიხსენი და ახლა შემძლია, თითქოს გულდამშვიდებულმა გეზი მარადიუ-  
ლი სასუფევლისკენ ავილო, თუმცა... სასუფეველში, ამდენი ცოდვით დამძიმებულს, შემიშვებენ  
კი?!

ამ ბარათის თავში ვწერდი, ახლა მას უფრო მოკლედ ბოლოშიც გავიმეორებ: არ ახსოვს კა-  
ცობრიობის ისტორიას – თუ მას დავაპატარავებთ, დანყებული გუტენბერგიდან (ამბობენ, მე-  
15 საუკუნეში ცხოვრობდა) და დამთავრებული დღევანდელ კომპიუტერიზაციამდე, ბეჭდვა-  
დაუმთავრებელი წერილისათვის წესი აეგოთ, მისი ავტორი როგორი სადავებმიშვებულთა არ  
უნდა ყოფილიყო და თავისი დასკვნებით რა შეცდომაშიც არ შეეყვანა საზოგადოებრიობა,  
თქვენ ამ მხრივ საისტორიო პირველობა დაიმსახურეთ, რაც არცთუ მიკვირს, აკი თქვენ სიტ-  
ყვაც გიჭრით და კალამიც... და მე მაინც ვრჩები თქვენი...

რა დროს წყენაა, რისხვის ფრქვევაა,  
როცა ბედი წყდება საქართველოსი!

...დიახ, მე მაინც ვრჩები თქვენი გულითადი პატივისმცემელი, მაგრამ არა როგორც რომე-  
ლილაც დეპარტამენტის თავმჯდომარისა და არც როგორც დოქტორისა (საქართველოში 12  
ათასი დოქტორია!) არამედ...

1979 წელს მე ვწერდი:

„მეტშვილიანობა ქალაქად, მრავალშვილიანობა სოფლად — ეს უნდა იყოს, ეს უნდა გახდეს ერის ქალობისა და ერისკაცობის საზომი! მამულიშვილობის საზომად სხვა არაფერი არ უნდა ითვლებოდეს!“

დიახ, თქვენ, ოთხი შვილის მამა, მამულიშვილი ბრძანდებით.

იყო მამულიშვილი, ეს რომ უმნიშვნელო ამბავი იყოს, მაშინ ქართული ლიტერატურის — დღიდან დასაბამისა! — უპირველესი რომანის, „დათა თუთაშხიას“ ავტორი ახლახან ასე არ გავგეცნობოდა: „უპირველეს ყოვლისა, მე ჯერ მოქალაქე და მამულიშვილი ვარ, მერეღა მწერალი.“

ამ ჩემი საპასუხო ბარათის დასკვნა ასეთია: საქართველო დიდი ხანია, ალყაშია მოქცეული, ჩვენი მტრები ჯერჯერობით მხოლოდ მშვიდობიანი იარაღით — მრავალსულიანი შობადობით გვიტევენ, ჩვენ კი მათ მოგერიებაზე არც ვფიქრობთ, ერთშვილიანობითაც კმაყოფილი და მოხარული ვართ, „ოღონდ კარგად აღვზარდოთ...“

სწორედ ამან აიძულა, ხუთი შვილის დედა ნინო კახიანს ამოეგმინა „საქართველოში უაღრესად მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია საშიშროებას უქმნის ქართველი ერის არსებობას“.

ქართველ ერზე დღევანდელ მზრუნველ მამებს კი, როგორც ჩანს, ასე ჰგონიათ, ერთი ქართველიც რომ შემორჩეს და დალოდავდეს ქართულ მიწაზე, საქართველოს მაინც საქართველო ერქმევა, ამიტომაც აპირებენ ამ ჭირიანობისას, 2000 წელს, ლხინი გადაიხადონ (Пир во время чумы!) — იზეიმონ სამი ათასი წლის სახელმწიფოებრივი არსებობა...

არადა, სიცოცხლე ქართველი ერისა ბენვზე ჰკიდია, მცირე დროის ისტორიის მიხედვით, ხვალ თუ ზეგ — სულსაც გავაცხებთ, რითაც, ო, რარიგ გამხიარულდებიან პირველ რიგში ისინი, ვინაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გიჟ-ვრაცუები შეგვარქვა...

ჰოდა, ნუ გავახარებთ მათ და ნურც სხვა კარზე მომდგარ მტერს!

ახლა მაინც, ა ხ ლ ა მ ა ი ნ ც მივხედოთ საქართველოს და გულსა და გონებაში ჩავინერგოთ, ეგებ რამენაირად ავიცილოთ ბიოლოგიური გადაშენება და დაღუპვა, დ ა ლ უ პ ვ ა . . .

თქვენი მონა-მორჩილი ამის დამწერი კი თუნდ დღესვე დაიფერფლოს, ოღონდ საქართველო ნუ დაიფერფლება...

ნუ, ნუ...

მადლიერების ბრძანებით,  
დემოგრაფიულად თქვენგან განსწავლული

თეგერვალი-მარტი, 1999 წ.

კიტა ბუაჩიძე



## გატონ მიხეილ თუმანიშვილს

*რჩეული თხზულებანი, „ეროვნული მწერლობა“, 2009. 377-383.*

მინანარი:

*გაეგ ზავნა რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილს...*

*შემთხვევით ქუჩაში შეხვედრისას მითხრა, შენი წერილი უნდა გამოქვეყნდეს – დაიბეჭდოსო.*

*არ ვიცი, ამით მე შემაქო თუ ბარათში იმდენი ქება ამოიკითხა საკუთარი თავის მისამართით, რომ ამჯობინა, ეს სხვებსაც გაეგო...*

*ასეა თუ ისე, თუმანიშვილს არც ამის მერე აღძვრია სურვილი, ჩემი რომელიმე პიესა დაედგა.*

*მას ხომ უკვე კარგა ხანია, საკუთარი თეატრი აქვს და რეპერტუარის შერჩევისას არავინ ჰყავს ხელის შემშლელი!..*

*ივლისი, 1984 წელი.*

### მიხეილ გატონო!

ჩემგან ბარათის მიღება, და ისიც ფოსტით, ალბათ გაგაკვირვებს. მაგრამ საქმე ის არის, რომ უკვე რამდენიმე დღეა, წყნეთში სამუშაოდ ამოვედი და... თბილისში ჩამოსვლას გავურბივარ, არა იმიტომ, რომ დროს გაცდენა მენანება, ჰიპერტონია მანუხებს და ექიმები არ მირჩევენ „მალლა-დაბლა, აღმა-დაღმა“ წონიალს. ამას წინათ ჩამოვედი და წნევამ ერთბაშად ისე ამიწია, მთელი ათი დღე ვინექი.

საგარეუბნო კურორტის პირობაზე, წყნეთში ჩინებული ბიბლიოთეკაა, იმდენად ჩინებული, რომ ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ კი აქვთ გამოწერილი. ამა წლის პირველ ნომერს, ვასო კიკნაძის რეცენზიას შენს წიგნზე, მანდ გავეცანი, მეორე ნომერს კი აქ წავაწყდი: შენი თითქმის საპროგრამო სტატია „სცენური სიტყვა“ გულისყურით წავიკითხე, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შენია, მეორეც, იმიტომ, რომ ჭკვიანურადაა დაწერილი.

არ ვიცი, გახსოვს თუ არა და, ვაითუ, ახლა უარზე დადგე, ფაქტი კი არის — ამ ორიოდ წლის წინათ, ქუჩაში შეხვედრისას, მითხარი, — გვიან დავრწმუნდი, თეატრში მთავარი მაინც დრამატურგიააო. შენი ეს წერილი ამ აზრს კიდევ უფრო აღრმავებს და ალბათ ესაა მიზეზი, რომ ასე დიდად მომეწონა.

მართლაც, „სიტყვის ძალა ხომ განუსაზღვრელია!“ სიტყვას თეატრში მოწინებით უნდა მოვეპყროთ. რა თქმა უნდა, მე ვგულისხმობ (ისე, როგორც შენ) არაჩიქორთულ, არა ნაყარ-ნუყარ სიტყვებს, რომლებითაც ბევრი ქართული პიესა დაწერილა და ახლაც იწერება.

ერთხელ აკ. ბაქრაძემ, ამ ფრიად განათლებულმა და გონებამახვილმა კაცმა, მითხრა, საქართველოში არ მეგულება რეჟისორი, რომელიც პიესის ლიტერატურულ ღირსებაში ერკვეოდესო.

მე მას დავეთანხმე თუ არ დავეთანხმე, ამას „საიდუმლოდ“ შევინახავ, და რაკი დრამატურგი ვარ, დრამატურგობა კი, როგორც მოგეხსენება, სამწუხაროდ, დამოკიდებული პროფესიაა და რაკი არ მინდა, ყველა რეჟისორი გადავიკიდო, ოდნავ გასაგონი ხმით წავილულულეებ, - არა, ერთი-ორი მაინც მოინახება, რომ ერკვევა...

თეატრალური საზოგადოების უკანასკნელი ყრილობის ცნობით, საქართველოში 170 რეჟისორია. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ამ რიცხვმა ალბათ იმატა კიდევ და თუნდაც არ ემატოს, ერთი-ორის შეფარდება 170-თან მაინცდამაინც ვერაფერი ნუგემის მომცემია.

წერილში თანამედროვე ქართული თეატრის ერთი დიდზე დიდი სატკივარი გამოგჩენია. თუმცა გამოგჩია, თუ არ გამოგჩია, ამაზე შეიძლება არც დამეთანხმო, რადგან შენი წერილის მთელი პათოსი აკი, — ირიბულად მაინც! — ამ საკითხისკენ არის მიმართული, მაგრამ, მე ვფიქრობ ამაზე არა ირიბულად და არა გადაკვრით უნდა ვილაპარაკოთ, უნდა ვიყვიროთ პირდაპირ და თავგამოდებით! განგაში უნდა ავტეხოთ, ზარები შემოვკრათ...

მეტყველების საოცრად დაბალი კულტურა ამჟამინდელი ქართული თეატრის პირველი და უმთავრესი უბედურებაა, თუმცა... აბა, რა კულტურაზე, თუნდაც დაბალზე, შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩვენს ეგრეთ წოდებულ აკადემიურ თეატრებშიც კი სცენიდან წარმოთქმული სიტყვებიდან ერთ მესამედს საერთოდ ვერაფერს გაიგებ, მეორე მესამედიდან კი დიდი ნვალებით შეკონინებულ, აზრისებურ რალაცას თუ გამოიტან...

განა მსახიობი ეთქმის მას, რომელიც თუნდაც სამსახიობო ოსტატობის ყველა კომპონენტით იყოს აღჭურვილი, დიქციის მხრივ კი სათანადო სიმალლეზე არ იდგეს? სიტყვის გასაგებად წარმოთქმა — ეს ხომ ის ელემენტარული რამ არის, რომელიც სულ პა-ატარა, პატარა მსახიობსაც კი მოეთხოვება?! (არათუ მსახიობს, ეს მოეთხოვება ყველას, ვინც სცენაზე, კათედრაზე, ტრიბუნაზე, საერთოდ, მსმენელის წინაშე გამოდის). ჩვენში არათუ „სულ პა-ატარა“, ბევრი „სახალხოც“ კი დიდად სცოდავს — რალაცას დუდლუნებენ, ჩიფჩიფებენ, ჭყიპინებენ, ბრიხინებენ, ბლიყვინებენ... „ეს უზრდელობააო“ (მაყურებლის მიმართ, ცხადია), — ნერ შენ და სავსებით სამართლიანადაც, მაგრამ ეს „ბუტბუტ-ჩიფჩიფი“ მათ არა „ზედმეტი კულტურით“ და ცუდად გაგებულ „თანამედროვე თეატრისათვის ფეხის აწყობის“ შედეგად მოსდით, ისინი, საერთოდ, ფაქტობრივად, მსახიობები არც არიან. თეატრალური ინსტიტუტის მიერ გზადალოცვილი ასეთი „მსახიობებით“ კი ავსებულია ჩვენი თეატრები! რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებშიც კი, თითოეულში რვა-ათი მსახიობი თუ მოინახება, რომლებიც „ქრისტიანულად“ მეტყველებენ. ჰოდა, ბარაქალა და ვაშა ქართველ მაყურებელს, რომ ქართულ თეატრში მაინც დაიარება!

ქართული თეატრის ამ ტრაგედიაში... დიახ, ტრაგედიაში!.. არა მხოლოდ თეატრალური ინსტიტუტია დამნაშავე (რომელიც, გაკვრით ვიტყვი, რაკი წლების მანძილზე თავის უპირველეს მოვალეობას თავს ვერ ართმევს, კარგა ხანია, მისახურია; მანჯგალაძე, გეგეჭკორი, ყიფშიძე და რამდენიმე სხვაც ბუნებამ დაბადა და შეჰქმნა მსახიობებად და არა ამ ინსტიტუტმა!), დამნაშავეა აგრეთვე ჩვენი რეჟისურაც; უყურებ ხოლმე სპექტაკლს, ზოგჯერ, თუ ცალმხრივად ვიმსჯელებთ, კარგსაც და ძალაუნებურად ფიქრობ: დამდგმელს მთელი თავისი ნიჭი და უნარი სპექტაკლის გარეგნული მხარისათვის, ეგრეთ წოდებულ რეჟისორული „შტუჩკებისა“ და „ნახოდკების“ ძეხნაში დაუხარჯავს, თითქოს უნდოდაო, ამით თავისივე კოლეგები გაეკვირვებინა, ხოლო რაც შეეხება სიტყვას, მივა თუ არ მივა ის მაყურებლის ჯერ ყურამდე და მერე გულამდე, ეს მას არც აწუხებს და არც აინტერესებს.

მაგრამ ამ ბარათის მოწერის მიზეზი, მიხეილ ჩემო, ჩვენს თეატრში არა მხოლოდ სიტყვის (და, მამსადაძემ, ავტორის) სრული უპატივცემულობაა, რაც მე, როგორც დრამატურგს, ცხადია, დიდი ხანია, მალეღვებს, არის სხვა მიზეზიც, უფრო სწორად, ამ „სხვა“ მიზეზმა ამაღებინა, როგორც იტყვიან, ხელში კალამი და მომაძებნინა შენი ფოსტის ინდექსი.

შენ ნერ:

„ხშირია შემთხვევები, როდესაც სტადიონზე მომხდარი ფაქტი ანდა ახალი ანეკდოტი მოულოდნელად კ. ბუაჩიძის ალ. ჩხაიძის ან ნ. დუმბაძის პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში აღმოჩნდება ხოლმე, მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ეს ნიჭიერი მწერლები სრულიად დამშვიდებით შესცქერიან ყოველივე ამას და არავითარ აღშფოთებას არ გამოთქვამენ.“

სწორედ ამაზე იტყვიან, წმინდაო საბაო, საიდან სადაო?!

ამის ნაკითხვისას — რა გასაკვირია! — ჩემს წნევის აპარატში სინდიყი რაკეტასავით ელვისებურად მალა აიჭრა, და რომ დოპეგეტი არა და ფეხები მდულარეში არ მეტუცა, შენგან „ნიჭიერად“ გამოცხადებული მწერალი ფეხებს დამბლადაცემულივით გაჭიმავდა, სული კი მისი რწყილივით გაფრინდებოდა ზეცაში!..

ლენინგრადში ცხოვრობს პროფესორი უგლოვი, ისეთი პროფესორი კი არა, ჩვენ რომ ასობით გვეყვანან ვითომ პროფესორები, ეს მართლა პროფესორია და... ამ მართლა პროფესორმა თავისი ამასწინანდელი სტატია ასე დაასათაურა: „Слово лечит, слово ранит“...

კ. ბუაჩიძე „დამშვიდებით შესცქერისო...“ შე კაი კაცო, ამის ნაცვლად კენედის... შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ, რა ვქნა, მიყვარდა რატომღაც კენედი... ჰოდა, ჩემი სათაყვანო კენედის მკვლევლობა რომ დაგებრალებინა, ეს უფრო მერჩია, ვიდრე... „აღშფოთებას არ გამოთქვამსო...“ მერე და ვინ წერს ამას? რეჟისორი თუმანიშვილი, რომელმაც ოდესღაც ერთი ჩემი პიესა დადგა და მას შემდეგ (მთელი ოცდაერთი წლის მანძილზე!!!), როგორც დრამატურგი,



გვერდით აღარ გამიკარა, რადგან მონა ავტორი არ გამოვდექი, ისეთი, რომელიც ყველაფერზე თავს უკანტურებს რეჟისორებს.

ამ ორი თვის წინათ გია ანთაძეს (არ ვიცი, ვისი მოწაფეა, შენი თუ ალექსიძის?) რუსთაველის თეატრში ჩემი „პლატონი“ უნდა დაენყო, მეც მას – რაკი რეჟისორთა „გილდიაში“ ავყია, თითქმის გადარეული დრამატურგის რეპუტაციით ვარ შემოსილი, — სულ წითელ კვერცხებს ვუგორებდი, აბა, არაფერი ენყინოს, არ შევაშინო-მეთქი და... მე არა და, სხვებმა კი შეაშინეს, — ეგ ისეთი კაცია, თუმანიშვილსაც კი ეჩხუბებოდაო. ანთაძემაც ბევრი აღარ დააყოვნა, პირველი შთაბეჭდილებით თითქოს სანდომ და საიმედომ, და რამაც ყველაზე უფრო მომხიბლა – თითქოს ინტელიგენტმა რეჟისორმა მოულოდნელად ქარაქუცა ალექსიძის ნაცადი ფანდი იხმარა და ვერაგულად მიგვერდა — „პლატონის“ ნაცვლად სპეკულანტი (от драматургии!) გელმანის პიესას მოჰკიდა ხელი (მე ახლა ანთაძის დაკარგვას კი არ ვდარდობ, დასაკარგი უნდა დაიკარგოს! ვნანობ და მივტირი ეროსის, აკი თუ ანთაძე დადგამდა, პლატონს ეროსი ითამაშებდა); ანთაძემ იცის, გელმანი, ცხადია, მოსკოვიდან ჩხუბს არ დაუნყებს, მისი მსგავსი დრამატურგი თუნდაც თბილისში ცხოვრობდეს, არც ის აუტეხდა დავას, ოღონდ თავისი პიესა დადგმულიყო და პროცენტები აეკრიფა. მე კი, მაგალითად, „პლატონი“ ორჯერ წამოვიღე მარჯანიშვილის თეატრიდან, მეორედ იმ დროსაც კი, როცა დეკორაციები უკვე მზად იყო და... მაშასადამე, დავკარგე პროცენტებიც! რატომ? იმიტომ კი არა, რომ „მძიმე ხასიათის“ ავტორი ვარ, სწორედ იმ სცენური სიტყვის უპატივცემულობის გამო, რაზეც ასე მართლაც აღშფოთებით წერ (ამ შემთხვევაში „სცენურ სიტყვას“ ფართო გაგებით ვგულისხმობ – პიესის მთელ დრამატურგიულ ქსოვილს). მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორებზე დანატრებული ვარ და მზად ვარ, ჩემი პიესა თუნდაც რეჟისორის თანაშემწე გაბისიანმა დადგას (ოღონდ – თუ დადგამს ისე, როგორც დამინერია), მე მაინც რუსთაველის თეატრში ორ თქვენს ინსტიტუტდამთავრებულ რეჟისორზე (კახაბრიშვილი, სიხარულიძე) უარი განვაცხადე, რაკი შევატყვე, რომ, როგორც ავტორს, თავაგდებით მიპირებდნენ მოპყრობას.

აკ. ბაქრაძეს ბევრისთვის უთქვამს (შესაძლოა, ერთგვარი „დაცინვის“ მიზნითაც), კიტა ბუაჩიძე ერთადერთი დრამატურგია, რომელსაც ასე ახლოს მიაქვს გულთან თავისი პიესის ბედიო; სხვები კი... ზოგი თეატრში რეპეტიციების პერიოდში ერთხელაც არ შემოიხედავს, ზოგი (პროზაიკოს-„დრამატურგი!“) საკუთარი პიესის პრემიერაზეც არ მოდის, ზოგი კი მოიტანს პიესას და გეუბნება რაც გინდათ, ის უყავით, გინდათ, შეამოკლეთ, გინდათ, დააგრძელოთ, გნებავთ, ორ მოქმედებად, გნებავთ – ერთად, აქედან გინდათ, მიუზიკლი გააკეთეთ, გინდათ – ორატორია, ოღონდაც დადგითო...

ამ ერთი კვირის წინათ აკ. დვალიშვილმა მისაყვედურა, „შენი პიესები თუ არ იდგმება, ისევ შენი ბრალია, დაშინებული გყავს რეჟისორები, „ერთ სიტყვასაც არ შევცვლიო...“ ღმერთმანი, არაა ეს მართალი! არათუ სიტყვას, მთელ პიესას გადავაბრუნებ, თუკი ვინმე გონიერი მრჩეველი გამომიჩნდება.

ჰოდა, ახლა ეს მიბრძანე, როგორ ფიქრობ, ასეთი „შუბლმაგარი“ დრამატურგი სიხარულით შეხვდება მსახიობის მიერ სტადიონზე თუ ქუჩაში ყურმოკრული ანეკდოტის თუ „ოსტრობის“ შეტანას მის პიესაში?! და ის ამის გამო არ აღშფოთდება?! ასე განსაჯე, სადღაც ეჭვიც კი მეპარება, მართლა შენ მომანერე ეს თუ... ეგებ რედაქციაში „იხუმრეს“, „იქ“ სხვა დრამატურგი გყავდა მოხსენებული, მათ კი, მის ნაცვლად, შენდა დაუკითხავად, ჩემი გვარი ჩაბეჭდეს?

არათუ ჩვენში, სადაც მსახიობთა საერთო კულტურა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ცივილიზებული ველურობის დონეზეა, მოსკოვში და ლენინგრადშიც კი თუმცა ეომებიან, მაგრამ მაინც ვერაფერს აწყობენ „Актёрская отсевятина“-სთან. ჰოდა, რა ქნას სანყალმა ავტორმა, ამ შემთხვევაში, ვთქვათ, კ. ბუაჩიძემ, თუკი მის „ავ ძალში“, მაგალითად, ავტორის ფრაზას „მეც ვიყავი“, ჩინჩახელის როლის შემსრულებელი ასე „ამდიდრებს“ - „დაჟე მეც ვიყავი...“ ავარდეს სცენაზე და მსახიობს პირი არტამანით აუკრას თუ... მაყურებელთა დარბაზს შესწივლოს, რომ მას არათუ სცენაზე, ბაზარშიც კი როდესაც ქართულ ენას ანაგვიანებენ, მაშინაც კი ტანში ზიზღის ჟრუანტელი უვლის?!  
„აღშფოთებას არ გამოთქვამსო...“ გამოვთქვი, ბატონო, გამოვთქვი, ამის მოწმედ თვითონ „დამნაშავე“ მსახიობი ბერიკაშვილიც კი დამიდგება, მაგრამ... მერე რა? ძალღი (დრამატურგი!) ყეფს, ქარავანი მიდის!... ვინ არის გამკითხავი?! ერთში კი მართალი ხარ, შეიძლება საჭირო იყო,

იმდენად აღვშფოთებულყავი, რომ სამინისტროს სახელზე განცხადება დამენერა, გთხოვთ, მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარიდან... ამიტომ და ამიტომ... „ჩემი“ სპექტაკლი ამოიღოთ-მეთქი. კი, მაგრამ... ჩემს ამ საქციელს სხვა თეატრები და სხვა რეჟისორები (მათ შორის მიხეილ თუმანიშვილიც!) ვითომ მომიწონებდნენ და წამახალისებდნენ, - არიქა, ჩვენთან მოდი, რაკი ეგეთი პრინციპული ხარ, ჩვენ დავდგამთ შენს პიესასო?! რატომღაც მეეჭვება... უფრო გულმართალი თუ ვიქნები, სულაც არ მეეჭვება. „ნიჭიერიო“, — წერ ჩემზეც, მაგრამ არ მახსოვს, ჩემი ხანგრძლივი, მაინც ასე ვთქვათ, შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე რომელიმე თეატრს, რომელიმე რეჟისორს ან ეკითხოს, ან ეთქვას, - პიესა ხომ არაფერი გაქვს, ხომ არაფერს წერ, ან - დაგვიწერე, მოგვიტანე... (სხვათა შორის, ჩემი „შემოქმედება“ და ჩემი პიესების ამბები კაპელდინერებს უფრო აინტერესებთ, იციან, ხალხი ივლის!). არათუ „მოგვიტანე რამე“, შიშის ზარი იპყრობთ ხოლმე, ვაითუ, რამე მოგვიტანაო. ჩემდა საბედნიეროდ, მე ამაყი კაცი ვარ, მათხოვარი ავტორი არ გახლავართ, თავს არ ვიმცირებ და არავის ჩემი პიესებით თავს არ ვაბეზრებ. მე მგონია, ამას შენც დამიდასტურებ; უარით გასტუმრება, ვისაც უნდა ეხებოდეს ეს, ასეა თუ ისე, მაინც ძნელი მისიაა და მეც ვცდილობდი ხოლმე, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამეყენებინე, თუმცა... თუმცა, რასაკვირველია, შენი, როგორც დიდად ნიჭიერი რეჟისორის, აზრი ყოველთვის მაინტერესებდა. რა დაგიმალაო, ამ აზრს კი ფარული გზებით ვიგებდი კიდეც. მაგალითად, მე ვიცი, რომ ამ ათი-თორმეტი წლის წინათ შენ წაგაკითხეს ჩემი „რვა მოქმედი პირი“ და „პლატონი“: ორივე დაიწუნე! დაიწუნე და... რა თქმა უნდა, შეცდი! („ოი, რა თავხედი ავტორია!“ — „და-ასკვნი“, ცხადია).

მაგრამ „გულს ნუ გაიტეხ“, შენ გამონაკლისს არ წარმოადგენ, მე სია მაქვს შედგენილი იმ მართლა რეჟისორებისა და ვითომ რეჟისორებისა, რომლებმაც უარი თქვეს მათ დადგმაზე, ესე იგი - ფაქტობრივად დაიწუნეს (ზოგმა — „პლატონი“, ზოგმა — „რვა“, ზოგმა - ორივე ერთად). ამ სიაში მასწავლებლებიც ურევია და მათი მონაფეხებიც:

ალექსიძე, სტურუა, ჩხეიძე, ჩხაიძე, ანთაძე, ჟორდანიას, კობახიძე - ერთი (მსახიობ-რეჟისორი), კობახიძე - მეორე („მარტო“ რეჟისორი!) მესხი, განწერელია, ქუთათელაძე, დემეტრაშვილი, კვასხვაძე, სურმავა, პაქსაშვილი, კუჭუხიძე, აბაშიძე...

ალბათ შეამჩნევდი, ამ ბრწყინვალე ელიტაში არ არიან მოხსენებული ლორთქიფანიძე, კაკულია და ხატისკაცი... ამ უკანასკნელმა, საერთოდ, არცთუ ოდესმე იკადრა რომელიმე ჩემი პიესის წაკითხვაც კი (წაუკითხავადაც იცის, - „Хлам!“); კაკულიაც მთელი თავისი უკვე თითქმის ოცდაათწლიანი რეჟისორული მოღვაწეობის მანძილზე ასეთივე „პლატფორმაზე“ იდგა და დგას, — აბა, მისი ცოლის ბიძამ ხეირიანი რა უნდა დაწეროს! (არ ვიცი, ამით ცოლს უფრო ამცირებს თუ მე?!); რაც შეეხება ლორთქიფანიძეს, მან თავის დროზე ორივე პიესა მოიწონა, განსაკუთრებით — „რვა მოქმედი პირი“, დადგმით კი არც ერთი არ დადგა, სამაგიეროდ ყოველ სეზონში დგამს - ვსარგებლობ შენი შეფასებით - ნიჭიერ ალ. ჩხაიძის ყოველ ახალ პიესას, დგამს წინასწარ წაუკითხავადაც, ენდობა კაცი! (მონყალება თუ გაიღო და ჩემი „ავი ძალი“ დაადგმევინა თავის (!) თეატრში - ეს მხოლოდ აკ. დვალისშვილის თხოვნით და მის მოსათაფლავად: იმ ხანებში „დათა თუთაშხიას“ იღებდა და „კინოს თავმჯდომარე“ ესაჭიროებოდა).

ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ გულის მოსაოხებლად კანტიკუნტად „ტრაგიკულად“ თუ წამოვიყვირებ - ოი, დედა, რა ხალხის ხელშია ქართული თეატრი! - გასაკვირია?!

რუსები რომ იტყვიან, без ложной скромности скажу, არც „პლატონი“ და არც „რვა მოქმედი პირი“ არათუ დასაწერი პიესებია, ცოდვია და დიდი უსამართლობა (როგორც ავტორის, ისე მაყურებლის მიმართ), რომ ისინი დადგმის მოლოდინში - ერთი 13 წელიწადს იტანჯებოდეს, მეორე - 17-ს!

მარტო ჩემი მაგალითიდანაც თუ ვიმსჯელებთ, ასეთ პირობებში აბა საიდან შეიქმნება ჟანრობრივად და ხარისხობრივად მდიდარი დრამატურგია, მხოლოდ „ნიჭიერი ჩხაიძის“ პიესები ააყვავებენ ქართულ თეატრს?! თუმცა... ქართული თეატრისა და დრამატურგიის ცისკიდურზე ახალი დიდი ვარსკვლავი გამოჩენილა: თამაზ ჭილაძე!... ამ ამბავს ამ ბოლო დროს ზარ-ზეიმით გვამცნობენ ვასილ კიკნაძე („საბჭოთა ხელოვნების“ ხშირი თანამშრომელი!), ლამარა დოლონაძე, — ბაბუამისი წარსულში! - აზნაურობის მაძიებელი, თვითონ კი ამჟამად - ხარისხის მაძიებელი, რომლის „მოსაძებნად“ „все средства хороши“... მართალია, „აკვარიუმი“, „მკვლელობა“,

„დავინყებულები ამბავი“, — ესენი — სათაურებიც კი! — მათ დამდგმელ რეჟისორებსაც აღარ ახსოვთ, და თუმცა ამ დრამატულ ქმნილებათა შემოქმედს ჯერ კიდევ გამომზეულებული არ ჰქონდა ახალი ქმნილებანი — არც „ბუდე“ და არც „როლი“, მაგრამ ამ დიდად პატივსაცემმა თეორეტიკოსებმა დროულად — ესე იგი სხვებზე ადრე გაითამაშეს მომგებიანი როლები და უკვე გამოაქვეყნეს „თამაზ ჭილაძის დრამატურგია“, „თამაზ ჭილაძის თეატრი“ და სხვა.

Оказывается, в нашей жизни быть редактором журнала — тоже, по-своему, доходное место!

სხვათა შორის, ამ „ახალმა ვარსკვლავმა“ ცეკაში და სამინისტროში ერთი ვაიუშველებელი, ზოგიერთის გადმოცემით კი — პირდაპირ ისტერიკა ატეხა, როდესაც ყური მოჰკრა, რუსთაველის თეატრში ბუაჩიძის პიესის მზადებას იწყებენო, — მე იქ უკვე რამდენიმე თვეა, ახალი პიესა მაქვს მიტანილიო.

და ეს ხდება, იცი, როდის? მარჯანიშვილის თეატრში „ბუდის“ პრემიერის მეორე დღეს!... თითქოს რუსთაველის თეატრი დაიქცეოდა, ამ „დიდ პატრიოტს“ კი არ უნდა, რომ ჩვენი ეს ეროვნული კერა დაინგრეს, თუკი ამ პირველი პრემიერის ტრიუმფიდან (?) მეორე ტრიუმფამდე (ამაში ეჭვს, აბა, როგორ შეიტანს!) სულ რაღაც ორიოდე თვე რომ მოეცადა!.. ანდა, აბა, რატომ მოიცდის, ის ხომ რედაქტორია, სამინისტროს კოლეგიის წევრია, პარტიის წევრია, მწერალთა კავშირის რომელიღაც ინსტანციის წევრია, მოკლედ, დიდი საზოგადო მოღვაწეა და... — რაო? — ბუაჩიძეს რუსთაველის თეატრში რამდენიმე თვე კი არა, რამდენიმე წელიწადია, ათი-თხუთმეტი წელიწადია, პიესა უობდება და... თითქოს მოხდა რაღაც სასწაული და... მის მერე თქვენსას დაუდგამთო?! მით უმეტეს, თქვენი სხვა პიესის პრემიერა ეს-ეს არის, შედგა მარჯანიშვილის თეატრშიო და... სულ ცოტა რომ მოითმინოთ, თუნდაც ელემენტარული ადამიანობისა და პროფესიული კოლეგიალობის გულისთვისო?! ჰმ! რისი კოლეგიალობა, რისი ადამიანობა? ვინ არის ბუაჩიძე?.. ისიც დრამატურგიაო?! დიდი ამბავი! დრამატურგია ხუნწარიაც და მილორავაც!... ასაკს მაინც გაუფნოთ ანგარიში, ჩვენზე უფროსია, სულ ცოტა, თხუთმეტი წლით მაინც? არა!..

ო, ჩვენს დროში რაოდენ ძალას მატებს ადამიანს (!) სახიერო თანამდებობა!

ასევე ეგონა, სხვათა შორის, ამ ოციოდე წლის წინათ ამგვარივე „შემოსავლიანი“ ადგილის მქონე ნამდვილად კარგ პოეტსა და კარგ პროზაიკოსს, რომ ის თუ პიესების წერასაც მოჰკიდებდა და ხელს, ქართულ თეატრსა და ქართულ დრამატურგიას მესიად მოეწვინებოდა და ჩიხიდან გამოიყვანდა... ჰოდა, დაწერა კიდევ იმ დალოცვილმა სამი პიესა და... „სამივე აპატიესა“, თუმცა იმდროინდელმა ათჯერ უფრო დიდი რანგის ბათიაშვილ-დოლონაძეებმა ავტორს უმაღვე ყანგბადის ბალიშები მიაშველეს, — ამ ნოვატორულ პიესებს ნოვატორული თეატრი და ნოვატორი რეჟისორი ესაჭიროებაო...

აღბათ დაინტერესდები ამ, ამჟამად ყოფილი დრამატურგის ვინაობით. გეტყობი, ოღონდ ერთი პირობით: ნოვატორი რეჟისორი შენ ყოველთვის იყავი, მაგრამ საკუთარი ნოვატორული თეატრი არ გქონდა. ახლა გაქვს! ჰოდა, ადექი და მისი რომელიმე ნოვატორული პიესა დადგი შენს სახელოსნოში, რომელიც, სხვათა შორის, მე პირადად სახელოსნოდ კი არა, — და ეს მე არაერთხელ და ბევრგან მითქვამს, თუმცა ვიცი, სხვა თეატრები ასეთი „კრამოლასთვის“ კიდევ უფრო გამრიყავენ, — საქართველოში პირველ თეატრად მიმაჩნია (ესეც უნდა ვთქვა: მეტყველების მხრივ იფნის შოლტი ხანდახან შენს არტისტებსაც სჭირდებათ, ყველას არა, — ზოგიერთს)... დადგი და, ვინ იცის, რაიმე „სამესიო“ ეგებ შენ მაინც გამოგივიდეს. აკი ბერნარდ შოუ ამტკიცებდა: „Пьесы создают театр, а не театр пьесы“, — ნაგვიკითხავს სადმე? თუ ამას პირველად ჩემგან იგებ? ასეც რომ იყოს, ეს სრულებითაც არ მოჰფენს ჩრდილს შენს პროფესიონობას. ადამიანს ყველაფერი არ ეცოდინება. აი, მეც, თავი კაცს „პრაფისორად“ მომაქვს, პირველად კი მოლიერის ეს სტრიქონები შენს წერილში ამოვიკითხე:

„ცნობილია, რომ კომედია იწერება მხოლოდ იმისათვის, რომ ითამაშონ. აი, რატომ ვურჩევთ ამ პიესის წაკითხვას მხოლოდ იმას, ვისაც გამჭრიახი თვალი აქვს და ტექსტის მიღმა შეუძლია, წარმოდგენა დაინახოს.“

ასე მგონია, თავის დროზე შენ რომ ჩემი კომედიები მოლიერის ამ რჩევის მიხედვით წაგეკითხა, მაშინ მათ შეიძლება აღარც დაინუნებდი.

თითქოს ვგრძნობ, ამ სიგრძე უსტარის ნაკითხვამ თავი აგატკივა, მაგრამ რას იზამ, პირიქით – ღმერთს უნდა უმადლო, იოლად გადამირჩი: ჩვენ რომ პუშკინ-გოგოლ-კარატიგინის დროს გვეცხოვრა, თავის მოჭრისათვის („დამშვიდებით შესცქერის... აღშფოთებას არ გამოთქვამს...“) დუელში გამოგინვევდი...

30 მარტი, 1979 წელი  
წყნეთი

„მინც“ შენი გულწრფელი პატივისმცემელი  
კიტა გუაჩიძე

P.S. წერილში ჰაინედან მოგყავს: „...ათენელები ყვიროდნენ: ომი ფილიპეს! სად ეწერებიან ფრონტზე წასასვლელად!“

ორიგინალში ვითომ „ფრონტია“ ნახსენები? რაღაც მეეჭვება. ძველად, მე მგონია, იტყოდნენ: საომრად... ბრძოლის ველზე...



### გატონ აკაკი ბაქრაძის

რჩული თხზულებანი, „ეროვნული მწერლობა“. 2009წ. 373-376.

#### გატონო აკაკი!

იაპონელებს ჩვეულებად აქვთ, არ შესჩივლონ ერთმანეთს თავიანთი სატკივრის შესახებ; თავისებურად ყოველ ადამიანს რაღაც უჭირს და არ ღირს შენი ცუდი ამბით მისი კიდევ შენუხებაო. ეს მართლაც კარგი ჩვეულებაა, მაგრამ რაკი ჩვენ იაპონელები არა ვართ, უნდა გითხრათ, რომ თითქმის მთელი ორი უკანასკნელი თვე მოსკოვის კარდიოლოგიის ინსტიტუტში ვინექი: თბილისში ამ ერთი კვირის წინათ ჩამომიყვანა ერთმა ჩემმა კეთილმა მეგობარმა. ახლა თავს წინანდელთან შედარებით უკეთ ვგრძნობ, მაგრამ მინც შეუძლოდ ვარ და ჯერჯერობით სახლიდან ვერ გამოვდივარ. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ თავის დროზე და პირადი ნახვით ვერ მოგილოცეთ „აღზევება-გადირექტორება“, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, მოსალოცი იმდენად თქვენ კი არა ხართ, რამდენადაც თეატრია. თქვენ მხოლოდ მძიმე, რკინის უღელი დაიდგით კისერზე, მაგრამ ეს, ჩემი ღრმა რწმენით, აჩქარებით და დაუფიქრებლობით არ მოგივიდოდათ, აკი ჭკვიანმა კაცმა იცის, რა შეუძლია და რა არ შეუძლია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვის ერთმა თეატრმა (театр им. Ленинского комсомола) გადანყვიტა ჩემი „ავი ძაღლის“ დადგმა; მთავარი (ლაითაძის) როლი არჩილ გომიაშვილს უნდა ეთამაშა, რეჟისორად კი გ. ლორთქიფანიძე ჰყავდათ მონვეული. ამ თეატრს ძალზე მომცროსცენა აქვს, უფროსი თაობის ნიჭიერი მსახიობები თითქმის სრულებით არ მოეპოვება. ჰოდა, როცა ყოველივე ეს ავწონ-დავწონე, თეატრს ჩემი პიესის დადგმაზე თანხმობა არ მივეცი. ამის გამო ბევრმა გიჟად მიმიჩნია („მოსკოვის თეატრი და... არ მინდა?!“). ამ წლის დასაწყისში ერთმა ახალგაზრად რეჟისორმა (აბესაძემ), რომელიც სტაჟირებას გადის ვახტანგოვის თეატრში „ავი ძაღლის“ დადგმა მოინდომა ცენტრალურ ტელევიზიაში. მე აქაც დამდგმელ რეჟისორს უარი შევუთვალე, თუმცა ვიცოდი, სპექტაკლში ვახტანგოვის თეატრის ბრწყინვალე ძალები მიიღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ, სამწუხაროდ, მე ისიც ვიცოდი, რომ ტელესპექტაკლი ცოცხალი თეატრალური სპექტაკლის შთაბეჭდილების ოც პროცენტსაც არ იძლევა. სულ აგერ ახლა გრიბოედოვის თეატრს სურდა დაედგა ჩემი პიესა „რვა მოქმედი პირი“ („Восемь действующих лиц“), მაგრამ არც ამ ამბავს შევხვდი ალტაცებით: მე ქართველი დრამატურგი ვარ და, ცხადია, მინდა, ჩემი პიესა თბილისში პირველად ქართულ თეატრში დაიდგას. სხვა „უცნაურობანიც“ შემეძლო ჩამომეთვალა ჩემი „შერეკილობის“ დასამტკიცებლად, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია. ყოველივე ამას კი იმიტომ გწერთ, რომ ოდნავ მინც მერწმუნოთ – შემოქმედებით შეიძლება უმ-

ნიშვნელო მწერალი ვიყო, მაგრამ ბუნებით მაინც ნამდვილი მწერალი-მოქალაქე ვარ, რომელსაც კონიუნქტურული მოსაზრებით ერთი სტრიქონიც არ დაუნერია, ფულისთვის არ დახურდა-ვებულა და ცხრა მთავრობის მსახური არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ დალხინებული ცხოვრების გემო თეორიულად მან ყოველთვის იცოდა.

აკაკი ჩემო, არ მინდა, ეს ბარათი „მონყალეა მოილე“-ს შენიღბულ ვარიანტად მიიღოთ; მართალია, ჩვენში თეატრებმა დრამატურგები მათხოვრებად გადააქციეს, მაგრამ მე პირადად ყოველთვის ვცდილობდი, გლახას არ დავმსგავსებოდი, რეჟისორებისა და დირექტორების წინაშე თავი არ დამემცირებინა; შეიძლება ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ უკვე ათი წელიწადია, თბილისში ჩემი თითქმის არაფერი დადგმულა; და საერთოდ, რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე შევნიშნავ, ჩემი ცხოვრების გზაზე თეატრების ხელმძღვანელობის მხრივ თუნდაც ელემენტარული ხელშეწყობა რომ მეგრძნო, მათ რომ ჩემდამი მცირეოდენი ყურადღება გამოეჩინათ (თუნდაც ათასში ერთხელ მაინც ეკითხათ — „ხომ არაფერს წერ?“ „დაგვინერე რამე“), მე ახლა, ხანდაზმული კაცი, არა მხოლოდ რვა პიესის ავტორი ვიქნებოდი (რვიდან სამი დღემდეც დაუდგმელია).

თქვენც კარგად იცით, ნაგავმა მჟავანაძემ თეატრებიც როგორ საარაკოდ დაანაგვიანა, მაგრამ ახლა, პატიოსანი ხალხის სასიხარულოდ, საქართველოში ცხოვრების ყველა დარგში საამო სიამო დაბერა და საქმე ალბათ, ასე თუ ისე, თეატრალურ სფეროშიც გამოსწორდება. მე ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენი დანიშნავ (უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყვოდი, დადგომა) ჩვენი პირველი თეატრის სათავეში ამ დიდ საქმეს ხელს შეუწყობს. მე, რა თქმა უნდა, არ მინდა, გავკადნიერდე და დაგარიგოთ, მაგრამ მაინც შემოგბედავთ (ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი განსხვავება, ძველი ტრადიციით, ამის უფლებას თითქოს მაძლევს, თუმცა ესეცაა, თუ კაცი ახალგაზრდობაში ჭკუანაკლები იყო, სიბერეში იგი ბრძენი ვერ გახდება) და გეტყვით: რეჟისორებს თავზე ნუ დაისვამთ, მათ ქეიფზე ნუ ივლით — „რასაც მინდა, იმას დავდგამ...“ მათმა ასეთმა თავგასულობამ და ხშირად ლიტერატურულმა უგემოვნობამ თეატრს არაერთხელ აჭამა სირცხვილი.

მე უკვე მითხრეს, რომ თქვენ ახლა დრამატურგები და „დრამათურგები“ კარზე მტვერს გიყენებენ. შეიძლება თავს ვიტყუებდე, მაგრამ მაინც მგონია, მიუხედავად თქვენი საერთოდ კრიტიკული სიმკაცრისა, მე დრამატურგად მაინც მთვლით უწინწკლებოდ და თუ ეს მართლაც ასეა, და თანაც, დირექტორად ყოფნას თუ დიდხანს აპირებთ, მაშინ იგულისხმეთ, რომ კ. ბუაჩიძესაც შეუძლია, თქვენი თეატრის რეპერტუარისთვის ცოტა რაღაც სასარგებლო გააკეთოს. მე-პატიოს, თუ ნავიტრაბახებ: ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სადმე, რომელიმე თეატრში ჩემი პიესა ჩავარდნილიყოს, როგორადაც ცუდად უნდა დაედგათ იგი.

ამას წინათ გაზეთში „პუბლიცისტური მოთხრობა“ „მშვიდობით, არჩილ!“ ნავიკითხე. ის ალბათ არც თქვენ გამოგეპარებოდათ, ოღონდ არ ვიცი, მიაქციეთ თუ არა ყურადღება: ავტორი გვარწმუნებს, რომ ეს მოთხრობა დაწერა მან... 1968 წელს. დაწერა და... უჯრაში შეინახა. ჰმ! ბევრი ახლა ასე ურცხვად ითბობს ხელს უკანა რიცხვით: „ვებრძოდით...“ ჩემი „პლატონი კი 1966 წელს დაიწერა. 67 წლის მარტში იგი ბათუმის თეატრში დადგეს ცენზურულად აჩეხილ-დაჩეხილი, მიჭრილ-მოჭრილი, მაგრამ ბათუმელ პლატონებს ამ სახითაც ის მანკიერად მოეჩვენათ და სპეციალურად კაცი აფრინეს ცეკაში: ვინ მისცა ამ პიესას დადგმის ნებართვაო. რა ვქნა, სიმართლეს ვერ დავუკარგავ – მაშინ დევი სტურუამ (მისი ბიძაშვილები ჩემი ყმანვილობის დროინდელი მეგობრებია) ამ „კრიმინალს“ წაუყრუა, მაგრამ ადგილობრივმა პარტიულმა ელიტამ პიესა მაინც ამოიღო რეპერტუარიდან. ალბათ გახსოვთ, სწორედ იმ ხანებში, ეყრდნობოდა რა თქვენს დადებით რეცენზიას, ხუტა აპირებდა „პლატონის“ დაბეჭდვას „ცისკარში“, მაგრამ დალოცვილმა იმდენ ხანს აძალდა, რომ იგი ახალ რედაქტორს დარჩა მემკვიდრეობად; ამ უკანასკნელმა კი ჩემი ახლო, ნაცინხარი მეგობრის შვილის — ემზარ კვიციანიშვილის ხელით „მომართვა“ უკან – თავს ვერ გავწირავო. სულ აგერ ახლა – წლინახევრის წინათ „პლატონი“ რუსთაველის თეატრის რეჟისურამაც თავზე გადმომახალა ისე, რომ არც ისურვა, შეეტყობინებინა დაწუნების მიზეზი: „კრამოლობის“ თუ მხატვრული უსუსურობის გამო. აი, ეს არის ჩვენი კულტურა...

ორიოდე კვირის წინათ საქართველოს პარტიული აქტივის კრების ანგარიშში ნავიკითხე: „...იხრწნებოდა ზნე-ჩვეულებანი, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თვალში შეიცვალა კომუნისტისა და ნამდვილი ადამიანის შეფასების კრიტერიუმი.“ „...მოყვანილი იყო მთელი რიგი მაგალითები, როცა ზოგიერთი ხელმძღვანელი და იდეოლოგიური მუშაკის სიტყვა და საქმე ერთი არ არის“ „...მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შეილახა მეცნიერების მა-

ლალი წოდება.“ „...მოხდა სამეცნიერო ხარისხების ერთგვარი დევალვაცია“. ყოველივე ამას, აბა, რომელი ჩვენგანი ვერ ამჩნევდა, მაგრამ ამ საკითხებს ლიტერატურაში მე შევეხე პირველად; იმ დროს, როცა ბევრი სხვა გუნდრუკს უკმევდა მჟავანაძეს – საქართველოს დამლუპველს და დამაქცევარს, მე მას „პლატონში“ დუმკოფაძე შევარქვი (**Dumkopf** – უჭკუო, სულელი, შტერი), ჩემი პიესების რუსული თარგმანი კი ერთი წლის წინათ გამოვიდა, როცა ვასილა რესტორნებამშენებელი ტახტზე ჯერ კიდევ ხონთქარივით იყო წამომჯდარი. ამისათვის მე ახლა არც პრემიას მოვიტხოვ, არც ორდენს, არც თანამდებობას – ღვთის მადლით, არც ერთი ამათგანი ჩემი ოცნების საგანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ნუთუ იმის ღირსი არა ვარ, რომ პიესა, რომლისთვისაც ასე ვენამე, ახლა მაინც დაიდგას, თუნდაც დაგვიანებით, ცოტათი მაინც რომ გავიხარო? (მთელი ჩემი ავადმყოფობა დრამატურგიასთან დაკავშირებული გაუთავებელი ნერვიულობის ნიადაგზეა აღმოცენებული; იგი კიდევ უფრო მეტად რომ არ განვითარდეს, ამისათვის პირველ რიგში წამლები კი არა, დადებითი ემოციებია საჭიროო, — გამაფრთხილა საავადმყოფოდან გამონერისას ჩემმა მკურნალმა ექიმმა, ოღონდ ეს არ უთქვამს: სად ვიშოვო ეს დადებითი ემოციები? იყიდებოდეს მაინც!).

ამჟამად „პლატონის“ დადგმას თითქოს მარჯანიშვილის თეატრი აპირებს, მაგრამ მე მაინც რატომღაც მგონია, ეს პიესა რუსთაველის თეატრს უფრო მოერგებოდა (თითქოს თვალნათლივ ვხედავ: პლატონი – მანჯგალაძე, ცუცა – ყანჩელი, ანგელინა – ჩახავა, კალისტრატე – ჩხიკვაძე, ბექირბი – გ. გეგეჭკორი); ილბლიანი ავტორის უღიმღამო პიესას ზოგჯერ ერთდროულად ცხრა თეატრი დგამს და ჩემი პიესა, რომელიც ასე ზედმინევენით ეხმაურება დღევანდლობას, ორმა თეატრმა რომ დადგას, ამით არაფერი დაუშავდებათ არც თეატრებს და არც მაცურებლებს. მე გთხოვთ, ერთხელ კიდევ წაიკითხოთ „პლატონი“ – ამჯერად თუნდაც რუსულად (როცა „იმ“ ნიგნს გიგზავნიდით, იცის ღმერთმა, ფიქრადაც არ მომსვლია, რომ თქვენ როდისმე თეატრის დირექტორი გახდებოდით). წაიკითხეთ აგრეთვე „ეზოში ავი ძაღლია“. ეს პიესა თუმცა ოცი წლის წინათ დაიწერა, დღესაც ოდნავაც არ მოძველებულა. იგი ამ ჩვიდმეტი წლის წინათ დაიდგა. დაიდგა ცუდად – რეჟისორმა (გ. პატარაია) თავი ვერაფერს მოაბა, მერე მას დამხმარე ბრიგადა მიაშველეს, ბრიგადული მუშაობა კი ხელოვნების დარგში თუ რა შედეგს იძლევა, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. სხვათა შორის, „ავი ძაღლის“ აღდგენაზე იყო ხოლმე ლაპარაკი თეატრში, მაგრამ თუ ეს საკითხი ახლაც დაისმება და დადებითად გადაწყდება, იგი კი არ უნდა აღდგეს, ხელახლა უნდა დაიდგას ახალი რეჟისურით და ახალი შემსრულებლებით.

ძალიან გრძელი წერილი გამომივიდა, სამაგიეროდ გული მაინც მოვიოხე (ესეც „დადებითი ემოციია!“) და თუ ამ ბარათს ჩემთვის არავითარი სასიამოვნო შედეგი არ მოჰყვება, ღრმა პატივისცემის ის გრძნობა, რომელიც თქვენდამი მუდამ მქონდა და მაქვს, მაინც არ შემინელდება; შეხვედრისას ყოველთვის ხალისით მოგესალმებით, ოღონდ თუ ცოტას ჩავიქირქილებ და გულში ვიტყვი, „სელია ვი“, ამას, იმედი მაქვს, საწყენად არ მიიღებთ: რაც უნდა იყოს, მე მაინც „მეკომედიე“ ვარ...

12 მაისი, 1973 წ.

კიტა ბუაჩიძე

P.S. გიგზავნით „დოკუმენტებს“ ზოგიერთი ჩემი აზრის „გასამაგრებლად“:

1. წერილებს ამასწინანდელი გაზეთებიდან, რომლებიდანაც ჩანს, რომ ჩვენში ავი „ძაღლები“ „აქა-იქ“ კიდევ იკბინებიან

2. „Сов. культура“-ს, საიდანაც ჩანს რომ ჩემი პიესა მართლაც მზადდებოდა მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში.

3. ჟურნალ „Литературное обозрение“-ს, სადაც დაბეჭდილია ვ. კისუნკოს რეცენზია ჩემს ნიგნზე; აქ კი უნდა ენდოთ ჩემს ლიტონ ფიცს: ზოგიერთივით ეს რეცენზია არ „ჩამინყვია“, მისი ავტორის სქესიც კი მოგვიანებით გავიგე: თურმე კაცი ყოფილა, ესთეტიკის სპეციალისტი, ამხანად მუშაობს ამ ჟურნალის კრიტიკის განყოფილების გამგედ. რა დაგიმალოთ, თავის დროზე ამ პატარა სტატიამ დიდად გამახარა: უცნობი კრიტიკოსის ტკბილი სიტყვა ნაცნობისაზე ბევრად ტკბილი ყოფილა.

მადლობელი ვიქნები, ჟურნალსა და „Сов. культура“-ს თუ დამიბრუნებთ.

**მინაწერი:**

აკ. ბაქრაძემ, საერთოდ ნიჰილისტურად განწყობილმა უეჭველად ნიჭიერმა კრიტიკოსმა, ჩემი ეს ბარათი უპასუხდ დატოვა; იმ ხანებში „პლატონის“ დადგმა ფიქრადაც არ მოსვლია; მხოლოდ ამ ერთი წლის წინათ, როცა მისმა დამნიშვნელმა აკაკი დვალიშვილმა სთხოვა („სირცხვილია, კიტა ბუაჩიძეს პიესა ჰქონდეს დასადგმელი და არ იდგმებოდეს!“, მიექცია ჩემი პიესისთვის ყურადღება, ამ სეზონის რეპერტუარში შეიტანა, მაგრამ დამდგმელი რეჟისორი არავინ გამოჩნდა. სტურუამ უარი თქვა, რაკი იცის, რომ მე ისეთი ავტორი არა ვარ, რომ ჩემი პიესის თავდაყირა დაყენების უფლება მივცე, ნავაბილწინო იგი, როგორადაც ნაბილწა მან „ყვარყვარე თუთაბერი“, „ლალატი“... თემურ ჩხეიძეც ყოყმანობს თურმე, აკი მისი არაერთხელ უაპელაციო განცხადების მიხედვით - „ქართული დრამატურგია ძალიან სუსტია“. ჰოდა, აბა, თავს როგორ დაიმცირებს კ. ბუაჩიძის პიესის დადგმით!

ორივე ამ რეჟისორს აქამდე არაერთი ნაგავი დაუდგამთ და არავის მათთვის ამის გამო რეჟისორობა არ ნაურთმევია, ჩემი „ნაგავის“ დადგმაზე კი თავს რატომღაც თავგამოდებით იკავებენ, მიუხედავად იმისა, რომ სტურუას მამა – რობერტი – ჩემი ყმანვილობის დროინდელი მეგობარია. ბიძაც და მამიდებიც ჩემი ახლობლები არიან, თემურის დედ-მამა კი – ნოდარ ჩხეიძე და მედეა ჩახავა – სწორედ ჩემს „ავ ძალღში“ გამობრწყინდნენ განსაკუთრებით (ჩინჩახელი და სარე)...

16 მარტი, 1986 წ.

კიტა ბუაჩიძე



**ქართული ეროვნული თვითშეცნობის ასოციაციის  
თავმჯდომარე ჯ. ღვინჯილიას**

**რჩეული თხზულებანი, „ეროვნული მწერლობა“, 2009 წელი, 384.**

**ბატონო ჯანსუღ!**

ერთმა დამსწრეთაგანმა გადმომცა, რომ გუშინ ქართული თვითშეცნობის ასოციაციის კრებაზე ვილაცას ჩემი თავი დაუსახელებია ამ ასოციაციის საპატიო წევრობის კანდიდატად და თქვენ, როგორც თავმჯდომარე, ამ წინადადების წინააღმდეგი არ წასულხართ.

მადლობას მოგახსენებთ ჩემდამი ასეთი კეთილმოსურნე წყალობის გამოჩენისთვის, იმ ვილაცას კი ბოდიშს ვუხდი ვილაცობით ხსენებისათვის: გვარი მისი, სამწუხაროდ, ვერ დამისახელებეს... ვფიქრობ კი, მე მას ალბათ ძალზე შორიდან ვეცნობი და არ იცის, რომ მისი ეს „საპატიო კანდიდატურა“ არასოდეს არ მიიღტვოდა რაიმის წევრობისაკენ — არც კომკავშირის, არც პარტიის, არც კოლმეურნეობის, არც უღმერთოთა და არც აწ განსვენებული რემედასისა (რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება)... და თუ იგი ამჟამად მწერალთა კავშირის, ფაქტობრივად, მწერალთა ამ პროფკავშირის წევრი მაინც არის, ეს აიხსნება საბინაო დავთარში ჩანერის აუცილებლობით.

კარგი ქართულით თუ მათქმევინებთ, ა ქ ე დ ა ნ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე , გ თ ხ ვ თ, გამომიყვანთ თქვენი ღირსპატივსაცემი ასოციაციის წევრობიდან – სულ ერთია, იგი საპატიო იქნება თუ რიგითი, მით უმეტეს, რომ ასეთი ასოციაცია მე პირადად გულზე მაინცდამაინც არცთუ ისე მეხატება და ეს ქვეცნობიერად შეიძლება იმიტომ, რომ ქართული ეროვნული თვითშეცნობა ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1871 წლის 9 აგვისტოს შეიცნო:

„ჩვენისთანა ბედნიერი,  
განა არის სადმე ერი?!  
... ყველა ყრუი,  
ყველა ცრუი,  
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი?  
მცირე, დიდი,  
ყველა ფლიდი,  
ცულლუტი და მანკიერი.“

დასასრულ, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მოგაგონოთ, რომ რამდენიმე წლის წინათ, როცა თქვენ ჟურნალ „ცისკრის“ ყოვლისშემძლე, ერთხელისუფლებიანი რედაქტორი ბრძანდებოდით, მე გამოგიგზავნეთ დასაბეჭდად „საით მიექანება ქართული თეატრი?!“ და მასთან ერთად ორგვერდიანი პირადი ბარათიც გაახლეთ.

თქვენ „თეატრი“, ალბათ როგორც კრამოლა, არ მიიჩნიეთ გამოქვეყნების ღირსად და არც ჩემს თავაზიან ბარათზე მიპასუხეთ არც თავაზით, არც უთავაზოდ...

და ეს თითქოს არც გაგემტყუნებთ: ასეთია სადღეისოდ ჩვენი ქართული ეროვნული, კერძოდ, საურთიერთობო თვითშეცნობის მაღალი კულტურა!

კიტა ბუაჩიძე

28.03.91 წ.





## Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву.

книга: Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву и другие послания с картинками в черно-белом цвете, „Ганатлеба”, 1989, 5-187

*Американское гостеприимство беспредельно и далеко оставляет позади все возможное в этом роде, включая гостеприимство сибирское или грузинское.*

**И. Ильф, Е. Петров.**  
«Одноэтажная Америка».

### ЗДРАВСТВУЙТЕ, ВИКТОР ПЕТРОВИЧ!

Ровно полвека назад по приглашению Союза писателей приехал в Страну Советов знаменитый в то время французский писатель Андре Жид, автор романа «Фальшивомонетки».

Приехал он в сопровождении молодых писателей, и все они, что и говорить, были встречены у нас сначала с истинно сибирским, а потом и грузинским гостеприимством.

В Москве высокого гостя и его спутников возили на машине М-1 по фабрикам и заводам, только что построенным или еще находившимся в лесах новостроек.

В отличие от Ромена Роллана, прибывшего в столицу уже больным человеком и, наверно, поэтому редко покидавшего дом и дачу Максима Горького, Андре Жид сравнительно скоро, уже через день-два, изъявил твердое желание без какого-либо сопровождения с нашей стороны ознакомиться с Москвой, без гида походить по ее улицам и закоулкам...

И вот однажды, во время такой пешей прогулки, в компании своих французских друзей он вдруг услышал урчание в собственном животе, и во избежание той неприятности в брюках, какая порою случается на фронте с новобранцами под градом пуль, ему до жути захотелось воспользоваться, говоря простым русским языком, нужником, а если возвышенным французско-нижегородским – туалетом, но...

Хотя находился он в те тревожные минуты почти в самом центре города, – ни нужника тебе, ни туалета!

А катастрофа, о, это, явно чувствовал 67-летний старик, надвигалась, как лавина...

К счастью, какая-то древняя старуха, проходившая мимо, услышав французскую речь, пришла на помощь: она, словно княгиня Марья Васильевна из «Хаджи-Мурата», на превосходном французском языке объяснила им, что стесняться нечего – все мы люди, а такое крайне нужное и, стало быть, высокоуважаемое заведение находится в районе Арбата, в начале Гоголевского бульвара...

И вот, наконец, как-то добравшись до этого заветного уголка, многострадальный мусье (месье, мсье?) Андре с дрожащими коленками направился к кабине, но... Право, не знаю, как назвать, заведующим, директором-распорядителем или просто служителем, – преградил ему дорогу человек в косоворотке с рулоном квитанций, потребовав за пользование плату в 20 копеек (по нынешнему курсу 2 копейки)! Но у Жида, как назло, советской монеты не оказалось, и он протянул чуть ли не золотой франк, лишь бы поскорее впустили, как ему тогда казалось, в этот запретный рай...

И когда он вышел на улицу всесторонне облегченный и в смысле желудка, и в смысле кармана, свободно и глубоко вдохнул тогда еще чистейший московский воздух (в то время машин было мало!), на его тонких, выразительных французских губах словно заиграла какая-то оптимистическая песенка из фильма «Под крышами Парижа», которую наши мастера по дубляжу, вероятно, подогнали бы под слова Лебедева – Кумача из кинокомедии «Веселые ребята»:

Как хорошо на свете жить!..

საქართველოში ამჟამად რუსთავის თეატრი ერთადერთი თეატრია, რომელიც ჯერჯერობით არავის სახელს არ ატარებს.

... და როცა მას, თქვენი მეცადინეობით, ალ. სუმბათაშვილის სახელს მიაკუთვნებენ, ჩემი სურვილი იქნებოდა, ამ თეატრის ფოიეში გამოეკიდათ და აფიშაზე ემბლემის სახით მოეთავსებინათ სუმბათაშვილის ის პორტრეტი, რომელიც მოყვანილია თქვენს წიგნში, ასორმოცდამეცხრე გვერდის წინ: ამ ფოტოზე მას წმინდა ქართული სახე აქვს, სახე ძველი დროის ქართველი ვაჟკაცისა და თუ თქვენ, როგორც ხელმძღვანელ პარტიულ ამხანაგს, არ გეხამუშებათ პირად ბარათში მაინც ამ სიტყვის საქებარ კონტექსტში ხსენება, - კეთილშობილი თავადისა!..

(რაკი სიტყვამ მოიტანა, თქვენ, სამწუხაროდ, არსად არ წერთ, რომ სუმბათაშვილი ერთადერთი ბრწყინვალე ჩამომავლობის თავადი იყო, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი რუსული დრამატული თეატრის სცენაზე).

მე რატომღაც ვფიქრობ, რომ ახლო მომავალში თქვენი წიგნი ხელმეორედ გამოიცემა და ეს ასეც უნდა მოხდეს: ამ წიგნს ბევრზე ბევრი ქართველი უნდა გაეცნოს, იგი ერთგვარად ხელს შეუწყობს ჩვენში ფაქტობრივად უკვე თითქმის სულ მიკარგული ეროვნული გრძნობის გაღვივებას...

თქვენი წიგნი ისეთი წიგნია, რომელშიც ვერ უნდა მოინახოს სულ მცირეოდენი ნაკლიც კი. ამის მიღწევა მეორე გამოცემისათვის სულაც არ იქნება ძნელი, აკი იგი უკვე ახლაც ასეთი არის კიდევ, ოღონდ აქა-იქ, მართლაც აქა-იქ მაინც მოინახება სხვადასხვა სახის, თუ შეიძლება ასე ითქვას, უსწორობა-უზუსტობანი.

მე ისინი სიყვარულით ჩამოვწერე... სიყვარულით-მეთქი და ამას, მე მგონია, ჭკვიანი ავტორისათვის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ავტორი, აბა, რის ავტორია, თუ თავი არ დაიცვა, ამიტომაც ჩემი შენიშვნებიდან ზოგი შეიძლება არამართებულად, მიუღებლად მოგეჩვენოთ, ზოგი კი — უმნიშვნელოდ და ანგარიში არც გაუწიოთ, ზოგიერთისთვის კი, ჩემი აზრით, ანგარიშგაუწეველობა სიბრძნის მაჩვენებელი სულაც არ იქნებოდა...

1. მთელ წიგნში იშვიათად შეხვდები ისეთ გვარს, რომელსაც სახელის ინიციალი არ უძლოდეს... „ა. იუჟინი“, „ნ. ეფროსი“, „ა. ოსტროვსკი“, „მ. ერმოლოვა“, „ა. ლენსკი“...

ასეთ თავაზიანობას თქვენ ერთგან, ასე განსაჯეთ, პიესის პერსონაჟისადმიც კი იჩინთ: „გ. ოტრეპოვი“ (გვ. 198)... ეს ღლის თვალს და, მერწმუნეთ როგორც საკმაოდ კვალიფიცირებულ მკითხველს მაინც, აძნელებს კითხვის პროცესს.

პირველ გაცნობისას, დასაწყისში, ცხადია, ახალ პირს უნდა გავეცნოთ სრული სახელით და თუკი ის რუსია, მამის სახელითაც, მაგრამ მერე და მერე კი ეს სრულიად ზედმეტია და უამისობა მკითხველის თვალში ოდნავაც არ ამცირებს მათ პიროვნულ ღირსებას, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი უთვალავჯერაც კი არის დასახელებული.

კერძოდ, ამ წიგნში და, საერთოდ, ბუნებაში კიდევ რომ იყოს სხვა „ა. იუჟინი“, სხვა „მ. ერმოლოვა“, მაშინ – კი, ბატონო!..

ეფროსს კი „დაგითმობთ“, რადგან ნ. ეფროსის თითქმის თანამედროვე იყო მეორე, ასევე დიდად ცნობილი ეფროსი – აბრამი.

2. შესამჩნევი აღრევაა გვარების – სუმბათაშვილისა და იუჟინის ხსენებაში... ჩემი აზრით, უფრო მართებული იქნებოდა „იუჟინი“, როცა ეს ეხება მის მსახიობობას, სასცენო მოღვაწეობას, დანარჩენ შემთხვევაში კი – სუმბათაშვილი...

აბა, ბრძანეთ, ორასმეცამეტე გვერდის წინ მოთავსებულ სურათს – „ა. იუჟინი სტუმრად თბილისში თავის ნათესავებთან. 1924 წ. – უფრო არ მოუხდებოდა „ალ. სუმბათაშვილი სტუმრად...“ ის ხომ თავის ქართველ ნათესავებს შორის იმყოფება! ზოგიერთი მათგანი, შესაძლოა, გვარად სუმბათაშვილიც არის!

სამწუხაროდ, ან არ წამიკითხავს, ანდა აღარ მახსოვს გ. ბუხნიკაშვილის ნაშრომი სუმბათაშვილზე და თუ თქვენ პირველი ბრძანდებით, ვინც ეს სურათი და მოსე ჯანაშვილისადმი მიმართვა სუმბათაშვილის ფაქსიმილეთი გამოაქვეყნა, აფერუმ თქვენს ავტორობას!

3. თქვენ რევოლუციამდელ თეატრალურ მოღვაწეებს, თეატრალურ კრიტიკოსებს – ეფროსს, კუგელს, ამფითეატროვს და ბევრ სხვასაც თეატრმცოდნეებად იხსენიებთ...

ჩემი ღრმა რწმენით, ეს სწორი არ არის. „თეატრმცოდნე“ ახლად შემოღებული, ჩვენი დროის სიტყვაა, სხვათა შორის, ამასაც ვიტყვოდი, – ერთობ უხეირო პრეტენზიულიც, ისე, როგორც ბევრი სხვა „მცოდნეც“, ამიტომ, მე ვფიქრობ, დიდად აჯობებდა ამ „ძველებს“ მაინც თუ შეუნარჩუნებდით ყველგან, მთელ წიგნში იმ „წოდებას“, რომლითაც მათ იმდროინდელი საზოგადოება იცნობდა და თავადაც ასეთად მიაჩნდათ თავი: თეატრალური კრიტიკოსი.

4. მიახლოებით ასევე შეიძლება ითქვას „ნამყვანზეც“. ესეც ახალი, ჩვენი დროის სიტყვაა, რომელიც რუსულთან შედარებით (Ведущий) ქართულად უგვანოდ და სასაცილოდაც კი ისმის... „მცირე თეატრის ნამყვანი მსახიობი მ. ერმოლოვა...“ „სამიოდე ადგილას თვითონვე გაქვთ მონახული ამ იდიოტური „ნამყვანის“ „ქრისტიანული“ შესატყვისი: მცირე თეატრის ერთ-ერთი პირველი მსახიობი... დიდი მსახიობი... აკი თავად იუჟინიც წერს (გვ. 99): „ამ როლმა განსაზღვრა ჩემი შემდგომი ნაბიჯები, მისით გავხდი პირველი მსახიობი“, და არა ნამყვანი... ორთქლმავალი!.. (ამ „ორთქლმავალზე“ გაკვირვებით უკვე ვწერდი „საით მიექანება ქართულ თეატრში“).

მეორასე გვერდზე ასეთი ფრაზა ამოვიკითხე: „...ამ პერიოდში მცირე თეატრს არსებითად არ ჰყავდა ნამყვანი დამდგმელი რეჟისორი...“ ეს ფრაზა სასხვათაშორისოდ მომყავს; თქვენ, დავით ბატონო, როგორც ჩანს, ახლახან დამკვიდრებულ, ამასაც ვიტყვოდი, სულელურად დამკვიდრებულ გაბუქვის ანკესს წამოეგეთ: აბა, რა არის ეს... „დამდგმელი რეჟისორი, დამდგმელი მხატვარი“? რეჟისორი უკვე თავისთავად გულისხმობს დადგმასა და დამდგმელობასაც, თუკი იგი, რასაკვირველია, თეატრში იღვწის და არა თვეობით შინ არაბულ დივანზეა ხონთქარივით წამონოლილი...

საერთოდ კი, იმ დროს არათუ „დამდგმელი რეჟისორი“, „მთავარი რეჟისორიც“ არ ჰყავდა თეატრს; რეჟისორის ფუნქციას, ფაქტობრივად, სპექტაკლში მონაწილე მთავარი როლების მოთამაშენი ასრულებდნენ.

5. ჩემი აზრით, წიგნში აღრეულია სახისა და როლის გაგება, ისინი გაიგივებულნი არიან... მეხუთე გვერდზე ვკითხულობთ: „255-ზე მეტი მხატვრული სახე შექმნა ა. სუმბათაშვილ-იუჟინმა თეატრის სცენაზე. დიახ, 255—ზე მეტი!“

ეს საზღაპრო ფანტასტიკაა!

ამდენი სახე (Однак) ერთ მსახიობს კი არა, რა გენიალურიც უნდა იყოს იგი, რომ დავთვალთ, ტალმა-კინ-ელეონორა დუზე-სალვინ-სარა ბერნარდინი და ნანკებულის, დღევანდელი ოლივიე – მელვინეთუხუცეს — ულიანოვით დამთავრებული, ყველა ესენი ერთ გუდურადაც რომ შევკრათ, ამათაც არ ექნებათ შექმნილი.

და ეს უფრო იმიტომაც, რომ ამდენი სახე თავად დრამატურგიაშიც, სოფოკლედან კაკაბაძემდე, ჯერ არც შექმნილა!..

დიახ! ჰამლეტი სახეა, მაგრამ როზენკრანცი როლია; ოტელო და იაგო სახეებია, მაგრამ როდერიგო და ემილია მეტ-ნაკლებად მხოლოდ კარგი როლებია...

ვფიქრობ, დამეთანხმებით, აკაკი ხორავაც დიდი დიპაზონის მსახიობი გახლდათ, მაგრამ მის მიერ შექმნილი სახეები ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება: იჩო, ანზორი, კარლ მოორი, დიდი ხელმწიფე, ოტელო, ასე თუ ისე, ბერსენევიც... ჰოდა, აბა, კიდევ რომელს დაუმატებდით? არსენას? პლატონ კრეჩეტს?.. პიესა კი რამდენი აქვს ნათამაშევი, ჩამოთვლითაც კი დავიღლებოდით.

რა სახეები უნდა შეექმნა იუჟინს ნეჟინ-შპაჟინსკის, კრილოვ-პოლევოის პიესებში?

უხეირო როლს თავისი დიდი არტისტული მომხიბვლელით და მის მათავყანებელ მაყურებელთა მხარდაჭერით, როცა პატარაც დიდად მოგეჩვენება, დროებით და ისიც ცოტათი, სულს კი ჩაჰბერავდა, მაგრამ მეტს ვერაფერს მოუხერხებდა.

იუჟინს 255 სახე კი არა, ათიოდეც რომ შეექმნა, მაინც ვეებერთელა მსახიობის კვალს დატოვებდა რუსული თეატრის ისტორიაში.

საერთოდ, დიდი რეჟისორის ან დიდი მსახიობის სახელი რომ მოიპოვო, ამისათვის, როგორც ჩვენი ცხოვრება გვიჩვენებს, სულ რამდენიმე გამორჩეული სპექტაკლის დადგმა და რამდენიმე დიდი სცენური სახის გამოძერწვაც საკმარისია; ვახტანგოვს ასეთი სულ ორი სპექტაკლი ჰქონდა: „Чудо святого Антония“ და „Принцесса Турандот“, ოსტუჟევს – ოტელო და ურიელ აკოსტა, ჩვენს უმანგი ჩხეიძეს კი ამაზე ცოტა მეტი...

როცა თქვენ ალექსადრე სუმბათაშვილი-იუჟინი ზევსის ზეციდან ათასში ერთხელ ჩვენს ცოდვილ მინაზე ჩამოგყავთ ხოლმე, ის ჩემს თვალში ამით სულაც არ მცირდება, პირიქით, მე, როგორც მკითხველი, კიდევ უფრო ვიყვარებ მას და კიდევ უფრო დიდად მეჩვენება. აღნიშნული კი მაქვს, მაგრამ იმ გვერდს ახლა უცბად ველარ ვაგნებ: „ამ საკითხში სუმბათაშვილი აშკარად ცდებოდაო“, მაზურკის ცეკვა ვერა და ვერ ისწავლაო, ძალზე გაგიქარაგმებიათ, მაგრამ მაინც იგრძნობა, ბანქოს თამაში უყვარდაო...

მსგავსი „ნაკლები“ მეტიც რომ აღგენიშნათ, იუჟინ-სუმბათაშვილის მონუმენტურ სახეს ჩვენს თვალში ასეთი ჭორფლი შეუხედავს მაინც ცოტათიც ვერ გახდიდა. გოეთეს უთქვამს, დიდი ადამიანიც მაინც ადამიანიაო.

7. ო-ო, რას ნიშნავს, იყო რექტორი და შენს ხელქვეით სტამბაში იბეჭდებოდე!... მე სწორედ ამით ავხსნი იმ გამოცანას, რომ საგანგებოდ აწყობილ თქვენს წიგნში სულ რაღაც სამიოდე კორექტურულ შეცდომას წავაწყდი... არ ვიცი, ეს მეოთხე კორექტორს გაეპარა, თუ ასეთი პიროვნება მართლაც არსებობდა: „ვ.ა.გიდიაროვსკიმ წაიკითხა აკაკისადმი მიძღვნილი ექსპრომტი, რომელმაც საყოველთაო აღტაცება გამოიწვია“ (გვ. 463).

ეგებ ეს ორჯერ მოხსენიებული გიდიაროვსკი კი არა, გიდიაროვსკია, ძველი მოსკოვის მეტად კოლორიტული ფიგურა, რომელიც ახალ მოსკოვსაც კარგა ხანს ამშვენებდა, ავტორი საუცხოო წიგნებისა: „Москва и москвичи“, „Люди театра“ და სხვა.

ტექსტში ორჯერ თუ სამჯერ ნახსენები გყავთ „ნიკო გვარამაძე“, პირთა საძიებელშიც ამგვარად იხსენიება, მაგრამ... ეს გვარამაძე კი არა, გვარამაძე ნიკო ხომ არ არის, ჩემი ახალგაზრდობის თანამედროვე, ტანითაც და შემოქმედებითაც საკმაოდ პატარა მსახიობი თეატრისა და კინოსი, მსახიობი, რომელმაც საინტერესო მემუარები დაგვიტოვა?

8. ორასმეცამეტე გვერდზე ამოვიკითხე: „ერთი კვირის შემდეგ, 8 ნოემბერს, გარდაიცვალა დიდი კომპოზიტორი და მუსიკოსი ნ.გ. რუბინშტეინი“.

მე თქვენი წიგნი სოლიდურ ნაშრომად მიმაჩნია, ასეთი ხასიათის ნაწარმოებში კი ყველას უნდა მიეზღოს ნიჭისა და დამსახურების მიხედვით, ვუფროთხილდებოდეთ ეპითეტებს, აღმატებით ხარისხს და შეფასებებს, და არ ვბაძავდეთ ჩვენს ყოველდღიურ პრესას, სადაც ხშირზე ხშირად, მაგალითად, მუცლისკაცი ერისკაცად სალდება, გლახაკი – გმირად, პატარა-უდიდესად...

ეს საერთოდ და სასხვათაშორისოდ, კერძოდ კი, ამ ფრაზაში რამდენიმე შეუსაბამობაა: კომპოზიტორი თავისთავად უკვე მუსიკოსია... ასე რომ ეწეროს „კომპოზიტორი და პიანისტი“, მაშინ „შარს“ არც მოგდებდით; სულაც არ არის სავალდებულო, და ეს ცხოვრებაში არც შეინიშნება, რომ ყველა კომპოზიტორი ერთდროულად დიდებული პიანისტიც ყოფილიყო, ანდა მომღერალი... ეს კი არის, ვერც ერთი მომღერალი ისე გულშიჩამწვდომად ვერ იმღერებს, როგორადაც დიდი კომპოზიტორი მღერის თ ა ვ ი ს გ უ ნ ე ბ ა შ ი მის მიერვე შექმნილ, ვთქვათ, არიას!..

ეს რუბინშტეინი კი არ იყო დიდი კომპოზიტორი (ალბათ ამისთვის არ „გამებუტებით“. არც ჩვენი დიდი მოამაგე იპოლიტოვ-ივანოვი გახლდათ დიდი კომპოზიტორი!), „გავთავხედდები“ და გეტყვით, - არათუ დიდი, ის საერთოდ არც იყო კომპოზიტორი; ის იყო მართლაც კარგი მუსიკოსი – პიანისტი, პეტერბურგის კონსერვატორიის დირექტორი და, მგონი, მისი დამაარსებელიც კი, ებრაელი კაცი!..

კომპოზიტორი იყო მისი ძმა, ანტონი; არც მასზე შეიძლება ითქვას „დიდი“, მისი ყველაზე ცნობილი, დღემდე შემორჩენილი ოპერა „დემონია“, მაგრამ ანტონ რუბინშტეინი იყო ამავე დროს პიანისტი-ვირტუოზი, თავისი დროის სვიატოსლავ რიხტერი, შეიძლება მეტიც კი... ეს ძმაც, ცხადია, ესეც ებრაელი, მოსკოვის კონსერვატორიას ედგა სათავეში. საკვირველი კია თითქოს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ან ტ ი ს ე მ ი ტ ე ბ ს ძ მ ე ბ ი რუბინშტეინები, როგორც ვხედავთ, არც ერთი არ შეუჭამიათ...

თქვენი წიგნის რუსული თარგმანი ჯერ თვალითაც არ მინახავს. ალბათ შემოკლებულია, აკი მასში ბევრ ქართულ ამბავს, რაც მარტო ჩვენთვის არის საინტერესო და ჩვენი ეროვნული გულის მოსაფხანია, არ შეიტანდით...



ექვე არ მეპარება, რედაქტორიც გაცილებით ყოველმხრივ უკეთესი გეყოლებოდათ, ვიდრე ქართული გამოცემის რედაქტორია, რომელსაც, არა მგონია, ავტორისათვის რაიმე პრაქტიკული დახმარების განწევა შეძლებოდა. ეს რომ ასეა, ამას თუნდაც ერთი უბრალო ფაქტიც ადასტურებს: თქვენ წერთ (გვ. 162): „ვინმე დოროშევიჩი წერდა“-ო... ესე იგი Некий Доросевич...

ო-ო, ბატონო დავით, დოროშევიჩის ვინმეობით მოხსენიება, აბა, რა საკადრისია! თუ ეს, რასაკვირველია, ვლას დოროშევიჩია, რომლის ფელეტონებს, პუბლიცისტურ წერილებს იმ დროს მთელი განათლებული რუსეთი სულმოუთქმელად კითხულობდა, აი, ისე, როგორც ჩვენში ოციან-ოცდაათიან წლებში მიხეილ კოლცოვისას! იგი თეატრალური კრიტიკოსიც იყო და, მერწმუნეთ, დიდი არაფერი დანაშაულია, თუკი ამ დიდად გონება მახვილმა, მართლაც ბრწყინვალე იუმორისტმა სადღაც იუჟინ-ჰამლეტის „ბრახუნა ფეხსაცმელსაც“ დაადგა ფეხი!

რამდენადაც მახსოვს, რევოლუციის შემდეგ დოროშევიჩმა არცაღი ავერჩენკოსავით ემიგრაციაში ამოყო თავი; მიუხედავად ამისა, ამ ოციოდე წლის წინათ მოსკოვში გამოსცეს მისი რჩეული ნაწერების კრებული, და თუ დროს გამონახავთ და მას თუნდაც „აქა-იქ“ გაცნობით, გარწმუნებთ, დიდი სიამოვნება გელით.

ჩემი ზერელე დაკვირვებით, თქვენ არავისას არაფერს არ ითვისებთ, ყოველთვის უთითებთ წყაროზე... მეათე გვერდზე მოგყავთ ციტატა სუმბათაშვილიდან, რომ რუსეთმა... „...დაიცვა საქართველო მისი უძველესი მტრების ველური ხელყოფისაგან...“ და ასე შემდეგ.

სწორედ აქ და კიდევ ორიოდ სხვა ადგილას რატომღაც ლალატობთ ამ პრინციპს. საინტერესო კი არის, კერძოდ ამ შემთხვევაში ეს ციტატა საიდან მოგყავთ? მე ვიცნობ სუმბათაშვილის ერთ ორასგვერდიან ქმნილებას, რომელსაც თქვენ, სხვათა შორის, არსად არ ასახელებთ. იქიდან ხომ არ არის ამოღებული და მას – ღმერთო, შენ შეგცოდე! – ტაბუ ხომ არ ადევს?.. ეს ყოველმხრივ ღირსშესანიშნავი, ამჟამად ძნელზე ძნელი ხელმისაწვდენი ნიგნი, ჩვენდა სამარცხვინოდ, დღემდე არ არის ქართულად თარგმნილი (А.И. Сумбатов-Южин. «В мощных объятиях». (Общие очертания 117 лет русско-грузинского объединения), Петроград. 1919г.).

წერილი, როგორც ხედავთ, ერთობ გრძელი გამომივიდა და მისი კითხვით ალბათ კიდევ დაიღალეთ, ამიტომ აქ დავსვამ წერტილს, თუმცა შენიშვნები – ზოგი შეიძლება მართებული, ზოგი ალბათ უმართებულო, ზოგი მნიშვნელოვანი, ზოგიც უმნიშვნელო – კიდევ საკმაოდ მომეპოვება, და თუ მათდამი ინტერესი აღგეძვრებათ და შემატყობინებთ, დაუზარებლად მოგანვდით.

ნოემბერი, 1984 წელი.  
სოფ. ფარცხნალი.

კიტა ბუაჩიძე

P.S. ეს წერილი გადაეცა ბ-ნ დავით ჩხიკვიშვილს, როგორც უნივერსიტეტის რექტორ-მეცნიერს, მკვლევარს და არა როგორც ერთ დროს კულტურის, ამჟამად კი უმაღლესი და საშუალო განათლების მინისტრს.

რაკი ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, როგორც მისადმი პატივისცემით გამსჭვალულ, გულმოდგინე მკითხველს, არც წერილობით და არც „აორთქლებული სიტყვით“ არაფერი მიპასუხა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში მინისტრობამ უფრო გადასცალა, ვიდრე სწავლულმა ავტორმა.

სამწუხაროდ, ველარ მომიგონებია, მინისტრობისას გოეთეშიც სიტყვის დიდი ოსტატი უფრო სჭარბობდა თუ დიდი თანამდებობის პირი?

აგვისტო, 1985 წელი,  
თბილისი.



## გაზეთ „ლელოს“ რედაქტორს არჩილ გოგილიას

უფალო რედაქტორო!

ერთობ მოხარული ვარ იმით, რომ თქვენი მონა-მორჩილი მკითხველი, კ. დრამურგებაძე, იმ აბსოლუტურ უმრავლესობაში აღმოვჩნდი, „თბილისის“ რვაგვერდიანი ფორმატის დასაცავად ერთიანი ფრონტით რომ აღსდგა თურმე!..

არა მგონია, იფიქროთ, გამარჯვებულებს გამარჯვების შემდეგ ვეტმასნები; რომ ეს ასე არ არის, საამისო საბუთი, ვიმედოვნებ, უკვე თქვენს ხელთაა: მიუხედავად ჩვენი ფოსტის ხამუშ-ხამუშ მუშაობისა, მაინც მგონია, ჩემ მიერ 26 დეკემბერს თითქმის მთის სოფლიდან გამოგზავნილ ორ განცხადებას – სამგლოვიაროს და სამხიარულოს – 31 დეკემბრამდე მიიღებდით და, ვინ იცის, ეგებ „ოლოლოშიც“ კი ჩააგდებდით, რომ თქვენი გაზეთი მონარქიულ დანია-ესპანეთ-ნორვეგია-შვეიციაში გამოდიოდა და არა რესპუბლიკურ საქართველოში...

თქვენს მიმართ ჩემი საახალწლო სურვილი- მაქსიმუმი იქნებოდა:

წელსაც ისეთივე გამართული ნაბიჯით გველოთ, როგორც შარშან დადიოდით და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ნაგეფორხილებინოთ, ურომლისოდაც ჩვენს დროში არჩილ ჯორჯაძეც ვერ გამოსცემდა კედლის გაზეთსაც კი...

ჩვენი სურვილი-მინიმუმი კი ასეთია:

მხოლოდ ათასში ერთხელ, ნამდვილად საჭიროებისას გეხმარათ სიტყვა „უდიდესი“ და მის ნაცვლად დაკმაყოფილებულიყავით პრესიდან და საჯარო სალაპარაკო ენიდან კარგა ხნის წინათ საფუძვლიანად, მაგრამ უსაფუძვლოდ განდევნილი „დიდით“, რომელიც, სხვათა შორის, ახლაც, უმეტეს წილად, არამი იქნება ყველა მათზე, ვინც ზეკაცურ ქებათა ქებას ისე მიეჩვია, როგორც დილის საუზმისას დაშაქრულ ჩაის, მაგრამ რას იზამთ, ზეციდან მათი მორიდებით ჩამოყვანასაც კი მიწაზე დანარცხებად მიიჩნევენ და შეეცდებიან, შურისძიებით თავიანთი ლელობურთი გაიტანონ და თქვენ ისევ „ლელოში“ გიკრან თავი...

მინდა, ისიც შევნიშნო, რომ ეს „უდიდესი“ ეხება არა მარტო ადამიანებს, ისეთ პროვინციულ „სიტყვაქმნადობასაც“, როგორც არის, მაგალითად (ზუსტად მაქვს ამონერილი დედაქალაქის გაზეთებიდან): „უდიდესი გემოვნებით“, „უდიდესი ტაქტით“, „უდიდესი პატივისცემით“; „შემდეგ ჯანსუღ ჩარკვიანმა ნაიკითხა ახალი ლექსები და მაცურებელთა წინაშე უდიდესი პოეტური სამყარო გადაიშალა...“

ნაკლებად გეხმაროთ აგრეთვე „საოცარი“, „გასაოცარი“, „შესანიშნავი“, „შეუდარებელი“, „უბადლო“ და, საერთოდ, ამ რანგის ერთ დროს ოქროდ ღირებული, ახლა კი გაკაპეიკებული ეპითეტები...

... არ გაგეჭაჭანებინოთ, გარდა სამგლოვიარო განცხადებებისა, საალერსო-მოფერებითი, კნინობითი-შინაურული სახელები, რათა ამით არ დამსგავსებოდით ოქტომბრულ-პიონერთა გაზეთ „ნორჩ ლენინელს“... (ამთავითვე გეთქვათ თქვენს მუდმივ თანამშრომელ იოსებ ჭუმბურიძისათვის, რომ ახლობლებისთვის იოსებ გრიშაშვილიც სოსო იყო, მაგრამ იგი მკითხველ საზოგადოებას სოსოთი მაინც არ ეცხადებოდა).

თქვენ მოსკოველი კორესპონდენტის, კლარა აბრამიას, ამ ჟენევიევა ტაბუის რეპორტაჟები ცხრილში კი არა, ძალზე წვრილნასვრეტებიან საცერში გაგეტარებინოთ ყოველთვის, რადგან მას, როგორც უკვე ჩანს, ახალ „თბილისშიც“ გადმოაქვს პათეტიკური ტყუილები და „უდიდესი“ ცოდნა-განათლების „ბრჭყვიალა კალკები“ (20.12.85):

ტიციან ტაბიძეს... „ხელში მუდამ ანთებული სიგარეტი ეჭირაო...“

იმ დროს საბჭოეთში სიგარეტი „ტორგსინშიც“ არ იყიდებოდა და, საერთოდ, მისი არსებობა, რაკი საზღვარგარეთ მიმოსვლა არ იყო, თითქმის არც არავინ იცოდა (სიგარისა კი)...

„გუგუნებდა პირთამდე სავსე დარბაზიო...“

ეტყობა, მამა აბრამის ამ კლარა-ჟურნალისტმა, ძველი „თბილისის“ ფურცლებზე ქართველ ახალგაზრდობას სამუშაოდ და საცხოვრებლად ბარე სამი დღე იაკუტიაში გულმოდგინედ რომ ეპატიჟებოდა, ახლა მოსკოველი რუსი მწერლების კლუბის დარბაზი თბილისის სპორტის სასახლედ წარმოიდგინა, მაგრამ აქაც კი, კრივზე თუ ჭიდაობაზე, რა ჯოღლო-მოღლო ხალხიც იყოს იქ თავშეყრილი, ისიც უკვე აღარ გუგუნებს ხოლმე...

„ოვაციებს დასასრული არ უჩანდაო...“

ჰო, მაგრამ... ვის გაუმართეს უსასრულო ოვაცია? პრეზიდენტს? ცალკეულ მთარგმნელ პოეტებს? ეგებ ტიცციან ტაბიძის სურათსა?!

ოვაცია, ჩვეულებრივ, ეგზალტირებული ტაშისკვრით და ზოგან ფეხების იატაკზე ბაკუნითაც ხასიათდება, რაც, სულ ცოტა, 10-15 წუთი მაინც გრძელდება...

როგორ ფიქრობთ, იმ საღამოს დამსწრეთა შორის, რაღაც სასწაულით, პუშკინიც რომ გამოცხადებულყო, ასეთი ამბავი ატყდებოდა კი?!

„ქართველი პოეტების ლექსებს გულში იხუტებდა მსმენელიო...“

ცირკში საჰაერო გიმნასტებს, ქვეშ რომ დამზღვევი ბადე აქვთ გაჭიმული, ზოგიერთი მაყურებელი, ვითომ შეშინებული, ფარული ირონიით რომ შესძახებს ხოლმე: „Довольно, опасно!“, ასევე ჩვენც, ეს უკვე აღარ ღირს საკომენტაროდ...

ღიას, ასეთი პროვინციული ცრუალტყინებანი ვერ დაამშვენებენ სათაურითაც ახალ „თბილისს...“

სხვათა შორის, არც...

„მაღკა გარდაიცვალა“ (02.01.86).

„გარდაიცვალა, გარდაცვალება“ – მსგავსი სიტყვა თავისი შინაარსობრივი რაღაცნაირი იდუმალებით მსოფლიოს სამი ათას ხუთასი ენიდან არც ერთ ენაში არ მოინახება და, მოდით, მას ცხოველზე, თუნდაც ჭკვიან სპილოზე, რა დასანანიც უნდა იყოს ჩვენთვის მისი მოკვდომა, ნუ გავავრცელებთ.

ქართულში „გარდაიცვალას“ მხოლოდ ადამიანზე ამბობენ და ისიც მეტწილად კარგზე, ცუდზე კი... ჩაძაღდაო, იტყვიან.

დავშთები მარადყამს თქვენი... ო, არა!

სამარადყამოდ ქების სიგელის მოცემა, ვფიქრობ, ჯერ ნაადრევია...

06.01.86.

სოფ. ფარცხნალი

პატივისცემით  
პ. ღრამშრბაძე

პ. ბუაჩიძე



### პროფესორ ალექსანდრე ღლონტს

ბატონო ალექსანდრე!

მე თქვენ სახითაც არ გიცნობთ, გიცნობთ მხოლოდ თქვენი ნაწერებით.

მე მათ ყოველთვის გულისყურით ვკითხულობ ხოლმე, აკი ისინი განსახილველი საკითხის საფუძვლიანი ცოდნით, მეცნიერული სიღარბაისლით გამოირჩევიან.

ალბათ უფრო ამიტომაც გამაკვირვა წუხანდელ გაზეთ „თბილისში“ მოთავსებულმა თქვენმა წერილმა, მიძღვნილმა ოთხმოცდაცხრამეტი წლის აკაკი შანიძისადმი...

უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, გამაკვირვა არა იმდენად მთლიანობაში აღებულმა წერილმა, რამდენადაც მისმა დასაწყისმა:

„დიდასაკოვნობისას ასეთი ნათელი გონებითა და დაუცხრომელი გარჯით აკაკი შანიძეს უძველესთაგან გრიგოლ ხანძთელს, ხოლო ჩვენი ეპოქიდან ლეგენდარულ ჯამბულ ჯაბაევს თუ შევადარებთ მხოლოდ.“

ო-ო, ბატონო ალექსანდრე, ბატონო ალექსანდრე,

აკაკი შანიძის გრიგოლ ხანძთელის გვერდით ამოყენება ბუნებრივია და კანონზომიერიც, მაგრამ ამავე დროს მათს „კამპანიაში“ „ლეგენდარული“ ჯამბულ ჯაბაევს თუნდაც უბრალოდ მოხსენიებაც მე პირადად, ცოტა არ იყოს, ერთგვარ შეურაცხყოფელადაც კი მიმაჩნია.

არაფერი ლეგენდარული ფიგურა ჯაბაევი არ ყოფილა იმ დროს განათლების მხრივ ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამორჩენილ თვით ყაზახეთისათვისაც კი: სახელ-დიდებისა და კონიუნქტურული პოეზიის ზედაპირზე ჯამბული ოფიციალურმა წრეებმა უფრო იმიტომ ამოაყურყუმალეს, რომ უკვე ღრმად მოხუცმა, დაახლოებით ოთხმოცდაათი წლისამ, სამოცს ჯერ კიდევ მიუტანებელ სტალინს მამობით მიმართა:

„ჩვენო მამავ, ჩვენო მწყემსო, ჩვენო დიდო ბელადო!“

სხვათა შორის, იმხანად ყაზახეთში მისი ხნისანი არა, მაგრამ მისი ნიჭის ტოლი, მისებრ წერა-კითხვის უცოდინარი, ხალხურ საკრავთა შორის ყველაზე მარტივ ორსიმიან დომბრაზე მელექსე-მოსიმღერე აკინები სხვებიც იყვნენ, მაგრამ ერთმა დიდად გაქნილ-გამოქექილმა, წმინდა რუსული გვარის მქონე, მაგრამ არარუსმა მესამეხარისხოვან პოეტ-მთარგმნელმა კუზნეცოვმა დომბრაზე მისი ბუტბუტ-დუდუნი თავისივე საგამორჩენო პოეზიის საშუალებად გაიხადა.

რამდენადაც მახსოვს, ჯამბულის სიკვდილის შემდეგ ეს კუზნეცოვი პოეზიის ასპარეზზე არც თარგმნილი და არც ორიგინალური ლექსებით აღარ გამოჩენილა.

ასე რომ, ასაკით კი, მაგრამ ნათელი გონებისა და დაუცხრომელი გარჯის მხრივ, აკაკი შანიძისა და ჯამბულ ჯაბაევის ერთმანეთთან შედარება ეს იგივეა, გოშია სენბერნარს შეადარო – ტანით და საზრიანობით დიდად გამორჩეულ ძალს, ავსტრია-შვეიცარიის ნამქერიან ალპებში მიკარგული ადამიანების მომნახავს და ხშირ შემთხვევაში მათ გადამრჩენელსაც.

თქვენ, რა თქმა უნდა, გეხსომებათ სენეკას გამონათქვამი, ადამიანის სიცოცხლე, იგავ-არაკისა არ იყოს, სიგრძით კი არ ფასდება, — შინაარსითო.

ბატონ აკაკი შანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა კი საერთოდ და, კერძოდ, „გალეგენდებულ“ ჯამბულ ჯაბაევისაგან განსხვავებით, სწორედ ამ უნიკალობითაა გასაოცარი: მისი ცხოვრება ერთდროულად ღირსშესანიშნავია შინაარსითაც და ხანგრძლივობითაც.

სამწუხაროდ, მე არ ვიცნობ თქვენს ხასიათს და ამიტომაც არ ვიცი, ამ ჩემს უწყინარ შენიშვნას რა გულით მიიღებთ, გარწმუნებთ კი, მე არ მინდა, რომ მან ოდნავ მაინც შეგანუხოთ...

და არც უნდა შენუხდეთ თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი რამ – უმნიშვნელო პიროვნების დაუფიქრებელი, უნებლიე-უანგარო „გადიდპიროვნება“ – სხვებსაც არაერთხელ მოსვლიათ.

ასე, მაგალითად, ოცდაათიანი წლების დასაწყისში მაქსიმ გორკიმ ერთ დაღესტნელ მთქმელ-მელექსეს, სულიმან სტალსკის, მეოცე საუკუნის ჰომეროსი უწოდა...

მერედა, ახსოვს კი ახლა ვისმე, ახსენებს კი ახლა ვინმე ამ ჩვენი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საუკუნის... ჰომეროსს?!

თქვენ, ბატონო ალექსანდრე, მრავალ სხვა საინტერესო ნაშრომთან ერთად „ქართველური საკუთარი სახელების“ წიგნის ავტორიც ბრძანდებით...

ჰოდა, თქვენი არ ვიცი, მე კი გულს მიკლავს ის ამბავი, რომ ახლა საქართველოში, ქართველებს შორის ჯამბულს უფრო ხშირად წააწყდებით, ვიდრე შოთას...

განა ეს ჩვენი უჭკუო წამხედურობისა და თავქარიანობის მაჩვენებელი არ არის?!

26.02.86

სოფ. ფარცხნალი

პატივისცემით

კიტა ბუაჩიძე



## „თეატრალური მოამბის“ რედაქტორს გურამ ბათიაშვილს

ბატონო გურამ!

ვიდრე თქვენ რედაქტორად გიხილავდით, „თეატრალური მოამბე“ უფრო კულტურის სამინისტროს იმ კედლის გაზეთს წააგავდა, ჩვეულებრივ, პირველ მაისს, შვიდ ნომბერს და, ზოგ ბედნიერ წელიწადს რვა მარტსაც გამოაკრავენ ხოლმე.

ახლა კი „თეატრალური მოამბე“ სრულებითაც აღარ ჰგავს „კედლის ჟურნალს“, მას ცოცხალი ორგანიზმის ნიშანწყალი დაეტყო და მე პირადად მასში მოთავსებულ მასალებს – არა ყველას, ცხადია, — გულისყურით ვკითხულობ ხოლმე.

თქვენ, როგორც რედაქტორი, განსაკუთრებით მას შემდეგ ამაღლდით ჩემს თვალში, როცა ვახტანგ ტაბლიაშვილის მოგონებებში სულის შემხუთველი სტრიქონები ამოვიკითხე იმის ირგვლივ, თუ როგორ ღორულად... ბოდიში, უმადურად მოექცნენ კოტე მარჯანიშვილს მისივე აღზრდილ-დაფრთიანებული, მის მიერვე საქვეყნო ასპარეზზე გამოყვანილი მსახიობები, ფართო საზოგადოებისათვის აქამდე წმინდანების სამოსელში რომ იყვნენ გახვეულნი...

სხვათა შორის, საკვირველი ის არის, რომ დღემდე მხოლოდ ერთეულებისათვის ცნობილი ეს ფაქტი სამზეოზე გამოიტანა იმ ხელოვანმა, რომელიც თავის ხანგრძლივ თეატრალურ-რეჟისორულ პრაქტიკაში მოქალაქეობრივი გამბედაობით, სულ მცირეოდენითაც კი, არასოდეს არ გამოირჩეოდა (ცოდვაში ნუ ჩავუთვლით, თუკი ახლაც მარჯანიშვილისთვის ტალახის გუნდის მიმყრელთა შორის ერთ ჩვენს ამჟამინდელ თანამედროვეს გვერდს უვლის და არ ასახელებს).

რა თქმა უნდა, ტაბლიაშვილი ამისთვის ჩვენგან, მეტადრე კი ქართული თეატრის მომავალი მეთოროიეებისაგან გულითადი მადლობის ღირსია, მაგრამ არანაკლები მადლობის ღირსია თვით რედაქტორიც, რომელმაც ასეთი „სახიფათო-საფათერაკო რამის“ დაბეჭდვა იკისრა.

ამით ერთგვარად გათამამებული, გიგზავნით გასაცნობად და დასაბეჭდად ჩემს „ღია ბარათს ბ-ნ დავით ჩხიკვიშვილისადმი“ და ბარემ აქვე, დროით ამასაც გეტყვი:

ექვი არ მეპარება, რომ მას გულდასმით გაეცნობით, ოღონდ ეჭვი მეპარება, რომ დაბეჭდავთ, აკი მასში ქება-დიდების გამაბრუებელი საკმევლის ბოლი და სუნი უმადლეს წერტილამდე არ ადის, თუმცა ეს თითქოს რაღაც ხელისშემშლელი არც უნდა იყოს, ამბავი ხომ უმადლესი განათლების მინისტრის სამინისტრო საქმიანობას კი არ ეხება, არამედ მის ლიტერატურულ ნაშრომს...

მაგრამ ეს თეორიულად, პრაქტიკულად კი...

თქვენ შვილები უმადლესში, ალბათ აწი გყავთ მოსაწყობ-მისაბარებელი და, ბუნებრივია, თუკი ჩხიკვიშვილის წარბის ოდნავ უსიამოვნოდ შეხრასაც მოერიდებით და, კაცმა რომ თქვას, არც გაგემტყუნებთ, აკი ფრანგები ამბობენ – Se lavi, ქართველები კი ამ აზრს უფრო გრძლად გამოთქვამენ:

— რას იზამ, ძამია, ასეა აწყობილი ცხოვრება ჩვენი!..

ჰო, მაგრამ...

უკვე ხომ საკმაო ხანია, გვარნმუნებენ, ჩვენს ცხოვრებაში ახალმა, მასიცოცხლებელმა სიომ დაჰბერაო, რაიც ბევრ სხვა ადამიანურ სიგლახესთან ერთად „ჩინოპაჩიტანიის“ წინააღმდეგაც არის მიმართული:

თუნდაც მინისტრი ბრძანდებოდე, თუ მართალი არ ბრძანდები, სიმართლის პირში თქმის მე, პატარა საბჭოთა კაცს, არც უნდა მომერიდოს და არც უნდა გემლიქნელო...

ეს კია: რალა მაინცდამაინც თქვენ, გურამ ბათიაშვილმა უნდა პირველმა დაიწყოთ ამ დიდებული პრინციპის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარება, ა?!

ასე რომ...

თუკი ეს ჩემი ბარათი, თქვენი დასკვნით, საუკუნის წინათ მცხოვრებ ბელიკოვის დევიზის, ჩვენს დროში კიდევ უფრო გაფურჩქვნილი – как ны чего не вышло-ს გამო თქვენს „მოამბეში“ საამბობად არ გამოდგება, ილორის ხატს ვფიცავ, არ დაგემდურებით.

ერთს კი გთხოვთ: „ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი“ ახლა, მგონი, მეორე გამოსაცემად მზადდება, რომლის გამოსვლასაც მე, ადვილი შესაძლებელია, ველარც მოვესწრო: ნაინფარქტალს მანამდე, ვინ იცის, ან ინსულტი წამომეწევა, ან მანქანა დამეჯახება, ან კიბო შემომიძვრება...

არადა, მინდა კი, ვიცოდე, ამ ჩემი შენიშვნებიდან ცოტაოდენით მაინც თუ ისარგებლებს უმადლესი განათლების მინისტრი...

ამის შემონმება მინდა ანდერძით, ამ შემთხვევაში როგორც თეატრალურ კრიტიკოსს, თქვენ დაგავალოთ, თუკი, რასაკვირველია, ჩემს შენიშვნებს თქვენც მართებულად მიიჩნევთ.

ერთი ჩემი კომედიური პერსონაჟი ამბობს, ვირზე შემთხვევით თუ შეცდომით შეიძლება ჭკვიანიც შეჯდეს, მაგრამ თუ ბედაურს მიუყვან, უმალვე მასზე გადაჯდებაო.

ჰოდა, მე ახლა „ინტერესი მკლავს“, ეს ჩვენი დარბაისელი ავტორი (ჰმ!) ამ მარტივ სიტუაციაში როგორ მოიქცევა: ისევ ვირზე ჯდომას ამჯობინებს, თავისი სიჭკვიანე რომ დაგვიმტკიცოს, თუ...

10 აპრილი, 1986 წელი.  
თბილისი.

კიტა ბუაჩიძე



## საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს გ. ციციშვილს

ბატონო გიორგი!

საჯარო ბიბლიოთეკაში მსახურობს ერთი ახალგაზრდა ინგილო ქალი ლუდმილა ტარტარაშვილი; ჰყავს ჯერჯერობით ორი შვილი, ექვსი და-ძმა, რომელთა ნაწილი ცხოვრობს საინგილოს სოფელ ალათემურში.

თვითონ ლუდმილა ქმარ-შვილით შეხიზნულია ერთ ნაქირავებ ოთახში, რომლის პატრონი წარამარა გასახლებით ემუქრება ხოლმე.

რაკი ჩვენში კეთილი ადამიანები ჯერ კიდევ სულ არ ამომწყდარან, მათ გულთან ახლოს მიიტანეს ამ პატარა ინგილო ქალის დიდი გასაჭირი; აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და ბრძოლის შემდეგ მიაღწიეს იმას, რომ სათანადო ორგანოებმა, გამონაკლისის სახით, ამ მართლაც მიუსაფარ ქალს ნება დართეს, შესულიყო რომელიმე საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობაში...

ალბათ უკვე შეამჩნიეთ, ყოველივე ამას ისე გიყვებით, თითქოს ეს ამბავი თქვენთვის უცნობი იყოს...

და თუ ცნობილია, მიკვირს. დავიჯერო, თქვენ, ასეთი ლამაზი გვარის პატრონმა, ავტორმა „სძლიე სიხარბესა შენსა“, გუშინ მწერალთა კავშირის სამდივნოს სხდომაზე საბინაო კოოპერატივში მიღებაზე ტარტარაშვილისთვის უარი გითქვამთ, თუმცა ამას აქამდე დიდხანს აიმედებდნენ, რომ მიიღებდნენ.

მე არ ვიცი, ზუსტად რა არის მიზეზი თქვენი ამგვარი განჩინებისა, მაგრამ ვვარაუდობ, რაკი იგი მწერალთა კავშირის წევრი არ არის...

კი, მაგრამ, როგორ, საქართველოს მწერალთა კავშირის ყველა წევრი ნამდვილად მწერალია?!

მილიარდიან ჩინეთში, „ლიტგაზეთის“ ცნობით, მხოლოდ ორი ათასი მწერალია, ხუთმილიონიან საქართველოში კი, უკანასკნელი დათვლა – აღწერის თანახმად, 537 პოეტი, კრიტიკოსი, დრამატურგი და ბელეტრისტი... ბოდიშს მოვიხდი, პროზაიკოსია! („ბელეტრისტი“ ჩვენს დროში როგორღაც თითქმის სალანძღავ სიტყვად იქცა).

კარგი, ბატონო, ეს 537 ერთეული იყოს თუნდაც ყველა ტაბიძე-ჯავახიშვილი, და მაინც, თქვენს წმინდა კოოპერატივს განა რაიმე ჩირქს მოსცხებს ერთი მკითხველი პატრიოტი ინგილო ქალი?!

ახლა რომ ცოცხალი იყოს ჩვენი ერთი საერთო ნაცნობი, მწერალთა ცნობარის მიხედვით პოეტი, დრამატურგი და პუბლიცისტი, იგი უეჭველად იტყოდა, ციციშვილი და ფორჩხიძე სწორედ იმიტომ არ ლებულობენ ამ ტარტარაშვილს, რომ ის საწყალი და ღარიბიაო.

სხვათა შორის, როცა ბოლო დროს განსვენებული ახალი „ვოლგის“ მიღება-არმიღების გამო თავს გესხმოდათ, მე მას შეძლებისდაგვარად ვაკავებდი და ვეუბნებოდი, ციციშვილი ასეთ ტლინკებს არ იმსახურებს, მისი ხასიათის ჩემ მიერ შემჩნეული ნაკლი ის არის, რომ უმნიკვლოს და მნიკვლიანს, მუნიანსა და უმუნოს, ყველას ერთნაირი გულის სითბოთი ეპყრობა-მეთქი...

ჰოდა, გიორგი ბატონო, ახლა ასეთი რა დაგემართათ, რომ ამჯერად ამ ინგილო ქალისთვის თქვენი გულის სითბო ვერ გაიმეტეთ, ა?

ინგილო ქალისთვის – ვიმეორებ და კვლავაც ხაზს ვუსვამ!

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანბეგებს არ ეკადრებათ, არ შეჰფერით, ინგილოებს „ალი-კირპიჩ-ბრასაი ოლლივით“ მოექცნენ!

მე ჩინებულად ვიცი, ჩვენი დროის ამ ცხოვრებაში არაფერს არ წარმოვადგენ და, მაშასადამე, არც ოდესმე რამეში დაგჭირდებით, თქვენ კი მე, ჩვენი ქვეყანა ისეა აწყობილი, როგორც თანამდებობის პირი, ბევრ რამეშიც დამჭირდებით, და მაინც, თუ თქვენ ამ გადაწყვეტილებას არ შეცვლით იმ ერთი საწყალი ინგილო ქალის სასარგებლოდ, არასოდეს თავს არ დაგიკრავთ და ხელს არ ჩამოგართმევთ.

მე, რასაკვირველია, ისიც ვიცი, რომ ჩვენი დროისათვის ამ ჩემი სულელური საქციელით არც არაფერი დაგაკლდებათ, მაგრამ ქართველი კაცისა და ქართველი მწერლის რეპუტაციას, თუკი მას საერთოდ უფროსხილდებით, არც არაფერ კარგს შემატებს.

25 თებერვალი, 1987 წელი.

ჯერჯერობით კვლავ  
წინანდებური პატივისცემით  
კიტა ბუაჩიძე.



### საჭმთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ედუარდ შივარდნაძეს

ბატონო ედუარდ!

სულ აგერ ახლა თბილისს მოედო ასეთი „ისტორია“: თითქოს „ის მესვეურები“ ერთგვარი მუქარით მოადგნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს და მოითხოვეს თქვენი ნახვა.

და როცა ისინი შენობაშიც არ შემოუშვეს და თქვენ ეს გაიგეთ, ერთი ვერსიის თანახმად, თვითონ ჩამობრძანდით ვესტიბიულში და უშიშრად შეხვდით მათ (ეს არცაა მაინცდამაინც მოულოდნელი და გასაკვირი იმ კაცისაგან, რომელიც ერთხელ თბილისში გამძვინვარებულ სტადიონსაც არ შეეპუა); მეორე ვერსიით – ისინი კაბინეტში მიიღეთ, სადაც, თუკი ხმებს დაეჯერებათ, ასეთი საუბარი გამართულა:

- Мы требуем, чтобы Вы оставили пост министра иностранных дел.

- А почему?

- Нерусский не должен быть на этом посту!..

- Но я же не министр иностранных дел РСФСР, а министр иностранных дел Советского Союза, где проживают не только одни русские.

არავინ იცის, რამდენად სწორია ეს ამბავი, არც მე ვიცი, ცხადია, სამაგიეროდ ზედმინვენით ვიცნობ ნახევარი საუკუნის წინანდელ მეორე ისტორიას, ფრიად სარწმუნოს; ოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა „შეურაცხყოფილმა“ რუსმა ემიგრანტებმა სამსოფლიო ხმაური ატეხეს, რუსეთს ნახევრად ველური ხალხის შვილი, ქართველი უდგას სათავეშიო, სტალინმა მაშინ გამოჩენილი რუსი პოეტის – თანაც ემიგრანტის! – კონსტანტინე ბალმონტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ მოიშველია და გამოაცემინა, რითაც ქარაგმულად აგრძნობინა საზღვარგარეთ მისი წარმომშობი ერის აუგად მხსენებლებს და მათს გუნებაში! — შინაურ თანამოაზრეებსაც, რა „ველური ხალხის“ შვილიც ის გახლდათ.

არა მგონია, ისე გამოთავყვანებულად მიმიჩნიოთ, რომ იფიქროთ, ჩემს „წერილს“ ასტაფიევისადმი, გარეშე თვალში ჩვენი არაველურობის დასამტკიცებლად, „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით ვაყენებდე, მაგრამ ახლა, დღევანდელ სიტუაციაში, როცა „პამიატის“ ერთ-ერთმა ფარულმა სულისჩამდგმელმა, ასტაფიევმა, ჩვენ, ქართველები, კატკოვისებურად აბუჩად აგვიგდო, არ შეეძლოს ამ ჩემს ნაშრომს საკადრისი პასუხის როლის შესრულება.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთი დადებითი აზრისანი არიან მასზე არაქართველებიდან დიდი ერის შვილი, აკადემიკოსი დიმიტრი ლიხაჩოვი და პატარა ერის დიდი შვილი სილვა კაპუტიკიანი, რომელიც არა მხოლოდ მშვენიერი პოეზიითაა ცნობილი, - გამორჩეული ქკუითაც.

ჰოდა, ახლა, როცა რა არ იბეჭდება ცენტრალურ პრესაში, რატომ არ შეიძლება გამოქვეყნდეს „Такое длинное, длинное письмо“, რომელიც, სხვათა შორის, არა მხოლოდ ასტაფიევს ეხება, - ბევრ სხვა საჭირობოროტო საკითხსაც შეიცავს, მომეტებულად ეროვნულს, ხალხთა მეგობრობას, მოსაჩვენარსა და ნამდვილს...

ეს მით უფრო ახლაა საჭირო, როცა განზრახულია პარტიის სპეციალური პლენუმის მონვევა კი, რომელიც მიეძღვნება ნაციონალურ საკითხს, საბჭოთა ერების საურთიერთო პრობლემებს...

ტრაბახში თუ არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ ამ მხრივ ჩემს „ასტაფიევში“ გონიერი ადამიანი საგულისხმოს ბევრ რამეს ამოიკითხავს, თანაც ესეც გაითვალისწინეთ, რომ იგი თითქმის ორი წლის წინათ დაიწერა, როცა ხალხთაშორისო ამ ეროვნულ სატკივრებზე, ამჟამად ასე ტრაგიკულადაც თავი რომ იჩინეს, არც არავის ანუხებდა და მასზე არც არავინ კრინტს სძრავდა (საერთოდ, დღეს საქართველოში ბევრი კალმოსანი - „რაინდი“ იცოხნის თავმომწონედ იმას, რასაც მე ჯერ კიდევ როდის ვწერდი „შავ წიგნში“, დაჭერის შიშის ზარის ქვეშ!).

„ასტაფიევი“ თქვენ საკმაოდ დიდი ხნის წინათ გამოგიგზავნეთ, ოღონდ არ ვიცი კი, მის გასაცნობ-ნასაკითხად დრო უკვე გამონახეთ თუ არა... შარშან იგი, აგვისტოში, მდულარე ცრემლებით სავსე წერილითურთ ა.ნ. იაკოვლევსაც გაუგზავნე, თქვენს მეგობარს (ასე ვფიქრობ, რაკი გაფრენა-ჩამოფრენისას აეროდრომზე მეტწილად იგი გაცილებით და გხვდებათ ხოლმე), ოღონდ მისგან ისეთივე პასუხი მივიღე, როგორიც... აიატოლა ხომეინისაგან ჩემს გაუგზავნელ ბარათზე!

ამჟამად „Беседа“-ს გიგზავნით, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ მიხეილ გორბაჩოვს „ასტაფიევის“ თანდართვით გაეგზავნა.

როგორც ცნობილია, ამერიკელები სტატისტიკის დიდი მოტრფიალენი არიან. ამას წინათ ყურნალ „რიდერს დაიჯესტ“-ში მკითხველს შეეძლო გასცნობოდა იმას, თუ რა ხდება ამერიკაში ყოველდღიურად:

„ძაღლები კბენენ II ათას კაცს, მათ შორის ფოსტალიონს - ოცს“...

„მთელი ქვეყნის მოსახლეობა მიირთმევს 167 მილიონ კვერცხს...“

„ოცი ათასი ამერიკელი წერილს წერს პრეზიდენტს...“

აბა, თვითონ წარმოიდგინეთ და განსაჯეთ, ბატონო ედუარდ, თუკი რონალდ რეიგანი ყოველდღიურად ოცი ათას წერილს ღებულობს, რომლებშიც არც ერთი ამერიკელი თავის პრეზიდენტს არც ბინას სთხოვს, არც სამსახურს, არც ტელეფონის დადგმას, არც დამსახურებას, არც რაიმის დაბეჭდვა-გადაბეჭდვის ნებართვას, მაშინ ჩვენი დიდად პატივცემული მიხეილ გორბაჩოვი რამდენ ათასნაირი თხოვნა-ვედრებით აღსავსე წერილს მიიღებს ყოველდღიურად?

ჰოდა, ამ ზღვა წერილებში მისი აპარატი ვითომ ჩემს მოზრდილ კორესპონდენტციას ამოარჩევს და გადასცემს მას ნასაკითხად?

ღიახაც რომ, აქ საჭიროა თქვენი დახმარება და რეკომენდაცია... და ეს არც უნდა დაიზაროთ!

ჩვენ, ქართველებს, დიდად გვესახელება, რომ თქვენ ამოდენა სახელმწიფოს საგარეო საქმეებს განაგებთ, მაგრამ იმ „გარე-გარე საქმეებს“ ბევრი არაფერი დაუშავდებათ ათასში ერთხელ ქართულ საქმესაც, სამართლიან ქართულ საქმესაც თუ ნაჰკრავთ ხოლმე სასიკეთოდ ხელს...

ცოტა მეუხერხულება, ასეთი უბრალოზე უბრალო ჭეშმარიტება შეგახსენოთ, მაგრამ...

ქართველი ხალხის მეხსიერებაში საისტორიო კაცად იმით კი არ დარჩებით, ედუარდ შევარდნაძემ ანგოლაში მშვიდობა დაამყარა და კამპუჩიელებს უპატრონაო... „Такое длинное, длинное письмо Виктору Астапьеву“-ს დაბეჭდვა მოსკოვში (უკიდურეს შემთხვევაში საქართველოში მაინც) ჩემს პირად წისქვილზე კი არ დაასხამს წყალს... მისი დაბეჭდვით მე ის როდი მინდა, რუსულად მკითხველის თვალში მწერლად გამოვჩნდე, მე ამით ის მინდა, რომ საქართველო არ ჩანდეს უცხოთა თვალში ისეთ საფრთხობელად, როგორადაც ამას ასტაფიევი ხატავს და აგვიწერს...

ეს საერთო საერო, საქართულო საქმე იქნება, რაც ასე დიდად გვჭირდება ახლა ქართველებს: ჩვენზე უფრო სახელგატეხილი ხალხი სხვა არავინაა ამჟამად საბჭოთა კავშირში (ჩვენ შორის დარჩეს და... ამაში ბრალი მართო ასტაფიევეს როდი მიუძღვით, მათ საამისოდ ჩვენივე მრავალნაირი სახის უზნეო, უღირსი, ყოველად საძრახისი საქციელიც აძლევთ საბაბს).



მე ორჯერ მომმართეს, თქვენს ამ წიგნს საზღვარგარეთ გავაპარებთ და იქ ხალისითაც კი გამოსცემენო, მაგრამ მე არც თანხმობა მიმიცია და ამის გამო არც სიხარულით ავფოფინებულვარ: უცხოეთში ქართველებს თითო - ოროლა კაცი თუ იცნობს და იქ ჩვენ არც მტრები გვყავს, თავის დაცვა ჩვენ მლანძღავ - მაგინებლებთან აქ უფრო გვჭირდება, ჩვენივე ქვეყანაში!

მინდა, ესეც გითხრათ: როცა ამა წლის 31 მარტის ერთ-ერთ რუსულ გაზეთში ასეთი რამ საკვირველება ამოვიკითხე:

„М.С. Горбачев по-ленински действует. Пока. Если только пресса не постарается внушить ему мысль об исключительности“...

გავიფიქრე, რატომ არ შეიძლება „ასტაფიევთან“ ერთად „Беседа во сне...“ დაიბეჭდოს?!

4 აპრილი, 1988 წელი.  
თბილისი.

პატივისცემით  
კიტა გუაჩიძე



### ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქტორს რევაზ მიშველაძეს

ბატონო რევაზ!

ვფიქრობ, დიდსულოვნების გრძნობა არც ახლა გიღალატებთ და არ გამკიცხავთ საძრახისი უმადურობისათვის; თქვენთვის მადლობა განა, აბა, ასე დაგვიანებით უნდა მომეხსენებინა იმ მწერლური სიკეთისათვის, რაც თქვენ კარგა ხნის წინათ გამოიჩინეთ ჩემდამი, იმ ავტორისადმი, რომელიც თქვენს კაბინეტში მოუხსენებლად რომ შემოვიდეს, ვერც კი იცნობთ.

აღბათ უკვე მიმიხვდით: მე მხედველობაში მაქვს ჩემი ბოლოდროინდელი ნაწერ-ნათით-ხნი, რომლებსაც თქვენ, ათეისტმა კაცმა, ჯვარი გადაწერეთ და ქრისტიანულად გზა დაანათლეთ ჟურნალ „კრიტიკის“, საერთოდ, პილპილმოყრილი ფურცლებისაკენ...

ასე, მაგალითად, „კრიტიკის“ მე-7 ნომერში ერთი მზა მასალა სასწრაფოდ ამოაგდეთ და ჩემი ჩასვით – საკმაოდ მოკრიტიკო ღია წერილი პროფესორ შალვა ამონაშვილისადმი, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბატონი შალვა თქვენი ახლო მეგობარი თუ არა, ყოველი შემთხვევაში, ახლო ნაცნობი იქნება მაინც („Профессор профессора видит издалека!“).

თქვენ ასევე არ მოერიდეთ მინისტრსა და პროფესორს დავით ჩხიკვიშვილს და ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, მინისტრობისას, „ბუთქეთ“ „კრიტიკის“ მე-8 ნომერში ჩემი არსებითად უწყინარი – ესეც ღია! – ეპისტოლე მისდამი;

და რაც ყველაზე უფრო საკვირველი და საოცარია, და რაც თქვენს ქრისტესებრ თავდადებაზე და მოუსყიდველობაზე მეტყველებს, თქვენ, არა როგორც მხოლოდ რედაქტორი, როგორც დ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ც კი, არ მოერიდეთ თქვენთვის ასე საჭირო რეჟისორების, პირველ რიგში მძლეთა მძლე რობერტ სტურუას და თემურ ჩხეიძის მომდურებას და არ შეეპუეთ, აღბათ თქვენი აზრით, ჩემგან მათს უსამართლო განქიქებას და „კრიტიკის“ მე-9 ნომერში ქათქათა ადგილი მიუჩინეთ ამ რამდენიმე წლის წინათ დაწერილ და ამ რამდენიმე წლის მანძილზე სხვა, თავის ატკივებისგან დაზღვეული რედაქტორების მიერ გვემულ-წამებულ „საით მიექანება ქართულ თეატრს...“

და ეს კვლავ მიუხედავად იმისა, რომ თქვენ, როგორც პროფესიონალი თეატრალი, არა მგონია იზიარებდეთ მასში გამოთქმულ ჩემს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არგენტინა-ავსტრალიის ტაში სულაც ვერ შეაყოვნებს ქართული თეატრის აჩქარებულ სვლას... დ რ ა ნ ტ ე ს ა კ ე ნ !

სავარაუდებელია, რომ ამ თქვენს რედაქტორულ გულადობას უთუოდ ხელი შეუწყო ახლა ჩვენში აზრთა პლიურალიზმის ასე ჩინებულად დაკვირტიანებამაც.

ამჯერად, ბატონო რევაზ, გიგზავნით დასასტამბავად კვლავ ღია ბარათს, ამ შემთხვევაში გაზეთ „თბილისის“ დროდადრო დროებით რედაქტორისადმი და ვიმედოვნებ, თქვენ თუმცა ქალბატონ ნარგიზა მგელაძისათვის დიდად სასურველი ავტორი ბრძანდებით, მას მაინც გამო-

აქვეყნებთ – უშიშრად და უკან მოუხედავად! — „კრიტიკის“ თუ მორიგ ნომერში არა, ამა წლის დამატებით, მე-13 ნომერში მაინც, რისთვისაც შესაძლო რეციდივის შიშით შეპყრობილი, წინასწარ გიხდით მადლობას.

16 დეკემბერი,  
1988 წელი.

მუდამ თქვენთან გასარეზული  
კიტა გუაჩიქი  
(პროზა-კინოში — ხაჩიქი!)

ორი მიკროცნობა:

გაუცნობიერებელი მკითხველისათვის:

1. „კრიტიკა“ ორთვიური ჟურნალია და წელიწადში გამოდის ექვსი ნომერი.
2. ხაჩიქი — რ. მიშველადის ერთი ნოველის („ქველი“) და მის მიხედვით შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმის პერსონაჟია; მასში ავტორი, რამდენადაც ვიცი, მე და ჩემ მიერ მრავალშვილიანებზე ჩამორიგებულ ფულებს გულისხმობს.



### სტამბა „სამუშაოს“ მკინძკის თენგიზ თომაძის

ჩემო თენგიზ!

გვიან გავიგე შენს ოჯახზე დამტყდარი უბედურების ამბავი, ამიტომ მოხდა, რომ იმ შავ დღეებში ვერ მოგიწახვალე და ვერ მოგიხამძიმრე.

ჩემი „შავი წიგნის“ ჰონორარიდან გიგზავნი ათას მანეთს ობლად დარჩენილი ორი ლლაპი შვილიშვილის აღზრდისათვის დასახმარებლად.

მოგილოცავ ახალ, 1990 წელს და ვისურვებდი, მომავალში მარტო სიხარული ყოფილიყო შენი და შენი მეუღლის, შენი შვილებისა და შვილიშვილების თანამგზავრი!

28 დეკემბერი, 1989 წელი  
თბილისი

კიტა გუაჩიქი



### ქალბატონ მ. გ. გაქრაქის!

მაპატიეთ, თუკი მიმართვის უკეთესი ფორმა ვერ გამოვნახე: რაკი მისამართს მატყობინებთ, ალბათ გსურთ, თქვენი ბარათი უპასუხოდ არ დავეტოვო, და მაინც, რატომღაც ინიციალებს ეფარებით (მ.გ.).

ცოტა არ იყოს, მაკვირვებს ისიც, რომ თქვენ, როგორც ასტაფიევის წერთ, არც რუსულ სკოლაში გისწავლიათ და არც დიდი ხნით მოსკოვში გიცხოვრიათ, და მაინც მე, ქართველ მწერალს ქართველი მკითხველი „Никита Михайлович“ -ობით მომმართავთ, ბარათსაც რუსულად მწერთ და „Царица Тамары“ -ს პროსპექტიდან (?!?) „Улица Барнов“ -ამდე ფოსტალიონმა იგი „რუსულად“ უნდა მომიტანოს!.. (თბილისში ჯერჯერობით ყველა ფოსტალიონმა იცის, ავად თუ კარგად, ქართული წერა-კითხვა).

ახლა მოკლედ არსებითზე: თქვენ, მაღლობა ღმერთს, მხოლოდ ერთი საყვედურით იფარ-  
გლებით ჩემი წიგნის მიმართ, არ უნდა დაგენერათო ქართველებზე „Черезчур ретивые ура-  
патриоты“-ო, რომლებმაც აღშფოთებით მიმართეს რედაქციას და ასტაფიევსო...

ამ „ურა-პატრიოტებში“ პირველ რიგში, ცხადია, საკუთარ თავს გულისხმობთ მაგრამ საქ-  
მე ის არის, რომ მე თვითონ მათში თქვენ თავს სულაც არ ვგულისხმობ, და არც შემძლო მეგუ-  
ლისხმა: თქვენი წერილი ასტაფიევისადმი, თარიღის მიხედვით, 1987 წლის მაისშია დაწერილი,  
ჩემი „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву“ კი, ქსეროქსზე გადაღებული, 1986  
წლის სექტემბრიდან ვრცელდებოდა არა მარტო საქართველოში (თუ „სამართალში მიმცემთ“,  
თავის გასამართლებელ საბუთად აკადემიკოს ლიხაჩოვის მიერ ჩემდამი მოწერილ ბარათს მო-  
ვიშველიებ, დათარიღებულს 1987 წლის 30 მაისით, რომლის ასლსაც გაახლებთ).

საერთოდ, თქვენი წერილის არსებობის ამბავი პირველად გავიგე და პირველად წავიკითხე  
გუშინ, როცა ის თქვენგან მივიღე: დაწერილია უთუოდ პროფესიონალურ დონეზე და თუ მას  
ადრესატი არ გამოეხმაურა, ეს მაინცდამაინც ნუ დაგამწუხრებთ; ასტაფიევმა არც ქსეროქსზე  
და არც სტამბურად დაბეჭდილ წიგნზე მეც არაფერი მიპასუხა, ალბათ როგორც კუდმომწვარ-  
მა...

პირველ ხანებში, ცხელ გულზე „Наш Современник“-ის რედაქციას და თვით ასტაფიევს ლა-  
მის დედის საგინებელ წერილებს უგზავნიდნენ საქართველოდან („Ты подонок“ ... „Ты подлец“...  
„Негодяй ты“...).

ჰოდა, როცა ამ სიტუაციაში და ამ ფონზე მეც დავაპირე მეპასუხნა მისთვის, მთავარ მიზ-  
ნად დავისახე, ჩემი „უსტარი“ დამენერა იმგვარად, რომ ასტაფიევს და, საერთოდ, რუსულენო-  
ვან მკითხველს ეგრძნო, რომ ამის დამწერი მართლაც მწერალია და არა ვიღაც განწინმატებული,  
მანდარინებით მოვაჭრე ქართველი სპეკულანტი...

და ამას, მგონი, ნაწილობრივ მაინც მივალწიე კიდევ, რასაც თითქოს არც თქვენ უარ-  
ყოფთ.

18 იანვარი, 1990 წელი  
თბილისი

პატივისცემით თქვენი  
„Никита Михайлович“  
ანუ იბივე კიტა ბუაჩიძე



## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს შოთა გორგოძას

გატონო შოთა!

როცა ამ პაკეტს გახსნით, ვფიქრობ, არ გაგიძნელდებათ, მიხვდეთ, რატომ გეგზავნებათ  
გაზეთი „კაბადონი“, გ. გუმბარიძისადმი გაგზავნილი წერილის ასლი და „შავი წიგნი“, რომლის  
მთლიანად წასაკითხად დროს თუ ვერ გამოიხატავთ, მაშინ მის ერთ თავს მაინც გაეცანით: 99-  
106 გვერდებს.

დამატებით პირადად თქვენ დაბეჯითებით გთხოვთ, მიიღოთ გადამჭრელი ზომები, რათა  
აიკრძალოს ტროტუარებზე მანქანების გაჩერება-დაყენება და ამით ადამიანებისთვის სასიარუ-  
ლოდ განკუთვნილ ამ გზებზე დაუსჯელობის იმედით გათავხედებული მძღოლების თარეში.

თბილისის ტროტუარები ავტომობილებით ისეა უკვე ახლაც გადახერგილი და სულ ახლო  
მომავალში უეჭველია, კიდევ უფრო ისე გადაიხერგება, რომ ქვეითებს თავისივე გზაზე მიხვე-  
ულ-მოხვეულად სიარულის საშუალებაც მოესპობათ.

ამ სფეროში მტკიცე წესრიგის დამყარება, ვიცი, იოლი არ იქნება, მაგრამ ძალ-ღონეს მა-  
ინც ნუ დაიშურებთ თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელივით არც თქვენ ივლით მუდამ და ყველ-

გან მანქანით, საპენსიო ასაკი და სიბერე როდისმე თქვენც აუცილებლად მოგაკითხავთ და... ვაითუ, პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ შეგანუხვით „ფეხოსანთა“ საცოდაობამ...

ჰოდა, ვიდრე სულ გვიან არ არის...

ბუზი მანამდე უნდა მოკლა, ვიდრე სპილოდ გადაიქცევა... სამწუხაროდ, საბჭოთა ხელი-სუფალთ, არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, ამის მიხვედრის უნარი ყოველთვის აკლდათ, ამიტომაც დაზღვავედა ქვეყნად ამდენი ვაი-უშველელები...

ვშიშობ, ეგებ იფიქროთ, მანქანებისადმი ასეთი მიდგომით, უგარაჟობით ისედაც განვალე-ბული მათი მფლობელები, ვაითუ, კიდევ უფრო განვალდნენო...

უეჭველად განვალდებიან და...

დაე, განვალდნენ!..

ამ განვალდებამ შეიძლება ზოგიერთს მაინც დაუკარგოს ჩვენში ასე პათოლოგიურად მოდე-ბული მანქანის შექენა-პატრონობის საღერღელი!..

გვახსოვდეს: ქართველებმა უკვე იმ საბედისწერო ზღვარს მივალნიეთ, როცა ყოველი მანქანა კუბოდ უნდა გვესახებოდეს.

გონიერი კაცი სიკვდილს ისე არ უნდა დახარბდეს, რომ კუბოს სიცოცხლეშივე წინასწარ იმზადებდეს...

24 მაისი, 1990 წელი.

კიტა ბუაჩიძე



### თბილისის აღმასკომის თავმჯდომარეს ირაკლი ანდრიაძეს

**ბატონო ირაკლი!**

ამ თვენახევრის წინათ თქვენი დავალებით კვლავ დამირეკა არველაძემ და მაცნობა, რომ ისინი უკვე შეუდგნენ მრგვალ ბალთან მიწისქვეშა გასასვლელის პროექტის შედგენას...

მართალი გითხრათ, ჩემთვის ამ ფრიად სასიამოვნო ამბავმა დიდად გამაკვირვა: აკი ამ ზა-რამდე ორი თვით ადრე იმავე არველაძემ ცივი წყალი გადამასხა თავისი ცივი უარით და... აი, ახ-ლა კი....

არ ვიცი (მაინტერესებს კი ძალიან!), ეს საკითხი ხელახლა ვინ წამოჭრა, თქვენ თუ გივი გუმბარიძემ?

ასეა თუ ისე, სასიკეთოს აქ, ადგილზე, ჯერჯერობით მაინც ვერაფერს ვხედავ და მრგვალ ბალთან ამ ჯოჯოხეთურ მონაკვეთზე გადასვლა-გადმოსვლისას ისევე წინანდებურად ქოქოლას ვუთვლი ხოლმე არა მარტო სინდისგარეცხილ, ტუტუც მძლოლთ!

გიგზავნით 3 ნომბრის გაზეთ „კაბადონს“, რომელშიც ჩემი წერილია დაბეჭდილი, „ბლავი-ლი ბებერ ხარისა!“

მთლიანად მის წაკითხვას არ გავალდებულებთ, ამის დროს, აბა, სად გამონახავთ, ამიტომ წაიკითხეთ მხოლოდ ის ადგილი, რომელიც კარლო გარდაფხაძეს ეხება, ოღონდ წაიკითხეთ ლი-მილით და გული სულაც არ დამეთუთქება, თუ იტყვი, რვა წლის წინანდელი ნაწყენობა ახლა რამ გაახსენა ამ ოჯახკეტიანსო...

5 ნოემბერი  
1990 წელი,

თუ „ლამანუის გვირაბის“ გაყვანას დაიწყებთ  
მაშინ თქვენი მარად მლოცველი

კიტა ბუაჩიძე



## სახელმწიფოს მეთაურის მთავარ მრჩეველს კულტურის დარგში ვალერიან ასათიანს

ბატონო ვალერი!

ბოლო ხანს ერთმანეთს ისეთი დღეები წაებანრა, უადგილოდ და უხერხულად მივიჩნიე თქვენი მოცდენა უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეებისაგან, ვიდრე ჩემი დღევანდელი ლიტერატურული საქმიანობაა.

ამასობაში კი ამ ჩემს ბოლოდროინდელ ნამუშევარს ვიქტორ რცხილაძე გულდასმით გაეცნო და მისი სასწრაფოდ გამოქვეყნება ძალზე საჭიროდ მიიჩნია, ყველა იმ ამბავს, რაც ახლა ჩვენში ხდება, მალამოსავით დაედებაო, დაურეკა კიდეც გურამ გოგიაშვილს, ამის დასაბეჭდი ქალაქი ეგებ მე თვითონ გამოვნახო, მაგრამ მისი ცდა, თუმცა ამაში „ოქროს თევზიც“ თითქოს ხელს უმართავდა, უნაყოფო გამოდგა; მაშინ მან „ლიტერატურულ საქართველოს“ მიმართა და, როგორც გადმომცა, მთავრობის ტელეფონთან თამაზ წივნივაძის ნაცვლად ჯუმბერ თითმერიას გადაეყარა, რომელმაც იუცხოვა თურმე, კიტა ბუაჩიძეს ჩვენთან ვისი რა პროტექცია სჭირდებაო, ვიქტორს კი ეთქვა, დიდი წერილიაო, - იყოსო...

ჰო, მაგრამ, თქვენც იცით, მოადგილე მაინც მოადგილეა, „თლათ უფროსის“ გარეშე მნიშვნელოვან საკითხს ვერ გადაწყვეტს.

ჩემი ეს წერილი კი, როგორც ხედავთ, გაზეთისთვის მართლაც დიდზე დიდია, ოღონდ ესეც არის, თუკი „ლიტერატურული საქართველო“ ნომრიდან ნომერში თუნდაც ნამდვილად კარგი მწერლის რომანს ბეჭდავს, რატომ არ შეიძლება, იგივე გაზეთმა ჩვენი ტრაგიკული დროის მიმომხილველი, მწვავე პუბლიცისტური ნაშრომი დაბეჭდოს.

საერთოდ, ბატონო ვალერი, დღეს რომანებს კი არა, ლექსებსაც თითქმის აღარავინ კითხულობს, ყველა, დიდიც და პატარაც, პოლიტიკურ პუბლიცისტკას ეტანება.

ასეც არ იყოს, ჟორჟ სიმენონი ანდა აგატა კრისტი უნდა იყო და ამათი კალმის ღირსი დეტექტივი შექმნა, რომ მას ყოველმხრივ დალხინებული ევროპელი და არა დღევანდელი აფორიაქებული. უპურობითაც კი გამწარებული ქართველი მკითხველი დაენაფოს, თანაც იმ პირობით, რომ მას ეს დეტექტივი წიგნის სახით ედება წინ და არა კვირიდან კვირამდე მისი გაგრძელებების მომლოდინე იქნება: საინტერესო დეტექტივი ხომ ერთი ამოსუნთქვით, ზოგჯერ ერთ ღამეშიც იკითხება...

რას იზამ, საქართველოშიც უკვე კარგა ხანია, წავიდა ის დრო, როცა ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელის“ გაგრძელებებს გულისფანცქალით კითხულობდნენ, ან კიდეც ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას „მოლიპულ გზაზე“.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ახლა თქვენ წინ დევს უქალაქობის, ულენტობის, „უკაპირკობის“ ბაზაზე გადაბეჭდილი ჩემი მოზრდილი „დეტექტივი...“

ო, ასეთი კი არა, მანქანაზე დიდებულად გადაბეჭდილი ესა თუ ის ნაწარმოები, ლიტერატურული თუ მეცნიერული, მკითხველზე ისეთ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, როგორც იგივე ნაწარმოები, სტამბურად ხორცშესხმული. არა მგონია, თქვენ ეს პირადად არ გქონდეთ შენიშნული და დაცდილი.

და მაინც. რაკი ამ „გრძელზე გრძელი უსტარის“ პირველი 28 გვერდი ამ რამდენიმე ხნის წინათ უკვე წაიკითხეთ, მოიწონეთ და მიიჩნიეთ გამოქვეყნების ღირსად (მასში ზოგი რამ ახალიც ჩაემატა). შეიძლება ამიტომაც ასე თავხედურად ვფიქრობ, არც ეს „გვიანდელი ჩანამატი“ გაგანბილებთ: მასში მრავალ მტკივნეულ საკითხს ვიხილავ და მრავალ პირს ვეხები; ისეთსაც კი, როგორც „ყველას მომრევი“ რევაზ მიშველაძეა, რომელმაც გუშინდელ „ლიტერატურულ საქართველოში“, მართალია, ჩემი მისამართით ქების სიტყვები არ დაიშურა, მე მაინც, ამის მადლობის ნიშნად, არც ერთი კრიტიკული სიტყვა არ ამომიგდია და არც რაიმე შემირბილებია: რა ვქნა. შევარდნაძის გადადგომის საკითხში „კიკა“ წერეთლის გვერდით დგომა მისი ბიოგრაფიის სამარცხვინო ფაქტად მიმაჩნია.

დასტურ, თუ გახსოვთ, ერთხელ მკითხეთ, სად და როდის დაიბეჭდაო ტალიაშვილის წერილი, არ ვიცი კი, შემდგომ მოიძიეთ ის გაზეთი („საქართველოს სამრეკლო“, 07.05.93) და წაიკითხეთ თუ არა: მასში ქალთა შორის „ზვიადიზმის“ ეს პეტრიაშვილისნაირი დამცველი და პროპაგანდისტი სასიკვდილო ბრალდებად „შევარდნაძის აგენტობას“ მიყენებს.

ცოტა არ იყოს, უცნაური კია, შევარდნაძის ცეკას მდივანობისას არავინ არ მთვლიდა მის აგენტად და ალბათ ამიტომაც არც პიესებს მიდგამდნენ და არც წერილებს მიბეჭდავენ, ახლა კი, შევარდნაძის სახელმწიფოს მეთაურობისას, ტალიაშვილები მის აგენტად მაცხადებენ, და მაინც, გოგიაშვილები დროულად არაფერს მიბეჭდავენ; ჰოდა, რა ქნას, აბა, სანყალმა ბერიკაც-მა, რომელსაც ტალიაშვილ-ქორიძის უმაღლესი განჩინებით, არც თავი უჭრის და არც კალამი, იმ ქვეყნის იმედით ჩავიდეს მოახლოებულ სამარეში?!

ღიახ, გონივრული ნაბიჯი, გადადგმული, სამწუხაროდ, დაგვიანებით...“ პირველად სწორედ გურამ გოგიაშვილს გავუგზავნე და მას მიმტანისათვის ეთქვა, ვახტანგ გოგუაძის წერილმა ხალხში დიდი აღშფოთება და მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და... ვერ დავბეჭდავო! (ამის შემდეგ გავიდა სამი დღე და... ედუარდ შევარდნაძემ „ესენგეში“ შესვლის ამბავი გვაუწყა!).

„გონივრული ნაბიჯი“ „ლიტერატურულმა საქართველომ“ სწრაფად და ხალისითაც კი დაბეჭდა (15.10.93) ოღონდ ამას ჩემთვის ის სანუხარი მოჰყვა, რომ ის ორსტრიქონიანი ადგილი, თუ რატომ დამინუნა იგი „საქართველოს რესპუბლიკამ“ (გოგიაშვილს გვართ არც ვიხსენებდი) შემიცვალა ისე, რომ კოლეგისთვის არ ეწყენინებინა.

კი, მაგრამ... მწერალ კაცს იმის შიში უნდა ჰქონდეს, მწერალთა გაზეთში რას ამოუგდებენ და რას შეუცვლიან?! ჩემი აზრებისთვის მე უნდა ვაგო პასუხი და არა რედაქციის შინამუშაკებმა!

ასე რომ, ბატონო ვალერი, თუკი თქვენ, „ხელმწიფის“ ჩრდილში მყოფი „ნაზირ-ვეზირი“, ახლა ამ სტატიის მხოლოდ გულწრფელი მონონების შემთხვევაში ვაჟკაცურად მოიქნევთ კუდს და დააბეჭდინებთ მას, რაც საერო საქმეა და არა პირადი ჩემი, ისიც სთხოვეთ რედაქტორს, დაბეჭდოს ხელუხლებლად (მანამდე კი, თუ ასეთი რამ იქნება, ყველა თქვენს რჩევას, როგორც იტყვიან, მადლობით მივიღებ და ანგარიშსაც გავუწევ).

და რაც ყველაზე უფრო მთავარია, წერილი რომ უფრო მეტი მამხილებელი ძალით აჟღერდეს, იგი უნდა დაიბეჭდოს, სულ დიდი, ორ ნომერში მაინც: ბევრი არაფერი დაუშავდება, გაზეთს სახე არ შეელახება, სხვა მასალებს — „რედაქტორის გვერდისა“ და, ღმერთმა ნუ ქნას, ნეკროლოგების გარდა, უახლოესი მომავლისათვის თუ გადასდებს.

18.10.93

კიტა ბუაჩიძე

P.S. როგორც ყური მომიკრავს, თქვენ, მგონი, ძველი ბერძნული იცით და თუ ეს ასეა, რომ არ შენუხდეთ და ამ წერილში (და სხვაგანაც) მიმობნეულ ზენონის გამონათქვამებს დედანში ძებნა არ დაუნყოთ, გამოგიტყდებით: მე მათ ფილოსოფოსს უფრო მეტი შთამბეჭდაობისთვის ვაწერ.



**ჯარჯაროვით არცთუ სულ ღია ბარათი...**  
**პეტიარკურგის ტოვსტონომოვოს სახ. დრამატული**  
**თეატრის მთავარ რეჟისორს თემურ ჩხეიძეს**

ასლი ჩემი სიკვდილის შემდეგ – თეატრალურ მუზეუმს

„ესეცა პრეამბულა“:

ვიდრე არსებითს შევეხებოდე, რისთვისაც ეს ბარათი იწერება, რაკი ჩემს ადრესატზე რამდენიმე ათეული წლით უფროსი ვარ და ძალზე ახლოს ვიცნობდი მამამისს (მამიდასაც, ვსწავლობდით ერთ სკოლაში) და მან ერთხელ თავისი შვილი, მომავალი თეატრალური მოღვაწე, ყმანვილი წარმომიდგინა დრამატურგს გასაცნობად („მე კარგი ბიჭი მყავს!“), ვფიქრობ, უზრდელობაში არ ჩამომერთმევა, თუკი მას ახლაც შენობით მივმართავ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ დღეებში რუსეთის სახალხო არტისტიც გახდა (ეს გვამცნო ანატოლი სობჩაკმა, პეტერბურგის მერმა, თბილისში ყოფნისას, ამა წლის 3 თებერვალს, თუმცა იმხანად პრეზიდენტ ელცინს საამისო ბრძანებულებაზე ხელი ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოწერილი, მაგრამ ამ სამ კვირაში, ცხადია, უკვე მოაწერდა).

„აქაცა თავიღათავი ტექსტი“:

თემურ ჩემო, ნოდარის ძე!

ამ სიცივეში პასტამიმხმარი კალამი ხელში ამაღებინა გუშინდელ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოთავსებულ ჟურნალისტ პეტმარ აბაიშვილის წერილში ამონაკითხმა:

„ანექლოტი“: ებრაელი ისრაელში მიდის, ეკითხებიან, რატომ მიდიხარო... უპასუხებს: პურს აიღებ, გიხარია, წყალი მოდის, გიხარია, მეტროდან ცოცხალი ამოხვალ, გიხარია... რა ვქნა, ამდენი სიხარულისაგან მეშინია, გული არ გამისკდესო...

რაკი ყველა ჩემი კომედია ახლაც თითქმის ზეპირად მახსოვს, უმალ გამახსენდა „ამბავი სიყვარულისა“ („მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა“), მაგრამ ვიდრე ამ „ანექლოტთან“ დაკავშირებით ორ პატარა ნაწყვეტს მოვიყვანდე, შევნიშნავდი: რახან რუს მკითხველს თუ მაყურებელს სრულებით არაფერს ეტყოდა დღეს მოძველებული, თითქოს სასაცილოდ გამხდარი სახელი „ექვთიმე“ და ძნელად წარმოსათქმელი „ვეფხვია“, მე ისინი ქართულსავე სანდროზე და ლადოზე შევცვალე, პროფესორი მემანვნიშვილი კი მანონიშვილზე, ფინალში რჩევას რომ აძლევს გულმტკივან სანდროს:

– Антибиотиками, пожалуйста, не увлекайтесь. единственное радикальное средство для укрепления сердца, это...

„Сандро – ... спокойная жизнь! Вашу книгу, профессор, «Советы сердечникам», я выучил наизусть. Стараюсь не обращать внимания ни на какие жизненные невзгоды – жить просто, по системе йогов, и, доложу вам, по части положительных эмоций, уже достиг некоторых успехов. Я черпаю их из гущи жизни. Вот, н а п р и м е р , сегодня раздобыл табуретку...

Профессор М а ц о н и ш в и л и (словно отрезвляясь): Где вы ее достали?

С а н д р о : На Вокзальной площади.

Профессор М а ц о н и ш в и л и (убегает с юношеской резвостью): Такси! Такси!..

С а н д р о (рассматривает «находку»): разве этой радости не хватит на целый год? (Ивлите):  
Ведь хватит, а?

ნაწყვეტი მეორე:

Л а д о (входит): Вот тебе и новый дом: в кухне потолок обвалился, дядя Сандро! Я чудом спасся... Я-то что, паркет жалко – весь изгажен.

С а н д р о (левой рукой держится за сердце, правую поднимает вверх): Господи, столько радости слишком много для одного человека! Не своди меня с ума, пощади!

(„Только комедии“, стр. 165).

არა მგონია, რომ თქვენ... რომ შენ, თემურ ჩემო, ამ ორ „ანექდოტს“ შორის პირდაპირი მსგავსება ვერ მონახო, და თუ მონახავ, მოგაგონებ, ჩემი „სცენური ანექდოტი“ შექმნილია 35 წლით ადრე, ვიდრე მეორე, დღევანდელი ცხოვრებისეული, ასე რომ, პლაგიატობაში ბრალს ახლა, ცოცხალი რომ იყოს, ბესარიონ ჟღენტიც ვერ დამდებდა...

არ გამიკვირდება, თუ გაიკვირვებ, ბესო ჟღენტი აქ რა მოსატანიას... ო, მოსატანი თუ მოსაყვანი იმიტომ გახლავს, რომ ნეტარხსენებული ჩვენი ბესო, როგორც ამაზე ერთ დროს უკვე სადღაც ვწერდი, არა ერთი და ათი წელიწადი ისე თავგამოდებით და მეთოდურად დამდევდა, როგორადაც ჟავერი ჟან ვალჟანს, და ეს უფრო იმიტომ, რომ მის წინაშე თავს არ ვიმცირებდი და არ ვეცნობოდი, ერთი სხვა, ჩემი თანამედროვე, „ახალგაზრდა მასწავლებელ“-დრამატურგით ხვეწნით კალთას არ ვახევედი, „რას მერჩი, ბესო, რა იქნება, ვჭამო მეც პური“ („წადი, ძმაო, ჭამე, ჭამე, შენთვის მეტს აღარ მოვიცლი...“); ამაზე უფრო მეტად თავს ესხმოდა ჩემს კომედიებს უფრო იმისათვის, რომ ვერა და ვერ მოენელებინა, რომ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მარჯანიშვილის თეატრმა ჩემი, ნაპატიმრალის, ერთი „საკოლმეურნეო“ პიესის დადგმა ამჯობინა, ვიდრე ბესოს იმდროინდელი შავგვრემანი (ბუნებას კონტრასტები უყვარს!) საყვარლის კალმის ნაწრიპინევი...

ჰოდა, მიუხედავად ასეთი პათოლოგიური ამოჩემებისა („...არა, ჯერ არ მინახავს, მაგრამ... აბა, რა უნდა დანეროს, კაცო, კიტა ბუაჩიძემ, კიტა ბუაჩიძემ რა უნდა დანეროს?! „ავ ძაღლში“ ერთადერთი დადებითი გმირი ჰყავს გამოყვანილი და ისიც სომეხია, ჩინჩახოვი!“), და მაინც, ერთხელ ბესომ... ვფიქრობ, ბევრად უფრო აჯობებს ჩემი სიტყვებით მონათხრობს თვით ბატონ ბესოს კრიტიკული მსჯელობა მიუმატებელ-გამოუკლებლად, შეურყენელად წარმოგიდგინო:

„Особо следует поговорить о комедии К. Буачидзе „Вспомним нашу молодость“ („Повесть о любви“), поставленной театром имени Руставели. К. Буачидзе- автор, обладающий определенным комедийным дарованием. Он умеет строить отдельные остро задуманные сценические ситуации, он, б е з у с л о в н о, т а л а н т л и в ы й м а с т е р к о м е д и й н о г о д и а л о г а . Благодаря этим достоинствам, комедии К. Буачидзе вызывают живую реакцию зрителя и привлекают к себе внимание театров.“

ამას მოჰყვება „კომედიური დიალოგის უთუოდ ნიჭიერი ოსტატის“ ძაგება „იმიტვინა რომა..“

„И тем досаднее, что свой талант и умение автор использует в ложном, ошибочном направлении. У м е я с м е ш и т ь з р и т е л я и небезуспешно добиваясь этого, драматург не заботится о том, чтобы осмыслить этот смех, придать ему социально-эстетическую функцию.“

მოკლედ, უ ი დ ე ი ა ო კიტა ბუაჩიძის კომედიებისაგან გამონვეული სიცილიო, ბრძანებს სოციალისტურ რეალიზმზე ნაფიცი კრიტიკოსი, იგი საზოგადოებაში დადებით იდეალს (ესე იგი კომუნისტურ იდეებს – კ.ბ.) არ ამკვიდრებსო, და რარიგ სამწუხაროა, რომ...

„мы не так уж богаты писателями комедийного дарования. Потому заслуживают внимания настойчивые поиски драматурга К. Буачидзе в этом жанре первостепенной важности. Потому и обязаны мы убедительно разьяснять ему ошибочность и неплодотворность творческого пути, по которому он упорно продолжает путь“.

და, აი, ამ ჭკუის შემავონებელი სტრიქონების ამოკითხვის შემდეგაც, არ ვიცი კი, ჩემდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მაინც არ დავდექი მოძღვართმოდღვარი კრიტიკოსის მიერ მითითებულ შემოქმედებით გზაზე და კვლავ ძველებური „სიჯიუტით“ დავწერე სამი კომედია:



„ოქრო კაცი ბენვის ხიდზე“, „რვა მოქმედი პირი“, „ფორმულა პლატონისა“, მცირეოდენი ანგარიშიც არ გავუწიე მის იმ სიბრძნეს, რომ

„Народу, советскому зрителю нужен смех, здоровый, осмысленный, социально и эстетически значимый, целенаправленный“ („Литературная Грузия, №5, 1960г. стр. 77-78.)

არ გავუწიე ანგარიში არა ვილაცის ჯინაზე, უფრო იმიტომ, რომ არა მგონია, ბუნებაში არსებობდეს რალაც ჯანსალი სიცილი და რალაც არაჯანსალი სიცილი... სიცილი სიცილია და თუ მაინცდამაინც საქმე საქმეზე მიდგება, თუნდაც ორაზროვანი უხამსობითაც გამოწვეული „არა-ჯანსალი“ სიცილიც კი ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ფიზიოლოგიურად ნაკლებ სასარგებლო როდი არის, ვიდრე გერმანული თუ ამერიკული ასპირინი, მით უმეტეს, ახლა მუდამ უარყოფითი ემოციებით დამუხტული, უწყვეტად ტრაგიკულ პერიპეტებში გახვეული ხალხისათვის... ო, სწორედ სიცილი ასე კარდინალურად ასხვავებს პირმეტყველს პირუტყვისაგან, რომლის, რომელიც გნებავთ, სახეობისთვის სიცილის გრძნობა აბსოლუტურად უცნობია, მაიმუნებისთვისაც კი...

აქვე გაკვრით იმასაც შევნიშნავდი, რომ მე არ ვიზიარებ იმ, საერთოდ, გავრცელებულ აზრს, თითქოს ხელოვნებას, სიცილისა არ იყოს, შეუძლია, დაამკვიდროს საზოგადოებაში რალაც მაღალი იდეალები.

„ხელოვნების დანიშნულება სულ უბრალოა: მოჰგვაროს ადამიანებს სიხარული“ (მარჯანიშვილი).

ჩემი კომედიებიც, თემურ ჩემო, სწორედ ასეთი პატარა პრეტენზიისანი არიან. ერთხელ შენ, შეიძლება არაერთხელაც, რამდენადაც მახსოვს ბრძანე, კომედია ჩემი სტიქია არ არისო, რომ იუმორთან თითქოს მწყრაღად იყვე... ეს რომ მართლაც ასე იყოს, ეს დიდი ნაკლი იქნებოდა შემოქმედისათვის: რალაც ეს არ ეტყობა სარკაზმით სავსე „ჯაყოს ხიზნების“ არც ტელე და არც თეატრალურ ვარიანტს; ამას წინათ მარჯანიშვილში ერთი ამერიკული კომედია მგონი, სიამონის, დაგიდგამს, რომელიც მე, უტრანსპორტობის გამო, სამწუხაროდ, არ მინახავს... ასე რომ, ამ ბოლო დროს, როგორც ჩანს, შენი რეჟისორული პალიტრა მრავალფეროვნდება.

ჰოდა, რაკი ასეა, მოდი ერთი და...რუსულად თარგმნილ ჩემს კომედიებს გაეცანი, ოღონდ გაეცანი კეთილი გულით და მათი დაწუნების მიზნით ნუ გაიხსენებ, ავტორმა თუ ოდესმე რამე განყენინა, და თუ გაიხსენებ, მაშინ ისიც გაიხსენე, ეს მოხდა მხოლოდ მის მერე, როცა შენ მას, უკვე დიდად ხანმოთეულს, როდესაც პროფესიას უკვე ველარ შეიცვლი, ს ა ა რ ს ე ბ ო წყაროც კი მოუსპე: დიახ, ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ მოევლინე თუ არა მთავარ რეჟისორად მარჯანიშვილის თეატრს, შენი პირველი „პრიკაზი“ ის იყო, რომ იმხანად უკვე ორას ანშლაგს მიღწეული „ეზოში ავი ძაღლია!“ სასწრაფოდ რეპერტუარიდან ამოეგდოთ...

კი, მაგრამ, მაინც რას ერჩოდი, თუნდ იგი სულაც ანტიმხატვრულიც ყოფილიყო: უკვე შენს თეატრში თუკი უკეთესი სპექტაკლები „მოყურებოდნენ“, მაყურებელი ხომ თვითონვე შეაქცევდა მას ზურგს და მექანიკურად ამოვარდებოდა?! არა, დალოცვილო, ის მაინც რატომ არ მოგაგონდა, რუსთაველის თეატრში 25 წლის წინათ დადგმულ ამ პიესაში რარიგ ბრწყინავდნენ დედაშენი (სარე) და მამაშენი (ჩინჩახოვ-ჩინჩახელი), ეს როლები მათთვის სპეციალურად რომ დაწერა დრამატურგმა?!

ალბათ შენიშნე, „25 წლის წინათ“-ს ხაზი გავუსვი, რითაც ის აზრი მინდოდა „შემომეპარებინა“, რომ კომედია თუ საერთოდ შედარებით სწრაფად ძველდება, ჩემი კომედიები ისე იოლად არ ძველდებიან და, იმედი მაქვს, არც დაძველდებიან, გარდა ერთისა („ვარდი ასფურცლოვანი“).

ასეა თუ ისე, მოკლედ, ერთი სიმღერისა არ იყოს, „დავივინყოთ რაც იყო...“

ჰოდა, ჩემი დიდი სურვილია, ვიდრე კართან უკვე ატუზული მიქელ-გაბრიელი მოუსავლეთში წამაძანძალებდეს, რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ, სწორედ რუსეთის სახალხო არტისტმა, ერთ დიდზე დიდ სიხარულს მაზიაროს: დადგას რომელიმე ჩემი კომედია რუსულ სცენაზე, კერძოდ, შენს მეორე, ადრე გორკის, ამჟამად ტოვსტონოგოვის სახელობის თეატრში!

... და მაინც, რომელი კომედია? ეს, ცხადია, მხოლოდ შენს თვალთახედვაზე დამოკიდებული, ოღონდ მე რატომღაც მაინც „Восемь действующих лиц“-ს ვარჩევდი.

ნუ მიაქცევ იმ გარემოებას ყურადღებას, რომ ის ჯერ ქართულ სცენაზეც არ დადგმულა: დანერისას რუსთაველში და მარჯანიშვილშიც იგი ანტისაბჭოურ პიესად ცნეს იმის გამო, რომ საბჭოთა ბინათმშენებლობას სახელს უტეხსო (ხალტურულად ნაშენებ სახლში სხვადასხვა სართულზე მობინადრეთ ერთმანეთის ლაპარაკი ესმით!), ახლა კი მისი დადგმა ჩვენმა თეატრებმა თუნდაც მოისურვონ, ნებას არ დავრთავ: დღის სამ საათზე სპექტაკლი რომ დაიწყება, ჩვეულებრივი გაგებით, ის უკვე თეატრი აღარ არის და... მას ვერ „გაათეატრებს“ ვერც შექსპირი, ვერც ერისთავი – სარდლუ-მახარაძე კოტე და, მით უმეტეს, ვერც თქვენი მონა-მორჩილი წვრილფეხა დრამატურგი...

ასეც არ იყოს, რა ვქნა, რაღაც ათიოდეჯერ საჩვენებლად ჩემს აქამდე დაუდგმელ პიესას, ვერც „პოლიხრონ ჩიჩიას“, ვერც „რვა მოქმედ პირს“ და ვერც „ფორმულა პლატონისას“ ვერ გავწირავ...

სხვათა შორის, არსებობს „რვა მოქმედი პირის“ გერმანული თარგმანი, რომლის დადგმა განზრახული ჰქონდა ჰერმან ვედეკინდს (ამის მოწმენია ნელი ამაშუკელი და ვახტანგ კუპრავა), მაგრამ ვერ განახორციელა იმის გამო, რომ გერმანიაში მეტწილად, კერძოდ კი ზაარბრიუკენში, სასცენო მოედნები მცირე გაბარიტისანი არიან და „რვა მოქმედი პირის“ ორსართულიანი ნაგებობა ვერ აიმართებოდა, მაგრამ უკვე თავად ეს ფაქტი ირიბულად იმის დამადასტურებელია, რომ, თუ ვედეკინდს ვენდობით, ჩემი ეს კომედია გერმანელი და, მაშასადამე, ევროპელი მაყურებლისთვის, თუკი დაიდგმება, უცხო და გაუგებარი არ იქნება...

და განა მართლაც ეს კომედია? დასავლეთში შეიძლება „ავი ძაღლი“ ეხამუშოთ, რადგან მასში წმინდა წყლის საბჭოური ყოფითი ვნებები ბოხოქრობენ, ასეთი „ძაღლები“ იქ არ ჭაჭანებენ, თორემ სხვა, მაგალითად, „მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა“, „ოქრო კაცი ბენვის ხიდზე“, „ფორმულა პლატონისა“ მათთვის რეზუსი არ იქნებოდა, მით უმეტეს, რუსი მაყურებლისთვის, თუგინდ ის გუშინდელი ლენინგრადელი იყოს, გნებავთ, დღევანდელი სანკტ-პეტერბურგელი, აკი ჩვენ, ერთმანეთთან „ჩახუტებულები“ ათეული წლები ერთ ტაფაში ვინვოდით... რომ ასე არა, ჩემი სტუდენტური კომედია „მკაცრი ქალიშვილები“ („Провинциальная девушка“) 300-ჯერ არ დაიდგმებოდა რეჟისორ მაიოროვის დროს в Московском драматическом театре, რომელსაც თეატრი კი ერქვა, მაგრამ, არსებითად, მისი მსახიობების ნიჭიერების დონე სცენის მოყვარეთა დონეს არც აღემატებოდა, და მაინც... ნავიდა სამასჯერ! (ეს თეატრი მართლაც კარგ თეატრად იქცა გონჩაროვ-ფეროსის მოსვლისას).

მე ვფიქრობ, ამაზე ბევრად უფრო მეტი წარმატება ელის პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის თეატრში, რომელიც გნებავს ჩემს კომედიას, კერძოდ, „რვა მოქმედ პირს“, მით უმეტეს, თუ მას დადგამს, „მდაბიურად“ თუ ვიტყვი, რ ე ა ლ ი ს ტ ი რეჟისორი თემურ ჩხეიძე და მასში ითამაშებენ ძველებიდან ისეთი „კიტები“, როგორც არიან: ბასილაშვილი (გაიოზი), ლებედევი (იასონი), ანტიოფა (ფრეინდლიხი), ახალგაზრდებიდან უცნობობის გამო ვერავის ვასახელებ.

(სულმა წამძლია და, აი, სახელდახელოდ გადავიკითხე ზოგიერთი სცენა „მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობისა“ და თვალწინ დამიდგნენ: კომენტატორი-ლავროვი, სანდრო (ექვთიმე) – ბასილაშვილი, ზაქრო – ლებედევი, ივლიტა ბოსტოლანაშვილი – ფრეინდლიხი (თუ ჯერ კიდევ ცოტათი მაინც შერჩენია ახალგაზრდული იერი)...

როცა თქვენ...

ბოდიში სტილის აღრევისათვის: როდესაც შენ 10-11 წლისა იყავი, გიორგი ტოვსტონოგოვმა დააპირა, დაედგა „ავი ძაღლი“ (იმ დროს ლენინგრადის ლენინური კომკავშირის თეატრში მუშაობდა), რომელშიც მთავარი, ლაითაძის როლი ეგგენი ლებედევს უნდა ეთამაშა, მაგრამ იმხანად, ჩემს ავბედად, მთელ საბჭოთა კავშირში ძლიერი ანტისატირული კამპანია გაჩაღდა, რომლის საბაბად ერმოლოვას სახელობის თეატრში დადგმული ლეონიდ ზორინის პიესა „Гости“ იქცა (სპექტაკლი მოხსნეს კიდევ). და ახლაც ზუსტად მასხოვს თარგმანზე ჩვენი საერთო მუშაობისას „ჩემი რეჟისორის ნათქვამი:

- В такой ситуации стоит ли нам класть голову на плаху?!

რასაკვირველია, მე მოხარულიც ვიქნებოდი, დამედო „გალავა“ „პლახაზე“, მაგრამ როცა რეჟისორს დასადგმელად პიესა მრავლად აქვს ასარჩევი, შენი ტრაგიკული განწყობილება მას კაპიკის ფასადაც არ უღირს...

თეატრალეზიდან ალბათ ყველამ იცის, რომ თითქმის გარუსებულმა ტოვსტონოგოვმა ლენინგრადის გორკის სახელობის თეატრში ვ ა უ კ ა ც უ რ ა დ სამ, ს ა მ ქართულ პიესას მიუჩინა რეპერტუარში ადგილი, შენ კი, თემურ მამით-დედით და თანდაყოლილი ბუნებით წმინდა წყლის ქართველმა რეჟისორმა იგივე თეატრში, თუ სათვალავში არ ვცდები, უკვე სამი პიესა დადგი და... მათ შორის ქართული არც ერთი, და რამდენადაც გამიგია არც ან აპირებ ამ მხრივ თავი დაიმცრო (!), რაც არა მგონია, დროთა განმავლობაში შენს რეჟისორულ ბიოგრაფიაში საქებ ფურცლად ჩაინეროს.

ასე რომ, თუ არ გინდა, გიორგი ქუჩიშვილის შვილიშვილი საქართველოს გარეთ არაპატრიოტად გამოჩნდე და... არ თქვან შენზე, როგორც ახლა ბრიყვები სტალინზე ამბობენ რა გაუკეთა საქართველოსო, პეტერბურგში მოღვაწეობისას ქართული პიესა ერთი მაინც უნდა... მმ...

აქვე კაცურად გამოგიტყდები: როდესაც საქმე ექსპორტზე მიდგება ხოლმე, ჩვეულებრივ ყველა შემოქმედი, მწერალი იქნება ის თუ მზარეული, საექსპორტოდ პირველ რიგში თავის თავს წარადგენს, ამ მხრივ მე ცოდვილს არც ჩემი თავი მიმაჩნია გამონაკლისად.

ამჯერად პანანკინტელა ეჭვიც რომ მეპარებოდე რომელიმე ჩემი კომედიის დადგმით ჩემზე უფრო ბევრად რუს მაყურებელს არ გაახარებდი, მაშინ ამ სიგრძე უსტარზე დროს არც მივახარჯავდი. დრო მე ცოტალა მრჩება ჩემდა სამწუხაროდ.

20 თებერვალი 1994 წ.

კიტა ბუაჩიძე



### დიდად პატივცემულ მოქალაქე

(ანბანით)

**მამრადე პეტრე!**

**ჟვანია ზურაბ!**

**შენგელაია ელდარ!**

რაკი ვიცი, რა გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობით ედუარდ შევარდნაძეს, გიგზავნით ამ ჩემს წერილს გასაცნობად და თუ ჭკუაში დაგიჯდებათ, რა თქმა უნდა, დასაბუქდადაც.

„თებერვალი-მაისი“, არსებითად, გაგრძელებაა ჩემივე სტატიისა „პრეზიდენტი კომმარული ოპერეტიდან, ანუ სატანას აგენტი საქართველოში“, რომელიც 1992 წლის იანვრის ამბებს მოიცავდა; იგი ბევრი წვალეების, დაწერიდან ერთი წილს შემდეგ, როგორც იქნა, გამოქვეყნდა გურამ გოგიაშვილის „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ისიც ვაჟა ლორთქიფანიძის „ზემოდან“ მტკიცე ჩარევის წყალობით, „თებერვალი-მაისი“ კი, აი, უკვე ოთხი წელიწადია გაკრულია ჯვარზე და... ვაჟასი არ იყოს, ამ ჯვარიდან, ვინ იცის, იქნებ თქვენ ჩამოხსნათ ა?!

ჩამოხსნათ, ერთის ნაცვლად, სამმა ინტელექტუალმა ვაჟაკაცმა და, რაც მთავარია, ჭეშმარიტად მოქალაქეებმა გამოიჩინოთ მოქალაქეობრივი გამბედაობა ჩვენი საერთო, საერო საქმის საკეთილდღეოდ და...

და ეს, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ მოწონების შემთხვევაში, ესე იგი მისი კითხვა თუ არ მოგბეზრდებათ ოცდამეხუთე გვერდამდე მაინც, როცა... „მზე ამოვა ჩრდილოეთიდან!“

რაკი სიტყვას მოჰყვა, ეგებ მოიგონოთ, წაგიკითხავთ კი სადმე მსგავსი რამ იმის გასამართლებლად, რომ „მზე ამოდის ჩრდილოეთიდან“, რისთვისაც შევარდნაძეს დღემდე, ლამის უკვე მეოცე წელიწადია, ჯვარზე აცვამენ და აცვამენ...

საერთოდ, ამ ოთხ წელიწადში ჩემი ეს ნაშრომი, არა მგონია, დაძველებულიყოს, პირიქით, ახლა იგი, ამ საარჩევნო ციებ-ცხელების ჟამს უფრო აქტუალურადაც კი ჟღერს, აკი თუ „მუსი-

კას“ არ დამინუნებთ, ესაა „სიმღერა ედუარდ შევარდნაძეზე“, საქართველოს შესაძლო ამაღლორ-ძინებელზე.

დიახ, „თებერვალი-მაისი“ ბოლო წლების ჩვენი ისტორიაა, მიუკერძოებელი თანამედრო-ვის მიერ დაწერილი, რომელშიც მე ახლა რაიმე შელამაზება-დაუშნოების მიზნით არც არაფერი შემიტანია და არც არაფერი შემისწორებია, ეს კია, ბოლო ნაწილიდან დროებით ამოვიღე ათამ-დე გვერდი შემცირების მიზნით: ვრცელიაო...

ჰოდა, რატომ არ შეიძლება, ამჟამად იმავე, უკვე რედაქტორშეცვლილ გაზეთში მასზე ბევ-რად მომცრო „სიმღერა შევარდნაძეზე“ დაიბეჭდოს, მით უმეტეს, რომ იქ სულ აგერ ახლა წიგ-ნებად გამზადებული შრომები დაიბეჭდა ჯერ აფხაზეთ-აფსუებზე, მერე ჩეკა-ჩეკისტებზე...

ოღონდ უბედურება ის არის, რომ გოგიაშვილი ადრეც არ მაკარებდა „თავის“ გაზეთში, ახ-ლა, მით უმეტეს აღარ გამაკარებს თქვენი მტკიცე, „ზემოდან“ ჩარევის გარეშე.

არა მგონია კი, რომ ამ შემთხვევაში თქვენ ყოფილი ცხაკაიას რაიკომის ყოფილი მდივანი-ვით, რომელმაც, ნაიკითხა რა ჩემი წერილი „ვინმე“ მწერალ ჩაჩუაზე 1 სექტემბრის „ლიტერა-ტურულ საქართველოში“, მტკიცედ გადაწყვიტა, რეპლიკისებური რალაც დაენერა-დაებეჭდა ჩემს დასაცავად, მაგრამ ამის ცოტა მერე, გაეცნო რა ჩემივე წერილს 18 სექტემბრის „მთანმინ-დაში“, ხელათვე გადაიფიქრა, აკი თუ შემაქებდა, ამით გოგიაშვილს ვანყენებო. თითქოს არც გაემტყუნება, ჟურნალისტ-პრაგმატისტს რედაქტორი გოგიაშვილი უფრო დასჭირდება და გა-მოადგება, ვიდრე ბეხრეკი პენსიონერი კიტა ბუაჩიძე...

ჰოდა, ნუთუ ჩემ გამო თქვენც მოერიდებით გოგიაშვილის წყენინებას?!

და თუ მოერიდებით, არის სხვა გაზეთებიც, რომლებისკენაც თქვენი ავტორიტეტული ხე-ლი სულ ადვილად მისწვდება.

ასე იქნება თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, ეგზემპლარს ნუ დამიკარგავთ, მისი გადაბეჭდვა ძალზე მიჭირს...

3 ოქტომბერი, 1995 წ.

კიტა ბუაჩიძე



**გაზეთ „კავკასიონის“ სარედაქციო კოლეგიის  
თავმჯდომარის ვასილ მაღლაფერიძის  
მთავარ რედაქტორს მამუკა ფაჩუაშვილს**

**გატონებო!**

თქვენთვის, რასაკვირველია, ყმანვილობიდანვე ცნობილია ერთი ისეთი პარადოქსული ანდაზა, როგორცაა, გაჭირვებამ დედოფალთან დამანვინაო (დალხინება კი, აბა ვისთან აღარ დაანვენდა!).

და, აი, მეც იმდენად არა საკუთარი, რამდენადაც ამაზე ბევრად უფრო დიდი, ეროვნული გასაჭირ-განსაცდელი მაიძულებს, მოგმართოთ – ჩემთვის სახით უცნობ ვასილს (მომიტევოს, კლარა აბრამიას „დახატულს“, რა ვქნა, ვერ ვენდობი) და ჩემთვის საკმაოდ კარგად ნაცნობ მა-მუკას, რომელმაც, დასტურ, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორობისას ორი თუ სამი სტატია ისე უწვალეებლად დამიბეჭდა, ყოველგვარი საბაზი მომისპო, მამაზეციერისთვის წუნუ-ნით შემეჩვილა:

რად მოველ პუბლიცისტადა,

და არ მოვედი წვიმადა...

თუმცაღა, რამდენიმე თვის წინათ სწორედაც ამგვარად ავკრიახდი, როდესაც თქვენთვის ერ-თმა მეტად პატივისცემმა პირმა გთხოვათ, ალბათ ცალკებით (ამიტომაც არ გაჭრა მისმა რეკომენ-

დაცვიამ!) ჩემი რამე დაგებეჭდათ და... პეტრიაშვილის ქუჩიდან ტელეფონის ზარმაც არ დააყოვნა, თქვენ ვისი რა პროტექცია გჭირდებათ, ოღონდ იცოდეთ, ჩვენ გრძელ წერილებს არ ვბეჭდავთ.

არადა, ის ჩემი წერილი მართლაც დიდი იყო (და არა „გრძელი“), ისე კი, ცოტა სანყენად დამრჩა, თქვენმა თანამშრომელმა ისე მოათავა ჩემთან ხანმოკლე მუსაიფ-მასლაათი, უბრალო ფორმალობისთვისაც არ დაინტერესებულა და არ უკითხავს, მაინც რამდენი გვერდიაო (ამას გულში გაიფიქრებდა) ეს თქვენი კალმის ნაცოდვილევი...

ესეც არის, თუ იმ დღეებში არა, მოგვიანებით თქვენს გაზეთში ერთ-ორჯერ ისეთ წერილებსაც წავანყდი, დიდი ფორმატის მთელ გვერდს რომ მოიცავდნენ.

ადვილი შესაძლებელია, „კავკასიონს“ მე ისეთ ავტორად მივაჩნივარ, როცა დილაადრიანად კიოსკთან მას მკითხველი ათვალისწინებს და ბჭობს, იყიდოს – არ იყიდოს, და თუ ჩემს გვარ-სახელს გადაეყრება, ნაუკითხავადაც ბითურობად ჩათვლის და ეგ ზემპლარს უკანვე დააბრუნებს.

ჰოდა, მიუხედავად ამჟამად ჩემთვის ასეთი არახელსაყრელი სიტუაციისა, თქვენგან უარის მომლოდინე გამოსაქვეყნებლად მაინც გიგზავნით სულაც არა გრძელ, სტანდარტულ რვაგვერდიან წერილს, ამოღებულს ჩემი მართლაც დიდი სტატიიდან („გამოფიტული ნიორის სადღეისო ჩანაწერები“), რომელიც აგერ ახლა „მთანმიდამ“ დაბეჭდა (№7), ოღონდ როგორ და რა სახით?! მე-14 საუკუნეში, როცა იოჰან გუტენბერგი ჯერ კიდევ დასაბადებლად ემზადებოდა, მაგრამ თემურ ლენგს უკვე ჰქონდა საკუთარი ტიპოგრაფია და საკუთარი გაზეთი „შემოღამება მთანმიდამზე“, ისიც კი, როგორც რედაქტორი, ქრისტიან ავტორსაც კი თვალებს ისე უღვთოდ არ დაუღამებდა, როგორც მე დამიღამეს „მთანმიდამში“; უკორექტურობას თუნდაც თავი დავანებოთ, რაკი, ცხადია, იცოდნენ, ამაზე ცოცხალი თავით, აბა, რა პირით დავთანხმდებოდი, ჩემთვის შეუტყობინებლად ისე მიმჩიებ-მომჩიებეს... მოკლედ, ბევრად უფრო უარესად, ვიდრე ეს აკადრეს „ნიორის“ პირველ ნახევარს გაზეთის წინა ნომერში.

ჩემთვის სამწუხარო უფრო ის არის, რომ „მთანმიდის“ რედაქტორი უდავოდ ნიჭიერი და განათლებული კაცია, დროდადრო სწორი ანალიტიკოსიც, მაგრამ რედაქტორობას, როგორც ჩანს, კიდევ სხვა რალაც სჭირდება, და ეს „რალაცა“ ა დ ა მ ი ა ნ უ რ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა კ უ ლ ტ უ რ ა ს განეკუთვნება, რაიც ჩვენ, ქართველებს, ყოველთვის გვაკლდა, მაშინაც კი, როცა საქართველოში კალმოსნები დღევანდელსავით ასობით კი არა, თითებზე ჩამოითვლებოდა; ამ აზრის დასადასტურებლად, ვფიქრობ, ლაშარის ჯვარის მადლი არ შემრისხავს, თუკი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ბუმბერაზის სულს მოვუხმობ: ლუკა რაზიკაშვილი, უკვე საქვეყნოდ ცნობილი ვაჟა-ფშაველა, ერთი ჟურნალის რედაქტორს თითქმის ეხვეწებოდა, ქართული ლიტერატურისთვის ნუთუ იმდენი არაფერი გამიკეთებია, რომ ამის და ამის დაბეჭდვაზე უარი არ მითხრათო...

რაკი თქვენს სარედაქციო სამზარეულოს მიახლოებითაც არ ვიცნობ, არ მინდა, ეს როგორღაც გადაკრულად გაიგოთ და თქვენი მისამართითაც მიიღოთ. ისე კი, აქვე ამასაც ვიტყვოდი, რომ წინანდელი სახელმწიფო ცენზურა დღეს რედაქტორის ცენზურამ შეცვალა, როცა ბევრი რამ არის დამოკიდებული არა იმდენად ქეშმარიტება-სიმართლეზე, რომელსაც შენ, ავტორი, შეიძლება უშიშრადაც აფრქვევდე და ლაღადებდე, რამდენადაც, კერძოდ, იმაზე, მაგალითად, შენ მიერ თუნდაც დამსახურებულად აუგად ნახსენებ ამა თუ იმ პირთან თვითონ ის, ბატონი რედაქტორი, რა ურთიერთობაშია.

ჩემს „გამოფიტულ ნიორს“ ზუსტად ერთი წლის ისტორია აქვს, მაგრამ რაკი დაწერის თარიღი რატომღაც ამოგდეს, მკითხველისთვის წერილში ბევრი რამ გაუგებარია „გვახსოვდეს აფხაზეთი!“ კი მას სულ აგერ ახლა დაემატა, დაინერა კი იგი დიდი გულისტკივილით, ოღონდ ჩოლონ ნაბეჭდის წაკითხვამ კი ეს ტკივილი გამიათქეცა; თქვენ, რა თქმა უნდა, გიგზავნით მის პირვანდელ, შეუბღალავ ტექსტს.

და ბოლოს, „კავკასიონმა“, ამ „საერთოდ კარგმა გაზეთმა“ (მადლობა მთავარანგელოზს, ჩემი ეს შეფასება, რომელიც პირველად ითქვა და დაიბეჭდა ჩვენს პრესაში, ამოგდებას გადაურჩა) დაარსებიდანვე გულთან ახლოს მიიტანა აფხაზეთის ამბები და ახლაც ცოტას როდი აკეთებს მის დასაბრუნებლად, მაგრამ... გვინდა კი ისეთი აფხაზეთი, სადაც დაბრუნებიდან ერთი-ორი წლის შემდეგ იქ ქართველის ჭაჭანება აღარ იქნება?

ჰოდა, სწორედ ამ ჩვენს დიდ ეროვნულ უბედურებას ეხება ეს ჩემი პატარა წერილიც და თუ მას არ დაბეჭდავთ, ყოველ შემთხვევაში, უარად ნუ შემომითვლით, ჩვენ ჩვენი კურსი გვაქვს და სხვა გაზეთებს არაფერს ვესესხებითო...

კი, მაგრამ... როცა გჭირდებოდათ თქვენი სამართლიანი პოზიციის გამაგრება პრეზიდენტობის ერთ-ერთი პრეტენდენტის საწინააღმდეგოდ, ხომ გადმობეჭდეთ სხვა გაზეთიდან 2 ნომბრის „კავკასიონში“ შოთა გორგოძის „ჩემი უდიდესი შეცდომა იყო ის, რომ პატიაშვილს დავუჯერე და აფხაზეთი დავტოვე“?

14.11.1995

კიტა ბუაჩიძე



## გატონ ჭაბუა ამირეჯიბს

### ძვირფასო ჭაბუა!

დიდი მადლიერებისა და უზომო პატივისცემის ნიშნად გიგზავნით გასაცნობად ერთ ჩემს ვრცელ წერილს - „თამაზ კვაჭანტირაძეს, როგორც მინისტრს და როგორც ლიტერატორს“, რომელიც „ხულიგნურმა“ გაზეთმა „შანსმა“ ყოველგვარი წვალების გარეშე დამიბეჭდა, მაშინ, როდესაც მას ახლოსაც არ გაიკარებდნენ „ლიტერატურული საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „კავკასიონი“.

სხვათა შორის, ამას წინებზე ხუთგვერდიანი „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციაც არ მიიჩნია თამაზ ნივნივაძემ დაბეჭდვის ღირსად და უკან დამიბრუნა, არადა, იგი უფრო „ლიტერატურულში“ უნდა დაბეჭდილიყო, ვიდრე რომელიმე სხვა გაზეთში.

დიდ მადლობას გიძღვნი „გორა მბორგალის“ ბოძებისათვის და თუ ამის ირგვლივ ამდენ ხანს არ შეგეხმიანეთ, ამის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ამასობაში ეგებ ჩემი წიგნიც გამოვიდეს-მეთქი და...

ო, ჩემი წიგნი ექვსწლიანი ყურყუტის შემდეგ კი გამოვა, მაგრამ უკვე ამთავითვე შიში მიპყრობს, შვიდლარიანი პენსიონერი შევძლებ კი წიგნების ამ სიძვირეში მის ყიდვას, თუნდაც რამდენიმე ეგზემპლარისას, ჩემს სულ ახლობელთ-დამპურებელთ მაინც რომ ვუსახსოვრო, აკი, ოღონდ სტამბისკენ გზა გახსნოდა, რაიმე ანაზღაურებაზე უარი ვთქვი; არადა, მე ეს ვთქვი ყასიდად, მაგრამ... ჩემი ეს „ყასიდად“, ვაითუ, მათ ნამდვილში მიითვალეს?!

ვერ გეტყვით, რომ „გორა მბორგალი“ მე ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე, როგორადაც ამას ერთი თქვენი ახლო მეგობარი და ჩემი შორეული ნაცნობი წერდა, სიცხიანმაო და... მოვრჩი კიდეც დილით განკურნებულყო.

დედაჩემი სრულიად უსწავლელი ქალი იყო, მაგრამ ბუნებით როგორღაც მაინც საკმაოდ განათლებული და... ერთხელ მან აუჩქარებელი კითხვისას ერთ საინტერესო წიგნზე ასე თქვა, ამ წიგნს ისე ვიზოგავო, როგორც კარგ საჭმელს...

ღიახ, „გორა მბორგალი“ „Королева Марго“ როდია, ერთ ღამეში წაიკითხო, „გორა მბორგალი“ დასაფიქრებელი, ჩამაფიქრებელი წიგნია. მე პირადად ზოგიერთ თავს, შეიძლება როგორც ნაპატიმრალი კაცი, დროდადრო ხელახლა ვუბრუნდებოდი ხოლმე.

სხვათა შორის, ის თქვენი მეგობარი კრიტიკოსი (და ის არა მარტო კრიტიკოსია!) იმასაც კი წერს, მამაჩემი გვემული იყოო ციხეშიც და კოლონიაშიც...

ციხის რა მოგახსენოთ (თუმცა არ მჯერა, არა!), კოლონიაში კი.... ტრასაზე ის არ გაჰყავდათ, ეტაპში ის არ წაუყვანიათ, „Камера хранения“-ს მუდმივი უფროსობისას შინაური (არა თავისი სახლის!) საჭმელი და სასმელი არასოდეს მოჰკლებია (ერთხელ მეც მერგო დათიკო ნიკოლაძის მიერ მიბარებული ჭედილა ცხვრის ოდენა ზესტაფონური ინდაურის ვეება ბარკალი!)...

ღიახ, საწყალ ილიკო ჯაყელს სულ ნუ კი მოვჭრით თავს, მექრთამე კი იყო, მაგრამ ვინმეს მგვემელი არ ყოფილა; ავჭალის კოლონიაში, ალბათ გახსოვთ, კარცერი არც იყო.

მე მგონია, არაფერი ვაჟკაცობაა, საბჭოთა ხელისუფლების მსახურთ ახლა არარსებული ცოდვებიც ავკიდოთ...

ო, როგორ არ მინდა, მეხსიერებამ მიღალატოს: თქვენ სადღაც, მგონი, მურმან ლებანიძესთან საუბარში თქვით, სადაც კი სასჯელს ვიხდიდი, ყველგან კარგად ვცხოვრობდიო...

ამის მსგავსი რამ არც ერთი „კონტრრევოლუციონერის“ მოგონებაში არ წამიკითხავს, არც სოლჟენიცინთან, არც შალამოვთან, ქართველებიდან ხომ არავისთან და არავისთან...

ასე რომ, ცხოვრების ამ სფეროშიც კი თქვენთვის დამახასიათებელი ვაჟკაცობა გამოიჩინეთ და...

ვაშა თქვენ!

1 ივნისი 1995 წ.

სიყვარულით  
კიტა ბუაჩიძე



### კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ოთარ მელვინიეთსუცანს

პატივცემულო ოთარ!

თვენს პატარა პასუხში „ლიტერატურული საქართველოს“ 1997 წლის 28 მარტის ნომერში რედაქტორის მიმართ მომიხსენიეთ როგორც „ღვანლმოსილი მოქალაქე და კომედიის დიდი ოსტატი“.

მინდა, მადლობა მოგიძღვნათ ასეთი გამორჩეული შეფასებისათვის და თან მსურს ისიც, რომ კორექტივი შევიტანო თქვენ მიერ ამ „ნიხრის“ დადებაში: ღვანლმოსილებას ვერ დავიჩემებ, მაგრამ მოქალაქე ნამდვილადაც ვარ და ეს მემამაყება კიდევ: მოქალაქე დიდი მცნებაა, რომელიც კომუნისტებმა დააკნინეს, დააბეჩავეს, შეცვალეს რა იგი „ამხანაგოზე“.

თქვენი ქების მეორე ნაწილსაც მთლიანად ვერ მივითვისებ: ზედმეტ თავმდაბლობას თუ განზე გადავდებთ, კომედიის ოსტატი მართლაც ვარ, მაგრამ არა დიდი: კომედიის ნამდვილად დიდი ოსტატი საქართველოში აწი უნდა დაიბადოს.

ჩემი კომედიები, ვიდრე ამქვეყნად ქართველები იარსებებენ (ამჟამინდელ დემოგრაფიულ ვითარებაში ამას, საუბედუროდ, სასიკეთო პირი არ უჩანს), ყოველ დროში დაიდგმება, რადგან ისინი ერთ დროს – საბჭოთა დროს არ ემლიქვნელებიან.

თქვენ წერთ, რომ ჩემი კომედიები არ იდგმება მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ახალგაზრდა რეჟისორები ხელს არ ჰკიდებენ, მე კი დღევანდელი ახალგაზრდა რეჟისორები სულაც არ მეპიტნავენ: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ისინი დ ა უ დ გ მ ე ლ პ ი ე ს ე ბ ს , საერთოდ, ახლოსაც არ ეკარებიან, მეორეც, იმიტომ, რომ ნიჭით სავსე, ორიგინალური რეჟისორის სახელი რომ დაიმკვიდრონ, „თანამედროვე თვალით“ ჩეხენ და მისებურად „ამდიდრებენ“ უცნობილესი ავტორების კლასიკად მიჩნეულ პიესებსაც კი... ამის სანიშნო მაგალითია თუნდაც თქვენი თეატრის უკანასკნელი დადგმა - „ვილაც“, ჩეხოვის „სამი და“.

მე არა ვარ წინააღმდეგი, რომ ჩემი რომელიმე აქამდე დაუდგმელი კომედია გაასცენიუროს, ასე ვთქვათ, ისეთმა ხანმოთეულმა რეჟისორმა, როგორც მედია კუჭუხიძეა, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ამას არ აპირებს; ისე კი, რარიგ სამწუხაროა, რომ ჩემი ორი ოქრო („ფორმულა პლატონისა“, „რვა მოქმედი პირი“) და ერთიც ვერცხლის პიესიდან („პოლიხრონ ჩიჩია“) დასადგმელად არც ერთი არ აირჩია. ეს ორმაგად სამწუხაროა კიდევ უფრო იმიტომ, რომ ის აგრეთვე დრამატურგიც არის და როგორც ასეთმა უნდა იცოდეს, თუ რა ძნელია „პ უ ს თ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა“.

ეჰ, კაცს, აბა, როგორ არ გაგახსენდება, რომ 1953 წელს მარჯანიშვილის თეატრის მთელმა დასმა (ვ. ტაბლიაშვილი, შ. ლამბაშიძე, გ. ლორთქიფანიძე, ივ. გვინჩიძე და მრავალი სხვა, აკ. კვანტალიანის გამოკლებით) თითქმის ერთხმად დაიწუნა „ეზოში ავი ძაღლია!“, რომელიც, დასტურ, ამ დაწუნებიდან ლამის ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგ ეს „ძაღლი“ ახლაც ბოხი ხმით „ყეფს“.

პიესის ცნობა თითქოს არ უნდა იყოს ძნელი მსახიობებისა და, მით უმეტეს, რეჟისორების მიერ, მაგრამ რას იზამ, ასეთი „კულტურული“ ვართ საქართველოში... ზოგჯერ ისეთ ბითურობას შეაქებენ, თმა თუ გაქვს, ყალყზე დაგიდგება...

თქვენ წერთ, „ჩვენი სასიქადულო მწერლების ერთი ჯგუფის“ სურვილია, იხილოს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე კიტა ბუაჩიძის რომელიმე ნაწარმოებიო...

გარწმუნებთ, მე იმ „სასიქადულო მწერლების“ წერილთან ოდნავი კავშირიც არა მაქვს, იგი დაინერა და ხელი მოეწერა ჩემი ყოველგვარი ჩარევისა და თხოვნის გარეშე და ნუთუ თქვენ, თეატრის ხელმძღვანელმა, რომელმაც დიდი მსახიობობა ნაპოლეონ ჭინჭილეიშვილით დაიწყეთ, არაფრად არ უნდა ჩააგდოთ ჭაბუა ამირეჯიბის, ანა კალანდაძის, გურამ ფანჯიკიძის, ეთერ გუგუშვილის, თამაზ წივნივაძის, რეზო ჭეიშვილის, მიხეილ ქვლივიძის და სხვათა თხოვნა-სურვილი?

ჰოდა, რაკი ახალგაზრდა რეჟისორები „მსცოვანი“ დრამატურგის პიესას ხელს არ ჰკიდებენ და თუ მოჰკიდებენ, თავიანთ ჭკუაზე მიჩეხ-მოჩეხენ, თავდაყირა დააყენებენ, რის საფუძველზეც მე მეორე ინფარქტი დამემართება.

- დადგით თქვენ, ოთარ მეღვინეთუხუცესმა, დიდმა მსახიობმა და... ამ პირველ შემთხვევაში არარეჟისორმა!

ამის თაობაზე წინა ვრცელ წერილშიც გთხოვდით და გწერდით... „შე კაცო“, რეჟისორის „დუხი“ სულაც არ იყო სოფოკლესა და ევრიპიდეს დროს, შექსპირისა და ლოპე დე-ვეგას დროს, შჩეპკინისა და ვასო აბაშიძის დროს, მაგრამ თეატრი არსებობდა და პიესები იდგმებოდა: შეიკრიბებოდნენ ნიჭიერი მსახიობები და სულს ჩაბერავდნენ დრამატულ ნაწარმოებს...

მაკვირვებს, ეს რეჟისორობა ასე მიუწვდომელი რატომ მიგაჩნიათ და რატომ უფრთხით: მსახიობი იყო შალვა ღამბაშიძე, მაგრამ დადგა „კოლმეურნის ქორწინება“ მსახიობი იყო ვასო გომიაშვილი, მაგრამ დადგა „ძველი ვოდევილები“ – დადგით ამ ერთხელ თქვენც კიტა ბუაჩიძის „რვა მოქმედი პირი“, მასობრივ სცენებს მოკლებული კამერული პიესა. თუ არ გამოგივათ, თქვენს დიდ მსახიობობას ამით არაფერი არ დააკლდება, თანაც თავის მართლება სულ იოლი იქნება: — რა მექნა, იმდენი მეხვენა, ხათრი ვერ გავუტეხე ღრმა მოხუცს, უკვე გამოჩერჩეტებულ დრამატურგს და...

ო-ო, მე თქვენ გენდობით და ვენდობი, ცხადია, ჩემს პიესასაც: სადაც კი დაიდგა ჩემი კომედიები, არც ერთ თეატრში არ ჩავარდნილა; თქვენი თეატრის რეპერტუარიდან ამოგდებულ „ამბავი სიყვარულისას“ ზოგი მაყურებელი, ვინც მოასწრო, ორჯერაც კი ესწრებოდა...

მთავარია, სცენიდან ავტორის სიტყვა მოიტანოთ, სცენაზე განწყობილება შექმნათ...

მორიდებით, როგორც რეჟისორს, შემოგთავაზებთ (სავარაუდო?) შემსრულებლებს:

გაიოზ არსენიშვილი – ოთარ მეღვინეთუხუცესი;

ცაგუნა - გურანდა გაბუნია.

ელიკო – ქეთევან კიკნაძე

იასონ დარაბაიძე – გივი ბერიკაშვილი;

ანტიოფა ნინუა – ელენე ყიფშიძე (სოფიკო ჭიაურელი);

ბერდო ცვარიაშვილი – ნოდარ მგალობლიშვილი (?);

ვასიკო – მიხეილ გომიაშვილი(?);

მარიკა - ?;

შარშან ჩემი კომედიების კრებული დამიბრუნეთ,—იანვრამდე რეპერტუარი უკვე შედგენილი გვაქვს და, ვაითუ, მანამდე წიგნი დაგვეკარგოსო.

ხელახლა ხომ არ გამოგიგზავნოთ?

28 მაისი 1997 წელი.

„კომედიის დიდი ოსტატი“  
კიტა ბუაჩიძე





## Народной артистке Латвии Ви́е Артмане

### Глубокоуважаемая Ви́я!

Автор этого грустного послания - грузинский драматург, уже, к сожалению, убеленный круглой юбидейной сединой, но, к счастью, еще не потерявший, условно говоря, молодости духа и способности ставить - исходя из пятибалльной системы - отметки женской красоте!

Впрочем, Вы для него уже давно стоите выше всяких баллов, даже если б они состояли из ста единиц...

По молодости лет Вы вряд ли помните, а слышать-то, возможно, слышали о Нате Вачнадзе, о женщине удивительно ослепительной красоты, именно благодаря которой она и проложила сказочно легко путь в знаменитые киноактрисы! и, стало быть, в сердца миллионов!.. Она тридцать лет назад, еще соперничающая своей красотой со звездами, сгорела, как комета, но Грузия и теперь по-прежнему боготворит и гордится ею (маленькой нации, думается, такая похвальба простительна).

В моем возрасте уже безбоязненно можно - даже публично! - посмеяться над собою и с самокритичным юмором вспомнить милые глупости молодых лет... И вот однажды эта, и при жизни легендарная кинобогиня как-то бросила на меня, по тогдашнему моему разумению и восприятию, заинтересованно ласковый взгляд, и хотя этот взор-"интерес" длился, наверно, не больше пяти секунд, я тотчас же, со скоростью рыжего таракана, помчался и окунулся в море радости, и не дожидаясь, когда оттуда выплыву, сразу засел за студенческий кривоногий столик и сочинил о ней оду-панегирик высочайшей пробы. (Напечатали!).

В нем, между прочим, были и такие строки: "Ни одна книга ни по географии, ни по истории Грузии не разнесла славу о нашей родине, вне ее пределов, так широко, как Ната Вачнадзе",

И впрямь, на фильмы-картины, с ее участием валом валили и москвичи, и омичи, и украинцы, и узбеки, и киргизы, и "друг степей калмык!". (Латвия, к сожалению, была лишена этого громадного эстетического упоения, ибо она в те мрачные годы находилась под грязным (видимо, за неимением ваксы!) сапогом цроклятой буржуазии!).

Для меня как-то прискорбно, что я, несмотря на то, что почти каждый год бываю в Дубултах, точно все же не ведаю в теперешней трудовой Латвии, в какую степень возведен культ Ви́и Артмане!

Ведь Ви́я Артмане, что и Ната Вачнадзе, только, может быть, с той разницей, что у первой нордическая красота...

В последний раз я имел счастье совсем близко любоваться и восторгаться Вами 30 октября 1981 года на юбилее театра им. Руставели.

Вы сидели по левой стороне зала в седьмом ряду, в кресле номер восемь, а я на той же территории, только гораздо ближе к сцене (вот и наше хваленое грузинское гостеприимство!), и я так часто оборачивался в Вашу сторону, что с того вечера заболел радикулитом шеи (лебединой!) и поныне страдаю, выражаясь, кажется, полатыни, остеохондрозом...

Увы, за эти мои адские душевно-физические терзания в награду Вы меня все же ни разу, ни тогда, ни потом, на банкете, не удостоили даже равнодушно-презрительным взглядом! Вы восседали как живое древнегреческое изваяние, как мудрая жена Перикла – величаво, но не надменно-спесиво... А потом поднялись на сцену и...

О, Боже как несправедлив бываешь иногда даже и ты! Всю свою благодать можешь вдруг обрушить на одно свое любимое создание, лишая в то же время многих и многих своих же верных существ даже крупницы и таланта и красоты!

Да!

Для меня было откровением, что Вы, оказывается, не только талантливая актриса и красивейшая женщина, но и... блистательный оратор!

Еще больше украшавший Вас чуть заметный, пленительный латышский акцент до сих пор как бы ласкает мой немзыкальный слух, а контуры Вашего длинного платья и его цвет еще никак не выходят из моей, в общем-то дырявой, головы...

Да, но... Что это? Мне это показалось-послышалось или...

Или Вы в самом деле прервали ход моих мыслей и мою писанину?..

- Ну, хватит! Надоело!. Подобное словоизлияние я не в первый раз слышу, - всю жизнь купалась в море супер-экстра комплиментов!...

А это еще что? Вы прислали пьесу?! Но зачем же мне, я же не руковожу театром...

Как? Прислали в знак любви? Господи, что за дикая форма изъявления любви! Я ведь должна потратить на ее чтение 2-3 часа, да это в то время, когда меня даже по понедельникам тысяча одно дело ожидает, и дома, и вне дома!..

Что-что? Ну и что ж, что комедия... Тоже мне, сразу найду в ней роль, подобную Элизы Дулитл, которую я давным-давно с блеском сыграла...

Что? В Вашей комедии три женских образа, и я в них с одинаковым мастерством вдохнула бы сценическую жизнь?.. Но Вы же сами говорите, что одна из этих женщин от своей малопривлекательной внешности остро чувствует себя не в своей (женской!) тарелке, а я, в таком случае, если верить Вам, при моей царственности, как смогу влезть в ее шкуру, а вторая-де, правда, очень красивая, но ей за тридцать, а мне уже за сорок...

Что-что? Говорите внятно и чуть смелее!.. У меня такое впечатление, будто бы Вы передо мной чувствуете себя, словно кролик перед львицей...

Ну вот, теперь-то слышу:

При большом таланте, если артист(ка) еще в состоянии без скрипа вставать со стула, возраст для перевоплощения не имеет решающего значения...

Возможно, это так и есть, но все же... Да к тому же, мы уже ставили грузинскую пьесу... Ну да, Александра Чхаидзе... Что? Он начисто оккупировал весь театральный Союз, в том числе и Латвию?! И это потому, что он самый крупный драматург - весит-то он 120 килограммов, а Вы только 72 при росте...

Да ну, полноте! Не интересует меня ни Ваш рост, ни Ваш нос!.. А если Вы крайне нуждаетесь в подруге старости, чтобы при ее помощи как-нибудь дотянуться до 21 века, из-за моего, вообще, некоторого расположения к Грузии - пожалуйста, окажу протекцию, чтобы Ваше объявление вне очереди поместили в нашей газете "Ригас блас"!..

А? Что Вы просите в особенности? Чтобы я Вашу пьесу при получении же не отдала в литературную часть, ибо все литчасти во всех театрах являются для неизвестных авторов кладбищем, правда, хорошо ухоженным, но все-таки кладбищем, и чтобы ее непременно сама я прочитала бы, хоть через год, но сама... Да еще не торопясь и не спеша, без предубеждения, и чтобы я при чтении посчиталась с тем, что Вы драматург "старомодный" и даже гордитесь своей "отсталостью" и теперь продолжаете писать по старинке, то есть не аморфно, не по так называемому потоку жизни, когда ни во что не ставят даже самые элементарные законы классической драматургии, и что так писать, по Вашему мнению, гораздо легче...

Ну ладно!

Честно говоря, хорошего ничего не обещаю, однако ж хочется Вам прямо сказать, что из всего Вашего "эпистолярного творчества" мне больше всего нравится его концовка:

24.01.84

С большим уважением и с большой любовью  
и без малейшей надежды на постановку и на взаимную  
симпатию

**К. Буачидзе**



## Виталию Михайловичу

### Многоуважаемый Виталий Михайлович!

Однажды из Америки я получил совершенно неожиданный подарок: шикарно изданную книгу о кинозвездах Голливуда.

Признаться, от испуга у меня задрожали коленки: боже, как бы чего не вышло!..

Ведь у меня ни в одной стране капиталистического мира (впрочем, как и социалистического!) нет ни родственников, ни знакомых!

И вдруг к моей бесцветно-скромной фигуре такое благоговейное отношение, не то от Мерелин Монро, не то от Филадельфийского благотворительного общества глухонемых!

Слава и Богу, и Аллаху, тогда и впрямь ничего не вышло, все обошлось благополучно.

А совсем недавно Французское посольство на французском языке прислало мне несколько выпусков, кажется, "Бюллетеня по культуре и литературе", напечатанного на такой супер-бумаге, на которой Екатерина Великая (после 17-го года Екатерина Вторая!) печатала свои 250-рублевые ассигнации!

На этот раз у меня стали трястись уже поджилки, но, к счастью, вскоре они пришли в исходное положение: с помощью японского компьютера мне удалось постичь эту зловещую тайну; собака, оказывается, зарыта в нашем писательском Справочнике, в котором я, кстати, имею честь фигурировать уже много-много лет: такие знаки внимания оказывают тому, кто, раскрыв Справочник, просто первым попадетс я им в глаза...

Да, это так, но чем объяснить такое отрадное явление: вчера я получил от Вас телеграмму приглашения - принять участие в Конгрессе, который состоится в сентябре в Алма-Ате...

Да неужели и Вы, уважаемый Виталий Михайлович, наподобие французского посла, раскрыв наобум...мм...

А как думать иначе, ведь я даже писателем-прапорщиком не числюсь в громадной армии (на пять миллионов населения - шестьсот, а точнее, пока... 597 членов!) Союза писателей Грузии...

И вдруг такая генеральская честь!

А ведь мои литературные генералы, в том числе и маршал-председатель, меня даже в лицо не знают: я никогда не хожу к ним отдавать честь!..

Так что вряд ли они одобрили бы мою кандидатуру, если бы, допустим, посоветовались, бы с ними насчет моего участия в таком высочайшем конгрессе-симпозиуме!

Возможно, Вы в какой-то, присущей нашему времени, динамической спешке, случайно послав мне такую лестную телеграмму, перепутали меня с Тенгизом Павловичем Буачидзе, редактором "Литературной Грузии", а?

А так, раз знаю, что чрезмерная скромность — путь к забвению, скажу Вам, что я драматург неплохой, в чем Вы, как критик, осмеливаюсь думать, убедились бы, если б ознакомились со сборником моих комедий, который по той простой причине не посылаю Вам, что являюсь ревностным почитателем Бернарда Шоу: на просьбу одной леди подарить ей свою книгу он ответил отказом:

- Подаренных книг не читают!

08 06 85  
Тбилиси

С искренним уважением  
Кита (Никита) Буачидзе



## КВЛИВИДЗЕ Н. М.

**Уважаемая Наталья Михайловна!**

Я прочитал два действия "Формулы Платона"... Очень и очоь расстроился... Сперва подумал, что эти "поправки" внесены рукой машинистки, но потом пришел к заключению, что она вряд ли позволила бы себе такую вольность...

Эти "поправки" принадлежат, видимо, моему благодетелю-редактору, и если эти исправления внесены Вами после прочтения моего письма к Вам, то тогда наша авторско-редакторская дружба вряд ли получится.

Приведу только несколько примеров:

1. У меня: ...голове надо придать истинное назначение...

Вы исправляете: ...голове надо найти истинное назначение. ..

А зачем это? Чем плохо "придать"?

2. У меня: Я не представляла Платона с бородой.

Вы: Я представляла себе а н т и ч н о г о Платона без бороды.

Я забочусь о музыкальности фразы, а Вы своей перестановкой слов разрушаете ее, а еще добавляете лишнее слово "античного.."

Но ведь читатель (и будущий зритель) уже знает, что здесь речь идет именно о бюсте античного Платона...

3. у меня: ...на них зарабатывает капитал?

Вы: "капитал" меняете на "деньги"...

Но зачем? Разве чуждо разговорной речи выражение "зарабатывать капитал"?

Да еще это, по-Вашему, высокопарное слово в характере героя.

4. У меня: Я обыкновенный читатель...

А Вы "обогащаете" меня и добавляете: Я обыкновенный слушатель, читатель...

5. У меня: Эта реформа обогатила лишь попрошаек...

Вас, видимо, напугала "реформа", и Вы меняете ее на непонятную "участь"...

Дорогая, таких "страшных" слов Вы встретите немало и в дальнейшем; 13 лет назад мой тогдашний редактор и цензура без всяких возражений пропустили их, а теперь, когда наступили более лучшие времена, Вас почему-то коробит даже слово "реформа".

Чтобы облегчить Вам труд сверки-правки, я Вам по телефону сказал, что несмотря на свою громадную занятость, все это проделаю сам... Тогда я думал, что дело буду иметь только с ошибками машинистки...

Теперь же мне придется, опасаясь чрезмерного обилия таких "поправок" и учитывая свое нездоровье, отказаться от такой помощи. ..

**24.01.86.**

**Тбилиси**

**Кита Буачидзе**



**Редактору журнала "Советский писатель"  
Бузылеву И.М.**

**Уважаемый Игорь Михайлович!**

Как это ни удивительно и как это ни прискорбно, посылаю Вам письма, посланные мною в разное время Наталье Михайловне Квливидзе – редактору моего сборника комедий.

В них имеются и такие строки:

"Я в своей долгой и труднейшей жизни ни на кого не нападаю первым, никого первым не обижал, но когда меня принимают за очень низкий забор, тогда я..."

Моя писательская жизнь мне дороже моей физической жизни, и в случае покушения на неё... я буду обороняться, но обороняться лишь „дозволенными приемами“.

И вот, к моему великому сожалению, наступило время, когда нет больше мочи терпеть, и надо перейти к необходимой обороне с дозволенным приемом: прошу Вас заменить мне редактора, - на более опытного, желательно и на более грамотного /конечно, не в смысле орфографии и грамматических правил!, а если он окажется к тому же и интеллигентным человеком, тогда моей авторской радости разумеется, не будет предела.

К стати, даже элементарная интеллигентность тех, от которых мы, так или иначе, зависим, облегчает нам жизнь. .

Вот уже три месяца, как мой нынешний редактор не отвечает на мои тревожные письма, и не звонит, а в последние дни на мои звонки из Тбилиси, ее телефон отзывается только размеренным зумером.

Я хочу быть кратким и не утомлять Вас моими жалобами в адрес Квливидзе, тем более, что прилагаемые мною письма недвусмысленно излагают мои расхождения с ней.

Но если Вы сочтете нужным, я могу прислать и более подробный разбор ее неуместных редакторских правок.

Было бы хорошо, если бы Вы взглянули, и кое-где и перелистали книгу моих пьес, изданной "Искусством", она находится у Н.Квливидзе.

Надеюсь, Вы не оставите это письмо без ответа.

20.04.86

С уважением  
**К. Буачидзе**

PS: Аналогичное письмо посылаю и А.О.Тамму



**РОЗОВУ В. С.**

**Уважаемый Виктор Сергеевич!**

Пишет Вам один из грузинских поклонников Вашей драматургии.

Но в этом небольшом письмеце речь пойдет не о Ваших пьесах.

Вот только что я прочитал в "Советской культуре" Ваши воспоминания о том, как снимался фильм "Летят журавли".

Если мне память не изменяет, нечто подобное я уже читал несколько лет тому назад.

Кажется, Вы и тогда писали о "кавказских блюдах" и я...

Но нет! Ведь мне вовсе не кажется, что Вы человек не только талантливый, но, и умный и если бы я об этом Вам уже писал, Вы не стали бы, по-моему, упрячиться...

Кавказская кухня, кавказские блюда, конечно, существуют, но это вовсе не значит, что Михаил Калатозов угощал Вас именно "кавказскими блюдами". Грузины, армяне, азербайджанцы, географически, близкие соседи, но кухня у них отнюдь не общая... Вряд ли Михаил Константинович готовил у себя дома люля-кебаб или гюфту.

Кстати, и В. Бережков, переводчик Сталина, тоже пишет в своих воспоминаниях о таких "блюдах", которыми Сталин, якобы, угощал... Рузвельта!

Я не совсем понимаю, почему теперешние русские продолжают "традиции" дореволюционных времён, когда в России очень и очень многие даже не знали, какую веру исповедовали грузины, мусульманскую или христианскую...

Из Вашей статьи я узнал, что тогдашнее "начальство" приняло "Летят журавли" довольно холодно.

От "начальства" это вполне естественно и закономерно!

А знаете ли Вы, уважаемый Виктор Сергеевич, что в свое время и "Чапаева" тоже холодно приняли? Но только на этот раз, к счастью, не начальство, нет!

В первые же дни демонстрации "Чапаева" в "Известиях" появилась водянистая рецензия Хр. Херсонского, а на второй же день "Правда" поместила, по указанию разозлившегося Сталина, передовую: "Чапаева" посмотрит вся страна!"

Так и случилось, а бедный Херсонский с того же дня, почти сорок лет ходил согбенный, словно пораженный остеохондрозом...

12. 05. 86.  
Тбилиси.

Искренне уважающий Вас  
К. Буачидзе



**Секретарю Союза писателей  
Тамму А.О.**

**Дорогой Арнольд Освальдович!**

Верстку получил с большим опозданием: посланная из Москвы в конце сентября, в Тбилиси она дошла в середине октября.

